



საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები

საქართველოს ეროვნული მუზეუმის

ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტი

ჟურნალ — იპერია-კოლხეთის — დამატება, I.



საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები (ძვ.წ. V - ახ.წ. V სს)

გელა გამყრელიძე

პროექტის ხელმძღვანელი



ARCHAEOLOGY OF GEORGIA (5th century BC - 5th century AD)

ed. by Gela Gamkrelidze

Published in Georgia by Georgian National Museum

Journal *IBERIA-COLCHIS* (Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical Period),
ISSN 1512-4207; **SUPPLEMENT, I.**

www.museum.ge



რეცენზენტები: *ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ამირან კახიძე*

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ომარ ლანჩავა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ვაჟა სადრაძე

სამხატვრო და დიზაინის სამუშაოები შეასრულეს: ელ. სახვაძე, ინ. ესვანჯია,

თ. ჩეკურიძე, გ. გამყრელიძე

ტექნიკური უზრუნველყოფა: ირაკლი ხუციშვილი

ყდაზე, *არმაზციხის* არქეოლოგიური გათხრების ხედი (ფოტო – ვ. ნიკოლაიშვილის)

უკანა მხარეს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხედი (ფოტო – გ. გამყრელიძის)

Published in Georgia by Georgian National Museum, *Tbilisi*

© Georgian National Museum; G. Gamkrelidze; 2021

© გ. გამყრელიძე; საქართველოს ეროვნული მუზეუმი; 2021

წინასიტყვაობა

თანამედროვე არქეოლოგია საისტორიო მეცნიერებაა, რომელიც კაცობრიობის ისტორიას მინაში და წყალქვეშ მიკვლეული ნივთიერი კულტურის ძეგლების საშუალებით შეისწავლის. მისი მოძიების საგანია ადამიანის, საზოგადოების მოქმედების ნივთიერი ნაკვალევის შესწავლა; კერძოდ, ძველი ნამოსახლარების, სამაროვნების, შრომის იარაღების, კერამიკის, შეიარაღება-საჭურველის, სამკაულის, საკულტო ინვენტარის კვლევა. „არქეოლოგიური კულტურა“ ნიშნავს გარკვეულ ტერიტორიაზე ერთნაირი და თანადროული ნივთების ანუ არტეფაქტების, არქეოლოგიური ძეგლების ანუ კომპლექსების ერთობლიობას. მათი შესწავლის საფუძველზე ხდება ისტორიული ანალიზი და ცალკეული საზოგადოების განვლილი ეტაპების რეკონსტრუქცია-აღდგენა. საქართველოს მინა-წყალზე ქართველების ისტორიულ-კულტურული განვითარების, სხვადასხვა ხალხებთან ურთიერთობის ხანგრძლივი და თავისებური პროცესი ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. ხსენებულ ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური ჰეგემონობა კოლხეთის და იბერიის სამეფოებმა მოიპოვეს, რომელთა ადგილსა და საფუძველზეც შემდგომ განვითარდა ერთიანი სახელმწიფო — საქართველო.

წინამდებარე ნაშრომში ძირითადად ძვ.წ.V - ახ.წ.Vსს-ის არქეოლოგიის საკითხებია განხილული. წიგნში ისტორიის, წერილობითი წყაროების (იხ. ჰეროდოტე, ქსენეფონტი, სტრაბონი, ტაციტუსი, აპიანე, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.) და არქეოლოგიური მასალის კვლევის საფუძველზე ამ ეპოქის საქართველოს (იბერია-კოლხეთის) კულტურა-ისტორიაა შესწავლილი. აქვე მოცემულია არქეოლოგიური მასალიდან გამომდინარე გრაფიკული რეკონსტრუქციები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის ანტიკური და ადრემედიევური ხანის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის ფაქტთა მონაცემები მცირეა. მიუხედავად ამისა, წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემების ურთიერთშედარების და კრიტიკულად განხილვის საფუძველზე გარკვეულწილად ხერხდება საქართველოს ხსენებული ეპოქის ისტორია-კულტურის მეტ-ნაკლები აღდგენა-წარმოდგენა.

ბოლო წლებში საგრძნობლად გაფართოვდა საერთოდ საქართველოს ძველი ისტორიის არქეოლოგიურ-წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ახალი ნაშრომები გამოჩნდა, მიძღვნილი საქართველოს მეზობელი ქვეყნების არქეოლოგია-ისტორიის კონკრეტული და თეორიული ასპექტებისადმი, რაც ამ ეტაპზე საშუალებას იძლევა მოცემული ეპოქის საქართველოს ისტორიულ-შედარებითი განვითარების ჭრილში დავაკვირდეთ. წიგნში საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალა შესწავლილია სტატისტიკურ-ტიპოლოგიურად, სისტემური ანალიზის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული არქეოლოგიური მონაცემები გარკვეულად შეჯერებულია წერილობით წყაროებთან.

ნიშანდობლივია ის, რომ დღევანდელ მსოფლიოში არც ერთი ჰუმანიტარული სამეცნიერო დარგის მიმართ არ შეინიშნება ისეთი ინტერესი, როგორც არქეოლოგიის მიმართ. არქეოლოგია არის იდუმალი და ბურუსით მოსილი რომანტიკული პროფესია. მაგრამ, ცოტამ თუ იცის, რა მუხლჩაუხრელი შრომა დგას ყოველი აღმოჩენისა და მისი

მეცნიერული ინტერპრეტაციის უკან. თუ რამდენი ფიზიკური და გონებრივი ენერჯის დახარჯვა უწევს არქეოლოგს, სანამ არტეფაქტს რაიმე მეცნიერულ ინტერპრეტაციას მოუძებნის.

ძველი საქართველოს ისტორია-არქეოლოგიის საკითხები არა ერთმა მეცნიერმა განიხილა. ამ ნაშრომებმა ფასდაუდებელი, მნიშვნელოვანი ნვლილი შეიტანეს მოცემული პრობლემატიკის კვლევის საქმეში. ნიგნში ხსენებული ნაშრომები დამონმებულია შესაბამის საკითხებზე მსჯელობისას.

ბუნებრივია, რომ ამ ვრცელ ნაშრომში, ალბათ, ვერ ავცდით გარკვეულ სუბიექტურ თუ ობიექტურ ხარვეზებს, შიგადაშიგ გამეორებასაც. სამწუხაროდ, ნიგნში მოცემული თემატიკის ყველა საკითხი, მონაცემების ნაკლებობის გამო, თანაბრად არ არის წარმოდგენილი. იმედია, კეთილგანწყობილი მკითხველი ამას დიდსულოვნად მოგვიტევენს და სამაგიეროდ, მოგვანვდის საქმიან შენიშვნებს.



საქართველოში არქეოლოგიის განვითარების შესახებ

გ. გამყრელიძე

ევროპაში არქეოლოგია, როგორც მეცნიერება, XIX ს-ში ჩაისახა. შემდგომ არქეოლოგიით გატაცებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. არქეოლოგიური გათხრები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტარდებოდა. საქართველოში ძველი ნივთების კოლექციონერობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ სიძველეების შესწავლისა და მათი ისტორიასთან დაკავშირების ცდა კი გაცილებით გვიან მოხდა. შუა საუკუნეებში ძველი ნივთების საცავი ქართველ მეფეთა კარზე იყო. სულხან-საბა ორბელიანი რომის მუზეუმის დათვალიერებისას იხსენებს, რომ ამგვარი ნივთების საცავი მას უნახავს მეფე ვახტანგ VI კარზე. საცავ-სალაროს თბილისში, სადაც სამეფო ხაზინასთან ერთად ინახებოდა მინაში ნაპოვნი ნივთებიც, კერძოდ, ძველი მონეტები და იარაღ-საჭურველი, მოიხსენიებს ისტორიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონიც. იგი იქვე დასძენს, რომ, სამწუხაროდ, 1795 წელს სპარსელების მიერ საქართველოს დედაქალაქ თბილისის აღება-დანგრევისას მეფის სასახლე და მასთან ერთად ეს საცავ-მუზეუმიც დაურბევიათ და გაუძარცვავთ.

XIX საუკუნემდე საქართველოში სიძველეთა შესწავლას ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. შემოგვრჩა მხოლოდ კანტიკუნტი ცნობები ზოგიერთი ძეგლის შესახებ. ეს ცნობები საინტერესოა თავისი აღწერილობითი ხასიათით, რადგან ზოგიერთი ძეგლი შემდგომ ან სულ განადგურდა, ან დაზიანდა და სახე იცვალა. სიძველეთა აღწერა გვხვდება ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბაგრატიონისა და თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულებებში, აგრეთვე უცხოელ მოგზაურთა ნაწერებში — არქანჯელო ლამბერტის, კრისტოფორო დე კასტელის, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, იოჰან გიულდენშტედტისა და სხვ.

XIX ს-ის საქართველოში სიძველეთა შესწავლა შედარებით უფრო სისტემურ ხასიათს იღებს. ჯერ კიდევ 1837 წელს საქართველოს სტატისტიკურმა კომიტეტმა მიაქცია ყურადღება ისტორიული ძეგლების აღრიცხვა-დაცვის საქმეს და საამისოდ შეადგინა სპეციალური ინსტრუქცია, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებებში გაავრცელეს. მასში ყურადღება გამახვილებული იყო ყორღანების ან მსგავსი სიძველეების გამოვლენა-აღნუსხვაზე. ამ ინსტრუქციის შედგენაში მონაწილეობდნენ ნ. ფალავანდიშვილი და მ. ჭილაშვილი, რომლებიც სტატისტიკურ კომიტეტში მსახურობდნენ. მ. ჭილაშვილი სიძველეთა დაცვა-შესწავლისათვის შემდგომშიც იღვწოდა და აქტიურობდა. მისთვის, როგორც სახელმწიფო სტატისტიკური კომიტეტის თანამშრომლისა და სიძველეთა

აღნუსხვა-დაცვის შესახებ ინსტრუქციის ერთ-ერთი შემდგენლისათვის, კარგად იყო ცნობილი სიძველეთა შესწავლის მაშინდელი მდგომარეობა საქართველოში. ამიტომ, 1856 წლის 8 დეკემბერს კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღძრა საკითხი საქართველოში არქეოლოგიური გათხრების ჩატარების აუცილებლობის შესახებ.

სამწუხაროდ, არც გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებას და არც სტატისტიკურ კომიტეტს არქეოლოგიური გათხრები არ ჩაუტარებია, რადგან ეს არ შედიოდა მათ ფუნქციებში. მიუხედავად ამისა მათ მაინც გარკვეული როლი შეასრულეს ძველთა აღნუსხვა-დაცვის საქმეში, რასაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით აღინუსხა და განადგურება-გაქრობას გადაურჩა ბევრი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი. მაგრამ მარტო აღნუსხვა-დაცვით სიძველეთა შესწავლის საქმე წინ ვერ წაინევიდა. ამიტომ XIX საუკუნის შუა წლებიდან საქართველოს სიძველეთა უფრო ფართო, მრავალმხრივი შესწავლისათვის საჭირო გახდა გათხრების დაწყება და ამით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა გათხრით არქეოლოგიას.

პირველი გათხრა, რომელიც მეცნიერულ მიზნებს ისახავდა, ჩატარდა 1852 წლის ზაფხულში, ქ. გორიდან დაახლოებით თხუთმეტიოდე კილომეტრით დაცილებულ ნაქალაქარ უფლისციხეში. აქ გათხრებს აწარმოებდა საქართველოს არქეოლოგიის პიონერი დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი (1815-1878 წწ.). სამწუხაროდ მის შესახებ ძალზე მცირე ცნობებია შემონახული, რაც აძნელებს ამ პიროვნებაზე სრული წარმოდგენის შექმნას. მისი თანამედროვეების აზრით, „დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი ნიჭიერი კაცი იყო და საქართველოს ისტორიის დიდი მცოდნე; იგი, სადაც კი შეეძლო, ყველგან ცდილობდა საქართველოს ისტორიის სასარგებლოდ. ბევრი სხვა და სხვა სამეცნიერო, საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოებათა წევრი იყო“ (იხ. ჟურნალი „საქართველოს კალენდარი“, ტფილისი, 1895). მაღალ შეფასებას აძლევს დ. მელვინეთუხუცესიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსეც, რომელიც ერთ-ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავს მის მიერ განეული დახმარების შესახებ.



დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი
(1815-1878)

დ. მელვინეთუხუცესიშვილმა აღწერა და შეისწავლა მრავალი საყურადღებო ძველი ძეგლი, შეაგროვა და შთამომავლობას დაუტოვა არაერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი თუ ნივთი. მან მოიარა და შეისწავლა ქართლი, იმერეთი, გურია, მესხეთი, აჭარა და სხვა. დ. მელვინეთუხუცესიშვილი თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „*მე მსურს, რაც საქართველოში ძველი ეკლესიაა თუ მონასტერი, ჯვარი, ხატი და რაზედაც ძველი წარწერილობაა, ყველა აღწერო თვითოეულად და ნაწერიც ეგრეთ გარდმოვიღო*“. 1849 წელს იგი დააჯილდოვეს სპეციალური სიგელით სამეცნიერო საქმიანობისა და საინტერესო მოხსენებებისათვის.

დ. მელვინეთუხუცესიშვილი მსახურობდა ქ. გორის სასამართლოში, რაც მას ხელს უშლიდა სამეცნიერო მუშაობის ფართოდ გაშლაში. ამიტომ 1851 წელს გორიდან გადავიდა თბილისში სახელმწიფო კანცელარიაში სამუშაოდ, სადაც სამეცნიერო მოღვაწეობისათვის

უფრო მეტი დრო რჩებოდა. აქ მას, სხვა საქმეებთან ერთად, დაავალეს მოეწყო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა აღენერა და შეესწავლა ისტორიული სიძველეები. სამწუხაროდ, ამ ექსპედიციებს მთავრობისაგან დაფინანსება-დახმარება მალე შეუწყდა.

1852 წლის ზაფხულში დ. მელვინეთუხუცესიშვილმა მთავრობისაგან მიიღო გარკვეული თანხა და შეუდგა უფლისციხის ნაქალაქარის გათხრას. მას თბილისიდან მოუწვევია მხატვარი და შეუძენია სათანადო აღჭურვილობა ძეგლის გათხრა-ფიქსაციისათვის. არქეოლოგიური გათხრების დროს დ. მელვინეთუხუცესიშვილი აწარმოებდა სავსე დღიურს. როგორც ჩანს, იგი აპირებდა უფლისციხის გათხრების შედეგების გამოქვეყნებას. სამწუხაროდ, გათხრების შედეგების გამოქვეყნება ვერ მოხერხდა, ხოლო სავსე დღიურები და მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დაიკარგა (ჯერჯერობით არ ხერხდება მათი მიკვლევა). ამიტომ ამ გათხრების შესახებ წარმოდგენას ძირითადად გაზეთ „კავკაზ“-ში (№43, 66; 1852 წ.) დაბეჭდილი მოკლე ანგარიშები გვიქმნის.

უფლისციხის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა დ. მელვინეთუხუცესიშვილს ზედაპირული დაზვერვით დაუწყია — აუგეგმავს ნაგებობები, აღმოუჩენია რამდენიმე წარწერა და გადმოუწერია. ამისათვის მას მოუხდა მალა, ფრიალო კლდეებში ნაკვეთი ნახევრად ჩანგრეული ნაგებობების ნახვა, რაც არცთუ უსაფრთხო იყო. დ. მელვინეთუხუცესიშვილს პირველად უფლისციხის დიდი დარბაზის გათხრა დაუწყია. გაუჭრია დაახლოებით ორი მეტრის სიგრძის თხრილი; აქ აღმოუჩენია სვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები, დიდი დარბაზის გვერდზე მდებარე ოთახში კი, ქვევრები. მისი აზრით, დიდი დარბაზი და მიმდებარე ნაგებობები წარჩინებული პირის სასახლეს წარმოადგენდა. დ. მელვინეთუხუცესიშვილს შეუსწავლია უფლისციხის შესახებ არსებული ყველანაირი ცნობა, კერძოდ, ვახუშტი ბაგრატიონისა და ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები უფლისციხის შესახებ და ადგილობრივ მცხოვრებთა ფოლკლორული გადმოცემები. იგი ერთმანეთს ადარებს უფლისციხისა და ვარძიის კლდეში ნაკვეთ ნაგებობებს. უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლის დროს დ. მელვინეთუხუცესიშვილს გაუთხრია სამარხებიც.

დ. მელვინეთუხუცესიშვილი გარდაიცვალა 1878 წელს და დასაფლავებულია გორთან, სოფ. ხიდისთავში. დ. მელვინეთუხუცესიშვილის ნაწერებიდან ჩვენამდე მოაღწია ისტორიული ხასიათის რამდენიმე ნაშრომმა: „მეფობა და ცხოვრება ერეკლე II“, „აღწერა გორთან მდებარე ეკლესიებისა, მონასტრებისა და მათ ზედა ღირსსახსოვარ წარწერათა სრულიად“, „მოგზაურობა გორთან, ხიდისთავსა შინა 1849-სა წელსა“, „მოგზაურობა და მოხილვა იმერეთისა 1850 წელსა“ (მოხსენებები ინახება ს.-პეტერბურგში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა საცავში, ბროსეს ფონდში — №47).

XIX საუკუნის შუა წლებისათვის საქართველოში 1832 წლის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ გამოსვლას მოყოლილი რეპრესიების შედეგად ჩამკვდარი კულტურული ცხოვრება რამდენადმე გამოცოცხლდა. დაარსდა სამეცნიერო საზოგადოებები; გაიხსნა მუზეუმი, ბიბლიოთეკა; დაიწყო პერიოდული გამოცემების დასტამბვა, სადაც სამეცნიერო სტატიებიც იბეჭდებოდა. ამ პერიოდულ გამოცემებში ხშირად ნახმარ სიტყვა „არქეოლოგია“-ს მაშინ საკმაოდ ფართო, მრავლისმომცველი მნიშვნელობა ჰქონდა, ის ფრიად მოდურ სიტყვად იქცა. გამოქვეყნებულ წერილებში არქეოლოგიური მასალის შესწავლა და ფიქსირება ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ამ მასალის აღწერა უმეტესად ჩართულია ან არეულ-გადახლართულია საბუნებისმეტყველო და ფოლკლორულ მონაცემებთან. სიტყვა „არქეოლოგიაში“ მაშინ ძირითადად ყოველგვარ სიძველეთა — ნივთების, ეკლესია-მონასტრების, ხატების, ეპიგრაფიკული ძეგლების — აღწერა-შესწავლა იგულისხმებოდა. მინისქვეშა ძეგლების კვლევას კი უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ეს ბუნებრივად არის, რადგან იმ დროს არქეოლოგია, როგორც მეცნიერება, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული დღევანდელი მნიშვნელობით. ერთ-ერთი პირველი საზოგადოება, რომელმაც რამდენადმე მიაქცია ყურადღება საქართველოს სიძველეებს, იყო გეოგრაფიული საზოგადოება. ის 1850 წელს

გაიხსნა თბილისში. პირველსავე სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად აღინიშნა, რომ დაარსებულმა საზოგადოებამ უნდა შექმნას მუზეუმი და არქივი. მისი აქტიური წევრები იყვნენ: რ. ერისთავი, პ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, გ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ვ. სოლოგუბი, ა. ბერუე, პ. უსლარი, მ. ჭილაშვილი და სხვ.

ახლად დაარსებულმა საზოგადოებამ გადაწყვიტა თბილისში მუზეუმის მოწყობასთან დაკავშირებით საზოგადოების წევრებისათვის დავალებინა ექსპონატების შეგროვება-კატალოგიზაცია და საკვლევ ექსპედიციებში მონაწილეობა. მუზეუმი გაიხსნა 1852 წლის გაზაფხულზე. მისი იმდროინდელი ადგილსამყოფელი იყო დღევანდელ ალ. ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე სახლი. ეს იყო პირველი მუზეუმი მაშინდელ კავკასიაში. თბილისში დაარსებული მუზეუმი შედგებოდა ეთნოლოგიური, საბუნებისმეტყველო და ისტორიულ-არქეოლოგიური განყოფილებებისაგან. 1854 წლისათვის მუზეუმი უკვე 3300 ექსპონატს ითვლიდა. მუზეუმის საისტორიო-არქეოლოგიური კოლექციები შეავსო მინის ნიაღში აღმოჩენილმა ბევრმა ექსპონატმა. აქ თავი მოიყარა დიდი რაოდენობით ნუმიზმატიკურმა მასალამ, საჭურველ-იარაღის ნაშთებმა, სამკაულებმა და სხვ.

1863 წელს ეს მუზეუმი დაიშალა. მისი კოლექციები გადაეცა თბილისში ახლად გახსნილ კავკასიის მუზეუმს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გ. რადე. ამ მუზეუმსაც, ისევე როგორც მის წინამორბედს, უფრო ეთნოლოგიურ-საბუნებისმეტყველო ხასიათი ჰქონდა. მაგრამ აქ არც ისტორია-არქეოლოგია იყო დავინწყებული. ამ მუზეუმის მემკვიდრეა დღევანდელი საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

პირველი მუზეუმის დაარსებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა პლატონ იოსელიანმა (1809-1875 წწ.), რომელმაც თავის დროზე საყურადღებო ქართველოლოგიური გამოკვლევები შექმნა. კერძოდ, ჩვენთვის ფრიად საინტერესოა მისი ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის შრომები, სადაც იგი ეხება საქართველოში ქალაქების წარმოშობის საკითხებს. მისი მოსაზრებით, საქართველოში ქალაქები ძირითადად წარმოიქმნა მთავარ მდინარეთა ნაპირებზე და მათ ძირითად შენაკადებთან, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან პუნქტებთან, რელიგიურ ცენტრებთან; უფრო იშვიათად, წარმოების თავისუფალი კონცენტრაციის ან ვაჭრობის განვითარების შედეგად. თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად პ. იოსელიანს მცირე მასშტაბის დაზვერვითი გათხრები უწარმოებია დღევანდელ სოფ. ჟინვალთან, ძველი ნაქალაქარის ადგილზე. მას აქ აღმოუჩინია და გაუთხრია რიყის ქვის ნაგებობი, მოუპოვებია კერამიკისა და ლითონის ნივთების ნაშთები. ჯერ კიდევ 1844 წელს (ე.ი. გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მცხეთა მიიქცევდა საყოველთაო ყურადღებას) პ. იოსელიანი თავის ერთ-ერთ ნაშრომში წერდა, რომ მცხეთაში არის ბევრი ნანგრევი, რომელიც ჯერ არავის შეუსწავლიაო.

1867 წელს მცხეთაში, მდ. მტკვრის ნაპირთან, გზის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით მინის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ქვათილილი 75 წელს ამოკვეთილი წარწერით (ე.წ. ვესპასიანეს წარწერა. დანვრ. იხ. ქვემოთ). შემდგომ წლებში მცხეთაშივე, სამთავროს ველზე და ე.წ. ბებრისციხის მიდამოებში უძველესი სამარხები აღმოჩნდა. ამ აღმოჩენებმა გამოიწვია ხელისუფლების დაინტერესება და 1871 წელს თბილისში მცხოვრებ ნატურალისტ ფრიდრიხ ბაიერნს სთხოვეს სამთავროს მინდორზე გათხრების წარმოება. აქ გაითხარა ქვის ფილებისაგან შედგენილი სამარხები. ამოღებულ იქნა კერამიკა, ლითონის იარაღები, სამკაულები და სხვ. ხსენებულმა ნივთებმა შემდეგ კავკასიის მუზეუმის ფონდები შეავსო. მართალია, არც სავლევ სამუშაოები ჩატარებულა სათანადო დონეზე და არც განათხარის ისტორიული გააზრება მომხდარა სწორად, მაგრამ თვით არქეოლოგიურმა მასალამ საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. 1885 წელს ქ. ბერლინში დაისტამბა ფრ. ბაიერნის ნაშრომი, რომელშიც სხვებთან ერთად განხილულია სამთავროს ველის სამარხებიც. 1879 წელს ფრანგი ანთროპოლოგი ე. შანტრი სამთავროშივე თხრის რამდენიმე სამარხს.

მცხეთის ამ არქეოლოგიური აღმოჩენების შემდეგ კავკასიისადმი და, კერძოდ, საქართველოსადმი ისტორიკოს-არქეოლოგთა ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. ამიტომ

1872 წელს თბილისში შეიქმნა კავკასიის არქეოლოგიური კომიტეტი, რომელსაც ისტორიულ-არქეოლოგიური სამუშაოების კოორდინაცია უნდა მოეხდინა კავკასიაში. კომიტეტის საქმიანობის შესახებ ცნობები იბეჭდებოდა სპეციალურ ჟურნალში, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1872-1873 წწ. აქ მოყვანილი ცნობები ძირითადად ეკლესიების აღწერილობებს შეიცავს. მალე ეს კომიტეტი შეუერთდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებას“, რომელიც დაარსდა 1873 წელს ქ. თბილისში.

„კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ დაარსებას წინ უძღოდა გარკვეული სამზადისი. კერძოდ, 1873 წელს ჟურნალ „ცისკარში“ (იხ. №3-4) გამოქვეყნდა დიმიტრი ბაქრაძის სტატია, რომლითაც ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა გასცნობოდა თავის სამშობლოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების პერსპექტივებს. სტატიის სათაურია — *„შესახებ კავკასიის არქეოლოგიის მოსიყვარულე საზოგადოებისა, რომლის დაფუძნებასაც აპირებენ ტფილისში.“* დასაწყისში საუბარია საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის რეგიონის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობასა და საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიული განვითარებისათვის; შეფასებულია ისტორიული ძეგლების წარწერების ადგილი ქვეყნის წარსულის შესწავლაში. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ არქეოლოგიას ჩვენთანაც მიეძღვა ყურადღება და გადამწყვეტილია არქეოლოგიური საზოგადოების შექმნა, რათა *„მოიყვანონ ცნობაში ძველნი სახსოვარნი, აკლდამების გათხრა, სადაცა მოიპოვებიან ძველის დროების კვდართან ჩატანებული ნივთები, ზედ წარწერების შეკრება და რა მოიყვანოს ყველა ეს ცნობაში, გაავრცელონ ეს ცნობები ხალხში. ამ არქეოლოგიის შეწევნა აღიდგინა კარგათ ძველის, დიდი ხნის გამქრალის ხალხების მდგომარეობა კავკასიაში, ამ აზრს ჯერ აქომამდე არ შეხებიან, თუმცა ამას, ქვეყნის ზურგზედ, არქეოლოგიის მხრივ თითქმის უჭირავს პირველ ადგილთაგანი“*. იქვე: *„ეს სახსოვარნი მარტო თვალსაჩინარნი კი არ არიან, რამდენნი არიან დაფლულნი თვით მიწაში, როგორც გვარწმუნებს, მცხეთა, სადაც, რა გადათხარეს აკლდამები, რამდენი ღირს შესანიშნავი ძველის დროსანი, აღმოჩნდნენ.“* რაც აღმოაჩინეს, იღუპება ჰაერის შეხებისგანო — შეშფოთებულია დ. ბაქრაძე. მას აგრეთვე აწუხებს ის, რომ ხალხი ძველი ნანგრევების ქვეშ სამშენებლო მასალად ხმარობს და ამით ზიანს აყენებს ძეგლებს; იგი თვლის, რომ არქეოლოგიური საზოგადოების შექმნა ამიტომაც არის საჭირო — საზოგადოებამ უნდა *„... მოიყვანოს ცნობაში ღირს სახსოვარნი შენობები; გაუფრთხილდეს, არავინ წაახდინოს, ფოტოგრაფიებით გადმოიღოს ისინი და იმათი მხატვრობა; გადმოწეროს ზედ წარწერები; შეისყიდოს, სადაცა ჰპოვებს, ძველი ფულები, ოქმები, მანუსკრიპტები და იმისთანა ნივთები, რომელნიცა წარმოგვიდგენენ ძველის დროის სახსოვარსა; გადაათხრევიან ის აკლდამები, სადაცა დაინახავს საჭიროდ“*.

როგორც ვხედავთ, ამ სტატიაში მომავალი არქეოლოგიური საზოგადოებისათვის დასახულია ფრიად პროგრესული აზრებით გამსჭვალული პროგრამა; დასმულია საკითხი ძეგლთა დაცვის, გრაფიკული ფიქსაციის, აღწერის, შესყიდვის და გათხრის შესახებ. ამ საპროგრამო სტატიის ავტორი დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890 წწ.) „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური მოღვაწე იყო. დ. ბაქრაძე საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობის ერთ-ერთ მთავარ გზად საქართველოს ისტორიის წყაროებისა და მასალების ძიებას თვლიდა. მას, სრულიად სამართლიანად, მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორიისათვის მასალების შეგროვება ძირითადად ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შემწეობით უნდა მომხდარიყო. ამიტომ იგი კვლევა-ძიებას აწარმოებდა სვანეთში, აჭარაში, გურიაში, მესხეთ-ჯავახეთში, სამეგრელოში, საინგილოში და სხვ. [იხ. ბაქრაძე 1889: 1-15].

ეს ისტორიულ-არქეოლოგიური მოგზაურობები დ. ბაქრაძის მიერ შემუშავებული საერთო გეგმის ნაწილს შეადგენდა. მისი საერთო დიდი მიზანი მთლიანად საქართველოს სიძველეების შესწავლა იყო. ამ მიზნის მიღწევა, ბუნებრივია, მარტო ერთი მეცნიერის ძალეებს აღემატებოდა. ამიტომ საჭირო შეიქმნა გარკვეული სამეცნიერო ძალების გაერთიანება. ამ დროისათვის საქართველოში მოღვაწე მეცნიერები კარგა ხნის განმავლობაში არაორგანიზებულად, მაგრამ მაინც დიდი გულისყურით კრებდნენ და

სწავლობდნენ საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან მასალებს. ამიტომ იყო, რომ არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების დაარსების იდეას მოწინავე საზოგადოება სიხარულით შეხვდა. დაინტერესებულ წრეებში უკვე საკმაოდ კარგად იცნობდნენ ქართველი მეცნიერ-მოღვაწეების — პ. იოსელიანის, ს. ბარათაშვილის, რ. ერისთავის, დ. ყიფიანის, გ. ორბელიანის, დ. ბაქრაძის და სხვათა საქმიანობას, რაც ნათლად ჩანდა მაშინდელ საქართველოში გამომავალი პერიოდული გამოცემების ფურცლებზე.

1873 წლის 23 მარტს დამტკიცდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ წესდება. დაადგინეს, რომ ამ საზოგადოების ცენტრი იქნებოდა ქ. თბილისში და მისი მიზანი იყო ძველი ნაგებობებისა და, საერთოდ, სიძველეთა გადარჩენა დანგრევა-განადგურებისაგან. საზოგადოებას შეძლებისდაგვარად უნდა შეეძინა სიძველეები მოსახლეობისაგან, თვითონაც მოეპოვებინა მასალები და ყოველივე ეს მეცნიერულად შეესწავლა. ამგვარი შესწავლის შედეგები თითოეულ წევრს უნდა მოეხსენებინა კრებაზე და საზოგადოების კომიტეტის დასტურით გამოექვეყნებინა. საზოგადოებას სამეცნიერო კავშირი უნდა ჰქონოდა როგორც კავკასიის, ისე ევროპის სხვადასხვა საზოგადოებასთან. საზოგადოების წესდებაში აღნიშნულია, რომ ის მოაწყობს სპეციალურ ექსპედიციებს და აწარმოებს გათხრებს. წესდებაში აღნიშნული იყო ისიც, რომ ყველა სამეცნიერო შრომა გადაეცემოდა საჯარო ბიბლიოთეკას, ხოლო არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა გადავიდოდა საზოგადოების მუზეუმში.

1875 წელს თბილისში გამოიცა საზოგადოების პირველი წიგნი. წიგნში დაიბეჭდა საზოგადოების ოქმები და სამეცნიერო სტატიები. როგორც ირკვევა, საზოგადოების წევრობა შეეძლოთ როგორც ადგილობრივ, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. საზოგადოების ძირითადი წევრი სამოცამდე კაცი იყო. ის არსებობდა საწევროების, საქველმოქმედო შემოწირულობათა ხარჯზე და დიდ ხელმოკლეობას განიცდიდა. სწორედ ამ ხელმოკლეობის გამო საზოგადოებამ ვერ მოახერხა თავისი საქმიანობის ფართოდ გაშლა. მას არქეოლოგიური გათხრები თითქმის არ უწარმოებია და შემოისაზღვრა ძირითადად მინისზედა ისტორიული ძეგლების აღწერა-პუბლიკაციით; გამოიცა საზოგადოების შრომების სულ ორი კრებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ დამსახურება ქ. თბილისში არქეოლოგიური კონფერენციის ჩატარების საქმეში. ის არქეოლოგთა ამ თავყრილობის ჩატარების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი იყო.

1873 წელს კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების გახსნის დღეს, კავკასიაში არქეოლოგიური კვლევა-ძიების პერსპექტივების შესახებ მოკლე მიმოხილვითი მოხსენება გაკეთდა, რომელიც შემდეგ დაიბეჭდა საზოგადოების კრებულში. აღინიშნა, რომ საჭირო იყო შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური შესწავლა, რადგან აქ აღმოჩნდა ისეთი საინტერესო ნაგებობები, როგორც დოლმენებია. აქვე აღინიშნა სოხუმის, ფოთის და ბიჭვინთის მიდამოების არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობა, შემდეგ ჩამოთვალეს ისტორიული ძეგლები, რომელთა შესწავლაც სასურველად მიაჩნდათ. ესენია: დასავლეთ საქართველოში — ბედია, ნოქალაქევი, ფოთი-ფასისი, ოზურგეთი, ქუთაისი, ვარდციხე, ონი, ხონი, შორაპანი; აღმოსავლეთ საქართველოში — სურამი, ოძრხე, თმოგვი, ახალციხე, ახალგორი, კასპი, ბოლნისი, დმანისი, მცხეთა, ჟინვალი, გრემი, ნეკრესი, უჯარმა, ჭერემი და სხვ. აქვე იყო დასმული საკითხი კავკასიის მხარის არქეოლოგიური რუკის შედგენის შესახებ.

არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთ შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა დ. ბაქრაძე. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმე; ყურადღება გაამახვილა მომავალი გათხრების ობიექტებზე და იმაზე, თუ სად უნდა მოველოდეთ უკეთეს შედეგებს. დ. ბაქრაძემ წამოაყენა წინადადება, რომ იმ ეტაპზე უპირატესად უნდა შესწავლილიყო კავკასიის ადრეული ეპოქები, რადგან მათ შესახებ ყველაზე უფრო მცირე ინფორმაცია ჰქონდათ. ძველი წერილობითი წყაროების გამოყენებით მან მოგვცა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა. შემდეგ იგი საგანგებოდ

აღნიშნავს და მოიხსენიებს ორ პუნქტს — მცხეთასა და ვაშნარს. ამ პუნქტებში, მისი აზრით, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ძალიან ნაყოფიერი და საქართველოს ისტორიისათვის ბევრის მომცემი იქნებოდა. 1874 წელს დ. ბაქრაძეს ამ მოსაზრების დასასაბუთებლად სოფ. ვაშნართან (გურიაში) ჩაუტარებია არქეოლოგიური დაზვერვები. გათხრების შედეგად მას მოუპოვებია ძველი კერამიკის, მინის, რკინის და ბრინჯაოს ნივთები. მას აქვე უნახავს ნაგებობის ნაშთები, კერძოდ, მარმარილოს სვეტის ნაწილები, აგური, კრამიტი.

დ. ბაქრაძის ხანგრძლივი ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგი იყო მისი მონოგრაფია — *„კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები“*, რომელიც დაიბეჭდა *„კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“* კრებულში. ნაშრომში მოცემულია ძირითადად საქართველოს ქრისტიანული ძეგლების აღწერილობა და კვლევის შედეგები. ძეგლების აღწერას თან ახლავს მეცნიერული ანალიზი, მითითებულია წყაროები, რომელთა საფუძველზეც დაინერა გამოკვლევა. თითოეული ძეგლის აღწერას წინ უძღვის მოკლე მხარეთმცოდნეობითი მიმოხილვა იმ რეგიონისა, სადაც ეს ძეგლი მდებარეობს. ამ ნაშრომში გამოტოვებული არ არის არც ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი. დ. ბაქრაძისათვის ძეგლის დათარიღებისას მთავარია მისი არქიტექტურული სტილი. ნაშრომში სულ სამას ოცამდე ძეგლია აღწერილი და შესწავლილი. დ. ბაქრაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ცდილობდა საქართველოს ისტორიის კვლევისას გამოეყენებინა ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. მას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ისტორიის უძველესი ხანის შესასწავლად არქეოლოგიური კვლევა-ძიება იყო საჭირო. იგი თავის ნაშრომში *„ისტორია საქართველოსი“* აღნიშნავს, რომ *„... ისტორიის წინააღმდეგ არქეოლოგია ჩვენ, რომ გამოკვლეული გვექონდეს, შეიძლება იმათ ყოფა-ცხოვრებას, დამოკიდებულებას ერთისა მეორესთან და უცხო ტომნათესავეებთან შევხებიყავით; მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან ნაკლებად ვართ“*. იქვე: *„უეჭველია, რომ ქართლ-კახეთში, იმერეთში, მესხეთში და შავი ზღვის პირად უნდა აღმოჩნდეს მრავალი ძველი ნივთიულობა, რომელიც ნათელს მოჰფენს ჩვენს წარსულს საუკუნოებსა.“*

„კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“ დ. ბაქრაძის აქტიური მონაწილეობით აღწესდა და უყურადღებოდ არ ტოვებდა კავკასიის ტერიტორიაზე შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენათა თითქმის არცერთ ფაქტს. ამგვარად აღინუსხა ახალციხისკენ მდ. კურცხანის და ოცხის შესართავთან სახლის საძირკველის თხრის დროს აღმოჩენილი სამი მოთეთრო ფერის პატარა დოქი; სოფ. ნინოწმინდაში შემთხვევით ნაპოვნი სპილენძის მახვილი; არტანუჯის ციხესთან მოპოვებული ბრინჯაოს ზარი და თიხის ქოთანნი. ამ ზარს ასომთავრული წარწერა ჰქონდა; სოფ. საგურამოში და სოფ. ურბნისთან 1876 წელს შემთხვევით უპოვიათ თიხის სარკოფაგები. ურბნისშივე მონეტების აღმოჩენის შესახებ ცნობას გვანვდის პ. იოსელიანი. თბილისში ქალთა გიმნაზიისათვის (ჩიტაძის ქუჩა) ფუნდამენტის გაჭრის დროს უპოვიათ მონეტების განძი.

მცხეთის შემდეგ იმ პერიოდში, არქეოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე დიდი ინტერესი სტეფანწმინდის (ყაზბეგის) უძველესმა ნივთებმა გამოიწვია. ამ პუნქტმა და მისმა მიმდებარე ტერიტორიამ უკვე XIX ს.-ის 60-იანი წლებიდან მიიქცია სიძველეების მკვლევართა ყურადღება შემთხვევით ნაპოვნი ძველი ნივთებით. ცნობილია გათხრების შედეგად მიკვლეული დიდი რაოდენობით არქეოლოგიური მასალა დაბა სტეფანწმინდასთან, რომელიც ამჟამად ინახება ს.-პეტერბურგის ერმიტაჟისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში. დაბა სტეფანწმინდაში, ახლანდელი ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის გვერდით, სახლის საძირკველის თხრისას უპოვნიათ ბრინჯაოს ნივთები — საკინძეები, სამაჯურები და სხვ. ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით სტეფანწმინდაში ჩამოვიდა გ. ფილიმონოვი, რომელმაც 1877 წელს, ამ ნივთების აღმოჩენის ადგილის აღმოსავლეთით გაჭრა თხრილი. აქ დადასტურდა ე.წ. სხივანა საყურე, ოქროს ბალთა, პასტის მძივები, ბრინჯაოს ჯაჭვის ნაწყვეტები, ვერცხლის თასი, სპილენძის სიტულა, სულ ორასამდე სხვადასხვა ნივთი. შემდგომ ამ ნივთების ნაწილი ს.-პეტერბურგის და მოსკოვის მუზეუმებში მოხვდა. გამთხრელის აზრით, მის მიერ მოპოვებული მასალა სამარხეული ინვენტარი იყო. ამ სამარხს კი ის რკინის ხანის დასაწყის

ეტაპს აკუთვნებდა და მიიჩნევდა ადგილობრივი მაღალგანვითარებული კულტურის ნაყოფად.

ამავე ადგილის მომიჯნავე ფართობი 1878 წელს გათხარა ფ. ბაიერნმა. აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები და რკინის შუბისპირები. გამთხრელის აზრით, ეს ადგილი უნდა ყოფილიყო სალოცავი, სადაც სწირავდნენ სხვადასხვა ნივთებს. ფ. ბაიერნმა აგრეთვე არქეოლოგიურად დაზვერა მდ. სნოს ხეობა. კერძოდ, სოფ. ჯუთაში მან გათხარა სამი სამარხი, რომლებშიც აღმოჩნდა რკინის ისრისპირები, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოს და რკინის სამაჯურები და სხვა. აქვე სოფ. ართხმომში გაუთხრიათ სამარხები.

1879 წელს სტეფანწმინდაში ჩასულა არქეოლოგი ალ. უვაროვი, რომელსაც ფ. ბაიერნის მიერ გათხრილი მონაკვეთის სამხრეთით გაჭრილ საცდელ თხრილში აღმოუჩენია სამი უძველესი სამარხი. აქ უპოვიათ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ნივთები. 1882 წელს დაბა სტეფანწმინდის ჩრდილოეთით, მდ. თერგის ხეობაში სოფ. გველეთთან აღმოჩენილა ძველი ნივთები, რომლებიც შემდგომ მოხვდა ს.-პეტერბურგის ერმიტაჟში.

ერთ-ერთი არქეოლოგიური ძეგლი, რომელმაც ადრევე, კერძოდ, 1876 წელს მიიქცია ძველი ისტორიით დაინტერესებულ პირთა ყურადღება, არის ვანის ნაქალაქარი. 1876 წელს გაზეთ „დროებაში“ №52 აღნიშნულია სოფ. *საჩინოს (ვანი) ახვლედიანების* გორაზე ძველი სამარხებისა და ოქროს სხვადასხვა ნივთების ხშირი აღმოჩენის შესახებ. აქვე ნათქვამია — „როგორც ჩანს, დიდი სიმდიდრე უნდა იყოს ამ გორაში. ვინ იცის, ისტორიის რამდენი მასალები არის ნაპოვნი და პატრონების უცოდინარობისაგან დაღუპულა და რამდენი კვლავ იპოვება ამ გორაში“. ვანში ნაპოვნმა ცალკეულმა საგნებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ 1848 წელს, როცა ქ. ქუთაისში გავლით მყოფ ცნობილ ქართველოლოგს მარი ბროსეს ვანში ნაპოვნი მამაკაცის თხუთმეტიოდე სანტიმეტრის სიმაღლის ძველი ქანდაკება აჩვენეს.

1880 წელს მწერალ გიორგი წერეთელს ვანში ნაპოვნი ნივთების შესახებ ინფორმაცია მიუწოდებია არქეოლოგიური კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტისათვის. ერთგვარად ამის შედეგიც იყო ალბათ ის, რომ 1889 წელს ვანში, ახვლედიანების გორაზე არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით მცირე გათხრები ჩაუტარებიათ. აქ გაუთხრიათ რამდენიმე ძველი სამარხი, უპოვიათ ლითონის ნივთები და კერამიკა. გ. წერეთელსვე 1878-80-იან წლებში არქეოლოგიური დაზვერვები ჩაუტარებია და მოუხილავს მღვიმევის გამოქვაბული, რომელიც მდ. ყვირილას ხეობაში ქ. საჩხერესა და ქ. ჭიათურას შორის მდებარეობს; საჩხერესთანვე, ციხე მოდინახეს გორის ფერდობზე უნახავს ძველი სამარხების ნაშთები. აქ ყოფილა კერამიკისა და ლითონის ნივთები; მდ. ყვირილას ხეობაში შორაპნის ციხესთან უნახავს თიხის ძველი წყალსადენის ნაშთები; სოფ. შორაპნთან, ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, რკინიგზის ხაზის გაყვანისას მუშებს შემთხვევით უპოვიათ სამარხები; ქ. ქუთაისში, მდ. რიონის ნაპირთან, ახლანდელი წითელი ხიდის ახლოს აღმოჩნდა ძველი აბანო; ბაგრატიის ტაძრის ჩრდილოეთით უნახავთ სამაროვნის ნაშთები. ქუთაისშივე, ახლანდელი ბაზრის მიდამოებში, სადაც წინათ ბალი ყოფილა გაშენებული, აღმოჩნდა ძველი კერამიკა. აღწერიდან ჩანს, რომ ის ე.წ. კოლხური კერამიკა უნდა ყოფილიყო. გ. წერეთელსვე შეუტყვია, რომ სოფ. ციხისძირთან, კვირიკეს გორაზე ახალი საფორტიფიკაციო ნაგებობის მშენებლობის დროს უპოვიათ მარმარილოს სარკოფაგი. 1880 წელს ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზზე სოფ. ჭოგნარსა და სადგურ აჯამეთს შორის მიწის სამუშაოებისას აღმოჩნდა ორი ძველი ნამოსახლარი გორა ადგილ ნასაჯვარეთან. აქ, დადასტურდა ძველი კერამიკული ნაწარმი; ლითონის იარაღი — ცულები, დანები, ისრისპირები, ბრინჯაოს სამაჯურები და სხვ.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქ. სოხუმის ერთ-ერთ სკოლაში ყოფილა მცირე არქეოლოგიურ-მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი, რომელიც შემდეგ, საომარი მოქმედებების გამო, ქვეყნის შიდა რაიონებში გადაუტანიათ. შემდგომში ეს ძველი ნივთები დაკარგულა. დაახლოებით ამავე დროს, ქ. სოხუმში ჩაუტარებიათ კვლევა-ძიება: უნახავთ ძველი დიოსკურიის ნანგრევები. ამის შესახებ მიუწოდებიათ ცნობა არქეოლოგიური კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტისათვის. ცნობაში აღნიშნულია არქეოლოგიური

თვალსაზრისით საინტერესო ადგილები. ესენია: ქ. სოხუმის სანაპირო დღევანდელი საზღვაო პორტის ჩრდილოეთით, სადაც ზღვის ნაპირზე პოულობდნენ ხოლმე ძველ ნივთებს; აგრეთვე ბიჭვინთის ტერიტორიასთან ინკიტის ტბის სანაპირო, მდ. ნებელდის ხეობა. 1886 წელს ქ. სოხუმში არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით, რუსთაველის ბაღის დასავლეთ ნაწილში მცირე მასშტაბის გათხრები ჩაუტარებიათ. განათხარში აღმოჩნდა კერამიკა, მათ შორის ამფორის, შავ და წითელლაკიანი ჭურჭლის ნატეხები. აქვე ნახეს ქ. ამისოს მონეტა.

1880 წელს სოფ. დილომთან, იქ სადაც დიღმისწყალი უერთდება მდ. მტკვარს, მცირე გათხრები აწარმოეს. ამ ადგილზე ნაპოვნ სიძველეებს ჯერ კიდევ 1866 წელს მიუქცევია ყურადღება. ნანახი ნივთების მიხედვით გამოითქვა აზრი, რომ ისინი მცხეთის სამთავროს სამაროვნის მონაპოვარს ჰგავდა. ხსენებულ ტერიტორიაზე გაითხარა თერთმეტი სამარხი. მათში ვერცხლის სამკაულები და თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა. როგორც უკვე აღინიშნა, „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ“ პირველმა წამოჭრა საკითხი ქ. თბილისში არქეოლოგიური კონფერენციის ჩატარების შესახებ. ჩამოყალიბდა მოსამზადებელ-საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის მუშაობასაც ხელს უწყობდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება.“ 1878 წელს ქ. თბილისში აირჩიეს კონფერენციის მომწყობი ადგილობრივი საორგანიზაციო-მოსამზადებელი კომიტეტი დიმიტრი ბაქრაძის ხელმძღვანელობით. კომიტეტმა დიდი მუშაობა განა — მას უნდა შეეკრიბა მასალები კავკასიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის და ენების შესახებ. თბილისის კომიტეტის მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდნენ — დ. ბაქრაძე, დ. ჯორჯაძე, ალ. ცაგარელი, რ. ერისთავი, ა. კომაროვი, ა. ბერუე, ე. ვეიდენბაუმი, გ. რადე და სხვ. ხალისიანად ჩაება კონფერენციის მოსამზადებელ საქმიანობაში თბილისის განათლებული და ინტელექტუალური საზოგადოებაც. არქეოლოგიური კონფერენციისათვის ეს მზადება ძლიერი ბიძგი იყო საქართველოში ჰუმანიტარული მეცნიერებების, კერძოდ, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ენათმეცნიერების განვითარების მიმართულებით. არქეოლოგიური თავყრილობის საორგანიზაციო კომიტეტმა თბილისში მოიწვია ორმოცამდე ცნობილი უცხოელი მეცნიერი. მათ შორის — ოს. მონტელიუსი (სტოკჰოლმი), რ. ვირხოვი (ბერლინი), ჰ. შლიმანი (ათენი), ა. რამბო (პარიზი), ე. შანტრი (ლიონი), გ. მორტილიე (პარიზი), ე. როსი (რომი) და სხვ.

არქეოლოგიური კონფერენცია თბილისში 1881 წლის 8 სექტემბერს გაიხსნა, ხოლო დაიხურა 21 სექტემბერს. კონფერენციამ ქალაქში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მას ესწრებოდა 850-მდე კაცი, რომელთაც ჰქონდათ სპეციალური საშვები და სამკერდე ნიშნები. კონფერენცია დაიყო რვა განყოფილება-სექციად: პირველყოფილი საზოგადოების ძეგლები; წარმართული და კლასიკური ხანის ძეგლები; ქრისტიანული ხანის ძეგლები; მუსლიმური სიძველეები; ხელოვნების და მხატვრობის ძეგლები; დამწერლობის ძეგლები; ლინგვისტიკა; ისტორიული გეოგრაფია. სექციების სხდომებზე 81 მოხსენება იქნა წაკითხული. კონფერენციის თავმჯდომარემ, სხვა საკითხებთან ერთად, დამსწრეთ მოკლედ მოახსენა არქეოლოგიური კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტის მიერ ჩატარებულ საქმიანობაზე. კონკრეტულად საქართველოს ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო იყო მხოლოდ მცირე არქეოლოგიური მოხსენება-ინფორმაცია სტეფანწმინდაში (ყაზბეგში) და მდ. რიონის გაყოლებაზე მდებარე არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. მომხსენებლებს საუბარი ჰქონდათ კონფერენციის წინ ამ პუნქტებში ჩატარებულ არქეოლოგიურ დაზვერვაზე, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. საყურადღებოა, რომ ამ კონფერენციაზე, უკვე მეორედ, წამოიჭრა საკითხი კავკასიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური აღმოჩენების რუკის შედგენის თაობაზე. სამწუხაროდ, შემდგომშიც ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდა. კონფერენციის სტუმრებისათვის სპეციალურად მოეწყო არქეოლოგიური ნივთების გამოფენა; ამასთანავე განაახლეს კავკასიის მუზეუმის ექსპოზიციები. კონფერენციის მონაწილეებისათვის ექსკურსიები მოეწყო მცხეთაში, უფლისციხესა და გელათში.

სახელი „არქეოლოგიური“ თბილისის არქეოლოგიური კონფერენციისათვის ფრიად პირობითია, რადგან მისი მუშაობის დროს სხვა მეცნიერებები უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი, ვიდრე არქეოლოგია (დღევანდელი გაგებით). კონფერენცია კავკასიაში ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი იყო; მაგრამ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლისათვის, საერთოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდის გაუმჯობესებისათვის, მისი, როგორც მეცნიერების წინსვლისათვის თითქმის არაფერი გაკეთებულა. ცნობილი ისტორიკოს-არქეოლოგი ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს, რომ ამ არქეოლოგიურ თავყრილობაზე „...რატომღაც არც ბაიერნი გამოჩენილა, არც მისი მცხეთას ნამუშევარი და, საერთოდ, არც ჩვენში წარმოებული თხრის შედეგები.“ ამგვარად, ეს კონფერენცია მხოლოდ იმით არის ნიშანდობლივი, რომ მან კიდევ უფრო გააღვივა კავკასიის, კერძოდ, საქართველოს სიძველეებისადმი ინტერესი.

1881 წელს „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“ უსახსრობის გამო დაიშალა. 1881 წლის 28 ნოემბერს ამ საზოგადოების ყოფილი წევრები გაერთიანდნენ „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებაში.“ ამ ახალი საზოგადოების წესდების მიხედვით გაფართოვდა მისი მოღვაწეობის არე. საზოგადოებას უნდა შეესწავლა კავკასიის ისტორია, უპირატესად მისი ისტორიის წერილობითი და ნივთიერი წყაროები; შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დაეცვა ეს ისტორიული ძეგლები განადგურებისაგან; გათხრების შედეგად მოპოვებული ან მოსახლეობისაგან შესყიდული ძველი ნივთები ბარდებოდა კავკასიის მუზეუმს (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ხოლო ძველი ხელნაწერები თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას. ამ ახალი საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელიც მას 1886 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1881-85 წლების განმავლობაში მოხერხდა ნაშრომების ორი ტომის გამოცემა. აქ გამოქვეყნებული ძეგლებიდან არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა რამდენიმე პუნქტი, სადაც მოუპოვებიათ ზედაპირული არქეოლოგიური მასალა. ესენია: ახალციხე, ახალქალაქი, სოხუმი, ახალი ათონი, ხუცუბანი, ანაკოფია და სხვ. საინტერესოა საზოგადოების შრომებში დაბეჭდილი სამხედრო მოსამსახურის პოლკოვნიკ ნ. წილოსანის ინფორმაცია დილიჯანთან (ამჟამად სომხეთშია) ჩატარებული გათხრების შესახებ. ნ. წილოსანის აზრით, აქ აღმოჩენილი სამარხები თავისი აღნაგობით და ინვენტარით ჰგავს მცხეთის სამთავროს სამარხებს.

საზოგადოების შრომების მეორე კრებულის გამოსვლის შემდეგ, „კავკასიის ისტორიის და არქეოლოგიის საზოგადოება“, მის წინამორბედ „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებასავით“, უსახსრობის გამო დაიშალა. საზოგადოებას არქეოლოგიური გათხრები არ უწარმოებია. მიუხედავად ამ საზოგადოების დაშლისა, საქართველოს სიძველეებისადმი ინტერესმა მაინც არ იკლო. ამას მოწმობს ტროისა და მიკენის აღმოჩენის და გათხრების ჰენრიხ შლიმანის დაინტერესება საქართველოს შავიზღვისპირეთით, ძველი კოლხეთით, საბერძნეთის ისტორიასთან კავშირში. კერძოდ, არგონავტების ოქროს საწმისისათვის ჩამოსვლის ამბავი. ჰ. შლიმანს 1883 წელს საქართველოში არქეოლოგიური გათხრების ჩატარების ნებართვა უთხოვია, მაგრამ სამუშაოები ვერ ჩატარდა.

XIX საუკუნის ბოლოსათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი განწყობილებების გააქტიურებასთან დაკავშირებით, იხურებოდა ყოველგვარი საზოგადოება, სადაც კი შეიძლებოდა ადამიანების თავშეყრა და მსჯელობა. ამან კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების გარკვეული ჩაკვდომაც გამოიწვია. ექ. თაყაიშვილის თქმით, 1887 წელს, როცა იგი ევროპიდან საქართველოში დაბრუნდა, თითქმის სულ მიტოვებული დახვდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ამ მხრივ მხოლოდ 1889 წელი გამოირჩევა, როცა მცხეთის სიძველეებმა ისევ მიიქცია ყურადღება. უძველესი ნივთები იმჟამად ბაგინეთთან, არმაზციხეზე აღმოჩნდა. ბაგინეთში ნივთების აღმოჩენის ფაქტს ყურადღება მიაქცევს ილია ჭავჭავაძემ და დიმიტრი ბაქრაძემ. ამ უკანასკნელს ხნოვანების გამო თვითონ აღარ შეეძლო თხრის მეთვალყურეობა და თავზე დადგომა, ამიტომ გათხრების წარმოება ბაგინეთში ექვთიმე თაყაიშვილს და დავით ქუთათელაძეს

დაავალა. ბაგინეთთან მუშაობა სულ სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, ხოლო შემდეგ უსახსრობის გამო შეწყდა. გათხრები, ხანმოკლეობის მიუხედავად, საინტერესო და საყურადღებო გამოდგა. გაითხარა ძველი ნაგებობები. ნანგრევებში აღმოჩნდა ქვათლილები, ალიზის აგური, მარმარილოს ნატეხები, მინისა და თიხის ჭურჭელი, სპილენძის ცული. ნაგებობის შემორჩენილ კედელზე გამოხატული ყოფილა ქალის გამოსახულება. ბაგინეთში მუშაობის ხელმძღვანელობა ქართველოლოგიის სწორუპოვარი მკვლევარის და დიდი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილისათვის (1863-1953 წწ.) ერთ-ერთი პირველი არქეოლოგიური გათხრა იყო.

მცხეთის ამ გათხრებიდან მოყოლებული საქართველოში არქეოლოგიურ კვლევას სათავეში უდგება ექ. თაყაიშვილი. კერძოდ, სადგურ მცხეთის დასავლეთით, არმაზისხევის მახლობლად, იგი თხრის ნეკროპოლს, სადაც ყელსაბამები, ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, თიხის და მინის ჭურჭელი აღმოჩნდა. ხსენებული ძველი ნივთები ექ. თაყაიშვილმა ახ.წ. I-III საუკუნეებით დაათარილა. 1896 წელს ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიურ გათხრებს ატარებს მდ. სულორის ხეობაში, ვანის ახვლედიანების გორაზე და ამის შესახებ გვთავაზობს რამდენიმე საყურადღებო მოსაზრებას. ახვლედიანების გორაზე მან პირველმა დაადასტურა თლილი ქვით აშენებული ძველი ნაგებობების ნაშთები, თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა სამკაულები, მონეტები, ლითონის სამეურნეო და საბრძოლო იარაღი. აქ აგრეთვე აღმოჩნდა ეგვიპტური, ბერძნული, ირანული და რომაული ნივთები. ექ. თაყაიშვილი ვანის არქეოლოგიური თხრის შედეგს განიხილავს საერთო ისტორიულ ჭრილში; მკვლევარი ითვალისწინებს, აგრეთვე, აქ წინა წლებში ნაპოვნ მასალას და უკვე იმ დროს აღნიშნავს, რომ ახვლედიანების გორაზე კლასიკური პერიოდის ძველი ნაქალაქარის ნაშთებთან უნდა გვეკონდეს საქმე. იგი უცხოური ნაწარმის და მონეტების მიხედვით ვარაუდობს, რომ ეს ნაქალაქარი ძველ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალთან მდებარეობდა, ხოლო ნაქალაქარზე ნაპოვნი ოქროს სამკაულები ადგილობრივი ნაწარმია, რადგან აქვე, მდ. სულორის შენაკადის — საქვაბიას ღელის ქვიშა გარკვეული რაოდენობით ოქროს შეიცავს.



ექვთიმე თაყაიშვილი
(1863-1953)

1896 წელს დასავლეთ საქართველოშივე — სოფ. საჯავახოსთან, მდ. რიონის მარცხენა მხარეს (ამჟამად სამტრედიის მუნიციპ.) და სოფ. ხუცუბანთან, მდ. კინტრიშის მარჯვენა ნაპირზე (ამჟამად ქობულეთის მუნიციპ.) ექ. თაყაიშვილს ჩაუტარებია არქეოლოგიური თხრა. სოფ. ხუცუბანში შემთხვევით აღმოჩენილმა ძველმა ნივთებმა იმთავითვე მიიქცია ყურადღება და ამ პუნქტისადმი ექ. თაყაიშვილის ინტერესი გამოიწვია. დასახელებულ ადგილზე ექ. თაყაიშვილს მიუკვლევი ძველი კერამიკა და ლითონის რამდენიმე ნივთი. სოფ. საჯავახოსთან დრანდალელს ნაპირზე არქეოლოგიური დაზვერვისას დიდი რაოდენობით კერამიკა აღმოჩნდა, რის მიხედვითაც ექ. თაყაიშვილი აქ კერამიკული სახელოსნოს არსებობას ვარაუდობდა.

1902 წელს არქეოლოგიური თვალსაზრისით ყურადღება მიიქცია სოფ. ბორმა მდ. ბორიმელას მარჯვენა ნაპირზე. აქ ადგილობრივი მცხოვრებლები მინის ხვნის დროს შემთხვევით წააწყდნენ მდიდრულ სამაროვანს, სადაც აღმოჩნდა ოქროს და ვერცხლის

სამკაულები, ჭურჭელი. აქ განსაკუთრებით საინტერესოა ვერცხლის თასი საკურთხეველთან მდგომი ცხენის გამოსახულებით; რომაული და პართული მონეტები. სოფ. ბორში ნაპოვნი ძვირფასი ნივთები ს.-პეტერბურგის „ერმიტაჟის“ მუზეუმში მოხვდა (ახლაც იქ ინახება). 1904 წელს ციხისძირთან (ქობულეთთან) სახლის საძირკვლის გაჭრის დროს II ს-ის მდიდრული ნივთები აღმოჩნდა. ესენია ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ჭურჭელი, მონეტები, ამოკვეთილ გამოსახულებიანი ქვები (გემები). სულ ორმოცამდე საგანი (ინახება ს.-პეტერბურგის „ერმიტაჟში“).

1908 წელს მდ. ქსნის ხეობაში სოფ. საძეგურთან მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით ნააწყენენ მდიდრულ ნივთებს, რომლებიც ცნობილია „ახალგორის განძის“ სახელით. სამწუხაროდ, ამ ძვირფასი ნივთების მხოლოდ ნაწილის შეგროვება და კავკასიის მუზეუმისათვის შექენა შეძლო ექ. თაყაიშვილმა. ეს ნივთებია ოქროს საყურეები, საკისრე რკალები, სასაფეთქლები, სამაჯურები, ყელსაბამი, ბეჭდები, ვერცხლის ფიალები, ცხენის აღკაზმულობა და სხვ. ამავე წელს სოფ. ახალქალაქთან (ახლა კასპის მუნიციპ.) მიწის სამუშაოების დროს იპოვეს ბრინჯაოს ცულები და ლითონის რამდენიმე ზოდი. ნივთები ექ. თაყაიშვილმა კავკასიის მუზეუმისათვის შეიძინა. ამ ნივთების აღმოჩენამ ექ. თაყაიშვილს, ჯერ კიდევ მაშინ, აქ ლითონსადნობი სახელოსნოს არსებობა ავარაუდებინა. 1912 წლის ზაფხულში ექ. თაყაიშვილს არქეოლოგიური გათხრები ჩაუტარებია მდ. ბანისხევის და მდ. მტკვრის შესართავთან. აქ აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯურები, საკინძეები, სარდიონის მძივები. ამავე პერიოდში ექ. თაყაიშვილს არქეოლოგიურად დაუზვერავს აგრეთვე საჩხერე, სადაც სპილენძის რამდენიმე ცული, სამაჯურები, საკინძეები და თიხის ჭურჭელი უპოვია.

ექ. თაყაიშვილი, რომელიც ამ დროს ახლადდაარსებულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ედგა სათავეში, ცდილობდა საქართველოს მიწის წიაღში შემთხვევით ნაპოვნი არცერთი ნივთი არ გამოჰპარვოდა მხედველობიდან, რათა კავკასიის მუზეუმისათვის შეეძინა. საქართველოს არქეოლოგიის განვითარების ამ ეტაპზე ექ. თაყაიშვილმა პირველმა გამოთქვა ზოგიერთი ფრიად საყურადღებო მოსაზრება: არქეოლოგიური მონაპოვრის გააზრებისას ადგილობრივი ფოლკლორული ფაქტების მოშველიების აუცილებლობა; მოსაზრებები ვანის ნაქალაქარის შესახებ; ოქროსა და სხვა ლითონის იარაღის და სამკაულის ადგილობრივი წარმოშობის შესახებ (ადრე თითქმის ყველა ლამაზ, პენიან ნივთს შემოტანილად და უცხოურად თვლიდნენ); მიუთითა შესასწავლ ძეგლებზე — ვანში, საჩხერეში, თრიალეთ-წალკაში, ბაგინეთში და ჟინვალში. 1918 წელს ცნობილმა ენათმეცნიერმა ნიკო მარმა ექ. თაყაიშვილი მიიწვია მის მიერ თბილისში ახლად დაარსებულ კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში. ეს ინსტიტუტი ფართო პროფილის დაწესებულება იყო. ნ. მარის მოუცლევლობის გამო ინსტიტუტს ძირითადად ექ. თაყაიშვილი უძღვებოდა. ამავე პერიოდში ექ. თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ადგენს არქეოლოგიის კურსის პროგრამას და იწყებს ამ კურსის კითხვას.

1924 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით — „სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვის შესახებ“, სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათა ნებართვის გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე ყოველგვარი თვითნებური არქეოლოგიური გათხრები აიკრძალა. თავდაპირველად არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება და მოპოვებული ნივთების მოვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაევადა. პირველ ეტაპზე არქეოლოგიურ აღმოჩენებს უმეტესწილად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და დაგეგმილი, წინასწარ მომზადებული არქეოლოგიური კვლევა არ ტარდებოდა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს გიორგი ნიორაძის მიერ 1925-1931 წლებში ჩატარებული გათხრები კარსნისხევიში, ზემო ავჭალაში, სასირეთში, დევისხვრელში და საკაჟიაში. გ. ნიორაძეს პროფესიული არქეოლოგიური განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული და კარგად იცნობდა იმ პერიოდის სავსე არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების მეთოდებს. 1925 წელს იგი დაბრუნდა სამშობლოში და სათავეში ჩაუდგა სავსე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. გ. ნიორაძე დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად. მან სავსე არქეოლოგიური კვლევა-

ძიების გადახალისების მიზნით შემოიკრიბა ძველი და ახალი თაობის მეცნიერები — ს. მაკალათია, გ. გოზალიშვილი, ს. იორდანიშვილი, ბ. კუფტინი, ლ. მუსხელიშვილი და გ. ჩიტაია, რომლებიც მაშინ სავსელე არქეოლოგიურ კვლევას ეწეოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ, ფლავისმანში, თაგილონში, იყალთოში, ნოქალაქევეში, კიკეთში და წინამურში.



გიორგი ნიორაძე (1886-1951)

1925 წელს გ. ნიორაძემ გააგრძელა და განაახლა ექ. თაყაიშვილის მიერ ჯერ კიდევ 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაწყებული არქეოლოგიის კურსის კითხვა. თავდაპირველად გ. ნიორაძე ძველი ისტორიის კათედრაზე მუშაობდა, ხოლო 1934 წლიდან — მატერიალური კულტურის ისტორიის კათედრაზე, რომელიც ისტორიის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა და აერთიანებდა არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სპეციალობებს. ამ კათედრას 1953 წლამდე ხელმძღვანელობდა გ. ნიორაძე. 1953 წლიდან, წლების განმავლობაში არქეოლოგიის კათედრას სათავეში ედგა ოთარ ჯაფარიძე. თბილისის სახ. უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრა საქართველოში პროფესიონალი არქეოლოგების აღზრდის მთავარ კერად იქცა. ქართველი არქეოლოგების უმრავლესობა სწორედ ამ კათედრაზე დაეუფლა არქეოლოგიის საფუძვლებს. თბილისის სახ. უნივერსიტეტი თუ არქეოლოგების ახალი კადრების აღზრდის მთავარი კერა იყო, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ძირითად საცავს წარმოადგენდა. მათ ერთმანეთთან მჭიდრო სამეცნიერო ურთიერთობა ჰქონდათ.



ოთარ ჯაფარიძე

1919 წლიდან კავკასიის მუზეუმს, რომელიც ჯერ კიდევ 1852 წელს იქნა დაარსებული, საქართველოს მუზეუმი ეწოდა. ამჟამად ის საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია გაერთიანებული. 1929-30 წლებში საქართველოს მუზეუმს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის კოლექციები გადაეცა. საქართველოს არქეოლოგიის სამსახურში ძირითადად მუზეუმის ერთი, წინაისტორიული არქეოლოგიის განყოფილება იდგა. 1925 წლიდან გიორგი ნიორაძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ წარმოებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება საქართველოს ქვის ხანის ძეგლების შესწავლის საქმეში. ამ არქეოლოგიური კვლევის შედეგად, მეცნიერულად დასაბუთდა, რომ ბრინჯაოს ხანის წინ საქართველოს ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანი ცხოვრობდა. ამ დრომდე კი გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ თითქოს კავკასიაში პალეოლითური ხანის ადამიანს არ უცხოვრია.

1926-31 წლებში მიმდინარეობდა ქვის ხანის ადამიანის სადგომის დევისხვრელის (ხარაგაულის მუნიციპ.) გათხრები. მოპოვებული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე გ. ნიორაძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია, რომელიც პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო საქართველოს პალეოლითის შესახებ. შემდეგ დევისხვრელის არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე საქართველოს სახ. მუზეუმში გამოქვაბულის მაკეტი დამზადდა, რომლითაც საზოგადოებას მიეცა საშუალება ქვის ხანის ადამიანის ცხოვრებას გაცნობოდა. დევისხვრელის გათხრებს მოჰყვა ქვის ხანის სხვა არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა. კერძოდ, 1936 წელს გაითხარა საკაჟიას გამოქვაბული (თერჯოლის მუნიციპ.). 1934-1936 წლებში ითხრებოდა მღვიმევის გამოქვაბული (ჭიათურის მუნიციპ.), ხოლო აფხაზეთში ქალაქ სოხუმის მახლობლად გაითხარა იახშთხვას ქვის ხანის უძველესი სადგომი.

1936 წელი საქართველოს არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამ წელს კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის (ნ. მარის მიერ დაარსებული ყოფილი კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი) ბაზაზე ჩამოყალიბდა ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (შემოკლებით - ენიმკი), რომელიც ძირითად ქართველოლოგიურ ცენტრად იქცა. ინსტიტუტში სხვა ქართველოლოგიურ დარგებთან ერთად გაიხსნა საქართველოს არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილება, რომელსაც 1938 წელს ცალკე გამოეყო არქეოლოგიის განყოფილება. ამ განყოფილებას შეუერთდა განათლების სამინისტროს არქეოლოგიის ინსტიტუტიც. *ენიმკის* ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად იმთავითვე დაინიშნა გ. ნიორაძე. აქედან მოკიდებული ეს განყოფილება საქართველოში არქეოლოგიური კვლევის ძირითად კერად იქცა. განყოფილებაში შეიქმნა სათანადო სამეცნიერო-მატერიალური ბაზა, რომელიც აუცილებელი იყო გეგმაზომიერი სავსე არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად. *ენიმკი*-ს არქეოლოგიის განყოფილების გარდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში. ეს მუზეუმი ძირითადად შუა საუკუნეების, კერძოდ, რუსთაველის ეპოქის ამსახველი გამოფენის მოსაწყობად იყო დაარსებული. ამ მუზეუმმა 1936-1939 წლებში გათხრები აწარმოვა დმანისში, გუდარეხში, ბოლნისში, გეგუთში და სხვ. აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა ბოლნისში აღმოჩენილი ქვაზე ამოკვეთილი უძველესი ქართული ასომთავრული წარწერები.

ივანე ჯავახიშვილმა, ისევე როგორც სხვა ქართველოლოგიურ დარგებს, ქართულ არქეოლოგიასაც დასდო ამაგი. მან იმთავითვე მიუთითა, რომ — *„არქეოლოგია ისტორიის უძველესი ხანისათვის მთავარ საგნად უნდა ჩაითვალოს“*, *„არქეოლოგია, ვითარცა თავისი საკუთარი მეთოდის მექონე მეცნიერების დარგი, სათანადო სპეციალისტთა კვლევა-ძიების სარბიელს შეადგენს და ჩვეულებრივ ისტორიკოსი მისი მონაპოვრით სარგებლობს ხოლმე თავისი მიზნებისათვის.“* ივ. ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის შესასწავლად არქეოლოგიური მონაცემების გამოყენება აუცილებლად მიაჩნდა. ჯერ კიდევ *„ქართველი ერის ისტორიის“* პირველ გამოცემაში გამოყენებულია არქეოლოგიური მასალა, ხოლო ამავე წიგნის 1928 წლის გამოცემას წინ უძღვის სპეციალური ნაწილი — *„კავკასიისა და ქართველების ნივთიერი კულტურა“*, რომელშიც, მაშინდელი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, განხილულია კავკასიის ბრინჯაოს და რკინის ეპოქების მატერიალური კულტურა. აქვე მოცემულია არქეოლოგიური მასალის ფოტოები და გრაფიკული ჩანახატები.

გათხრით სავსე არქეოლოგიურ სამუშაოებში ივ. ჯავახიშვილი 1930 წლიდან მონაწილეობს, როცა იგი ნოქალაქევე-არქეოპოლისის არქეოლოგიური შესწავლის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ინიშნება. სამწუხაროდ, ნოქალაქევის გათხრები მხოლოდ ორიოდ თვე მიმდინარეობდა და მერე შეწყდა. 1936 წლიდან კი ივ. ჯავახიშვილი უფრო აქტიურად ებმება სავსე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში. იგი საერთო ხელმძღვანელობას უწევს დმანისის, გუდარეხის, გეგუთის და ბოლნისის არქეოლოგიურ გათხრებს. ივ. ჯავახიშვილმა პირველმა შეიმუშავა საქართველოში შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა. მასში საქართველოს ძველი კულტურის შესწავლის

ერთ-ერთ საყურადღებო ამოცანად ძველი ნაქალაქარების შესწავლაა მიჩნეული. კერძოდ, გეგმარების, საშენი მასალის და სხვადასხვა დანიშნულების ნივთების კვლევა. 1937 წელს ივ. ჯავახიშვილი კრებულ „ენიმკის მოამბეში“ ბეჭდავს სპეციალურ წერილს, რომელიც სხვა ქართველოლოგიურ დარგებთან ერთად, საპროგრამო იყო საქართველოს არქეოლოგიისათვისაც — „ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში“, სადაც აღნიშნავს: „... აუცილებლად საჭიროა, რომ ამიერიდან არქეოლოგიური კვლევა-ძიება გარკვეული გეგმისდა მიხედვით, ისტორიული სააღებშიცემო გზების მიმართულებით და გზათა შესაყარების გათვალისწინებით, ძველი ყველა ისტორიული ცნობების ცოდნითა და კულტურის ისტორიის მთავარი ამოცანების გადასაჭრელად ყველა მასალისადმი ჯეროვანი ყურადღების მიპყრობით წარმოებდეს“.

ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული ძირითადი მიმართულების მიხედვით მცხეთაში 1937 წელს არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. აქ „ენიმკი“-ს ინსტიტუტიდან გაიგზავნა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც არმაზისხევის შესართავთან, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს აღმოაჩინა ძველი აბანოს ნაშთები. ამ აღმოჩენის გარდა მცხეთაში ყურადღება მიიქცია სამთავროს ველის ცნობილმა სამაროვანმა. ადგილობრივ ხელისუფლებას ამ ველის დასახლება განეზრახა, რაც ძველი საქართველოს ისტორიისათვის პირველხარისხოვან არქეოლოგიურ ძეგლს განადგურებას უქადდა. ამ ამბავმა კიდევ ერთხელ მიიქცია არქეოლოგთა ყურადღება და დააჩქარა გეგმაზომიერი გათხრების დაწყება მცხეთაში. სამთავროს ველის დაზიანებული სამაროვნის საკითხი განიხილეს „ენიმკის“ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და მისი არქეოლოგიური შესწავლა გადაწყდა. ამის საფუძველზე შეიქმნა და 1938 წლის 27 ოქტომბერს მუშაობას შეუდგა „მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიცია“, თოთხმეტი კაცის შემადგენლობით. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელად დაინიშნა ივ. ჯავახიშვილი.

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ყველა მეცნიერ-თანამშრომლის შრომის შედეგია დღეს საყოველთაოდ ცნობილი, უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის აღმოჩენები. ესენია ნაგებობები, სამარხები და სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, რომლებიც საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეზე მიგვანიშნებს იმ ეპოქის საქართველოში. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფესიული საველე არქეოლოგიური დაოსტატების სკოლად იქცა. აქ არქეოლოგიურ და საველე-საექსპედიციო საქმიანობაში მრავალი ქართველი არქეოლოგი გამოიწრო. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო მუშაობის იმ დროინდელი ეტაპის შეჯამება იყო 1955 წელს გამოცემული მონოგრაფიული ნაშრომი — მცხეთა I (არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები).

1936-40 წლებში *ხრამჭესის* წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით წალკასთან, თრიალეთში მდიდრული ყორღანები გაითხარა. აქ ბრინჯაოს ხანის შესანიშნავი ძეგლების მთელი წყება აღმოჩნდა, რომელიც დღეს „თრიალეთული კულტურის“ სახელით არის ცნობილი. თრიალეთის და საერთოდ საქართველოს არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე არქეოლოგმა ბორის კუფტინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართველთა კულტურის უძველესი ფესვები ადგილობრივია გადგმული.



ბორის კუფტინი

1941 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა არქეოლოგიური გამოფენა — „თრიალეთი და მცხეთა — უძველესი ქართული კულტურის კერები“. ეს მცხეთის და

თრიალეთის ბრწყინვალე არქეოლოგიური მასალის პირველი საყოველთაო-საზოგადოებრივი ჩვენება იყო. მოწყობილი გამოფენა ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი მესვეურის სიმონ ჯანაშიას ენერგიული ორგანიზაციული ძალისხმევის შედეგი იყო. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ ს. ჯანაშიაზე გადავიდა საქართველოში არქეოლოგიური სამუშაოების საერთო ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, შემდეგ კი ეს საქმე ნ. ბერძენიშვილმა იტვირთა. ჯერ კიდევ „ენიშკის“ ინსტიტუტის შექმნისას არქეოლოგიის განყოფილებას დაუსახეს არქეოლოგიური კვლევის სამეცნიერო-საორგანიზაციო გეგმა, რომლის მიხედვითაც შემდგომში სამუშაოები საქართველოს ყველა კუთხეში ჩატარდა.

საქართველოს ტერიტორიაზე გეგმაზომიერმა არქეოლოგიურმა კვლევამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მიიღო. ამ დროისათვის გათხრები ჩატარდა გრემში, რუსთავში, დმანისში, ხოვლეში, ბაკურციხეში, უჯარმაში, ნადარბაზევში, თბილისში, საგარეჯოში, თეთრწყაროში, ბოლნისში, გუდარეხში, სამშვილდეში, ურბნისში, ვაშნარში, ეშერაში, ტყვიავში, გელათში, სკანდაში, შორაპანში, კლდეეთში, იამთხვაში, საკაჟიაში, საგვარჯილეში, ოდიში, თეთრამინაში, საკაოში, საჩხერეში, ბრილში, ანაკლიაში, დაბლაგომში, ქობულეთ-ფიჭვნარში, ურეკში, ყულევში, ბიჭვინთაში, გეგუთში, სოხუმში და სხვ. ჩამოთვლილი არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალის განზოგადების საფუძველზე 1959 წელს საქართველოს არქეოლოგიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო გამოიცა.



ანდრია ავაქიძე

1941 წელს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტიდან ცალკე გამოყვეს ისტორიის ინსტიტუტი, რომელიც 1943 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახელს ატარებს. შესაბამისად, „ენიშკ“-ში მომუშავე არქეოლოგები ჩაირიცხნენ ისტორიის ინსტიტუტში, რომელსაც 1964 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი ეწოდა. ისტორიის ინსტიტუტს ენიშკი-საგან გამოყოფისას არქეოლოგიის მხოლოდ ერთი განყოფილება ჰქონდა. ამ განყოფილების ბაზაზე ინსტიტუტში შემდგომ არქეოლოგიის სექტორი შეიქმნა, რომელშიაც უკვე რამდენიმე არქეოლოგიური განყოფილება გაერთიანდა. ამ სექტორს ხელმძღვანელობდა ანდრია ავაქიძე.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფართოდ გაშლილ ახალმშენებლობებთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება სასწრაფო გადაუდებელ არქეოლოგიურ სამუშაოებზე. ამიტომ 1977 წელს ოთარ ლორთქიფანიძის ძალისხმევით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა — არქეოლოგიური კვლევის ცენტრი (შემოკლებით — აკც). არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ძირითადი სამეცნიერო უჯრედები იყო: პალეოლითის, ბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური ხანის იბერია-კოლხეთის, შუა საუკუნეების, ინტერდისციპლინარული კვლევის დანაყოფები. ხსენებული სტრუქტურული დანაყოფების საშუალებით არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში მუშავდებოდა საქართველოს არქეოლოგიის კარდინალური პრობლემები. კერძოდ, საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლთა სტატისტიკურ-ტიპოლოგიური დახასიათება-კლასიფიკაცია; ადამიანის თავდაპირველი განსახლება საქართველოს ტერიტორიაზე; მწარმოებლური ეკონომიკის ჩასახვა-განვითარება; ქართველთა ეთნოგენეზი; ბრინჯაოს და რკინის მეტალურგია; პოლიტოგენეზი საქართველოს ტერიტორიაზე (იბერია, კოლხეთის

სამეფოები); პალეოურბანისტიკა; არქეოლოგიური კულტურა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურები; ძველი კულტურების ურთიერთობები გარე სამყაროსთან; საომარი იარაღი; ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა; სამონეტო მიმოქცევა; შუა საუკუნეების ქალაქები და სხვ.



ოთარ ლორთქიფანიძე

არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მიმდინარეობდა ცალკეული არქეოლოგიური არტეფაქტების კომპლექსური შესწავლა და საძიებო სისტემების შექმნა. ინტერ-დისციპლინარული კვლევის ლაბორატორიაში ხორციელდება რენტგენულ-სპექტრული, ქიმიური, მეტალოგრაფიული, არქეომანტიური, პალეობოტანიკური, პალეოზოოლოგიური, პალეოდენდროლოგიური და სხვა ანალიზები; ხდება არქეოლოგიური ნივთების კონსერვაცია. ცენტრში მიმდინარეობს აეროფოტოგადაღებების არქეოლოგიური დეშიფრირება. ტარდება წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევები საქართველოს შავიზღვისპირეთსა და ტბა პალიასტომში. ჰიდროარქეოლოგიურად შესწავლილია ბიჭვინთის, სოხუმის, ანაკლიის, ფოთის, ციხისძირის შელფები.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი სადღეისოდ იწოდება — საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტი. მისი მეცნიერ-თანამშრომლები არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ საქართველოს ყველა კუთხეში. ამ გათხრების ანგარიშები ყოველწლიურად იბეჭდება კრებულებში და ჟურნალებში — „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება“, „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“, ჟურ. „იბერია-კოლხეთი“.

მიმდინარე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად შესწავლილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. თანამედროვე ქართული არქეოლოგიის წარმატებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დმანისის ნაქალაქარის ქვედა ფენებში თავის ქალების აღმოჩენა. აქვე, თავის ქალებთან დადასტურდა ქვის პრიმიტიული იარაღები და მრავალფეროვანი პალეოფაუნისტური და პალეობოტანიკური მასალა. დმანისში არქეოლოგიურად შესწავლილია უძველესი ჰომინიდების ნაშთები. ტრანსკავკასია წარმოადგენს მათი ევროპისაკენ გავრცელების ერთ-ერთ უძველეს კერას [იხ. Lordkipanidze D. 2016: 35-44].

სადღეისოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეულია 350-ზე მეტი პალეოლითური პერიოდის სადგომი [იხ. საქართველოს არქეოლოგია 1991]. მათ შორის მნიშვნელოვანი სტრატოციფირებული სადგომებია — კუდარო I, კუდარო II, ნონა, ნოფი, ჯრუჭულა, ორთვალა, აფიანჩა, საკაჟია, ეძანი, ქვაჭარა, დარკვეთი, საგვარჯილე, თეთრი მღვიმე და სხვ. რომლებიც შავიზღვისპირეთში, რიონ-ყვირილას ხეობაში, ჯავახეთის პლატოზე, ქვემო ქართლში მდებარეობენ. ამ ძეგლებზე გამოვლენილმა ქვისა და ოსტეოლოგიურმა მონაცემებმა საინტერესო მასალა მოგვცა პალეოლითის ეპოქის ადამიანის ცხოვრების შესახებ. ამ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე პალეოლითის პერიოდის უძველესი საფეხურიდან დაწყებული ადრე სამინათმოქმედო კულტურის ჩათვლით ადამიანის ცხოვრების უწყვეტი სურათი დასტურდება. საქართველოს

ზედაპალეოლითურ არქეოლოგიურ ძეგლებში გარკვეულად შეიმჩნევა მსგავსება მესოპოტამიისა და სირია-პალესტინის სინქრონულ ძეგლებთან.

ნეოლითის ხანის არქეოლოგიური ძეგლები სადღეისო კვლევა-ძიების შედეგად მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე. კერძოდ, ანასეული, პალური, დარკვეთი, ხორმი, ჩხორთოლი და სხვ. ამ ძეგლების სულ გვიანდელ ეტაპს ძვ.წ. VI ათასწლეულით ათარილებენ. ამ ეტაპის სამოსახლოებზე უკვე გვხვდება სასოფლო-სამეურნეო იარაღები — ნამგლის ჩასართები, სასრეს-საფქვავეები და სხვ. ეს არტეფაქტები კი მიანიშნებენ იმაზე, რომ იმდროინდელი მცხოვრებლები უკვე მინათმოქმედება-მესაქონლეობაზე გადავიდნენ. ეს კი საზოგადოებაში მიმდინარე კარდინალურ ძვრებზე მიგვანიშნებს. ამ პროცესის ბოლო ფაზა გამოკვეთილად ჩანს ძვ.წ. IV ათასწლეულის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ადრესამინათმოქმედო კულტურის ძეგლებზე [იხ. Kiguradze 1986].

ქვემო ქართლის ძვ.წ. V-IV ათასწლეულის სამოსახლოთა არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა უძველესი ადგილობრივი სამინათმოქმედო საზოგადოება, რომელთა ცხოვრების ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა მორწყვაზე დამყარებული მინათმოქმედება და მასთან ერთად მეცხოველეობაც. ეს არქეოლოგიური ძეგლებია — არუხლო I -IV, შულავერის გორა, იმირის გორა, ხრამის დიდი გორა და სხვ. მათი გათხრებისას აღმოჩნდა ალიზით აშენებული ნაგებობები, სამეურნეო სათავსები, მრავალფეროვანი კერამიკა, ქვისა და ძვლის იარაღები. აქვე დადასტურდა მრავალფეროვანი პალეობოტანიკური მასალა — ხორბალი, ქერი.

ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება ახალი ეტაპი ადგილობრივი საზოგადოების განვითარებაში. ეს ეტაპი საქართველოს სამეცნიერო ლიტერატურაში „მტკვარ-არაქსის კულტურის“ სახელით იხსენიება. ეს არქეოლოგიური კულტურა ვრცელდება ტრანსკავკასიაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ ანატოლიაში, ჩრდილოეთ ირანში და საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. საქართველოში ამ კულტურის კლასიკურ ძეგლებად მიჩნეულია — საჩხერის ყორღანები, ქვაცხელები, ხიზანანთ გორა, ამირანის გორა, ილტო, სამშვილდე, კოდა, ჟინვალის ნამოსახლარი, ღრმახევისთავი, დილომი და ა.შ. „მტკვარ-არაქსული კულტურა“ თანამედროვე სამეცნიერო გამოკვლევებით განვითარებული მინათმოქმედ-მესაქონლეთა საზოგადოების კულტურადაა მიჩნეული. მასში უკვე ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარიდან აღინიშნება მეტალურგიის გამოყოფა ცალკე დარგად.

საქართველოში მიმდინარეობს შუა ბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიური შესწავლა, რასაც საფუძველი დაედო თრიალეთის ე.წ. ყორღანული კულტურის აღმოჩენით [იხ. Куфтин 1941]. ასეთივე არქეოლოგიური მონაცემები დადასტურდა გომარეთის პლატოზეც. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ამ კულტურის ახალი კერები დადასტურდა — მცხეთაში, კახეთში და სხვ. აქ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა — ხის ძელებით ნაგები სამარხი ნაგებობები, მდიდრული არტეფაქტები: დასაკრძალავი ეტლები, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ბრინჯაოს იარაღი, შავად ნაპრიალები კერამიკა.

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი საქართველოს ტერიტორიაზე აღინიშნება საწარმოო ძალების, პირველ რიგში, ბრინჯაოს მეტალურგიის დაჩქარებული განვითარებით და მინათმოქმედების კიდევ უფრო აღმავლობით. ამ ტიპის ძეგლების კვლევა სათავეს იღებს მცხეთის სამთავროს გათხრებიდან [იხ. ჯაფარიძე 2003; ჯაფარიძე 2006].

საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები — სამოსახლოები, სამაროვნები, სამლოცველოები, მეტალურგიული და კერამიკული წარმოების ნაშთები. ამ პერიოდის ძეგლები აღნუსხული და ნაწილობრივ გათხრილ-გამოკვლეულია: შიდა ქართლში, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ივრისა და არაგვის ხეობებში, ქვემო ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, კახეთში, კოლხეთში, სვანეთში, რაჭაში და ა.შ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის მსხვილი დასახლება აღმოჩენილია თბილისთან, დილომიში — „თრელი გორები“. მისი არქეოლოგიური გათხრები დღესაც მიმდინარეობს.

საქართველოს ტერიტორიაზე რკინის წარმოების დაწყება არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ძვ.წ. XIII ს-დან ჩანს, ხოლო მისი ფართოდ ათვისება ძვ.წ. VIII ს-დან ივარაუდება. საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდის რკინის წარმოების ასეულობით ფაქტია გამოვლენილი, რკინის გამოსადნობი ქურის, ნიდების და მადნეულის სახით. ეს არტეფაქტები არქეოლოგიურად აღმოჩენილია – პალურში, ნიგვზიანში, ურეკში, მერხეულში, ბრილში და სხვ. ძვ.წ. VIII-VII სს. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურად შესწავლილ ძეგლებზე დადასტურებულია რკინის სასოფლო-სამეურნე და საომარი იარაღების საოცარი სიმრავლე [იხ. Хухутаишвили 1987].

ანტიკურ ეპოქაში ძველი საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური ჰეგემონობა კოლხეთისა და იბერიის (ქართლის) სამეფოებმა მოიპოვეს (ორივე ეს სამეფო ბერძნულ-რომაული და ქართული წერილობითი წყაროებით კარგად არის ცნობილი). სწორედ ამ სამეფოთა შესწავლის საქმეში ქართველმა არქეოლოგებმა მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს. დღესდღეობით არქეოლოგიურად შესწავლილია ქართულ და ბერძნულ წყაროებში არაერთგზის დაფიქსირებული ნაქალაქარები, კერძოდ: მცხეთა-არმაზციხე, ნასტაკისი, უფლისციხე, ძალისი, სარკინე, შორაპანი, ბიჭვინთა, აფსაროსი და სხვ. ამავე პერიოდის ძეგლებია – სამადლო, ციხიაგორა, ვანი, ეშერი, ქობულეთი-ფიჭვნარი, საირხე, საქორქიო, სოხუმი-დიოსკურია, ოჩამჩირე და სხვ. ამ არქეოლოგიური ძეგლების უმეტესობას ურბანიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები აქვთ. კერძოდ, თავდაცვითი კედლები, აკროპოლისი, კრამიტით გადახურული და თლილი ქვით ნაგები საზოგადოებრივი და საკულტო შენობები, აბანოები [იხ. ლორთქიფანიძე 2002; გამყრელიძე 2002; Braund 1994].

ქართველი არქეოლოგების მრავალწლიანი ძალისხმევით ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროების კოლხეთი გამოჩნდა როგორც რეალური ქვეყანა თავისი სახელმწიფოებრიობით, განვითარებული მინათმოქმედებით, ქალაქებით, მრავალმხრივი ხელოსნური წარმოებით, საომარი იარაღებით, თავისებური კერამიკით, ტორევეტიკით, ოქრომჭედლობით, მონეტებით, არქიტექტურით და სხვ. საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე არტეფაქტები ძირითად წყაროდ იქცა საქართველოს ისტორიის ისეთი პირველხარისხოვანი სამეცნიერო საკითხების შესწავლისას, როგორცაა არქაულ-კლასიკური პერიოდის საქართველოს საზოგადოების სტრატეფიკაცია, სამოსახლოების და ქალაქების ტოპოლოგიურ-ფუნქციური კლასიფიკაცია, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები გარე სამყაროსთან, ხელოსნური წარმოება, მინათმოქმედება, ფულადი მიმოქცევა, იდეოლოგია, ხელოვნების ნიმუშების კვლევა, არქიტექტურა და სხვ. არქეოლოგებმა შეისწავლეს საქართველოს შუა საუკუნეების ნაქალაქარები, ნასოფლარები, ციხესიმაგრეები, წარმოების ნაშთები, საკულტო ხუროთმოძღვრება, სარწყავი და სანიტარული სისტემები. მიმდინარეობს კონკრეტული არტეფაქტების კვლევა — კერამიკა, ლითონი, მინა, სამკაული, იარაღი, ნუმიზმატიკური მასალა და სხვ. [იხ. ლომთათიძე 1977].

გასული საუკუნის 60-70-იან წლებიდან მოყოლებული ფართო სავსე კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე: თბილისში, რუსთავში, უჯარმაში, ვარდციხეში, ჟინვალში, სოფ. კაზრეთში, სოფ. მთისძირში (ვანის მუნიციპ.), ბალიჭში, დმანისში, ახალქალაქში (ჯავახეთი), გავაზში, თელავში, ფოთში (პალიასტომის ტბასთან) და სხვ. გრძელდება ცალკეული არქეოლოგიური არტეფაქტების კომპლექსური შესწავლა. კერძოდ, კერამიკის, ოქროს და ვერცხლის სამკაულების, ტორევეტიკის ნიმუშების, მინის ნაწარმის, შეიარაღების, სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების, გლიპტიკური, ნუმიზმატიკური და სხვა ნიმუშების კვლევა.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის და მისი დღევანდელი მემკვიდრის *საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის*, საქართველოს კლასიკური და შუა საუკუნეების პერიოდში მომუშავე მეცნიერ თანამშრომელთა სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიზანი და საგანია:

1. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კლასიკური და ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლთა სტატისტიკურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია.

2. არქეოლოგიურ არტეფაქტთა ტიპოლოგიური შესწავლა.
3. ბიოგეოგრაფიკა (ფლორა, ფაუნა, კლიმატი, ზღვის ტრანსგრესია) არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.
4. პოლიტიკენეზი — საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება-განვითარების საკითხები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.
5. საქართველოს ტერიტორიაზე კლასიკური და ადრეული შუა საუკუნეების ეპოქის სოციალური სტრატეფიკაციის კვლევა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.
6. ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდების გამოყენება არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტაციისათვის.
7. საქართველოს კლასიკური და ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების კარტოგრაფირება და ზუსტი კოორდინატების განსაზღვრა.
8. სამარხთა აღნაგობის, ტიპის, სამარხეული კომპლექსების ანალიზის; დაკრძალვის წესის და რიტუალის კვლევა.
9. ურბანიზმის გენეზისის პრობლემების კვლევა.
10. კლასიკური და შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების კვლევა არქეოლოგიური თვალთახედვით.
11. ხელოსნური წარმოების კვლევა; ლითონის, კერამიკის, მინის, ქსოვილის, ტყავის საწარმოები.
12. ვაჭრობის ხასიათის; გზების, ხიდების, გადასასვლელების, საზღვაო და სამდინარო გზების, სატრანზიტო მაგისტრალის კვლევა.
13. სატრანსპორტო საშუალებების კვლევა (სახმელეთო, საზღვაო, სამდინარო და სხვ.).
14. სამონეტო მიმოქცევის და ვაჭრობის კვლევა.
15. დემოგრაფიული სიტუაცია და მოსახლეობის მიგრაციის კვლევა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.
16. სამოსახლოთა განლაგების ხასიათი და ტიპი.
17. ნაგებობათა მორფოლოგია და გეგმარების თავისებურებები.
18. სამოსახლოთა საამშენებლო მასალების (ქვა, ხე, ალიზი, აგური, კრამიტი) და მშენებლობის ტექნიკის კვლევა.
19. კლასიკური და შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების გეგმარების და არქიტექტურის კვლევა.
20. კლასიკური და შუა საუკუნეების სამეურნეო იარაღების კვლევა.
21. მცირე პლასტიკის კვლევა.
22. კლასიკური და ადრე შუა საუკუნეების ადგილობრივი და უცხოური ტარის (ამფორების ტიპოლოგიური) კვლევა.
23. ტორევიტიკის კვლევა.
24. ტერაკოტების ნიმუშების კვლევა.
25. შავლაკიანი და წითელლაკიანი კერამიკის კვლევა.
26. გლიპტიკური მონაცემების კვლევა.
27. სამკაულების კვლევა.
28. იბერია-კოლხეთის ურთიერთობების კვლევა ანტიკურ და ირანულ სამყაროსთან (ბერძნული, აქემენიდური, პონტოს, ბოსფორის, ალბანური, პართული, რომაული, სასანური და სხვ.).
29. იბერია-კოლხეთი მახლობელი აღმოსავლეთის და კავკასიის არქეოლოგიურ კულტურათა სისტემაში.
30. ქალაქის ეკონომიკური რადიაციის დონე სასოფლო დასახლებებთან მიმართებაში.
31. სარწყავი სისტემების კვლევა.
32. ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ურთიერთობების კვლევა გარე სამყაროსთან (ბიზანტია, ირანი, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთი, ევროპა).

არქეოლოგიური ძეგლების განლაგება (ძვ.წ. I ათასწლეულის II და ახ.წ. I ათასწ. I ნახევარი)

- | | | | | |
|-------------|-------------------|---------------|-----------------|-----------------|
| 1. ურეკი | 3. დაბლოგოში | 8. ითხვისი | 15. ყულანურხვა | 22. ცხიბულრა |
| 2. სიმაგრე | 4. მოხისარი | 9. ბრილი | 16. ალუკი | 23. არაგვისბანი |
| 5. კლდეკო | 10. გუდაბუ | 11. ანაკლია | 17. ბაგინი | 24. ყანჩიკო |
| 6. შირაბანი | 12. თოვლიანი | 13. წიქელა | 18. არმაზისხევი | 25. უფლისციხე |
| 7. სარგუში | 14. წითელი შუქურა | 21. ნასტაკისი | 19. წაწამური | 26. ურბნისი |
| | | | 20. სარკინი | 27. ქუშბათი |
| | | | | 28. კო |
| | | | | 29. მტკეთოვანი |



29. საქართველოში აღმოჩენილი უცხოური ნანარმის კვლევა.
 34. შეიარაღების და საფორტიფიკაციო თავდაცვითი სისტემების ურთიერთმიმართებითი არქეოლოგიური კვლევა.

35. ქრისტიანული კულტურის გენეზისი საქართველოში არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.

36. წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მონაცემების ურთიერთშეჯერება.

37. საკრალური ნაგებობების და არტიფაქტების კვლევა.

ძირითადად ამ, და კიდევ სხვა, საკვლევი საკითხების მიხედვით არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტში მუშავდება მოცემული ეპოქის საქართველოს არქეოლოგიის კარდინალური პრობლემები. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემატიკა თანამედროვე სამეცნიერო მეთოდოლოგიით იკვლევა.

არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ძალისხმევით მოსალოდნელი შედეგი იქნება საქართველოს არქეოლოგიის მრავალტომეულის, საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხის, საქართველოს არქეოლოგიური ატლასის, ბიბლიოგრაფიული ცნობარების, არქეოლოგიური არტიფაქტების ელექტრონული საძიებო სისტემების შექმნა. არქეოლოგიური ექსპედიციები ახორციელებენ საველე-არქეოლოგიურ კვლევას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რათა აღმოაჩინონ და შეისწავლონ ახალი არქეოლოგიური ძეგლები — სამოსახლოები, საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობები, სამაროვნები, მეტალურგიული და კერამიკული წარმოების კერები, ხელოვნების უნიკალური ნიმუშები. შემუშავებულია არქეოლოგიურ ძეგლთა კვლევა-ძიების ახალი ვრცელი პროგრამა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალმშენებლობებზე საველე-გადარჩენით სამუშაოებს.

ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო განიხილავს ახალ სამეცნიერო მიზნებს და პროექტებს. ზრუნავს, რომ შექმნას კონკურენტუნარიანი გარემო საუკეთესო პროექტების და ახალი იდეების განსახორციელებლად. სამეცნიერო საბჭოზე განიხილავენ და განსაზღვრავენ ცალკეული ჯგუფების სამეცნიერო კვლევით პროგრამებს; საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების პროგრამებს; სამეცნიერო ნაშრომების გამოცემის რეკომენდირების საკითხებს; სახელმწიფო, უცხოეთის და სხვა ფონდებში წარსადგენ პროგრამებს და პროექტებს; საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთობლივ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმებს; არქეოლოგიაში მეცნიერთა ახალი კადრების მომზადების (მაგისტრატურის, დოქტორანტურის) საკითხებს და სხვ.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის და ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის წინამორბედი დაწესებულებების არქეოლოგთა ნაშრომები ქვეყნდებოდა ჯერ „ენიმეის მოამბეში“, მერე „ისტორიის ინსტიტუტის შრომებში“ და კრებულ „მომომხილველში“, ხოლო 1955 წლიდან ქართველ არქეოლოგებს უკვე ცალკე სისტემატური კრებული აქვთ — „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“. შემდგომ წლებში დაარსდა და სერიულად გამოიცა სხვა არქეოლოგიური კრებულებიც: „საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“, „მცხეთა“ „ვანი“, „დიდი პიტიუნტი“, „თბილისი“, „კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები“, „ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები“, „არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოს ახალმშენებლობებზე“, „კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები“, „ჟინვალის ექსპედიციის შრომები“, „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“, ჟურ. „იბერია-კოლხეთი (კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის კვლევები)“, „კავკასიის არქეოლოგია“ (რუსულ ენაზე), „ქართული არქეოლოგიის ჟურნალი“ (ინგლისურ ენაზე), „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“ და სხვ. (იხ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოგრაფია 1977-1996, 1997; ჟურ. იბერია-კოლხეთი, №1-15).

2013 წელს 20-წლიანი მუშაობა დამთავრდა და გამოიცა 739 გვერდიანი ნაშრომი — „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“, რომელიც ქართლის ცხოვრებაში ნახსენები 650-მდე ადგილ-ტოპონიმის არქეოლოგიურ კონტექსტს მოიცავს [დანვრ. იხ. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი 2013]. მაშინ სიტყვა ტოპოარქეოლოგიამ მკითხველის ყურადღება მიიქცია. ჩვენ ტერმინ ტოპოარქეოლოგიაში

(ტოპო ძველბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს ადგილს) არქეოლოგიის, ფიზიკური და ისტორიული გეოგრაფიის, ტოპონიმიკის, წერილობითი წყაროთმცოდნეობის სინთეზურ-ერთიანობაში შესწავლას ვგულისხმობთ, კონკრეტულ ადგილთან, რეგიონთან, კულტურულ არეალთან, ქვეყანასთან მიმართებაში, რადგან საქართველოს არქეოლოგია და მაგ.: მეზოამერიკის ან ჩინეთის არქეოლოგია და სხვ. დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს (იბერია-კოლხეთის) კულტურულ-ისტორიული და ეკონომიკური რეგიონი (ტოპო, ადგილი) იგულისხმება. გვეჩვენება, რომ ამ ტერმინით უფრო მოხერხებულად, მოკლედ და მარჯვედ აღინიშნება ზემოხსენებული დარგების ერთობა კონკრეტული რეგიონის მიმართ. ტოპოარქეოლოგია თავისი შინაგანი არსით გარკვეულნილად „პროცესუალურ არქეოლოგიას“ ჰგავს, რომლისათვისაც საკმარისი არ არის არქეოლოგიური მასალის მხოლოდ აღწერის დონეზე გადმოცემა, არამედ საჭიროა მისი სათანადო განსჯა და გაანალიზება სხვადასხვა მეცნიერებათა კვლევების გამოყენებით. ე.წ. პროცესუალურ არქეოლოგიას უყურებენ, როგორც უფრო ზუსტ მეცნიერებას. ის არქეოლოგიური მასალის კვლევისას მათემატიკურ, სტატისტიკურ ანალიზს და ინტერდისციპლინარულ კვლევებს იყენებს. ამიტომ არქეოლოგიური მასალის ყოველმხრივი შესწავლისათვის აუცილებელია სხვადასხვა სამეცნიერო დარგების წარმომადგელთა კოოპერაცია, ვინაიდან მხოლოდ ასეთი სახით ჩატარებულ კვლევებს შეუძლიათ ცალკეული სამეცნიერო პრობლემის გადანყვება.

მონიშნავს მეთოდოლოგიის მიხედვით არტეფაქტები შეიცავენ მონაცემებს ზოგადად ძველი საზოგადოებების სოციუმების და კულტურულ-ეკონომიკური სისტემების შესახებ. არქეოლოგიური მონაცემების დედუქციური მეთოდით გაშიფრვა და გარკვეული ჰიპოთეზური მოსაზრებები წარმატებული კვლევის საწინდარია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სხვადასხვა ქრონოლოგიური მონაკვეთის კულტურულ ფენას მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მახასიათებლები გააჩნია. მეცნიერ-არქეოლოგმა უნდა გაარკვიოს ესა თუ ის არტეფაქტი ან არტეფაქტთა კომპლექსი როგორ აღმოჩნდა ამ კულტურულ ფენაში და როგორი იყო წინათ მისი ფუნქცია საერთო კონტექსტში. საერთო ერთიანი სურათის შესაქმნელად მნიშვნელოვანია სინქრონული ძეგლების, გარკვეული ისტორიულ-კულტურული არეალების მიხედვით, ერთობრივი არქეოლოგიური შესწავლა. მთელი არქეოლოგიური მონაცემები, წინასწარ, გარკვეული კითხვარის მიხედვით, უნდა მომზადდეს სტატისტიკურ-ტიპოლოგიური და სისტემურ-სტრუქტურული ანალიზისათვის. ეს შემდეგ, გაცილებით გააადვილებს, არქეოლოგიური კვლევის მთავარი მიზნის, მატერიალურ მონაცემებში ასახული ისტორიულ-კულტურული პროცესების კანონზომიერებათა რეკონსტრუქციას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არქეოლოგიური მონაცემების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მეთოდით ანალიზს და სისტემურ, თანმიმდევრულ აღწერას, რაც აპრობირებულია მონიშნავს არქეოლოგიურ დანესებულებებში. ამ მეთოდიკაზე უნდა მოხდეს მთლიანად გადასვლა. არტეფაქტების აღწერისას საჭიროა: 1. არტეფაქტის ზუსტი კოორდინატი და საერთო ტოპოგრაფია. 2. არტეფაქტების ორიენტაცია ანუ მათი აღწერა მუდამ ერთნაირი პოზიციიდან; ზომების, გეომეტრიული ფორმების, შემკულობის პლანიმეტრიის, კოლორიმეტრით განსაზღვრული ფერის, მორფოლოგიური მახასიათებლის, გაკეთების ტექნოლოგიის, დაცულობის და სხვ. მონაცემები. 3. არტეფაქტის დიფერენციაცია ანუ ცალკეული სეგმენტის ცალკე კლასიფიკაცია. 4. მომდევნო ეტაპზე განისაზღვრება — არტეფაქტების ტიპოლოგიური ევოლუცია; სინქრონული ტიპოლოგიური ჯგუფები; არტეფაქტების კულტურულ ფენასთან მიმართება; არტეფაქტების ტიპოლოგიის მიხედვით ცალკეული ტოპოარქეოლოგიური არეალების გამოყოფა და სხვ. არქეოლოგმა კარგად უნდა იცოდეს შესაბამისი ეპოქის წერილობითი წყაროები, პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, მითოლოგია, პალეოგეოლოგია და სხვ. არქეოლოგს თეორიული ცოდნა გამყარებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკით. არქეოლოგიაში საკმარისი არ არის იყო მხოლოდ კარგი სავლე

მუშაკი, არამედ აუცილებელია მოპოვებული მასალის მეცნიერულ დონეზე გააზრება. ამათი შერწყმა იძლევა სასურველ შედეგს.

საქართველოს არქეოლოგთა ყველა თაობის წვლილი და დამსახურება თანამედროვე ქართველოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — ქართული არქეოლოგიის — საყოველთაოდ ცნობილი წარმატებები. არქეოლოგიური კვლევის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია ადამიანის განვითარებისა და ცხოვრების ამსახველი ყველა საფეხურის ძეგლები ქვის ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით. ამ წარმატებების უტყუარი მონაწილეა რამდენიმე ათასი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია, რომლებიც ქართველმა არქეოლოგებმა სამშობლოში და უცხოეთში გამოაქვეყნეს. ამასვე მონაწილე აგრეთვე საქართველოს მუზეუმებში გამოფენილი არქეოლოგიური მასალა. მუზეუმი კი უზრუნველყოფს და ხელს უწყობს ახალ აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვას და პოპულარიზაციას.



ზოგადად არქეოლოგიის შესახებ

ზ. ბრაგვაძე, გ. გამყრელიძე

არქეოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის ფორმირება XX ს-ის დასაწყისში დაიწყო. არსებობს სათანადო წერილობითი ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. VI ს-ში ბაბილონის მეფე ნაბონიდის ბრძანებით თხრიდნენ ძველ სასახლეთა ნანგრევებს. მსგავსი ფაქტები დასტურდება მოგვიანებითაც, მაგრამ ამ პროცესებს არქეოლოგია მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს. ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკა და ამიტომ აღნიშნული გათხრებისას არ ხელმძღვანელობდნენ რაიმე მეთოდოლოგიით. გათხრებიც მიზნად ისახავდა არა სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტას, არამედ სხვადასხვა კოლექციონერებისათვის ხელოვნების ნიმუშების მოპოვებას.

პირველი მკვლევარი, რომელმაც მინისქვეშ მოპოვებული ძველი ნივთების მეცნიერული შესწავლა დაიწყო, იყო ფრანგი სწავლული კ. პეირესკი. მან პირველმა მიუთითა ძველი ნივთების ყოველმხრივი შესწავლისა და არქიტექტურული ძეგლების ზუსტი აზომვების მნიშვნელობის შესახებ. XVII ს-ის შუა ხანებისათვის საფრანგეთში ანტიკვარიატის აკადემია შეიქმნა, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა როგორც ძველი ნივთების მოპოვების, ასევე მათი დაცვისა და ზოგჯერ შესწავლის თვალსაზრისით. 1733 წელს ლონდონში ჩამოყალიბდა დილეტანტების საზოგადოება, რომელსაც დაახლოებით იგივე მიზნები ჰქონდა, რაც საფრანგეთის ანტიკვარიატის აკადემიას. მსგავსი ორგანიზაციები XVIII საუკუნის ევროპის არაერთ ქვეყანაში შეიქმნა.

1756 წელს ლონდონში ბრიტანეთის მუზეუმი გახსნა, რომელიც შემდომში გადაიქცა არქეოლოგიური კოლექციების ერთ-ერთ უდიდეს საცავად. გერმანიის უნივერსიტეტებში უკვე XVIII ს-ის დასაწყისიდან იკითხებოდა ლექციები ძველი საბერძნეთისა და რომის სიძველეების შესახებ. ზოგადად არქეოლოგიური გათხრების დაწყებას მძლავრი ბიძგი მისცა 1711 წელს რომაული ქალაქის ჰერკულანუმის აღმოჩენამ. ეს ქალაქი 79 წელს ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად განადგურდა. 1748 წელს, ვეზუვის მიერ განადგურებული მეორე რომაული ქალაქი პომპეიც აღმოჩნდა. ჰერკულანუმისა და პომპეის გათხრებმა საფუძველი ჩაუყარა მეცნიერების ახალ მიმართულებას, ანტიკური ხელოვნებისა და არქეოლოგიის შესწავლას.

ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობამ ევროპელ არქეოლოგებს გზა გაუხსნა აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ. იწყება დიდი არქეოლოგიური აღმოჩენების ეპოქა. 1808 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი — "საფრანგეთის არმიის ეგვიპტური ექსპედიციის დროს

მოპოვებული ეგვიპტის სიძველეების აღწერის“ პირველი ტომი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჰუმანიტარული მეცნიერების თვალსაჩინო მიმართულებას ეგვიპტოლოგიას. XIX ს-ის პირველ ნახევარში არქეოლოგიური გათხრების გეოგრაფიულმა არეალმა მოიცვა სირია, მცირე აზია, ირანი და ხმელთაშუაზღვისპირეთი.

არქეოლოგიის შემდგომი განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა XIX ს-ის მეორე ნახევარში ჰაინრიხ შლიმანის გათხრებს. მართალია, ჰ. შლიმანი არ იყო პროფესიონალი არქეოლოგი, მაგრამ იგი დაჯილდოებული იყო ინტუიციის არაჩვეულებრივი ნიჭით და ამასთან ერთად, საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ჰომეროსის პოემები. სწორედ ჰომეროსის ”ილიადა“ გახდა მისი შთაგონების წყარო ტროას აღმოჩენის გზაზე. 1869 წელს მან წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ჰომეროსთან აღწერილი ტროა უნდა ყოფილიყო თურქეთის დასავლეთ ნაწილში მდებარე ჰისარლიკის ბორცვი. ჰ. შლიმანმა ნებართვა მიიღო და 1870 წელს შეუდგა აღნიშნული ადგილის გათხრას, რამაც მისი ჰიპოთეზა დაადასტურა.

არქეოლოგიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოგ. მონტელიუსის მიერ დამუშავებულ ე.წ. ფორმალურ-ტიპოლოგიურ მეთოდს, ანუ ნივთების კლასიფიკაციის მეთოდს, რომელიც მათი შეფარდებითი ქრონოლოგიის დადგენის საშუალებას იძლეოდა.

არქეოლოგიის ძირითადი კონცეფციები: არქეოლოგიის უმთავრესი კონცეფციაა იმის დამტკიცება, რომ არქეოლოგიური წყაროები, ადამიანის მიერ შექმნილი უძველესი არტეფაქტები გვანვდიან ინფორმაციას თვით ამ ადამიანების შესახებ. არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ თუნდაც ცალკე აღებულ ერთ არტეფაქტს შეუძლია უზარმაზარი ინფორმაციის მოცემა. მაგალითად, სამარხში აღმოჩენილი თუნდაც ერთი ოქროს ჯვრის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მისი მფლობელის რელიგიური კუთვნილების საკითხზე (რომ ის იყო ქრისტიანი), მის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე (საკმაოდ შეძლებული ადამიანი უნდა ყოფილიყო, რადგან შეეძლო ასეთი ძვირფასი ნივთის შეძენა), მის სოციალურ სტატუსზე (საზოგადოების დაწინაურებული ფენის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რადგან ოქროს ჯვრის ტარება ყველას არ ხელეწიფებოდა) და სხვ. ამ ვითარების საწინააღმდეგოდ შედარებით ფრთხილი არქეოლოგი არ გამოიტანდა ასეთ შორს მიმავალ დასკვნებს და აღნიშნავდა, რომ ერთი ჯვრის მიხედვით ძნელია ამ პიროვნების რელიგიური კუთვნილების საკითხის გარკვევა, რადგან ჯვარი შეიძლება მხოლოდ სამკაულის ფუნქციის მატარებელი არტეფაქტი იყოს და არ ჰქონდეს რელიგიური დატვირთვა, შესაძლოა იგი მდიდარი სულაც არ იყო, რადგან ამ ნივთში მას არც არაფერი გადაუხდია და ან ვინმემ აჩუქა, ან იპოვა, ან ბრძოლის დროს მოიპოვა და ა.შ. როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე არტეფაქტი იძლევა პრინციპულად განსხვავებული შეხედულებების გამოთქმის საფუძველს, ამიტომ არქეოლოგმა ერთმანეთს უნდა შეუთავსოს მასალის ანალიზი და მასალის ინტერპრეტაცია. არქეოლოგიური მასალის ანალიზი გულისხმობს არტეფაქტების დეტალურ კვლევას რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით, ხოლო ინტერპრეტაცია არის არქეოლოგიურ მასალის ანალიზზე დაფუძნებული მოსაზრება ან მოსაზრებები, რომლის დროსაც ხდება არტეფაქტების მეცნიერული განზოგადება. მაგალითად, ლითონის ნივთების ნედლეულის წარმომავლობის დასადგენად საჭიროა მათი მრავალმხრივი ანალიზი, ნიმუშების აღება და სინჯების შედარება ადგილობრივ თუ უცხოურ სამთამადნო წარმოების კერებთან. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე უკვე შესაძლებელი იქნება დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, მოსახლეობა იყენებდა ადგილობრივი ნედლეულისგან დამზადებულ იარაღებს, თუ იგი შემოჰქონდათ გარედან.

არქეოლოგები ძირითადად ერთსულოვნები არიან ანალიზის პრინციპების შეფასებებში, თითქმის თანხმდებიან ანალიზის კანონზომიერებაში, მაგრამ დავას იწვევს ინტერპრეტაციის ცალკეული ნიუანსები. არქეოლოგიური ინტერპრეტაცია ხშირად შეიძლება შეიცვალოს არტეფაქტების უფრო მეტი და მეტი ანალიზის მონაცემების საფუძველზე. არქეოლოგიის უმთავრესი კონცეფცია მდგომარეობს კულტურულ-ისტორიული პროცესების სისტემატიზაციაში. XVIII ს-დან დაიწყო არქეოლოგიის

განვითარება ორი საკვანძო მიმართულებით, რაც გულისხმობს მეთოდოლოგიის სისტემატიზაციას და არტეფაქტების კლასიფიკაციის პრინციპების დახვეწას. პირველი არქეოლოგი, ვინც გაიაზრა საველე დოკუმენტაციის აუცილებლობა, იყო ედუარდ კლარკი. იგი იკვლევდა ეგეოსის ზღვისპირეთის ძეგლებს და არქეოლოგიის ისტორიაში სწორედ ეს ძეგლები წარმოადგენს დოკუმენტალურად შესწავლილ პირველ არქეოლოგიურ ობიექტებს. ედ. კლარკის მიერ საფუძველჩაყრილი არქეოლოგიური ძეგლების საველე ფიქსაციის მეთოდი XX ს-ში კიდევ უფრო გააღრმავეს არქეოლოგებმა ფლინდერს პეტრიმ და მორტიმერ უილერმა. მათ შეიმუშავეს საველე სამუშაოებისა და ფიქსაციის ზოგადი სტანდარტები და ნორმები, რომლებიც ზოგადად დღემდე რჩება ძალაში. პარალელურად სხვა არქეოლოგების მიერ შემუშავდა არტეფაქტის ისტორიულ პირველწყაროდ გამოყენების მეთოდები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია არქეოლოგ იაკობს ვორსოს დამსახურება, რომელმაც ასევე პირველმა შეიმუშავა სტრატиграფიული დათარიღების მეთოდოლოგია.

დათარიღების პრობლემა მწვავედ იდგა XIX ს-ის პირველი ნახევრის არქეოლოგების წინაშე. ერთ-ერთი პირველი არქეოლოგი, რომელმაც წამოაყენა კაცობრიობის ისტორიის განვითარების თანმიმდევრული ქრონოლოგიური პრინციპი იყო მკვლევარი კარლსონ ტომსენი. მან შეიმუშავა ე.წ. *“სამი ეპოქის სისტემა”*. ამ სისტემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კაცობრიობამ დასაწყისიდან დღემდე თანმიმდევრულად გაიარა დიდი სამი ეპოქა და თითოეული მათგანის თავისებურ სახეს განაპირობებდა ის ძირითადი მასალა, რისგანაც ადამიანი ამზადებდა საბრძოლო თუ შრომის იარაღს. ამგვარად, კ. ტომსენი მივიდა დასკვნამდე, რომ კაცობრიობის ისტორიაში არსებობს ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ეპოქები და თითოეული მათგანი შესაძლებელია კიდევ დაიყოს ცალკეულ ქრონოლოგიურ პერიოდებად. 1836 წელს მან სწორედ ასეთი პრინციპით მოაწყო ქ. კოპენჰაგენის ნაციონალური მუზეუმის ექსპოზიცია. კ. ტომსენმავე პირველმა დაადგინა, რომ არსებობს ლოგიკური ჯაჭვი სხვადასხვა ეპოქებს შორის და მომდევნო ეპოქა წარმოადგენს წინას გაგრძელებას. კ. ტომსენის მიერ მიგნებული პრინციპი კიდევ უფრო დაიხვეწა მომდევნო თაობის არქეოლოგების მიერ. არქეოლოგმა ოსკარ მონტელიუსმა *ქვის ხანაში* გამოყო სამი ეტაპი: ძველი ქვის ხანა (პალეოლითი), შუა ქვის ხანა (მეზოლითი) და ახალი ქვის ხანა (ნეოლითი). ამ პერიოდიდან სათავეს იღებს არქეოლოგიური პრაქტიკისადმი ახლებური მიდგომა, მეთოდოლოგიურად დაიხვეწა საველე სამუშაოები. გათხრების დროს სავალდებულო გახდა სტრატиграფიული მონაცემების ზუსტი ფიქსაცია, საველე დოკუმენტაციისა და დღიურის წარმოება, საველე სამუშაოების გრაფიკული ნახაზების შედგენა და ფოტოგრაფირება, არქეოლოგიური ძეგლებისა და მასალის თარიღების დადგენა.

ამ პირობებში ჩამოყალიბდა ახალი პარადიგმა, რომლის არსს წარმოადგენდა კონკრეტული არტეფაქტების მიხედვით ცალკეული არქეოლოგიური კულტურების გამოყოფა. დაიწყო კვლევები სხვადასხვა არქეოლოგიურ კულტურებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენის მიზნით. ყოველივე ამან საფუძველი ჩაუყარა ახალი მიმართულების დარგს, კულტურის ისტორიას. ამ ახალი დარგის შესახებ შეიქმნა არაერთი მეცნიერული თეორია. მათ რიცხვს მიეკუთვნება თეორია კულტურის ევოლუციის შესახებ, რომლის თანახმადაც განვითარების თითოეულ ეტაპზე კულტურა ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებას. ამ თეორიის ფუძემდებელი იყო ლუის ჰენრი მორგანი. მან პირველმა დაასაბუთა კულტურის განვითარების ისტორიაში სამი სტადიის არსებობა — ველურობა (მონადირეობა და შემგროვებლობა), ბარბაროსობა (მინათმოქმედება და მესაქონლეობა), ცივილიზაცია (დამწერლობა). მორგანი ვარაუდობდა, რომ ადამიანთა საზოგადოება პერმანენტულად ვითარდება დაბალი სტადიიდან უმაღლესისკენ და ამ ევოლუციურ პროცესში იცვლება ეკონომიკის ხასიათი, დასახლებათა ტიპი, საკვების მოპოვების მეთოდი და რელიგიური შეხედულებები. ამავე დროის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა კულტურის ელემენტების დროსა და სივრცეში გავრცელების, ანუ კულტურის დიფუზიის შესწავლა. დიფუზიის კონცეფციის არსი მდგომარეობდა შემდეგში, რომ დროთა

განმავლობაში ადგილი აქვს იდეების, ცალკეული არტეფაქტებისა და ხალხების გადანაცვლებას ერთი ადგილიდან მეორეზე და ამ პროცესს თან სდევს ერთი ხალხის მიერ კულტურის ახალი ელემენტების მიტანა სხვა ადგილზე და ხდება მათი შერევა დამხვედრ კულტურაში, რაც არის თვისობრივად ახალი, განსხვავებული კულტურის წარმოქმნის წინაპირობა. კულტურული დიფუზიონიზმის კონცეფცია ფართოდ გავრცელდა და მას დღესაც არაერთი მიმდევარი ჰყავს. დიფუზიონიზმის წიაღში წარმოიშვა „ჰელიოცენრიზმის“ თეორია, რომლის ფუძემდებელი იყო მკვლევარი გრეფტონ ელიოტ სმიტი. იგი მიიჩნევდა, რომ ადამიანი შეზღუდულია შემოქმედებასა და გამოგონებებში. ამიტომ ყველა ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩენას აქვს საერთო საწყისი და შორეული ცივილიზაციების მიერ მიგნებული აღმოჩენები განსხვავებული ფორმით მეორდება მომდევნო ეპოქებში. ამ კონცეფციისგან განსხვავდება „კულტურული წრეების თეორია.“ აღნიშნული კონცეფციის მიმდევართა აზრით, კულტურის ელემენტების თავისებურ ხასიათს განაპირობებს ის კონკრეტული დრო და გეოგრაფიული გარემო, როდესაც იქმნება ესა თუ ის კულტურული ელემენტი, ხოლო არქეოლოგია ერთადერთი დარგია, რომელსაც შეუძლია დაადგინოს ამ ელემენტების არსებობა სივრცესა და დროში.

XX ს-ის დასაწყისიდან გარკვეული პოპულარობა მოიპოვა მიგრაციული არქეოლოგიის კონცეფციამ. ისტორიული წერილობითი წყაროების მიხედვით კარგადაა ცნობილი ის პროცესი, რაც დასტურდება რომაული ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების ევროპაში. ეს არის ხალხთა მასების დიდი გადაადგილება აღმოსავლეთიდან სამხეთ ევროპის მიმართულებით (მაგ.: ჰუნები, გერმანული და სლავური მოდემის ტომები). ამ რეალობიდან გამომდინარე აღნიშნული კონცეფციის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ევროპული ცივილიზაციის განსაკუთრებული სახე სწორედ ამ პერიოდიდან ყალიბდება, როდესაც ხდებოდა მოსული და ადგილობრივი ხალხების კულტურის, ტრადიციებისა და ენების ურთიერთშერწყმა, რამაც გამოიწვია მანამდე არსებული კულტურების ტრანსფორმაცია.

XX ს-ის 50-იანი წლების ბოლოს სრულიად ახალი კონცეფცია შემუშავდა. მისი ფუძემდებლები იყვნენ გორდონ უილი და ფილიპ ფილიპსი. ამ კონცეფციის თანახმად, არქეოლოგიური კულტურა განმეორებითი ელემენტების კომბინაციაა, ხოლო ეს ვითარება საშუალებას იძლევა მის განვითარებაში გამოიყოს ცალკეული ფაზები. რამდენიმე კულტურა ქმნის უფრო დიდ ერთობას, ეს არის ტრადიციები და ის მოიცავს დროის უფრო დიდ მონაკვეთს, ვიდრე ერთი კონკრეტული არქეოლოგიური კულტურა. კულტურის ცალკეული ელემენტები დროის რალაც ეტაპზე შეიძლება დამახასიათებელი იყოს მხოლოდ კონკრეტული რეგიონისთვის, მაგრამ იმ მომენტიდან, როდესაც ელემენტი ტრადიციად ყალიბდება, ის მოიცავს უფრო დიდ გეოგრაფიულ არეალს. გ. უილი და ფ. ფილიპსი მიიჩნევენ, რომ არქეოლოგიის ამოცანაა ისტორიულ ასპექტში შეისწავლოს კულტურის ე.წ. მუშაობის მექანიზმები და პროცესები. სწორედ ამ მიმართულებას იკვლევენ არქეოლოგიის ახალი კონცეფციის, პროცესუალური არქეოლოგიის მიმდევრები.

პროცესუალური არქეოლოგია: ტერმინი ხმარებაში 1960 წელს შემოიტანეს არქეოლოგებმა გ. უილიმ და ფ. ფილიპსმა. ამ მიმართულების ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლები იყვნენ არქეოლოგი ლუის ბინფორდი და დევიდ კლარკი. პროცესუალური არქეოლოგიის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ საკმარისი არ არის არქეოლოგიური მასალის მხოლოდ აღწერის დონეზე გადმოცემა, არამედ საჭიროა მისი სათანადო განსჯა და გაანალიზება. მაგალითად, მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ შუა ბრინჯაოს ხანაში თრიალეთის პლატოზე მცხოვრებ წარჩინებულ პირებს ასაფლავებდნენ დიდ ყორღანებში, არ იძლევა სათანადო პასუხს ამ მოვლენასთან დაკავშირებულ კითხვებზე. აუცილებელია არქეოლოგი ჩაუღრმავდეს საკითხს და სათანადოდ ახსნას, თუ რატომ ხდებოდა ეს ფაქტი მაიცდამაინც შუა ბრინჯაოს ხანაში და არა უფრო ადრე, ან უფრო გვიან; რას უკავშირდებოდა ეს მოვლენა და ა.შ. ასეთი კითხვები, ბუნებრივია, არქეოლოგიისთვის ახალი არ არის.

მსგავსი პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა ადრეც დამდგარა არქეოლოგების წინაშე, მაგრამ პროცესუალური არქეოლოგია ამოდის იმ მყარი არგუმენტებიდან, რომ

კულტურის ფენომენს საფუძვლად უდევს მკაცრი კანონები და იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული იქნება პრობლემისადმი სწორი მიდგომის მეთოდები, მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება მიღებული იქნეს საიმედო და ცალსახა პასუხები. პროცესუალური არქეოლოგიის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ყოველი საკითხის შესწავლა უნდა ემსახურებოდეს ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრას. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა ლოგიკურ არგუმენტებზე დაფუძნებული წინასწარი გეგმის შემუშავება, რათა კვლევა რაც შეიძლება პროდუქტიული იყოს. ე.წ. *პროცესუალისტები* არქეოლოგიას უყურებენ როგორ ზუსტ მეცნიერებას და ნერგავენ ახალ მეთოდებს, ისეთებს როგორცაა არქეოლოგიური მასალის კვლევის მათემატიკური და სტატისტიკური ანალიზი თუ მასალის რეპრეზენტატიული შერჩევის პრინციპი და სხვ. არქეოლოგიური მასალის მაღალტექნოლოგიური ანალიზის მრავალფეროვნებამ პროცესუალური არქეოლოგიის არაერთ მიმდევარს გაუჩინა იდეა ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარების შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების მიღების მთავარ პირობას წარმოადგენდა იმ ობიექტური რეალობის გააზრება, რომ ერთ კონკრეტულ არქეოლოგს მეცნიერების სხვადასხვა დარგში არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი ცოდნა, რომ მარტომ შეძლოს რთული სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტა. ამიტომ არქეოლოგიური მასალის ყოველმხრივი შესწავლისათვის აუცილებელია სხვადასხვა სამეცნიერო დარგების წარმომადგელთა კოოპერაცია, ვინაიდან მხოლოდ ასეთი სახით ჩატარებულ კვლევებს შეუძლიათ ცალკეული პრობლემების გადაწყვეტა. *პროცესუალური არქეოლოგიის* მიმდევრებმა, მათი დამკვიდრებული მეთოდებისადმი კრიტიკის მიუხედავად, მნიშვნელოვან შედეგს მიაღწიეს არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტაციის მიმართულებით.

სიმბოლისტური არქეოლოგია: პროცესუალურ არქეოლოგიას გამოუჩინდა არაერთი კრიტიკოსი, რომლებიც ამ მიმდინარეობას აკრიტიკებენ გადაჭარბებული მატერიალისტური მიდგომების გამო. კრიტიკოსთა აზრით, სიმბოლისტური და იდეოლოგიური ფაქტორები არანაკლებ გავლენას ახდენენ ადამიანის ქცევასა და შემოქმედებაზე, ვიდრე მატერიალური მოთხოვნილებები. პროცესუალური არქეოლოგიის კრიტიკოსებმა ამ მიმდინარეობას დაუპირისპირეს ახალი მიმართულება, რომელსაც ზოგადად უწოდებენ ე.წ. *სიმბოლისტურ არქეოლოგიას*. მისი არსი მდგომარეობს არტეფაქტებისა და არქეოლოგიური ძეგლების სიმბოლისტური კუთხით შესწავლაში. სიმბოლისტები იკვლევენ არტეფაქტებისა და გათხრებით აღდგენილი სხვადასხვა სახის რიტუალების წარმოშობის სიმბოლურ ხასიათს. მაგრამ ამ მიმართულებასაც აქვს თავისი სუსტი მხარეები. კერძოდ კი ის, რომ რაც უფრო ღრმა ისტორიული წარსულის არტეფაქტთან ან არქეოლოგიურ ობიექტთან გვაქვს საქმე, მით უფრო რთული ხდება სიმბოლური კონტექსტის განსაზღვრა. სიმბოლისტური არქეოლოგიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან რასელ ბარბერი და იან ჰოდერი.

სტრუქტურალიზმი არქეოლოგიაში: სტრუქტურალიზმი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მიდგომაა ლინგვისტურ, ფილოსოფიურ, სოციალურ კვლევებში. მან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა XX ს-ის 60-იან წლებში. მისი ფუძემდებელია ლინგვისტი ფერდინანდ დე სოსიური, რომლის მიერაც შემუშავებული სტრუქტურული მეთოდი ლინგვისტიკიდან გადატანილ იქნა ადამიანის სულიერი ცხოვრების სხვა სფეროების კვლევაშიც.

სტრუქტურალიზმისათვის ამოსავალია სტრუქტურის ცნება. სტრუქტურა განიმარტება როგორც კავშირების ერთობლიობა მთელის ელემენტებს შორის, რომლებიც, შინაგანი თუ გარეგანი ცვლილებების მიუხედავად, მყარი რჩებიან ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე ან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. სტრუქტურა არ წარმოადგენს ელემენტების მექანიკურ ჯამს. სტრუქტურალიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია ეთნოსოციოლოგი კლოდ ლევი-სტროსი. სწორედ მან ჩამოაყალიბა სტრუქტურალიზმი, როგორც მეთოდი, საზოგადოებისა და კულტურის კვლევისათვის. როგორც კ. ლევი-სტროსი აღნიშნავდა, მისი კონცეფციის ჩამოყალიბებაში, რომელსაც თავად *სტრუქტურულ ანთროპოლოგიას* უწოდებდა, მთავარი როლი შეასრულა სამმა

მეცნიერმა: სოციოლოგმა ემილ დიურკჰაიმმა, ფსიქოლოგმა ზიგმუნდ ფროიდმა და ლინგვისტმა ფერდინანდ დე სოსიურმა. ემ. დიურკჰაიმმა მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისაგან ინდივიდუალური და კოლექტიური ცნობიერება; ზ. ფროიდმა ინდივიდის შინაგანი „მე“ არაცნობიერს დაუმორჩილა; ხოლო ფ. სოსიურმა ენობრივი მასალის საფუძველზე კონკრეტული წარმოდგენა მოგვცა ქვეცნობიერის შესახებ, ყოველ წინადადებაში გამოყო ორი დონე: გაუცნობიერებელი (ენა) და გაცნობიერებული (მეტყველება). კ. ლევი-სტროსი მიიჩნევდა, რომ პრეისტორიული ადამიანი ცხოვრობდა ბედნიერად, ხოლო ცივილიზაციამ დააზიანა მათი ყოფა; ცივილიზებული ადამიანი უფრო უარესად წყვეტს ცხოვრებისეულ პრობლემებს, ვიდრე ველური, რადგან ამ უკანასკნელის გარეგანი „მე“ მჭიდროდაა დაკავშირებული შინაგანთან. კულტურული გარსი ჯერ კიდევ თხელია და შეიძლება თვალი ვადევნოთ ბუნებასთან მის კავშირს; თანამედროვე ადამიანის აზროვნების სტრუქტურა მის მიერ განვლილი გზის მანძილზე არ შეცვლილა, ის ისეთია, როგორც პირველყოფილი ადამიანისა. თანამედროვე ადამიანი პირველყოფილისაგან განსხვავდება მხოლოდ თავისი გარეგნული „მე“-თი და იმით, რომ კავშირი მის გარეგან „მე“-სა და შინაგან „მეს“ შორის განყვეტილია ისტორიის მიერ. პირველყოფილი ადამიანი ხორცს თუ სხვა საჭმელს ქვაზე აწყობდა და ასე წვავდა მზეზე. მზის სხივები ცასა და დედამიწას ერთიან, ჰარმონიულ მთლიანობად აერთიანებდა და ადამიანი ბუნებასთან სრულ თანხმობაში იმყოფებოდა. შემდეგ ადამიანმა დაიწყო საჭმლის დამზადება ცეცხლზე, შექმნა შრომის იარაღი, ტანსაცმელი, შეაბიჯა კულტურის სამყაროში. მის არსებობასა და კულტურას შორის გაჩნდა წინააღმდეგობები. მითების მეშვეობით ადამიანი ცდილობს აღადგინოს დარღვეული კავშირი ბუნებასთან.

დამთავრდა ოქროს ხანა (ასე უწოდებს კ. ლევი-სტროსი ქვის ხანას) და დაიწყო ბრინჯაოს ეპოქა. ამ ეპოქის მანძილზე ადამიანი საკმაო ხანს ინარჩუნებდა მკაფიო პოზიციებს, რაც მას საშუალებას აძლევდა ებატონა ემპირიულ სინამდვილეზე. მითების საშუალებით ადამიანები ცდილობდნენ შეერბილებინათ წინააღმდეგობა ბუნებასთან. მაგრამ დაიწყო რკინის ხანა, გაჩნდა თანამედროვე ადამიანი და ყველაფერი აირია. თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს ბუნებასა და კულტურას შორის ღრმა განხეთქილების პირობებში, რაც მისი ყველა უბედურების მთავარი მიზეზია. კ. ლევი-სტროსის აზრით, თანამედროვე მეცნიერება დიდად ვერ ამალღებს დღევანდელ ადამიანს ველურის დონესთან შედარებით, ამ უკანასკნელის ცხოვრება კი ბევრად უფრო ჰარმონიულია სწორედ ბუნებასთან მისი მჭიდრო კავშირის გამო.

სტრუქტურალიზმმა ფეხი მოიკიდა არქეოლოგიაშიც. ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იყო არქეოლოგი ანდრე ლერუა-გურანი. სტრუქტურალიზმის მეთოდი მან გამოიყენა პალეოლითური ხანის მღვიმეების მხატვრობის შესწავლის დროს. ან. ლერუა-გურანი მიიჩნევდა, რომ კლდეებზე გამოსახული ცხოველთა ფიგურები შეადგენდნენ მთლიან კომპოზიციას და ცხოველთა განლაგება ასახავდა პირველი მხატვრების წარმოდგენებს მათი მნიშვნელობის შესახებ. იმის გამო, რომ ნახატებზე ყველაზე ხშირად გამოსახული იყო ცხენები და ბიზონები, არქეოლოგის აზრით, ისინი განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ პრეისტორიული ადამიანების ცხოვრებაში. სხვა სტრუქტურალისტი არქეოლოგი დინ არნოლდი იკვლევდა პერუს მთიანეთში გავრცელებულ კერამიკულ დეკორს. მისი აზრით, თიხის ჭურჭლებზე დეკორის განაწილებას განაპირობებდა მეთუნეების აზროვნება, ხოლო აზროვნების თავისებურებას ინვევდა დედამიწის ლანდშაფტის თავისებური სახე. მაგალითად, ჭურჭლების ჰორიზანტალურ რეგისტრში მოთავსებული სხვადასხვა ფერის დეკორატიული სარტყლები პირდაპირ ასახავდა სამყაროს დაყოფას ჰორიზანტალურ ზონებად, რომლებიც ერთმანეთისგან გამოირჩეოდნენ სხვადასხვა კლიმატით და მინათმოქმედებისთვის სხვადასხვაგვარი ხელსაყრელი გარემო პირობებით.

არქეოლოგიური სტრუქტურალიზმი არაერთხელ გამხადარა კრიტიკის ობიექტი. პირველ რიგში კრიტიკას ინვევს ის გარემოება, რომ ბუნებაში არ არსებობს მეთოდი და საშუალება, რითაც შესაძლებელი იქნება სტრუქტურალისტების მიერ შემოთავაზებული

არტეფაქტების ინტერპრეტაციის გადამოწმება. სინამდვილეში არავინ იცის, რას ფიქრობდა პრეისტორიული ადამიანი, როდესაც მღვიმეში ცხენებს და ბიზონებს ხატავდა; ან რა შეხედულება ჰქონდათ სამყაროს მოდელზე უძველეს მცხოვრებლებს, როდესაც თიხის ჭურჭლების დეკორებს ქმნიდნენ და ა.შ. ასე რომ, არქეოლოგიური არტეფაქტების სტრუქტურალისტური ინტერპრეტაცია არქეოლოგთა ნაწილისათვის მიუღებელია.

კრიტიკული თეორია არქეოლოგიაში: არქეოლოგიის კრიტიკული თეორია ჩაისახა ფრანგული ფილოსოფიური სკოლის ნიაღში. არქეოლოგიის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ერთ კონკრეტულ მკვლევარს არ შეიძლება ჰქონდეს ობიექტური რეალობის დადგენის პრეტენზია და ის, რასაც არქეოლოგები უწოდებენ ფაქტებს, სინამდვილეში არის რეალობის დამახინჯება, რადგან თითოეული მკვლევარი თავისებურად აღიქვამს არტეფაქტს და ერთ კონკრეტულ არქეოლოგიურ ძეგლთან თუ არტეფაქტთან დაკავშირებით არქეოლოგებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული დამოკიდებულება. ამ მიზეზის გამო არქეოლოგიური ფაქტის ყველანაირი ინტერპრეტაცია შეიძლება თანაბრად ღირებული იყოს, ან თანაბრად უვარგისი; ხოლო რომელი მათგანი უფრო ახლოს არის ობიექტურ რეალობასთან, ამის დადგენა თითქმის შეუძლებელია. ე.წ. კრიტიკული თეორიის მიმდევრები ანალოგს ავლენენ ლიტერატურასთან და ამტკიცებენ, რომ როგორც ლიტერატურულ პროცესში დაახლოებით თანაბარია მწერლის და მკითხველის როლი, ისევე არქეოლოგიური სიტუაციის შექმნაშიც თანაბარია ძეგლის შემქნელებისა და ძეგლის გამთხრელების როლი. თუმცა, კრიტიკული თეორიის მონიშნულმდევრების აზრით, ლიტერატურასთან პარალელის გავლება ერთობ გადაჭარბებულია, რადგან იმის მიუხედავად, რომ არქეოლოგიაში ხშირია განსხვავებული შეხედულებები, არტეფაქტის არსებობა უკვე თავისთავად ობიექტური რეალობაა და მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ცნორედ ამაზე მეტყველებს.

არქეოლოგიის ძირითადი მიმართულებებია: *პრეისტორიული* და *ისტორიული* არქეოლოგია. პრეისტორიული პირობითად ეწოდება კაცობრიობის ისტორიის დამწერლობის შექმნამდე არსებულ ეპოქას. მათ შორის არსებითი განსხვავება ის არის, რომ პრეისტორიული ეპოქის კვლევისას არქეოლოგი მოკლებულია მოპოვებული არტეფაქტების მიხედვით რეკონსტრუირებული საზოგადოების წერილობითი წყაროებით გადამოწმების საშუალებას. პრეისტორიული ეპოქის შემსწავლელი არქეოლოგები ცდილობენ უძველესი ადამიანის მოღვაწეობა გამოიკვლიონ კომპლექსურად და არა ვიწრო ასპექტით. ამისთვის ისინი იყენებენ არქეოლოგიისთვის ისეთ მეცნიერებებს, როგორცაა პალეონტოლოგია, პალეოზოოლოგია, პალეობოტანიკა, პალეოგეოლოგია და სხვ. გათხრები ფართოდ წარმოაჩენს ყველა ამ დარგის ცალკეულ ნიუანსებს და მხოლოდ მათი კომპლექსური შესწავლის შედეგად დადგინდება პრეისტორიული ადამიანის ცხოვრების დეტალები და ის ბიოგეოგარემო, რომელშიც იგი არსებობდა.

ისტორიული პერიოდის არქეოლოგია წერილობითი წყაროების არსებობით არის გამყარებული და არქეოლოგიური მონაცემების გადამოწმება შესაძლებელია წერილობითი წყაროების საშუალებით. ისტორიული პერიოდის არქეოლოგიის მიმართულებები: ისტორიული პერიოდის არქეოლოგიაში გამოიყოფა რამდენიმე მიმართულება: *ძველი აღმოსავლეთის არქეოლოგია* შეისწავლის ცენტრალური და დასავლეთი აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის უძველესი ცივილიზაციების (ეგვიპტე, შუამდინარეთი, მცირე აზია, ირანი, სირია-პალესტინა, შუა აზია) მატერიალურ კულტურას. *შორეული აღმოსავლეთის არქეოლოგია* სწავლობს ინდოჩინეთის, იაპონიისა და ურალს გაღმა აზიის საზოგადოებების კულტურას. *ხმელთაშუაზღვისპირეთის არქეოლოგიის* შესწავლის სფეროა სამხრეთ ევროპის უძველესი საზოგადოებები, კრეტა-მიკენისა და ეგეოსური სამყაროს არქეოლოგია.

კლასიკური არქეოლოგია შეისწავლის ძველ საბერძნეთს, რომს და ელინისტურ სამყაროს, *დიდი ბერძნული კოლონიზაციის* პრობლემებს, შავიზღვისპირეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხების კულტურებს და მათ კავშირებს ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციებთან. *ნომადების არქეოლოგიის* სპეციალისტები შეისწავლიან ევრაზიის

უძველესი მომთაბარე ხალხების (სკვიტები, კიმერიელები, სარმატები, გუთები, ჰუნები, გოთები და სხვ.) მატერიალურ კულტურას. *მედიევისტური არქეოლოგია* სწავლობს ევროპის ხალხთა შუა საუკუნეების მატერიალურ კულტურას. *ქრისტიანული არქეოლოგია* შეისწავლის ქრისტიანული ყოფისთვის დამახასიათებელ ნიუანსებს, ქრისტიანული ტაძრების გათხრების დროს მოპოვებულ არტიფაქტებს, დაკრძალვის წესებს და სხვ. *ისლამური არქეოლოგიის* შესწავლის ობიექტია შუა საუკუნეების მუსლიმური სამყაროს ქვეყნები. *პოსტმედიევისტური არქეოლოგია* ძირითადად იკვლევს კოლუმბის შემდგომი პერიოდის ამერიკის, ავსტრალიის არქეოლოგიურ არტიფაქტებს და სხვ.

ძირითადი მიმართულებების გარდა არქეოლოგიაში გამოიყოფა ე.წ. დარგობრივი მიმართულებები. არქეოლოგიის ძირითადი და დარგობრივი მიმართულებები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და შეიძლება ითქვას, ავსებენ ერთმანეთს. არქეოლოგიის დარგობრივ მიმართულებას მიეკუთვნება ლანდშაფტის არქეოლოგია, ნყალქვეშა არქეოლოგია, სამხედრო არქეოლოგია და სხვ. *ლანდშაფტის არქეოლოგია* შეისწავლის გარემოზე ადამიანის ზემოქმედებას და ეკოსისტემის გავლენას ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე. *ნყალქვეშა არქეოლოგია* იკვლევს ზღვების, ტბებისა და მდინარეების ფსკერზე არსებულ არქეოლოგიურ არტიფაქტებს — ჩაძირულ ნამოსახლარებს, გემებს, განძებს და სხვ. *სამხედრო არქეოლოგია* შეისწავლის შეიარაღებას, თავდაცვითი ნაგებობის ნაშთებს და ყველა იმ ადგილს, რომელიც დაკავშირებულია საბრძოლო მოქმედებებთან.

არქეოლოგიური პერიოდები: არქეოლოგიაში ქრონოლოგიურ ფაქტორს აქვს ერთ-ერთი წამყვანი დატვირთვა. სხვადასხვა არქეოლოგიური სკოლის მიმდევრები გამოყოფენ განსხვავებულ არქეოლოგიურ ეტაპებს, მაგრამ ერთ საკითხში ყველა პრინციპულად თანხმდება, რომ არსებობს სამი დიდი არქეოლოგიური პერიოდი: ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა და რკინის ხანა. თითოეული ეს პერიოდი თავის მხრივ იყოფა რამდენიმე ეტაპად და ქვეეტაპად. სხვადასხვა არქეოლოგიური პერიოდი სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში სხვადასხვა დროს დგება. მაგალითად, იმ დროს, როდესაც შუამდინარეთი და ეგვიპტე ბრინჯაოს ხანაში იმყოფებოდნენ, დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ ნეოლითის ეპოქა იყო; როდესაც რომის სახელმწიფო იმყოფებოდა განვითარების უმაღლეს საფეხურზე, მაშინ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპის ხალხები გადიოდნენ საზოგადოების განვითარების პრეისტორიულ პერიოდს და ა.შ.

ყველაზე ადრეული და ხანგრძლივი პერიოდი კაცობრიობის ისტორიაში იყო ქვის ხანა, რომელიც თავის მხრივ იყოფა სამ დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთად. ეს პერიოდებია პალეოლითი (ქვედა, შუა და ზედა პალეოლითი), მეზოლითი და ნეოლითი. მეზოლითის ეპოქაში დედამიწაზე დასრულებული სახე მიიღო კონტინენტებისა და დედამიწის თანამედროვე ეკოსისტემების ჩამოყალიბებამ. ნეოლითის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მოხდა კაცობრიობის ისტორიაში, ცნობილია ე.წ. *ნეოლითური რევოლუციის* სახელწოდებით. ის სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად დამკვიდრდა იმ პროცესის აღსანიშნავად, რასაც წარმოადგენს თვითკმარი, საკვების მწარმოებელი საზოგადოების ჩამოყალიბების დასაწყისი. ნეოლითის ხანაში ადამიანმა მოიპოვა რა ცხოველები და მცენარეები, აითვისა მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგები — მინათმოქმედება და მესაქონლეობა. ყველაზე ადრე ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. მწარმოებლური მეურნეობის განვითარება მტკიცე საფუძველს ქმნიდა მომთაბარეობის დასასრულისა და დამჯდარი საზოგადოებების გაჩენისთვის. კვების პროდუქტების წარმოებამ ადამიანს მისცა საშუალება მიწის დამუშავების, თესვისა და მოსავლის აღების შუალედებში დაუფლებოდა ხელოსნობის ახალ დარგებს. ნეოლითის ეპოქაში ადამიანმა პრიმიტიული სახლების აშენება დაიწყო; მოიგონა და დაამზადა თიხის ჭურჭელი; დაიწყო ქსოვა და კერვა; ქვისა და ძვლის იარაღის დამზადება დაიწყო და ა.შ.

საქართველოში მიკვლეულია *ნეოლითის* ნამოსახლარები (მაგ.: ქობულეთი, ხუცუბანი, ანასეული I, გალი I, ოდიში, ანასეული II, კისტრიკი, გურიანთა, შულავერის გორა, გადაჭრილი გორა, იმირის გორა და სხვ.). ქვის ხანიდან მეტალის (ბრინჯაოს) ხანაზე გარდამავალ პერიოდს ენეოლითს, ანუ ქვა-სპილენძის ეპოქას უწოდებენ, რომელიც

ძირითადად ძვ.წ. IV—III ათასწლეულებს მოიცავს. ენეოლითი იწყება მაშინ, როდესაც ჩნდება თვითნაბადი სპილენძის ცივი დამუშავების გზით დამზადებული ლითონის იარაღი. სპილენძის იარაღებს არ გამოუწვევია ხმარებიდან ქვის იარაღების საბოლოო განდევნა და ენეოლითში ქვა და სპილენძი ერთდროულად გამოიყენებოდა. საქართველოს ენეოლითური ხანის კულტურას ადრესამინათმოქმედო კულტურასაც უწოდებენ. ამ ეპოქაში, დასავლეთ აზიაში და ეგვიპტის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ქალაქური ცივილიზაცია. აღნიშნული ქალაქების წარმოქმნის სამი მთავარი ხელისშემწყობი პირობა იყო მაღალგანვითარებული მინათმოქმედება, საირიგაციო ინფრასტრუქტურა და ბრინჯაოს მეტალურგია.

ბრინჯაოს ეპოქა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ამ დროს ადამიანი დაეუფლა ლითონის დნობის საიდუმლოს. ლითონის ნივთების დამზადების პრაქტიკამ გამოიწვია საზოგადოებაში შრომის დანაწილების პრინციპის შემდგომი გაღრმავება. გაჩნდნენ სამთამადნო და მეტალურგიულ საქმეში დასპეციალებული ადამიანები, რომელთა შრომა დიდად განსაზღვრავდა ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების ხარისხს. ბრინჯაოს იარაღების გამოგონება უდიდესი სტიმული აღმოჩნდა მინათმოქმედების თვისობრივად ახალ საფეხურზე ასაყვანად. მინათმოქმედება, ირიგაცია და მეტალურგია წარმოადგენდა იმ სამ უმთავრეს კომპონენტს, რომელმაც ხელი შეუწყო პირველი დიდი დასახლებების გაჩენას. ბრინჯაოს პერიოდში ერთმანეთში ვაჭრობდნენ არა მხოლოდ ერთმანეთთან ახლოს მდებარე დასახლებები, არამედ შორეული ქალაქებიც. ვაჭრობის განვითარება იწვევდა სხვადასხვა ხალხების კულტურათა გაცნობასა და ათვისებას. ვაჭრობ-ხელოსნობის განვითარებამ ხელი შეუწყო დამწერლობის წარმოშობასაც, რომელიც აუცილებელი იყო აღრიცხვისა და გარკვეული ანგარიშობისათვის. ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა ბორბლის გამოგონება, რამაც, თავის მხრივ, დიდი სტიმული მისცა ტრანსპორტის განვითარებას და გააადვილა შორ მანძილებზე გადაადგილება.

საქართველოში ბრინჯაოს ხანა მოიცავს ძვ.წ. III-II ათასწლეულებს და სამ ძირითად პერიოდად იყოფა: ადრე, შუა და გვიან ბრინჯაოს ეტაპებად. საქართველოს ტერიტორიაზე განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია მინათმოქმედებამ, მესაქონლეობამ, მეთუნეობამ, ოქრომჭედლობამ და მეტალურგიამ. ბრინჯაოს ხანის დაყოფა პირობითია, რადგან ეტაპებისა და ქვეეტაპების გამოყოფა დაკავშირებულია კონკრეტული რეგიონისა, ადგილის თუ არქეოლოგიური კულტურის სპეციფიკურ მომენტებთან. ბრინჯაოს ხანაში განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწიეს შუამდინარეთისა და ეგვიპტის საზოგადოებებმა. სწორედ ამ პერიოდში მოხდა პირველი სახელმწიფოების წარმოქმნა შუმერში და ეგვიპტეში. ამათ გარდა ბრინჯაოს ხანის დანიშნულებული ცივილიზაციები იყო — მოხენჯო-დარო, აქადი, ელამი, ხეთები, ასურეთ-ბაბილონი, ტროა, კრეტა-მიკენი და სხვ.

რკინის ხანას ეძახიან კაცობრიობის ისტორიაში იმ არქეოლოგიურ პერიოდს, როდესაც ადამიანისთვის აუცილებელი საბრძოლო თუ სამეურნეო დანიშნულების იარაღები მზადდება რკინისგან. ამ მეტალის საბადოებში მოპოვება და დნობა დაიწყო ბრინჯაოს ხანის ფინალურ ეტაპზე. რკინის პირველი გამდნარი ნიმუშები მიკვლეულია მესოპოტამიის არქეოლოგიურ ძეგლებზე. რკინის მეტალურგიის პიონერებად მიჩნეული არიან აღმოსავლეთ ანატოლიის, მდ. ევფრატ-ტიგროსის სათავეებთან და ტრანსკავკასიის სამხრეთით მცხოვრები ხალხები. ძვ.წ. XII საუკუნიდან რკინის მეტალურგია გავრცელდა ჯერ წინა აზიაში, ხოლო შემდეგ საბერძნეთში. ევროპის პირველი რეგიონი, სადაც რკინის დამუშავება დაიწყო, იყო საბერძნეთი. ძვ.წ. VII ს-დან რკინის დამუშავების ტექნიკა გაავრცელდა აპენინის ნახევარ კუნძულზე, საიდანაც ის მთელ ევროპას მოედო. აქ კი ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ჰალშტატის საერთოევროპული კულტურა (ძვ.წ. VII—V სს.). ამ რკინის კულტურამ თითქმის მთელი დასავლეთ ევროპა მოიცვა. სადაც შემდგომ, ბერძნული კულტურული ტრადიციების გავლენამ დააჩქარა რკინის მეტალურგიის განვითარება. ჰალშტატის კულტურის არსებობის ბოლო ეტაპზე ფორმირება დაიწყო ახალმა კულტურამ, რომელიც ცნობილია ლატენის კულტურის სახელწოდებით და მისი გავრცელების არეალი სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპაა. ევროპის კონტინენტზე ამ კულტურების ანტიკურ

ცივილიზაციასთან კავშირმა დააჩქარა ტექნიკური პროგრესი და გამოიწვია ევროპის მაშინდელი საზოგადოების სწრაფი განვითარება. ძვ.წ. IV ს-თვის რკინის მეტალურგიამ მოიცვა თითქმის მთელი ევროპა.

საქართველოს ტერიტორიაზე რკინის ხანა იყოფა ორ ძირითად პერიოდად: ადრეული რკინის ხანა და რკინის ფართო ათვისების ხანა. სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა საქართველოს ტერიტორიაზე რკინის ხანის საწყის პერიოდთან დაკავშირებით. საქართველოში რკინის წარმოების უძველესი კერებია სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი, ქვემო ქართლი, სვანეთი და რაჭა-იმერეთი. ქართველურ მოსახლეობაში რკინის მეტალურგიის არსებობის მაღალგანვითარებულ დონეს აღნიშნავდნენ ძველი ბერძენი ავტორები, რომლებიც ერთ-ერთ ქართველურ ხალხს, ხალიბებს რკინის მეტალურგიის პიონერებადაც კი მოიხსენიებდნენ. რკინის ფართო ათვისების ეტაპი საქართველოში დაიწყო ძვ.წ. VII საუკუნიდან. სწორედ ამ პერიოდიდან რკინა გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს და საბოლოოდ დევნის ხმარებიდან ბრინჯაოს საბრძოლო და სამეურნეო იარაღებს.

რკინის ეპოქა იყოფა: ანტიკური ხანა (resp. კლასიკური) და შუა საუკუნეები (resp. მედიევური). ისტორიული არქეოლოგიის საკმაოდ მნიშვნელოვანი მიმართულებები სწორედ რკინის ხანაზე მოდის. ანტიკური ხანა: კონკრეტული პერიოდის აღსანიშნავად ტერმინი „ანტიკური“ ხანა გაჩნდა XVIII ს-ის ფრანგულ ლიტერატურაში და თავდაპირველად აღნიშნავდა უძველეს ხელოვნებას. ეს ტერმინი ლათინურიდან მომდინარეობს, რაც ნიშნავს ძველს. საერთო, საყოველთაო აღიარება მოიპოვა პარადიგმამ ძველი ბერძნული და რომაული ცივილიზაციების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ ევროპული ცივილიზაციის განვითარების საქმეში. სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით ანტიკური ისტორია, ანტიკური არქეოლოგია, ანტიკური ლიტერატურა და ანტიკური ხელოვნება გამოიყენება მხოლოდ ძველ საბერძნეთთან და რომთან მიმართებაში. ანტიკურობა არის განსაკუთრებული მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში. ანტიკური ცივილიზაცია ძვ.წ. VIII — ახ.წ. IV სს-ებს მოიცავს. მისი დასაწყისი უკავშირდება ე.წ. დიდ ბერძნულ კოლონიზაციას, როდესაც ელინებმა დაიწყეს შავი და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროების ინტენსიური ათვისება. ანტიკურ პერიოდში გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი: არაქაული ხანა (ძვ.წ. VII-VI სს), კლასიკური პერიოდი (ძვ.წ. V-IV სს), ელინისტური ხანა (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან - ძვ.წ. I ს) და გვიანანტიკური ანუ რომაული პერიოდი (ახ.წ. I ს-დან). ელინიზმის ეპოქაში ხშირად ორ ეტაპს გამოყოფენ: ადრეელინისტური (ძვ.წ. IV ს-ის 30-იანი წლებიდან — ძვ.წ. III ს) და გვიანელინისტური ხანა (ძვ.წ. II-I სს).

ანტიკური ხანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისებურებათა შორის ცალკე გამოსაყოფია თავისუფალი, თვითმმართველი ქალაქ-სახელმწიფოები (პოლისები). ერთ-ერთი დიდი მონაპოვარია ფულადი მიმოქცევის განვითარება, რამაც საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აიყვანა ახალ წარმატებულ დონეზე. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას ხელი შეუწყო „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ პროცესმა. კოლონიზაციამ დიდი სტიმული მისცა ზღვაოსნობას, შორეულ ქვეყნებში მოგზაურობას და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების სწრაფ გავრცელებას ანტიკური სამყაროს გარეთ მდებარე ქვეყნებშიც. ყველა ამ პროგრესულმა მოვლენამ შეცვალა ადამიანთა ცხოვრების წესი და არც თუ იშვიათად ხდებოდა, რომ ადგილობრივი საზოგადოება ცდილობდა მიებაძა ბერძნულ-რომაული ყოფისათვის და საკუთარი საცხოვრებელი გარემო ანტიკური ტრადიციების შესაფერისად მოეწყო. ამ ფაქტის დამადასტურებელი შემთხვევები ფიქსირდება საქართველოს არქეოლოგიაშიც. მაგალითად არმაზციხის, არმაზისხევის, ძალისის და ვანის ნაქალაქარის კომპლექსები. აგრეთვე არქეოლოგიური ძეგლები — საირხე, ითხვისი, ზღუდერი, ბორი, ურეკი, ფიჭვნარი, მცხეთა და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე ანტიკურობა, რა თქმა უნდა, სრული სახით არ არსებობდა. დღემდე არქეოლოგთა ნაწილი გაუმართლებლად იმეორებს საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის აღნიშნულ მონაკვეთთან მიმართებაში ტერმინ „ანტიკური ხანის“ გამოყენებას და მიზანშეწონილად მიაჩნიათ ეს ტერმინი შეიცვალოს უფრო

მოხერხებული შესატყვისით, როგორცაა მაგალითად, „იბერიულ-კოლხური ხანა“ ან „არმაზული ხანა“, მაგრამ ტერმინი „ანტიკური ხანა“ მაინც დომინირებს ქართველ არქეოლოგთა მეტყველებასა თუ სამეცნიერო ნაშრომებში [დანვრ. იხ. გამყრელიძე 1985: 123-129].

საქართველოსთვის ანტიკური ხანა მნიშვნელოვანი პერიოდია თუნდაც იმ კუთხით, რომ სწორედ ამ დროს მოხდა უძველესი ქართული სახელმწიფოების კოლხეთისა და იბერიის წარმოქმნა. ანტიკური ხანის ქართულ სახელმწიფოებს მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ როგორც ანტიკურ სამყაროსთან, ასევე სხვა მეზობელ ქვეყნებთან: ირანი, პართია, ალბანეთი, არმენია, პონტო, სირია. საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში არაერთი უცხოური წარმომავლობის არტეფაქტია, რომელიც დამზადებულია ბალკანეთში, აპენინებზე, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა თუ დასავლეთ აზიაში. საერთაშორისო სავაჭრო და ეკონომიკური კონტაქტები ხორციელდებოდა სავაჭრო გზების მეშვეობით, რომელიც ევროპას აკავშირებდა შორეული აზიის ქვეყნებთან. ამ მაგისტრალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი გადიოდა იბერია-კოლხეთზეც. კასპიის ზღვიდან ის მდინარე მტკვარს მიუყვებოდა და შემდეგ რიონ-ყვირილის სატრანზიტო გზის საშუალებით შავ ზღვამდე ჩადიოდა. სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი არტერიის გაყოლებაზე და მის სიახლოვეს აღმოცენდა ანტიკური ხანის საქართველოს ყველაზე დანიარსებული ქალაქები და დასახლებული პუნქტები: მცხეთა, უფლისციხე, ნასტაკისი, ძალისა, სამადლო, ციხიაგორა, შორაპანი, საირხე, ვანი, ქუთაისი და სხვ.

შუა საუკუნეები (resp. მედიევური პერიოდი): IV ს-ში, ზოგ ქვეყნებში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ქცევამ ერთგვარად დაასრულა ანტიკური პერიოდი და კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო განვითარების ახალი ეტაპი — შუა საუკუნეები. ტერმინი „შუა საუკუნეები“ გულისხმობს ეპოქას ანტიკური პერიოდის დასასრულიდან კონსტანტინოპოლის დაცემამდე — 1453 წლამდე. ევროპული შუა საუკუნეები გულისხმობს მთელ რიგ ცვლილებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პირველ რიგში ეს არის: მინათმფლობელობის ფეოდალური სისტემა, ვასალიტეტის პრინციპს, ქრისტიანობის საერთო ევროპულ ხასიათს, არქიტექტურის აღმავლობას; ე.წ. კულტურულ რენესანსს; რეფორმაციას და სხვ. შუა საუკუნეები როგორც ისტორიული, ასევე არქეოლოგიური თვალსაზრისით იყოფა სამ პერიოდად: ადრეული, განვითარებული (შუა) და გვიანი.

საქართველოში შუა საუკუნეები განისაზღვრა IV ს-დან. შუა საუკუნეების ევროპული ქრონოლოგია გარკვეულად მიესადაგება საქართველოსასაც. შუა საუკუნეების დასაწყისი საქართველოსთვის განაპირობა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ და ახალი სოციალური ურთიერთობის, ფეოდალიზმის განვითარებამ. აქ ფეოდალური დამოკიდებულება მოერგო ადგილობრივ ბიოგეოგარემოს, სოციალურ-კულტურულ პირობებს და ტრადიციებს. ანტიკური პერიოდის საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებამ გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური გარდატეხა გამოიწვია და საზოგადოების ცხოვრებაში მთელი რიგი ინოვაციები მოიტანა. სიახლეები შეიმჩნევა სულიერი და მატერიალური კულტურის ისეთ სფეროებში, როგორცაა მიცვალებულის დაკრძალვა, სამარხეული ინვენტარი და სხვ. შეიცვალა მიცვალებულისათვის საიმქვეყნიო ნივთების ჩატანება. IV ს-დან დაკრძალვის ტრადიციულ ხელ-ფეხ მოკეცილ პოზას ცვლის მიცვალებულთა დაკრძალვა გაშოტილ, გულხელდაკრეფილ პოზაში და სამარხეული ინვენტარიც თანდათან მცირე ხდება. ამის მიუხედავად, IV-VI სს-ის საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ჯერ კიდევ გვხვდება მიცვალებულთათვის მდიდრული, ოქროსა და ვერცხლის, სამკაულების, კერამიკისა და იარაღის ჩაყოლების შემთხვევები (მაგ.: ყოლოთო, ურბნისი, ჟინვალი, ერწო, მცხეთა, საჩხერე, ნებელდა, ციხისძირი და სხვ.), მაგრამ VII-VIII სს-დან სამარხებში ოქროს ნივთები, იარაღი და თიხის ჭურჭელი საერთოდ ქრება და მიცვალებულთან ერთად ძირითადად ჩნდება ბრინჯაოსგან ან რკინისგან დამზადებული ტანსაცმლის აქსესუარები (აბზინდები, ფიბულები, საკინძები, კილიტები) და თითო-ოროლა პირადი ნივთი (ჯვრის საკიდები, სპილენძის ბეჭდები). საქართველოს შუა საუკუნეების უმთავრეს არქეოლოგიურ ძეგლებს წარმოადგენს ძირითადად ქალაქური ტიპის

დასახლებები და ციხე-სიმაგრეები. როგორებიცაა: თბილისი, დმანისი, უჯარმა, თელავი, ყინვალი, ურბნისი, უფლისციხე, შორაპანი, ქუთაისი, ნოქალაქევი, ვარციხე, ნეკრესი და სხვ.

არქეოლოგიური კვლევის მეთოდთა კომპლექსი. არქეოლოგები იკვლევენ და ადგენენ ნარსულ დროში, კაცობრიობის განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე ადამიანების მოღვაწეობის ცალკეულ სფეროებს და ამ მიზნის მისაღწევად იყენებენ იმ უზარმაზარ ინფორმაციას, რომელიც დაგროვილია არქეოლოგიურ არტეფაქტებში. არქეოლოგია წარმატებით იყენებს მეცნიერების სხვა, ერთი შეხედვით არქეოლოგიისგან შორს მდგომ დარგებს (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ციფრული ტექნოლოგიები და სხვ.).

არქეოლოგიისთვის საინტერესო ნარსულის ამსახველი ნაშთები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად — პირველი ესაა არტეფაქტები, რომლებიც შექმნილია ადამიანის მიერ. არტეფაქტებს მიეკუთვნება შრომისა და საბრძოლო იარაღები, სამკაული, ლითონის, მინის თუ თიხის ჭურჭლები, ტანსაცმლის ნაშთები და აქსესუარები, ქსოვილი, მონეტები, არქიტექტურული დეტალები, მეტალურგიული საწარმოების ნაშთები. მეორე კატეგორიას მიეკუთვნება მინაში შემორჩენილი ადამიანის მიერ შექმნილი არქეოლოგიური ობიექტები. ასეთი კატეგორიის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა სამარხები ანუ ნეკროპოლები, რომელთა შორის გამოიყოფა სხვადასხვა ტიპები და სახეობები: ორმოსამარხები, ყორღანები, აკლდამები, ქვევრსამარხები და სხვ. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება კერები, ნაგებობების საძირკვლები, ნამოსახლარების მიწაყრილები, ხელოვნური არხები, სარიტუალო ორმოები და სხვ. მესამე კატეგორიას შეადგენს ბიოლოგიური ნაშთები, ანუ ყველა ის ნარჩენი, რომელიც დაკავშირებულია ცოცხალ სამყაროსთან: ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების ძვლები (ოსტეოლოგიური მონაცემები), ნიჟარები, მცენარეული ნაშთები.

არქეოლოგიური ძეგლი ფორმირების დროს სხვადასხვა პროცესების ზემოქმედებას განიცდის. ეს პროცესები იწვევს ძეგლის დანგრევას, ფენებისა და არტეფაქტების აღრევას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბუნებრივი თუ ხელოვნური ზემოქმედების პროცესი იწვევს ძეგლის ისეთ კონდიციამდე მიყვანას, რომ საკმაოდ ძნელდება მისგან რაიმე სახის ინფორმაციის მიღება. არქეოლოგიურ ძეგლზე ზემოქმედება შეიძლება იყოს ბუნებრივი და ხელოვნური. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი ზემოქმედების პროცესი. მაგალითად, *კოლხური კულტურის* ერთ-ერთი არსებითი სახეა ე.წ. *ჯარგვალური ტიპის* არქიტექტურა. ამ საცხოვრებელ სახლებს, საკულტო და თავდაცვით ნაგებობებს აშენებდნენ ხის მორებისგან, რომლებიც მჭიდროდ იყო ერთმანეთზე დასმული. დროთა ვითარებაში ნაგებობები მიწამ დაფარა და დაიწყო ორგანული ნივთიერებების ლპობის ბუნებრივი პროცესი, რამაც ნიადაგში წარმოშვა შავი ფერის ფენა, რომელსაც ასევე შეეერთა ნაგებობაში არსებული სხვადასხვა სახის კერამიკის, ლითონის, ქვის და ძვლის ნივთები. ასე წარმოიქმნა არქეოლოგიური ძეგლი.

არქეოლოგი გათხრის შედეგად იკვლევს, ეს ფენა წარმოქმნილია ბუნებრივი პროცესების ზემოქმედებით თუ ხელოვნურად განადგურების შედეგად. არქეოლოგიური ძეგლი, უპირატესად ნამოსახლარი ფენა, შეიძლება ასევე წარმოიშვას ადამიანის მიერ ხელოვნური ზემოქმედების შედეგად. მაგალითად, იგივე ზემოხსენებული კოლხური დასახლება შესაძლოა განადგურებულიყო ხანძრის მიერ. ცხადია, გასათვალისწინებელია შემთხვევითი ცეცხლის გაჩენის ფაქტიც, მაგრამ როგორც წესი, ხანძრის მიერ გადამწვარი ნამოსახლარების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მტრის შემოსევების შედეგია. ამ ორი ვარიანტიდან ერთ-ერთის სასარგებლოდ მეტყველებს ნამოსახლარ ფენაში აღმოჩენილი საბრძოლო იარაღების სიმრავლე. თუ გადამწვარ ფენაში საბრძოლო იარაღი არ მოიპოვება, მაშინ შეიძლება იმ აზრის დაშვებაც, რომ დასახლება თავის დროზე შემთხვევითმა ხანძარმა გაანადგურა. დროთა განმავლობაში ორგანული ნივთიერებების გარდაქმნა და სახეცვლილება არქეოლოგიისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, მასზე მოქმედებს ნიადაგში არსებული სითბური პროცესები. თუ ნიადაგში სითბური ზემოქმედება ძალიან მაღალია, ეს პროცესი იწვევს ნივთების დაზიანებას და განადგურებასაც კი.

არქეოლოგიური ნივთები უკეთ ინახება შედარებით დაბალი სითბური ზემოქმედების პირობებში. შეიძლება შეიქმნას ისეთი ვითარებაც, როდესაც მაღალი სითბური ზემოქმედების პირობებში ნივთმა შეინარჩუნოს ფორმა, მაგრამ მისი მინიდან ამოღება აღარ მოხერხდეს, რადგან ჰაერის შეხებამ ის დაშალოს. ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშია ლითონისა (ოქროს გამოკლებით) და ხის ნივთები, ტყავი და ქსოვილი. არქეოლოგიური ძეგლის ფორმირების პროცესზე დიდ გავლენას ახდენს ასევე ნიადაგის ტენიანობა. არქეოლოგიური არტეფაქტები (ნაგებობები, არქიტექტურული კონსტრუქციები, ნივთები) გაცილებით უკეთ ინახება მშრალ ნიადაგში, ვიდრე სველ და ნოტიო მიწაში.

არქეოლოგიური ძეგლის სტრატეგრაფიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიური ძეგლის გათხრის პროცესში. არქეოლოგიური ფენების აღმოჩენისთვის ტარდება გეოლოგიური ბულრვებიც. ანალოგიურ მეთოდს მიმართეს ქართველმა არქეოლოგებმა, როდესაც ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე დაიბურღა გარკვეული ტერიტორია ფასისის ძველი ნაქალაქარის ძიების მიზნით. არქეოლოგიური ძეგლების დაზვერვების ერთ-ერთი მეთოდია აეროფოტოგრაფირება. წარმატებით იყენებენ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან გადაღებულ ფოტოებსაც არქეოლოგიური ძეგლების გამოსავლენად. აეროფოტოსურათის დეშიფრირებისას შესაძლებელია არა ერთი არქეოლოგიური ძეგლის გამოვლენა.

არქეოლოგიური კვლევისას ზუსტ ფიქსაციას, სტრატეგრაფიული ფენების ერთმანეთისგან გამიჯვნას და არქეოლოგიური არტეფაქტების განფენილობის ზუსტად აღრიცხვას დიდი ყურადღება ექცევა. არქეოლოგიური ძეგლის გათხრა წარმოებს არა ალაღბედზე ან შემთხვევითი გამართლების პრინციპით, არამედ — წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე. გრუნტის აღება ხდება მცირე სისქის ფენებად. არქეოლოგიურ ფენაში, როგორც წესი, მიწას იღებენ 10—15 სმ-ზე. მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგის მიზანია აღმოაჩინოს ადამიანის მოღვაწეობის რაც შეიძლება მეტი კვალი და მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი არქეოლოგიური მასალა.

ინტერდისციპლინარული დარგები ფართოდ გამოიყენება არქეოლოგიაში. მაგალითად, არქეობოტანიკისა და არქეოზოოლოგიის დახმარებით დგინდება უძველესი ეკოსისტემის ნიუანსები და ცნობილი ხდება გადამენებული მცენარეებისა თუ ცხოველთა ცალკეული ჯიშები და სახეობები. არსებობს მასალის შემადგენელი ქიმიური ელემენტების კონცენტრაციის გამოვლენის არაერთი მეთოდი, როგორიცაა ოპტიკური სპექტროსკოპია, რენტგენული სპექტრომეტრია, ელექტროზონდირებული მიკროანალიზი, ატომური სპექტრომეტრია, რენტგენოსტრუქტურული ანალიზი, იზოტოპური ანალიზი და სხვ.

ყველაზე გავრცელებული არქეოლოგიური არტეფაქტი, თიხის ჭურჭელი, ძირითადად ორგვარად მზადდება, ხელით და ჩარხზე. ბრინჯაოს ხანაში მეტალურგიის გამოგონებით ადამიანს საშუალება მიეცა დაემზადებინა მეტალის ნივთები. თავდაპირველად მიღებული იქნა სპილენძ-ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროს და შედარებით გვიან, რკინის ხანაში — რკინის ნივთები. ჩამოსხმით, ცხელი და ცივი ჭედვით დამზადებულ ნივთებს შორის განსხვავებას შეისწავლის — მეტალოგრაფია.

არქეოლოგიური კულტურა ენოდება საერთო დამახასიათებელი ნიშნების მქონე ერთი პერიოდის მატერიალური ძეგლების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს გარკვეულ გეოგრაფიულ არეალს. არქეოლოგიური კულტურის საერთო ნიშან-თვისებები შეიძლება იყოს კერამიკული ორნამენტი, დაკრძალვის წესი, სამარხთა აღნაგობა, საცხოვრებლის ტიპი და სხვ. არქეოლოგიური მასალის დათარიღება ძირითადად ხორციელდებოდა შედარებითი ანალიზის, სტრატეგრაფიული მონაცემის საფუძველზე; იყენებენ დათარიღების ბიოლოგიურ, ფიზიკურ და ქიმიურ მეთოდებს. დათარიღების პროცედურაში გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი: დაახლოებითი (*შეფარდებითი*) დათარიღება და ე.წ. *აბსოლუტური დათარიღება*.

მაგალითად, *არქეომაგნიტური მეთოდით* დათარიღების დროს მიმართავენ ნიადაგში არსებულ მაგნიტური ველის ფიქსაციას. იმის გამო, რომ დედამიწის მაგნიტური ველის ინტენსივობა პერიოდულად იცვლება, დანალექ ქანებში მისი განსაზღვრა იძლევა

დანალექების ფორმირების პერიოდის თარიღს. ამინომჟავების რაცემიზაციით დათარიღება გამოიყენება ორგანული ნივთიერებების, პირველ რიგში კი ძვლებში შემორჩენილი პროტეინების ასაკის დასადგენად. პატინით დათარიღება. პატინა წარმოადგენს თავისებურ მწვანე ფერის ჟანგს, რომელიც მინაში ხანგრძლივი ყოფნის გამო უჩნდება ძირითადად ლითონის არტეფაქტებს. დროთა განმავლობაში პატინა ფარავს ნივთის ზედაპირს და შესაძლებელია მისი ანალიზით არტეფაქტის მიახლოებითი ასაკის დადგენა. რადიონახშირბადით დათარიღება წარმოადგენს ბიოლოგიური არტეფაქტების დათარიღების ფიზიკურ მეთოდს. ეს მეთოდი იყენებს ბიოლოგიურ არტეფაქტებში რადიოაქტიური იზოტოპების C14 მიმართებას ნახშირბადის სტაბილურ იზოტოპებთან. ეს მეთოდი დღემდე მიიჩნევა არქეოლოგიური ძეგლების დათარიღების ერთ-ერთ სანდო საშუალებად, რადგან იძლევა კალიბრირებულ, რეალურ ასაკთან ყველაზე უფრო მიახლოებულ თარიღს.

სამწუხაროდ, დათარიღების აღწერილი მეთოდები შეიცავენ ცდომილების შესაძლებლობას და აქედან გამომდინარე, გამორიცხული არაა მიღებული და რეალური თარიღები სხვადასხვაგვარი იყოს. ამიტომ, შეცდომის გამორიცხვისა და უზუსტობის თავიდან აცილების მიზნით, არქეოლოგები მიმართავენ დამატებით საშუალებებს, რათა არქეოლოგიური ძეგლებისა თუ არტეფაქტების ასაკი უფრო ზუსტად იყოს განსაზღვრული.



გიოგეოგრაფიკი და ადამიანის მოქმედების სარკილი საქართველოში გ. გამყრელიძე

ბიოგეოგრაფიკოს (resp. გეოგრაფიული გარემოს) როლი საზოგადოების განვითარებაში ფრიად მნიშვნელოვანია და მის გარეშე შეუძლებელია ისტორიის აღდგენა-წარმოდგენა [იხ. გამყრელიძე 1993]. თანამედროვე საქართველო ტრანსკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ მხარესაა განთავსებული. ძველი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო. ევროპისა და აზიის მიჯნაზე მცხოვრები ქართველები სამყაროს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის შემქმნელი ერია. დღეს საქართველოს სახელმწიფოს ფართობი — 69. 875 კვ. კმ-ს მოიცავს. ისტორიულად კი საქართველოს ტერიტორია უფრო მეტი იყო. ფიზიკურ-გეოგრაფიულად, საქართველო ორ ნაწილად, აღმოსავლეთ და დასავლეთად იყოფა. მათ დიდი და მცირე კავკასიონის შემაერთებელი სურამის ანუ ლიხის ქედი ყოფს. საქართველოს გეოგრაფიული კოორდინატებია — 42°00' ჩ.გ. 43°30' ა.გ.

ქართველები, ქართველური ეთნოსი განვითარების თავდაპირველ საფეხურზე განსახლებული იყო სამი მდინარის — მტკვრის, რიონის და ჭოროხ-ოლთუს აუზებში. ეს კი ზოგადად, ვანის ტბიდან შავზღვამდე და კავკასიონის ქედის ჩათვლით ტერიტორიას მოიცავს. დაახლოებით ამ ტერიტორიაზე სახლობდა ძველი ქართველური მოდგმის ხალხი, რომელთა სხვადასხვა გაერთიანებებს ძველი წერილობითი წყაროები (ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.) სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ. კერძოდ — კოლხები, იბერები, ხალიბები, მოსუნიკები, სასპერები, მაკრონები, ჰენიოხები, მოსხები, ტაოხები, აფსილები, ტიბარენები, სანიგები; შემდგომ, ჭანები, ლაზები, სვანები, ეგრნი, ქართნი და სხვ. [იხ. საქართველო და ქართველების აღმნიშვნელი... 1993; ქავთარაძე 1985: 65-141].

ანტიკურ ეპოქაში ზემოხსენებულ ტერიტორიაზე განვითარდა-დანინაურდა და პოლიტიკური ჰეგემონობა მოიპოვა ორმა ძველმა ქართულმა სახელმწიფომ — კოლხეთის სამეფომ და იბერიის (ქართლის) სამეფომ. ისევე, როგორც ბერძენთა სახელმწიფოები

ათენი და სპარტა ან ებრაელთა სახელმწიფოები იუდეა და ისრაელი. კოლხეთ-ლაზიკის და იბერიის (ქართლის) ადგილსა და საფუძველზე შემდგომ განვითარდა ერთიანი სახელმწიფო — საქართველო.

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებია — ჩრდილოეთით, კავკასიონის მაღალი ქედი; სამხრეთით, აჭარა-ლაზეთ-არსიანის მთიანეთი, ჯავახეთის ქედი, მდ. დებედას ხეობა; აღმოსავლეთით, მდ. აგრიჩაი-მინგეჩაურის აუზი; დასავლეთით, შავი ზღვა. მოცემულ ტერიტორიას ლიხის ქედი ყოფს. მის დასავლეთით კოლხეთის დაბლობი, მდ. რიონის აუზით, ხოლო აღმოსავლეთით, ივერიის ბარი, მდ. მტკვრის აუზით მდებარეობს. მთიანეთს შორის განლაგებულია შიდა და ქვემო ქართლის, ალაზნის და კოლხეთის დაბლობ-ვაკეები. დიდი კავკასიონის განშტოებებს წარმოადგენენ: გაგრის, ბზიფის, აფხაზეთის, კოდორის, სვანეთ-ეგრისის, ლეჩხუმის, რაჭის, ალევის, ხევსურეთის, ქართლის, კახეთის და გომბორის ქედები. სამხრეთ საქართველოს ქედებია — მესხეთის, შავშეთის, არსიანის, თრიალეთის, სამსარის და ჯავახეთის. ძველი საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესში წამყვანი როლი შეასრულა ბიოგეოგრაფიამ — კლიმატი, ნიადაგი, რელიეფი, მადნეული, ზღვა, ტბა, მდინარე, ფლორა და ფაუნა. უპირატესად ამაზე არის დამოკიდებული მოსახლეობის ფიზიონომიურ-ფსიქიკური, სამეურნეო-საწარმოო, დემოგრაფიული, სავაჭრო-კომუნიკაციური, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სულიერ-კულტურული, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი, სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა [იხ. გამყრელიძე 1993: 5].

საქართველოს მთიანეთის ბორცვ-გორაკები, ხეობები, სერები, ტაფობები, ზეგნები და დაბლობი თავიანთი ბუნებრივი გარემოთი მოსახერხებელ დასასახლებელ ადგილებს ქმნის. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა: ხე, თიხა, ქვა და ა.შ. არის გრანიტი, კირქვა, თაბაშირი, კერამიკული თიხა, სხვადასხვა ფიქლები, კვარცის ქვიშა. საქართველოში მეტალურგიული ნედლეულის (სპილენძი, რკინა, კალა, ოქრო) მოპოვების ძირითადი ადგილებია: რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა, ქვემო ქართლი, მდ. დიდი ლიახვის ზემო წელი, მდ. ძამის ხეობა. მდინარეების — ენგურის, ცხენისწყლის, ტეხურის, რიონის და მაშავერას ქვიშა გარკვეული რაოდენობით ოქროს შეიცავს [იხ. ბოჭორიშვილი 1946: 284; კოჭლავაშვილი 1962: 257]. ამას ადასტურებს I ს. ავტორი სტრაბონი: *“წყლის ნაკადებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ადგილობრივები მას დაჩვრეტილი ვარცლებით და ბენვიანი ტყავებით აგროვებენ”* (სტრაბონი, XI, II, 19). II ს-ის ავტორი აპიანე აღნიშნავს: *“კავკასიონიდან გამომდინარე მდინარეებს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივები მდინარეებში ხშირბენვიან ცხვრის ტყავებს აგებენ და აგროვებენ ოქროს ქვიშას, რომელიც მათზე ილექება”* (აპიანე, მითრიდატეს ომები, 103). ოქროს მოპოვების შესახებ გადმოგვცემს I ს-ის ავტორი გაიუს პლინიუსიც: *“კოლხეთში მეფობდა აიეტის მემკვიდრე სავლაკი, რომელიც თავის სამეფოში დიდძალ ოქროს და ვერცხლს მოიპოვებდა სვანეთის მიწასა და საერთოდ სახელმწიფოში...”* (NH, XXXIII). საყოველთაოდ ცნობილია ხალიბების, მოსუინიკების, მოსხების როლი მეტალურგიული წარმოების საქმეში. კოლხეთის რეგიონი ლითონების წარმოება-დამუშავების ერთ-ერთ მსოფლიო ცენტრს წარმოადგენდა [იხ. კვიციანი გ.გ. 1976]. აქ, მოსახლეობის მიერ მადნეულის დამუშავება-გამოყენებამ საზოგადოება უკვე ძვ.წ. II ათასწლეულში ახალი განვითარების საფეხურზე აიყვანა და გამოიწვია პოზიტიური ძვრები წარმოების განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, სამეურნეო და სამხედრო აღჭურვილობის წარმოებაშიც აისახა.

საქართველოს რელიეფი, ტექტონიკური განვითარების თავისებურებების გამო, ორ ძირითად განსხვავებულ ნაწილად იყოფა: მთა-მთისწინეთად და ბარ-დაბლობად [მარუაშვილი 1970: 200]. მთა-მთისწინეთი — კავკასიონის მთავარი ქედი და გვერდითი ქედებია. ხოლო აჭარა-მესხეთის მთიანეთი ორი ძირითადი ქედისაგან შედგება. ერთი არის მესხეთის, მეორე — შავშეთის ქედი. მათაც მრავალი განშტოება აქვთ, რომლებიც მთისწინა ზოლში გადადის და ბარისაკენ ეშვება. დიდ და მცირე კავკასიონს ერთმანეთთან აკავშირებს ლიხის, ანუ სურამის ქედი. მისი ყველაზე მაღალი ნაწილი 1920 მეტრს არ აღემატება. ლიხის, დიდი და მცირე კავკასიონის ქედებ-მთიანეთში გადადიოდა ბილიკ-

გზები, რომლითაც ძველი მოსახლეობა უკავშირდებოდა დანარჩენ სამყაროს. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ გადასასვლელებს ახლაც იყენებენ სავალად. ესენია: რიკოთის, ზეკარის, მეფისწყაროს, გოდერძის, მამისონის, ნაკრის, ქლუხორის, დარიალის და სხვ. მთებით შემოსაზღვრული კოლხეთი და იბერია თავისი რელიეფით (ქედები, ზეგნები, ხეობები, სერები, ტაფობები, ბორცვ-გორაკები) მოსახერხებელ თავდაცვით და სამხედრო-სტრატეგიულ გარემოს ქმნიდნენ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ძვ.წ. I ს-ის რომაელი მხედართმთავრის ლუკულუსის მითრიდატე ევპატორთან ომის დროს კავკასიონის მთიანეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამხედრო მოქმედების თეატრის შეფასება: *“მე აქ იმ მიზნით ვაყოვნებ, რომ ჩემმა მონინააღმდეგემ კვლავ მოიკრიბოს ძალა და დიდ მხედრობას მოუყაროს თავი, რათა ადგილზევე დარჩეს და ჩვენი მიახლოებისთანავე არ წავიდეს. განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ მის ზურგში გადაშლილია უზარმაზარი და უსაზღვრო უდაბნო”* (იგულისხმება ბოსფორისა და ყუბანის სტეპები); *“იქვე ახლოს არის კავკასიონი მრავალი მაღალი მთით...”* (პლუტარქე, ლუკულუსი, 14). მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს აგრეთვე II ს. ავტორის, იმპერატორ ადრიანეს სამხედრო-ადმინისტრაციული წარმომადგენლის, ლეგატის, ძველი საქართველოს ზღვისპირეთის თვითმხილველის ფლავიუს არიანეს აღწერილი მოხსენება. ფასისის *“... ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენება მეტად მიუდგომლად ადგილის ბუნებრივი გარემოს მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით, მეტად მოხერხებულ ადგილზე მოთავსებულად აქ მომხდურთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს. ორივე ფართოა. წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული.”* *“... ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის, აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც, რომლებიც დასახლებულია...”* [იხ. ფლავიუს არიანი 1961: 39].

აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი რელიეფ-ლანდშაფტის გათვალისწინებას. ჩასაკეტად ადვილი ვიწრო ხეობების, გადასალახად რთული მაღალი მთების, გასამაგრებლად მოხერხებული გორების, ხშირი გაუვალი ტყეების, ძნელად დასაძლევ მდინარეების მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული გამოყენება საომარი მოქმედების წარმატებით დაგვირგვინების გარანტია იყო. არანაკლები მნიშვნელობა სამხედრო მოქმედებისას ენიჭება კლიმატს და წელიწადის დროის ცვლას. მაგალითად, მითრიდატე ევპატორი პომპეუსთან ომის დროს *“მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცა”* (სტრაბონი, XII, III, 28). მას ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა და ზამთარი დიოსკურიაში გაატარა. ამ შემთხვევაში მითრიდატემ ზამთარი და მთები (რელიეფი და ჰავა) თავისი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად გამოიყენა (იხ. აპიანი, მითრიდატე, 101).

საქართველოს მათაა მყინვარებიდან გამოედინება მდინარეები; მათი ნაწილი, შავი ზღვის აუზს ეკუთვნის, ხოლო ნაწილი — კასპიის ზღვისას. ისინი 2500-ზე მეტია. მათ შორის წყალუხვობით უწინარესი ადგილი უჭირავთ — რიონს, ყვირილას, ცხენისწყალს, ტეხურას, ხობს, ენგურს, კოდორს, ბზიფს, ლალიძგას, ხანისწყალს, ფიჩორს, სუფსას, ნატანებს, ჭოროხს, მტკვარს, დიდ ლიახვს, ქსანს, არაგვს, იორს, ალაზანს, ხრამს. აქედან ხობს, ტეხურას, ფიჩორს, სუფსას, ჭოროხს და განსაკუთრებით, რიონ-ყვირილას და მტკვარს სატრანსპორტო გზებად იყენებდნენ. მათზე სავაჭრო-სატრანსპორტო და საბრძოლო ნაგებობები დაცურავდნენ. მდინარე რიონი, რომლის სიგრძე 336 კილომეტრია კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან, ფასის მთის მყინვარიდან გამოედინება. ქალაქ ქუთაისამდე ის უმეტესწილად ვიწრო ხეობაში მოედინება; ქუთაისის ქვემოთ, კოლხეთის დაბლობზე ბარის მდინარის მდორე დინება აქვს. წერილობით წყაროებში მდ. რიონის შუა და ქვემო წელი ხშირად მოიხსენება ფასისის სახელით. ის პირველად ჰესიოდეს *“თეოგონიაშია”* (ძვ.წ. VII ს.) ნახსენები.

მდინარე რიონ-ყვირილა (resp. ფასისი) და მდინარე მტკვარი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო-სატრანზიტო და სტრატეგიული გზა

იყო. ცნობები მისი სატრანზიტო-სტრატეგიულ მაგისტრალად გამოყენების შესახებ, ძირითადად, სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებშია შემონახული. სტრაბონი აღწერს ამ მაგისტრალს: *“ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპანამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა; შორაპანიდან ფეხით, საურმე გზით, ოთხ დღეში მიისვლება მდ. მტკვრამდე”* (XI, II, 17). ამ გზის გაგრძელებას სტრაბონი ასე ავსებს: *“... ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანის ზღვაში, ხოლო აქედან ალბანეთში გადააქვთ და შემდეგ მტკვარზე და მისი მომდევნო ადგილებით ევქსინის ზღვაში ჩააქვთ”* (სტრაბონი, XI, VII, 3). ამრიგად, ნათელია, რომ სტრაბონი აღწერს სავაჭრო-სტრატეგიულ გზას, რომელიც მოემართებოდა აღმოსავლეთიდან მდ. მტკვრის და მდ. რიონის გავლით შავი ზღვისაკენ. ამავე გზას აღწერს I ს. ავტორი პლინიუსი: *“... პომპეუსის ლაშქრობის დროს, მისი ბრძანებით შესწავლილი იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება შეივდეს დღეში ჩასვლა ბაქტრიაში, მდ. ბაქტრთან, რომელიც ერთვის ოქსს. აქედან ინდური სავაჭრო საქონელი გადააქვთ კასპიის ზღვის იქით მდ. მტკვარზე და ხმელეთით არა უმეტეს ხუთი დღისა მათ შეუძლიათ მიაღწიონ ფასისს, რომელიც შავ ზღვას უერთდება”* (პლინიუსი სეკუნდუსი, VI, 52).

საყურადღებოა, რომ სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი უცხოური ნაწარმი (კერამიკა, სამკაულები, მონეტები, ლითონის და მინის ჭურჭელი). ასეთი ნამოსახლარები მდ. რიონ-ყვირილას გაყოლებაზე აღმოჩენილია შორაპანში, კლდეეთში, ვარციხე-პატრიკეთში, ვანში, შუამთაში, ფარცხანაყანევში, სოფ. მთისძირში, დაბლაგომში, დაფნარში, საჯავახოში, პატარა ფოთში, ჭალადიში, ფოთთან (პალიასტომის ტბა) და სხვ. [დანვრ. იხ. Gamkrelidze 1992]; აღმოსავლეთ საქართველოში: ზღუდერში, ურბნისში, უფლისციხეში, ყანჩაეთში, ძალისაში, ციხიაგორაში, ნასტაკისში, სამადლოში, სარკინეში, მცხეთაში და სხვ. რიონ-ყვირილას (ფასისის) სავაჭრო-სატრანზიტო გზის ბოლო პუნქტი იყო ტბა პალიასტომთან მდებარე ქალაქი, რომლის შემდეგაც სავაჭრო კარჭაპები შავ ზღვაში გადადიოდა კაბოტაჟური ცურვისათვის. გეომორფოლოგების აზრით, პალიასტომის ტბა-ლაგუნა, ზღვიური რელიქტია. ძველად აქ მდინარე რიონის ლიმანი იყო [იხ. Вылканов და სხვ. 1983: 287]. ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავსაყუდელი მდებარეობდა, საბრძოლო და სავაჭრო ხომალდები შემოდებოდა. ხომალდებიდან შემდეგ ტვირთი ბრტყელძირა სამდინარო კარჭაპებში გადაიტვირთებოდა და პალიასტომის გავლით მდინარე რიონზე ანდა ფიჩორზე აგრძელებდა გზას.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით — *“კვალად ფოთის სამხრეთით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღუას მდინარე ამისივე. აქედამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსუენებისათვის. იპყრობს თევზნი სხუადასხუანი მას შინა ურიცხვნი. ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან. კვალად ამ ტბისა და ჯუმათის მთის სამხრეთით დის მდინარე სუფსეი”* [ვახუშტი 1973: 790]. აგათია პალიასტომის შესახებ გადმოგვცემს — *“იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევქსინის პონტოს უერთდება.”* *“... ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის მახლობლად”* [იხ. აგათია; გეორგიკა 1936: 102]. პალიასტომის ტბის ფართობი თვრამეტ კვადრატულ კილომეტრამდეა. პალიასტომს დაჭაობებული შემოგარენიდან მდორედ მომდინარე მდინარეები ერთვის. ამათგან ყველაზე უფრო წყალუხვია მდინარე ფიჩორი. წინათ, ვიდრე ჯებირებს ააგებდნენ, რიონის ერთი ტოტიც აქ შემოედინებოდა. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პალიასტომის ტბაში, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში III-VII სს. ნამოსახლარს მიაკვლია. შესაძლოა, რომ ამ ნამოსახლარის სახით საქმე გვქონდეს პროკოფი კესარიელის და აგათიას თხზულებებში აღწერილ ქალაქ ფასისის ფორტიფიკაციის ნაშთებთან [დანვრ. იხ. გამყრელიძე 1987: 98].

მდინარე რიონზე ჩამოცურებული სატრანსპორტო ნაგებებიდან ტვირთი პალიასტომის ტბაზე მდებარე ნავსაყუდელში უკვე საზღვაო ხომალდებში გადაჰქონდათ და შავი ზღვის გავლით მიჰქონდათ სხვა ქვეყნებში. შავმა ზღვამ დიდი როლი შეასრულა კოლხეთის

სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ზღვის სანაპიროზე მთელი რიგი ნაქალაქარები და სხვა გამაგრებული დასახლებული პუნქტებია მიკვლეული: აფსაროსი (გონიოსთან), ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფასისი (ფოთთან), ანაკლია, ფიჩორი, გიენოსი (ოჩამჩირესთან), დიოსკურია-სებასტოპოლისი (სოხუმთან), ეშერა, პიტიუნტი (ბიჭვინთასთან) და ა.შ. ჩამოთვლილი დასახლებები, ბუნებრივია, ცხოვრების წესით ზღვასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ისინი წამყვან როლს ასრულებდნენ უცხოეთთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობაში. პირველ რიგში, სწორედ ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა კონტაქტები შავი და ხმელთაშუა ზღვების ქვეყნებთან და ქალაქებთან: მილეტთან, ქიოსთან, როდოსთან, ათენთან, სინოპთან, რომთან (ოსტია), შემდგომ ბიზანტიასთან (კონსტანტინეპოლთან), გენუასთან, ვენეციასთან და სხვ.

ზღვისპირა ქალაქში, ვაჭრობის გარდა, ხელოსნობის სხვადასხვა დარგები (მეთუნეობა, მჭედლობა, ხუროობა, ფეიქრობა და ა.შ.) იყო განვითარებული; მაგრამ აქ ალბათ განსაკუთრებული ადგილი მაინც ზღვასთან დაკავშირებულ საქმიანობას — ზღვაოსნობას, მეთევზეობას, ზღვის მარილის მოპოვებას და სხვ. ეჭირა. სტრაბონის გეოგრაფიაში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის *“ძველი ხალხები დაცურავდნენ მეკობრეობის და ვაჭრობისათვის ... ნაპირ-ნაპირ”* (კაბოტაჟურად) (I, III, 2). ზღვის, სხვა სანაპიროებზე საომარი თავდასხმები ზღვისპირა ხალხების შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო. ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია კოლხეთის შესახებ გადმოგვცემს: *“ძლიერნი და მამაცნი არიან ლაზები;”* ისინი *“... ამყობენ კოლხთა ძველი სახელით ...”*; გამოირჩევიან *“... თავისი სიმდიდრის სიუხვით, ასევე ქვეშევრდომთა სიმრავლით, მინა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით...”* *“ეხლანდელი მცხოვრებლები დაცურავენ ... და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებელს”* (აგათია, III, 5).

შავი ზღვა ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით გადის ხმელთაშუა ზღვაში. ბოსფორის სრუტის უვიწროესი ადგილი მხოლოდ 700 მეტრამდეა, ამიტომ მისი გადაკეცვა-კონტროლი ადვილია. სრუტე სამხედრო-სტრატეგიულად მოხერხებულია. ვის ხელშია ეს სრუტეები იყო, ის აკონტროლებდა ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის მიმოსვლას. შავი ზღვის საქართველოს ნაპირი ყველგან ერთნაირი არ არის. ის სამხრეთ და ჩრდილოეთის მონაკვეთზე მთიანია; სანაპირო ხაზზე გამოწეულია კონცხები — მწვანე კონცხის, ციხისძირ-ბობოყვათის, ანაკლიის, კოდორის, სოხუმის, ბიჭვინთის. ამ კონცხებთან შექმნილი ყურეები, გარკვეულწილად, მოსახერხებელია ნავსაყუდელების შესაქმნელად. შავი ზღვა უდიდეს როლს თამაშობს კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს აგროკლიმატურ სიტუაციაზე და ადგილობრივი მცხოვრებლების სამეურნეო და თავდაცვით ყოფაზე. შავ ზღვაში, სარენ თევზთაგან აღსანიშნავია შავი ზღვის ორაგული, კოლხური ზუთხი, ჯარღალა, კეფალი, სვია, ქაფშია, ქაშაყი და ა.შ. კოლხეთის ისტორიაზე მნიშვნელოვანი, უარყოფითი როლი ნაპირის ბიო-გეოგარემოს შეცვლამ ითამაშა. გეომორფოლოგიების ვარაუდით, ახალშავზღვურმა ტრანსგრესიამ შეცვალა ფანაგორიული რეგრესია (დაახლოებით ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში), ხოლო ძველი და ახალი ნელთაღრიცხვების მიჯნაზე ისევე იწყება ზღვის დონის აწევა. ამის გამო, სანაპიროზე განლაგებული ძველი ქალაქ-დასახლებები წყლის ქვეშ მოხვდა და მათ შეწყვიტეს არსებობა [იხ. Gamkrelidze 1992: 11].

საქართველოს ზღვისპირეთში, წერილობითი წყაროების (სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი, ფლავიუს არიანე, პომპონიუს მელა, კლავდიოს პტოლემეაოსი, პროკოპი კესარიელი, აგათია, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვ.) მიხედვით, მთელი რიგი ქალაქებია მოხსენიებული: ფოთთან - ფასისი, ოჩამჩირესთან — გიენოსი, სოხუმთან — დიოსკურია-სებასტოპოლისი, ბიჭვინთასთან — პიტიუნტი, ქობულეთ-ფიჭვნარი და ა.შ. ხსენებული ნაქალაქარების ან მათი მიმდებარე ტერიტორიის წყალში დაძირვამ და ცხოვრების შეწყვეტამ ზღვისპირეთში სანარმოო-ეკონომიკური დონის დაქვეითება გამოიწვია. ბერძნები შავ ზღვას პირველად არასტუმართმოყვარე ზღვას უწოდებდნენ. ბერძნებს სანაპიროებზე გადასვლისას ხშირად უწევდათ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ბრძოლა.

მას შემდეგ, რაც ბერძნებმა უკეთ აითვისეს შავ ზღვაზე ნაოსნობა და სანაპიროებზე მცხოვრებლებთანაც უფრო ახლო კონტაქტში შევიდნენ, მათ შეიცვალეს აზრი და შავ ზღვას *ევქსინუს პონტოს* — სტუმართმოყვარე ზღვა — შეარქვეს.

კავკასიონი, ანტიკავკასიონი, ლიხის ქედი და შავი ზღვა ქმნის ბუნებრივად შემოზღუდულ ტერიტორიას, რომლის შუაშიც კოლხეთის ბარ-დაბლობი და მთისწინეთი ექცევა [ძველაია 1973]. ეს ტერიტორია კოლხეთის მთავარი აგრარულ-სამეურნეო რეგიონი იყო [გაგუა 1988]. კოლხეთის დასავლეთ, ზღვისპირა მონაკვეთში აღინიშნება განსაკუთრებული ჭაობიანობა, ხოლო აღმოსავლეთით უფრო ენერი ნიადაგებია. აგრარულ-სამეურნეო საქმიანობაში ყველაზე მეტად გამოყენებულია კოლხეთის დაბლობის შემადგენელი მონაკვეთი. სამეურნეო საქმიანობაში იყო ჩაბმული, აგრეთვე, მთისწინეთის ბორცვ-გორაკებიანი ნაწილიც. სტრაბონის *გეოგრაფიაში* დაცული ცნობის მიხედვით, კოლხეთი ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარ მხარედ წარმოგვიდგება: *“ქვეყანაში კარგი ნაყოფი იცის; ... მოიპოვება გემთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებით ჩამოაქვთ; ამუშავებენ ბევრ სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის წარმოება განთქმულია და გარეთაც კი გააქვთ”* (XI, II, 17). ექსპორტზეა საუბარი მარკუს მანილიუსის (I ს.) ცნობაშიც, სადაც ის გადმოგვცემს, რომ რომაელებს კვებას ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ჭალებით [Латышев 1904: 377]. საყურადღებოა VI ს. ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის წერილობითი ცნობა: *“მოხირისი ერთი დღის სავალზეა არქეოპოლისიდან და შეიცავს მრავალ მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხეთის მიწა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს; ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ხარობს...”* (პროკოპი კესარიელი, BG, VIII, 14). კოლხეთში მდებარე მოხირისის მხარე ეკონომიკურად ძლიერი რეგიონია. შესაბამისად, აქაურებს საბრძოლო მოქმედებებისათვის კარგი რესურსებიც ექნებოდათ. კოლხეთის დაბლობი რომ დანიშნულებული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო, კარგად ჩანს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდანაც. კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს მზის რადიაცია, ჰაერის ცირკულაცია, ზღვასთან სიახლოვე [იხ. კორძახია 1961: 88-172]. კოლხეთში ნოტიო-სუბტროპიკული ჰავა დომინირებს. კოლხეთში ქარის მიმართულებაზე ხეობების და ქედების განლაგება მოქმედებს. ხალხურ დაკვირვებაში შემორჩენილია ორი ქარის სახელი — *ზენა ქარი* და *ქვენა ქარი* (დასავლეთისა და აღმოსავლეთის), რომელთა მიხედვითაც მეურნე ცდილობდა ამინდის პროგნოზირებას და სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვას.

საქართველო მრავალფეროვანია მცენარეული საფარით. აქ დღესაც შევხვდებით რელიქტურ სახეობებს; არის ენდემური ჯიშები. ალპიური სარტყლის ქვემოთ მთა-მთისწინეთი, და ნაწილობრივ ბარიც, ძირითადად ტყითაა შემოსილი. კოლხეთის ბარ-მთისწინეთში გაბატონებულია ფოთლოვანი ხეები: მუხა, რცხილა, წაბლი, წიფელი, ცაცხვი, ნეკერჩხალი. შემორჩენილია, აგრეთვე, ლაფანი, ძელქვა. არის ბუჩქნარები — ბზა, წყავი, შქერი. დაბლობებში ტყე ჩახლართულია ხვიარებით (სურო, ღვედკეცი). მთა წინვიან მცენარეებს უჭირავს — ნაძვი, სოჭი [კეცხოველი 1959].

ხის სამშენებლო მასალად გამოყენება არქეოლოგიური მონაცემებით ხშირად დასტურდება. კოლხეთის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ძვ.წ. III ს-ის წინ, ხე ძირითადი სამშენებლო მასალაა. გათლილი მორისაგან იგებოდა საცხოვრებელი სახლები, შენდებოდა თავდაცვითი ნაგებობები და ჭაობიან ადგილებში ქუჩა-ტროტუარების გასამართავადაც გამოიყენებოდა. სტრაბონის ცნობით, *“ქვეყანაში ... იზრდება მრავალი ტყე”* (XI, I, 17). ტყეების სიუხვესვე ადასტურებს ძვ.წ. II ს. რომაელი არქიტექტორიც (იხ. ვიტრუვიუსი, II, I, 4).

ძველი საქართველოს სამეურნეო ყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ისეთ მცენარეებს, როგორც იყო ხორბალი, ქერი, ვაზი, ფეტვი, ჭვავი, წაბლი, ღომი, კაკალი, თხილი, ლელვი, ზღმარტლი, ხახვი და სხვ. საქართველოში და განსაკუთრებით მის დაბლობ ნაწილში თბილი ზამთარი და ხანგრძლივი, ზომიერად ცხელი, ზაფხული ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამეურნეო-აგრარული საქმიანობისათვის, კერძოდ, მემარცვლეობის, მებოსტნეობის და მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის.

ცხოველებიდან საქართველოში ადგილობრივის გარდა გავრცელებულია ევროპული და მცირეაზიური სახეობები [ჯანაშვილი 1963: 65]. ცხოველთა სამყაროს სიმრავლეზე, გარკვეულწილად, დამყარებული იყო ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკვება და საბრძოლო მოქმედებებისას გარკვეული მარაგების შექმნა. ძველ საქართველოში ნადირობდნენ ისეთ გარეულ ცხოველებზე, როგორცაა — არჩვი, ჯიხვი, ღორი, კურდღელი, ირემი, შველი, მურა დათვი და სხვ.; მგლის, დათვის, ტურის, მელას, ფოცხვერის ტყავს სამოსად იყენებდნენ. მდინარეებში ბევრია კალმახი, ლოქო, ორაგული, წვერა. საკვებად გამოსაყენებელ ფრინველთაგან გავრცელებულია გარეული იხვი, ბატი, გნოლი, მწყერი, ხოხობი. ხოხობის სახელი “ფასიანუს” მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში ფასისიდან არის გავრცელებული. საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ხშირია ოსტეოლოგიური ნაშთები, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი საქართველოს მოსახლეობის მეცხოველეობა-მონადირეობის შესახებ. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ნადირობას სამხედრო-საბრძოლო წვრთნა-მზადების ფორმაც ჰქონდა. რაც შეეხება მეცხოველეობას, არქეოლოგიურ მასალაში ხარის, ძროხის, თხის, ცხვრის ძვლები მრავლად არის დადასტურებული. გვხვდება აგრეთვე ღორის, ძაღლის, ცხენის ძვლებიც. ეს ოსტეოლოგიური მონაცემები დღევანდელი საქართველოსათვის დამახასიათებელ შინაურ ცხოველთა სახეობებს ჰგავს [იხ. ციციშვილი 1972: 213]. საგულისხმოა, რომ არისტოტელე (ძვ.წ. IV ს.) ნაშრომში “ცხოველთა ისტორია” კოლხეთის ტანმორჩილ ძროხებს აღწერს: “ფასისთან არიან მომცრო ძროხები, რომელთაგან თითოეული ბევრ რძეს ინველის...” (III,21). გამწევ-სატრანსპორტო პირუტყვიდან არქეოლოგიურ მასალაში ძირითადად დადასტურებულია ხარისა და ცხენის ძვლები [იხ. გამრეკელი 1979: 38].

დასავლეთ კოლხეთის კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოს შესახებ ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს. ბერძენი მეცნიერი ჰიპოკრატე გადმოგვცემს: “ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს აქ ხშირი წვიმები იცის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, მათ ხის ... სახლები წყალზე აქვთ” (ჰიპოკრატე, “ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ,” 15). ასევე ახასიათებს კოლხეთის დაბლობის კლიმატურ პირობებს XVII ს. იტალიელი მოგზაური არქანჯელო ლამბერტიც: “კოლხეთს ადგილმდებარეობის გამო ისეთი ნოტიო ჰავა აქვს, რომლისნაირი არსად არ მოიპოვება. მიზეზი ამისა ის არის, რომ დასავლეთით, შავი ზღვიდან ჰქრის ნამიანი ჰაერი და აღმოსავლეთით კი აკრავს კავკასიონი, საიდანაც მრავალი მდინარე ჩამოედინება. ამას ემატება ხშირი ტყეები, რომლის გამოც ჰაერი ცუდად მოძრაობს. ზღვის ქარი ძალიან ხშირია და მას ხშირადვე მოსდევს წვიმა” [ლამბერტი არქანჯელო 1938: 19].

დასავლეთ საქართველოს ჰავისა და ტყიანი საფარის შესახებ ცნობებს გვანდის XVIII ს. მკვლევარი ვახუშტი ბაგრატიონიც ნაშრომში “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”: “და არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვიათ არს ველნი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი, თვინიერ სახენელთაგან. არამედ ტყენი ადგილ-ადგილ ხილიან-ვენახიანი. ჰავითა კეთილ-მშუენი. გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინაითგან ძნიად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თვინიერ ადგილთა რომელთამ. ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს უტყვი ანუ მეტყუელი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე მხარი და უმეტესიცა. თუალთა ქუეშე შუენიერება ეგოდენ არა მზენარობს ტყის გამო, თვინიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ, უკეთუ დახედო მაღლის მთიდამ, იხილავ სრულიადს...” [ვახუშტი 1973: 743].

აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადი სამეურნეო-სამინათმოქმედო ფართობები განლაგებული იყო შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მტკვრის ხეობაში, ტირიფონის და მუხრანის ნაყოფიერ ველებზე; ქვემო ქართლის ბარში და ალაზნის ველზე. უწყლობის გამო, რამდენადმე არანაყოფიერია ივრის ზეგანი და შირაქ-ელდარის ველები. აღმოსავლეთ საქართველოს ჰავა კოლხეთთან შედარებით მშრალი კონტინენტურია. ამიტომ ინტენსიური მიწათმოქმედებისათვის საჭირო იქნებოდა სარწყავი არხები. მდ. მტკვარის სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე 353 კილომეტრია. მას ერთვის ლიახვი, ფრონე, ქსანი, არაგვი, ალაზანი, იორი, ალგეთი, ხრამ-ქცია და სხვა შედარებით მცირე მდინარე.

საქართველოს ძირითადი ტბებია: ფარავანი, ტაბანყური, ბაზალეთი, რინა, პალიასტომი; სარკის ფართობით ყველაზე დიდია ფარავნის ტბა — 38 კვ.კმ., თუმცა მისი სიღრმე 4 მეტრს არ აღემატება. ყველაზე წყალტევადი ტბა კი ტაბანყურია, რომლის სარკის ფართი 14, 2 კვ.კმ.-ია, მაგრამ ორჯერ მეტ წყალს შეიცავს, ვიდრე ფარავანა და ოთხჯერ მეტს, ვიდრე პალიასტომი. ტაბანყურის სიღრმე 45 მ. ყველაზე ღრმა ტბა კი რინაა აფხაზეთში — 100 მ.

საქართველოს ტერიტორია კლიმატური პირობებით ფრიად მრავალფეროვანია. ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო. პირველ მათგანში ზღვის სანაპირო ზოლში თუ სუბტროპიკული ჰავაა, მეორე მათგანში უდაბნოც გვხვდება. აქ მცენარეულობა ძირითადად ვერტიკალური ზონალობის მიხედვით იცვლება. საქართველოს ტერიტორიისათვის მეტად რთული და მრავალფეროვანი რელიეფია დამახასიათებელი, რასაც დაბლობები, მთები, ზეგნები, პლატოები, ხეობები ქმნის. მისი რელიეფის თავისებურებაა დიდი და მცირე კავკასიონის და მათ შორის განლაგებული დაბლობის ერთობა. საქართველოში განვითარებულია როგორც სუბტროპიკული, ისე ზომიერი სარტყლის მცენარეულობა. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მცენარეული საფარი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. აღმოსავლეთ საქართველოში ჭალის ტყეები ყველა მდინარის სანაპიროს გასწვრივია. საქართველოში სტეპის მცენარეულობა ივრის ბარშია წარმოდგენილი, კერძოდ, შირაქის და უდაბნოს ვაკეებზე. ელდარის ვაკეზე ნახევრადუდაბნოს მცენარეულობაა განვითარებული. ეს მცენარეები აგრეთვე ალაზნის ვაკეზე, შიდა და ქვემო ქართლის ბარში გვხვდება. საქართველოს მოსახლეობისათვის დამახასიათებელია მდინარეების, ხეობა-ხევის გასწვრივ და ბორცვ-გორებზე განსახლება. ეს „ხევ-ხეობების“ და „ბორცვ-გორების“ დასახლების სისტემა მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის ცხოვრების დამახასიათებელი წესი გახლდათ. ხშირად, ეს დასახლებათა ჯგუფები ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს შეადგენდნენ [იხ. მუსხელიშვილი 1977: 39-40].

სტრაბონი, რომლის თხზულებებიც დამაჯერებელი საფუძვლიანობით გამოირჩევა, იბერიის შესახებ გადმოგვცემს: *“იბერია უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებით და სოფლებით; იქ არის კრამიტისა და ხაზურის, სახლები არქიტექტურულადაა მოწყობილი, ბაზრები და სხვა... ქვეყანა კავკასიონის მთებითაა გარშემორტყმული ... შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მოწყული; უდიდესი მათ შორის არის მტკვარი. ... ის მოედინება საძოვრებით მდიდარ ველზე, ... არის ალაზანი, სანდობანი... ყველა ესენი სანაოსნონი არიან და უერთდებიან კასპიის ზღვას”* (XI, III, 1,2).

ძველი კოლხეთის და იბერიის გეოგრაფიული გარემოს მიმოხილვიდან ჩანს, რომ გარემომ წამყვანი როლი ითამაშა მათი ისტორიული განვითარების პროცესში. კოლხეთი და ნაწილობრივ იბერია მთებით შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები იყო, რაც სამხედრო-სტრატეგიულად გარკვეულ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა. ნოყიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეული, ფლორის და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესისათვის კარგ საფუძველს იძლეოდა. უპირატესად კი ამაზე იყო დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამხედრო-სტრატეგიული განვითარების დონე. აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე და იბერიაში მდ. მტკვარზე ჩამოყალიბდა ფრიად თავისებური ისტორიულ-კულტურული არე. მისი ეკონომიკა და პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი იყო. კოლხეთს და იბერიას გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრაც და შეჯახებაც.



ნარილობითი წყარო-მონაცემები

გ. გამყრელიძე

საქართველოს ისტორიის იბერიულ-კოლხური პერიოდის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის მონაცემთა ბაზა, სამწუხაროდ, მცირეა. აქ უპირველესი მნიშვნელობა არქეოლოგიურ მონაცემებს, ქართულ და უცხოურ საისტორიო-ლიტერატურულ წერილობით წყაროებს, ეპიგრაფიკულ ძეგლებს ენიჭება. ამ მონაცემების ურთიერთშედარების, სტატისტიკური აღწერის და კრიტიკულად განხილვის საფუძველზე გარკვეულწილად ხერხდება საქართველოს მოცემული პერიოდის ისტორიის აღდგენა-წარმოდგენა.

იბერიულ-კოლხური პერიოდის წერილობითი წყაროები ფრიად მცირეა და ხანდახან წინააღმდეგობრივი. ნლების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად საკმაოდ მრავალფეროვანი მონაცემები დაგროვდა. არქეოლოგიური მონაცემები შემდეგი გათხრილი ძეგლებიდან მოგვეპოვება: *გუადიხუ, კლდეეთი, დედოფლის-გორა, ურბნისი, უფლისციხე, ყანჩაეთი, ჟინვალი, ციხიაგორა, კამარახევი, მუხათგვერდი, მცხეთა, სოხუმი, ეშერა, ნებელდა, ჭალადიდი, ღები, საირხე, ითხვისი, შორაპანი, ვანი, სოფ. მთისძირი, სიმავრე, ქობულეთ-ფიჭვნარი, ალგეთი, მცხეთიჯვარი, ეცო, წითელი შუქურა, ყულანურხვა, სარკინე* და სხვ. მნიშვნელოვანია ამ არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებული არქეოლოგიური მასალა, რომლებიც სტატისტიკურ-ტიპოლოგიურად, სისტემური ანალიზის გამოყენებით შეისწავლება. მხოლოდ ამის შემდგომ არის შესაძლებელი ცალკეული არქეოლოგიური მონაცემი შეჯერდეს წერილობით წყაროებთან.

მოცემლი პერიოდის საქართველოს ისტორიისათვის ძირითად ქართულენოვან წერილობით წყაროს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნაწილი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ [ქართლის ცხოვრება — შემდეგში — ქც. 1955: 3-138], რომლის შემდგენელ-გადამწერია ქართველი სწავლული ლეონტი მროველი [იხ. გაფრინდაშვილი 1961: 239]. ის თავის მხრივ წინამორბედთა მრავალფეროვანი წყაროებით სარგებლობდა, რომლებსაც ტექსტში ასახელებს — „წიგნი ბერძენთა“, „ცხოვრება სპარსთა“; აგრეთვე „მოქცევაი ქართლისაი“ და სხვ. ლეონტი მროველი ქართულად და უცხოურად დაწერილი სხვადასხვა თხზულებებითაც სარგებლობდა, რომელთაგან ზოგიერთი შესაძლოა ფარნავაზიანთა ეპოქის დროინდელიც კი იყო. „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში ...“ მოყვანილი ცნობების (პერსონაჟების, პუნქტების და სხვ.) უმეტესი ნაწილი, ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სადღეისოდ დოკუმენტურად დადასტურებულია. მაგ.: ციხე-ქალაქები — ნასტაკისი, სარკინე, ციხე-გოჯი, არმაზი, შორაპანი, დიშნა; ისტორიული პერსონაჟები — არტაგი (resp. არტოკე), ფარსმან I, ფარსმან ქველი, მითრიდატე (მიჰრდატი), ამაზასპი და სხვ.

არქეოლოგიურად აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასტურდება ისტორიულ პირთა სახელები: მეფე ფარსმანი ნახსენებია 75 წლით დათარიღებულ ე.წ. *ვესპასიანეს* წარწერაში, რომელიც მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, არ მისული ბაგინეთამდე აღმოჩნდა [იხ. ყაუხჩიშვილი 1976: 241]. აქვე იხსენიება მეფე მითრიდატე (მიჰრდატი). ის აგრეთვე იხსენიება ე.წ. №1 წარწერაში, რომელიც არმაზში აღმოჩნდა [იხ. წერეთელი 1942: 42]. მეფე მითრიდატე მოიხსენიება ქ. რომში აღმოჩენილ წარწერაშიც [იხ. ყაუხჩიშვილი 1976: 245]. მეფე ფარსმანი ფიგურირებს ქ. რომის ნავსადგურ ოსტიაში აღმოჩენილ წარწერაში [იხ. გამყრელიძე აღ. 1982: 148]. იგივე მეფე ნახსენებია მცხეთაში, არმაზში არქეოლოგიურად გათხრილ ე.წ. „*არმაზის ბილინგვაზეც*“. ამავე ბილინგვაზევე მოხსენიებულია „*იბერთა დიდი მეფე ქსეფარნუგი*“ [წერეთელი 1942: 16]. „*იბერთა დიდი მეფე ამაზასპე*“ მოიხსენიება 1996 წელს არმაზციხე-ბაგინეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილ წარწერაში [ყაუხჩიშვილი 1998: 12].

“ცხოვრება ქართველთა მეფეთაში...” ნახსენებ ისტორიულ პირთა მოქმედებანი მრვალგზის აღინიშნება და აღინერება აგრეთვე ბერძნულ-ლათინურ წყაროებში. მაგ.: იბერიის მეფე არტაგს (არტოკეს) ძვ.წ. 65 წელს პომპეუსის იბერიაში ბრძოლების აღწერისას ახსენებს — აპიანე (მითრიდატიკა 103, 117), დიონ კასიუს კოკეიანოსი (რომის ისტორია XXXVII, 1 [დიონ კასიუსი 1966: 59]); მეფე ფარნავაზს და მეფე მითრიდატეს ახსენებს დიონ კასიუსი (რომის ისტორია XIX, 24; VIII, 26); მეფე ფარსმანს — ტაციტუსი (ანალები, VI, 33, 34 [გამყრელიძე აღ. 1973: 55-56]); დიონ კასიუსი (რომის ისტ. VIII, 26). მეფე ფარსმან II-ს იხსენიებს ფლავიუს არიანე (პერიპლუსი შავი ზღვის გარშემო, 11 [ფლავიუს არიანე 1961: 42]); დიონ კასიუსი (რომის ისტორია XX, 2); აელიოს სპარტიანეს ადრიანოსი; იული კაპიტოლინი (ანტონიუსი ...9) [Латышев 1904: 293, 294].

წერილობით და არქეოლოგიურად მოპოვებულ ეპიგრაფიკულ წყაროებში ნახსენები იბერიის მეფეები ქართლში სამხედრო საქმის ხელმძღვანელ-ორგანიზატორები იყვნენ. მეფე ფარნავაზის მიერ გატარებულმა სამხედრო-ადმინისტრაციულმა რეფორმებმა საფუძველი დაუდო იბერიის (resp. ქართლის) სამეფოს — “*მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთავან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განანესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი*” [ქართლის ცხოვრება 1955: 24; 6-8]. შემდგომ ეს რეფორმები ფარნავაზიანთა დინასტიის სხვა მეფეებმა განავრცეს. მნიშვნელოვანია, რომ ფარნავაზი, იბერიის მეფე, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი (ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი), ნახსენებია არქეოლოგიურად აღმოჩენილ ე.წ. *არმაზის ბილინგვის* არმაზულ-არამეულ ტექსტში. კერძოდ, მე-8 სტრიქონში. უნინ ამ სიტყვის გაშიფრვა არ ხერხდებოდა. ახლა აქ სახელ — ფარნავაზის ამოკითხვა, მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ, ერთხმად არის გაზიარებული [იხ. გიორგაძე 1986: 151; წერეთელი 1992: 33].

ძველი ქართული საისტორიო წყარო “*ქართლის ცხოვრება*” ძირითადად სანდოდ მიიჩნის ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილმა ევროპელმა მეცნიერ-ისტორიკოსებმა — ჟ. სენ-მარტინმა და მარი ბროსემ [ბროსე 1858: 24]. XIX ს-ის ქართველი ისტორიკოსებისათვის “*ქართლის ცხოვრება*” ძირითადი წყარო იყო საქართველოს ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის რეკონსტრუქციისათვის [იხ. ბაგრატიონი თ. *ისტორია ივერიისა 1848*, ს-პეტერბურგი; ბარათაშვილი ს., *საქართველოს ისტორია*, I, ქუთაისი, 1895, ადრეული გამოცემა 1865, ს-პეტერბურგი; ბაქრაძე დ., *ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889*]. “*ქართლის ცხოვრების*” ისტორიულ-კრიტიკული შესწავლის და ახალი არქეოლოგიურ-ეპიგრაფიკული მონაცემების საფუძველზე თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა მართებული თვალსაზრისი “*ქართლის ცხოვრებაზე*”, როგორც საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ნარატიულ წყაროზე [დანვრ. იხ. წერეთელი 1942: 1-83; მელიქიშვილი 1978: 54; ალექსიძე 1984: 152; ბარამიძე რ. 1992: 3; ხოშტარია-ბროსე 1996: 4; ქავთარია 1999: 64-125; გამყრელიძე 1985ა: 86-97 და მათში მითითებული ლიტ.].

“*ქართლის ცხოვრების*” ნაწილის — “*ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა*” — ერთად იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა “*მოქცევაი ქართლისაი*” [იხ. ძველი ქართული... 1963: 81-163]. მასში განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თხზულების პირველი ნაწილი, სადაც მოკლე ქრონიკის სახით ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიაა გადმოცემული. აქვე მოთხრობილია იბერიის მეფეების სამხედრო-ფორტიფიკაციის, ზღუდე-ციხეების მშენებლობის ამბები. “*მოქცევაი ქართლისაიში*” მოყვანილი ისტორიული ცნობების რეალობა ისევე, როგორც “*ქართლის ცხოვრებისა*”, არქეოლოგიური, ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროებით და ეპიგრაფიკული მონაცემებით დასტურდება. ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ “*მოქცევაი ქართლისაი*” შედგენილია V ს-ში [იხ. Обращение Грузии 1989: 14]. ალბათ, “*მოქცევაი ქართლისაის*” ავტორი ისევე, როგორც “*ქართლის ცხოვრებისა*”, იბერიულ-კოლხური ხანის შესახებ ჩვენამდე მოუღწეველი ისტორიული თხზულებებით სარგებლობდა. ამდენად, ამჟამად, მხოლოდ ამ ორ

ქართულენოვან თხზულებაში — *“ქართლის ცხოვრებაში”* და *“მოქცევაი ქართლისაი-ში”* არის შემონახული ფასდაუდებელი მეცნიერული ინფორმაციის მქონე ცნობები, რომლებიც შესაძლოა გამოვიყენოთ საქართველოს იბერიულ-კოლხური ხანის ისტორიის კვლევისას.

ქართულთან ერთად, მოცემული პერიოდის საქართველოს ისტორიის კვლევისას გამორჩეული მნიშვნელობა ბერძნულ-ლათინურენოვან წყაროებს ენიჭება. ამ მხრივ საყურადღებო ცნობებს გვანვდის წარმომავლობით მცირეაზიელი, ბერძენი ისტორიკოსი, ისტორიული მეცნიერების დამფუძნებლად აღიარებული ჰეროდოტე (ძვ.წ. 484-425 წწ.), რომელიც კოლხეთშიც იყო ნამყოფი. ჰეროდოტემ თავის სქელტანიან თხზულებაში *“ისტორია”* [ჰეროდოტე I, II, 1975-76] ძირითადად თავისი თანადროული, ძვ.წ. V ს. ამბები აღწერა. თხზულებაში ის, მის მიერ ნანახის გარდა, იმდროისათვის არსებულ წყაროებსაც იშველიებს. მონაცემები, რომლებიც ჰეროდოტეს *“ისტორიაშია”* შემონახული, დიდხნოვანი კრიტიკული შესწავლის საფუძველზე, ძირითადად სანდოდაა მიჩნეული. ჰეროდოტემ მიზნად დაისახა ბერძენ-ირანელთა ომების აღწერა და ამ ომების (ძვ.წ. 500-449 წწ.) მიზეზების კვლევა. მასთან ქართველური მოსახლეობის შესახებ ცნობები საერთო სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის ფონზეა მოცემული. ის მოგვითხრობს ქართველური მოსახლეობის ირანის ჯარში სამსახურის და მათი სამხედრო აღჭურვილობის შესახებ. მაგ.: *“... კოლხებს თავზე ხის მუზარადები ეხურათ; გამოუქნელი ტყავის მცირე ფარები ჰქონდათ და მოკლე შუბები; აგრეთვე დანები”* [იხ. ჰეროდოტე, 1975-76, VII, 79].

ქართველური მოსახლეობის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ უმნიშვნელოვანეს, ფასდაუდებელ წერილობით წყაროს წარმოადგენს ბერძენი ავტორის ქსენოფონტის (ძვ.წ. 435-355 წწ.) *“ანაბასისი”* [იხ. მიქელაძე 1967]. ქსენოფონტი ირანელი უფლისწულის, კიროსის არმიაში სამხედრო თანამდებობაზე მსახურობდა. ის კიროსის დაქირავებულ მეომართა ერთ-ერთი მეთაური იყო, მეფე არტაქსერქსე II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. *“ანაბასისი”* არის მახვილთვალისანი თვითმხილველის დღიური, რომელსაც ომიდან 10.000 მეომართან ერთად შინ მიმავალი ქსენოფონტი წერდა. ქსენოფონტის ჯარს ქართველური მოსახლეობის (კოლხების, ხალიბების, მოსინიკების, ტიბარენების, ტაოხების და სხვ.) ტერიტორიებზე გავლამ მოუწია. ის *“ანაბასისში”* აღწერს მათ სამხედრო აღჭურვილობას და გამაგრებულ-საფორტიფიკაციო ნაგებობებს. იძლევა აგრეთვე სამხედრო-ფსიქოლოგიურ შეფასებებს. მაგ. — მამაცნი, უმამაცესნი, თავისუფალნი, საშიშნი, სწრაფ-მარდები და ა.შ.

საყურადღებო ცნობებია დაცული, ქართველური მოსახლეობის შესახებ, ძვ.წ. I ს-ის ისტორიკოს დიოდორე სიცილიელის თხზულებაში — *“ისტორიული ბიბლიოთეკა”* [ყაუხჩიშვილი თ. 1976-77: 37-117]. ის წინამორბედთა თხზულებებს იმონმებს. კერძოდ — აპოლოდოროსს, ეფოროსს, აგათარქიდესს, არტემიდოროსს და სხვ. მნიშვნელოვანია ძვ.წ. I ს-ის ავტორის, მცირე აზიაში დაბადებული მემნონის *“ჰერაკლის ისტორია”* [ყაუხჩიშვილი თ. 1962: 137-194]. მასში ის პონტო-რომის ომების ისტორიას გადმოგვცემს. შესაძლოა, მემნონი ამ ომის მომსწრეც კი იყო. ის აქვე მითრიდატე ევპატორის დასავლეთ კოლხეთში მოქმედების შესახებ და იბერთა მეფესთან სამხედრო-პოლიტიკურ შეთანხმება-ხელშეკრულებაზე მოგვითხრობს [იხ. გამყრელიძე 1985: 50].

ისტორიოგრაფიაში სანდო და პოპულარულ ავტორად არის მიჩნეული ბერძენი მწერალი, კოლხეთთან ახლო, სამხრეთ შავიზღვისპირეთში, მდ. იუშილ-ირმაქთან მდებარე ქალაქ ამასიაში დაბადებული სტრაბონი (ძვ.წ.64 - ახ.წ.24წწ). ის ბრწყინვალე წარმომავლობის (მითრიდატე პონტოელის სარდლის დორილასოსის და კოლხეთის მმართველის მოაფერნეს ნათესავი იყო), კარგი განათლების მქონე ნიჭიერი პიროვნება გახლდათ. სტრაბონს საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეჭირა და ბევრს მოგზაურობდა. ივარაუდება, რომ ის კოლხეთშიც არის ნამყოფი. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა სქელტანიანი თხზულება *“გეოგრაფია”* [იხ. ყაუხჩიშვილი თ. 1957], რომლის წერისას ის იყენებს სხვადასხვა დღევანდლამდე მოუღწეველ წყაროებს — პოსეიდონიოსს, თეოფანე მიტილენელს, ჰიფსიკრატეს, აგრეთვე ევრიპიდესს და სხვ. სტრაბონის *“გეოგრაფია”* იბერია-

კოლხეთის შესახებ ძველი საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, შედარებით ვრცელი წყაროა [იხ. ლორთქიფანიძე 2010].

საყურადღებოა მასში მოცემული ზოგიერთი მონაცემი. კერძოდ, სამხედრო-საზღვაო მოქმედების: საბრძოლო ნაგებობის, კამარებისაგან შემდგარი ფლოტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გარკვეულწილად კოლხეთიდან აჰყავდათ საზღვაო ძალებში სამსახურისათვის ხალხი. კოლხეთიდან გაჰქონდათ სტრატეგიული ნედლეული - გემთსაშენი მასალა (ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი). სტრაბონის მიხედვით იბერია-კოლხეთში იყო გამაგრებული ციხე-ქალაქები — სარაპანა (შორაპანი), ჰარმოზიკე (არმაზციხე), სევსამორა (წინამური), იდეესა. სტრაბონის მიერ დასახელებული გამაგრებული პუნქტები არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა. სტრაბონი გადმოგვცემს იბერიის სამეფოს სამხედრო ფენაზე და მათ ხელმძღვანელებზე; მოგვითხრობს მამაც და ძლიერ სვანებზე, რომელთაც საომრად 20.000-იანი ლაშქრის გამოყვანა შეუძლიათ. სტრაბონი საუბრობს სპეციფიკურ იარაღზე, შხამიან ისრებზე, რომლის მოხვედრის შემთხვევაში მონინააღმდეგეები სწრაფად კვდებიან. აქვე ცნობებია მთიელი მებრძოლი იბერების შესახებ, რომლებსაც ომიანობის დროს “*მრავალი ათასი*” მეომრის გამოყვანა შეუძლიათ; იბერები შეიარაღებულები არიან ტყავის აბჯრებით, შუბებით, მშვილდებით და სხვ. სტრაბონთან მოთხრობილია მითრიდატე ევპატორის, პომპეუსის, ფარნაკეს, მითრიდატე პერგამონელის ბრძოლების შესახებ. სტრაბონი XI, III, 6 თავში დასძენს, რომ იბერიის სამეფო სოციალურ-იერარქიულად სტრატეგიცირებულია [იხ. ვაშაკიძე ვ. 1991: 134]. იერარქიული კიბის თავში გამაერთიანებელი ხელისუფალი, მეფე იდგა. მას მოსდევდა არისტოკრატია, “*მოსამართლეები, სარდლები, ქურუმები*”; შემდეგ “*მეომრები და მინათმოქმედები*”. სტრაბონის მრავალმხრივი ცნობები ძირითადად უტყუარი წყაროა ძველი საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

საინტერესო ცნობები აქვს ბერძენ ავტორს პლუტარქეს (46-120 წწ.) იბერია-კოლხეთის ისტორიის შესახებ თხზულებაში “*პარალელური ბიოგრაფიები*” [იხ. პლუტარქე 1975], რომლებიც ძირითადად *ლუკულუსის, პომპეუსის და ანტონიუსის* ბიოგრაფიების თხრობისას გვხვდება. პირველ ორ თხზულებაში აღწერილია რომაელი სარდლების *ლუკულუსის* და *პომპეუსის* ომები *მითრიდატე ევპატორთან*. ამ ომებში ჩართული იყო იბერია და კოლხეთი. პლუტარქე მოგვითხრობს იბერების სპეციალური შუბოსანი რაზმის შესახებ. ისინი, მისი აზრით, საუკეთესო და სანდო მებრძოლებად იყვნენ მიჩნეული. აქვე აღწერილია პომპეუსის საბრძოლო მოქმედებები იბერიის სამეფოში და შემდგომ, კოლხეთში.

მნიშვნელოვანი მონაცემები მოეპოვება ძველი საქართველოს შესახებ რომაელ ისტორიკოსს, კორნელიუს ტაციტუსს. მას საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული და გარკვეულ პერიოდში აზიის პროვინციის პროკონსულის თანამდებობაც ეჭირა. კორნელიუს ტაციტუსი თავის თხზულებებში ეყრდნობა პირველწყაროებს. მას ხელი მიუწვდებოდა რომის სენატის სხდომების ოქმებზე, სახელმწიფო დოკუმენტებზე, სასამართლოს ოქმებზე და სხვ. ტაციტუსი, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მონაცემებს გადმოგვცემს თხზულება “*ანალებში*” [იხ. გამყრელიძე ალ. 1973], სადაც ძირითადად აღწერს მის თანადროულ მოვლენებს და მათ კრიტიკულად განიხილავს. ზოგიერთი ცნობა ძველი საქართველოს შესახებ მხოლოდ ტაციტუსის თხზულებებში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ტაციტუსის თხრობის მთავარი ობიექტი რომაული სამყაროა, მაინც მცირე აზია-კავკასიის ამბებს საკმაო ადგილი ეთმობა. იბერია-კოლხეთში მიმდინარე მოვლენები ტაციტუსთან განხილულია რომი-პართიის ურთიერთჭიდილის ფონზე. ტაციტუსის “*ანალებში*” მოიპოვება ცნობები მცირე აზია-კავკასიაში რომაელთა ლეგიონების განლაგების; *კორბულონთან* ერთად იბერების ბრძოლის; კავკასიონის ქედზე სტრატეგიული გადასასვლელების; იბერიელთა მეფის ძმის მითრიდატეს ქ. რომში ყოფნის; იბერიის მიერ არმენიის ქალაქ არტაქსატას (არტაშატის) აღების; პართელთა და იბერიელთა, მეფე ფარსმანის და სარდალ ოროდის ურთიერთბრძოლის შესახებ. აქვე აღნიშნულია იბერიელი მეომრების ამტანობის, მამაცობის და ბრძოლის ასპარეზის კარგად

ცოდნის; იბერიის მეფის ფარსმანის ბრძოლის წინა სიტყვიერი მიმართვა-მოწოდების; იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე პართიის მეფის არტაბანის სამხედრო ბრძოლა-ოპერაციების შესახებ. ტაციტუსის თხზულებაში ფრიად საყურადღებოა ანიკეტის ამბოხის ისტორია. ანიკეტი ადრე სამეფო ფლოტის მეთაური და გავლენიანი პირი იყო. მან მოახერხა ადგილობრივი მოსახლეობის (ალბათ ქართველურის) გადაბირება, აიღო ქალაქი ტრაპეზუნტი და იქ რომაელთა კოჰორტა გააყლიტა. სამწუხაროდ, ამ მოვლენების გადასამონმებლად სხვა წყარო არ გავაჩნია.

მოცემული თემისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მონაცემებია დაცული რომაელი ისტორიკოსის აპიანეს თხზულებაში “რომის ისტორია”. მასში განსაკუთრებით საყურადღებოა XII ნიგნი — “*მითრიდატიკა*” [იხ. აპიანე 1959], რომელიც პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორის ომების ისტორიას გადმოგვცემს. ამ მონაკვეთის მიხედვით სამეფო არა მხოლოდ ტერიტორიულად იყო ახლო იბერია-კოლხეთთან, არამედ ძირითადად ქართველური მოსახლეობით იყო დასახლებული. აპიანეს წყაროებად მიჩნეული არიან — პოლიბიოსი, დიონისიოსი, ფაბიუს პიქტორი, ტიტუს ლივიუსი, იულიუს კეისარი, პლუტარქე, დიოდორე, სალუსტიუსი. აპიანე ინფორმაციას გვანვდის: მითრიდატე-პომპეუსის ბრძოლების; დასავლეთ კოლხეთში მითრიდატეს მოქმედებების და დიოსკურიაში (სოხუმში) გამოზამთრების; იბერიის მეფის არტოკეს ჯარის; პომპეუსის და იბერიის მეფე არტოკეს მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყართან ბრძოლების; პომპეუსის რომში ტრიუმფის შესახებ, სადაც ნახსენებია კოლხთა სკეპტუხი ოლთაკე და იბერთა სამი მეთაური; პომპეუსის მიერ კოლხეთში გამგებლად დანიშნული არისტარქეს (აღმოჩენილია არისტარქეს სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტები); იბერიელთა აღჭურვილობის და საომარი ტაქტიკის შესახებ და სხვ.

იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს და მისი სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური მონაცემებია შემონახული არიანეს თხზულებაში — “*შავი ზღვის გარშემო პერიპლუსი*” [იხ. ფლავიუს არიანე 1961], რომელიც იმპერატორ ადრიანესადმი გაგზავნილ სამსახურეობრივ ანგარიშს წარმოადგენს. კვინტუს ეპიუს ფლავიუს არიანე (95 - 175 წწ) დაიბადა მცირე აზიის ქალაქ ნიკომედიაში, წარჩინებულ ოჯახში. მან კარგი განათლება მიიღო. არიანემ წარმატებული სამხედრო კარიერა გაიკეთა. ის 131-137 წწ. კაპადოკიაში რომის იმპერატორის ლეგატი იყო და ამ პროვინციას სამხედრო-ადმინისტრაციულად მართავდა. “*პერიპლუსი*”, არიანეს მიერ მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით საინსპექციო დათვალიერება-საქმიანობის ანგარიშია, რომელიც გაეგზავნა იმპერატორ ადრიანეს. არიანემ ქალაქ ტრაპეზუნტიდან ქ. სებასტოპოლისამდე (დღევანდელი სოხუმი) პირადად მოიარა შავი ზღვის სანაპირო და ზოგიერთი გამაგრებული პუნქტი დაწვრილებით აღწერა. ქ. სოხუმში არიანეს ლეგატობის დროინდელი საინსპექციო საქმიანობის დამადასტურებელი, ქვაზე ამოკვეთილი წარწერაა აღმოჩენილი. არიანეს “*პერიპლუსის*” მთავარი ღირსებაა ის, რომ ავტორი თვითმხილველია იმისა, რის შესახებაც მოგვითხრობს. არიანეს მიხედვით, აფსაროსი (დღევანდელი გონიო) იმპერიის სასაზღვრო სიმაგრეთა სისტემაში ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია. აქ ხუთი კოჰორტა იყო განლაგებული. მეომრებს იარაღ-საჭურველი საკმაო რაოდენობით ჰქონდათ. აფსაროსის ციხესიმაგრეს მტკიცე კედლები ჰქონია, რომლებიც თხრილებით ყოფილა გამაგრებული. აქვე სამხედრო ჰოსპიტალი და სურსათის სტრატეგიული მარაგის შესანახი ნაგებობები იყო.

არიანე ფასისის (ფოთთან) ციხესიმაგრეზე საკმაოდ დაწვრილებით ცნობებს გვანვდის [იხ. გამყრელიძე 2002: 70-110]. ის, ციხესიმაგრის მოხერხებულ-მიუდგომელ თავდაცვით განლაგებაზე მიუთითებს. მოიხსენიებს საფორტიფიკაციო კედლებს და კოშკებს, რომლებზედაც “სამხედრო მანქანებია განლაგებული”. აღნიშნავს ციხესიმაგრის კედლებთან ორმაგი თავდაცვითი თხრილის არსებობას. აქვე მიუთითებს ციხესიმაგრის დამცველი ოთხასი მეომრის შესახებ. არიანე მოგვითხრობს, აგრეთვე ადგილობრივ მებრძოლთა რაზმებზე, რომლებიც გარკვეულ საფრთხეს უქმნიდნენ ქალაქ ფასისში გამაგრებულ რომაელებს. არიანეს ხელმძღვანელობით ციხესიმაგრე ფასისში სხვადასხვა

სახის საფორტიფიკაციო სამუშაოები ჩატარებულა. სებასტოპოლისის (სოხუმი) ციხესიმაგრეში ყოფნისას არიანე აღწერს ჯარის მდგომარეობას; ციხესიმაგრის ფორტიფიკაციას; მეზრძოლთა სურსათით და იარაღ-საჭურვლით მომარაგების მდგომარეობას და სხვ. არიანე გადმოგვცემს: “იმავე დღეს მოხერხდა ჯარისკაცებისათვის გასამრჯელოს მიცემა, ცხენების და საჭურვლის დათვალიერება, ცხენოსნების ვარჯიში; დაჭრილ-ავადმყოფების მონახულება, პურის მარაგის შემოწმება; ციხესიმაგრის კედლისა და თხრილის დათვალიერება” (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი ..., 10). არიანეს თხზულებაში “ალანთა წინააღმდეგ” დაცულია მნიშვნელოვანი ცნობა კოლხთა სამხედრო რაზმის შესახებ — “ჰოპლიტთა შემდეგ მოკავშირეთა ჯარი დაეწყო, ... ჰოპლიტები ტრაპეზუნტიდან; კოლხები და რიზელი შუბოსნები” (არიანე, ალანთა..., 7).

ისტორიოგრაფიაში დიონ კასიუსი ძირითადად სანდო და მცოდნე ისტორიკოსად არის მიჩნეული. კასიუს დიონ კოკეიანუსი (153-235 წწ.) მცირე აზიის ქალაქ ნიკეიდან იყო წარმოშობით. დაიბადა და აღიზარდა წარჩინებული სენატორის ოჯახში, მიიღო კარგი განათლება. მისი კარიერა წარმატებული გამოდგა; კონსული და იმპერატორთან დაახლოებული პიროვნება იყო. დიონ კასიუსის თხზულებებიდან მხოლოდ “რომის ისტორია” შემორჩა [დიონ კასიუსი 1966]. ეს ნაწარმოები ძირითადად რომის სამხედრო-პოლიტიკურ ისტორიას მოიცავს, სადაც ყურადღება, უპირატესად ფაქტების გადმოცემაზეა გამახვილებული. ძველი საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა დიონ კასიუსის თხზულების ის მონაკვეთები, სადაც ტრანსკავკასიაში რომის სამხედრო მოქმედებებია აღწერილი. მათში განსაკუთრებით ვრცლად რომი-პონტოს სამეფოს მესამე ომი, *ლუკულუსისა* და *პომპეუსის* ბრძოლებია გადმოცემული. აქვეა იბერიაში და კოლხეთში *პომპეუსის* ლაშქრობის ამბები. კერძოდ, დიონ კასიუსს, ყველა დანარჩენ ავტორებთან შედარებით, ვრცლად აქვს მოცემული პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის მარშრუტი და პერიპეტიები; იბერიის მეფე არტოკესთან ომი და შემდეგ დიპლომატიური მოლაპარაკება. აქვე, იბერიის მეფის, არტოკეს, ჯარის საომარი ტაქტიკაა აღწერილი. დიონ კასიუსს აგრეთვე მოეპოვება საყურადღებო ცნობა იბერიის მეფე ფარსმან ქველზე.

ძველი საქართველოს ისტორიის შესახებ მოკლე, ირიბ ცნობებს გვანვძიან სხვა ავტორებიც. კერძოდ: ჰიპოკრატე, არისტოტელე, ფსევდო სკილაქს კარიანდელი, პოლიბიოსი, ჰეკატეოს მილეთელი, პავსანია, ნიკოლოზ დამასკელი, სკიმნოს ქიოსელი, პომპონიუს მელა, იოსებ ფლავიუსი, კლავდიოს პტოლემეაიოსი, დიონისიოს პერიგეტი, ლუკიანე სამოსატელი, ალკიფრონი, პომპეუს ტროგუსი, გაიუს პატერკულუსი, მარკუს მანილიუსი, ლუციუს სენეკა, კვინტუს რუფუსი, გაიუს პლინიუს სეკუნდუსი, გაიუს სვეტონიუს ტრანკვილი [იხ. Латышев 1904; ყაუხჩიშვილი თ. 1957, 1965, 1967, 1976, 1977; ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა 1965, ტ. I-X], მოვსეს ხორენაცი და სხვ.

წყარო-მონაცემთა შორის ეპიგრაფიკულ მასალას თითქმის დოკუმენტის ღირებულება გააჩნია. ჩვენ თემატიკასთან დაკავშირებული წარწერები უმეტესად შესრულებულია ქვაზე ან ლითონზე და ხშირად არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული. ბერძნული წარწერა-გრაფიტოების აღმოჩენა ყველაზე ხშირია აღმოსავლეთ ხმელთაშუა და შავი ზღისპირეთის რეგიონებში. საქართველოში ბერძნული გრაფიტოები ძირითადად დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის, არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება, კერძოდ — ქობულეთის ფიჭვნარის, საირხის, ეშერის ნაქალაქარის, ოჩამჩირის, ვანის ნაქალაქარის, ბიჭვინთის ნაქალაქარის, სოხუმის ნაქალაქარის, ნებელდის და ფოთის არქეოლოგიური ძეგლების არტეფაქტებზე. საქართველოში ბერძნული გრაფიტოების რაოდენობა მცირეა და უპირატესად უცხოეთიდან შემოტანილ კერამიკაზე გვხვდება. ისინი ჯერჯერობით სულ 140 ერთეულამდეა დადასტურებული. დასავლეთ საქართველოს ხსენებული არქეოლოგიური ძეგლებიდან, ძირითადად ერთ, ორ ან სამ ასოიანი გრაფიტოები გაგვაჩნია [იხ. ნასიძე 2002: 10]. ასოების რაოდენობის სიმცირე მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ზრდის და ხშირად მეცნიერთა კამათის საგანია. გრაფიტოები, ძირითადად, გამომწვარ კერამიკაზე წამახვილებული რაიმე საგნით შესრულებული ნაკანრი წარწერაა.

ამნაირი წარწერა-გრაფიტოებით პიროვნებები, უმეტესად თავის საკუთარ ნივთს, რომელიმე ღვთაებისადმი შესაწირ სათანადო შიგთავსიან ჭურჭელს, სავაჭრო ზომა-წონას და სხვ. აღნიშნავდნენ. არსებობს მაგიური, შელოცვითი ხასიათის წარწერა-ნიშნებიც. გრაფიტოები ხშირად გამოისახებოდა ინიციალების, ლიგატურის, აბრევიატურის სახით. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჭურჭელზე და გადასატან ტარაზე დატანილი სავაჭრო აღნიშვნები. აღინიშნება თუ რა პროდუქტია (მაგ.: ზეთი, ღვინო, თაფლი, ლუდი და ა.შ.) ჭურჭელში და რა მოცულობისაა ის (მაგ.: რამდენი ხოა ან კოტილა), რა ფასი აქვს (მაგ.: რამდენი — 2 დრაქმა ან 3 ობოლი), როგორი თვისებებისაა (მაგ.: ნათელი ან მუყავე) და სხვ. ამ ტიპის გრაფიტოები მაღალგანვითარებულ სავაჭრო ქმედებაზე მიგვანიშნებს. ხშირად გრაფიტო მხოლოდ ერთ ასოიანია და შესაძლებელია ღვთაების სახელის პირველ ასოს წარმოდგენდეს. გრაფიტოების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს აბრევიატურას, რომლის თითოეული ასო რაღაცას აღნიშავდა და იმ ეპოქის საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მისი მნიშვნელობა კარგად იყო ცნობილი [იხ. Соломоник 1985: 77-91; Lang 1976: 1-5; ნასიძე 2002: 5-24; გამყრელიძე 2011: 172-181]. ქვემოთ მოგვყავს რამოდენიმე გრაფიტოს მაგალითი.

ქალაქ ფოთთან (ფასისი) — მდინარე რიონის და ზღვის შესართავთან, მალთაყვის სრუტის მარცხენა მხარეს და პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაპირთან არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ფრიად საყურადღებო ბერძნულ წარწერა-გრაფიტოიანი ამფორები აღმოაჩინა: მაგ.: ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის სინოპური ამფორა - BIK - გაშიფრა: [ამ] თიხის ჭურჭლით შეწერილია მაღალი ხარისხის [კოლხური?] [ღვინო]; ახ.წ. VI ს-ის ადგილობრივი, კოლხური ამფორა — Φα — გაშიფრა: ფასისში ვიყიდე [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2011: 172-181].

ეშერის ძვ.წ. III-IV სს. ნაქალაქარის (ქ. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით 8კმ-ზე) მონუმენტური ნაგებობის არქეოლოგიური გათხრებისას ბრინჯაოს ფირფიტის ნატეხები აღმოჩნდა, რომელზედაც ბერძნულად შესრულებული წარწერაა. ასოების სიდიდე $\approx 0,7 \times 0,6$ სმ-ია. ამ წარწერიდან, მისი ფრაგმენტულობის გამო, ძალიან ძნელია შინაარსის გაგება. წარწერიანი ნატეხები ქ. სოხუმის მუზეუმში ინახება. ეშერის ბერძნულენოვან წარწერაზე შემდეგი სიტყვები იკითხება, რომელთა თარგმანი ასეთია — “სამხედრო ძალა ...; შეძლება ...; სამეფო ხელისუფლება ...; აღება-დაუფლება ...; ქალაქი ...; საბრძოლო ნიშნა ...; წარმართვა ...; პირდაპირი ...; მამაცი ...”. წარწერას პალეოგრაფიულად ძვ.წ. III ს-ით ათარიღებენ. მისი შემორჩენილი, ზემოთ მოყვანილი სიტყვების მიხედვით შინაარსი შეიძლება ასეც აღვადგინოთ: საბრძოლო მოქმედებების შედეგად, მომხდურმა მტერმა აიღო ქალაქი. შემდგომ ქალაქის მეზობლებმა შეძლეს, ხელისუფლების სამხედრო დახმარებით, დაებრუნებინათ ქალაქი. ალბათ, ამ მოვლენის, ქალაქის აღდგენის, აღსანიშნავადაა ეს წარწერა შექმნილი [იხ. Каухчишвили 1985: 218; Инадзе 1988: 148].

მცხეთაში, მდ. მტკვრის მარჯვნივ, ბაგინეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, 75 წლით დათარიღებული ბერძნულენოვანი ე.წ. ვესპასიანეს წარწერა აღმოჩნდა. მასში ნახსენებია — იმპერატორი ვესპასიანე (69-79 წწ.), მისი შვილები ტიტე (იმპერატორი 79-81 წწ.), დომიციანე (იმპერატორი 81-96 წწ.). აქვე აგრეთვე ნახსენებია იბერთა მეფე მითრიდატე, ფარსმან მეფის შვილი. განსაკუთრებით საყურადღებოა ე.წ. ვესპასიანეს წარწერის ბოლო ნაწილი; კერძოდ: “... იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და ამბასპუსის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელების მომხრეს, და ხალხს (იბერიელებს) ეს კედლები გაუმაგრეს” [იხ. წერეთელი 1958: 14, ტაბ. I]. როგორც ჩანს, მეფე მითრიდატეს რომაული ორიენტაციის გამო რომის იმპერატორი ვესპასიანე იბერიის სამეფოს საფორტიფიკაციო აღმშენებლობაში ეხმარება და თავდაცვით კედლებს უმაგრებს, ანდა მათ გასამაგრებლად გარკვეულ თანხებს იხდის. ე.წ. ვესპასიანეს წარწერა ადასტურებს იმ სამხედრო-პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთინტერესს, რომელიც რომს და გაძლიერებულ იბერიის სამეფოს ჰქონდა ახ.წ. I ს-ში, პართიის სახელმწიფოს და მისი მომხრე არმენიის სამეფოს საპირისპიროდ. წარწერა, როგორც ჩანს, არმაზციხის საფორტიფიკაციო

ნაგებობაში, შესაძლოა კარიბჭეში იყო ჩამონტაჟებული, რათა რომი-იბერიის პოლიტიკური მეგობრობა საზოგადოებისათვის უფრო თვალნათელი ყოფილიყო.

თურქეთის ქ. ანკარასთან ძვ.წ. II ს-ის, კიბელას სახელზე აგებული ტაძრის კედელზე შემორჩენილია მონუმენტური წარწერა, რომელიც *“მონუმენტუმ ანკურანუმის”* სახელითაა ცნობილი. წარწერა ახ.წ. 14 წლისაა; ლათინურად ინტერიერში და პარალელური — ბერძნულად ექსტერიერშია ამოკვეთილი. *“მონუმენტუმ ანკურანუმის”* წარწერა 35 ნაკვეთისაგან შედგება და წარმოადგენს იმპერატორ ოქტავიანუს ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14წწ) მოღვაწეობის და ომების ამბების აღწერას. 31-ე მონაკვეთში, ჩვენთვის საყურადღებო ცნობებია დაცული. თარგმანში, კერძოდ — *“ჩვენი (რომაელების) მეგობრობა მოითხოვს ელჩების მეშვეობით... ბასტარნებმა, სკვითებმა და იმ სარმატთა მეფეებმა, რომლებიც ტანაისის გამოღმა და გაღმა არიან; ასევე ალბანთა, იბერთა და მიდიელთა მეფეებმა”* [Латышев 1904: 41]. ეს წარწერა მიგვანიშნებს იმაზე, რომ I ს-ში რომსა და იბერიის სამეფოს შორის ურთიერთმოძებნიანი რალაც ხელშეკრულება იყო დადებული. პომპეუსის იბერია-კოლხეთში 65 წელს ლაშქრობის შედეგად რომაელებმა ტრანსკავკასიაში მტკიცედ ვერ მოიკიდეს ფეხი. ამას აგრეთვე რომის პართიასთან ქიშპობაც უშლიდა ხელს. საყურადღებოა, რომ ამ წარწერაში იბერიის სამეფო, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერ მიდიელებთან ერთად, ერთ კონტექსტშია მოხსენიებული.

ქ. რომში აღმოჩნდა სამარხის სტელა, რომელზედაც ბერძნულად ამოკვეთილია 12 სტრიქონიანი ეპიტაფია; თარგმანი ასეთია — *“მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწა არის კასპიის კართან, იბერი იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან, რომელიც ააგო ნიკატორმა მიგდონის ზეთისხილოვან მდინარესთან. გარდაიცვალა თანამგზავრი ავზონთა წინამძღოლი მეუფისა, მისული პართელებთან საბრძოლველად, მიიცვალა უწინ ვიდრე გაისვრიდა ხელს, ძლიერ ხელს, მტრის სისხლში შუბის, მშვილდისა და მახვილის პირზე; ქვეითიცა და მხედარიც იყო...”* [იხ. ყაუხჩიშვილი 1976: 245]. ამ წარწერიდან ჩანს, რომ II ს-ის პირველ ნახევარში რომსა და იბერიის სამეფოს შორის კარგი ურთიერთობაა, იბერიის სამეფო პრორომაული ორიენტაციის სახელმწიფოა და რომს ეხმარება პართიის სახელმწიფოს წინააღმდეგ. წარწერის მიხედვით, იბერიელთა ლაშქარი, იბერთა მეფის მითრიდატეს ძმის, ამაზასპის მეთაურობით, რომაელების მხარეზე პართელების წინააღმდეგ იბრძვის.

იტალიაშივე, რომის სანავსადგურო ქალაქ ოსტიაში, მდ. ტიბრის შესართავის მარცხენა ნაპირზე — მარმარილოს ბრტყელ, დაზიანებულ, ფილას მიაკვლიეს — 17 X 14 X 2,2 სმ. ფილაზე ლათინურად დაწერილი შვიდი სტრიქონია შემორჩენილი. ასოების ამოკვეთილი მოხაზულობა I-II სს-ის ასომთავრულისათვის არის დამახასიათებელი. თარგმანი ასეთია — *“...სიანუს ... ფაბიანუს ... ფარსმანი (მეფე იბერთა) ... ით და მეუღლით ფრ... მისცა აპრილის კალენდებამდე ხუთი დღით ადრე მაისის ნონებამდე ერთი ... დღით ადრე გლადატორთა ...* [იხ. გამყრელიძე აღ. 1959: 135]. წარწერაში ნახსენებია იბერიის მეფე ფარსმან II (ქველი), რომელიც წერილობით წყაროებში კარგ, მორჭმულ სახელმწიფო მოღვაწედ არის შეფასებული. ეს ფარსმანივეა ნახსენები არმაზის ცნობილ ბილინგვის წარწერაში [წერეთელი 1942: 23]. დიონ კასიუსი გადმოგვცემს — *“... როცა ფარსმან იბერიელი ცოლთან ერთად რომში ჩავიდა (იმპერატორმა) გაუფართოვა, განუვრცო სამფლობელო, პატივი დასდო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეენირა; მისი ცხენზე მჯდომი ქანდაკება ენიალიონზე დადგა და მისი ვაჟკაცის და სხვა შეჭურვილი წარჩინებული იბერების სამხედრო-საბრძოლო ვარჯიშებს უცქერდა-აკვირდებოდა”* [დიონ კასიუსი, LXX, 2, 3].

მცხეთაში, არმაზში №4 სამარხის არქეოლოგიური შესწავლისას ბაზალტის ქვის სტელა აღმოჩნდა, რომელზედაც ბილინგვაა და სამეცნიერო ლიტერატურაში *“არმაზის ბილინგვის”* სახელითაა ცნობილი. პირველი, ზედა წარწერა ბერძნულია, ხოლო მეორე, ქვედა ე.წ. *არმაზულ-არამეული* დამწერლობით არის შესრულებული [იხ. წერეთელი 1942: 1-84; ყაუხჩიშვილი ს. 1951: 250; წერეთელი კ. 1992ა: 3-48]. ჩვენთვის საყურადღებო ნაწყვეტი ქართულად ასეა — *“... ფარსმან მეფის პიტიახშისა, მეუღლე იოდმანგანისა, (რომელიც) იმარჯვებდა და ამრავლებდა ადრე ჩადენილ საგმირო საქმეებს, (და არის) ეზოსმოდვარი*

ქსეფარნუგ მეფისა, ძე აგრიპასი, ეზოსმოდღერისა ფარსმან მეფისა (რომელმაც) სძლია მძლეველნი, რაც ფარნავაზმა (ან წინა ფარნავაზიანებმა) ვერ დაასრულა...” (სრული თარგმანი იხ. [გიორგაძე 1986: 159; წერეთელი კ. 1992: 48]. ამ წარწერიდან უპირველეს ყოვლისა ფრიად საყურადღებოა, რომ არამეული ტექსტის აქამდე გაუშიფრავი მერვე სტრიქონი ამოიხსნა, სადაც აღმოჩნდა, რომ ნახსენებია იბერიის მეფის, ქართლში სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმების გამტარებლის, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებლის ფარნავაზის სახელი [იხ. გიორგაძე 1986: 151]. აგრეთვე საყურადღებოა, რომ ამ ტექსტში მოხსენიებულია იბერიის მეფე ფარსმან II ქველი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია “ქართლის ცხოვრებიდან”, “მოქცევაი ქართლისაიდან” და დიონ კასიუსის თხზულებიდან. ამგვარად ეს ბილინგვა მნიშვნელოვანი წყაროა იბერიის სამეფოს I-II სს-ის სამხედრო-პოლიტიკური იერარქიის და სახელმწიფო წყობილების შესასწავლად.

მცხეთაში, არმაზში №4 სამარხის არქეოლოგიური კვლევისას, “არმაზის ბილინგვასთან” ერთად აღმოჩნდა ე.წ. №1 წარწერად წოდებული მონოლინგვა, ე.წ. არმაზულ-არამეული წარწერით, რომელიც მთლიანად დღემდე გაუშიფრავია. ამ ტექსტის შესახებ სპეციალისტებს გამოთქმული აქვთ ზოგადი შენიშვნები. მათი აზრით, წარწერა I ს-აა და ეხება მიჰრდატ (მითრიდატე) იბერიის მეფის სამხედრო გამარჯვებებს, რომელიც მან იბერიის სამეფოს მოსაზღვრე სახელმწიფოებზე მოიპოვა. წარწერაში გამაგრებული ადგილები და ციხესიმაგრეებია დასახელებული. ტექსტიდან ისიც ჩანს, რომ მეფე მითრიდატე, ისევე როგორც მამამისი ფარსმანი, არმენიის სანინალმდეგოდ რომსა და პართიას შორის ომში იყო ჩაბმული. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ტექსტში მოყვანილ გამაგრებულ ადგილთა და ციხესიმაგრეთა სახელების დამაჯერებელი და საბოლოო ამოკითხვა ვერ ხერხდება [იხ. გიორგაძე 1999: 186].

ქალაქ სოხუმში 132 წლით დათარიღებული ლათინურ წარწერიანი ფილა აღმოჩნდა - HADR.PER..FL(avium):A(trianum)...LEG. - რომელზეც ნახსენებია რომის იმპერატორ ადრიანეს, კაპადოკიის ლეგატი, სამხედრო-ადმინისტრატორი კვინტუს ეპიუს ფლავიუს არიანე (95-175 წწ). ჩანს, ეს წარწერა, არიანეს სებასტოპოლისის ციხესიმაგრეში სამხედრო-საფორტიფიკაციო საქმიანობის აღსანიშნავად არის ქვის ფილაზე ამოკვეთილი [იხ. Ломоури 1981: 25].

მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა რომაული სამხედრო შენაერთების არქეოლოგიურად დადასტურებული დამლები. ეს სამხედრო ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე, ძირითადად შავი ზღვისპირეთში, კოლხეთში იყვნენ განლაგებული. კერძოდ, ბიჭვინთა-პიტიუნტში, სოხუმ-სებასტოპოლისში, ფოთ-ფასისში, ციხისძირ-პეტრაში, გონიო-აფსაროსში და ა.შ. პიტიუნტის კასტელუმის ტერიტორიაზე აღმოჩნდა თიხის ფილის ფრაგმენტი, რომელზეც დამლაა - GXV. კასტელუმის დასავლეთ კარიბჭესთან დადასტურდა მეორე დამლაც. ეს დამლები ანალოგიების მიხედვით შესაძლოა ასე გაიშიფროს - LEG(IO)...XV(Apollinaris). ამ ლეგიონის ძირითადი დისლოცირების ადგილი იყო კაპადოკიაში, სატალაში. პიტიუნტ-ბიჭვინთაშივე, ინკიტის ტბასთან მდგარ საფორტიფიკაციო კოშკში გაითხარა თიხის ფილა, რომელზედაც ოთხკუთხა დამლაა - LEG(IO) [იხ. ლორთქიფანიძე 1963: 105]. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. მოედნის ნამოსახლარზეც ოთხკუთხა დამლიანი თიხის ფილა აღმოჩენილი — [თოდუა, მურვანიძე, 1997: 108]. ოთხკუთხა დამლიანი თიხის ფილა დადასტურებულია ქობულეთთან ციხისძირის ციხესიმაგრეში - VEX(illatio) FA(siana), რომელსაც ქალაქ ფასისის ციხესიმაგრისათვის დამზადებულად მიიჩნევენ [იხ. შპაიდელი 1985: 134; გამყრელიძე 2002: 86]. გონიო-აფსაროსში, ციხესიმაგრის ცენტრალურ ნაწილში, მოზრდილ ნაგებობაში არქეოლოგიურად გაითხარა დამლიანი აგურები. ერთზე იკითხება - COH(ors) II; ხოლო მეორეზე - (c)OH(ors) II. ისინი შეიძლება გაიშიფროს - Cohors II claudiana. აქვე აღმოჩნდა აგურის ნატეხი, რომელზედაც იკითხება - SAGI(taria), რომელიც მშვილდოსანთა კოჰორტას უნდა უკავშირდებოდეს. აფსაროსის ციხესიმაგრის ერთ-ერთი კოშკის გათხრისას დადასტურდა

სანათურ-ჭრაქი. მის ქვედა ფრიზზე ამოტიფრულია ლათინური წარწერა – C.COH.AVR.C.R. [დანვრ. იხ. მამულაძე და სხვ. 2001: 163].

ძველი საქართველოს ისტორიის შესასწავლად საყურადღებო წყაროა ე.წ. *შაპურის წარწერა*. წარწერა სამხრეთ-დასავლეთ ირანში, ძველ პერსეპოლისში (ამჟამად ქ. ისთახართან), ზოროასტრული რელიგიის *ზოროასტრის ქაბის*, ტაძრის კედელზე აღმოჩნდა. წარწერა შესრულებულია პართულ-ფალაურ, სასანურ-ფალაურ და ძველ ბერძნულ ენებზე [იხ. Sprengling 1953]. ამ წარწერაში მოთხრობილია სასანური ირანის მეფის შაპურ I-ის (240-272 წწ.) სახელმწიფო და სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. აქ ნახსენებია მის სამეფოში შემავალი ქვეყნები; მის მიერ წარმოებული ომები და სხვ. აქვე ნახსენებია იბერია, რომელიც პროსასანიდურ ქვეყნად ჩანს; აღნიშნულია იბერიის მეფე ჰამაზასპის შესახებ. კონტექსტის მიხედვით მეფე ჰამაზასპი სასანური ირანის ხელმწიფის მოკავშირე პიროვნება ყოფილა. ჰამაზასპი (ამაზასპი), რომელიც პროსასანური ორიენტაციისაა, ცნობილია "*ქართლის ცხოვრებიდანაც*", სადაც იგი მოხსენიებულია ძლევამოსილ მეფედ, კარგ სამხედრო მოღვაწედ. მას მის დიდ პაპას, ფარსმან ქველს ადარებენ.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში თავმოყრილია 750-ზე მეტი ქვაზე ამოკვეთილი წარწერიანი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომლებიც ძირითადად არქეოლოგიური გათხრებისას საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია მიკვლეული. ეს მუზეუმი მათი თავმოყრის მთავარი ცენტრია და აქ ინახება ქართული, ურარტული, არამეული, ბერძნული, ებრაული, ლათინური და სხვ. წარწერები. ეს მასალა ქვის ძეგლების ფონდშია თავმოყრილი. საყურადღებოა, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ურარტულ კოლექციაში ინახება: არგიშთ I, ძვ.წ. 786 წ-ს წარწერა; სარდურ II, ძვ.წ. 764 წ. წარწერა; სარდურ I-ის შვილის, ძვ.წ. 817 წ. 7 წარწერა; მენუას წარწერა ქვის ფილაზე ძვ.წ. 810 წ. მუზეუმის ლურსმნული დამწერლობით შესრულებული წარწერების ჯგუფში შედის აგრეთვე აგური, ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის (ძვ.წ. 604-562წწ) წარწერით. ლაპიდარიუმში დაცულია არამეული და ბერძნული ეპიგრაფიკის ნიმუშები. კერძოდ, *არმაზის ბილინგვა ე.წ. სერაფიტას ეპიტაფია*, III ს-ის ბერძნულ-არამეული წარწერა, რომელიც აღმოჩენილია 1940 წელს, მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს; I-II სს-თაა დათარიღებული არამეული წერილობითი ძეგლი, ე.წ. *შარავასის სტელა*; ბერძნული წარწერებიდან საყურადღებოა რომის იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა, რომელიც 1867 წ. აღმოაჩინეს მცხეთასთან მდ. მტკვრის კლდოვან ნაპირთან; მცხეთის ხუროთმოძღვრის ავრელი აქოლისის, IV ს. ეპიტაფია. საყურადღებოა აგრეთვე I-II სს. ძველებრაული წარწერები, რომლებიც მცხეთის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა და ამჟამად ეროვნულ მუზეუმშია დაცული. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაპიდარიუმის ფონდის მნიშვნელოვან რაოდენობას ძველი ქართული წარწერები შეადგენს. აქ მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღემატება [იხ. სილოგავა 1980; სილოგავა 1994].

ამრიგად, როგორც ზემოთ გამოჩნდა, ასეთია ის მცირე წყარო-მონაცემთა ბაზა, რომელთა ინტერპრეტაციას და კრიტიკულ განხილვას, მოცემული ეპოქის საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქცია ეყრდნობა. გარკვეულწილად მათ ემატებათ ანთროპოლოგიური და ფოლკლორული მონაცემებიც. კომპლექსში — წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების, ანთროპოლოგიური და ფოლკლორული მონაცემების კრიტიკულად განხილვის და მათი ურთიერთშეჯერების შედეგად შესაძლებელია საქართველოს გაბმული ისტორიის მეტ-ნაკლებად ერთიანი სურათის წარმოდგენა.



არქეოლოგიური ძეგლები (მცხეთა მიმოსილვა)

დ. კაჭარავა, ვ. ნიკოლაიშვილი, გ. გამყრელიძე

მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები.[©] მცხეთა, საქართველოს ძველი დედაქალაქი ცნობილია სხვადასხვა პერიოდის ისტორიულ-არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლებით. მათ შესახებ მოგვითხრობენ წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაცემები. ძველ ქრონიკა, „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“ ნახსენებია: „ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა...“ [იხ. ქც., I, 1955: 17-18]. ამჟამად ეს ტერიტორია ასე შემოიფარგლება: აღმოსავლეთით რკინიგზის სადგური ზაჰესი, დასავლეთით — ძეგვი, ხეკორძულას ხევი და ნასტაკისი, ჩრდილოეთით — მუხრანის სანახები, სამხრეთით — სანკეპელა-დიდგორის ქედი [აფაქიძე და სხვ. 1955]. ამრიგად, დედაქალაქობის პერიოდის ძველი მცხეთა მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ახლანდელ ქ. მცხეთასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძვ.წ. IV-III ათასწლეულის — ძვ.წ. V-IVსს., დედაქალაქობის დროინდელი — ძვ.წ. III — ახ.წ. IV-Vსს. და შემდგომი პერიოდის — ახ.წ. V-XVIIIსს. არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა შორის შემორჩენილია საკულტო, საერო და თავდაცვითი ნაგებობები.

ჯერ კიდევ 1844 წელს დასტამბულ სტატიაში პლატონ იოსელიანი აღნიშნავდა, რომ მცხეთაში არის ნანგრევები, რომლებიც შეუსწავლელიაო. 1867 წელს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ *დევის ნამუხლთან*, ბაგინეთსა და რკინიგზის ხიდს შორის, ქვათლილზე ამოკვეთილი ე.წ. *ვესპასიანეს* წარწერა აღმოჩნდა. ამ წარწერაში მოხსენიებულია რომის იმპერატორი ვესპასიანე და მისი შვილები, რომელთაც იბერიის მეფეს მითრიდატე ფარსმანის ძეს და ხალხს მცხეთის ერთერთი კედელი განუმტკიცეს. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1938 წელს ამ კედლის გაგრძელება მტკვრის მარცხენა სანპიროზე დაადასტურა; აქ აღმოჩნდა მოზრდილი ლოდებით შედგენილი გალავნის კედლი [იხ. აფაქიძე 1963; წერეთელი 1958].

1871 წელს „*კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების*“ ეგიდით ფ. ბაიერნი სამთავროს მინდორზე რამდენიმე სამარხს თხრის. აქ გაითხარა ქვის ფილებისაგან შედგენილი სამარხები. სადაც აღმოჩნდა კერამიკა, ლითონის იარაღები, სამკაულები და სხვ. ხსენებულმა ნივთებმა შემდეგ კავკასიის მუზეუმის ფონდები შეავსო [იხ. გამყრელიძე 2010ბ: 18].

1937 წ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა (ენიმიკი) ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური დაზვერვები არმაზისხევში ჩაატარა. 1938 წ. ჩამოყალიბდა მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ივ. ჯავახიშვილი; შემდეგ ს. ჯანაშია), რომელიც 1938-1940 წლებში მუშაობდა. 1948 წ. სამთავროს სამაროვნიდან 300 მ-ზე, შენობის საძირკვლის გათხრისას კრამიტსამარხები აღმოჩნდა. აქ მიცვალებულები გულადმა გაშოტილები დაუკრძალავთ. სამარხებში აღმოჩნდა: თიხის სამტუჩა დოქები, მინის სანელსაცხებლები, კამეებით შემკული საყურეები, ვერცხლის ბეჭდები, ბრინჯაოს ზარაკები, გიშრის, ქარვის, სარდიონის, მძივები და სხვ. ეს სამარხები ახ.წ. II სს-ით დათარიღდა [იხ. კალანდაძე 1949: 259-286]. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1938-1948 წლებში სამთავროს ველზე 500-მდე ორმოსამარხი შეისწავლა. 1953 წ. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, წინამურთან ძველი ნაგებობების ნაშთებს მიაკვლია. ექსპედიციამ სამუშაოები ჩაატარა: ე.წ. სამთავროს სამაროვანზე, გაითხარა ორმო და ქვევრსამარხები; ქალაქის ცენტრში მშენებლობის ადგილზე გაითხარა კრამიტსამარხები და სარკოფაგი, რომელშიც თიხისა და

© ვ. ნიკოლაიშვილი, გ. გამყრელიძე.

მინის ჭურჭელი, ოქროს და ვერცხლის გემიანი ბეჭდები; საყურეები, ვერცხლის კალამი და ძვლის სტილოსი; ავეუსტეს დენარები აღმოჩნდა. ეს სამარხი II-III სს-ით დათარიღდა. არაგვის ქუჩის დასაწყისში მეთუნეთა უბანი, I-II სს-ის სამაროვანი და IV სს-ის მარანი აღმოჩნდა [კალანდაძე 1959: 14-17]. 1965 წ. ქალაქ მცხეთის ჩრდ. ნაწილში, „მშრალ მონასტრად“ ნოდებულ ხევის ნაპირზე, გაითხარა ალიზით ნაგები გალავნის კარიბჭის შემორჩენილი ნაშთები. ის II-III სს. ალიზის კედელში დატანილი ქვიშაქვის ქვათლილებით მოპირკეთებულ შესასვლელს წარმოადგენს, რომლის ორივე მხარეს განლაგებულია კოშკები [კალანდაძე და სხვ. 1966: 29].

ჯერ კიდევ 1938-1940 წლებში ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური სამუშაოები სამთავროს სამაროვანზე ჩაატარდა. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ არმაზისხევის შესართავთან, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს ძველი აბანოს ნაშთები აღმოაჩინა. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის იმ დროინდელი ეტაპის შეჯამება იყო 1955 წელს გამოცემული მონოგრაფიული ნაშრომი — მცხეთა I (არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები). 1975 წლიდან ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით მცხეთაში არქეოლოგიური კვლევა განახლდა სამთავროს სამაროვანზე. აგრეთვე არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა — არმაზციხეზე, მცხეთის გორაზე, სვეტიცხოველთან და კარსნისხევეში. ხსენებულ ადგილებში სხვადასხვა ხანის ნამოსახლარ-ნაგებობათა ნაშთები გამოვლინდა, რომლებიც საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეზე მიგვანიშნებს იმ ეპოქის საქართველოში [დანვრ. იხ. კრებ. მცხეთა I-XII].

მცხეთაში გათხრები აგრეთვე მიმდინარეობდა: კარსნისხევეში, მუხათვერდთან, ბაგინეთზე, ახალ არმაზში, ქ. მცხეთაში, მცხეთის გორაზე, ნარეკვავში, ფიქრის გორასა, სამადლოზე; სვეტიცხოველთან გამოვლინდა II-VII სს-ის ქვით ნაგები შენობების კონტურები, კრამიტები [აფაქიძე და სხვ. 1978: 8-76; აფაქიძე და სხვ. 1981: 119-152; ნიკოლაიშვილი 2006: 94]. კოდმანთან გაითხარა ალიზით ნაგები სასიმაგრო ზღუდე და III-IV სს-ის კრამიტსამარხები. სამთავროს ველსა და საკუთრივ ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე გამოვლინდა ანტიკური პერიოდის ნამოსახლართა ნაშთები: მამულაშვილის ქუჩაზე ანტიკური ხანის და ადრეული შუასაუკუნეების ნამოსახლარის ნაშთები; სვეტიცხოველთან, ნამოსახლარის ნაშთებთან ერთად გვიანანტიკური ხანის სამარხებიც აღმოჩნდა. აქ ინვენტარის სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ქვიშაქვის ფილებით ნაგები ორფერდასახურავიანი სამარხი-აკლდამა №25, რომელშიც ქალი დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა: ყელსაბამი, საკიდები, მძივები, ბეჭდები, ბრინჯაოს სარკე, არდაშირ I-ის (226-242წწ.) მონეტა [იხ. აფაქიძე და სხვ. 1989ა: 41-45]. კოდმანში I-II სს-ის კრამიტსამარხები აღმოჩნდა. მათში დადასტურდა: თიხის ჭურჭელი, მინის სანელსაცხებლები, მძივები, ბეჭდები სარდიონის გემა-ინტალიოებით.

მცხეთასა და მის შემოგარენში სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებია აღმოჩენილი. ესენია ბრინჯაოს ხანის ძეგლები [დანვრ. იხ. ნიკოლაიშვილი 2006: 94; ნიკოლაიშვილი და სხვ. 1985: 149-150; სადრადე 1997: 9-11]. სოფ. ნატახტრის მახლობლად თბილისი-დუშეთის ტრასის 34-ე კმ-ზე, ნატახტარ I-ის სამაროვანზე გაითხარა კატაკომბური სამარხი — ოვალური ფორმის ორმო, რომელშიც მოწყობილი იყო ოვალური დასაკრძალავი კამერა, ასეთივე კონფიგურაციის თაროთი. აქ აღმოჩნდა: თიხის ჯამები, დერგები, ხელადა და სხვ. სამარხები ძვ.წ. 1800-1600 წლებით თარიღდება. სოფ. ნატახტართან, გაითხარა 2 გორასამარხი, 2 კატაკომბური და 2 ქვაყრილიანი ორმოსამარხი. გორასამარხებს (№7, 28) ჰქონდათ მრგვალი ან ოვალური ფორმის ქვაყრილი, ხოლო დასაკრძალავ ორმოებს — მომრგვალებული კუთხეები [იხ. Сапраძე 1993: 24-38, 38-55].

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები აღმოჩნდა: სამთავროს ველის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე გორაზე, რომელიც კოდმანის პლატოსაგან ხევებითაა გამოყოფილი, გაითხარა ადრერკინის ხანის ნამოსახლარი. სახლები ტერასულადაა გორაზე გამართული. ისინი წარმოადგენენ ერთოთახიან ნაგებობებს, რომელთა ერთი მხარე მიწაშია. გადახურვა ბანური. კედლების ნაწილი ფლეთილი ქვითა და ტალახითაა ნაშენი. კედლის შიდაპირი თიხალესილია. იატაკი — თიხატკეპნილი. სახლებში დაფიქსირდა დედაბოძისა და ბანური

სახურავის მზიდი სვეტებისათვის ამოთხრილი ფოსოები. სახლებში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი (ქოთნები, ჯამები, კოჭობი და სხვ.), საბეჭდავები, ციცხვი, ხელსაფეკავისა და სალესი ქვები, რკინის დანა, შუბისპირი და სხვ. სახლები დათარიღდა ძვ.წ. VII სს-ით [იხ. აფაქიძე და სხვ. 1978ა: 109-119; აფაქიძე და სხვ. 1981: 133].

ანტიკური პერიოდის სამარხები მცხეთაში გვხვდება: სამთავროს სამაროვანზე, სადაც გაითხარა 150-მდე ქვევრსამარხი. ისინი ძირითადად ჰორიზონტალურად იყო მინაში ჩაფლული. გვხვდება ვერტიკალურად ჩადგმული ქვევრებიც. მიცვალებული ქვევრში ხელფეხმოკეცილია ჩასვენებული. სამარხეული არტეფაქტებია: ღია მონითალო-მოყავისფრო, იშვიათად წითელი საღებავით მოხატული, მცირე ზომის თიხის ჭურჭელი (ჯამები, დოქები, ქოთნები, ორყურა სასმისები; რკინისა და ბრინჯაოს ზურგმედრეკილი სამაჯურები; ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს მავთულისგან დამზადებული საყურე-რგოლები; ზარაკები; ძვ.წ. II-ის მონეტები; 5ც. რკინის დანა; მძივები და სხვ. [თოლორდავა 1980: 47-56].

სამთავროს ველის სამხრეთ მხარეს სამი კრამიტსამარხი გაითხარა. სამარხები ნაგებია ღარისებური და ბრტყელი კრამიტებისგან. სახურავი ორფერდაა. დამხრობილია აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებს შორის. მათში აღმოჩნდა: მინის სანელსაცხებლე, ვერცხლის პართიული მონეტა; ვერცხლის ჭურჭლის ყური (ე.წ. დრაკონის გამოსახულებით); მინის ოთხკუთხა კორპუსიანი ბოთლი; მინის ორყურა სანელსაცხებლე; ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერის მინაბადი; ბრინჯაოს ზარაკი, მძივები (სარდიონის, ოპალის, გიშრის); თიხის სამტურჩა, ყელნიბოიანი ხელაღები, ჭრაქი; სანერი მონყობილობის კომპლექსი (სამარხი №6), რომელიც შედგება: ბრინჯაოს სამელნისაგან, ბრინჯაოს ოთხი წკირისაგან (სიგრძე 5,2 სმ-მდე) და ძვლის მრგვალგანივკვეთიანი სტილოსისაგან (სიგრძე 16,7 სმ) [იხ. აფაქიძე და სხვ. 1978: 68-75].

სამთავროს ველის ჩრდილო მხარეს გაითხარა 130 კრამიტსამარხები, თიხის ფილასამარხები და ორმოსამარხები. მიცვალებულის დაკრძალვის პოზა: უფრო ადრეულები — ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ხოლო გვიანდლები ზურგზე გამოტოლი. სამარხებში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი — ქოთნები, ხელაღები შემკული ამოზრცული კოპებით, ყელნიბოიანები, სამტურჩები და სხვ.; მონეტები — გოტარზეს დრაქმები და ავგუსტუსის დენარები (ძვ.წ. 30-ახ.წ. 14); სამკაული — ბრინჯაოს გემებიანი ბეჭდები, ვერცხლის და ოქროს საყურეები; ლითონის ჭურჭელი — ბრინჯაოს ჭურჭელი და ვერცხლის ფიგურული თეფში, კოვზები; ტუალეტისა და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები — ბრინჯაოს სარკე, ზარაკები, ბრინჯაოსა და რკინის საკინძები; მძივები — ალმადინის, სარდიონის, კვარცის, ქარვის, მინისა და სხვ. სამარხები ახ.წ. I-II სს-ით დათარიღდა [იხ. Ивашенко 1980].

სამთავროს ველის ჩრდილოეთით მდებარე ბაიათხევის მარცხენა ნაპირზე, საცხოვრებელი სახლისათვის გაჭრილ ქვაბულში გაითხარა ახ.წ. I-II სს-ის ნამოსახლარი. აქვე აღმოჩნდა კრამიტსამარხები, ორმოსამარხები და თიხის ფილასამარხი. მათში მიცვალებულები დაუკრძალავთ გულადმა, გამოტოლი, თავით აღმოსავლეთისაკენ დამხრობილნი. სამარხებში აღმოჩნდა: მინის სანელსაცხებლები, თიხის ჭურჭელი, რკინის ბეჭდები, ბრინჯაოს ფიბულა; მინის, გიშრისა და სარდიონის მძივები; მონეტები — ავგუსტუსის ვერცხლის დენარები; გემიანი ბეჭდები; ოქროს საკიდები; ლურჯი მინის საბეჭდავი, თიხის სამტურჩა ხელაღები და სხვ. სამთავროს ველზევე გაითხარა სამარხი-აკლდამა (№970). აკლდამაში აღმოჩნდა კერამიკა, ოქროსა და ბრინჯაოს საკიდები, ვერცხლის გემიანი ბეჭედი, თევზის გამოსახულებიანი გემიანი ბეჭედი. სამარხი III ს-ით თარიღდება [აფაქიძე და სხვ. 2001: 25-26]. მცხეთაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე გამოვლინდა 58 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი [იხ. ნიკოლაიშვილი და სხვ. 1985: 132-135].

მცხეთის ცენტრში სვეტიცხოვლის კომპლექსი დგას, რომელშიც შედის: ეკლესია, გალავანი, კარიბჭე, სამრეკლო, საეკლესიო პირთა საცხოვრებლები. სვეტიცხოვლის პირველი ეკლესია აშენდა IV ს-ში. V ს-ში აქ ქვის ბაზილიკური ტიპის ეკლესია აშენდა. აქვე 1010-1029 წწ. 49 მ სიმაღლის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია აიგო [იხ. ბერიძე 1948: 135-164].

სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთით, გაითხარა ნამოსახლარის 3 ფენა. აქ შემდეგი სტრატოგრაფია დადასტურდა: ზედა — გვიანი შუა საუკუნეების ფენა; IX-XV სს-ის ფენა, რომელშიც აღმოჩნდა რიყის ქვით ნაგები სწორკუთხა ფორმის სათავსი, პურის საცხობი თიხის ლუმელი, ქვევრები, კერები, თიხის წყალსადენი მილები; VI-VIII სს-ის ფენა, რომელშიც აღმოჩნდა ფლეთილი ქვისგან ნაგები კედლები; მინისა და მონითალო-ყავისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები; ბრინჯაოს ზარაკი, ოქროს ბეჭედი სარდიონის თვლით, რომელზეც ამოკვეთილია ინტალიო — მორბენალი ქურციკის პროფილი [აფაქიძე და სხვ. 1978: 64-67].

სვეტიცხოვლის გალავანთან, ნამოსახლარის გვერდზე გაითხარა 21 სამარხი. მათ შორის არტეფაქტების სიუხვით გამოირჩევა ორფერდასახურავიანი თიხის ფილებით ნაგები სამარხი აკლდამა №25, რომელშიც 20 წლის ქალი დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა: მინის, ვერცხლისა და ოქროს ნივთები — ყელსაბამი, მძივები, ბრინჯაოს სარკე, გიშრის სამაჯური, არდაშირ I-ის (226-242) მონეტა [იხ. ნიკოლაიშვილი და სხვ. 1985: 132-135].

არმაზისხევის ნამოსახლარი და ნეკროპოლი მდებარეობს არმაზისწყლის შესართავთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირის ტერასაზე, მცხეთის რკინიგზის სადგურიდან 2 კმ-ზე (ფართობი 1 ჰა). აქ გათხრები ჯერკიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში ჩატარდა. გათხრების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის ძეგლები. აქ გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები. მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები კი ახ.წ. I სს-დან შუსაუკუნეებამდე პერიოდს ეკუთვნის. აღმოჩნდა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები და სხვადასხვა ტიპის სამარხები.

არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლი ცნობილია, როგორც ქართლის სამეფოს მესვეურების რეზიდენცია. აქ განლაგებული იყო სასახლე, აბანო, მარანი და I-IV და IV-VIII სს-ის სამაროვანი (გაითხარა 150-მდე სამარხი — ორმოსამარხები, სარკოფაგები, ქვის ფილებით ნაგები სამარხები, კრამიტსამარხი. II-IV სს-ის სამარხებში გამოიყო ე.წ. ერისთავთა სამარხები: ბანურსახურავიანი და ორფერდასახურავიანი ორი სარკოფაგი (№6, 7) და კარგად გათლილი ქვის ფილებით ნაგები შვიდი სამარხი, რომელთა კედლისა და სახურავის ფილები გადაბმული იყო რკინის სამაგრებით; იატაკი სამარხებს ქვით ან კერამიკული ფილებით ჰქონდათ მოგებული. სამარხებში აღმოჩნდა ოქროს ნივთები: სატევრის გარსაკრავი, საბეჭდავი, სარტყელი, დიადემა, სამაჯურები, ყელსაკიდები, სანვივე რგოლები, აბზინდები, საყურეები, ბეჭდები, კილიტები, საკინძები, თილისმა, ცხენის აღკაზმულობა და სხვ. ვერცხლის ჭურჭელი: სასმისები, სურები, ლანგრები და სხვ. მინის სანელსაცხებლები, რკინის სატევარი; ოქროს აურეუსები, დენარები და სხვ. ეს სამარხები თარიღდება II-III სს-ით [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955: 22-105]. სამარხებში აღმოჩენილ ზოგიერთ არტეფაქტზე წარწერა დასტურდება [იხ. ყაუხჩიშვილი 1941: 169-175; ყაუხჩიშვილი 1951; ინგოროყვა 1941: 411-419; Церетели 1948ა: 360].

არმაზისხევის უბნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მეორე ტერასის კიდეზე გამოვლინდა 23 X 9 მ ზომის აბანოს ნანგრევები. აბანოს საძირკველი ამოყვანილია რიყის ქვით. გადახურული ყოფილა კრამიტით. აბანო შედგება გასახდელი ოთახის, საცეცხლისა და ცხელი, თბილი, ცივი განყოფილებისაგან. აუზის კუთხეებში დატანილი წყლის გასასვლელი მილები უერთდება არხს, რომელიც საძირკველს მიჰყვება და მდ. მტკვარში ჩაედინება. გათბობის სისტემა — ჰიპოკაუსტი, კალორიფერი და საკანალიზაციო არხები ცხელი და თბილი აბანოს ქვეშაა. აქ განლაგებულია მრგვალი და ოთხკუთხა აგურებისაგან ნაგები 1 მ სიმაღლის სვეტები. ეს სვეტები კერამიკული ფილებით იყო გადახურული. აბანო რომაული ტიპის არის და II-III სს-ით თარიღდება [აფაქიძე 1963: 34]. აბანოს სამხრეთ-აღმოსავლეთით ქვითკირის ორსენაკიანი, ე.წ. ზღურბლიანი ნაგებობის ნაშთები გამოვლინდა. აქ შემორჩენილია: არქიტრავის ნაწილი, სვეტისთავი, კრამიტის ნატეხები და ბაზა [აფაქიძე და სხვ. 1955: 160-164]. არმაზისხევის მარჯვენა ნაპირზე ქვევრებიანი, 4,5 X 9 მ ზომის მარანი აღმოჩნდა. ქვევრებს რელიეფური სარტყლები დაუყვება. ე.წ. ზღურბლიანი ნაგებობა, აბანო, ერთსენაკიანი ნაგებობა და მარანი ითვლება არმაზისხევის სამეფო რეზიდენციის კომპლექსად [დანვრ. იხ. აფაქიძე და სხვ. 1955].

არმაზისხევში სულ 123 სამარხი გაითხარა. აქედან სამი სხვადასხვა ეპოქის სამარხებია: 1. გვიანბრინჯაო-ადრერკინის — 9; 2. გვიანანტიკური პერიოდის — 10, ერისთავთა კუთვნილი სამარხია; 3. მათივე მომსახურე პერსონალის კრამიტსამარხი — 4; 4. IV ს-ის მდიდრული სამარხი-ქვაყუთი — 13; 5. დანარჩენი კი — IV-IX სს-ს ქვაყუთებია. ერისთავთა სამარხებში ოქრო-ვერცხლისა და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული უმდიდრესი ნივთებია აღმოჩენილი: ინსიგნიები, სამკაული, ტორევეტიკის ნიმუშები, მონეტები და სხვ. ნივთების ნაწილი ადგილობრივ სახელოსნოებში ჩანს დამზადებული, ნაწილი კი უცხოურ იმპორტს წარმოადგენს. ეს ვითარება კი იმ პოლიტიკური თუ სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების ამსახვლია, რომელიც ჰქონდა იბერიის სამეფოს ანტიკური ცივილიზაციის ქვეყნებთან, რასაც წერილობით წყაროებშიც ადასტურებს [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955].



არმაზისხევის სამხრეთით ზეგან-ბორცვზე, არმაზისხევის კანიონის მარჯვენა მხარეს ადგილ *კაცითავანასთან* საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს. აღმოსავლეთით, ხელოვნურად განმხოლოებული ქედის ნაწილი დაცული ჩანს ზრუდე-გალავნით, რომელიც 23 მ-ზე გამოვლინდა. დადასტურდა 6 ურთიერთმონაცვლე ფენა — ადრეული შუსაუკუნეებიდან ადრეელინისტური ხანის ჩათვლით. აღმოჩნდა ქვის საფუძველზე ალიზით ნაგები 6.20 X 6.60მ. ზომის კოშკის საძირკველი. აქ გამოვლენილია ძვ.წ. III ს. ე.წ. სამადლოს ტიპის კერამიკა [იხ. ნიკოლაიშვილი 2016: 207-2015]. კაცითავანადან, არმაზისხევის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქართლის ქედის ფერდობზე მდებარეობს არმაზციხე.

არმაზციხის ანუ ბაგინეთის არქეოლოგიური ძეგლი ქ. მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, ქართლის მთის ტერასებზე მდებარეობს. მას ჩრდილოეთიდან მდ. მტკვარი, აღმოსავლეთიდან კარსნისხევი, ხოლო დასავლეთიდან არმაზისხევი შემოსაზღვრავს. არმაზციხე საისტორიო წყაროებში მოიხსენიება — *მოქცევაი ქართლისაჲში, ქართლის ცხოვრებაში* [მქ 1963: 82,95; ქც I,1955: 8,19,43 ა.შ.], აგრეთვე, სტრაბონის, პტოლემეაოსის, დიონ კასიოსის, ვახუშტი ბაგრატიონის და სხვა თხზულებებში. არმაზციხის საფორტიფიკაციო სისტემა მცხეთის აკროპოლისს წარმოადგენდა. არმაზციხე-ბაგინეთი და არმაზისხევი — მდ. მტკვრის ტერასით ერთიანი და ერთი დროის კომპლექსი იყო.

1890 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით არმაზციხეზე გამოვლინდა მიწისზედა ნაგებობის ნანგრევები და მოხატულ შელესილობაზე, ქალის გამოსახულებიანი ფრაგმენტი [იხ. კავლელაშვილი 1996: 133-149, გამყრელიძე 2010ბ: 24]. მე-20ს-ის 40-იან წლებში არმაზციხეზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ახ.წ. I-IV სს.

გალავნის ნაწილები, კომპები, ბურჯები, სვეტებიანი დარბაზი, ტაძარი, აბანოები, წყალსადენი, მაგზოლუუმის ნანგრევები; ნაგებობები ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით იყო გადახურული. 1943-48 წლებში არმაზციხეზე ს. ჯანაშიას და ან. აფაქიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. მაშინ აქ აღმოჩნდა სამი პერიოდის ნაგებობები: ქვედა — არმაზციხე I, — IV-III სს.; შუა — არმაზციხე II — ძვ.წ. III-II სს.; ზედა — არმაზციხე III — ახ.წ. I და მომდევნო საუკუნეები. გამოვლინდა მშენებლობის ორი საფეხური. პირველი: უმთავრესი სამშენებლო მასალა ქვათილი და ალიზის აგურია. ალიზის აგურის კედლები ქვათილითა საფუძველზეა ამოყვანილი. თვით ქვათილები ჩასმულია კლდეში ამოკვეთილ ბუდეებში და ერთიმეორესთან მჭიდროდ არის გადაბმული. წყობა უდულაბოა. მეორე: მშენებლობაში გამოყენებულია დულაბი.

არმაზციხის ე.წ. სვეტებიანი დარბაზი წაგრძელებული, მართკუთხა მოყვანილობის ნაგებობაა, რომელიც ქვედა ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ის ქვემოთ მოყავისფრო-მონაცრისფრო ქვიშაქვის მოზრდილი ქვათილებითაა ნაგები, ხოლო ზემოთ ალიზის აგურის წყობით არის ნაგები. კედლების სიგანე 160 სმ-მდეა; ინტერიერის კედლები ბათქამით შეუღესავთ (ზოგან შემორჩენილია). დარბაზის მთელ სიგრძეზე, ცენტრში, სამ-სამი მეტრის დაცილებით, ექვსი ბაზა აღმოჩნდა, რაც აქ სვეტების არსებობას ადასტურებს. ინტერიერის კედლებში, ქვათილების ზემოთ, ოთხკუთხა ფოსოებია ამოჭრილი; სჩანს, განკუთვნილი იყო თაროების დასამაგრებლად. ნაგებობას, სამი მხრიდან, ცოკოლი შემოუყვება. აღმოსავლეთ კედლის ფასადზე შესასვლელი კარის ღიობია, საიდანაც ოთხი საფეხურით შევდივართ დარბაზში. ე.წ. სვეტებიან დარბაზში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები; ძვლის, ქალის გამოსახულებიანი ფირფიტა; ოქროს ფურცლების ფრაგმენტები; ბალთა; ლურჯი, მწვანე და მონითალო ფერის მძივები; ბრინჯაოს ფარგალი და სხვ. ე.წ. სვეტებიან დარბაზს ძვ.წ. III ს-ით ათარილებენ [იხ. აფაქიძე 1963: 210; შუად. ლორთქიფანიძე 2002].



სვეტებიანი დარბაზის ჩრდილოეთით ე.წ. ორსენაკიანი ნაგებობა მდებარეობს. ის ქვათილებით ნაგები შენობის ერთიანი კომპლექსის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ჯერ კიდევ 1889 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა და დავით ქუთათელაძემ აქ არქეოლოგიური გათხრები აწარმოვეს. არქეოლოგიური გათხრები, ხანმოკლეობის მიუხედავად, საინტერესო და საყურადღებო გამოდგა. გაითხარა ნაგებობა, სადაც დადასტურდა სამი სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენა. ნაგებობის ნანგრევებში აღმოჩნდა ქვათილები, ალიზის აგური, მარმარილოს ნატეხები, მინისა და თიხის ჭურჭელი, მძივები, სპილენძის ცული და სხვ. ნაგებობის შემორჩენილ კედელზე გამოხატული ყოფილა ქალის

გამოსახულება [აფაქიძე 1963: 179; კავლეიშვილი 1996: 133]. ე.წ. ორსენაკიანი ნაგებობის ქვედა ფენა I ს-ის ნაგებობათა ნაშთს წარმოადგენს, ხოლო ზედა ფენა, რომელიც ქვატეხილით და კირხსნარით არის ნაგები, ადრეული შუა საუკუნეების უნდა იყოს. ჩრდილოეთით მდებარე სათავსოში გაითხარა წყალსადენი. ის დასავლეთ კედელში გამოდის და ცისტერნას უერთდება, რომელშიც წყალი გროვდებოდა [იხ. ნიკოლაიშვილი 2011].

არმაზციხის საფორტიფიკაციო სისტემა ოთხკუთხა კოშკებითა და ბურჯებით იყო გამაგრებული. ის სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენებს შეიცავს. არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა, რომ გალავანი ქართლის ქედს ქვედა მხარეს მიუყვება. არმაზციხის სამხრეთი მხარე ორმაგი ზღუდ-კედლით იყო შემოსაზღვრული. კოშკები მშრალი წყობის მოზრდილი ქვიშაქვის ლოდებით არის ნაგები. შემდგომი, III ს-ის, კედლის ფენა ნაგებია კარგად გათლილი ქვებით. ისინი ერთმანეთზე ძირითადად ლითონის სამაგრებით არის გადაბმული; ქვათლილები კლდეში ამოკვეთილ ღრმულეებშია ჩაწყობილი და დამრეც კლდეზეა განლაგებული. ქვათლილების წყობას ზემოდან ალიზის წყობა ედება. კედლის სიგანე 2-დან – 3 მ-მდეა. გალავანი ყოველ 10 მ-ში გამაგრებულია ბურჯებით. კოშკები გადახურული ყოფილა კრამიტით. არმაზციხის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს 3 მ. სიგანის კლდეკარი. შესაძლოა ეს მცხეთიდან არმაზციხეში შემოსასვლელს წარმოადგენდა. არმაზციხეში აღმოჩენილია გალავნის ნაწილები, კოშკები, ბურჯები, ნაგებობები (სვეტებიანი დარბაზი, რომაული ტიპის აბანო, ღია და დახურული წყალსადენი). მნიშვნელოვანი ნაგებობები გადახურული ყოფილა მცხეთური ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით [იხ. აფაქიძე 1963].



1993-1998 წლებში არმაზციხეზე ვახტანგ ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური გათხრები განახლდა. შედეგად, აღმოჩნდა ექვსაფსიდიანი ტაძარი, რომაული ტიპის ორი აბანო, აუზი და სახელოსნოს ნაშთები. პირველ ტერასაზე ე.წ. ორსენაკიანი ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოვლინდა გეგმაში ოთხკუთხა მოყვანილობის წარმართული ტაძარი. მისი ცენტრალური დარბაზის ფართობი 200 კვ.მ-ს აღწევს. ის ქვიშაქვის კარგად დამუშავებული ქვათლილებზე ამოყვანილი ალიზის კედლებით ყოფილა ნაგები და გადაუხურავთ წითლად შეღებილი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით. ტაძარი საფასადო მხარით აღმოსავლეთით არის დამხრობილი. ცენტრალური დარბაზის დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს ორ-ორი აბსიდა გაუმართავთ, სამხრეთით და


აღმოსავლეთით თითო-თითო. აბსიდებს შორის ხის კარკასებია შექმნილი (რომლის მხოლოდ ნაშთები შემორჩა). ცენტრალური დარბაზი დერეფნების მეშვეობით უკავშირდება დასავლეთით არსებულ მინაშენსა და მის პარალელურად განლაგებულ მარანს. მარნის იატაკში ჩასმულია ორ რიგად ჩამწკრივებული 16 ქვევრი. მათი საერთო ტევადობა 20 ტონაზე მეტია. ტაძრის ცენტრალური დარბაზის შუა ნაწილში ქვიშაქვის მოჩუქურთმებული, 1.27 მ სიგანის ბაზა აღმოჩნდა. მასზე, ჩანს ხის სვეტი ყოფილა აღმართული, რომელიც ქვის მოჩუქურთმებული კაპიტელით იყო დაგვირგვინებული. მისი სიგანე ბაზისის სიგანეს უდრის. ბაზისიცა და კაპიტელიც შემკულია რელიეფური, სამ ტალღად განლაგებული ვოლუტებით. ბაზაში ვოლუტებს ამოღარული ხეიბებიც ამკობს. გარდა ამისა, აბსიდებში მცირე ზომის კაპიტელებიც აღმოჩნდა. იქვეა 10-მდე ქვის ერთნაირი ნაოთხალი ლილვის მქონე თარგის დეტალები, რომლებიც ხის კონსტრუქციულ სქემაში უნდა ყოფილიყო ჩართული და მთლიანობაში კბილანებიან ფრიზს ასახავდნენ; ბაზისიც და კაპიტელიც ტოლფერდა ექვსკუთხედებია [Кипиანი 2006: 234]. ამ ტაძარში ქანდაკება მდგარა, რომელიც კვარცხლბეკზე ყოფილა აღმართული. კვარცხლბეკის ზომებია 0.70 X 0.70 X 0.32 მ. კვარცხლბეკზე ადამიანის ფიგურის ტერფების და ქუსლების ბუდეებია ამოკვეთილი. არმაზციხის ე.წ. *ექვსაბსიდიანი* წარმართული ტაძრის იატაკზე და მის გარშემო დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მცირე არქიტექტურული დეტალები. მარმარილოს ქანდაკების ნატეხები, რომლებიც სტილიზებული ლომის თავისა და თათის გამოსახულებებია და სავარძლის ან სანოლის ფეხის დამაგვირგვინებელი ნაწილებია [იხ. ნიკოლაიშვილი 2011].

ტაძარში აღმოჩნდა მონითალოდ და ჩალისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები [ნიკოლაიშვილი 1993]. უმეტესწილად გამოირჩევა სანყაო ხელალები სახედაშე ღვინისათვის, რომელიც სატაძრო მეურნეობისათვის იყო დამახასიათებელი. თიხის ბულა-სატვიფრავი, რომელზედაც პანთეისტური ღვთაებაა გამოსახული. ამგვარი ბულა კი გამოიყენებოდა რაიმე ფასეულობის, ამ შემთხვევაში სატაძრო ქონების ან საბუთის დასაღუქად; რკინის სამფრთიანი ისრისწვერები, აბჯარ-ბეგორის ლითონის ფირფიტები, ქვის ბირთვები კატაპულტისთვის და სხვა. არმაზციხის ე.წ. *ექვსაბსიდიანი* ტაძარი ახ.წ. I ს-ში ფუნქციონირებდა, ხოლო მისი განაგდურება ახ.წ. IV ს-ის I ნახევარში უნდა მომხდარიყო [იხ. ნიკოლაიშვილი 2011].

არმაზციხეზე 1995 წელს აღმოჩნდა რომაული ტიპის ანფილადური განლაგების აბანო (ზომები: 11.3 X 3.40-3.90მ); ნაგებია ქვატეხილებით და კირით. შესასვლელი (სიგანე 0.9 მ) სამხრეთიდან ჰქონია, შემდეგ ის გაუუქმებიათ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან გაუჭრიათ. გასახდელი და ცივი აბანო ერთ სათავსშია გაერთიანებული (ზომა: 4.60 X 3.80 მ). ცივი აბანოს დასავლეთი ნაწილი აბაზანას უკავია. ცივი აბანო 1.00 მ-ის სიგანის კარის ღიობით თბილ აბანოს უკავშირდება (ზომა: 2.4 X 3.40 მ). თბილი აბანო საკარე ღიობით (სიგანე – 1.00 მ) გადის ცხელ აბანოში (ზომა: 4.30 X 3.90 მ). მას ორი ნახევარწრიული მოყვანილობის ექსედრა აქვს, რომლებშიც აბაზანებია გამართული. ჩრდილო ნაწილში მცირე ზომის ოთხკუთხა აბაზანაა მოწყობილი. ყველა მათგანი ნაგებია თიხის ფილებით (37 X 18 სმ) და შელესილია ჰიდრაულიკური ხსნარით. გარდა ამისა, თბილ და ცხელ განყოფილებებში კედლებზე მოწყობილია თბოიზოლატორი, რომელიც პირველ სართულზე მდებარე გასათბობი განყოფილებიდან ცხელი ჰაერის ამოსასვლელად არის განკუთვნილი. ის ოთხშვერილიანი ფილებით არის ნაგები, რომელიც ექსედრის კედლებზე მიბჯენილ-მიმაგრებულია რკინის კავებით. ცხელი აბანოს გარეთ, პირველი სართულის დონეზე, აღმოსავლეთ კედელში გამართულია საცეცხლე, რომელიც დიდი ზომის ქვეთილებით არის ნაგები და დაგვირგვინებულია აგურფილებით ნაგები თალით (აგურფილების ზომები: 28.5 სმ. სისქე – 4,1 სმ). ცხელი აბანოს დასავლეთ მხარეს კერამიკული მილებით შედგენილი წყალსადენი უერთდება. ის 9 მ-ით დაცილებული კოლექტორიდან მოედინება (ზომა: 6.0 X 6.0 მ). აქედან მეორე მცირე ზომის მილსადენი ცივ აბანოში ჩაედინება. კოლექტორს აღმოსავლეთის მხრიდან უერთდება არხი. ის 10 მ-ით დაცილებული წყლის რეზერვუარიდან

(ზომა: 2.4 X 2.20 მ) მოედინებოდა (შემორჩენილია მხოლოდ საძირკველი, რომელიც რიყის ქვით და კერამიკული ფილების ჩანართებით არის ნაგები და შემტკიცებული კირხსნარით).

არმაზციხის №2 აბანო (გარე ზომა: 15.4 X 6 მ) ძირითადად ქვატეხილით არის ნაგები, რომელშიც ზოგან კერამიკული ფილებიც ურევია. აბანოს კედლებზე (სისქე 0.7 მ) შეინიშნება 2 სამშენებლო ფენა; კედლები 0.7 მ-ის სიმაღლეზე აგურფილებით არის ნაგები, შემდეგ (შემორჩენილია 1.7 მ-ზე) ქვატეხილების წყობა ამოდის. აბაზანების თავზე, აგრეთვე ექსედრებზე შეინიშნება თალოვანი გადახურვის ფუძე. ის კრამიტით ჩანს გადახურული. აბანოს უბანზე ორი კულტურული ფენა გამოიკვეთა: ქვედა 1) 0.8 –1.0 მ-ის სისქის კულტურული ფენა (ძვ.წ. I — ახ.წ. სს.) ძვ.წ. II-I სს-ის მასალას შეიცავდა — თეთრი ანგობით მოხატული თიხის ჭურჭელს, პირმოყრილ და ძირბრტყელ ჯამებს, რომლის ფსკერზე გამოსახულია „ბორჯღალი“. 2) ზედა ფენა — აბანო თავის ორი სამშენებლო პერიოდით, სადაც დადასტურდა II-III სს-ისათვის დამახასიათებელი კერამიკა და მინაშენები აბანოზე — ზოგადად გვიანანტიკური ხანით თარიღდება.



2011-14 წლებში არმაზციხეზე ვ. ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით გათხრები ჩატარდა. აქ ჯერკიდევ 1988 წელს გამოვლენილი ტაძრის და მარნის დასავლეთით აღმოჩნდა ქვათილებით ნაგები და კრამიტით გადახურული შენობები, რომლებიც სატაძრო კომპლექსთან ჩანს დაკავშირებული და მისი სინქრონულია. შენობებში აღმოჩნდა: მოზაიკური ფილები, სავარძლის ბრინჯაოს ფიგურული ფეხი, სარკე, რკინისგან

დამზადებული ქვის დასამუშავებელი და გადასაბმელი იარაღები (წერაქვები, სატეხები, პალოები, გამირები), აგრეთვე თიხის ჭურჭელი და სხვ. ე.წ. სვეტებიანი სასახლის დასავლეთით 6 სახლი გამოვლინდა — ქვის საფუძველზე ალიზით ნაგები. ისინი ერთ დონეზეა გამართული, ერთნაირი ტექნოლოგიითაა ნაგები, დაახლოებით ერთი ზომისაა (35-40 კვ.მ), ერთმანეთთან დაკავშირებულია საკარე ლიობების მეშვეობით და ბუნებრივია, ერთ დროს ფუნქციონირებდა. ამიტომ, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ის გარნიზონის სადგომად და საცხოვრისად (ყაზარმად) იყო გამოყენებული. ზემოაღნიშნულ სახლებში მწირი მასალა დადასტურდა: თიხის ჭურჭლისა და მინის ჭურჭლის ნატეხები და ძვლის სტილოსის ნაწილი. მსგავსი მასალები აღმოჩენილია ქართლის ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე და ისინი ახ.წ. II-III სს-ით თარიღდებიან [იხ. ნიკოლაიშვილი 1993]. აღსანიშნავია ძვლის სტილოსის აღმოჩენის ფაქტი. დღეისათვის 10-მდე ერთეულია აღმოჩენილი მცხეთა-ქალაქის ტერიტორიაზე (მაგ. სამთავროზე, ბაიათხევში) ბრინჯაოსა და ვერცხლის სამეღნეებთან ერთად და ცალ-ცალკე.

ე.წ. სვეტებიანი დარბაზის ჩრდილოეთით გაითხარა ორიგინალური სანიაღვრე (სარინელი), რომელიც ზემოთ აღნიშნული ნამოსახლარის ქვეშ შედის და როგორც ჩანს, კაპიტალური ნაგებობისათვის (შეიძლება სულაც სვეტებიანი დარბაზისათვის) წვიმის წყლის ნაკადის ასაცილებლად ყოფილა გაკეთებული და რამდენჯერმე განახლებული. გამოვლენილი სანიაღვრის საერთო სიგრძე 14 მ-ს აღწევს, ის ძირითადად ორჯერ განუახლებიათ, პირველად სანიაღვრე ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტით უკეთებიათ (სიგრძე 97-98 სმ. სიგანე განიერ ნაწილში 65 სმ. ვიწროში 51,5 სმ. გვერდის სიმაღლე 17-20 სმ.), ის 6,6 მ-ზეა შემორჩენილი დაზიანებული სახით. 2015 წელს არმაზციხეზე გათხრები ჩატარდა სვეტებიანი დარბაზის სამხრეთით, ექვსაფსიდიანი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით და მარნის ჩრდილოეთით, ასევე, ქალაქის საფორთიფიკაციო სისტემის კედელთან; განსაკუთრებით საყურადღებოა ახლად მიკვლეული თავდაცვითი კედელი, რომელიც ნაგებია ქვიშაქვის დიდი ზომის კვადრებით, მშრალი წყობით [იხ. ნარიმანიშვილი და სხვ. 2016: 98-118].

არმაზციხის სამხრეთით, ხეობის დასასრულს, კარსნისხევთან აღმოჩნდა ახ.წ. I ს. მეთუნე ხელოსანთა დასახლება (საწარმოვო უბანი და სამაროვანი). ნამოსახლარი სამფენიანია და ბორცვის ძირთან ტერასულადაა განლაგებული. შენობები ნაგებია ქვატეხილით და შემტკიცებულია თიხით. ნამოსახლარზე დადასტურდა ორი ტიპის სახლი: ერთსათავსიანი ნაგებობა (20კვ.მ) დერეფნით და ბანური სახურავით, მეორე სახის ნაგებობა ორფერდასახურავიანი ყოფილა — კრამიტით გადახურული. კარსნისხევის ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალები (ქვევრები, სამტურჩა და კოპებით შემკული ხელადები, სარწყულ-სადვინეები, ორყურა დერგები). ნამოსახლარის სიახლოვეს თანადროული მეთუნეთა ქურებიანი სახელოსნო აღმოჩნდა. იქვე დადასტურდა კრამიტსამარხებისგან შემდგარი სამაროვანი [იხ. ნიკოლაიშვილი 1993].

არმაზისხევის სათავესთან მდებარეობს შუასაუკუნეების, ტრაპეციის ფორმის გალავნიანი (28 X 27 მ) ციხე-დარბაზი. ის გალავნისა და ორსართულიანი კოშკისაგან შედგება. ნაგებია ფლეთილი ქვით. გალავნის სამხრეთ ნაწილში აღმართული კოშკის კუთხეები მომრგვალებულია. შესასვლელი მეორე სართულზე ჩრდილოეთიდან აქვს. არმაზისხევის მარჯვენა მხარეს ღვთისმშობლის სახელობის 14.3 X 8.2 მ ზომის დარბაზული ეკლესია მდებარეობს. ის ნაგებია ფლეთილი ქვითა და აგურით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელის თავზე მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა [Шмерлинг და სხვ. 1960: 28].

არმაზციხის ქვედა, კლდოვანი ფერდობის ძირში, 1951წ., გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით, მავზოლეუმის ტიპის აკლადამა გაითხარა. ეს ე.წ. მოგვთაკარის აკლადამა მცხეთის რკინიგზის სადგურთან, სამხრეთით 300მ-ზე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან მდებარეობს. ის ქვაბულში, მშრალი წყობით, ქვიშაქვის კვადრებით არის აგებული (9.1 X 4.5 მ). აღმოსავლეთ კედელში კარია დატანილი. იატაკი სწორკუთხა

ფილებით არის მოგებული. ორფერდა სახურავი ღარიანი და ბრტყელი კრამიტით არის დახურული. ქვაბულის ჩრდილოეთ კედელში მინაში ამოკვეთილია ქვის საფეხურები.

აკლდამის წინ თიხით მოტკეპნილი ეზოა გამართული (ზომა — 9 X 4.5 მ). ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ცხენი დაუკრძალავთ. აკლდამა გეგმაში ერთსენაკიანი ნაგებობაა (2.33-2.37 X 1.75 -1.8 მ). გარედან კედლები, გარდა აღმოსავლეთისა, უსწორმასწოროდ ნაწყობი ქვებითაა ნაგები. საფასადო მხარე კარგად დამუშავებული კვადრებითაა ამოყვანილი. დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. დაგვირგვინებულია მარტივლავგარდნიანი ფრონტონით. აკლდამა გაუძარცვავთ. აკლდამაში ქალისა და ბავშვის ძვლები აღმოჩნდა. აკლდამაში აღმოჩნდა: ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს აგრაფი, ოქროს საკიდები და ღილები, სალამურზე დამკვრელი ჭაბუკის მცირე ქანდაკება, მინის სანელსაცხებლები, მინის და თიხის ჯამები, ოქროს, მძივები, ვერცხლის და 10 ოქროს მონეტა. მათ შორის ყველაზე გვინდელია რომის იმპერატორ ვესპასიანის (69—79წწ) სახელით მოჭრილი მონეტა. აკლდამა ახ.წ. II-ის მიწურულთ თარიღდება [იხ. ციციშვილი 1990: 232-233].



მცხეთის მოგვთაკარის ეს აკლდამა, ანტიკური ხანის ერთადერთი არქეოლოგიური ძეგლია, რომელიც სახურავიანად შემორჩა. არმაზციხის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, კლდის შვერილზე, აღმოჩნდა კვადრებით ნაგები II ს. მეორე აკლდამაც [იხ. ლომთათიძე, ციციშვილი 1951: 641-648; ნიკოლაიშვილი, 2011: 44-45; მათიაშვილი 2016].

„არმაზციხე“ ბერძნულ-რომაულ წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება. სტრაბონი მას უწოდებდა ჰარმოზიკეს [ყაუხჩიშვილი 1957: 129]; პტოლემეაოსი — ჰარმაკტიკას [ლომოური 1955: 60]; დიონ კასიოსი — ჰერმასტუს [დიონ კასიოსი 1966: 103]. XVIII-XIX სს-ის ქართულ წყაროებში არმაზციხე მოიხსენიება „ბაგინეთის“ სახელით.

სამთავროს ნამოსახლარები და ნეკროპოლი (ფართობი დაახლოებით 17 ჰა) მდებარეობს მდინარე არაგვის მარჯვენა მხარეს — დღევანდელ ქალაქ მცხეთის ფარგლებში. აღმოსავლეთით მდ. არაგვია, დასავლეთით კოდმანის ვაკობი, სამხრეთით — მონასტრისხევი, ხოლო ჩრდილოეთით — ბაიათხევი. სამთავროზე არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ჯერ კიდევ XIX ს-ში. აქ გამოვლენილი ძეგლები ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი — ახ.წ. XIIIს-ით თარიღდება. შესწავლილია ოთხი ათას ექვსასზე მეტი სხვადასხვა ტიპის სამარხი. სამთავროს ველზე სატაძრო კომპლექსის, შემორჩენილი ფართობი 90 კვ.მ გაითხარა, რომელიც ქვის საფუძველზე ალიზით ყოფილა ნაგები და გადაუხურავთ კრამიტით. ტაძრის ცენტრალურ ნაწილში თიხისაგან გამოძერწილი, წრიული სარიტუალო კერა გაუმართავთ (დმ. -1.3მ). სატაძრო კომპლექსი — იქ აღმოჩენილი ინვენტარისა და C¹⁴ ის მიხედვით ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნით თარიღდება. აქვეა აღმოჩენილი 130-მდე ქვევრსამარხი. ისინი ძირითადად ჰორიზონტულად იყო მინაში ჩაფლული. გვხვდება ვერტიკალურად ჩადგმული ქვევრებიც. მიცვალებული ქვევრში ხელფეხმოკეცილია ჩასვენებული. სამარხეული არტეფაქტებია: ღია მონითალო-

მოყავისფრო, იშვიათად წითელი საღებავით მოხატული, მცირე ზომის თიხის ჭურჭელი (ჯამები, დოქები, ქოთნები, ორყურა სასმისები; რკინისა და ბრინჯაოს ზურგმედრეკილი სამაჯურები; ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს მავთულისგან დამზადებული საყურე-რგოლები; ზარაკები; 5 ცალი რკინის დანა; მძივები და სხვ). სამთავროს სამხეთ უბანზე ძვ.წ. XVIII- XVსს. სამარხებია აღმოჩენილი. მათ შორის გამოირჩევა სამარხი №243. სამარხში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩენილია რაპირისებური მახვილი [იხ. თოლორდავა 1980: 47-56]. სამხრეთის უბანზევე გაითხარა ერთ-ერთი მდიდრული სამარხი (სამარხი-აკლდამა № 905). აქ დადასტურებულ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ოქრო-ვერცხლის ნივთებთან ერთად აღმოჩენილია წარწერა: „(ეს ლანგარი) თირიდატი უფლისწულის საკუთრებაა“ [იხ. Apakidze და სხვ. 1994: 16-54].

სამთავროს ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა სამარხი №320. სამარხში მიცვალებული კევრზე იყო დაკრძალული. სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 1976 წელს აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორანამოსახლარი. მისი აღმოსავლეთი კალთები სამთავროს ველს უერთდება. ნამოსახლარი ტერასულადაა განლაგებული. ბანურსახურავიანი სახლები ნაგებია ქვატეხილითა და თიხით. ინტერიერში, მარცხენა კუთხეში ორგანყოფილებიანი პურის საცხობი ღუმელებია მოწყობილი. ღუმელზე მიშენებულ თაროებზე კი საკურთხევლებია გამართული. ზოგიერთ საკურთხეველზე თიხით ნაძერწი მცირე ანთროპომორფული ქანდკებები დგას. საცხვრებელი სახლის ეს სახეობა ერდოიან-გვირგვინოვანი ხალხური საცხვრებელი სახლის პროტოტიპს წარმოადგენს. სახლებში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი (ქოთნები, ჯამები, კოჭობი და სხვ.), საბეჭდავები, ციცხვი, ხელსაფქვავისა და სალესი ქევი, რკინის დანა, შუბისპირი და სხვ. სახლები დათარიღდა ძვ.წ. VIII-VII სს-ით [იხ. აფაქიძე და სხვ. 1978: 109-119; აფაქიძე და სხვ. 1981: 133]. სამთავროში გათხრებისას რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლია აღმოჩენილი. აქედან საყურადღებოა IV ს-ის ერთ-ერთი ეპიტაფია, რომელიც მცხეთაში ქალაქმშენებლობის განვითარებაზე მიგვანიშნებს: „აქ განვისვენებ მხატვართ-უხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელი აქოლისი...“ [დანვრ. იხ. ყაუხჩიშვილი 1943: 580].

ბელტისციხე (resp. ბებრისციხე) მცხეთაში, მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირას, ბაიათხევის შესართავთან, მის ჩრდილოეთით მდებარე ბორცვზეა აგებული ადრინდელ შუასაუკუნეებში. ის ციხადელისა და შიდა ეზოსაგან შედგება (ზომა — 100 X 60 მ). ციხე სამკუთხა მოყვანილობისაა და ნაგებია ქვატეხილ-კირხსნარით. მას კუთხეებში მომრგვალებულ კუთხეებიანი ოთხკუთხა კოშკები გააჩნია. ციხე-სიმაგრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმართულია მოზრდილი კოშკი — დონჟონი (ზომა — 10 X 8 მ), რომელიც ოთხსართულიანი ყოფილა. ორ კოშკში შემორჩენილია ისრის სატყორცნი საბრძოლო ღიობები. 1939, 1983, 2006-2007 წლებში ციხე-სიმაგრეში არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა. ამ სამუშაოების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის სასიმაგრო სისტემის ნაშთები და არტეფაქტები, რომლებიც ასახავენ ამ ძეგლის ფუნქციონირების პერიოდს — IV-XVIII სს. [იხ. ნიკოლაიშვილი და სხვ. 2009] საისტორიო წყაროებში ეს ციხე მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილთანაც: „ხოლო მცხეთის ჩრდილოთ არს ციხე ბელტისა.“ [ქც., IV, 1973: 351].

მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის საძირკვლის შესწავლისას, 2000-2001 წლებში განეული არქეოლოგიური სამუშაოების დროს აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის სამარხები. გათხრებისას პირველ — ზედა ფენაში, შუასაუკუნეების, უმეტესწილად დაზიანებული სამარხები ჩნდებოდა. მეორე — ქვედაფენა წარმოდგენილი იყო ახ.წ. II — IVსს სამარხებითა და მისი სინქრონული ე.წ. რომაული ტიპის აბანოს ნაშთებით. აქვე, აგრეთვე, ამავე ხანის რამდენიმე არქიტექტურული დეტალი აღმოჩნდა — ბაზა, ფრიზის ფრაგმენტი კარნიზითურთ და თიხის ანტიფიქსი. ქვედა ფენის სამარხები III-IV სს-ით თარიღდება. მათ შორის ინვენტარის სიუხვით, მრავალფეროვნებითა და უნიკალობით გამოირჩევა სამარხი — აკლდამა №14. სამარხში აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, მინის და სხვადასხვა მინერალებისაგან დამზადებული 25 დასახელების ნივთი. მათ შორის ვერცხლისა და ოქროსაგან დამზადებული სანერი მოწყობილობა — პენალი; სამი

კალამ-კალმისტარი ვერცხლის კოლოფშია მოთავსებული, რომელსაც ოქროს წარწერიანი ფირფიტით მორთული ვერცხლის სახურავი ახურავს. სახურავზე დამაგრებულია ბუდე, რომელშიაც ოქროს სამელნე ყოფილა ჩადგმული. ბუდეზე მოცემულია კომპოზიცია სამი მამაკაცის გამოსახულებით [იხ. Apakidze და სხვ. 2004: 105-123].

ლართისკარის არქეოლოგიური ძეგლი თანამედროვე მცხეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. აქ ღრმა, ამჟამად მშრალი ხევი მდ. არაგვის მარჯვენა მხრიდან ერთვის. ჩრდილოეთით, პარალელურად მეორე ხევი უერთდება, მას ბრინჯილელებს უწოდებენ. მათ შორის მდებარე ტერიტორია (30 ჰა ფართობი) უკავია სასიმაგრო სისტემას, რომელიც დედაქალაქობის დროინდელი მცხეთის ჩრდილოეთი კარიბჭე უნდა ყოფილიყო. ლართისკარი მტკვრის და არაგვის ხერთვისის ყველაზე ვიწრო ყელს წარმოადგენს და სტრატეგიულად მარჯვე ადგილია მუხრანის ველიდან მომხდურთავან თავის დასაცავად. სწორედ ამ მიზნით ჩანს აგებული ქვის საფუძველზე აღმართული 3 მ-მდე სიგანის ალიზით ნაგები კოშკებიანი ზღუდე-გალავანი, რომელიც ე.წ. ბრინჯილელებს მარჯვენა ნაპირს გასდევს ლართისკარის ზედა თხემიდან არაგვამდე. გალავანი გამოვლენილია არაგვის მარცხენა ნაპირზეც. ის არაგვის ნაპირიდან იწყება და საგურამოს ქედს ებჯინება. ლართისკარი ზღუდე-გალავანი თითქმის 0,5 კმ სიგრძეზეა გამოვლენილი. ზღუდეში ყოველი 50-55 მ-ის ინტერვალით ჩადგმულია ოთხკუთხა კოშკები (გარე ზომა — 7 X 7 მ; შიგა — 4.5 X 4.5 მ). ისინი ზღუდიდან 1 მ-ით არიან გამოწეული. კოშკები (სულ 6 კოშკია გამოვლენილი), სართულშორისი გადახურვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო, როგორც ზღუდე ისე კოშკები რიყის ქვის საფუძველზეა ნაგები და ამოყვანილია ალიზის აგურით (აგურის ზომა — 52 X 52 X 12 სმ). დაქანებულ ფერდზე საფეხურებად ამოთხრილია საძირკველი. ამგვარად მოსწორებულ ტერასაზე შექმნილია რიყის ქვის საფუძველი (2.30 X 1.40 X 3.00 მ), რომელშიც ზოგან გასამაგრებლად ხის ძელებიც ურევია (ხის მორებით შექმნილი საფუძველი რიყის ქვებითაა შევსებული). აღნიშნულ საფუძველზე ამოყვანილია ალიზის აგურებიანი კედელი, რომელიც თიხის ხსნარით არის შეკავშირებული. ლართისკარის საფორტიფიკაციო სისტემა წარმოქმნილი ჩანს ძვ.წ. IV—III სს-ში. ამაზე მეტყველებს იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები (ე.წ. სამადლოს ტიპის მოხატული და თეთრი ანგობით შემკული კერამიკა). სათანადო განახლებების შემდეგ, საფორტიფიკაციო სისტემა, როგორც ჩანს, ახ.წ. IV ს-ის დასაწყისშიც მოქმედებდა [იხ. ნიკოლაიშვილი 2005: 94-95]. ლართისკარის სასიმაგრო სისტემა არაგვის მარცხენა მხარეს, წინამურისკენაც ვრცელდება. აქ არაერთი არქეოლოგიური ძეგლია გამოვლენილი.

წინამურის არქეოლოგიური ძეგლები დღევანდელი სოფ. წინამურის თავზე, ჩრდილოეთით განლაგებულ სერზე მდებარეობს. წინამურის მოდამოებში მიკვლეულია ნამოსახლარის ნაშთები, რომელიც ანტიკურ წყაროებში მოხსენიებულ ქალაქ "სევსამორასთან" არის გაიგივებული [დანვრ. იხ. ყაუხჩიშვილი 1957: 129; აფაქიძე 1958: 119]. აქ 1953 წელს მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. წინამურზე აღმოჩნდა მშრალად გადაბმული თლილი ქვით ნაგები წრიული 16 მ. დმ. შენობა. აქ დადასტურდა ორი სამშენებლო ფენა. ერთი უძველესი, მშრალად ნაწყობი, რომელიც ელინისტური ხანით თარიღდება (წინამური I); მეორე კი დულაბზე ნაგები (წინამური II), რომელიც გვიანრომაული ხანით უნდა დათარიღდეს. გორის პლატოზე და კალთებზე დიდი რაოდენობით აიკრიფა კრამიტის ფრაგმენტები, რაც აქ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების არსებობაზე მიგვანიშნებს. წინამურის სერის ძირთან, თხრილის ქრილში დასავლეთით მიმართული კედლის ნაწილი ჩანს, რომლის სიგანე 3 მ-დე აღწევს და ქვატეხილით არის ნაგები. ეს კედელი, ჩანს, დედაქალაქობის დროინდელი მცხეთის თავდაცვის ზღუდის მეორე რიგს წარმოადგენდა ლართისკარის შემდეგ და იმ დამცავი სისტემის ნაწილი უნდა იყოს, რომელიც ანტიკური ხანის მცხეთას ჩრდილოეთიდან იცავდა. წინამურის სერის დასავლეთით, გზის პირას გაითხარა ახ.წ. I ს-ის ორფენიანი ნამოსახლარი და სამაროვანი, რომელიც ქვევრსამარხებისა და ორმოსამარხებისგან შედგება [იხ. აფაქიძე 1958: 119-140; 1963: 182-199].

ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი. მცხეთის შემოგარენში, ნარეკვავზე, მდინარე ნარეკვავის სანაპიროზე განლაგებულ ბორცვებზე გამოვლენილია ძვ.წ. VIII—VI სს. ნამოსახლარები. აქვე ბორცვების ძირზე და მუხრანის ველის დასაწყისში გამოვლინდა სინქრონული სამაროვანი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი სახლები წარმოადგენენ ხელოვნურად მოწყობილ ტერასებზე ქვა-ალიზითა და ხით ნაგებ ბანურსახურავიან ნაგებობებს (ფართობი საშუალოდ 30-40 კვ. მ). დასტურდება ამ ტიპის შენობათა ჩამოყალიბებული ინტერიერის დეტალები: პურის საცხობი ღუმელი და კედელზე მიდგმული რქისებურშვერილიანი საკურთხეველი; ხელსაფქვავეები, სხვადასხვა დანიშნულების თიხის ნაწარმი, ლითონის ნამგლები, მარცვლეულთა ნაშთები და სხვ. [იხ. დავლიანიძე რ. და სხვ. 1993].

სარკინეს არქეოლოგიური ძეგლი მცხეთის დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, შიომღვიმის მიდამოებში, სავანეთის ქედთან და ე.წ. *გრძელ მინდორზე* მდებარეობს. არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთით ე.წ. *ჯოჯობეთის ხევით*, დასავლეთით მცხეთა-შიომღვიმის სამანქანო გზით და *ზანგელიების ხევით*, სამხრეთიდან კი მდინარე მტკვარზე ჩამავალი ციცაბო კლდეებით შემოსაზღვრულ ფართობზე. სარკინეში არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 1946, 1954-1956, 1971-1975, 1979-1980 წლებში. აქ ანტიკური ხანის ნაგებობებს, რკინის საწარმოთა ნაშთებს და არქიტექტურულ დეტალებს მიაკვლიეს. შეისწავლეს ნაქალაქარის დასავლეთით მდებარე კარიბჭის კომპლექსიც. აქ კედლები ნაგებია რიყის ქვის საფუძველზე ალიზის აგურით (50 X 40 X 9 სმ) და მოპირკეთებულია ქვიშაქვის პირონებიანი 45 X 20 X 10 სმ ქვათილებით. ხის კარი შეჭედილი ყოფილა რკინის გარსაკრავებით. ციხესიმაგრის და რკინის სახელოსნოს ნაშთები *სავანეთის* ქედის ფერდზე და ე.წ. *გრძელ მინდორზე* დადასტურდა. სარკინეს ტერიტორიაზე აღმოჩნდა რკინის გამოსადნობი სახელოსნო, რომელიც რამდენიმე განყოფილებისაგან შედგებოდა. აქ დადასტურდა რკინის ცულები, რკინისტარიანი ნიჩაბი, რკინის ისრისპირები, შუბისპირები, იარაღების ნამზადები და სხვ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია *გრძელ მინდორზე* აღმოჩენილი კირქვის ორვოლუტიანი კაპიტელი, ქვიშაქვის ბაზა, ნახევარსვეტისა და ლავგარდანის ფრაგმენტები [აფაქიძე 1963: 206-214]. სარკინეში გამოვლინდა ტერასულად განლაგებული, ქვათილებით, ალიზის აგურითა და ხის მასალით ნაგები შენობების ნაშთები, რომელიც ბრტყელი და ღარიანი კრამიტით იყო გადახურული. იატაკი თიხის ფილებით იყო მოგებული. სარკინეს ნაქალაქარი ძვ. წ. II-I სს-ით თარიღდება [იხ. ბოხოჩაძე 1973: 36-45].

სარკინეში პირველი არქეოლოგიური სამუშაოები 1946 წელს ნ. ღამბაშიძემ ჩაატარა. მან აქ ანტიკური ხანის ნაგებობებისა და რკინის დასამუშავებელი სახელოსნოების ნაშთებს მიაგნო. ამ მიდამოებშივე 1954-1956 წწ.-ში გათხრებს აწარმოებდა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ან. აფაქიძეს ხელმძღვანელობით. გამოვლინდა ციხე-გალავნის ნანგრევები, ლითონის საწარმოთა ნაშთები და არქიტექტურული დეტალები. 1971-1975 წწ.-ში სარკინეში გათხრები ალ. ბოხოჩაძემ ჩაატარა. 1979-1980 წწ.-ში იქ სამუშაოები აწარმოა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის ექსპედიციამ. შესწავლილ იქნა ნაქალაქარის დასავლეთით მდებარე კარიბჭის კომპლექსი [იხ. აფაქიძე და სხვ. 1982: 211].

სარკინეს არქეოლოგიური ძეგლები ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს: საფორთიფიკაციო და კარიბჭის ნანგრევები, რომლებიც ძირითადად *სავანეთის* ქედთანაა დაკავშირებული და სახელოსნოს ნაშთები, რომლებიც ე.წ. *გრძელ მინდორზე* დადასტურდა. სარკინეს ამ ორ უბანზე აღმოჩნდა: ლითონის გამოსადნობი სახელოსნო, რომელიც რამდენიმე განყოფილებისაგან შედგებოდა. ამ სახელოსნოდან მომდინარეობს ნივთები: რკინის ცულები, რკინისტარიანი ნიჩაბი, რკინის ისრისპირები, შუბისპირი, ქვის სათლელი იარაღების ნამზადები, ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთი (ჭურჭლის ყური, ხელოსნის ხელსაწყო და სხვ.). სარკინეში, *გრძელ მინდორზე* გამოვლინდა კირქვის არქიტექტურული დეტალები. მათ შორის ორნამენტირებული სვეტის და ლავგარდანის ფრაგმენტები. გათხარა ტერასულად განლაგებული, ქვათილებით და ალიზის აგურით ნაგები შენობების ნანგრევები, რომლებიც დახურული იყო ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. იატაკი თიხის

ფილებით ყოფილა მოგებული. ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა: მინის ჭურჭელი, ნითელაკიანი ჯამები, ძვლის სამკაულები, ოქროს მძივები, სხვადასხვა ფორმის საკიდები, ვერცხლის ზარი, რკინის ლურსმნები, ბრინჯაოს ანჯამები და სხვ. აგრეთვე ქვიშაქვის ბაზის ფრაგმენტი, ხოლო იატაკის დონეზე გამოვლინდა დიონისესა და არიადნას ტერაკოტები. აქ მოპოვებული მასალა თარიღდება ძვ.წ. II-I სს-ით [იხ. ბოხოჩაძე 1973: 37-44]. გრძელი მინდორის ჩრდილოეთ ნაწილში კოშკი და გალავნის ნაშთი გაითხარა. ცენტრალურ ნაწილში კი აღმოჩნდა რკინის, ტყვიის და სპილენძის გამოსადნობი სახელოსნოების ნაშთები [იხ. აფაქიძე 1963].

ამრიგად, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებისა და ძველი მონაცემების საფუძველზე გამოიკვეთა მცხეთის გამაგრებული სისტემით შემოსაზღვრული ტერიტორია: ღართისკარი, სავანეთის ქედი, სარკინე-გრძელი მინდორი, ციხედიდისხევი, კაცითავანა-არმაზისხევი, არმაზციხე (ბაგინეთი), დევის ნამუხლი, ავჭალისკარი, წინამური, რომელიც ჩაენერა დიდი მცხეთის ცნობილ ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებში [იხ. ნიკოლაიშვილი 2016: 207-215].

ვანის ნაქალაქარი.[©] ვანის ნაქალაქარი თანამედროვე ქ. ვანის ტერიტორიაზე (ვანის მუნიციპ.), ქ. სამტრედიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 24 კმ-ის დაშორებით, მდ. სულორის (მდ. რიონის მარცხენა შენაკადის) ნაპირას მდებარეობს. აქ სიძველეთა აღმოჩენის ფაქტები ჯერ კიდევ XIX ს-ის შუახანებიდანაა ცნობილი; ინფორმაცია მათ შესახებ ადგილობრივ პრესაში პირველად 1876 წ. გამოქვეყნდა; პირველი მეცნიერული გათხრები კი ექვთიმე თაყაიშვილმა ჩაატარა 1896 წელს. 1936-1938 და 1946 წწ. ვანსა და მის მიდამოებში არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარდა ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. ვანის ნაქალაქარისა და ძველი ქალაქის ირგვლივ მდებარე ტერიტორიის (ე.წ. ვანის ქვეყნის) სისტემატურ გათხრებს 1947 წლიდან ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოვებს (ხელმძ. ნ. ხოშტარია 1947-1963 წწ.; ოთ. ლორთქიფანიძე 1966-2002 წწ.; დ. კაჭარავა 2002 წ.-დან) [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 7-42; ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 96-110; ლორთქიფანიძე და სხვ. 1972ა: 186-197; ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 198-242; თოლორდავა 1986: 79-92; კაჭარავა და სხვ. 1979: 7-37; Kacharava და სხვ. 2009: 237-315; კაჭარავა, და სხვ. 1986: 9-33; კაჭარავა, ხარაბაძე 2016: 60-97; კაჭარავა, ხარაბაძე 2018: 5-63; კვიციანი 2011: 99-108; ლორთქიფანიძე გ. 1972: 135-146; ფირცხალავა 2011: 54-62; ფირცხალავა და სხვ. 1986: 52-78; ფუთურიძე და სხვ. 1972: 111-134; ფუთურიძე 1986: 34-51; ჭყონია 1986: 93-115; ხოშტარია 1949: 297-308; ხოშტარია 1972: 81-95; ხოშტარია და სხვ. 1972ბ: 147-174; ხოშტარია და სხვ. 1972გ: 175-185; Хоштариа 1962: 65-80; Хоштариа 1979: 115-135; Kacharava და სხვ. 2008ბ: 51-79; Kacharava და სხვ. 2008ა: 97-111; Kacharava და სხვ. 2008ბ: 113-125; Kacharava და სხვ. 2008გ: 126-205; Kacharava და სხვ. 2009: 237-315].

წლების მანძილზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ქ. ვანში, ახვლედიანების გორად სახელდებულ, სამკუთხა მოყვანილობის დაფერდებულ ბორცვზე, 8 ჰა ფართობის ნაქალაქარია გამოვლენილი, რომელიც ბორცვის სამივე — ზედა, ცენტრალურ და ქვედა — ტერასაზეა განლაგებული. დასასახლებლად მეტად ხელსაყრელი ადგილია შერჩეული: გორას სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან საქვაბიასა და კაპრანიას ხევები ერტყმის, რაც მიუწვდომელს ხდის მას ამ მხრიდან მტრისათვის; გორა აკონტროლებს, ერთი მხრივ, ნაყოფიერ ველს და, მეორე მხრივ, მნიშვნელოვან სავაჭრო გზებს. მოპოვებული არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ვანის ნაქალაქარი ძვ.წ.

© დ. კაჭარავა.

VIII-I საუკუნეებით დათარიღდა და მის ისტორიაში ოთხი პერიოდი გამოიყო [იხ. ლორთქიფანიძე 1977: 14-24].

1. პირველი პერიოდი ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება. ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია ერთი კომპლექსით, თირის ქვით ნაგები საკურთხევლით და ცალკეული აღმოჩენებით კულტურულ ფენებში. კომპლექსი გამოვლენილია ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე. მას საკმაოდ დიდი ფართობი (90 კვ.მ) უკავია და შედგება ხის ნაგებობის ნაშთების, ნაცროვანი ფენის, რომლის სისქე ალაგ-ალაგ 2 მ-ს აღემატება, კერამიკული ფრაგმენტებისა და ცხოველთა ძვლებისაგან. კერამიკული მასალა ძირითადად შეიცავს სხვადასხვა დანიშნულებისა და ფორმის ჭურჭელს, ცხოველთა და ფანტასტიკურ არსებათა ქანდაკებებსა და მცირე ზომის საკურთხევლებს. აქვე დაფიქსირდა მცირე რაოდენობით ბრინჯაოს, ქვისა და ძვლის ნივთები. მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე მიჩნეულია, რომ საქმე გვაქვს რელიგიურ-საკულტო ხასიათის კომპლექსთან, რომელიც ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრით-VII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [იხ. თოლორდავა 2001: 37-47; ლორთქიფანიძე 1995: 41-49]. წინარეანტიკური ხანის თირის ქვით ნაგები ნაგრძელებული საკურთხეველი გაითხარა ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე. ქვებს ეტყობა ცეცხლის კვალი. ამ საკურთხეველს უკავშირებენ კერამიკის მძლავრ ფენას, რომელიც საგანგებოდ მოტანილ შენირულობადაა მიჩნეული [თოლორდავა 1986: 80-81].

2. მეორე პერიოდის (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი — IV ს-ის პირველი ნახევარი) არქიტექტურა შემორჩენილია როგორც ხის, ასევე ქვის ნაგებობების სახით. მათ შორისაა ნაქალაქარის ზედა ტერასაზე გათხრილი ხის სამლოცველო, რომელიც თიხით იყო შელესილი. მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები, რომელთა სიგანე 5 მ-ია და რომლებიც 8 მ სიგრძეზეა მოღწეული, ერთნაირი კონსტრუქციისაა: კედლების შიდა და გარე პერანგები ხის ძელებით არის ამოყვანილი; პერანგებს შორის სივრცე, რომელიც ამოვსებული იყო რიყის ქვებით და თიხით, ხის ძელებითვე ამოყვანილი ტიხრებით იყო შეკრული. დასავლეთ კედელს, რომელიც 25 მ სიგრძისა და 5 მ სიგანისაა, სავარაუდოდ, დერეფნის სახე ჰქონდა. ნაგებობა აღმოსავლეთისაკენ ღია იყო. კედლებს შორის მოქცეული ფართობი (9,5მ X 9მ) შევსებული იყო ყვითელი თიხნარით (იატაკის მომზადება). ნაგებობის გარშემო არეც საგანგებოდ იყო მომზადებული: ზედაპირის ნიველირებისათვის გამოყენებული იყო რიყის ქვები, რომლითაც ამოვსებული იყო ნაგებობის სამხრეთით და დასავლეთით არსებული ღარი. ნაგებობა დანგრეულია არა უადრეს ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრისა, ძვ.წ. V ს-ის დასასრულს ან IV ს-ის პირველ ნახევარში [კაჭარავა და სხვ. 1979: 30-33, სურ. 133].

თეთრი კირქვისა და თირის ქვებით ნაგები შენობების მცირე ნაშთები ზედა ტერასაზეა გამოვლენილი. ერთი მათგანი სტრატეგრაფიული მონაცემების საფუძველზე ძვ.წ. IV ს. დასაწყისით თარიღდება [კაჭარავა და სხვ. 1979: 35, სურ. 166-168].

ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდება ზედა ტერასაზე გათხრილი თირის ქვებით მოგებული რიტუალური მოედანი, რომლის ფართობი 12 კვ. მ-ს აღწევს. ითვლება, რომ რიტუალში გარკვეულ როლს ასრულებდა ცეცხლი, რისი შედეგი უნდა იყოს განითლებული თირის ქვები და მოედნის გარშემო თირის ზედაპირი. აღსანიშნავია, რომ მოედნის სიახლოვეს აღმოჩნდა ადგილობრივი თიხისგან გამოძერწილი ქალის (ქალღმერთის) ქანდაკება [კაჭარავა და სხვ. 1979: 35-36]. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ზედა ტერასის მონუმენტური საკურთხევლის ქვეშ აღმოჩენილი თირში ნაკვეთი კომპლექსი, რომელიც შედგება ღრმულის, ორი ურთიერთგადამკვეთი არხისა და ორი ორმოსაგან. სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიმართული არხის სიგრძე 26 მ-ა, შუა ნაწილისკენ მისი სიღრმე მატულობს და 1.50 მ-ს აღწევს, ბოლოებისკენ კი - 0.20 მ-მდე მცირდება. ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიმართული არხი, რომელიც ღრმულს უერთდება, 13 მ სიგრძისაა. მისი სიღრმე ღრმულისკენ მატულობს და 2.70 მ ხდება. ეს უკანასკნელი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გრძელდება, მაგრამ ვინწოვდება ღრმულის ზომების დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან ის ჩასილულია და ვერ გაინმინდა. რაც შეეხება

ორმოებს, ისინი არ არის ღრმა (0.30 მ). სავარაუდოდ ამ კომპლექსს ქტონიურ ღვთაებებთან დაკავშირებული საკულტო დანიშნულება ჰქონდა [კაჭარავა და სხვ. 1979: 36-37, სურ. 91].

ამ ეტაპის ნაგებობები ცენტრალურ ტერასაზე მეტად მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი. ჯერჯერობით დაფიქსირებულია მხოლოდ ბათქაშით შეღესილი ნაგებობის ნაშთები, რომელთაც უკავშირდება ძვ.წ. VI-IV სს-ების კოლხური კერამიკის, თიხის მცირე ზომის ქანდაკებები, ძვ.წ. V ს-ის ატიკური იმპორტი და სხვ. [Лордкипანიძე და სხვ. 1974: 38]. ამ დროიდან იწყება სამარხების გამართვა ნაქალაქარის ტერიტორიაზე. დღემდე გათხრილი 30 სამარხიდან მეორე პერიოდს განეკუთვნება № 6, 7, 8 და 11. მათგან ყველაზე ადრეულია №11 სამარხი, რომელიც ძვ. წ. V ს-ის შუახანებით თარიღდება. ამავე დროს ესაა ყველაზე მდიდრული სამარხი დღემდე აღმოჩენილთა შორის: მასში 1700-მდე ოქროს ნივთია აღმოჩენილი. სამარხი ცენტრალური ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა. ის კლდოვან დედაქანში ამოჭრილ ორმოში (3.0 X 3.7 მ) იყო გამართული, რომელშიც ხის სარკოფაგი (3.10 X 2.25 X 1.50 მ) იდგა. ამას მოწმობს სამარხ ორმოში რკინის ლურსმნების აღმოჩენა. სამარხი რიყის ქვაყრილით იყო დაფარული. ორმოში ოთხი ადამიანისა და ერთი ცხენის ნაშთი დადასტურდა. დაკრძალულთა შორის გამოიკვეთება მთავარი, რომელიც ორმოს ცენტრში იყო დასვენებული და მდიდრული ინვენტარი ჰქონდა ჩატანებული: ოქროს სამკაულის კომპლექტი — დიადემა, ფირფიტოვანი სამაგრი, მსხლისებური საკიდებითა და მძივებით შედგენილი თავსამკაული, სასაფეთქლეები და საყურეები, ყელსაბამები, სამაჯურები, ბეჭდები; აგრეთვე ფიბულა და სარტყლის მოსართავი ფირფიტები; თიხის, ბრინჯაოს, ვერცხლისა და მინის ჭურჭელი, ოქროს ზოდი. მას ფარავდა სუდარა, რომელიც ოქროს ღილაკებით, მილაკებითა და ორნამენტირებული ფირფიტებით იყო განწყობილი. ტანსაცმლის მორთულობის კუთვნილი უნდა იყოს ვერცხლის მრავალრიცხოვანი (5 000-მდე) წვრილი სამკაული (მძივები, მილაკები, საკიდები). გარდაცვლილისთვის საგზალიც გაუტანებიათ — თიხის ჯამებსა და შავლაკიან კილიკზე საქონლისა და ფრინველის ძვლები ეწყო. მთავარი მიცვალებულისთვის შეწირული სამი ქალბატონი, რომლებიც ასევე თავით აღმოსავლეთით, გამოტილი იყო დაკრძალული, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებით იყო შემკული, ოღონდ გაცილებით მცირე რაოდენობის [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 213-239].

ადრეული ეტაპის კიდევ 3 სამარხი (№6-8) გაითხარა, ოღონდ ქვედა ტერასაზე ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მათგან მხოლოდ ერთი (№6) არის ხელუხლებელი, დანარჩენი ორი კი ძველადვე გაძარცვულია. №6 სამარხს ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარს აკუთვნებენ [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 9]. ის კლდოვან ქანში ამოკვეთილ ორმოშია გამართული, რომელიც ხით იყო გადახურული. მიცვალებული (25 წლის ქალი) ზურგზე გამოტილ პოზაში იყო დაკრძალული სამარხის დასავლეთ ნახევარში, თავით ჩრდილოეთისაკენ, ხელებჩამოშვებული. ინვენტარი მიცვალებულის თავისა და გულმკერდის არეში იყო მოთავსებული, ფეხებთან არაფერი არ აღმოჩენილა. ინვენტარში შედიოდა ოქროს დიადემა, ხუთი საყურე, საკისრე რკალი, ხუთი ყელსაბამი, პექტორალი, ორი წყვილი სამაჯური, ოთხი საბეჭდავი-ბეჭედი; ტანსაცმლის სამკაული — მშვილდსაკინძი, ქამრის სამკაული არწივების გამოსახულების სახით, სხვადასხვა ფორმის მძივები, მძივ-მილაკები, საკიდები, კილიტები, სარიტუალო ნივთი — საავგაროზე. არა ოქროს ორი სამკაულია მხოლოდ მთავარი მიცვალებულისთვის ჩატანებული — ვერცხლის დიადემა (რომელიც მკერდზე იდო) და ქარვის ერთი საბეჭდავი, ოქროს ყუნწიანი. სამარხში აღმოჩნდა ოქროს ზოდიც. რაც შეეხება ჭურჭელს, ჩატანებულია ვერცხლის ორი და ოქროს ერთი ფიალა, ვერცხლის სასმისი, ჩამჩა, მათარისებური ჭურჭელი და სარწყულას დეტალები; ბრინჯაოს პატერა; მინის ამფორისკოსები (3ც.), ოინოხოა და კოჰლ-ტუბე. თიხის ჭურჭელი მხოლოდ ადგილობრივი ნაწარმით იყო წარმოდგენილი, რომელთაგან მხოლოდ ცალყურა დოქი იქნა აღდგენილი. როგორც ჩანს, სამარხში ჩატანებული იყო რაღაც ქსოვილი, რომლისგან შემორჩა მხოლოდ წვრილი პასტის მძივები [ფუთურიძე და სხვ. 1972: 113-117, სურ. 35-65].

№7 და 8 სამარხები №6-ის მახლობლად (დაახლ. 2 მ დაცილებით) გაითხარა. №7 სამარხი წარმოადგენს კლდოვან ქანში ამოკვეთილ ორმოს (სიგრძე – 2,1 მ, სიგანე – 1,25 მ, სიღრმე – 0,5 მ). ის პირწმინდად იყო გაძარცვული [ფუთურიძე და სხვ. 1972:119-120]. №8 სამარხიც კლდოვან ქანში ამოკვეთილ ორმოში (სიგანე - 3 მ, სიგრძე - 4 მ) იყო გამართული. ისიც გაძარცვულია ძველადვე, თუმცა სამარხი ორმოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შემორჩა ქალის კბილები, ოქროს ერთი საყურე, ოქროს, მინისა და პასტის მძივები, ხოლო სამხრეთ ნაწილში — ატიკური შავფიგურული კილიკი. მოპოვებული მასალა გვაფიქრებინებს, რომ მიცვალებული თავით ჩრდილოეთით იყო დასვენებული; ატიკური კილიკი კი სამარხის გამართვას ძვ.წ. V ს. პირველ ნახევარს უკავშირებს [ფუთურიძე და სხვ. 1972: 120].

ამრიგად, ადრეული სამარხები ნაქალაქარის ორ (ცენტრალურ და ქვედა) ტერასაზე გამოვლენილი. ყველა სამარხი კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ ორმოშია გამართული. ორი კარგად დაცული სამარხიდან ერთში მთავარ მიცვალებულთან ერთად თანდაკრძალულებიც გამოიკვეთა, მეორე — ინდივიდუალური აღმოჩნდა. პირველში ხის სარკოფაგი დადასტურდა, რომლის გარეთ ცხენი იყო დაკრძალული, მეორეში კი — ორმო ხით იყო გადახურული. №11 სამარხში მთავარი მიცვალებულიცა და თანდაკრძალულებიც გამოტილ პოზაში არიან დაკრძალულები, თავით აღმოსავლეთით. №6 სამარხში დაკრძალული ზურგზე გამოტილ პოზაში იყო დაკრძალული, ოღონდ №11 სამარხში დაკრძალულებისაგან განსხვავებული დამხრობა ჰქონდა — დასვენებული იყო თავით ჩრდილოეთისაკენ. მხოლოდ №11 სამარხში დასტურდება საგზლის ჩატანების ფაქტი. ორივე კარგად შემორჩენილი სამარხი საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლების კუთვნილი უნდა იყოს.

3. ვანის ისტორიის მომდევნო პერიოდი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და III ს-ის პირველ ნახევარს მოიცავს [იხ. ლორთქიფანიძე 1977: 14; Lordkipanidze 1991a: 177]. ამ პერიოდს მიეკუთვნება თიხაზვინული ზედა ტერასაზე, ზედა ტერასის საკულტო ნაგებობები, ცენტრალურ ტერასაზე გათხრილი თეთრი ქვით ნაგები კედელი, ე.წ. *მონუმენტური კედელი* და რიყის ქვის კომპლექსი, აგრეთვე ქვის ნაგებობა, რომლის ადგილას შემდგომ ე.წ. *მრგვალი ტაძარი* აიგო. ამავე პერიოდს მიეკუთვნება სამარხების სერია, გათხრილი როგორც ზედა, ასევე ცენტრალურ ტერასაზე. თიხაზვინულის შემორჩენილი სიმაღლე 1,25 მ-ა. ის წაგრძელებული ოვალის ფორმისაა (13 X 17მ), რომლის კიდეები თირის ბრტყელი ქვათილებით იყო შემოზღუდული. დაუდგენელია მისი ფუნქცია, თუმცა არ გამოირიცხება, რომ ის სამსხვერპლოს ან საკურთხევლის როლს ასრულებდა [კაჭარავა და სხვ. 1979: 24-25, სურ. 166-168].

ზედა ტერასაზე განსახილველი ეტაპის ოთხი სამლოცველოა გათხრილი. სამლოცველო №1 აგებულია ტერასის ჩრდილოთ კიდეში კლდეში საგანგებოდ ჩაჭრილ ბაქანზე, რომელიც სამი მხრიდან კლდოვან დედაქანში შვეულად ჩამოჭრილი კედლებით არის შემოსაზღვრული, აღმოსავლეთი მხრიდან კი ღიაა. თირში ნაკვეთი ქვაბულის კედლებიდან ყველაზე მაღალი დასავლეთისაა (მაქს. სიმაღლე 1,8 მ). სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები უფრო დაბალია, აღმოსავლეთისაკენ კიდევე უფრო დაბლდება და ბოლოს თითქმის ბაქნის დონეს უახლოვდება. კედლები მომრგვალებული კუთხეებით უერთდება ერთმანეთს. სამხრეთი კედლის კიდიდან 1-1,3 მ-ის დაცილებით გამოიკვეთა ვიწრო ღარი, კედლის კიდის პარალელურად მიმართული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (სიგრძე — 7 მ, სიღრმე — 0,1-0,15 მ, სიგანე — 0,10-0,12 მ). ღარის დანიშნულება წვიმის წყლის შეკრება-გადაღვრა უნდა ყოფილიყო. ჩრდილოეთ მხარეს ასეთი ღარი არ ჩანს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქვაბულის ჩრდილოეთი კედლის ზედაპირი ძლიერაა დაზიანებული და გადაჭრით ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ღარი აქ გაჭრილი თავის დროზე. ბაქნის ზედაპირი ნიველირებულია. სამლოცველოს დასავლეთი კედელი ოდნავ (0,1 მ-ით) შემადლებულ პლატფორმაზე დგას, ისე რომ პლატფორმასა და კედლის დასავლეთ კედელს შორის 0,8 მ სიგანის ღარი იქმნება. შესაძლოა, მისი დანიშნულებაც ნაგებობის წვიმის წყლისაგან დაცვა იყო. სამლოცველოს გეგმა II-ს ფორმისაა, არ არის გადახურული, აღმოსავლეთისაკენ ღიაა. ის ნაცრისფერი ქვიშაქვის გათლილი ქვათილებით არის ნაგები, რომლებიც რუსტებითაა

დამუშავებული. კედლები ანატკეცების ფენაზე დევს. წყობა პერანგულია. პერანგებს შორის სივრცე შევსებულია თირის ქვებით, ნაცრისფერი ქვიშაქვის ანატკეცებით, თიხით. კედლების გარეთა ფასადი ნოლანასა და განივას მონაცვლეობით არის შედგენილი. მთლიანადაა შემორჩენილი ნაგებობის დასავლეთი კედელი (სიგრძე — 4,20 მ, სიგანე — 1მ). სამხრეთი კედლის სიგრძე — 3,10მ-ა, სიგანე — 1მ. ჩრდილოეთი კედელი ძლიერაა დაზიანებული. მისი აღმოსავლეთი კიდე მონგრეულია. ამ კედლის სიგანეც — 1მ-ა. სამივე კედელზე თიხის შრე დადასტურდა ალაგ-ალაგ. როგორც ჩანს, ქვის ცოკოლზე თიხის კედელი იყო აღმართული, ან ის თიხით იყო გადალესილი. ნაგებობის შუაში საკურთხეველია, რომელიც ძლიერაა დაზიანებული. ის შედგება ქვიშაქვის გათლილი ბლოკებისაგან. როგორც ჩანს, ქვები გადაბმული იყო სამაგრებით, რომელთა ბუდეებია შემორჩენილი. საკურთხეველი მაგიდისებური უნდა ყოფილიყო. ისიც კირქვის ანატკეცებიან ფენაზე დევს. მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან სვეტის ბაზისი აღმოჩნდა. მისი ფუნქცია გაურკვეველია. სამლოცველოს ქვაბულის იატაკზე, ჩრდილოეთი კედლის გაყოლებაზე ღარი გამოიკვეთა [კაჭარავა და სხვ. 2016: 61-62].

№2 სამლოცველო იმავე ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, როგორც სამლოცველო №1-ია, რომელსაც 10-ოდე მეტრი აცილებს: ისიც გამართულია კლდოვან დედაქანში ჩაჭრილ ბაქანზე, რომელიც კლდოვან დედაქანშივე შევეულად ჩამოჭრილი კედლებით არის შემოსაზღვრული ჩრდილოეთი და დასავლეთი მხრიდან; სამხრეთის კედელი არც იგულისხმება კლდის ბუნებრივი რელიეფის გამო. კლდოვანი კედლები შედარებით დაბალია, მათი სიმაღლე 1 მ-მდე აღწევს მხოლოდ. ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებს გასდევს ღარები, რომელთა სიგანე 0,15 მ, სიღრმე კი — 0,25 მ-ა. ეს ღარები, ალბათ, ასევე წვიმის წყლის შემკრებ-გადასალვრელია. სამლოცველოს ჩრდილოეთი ღარი უერთდება ოთხკუთხა ორმოს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ორმო საგანგებოდ იყო ამოკვეთილი წვიმის წყლის შესაკრებად. რაც შეეხება საკუთრივ ნაგებობას, ის ძალიან დანგრეულია, კედლების პერანგი შემოძარცულია, მხოლოდ რიყის ქვის შევსებაა შემორჩენილი. აღმოსავლეთის მხრიდან ნაგებობა ღიაა, ამ მხარეს არ ჩანს კედლის არავითარი კვალი. ბაქნის სამხრეთი და აღმოსავლეთი კიდე მკვეთრად არის დაფერდებული და არხისებურად ჩაჭრილი. სამლოცველოს სამხრეთი კედლის გასამაგრებლად და საერთოდ სამლოცველოსთან მისასვლელად საგანგებო სუბსტრუქციის გაკეთება გამხდარა საჭირო [კაჭარავა და სხვ. 2016: 63-64; Лордкипаниძე და სხვ. 1991: 73, ტაბ. 177, 1].

№3 სამლოცველო ასევე მდებარეობს ზედა ტერასაზე, ზემოთ განხილულთა აღმოსავლეთით 20-30 მეტრის დაცილებით. ისიც ღიაა აღმოსავლეთისაკენ, გადაუხურავი, ვიწრო და წაგრძელებული სამხრეთ-ჩრდილო ღერძზე; ჩადგმულია ქვაბულში, ნახევაროვალის ფორმის კლდეში ამოკვეთილ მოედანზე, რომელიც სამი მხრიდან კლდის კედლებითაა შემოზღუდული; ქვაბულის იატაკი მოსწორებულია, მაგრამ დაქანებულია კედლებისაკენ. სამლოცველოსგან შემორჩენილია ქვის ცოკოლი (სიმაღლე 0.70 მ), შედგენილი ქვიშაქვის გათლილი ბლოკების სამი რიგისაგან. წყობა მშრალია, პერანგული; პერანგებს შორის სივრცე შევსებულია ფლეთილი ქვებით. როგორც ჩანს, ქვის ცოკოლზე გამოუმწვარი თიხის კედელი იყო ამოყვანილი, რაზეც მოწმობს მასზე შემორჩენილი თიხის ფენა. ნაგებობის დასავლეთი კედლის სიგრძე 11 მ-ა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის — 3.60 მ; კედლების სიგანე 1.80 მ-ა. სამხრეთი და დასავლეთი კედლების გაყოლებაზე დაფიქსირდა ქვიშაქვის ფლეთილი ქვების ყრილი (სიგანე — 1 მმ, სისქე — 0.30 მ), რომელიც მჭიდროდ ეკვროდა კედლებს და მასთან იყო უდავოდ დაკავშირებული. ეს გახლავთ ე.წ. ზეძირკველი. როგორც ჩანს, ასეთი ყრილი ჩრდილოეთ კედელსაც მიუყვებოდა. მისგან მხოლოდ ცალკეული ქვებია შემორჩენილი [Лордкипаниძე და სხვ. 1985: 48-49, ტაბ. XXIV]. ზეძირკვლის დანიშნულება ასე შეიძლება აიხსნას: ის გარემოება, რომ ქვაბულის იატაკი მოსწორებულია, მაგრამ დაქანებულია კედლებისაკენ, ხელს უწყობდა წვიმის წყლის დაწრეტას ქვაბულის კედლებისაკენ, მაგრამ ქმნიდა ნაგებობის კედლის დაშლის საშიშროებას. სწორედ ამის თავიდან აცილებას ემსახურებოდა ზეძირკველი.

№4 სამლოცველო, რომელიც №3-ის დასავლეთით რამდენიმე მეტრის დაცილებით აღმოჩნდა, ყველაზე კარგადაა შემორჩენილი: მისი კედლების ცოკოლი (სიმაღლე 0.20-0.25 სმ) რუსტირებული ქვიშაქვის ბლოკების ერთი რიგისგანაა შედგენილი, რომელზეც 0.60-0.70 სმ სიმაღლის გამოუმწვარი თიხის კედელია ამოყვანილი. ნაგებობა ნაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე და შედარებით დიდი ზომისაა (3.95 X 6.20 მ). მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მონგრეულია, თუმცა უეჭველია, რომ შესავლელი სწორედ ამ მხრიდან იყო (ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მისი არსებობა გამოირიცხულია, რადგან აქ ნაგებობა მჭიდროდ ეკვრის ქვაბულის კედელს). შესაძლოა, იატაკი თიხით იყო მოლესილი. ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა თიხის შელესილობის ფრაგმენტი, დაფიქსირებული ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში. ნაგებობას სამი მხრიდან ღარი უვლის (სიგანე – 0.30 სმ, სიღრმე – 0.15 სმ), რომლის ერთი კიდე ორმოს უერთდება. ნაგებობა არ იყო გადახურული [Лордкипанидзе და სხვ. 1984: 53, ტაბ. XX-XXI].

ამრიგად, სამლოცველოები №№ 1-4 ერთი ტიპისაა: კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილ, აღმოსავლეთისაკენ ღია ქვაბულში ჩადგმული, ქვის ცოკოლიანი, აღმოსავლეთისაკენ ღია, გადაუხურავი, აღჭურვილი წვიმის წყლის სანრეტი სისტემით. მათ საკულტო ხასიათზე მეტყველებს არა მარტო ის ფაქტი, რომ ეს მცირე ზომის, გადაუხურავი და ერთ მხარეს ღია ნაგებობები სრულიად გამოუსადეგარია საცხოვრებლად თუ რაიმეს შესანახად, არამედ ერთ შემთხვევაში სამსხვერპლო მაგიდის არსებობა ნაგებობაში და მის გარეთ ბრინჯაოს ფიგურის რიტუალური დაკრძალვა (№1), მეორეში (№2) – სამარხის გამართვა უშუალოდ ნაგებობის ბაქანზე, მესამეში (№ 4) — ვერცხლის ფიალის, ბრინჯაოს თიმიატერიონის და ბრინჯაოსა და რკინის ფიგურების აღმოჩენის ფაქტები.

ზედა ტერასის სამლოცველოებს, გარდა არქიტექტურულ-კონსტრუქციული მსგავსებისა კიდევ ორი რამ აერთიანებს: ჯერ ერთი, მათ სივრცეში ბრინჯაოს და რკინის ანთროპომორფული ფიგურების დაკრძალვა, მეორე — მათ უშუალო სიახლოვეს სამარხების გამართვა. ლითონის მცირე ზომის ფიგურების დაკრძალვის რიტუალი, როგორც აღინიშნა, დადასტურდა ზედა ტერასის ორი სამლოცველოს შემთხვევაში. კერძოდ, №1 სამლოცველოს ნაგებობის გარეთ, მის დასავლეთ კედელსა და ქვაბულის დასავლეთ კედელს შორის აღმოჩნდა კლდოვან დედაქანში ჩაჭრილი მცირე ზომის ოთხკუთხა (0,6 X 0,3 მ) ორმო, ორიენტირებული დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე. ორმო დაფშენილი თირით იყო ამოვსებული. კიდიდან 0,65-0,85 მ-ის სიღრმეზე ორმოში აღმოჩნდა ბრინჯაოს ანთროპომორფული ქანდაკება (სიმაღლე — 25სმ). ის იდო ღარისებრ კრამიტზე, ზურგზე, თავით დასავლეთისაკენ და ღარისებრი კრამიტითვე იყო გადახურული. ფიგურა შემკული იყო ოქროს სამკაულებით: თავსაბურავით, საკისრე რგოლით და სამაჯურებით; მკერდზე იდო საკიდები, ოდნავ ქვემოთ — მინის ორი მძივი [Chkonია და სხვ. 2007: 141; Kacharava 2004: 225-227; Kacharava და სხვ. 2008ბ: 100-104]. თავსამკაულის შემადგენელი ვარდულები ანალოგიურია ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით დათარიღებულ ციხიაგორას მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ცალებისა [ცქიტიშვილი 2001: 41, სურ. 2], ხოლო ქანდაკების ყელისა და მკერდის არეში აღმოჩენილი საკიდები, შედგენილი ლილაკისა და დისკოსაგან (იმის მანიშნებელი, რომ ქანდაკება ან ქსოვილში იყო გახვეული, ან მას ტანსაცმელი ეცვა), ანალოგიებს პოულობს ვანის №№22 და 24 სამარხებში [Kacharava და სხვ. 2008გ: ტაბ. 39; 207, ფოტო 17] და დაბლაგომის კრამიტით გადახურულ სამარხში აღმოჩენილ სამკაულთან [თოლორდავა 1976: 69, სურ. 96]. ოქროს სამკაულების ანალოგიების საფუძველზე ბრინჯაოს ქანდაკების დაფლვა ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით-პირველი ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.

№1 სამლოცველოს მის ბაქანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ფიგურის გარდა უნდა უკავშირდებოდეს მისგან ორიოდე მეტრის დაცილებით ორმოში (0,50 X 0,30 X 0,25 მ) ორ ღარისებურ კრამიტს შორის დაკრძალული რკინის ითიფალური ფიგურა (სიმაღლე 30 სმ). ორმო ორ სამარხს (№№ 2 და 3-ს) შორის, № 4 სამარხის სიახლოვეს იყო კლდეში ამოკვეთილი. ფიგურა შემკულია ოქროს საკისრე რგოლით, საყურეებით და ლილაკებით [ხოშტარია 1979: 115-116; კაჭარავა, კვირკველია 2008ბ: 97, სურ. 3]. ნ. ხოშტარიამ

გამოვლენილი ორმო ფიგურიანად სამარხად მიიჩნია (სამარხი № 1) [იხ. ხომტარია 1972: 88; ხომტარია 1979: 115-116]. შემდეგ გამოითქვა სხვა მოსაზრებებიც [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1970: 123; ჯავახიშვილი გ. 1984: 80].

№4 სამლოცველოს ოთხი ფიგურა უკავშირდება, რომელთაგან ორი რკინისაა, ორიც — ბრინჯაოსი. რკინის ფიგურები ზემოთ აღწერილი რიტუალის დაცვით იყო დაკრძალული: მათთვის სამარხი ორმო (0,45 X 0,30 მ) იყო ამოკვეთილი კლდოვან დედაქანში სამლოცველოს კუთხესთან და ისინი ორ ღარისებურ კრამიტს შორის იყო ერთად დასვენებული. ორივე შემკული იყო ოქროს სამკაულებით. ერთ მათგანს (სიმაღლე – 19 სმ) მხოლოდ ყელსაბამი ჰქონდა, მეორეს (სიმაღლე – 24.5 სმ) კი ამკობდა ვარდულებისგან შედგენილი თავსამკაული, საყურეები, საკისრე რგოლი და სამაჯურები [Kacharava და სხვ. 2008: 104, სურ. 5-7]. რაც შეეხება ბრინჯაოს ფიგურებს, ისინი ერთად არ იყვნენ მოთავსებულნი. ერთი მათგანი აღმოჩნდა ნაგებობის შიგნით მისთვის კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოთლილ არაღრმა ფოსოში, მეორე კი — ნაგებობის გარეთ, უფრო ადრეულ არხში. ორივე ფიგურა პირქვე იყო დამხობილი; ორივე შემკული იყო საყურეებით, საკისრე რგოლითა და სამაჯურებით. ერთ მათგანში ქალი იოლად ამოიცნობა; მეორეს ჩამოთვლილ სამკაულებს გარდა ოქრომკედით გამოყვანილი თავსამკაული ჰქონდა — სუროს რტოს გვირგვინი [კაჭარავა 1983: 33-34; შეად. ლორთქიფანიძე 2002: 212; მათიაშვილი 2005: 37-38].

აღმოჩენილია ბრინჯაოს კიდევ ერთი მცირე ზომის ქანდაკება (სიმაღლე — 21 სმ). ის მოთავსებული იყო ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გათხრილ საკულტო ნაგებობაში, საკურთხეველთან კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ არაღრმა ფოსოში (0,30 X 0,26 მ). ის ასევე შემკული იყო ოქროს საკისრე რგოლითა და სამაჯურებით, იდო პირაღმა, თავით აღმოსავლეთით [Kvirkvelia 2005: 187-188]. აქამდე განხილული ფიგურებისაგან განსხვავებით, რომლებიც ადგილობრივი ნახელავია, ამჯერად საქმე გვაქვს ბერძნული ქანდაკების ნიმუშთან. ზურგზე შემორჩენილი კუდის კვალი და ნაწვეტებული ყურები მისი სატირად განსაზღვრის საფუძველს იძლევა [Kvirkvelia 2005: 187-188]. იქვე აღმოჩენილი აპლიკაციები მოწმობს, რომ ის შემოსილი ან გახვეული იყო რაღაც ქსოვილში, სხვა ფიგურების მსგავსად. გამონაშვერები სატირის ტერფებზე კი იმის მანიშნებლადაა მიჩნეული, რომ ის თავის დროზე სადგარზე იდგა. ამრიგად, ამ ფიგურას თავდაპირველად დეკორატიული ფუნქცია ჰქონდა. ეს ბერძნული ქანდაკება ხელმეორედ იყო გამოყენებული მას შემდეგ, რაც მას მოატეხეს კუდი და ატრიბუტები, მორთეს ადგილობრივი ოქროს სამკაულებით [იხ. ლორთქიფანიძე ნ. 2011: 53-68] და გამოიყენეს იმავე რიტუალში, რომელთანაც არის დაკავშირებული დანარჩენი ფიგურები. ეს უკანასკნელები, სატირის ფიგურისაგან განსხვავებით, საგანგებოდ ამ რიტუალისთვის არის დამზადებული — ფეხზე ვერცერთი ვერ ჩერდება. რიტუალი კი, როგორც ჩანს, მიცვალებულის კულტს უკავშირდებოდა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ფიგურების აღმოჩენის პირობები: ყველა აღმოჩენილია ან საკუთრივ სამლოცველოში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე; ხოლო თვით სამლოცველოები ნაწილია ერთიანი კომპლექსისა, რომელშიც სამარხებიც შედის; ერთ შემთხვევაში სამარხი შიგ სამლოცველოშია გამართული, ერთშიც — სამლოცველოს ბაქანზე; რკინის პირველი ფიგურა სამარხების გარემოცვაშია აღმოჩენილი სამლოცველოს სიახლოვეს. სატირის ფიგურა 2 სამლოცველოში აღმოჩენილ ბრინჯაოს ორ ფიგურასთან ერთად დანარჩენი ოთხისგან განსხვავებულ რიტუალში მონაწილეობს — არაა დაკრძალული სამარხ ორმოში ჩადგმულ კრამიტის კუბოში. ლითონის ანთროპომორფული ფიგურების საკულტო ნაგებობაში დაკრძალვის რიტუალი არაა დადასტურებული ანტიკური ხანის ძეგლებზე არამც თუ ჩვენში, არამედ მთელს შავიზღვისპირეთში. თუმცა ის კი უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოში რამდენიმე საუკუნით ადრე — ძვ.წ. VIII-VI სს-ის სამაროვნებზე ხდებოდა მიცვალებულთათვის მცირე ზომის ქანდაკებების ჩატანება, მათ შორის ანთროპომორფულის [Микеладзе 1990: 63-66].

როგორც ზემოთ აღინიშნა, განხილულ სამლოცველოებთან სამარხები არის გამართული. კერძოდ, №1 სამლოცველოს უკავშირდება სამარხები №№ 2-4, № 2

სამლოცველოს - ქვევრსამარხი, გათხრილი უშუალოდ სამლოცველოს ბაქანზე; მასთანვე შეიძლება იყოს დაკავშირებული აგრეთვე სამარხები №№12-14; № 3-ს – სამარხი 16 და, შესაძლოა, №17, ხოლო № 4-ს უნდა უკავშირდებოდეს №№20-24, 26 და 28 სამარხები. მართალია, სამარხების ასეთი გადანაწილება პირობითია — მაგალითად, №№21-24 სამარხებიდან ზოგი, შესაძლოა, №3 სამლოცველოს კუთვნილია. მაგრამ ერთი რამ უეჭველია - ყველა სამლოცველო უშუალოდ სამარხებთანაა გამართული. №1 სამლოცველოსთან გამართული სამარხებიდან ერთი (№4) ქვაყუთია, რომელშიც ბავშვია (გოგონა) დაკრძალული მდიდრული ინვენტარით. სამარხი ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება მასში აღმოჩენილი ვერცხლის კანთაროსის საფუძველზე [მათიაშვილი 1977ა: 109]. ორი სამარხი (2-3), რომლებიც ზოგადად ძვ.წ. IV-III ს-ით თარიღდება, თიხის ჭურჭელშია გამართული და შედარებით მოკრძალებულ ინვენტარს შეიცავს [ხომტარია 1979: 118-133]. იმ სამარხებიდან, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს №2 სამლოცველოს, ერთი (№18) ქვევრსამარხია, დანარჩენი (№№12-14) ორმოსამარხებია. ყველა ორმოსამარხი გაძარცვულია. ქვევრსამარხი ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება [იხ. Лордкиранидзе და სხვ. 1991: 73-74, ტაბ. 177-178], ყველა დანარჩენი — ზოგადად ძვ.წ. III ს-ით [კაჭარავა და სხვ. 1979: 25-27].

№3 სამლოცველოს შეიძლება ორი სამარხი დაუკავშირდეს (№№16 და 17). მათგან მეორე ძალიან დაზიანებულია, პირველი — ნაკლებად. ორივე ორმოსამარხია, დათარიღებული ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით-III ს-ის დასაწყისით [კაჭარავა, მჭავანაძე 1986: 15-33].

№4 სამლოცველოსთან დაკავშირებული შვიდი სამარხია აღმოჩენილი (№№20-24, 26 და 28). ერთი მათგანი (№20) ქვაყუთს წარმოადგენს, ერთიც (№28) ისეა დაზიანებული, რომ ორმო არ გამოიკვეთება, დანარჩენი ხუთი სამარხი კლდეში ნაკვეთ ოთხკუთხა ორმოებშია გამართული. ხუთიდან ოთხ შემთხვევაში ორმოს დასავლეთი კედლის გაყოლებაზე კლდეში გამოკვეთილი პლატფორმაა გამართული. რაც შეეხება მეხუთე სამარხს (№26), ის მცირე ზომისაა (ბავშვის?) და პლატფორმა არა აქვს. ამ ხუთიდან სამი სამარხი გაძარცვულია. ორი გაუძარცავი სამარხიდან ერთი (№22) კოლექტიურია; მასში ერთი რანგის ადამიანები ჩანან ერთად დაკრძალული — ყოველ შემთხვევაში სამი დაკრძალული, რომელიც შემკულია ვერცხლის ერთნაირი საკისრე რგოლით, ერთი და იგივე სოციალური სტატუსის მქონე უნდა იყოს. ერთ დერგში ჩაყრილი 300-მდე ოქროს ნივთი, ისევე როგორც სამარხში მიმოფანტული ოქროს სამკაულები, როგორც წესი, ნაკლულია, დაზიანებული და არ ქმნის პირადი სამკაულის კომპლექტს. მეორე სამარხში (№24) კი იოლად გამოიყოფა მთავარი მიცვალებული, რომელიც ოქროს სამკაულების სრული კომპლექტით (თავსამკაული, ყელსაბამები, სამაჯურები, საბეჭდავი-ბეჭდები) არის შემკული [კაჭარავა, ხარაბაძე 2016ა: 157-193; კაჭარავა, ხარაბაძე 2018: 5-63].

მესამე ეტაპის კუთვნილი არქიტექტურული ძეგლები წარმოდგენილია ცენტრალურ ტერასაზეც. პირველ რიგში, ესაა ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში საგანგებოდ ამოკვეთილ მოედანზე გამოვლენილი სამი ნაგებობის ნაშთები. მათი ურთიერთმიმართება ასე გამოიკვეთა: ნაგებობა №1, რომლისგან მხოლოდ რკინის სამაგრებიანი ტუფის კვადრების კედელია შემორჩენილი (სიგრძე 6.20 მ), №3 ნაგებობის თანადროულია, ხოლო №2, რომლისგან მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი კუთხე არის შემორჩენილი, უქმდება №3-ის მშენებლობისას. საკულტო ნაგებობა №3 (სიგრძე 9.38 მ, სიგანე 6.90 მ), რომელიც ძვ.წ. III ს-ის დასაწყისისათვის უკვე არსებობდა და გვიანელინისტური ხანის დადგომამდე დაინგრა, ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი. ესაა მართკუთხა, შუაში გატიხრული ნაგებობა, რომლის ცენტრალურ ღერძზე განლაგებულია სამსხვერპლო ორმო, საკურთხეველი და მცირე ზომის სამარხი. საკურთხეველსა და ამ საკულტო ნაგებობის სამხრეთ კედელს შორის აღმოჩნდა საგანგებოდ დამარხული სატირის ფიგურა, ბრინჯაოსი. ნაგებობისგან შემორჩენილია ძირითადად ორსაფეხურიანი ცოკოლი, ამოყვანილი ტუფის კვადრებით. აღსანიშნავია, რომ ნაგებობის დასავლეთ ცოკოლზე დაფიქსირდა ნახევარსვეტის ბაზისები. ეს პირველი შემთხვევაა ვანის ნაქალაქარზე ფასადის ნახევარსვეტებით შემკობისა. ნაგებობის საკულტო ხასიათზე მიუთითებს მასში საკურთხეველისა და სამსხვერპლო ორმოს

არსებობა. ამ შემთხვევაშიც დასტურდება სატაძრო ნაგებობის კავშირი სამარხებთან. როგორც აღინიშნა, ერთი სამარხი (№27) შიგ სამლოცველოშია გამართული, რაც პირველი შემთხვევაა ვანის ნაქალაქარისთვის. ხოლო მეორე (№25) მისგან თითქმის 1 მ დაცილებით გამოვლინდა. ორივე სამარხი გაძარცვულია ძველადვე. შემორჩენილი მასალების (ოქროს სამკაულების) საფუძველზე, ორივე ძვ.წ. III ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება [კვირკველია 2011: 99-108].

ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე გამოვლენილი განსახილველი ეტაპის კონსტრუქციებიდან ყველაზე ადრეული ე.წ. თეთრი კედელია (სიგრძე — 4,5 მ, სიმაღლე — 0,6 მ), ნაგები კირქვის არასწორი ფორმის ქვებით, რომლებიც ერთმანეთთან თიხა-მინითაა დაკავშირებული; ქვებს შორის რამდენიმე ფილაა ჩადგმული (სიგრძე — 20-30სმ). კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაფიქსირებული რიყის ქვები წყობის ხურდას უნდა წარმოადგენდეს [იხ. ჭყონია 1986: 97, სურ. 82, 1-2]. მომდევნო ხანისაა მონუმენტური („გადამწვარი“) კედელი, ე.წ. *murus gallicus*-ის კონსტრუქციისა. დედაქანზე (თირზე) მშრალი წყობით ამოყვანილი ეს კედელი 22 მ სიგრძეზეა გამოვლენილი თეთრი კედლის პარალელურად და მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. კედლის სისქე 3 მ-ა, სიმაღლე 5 მ-ს აღემატება. მის ხურდაში გამოყენებული რიყის ქვები ძლიერი ცეცხლის შედეგად დამსკდარი ან გამლღვარია. მათზე ხის-ფიცრის ანაბეჭდებია შემორჩენილი. მონუმენტური კედლით გაუქმებულია თირში ნაკვეთი არხი, რომელიც 20 მ სიგრძეზეა გამოვლენილი; მისი სიგანე მონუმენტურ კედელთან 1,9 მ-ი, მაქსიმალური სიღრმე — 2.7 მ [ჭყონია 1986: 94, სურ. 80].

რიყის ქვის კომპლექსი, ამოყვანილი მონუმენტური კედლის დასავლეთით მდებარე ნაკვეთზე, უფრო გვიანდელია. ის შედგება ქვაფენილისა და მისი სამი მხრიდან (აღმოსავლეთი, სამხრეთი, დასავლეთი) შემომსაზღვრელი რიყის ქვების კედლებისგან. ქვაფენილის ფართობი 40კვ.მ-ს აღწევს. მასში რიყის ქვებითვე გამოყვანილია ოთხი მრგვალი ორმო (დმ — 60-85 სმ, სიღრმე — 8-20 სმ). აღმოსავლეთი კედელი 8 მ სიგრძისა და 5 მ სიგანისაა. ის 0,70-0,80 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი, სამხრეთი კედლის სიგრძე 9 მ-ა, სიგანე — 4.30-4.40 მ. ის 16,70 მ სიგრძეზეა გამოვლენილი. დასავლეთი კედლის სიგრძე 9 მ-ს აღწევს, უდიდესი სიმაღლე — 1.20 მ-ს. ჩრდილოეთის მხრიდან კომპლექსი ღიაა. ფიქრობენ, რომ ის საკულტო დანიშნულების იყო [იხ. ჭყონია 1986: 97-99, სურ. 82].

მესამე ეტაპის კუთვნილია აგრეთვე ნაგებობა, რომლის ნანგრევებზე მოგვიანებით (ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარში) ე.წ. მრგვალი ტაძარი აიგო. ის განლაგებული იყო ტერასის აღმოსავლეთ კიდეში. ნაგებობის კედლები შემორჩენილია სამ მხარეზე. ჩრდილოეთის კედელში არ დასტურდება ხურდის ფართოდ გამოყენება: სახეზეა ერთიანი უწყვეტი წყობა, რომელშიც მხოლოდ ზოგიერთ ადგილებშია თავისუფალი სივრცე შევსებული სამშენებლო ქვის ანატაკეცებით. დასავლეთი კედელი უკეთაა შემორჩენილი. ამჯერად წყობა უშუალოდ თირზეა ამოყვანილი და შედგება იდეალურად გათლილი, თითქმის თანაბარი ზომის ქვათლილებისაგან. წყობა კიბისებურად არის დანყებული და მიყვება თირის რელიეფს. სამხრეთი კედლისგან ფაქტობრივად შემორჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე, სადაც თეთრი ქვებია დაგებული, დანარჩენ ნაწილში კი მხოლოდ ქვათლილებისთვის თირში ამოკვეთილი ბუდეებია დარჩენილი. ასეთი ბუდეები არ ფიქსირდება აღმოსავლეთი კედლის სავარაუდო ადგილას. ამიტომაც ფიქრობენ, რომ ნაგებობა აღმოსავლეთი მხრიდან ღია უნდა ყოფილიყო. სამივე კედლისთვის დამახასიათებელია სტილისტური ერთიანობა. სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების სიგანე 3 მ-ია, სიგრძე — 11.40 მ, ხოლო დასავლეთი კედლის სიგრძე — 10,4მ [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 200-201, სურ. 153-157]. ამრიგად, ცენტრალურ ტერასაზეც არის გამოვლენილი აღმოსავლეთისკენ ღია საკულტო ნაგებობა, მსგავსი ზედა ტერასის ნაგებობებისა. აღსანიშნავია, რომ განხილული ნაგებობიდან ორიოდ მეტრის დაცილებით გათხრილია სამარხი № 9, იქვე ახლოს კი განლაგებულია სამარხები №№10, 15 და 19. როგორც ჩანს, აქაც, ზედა ტერასის მსგავსად, საკულტო ნაგებობა და სამარხები ერთიან კომპლექსს ქმნიან.

ჩამოთვლილი სამარხებიდან ყველაზე ადრეული №9 არის (ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება). ის თირში ამოკვეთილ ორმოში (4 X 2მ) იყო გამართული, რომელშიც ორი ნაწილი გამოიკვეთა — ცენტრალური და დამატებითი. ცენტრალურ ნაწილში დაკრძალული იყო მთავარი მიცვალებული, ზურგზე გაშოტილი, თავით ჩრდილოეთით, ხის კონსტრუქციაზე დასვენებული, მდიდრული ინვენტარით, რომელშიც განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა იარაღი. სამარხის დამატებით ნაწილში — ბაქანზე, რომელიც ოდნავ (10 სმ-ით) შემალღებული იყო, ქალის, მამაკაცისა და ძაღლის ჩონჩხი აღმოჩნდა [ლორთქიფანიძე 1972: 25, 26, სურ. 163, 164 174, 175; ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 202, 203, სურ. 160-177].

სამარხი №10 ბავშვისა უნდა იყოს. ის გამართულია მცირე ზომის (1,40 X 0,90 მ) ორმოში. გარდაცვლილს ჩატანებული ჰქონდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაულები, 3 კოლხური თეთრი, პასტისა და გიშრის მძივები, თიხის შვიდი ჭურჭელი, რომელთაგან ერთი (სანელსაცხებლე) იმპორტულია. სამარხი ძვ.წ. IV ს-ის მიწურულით თარიღდება [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 211-213, სურ. 179-181; თოლორდავა 1986: 89-92, სურ. 75-78].

სამარხი №19 ასევე კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ ოთხკუთხა (2,5 X 1,7 მ) ორმოშია გამართული. შემორჩენილი ძვლოვანი მასალის საფუძველზე მიცვალებული ინვა ზურგზე, თავით აღმოსავლეთით, ხელის მტევნები თეძოებზე ეწყო. პირთან ახლოს აღმოჩნდა 2 კოლხური ტრიობოლი. თავის არეში განლაგებული იყო ოქროს 2 ბიკონუსურბურთულიანი სასაფეთქლე; თავსამკაული, რომელიც შედგება ნახევარმთავარისებური საკიდებისა და სფერული მძივებისაგან; ყელსაბამი, რომელიც შედგება სფერული მძივების, ორი ნახევარმთავარისებური საკიდისა და ბურთულა-საკიდისაგან. აქვე აღმოჩნდა ოქროს საკიდი მსხლისებური ფორმისა, ყვითელი მინის მძივი. მაჯებზე დადასტურდა თითო-თითო ვერცხლისა და რკინის სამაჯური. ინვენტარი (ბრინჯაოს წრიულქუსლიანი ლანგარი, თიხის მოხატული ჭურჭელი, ოინოხოსის ტიპის დოქი, ორყურა ქოთანის) განლაგებული იყო ორმოს ჩრდილოეთი კიდის გაგრძელებაზე. სამარხი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება [Лордкираниძე და სხვ. 1995: 95-97].

სამარხების ამ ჯგუფში ყველაზე გვიანდელია, ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება, №15 სამარხი. ისიც თირში ამოკვეთილ ორმოშია (3 X 2,6 მ) გამართული. სარკოფაგის ფუნქციას ამჯერად ნაშალი თირითა და თიხით შელესილი ხის წნული ასრულებდა. ასეთივე წნულით იყო გამიჯნული ძირითადი სამარხი გვერდითი სათავისაგან, რომელშიც თიხის ჭურჭელი და ცხოველთა დამწვარი ძვლები დაფიქსირდა. ჩონჩხი არ შემორჩენილა, მაგრამ ინვენტარის განლაგების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიცვალებული თავით ჩრდილო-დასავლეთით იყო დამხრობილი. რაც შეეხება ინვენტარს, სამარხის გარეთ ორი ადგილობრივი თიხის დოქი იდო; სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა კოლხური ამფორა; ორმოს აღმოსავლეთი კედლის გაყოლებაზე ელაგა ბრინჯაოს სარკე, ორი სტრიგილი, ლანგარი და ოინოხოა, ორი იმპორტული თიხის სანელსაცხებლე, ორი ადგილობრივი ქოთანის; ჩრდილოეთ კედესთან აღმოჩნდა ვერცხლის კოვზი. სამარხის ცენტრალურ ნაწილში კი მიმობნეული იყო ოქროს და სარდონის მძივები, ოქროს საკიდი, პირამიდული ფორმის საკიდი, ოქროს ორი მონეტა — ალექსანდრე მაკედონელის სტატერი (ძვ.წ. 356-323 წწ.) და ფილიპე III-ის (ძვ.წ. 323-316 წწ.) მონეტა, ორი კოლხური თეთრი. სამარხში მიმობნეული იყო, ალბათ, რიტუალის დროს დამსხვრეული შავლაკიანი ფიალა [თოლორდავა 1986: 83-88, სურ. 64-73]. დაკრძალვის რიტუალთან აკავშირებენ იქვე გათხრილ მცირე ნაგებობას, რომელშიც ექვსი ქვევრი აღმოჩნდა [თოლორდავა 1986: 88, სურ. 72-73].

ამრიგად, განსახილველ პერიოდში გრძელდება სამარხების გამართვა ნაქალაქარის ტერიტორიაზე. სამარხები აღმოჩენილია ზედა და ცენტრალურ ტერასებზე. სამარხები ჯგუფებად არის განლაგებული და დაკავშირებულია საკულტო ნაგებობებთან. ჯგუფებში გვხვდება, როგორც ინდივიდუალური სამარხები, ასევე სამარხი, რომელშიც მთავარი მიცვალებული გამოიკვეთება, მისთვის შენირული პირები კი საგანგებო ბაქანზე არიან

დაკრძალული ან მთავარი მიცვალებულის ორმოს კიდევებთან. დამხრობის ერთი წესი არ არის დაცული. დაკრძალვის წესებში თანაარსებობს ტრადიციული ელემენტები (სამარხის აღნაგობა, სამკაული) და ახალი წესები. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია მონეტისა (ქარონის ობოლი) და ამფორების ჩატანების წესი.

4. ქალაქის ისტორიის უკანასკნელი ეტაპი, რომელიც ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრით - I ს-ის შუახანებით თარიღდება, ძირითადად არქიტექტურული ძეგლებით არის წარმოდგენილი. მათგან წამყვანია სატაძრო ნაგებობები და თავდაცვითი ხასიათის ძეგლები, გვხვდება საზოგადოებრივ-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებიც, თუმცა იშვიათად. ზოგი ნაგებობა იმდენად დაზიანებულია, რომ მისი ფუნქციის განსაზღვრა შეუძლებელია. რაც შეეხება სამარხებს, ისინი ამ ეტაპზე ნაქალაქარის ტერიტორიაზე არ გამოვლენილა.

ვანის არსებობის უკანასკნელი ეტაპის არქიტექტურულ ძეგლებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია კარიბჭის კომპლექსი, განლაგებული ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში. ის შედგება დიპილონის ტიპის კარების, მასზე მიშენებული სამლოცველოს, ორი კოშკისა და მათ შორის არსებული კურტიინისაგან. ორმაგი კარები შედგება კატარაქტისაგან, რომლისთვისაც ჩრდილოეთ კედელში საგანგებო ნიშაა ამოკვეთილი, და ჩვეულებრივი კარისაგან, რომლის ნაკვალევი შეიმჩნევა იატაკის ფილაზე. სამლოცველო რუსტებიანი, კარგად გათლილი ქვებითაა ნაგები. წყობა ფსევდო-ისოდომურია და პერანგული. კედლის შიდა და გარე პერანგს შორის სივრცე შევსებულია უნესრიგოდ გათლილი სხვადასხვა ზომის ქვებით, რომლებიც ერთმანეთთან თიხითაა დაკავშირებული. აქ გამოვლენილი ხის ძეგლების ფრაგმენტები სართულებს შორის გადახურვის არსებობის დამადასტურებელი უნდა იყოს. სამლოცველოს თიხატყეპნილი იატაკი აქვს. მის დასავლეთ კედელზე საკურთხეველია მიდგმული, რომელთანაც შენირულობა აღმოჩნდა. კარიბჭის ჩრდილოეთ კედელზე ქანდაკების კვარცხლბეკია მიშენებული. საკუთრივ ქანდაკება შემორჩენილი არაა, მაგრამ კედელზე ამოკვეთილი წარწერის მიხედვით ქალღვთაების ქანდაკება უნდა მდგარიყო.

კარიბჭეზე აღმოსავლეთიდან ნახევარწრიული კოშკია მიდგმული, რომელიც, თავის მხრივ, კურტინით მრავალკუთხა კოშკზეა მიბმული. მისგან მხოლოდ ფუნდამენტის ქვედა რიგი შემორჩა, რომელიც ჩადგმულია კლდოვან დედაქანში და გარედან დაფარულია ღორღის გაქვავებული მასით. ამით ფუნდამენტი დაცული იყო გარედან შეღწევისაგან. კოშკის შიგნით დაყრილი დაფხვნილ ქვიშაქვასთან შერეული თიხის მასა კი, რომლის სისქე 0.70 მ-ა, კედელში სანგრევი მონყობილობების შეღწევას აბრკოლებდა [Лордкираниძე და სხვ. 1985: 46]. კარიბჭის კომპლექსი და საერთოდ, მთელი სისტემა ქალაქის გამაგრებისა გარკვეულ მსგავსებას ავლენს ე.წ. ელინისტურ საფორტიფიკაციო სისტემასთან სამშენებლო ტექნიკისა და კონსტრუქციის თვალსაზრისით [ხოშტარია და სხვ. 1972: 153-160, სურ. 99-117].

ძვ.წ. II-ის-ის საფორტიფიკაციო სისტემის ფრაგმენტი გამოვლენილია ქვედა ტერასის საქვაბიას ღელისპირა ფართობზე [იხ. მათიაშვილი 2013: ტაბ. II, IV]. თავდაცვითი სისტემის ნაწილი, გამოვლენილი ცენტრალურ ტერასაზე, შედგება კურტინისა და რვაკუთხა კოშკისგან. ამ უკანასკნელის დიამეტრი 13 მ-ა, კედლების სისქე 3,25 მ-ს აღწევს. რაც შეეხება კურტინას, ის წარმოდგენილია კედლითა (სიგანე — 1,70 მ) და სამი ტიხარით, რომელთა შორის მანძილი 5,80 მ-ა [ახვლედიანი 2003: 8, ტაბ. III]. მიუხედავად იმისა, რომ ზედა ტერასა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ბუნებრივი ხევებით არის დაცული, ელინისტურ ხანაში ის გალავნის კედლებითაც იყო გამაგრებული. კერძოდ, ტერასის სამხრეთ კიდეზე საქვაბიას ღელის მთელ გაყოლებაზე სასიმაგრო კედლების ორი პარალელური რიგი გამოიკვეთა, ერთმანეთს დაცილებული არანაკლებ 5 მ-ისა; კედლებს შორის არსებული ტიხრები ქმნიდნენ სათავსებს, რომლებიც კრამიტით იყო გადახურული [იხ. კაჭარავა და სხვ. 1979: 13-15, სურ. 43, 46-56]. სხვა ვითარება ივარაუდება ჩრდილოეთ კიდეში, სადაც გამოვლინდა თირის ქვის ცოკოლზე ამოყვანილი ალიზის კედელი (სიგანე — 1.40 მ), რომელიც კრამიტით იყო გადახურული [ხოშტარია 1949: 307].

ელინისტური ხანის სატაძრო ნაგებობანი გამოვლენილია ნაქალაქარის სამივე — ქვედა, ცენტრალურ და ზედა — ტერასაზე. მათგან ზომებით გამოირჩევა ქვედა ტერასის სატაძრო კომპლექსი, რომელსაც 41 X 18 კვ.მ ფართობი უკავია. ის განლაგებულია საქვაბიას დელის პირას საგანგებოდ კლდოვან მოედანზე მოსწორებულ ტერასაზე და შედგება ცენტრალური დარბაზისა და სხვადასხვა დანიშნულების სათავსების, საკურთხევლებისა და რიტუალთან დაკავშირებული სტრუქტურებისაგან. ნაგებობის საძირკველს რბილ კლდოვან ქანში ამოკვეთილ ფოსოებში ჩასმული ქვათილები წარმოადგენს. მონაცრისფრო ტუფის რუსტირებული ქვათილების წყობა პერანგულია, ისოდომური. კუთხის ქვათილები რკინის სამაგრებითაა გადაბმული. პერანგებს შორის სივრცე შევსებულია ქვიშაქვისა და კირქვის ფილებით, რიყის ქვებითა და თიხით. პერანგული უნდა ყოფილიყო ალიზის წყობაც — სანახევროდ გამომწვარი ალიზის ბლოკებით ამოყვანილ პერანგებს შორის სივრცე გამოუწვავი ალიზის მასით იყო შევსებული. ცენტრალური დარბაზი კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედა ცენტრში ორი სვეტით, რომელთა მხოლოდ ბაზისები შემოინახა. დარბაზის კარები დიაგონალურად მოპირდაპირე კუთხეებშია გამართული. ცენტრალური დარბაზი მიჩნეულია საკრალური ხასიათის სათათბირო დარბაზად.



ცენტრალური დარბაზის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე კომპლექსური ნაგებობისგან მხოლოდ ცოკოლის (სიმაღლე — 3მ) სამხრეთ-დასავლეთი ფასადია მოღწეული. ის წმინდა ცეცხლის შესანახ სათავსად არის მიჩნეული. ცენტრალური დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთით მომიჯნავე სათავსში აღმოჩნდა კოლხური ქვევრები და დერგები, რომლებშიც მარცვლეული დადასტურდა. ეს სათავსი, რომელიც ხატის ბელადაა განსაზღვრული, ცენტრალური დარბაზისგან ყრუ კედლითაა გამიჯნული, მაგრამ მას უკავშირდება ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი ფასადის გაყოლებაზე არსებული დერეფნით. ხატის ბელელს ემიჯნება მცირე ზომის კვადრატული (5 X 5 მ) სათავსი, რომელიც საგანძურად არის განსაზღვრული. ცენტრალური დარბაზის დასავლეთ კუთხესთან გამართულია საფეხურებიანი სამსხვერპლო, რომელიც აერთიანებს სწორკუთხა პლატფორმას (2,2 X 2,2 მ) და საფეხურებიან მისასვლელს. ცენტრალური დარბაზი, საფეხურებიანი სამსხვერპლო და კომპლექსური ნაგებობა ვერტიკალურად ჩაჭრილ კლდოვან დედაქანთან ერთად საზღვრავს სარიტუალო ფართობს (მიწის საკურთხეველს). განხილულ კომპლექსში ალიზის აგურის წყობა კარგად არის შემონახული. წყობა აქ ტრადიციულია. კერძოდ, აგურებით შედგენილ თითოეულ რიგს ზემოდან ედება ასეთივე მეორე რიგი და ქვედა რიგის ყველა ვერტიკალური ნაკერი უსწორდება ზედა რიგის ცენტრალურ არეს. ალიზის აგურის სიგრძე — 55 სმ, სიგანე — 37 სმ, ხოლო სიმაღლე — 10 სმ-ია. ქვედა ტერასის სატაძრო კომპლექსის შემადგენელი ნაწილია მონუმენტური ორმო,

გათხრილი 21 მ სიღრმემდე, რომლის ზედა ნაწილი ნაწილი ოვალურია (ზედა დმ – 5-6 მ-ა, ქვედა დმ – 3 მ), ქვედა ნაწილი კი — კვადრატული. ფიქრობენ, რომ ორმო არა მხოლოდ ქტონიურ სამყაროსთან დამაკავშირებელი იყო, არამედ გამოიყენებოდა მზის გზისა და, შესაბამისად, რელიგიური დღესასწაულების და სამინათმოქმედო ციკლების დროის დასადგენად [იხ. მათიაშვილი 2013].

ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილი ნაგებობანი, რომლებიც საკვლევ პერიოდს მიეკუთვნება, საკულტო და სამეურნეო დანიშნულებისაა. ჯერ განვიხილავთ საკულტო ნაგებობებს. ე.წ. *მრგვალი ტაძარი* (დმ — 10 მ, კედლების სისქე — 2,40 მ) ძვ.წ. III ს-ის მიწურულს უნდა აღმართათ ადრე არსებული სწორკუთხა შენობის საფუძველზე [იხ. ლორთქიფანიძე, ფუთურიძე 1972: 201, სურ. 157]. მრგვალ ტაძარს უნდა უკავშირდებოდეს ტრაპეციის ფორმის ფილები (10-12 სმ სისქის), რომლებსაც კესონური გადახურვის ელემენტებად მიიჩნევენ [ლორთქიფანიძე 1972: 36]. ამავე პერიოდს მიეკუთვნებოდა ნაგებობა, რომლისგან მხოლოდ არქიტექტურული დეტალებია შემორჩენილი. საყურადღებოა ნვიმის ნყლის სადინარი სიმის დამაგვირგვინებელი ლომის თავები, რომელთა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ საკმაოდ დიდი ზომის ნაგებობა უნდა მდგარიყო. სხვა არქიტექტურული დეტალებიდან ყურადღებას იქცევს მცენარეული ორნამენტით შემკული კირქვის აკროტერიუმები [ჭყონია 1986: 95].

ცენტრალური ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილია საკულტო ნაგებობა, ე.წ. *მოზაიკურიატაკიანი ტაძარი*. ის რამდენიმე სათავსიანია. დიდ დარბაზში 0.70 მ სიმაღლის ოვალურგანივკვეთიანი საკურთხეველი იდგა ორი კვადრისგან შედგენილ ბაზისზე. აღსანიშნავია, რომ დარბაზის კარებები, ქვედა ტერასის სატაძრო კომპლექსის სვეტებიანი დარბაზის მსგავსად, დიაგონალურად არის განლაგებული. საკურთხეველთან შეწირულობების ნაშთები აღმოჩნდა. კერძოდ, კოლხური ქვევრი და 40 ამფორა, სპილენძის 120 მონეტა, რკინის სასაკმეველე, მდიდრულად ორნამენტირებული ბრინჯაოს ჭურჭელი, კლინეს ფეხები და სხვა დეტალები და სხვ. ტაძარი მეღვინეობა-მევენახეობის კულტს უკავშირდება და ძვ.წ. I ს-შია დასრულებული [იხ. ხომტარია, და სხვ., 1972: 179; ლორთქიფანიძე 1972: 30-34, სურ. 120; ფუთურიძე 1986: 34-51].



ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში გაითხარა ქვის, ე.წ. 12-საფეხურიანი საკურთხეველი და წრიული (დმ — 17,5 მ) ნაგებობა. ამ ნაგებობიდან ორიოდე მ-ის დაცილებით განლაგებულია ორი სამსხვერპლო. საკურთხეველის ე.წ. განძთსაცავი, რომელიც თიხით შელესილ, ხის კვადრატული (5 X 5 მ) გეგმის ნაგებობას წარმოადგენს. აქ აღმოჩნდა შეწირულობები, მათ შორის თიხის ჭურჭელი, თიმიატერიონები, სანაფები, კვირისტავეები, მძივები, რკინის იარაღი (შუბისპირები, სატევრები), ბრინჯაოს უმბონები; ბრინჯაოს სარკე; ვერცხლის მონეტები (ოროდ II-ის დრაქმა, ძვ.წ. 57-38), აპოლონის ორი მცირე ქანდაკება, ვერცხლისა; ვერცხლისავე მედალიონი ქალის ჰორელიეფური

გამოსახულებით; ოქროს 2 ფირფიტა ქალის გამოსახულებით და სხვ. [იხ. ფირცხალავა და სხვ. 1986: 63-78, სურ. 48-58].

ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარში ან მის მინურულში უნდა იყოს აგებული ზედა ტერასის უმნიშვნელოვანესი ნაგებობანი. პირველ რიგში ესაა არქიტექტურული კომპლექსი, გამოვლენილი ზედა ტერასის (და საერთოდ ბორცვის) ყველაზე მაღალ ნაწილში. მის ასაგებად კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი ქვაბული და მასთან დაკავშირებული ურთიერთგადამკვეთი არხები, რომლებიც ნინარეელინისტურ ხანას მიეკუთვნება და რომელთა შესახებ უკვე იყო ზემოთ საუბარი, თიხა-მინით ამოავსეს. ახალი კომპლექსი წარმოადგენს საზეიმო საკურთხეველს, რომელიც შედგება ქვათილებით მოგებული, 1,70 მ სიმაღლის ღია მოედნისა (15,60 X 11,20 მ) და სწორკუთხა ბაქნიანი (2.50 X 2.70 მ) და რვასაფეხურიანი კიბისგან. კიბეები (საფეხურების სიმაღლე – 1,70 მ, სიგრძე – 2,90 მ) კარგად დამუშავებული ქვათილებისგან არის შედგენილი, რომელთაგან ზოგიერთი რუსტირებულია. საფეხურებიანი საკურთხეველი აგებული უნდა იყოს არა უადრეს ძვ.წ. III ს-ის დასაწყისისა ან II ს-ის დასაწყისში [იხ. კაჭარავა და სხვ. 1979: 20-23].

ნაქალაქარის ზედა ტერასის წვერზე მდებარეობს ე.წ. *საფეხურებიანი საკურთხეველი*. ის ქვათილებით მოგებული სწორკუთხა მოედნისაგან შედგება, რომელსაც შუაში, აღმოსავლეთიდან რვასაფეხურიანი კიბე ჰქონდა მიდგმული. სტრატეგრაფიული მონაცემებით ის აგებული უნდა იყოს არაუადრეს ძვ.წ. III ს-ის დასასრულისა ან II ს-ის დასაწყისში. ეს ნაგებობა ძვ.წ. I ს-ის შუახანებში დაუნგრევიათ [კაჭარავა და სხვ. 1979: 20-23, სურ. 69-96]. ამ, ე.წ. საფეხურებიანი საკურთხეველის ჩრდილოეთით გაითხარა რამდენიმე მცირე ზომის სწორკუთხა ნაგებობა. ერთი მათგანი (4,2 x 4,6 მ) ნაგებია ქვიშაქვის ფილებით და ალიზის აგურით [კაჭარავა და სხვ. 1979: 23, 24, სურ. 70, 91]. ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს თლილი ქვით ნაგები ორსათავსიანი ნაგებობა [კაჭარავა და სხვ. 1979: 24, სურ. 97, 98].

დაბოლოს, უნდა მოვიხსენიოთ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. პირველ რიგში ასეთად განიხილება ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ კიდედან გამოვლენილი ნაგებობა, რომელიც ძვ.წ. II-I სს-ს მიეკუთვნება. ამ ალიზის კედლებიანი ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ქვით შემორჩენილი ზღურბლი გამოიკვეთა. ნაგებობა ალიზის ტიხრით ორ ნაწილადაა გაყოფილი. მის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა 40 კოლხური ამფორა, რომლებშიც ხორბლისა და ფეტვის ნაშთები დადასტურდა. განსახილველი ეტაპის კუთვნილია კიდევ ერთი სამეურნეო, უფრო სწორად სანარმოო ნაგებობა, რომელშიც ბრინჯაოს სამსხმელო სახელოსნო არის განლაგებული. სახელოსნოს ნაშთები წარმოდგენილია სამსხმელო ორმოთი და მასთან მიერთებული არხებით [გიგოლაშვილი და სხვ. 2008: 14-18, ტაბ. I, 1-3].

მოცემულ პერიოდში ნაქალაქარის ნაგებობანი, როგორც წესი, კრამიტით იყო გადახურული. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კრამიტებს შორის კალიპტერები, ანუ ლარისებური ნიმუშები პროცენტულად გაცილებით უფრო ცოტაა აღმოჩენილი. არქიტექტორ გიორგი ლეჟავას დაკვირვებით, ნაგებობები გადახურული იყო ბრტყელი კრამიტების ვერტიკალური რიგებით (და არა ბრტყელი და ლარისებური კრამიტების მონაცვლეობით): აკეცილიკიდეებიანი სოლენების ერთ რიგზე მეორე რიგი იდო ზურგ-შექცევით და რკინის კრამიტსამაგრებით მაგრდებოდა; ლარისებრი კრამიტები სახურავის კრამიტების ქვედა რიგში იდებოდა და ასე იქმნებოდა წვიმის წყლის სადინარი ლარი [იხ. ლეჟავა 1978: ტაბ. CI].

დაბოლოს, უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი სახის ძეგლი — განძი, რომელიც ძვ.წ. I ს-ის შუახანებში ჩანს ჩაფლული. ის ქალაქის თავდაცვითი კედლის აღმოსავლეთი მონაკვეთის გარეთ აღმოჩნდა კლდეში საგანგებოდ ამოკვეთილ ორმოში. განძი შეიცავდა ბრინჯაოსა და რკინის ნივთებს. ბრინჯაოსია დიდი ზომის ჭურჭელი, ოთხი სადგარი, ერთი სასაკმეველე, ოთხი ჭრაქი, კლინეს ფეხის გარსაკრავების ათი კომპლექტი. რკინის ნივთები წარმოდგენილია ორი თიმიატერიონით, ერთი ე.წ. კერიითა და რამდენიმე ათეული შუბისპირითა და ისრისპირით [Akhvlediani და სხვ. 2016: 182-191].

ძვ.წ. I ს-ის შუახანებში ქალაქის დანგრევის შემდეგ, როგორც ჩანს, ცხოვრება აქ მაინც არ შეწყვეტილა. საქმე ისაა, რომ ნაქალაქარზე აღმოჩენილია გვიანანტიკური ხანის მასალები. პირველ ყოვლისა ესაა მონეტები — მარკუს ავრელიუსის რომაული დენარი და კარაკალას სახელით 197 წ. კესარიაში მოჭრილი დრაქმა [იხ. დუნდუა და სხვ. 1977: 127]. ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებს მიეკუთვნება ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა, რომელიც ნაქალაქარის ზედა ტერასაზეა გათხრილი (დმ —2,15მ), 1 მ სიმაღლის. ის ბრტყელი კრამიტების ნატეხებითაა ამოშენებული და თიხით გალესილი. არქეომაგნიტური მეთოდის მიხედვით ქურის შეღესილობის ფრაგმენტები ახ.წ. VII ს-ს მიეკუთვნა [კაჭარავა და სხვ. 1979: 9, სურ. 9-16]. შუა საუკუნეების სამარხი ნაქალაქარის ზედა ტერასის სამხრეთ კიდედან აღმოჩნდა. ის ახ.წ. X ს-ით არის დათარიღებული [ხოშტარია 1979: 133].

ვანის შემოგარენში სხვადასხვა პერიოდის არაერთი ძეგლია გამოვლენილი. დაბა ვანის დაბლობ ნაწილში, ადგილ საყანჩიაზე გათხრილია ელინისტური ხანის ნამოსახლარი [ლიჩელი 1977: 52-57, სურ. 21-24; ლიჩელი 1991], ვანიდან 150-200 მ დაცილებით სოფ. ქვედა ციხესულორის ტერიტორიაზე — ძვ.წ. III ს-ის ქვევრსამარხი და დერგსამარხი [ხარაბაძე 2005: 31-38], ხოლო ვანის ჩრდილო-დასავლეთით 3-4 კმ-ის დაცილებით სოფელ ციხესულორში — შუა საუკუნეების ნაციხარი, სადაც ელინისტური და ადრეანტიკური ხანის მასალამაც იჩინა თავი [მინიშვილი 1976: 32-47, სურ. 53-65; მინიშვილი 1977: 43-51].

ვანის დასავლეთით 8 კმ-ზე, სოფ. მთისძირში, ადგიშვილების გორაზე არქეოლოგიურად დადასტურებულია ძვ.წ. VI—ახ.წ. VIII სს. ნამოსახლარი (ნაგებობები, სამარხები) [იხ. გამყრელიძე 1977: 58-70; გამყრელიძე 1982]. დაბლაგომში — ელინისტური ხანის სამაროვანი [იხ. თოლორდავა 1976: 48-67; თოლორდავა 1976ა: 68-78; თოლორდავა 1977: 71-80; თოლორდავა 1980: 6-17]. დაფნარში, რომელიც მდებარეობს ვანის ქვეყნის დასავლეთ კიდეში, შესწავლილია ძვ.წ. IV-II სს-ის სამაროვანი [იხ. Кигурадзе 1976; თოლორდავა 1980: 17-24]. აღსანიშნავია აგრეთვე სოფელ ქვედა გორაში აღმოჩენილი „განძი“ (ოქროს ბალთა, სარდიონის მძივები), რომელიც ახ.წ. I-III სს-ით თარიღდება [ხარაბაძე 2008: 110-111], და სოფ. ზედა გორაში (ვანიდან აღმოსავლეთით 15 კმ დაცილებით) გამოვლენილი ახ.წ. I-II სს-ის სამარხი [იხ. ხარაბაძე 2003: 163-169].

ვანის ნაქალაქარის გენერალური გეგმის აღწერილობა:

1- მონუმენტური საკურთხეველი, ძვ.წ. III-I სს. 2- საკულტო ნაგებობის ნაშთები, ძვ.წ. II-I სს. 3- თავდაცვითი კედლები, ძვ.წ. II-I სს. 4- სამარხები №№ 12-14, ძვ.წ. IV-III სს. 5- ხის ტაძრის ნაშთები, ძვ.წ. V-IV ს-ის დასაწყისი. 6- თავდაცვითი კედლები, ძვ.წ. II-I სს. 7- სამარხები № 1-4, ძვ.წ. III ს. 8- სამლოცველო, ძვ.წ. III ს. 9- ქვევრსამარხიანი სამლოცველო, ძვ.წ. III ს. 10- სამარხი № 17, ძვ.წ. IV-III ს-ის დასაწყისი. 11- სამარხი № 16, ძვ.წ. IV-III ს-ის დასაწყისი. 12- სამლოცველო, ძვ.წ. III ს. 13- ლითონის ქანდაკებიანი სამლოცველო, ძვ.წ. III ს. 14- სამარხები №№ 20-24, 28. ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი. 15- „სამჭედლო“, ელინისტური ხანა. 16- კონტრაფორსებიანი ნაგებობა, ძვ.წ. II-I სს. 17- სატაძრო კომპლექსი, ძვ.წ. II-I სს. 18- სამარხი № 25, ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი. 19- ნაგებობათა ნაშთები, ძვ.წ. IV-III სს. 20- ნაგებობათა ნაშთები, ძვ.წ. IV-III სს. 21- საკურთხეველიანი საკულტო ნაგებობის ნანგრევები, სამსხვერპლო ორმო და სამარხი № 27, ძვ.წ. III ს. 22- უცნობი დანიშნულების კლდეში ნაკვეთი ორმოები, ძვ.წ. II-I სს. 23- სამსხვერპლო ორმოები, ძვ.წ. III-II სს. 24- სამსხვერპლო ორმოები, ძვ.წ. III-II სს. 25- ნაგებობების ნაშთები, ძვ.წ. III-II სს. 26- ცერემონიალური საკურთხეველი, ძვ.წ. II-I სს. 27- კედლების ნაშთები, ძვ.წ. III-I სს. 28- თავდაცვითი კედელი, ძვ.წ. IV-III სს. 29- რიყისქვით მოგებული სამლოცველო, ძვ.წ. IV-III სს. 30- ქვის ფილებით მოგებული გზა, ძვ.წ. II-I სს. 31- რიტუალური ნიშები, ძვ.წ. III-II სს. 32- შენობების ნაშთები, ძვ.წ. II-I სს. 33- სატაძრო კუთვნილების ლითონის ნივთების განძი, ძვ.წ. I ს-ის შუახანები. 34- თავდაცვითი კედლები, ძვ.წ. II-I სს. 35- თავდაცვითი კედლები, ძვ.წ. II-I სს. 36- ჭა, ძვ.წ. II-I სს. 37- სატაძრო კომპლექსი, ძვ.წ. II-I სს. 38- არხი, ძვ.წ. II-I სს. 39- წყლის კარი, ძვ.წ. II-I სს. 40- თავდაცვითი კედლები, ძვ.წ. II-I სს. 41- სამარხი № 11, ძვ.წ. V საუკუნის შუახანები. 42- „წმიდა ბეღელი“, ძვ.წ. II-I სს. 43- სამარხი № 19, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი. 44- აბსიდის ნაგებობა, ძვ.წ. II-I სს. 45- სამარხი № 9, ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი. 46-

ნაგებობის ნაშთები, სამარხი № 15, ძვ.წ. III-II სს. 47- სამარხი № 10, ძვ.წ. IV ს. 48- ქვის ბლოკებით ნაგები მონუმენტალური პლატფორმა, ძვ.წ. II-I სს. 49- ნაგებობის ნაშთები, ვ.წ. III-II სს. 50- თავდაცვითი კედლები, ძვ.წ. II-I სს. 51- თავდაცვითი კოშკი, ძვ.წ. II-I სს. 52- კლდეში ნაკვეთი გვირაბი, გვიანელინისტური ხანა. 53- თავდაცვითი კედლები, ძვ.წ. II-I სს. 54- მრგვალი ტაძარი, ძვ.წ. II-I სს. 55- კარიბჭის არქიტექტურული კომპლექსი, ძვ.წ. II-I სს. 56- თავდაცვითი სისტემა შემდგარი კოშკების, კედლებისაგან, ძვ.წ. II-I სს. 57- სამარხები №№ 6-7, ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი-IV ს-ს პირველი ნახევარი [Kacharava, Kvirkvelia 2008ა].



ფოთის არქეოლოგიური ძეგლები[©] მდ. რიონის შესართავთან, შავი ზღვის ნაპირზე, ტბა პალიასტომის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, დღევანდელი ქ. ფოთის ადგილზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობენ. ფოთის და მისი მიდამოების არქეოლოგიურ კვლევას კარგა ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1834 წ. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ ფოთის აღმოსავლეთით, დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე, ადგილ „ნაჯიხურთან“, ციხესიმაგრის ნაშთები აღმოაჩინა, რომელიც არიანეს დროინდელ ფასისად მიიჩნია. მან ამ ციხის ნახაზიც დაგვიტოვა [იხ. Дюбуа де Монпере 1937: 63-80]. 1953 წ. ნ. ხოშტარია მცირე არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა ქ. ფოთის მიდამოებში [ხოშტარია 1953: 30-33]. 1961-1965 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფოთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. თ. მიქელაძე) იკვლევდა ქ. ფოთის შემოგარენს; არქეოლოგიურ კვლევასთან ერთად ჩატარდა გეოლოგიური ბურღვებიც. 1969 წ. ამავე ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაზვერვები აწარმოა ადგილ ნაჯიხურის ახლოს (ხელმძღ. გ. გრიგოლია). 1971-1981 წწ-ში ფასისის, ფოთის შემოგარენის არქეოლოგიის საკითხებს იკვლევს არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. თ. მიქელაძე). 1985 წ-დან ფოთში კვლევას აწარმოებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შავიზღვისპირეთის ექსპედიცია (ხელმძღ. გ. გამყრელიძე), რომელმაც ტბა პალიასტომში III-VII სს-ის ნამოსახლარის ნაშთებს მიაკვლია [იხ. გამყრელიძე 1987; გამყრელიძე 1997: 3-19; Гамკრელიძე 1987; Гамკრელიძე 1987a; Гамკრელიძე 1990; Гамკრელიძე 1992; Gamkrelidze 1992].

დღევანდელი ფოთის ტერიტორიაზე ყველაზე ძველი არქეოლოგიური მონაცემი ადგილ „ნატეხებთან“ პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თიხა-ტორფიან ფენებში დადასტურდა. აქ აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს-ის შავლაკიანი ჭურჭლის პროფილირებული ქუსლი და ძვ.წ. III ს-ის როდოსული ამფორის ძირი [Гамკრელიძე 1992: 35, სურ. 5, 6]. ქ. ფოთის მიდამოებში (ზუსტი ტოპოგრაფია უცნობია) აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს-ის კოლხური თეთრის 2 დიდრაქმა (II ტიპის) და რამდენიმე სხვა უფრო მცირე ნომინალი [იხ. Пахомов 1926: 37; Дундуа 1987: 14, 15]. ქ. ფოთში კი პირველი მაისის და კავკასიის ქუჩების გადაკვეთაზე გეოლოგიური ბურღვის შედეგად 5 მ-მდე სიღრმეზე აღმოჩნდა სინოპურის მსგავსი ძვ.წ. II-III სს-ის კერამიკის ნაშთები [მიქელაძე 1978: 18, 19].


ფოთის შემოგარენში ყველაზე ადრეული სამოსახლოს კვალი აღმოჩნდა სოფ. ქვემო ჭალადიძეში, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს, 1,5 კმ-ზე ჩრდილოეთით, ფოთისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, ადგილ ზურგაზე. ბორცვის ფართობია ≈ 1800 კვ.მ; სიმაღლე ზღვის დონიდან – 5,04 მ. ბორცვზე, ზემოდან ქვევით აღმოჩნდა შემდეგი ფენები: I – მოყვითალო ქვიშანარევი თიხნარი; II – მოყვითალო თიხნარი; III – დამწვარი შიგადაშიგ მოშავო ბათქაშებიანი და ძელებიანი მოყვითალო ნიადაგი. დამწვარი ძელების თარიღი რადიოკარბონული C14-ის მეთოდით არის განსაზღვრული (ანალიზი ჩაატარა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ლაბორატორიამ; ხელმძღ. ალ. ბურჭულაძე). ბორცვის შუა და ქვედა ფენა განისაზღვრა გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით [მიქელაძე 1978: 40]. ეს ფენები ძირითადად წარმოდგენილია კერამიკით: ქოთნები, ტოლჩები, თასები. ისინი შემკულია ე.წ. შვერილებიანი ყურებით. კერამიკა ძირითადად მოშავოდ და მონითალოდ არის გამომწვარი. ისინი შემკულია ღაროვანი და ჭდეებიანი, წინვისებური, შვერონებიანი, ირიბჭდეებიანი და ტალღოვანი ორნამენტით. ამ ფენაშივე დადასტურდა შავპრიალა, ზოლებიანი და

© გ. გამყრელიძე

რომბისებურორნამენტიანი კერამიკაც. აქვე აღმოჩნდა ყალიბი, ქვის ხელსაფქვავი, ნამგლის კაჭის ჩასართავები [მიქელაძე 1978: 32].

სოფ. ქვემო ჭალადიდის ე.წ. საბაჟოს უბანზე ნამოსახლარების კვალი დადასტურდა. განათხარში აღმოჩნდა დამწვარი ძელების და ბათქაშების ნატეხები. კერამიკიდან დადასტურდა სუფრის და სამზარეულო ჭურჭელი. აღმოჩნდა მეტალურგიული ქურის საბერველი მილი და ცულის დასამზადებელი ყალიბი [მიქელაძე 1978: 33-37].

შემდეგი სამოსახლო, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ძველი ფასისის (ძვ.წ. V ს) სასოფლო გარემოცვად, აღმოჩნდა სოფ. საქორქოს აღმოსავლეთ ნაწილში სიმაგრეს სახელწოდებით ცნობილ უბანში; მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, 200-ოდე მ-ზე, ზღვიდან დაახლოებით 11 კმ-ზე. ადგილ სიმაგრის ბორცვის სიმაღლე 1,25 მ-ია, ხოლო ფართობი რომელიც ნახევარსფეროს მოყვანილობისაა დაახლოებით 3200 კვ. მ-ს მოიცავს. აქედან არქეოლოგიურად შესწავლილია 255 კვ.მ ფართობი. ბორცვი ძირითადად შედგება მოყვითალო-მონაცრისფრო ფერის თიხნარისაგან, ხოლო სულ ქვემოთ 60 სმ-მდე მოშავო ფენაა, რომელშიც გვეგმარების მქონე ხის ნაგებობები აღმოჩნდა. ბორცვ-სიმაგრის არქეოლოგიური მასალა ძვ. წ. VI-V სს-ით თარიღდება.



ე.წ. სიმაგრის ნაგებობები ოთხკუთხა ფორმისაა და ძელების წყობითაა ჯარგვალურად ნაგები. დადასტურებულია წნული ლობების ნაშთები. აღმოჩნდა ნაგებობების იატაკები, რომელიც შესრულებულია თიხატკეპნილი მიწით და ზედ ფიცარნაგით ან ლასტისნაირი წნულით. ერთ-ერთი ნაგებობის ნაშთები 112 კვ.მ-ს უდრის. ნაგებობაში არის ტიხრები. ნაგებობის კედლების ძელები ძირითადად ერთმანეთში ჩაჭდომის წესით არის ნაგები. აღმოჩნდა ასეთი კედლის ძელების ექვსი რიგი. აქ აღმოჩნდა ძვ.წ. VI-V სს-ის მრავალფეროვანი კერამიკა. აღმოჩენილი ადგილობრივი კერამიკა ყველა ფენაში ტიპოლოგიურად ერთნაირია. კერამიკა ტიპიურია VI-V სს-ის კოლხეთისათვის და ცნობილია

ე.ნ. კოლხური კერამიკის სახელით. აღმოჩნდა — სამეურნეო: ქვევრები, დერგები; სამზარეულო: ქოთნები, ქოთნის სარქველები, სასმისები, ყურმილიანი ხელალები, კოჭბები, ლანგრები, ჯამები, ჭრაქები. დადასტურდა — კონუსური ფორმის კვირისტავები; ბრინჯაოს დანა; რკინის ყუნწიანი და მასრიანი შუბისპირები; რკინის თოხი; რკინის დანები; ანკესები; რკინის ლაგამი; ვერცხლის რგოლი; ნაგრძელებული ფორმის ქვის ხელსაფქვავეები; კაჟის ხელშუბისპირი; ძვლის მახათი; ხის ციცხვეები; ხის სავარცხელი; სარდიონის სფერული და კონუსური მძივები; გიშრის კვერცხისებური ფორმის მძივი; შავი მინის პასტის მძივები; ოქროს სამკუთხა საკიდი, რომელზეც ცვარათი შესრულებულია მეანდრის ორნამენტი. უცხოური კერამიკიდან აღსანიშნავია ამფორების — ქიოსური, ლესბოსური, სამოსური; სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია იონური კერამიკით — ჯამების, ჭრაქების და კილიკების ფრაგმენტები; შავლაკიანი და შავფიგურული ატიკური ჭურჭელი — კილიკების, ჯამების ნატეხები.

მდ. რიონის მარცხენა ტერასის გაყოლებით ზღვიდან დაახლოებით 9 კმ-ზე, აღმოჩნდა ძვ.წ. VI-IV სს-ის ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობების ფრაგმენტები. არქეოლოგიური მასალა აქ წარმოდგენილია კოლხური კერამიკით — ქოთნები, კოჭბები, სარქველები, ყურმილიანი დოქები და სხვ. ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა სიმაგრის ნამოსახლარის სამხრეთით 1 კმ-ზე. აქ დადასტურდა კოლხური ქედებიანი ქვევრების და მოყავისფრო კეციანი კოლხური ამფორების ნატეხები. აღმოჩნდა, აგრეთვე, სინოპური ამფორის ძირი. ქ. ფოთის აეროპორტის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების 2 ნელშენეჩილი ადგილობრივი ამფორა. სიმაგრის ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 350 მ-ზე, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე აღმოჩნდა სამაროვნის ნაშთები (ძვლოვანი მასალა). აქვე დადასტურდა ურთიერთმკვეთლარებიანი აგურები, ხელალები, ჭინჭილები, კათხები, ორყურა ქილები, ჯამები. ჭურჭელი დამზადებულია კარგად განლეჩილი თიხისაგან და ღია მოყავისფროდაა გამომწვარი. არქეოლოგიური მასალა ადრეული შუა საუკუნეებისაა [მიქელაძე 1978: 78-81].

ქ. ფოთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, პალიასტომის ტბასთან, ქალაქის შემოსავლელი გზის კაპარჭინაზე ხიდის მშენებლობის ადგილზე აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები (ქვევრის წვეტიანი ძირები, ჯამები, ნელშენეჩილი ამფორის ნატეხები). პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაწილში, ადგილ „ნაეკლესიარზე“, წყალში, 2 მ-მდე სიღრმეზე, რიყის ქვებით და კირხსნარით ნაგები კედლის ნაშთები აღმოჩნდა. კედელი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული და ≈ 20 მ-ზეა შემორჩენილი. მისი სიგანე 1 მ-ია. კედელთან შუა საუკუნეების უსახო კერამიკის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა. პალიასტომის სამხრეთ-აღმოსავლეთ შენაკადის თხორინას შესართავთან ნაპოვნია საშუალო ზომის მთლიანი გოფირებული ამფორა. ადრეული შუა საუკუნეების ამფორების ნატეხები ნაპოვნია აგრეთვე მდ. ფიჩორის პალიასტომთან შერთვის მონაკვეთშიც [იხ. გამყრელიძე 1987: 98-104].

ადრეული შუა საუკუნეების კერამიკა აღმოჩნდა ქ. ფოთის აეროდრომის ტერიტორიაზე, ადგილ „ნაჯიხურში“ (დიუბუა დე მონპერეს მიკვლეული). კერძოდ: ურთიერთგადამკვეთლარიანი აგურები, გოფირებული კერამიკის ნატეხები. „ნაჯიხურიდან“ სამხრეთ-დასავლეთით მდ. შავის პალიასტომთან შესართავთან აგრეთვე აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები (ქვევრი, გოფირებული ამფორის ნატეხები და სხვ.). ქ. ფოთის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, პალიასტომის ტბაში, ზღვის შესართავიდან (მალთაყვა) $\approx 1,5$ კმ-ზე კაპარჭინას გადმოღმა, ტბაში და ნაპირებზე აღმოჩნდა III-VIII სს-ის ნამოსახლარის ნაშთები — ადგილი „ნატეხები“ [იხ. გამყრელიძე 1987: 98-116]. აქ არქეოლოგიური მონაცემები ტბაში დაახლ. 900 კვმ-ზე, ხოლო ნაპირზე 500 კვმ-ზე ვრცელდება. ტბის ფსკერი აქ ქვიშიანი და თიხიან-ტორფიანია. მოცემულ მონაკვეთში ნაპირიდან ტბის ცენტრისაკენ, ≈ 300 მ სილა-ქვიშიანია, ხოლო შემდეგ ტორფიანი თიხის ფენები იწყება. სამოსახლოზე სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია ბრტყელი გვერდებაკეცილი (გადანაკეცი 3,5 სმ, სისქე 2 სმ-მდე) კრამიტითა და აგურით (30 X 25 X 4 სმ; არის აგრეთვე ურთიერთგადამკვეთლარიანი 25 X 25 სმ აგურიც). აქ აღმოჩნდა

უცხოური ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის 14 ფრაგმენტი. თიხა მონაცრისფრო-მოიისფროა და შერეული აქვს შავი ნამცეცები. სამშენებლო მასალიდან, აგურისა და კრამიტის გარდა ნამოსახლარზე ხის ძელებისა და დამწვარი თიხის (ბათქაშის) ნაშთები აღმოჩნდა. ნამოსახლარის ჭურჭლის უმეტეს ნაწილს შეადგენს ადგილობრივი წარმოების კერამიკული ტარა — ამფორები. ისინი მოყავისფროდ არის გამომწვარი, წაგრძელებული წელშენეკილი ფორმა აქვთ და კონუსისებური ძირით ბოლოვდებიან. სამოსახლოს ადგილობრივი წარმოების სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნებით, ჯამებით, ლუთერიებითა და დოქებით. სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ბრტყელძირა (დმ — 12-16 სმ) ქვევრებით. „ნატეხების“ არქეოლოგიური მასალის დაახლ. 25% უცხოური ნაწარმია. კერძოდ: სინოპური თიხის მაგვარი კეციანი გოფირებული ამფორები; ღია მოყავისფრო-მონთალო, კარგად განლეკილი თიხის გოფირებული ამფორები; სამოსური ამფორის ძირები; სამოსური ამფორისკი (სიმალლე — 17სმ); წითელლაკიანი ჯამის ნატეხები.

ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალის კიდევ ერთ ჯგუფს ქმნის მინის ნაწარმი; მათ ძირითადად ბაცი-მომწვანო ელფერი დაჰკრავთ, მაგრამ მოცისფრო და მოყვითალო ფერის ფრაგმენტებიც გვხვდება. არის მინის ფეხიანი სასმისებისა და ლამპრების ნატეხები. „ნატეხებშივე“ აღმოჩნდა სამარხის ნაშთები. აქ დადასტურდა ძირით ქვემოთკენ ჩადგმული წელშენეკილი ამფორა (მხართან გრაფიტო აქვს. აღწერა იხ. ქვემოთ), რომელსაც თავი ნატეხილი და ზემოდან მეორე ღარებიანი ამფორის ქვედა ნაწილი ჰქონდა დამხობილი. ამფორაში ფრინველისა და ცხოველის (ღორის) დამწვარი ძვლები იყო. ამფორასთან ადამიანის ძვლები, ბრინჯაოს 3 ფიბულა (სიგრძეები — 4,3 სმ; 4,3 სმ; 5,2 სმ), ბრინჯაოს საკინძი (სიგრძე — 7,7 სმ), მინის სასმისის ფეხი (დმ — 4,3 სმ) და ბიზანტიური, კერძოდ იუსტინე II-ის (565-578წწ) ოცნუმიანი სპილენძის მონეტა აღმოჩნდა. ამრიგად, „ნატეხების“ ნამოსახლარის თარიღი III-VIII სს-ით უნდა განისაზღვროს, ხოლო სამარხი — VI ს-ით. „ნატეხების“ არქეოლოგიური მასალა სიახლოვეს იჩენს გუდავის, ნოქალაქევის, ოჩამჩირის, სოფ. მთისძირის, ვაშნარისა და დასავლეთ საქართველოს სხვა თანადროულ არქეოლოგიურ ძეგლებთან [იხ. გამყრელიძე 1987: 116].

ფოთ-ფასისთან დაკავშირებული რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლია შემორჩენილი: ბერძნულ წარწერიანი ვერცხლის ფილა, რომელიც აღმოჩნდა ყუბანში, ზუბოვის ყორღანში (ინახება ს.-პეტერბურგის „ერმიტაჟში“). ფილის დმ 21 სმ-ია; ფსკერი ამოზურცულია; შემკულია ხაზოვანი და წერტილოვანი ორნამენტით; გამოსახულია გველი და ირმის თავები; პირზე აქვს ერთსტრიქონიანი წარწერა — „აპოლონ ნინამძლოლისა ვარ, რომელიც ფასისშია“. შესრულებულია ბერძნული ენის იონიურ დიალექტზე, პალეოგრაფიულად ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება [იხ. ყაუხჩიშვილი 1976: 235]. სოფ. ციხისძირის ნაციხარზე აღმოჩნდა აგური (თიხის ფილა) ლათინურწარწერიანი დამლით — „ვექსილაციო ფასიანა.“ მას ქ. ფასისში II ს-ში მდგარი სამხედრო ნაწილის სახელოსნოში დამზადებულად მიიჩნევენ [იხ. შპაიდელი 1985: 134].

ქალაქი, ნავსადგური, ციხე იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში [ქც 4: 747,10; 777,24; 789,23; 790,10; 814,20; 883,20]. ვახუშტი ბაგრატიონი ფოთის შესახებ გადმოგვცემს: „... სადაცა ერთვის რიონი ზღვას, აქა არს ფოთი“ [ქც 4: 777,24]. „ხოლო რიონის თუალზედ სამხრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე ... ნავსადგურობისათვის“ [ქც 4: 789,23]. „კუალად ფოთის სამხრეთით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა დიდი. ამ ტბიდამ შესდის ზღუას მდინარე ამისივე. აქიდამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსუენებისათვის“. „ამას იტყვიან ნაქალაქევეს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან. კუალად ამ ტბისა და ჯუმათის მთის სამხრით დის მდინარე სუფსეი...“ [ქც 4: 790,10].

დღევანდელ ფოთთან და მის შემოგარენში ლოკალიზდება ანტიკურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ძვ.წ. VI ს-ის ქალაქი ფასისი-ფაზისი [იხ. გამყრელიძე 2003: 170-189]. ბერძნული წერილობითი წყაროების ტოპონიმ ფასისს ქართველური ენების საფუძველზე მიღებულ ფოთის სახელწოდებად მიიჩნევენ — ფოთ-ფათ-ფას [იხ. მელიქიშვილი 1965: 50-59; გორდუზიანი 1971: 181-185; ფოგტი 1964: 96]. ამ მოსაზრებას გარკვეულწილად ზურგს უმაგრებს ფოთის ტერიტორიაზე ტბა პალიასტომში აღმოჩენილი

გრაფიტო (ფი, ომეგა – Φ), რომელიც არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილ VI ს-ის ამფორაზე დადასტურდა და იშიფრება – „ფასისში ვიყიდე“ [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2011: 283]. ქ. ფასისი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: პინდარე, II პითიური, IV, 210 [ურუშაძე 1964: 213], ფსევდო-სკილაქსი, აზია, 81 [ყაუხჩიშვილი 1967: 48], არისტოტელე, ფრაგმენტები, 46 [ყაუხჩიშვილი 1969: 73], პლატონი, „ფედონი“ 109 (ბ) [პლატონი 1970: 109]. ჰიპოკრატე, „ჰაერთა, წყალთა და ადამიანთა შესახებ, 15 [ყაუხჩიშვილი 1965: 45], სტრაბონი, „გეოგრაფია“, XI, 2 თ., 16, 17; 3 თ., 4 [ყაუხჩიშვილი 1957: 122, 123, 128], ფლავიუს არიანე, „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, 9,10 [არიანე 1961: 40] და სხვ. [იხ. გამყრელიძე 2003; გამყრელიძე 2009].

ქ. ფასისი ძველთაგანვე ქართველური მოსახლეობით დასახლებულ მინანქალზეა დაფუძნებული იონიიდან გამოსული მილეთელების მიერ ძვ.წ. VI-V სს-ში ადგილობრივ მოსახლეობასთან საკონტაქტოდ, სავაჭრო ცენტრად, კოლონია-ემპორიონად [Лордкипанидзе 1979: 187-256; Лордкипанидзе 1997: 15-34]. ფსევდო-ჰერაკლიდეს ცნობის მიხედვით (ყაუხჩიშვილი 1969: 189, 190), დაახლოებით ძვ.წ. III ს-დან ფასისი პოლისური ტიპის სტრუქტურულად შერეულ ქალაქად გარდაიქმნა [იხ. გამყრელიძე 1993: 47, 48, 57].


III-VII სს-ში ფასისია ე.წ. „ნატეხების“ ნამოსახლარი, რომელიც აღმოჩნდა ქ. ფოთის სამხრეთ ნაწილში, პალიასტომის ტბის დასავლეთ მონაკვეთში, მალთაყვის ზღვასთან შეერთების ადგილიდან 1,5 კმ-ზე, ტბაში. ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო, მდ. რიონის, ფიჩორისა და სუფსას შორის მდებარე მონაკვეთში ფასისის ნაწილი ხშირად ხვდებოდა წყალში (ან ტორფიან ჭაობში). ამიტომ, ქალაქი მოცემული მონაკვეთის ფარგლებში, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ადგილზე ინაცვლებდა [იხ. გამყრელიძე 1987:97-117; გამყრელიძე 2003: 170-189; Гамкрелидзе 1992: 42,43; Gamkrelidze 1992: 101-109; Gamkrelidze 2009: 175-194].

უფლისციხის არქეოლოგიური ძეგლი, ქ. გორიდან აღმოსავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, სოფ. ქვახვრელის მოპირდაპირედ, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. 1852 წ. უფლისციხეში პირველი გათხრები დიმიტრი მეღვინეთუხუცესის მიერ ჩატარებია, რომელსაც აუგეგმავს ნაგებობანი, გაუთხრია ორსვეტიანი დარბაზი, სადაც აღმოჩენილა სვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები. გვერდით სათავსოში კი მიუკვლევი ქვევრებისათვის. მისი აზრით, ორსვეტიანი დარბაზი და მიმდებარე ნაგებობები წარმოადგენდა წარჩინებული პირის სასახლეს. ნაქალაქარის ჩრდ.-აღმოსავლეთით არსებულ ტერასაზე დ. მეღვინეთუხუცესის მიერ აღმოუჩენია ძველი ნეკროპოლი.

1957 წლიდან ნაქალაქარისა და მისი შემოგარენის გათხრებს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებდა (ხელმძღ. შ. ამირანაშვილი, დ. ხახუტაიშვილი, თ. სანიკიძე, გ. ყიფიანი). ამ ხნის მანძილზე შიდა ქალაქის 60% გაითხარა. იქ გამოვლენილი მასალებიდან ყველაზე ადრეული ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისით, ყველაზე გვიანდელი კი გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება. უფლისციხის შემოგარენში შესწავლილ იქნა არაერთი ძეგლი: ბამბების ანტიკური ხანის სამოსახლო და სამაროვანი; ყათლანისხევის გვიანანტიკური ხანის სამარხები; ლაშეთხევის ადრეული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, ყათლანისხევის გვიანი ბრინჯაოს ხანის სამლოცველო და სხვ. [იხ. ხახუტაიშვილი 1989: 25-78; ყიფიანი 2002].

უფლისციხე ქვიშაქვის დაქანებულ ფერდზე ამოკვეთილ-აშენებულ კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან თხრილითა და კედლით არის გამაგრებული. დასავლეთი და სამხრეთი მხარე ბუნებრივად დაცული შვეული კლდით. თხრილის აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით კლდეში ნაკვეთი მცირე კომპლექსები გაითხარა. ქალაქს სამი შესასვლელი ჰქონდა: სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან ე.წ. „მცირე კლდეკარი“; სამხრეთიდან 3 მ დიამეტრის მქონე გვირაბი, რომელიც მტკვრის პირას ჩადიოდა; სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან მდებარეობდა მთავარი შესასვლელი,

რომელიც ქალაქის ცენტრალურ ქუჩას უკავშირდებოდა [ხახუტაიშვილი 1966: 115]. უფლისციხის შიდა ქალაქის ცენტრალური უბნის კლდეში ნაკვეთი კომპლექსების არქიტექტურული ერთიანობა, კლდის ზედაპირის ერთგვაროვანი დამუშავება მიუთითებს უფლისციხის კლდის ნაგებობათა ერთდროული მშენებლობის შესახებ. აქ გაითხარა შემდეგი კომპლექსები: ფასადის მხრიდან ღია, უმეტეს შემთხვევაში კამარით დაგვირგვინებული სათავსი, რომლის უკან ან სამ მხარეს განლაგებულია გაცილებით დაბალი, ბრტყელჭერიანი ოთახები. ხშირად კამაროვანი სათავსის უკან მდებარე ოთახის ჭერი შემკულია კლდეში ნაკვეთი ხის გადახურვის კონსტრუქციის იმიტაციით ან კესონებით. ნაგებობის წინ ეზოა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ქუჩას [იხ. ხიმშიაშვილი 1986: 59].



კლდეში ნაკვეთი კომპლექსების თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მკვლევართა ნაწილი მათ ძვ.წ. V-IV სს-ს მიაკუთვნებს [იხ. ხახუტაიშვილი 1964: 61, 62; ლეჟავა 1971: 26; Мелитаური 1969: 21]. ზოგიერთ მკვლევარს კომპლექსების გამოკვეთის თარიღად ძვ.წ. IV-III სს მიაჩნია [იხ. Саникидзе 1983: 3]. კესონური ჭერის მქონე დარბაზების ერთი რიგი II-III სს-ით თარიღდება [იხ. ამირანაშვილი 1944: 123, 124]. სხვა მოსაზრების მიხედვით, ელინისტური ხანის უფლისციხეში წამყვანი ადგილი ეკავა ალიზის ნაგებობებს, ხოლო ცენტრალური უბნის ძირითადი კომპლექსები ახ.წ. I ს-ის მიწურულსა და III-შია გამოკვეთილი [იხ. ხიმშიაშვილი 1988: 12]. ზოგიერთი მოსაზრებით, წინაქრისტიანული ხანის უფლისციხე საკულტო ქალაქი უნდა ყოფილიყო [იხ. სანიკიძე 1987: 41].

ნაქალაქარის გათხრებისას რამდენიმე უბანზე აღმოჩნდა ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისის კერამიკა [იხ. ხახუტაიშვილი 1989: 21]. კლდეში ნაკვეთი კომპლექსის II უბანზე უფლისციხის არსებობის ყველა პერიოდის არქეოლოგიური მასალაა წარმოდგენილი, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისიდან გვინდელი შუა საუკუნეების ჩათვლით. აქ შედარებით უკეთაა შემორჩენილი ელინისტური ხანის ქვათლილებით ნაგები ზღუდის კედელი და კოშკი [ხახუტაიშვილი 1970: 58]. II უბნის ჩრდილოეთით ოცდაათიოდე მ-ის დაშორებით აღმოჩნდა ე.წ. სახელოსნო, რომელიც ძვ.წ. IIIს-ში ხანძარს გაუნადგურებია. მისი გათხრისას გამოვლინდა: ტერაკოტის ფიგურა; ოქროს ვარდულები; მილაკები; ბრინჯაოს ზარაკები; რკინის ბორბლები; თიხის ჭურჭელი; ამფორისკი, რკინის შუბისპირები, ისრისწვერები და სხვ. [იხ. ხახუტაიშვილი 1989: 25-28; შეადარე იხ. ყიფიანი 2002: 95].

ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე აღმოჩნდა ძვ.წ. IV-III სს-ის კლდეში ნაკვეთი საწნახლები. ჩრდილოეთ უბანზე გამოვლინდა შუა საუკუნეების დიდი მარანი. ორი მარანია აღმოჩენილი ცენტრალურ უბანზე. შუა საუკუნეებს განეკუთვნება ნაქალაქარის აღმოსავლეთით, სალიზგარის ხევში მდებარე კლდეში ნაკვეთი 3 საწნახელი. გარდა ამისა, ნაქალაქარის გათხრებმა გამოავლინა საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო დანიშნულების არაერთი კომპლექსი, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა — ანტიკური ხანიდან მოყოლებული გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით.



განათხარი მასალის უდიდეს ნაწილს კერამიკა წარმოადგენს. შედარებით მცირერიცხოვანია ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისის მოშავო და სოლისებური ორნამენტით შემკული კერამიკა. VI-IV სს-ის კერამიკულ ნაწარმში ყურადღებას იქცევს მონითალოკეციანი ანგობით მოხატული დოქებისა და ხელადების ნატეხები. ჭურჭლების დიდ ნაწილს შეადგენს შავპირილა ფიალები და ჯამები. ელინისტური ხანის კერამიკაში გვხვდება როგორც სამეურნეო, ისე სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი, წარმოდგენილი სადა, მოხატული, აგრეთვე რელიეფური და ნაკანრი სახეებით შემკული ნაწარმის სახით [ხახუტაიშვილი 1970]. შუა საუკუნეების კერამიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ შორის გვხვდება: ქვევრები, დერგები, სადღვებლები, ჩაფები, ქოთნები, ხელადები, ჯამები, ჭრაქები, კრამიტები. ნაქალაქარზე აღმოჩენილია მოჭიქული კერამიკის თითქმის ყველა სახეობა. მათი უმრავლესობა ჯამებია. არაკერამიკული მასალა წარმოდგენილია რკინის ისრისპირებით, ნამგლებით, ცულებით, საკინძებით, ბეჭდებით; მინის სასმისებით, სამაჯურებით, მიძივებითა და სხვ. [მინდორაშვილი 2008].

კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე რამდენიმე ეკლესიაა. მათ შორის ყველაზე ადრეულია 360 კვ.მ ფართობის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც მდებარეობს ნაქალაქარის ცენტრალურ უბანზე. ეკლესია კლდეშია გამოკვეთილი. შემორჩენილია ჩრდილოეთი კედელი და მცირე სათავსი, აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების ქვედა ნახევარი. ეკლესიის ინტერიერს ქმნის კლდის დამუშავებული კედლები, რომლებსაც ფასადები არა აქვთ. ეკლესიის დასავლეთი მონაკვეთის ცენტრში ოთხი ბურჯის ბაზისია გამოკვეთილი. ნანილობრივ შემორჩენილია პილასტრისა და თალების კლდეში ჩაჭრილი პროფილი. დარბაზს აღმოსავლეთით იატაკიდან ერთი საფეხურით ამაღლებული ღრმა ნალისებური აფსიდა აქვს. აფსიდის ორივე მხარეს მცირე სათავსებია. ეკლესიას შესასვლელი აქვს სამხრეთი კედლიდან, რომელიც ქვათლილებითაა ნაგები. ეკლესია VI ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. ის მრავალჯერაა გადაკეთებული. ე.წ. უფლისწულის ეკლესია ნაქალაქარის ცენტრალურ უბანში, ამაღლებული კლდის მასივზე მდებარეობს [იხ. ხიმშიაშვილი 1988: 15; ხახუტაიშვილი 1989: 38; Чубинашвили 1961: 13- 14].

ნაქალაქარის შემოგარენში არაერთი არქეოლოგიური ძეგლია შესწავლილი. ნაქალაქარის აღმოსავლეთით, ე.წ. ყვავის საყდრის მიდამოებში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ლაშეთხევის დასასრულს, მის მარჯვენა მხარეს, გორაზე აღმოჩნდა სამოსახლო. არქეოლოგიურმა დაზვერვებმა აქ გამოავლინა სხვადასხვა პერიოდის სამეურნეო ორმოები, ბრინჯაოს და ადრერკინის ხანის სამეთუნეო ნაწარმი, ხელსაფქვავეები, კაჟის ნამგლის ჩასართები და სხვა [ხახუტაიშვილი 1988: 77, 78].

ნაქალაქარის დასავლეთით, ე.წ. ყათლანისხევთან, ბორცვზე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებული სამოსახლო გაითხარა. აქ გამოვლინდა ხარის თავებით შემკული საკურთხევლები. აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი და თიხის საბეჭდავეები, ცხოველთა ფიგურები, ქვასანაყები და სხვა [ხახუტაიშვილი 1989: 61, 62]. ყათლანისხევის ნამოსახლარი და სამაროვანი გაშლილია ამავე სახელწოდების ხევის ორივე მხარეზე, მდ. მტკვრის ნაპირთან. ყათლანისხევის მარცხენა ნაპირზე გაითხარა ძვ.წ. III-I სს-ის ორმოსამარხები, სადაც აღმოჩნდა: ბრინჯაოს წელმუზნექილი სამაჯურები, ვერცხლის საყურეები, ვერცხლისა და რკინის ბეჭდები, ლეგაპრიალა თიხის ჭურჭელი და სხვ. ყათლანისხევის მარჯვენა ნაპირის მრავალფენიანი სამოსახლოს ზედა ფენაში, რომელიც ახ.წ. I ს. მიეკუთვნება, ნაპოვნია რკინის სახნისი. ორმოსამარხების ინვენტარიდან აღსანიშნავია: ვერცხლის ბალთები, ოქროს ღილაკები, სარდიონის გემები თევზის გამოსახულებით, იმპერატორ ტიტუს ოქროს აურეუსი, ავგუსტეს 9ც. ვერცხლის დენარი, გოტარზეს დრაქმები, თიხის დოქები, მძივები და სხვა [ხახუტაიშვილი 1964: 86-91]. ყათლანისხევის ადრეული შუა საუკუნეების ნასახლარი გამართულია უფრო ადრეულ შენობათა ნაშთებზე. ალიზის კედლები ნაშენია ფლეთილი და რიყის ქვის ცოკოლზე. ძირითადი შენობა ერთმანეთზე მიბმული სწორკუთხა სათავსოებისაგან შედგენილი მოგრძო ნაგებობაა, რომელშიც გამოირჩევა სწორკუთხა დარბაზი. მისი იატაკი ფილებითაა მოგებული. ერთ-ერთ სათავსოში გამოვლინდა ღუმელი, რომელიც შემოსაზღვრულია რიყის ქვებით, შუაში კი ხანძრისაგან დამსკდარი და განითლებული ქვის ფილები აფენია. განათხარი მასალა ძირითადად მონითალო და მოჩალისფროკეციანი კერამიკაა. მათ შორის გვხვდება: ქვევრები, ქოთნები, ბადიები, დოქები, ხელადები, ჯამები და სხვა [ახალაია 1996: 173-175]. ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება ნაქალაქარის დასავლეთით, ადგილ „ბამბებში“ გამოვლენილი ორმოსამარხები. აქ, №10 ორმოსამარხში აღმოჩნდა ორნამენტირებული პინაკი და ცხოველთა გამოსახულებებით შემკული ძვლის ფირფიტები [ხახუტაიშვილი 1970: 35]. აქვე გაითხარა ძვ.წ. III-II სს-ის ნასახლარი; ძელური ნაგებობები ბანურად ყოფილა გადახურული. ნასახლარზე მრავლად აღმოჩნდა მოხატული, შეღებილი და სადა კერამიკული ნაწარმი [იხ. ხახუტაიშვილი 1964: 70-82; 1970: 30, 31].

უფლისციხის ციხე-ქალაქი იხსენიება წერილობით წყაროებში [იხ. ქც 1: 17,20; ქც 4: 366,14; ქც 1: 262,5]. ვახუშტი ბაგრატიონი უფლისციხის შესახებ გადმოგვცემს: „აშურიანს ზეით არს უფლისციხე, კუერნაქის გადმოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკურის კიდესა ... შენობა უცხო, კლდისაგან გამოკუთილი; პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი

კლდისაგანვე; გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკურამდე, დიდი. დასავლით აქუს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკუთილნი ქუაბნი მრავალ-დიდნი, არამედ ან შეუვალ არს ... ამის დასავლით არს ქალაქი გორი“ [ქც 4: 366,12-22].

ქუთაისის არქეოლოგიური ძეგლები მდ. რიონის შუა წელზე, ვაკისა და მთაგორიანი ადგილის გარდამავალ ზონაში, დღევანდელი ქ. ქუთაისის ადგილზე მდებარეობს. ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური ძეგლებისადმი მეცნიერული ინტერესი XIX ს-ის დასაწყისიდან ჩნდება, რაც დიუბუა დე მონპერეს სახელს უკავშირდება. მან დაგვიტოვა ქუთაისისა და მისი ციხესიმაგრის აღწერილობა. XIX ს-ის 80-იან წლებში ბაგრატიის ტაძრის მიდამოებში არქეოლოგიური სამუშაოები უნარმოებითა [იხ. ლანჩავა 1996: 73-76]. ამის შემდეგ პერიოდულად მიმდინარეობდა სხვადასხვა ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა გამოვლენა [ლორთქიფანიძე 1994: 8, 9]. 1960-იან წლებში ქუთაისისა და მის მიდამოებში სადაზვერვო სამუშაოები და მცირე გათხრები ჩაატარა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ოთ. ლორთქიფანიძე). ქუთაისისა და მისი მიდამოების გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა განახლდა 1984 წლიდან; ხელმძღვანელი — ომ. ლანჩავა.


ქუთაისში ადგილ „დათეშიძეების გორაზე“ არქეოლოგიური მასალა უპირატესად კერამიკითაა წარმოდგენილი. გვხვდება აგრეთვე ქვის ხელსაფქვავის ფრაგმენტი, ხის ანაბეჭდიანი ბათქაშები, რომლებიც თარიღდება ადრერკინის ხანით [იხ. სახაროვა 1970: 89]. „დათეშიძის გორასა“ და მის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავს ნამოსახლარი „გაბაშვილების გორა.“ მასზე არქეოლოგიური მონაპოვარი წარმოდგენილია ე.წ. კოლხური კერამიკით და ძვ.წ. V ს-ის ატიკური შავლაკიანი კერამიკის ფრაგმენტებით. დადასტურებულია ასევე რკინის თოხი, თიხის საბერველის მილი, კოლხური ტიპის მინიატურული ცულის და სატეხის ყალიბები [ლორთქიფანიძე 1964: 7].

ქუთაისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 კმ-ზე მდებარეობს სოფ. ჭოგნარის ადგილ „ნასაჯვრების“ ნამოსახლარი. მასზე 3 პერიოდის ფენაა გამოვლენილი: I ფენა წარმოდგენილია დერგებით, კანელურებიანი და ტალღისებური ორნამენტით შემკული ჭურჭლით; ე.წ. ზოომორფული ყურებით. II და III ფენაში გამოვლენილია კოლხური ქვევრების, ბრტყელძირიანი ჯამების, ყავისფერკეციანი ამფორების ძირები, სინოპური ამფორის ყური [იხ. ჯიქია 1993: 48-49]. ქუთაისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 8 კმ-ზე მდებარეობს მრავალფენიანი ნამოსახლარი „ფარნალის გორა.“ I ფენაში გამოვლენილია: შავპრიალა კანელურებიანი დერგები, ქოთნები, თიხის 2 საბეჭდავი; თარიღდება ადრერკინის ხანით [სახაროვა 1970: 90]. II ფენაში ე.წ. ყავისფერკეციანი ამფორის ქუსლი, ძვ.წ. IV ს-ის ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები [ლორთქიფანიძე 1964: 7]. ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთით, 6კმ-ზე, სოფ. ბანოჯაში დაფიქსირებულია მრავალფენიანი გორანამოსახლარი. მასზე გამოიყო 4 ფენა, რომელთა ასაკი ძვ.წ. II ათასწლეულიდან შუა საუკუნეებამდე აღწევს. აქ აღმოჩნდა ხელსაფქვავი, კერამიკის ნატეხები, რკინის ლახტის თავი და სხვ. [ჯიქია 1993: 52].

ქუთაისში ე.წ. არქიელის გორაზე, „ცაცხვების“ ქუჩაზე აღმოჩნდა დაზიანებული ორმოსამარხების კომპლექსები. სამარხეული ინვენტარიდან გადარჩენილია: რკინის თოხები, ყურმილიანი დოქის ფრაგმენტები, სალესი ქვები, მძივები (მინის, სარდიონის, ქალცედონის), საყურეები ბრინჯაოსი, ბეჭედი ვერცხლისა, მონეტები — კოლხური თეთრი. სამარხეული არტეფაქტები ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება [ჯიქია 1993: 62]. ქუთაისის ცალკეულ უბნებში შემთხვევით აღმოჩენილია: კოლხური ცულები, თოხები რკინისა, ძვ.წ. II ს-ის შავლაკიანი ამფორისკის ძირი; ძვ.წ. IV ს-ის ბრინჯაოს მუზარადი; ძვ.წ. IV ს-ის ნითელფიგურული ლეკითოსი და შავლაკიანი ლარნაკი. „არქიელის გორაზე“ მიკვლეულია ახ.წ. III ს-ის ნამოსახლარის ნაშთები — ხის საცხოვრებელი ნაგებობანი თიხატყეპნილი იატაკით, მასზე გამართული კერები, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩების ფრაგმენტები [იხ. ლანჩავა 1996: 79]. მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, მთის კლდოვან ბორცვზე გამოვლენილია

ახ.წ. IV ს-ის შიდაციხის ნანგრევები. შიდაციხის თავდაპირველი გეგმა არასწორი ექვსკუთხა ფორმისაა. ციხეს დასავლეთიდან იცავდა 2 სწორკუთხა კოშკი. ზღუდე-გალავნის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით დულაბზე. გალავნის კედლის სიგანე 1,4 მ-ია. შიდაციხეს 2 კარიბჭე ჰქონდა. შიდაციხეში გამოვლენილია წყალმომარაგების სისტემა, ხის საცხოვრებელი სახლების ნაშთები; იქვეა დადასტურებული ხელსაფქვავის ქვები, დერგები, საყოფაცხოვრებო კერამიკა. გამოვლენილია, ასევე, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩების ფრაგმენტები [იხ. ლანჩავა 1996: 79, 87; ლანჩავა 2007].

IV ს-ის შუა ხანებში ციხე-ქალაქი ორნანილიანი (შიდაციხე და შიდაქალაქი) ხდება. შიდაქალაქის კედლები კოშკებით და კურტიანებით იყო გამაგრებული. შიდაციხეში აღმოჩნდა კირქვით ნაგები მოგრძო მართკუთხა 26 X 12 მ ფართობის შენობის ნაშთები. შიდაციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში 35 X 20 მ ნაგებობის ნანგრევები გაითხარა. შენობა რამდენიმე განყოფილებისაგან შედგებოდა: ე.წ. დიდი დარბაზი, მცირე დარბაზი და გარე სათავსები. ის კირქვისა და ფლეთილი ქვისაგანაა ნაგები. იატაკი მოგებული იყო თიხის ფილებით [ლორთქიფანიძე, ლანჩავა 1990: 47].



ციხე-ქალაქის IV ს-ის ფენებში აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი: ქვევრები, ამფორები, დერგები, დოქები, ფიალები, მინის სასმისები, რკინის თოხები, უროები და სხვ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია კირქვით ნაგები მონუმენტური საფორტიფიკაციო სისტემა (გალავნის საერთო პერიმეტრი 2 კმ). ყოველ 40-50 მ-ში გამაგრებულია სწორკუთხა 8 X 12 მ ფართობის კოშკებით. კედლის პერანგი ე.წ. იზოდომური ნიშებით, კვადრებითაა ნაგები. შიდაციხეში გამოვლენილია 12 X 8 მ ბაზილიკის ნანგრევები. შიდაქალაქის სამხრეთ ნაწილში, გამოვლინდა აბანოს კომპლექსი, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან: საკუთრივ აბანო, აუზი-რეზერვუარი, შეშის საწყობი (20 X 10,7 მ). აბანოს პერანგი საშუალო ზომის კირქვის კვადრებითაა ამოყვანილი. აბანო შედგებოდა: გასათბობი, აბაზანა, ცხელი, თბილი, ცივი და გასახდელი განყოფილებებისაგან. ნაგებობის გათხრისას აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი — ქვევრები, ამფორები, ქოთნები, დოქები, ნითელაკიანი ჯამები, ლანგრები; სამშენებლო კერამიკა — კრამიტები, კალორიფერები;

მინის ჭურჭელი — ფიალები, სანელსაცხებლები, სასმისები, სასარკმლე მინა და სხვ. შიდაციხის ტერიტორიაზე გამოვლენილია სასახლის კომპლექსი, რომელიც ოთხი კომპონენტითაა წარმოდგენილი: სასახლე, აბანო, წყალსადენის სისტემა, ეკლესია. წყალსადენის მაგისტრალი *თეთრამინას გორის* ძირიდან იწყებოდა, გადიოდა შიდა ქალაქის ტერიტორიაზე და შიდაციხეში შემოდის [იხ. ლანჩავა 1996: 126-201].

ქუთაისში, „*უქიმერიონის გორაზე*“ აღმართულია ღვთისმშობლის მიძინების, იგივე ე.წ. ბაგრატის ჯვარგუმბათიანი ტაძარი [იხ. ცინცაძე 1964: 15-23]. 2003-2009 წლებში ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ტაძრის ინტერიერსა და მიმდებარე ტერიტორიაზე 90-მდე სამარხი გაითხარა. მათ შორის აღმოჩნდა ქალის მდიდრული სამარხი — 50, რომელიც ტაძრის იატაკის ქვეშ VIII ს-ით დათარიღებული ბაზილიკის ნართექსის იატაკში იყო ჩაშვებული. სამარხში აღმოჩნდა ოქროს სასაფეთქელები (2ც.), ბეჭდები (2ც.), სამაჯურები (9ც.), საკიდები (3ც.) და კილიტები; ვერცხლისა (1ც.) და მინის (4ც.) სამაჯურები [იხ. ლანჩავა და სხვ. 2009: 17-20].

ქუთაისი, როგორც ქალაქი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში [იხ. ქც 2: 533,2, 4: 796,22; ქც 1: 235,16; 241,9; 242,16; ქც 1: 303,6; 304,13]. ქუთაისი სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სახელით იხსენიება: კუტაისი, კუტაია, კუტაიონი, კუტა, კოტაიონი, კოიატონ, ქუთათისი, ქუთაისი [იხ. ლანჩავა 2007].

შორაპანის ციხექალაქი ზესტაფონის მუნიციპ.-ში, მდ. ყვირილასა და ძირულას ხეობებში, მათ ხერთვისთან, დღევანდელი დაბა შორაპანის ტერიტორიაზე მდებარეობს. მისი არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1949 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. ს. ყაუხჩიშვილი). შემდგომში აქ ჩატარდა სადაზვერვო სამუშაოები [ცქიტიშვილი 1964: 80; ჯაფარიძე ვ.მ. 1983: 49-54]. 1980 წ. ციხეზე მუშაობა განახლდა 1986-1987 წლებში (ხელმძღ. ვ. ჯაფარიძე).


ციხექალაქის კედლებში ორი სამშენებლო ფენის არსებობა გაირკვა: ადრეული შუა საუკუნეებისა — უხეშად გათლილი კვადრების წყობა კირხსნარზე, ოთხი რიგის შემდეგ ხუთრიგისანი აგურის წყობის შენაცვლებით; გვიანი შუა საუკუნეების სამშენებლო ფენა, რიყის ქვის წყობით კირხსნარზე [ცქიტიშვილი 1964: 79].

უხეშად გათლილი კვადრებითაა ნაშენი მდინარეზე ჩამავალი გვირაბი. ციხეზე გამოვლენილია წყალმომარაგების ქსელი, რომელიც ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სერის წყაროებიდან მომდინარეობდა. ბორცვზე მდებარეობდა ციტადელი, ხოლო დაბლობზე გაშენებული იყო ქალაქი. ციტადელში გამოვლინდა მარცვლეულის შესანახი 5 დიდი ორმო და 10-მდე ქვევრი. ციხისა და ქალაქის ტერიტორიაზე გამოვლინდა ანტიკური ხანის ძეგლებისათვის დამახასიათებელი ქვიშაქვის კვადრები, ამოჭრილი ფოსოებით (მშრალი წყობისთვის დამახასიათებელი), რაც მიუთითებს ამ ადგილზე ციხის არსებობას უფრო ადრეულ პერიოდში, კერძოდ ანტიკურ ხანაში. მსგავსი კვადრებისა და ალიზის კედლის ფრაგმენტები, მთელ ფართობზე დასტურდება, რაც ციხექალაქის ზღუდის კედლის ნანგრევები უნდა იყოს. ტერიტორია, რომელსაც გალავანი ზღუდავდა, ≈25 ჰექტარია [იხ. ცქიტიშვილი 1964: 82; ჯაფარიძე ვ.მ. 1983: 51].

ციხექალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 2,5 მ სიმაღლის ფენაში გვიანი ბრინჯაოს, ადრეანტიკური, ადრეული შუა საუკუნეების კერამიკა აღმოჩნდა [იხ. ჯაფარიძე 1983: 52]. IV-VI სს-ის ფენა და მასალა მეტ-ნაკლები სისრულით ციხის თითქმის მთელ ტერიტორიაზეა გამოვლენილი. შუა და ქვედა ტერასაზე აღმოჩენილია ძველი წელთაღრიცხვის მიწურულისათვის დამახასიათებელი ნითელი საღებავით მოხატული ზედაპირნაპრიალები კერამიკის ნატეხები. მეორე ტერასაზე ძვ.წ. I ს ბათქაშების მძლავრი ფენაა, რომელიც ზღუდის გარეთაც გადის. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნახანძრალი ფენა კრამიტების შემცველია. ნაქალაქარის არქეოლოგიურ მასალებში გამოირჩევა: კირქვის ოთხკუთხა პირონებიანი ქვების და ხის ანაბეჭდიანი ბათქაშის ნატეხების დიდი რაოდენობა; ბრტყელი და ღარიანი კრამიტები; *კოლხური ამფორებისა* და სხვა

ადგილობრივი კერამიკის ნატეხები; ბერძნული შავლაკიანი ჭურჭლის მცირე ნატეხები და სხვ. [იხ. ჯაფარიძე 1990: 3,4].

ანტიკურ ხანაში შორაპანზე მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები გადიოდა [იხ. ლორთქიფანიძე 1957: 377-379]. გზა შემოდის შროშიდან მდ. ძირულა-რიკოთულას აყობებით და რიკოთის უღელტეხილით გადადის სურამში. მეორე გზა ამ გზას გამოეყოფა და საღვინე-ნიფლავაკე-სანახშირე-სანაბლე-სვერის გავლით საირხე-საჩხერეში გადადის. ნაქალაქარის სამხრეთიდან გზა გადადის ხიდს მდ. ძირულას მარცხენა ნაპირზე, გაივლის ფუთს, გადავა ბორილელეს ხეობაში, გაივლის მწყრის ციხეს, ბორს, კაცხს და ხარაგაულის ციხესთან ჩავა ჩხერიმელას ხეობაში და ფონას გავლით უღელტეხილით ჩავა სურამში [დანვრ. იხ. ცქიტიშვილი 1964: 80-87]. შორაპანიდან ნკმ-ში, ბორში, მდიდრული ნეკროპოლი აღმოჩნდა, რომელშიც: ვერცხლის პინაკი სამსხვერპლოსთან ცხენის გამოსახულებით, პატერა, სარეცელის ფეხების ვერცხლის გარსაკრავი კოვზები და სხვ. დადასტურდა [იხ. აფაქიძე 1944: 441-444].




შორაპნის ციხექალაქი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: [ქც 1: 24,11; 243,4; ქც 4: 757,6,7,9,21,23,სქ.1]. ვახუშტი ბაგრატიონი შორაპნის შესახებ გადმოგვცემს: „ყვირილასა და ძირულას შორის შესართავს შინა არს შორაპანი, რომელი აღაშენა პირველმან მეფემან ფარნაოზ ქალაქი და ციხე, და ჰყო საერისთოდ და არს დიდშენობა ფრიადი. ამას ჩდილოთ-დასავლით უდის ყვირილა, აღმოსავლით-სამხრით ძირულა. აღმოსავალ-ჩდილოთ შუა აქუს კლდე გორა მცირე და გვირაბი დიდი, ჩასული წყლამდე“ [ქც 4: 757,9-14]. შორაპანს ახსენებს სტრაბონიც: „ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა. შორაპნიდან საურმე გზით 4 დღის სავალია მტკვრამდე“ (XI, II, 17). პროკოპი კესარიელის ცნობით, ლაზთა ორი ციხეა იბერიის საზღვართან — „სკანდე და სარაპანისი“ [პროკოპი კესარიელი 1965: 101, 185-186].

კავთისხევის ციხიანოვას არქეოლოგიური ძეგლი კასპის მუნიციპ.-ში, მდ. კავთურას (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირთან, კასპიდან სამხრეთით 7 კმ-ზე, თანამედროვე სოფ. კავთისხევის ტერიტორიაზე მდებარეობს. 1971 წ-დან კავთისხევის მიდამოებში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კასპი-კავთისხევის ექსპედიცია (ხელმძღ. 1971-1994 წწ. გ. ცქიტიშვილი; 1995 წლიდან — ზ. მახარაძე). გათხრები მიმდინარეობს ნამოსახლარზე „ციხიანოვა“, სამაროვნებზე: „საყარაულო სერი“, „დაჭრილები“, „ქასრაანთ მინები“, „იორამის გორასთან“.

ნამოსახლარი „ციხიაგორა“ სოფ. კავთისხევიდან ჩრდილოეთით, კავთისხევიდან კასპისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს 500 მ-ზე, მდინარეების კავთურასა და შავწყალას შესართავთან მდებარეობს. ნამოსახლარი გორის თხემის ფართობი 0,5 ჰა. აქ დადასტურდა 4 კულტურულ-ქრონოლოგიური ფენა: ადრე ბრინჯაოს, შუა ბრინჯაოს, გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის და ანტიკური ხანის.

ადრე ბრინჯაოს ხანის ფენა 1 მ სიმაღლისაა; გამოიყო 2 დონე, რომელიც შეიცავს 5 სამშენებლო ჰორიზონტს; თარიღდება — ძვ.წ. XXIII-XXI სს-ის პირველი ნახევრით. ამ ფენაში აღმოჩნდა რამდენიმე ნაგებობის ნაშთი. შენობები ოროთახიანია (≈ 66 კვ.მ). ერთ-ერთი ნაგებობის ცენტრალური ოთახის იატაკში ჩადგმული იყო შვერილებიანი კერა, რომლის მახლობლად იატაკში ჩაეჭრათ მართკუთხა ფორმის დედაბოძის ორმო (30 X 20 სმ) [იხ. მახარაძე 1994: 3-76]. შუა ბრინჯაოს ხანის ფენა წარმოდგენილია 2 მცირე ზომის ყორღანული სამარხით [იხ. კახელიშვილი 1990: 1-6]. გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენაში გაითხარა რამდენიმე ნაგებობის ნაშთი. შენობები ნაგებია რიყის ქვის საძირკველზე, ხის ძელებით და თიხითაა შელესილი. ერთ მათგანში აღმოჩნდა თიხით ნაგები სამეურნეო ღუმელი და თიხის ჭურჭელი: დერგები, სადღვებლები, ჯამები, კათხები, ქოთნები.



ანტიკური ხანის ფენა წარმოადგენს სატაძრო კომპლექსს, რომელსაც გორის მთელი თხემი უკავია. თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით. კომპლექსში შედის ტაძარი, ბეღელი, მარანი, სათონე, სატრაპეზო და საცხოვრებელი შენობები. ნაგებობები შემოზღუდულია რიყის ქვის საძირკველზე ალიზით ნაგები კონტრფორსებიანი და კოშკებიანი 2,2 მ სიგანის გალავნით. სატაძრო კომპლექსის ძირითად ნაგებობას შეადგენს №1 სათავსო, ტაძრის შიდა ეზო, №2 და №10 სათავსოები. ყველა ეს სათავსო ერთ მთლიან შენობას წარმოადგენს; ნაგებია მშრალი წყობით. ქვის წყობის სიმაღლე 2 მ-ია (№10 სათავსოში 3,5 მ). შემდეგ კედლები ამოყვანილია ალიზის აგურით თიხის ხსნარზე. №1 სათავსო თითქმის კვადრატულია (8 X 7,5 მ), კარი სამხრეთ კედელშია. ტაძრის იატაკად დაგებული იყო ხის ძელები 2,5 X 2,5 მ. აქ აღმოჩნდა ოთხკუთხა სვეტის მსგავსი თიხის საკურთხევლის ფრაგმენტი. ტაძარი დგას კვადრატულ ეზოში, ისე რომ ეზოს ზღუდისა და ტაძრის ჩრდილოეთი კედელი საერთოა. ეზოში, ტაძრის სამხრეთით დგას ქვით ნაგები საკურთხეველი (2,5 X 3 მ, სიმაღლე 2 მ), რომელზეც აღმოჩნდა რკინის დანა და ცხვრის დამწვარი ძვლები. ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მოწყობილია რიყის ქვითა და თიხით ნაგები მოედანი-სამსხვერპლო (3,5 X 3,5 მ). №1-ს ჩრდილოეთიდან აკრავს №10 სათავსო (18 X 4,5 მ), რომელსაც შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. ამ სათავსოში აღმოჩნდა თეთრი კირქვისაგან გამოთლილი ხარის თავებიანი, აქემენიდური სტილის კაპიტელი. ტაძრის გალავნის


აღმოსავლეთ კედელზე მიშენებულია ალიზით ნაგები ბეღელი. აქ აღმოჩნდა დამწვარი მარცვლეული და სამეურნეო თიხის ჭურჭელი. ტაძარი და ბეღელი გადახურული იყო ნითლად შეღებილი ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. ტაძრის გალავნის დასავლეთით გაითხარა ალიზით ნაგები და თიხით შეღესილი სამოთახიანი შენობა, რომელსაც შესასვლელი ტაძრის მხრიდან აქვს. პირველ ოთახში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში სამეურნეო ღუმელია. სამოთახიანი ნაგებობის დასავლეთით მდებარეობს მარანი (22 X 7,5 მ). ნაგებია ალიზით რიყის ქვის საძირკველზე. მისი შესასვლელი სამხრეთიდანაა. მარანში აღმოჩნდა ხუთ რიგად მინაში ჩადგმული, ნითელი საღებავით მოხატული 48 სხვადასხვა ზომის ქვევრი. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ძელებით ნაგებ საწინახელში (2 X 2 მ), აღმოჩნდა საფერავის ჯიშის ყურძნის ნიჰნები. მარნის დასავლეთით გაითხრილ ოთახში, დასავლეთ კედლის გასწვრივ ალიზით ამოყვანილ მერხზე ხელსაფქვავეები ელაგა. მარანს, ხელსაფქვავეებიან ოთახსა და საცხოვრებელ ნაგებობებს ბანური გადახურვა ჰქონდა. ტაძრის კომპლექსის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირდა გარე ეზო. მისგან დასავლეთით მდებარეობს ქვის საძირკველზე ნაგები 1 მ-ის სიმაღლის ალიზის კედელი. სატაძრო კომპლექსის ნაგებობებში მრავლად აღმოჩნდა სამეურნეო და სუფრის ჭურჭელი, რომელთაგან ნაწილი მოწითალოდ მოხატულია. სხვადასხვა ნაგებობების გათხრისას მრავლად აღმოჩნდა ალიზის შეღესილობის ფრაგმენტები, რომლებზეც მრგვალი, ოთხკუთხა ანაბეჭდები დადასტურდა. მათში გამოსახულია ჯვარი, ფასკუნჯი, მზე, მხედარი, ფრთოსანი ირემი, ცხენი, ძაღლი, ხარისთავი და სხვ. ძვ.წ. III ს-ის შუა ხანებში სატაძრო კომპლექსი ხანძარს გაუნადგურებია [დანვრ. იხ. მახარაძე ზ. 1999: 57-66; ცქიტვიშვილი 1977: 51-55; ცქიტვიშვილი 2001: 41-46; ცქიტვიშვილი 2003].

ძალისის ნაქალაქარი, მცხეთის მუნიციპ.-ში, მუხრანის ვაკეზე, მდ. ნარეკვავის ორივე ნაპირზე, ახლანდელი სოფ. ძალისას ტერიტორიაზე მდებარეობს. ძალისასა და მის მიდამოებში 1971-75 წწ. არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია. 1975-85 წწ. ამ მიდამოებში გათხრებს აგრძელებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ალ. ბოხორაძე).

ახლანდელი სოფ. ძალისას მიდამოებში გამოვლინდა 1 კვ.მ ფართობის ანტიკური ხანის ნაქალაქარი. აღმოჩნდა სასახლისა და ტაძრის ნაშთები, მოზაიკიანი იატაკის მქონე აბანო, ტაძარ-სასახლის კომპლექსი, საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები, კოლექტორები, ტყვიის მილებით შედგენილი წყალსადენის ქსელი, აგურით მოკირწყლული ქუჩებისა და მოედნების ნაწილი, მოზაიკური იატაკები, შემკული მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით, არქიტექტურული დეტალები, თიხისა და მინის ჭურჭელი და სხვ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე სამშენებლო მასალად გამოყენებულია ალიზი აგური, რიყის ქვა, ტუფისა და ქვიშაქვის ქვათილები, აგური, კერამიკული ფილები, ბრტყელი და ღარიანი კრამიტები. ნაგებობათა ერთი ნაწილის კედლები შეღესილია და მოხატული.

ნაქალაქარის ე.წ. *ტაძარ-სასახლე* რთული კომპლექსია. ტაძარი გეგმით სწორკუთხაა. შედგება მოზაიკურიატაკიანი დარბაზისა და რამდენიმე სენაკისაგან. ტაძარს შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. ზღურბლის წინ ტუფისა და ქვიშაქვის თლილი ქვებით მოგებული 4.9 X 2.75 მ ფართობის მოედანია. დარბაზის 48 კვ.მ იატაკის მოზაიკა 12 ფერის ქვის კენჭებითაა შედგენილი. კედლების გასწვრივ, შედარებით მსხვილი კენჭებით გაკეთებული არშიის შიგნით, ცენტრალურ ნაწილში, კომპოზიციანაა: ხეივნის ქვეშ მსხდომი მევენახეობისა და მეღვინეობის მფარველი ღვთაება დიონისე და არიადნა თავიანთი ატრიბუტებით (ღვინის ჭურჭლები, კილიკები, ოინოხოია და სხვ.). დიონისესა და არიადნას თავზე ჯვრისმაგვარი ფიგურაა, რომლის მარცხენა კუთხეში ფრთოსანი ჭაბუკისა და ქალის გამოსახულებაა. მოზაიკის ნაწილი შევსებულია გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით. მოზაიკაზე წარმოდგენილია წარწერები [იხ. ყაუხჩიშვილი 2000: 215]. მოზაიკის ფართობი 90 კვ.მ-ია. ნაგებობა თარიღდება ახ.წ. II ს-ით. ტაძარში კიდევ ოთხი დიდი დარბაზია, რომელთა

კედლები შელესილი და მოხატულია. ტაძარ-სასახლის კომპლექსში შემავალი სასახლიდან შემორჩენილია ფასადის კოლონები და ბაზალტის ქვის ბაზისები. ამ კომპლექსში შემავალი აბანო რომაული აბანოს ტიპისაა. გეგმით ოვალურია. შედგება 3 განყოფილებისაგან. აბანოს ცხელი და თბილი განყოფილების იატაკი კალორიფელებზეა გამართული. კალორიფელის სვეტი კირხსნარით შეკავშირებული 20-ამდე წრიული, ბრტყელი ერთმანეთზე დადებული აგურისაგან შედგებოდა. კალორიფელის სვეტების თავზე კერამიკული ფილებიანი (58 X 57 სმ) და ჰიდრავლიკურ ხსნარიანი იატაკია. ცივ განყოფილებაში (16 კვ.მ) მოთავსებულია აბაზანა; იატაკი — მოზაიკურია, რომელზე გამოსახულია მცენარეული მოტივები და ზღვის ფაუნა (დელფინის თავი, თევზები, ნიჟარა). ცივი აბანო კარით უკავშირდება დერეფანს (23 კვ.მ), საიდანაც შეიძლება მოხვედრა გასახდელში, რომელიც კარით უკავშირდება ტაძრის დარბაზს.




აბანოს კომპლექსში შემავალი ატრიუმის ფართობი $\approx 7,75 \times 6,95$ მ-ია; ცენტრში 52 სმ სიგანის ბორდიურით შემოვლებული შადრევნის აუზია, რომლის კუთხეებში აღმართული ყოფილა ოთხკუთხა კოლონები. ატრიუმს დასავლეთით მიშენებული აქვს სწორკუთხა მოყვანილობის (9,95 X 2,6 მ) საკურთხევლიანი სატაძრო განყოფილება. აქ კიდევ რამდენიმე აბანოს ოთახია. ამ კომპლექსებში შემავალი ნაგებობები ახ.წ. I-II სს-ით თარიღდება. ტაძარ-სასახლისა და აბანოს კომპლექსის ქვეშ გამოვლინდა ძვ.წ. I ს-ის დასახლების ნაშთები. თვით ქალაქმა იარსება ძვ.წ. II ს-დან ახ.წ. VIII ს- მდე. [დანვრ. იხ. ბოხოჩაძე 1977: 17-24; ბოხოჩაძე 1981: 36-85; ბოხოჩაძე 1987: 25-30].

სოფ. ძალისას მიდამოებში გამოვლენილია 3 სამაროვანი. ერთი მდებარეობს მდინარე ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე. არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად გაირკვა, რომ სამაროვანზე ძირითადად გვხვდება ორმოსამარხები. იქ გამოვლენილია სარკოფაგები და კრამიტსამარხები. სოფ. ძალისას გორაზე, რომელიც ძალისას შიდაციხეს წარმოადგენდა, გამოვლინდა ალიზით ნაგები გალავანი, აგრეთვე ალიზით ნაგები და მონითალოდ შეღებილი კრამიტით გადახურული სხვადასხვა შენობის ნაშთები. გორის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა ქვათილებით ნაგები IV ს-ის თაღოვანი აკლდამა (4 X 5 X 4 მ) [იხ. ბოხოჩაძე, მირიანაშვილი 1990: 1-4]. ძალისი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში [ქც 4: 394,5; ქც 4: 394,5; ქც 2: 351,10; 489,14,18; პტოლემეაოსი 1955: 46]. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში მოხსენიებულია „ძალისი“, სხვა წყაროებში იხსენიება „ძალისა“-ს ფორმით [იხ. ქც 2: 351,10, 489,14,18].

სოფ. არადეთის არქეოლოგიური ძეგლები (ქარელის მუნიციპ.). 1926 წელს დედოფლის მინდორის სამხრეთით, სოფ. დოღლაურთან აღმართულ არადეთის ორგორის მახლობლად აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ბატილუმი — საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთები და ქალღმერთის გამოსახულება [იხ. გაგოშიძე 1973: 77-82]. 1953-1963 წწ. დედოფლის მინდორზე და არადეთის ორგორაზე დაზვერვები ჩაატარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ურბნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ნ. ბერძენიშვილი, გ. ლომთათიძე, პ. ზაქარაია. ხოლო 1957 წ. დაზვერა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ოთ. ღამბაშიძემ, რომელმაც იქ აღმოაჩინა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნივთები: ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირები, ეწ. ყუნწიანი სატევრისპირი, მთლიანადსხმული სატევარი; მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი; სადღვებელი, ტოლჩა, დოქები [იხ. ღამბაშიძე 1974: 150-167].

დედოფლის მინდორი, სოფ. არადეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს, აღმ. და დას. მდ. ფრონეებს შორის. 1972-78 წწ. დედოფლის მინდორზე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ხოლო 1973 წ. ქართული ხელოვნების ინსტიტუტის ექსპედიციებმა. მათ შეისწავლეს ანტიკური ხანის სატაძრო კომპლექსი. 1979 წ-დან დედოფლის მინდორზე და არადეთის ორგორაზე გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. იულ. გაგოშიძე).



სოფ. არადეთის დასავლეთით 3 კმ-ის დაშორებით, დედოფლის მინდორზე, გაითხარა სატაძრო კომპლექსი, რომელშიც შედის: მთავარი ტაძარი, მცირე ტაძარი, ორი კარიბჭე, მცირე ტაძრის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. სატაძრო კომპლექსში


ცენტრალური ადგილი უკავია კვადრატულ შიდა ეზოს (105 X 105 მ), რომლის ირგვლივაც განლაგებული ყველა ტაძარი და კარიბჭე. მთავარი ტაძარი (46 X 30 მ) შიდა ეზოს სამხრეთ კედელთანაა. ის შედგება ცენტრალური დარბაზის, პორტიკის, ლოჯიისა და გარშემოსავლელი დერეფნებისაგან. ტაძარი ნაგებია ალიზით ($\approx 0,5 \times 0,25 \times 0,12$) რიყის ქვის საძირკველზე. კედლების სისქე — 1,6 მ; შელესილია თიხის ხსნარით და შელესილია. მთავარი შესასვლელი სამხრეთიდანაა — ოთხსვეტიანი, სამხრეთით ფართოდ გახსნილი პორტიკიდან (17,2 X 11 მ), რომელსაც ცენტრალურ დარბაზთან აკავშირებს გრძივი ღერძის აღმოსავლეთით გაჭრილი კარი. ცენტრალურ დარბაზში (17,2 X 17,2 მ) შუა ადგილას მოწყობილია კვადრატული საკურთხეველი. ცენტრალურ დარბაზში იყო ოთხი ხის სვეტი, პორტიკში — ორი. თიხით შელესილი სვეტები იდგა ხის ოთხკუთხა ბაზისებზე, რომლებიც ჩასმული იყო იატაკში ამოღებულ ფოსოებში. პორტიკსა და ცენტრალურ დარბაზს აკრავს დერეფნები, რომლებიც გაყოფილია ტიხრებით. ტაძარს ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს სწორკუთხა, ცალმხარეს ღია, ორსვეტიანი ლოჯია (11 X 6,5მ), რომელიც ტაძართან დაკავშირებულია კარით. სვეტები დასრულებულია ქვიშაქვის ე.წ. *ზარისებრი* კაპიტელებით (ქვედა დმ. — 0,42მ), რომლებზეც ლოტოსის გაშლილი ყვავილის რელიეფური ფურცლებია ამოკვეთილი. აბაკა კი შემკულია ორმაგ წნულში ჩასმული ვარდულების რიგით. ცენტრალურ დარბაზს და პორტიკს ბანური გადახურვა ჰქონდა, ხოლო გარშემოსავლელ დერეფნებს კრამიტით დახურული — ცალფერდა სახურავი. კრამიტები (სიგრძე $\approx 0,47$ მ) შელესილია ნითლად [დანვრ. იხ. გაგოშიძე 1974: 70-78; გაგოშიძე 1978: 62-76; Gagoshidze 1992: 27-48; Гагошидзе 1981ა: 102-115].

მცირე ტაძარში შესასვლელი სამხრეთიდანაა, ღია ორსვეტიანი პორტიკიდან, რომელიც შიდა ეზოში გადის. მცირე ტაძარი შედგება ცენტრალური დარბაზის, პორტიკისა და გარშემოსავლელი დერეფნისაგან. დარბაზის ცენტრში იდგა ქვიშაქვის კაპიტელით დასრულებული სვეტი, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში — საკურთხეველი (1,1 X 1,0 X 0,15მ). მცირე ტაძარი გადახურული იყო კრამიტის სახურავით. მცირე ტაძრიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართება კედლებით შემოზღუდული ფართო ქუჩა-გასასვლელი, რომლის ბოლოში აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს გაითხარა სამ-სამი, ერთმანეთისაგან კედლებით გამოყოფილი ნაგებობა (თითოეული 13 X 20 მ). სატაძრო კომპლექსი თარიღდება ძვ. წ. II-I სს-ით [იხ. გაგოშიძე 1974: 70-78; გაგოშიძე 1978: 62-76].

სატაძრო კომპლექსის აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა ნამოსახლარებისა და სამეურნეო ნაგებობების რიყის ქვით ნაგები კედლების ნაშთები და კერამიკული ნაწარმი. კომპლექსიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, გამოვლინდა თიხის ჭურჭლის სახელოსნოები. იქ გაითხარა თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები [იხ. გაგოშიძე 1978: 62-76]. სატაძრო კომპლექსის სამხრეთით, ადგილ *მოზვლეულებში* მდებარეობს ტაძრის თანამედროვე, ნასოფლარი და სამაროვანი. ნასოფლარზე აღმოჩნდა ნითლად და შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი და ხელსაფქვავეები. სატაძრო კომპლექსიდან აღმოსავლეთით, ადგილ *დამპალასწყაროს* ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბორცვზე აღმოჩნდა ელინისტური ხანის დასასრულის დიდი ნაგებობის ნაშთები. შენობა გადახურული იყო სატაძრო კომპლექსში გამოყენებული კრამიტის მსგავსი კრამიტით. ბორცვის ძირას მიკვლეულია ამავე ხანის სამაროვანი [იხ. გაგოშიძე 1978: 62-76].

სოფ. არადეთის სამხრეთით, 4 კმ-ზე, სოფ. დოღლაურის მახლობლად, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადის, მდ. დასავლეთ ფრონეს შესართავთან, მდებარეობს არადეთის ორგორა. აქ ყველაზე მაღალია დასავლეთის გორა, ე.წ. *დედოფლის გორა* (ზედაპირის ფართობი 70 X 50 მ). ის მრავალფენიანი ნამოსახლარია. ამ *დედოფლის გორაზე* დადასტურდა ენეოლითის, ბრინჯაოს, ადრერკინის, ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ფენები. ანტიკური ხანის ფენა წარმოქმნილია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნანგრევებით. გათხრების შედეგად გამოვლინდა პილონებით შემოსაზღვრული შიდა ეზოს ნაწილი. ეზოს გარშემო განლაგებულია 6 ოთახი. ნაგებობების კედლების ქვედა ნაწილი 1,5 მ სიმაღლეზე აგებულია რიყის ქვითა და თიხის ხსნარით, ხოლო შემდეგ კედლები ამოყვანილია ალიზის აგურით ($\approx 52 \times 52 \times 12$ მ). ალიზის წყობა

გამაგრებულია კედლების გასწვრივ და გარდიგარდმო დალაგებული ხის ძელებით. გარედან კედლები მოპირკეთებული ყოფილა თლილი ქვიშაქვით, რომლებიც ერთმანეთზე გადაბმული იყო ისრისებური ფორმის გამირებით. სასახლის ეზოში მოწყობილია სახაბაზო ოთხი თონითა და ხელსაფქვავეებით. ეზოს ირგვლივ განლაგებულ ოთახებში ინახებოდა ჭირნახული (ხორბალი, ქერი და სხვ.), რკინის სახნისები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ირმის რქისაგან დამზადებული გრავირებული ფირფიტები (25 ც.). ვარაუდობენ, რომ ეს ფირფიტები სათამაშო დანიშნულებისაა (ყველაზე დიდი ფირფიტის ზომაა 49 X 48 მმ) [იხ. გაგოშიძე, წონელია 1991: 47-71].




ფირფიტებზე გამოსახულია ერთი ან ორი, იშვიათად სამი ფიგურა: დათვის, ტახის, ირმის, ჯიხვის, სხვადასხვა ფანტასტიკური ცხოველის, მხედრების გამოსახულება. დედოფლის გორის კომპლექსი თარიღდება ძვ.წ. I—ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით [დანვრ. იხ. გაგოშიძე 2015: 119-139; Gagoshidze და სხვ. 2008ბ].

სოხუმის არქეოლოგიური ძეგლები დღევანდელი ქ. სოხუმის ადგილზე და მის მიდამოებში მდებარეობენ. ჯერკიდევ 1886 წ. სოხუმში, მდ. ბესლეთის სანაპიროზე, არქეოლოგიური გათხრები უწარმოებიათ. 1922-1926 წწ. სოხუმსა და მის შემოგარენში სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა [Сизов 1889: 14; Иващенко 1926: 101]. 1951 წ. სოხუმის მთაზე არქეოლოგიური გათხრები ჩატარეს ალ. კალანდაძემ და მ. თრაფშმა. 1971-1980 წწ. ეშერის ნაქალაქარზე მუშაობდა აფხაზეთის ენისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია [ხელმძღ. გ. შამბა].

სოხუმის დასავლეთით, ე.წ. ნითელ შუქურასთან გამოვლენილია გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. აქვე გაითხარა 131 ორმოსამარხი. მიცვალებულები დაკრძალულია მოხრილ პოზაში. ინვენტარი: თიხის ქოთნები, ფიალები, სასმისები, ბრინჯაოს ცულები, რკინის ცულები, შუბისპირები, ისრისპირები, მახვილები, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ფიბულები, ბალთები, მძივები. ისინი ძვ.წ. VII-III სს-ით თარიღდება [იხ. Трапш 1955: 185-188; Трапш 1969: 82-208]. სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ე.წ. სოხუმის მთაზე გამოვლენილია ნამოსახლარი და სამაროვანი. ძვ.წ. V-II სს ნამოსახლარის ფენებში დადასტურებულია თიხის ქოთნები, დოქები, კრამიტები, რკინის წალდი [იხ. კალანდაძე 1954: 35-52]. „სოხუმის მთის“ ჩრდილოეთით, სოფ. ბირცხასთან მდებარეობს გუადიხუს ძვ.წ. VII-II სს სამაროვანი. აქ გათხრილია 91 სამარხი. ინვენტარი წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, რკინის ცულებით, შუბისპირებით, ისრისპირებით [იხ. Трапш 1969: 45-77].

ქ. სოხუმში, პუშკინის ქუჩაზე ძვ.წ. V-II სს-ის ფენაა დადასტურებული, სადაც აღმოჩნდა შავლაკიანი ლეკითოსის, უცხოური ამფორებისა და ადგილობრივი კერამიკის ნატეხები [Воронов 1969: 51]; სასტუმრო „რინასთან“ დაფიქსირდა ძვ.წ. II ს-ის ფენა, სადაც აღმოჩნდა უცხოური ამფორების, ჭურჭლის ნატეხები სხვ. [Соловьев 1947: 121]. სოხუმის ყურის ფსკერზე აღმოჩნდა მარმარილოს რელიეფური სტელა, რომელიც ძვ. წ. IVს. თარიღდება [იხ. გამყრელიძე 1997: 3-19].

სოხუმიდან 8 კმ-ის დაშორებით, სოფ. ქვედა ეშერაში აღმოჩენილია ძვ.წ. VI-I სს ნაქალაქარი. აქ გამოვლენილია საფორტიფიკაციო ნაგებობის სისტემა — კედლები, თხრილები, კოშკები, რომლებიც ნაგებია თლილი ქვით; კერამიკული ნაწარმი — პითოსები, ჯამები, თასები, ამფორები. მათ შორის ადგილობრივი და იმპორტული ჭურჭლის — როდოსულ-იონიური, ატიკური შავფიგურული, სინოპური, მცირეაზიური კერამიკის ფრაგმენტები; ჭრაქები, წყალსადენის მილები, კრამიტები, სამკაულები, რკინის შუბისპირები, ისრისპირები და სხვ. [იხ. Шамба 1980: 10-60].



სოხუმის სანაპიროზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად, 3 სხვადასხვა დროის ციხესიმაგრე გამოვლინდა. პირველი ციხესიმაგრე ნაგებია გრანიტის ლოდებით, კირხსნართა და აგურის ორფენიანი სარტყლით. ნაწილობრივ შემორჩენილია 6 ოთხკუთხა კოშკი და ჩრდილოეთის მხარის 90 მ სიგრძის კედელი. ის განეკუთვნება კასტელუმის ტიპის ციხესიმაგრეს და ახ. წ. I-II სს-ით თარიღდება. მეორე 2.5 ჰა ფართობის ციხესიმაგრე ნაგებია გრანიტის ქვებითა და აგურის სარტყლებით კირხსნარზე. ციხის აღმოსავლეთ კედელთან შემორჩენილია 2 სწორკუთხა კოშკი. ისიც კასტელუმის ტიპის ციხესიმაგრეა და თარიღდება ახ.წ. III-IV სს-ით. მესამე ციხესიმაგრე კვადრატული გეგმისაა და ნაგებია გრანიტის ქვებითა და აგურით კირხსნარზე. ნაწილობრივ შემორჩენილია 2 ოთხკუთხა კოშკი; თარიღდება ახ. წ. VI ს-ით. აღნიშნული ციხესიმაგრეების ტერიტორიაზე აღმოჩენილია მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა: აგურები, კრამიტები, წყალსადენის მილები, ამფორები, ქვევრები, წითელლაკიანი ჯამები, ლანგრები; ლუთერიები, ბრინჯაოს ოინოხოია, პატერები, რკინის შუბისპირები, დანები, მინის ჭურჭელი, ძვლის სტილოსები; ბრინჯაოსა და რკინის ფიბულები, სამაჯურები, მძივები და სხვ. [იხ. Трапш 1969: 298-351]; აღსანიშნავია ლათინურნარნერიანი ფილა, რომლის პირველ სტრიქონში იმპერატორ ადრიანეს სახელია შემორჩენილი, მეორეში ფლავიუს არიანეს [იხ. Ельницкий 1964: 203-210].


სოხუმის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს 55 X 27 მ. ფართობის ბაგრატის ციხის ნაშთები. ნაგებია რიყისა და კირქვის თლილი ქვებით. შემორჩენილია ოთხკუთხა გეგმის 2 კოშკი. აღნიშნულ ფართობზე დადასტურებულია მრავალრიცხოვანი კერამიკა; მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, ხელსაფქვავეები, საწაფები და სხვ. სოხუმი, ცხუმი, ქალაქი, დაბა იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: [ქც. 1: 42,29; 235,5; ქც. 4: 781,15]; სკილაქს კარიანდელის „მოგზაურობა“-ში [ყაუხჩიშვილი 1967: 48], სტრაბონის „გეოგრაფია“-ში [ყაუხჩიშვილი 1957: 86, 91-93, 120-123, 125, 126, 140], პომპონიუს მელას „ქვეყნიერების აღწერილობა“-ში [გამყრელიძე ალ. 1965: 29, 31], ფლავიუს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“-ში [კეჭალმაძე 1961: 41-43, 51] და სხვ. სოხუმი სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სახელით იხსენიება: დიოსკურია (სტრაბონის გეოგრაფია XI, II,16; პლინიუსის „ბუნების ისტორია“ VI, 15-16), სებასტოპოლისი (შარდენი და სხვ.), ცხუმი (ლეონტი მროველი, ვახუშტი და სხვ.) [იხ. Ачбадзе 1959: 248].

ბიჭვინთის ნაქალაქარი აფხაზეთში, ბიჭვინთის კონცხზე, მდ. ბზიფის ზღვასთან შესართავის აღმოსავლეთით, ახლანდელი ბიჭვინთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ნაქალაქარისა და მისი მიდამოების სისტემატურ გათხრებს 1952-75 წწ. აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ან. აფაქიძე), ხოლო 1975-89 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიჭვინთის ექსპედიცია (ხელმძღ. გ. ლორთქიფანიძე).

II-VI სს-ის ნაქალაქარის ტერიტორია 7 ჰა და ორი ნაწილისაგან შედგება: კასტელუმისა და კანაბესაგან. კასტელუმი კვადრატული გეგმისაა და ნაგებია კვადრებით კირხსნარზე. აქ ორი ეტაპი გამოიყოფა. პირველი — II-III სს-ის, 3 მ სისქის გალავანი, რომელიც მონუმენტურობით ხასიათდება. მეორე — IV-VI სს-ის, 1.7 მ სისქის გალავანი. კასტელუმი გამაგრებულია 15 კოშკით.

კანაბე (სამოქალაქო დასახლება), ნახევარწრიული გეგმისაა. მისი გალავანი IV ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. აგრეთვე ნაგებია ე.წ. ზღვური კონგლომერატის კვადრებით კირხსნარზე. ის 11 კოშკითაა გამაგრებული. ნაქალაქარის ერთიან საფორტიფიკაციო სისტემაში შედიოდა ინკიტის ტბისა და ლიძავას კოშკები. ისინიც ნაგებია კვადრებით კირხსნარზე. ინკიტის ტბის კოშკი წრიული ფორმისაა დმ —5,75 მ., ხოლო ლიძავასი — ოთხკუთხაა. კასტელუმისა და კანაბეს შეერთების ადგილას გამოვლინდა ხის ძელებისაგან ნაგები ახ.წ. I-II სს-ის საფორტიფიკაციო ნაგებობის კვალი [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1991: 43]. კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში გაითხარა III ს. პრეტორიუმისნაირი 1000 კვ.მ. შენობა.

ის კვადრატული გეგმისაა და ნაგებია კვადრებით კირხსნარზე [იხ. Леквинадзе 1969: 78]. აქვეა საზოგადოებრივი დანიშნულების ოთხკუთხაა მოზუმენტური, 240 კვ.მ. შენობა. იატაკი მოლესილია ჰიდრაულიკური ხსნარით. მას აკრავს მინაშენი, რომლის იატაკი მოზაიკითაა დაფარული. გადარჩენილია თევზის, დელფინისა და ტრიტონის გამოსახულებათა ფრაგმენტები [იხ. ჭყონია 1978: 211]. მოზაიკურიატაკიანი მინაშენიდან სამხრეთით გამოვლენილია II-III სს-ის სწორკუთხა ნაგებობათა კომპლექსი. ამ კომპლექსის ერთ-ერთი ნაგებობის (12 X 20მ) მინაშენში დაფიქსირებულია მოზაიკური იატაკი. მოზაიკიან ნაგებობას ჩრდილოეთით ეკვრის სამეურნეო სათავსების მთელი წყება. კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში გაითხარა 80 მ. სიგრძის ქუჩა. აქვეა წყალსადენის კოლექტორის სისტემა. ციტადელის კედლის გარეთ, კვადრებით ნაგები III ს-ის ხუთგანყოფილებიანი (საცეცხლე, გასახდელი, ცივი, თბილი, ცხელი) აბანოა. მას ჩრდილო-დასავლეთით ეკვროდა 3მ სიგანის ჭიშკარი. მის საპირისპირო მხარეს კი IV ს-ის წრიული, კირის გამოსანვავი ქურა იყო [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1991: 90].



კანაბეს სამხრეთ მონაკვეთზე გამოვლენილია სხვადასხვა დროის ორი ეკლესია. პირველი მათგანი (26 X 11მ) ერთნავიანია, ნახევარწრიული აფსიდით. თარიღდება IV ს-ის დასაწყისით [იხ. ციციშვილი 1977: 118], ხოლო მეორე ეკლესია (28 X 13 მ) სამნავიანია; ნაგებია კირხსნარზე; იატაკი მოზაიკითაა დაფარული. ეკლესიის სანათლავში მოზაიკური იატაკის კიდე ერთი ფრაგმენტი აღმოჩნდა. გადარჩენილია შადრევნის, ძროხის, ხბოს, ნუკრის, ხარ-ირმის გამოსახულებანი [დანვრ. იხ. ციციშვილი 1977: 118; ოდიშელი 1988: 15; Мацулевич 1978: 100-168; Шервашидзе 1978: 169-193]. მესამე ეკლესია (28 X 14მ) ნაგებია კვადრებით კირხსნარზე. წყობაში გამოყენებულია აგურის ორი სარტყელი. ეკლესია სამნავიანია, ხუთნახნაგა აფსიდითა და ნართექსით. მეოთხე ეკლესია დარბაზულია (17,45 X 11,6მ). ნაგებია თლილი ქვებისაგან. აქვს სამნახნაგა აფსიდა [იხ. ციციშვილი 1977: 118].

ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია: I-II სს-ის კოსის, როდოსისა და იტალიკურ ამფორათა ფრაგმენტები; პერგამონისა და მცირე აზიის ცენტრების წითელლაკიანი ჯამები, თასები; მინის ბალზამარიები; სინოპური ამფორები, ლუთერიები, სამოსური ჭრაქები, ფიბულები; ოქროსა და ვერცხლის საყურეები; ადგილობრივი ამფორის, ქვევრის, დერგის ფრაგმენტები; კრამიტები, თიხის ფილები, აგურები და სხვ.

III-IV სს-ის განათხარი არტეფაქტებიდან აღსანიშნავია: ხმელთაშუაზღვისპირეთის წითელლაკიანი თეფშები, ჯამები; მინის ბალზამარიები; კიოლნის მინის ჭურჭელი; მცირეაზიური წითელლაკიანი ჯამები და მინის ნაწარმი; სინოპური და სამოსური ამფორები, ადგილობრივი წელმუხნექილი ამფორები, ქვევრები, ქოთნები, დერგები; თიხის ფილები, კრამიტები, აგური; IV ს-ის ბალისტის ბრინჯაოს დეტალი. ვერცხლისა და

სპილენძის მონეტები (ტრაპეზუნტის, კესარიის, ამისოს და სხვ. [იხ. დუნდუა 1975]). V-VI სს-ის ხმელთაშუაზღვისპირეთის წითელაკიანი ჯამები ჯვრის გამოსახულებით; ბიზანტიური ამფორები, მინის ბალზამარიები, სანონები და სხვ. [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1991: 106, 107]. ბიჭვინთის სამაროვანი მდებარეობს ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთით. აქ გათხრილია რამდენიმე ტიპის 430 სამარხი: ორმოსამარხები, კრამიტსამარხები, თიხისფილასამარხები, ამფორასამარხები.



III-IV სს-ში მიცვალებულები იკრძალებოდნენ გამოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. სამარხთა უმრავლესობა მცირე ინვენტარიანია. მათში ძირითადად წარმოდგენილია: მინის სანელსაცხებლები — ბალზამარიები, ფლაკონები; ამფორისკები, დოქები, ჯამები; ოქროს საყურეები, გემიანი ბეჭდები, სამაჯურები, საკინძები, გულსაკიდები; ბრინჯაოს, ქარვის, გიშრის მძივები და სხვ. [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1991: 113].


ბიჭვინთა იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში [იხ. ქც 4: 159,25; 784,18,სქ.6,7; 785,6, სქ. 1]. ის ამ წყაროებში იხსენიება სხვადასხვა სახელით — პიტინტი [იხ. ყაუხჩიშვილი 1957: 120; არიანე 1961: 52; პიტინუსი [სვიდა 1941: 321]; ბიჭვინტა [ქც 1: 339,10; ქც 4: 784,18, 785,6].

გონიოს ციხეაქალაქი (აფსაროსი) მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირიდან 1.5 კმ-ის, ხოლო ზღვის ნაპირიდან 700 მ-ის დაშორებით მდებარეობს. 1959 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის რაზმმა სადაზვერვო ხასიათის სამუშაოები ჩაატარა გონიოში [იხ. ლორთქიფანიძე, მიქელაძე 1960: 761-767]. 1961-64 წწ. იქ დაზვერვები ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აწარმოვა [იხ. გძელიშვილი, ხახუტაიშვილი 1964: 59-96]. 1968-71 წწ. გონიოში არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა [ინაიშვილი ას. 1973: 17,18]. ციხეზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება განახლდა 1990 წელს და დღემდე გრძელდება (ხელმძღვანელი შოთა მამულაძე).

ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილია ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის დიუნური დასახლება [ინაიშვილი 1973: 21]. 1966 წ. ციხის სამხრეთით აღმოჩნდა ძვ.წ. IV-III სს-ის სამარხეული კომპლექსი, რომელიც შედგებოდა კოლხური ამფორისაგან, ხელადისა და ქოთნისაგან [ჩხაიძე 1983: 90-93]. ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილია რომაული ხანის წყალსადენის სისტემა, ქვაფენილიანი ქუჩის ნაწილი, „სვეტებიანი ნაგებობის“ ნაშთები, „კოშკიანი“ შენობა და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა: ადგილობრივი და იმპორტული წარმოების ამფორები; კრამიტები, სუფრისა და სამზარეულო კერამიკა; სანელსაცხებლები, რომაულ-ბიზანტიური მონეტები; არქიტექტურული დეტალები; მინის ჭურჭლის ფრაგმენტები; კერამიკული ნაწარმი — დოქები, დერგები, ჯამები, ჩიბუხები და

სხვ. გონიოს ციხე გეგმით სწორკუთხაა და ფართობი 4.8 ჰა. ციხეზე გამოიყოფა სამი ქრონოლოგიური ეტაპი: ახ.წ. I-III, IV-VI და XVI-XVII სს-ის გალავნის ქვედა ნაწილი ნაგებია პატარა ზომის ქვათილებით. ზედა ნაწილი ამოყვანილია დიდი ზომის ქვებით (კედლის სისქე 1,9 მ) [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1960: 765-766]. გალავანი 22 კომპიტაა გამაგრებული. ოთხი კომპი ნახევარწრიული ფორმისაა, დანარჩენი — სწორკუთხა.

სოფ. გონიოში გზის გაფართოებისას ოქროს ნივთების განძი აღმოჩნდა, რომელიც ზოგადად II-III სს-ით თარიღდება. განძი შედგებოდა ოქროს შემდეგი ნივთებისგან: ჭაბუკის ქანდაკება, ფიალა, წყვილი სამაჯური, ფირფიტოვანი პოლიქრომიული გარსაკრავები, გულსაკიდი ჰელიოსის გამოსახულებით, ბალთები, ვარდულები, ღილები, მძივები, მძივსაკიდები, ძეწკვები [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1980: 11-19]. გონიოს ციხესიმაგრეში 2010 წელს არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმი გაიხსნა (ხელმძღვანელი შ. მამულაძე).



გონიო-აფსაროსის ციხექალაქი შემდეგ წერილობით წყაროებში იხსენიება: [ქც 4: 792, 14]; პლინიუსის „ბუნების ისტორია“ (პლინიუსი VI, 12); არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ [კეჭაღმაძე 1961: 35]; კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ [ლომოური 1955: 51] და სხვ. (დანვრ. იხ, კრებ. გონიო-აფსაროსი I-VI).

ფიჭვნარის არქეოლოგიური ძეგლები შავი ზღვის სანაპიროსთან, მდ. კინტრიძის შესართავთან, დღევანდელი ქ. ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა დაიწყო 1953 წლიდან. 1953-65 წწ. იქ მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია ნ. ხოშტარიას, ა. ინაიშვილის, იოს. გძელიშვილის და დ. ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობით. 1965 წლიდან აქ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, შემდგომ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიცია ამირან კახიძის ხელმძღვანელობით.

დღევანდელი ქობულეთის ტერიტორიაზე, ყველაზე ძველი არქეოლოგიური ძეგლები, მის ჩრდილოეთ ნაწილში, ფიჭვნარში, მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის ხერთვისთან აღმოჩნდა. იქ ნამოსახლარების ნაშთები გაითხარა თიხა-ტორფიან მონაკვეთში, სადაც

განლაგებულია ბორცვები. მათგან არქეოლოგიურად შესწავლილია *ნამჭედურის, ნაპურვალას, ისპანის* ბორცვები და ზღვისპირა ტერასის ე.წ. დიუნური სამოსახლოები. ისპანის სამოსახლარის ქვედა ფენაში გამოვლენილია ძეღური ნაგებობების ნაშთები. ნასახლარზე შემორჩენილია კერა, რომელთანაც აღმოჩნდა: ე.წ. ყუამილიანი ცულის ყალიბი; მეტალურგიული ქურის საქშენი მილი და სხვ. სამოსახლარზე აღმოჩენილია ქვის იარაღები: ხელსაფქვავეები, შურდულის ქვები, სანაფები, ცულები და სხვ. დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი ხელით ნაძერწი კერამიკა: ქოთნები, ჯამები, დერგები. ისინი შემკულია ამოღარული, აგრეთვე, რელიეფური ორნამენტით. სამოსახლარი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება [იხ. ინაიშვილი 1977: 5-15]. ნამჭედურის სამოსახლარზე აღმოჩენილია შუა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა; ადრეული რკინისა და ანტიკური ხანის სამოსახლოს ნაშთები. სამოსახლარი განლაგებულია დაახლ. 5მ სიმაღლის ბორცვზე. სამოსახლარის შუა ფენაში აღმოჩნდა კოლხეთისათვის დამახასიათებელი ორნამენტით შემკული ქვევრების, დერგების, ქოთნების, ჯამების ნატეხები. აქვეა აღმოჩენილი თიხის მილები, ნიდეები. მრავლადაა ნანახი სანაფების, ხელსაფქვავეების, კვირისტავეების ფრაგმენტები [იხ. Микеладзе და სხვ. 1985: 9-31].


მდ. ჩოლოქის მარცხენა ნაპირზე, გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანისა და ანტიკური პერიოდის ფენები, ძეღური ნაგებობების ნაშთებით. კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია: ქოთნების, ჯამების, დერგების ნატეხები. ქვედა ფენის კერამიკა მოშავოა და ახასიათებს ზედაპირის კოპებით შემკობა. შუა ფენაშიც ასეთივე კერამიკაა, ოღონდ ისინი შემკულია კონცენტრული ნრებით, ნიწვოვანი, ტალღოვანი და ზიგზაგისებური ორნამენტით. ადრეული რკინის ხანის დასაწყისისათვის ჩნდება ჭურჭლის ახალი ფორმები, რომლებსაც ე. წ. ზოომორფული ყურები აქვთ. იქვეა ნაპოვნი შურდულის ქვები, კაჟის ისრისპირები, სანაფები. აღმოჩნდა აგრეთვე ცულის ყალიბები, რქიანი სადგრები და სხვა [იხ. ჩავლეიშვილი 1987: 21-32].

ნამჭედურის სამოსახლარიდან 700 მ-ის დაშორებით, ზღვის სანაპიროზე, 2 კმ-ზე, ტერასაზე განლაგებულია ე.წ. ქსოვილიანი კერამიკის შემცველი ზღვისპირა ქვიშნარ დიუნებზე განლაგებული ძვ. წ. VIII-VII სს-ის სადგომები, სადაც აღმოჩნდა: ქოთნები, დერგები, ცილინდრული სასმისები. კერამიკა შემკულია ამოღარული სარტყლებით, პრიალა ზოლებით, კოპებითა და ე. წ. ზოომორფული ყურებით. სამოსახლარზე აღმოჩნდა ლითონის ნარმოების ნაშთებიც [იხ. რამიშვილი 1974ა: 104-111].

ქობულეთ-ფიჭვნარის ანტიკური ხანის ქალაქური ტიპის სამოსახლარი განლაგებულია ზღვიდან 700 მ-ზე. ჩრდილოეთით მას ჩამოუდის მდ. ჩოლოქი, აღმოსავლეთით საზღვრავს *ისპანის* ტორფიანი დაბლობი. ქალაქური ტიპის ამ სამოსახლარის ძირითადი უბანი უნდა ყოფილიყო ბორცვი „*ნამჭედური*,“ რომლის გარშემო აღმოჩენილია სამოსახლო უბნების მთელი წყება. არქეოლოგიურად შესწავლილ მონაკვეთებში შეიმჩნევა შემდეგი სტრატეგრაფია: I. ჰუმუსური ფენა დაახლ. 25 სმ სიმძლავრის. II. თიხნარი ფენა დაახლ. 40 სმ სიმძლავრის, სადაც გამოვლინდა ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალა კრამიტები, ამფორები, ქვევრები, სანაფები და სხვ. III. ადრეანტიკური ხანის ფენა, სადაც აღმოჩნდა — ქვევრების, კვირისტავეების, პირამიდული სანაფების, ხელსაფქვავეების, ფერადი მინის, შავლაკიანი ჭურჭლის, ამფორების (ადგილობრივი და იმპორტული) ნატეხები. იქვე აღმოჩნდა ძეღებიანი ნაგებობებისა და ბათქაშების ფრაგმენტები. IV. წინარე ანტიკური ხანის ფენა. ნამჭედურიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ოჩხამურის მარცხენა მხარეს მდებარე ბორცვი „*ნაპურვალა*,“ სადაც წარმოდგენილია წინარეანტიკური, ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური მონაცემები. ბორცვი „*ნაპურვალას*“ სამხრეთით გამოვლენილია ადრეელინისტური ხანის სამაროვანი [იხ. კახიძე 1971: 36-39].

ფიჭვნარის ნაქალაქარზე ძირითადი საშენი მასალა ხის ძელებია, რომლებიც ბათქაშით იყო შელესილი; მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი კრამიტები. იქ გვხვდება როგორც ადგილობრივი, ისე სინოპური ნაწარმი. გამოვლენილია აგრეთვე თიხის მილები; საკულტო დანიშნულების თიხის ე.წ. რქისებური სადგრები; თიხის პირამიდული სანაფები; კვირისტავეები და სხვ. ადგილობრივი კერამიკული ნაწარმიდან აღმოჩნდა: კოლხური


ქვევრები, ქოთნები, დოქები, სასმისები, თასები, ლანგრები, ჯამები, ყურმილიანი დოქები. უცხოური ნაწარმიდან აღსანიშნავია: იონური კერამიკა (კილიკები, თასები, სკიფოსები, ლეკითოსები, ლანგრები და სხვ.). სამოსახლოზე დიდი რაოდენობით გამოვლინდა ათენიდან შემოტანილი სადა შავლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები; არის წითელლაკიანი და წითელფიგურული ჭურჭელიც. ნაქალაქარზე აღმოჩნდა: კოლხური თეთრები; აგრეთვე ქიზიკში, სინოპსა და ამისოში მოჭრილი მონეტები; ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბადები და სხვ. [დანვრ. იხ. კახიძე 1971: 80-109, 116-140].



„ნაპურვალასთან“ ძვ.წ. Vს-ის კოლხური სამაროვანი გაითხარა. ორმოსამარხების ფართობი $\approx 2,5 \times 1,6$ მ. მიცვალებულები დაუკრძალავთ მოხრილ მდგომარეობაში. სამარხეული ინვენტარის დიდი ნაწილი კერამიკაა. მათი უმრავლესობა ადგილობრივი ნაწარმია (ჯამები, მათარები, ყურმილიანი დოქები, კოლხური სასმისები, ქოთნები, კანთაროსისებური ჭურჭლები და სხვ.). იმპორტული ნაწარმიდან აღსანიშნავია: ამფორები (თაზოსური, ქიოსური და სხვ.); ლეკითოსები (ხშირად წითლად მოხატული), შავლაკიანი კილიკები, სკიფოსები და სხვ. სამარხებში აღმოჩენილია კოლხური თეთრები (ტრიობოლები). სამარხებში გვხვდება სხვადასხვა ფორმის მინის მძივები. ოქროს სამკაული მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ესენია: რგოლები, საყურეები, მძივები. გვხვდება ვერცხლის სხივანა საყურეები; კისრის რკალები; ბრინჯაოს ზარაკები; საყურეები, ფიბულები, ბალთები; რკინის ნივთებიდან აღმოჩნდა: ლურსმნები, ისრისპირები, დანები და სხვ. [იხ. კახიძე 1981: 34-58].

ქობულეთ-ფიჭვნარში „ნაპურვალას“ ანტიკური ხანის ფენების ზემოთ გამოვლინდა ადრეული შუა საუკუნეების ფენაც, სადაც აღმოჩნდა ქვის ნაგებობის ნაშთები. ნეკროპოლში გამოყენებულია რიყისა და ე.წ. ფლეთილი ქვა, კირხსნარზე. ნაგებობაში აღმოჩნდა თიხის, მინისა და რკინის ნაწარმი. ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი ძირითადად წარმოდგენილია ქვევრებითა და ე.წ. წელშენეკილი ამფორებით. იმპორტული ნივთებიდან გვხვდება გოფირებულტანიანი ამფორები, პირგადაშლილი ჯამები, ქოთნები, დოქები, წითელლაკიანი ჯამები, მინის სასმისების ძირები, ე.წ. ხალიანი მინის ნაწარმი და სხვ. სამშენებლო კერამიკიდან გვხვდება ლარიანი და ბრტყელი კრამიტები, აგური [იხ. ჩხაიძე 1980: 39-54] (დანვრ. იხ. კრებ. ფიჭვნარი I-VIII).

ციხისძირის ნაქალაქარი ქ. ქობულეთიდან სამხრეთით, 8 კმ-ის დაშორებით, შავი ზღვის კლდოვან ნაპირზე, დღევანდელ სოფ. ციხისძირში მდებარეობს. XIX ს-ის 70-იან წწ. ჯარისკაცების მიერ ციხისძირში სანგრების თხრის დროს სხვადასხვა ნივთის შემცველი ძველი სამარხები აღმოჩენილა. მათ შესახებ ცნობები დაცულია 1881 წ. გ. წერეთელთან, არქეოლოგიის კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტის გამოქვეყნებულ მასალებში [Протоколы археол. съезда... 1882: 37-51]. XIX ს-ის დასაწყისში ციხისძირში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არა ერთი და ორი არქეოლოგიური ნივთი და მრავალი მონეტა აღმოჩნდა, რომლებიც ინახება: ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ს.-პეტერბურგის ერმიტაჟში [იხ. ინაიშვილი 1993: 5-14]. 1934 წ. ს. ჯანაშიამ მცირე არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა ციხისძირში. 1953 წ. ნ. ხოშტარას ხელმძღვანელობით ციხისძირში კვლავ ჩატარდა არქეოლოგიური დაზვერვები [ინაიშვილი ას. 1974: 115, 117].



1962-1966 წწ. ციხისძირში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აწარმოა ფართო არქეოლოგიური კვლევა-ძიება (ხელმძღ. ას. ინაიშვილი). 1983-1987 წწ. ციხისძირში კვლევა-ძიებას აწარმოებდა ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ნინო ინაიშვილი). 1988 წ. ციხისძირთან, ზღვაში, მცირე წყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიურმა ექსპედიციამ [იხ. გამკრელიძე 1997: 79-82].

დღევანდელი სოფ. ციხისძირის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში ყველაზე ძველი არქეოლოგიური მონაცემები განეკუთვნება გვიანდელ ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანას. ციხისძირში ადგილ *სამების ფერდობზე* აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები: ე.წ. სეგმენტური იარაღები, თოხები, სპილენძის ზოდები და სხვ. სულ 96 ერთეული. ციხისძირის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ცულები, შუბისპირი, საკინძები და სხვ. [რამიშვილი 1974: 14-17]. ე.წ. დიუნური სადგომის ნაშთები აღმოჩნდა ციხისძირის ჩრდილოეთით ბობოყვათში, ზღვის ნაპირიდან 200-ოდე მ-ის დაშორებით. სადგომი ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოთი თარიღდება. მოცემულ ქვიშაზვინულზე აღმოჩნდა მოტკეპნილი მოედნები; მოედნებზე შეიმჩნევა ხის ძელების ჩასამაგრებელი ბუდეები; დადასტურდა სამსხვერპლოები, რომელთა მოსაწყობად რქისებურშვერილიანი სადგარებია გამოყენებული. იქვე აღმოჩნდა მონითალო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხის, კუთხეებმომრგვალებული ფილები (28 X 15 X 3სმ); ნამოსახლარზე გამოვლინდა ე.წ.

აბაზანისებური ჭურჭლის ნატეხები; ქვევრების ნატეხები ფართო კანელურებით; ნაპოვნია სადა და ე.წ. ზოომორფული ყურების ნატეხები; ბადის საძირავები; რიყის ქვის ურო და სხვა [იხ. თავამაიშვილი 1987: 34-43].

ციხისძირიდან საყურადღებოა მდიდრული სამარხების ინვენტარი, რომელიც „ციხისძირის განძის“ სახელითაა ცნობილი. ნივთები შემთხვევითაა ნაპოვნი და ინახება ს.-პეტერბურგის *ერმიტაჟის* ანტიკურ და აღმოსავლეთის განყოფილებებში; თარიღდება II-III სს. ნივთები: ოქროს საყურე გრანატის ქვით; ოქროს აგრაფი შემკული, მთის ბროლის ინტალიოთი, რომელზეც მამაკაცია გამოსახული (აგრაფი 70 X 58 მმ); ოქროს ყელსაბამი; წრიული ოქროს ბალთა-მედალიონი; ოქროს ბალთა-მედალიონი მონითალო-მოყავისფრო მინის თვლით შემკული; ოქროს ყელსაბამის შესაკრავი ცხოველის თავის გამოსახულებით; ოქროს თვალბუდე შემკული მინის თვლით; ოქროს ფირფიტა რელიეფურგამოსახულებიანი მამაკაცის ბიუსტით (ზომები 11 X 9 მმ); ოქროს ბეჭედი მამაკაცის პორტრეტით (ინტალიოს ზომები 18 X 14 მმ); ოქროს ბეჭედი ინტალიოთი (ზომები 9 X 6 მმ), რომელზეც გამოსახულია მამლები და თავგვი; თვლებით შემკული ოქროს ბუნიკი; რელიეფური ორნამენტით შემკული, ოთხკუთხა ოქროს ფირფიტა-გარსაკრავი; ფორტუნას გამოსახულებით შემკული ვერცხლის ლანგარი (დმ —28,5სმ); შუბიანი მამაკაცის გამოსახულებიანი ვერცხლის და ბრინჯაოს ჩამჩის ტარის ნატეხი; ბრინჯაოს დოქის ყურის ნატეხი; ბრინჯაოს პატერის ტარი ვერძის სკულპტურული თავით; ბრინჯაოს პატერის ტარი ცხოველის თავის სქემატური გამოსახულებით; ბრინჯაოს თეფშის რელიეფურხაზებიანი ფრაგმენტი (ძირის დმ —9,5 სმ); ბრინჯაოს კოვზის ფრაგმენტი; ბრინჯაოს 26 რგოლიანი ძეწკვი; ბრინჯაოს ფიბულის ნატეხი; მძივები და სხვ. [იხ. ხოშტარია 1962: 2-28; ინაიშვილი 1993: 17-41]. ციხისძირის ნაცხარზე აღმოჩენილია დამლიანი (*ვექსილაციო ფასიანა*) თიხის ფილა; რომელსაც ფასისში II ს-ში მდგარი სამხედრო ნაწილის სახელით დამზადებულ აგურად მიიჩნევენ [იხ. შპაიდელი 1985: 134-140].

ციხისძირის ციხესიმაგრე განლაგებული იყო ორ ბორცვზე. ჩრდილო-დასავლეთ ბორცვზე მდებარეობდა დედაციხე, რომლის ფართობიც იყო დაახლოებით 1,5 ჰა. სამხრეთ-დასავლეთ, შედარებით მომცრო ბორცვზე მდებარეობდა ბასტიონი. ჩრდილოეთი და სამხრეთი ბორცვების საფორტიფიკაციო ნაგებობები ორმაგი კედლებით იყო დაკავშირებული. ციხესიმაგრის მშენებლობაში ძირითადად ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა — ადრეული და გვიანდელი შუა საუკუნეების. ციხისძირის თავდაცვითმა და საზოგადოებრივმა ნაგებობებმა მრავალჯერ განიცადეს მნიშვნელოვანი გადაკეთება. ციხესიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს კარიბჭე, რომლის სიგანეა 1,2 მ. კედლის სისქე აქ 1,3 მ. დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან კარიბჭეს დაუყვება კონტრფორსები. სამხრეთ-დასავლეთ ბორცვზე არსებული კოშკი წრიული ფორმის უნდა ყოფილიყო. იქვე, კარიბჭესთან, აღმოჩნდა სწორკუთხა კოშკის ნაშთები. დედაციხის კედლები დაზიანებულია, შერჩენილია მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლისა და კოშკების ნაშთები. ციხესიმაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან, შიგნიდან აღმოჩნდა გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობის ნაშთები. სამხრეთ კედელთან აღმოჩნდა 25 X 5 მ ფართობის ნაგებობა; კედლის სისქე 1 მ. ნაგებობის შიდა ნაწილში შემორჩენილია კირხსნარის შელესილობის ფრაგმენტები. ციხესიმაგრის მშენებლობაში გამოყენებულია ბრტყელი აგური, ბრტყელი და ღარიანი კრამიტი, რიყისა და ე.წ. ფლეთილი ქვა, ხის ძელები და კირხსნარი. ციხის ტერიტორიაზე გაითხარა: სამნავიანი ბაზილიკა, აბანო, ცისტერნა და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. ყველაზე ძველი ფენა აქ VI ს განეკუთვნება და შეიცავს: წელშენეჩილ და გოფირირებულ ამფორებს; ნითელაკიან თეფშებს; ნითლად გაპრიალებულ დოქებს, ქოთნებს; ბრტყელ აგურს, კრამიტს; მინის სასმისებს და სხვ. შემდეგი ფენა შუა საუკუნეებისაა და შეიცავს: კირხსნარში ჩასმულ ქვევრებს; დერგებს; მოჭიქულ ჭურჭელს; სარკმლის მინას და სხვ. მესამე ფენა XVIII-XIX სს-ს განეკუთვნება და ძირითადად შეიცავს აგურისა და კრამიტის, ფაიფურისა და მოჭიქული კერამიკის ნაშთებს, თიხის ჩიბუხებს და სხვ. [იხ. ინაიშვილი ას. 1974: 118-153; 1993: 8-14].

დედაციხის ცენტრში აღმოჩნდა VI ს-ის სამნავიანი ბაზილიკის ნაშთები. ბაზილიკას წაგრძელებული ფორმა და ნალისებური ხუთნახნაგა აფსიდა აქვს. მისი ზომები ექსტერიერში 33 X 17,80 მ, კედლების სიგანე 1,1-1,2 მ. ბაზილიკის შიდა ფართში თითო რიგში ხუთ-ხუთი ბოძი იყო განლაგებული. გადახურული უნდა ყოფილიყო ხის კოჭებით. კედლები გაუთლელი ქვებითა და კირხსნართაა ნაგები. აფსიდა გარედან მოპირკეთებულია თლილი ქვით. ციტადელში სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა VII ს-ის, 9,2 X 6,5 მ. ფართობის აბანო, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ არის მიმართული. აბანო შედგება ხუთი განყოფილებისაგან: გასახდელი, ცივი, თბილი, ცხელი და საქვაბე განყოფილებები [იხ. ინაიშვილი 1993: 10, 11; ინაიშვილი ას. 1974: 118-153].

ციტადელის ჩრდილოეთით დაბლობში, ზღვასთან, ადგილ ბობოყვათში ნაწილობრივ გაითხარა VI ს-ის სამნავიანი ბაზილიკის ნაშთები. მისი შესწავლისას აღმოჩნდა: კაპიტელი, იატაკის მოზაიკის ფრაგმენტები, მარმარილოს არქიტექტურული დეტალები. არქეოლოგიური მასალიდან საყურადღებოა სასარკმლე მინის, მინის სასმისებისა და სანათების, ამფორების, წითელლაკიანი თეფშების, აგურების, კრამიტების ფრაგმენტები და სხვ. [იხ. ინაიშვილი ას. 1974: 147, 148]. ციტადელის ჩრდილოეთითვე, დაახ. 500 მ-ის დაშორებით, ზღვის სანაპირო ზოლში, ბობოყვათში, ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე გათხრების შედეგად აღმოჩნდა წინარე ანტიკური ხანიდან ადრეული შუა საუკუნეების ჩათვლით არქეოლოგიური ძეგლები. ეს ადგილი ითვლება ციხისძირის ნაქალაქარის ერთ-ერთ მთავარ საცხოვრებელ უბნად. მოცემული ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ზღვის ნაპირიდან 25 მ-ის დაშორებით, აღმოჩნდა აბანო, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენაა დამხრობილი. აბანოს სიგრძეა 20 მ, სიგანე — 10 მ. ის შედგება 6 განყოფილებისაგან. აბანოს საძირკველი და კედლები აგებულია გაუთლელი ბაზალტის ქვით; შემაკავშირებლად გამოყენებულია კირხსნარი. კედლის წყობაში დასტურდება აგურის ჰორიზონტალური რიგებიც. აბანოს საკვანძო, ძირითადი ადგილები აგურითაა შესრულებული. ფრიგიდარიუმის აუზის იატაკი ჰიდრაულიკური ხსნარით იყო მოლესილი. აბანოს კედლები სხვადასხვა სიგანისაა 0,65-0,7, 0,75-0,8 მ. აბანოში აღმოჩნდა ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტის ნატეხები. მოცემული აბანოდან აღმოსავლეთით 70 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა მეორე აბანო. მისი სიგრძე 13 მ-ია, სიგანე — 8 მ. აბანო შედგება ხუთი სათავისაგან. ეს მეორე აბანო, პირველს ჰგავს თავისი სამშენებლო წყობით. ციხისძირის აბანოები გარკვეულ არქიტექტურულ მსგავსებას იჩენენ შუხუთის აბანოსთან და IV ს-ით თარიღდება [იხ. ინაიშვილი 1993: 44-51].


ნაქალაქარზე გათხრილი გვიანანტიკური-ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალის უმეტეს ნაწილს წარმოადგენს თიხის ჭურჭელი. სამეურნეო კერამიკის დიდ ჯგუფს შეადგენს ქვევრები, რომლებიც შემორჩენილია ფრაგმენტებით. მრავალრიცხოვანია ტარა, რომელიც ამფორებითაა წარმოდგენილი. აქ ძირითადად გვხვდება ე.წ. წელშეზნექილი კოლხური ამფორები. შედარებით მცირე რაოდენობითაა უცხოური წარმოების ამფორები. ნაქალაქარზე აღმოჩენილია აგრეთვე ლუთერიების ნატეხები. სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ჯამებით, ქოთნებით. სუფრის ჭურჭლიდან გვხვდება წითელწერნაქიანი ხელალები და ჯამები; წითელლაკიანი ჯამები და თეფშები. მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია: სარკმლის მინა; ფეხიანი სასმისების, ცილინდრული ჭრაქების, ფიალების, სანელსაცხებლებისა და სანათების ფრაგმენტები [იხ. ინაიშვილი 1993: 51-80].

ციხისძირის ბობოყვათის უბანზე აღმოჩენილია 300-მდე ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამარხი. ისინი ორი ტიპისაა: ორმოსამარხები და ამფორასამარხები. ორმოსამარხები აღმოსავლეთიდან დასავლეთითაა მიმართული. სამარხებში ძირითადად წარმოდგენილია თიხის ჯამები, ქოთნები, დოქები; მინის სანელსაცხებლები, ფიალები; ბრინჯაოს ფიბულები, აბზინდები; რკინის სატევარი, დანები, ცული, შუბისპირი და სხვ. სამარხები III-VI სს-ს მიეკუთვნება [იხ. ინაიშვილი 1993: 81-98].

ციხისძირში III ს-ის ბოლოდან არსებობდა სტრატეგიული პუნქტი, ხოლო IV ს-ის მეორე ნახევარში ყალიბდება ქალაქური ტიპის დასახლება [იხ. ინაიშვილი 1993: 114]. ქალაქი,

ციხესიმაგრე [იხ. ქც 4: 792,8; შეადარე — ჯანაშია 1949: 30-33, 39; ქც 4: 792,8; სპენსერი 1981: 176, 184; ყაუხჩიშვილი 1965: 34, 35; გრიგოლია 1989: 37-81].

ნოქალაქევის ნაქალაქარი სენაკის მუნიციპ.-ში, მდ. ტეხურის პირას, ახლანდელ სოფ. ნოქალაქევის ტერიტორიაზე მდებარეობს. ნოქალაქევაში სადაზვერვო არქეოლოგიური გათხრები პირველად 1930-1931 წწ. მ. შნაიდერის ხელმძღვანელობით განხორციელდა. 1971 წ. აქ სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. გრიგოლია). 1973 წლიდან სისტემატურ არქეოლოგიურ გათხრებს ანარმოებს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია (ხელმძღ. პ. ზაქარაია, შემდგომ დ. ლომიტაშვილი) [იხ. Ломоури 1979: 151-155].



IV-VI სს-ის ნაქალაქარი მდებარეობს მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, მაღალი მთის ფერდობზე. შედგება სამი ნაწილისაგან: ქვედა, შუა და ზედა ციხე ანუ ციტადელი. ნაქალაქარის ტერიტორია გალავნითაა შემოსაზღვრული. შიდა ფართობია 17 ჰა. გამოვლენილია სხვადასხვა დროის სამი გალავანი: პირველი გალავანი აშენებულია ახ.წ. IV ს-ის დასაწყისში; მეორე — V ს-ის პირველ ნახევარში; მესამე — V-VI სს-ის მიჯნაზე. გალავანი გამაგრებულია სწორკუთხა ფორმის კოშკებით [იხ. ზაქარაია 1987: 142, 143].

ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკებიც სწორკუთხაა და ორსართულიანი. ნაგებია რიყის ქვით დულაბზე. სამხრეთის მხარეზე ორი ვიწრო შესასვლელია. კარის გვერდით ნიშში აღმოჩნდა ადგილობრივი წარმოების ორ რიგად დანყობილი 22 ამფორა. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში ჩაშენებულია სწორკუთხა ფორმის სამი კოშკი. ნაგებია რიყის ქვითა და კვადრებით [ზაქარაია 1987: 177-

179]. ციტადელის ტერიტორიაზე ერთნავიანი ეკლესიაა. ნაშენია თლილი ქვებით. თარიღდება V-VI სს-ით [ზაქარაია და სხვ. 1984: 46]. ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან 40 მ სიგრძის თლილი ქვით ნაგები გვირაბია. მისი კამარა ნახევარწრიულია. გვირაბს აქვს ქვის კიბე. შემორჩენილია თოთხმეტი საფეხური [ზაქარაია 1987: 149, 150]. ნაქალაქარის სამხრეთით გამოვლინდა IV ს-ის სასახლის ნაშთი. მეორე სასახლე მდებარეობს აღმოსავლეთით. მესამე სასახლე სამსართულიანია. პირველი სართული დამხმარე დანიშნულებისა იყო და ცალკე კარი ჰქონდა დასავლეთიდან. მეორე სართულზე მისაღები დარბაზი იყო; მესამეზე — საცხოვრებელი. სასახლე ნაგებია თლილი კვადრებით [იხ. იაშვილი და სხვ. 1981: 184-193]. „ორმოცმონამეთა“ ეკლესიასთან გამოვლენილია სხვადასხვა დროის სამი ეკლესია [იხ. ზაქარაია და სხვ. 1984: 27; კაპანაძე 1987: 90-122].

ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში მდებარეობს აბანო. ის შედგებოდა: საცეცხლე, გასახდელი, ცივი, თბილი, ცხელი განყოფილებებისაგან. აბანოს შიდა კედლები და აუზები შელესილია ჰიდრაულიკური ხსნარით. ფასადი შემოსილია საშუალო ზომის თლილი ქვით. თარიღდება IV-V სს-ით. მეორე აბანო, ე.წ. *სამეფო აბანო* მდებარეობს პირველიდან ასიოდ მეტრზე. ის ხუთგანყოფილებიანია [იხ. ზაქარაია, კაპანაძე 1991: 109].



ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის მასალები: ადრეანტიკური ხანის კოლხური სასმისები [იხ. ლომიტაშვილი და სხვ. 1987: 203-209]; ახ.წ. IV-VI სს-ის ადგილობრივი ამფორები, ლუთერიები, ქოთნები, დოქები; უცხოური ამფორები, წითელლაკიანი ლანგრებისა და ჯამების ფრაგმენტები. VII-XI სს-ის ლარნაკების, ქვევრების ნატეხები, XI-XIII სს-ის იმპორტული მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები [იხ. ლექვინაძე 1987: 237-246]. სხვადასხვა დროის მონეტები: კოლხური ნახევარდრაქმები (18ც.), ანასტასი I-ის 20-ნუმიანი მონეტა, იუსტინე I-ის (518-527) სამი 40-ნუმიანი სპილენძის მონეტა, იუსტინიანე I-ის ერთი 40-ნუმიანი მონეტა, იუსტინე II-ის სპილენძის ორი 20-ნუმიანი მონეტა, ერთი კირმანეული და სხვ. [იხ. აბრამიშვილი 1987: 274-285].

ნაქალაქარის ნეკროპოლზე სამარხები იყოფა 4 ჯგუფად: 1- ძვ.წ. IV—III სს-ის შუა ხანების ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია მოკრუნჩხული, გვერდზე. სამარხებში აღმოჩენილია ადგილობრივი დოქები, ბრინჯაოს ზარაკები და საყურე-რგოლები. 2- ძვ.წ. III ს-ის შუა ხანებისა და ძვ.წ. II ს-ის ქვევრსამარხები. ისინი დაფლულია ჰორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთით. მიცვალებულები დაკრძალულია მოხრილად. სამარხებში აღმოჩენილია: ადგილობრივი წარმოების დოქები, იმპორტული კანთაროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამაჯურები, საბეჭდავები, საყურე-რგოლები, რკინის შუბისპირი

და სხვ. 3- ძვ.წ. I—ახ. წ. I სს-ის ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია ოდნავ მოხრილი, თავით აღმოსავლეთით. მათში აღმოჩენილია ადგილობრივი დოქები, ვერცხლის, რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურები, საყურე-რგოლები, მთის ბროილს და სარდიონის მძივები. 4- ახ.წ. IV—V სს-ის ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა: ადგილობრივი წარმოების ქოთნები, დოქები, ოქროს, რკინისა და ბრინჯაოს ფიბულები, ბეჭდები, საყურე-რგოლები, სარდიონისა და მინის მძივები [გვინჩიძე 1981: 158-179].

ნოქალაქევი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში — [იხ. ქც 1: 24,5; ქც 4: 777,13], პროკოპი კესარიელის „ომი სპარსელებთან“ [პროკოპი კესარიელი 1965: 97, 101, 105, 107, 108; აგათია 1936: 30, 40, 53, 56] და სხვ. ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხე გოჯად ნოდებული. ეს აღაშენა მეფის ფარნაოზის უამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე“ [ქც 4: 777,11-13]. ნოქალაქევი წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება: არქეოპოლისი (პროკოპი კესარიელი, აგათია), ციხე გოჯი (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ვახუშტი ბაგრატიონი), ნაქალაქევი (ვახუშტი ბაგრატიონი), ჯიხან-ქვიჯი (მარტვილობა დავითისა და კონსტანტინესი), ნოქალაქევი (კ. კოხი) და სხვ. (დაწვრ. იხ. კრებ. ნოქალაქევი, ტ. I-IV, (რედ. პ. ზაქარაია); კრებ. ნოქალაქევი- ციხეგოჯი- არქეოპოლისი (რედ. დ. ლომიტაშვილი).



რკინის მეტალურგია

გ. ინანიშვილი, გ. გამყრელიძე

კავკასია და, კერძოდ, საქართველო, რომელიც კაცობრიობის განვითარების ისტორიის ყველა პერიოდს მოიცავს, ფრიად საინტერესოა ლითონდამუშავებასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მონაპოვართ. აქ ლითონის დამუშავება და გამოყენება უძველესი დროიდან ხდება. პალეომეტალურგია არქეოლოგიასთანაა დაკავშირებული და კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მიღწევებს უჭირავს. საქართველოში განხორციელებულმა საველე-არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ფერადი და შავი მეტალურგიის, ათვისება-განვითარების პრობლემის განმსაზღვრელი მასალა წარმოაჩინა. საქართველოს ტერიტორიაზე ლითონდამამუშავებელ წარმოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლებია მიკვლეული [იხ. გობეჯიშვილი 1952; თავაძე და სხვ. 1959; გძელიშვილი 1964; ჩართოლანი 1996; გობეჯიშვილი და სხვ. 1983: 441-443; მაისურაძე, ინანიშვილი 1984: 86-89; ინანიშვილი 2001: 45-61; ლამბაშიძე ირ. და სხვ. 2010; ინანიშვილი 2007:1-62; ჯაფარიძე 1991: 221- 258; გობეჯიშვილი 1960; ლორთქიფანიძე 2002; აბრამიშვილი 1961: 291-382; ფიცხელაური 1973; Хахутаишвили 1987].

ადამიანმა პირველად მეტეორიტული ანუ ბუნებრივი რკინა გადაამუშავა. შემდგომ სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის გამოცდილების საფუძველზე რკინა-ფოლადის მიღება გახდა შესაძლებელი. ძველ ეგვიპტეში და მესოპოტამიაში აღმოჩენილი მეტეორიტული რკინისაგან დამზადებული ნივთები ძვ.წ. IV ათასწლეულისაა. მეტეორიტული რკინისაგან არის დამზადებული ფარაონ ტუტანხამონის სამარხში აღმოჩენილი ხანჯალი. მესოპოტამიაში, ურის ერთ-ერთ, არქეოლოგიურად შესწავლილ ნეკროპოლში მეტეორიტული რკინისგან დამზადებული სატევარია აღმოჩენილი. ტროას, ძვ.წ. II ათასწლეულის ფენაში რკინის ნივთებია აღმოჩენილი. მეტეორიტული წარმოშობის რკინის ნივთები აღმოჩენილია კუნძულ კრეტაზეც. ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან იწყება რკინის მადნის ქურაში გადაამუშავება და რკინა-ფოლადის მიღება. თვლიან, რომ ძვ.წ. VIII-ში ანატოლიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ბრინჯაოს მეტალურგია რკინისამ შეცვალა. ძვ.წ. XIX ს. რკინის გამონადნობია აღმოჩენილი კუნძულ კრეტაზე. რკინის მეტალურგია ძვ.წ. VIII

ს-თვის პირენის ნახევარკუნძულზეც გავრცელდა [იხ. Монгайт 1974: 130-134]. რკინის, როგორც მეტეორიტიული აგრეთვე მადნის მეტალურგიის ცალკეული უძველესი ძეგლები ცნობილია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, რომლებიც ძვ.წ. XIV-XIII სს-ით თარიღდება [იხ. Tylecot 1980], ხოლო რკინის ინტენსიური ათვისების პერიოდად ძვ.წ. VIII-VII სს. მიიჩნევა.

საქართველოს და მთლიანად კავკასია-ნინა აზიის უძველესი მეტალურგიული წარმოებისა და ლითონდამუშავების ისტორიის ამსახველი მასალები დაცულია წერილობით წყაროებსა და მატერიალური კულტურის ძეგლებში. ძველადმოსავლური და ანტიკური წერილობითი წყაროების მიხედვით, სამხრეთ კავკასიის ტერიტორია ცნობილია, როგორც სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინა-ფოლადის დამუშავების შემქმნელი ხალხის რეგიონი. ურარტულ ეპიგრაფიკაში რკინა იხსენიება კულხასთან კავშირში. ურარტუს მეფე სარდურ II (ძვ.წ. VIII ს.) დალაშქრა კულხას ქვეყანა, სამეფო ქალაქი ილდამუშა და გააკეთებინა რკინის ბეჭედი [იხ. Меликишвили 1959: 199]. საყურადღებოა ცნობა ბიბლიიდან რკინის ჭედვის შესახებ [იხ. ჯავახიშვილი 1960: 24]. ქართველური მოსახლეობის მეტალურგიაზე ცნობებს ბერძენი ავტორების — ესქილე, ქსენოფონტე, არისტოტელე, აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი — ნაწარმოებებშიც ვხვდებით, სადაც მეტალურგ ტომთაგან ხალიბები და მოსინიკებია მითითებული, რომელთაგან პირველნი რკინის, ხოლო მეორენი — სპილენძის წარმოებაში ყოფილან დახელოვნებულნი [იხ. მიქელაძე 1967:106; კვიციანი გ.გ. 1976: 44, 45]. უძველესი მეტალურგიის ისტორიის საკითხებზე მომუშავე მკვლევართა დიდი ნაწილისათვის კავკასია-ნინა აზიის ტერიტორია რკინის უძველესი მეტალურგიის ერთ-ერთ მთავარ კერადაა მიჩნეული [იხ. Forbes 1950: 415-421; Forbes 1964: 9,179; Grenier 1965: 235; Деген-Ковалевский 1935].

რკინა-ფოლადის ამსახველი ტერმინები — *სარკინე*, *სარკინეთი*, *ფოლადაური*, დადასტურებულია, "*ქართლის ცხოვრებაში*". ფერადი და შავი მეტალურგიის ძეგლებთან დაკავშირებული ემპირიული ცოდნა-გამოცდილების, საწარმოო სამუშაოთა ორგანიზაციის და ლითონების დამუშავების ტექნოლოგიური სქემის ამსახველი პროცესები ეთნოგრაფიულ სინამდვილეშია თავმოყრილი. რკინა-ფოლადის მიღება-დამუშავების პროცესის აღწერილობითი ინფორმაცია მდ. ჯეჯორის ხეობის (ონის მუნიციპ.) სახელოსნოს მაგალითზეა აღდგენილი. ეს მონაცემები რკინის მეტალურგიული წარმოების შესაბამის არქეოლოგიურ ძეგლებს უკავშირდება, რაც რკინის წარმოების უძველესი ტრადიციებით აიხსნება [იხ. რეხვიაშვილი 1953: 25-33; რეხვიაშვილი 1954]. აგრეთვე შესწავლილია სვანეთში, ჭუბურის ხეობაში, *შხიბარის* რკინის სადნობი სახელოსნო. ბოლნისის მიმდებარე ტერიტორიაზე დადასტურებული ქურების მიხედვით განხილულია მეტალურგიული სამუშაოები — რკინის ლუგვის მიღების პროცესი და საწარმოო ორგანიზაციის სტრუქტურული სახე [იხ. გძელიშვილი 1964: 23]. ძველი ლიტერატურული ტრადიცია ქართველურ მოსახლეობას განსაკუთრებულ როლს მიაწერენ რკინის მეტალურგიის განვითარების საქმეში [იხ. ჯაფარიძე 1991: 221-227; ჯაფარიძე 2003: 241]. ტრანსკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს ადგილობრივი რკინის მეტალურგიის არსებობის ფაქტს. ქართველური მოსახლეობით დასახლებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი და ტრანსკავკასია ძველი მსოფლიოს რკინის მეტალურგიის ერთ-ერთ ადრეულ კერადაა მიჩნეული, რომელიც ადგილობრივი ბრინჯაოს წარმოების ბაზაზე შეიქმნა [იხ. ხახუტაიშვილი 1964ა: 53. ხახუტაიშვილი 1979: 335. ხახუტაიშვილი 1987: 218].

უცხოელი მკვლევარების უმეტესი ნაწილი, რკინის ძველი საბადოებისა და გამონამუშევრების სიმრავლის გამო, რკინის მეტალურგიის თავდაპირველ კერად ტრანსკავკასიას თვლის. ფოლადაურის ხეობაში არსებული სპილენძისა და რკინის გამონამუშევრები, წარმოების ნაშთები წიდებისა და მადნის გროვების მიხედვით თვლიან, რომ აქ სახლობდა ძველი მეტალურგი მოსახლეობა (ხალიბები?), რომლებიც ძველ წერილობით წყაროებში ცნობილი იყვნენ როგორც რკინის დამუშავების გამომგონებლები [დანვრ. იხ. Dubois de Montpereux 1840: 137; Abich 1896: 316; Rickard 1932: 868-70]. "*კავკასია მძლავრ მეტალურგიულ სახელოსნოს წარმოადგენდა. აქედან ლითონთა დამუშავების*

ცოდნა მსოფლიოს ყველა კუთხეში ვრცელდებოდა — აზიასა და ევროპაში” [იხ. Грозный 1940: 17-18]. კავკასიაში რკინა ჩნდება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან და ემთხვევა ბრინჯაოს წარმოების განვითარების ფინალურ სტადიას [იხ. Котович 1977: 77]. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით თვლიან, რომ რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოები, მაგ. სუფსა-გუბაზეულის მეტალურგიული კერის თარიღი — ძვ.წ. XII-XI სს [იხ. ინანიშვილი და სხვ. 2010: 164-166]. ამავე პერიოდისაა მცხეთის სამთავროს ნეკროპოლის რკინის ნივთებიც. აქვე დადასტურდა რკინის ინტენსიური ათვისების პერიოდის, ძვ.წ. VIII-VII სს. არტეფაქტები. ძვ.წ. VI ს-დან რკინის იარაღი საბოლოოდ მკვიდრდება და დევნის ბრინჯაოს [იხ. აბრამიშვილი 1961: 307-334].

საქართველოს უძველესი რკინის საბადოები მდებარეობს მდ. ფოლდაურისა, მდ. ლოქისწყლის და მდ. მაშავერის აუზებში (ქვემო ქართლი). აქ გამოვლენილია რკინის მადნის გამოსავლების უბნები ძველი გამონამუშევრებითა და გამოდნობის კვალით. კერძოდ — *სარკინეთი, დარქილისა, დემურსუ, გიულარი, ბალიდარა, ტაშკესანი, სამწვერისი, ნინწყარო, უკანგორა, დარბაზი, ფახრალო* [იხ. თვალჭრელიძე 1958: 90; გძელიშვილი 1964: 16, 31-38].

რკინის ძველი გამონამუშევრები მიკვლეული: ბედენტან (მანგლისის მახლობლად); სოფ. ბოგვთან (თეთრინწყაროს მუნიციპ.) [იხ. გძელიშვილი 1964: 16]; სარკინეთთან (დმანისის მუნიციპ.); წულრულაშენთან (ბოლნისის მუნიციპ.); სოფ. ომალოსთან (ახმეტის მუნიციპ.); მდ. თედელეთთან (ჯავის მუნიციპ.); წედისთან (ონის მუნიციპ.), რომელიც მდებარეობს მდ. ჯეჯორას ხეობაში, მთა ქვანითელასთან; მდინარეების ლალიზგის, ბზიფის და კოდორის აუზში მდებარე საბადოები. აგრეთვე ფიქრობენ, რომ ძვ.წ. VIII-VII სს. ე.წ. *დიუნურ დასახლებებში*, ადგილობრივ მეტალურგიაში, შავი ზღვისპირა მაგნეტიტური რკინის შემცველი ქვიშები გამოიყენებოდა [იხ. ხახუტაიშვილი 1964: 52; რამიშვილი 1974: 36-44; ხახუტაიშვილი 1986: 64].

საქართველოს ძველი მეტალურგიული წარმოების ნედლეულის რესურსები, პალეომეტალურგიის ჩასახვა-განვითარების პროცესი, პალეოეკონომიკას უკავშირდება. მადნის მოპოვება-დამუშავებისა და მეტალურგიის ტექნიკა-ტექნოლოგიის ისტორიული მიღწევები, ხერხები და საშუალებანი, ამ დარგის განვითარების ცალკეულ საფეხურებს განსაზღვრავს. მადნის მოპოვება-გამდიდრება, დნობა, ლითონის მიღება და მზა პროდუქციის შექმნა ერთიან სისტემაში განიხილება. პალეოეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემური საკითხი — მეტალურგიული წარმოების ისტორია — საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევების ერთობლივი ძალისხმევით შეისწავლება. შესწავლილი და შედგენილია საქართველოსა და კავკასიის ლითონშემცველ საბადოთა გეოქიმიური რუკა, ცნობილია მადანგამოსავლების მინერალიზაციისა და მადანში სასარგებლო ლითონის შემცველობა, დადგენილია მათი, ძველ წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობები. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სპილენძის, რკინის, ანტიმონის, დარიშხნის და ძვირფასი ლითონების საბადოთა ტექნიკური მახასიათებლების საინფორმაციო ბიულეტენი პალეოეკონომიკის დახასიათების ერთ-ერთი პირველწყაროა.

ძველ მსოფლიოში, მეტალურგიის ჩასახვა-გავრცელების პოლიცენტრული სისტემის გათვალისწინებით, სამხრეთ კავკასია ექცევა იმ რეგიონთა შორის, სადაც არსებული ნედლეულის (მადანი), საწვავის (ხის ნახშირი), ცეცხლგამძლე თიხებისა და წყლის რესურსების სახით შექმნილი იყო მეტალურგიული წარმოების განვითარებისათვის საჭირო ძირითადი ბუნებრივი პირობები. რეგიონის გამადნებათა სისტემის გეოქიმიური მონაცემები ხელს უწყობდა მეტალურგიის შექმნის და განვითარების პროცესს. საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეთა შორის არსებულმა ტექნიკური აზრის განვითარების დონემ ლითონდამუშავების კულტურის სწრაფი ათვისება განაპირობა. ძვ.წ. III ათასწლეულიდან სამხრეთ კავკასია ძვირფასი და ფერადი ლითონის მწარმოებელი, ხოლო II ათასწლეულის მინურულიდან — რკინა-ფოლადისაგან დამზადებული


პროდუქციის მომხმარებელი რეგიონია [აბესაძე და სხვ. 1968; აბესაძე 1969; აბრამიშვილი 1961; ხახუტაიშვილი 1981: 4].

მეტალურგიის განვითარების პირობითი სქემა ამგვარი გახლავთ: საქართველოში არსებული სპილენძის, რკინის, ანთიმონის, დარიშხნის, ოქროსა და ვერცხლის საბადოები, ლითონნარმოების სხვადასხვა საფეხურზე გამოიყენებოდა. აღნიშნულ მეტალთა ადგილობრივი მადანგამოსავლები უძველესი დროიდან მოპოვება-დამუშავების ობიექტებს წარმოადგენდა, რამდენიმე ათეულ, სხვადასხვა სიმძლავრის საბადოს მოიცავდა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა [თვალჭრელიძე 1958].

რკინის მეტალურგიის შესახებ

მინერალი	ქიმიური ფორმულა	რკინის %	ხვედრითი წონა	ფერი
მაგნეტიტი	$FeO \cdot Fe_2O_3$	72,4	5,17	შავი
მაგნომაგნეტიტი	$(Mg, Fe)O \cdot Fe_2O_3$	56-60	4,5-4,65	შავი
ჰემატიტი	Fe_2O_3	70,0	4,2-5,3	რუხი
ჰიდროჰემატიტი	$Fe_2O_3 \cdot n H_2O$ $n < 1$	62-69	3,1-5,4	რუხი, წითელი
გოტიტი	$Fe_2O_3 \cdot H_2O$	62,9	4,3	მურა, რუხი
ლიმონიტი	$Fe_2O_3 \cdot n H_2O$ $1 < n < 1,5$	59-63	3,6-4,0	მურა
სიდერიტი	$FeCO_3$	48	3,3	მურა, რუხი

საქართველოს ტერიტორიაზე ძველი რკინის მადნის საბადოების მეტალურგიული შემადგენლობა



საბადოთა შემადგენელი მინერალები, ძირითადად, მეტალთა მაღალი პროცენტული შემცველობით და აღდგენითი პროცესისათვის საჭირო ოპტიმალური მაჩვენებლებით ხასიათდება. საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიულად ათვისებული მეტალურგიული რაიონები რამდენიმე ძირითად სტრუქტურულ ერთეულად (პროვინციად) ერთიანდება: ცენტრალური კავკასიონის ქედი, მისი სამხრეთი ნაწილი, აჭარა-თრიალეთის გამადნებათა სისტემა, ქვემო ქართლის გამადნებათა პროვინცია. თითოეული მათგანი მოიცავს საერთო გეოქიმიურ თავისებურებათა მქონე მადანგამოსავლების ჯგუფებს, შესაბამისი მეტალური ელემენტების გავრცელებით [იხ. თვალჭრელიძე 1958: 35]. სამხრეთ კავკასიის რკინის მადნის საბადოები გეოგრაფიული მდებარეობით რამდენიმე ზონად იყოფა; ესენია — აფხაზეთის, შიდა ქართლის, კახეთის, აჭარა-თრიალეთის და ქვემო ქართლის გამადნებათა ზონები, რომლებიც მალარო-გამონამუშევრებსა და მეტალურგიული წარმოების

ძველებთან კავშირშია. მადანშემცველი კომპლექსების ერთი ნაწილი მაღალი სიმძლავრისაა, გამოდის ზედაპირზე და ადვილად დასამუშავებელია.

აფხაზეთის რკინის გამადნების ადგილებია მდ. ბზიფის და მდ. კოდორის აუზში დაფიქსირებული მადანგამოსავლები. საინტერესოა მდ. ძიშრას ხეობაში არსებული მურა რკინაქვის გამოსავლები, რკინის მაღალი პროცენტული შემცველობით. რკინის გამადნების ზონა დიდი რაოდენობით მადანგამოსავლებით გამოირჩევა. აქ აღსანიშნავია ქედას, ვაკიჯვარის, ძამის, მარადიდის მადანგამოსავლები, რომლებიც მაგნეტიტით და ნითელი რკინაქვითაა წარმოდგენილი. საყურადღებოა შავიზღვისპირა ქვიშები, რომლებიც ბათუმსა და გაგრას შორისაა განლაგებული. ეს ქვიშები წარმოდგენილია პიროქსენით და მაგნეტიტით. მაგნეტიტურ ქვიშებში გამდიდრების შემდეგ რკინის შემცველობა 55% აღწევს. მაგნეტიტური ქვიშების გავრცელების ზოლში აღნიშნული ნედლეულის ბაზაზე მომუშავე მეტალურგიული წარმოების კერებია აღმოჩენილი. კახეთის გამადნების ზოლში დაფიქსირებულია, მდ. ალაზნის ზემო წელზე, პანკისის ხეობაში განლაგებული რკინის მადანგამოსავლები [იხ. თვალჭრელიძე 1958: 82-86].

აღსანიშნავია ფოლადურის ხეობის რკინის საბადო, სადაც რამდენიმე ათეული მაღაროგამონამუშევარი და ძველი მეტალურგიული წარმოების კერა დაფიქსირდა. ის წარმოდგენილია რკინის კრიალათი, ჰემატიტით, მურა რკინაქვით. მადანგამოსავლებიდან საინტერესოა: *სარკინეთი, დემურსუ, გულიარი, მადნისწყარო, მადნისსერი, დაშქესანი* და სხვა. [თვალჭრელიძე 1958: 87-91]. შიდა ქართლის რკინის გამადნების ზოლში შედის მდ. ჯეჯორას ხეობაში არსებული წედისის მადანგამოსავალი, რომელიც წარმოდგენილია ნითელი რკინაქვით. ამავე გამადნების ზოლში განიხილება ერთტიპური ნითელი რკინაქვის რამდენიმე მადანგამოსავალი, რომლებიც მდ. თედელეთის ხეობაში მდებარეობს [იხ. რეხვიაშვილი 1964: 42].

რკინის მეტალურგიის ე.წ. ცივბერვითი პროცესი. უძველესი რკინის კულტურის ათვისების პრობლემა სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიასთან კავშირში განიხილება, მის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. რკინის მეტალურგიის ათვისების ტექნოლოგიურ საკითხებს შორის ყურადღებას იმსახურებს ბრინჯაოს მიღება-დამუშავების მაღალგანვითარებული საფეხურის ტექნიკური მიღწევების გავლენა რკინის მეტალურგიის საწყის ეტაპზე. ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებულმა ფაზამ, წარმოების რთული ფიზიკურქიმიური და ტექნოლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით, დიდი გავლენა იქონია ბრინჯაოს წარმოებიდან რკინის მეტალურგიაზე გადასვლის პროცესზე. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ფუნქციონირებად მეტალურგიულ ლუმელებში მიღწეული ტექნოლოგიური მახასიათებლები (მადნის მოპოვება-გამდიდრება, საწვავის და ცეცხლგამძლე მასალების შერჩევა, ქურის კონსტრუქციის განვითარება, მეტალურგიული პროცესის მსვლელობის ემპირიული ცოდნა-გამოცდილება) საკმარისი აღმოჩნდა რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარებისათვის. რკინის მეტალურგიული წარმოების ადრეული ეტაპი სათავეს იღებს ფერადი ლითონდამუშავების, ბრინჯაოს მეტალურგიის წიაღში [იხ. Хахутаишвили 1987: 189].

პირველი მეტალურგიული პროცესის შედეგად მიღებული რკინა წარმოქმნილია სპილენძის სულფიდური მადნის პირველადი დნობის პროდუქტში, შავი სპილენძის შედგენილობაში არსებული რკინის შემცველი საწარმოო ნარჩენებიდან. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ, საწარმოო ნარჩენების სახით, შექმნილიყო გარდამავალი ტექნოლოგიური რგოლი ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიულ წარმოებას შორის. ამ გზით მიღებული ახალი ლითონის მასა, შემდგომი ცხელი ჭედვით დამუშავების შემდეგ, რკინის ფიზიკური თვისებების შეცნობისათვის საჭირო პრაქტიკულ საფუძველს ქმნიდა. ტექნოლოგიურად მცდარი არ უნდა იყოს მოსაზრება, სპილენძისა და რკინის მადნის ერთდროული გამოყენების შესახებ, მდნობი ფლუსის დამატების შემთხვევაში, როდესაც აღდგენითი დნობით შენადული რკინის მასის წარმოქმნა შესაძლებელი. ყველა ზემოჩამოთვლილი ტექნოლოგიური დეტალი, დაკავშირებული რკინის მეტალურგიის ათვისებასთან, ბრინჯაო-რკინის წარმოების ურთიერთდამაკავშირებელ არგუმენტებად

უნდა ჩაითვალოს. რკინის კულტურის ათვისების ადრეული ეტაპი, მაღალგანვითარებული ბრინჯაოს წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ მიღწევათა უშუალო გაგრძელებაა.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი და კომპლექსურად შესწავლილი რკინის მეტალურგიული წარმოების კერები მრავალრიცხოვან მასალას შეიცავს რკინის მიღების ე.წ. ცივბერვითი პროცესის გამოკვლევისათვის. რკინის მეტალურგიული წარმოების შესწავლის დონე რამდენადმე განსხვავებულია, სხვადასხვა გამადნების სისტემის ცალკეულ მადაგამოსავლებს უკავშირდება და, შესაბამისად, კონკრეტული ტიპის ნედლეულით ფუნქციონირებს. ისტორიულ-მეტალურგიული თვალსაზრისით, კომპლექსურადაა შესწავლილი ქვემო ქართლის რკინის მეტალურგიული კერა [იხ. გძელიშვილი 1964] და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რკინის მეტალურგიის ცენტრი [იხ. Хахуцаიшвили 1987]. რკინის წარმოების დახასიათებისათვის საინტერესო ინფორმაციაა დაცული სვანეთის და რაჭის [იხ. რეხვიაშვილი 1964] მეტალურგიული კერების შესწავლის შედეგებში. თითოეული ძველი რკინის წარმოების განვითარების გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთს მოიცავს და სამთო მეტალურგიული რეგიონებისათვის დამახასიათებელი ლოკალური ტექნოლოგიური მაჩვენებლებით გამოირჩევა (მხედველობაში მიიღება მაგნეტიტური და ჰემატიტური რკინის მადნის განლაგების სისტემა, მთიანი და მთისწინა ზონის კარიერებით, ზღვისპირა ქვიშნარი მაგნეტიტის დანალექით, შესაბამისად გამოყენებული მადნის გამდიდრების, გამონვის და შეცხოების ოპერაციების ორგანიზაციულ-ტექნიკური შესაძლებლობებით). მეტალურგიულ კერაში შემავალი ცალკეული მეტალურგიული ობიექტი ჩვენამდე მოღწეულია სანარმოო ციკლის ძირითადი ატრიბუტებით: ქურით, საქმენებით, ქურის შეღესილობის ფრაგმენტებით, მადნის და წიღის რაოდენობის მასით და წარმოების სხვა ნარჩენებით. მადნიდან პირდაპირი აღდგენით რკინის მიღების პროცესი, თანამედროვე მეტალურგიულ წარმოებისაგან განსხვავებით, ე.წ. ცივბერვითი პროცესია და ძველ მსოფლიოში რკინის მეტალურგიის ტექნოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილი რკინის წარმოების ქურები განვითარებული კონსტრუქციით გამოირჩევა და მათი გამოყენება შესაძლებელია რკინის აღდგენის კლასიკური პროცესისათვის, რომელიც, ზოგიერთი ლოკალური ტექნოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, ყველა ძველი მეტალურგიული ობიექტის ანალოგიურია. საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი რკინის წარმოების ქურები, კონსტრუქციული მონაცემებით, ე.წ. შახტური ლუმელებია, რომლებიც მუდმივმოქმედ სტაციონარულ მეტალურგიულ ობიექტს ქმნის. მათი კონსტრუქციული ტიპი ბრინჯაოს მეტალურგიის ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზეა შექმნილი, სადაც ოქსიდური მადნებიდან რკინის აღდგენის ოპტიმალური ტემპერატურული სქემაა გამოყენებული. აღმოსავლეთ ევროპის რკინის მეტალურგიული წარმოების ექსტენსიური ტიპის ლუმლისაგან განსხვავებით, სამხრეთ კავკასიური ინტენსიური მუდმივმოქმედი მეტალურგიული ქურა შედარებით წარმოების მარტივ სტრუქტურულ ელემენტებს შეიცავს და სამშენებლო მასალის და სახელოსნო ფართობის ეკონომიკურობით ხასიათდება. ე.წ. შახტურ ლუმელში ხის ნახშირის წვით განვითარებული მაღალი ტემპერატურა მოქმედებს ქურის მთელ სამუშაო არეში ჩატვირთული კაზმის მასაზე (ნახშირი და მადანი). ვინაიდან ლუმელის კონსტრუქციული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მისი მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატებოდა 1,5 მ-ს, რკინის მადანი ქურის უკიდურესი ზედა ნაწილიდან ექცეოდა ტემპერატურულ არეში, სადაც ლუმელის მუშაობის რეჟიმით იქმნებოდა პირობები აღმდგენი აირის და კაზმის ნაკადის შეხვედრისათვის. აღმდგენი აირი ლუმელში არსებული წნევით მიემართებოდა ზემოთ და კაზმის გავლით აღმდგენ ატმოსფეროს ქმნიდა [თავაძე და სხვ. 1961]. რკინის აღდგენის პროცესი ლუმლის ჩატვირთვის სფეროდან (საკერძესთან) მიმდინარეობს, სადაც ტემპერატურა 1000°C აღემატება და ცნობილი ქიმიური რეაქციებით რკინის ოქსიდების გარდაქმნა ხდება. რკინის ლუგვის მაქსიმალური გამოსავალი საკაზმე მასალის ხარისხისა და რაოდენობრივი მაჩვენებლების შერჩევით მიიღწევა. როგორც წარმოების წიღების

ანალიზიდან ირკვევა, მათი დნობის ტემპერატურა განსხვავებულია და, ქიმიური შედგენილობის მიხედვით, 1150-1280°C ტემპერატურულ დიაპაზონში იცვლება.

ცივბერვით პროცესში რკინის ოქსიდების ჭარბი რაოდენობით მონაწილეობისას (მათი მაღალი დისლოკაციის სიმკვრივის გამო) თვით რკინის ოქსიდი გამოდის წიდაში შემავალი ელემენტების დამჟანგველის ფუნქციით და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი აღდგება ლითონურ რკინად. რკინის ოქსიდის ერთი ნაწილი უკავშირდება კაჟმინას და წარმოქმნის რკინით მდიდარ წიდას — ფაიალიტს, რომელსაც შემდეგ უერთდება ფუჭი ქანის სხვა ოქსიდებიც. ძველი ცივბერვითი პროცესის რკინის მიღების ერთ-ერთი პრინციპული მომენტი კარგად გამდიდრებული მადნებიდან ანიდვის პროცესის რეგულირება. სილიციუმით მდიდარი წიდა დაბალდნობადია, თხევადდენადი და ადვილად სცილდება წარმოების პროდუქტს. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება წიდას ტემპერატურის მინიმალური და მაქსიმალური ზღვრის ცვალებადობის დინამიკას. წარმოების წიდას მიკროსტრუქტურულ-პეტროგრაფიული და ქიმიური ანალიზის შედეგების გათვალისწინებით დგინდება, რომ ამ რეგიონში ფუნქციონირებადი რკინის წარმოების ცენტრებში კარგად გამდიდრებული მადანი გამოიყენებოდა. წიდაები მინისებრი მასისაგან შედგება, ძირითადად ფაიალიტს შეიცავს, რომელსაც მადნეულ ელემენტთა ოქსიდები ემატება. წიდაების სტრუქტურა უმეტესად შემცველი მინერალების ოპტიმალურ-ტემპერატურული კრისტალიზაციის პირობებშია წარმოქმნილი. წიდაში ჭარბი ფაზა — რკინის ოქსიდი მარცვლების ან დენდრიტების სახითაა გამოყოფილი [იხ. თავაძე და სხვ. 1984].

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილმა რკინის წარმოების წიდაების ანალიზმა გამოამჟღავნა მეტალურგიული პროცესის ის ლოკალური ასპექტები, რომლებიც უშუალოდ მეტალურგიული ქურის ფუნქციონირების სხვადასხვა პერიოდს უკავშირდება. ადრეული კონსტრუქციის (ძვ.წ. XII-X სს) ლუმელისათვის დამახასიათებელია მადნისა და რკინის მასის შედარებით დიდი დანაკარგი. შავიზღვისპირა მაგნეტიტური ქვიშების გამოყენების შემთხვევაში, წარმოების წიდაები განსხვავდება ქიმიური შედგენილობით, სადაც გაზრდილი რაოდენობით გვხვდება ტიტანი და ვანადიუმი, რომელთა თანაობა მაგნეტიტური ქვიშების ფრაქციისათვისაა დამახასიათებელი. შავიზღვისპირა დიუნებზე განლაგებული სადგომების არქეოლოგიურმა შესწავლამ, ზღვისპირა მაგნეტიტური ქვიშების მოპოვება-გადამუშავებასთან დაკავშირებული ძეგლები გამოავლინა, რომლის მიხედვითაც ძვ.წ. VIII-VII სს-ში ისინი კოლხეთის წინარეანტიკური ხანის, რკინის მეტალურგიული წარმოების ტექნოლოგიით განსაზღვრული სარეწების ფუნქციას ასრულებდა [იხ. რამიშვილი 1964]. ე.წ. დიუნური დასახლებები განლაგებულია დანალექი მაგნეტიტური მადნის გავრცელების გასწვრივ, ზღვის სანაპირო ზოლში. შექმნილია გარდამავალი საწარმოო კავშირი, ზღვისპირა ნედლეულის მოპოვება-დამუშავების ობიექტებსა და ზღვიდან რამდენადმე დაშორებულ, რკინის მეტალურგიული წარმოების კერებს შორის. აღნიშნული მონაცემებით, ზღვისპირა დიუნური დასახლებები მაგნეტიტური ქვიშების ძირითად გადამამუშავებელ ობიექტებად წარმოგვიდგება, სადაც ქვიშნარი რკინის მადნის ფლოტაციით გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესი სრულდებოდა. აღნიშნული საწარმოო სქემა თავისთავად სახიერს ხდის ფსევდოარისტოტელეს ცნობებს, ხალიბური წესით რკინის მაგნეტიტური ქვიშების წყლით დამუშავების შესახებ. შავიზღვისპირა ქვიშების გამდიდრებული მასა, როგორც მზა რკინის მადანი, შესაძლებელია წვრილი ფრაქციის ფხვნილის ან შეცხობილი, ერთგვაროვანი კონცენტრატის სახით გამოეყენებინათ. პირველ შემთხვევაში, დნობის პროცესში საჭიროა საწვავის (ნახშირის) გაზრდილი რაოდენობა, მეორე შემთხვევაში კი საკმარისია კაზმის ჩვეულებრივი ტემპერატურული რეჟიმით მომუშავე პირდაპირი აღდგენის ლუმელი. როგორც ჰემატიტური და პოლიმეტალური რკინის მადნების გამოყენებისას, ისე მაგნეტიტური მადნის შემთხვევაში, ერთიანი მეტალურგიული ციკლის ორი სქემის განვითარების შესაძლებლობა იქმნება: ფუჭი ქანის ანიდვა — რკინის ლუგვის მიღებით და დანახშირბადიანების პროცესით. აღდგენის შემდეგ, რკინის ლუგვის გარკვეული ნაწილი

დანახშირბადიანებას განიცდის. ღრუბლისებრ, ცომისებრ მდგომარეობაში მიღებული შენადული რკინა ყოველთვის ამა თუ იმ რაოდენობით შეიცავს ნახშირბადს. საწარმოო გამოსავალი ერთგვაროვანი, ოპტიმალური ზომის მარცვლოვანი კაზმის შემთხვევაში და აღდგენილი რკინის მასისა და ნახშირბადის ხანგრძლივი ურთიერთქმედებისას მაქსიმალურია. შენადული რკინის ნაწილების შეკვრა საქმენების ზონაში ხდება, სადაც მაქსიმალურად მაღალტემპერატურულ არეში სხვადასხვა ხარისხით დანახშირბადიანებული რკინა-ფოლადის ნაწილების შედუღების პროცესი მიმდინარეობს. მეტალურგიული ციკლის დასრულების შემდეგ რკინის ლუგვის მდებარეობა და მოცულობა ლუმლის კონსტრუქციაზე, კაზმის ულუფის რაოდენობასა და ქურაში არსებული პირომეტალურგიული პროცესის მიმდინარეობის დინამიკაზეა დამოკიდებული [იხ. ინანიშვილი და სხვ. 1987].

ძველი ცივბერვითი პროცესის მსვლელობა შეიძლება შემდეგი სქემით წარმოვადგინოთ: $Fe_2O_3 \rightarrow Fe_3O_4 \rightarrow FeO \rightarrow Fe$ (შენადული რკინა). ძველი პროცესის მოდელირების ფონზე დგინდება ისტორიულ წარსულში შექმნილი ტექნოლოგიური სქემა, იხსნება იმ ტექნიკურ შესაძლებლობათა პარამეტრები, რომლებიც ემპირიული სახით იყო განვითარებული ძველ საწარმოო ციკლში. მათემატიკური სტატისტიკით დამუშავებული, ექსპერიმენტით მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლები, უტყუარ ინფორმაციას გვაწვდის რკინის მეტალურგიული წარმოების ძველი წესის აღდგენისათვის. არქეოლოგიურად მოპოვებული რკინის წარმოების წილების, ქურის შელესვათა და სხვა ნაშთების ქიმიურ-ტექნოლოგიური და პეტროგრაფიულ-სტრუქტურული მონაცემები თანამედროვე ექსპერიმენტით მიღებულ შედეგებთან სრულ შესაბამისობაშია. ცივბერვითი პროცესის ძირითადი წარმოების პროდუქტი, შენადული რკინის გუნდა (რკინის ლუგვი), მრგვალი ან ოვალურია; ქურიდან ამოღებისა და ცხელი პლასტიკური დეფორმაციით დამუშავების შემდეგ, წილის მასისაგან ნაწილობრივ თავისუფლდება. მოდელირების ექსპერიმენტული მონაცემებით, ერთიანი, მონოლითური ლითონის გუნდის მიღება რთული პროცესია. უპირატესად იქმნება წილით დაფარული შენადული რკინის მასის ფრაგმენტების შეერთების პირობები. რკინის ლუგვის ერთიანი მასის მიღების სიძნელისა და წარმოების რთული ტექნოლოგიური პროცესის შესრულებასთან დაკავშირებული ცნობები დაცულია ეთნოგრაფიულ მონაცემებშიც, სადაც ცივბერვით ქურაში აღდგენითი პროცესის ფინალური სტადიის, ლითონური რკინის მიღების და შემდგომი დამუშავების ყველა თანამიმდევრული ოპერაცია აღწერილი [იხ. რეხვიაშვილი 1953].

მაღალტემპერატურული რეჟიმით და ჭედვა-თერმული დამუშავებით მიღებული ნამზადი ქიმიურად ერთგვაროვანი, განონასწორებული სტრუქტურული აღნაგობით ხასიათდება. შესაბამისად, უშუალოდ ქურაში მიღებული ფოლადი ცხელი, მრავალჯერადი პლასტიკური დეფორმაციის შემდეგ გადადის ერთგვაროვან სტრუქტურულ მდგომარეობაში. რკინის წარმოების ადრეულ ეტაპზე, არაერთგვაროვანი სტრუქტურის გათანაბრებისა და დიფუზური პროცესების მსვლელობისათვის საჭირო ტემპერატურულ-დეფორმაციული ტექნოლოგიური რეჟიმის შექმნის ემპირიული გამოცდილება არასაკმარისი იყო. რკინის მაღალი შემცველობის მადნების გამდიდრებისა და წინასწარი მონვის შემდეგ, კაზმის მიზანშეწონილი პროპორციის შერჩევით, უმჯობესდება მეტალიზაციის პროცესი. კარგად შერჩეული ტემპერატურული რეჟიმი, როგორც ჰემატიტური, ისე მაგნეტიტური მადნის გამოყენების შემთხვევაში, შახტური ლუმლის მაქსიმალურ წარმადობას უზრუნველყოფს. წინასწარ გამდიდრებული, გამომწვარი და ოპტიმალური მარცვლოვნების მქონე ჰემატიტური მადანი, ქურაში შექმნილი სწორი ტემპერატურული ინტერვალის შემთხვევაში, სტაბილური მეტალიზაციის პროცესის პირობებს ქმნის. თხევადი ფაზის (წილის) წარმოქმნა „ცივბერვითი“ აღდგენის პირობებში 1150-1250°C ტემპერატურაზე მიმდინარეობს, როდესაც პარალელურად მთავრდება მეტალიზაციის პროცესიც. ტემპერატურის შემდგომი მომატება ლუმელში უპირატესად შენადული რკინის ერთ მთლიან მასად შეკვრას და ფორმირებას იწვევს.

რკინა-ფოლადის ნაწარმი. სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. XII-XI სს. რკინის ნაწარმი რკინის ინვენტარის ტექნოლოგიური ანალიზის შედეგებიდან გამოიყოფა *ბეშთაშენის* და მცხეთის *სამთავროს სამაროვნის* რკინის მასალა, რომელიც რკინის ათვისების ადრეულ საფეხურს განეკუთვნება. ძვ.წ. XII-XI საუკუნეების რკინის ნივთების დამზადების ტექნოლოგიური სქემა ერთტიპურია. გამოყენებულია მცირენახშირბადიანი ფოლადი და შენადული რკინა. შესაბამისად, დაბალია მათი მექანიკური მაჩვენებლები. სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე, რკინის წარმოების განვითარების მეორე საფეხურის (ძვ.წ. X-VIII სს.) ამსახველი შავი ლითონის მასალის შემცველი ძეგლებიდან, ქიმიურ-ტექნოლოგიურად შესწავლილია მაგ.: *სამთავროს, თრიალეთის, ჩითახევის, ნოფის* და *თლიას* სამაროვნებიდან მომდინარე რკინის ნივთები. მათი რკინის ინვენტარი შედგება შემდეგი კატეგორიის მასალისაგან: ცული, შუბისპირი, სატევარი, მახვილი, დანა [თავაძე და სხვ. 1959: 6-15; თავაძე და სხვ. 1977: 10-16]. სამთავროს სამაროვანზე ძვ.წ. X-VIII სს. რკინის შემცველი ორმოსამარხებიდან განხილულია მეორე (ძვ.წ. XI-X სს.), მესამე (ძვ.წ. IX-VIII სს.) და მეოთხე (ძვ.წ. VIII-VII სს.) ქრონოლოგიური ფენის შესაბამისი რკინის ინვენტარი. თრიალეთისა და ნოფის სამაროვნიდან შესწავლილია ძვ.წ. X-VIII სს. ორმოსამარხების რკინის იარაღი, ჩითახევის სამაროვნიდან ამ პერიოდის შესაბამისი ორმოსამარხების რკინის ინვენტარი. თლიას სამაროვანზე აღმოჩენილი კომპლექსებიდან შეირჩა ქრონოლოგიურად პირველი (ძვ.წ. X-IX სს.) და მეორე ეტაპების (ძვ.წ. VIII-VII სს.) სამაროვნიდან მომდინარე რკინის ნივთები. როგორც გამოკვლეული რკინის მასალის ტექნოლოგიური მონაცემებიდან გაირკვა, ძვ.წ. X-VIII სს. გაზრდილია შავი ლითონის სამომხმარებლო ასორტიმენტი, რამდენადმე რთულია რკინის ნივთების დამზადების ტექნოლოგიური სქემა, რაც სამჭედლო საქმის დაწინაურებას გულისხმობს. ნიშანდობლივია ჯერ მარტივი, შემდეგ კი რთული სამარჯვებისა და ტვიფრების გამოყენების ტენდენცია. შესამჩნევია რელიეფური სიმაგრის ნიბოების, მკვეთრად გამოსახული ქედის და ნივთის საერთო სიმეტრიული ფორმების მიღება-გამოყვანის დიდი ოსტატობით შესრულების ხელოვნების ფორმირების პროცესი. შესწავლილი ნივთების უმეტესი ნაწილი დამზადებულია გაუმჯობესებული ტექნოლოგიური სქემით; გამოყენებულია საშუალო სისალის ფოლადი. ნივთების ერთი ნაწილი (მახვილი, სატევარი, ცული) პლასტიკური დეფორმაციის შემდეგ დაექვემდებარა ქიმიურ-თერმული დამუშავების პროცესს. მჭრელი პირის განივკვეთში, რბილი ფოლადისათვის დამახასიათებელი, შედარებით პლასტიკური მონაცემების მქონე ცენტრალური ნაწილი დაფარულია მაღალი სისალის ფოლადის ე.წ. ფხა-მახვილობის და ცვეთამდეგი თვისების მქონე ზედაპირით. ნივთები ხასიათდება კარგი მექანიკური მაჩვენებლებით. ძვ.წ. X-VIII სს-ში შავი ლითონწარმოება არ არის მოკლებული ტექნოლოგიური სქემის მარტივი, არარეგულირებული ფორმების გამოყენებას. ნივთები დამზადებულია ქურაში არათანაბრად დანახშირბადიანებული, არასაკმარისად დამუშავებული ფოლადის მასალისაგან, თერმული და ქიმიურ-თერმული პროცესების გამოყენების გარეშე.

ძვ.წ. VII-VI სს-ში სამხრეთ კავკასიის ბარსა და მთიანეთში რკინის წარმოების მასშტაბები მაღალ დონეს აღწევს. თანდათან ხმარებიდან გამოდის ბრინჯაოს საომარი და შრომის იარაღები. საქართველოს ტერიტორიაზე, წინარეანტიკური ხანის რკინის წარმოების განვითარების ამსახველი არტეფაქტები *სამთავროს, ოჟორას, ჩითახევის, ღრმახევისთავის, თლიას, ნოფის, მელაანის, პატარძეულის, გიორგინმინდის, დუისის* სამაროვნებზეა აღმოჩენილი. რკინის ინვენტარი შემდეგი ნივთებითაა წარმოდგენილი: სატევარი, მახვილი, შუბისპირი, ცული, დანა და ა.შ. გამოკვეთილია შავი ლითონის დამუშავების ტექნოლოგიური სიახლეების ციკლი, რომელიც ხარისხოვანი ფოლადისაგან დამზადებული მასალის მიღების რთულ სქემას ითვალისწინებს: შერჩეულია რთული ცხელი ჭედვის ხერხები, სამარჯვებისა და ტვიფრების გამოყენებით. მაღალია ლითონდამუშავების სახელოსნოთა სპეციალიზაციის დონე, ინერგება სერიული წარმოების ფორმები. სხვადასხვა დანიშნულების ნივთების დამზადების ტექნოლოგიური სქემა მოიცავს ქიმიურ-თერმული და თერმული დამუშავების რეჟიმს. საბრძოლო დანიშნულების იარაღი მზადდება

საშუალო სისალის ფოლადისაგან, შემდგომი ცემენტაციით. მახვილი და შუბისპირი დამზადებულია თერმული დამუშავების პრინციპით.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში აღმოჩენილი ძვ.წ. VII-VI სს-ის შავი ლითონწარმოების შესაბამისი რკინის ინვენტარი მაგ.: *ბრილის, ლარილარის, ორბელის, ქორეთის, ეშერის, სოხუმის მთის, გუადიხუს, ურეკის, ნიგვზიანისა და სიმავრის* არქეოლოგიური კოპლექსებიდან არის წარმოდგენილი. ძვ.წ. VII ს-დან კოლხეთში დგება რკინის ფართო ათვისების პერიოდი [იხ. ჯაფარიძე 1991: 221]. საბრძოლო იარაღთან ერთად, სამეურნეო იარაღის მრავალფეროვნება, ერთი მხრივ, მინათმოქმედების განვითარებაზე, მის მრავალდარგობრიობაზე მიუთითებს; მეორე მხრივ, ადგილობრივი რკინის მწარმოებელ სახელოსნოთა სპეციალიზაციის დონისა და ჩამოყალიბებული სერიული წარმოების ორგანიზაციის მაჩვენებელია; ამასთან, რკინის იარაღში ბრინჯაოს იარაღის სრული კომპლექტი მეორდება.

ძვ.წ. VI ს-ში სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის მთავრდება ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდი, რკინა-ფოლადის ფართო გავრცელების და ათვისების საფეხურები, რომელიც მნიშვნელოვანი ტექნიკურ-ტექნოლოგიური ძვრებით, საწარმოთა სერიული ფუნქციონირებით და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის წინასწარი რეგულირების პრინციპით ხასიათდება. მიმდინარეობს ლითონწარმოების თვისობრივი გარდაქმნის პროცესი. ძვ.წ. V ს-დან ქალაქური ტიპის დასახლებებში იქმნება ახალი ტიპის სპეციალიზებული სახელოსნოები, რომლებიც სავაჭრო ცენტრების ფუნქციასაც ასრულებს [იხ. აფაქიძე 1970: 731; აფაქიძე 1972: 87]. აღსანიშნავია მცხეთასთან ე.წ. *სარკინე* და *გრძელი მინდორი*, მასზე განლაგებული რკინა-ფოლადის დასამუშავებელი საწარმო-სახელოსნოებით, მრავალფეროვანი პროდუქციით, რკინის ნამზადების, ცულების, ქვის დასამუშავებელი და სხვადასხვა ფუნქციის იარაღებით. სამჭედლო სახელოსნოს სამუშაო ციკლში შედის რკინის ლუგვის, ნახევარფაბრიკატის და ნამზადის დამუშავება, მზა პროდუქციის გამოშვება. აქტიურდება მდ. მტკვრის ხეობის გასწვრივ სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების პროცესი, იქმნება ქალაქური ტიპის დასახლებები, სახელოსნო წარმოებით და ვაჭრობის ცენტრებით, რომლებიც მნიშვნელოვანია შავი ლითონწარმოების განვითარების საქმეში (მაგ. *ნასტაკისი, სარკინე, ძალისა* და სხვა). ანტიკური ხანის რკინის წარმოების ძეგლები, დაკავშირებული სამოსახლო ცენტრების სახელოსნო სისტემასთან, აღმოჩენილია მდ. რიონის შუა წელის მიმდებარე ტერიტორიაზეც. მათი ფუნქცია განსაზღვრულია ცენტრალური კოლხეთის რეგიონის იარაღ-საჭურვლით მომარაგების ორგანიზაციით. ქ. ქუთაისის შემოგარენში, ძვ.წ. V ს-ის კულტურულ ფენაში აღმოჩენილ სახელოსნო-საწარმოთა ფუნქციონირების ამსახველ ნაშთებში სამუშაო უბნების განლაგების მთლიანი კვარტალი ივარაუდება. სოფ. დაფნარში მიკვლეულია ძვ.წ. V ს. ლითონწარმოების ნაშთები, მათ შორის რკინის სამჭედლო სახელოსნოსთან დაკავშირებული სამჭედლო წიდა [იხ. ლორთქიფანიძე 2002]. სოფ. მთისძირში რკინის წარმოების სამჭედლო სახელოსნოს ფუნქციონირების ნაშთებია მიკვლეული, „*ადეიშვილების*“ გორის №11 თხრილში არსებული მასალების მიხედვით (რკინის წიდეები) [იხ. გამყრელიძე 1982: 46].

ძვ.წ. V-II სს-ში არქეოლოგიური წყაროების მიხედვით, შესამჩნევია კოლხეთის სახელოსნო წარმოების დიფერენციაცია, რომლის ბაზაზე მნიშვნელოვნად ვითარდება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, მაღალია წარმოების დონე. მდ. რიონის შუანელზე, რკინის მეტალურგიული წარმოებისა და ლითონდამუშავების კერების აღმოჩენის ფაქტი (*ქუთაისი, დაბლაგომი, დაფნარი, სოფ. მთისძირი*) სამჭედლო სახელოსნოების დამოუკიდებლად მუშაობის, მათი საერთო მეტალურგიული ციკლიდან გამოყოფის პროცესის მაჩვენებელია. ქალაქის ტიპის სპეციალიზებულ სამჭედლო სახელოსნოებთან ერთად, მათი ფუნქციონირება ხელს უწყობს შიდა ეკონომიკური კავშირების განვითარებას.

ძვ.წ. V-I სს რკინის სახელოსნოს საწარმოთა ტექნოლოგიური დახასიათებისათვის, შერჩეულია და მხედველობაში მიიღება რკინის ინვენტარი საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურად შესწავლილი კომპლექსებიდან მომდინარე რკინის მასალის ანალიზის

შედეგები. აქ აღმოჩენილი მრავალფეროვანი რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი კოლხეთის ლითონწარმოების განვითარების გარკვეულ დონეს განსაზღვრავს [იხ. თავაძე და სხვ. 1976: 215]. მნიშვნელოვანია საბრძოლო იარაღის (შუბისპირი, სატევარი), აღმოჩენის ფაქტები რაც კოლხეთში საომარი იარაღის ფართო წარმოებისა და განვითარებული სამხედრო საქმის ორგანიზაციის მაჩვენებელია [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2005: 58; გამყრელიძე 2010:180]. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი კავი და ლურსმანი, რაც სამშენებლო-არქიტექტურულ სამუშაოებში გამოიყენებოდა [ფირცხალავა და სხვ. 1986: 56]. ვანის ნაქალაქარზე ადგილობრივი სამჭედლო-სახელოსნოთა ფუნქციონირების დამადასტურებელი ნახევარფაბრიკატია ქვედა ტერასის საწარმოო კომპლექსში აღმოჩენილი. ციხიაგორას სატაძრო კომპლექსიდან საინტერესოა განსხვავებული ზომის და დანიშნულების ლურსმნები, რომლებიც ელინისტური ხანის იბერიის ნაქალაქარებისა და სატაძრო კომპლექსებისთვის დამახასიათებელი მონაპოვარია და მათი მოხმარების სფერო სამშენებლო კონსტრუქციებით არის განსაზღვრული. ამდენად, ძვ.წ. V-I სს-ის შავი ლითონის წარმოება, რკინის ფართო ათვისების ხანასთან შედარებით, გარკვეული თვისობრივი ცვლილებებით გამოირჩევა: გრძელდება გამოშვებული ასორტიმენტის სერიული ხასიათი; ერთდროულად მოქმედებს სახელოსნო უბნებისაგან შემდგარი სამჭედლო ცენტრები და მათგან დაშორებული რეგიონალური სახელოსნოები, რომლებიც შავი ლითონწარმოების ერთიან სისტემას ქმნის; ნაქალაქარზე ფუნქციონირებადი სამჭედლო სახელოსნოები გარკვეული სპეციალიზაციით ხასიათდება; გამოიყენება მაღალნახშირბადიანი და ცემენტირებული ფოლადი, რომელიც მისგან დამზადებულ იარაღს მექანიკური თვისებების მნიშვნელოვან კომპლექსს ანიჭებს და ნაკეთობის საბაზრო ღირებულებას შეესაბამება. შუბისპირების დამზადების ტექნოლოგიურ სქემაში შედის იარაღის მჭრელი პირის ორმხრივი, გამჭოლი ცემენტაციის პროცესი; ზოგიერთ შემთხვევაში გამოყენებულია ქიმიურ-თერმული და თერმული (წრთობა) დამუშავების ერთდროული, ერთი სქემისთვის მიღებული პროცესი, რაც მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური სიახლეა რკინა-ფოლადის დამუშავებაში.

ძვ.წ. V-II სს. ნამოსახლარებიდან მომდინარე რკინის ინვენტარი, შავი ლითონწარმოების მაღალ დონეს განსაზღვრავს, რომელიც სპეციალიზებული სამჭედლო-სახელოსნოთა ფუნქციონირების შესაბამისია. სპეციალური დანიშნულების საომარი და სამეურნეო იარაღის გარდა, ფართოდ ვრცელდება ყოველდღიური მოთხოვნილების ნივთები; საგრძნობლად იზრდება წარმოების მასშტაბები. კვალიფიციური ხელოსნის მიერ გამოშვებული პროდუქცია სასაქონლო სახეს ღებულობს. რკინა-ფოლადის მასალა, მრავალფეროვანი ლითონის საყრდენების, სამაგრების, კავების, ლურსმნების და სხვა ნაკეთობების სახით, გამოიყენება ქალაქთმშენებლობაში, არქიტექტურულ ანსამბლთა საძირკვლის, კედლების და გადახურვის სისტემების შესაქმნელად. წარმოების მოქმედების სერიული პრინციპი, ნაკეთობათა მაღალი ხარისხი, მზა პროდუქციის დანიშნულებისა და გამოყენების სფერო, შავი ლითონის ნაწარმის მრავალფუნქციური გავრცელების მაჩვენებელია. ამდენად, ძვ.წ. V-I სს. სამხრეთ კავკასიის შავი ლითონწარმოება შეიძლება შეფასდეს, როგორც რკინის კულტურის საყოველთაოდ გავრცელების პერიოდი.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად შესაძლებელია რკინის მეტალურგიის განვითარების უწყვეტი სურათის გარკვეული წარმოდგენა. მაგ. ქვემო ბოლნისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ რკინის მეტალურგიულ სახელოსნოებში [გძელიშვილი 1964], წინარეანტიკური ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეების მეტალურგიული წარმოების მასალაა გამოვლენილი. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კოლხეთის რკინის მეტალურგიული ცენტრის ამსახველი არქეოლოგიური მასალა, მოპოვებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. გამოვლენილია რამდენიმე ასეული სახელოსნოს შემცველი ოთხი მეტალურგიული კერა, რომელთა ფუნქციონირების პერიოდია ძვ.წ. II ათასწლეულის მინურულიდან ანტიკური ხანის ჩათვლით. აღნიშნული ძეგლებიდან აღმოჩენილი საწარმოო ნარჩენები (ქურები, წიდეები, საწარმოო აღჭურვილობის კომპლექტი) სრულად წარმოგვიდგენს ლუმელის

კონსტრუქციას და მასში მიმდინარე პირომეტალურგიული პროცესის ტექნოლოგიურ სქემას. სამხრეთ კავკასიის წინარეანტიკური ხანის მეტალურგიული ლუმელი იყო პრიზმის ფორმის მქონე ნაგებობა, ქვით ამოშენებულ და ცეცხლგამძლე თიხით ამოლესილ ქურასთან ერთად. ლუმელი მუშაობდა ჰაერის ნაკადის ხელოვნური მიწოდებით. მეტალურგიულ კაზმს ქმნიდა ჰემატიტური მადანი და მაგარი ჯიშის ხის ნახშირი. ლუმელი გათვლილი იყო მრავალჯერადი დნობისათვის და წარმოადგენდა განვითარებული კონსტრუქციის შახტურ დანადგარს [გძელიშვილი 1964: 32-33; 95].

საქართველოში აღმოჩენილ რკინის წარმოების ობიექტებზე ძირითადი დანადგარი მეტალურგიული ლუმელია, რომლის კონსტრუქციასა და მოქმედების პრინციპზე იყო დამოკიდებული მეტალურგიული სახელოსნოს განვითარების და საწარმოო მასშტაბების შესაძლო ზრდის პერსპექტივა. წარმოების პირობებიდან გამომდინარე, დანადგარი ფუნქციონირებისას განიცდიდა წინასწარ გამიზნულ ლოკალური ხასიათის კონსტრუქციულ ცვლილებებს. მათი რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრა შესაძლებელია უძველესი რკინის წარმოების მეტალურგიულ ციკლში შემავალი ქურების სამშენებლო ელემენტების განხილვის და მათში მიმდინარე საწარმოო პროცესის ანალიზის ფონზე. საქართველოს ტერიტორიაზე ზოგადად რკინის მეტალურგიულ სახელოსნოთა საწარმოო-ეკონომიკური განვითარების ოთხი პერიოდი შეიძლება გამოიყოს: 1. რკინის მეტალურგიის ათვისების ადრეული პერიოდი (ძვ.წ. XII-X სს). 2. მეტალურგიის საწარმოო ციკლის ტექნოლოგიური სრულყოფის პერიოდი (ძვ.წ. X-VIII სს). 3. მეტალურგიული წარმოების ფართო (ინტენსიური) ათვისების პერიოდი (ძვ.წ. VII-VI სს). 4. რკინის მეტალურგიული წარმოების კარდინალურ ტექნოლოგიურ გარდაქმნათა პერიოდი (ძვ.წ. V-I სს).



სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია

გ. გამყრელიძე

დღევანდელი საქართველოს მიწაწაღზე საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ისტორიულ-კულტურული განვითარების ხანგრძლივი და თავისებური პროცესი. ვფიქრობ, პროტოსახელმწიფოებრიობა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში საქართველოს ტერიტორიის დასავლეთ მხარეს ჩაისახა და შემდეგ აღმოსავლეთი მხარეც მოიცვა. ძვ.წ. III ს-დან კი საპირისპიროდ, კოლხეთის ნაწილი გაძლიერებული და კონსოლიდირებული იბერიის სამეფოს ფარგლებში მოექცა. პოლიტოგენეზი, პროტოსახელმწიფოების წარმოქმნა-განვითარების კვლევა ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი საკითხია. ძველი საქართველოს პოლიტოგენეზთან დაკავშირებული საკითხების განხილვას არაერთი მეცნიერი შეეხო [იხ. კაკაბაძე 1924: 25-31; ჯანაშია 1952:19-20; სურგულაძე 1951; მელიქიშვილი 1955; მუსხელიშვილი 1977: 32-62; ჯაფარიძე 2012: 248-284; ლორთქიფანიძე 2002: 124-183; ინაძე 2009გ: 31-50; ყორანაშვილი 2000; მამულია 1979; ქავთარაძე 2006; ფიცხელაური 2013: 305-318; გამყრელიძე 1993; ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან 2001 და იქ დასახელებული ლიტ.].

ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გაზარდა ძველი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის შესწავლის თვალსაწიერი. ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ ძველ საქართველოში სახელმწიფოს შექმნას საფუძველი შეუშადა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქის მეტალურგიის და მინათმოქმედება-მესაქონლეობის განვითარებამ, რამაც აქაური სოციალური გარკვეული დიფერენცირება გამოიწვია [იხ. Куфтин 1949; Куфтин 1950; ჯაფარიძე 2012: 248-284; მელიქიშვილი 1970; გობეჯიშვილი 1970:

243-311; გობეჯიშვილი ნ. 2014; ფიცხელაური 2013; მიქელაძე 1974; სადრაძე და სხვ. 2018 და იქ დასახ. ლიტ.].

ძვ.წ. VII ს-თვის კოლხეთში უკვე ჩამოყალიბებულია სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელსაც ე.წ. *ჩიფდომს* უწოდებენ [იხ. Service 1975: 81-90; Васильев 1981: 157-175]. არქეოლოგიაში ეს წარმონაქმნი „*კოლხური ბრინჯაოს კულტურის*“ (resp. არქაული კოლხეთი – ძვ.წ. XV- VI სს.) სახელით არის ცნობილი. ის წარმოჩინდება გრავირებული ცულებით, მრავალფეროვანი სახის და გაფორმების კერამიკით; სპეციფიური სამკაულით და სხვ. [შეად. იხ. ჯაფარიძე 1950ა: 35-89; ქორიძე 1965; ლორთქიფანიძე 2002: 138-153; რამიშვილი ალ. 1974; რამიშვილი 2003: 41-48; აფაქიძე ჯ. 2002; Панцхава, Сулава, Папуашвили 2003: 102-117; Техов 1985; Козенкова 1989 და მათში მითითებული ლიტ.]. ამგვარი არქეოლოგიური კულტურა ძვ.წ. XV-VII სს-ში ჩანს და ვრცელდება დასავლეთ და ცენტრალურ ტრანსკავკასიაში, შავი ზღვის სამხრეთით მდ. ყიზილ-ირმაქამდე (ჰალისი), მდ. მტკვრის ზემო და შუა აუზში, მდ. ჭოროხის აუზში. მისი ე.წ. *ყობანური* ნაირსახეობა ვრცელდება აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ „*კოლხური ბრინჯაოს კულტურის*“ მატარებელი საზოგადოება, რომელიც სახლობდა დღევანდელი საქართველოს დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში, მეორე ეტაპზე, პროტოსახელმწიფოებრივი განვითარების დონეზე უნდა ყოფილიყო (ამ ეტაპის ქრონოლოგიის შესახებ იხ. გამყრელიძე 1985ა: 123-129)].

ძველი სამყაროს ყველაზე მძლავრმა ლითონმა — რკინამ, კაცობრიობის ცივილიზაციის წინსვლა დააჩქარა. ძვ.წ. XII ს-დან საქართველოში თანდათანობით რკინის მეტალურგია იწყება. რკინის ჩასახვა-წარმოებას თან ახლდა იმ დროინდელი ადგილობრივი საზოგადოების სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური დანიშნულება. კავკასიაში რკინის ინტენსიური დამუშავება-წარმოების განვითარებისათვის კარგი პირობები არსებობდა. კერძოდ, აქ იყო რკინის მადნით მდიდარი რეგიონები; საწვავისათვის ხე-ტყე და რაც მთავარია ბრინჯაოს ლითონის წარმოების მრავალ საუკუნოვანი გამოცდილება [იხ. ინანიშვილი 2018; Деген-Ковалевский 1935: 242; Хахуთაიшвили 1987]. შემდგომ, რკინა-ფოლადის მაღალხარისხიანმა იარაღის წარმოებამ გამოდევნა შედარებით რბილი ლითონი — სპილენძ-ბრინჯაო. პირველ ეტაპზე რკინის სამეურნეო და საომარი იარაღები იმეორებენ ბრინჯაოს ნივთების ფორმა-სახეობებს და იგივე, ბრინჯაოს ქურებში მზადდებოდნენ.

საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი და ნაწილობრივ გათხრილ-გამოკვლეულია ადრერკინის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები — სამოსახლოები, სამაროვნები, მეტალურგიული და კერამიკული წარმოების ნაშთები. ძველი ბერძნული წერილობითი წყაროები ქართველურ მოსახლეობას — ხალიბებს, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ცხოვრობდნენ, რკინა-ფოლადის გამომგონებლად აღიარებდნენ [იხ. კვიციანი გ.გ. 1976]. საქართველოში არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი რკინის იარაღის შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ ადგილობრივმა ხელოსნებმა მადნის ქურაში დნობა, ყაღბში ჩამოსხმა, ცხლად ჭედვა, წრთობა და სხვა რთული ტექნოლოგიური მეთოდები იცოდნენ. ძვ.წ. VIII ს-დან რკინის წარმოება საქართველოში უფრო ინტენსიური ხდება. რკინის სადნობი ქურებია მიკვლეული მთიან რეგიონებში და ზღვისპირეთში. კოლხეთში რკინის სასოფლო-სამეურნეო და საომარი იარაღების საოცარი სიმრავლეა დადასტურებული. კერძოდ, აღმოჩენილია რკინის მახვილები, ცულები, ისრისა და შუბის პირები, სახნისები, თოხები, ნამგლები, დანები და სხვ. [იხ. Микеладзе 1990].

ძვ.წ. VII ს-დან კავკასიაში რკინა-ფოლადის საყოველთაო გავრცელების პერიოდი იწყება, რაც საზოგადოების განვითარების ტექნიკური პროგრესის მყარ ბაზას ქმნიდა. ეს კი წინაპირობა იყო სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სამეურნეო-სოციალური და სამხედრო-პოლიტიკური პროგრესის. ამ დროისათვის სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე ურარტული წერილობითი წყაროები ახსენებენ კოლხეთს. კერძოდ, ურარტუს მეფე სარდურ II-ის ძვ.წ. 750 წ-ის წარწერაში: „გავემართე მე კოულხას ქვეყნის

წინააღმდეგ, ქალაქი ილდამუსი, სამეფო ქალაქი... გამაგრებული, ... რკინის ბეჭედი მოვამზადე, ... ციხესიმაგრეები, ქალაქები დავწვი,...“ [იხ. Меликишвили 1960: 304]. ეს წარწერა იმის მოწმობაა, რომ კოლხეთი გარკვეული ადმინისტრაციული სისტემის მქონე პროტოსახელმწიფოს წარმოადგენდა [იხ. მელიქიშვილი 1965: 68-92]. იმდროინდელი კოლხეთი დღევანდელი საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარის დიდ ნაწილსაც მოიცავდა.

არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის კოლხეთი საკმაოდ კარგად იყო განსახლებული სამოსახლო ბორცვებით. საცხოვრებლად და სამეურნეო საქმიანობისათვის ათვისებული იყო დაბლობი და მთისწინა ბორცვ-გორაკები. სადღეისოდ, 300-მდე ნამოსახლარია აღნუსხული. სამოსახლო ბორცვების განსაკუთრებული სიმრავლე მდ. რიონის ქვემო წელზე შეინიშნება. აქ სამოსახლოები ძირითადად ხელოვნურად მოზვინულ ბორცვებზეა განლაგებული. ბორცვების არქეოლოგიური გათხრების შედეგად ხელოვნურად მოზვინურ გორაკზე აგებული ხის ძელებიანი ნაგებობები დასტურდება, რომლებიც შემოზღუდული იყო ძელებითვე ნაშენი დამცავი კედლებით. ნამოსახლარების გარშემო გათხრილი იყო სადრენაჟე და თავდაცვითი არხები. სამოსახლო ბორცვები უმეტესად ჯგუფურად არის განლაგებული. ამ ჯგუფებში გამოირჩევა შედარებით დიდი ზომის სამოსახლო ბორცვები, რომლებიც უფრო ფართო ორმაგი თხრილებითაა გამაგრებული. ეს სამოსახლო გამაგრებული ბორცვი სხვებზეა გაბატონებული. მთავარი ბორცვების დიამეტრი 80 — 150 მ-მდე მერყეობს; ხოლო დაქვემდებარებული მცირე ბორცვების დიამეტრი დაახლოებით 30 — 80 მ-მდეა; სიმაღლე — 3 - 7 მ-მდეა. ბუნებრივია, რომ ასეთი სიდიდის ხელოვნური მინაზვინულების შექმნა, ასეთი სადრენაჟე, თავდაცვითი და საკომუნიკაციო არხების გაჭრა შესაბამისი შრომის იარაღებისა და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. აგრეთვე ბუნებრივია, რომ ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ ცოდნა-გამოცდილების მქონე გამორჩეული პიროვნებები. სწორედ ეს ლიდერები აწარმოებდნენ ამ ბორცვზე განლაგებული გამაგრებული სასოფლო დასახლებების დაცვას. ამრიგად, თავდაცვითი და საცხოვრებელი პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადანყვევის პირობებში ხდებოდა გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაცია, რაც შემდეგ ერთგვაროვანი კულტურის გავრცელებაში აისახებოდა. სამუშაოების მასშტაბების და თავდაცვითი მზადყოფნის ზრდასთან ერთად იზრდება ლიდერების როლი საზოგადოებაში. ამავდროულად, ჩნდება ერთიანი წინამძღოლი, რომელსაც დანარჩენი ლიდერები ემორჩილებიან. ამგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელიც წინასახელმწიფოებრივიდან სახელმწიფოზე გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს, პროტოსახელმწიფოებრივ საზოგადოებრივ წყობას უწოდებენ. ზემოთ ნახსენებმა გარემოებებმა და ძვ.წ. VII ს-დან ბრინჯაოს უფრო მტკიცე ლითონით, რკინით, ჩანაცვლებამ ძვ.წ. V - IV სს-ში ხელი შეუწყო ძლიერი პოლიტიკური ერთეულის კოლხეთის სახელმწიფოს განვითარებას, რომელიც წერილობით წყაროებში “*ოქრომრავალი კოლხეთის*” სახელითაა ცნობილი [იხ. Lordkipanidze 2001a: 2-37].

სახელმწიფოს წარმოშობის ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, რომელიც ისტორიკოს-სოციოლოგმა კარლ ვითფოგელმა შეიმუშავა (ე.წ. ჰიდრავლიკური, ირიგაციული) სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზი გახლდათ ის, რომ მდინარეების ნოყიერ ნაპირებზე დაიწყო ინტენსიური მიწათმოქმედება, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფოებრიობის წარმოქმნას. შესაძლოა, ზოგადად ასეთივე მდგომარეობა ცენტრალურ კოლხეთში, მდ. რიონის აუზშიც შეიქმნა. აქ ნამოსახლარების გარშემო კეთდებოდა მოზრდილი თხრილები (≈40 მ სიგანისა და ≈4 მ სიღრმის), რომლის გათხრაც და შემდეგ ბორცვის მოზვინვა დიდ კოლექტიურ ძალისხმევას მოითხოვდა. “*ჰიდრავლიკური თეორიის*” მიხედვით მდინარეების რესურსების დამოუკიდებლად გამოყენება დაქსაქსულ ჯგუფებს არ შეეძლოთ. საჭირო იყო მოსახლეობის მობილიზება და კონსოლიდაცია. ამისათვის კი, მათ სამართავად საჭირო შეიქმნა სახელმწიფოებრიობის — ე.წ. მარეგულირებლის გაჩენა. ამ თეორიაში

ბიოგეოგარემოს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა [იხ. Wittfogel 1957; შეადარე — გამყრელიძე 1993: 3-45].

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ რიგ ფაქტორებს [იხ. Поздняков 1995: 23-89; Еллинек 1903: 33-41; ენგელსი 1953], რომლებიც თავს იჩენენ სახელმწიფოებრიობის ჩასახვისას — წარმოების პროგრესი და შედეგად პროდუქტის ზედმეტობა, მოსახლეობის სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, თავდასხმის, ომის საფრთხე; მეზობელი ქვეყნებიდან მომდინარე აგრესია, მეზობელი სახელმწიფოების კულტურის გავლენა; გამორჩეული პიროვნების, ორგანიზატორის, წინამძღოლის აღზევება და სხვ. [იხ. Claessen, Skalnik 1978: 5-26]. ტრანსკავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა, ე.წ. ვინრო ყელი, განაპირობებდა მომხდურებისაგან პერმანენტულ საფრთხეს. ამიტომ აქაური მაცხოვრებლები მუდმივ საომარ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ. ყურადსაღებია R. L. Carneiro-ს თეორიის მოდიფიკაცია, რომლის თანახმადაც, მოსალოდნელი ომის საფრთხის არსებობაც კი იძლევა სოციალურ-პოლიტიკური ევოლუციური ცვლილებისათვის ნოყიერ გარემოს; ასეთი საფრთხე ქმნიდა უფრო სტაბილური მმართველობის გაჩენის პირობას და ძლიერ ლიდერს (chief) [იხ. ქავთარაძე 2006: 6-14; Carneiro 1970 და იქ დასახელებული ლიტ.]. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მეზობელი ქვეყნები ერთმანეთზე ზოგჯერ სასიკეთო, ხოლო ზოგჯერ უარყოფით გავლენას ახდენენ. ძველი საქართველო ძლიერი მეზობელი ქვეყნებისაგან ხშირ აგრესიას განიცდიდა. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს სახელმწიფოს აგრესიულმა მეზობლობამ ძველი საქართველოს (იმ დროინდელი კოლხეთის) ტერიტორიაზე მომხდურთან დასაპირისპირებლად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მეტი თავდაცვითი ორგანიზება და შეკვრა-კონსოლიდაცია გამოიწვია.

საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში ბიოგეოგარემოზეა (resp. გეოგრაფიული გარემოზე) დამოკიდებული სოციოგარემოს, სახელმწიფოს განვითარების მდგომარეობა. სოციოგარემოს წარმოქმნა მისი ბიოგეო გარემოსთან ურთიერთზემოქმედების ევოლუციით იწყება, სხვადასხვა საფეხურზე მყოფ სოციუმებს შორის ინოვაციური ზემოქმედებები იწვევს საზოგადოებათა გარკვეულ პროგრესს. დანინაურებული ცივილიზაციების ცენტრებიდან ხდება კულტურის (სამეურნეო-საწარმოო, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სულიერ-კულტურული) დიფუზია (მაგ.: მესოპოტამია-მცირე აზიიდან კავკასიისაკენ). ჰიპოკრატე (იხ. „ჰაერთა, ნეალთა და ადგილთა შესახებ“ 12,16, 24) პირველი იყო, რომელმაც ბიოგეოგარემო, კერძოდ, კლიმატი მიიჩნია ადამიანების, ხალხების ფიზიონომიური და ფსიქიკური წყობის განმსაზღვრელ ფაქტორად. არისტოტელემ თხზულება — *პოლიტიკაში* — კლიმატის და ლანდშაფტის ზეგავლენა საზოგადოების მმართველობის ფორმებს დაუკავშირა. იგი აღნიშნავდა — დაბლობი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მონარქია, ხოლო მთაგორიანისათვის — დემოკრატია. იზნ-ქალდუნმა [იხ. Muhsin Mahd 1957] ქვეყნიერება კლიმატური პირობების მიხედვით შვიდ სარტყლად დაყო. იგი ბიოგეოგარემოდან ასახელებს ნიადაგს, მადნეულს, ფაუნას, ფლორას. შარლ ლუი მონტესკიეს მიხედვით, ადამიანის და ბიოგეოგარემოს ურთიერთზემოქმედებაში მთავარია კლიმატი, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს პოლიტიკური მმართველობის ფორმებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარკვეულ ტერიტორიულ სივრცეს და მდებარეობას, რასაც უკავშირდება სახელმწიფო წყობილების ტიპები. ჰენრი თომას ბოკლის — *ისტორია ცივილიზაციისა ინგლისში* [იხ. Бокль 1906] აზრით, ისტორია ისევე ვითარდება, როგორც ბიოგეოგარემო; საზოგადოებაზე გავლენას ახდენს — კლიმატი, ნიადაგი, საკვები, ინტელექტი. მისი მოსაზრებით, ისინი ერთობლივად მოქმედებენ და ძირითადად განსაზღვრავენ საზოგადოების ისტორიულ განვითარებას; პირველ საფეხურზე, მატერიალური დოვლათის შექმნა დაკავშირებულია ზომიერ კლიმატზე და ნოყიერ ნიადაგზე. ამაზევეა დამოკიდებული საკვების მოპოვება, რომელიც, თავის მხრივ, დემოგრაფიულ მდგომარეობას განაპირობებს. კლიმატი, ნიადაგი და საკვები მოქმედებს მატერიალური დოვლათის შექმნაზე, ხოლო ლანდშაფტი ხალხის ფსიქიკაზე, სულიერ მდგომარეობაზე აისახება. ბოკლი მიიჩნევს, რომ ცივილიზაციების განვითარება დაკავშირებულია როგორც ბიოგეოგარემოს მდგომარეობაზე, ასევე ხალხზე, მათ

ინტელექტზე, რათა შემოქმედებითად გაითავისოს გარემოს მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობანი.

გეოგრაფ-სოციოლოგ ლევ მეჩნიკოვის მიხედვით (იხ. „ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები“ [Мечников 2013]) ბიოგეოგარემოს მრავალ კომპონენტაგან მთავარია — ჰიდროსფერო. მისი აზრით ცივილიზაციის განვითარებაში უპირველესი როლი შეასრულა მდინარეებმა, ზღვებმა, ოკეანეებმა. მას მიაჩნია, რომ მსოფლიო ისტორიამ განვითარების სამი ეტაპი განვლო. პირველია სამდინარო ეპოქა, როცა ცივილიზაციები ჩაისახა მდინარეთა ნაპირებზე, კერძოდ, მდინარეების (მაგ.: ტიგროს-ევფრატის, ნილოსის, განგის, ხუანხეს ხეობებში). მეორე ეტაპზე, ე.წ. საზღვაო ეპოქა — ცივილიზაციებმა მდინარეთა ნაპირიდან ზღვის სანაპიროებისაკენ გადაინაცვლა (მაგ.: გენუა, ვენეცია, კონსტანტინეპოლი) — ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის ცივილიზაციები (ალბათ, მდ. რიონისაც). მესამე ეტაპი კი (ე.წ. საოკეანე ეპოქა) ამერიკის კონტინენტის აღმოჩენით იწყება, რასაც ცივილიზაციის გადაინაცვლება მოჰყვა შიდა ზღვებიდან ოკეანეთა (მაგ.: ლონდონი, ლისაბონი, ნიუ-იორკი) სანაპიროებზე. ფრიდრიხ რათცელი („პოლიტიკური გეოგრაფია“, „ანთროპოგეოგრაფია“ [Ратцель 1897]) დედამიწის ისტორიას ორად ყოფს — ადამიანამდელ და ადამიანის ეპოქად. რამდენადაც დედამიწის გარემო იცვლება, იმდენად იცვლება ადამიანიც. ბიოგეოგანიზმის მსგავსად, გარემოს შემოქმედებას განიცდის ხალხი და ქვეყანა. ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ისტორიულ-კულტურულ განსხვავებას განსაზღვრავს კლიმატი, რელიეფი, ნიადაგი. რათცელის მიხედვით, სახელმწიფოებს შორის ყველაზე უფრო მყარი — გეოგრაფიულ-ბუნებრივი საზღვარია (მაგ.: კავკასიონის ქედი). გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეები ენვარიონმენტალისტებმა სტატისტიკურ-ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით უფრო განავითარეს.

გეოგრაფიული გარემო (ჩვენეული ბიოგეოგარემო) საზოგადოების განვითარების ძირითადი დეტერმინატორია [იხ. Huntington 1925; Huntington 1945; Markhem 1942]. მას წამყვანი ადგილი ეჭირა ძველი ცივილიზაციების ჩასახვა-განვითარებაში, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში. ბიოგეოგარემოს თავისებურება განაპირობებს კონკრეტული საზოგადოების, სოციუმის — სამეურნეო-საწარმოო, დემოგრაფიულ, სავაჭრო-კომუნიკაციურ, სამხედრო-სტრატეგიულ, სულიერ-კულტურულ, სახელმწიფოებრივ მდგომარეობას. საყურადღებოა, რომ სხვადასხვა ერების განვითარება კონკრეტულ ბიოგეოგარემოში მიმდინარეობს, რაც შემდგომ მათთვის დამახასიათებელ ზოგად თავისებარეობებს აყალიბებს. საქართველოშიც სახელმწიფოს წარმოქმნაში განსაკუთრებული როლი ადგილობრივ ბიოგეოგარემოს ენიჭება [იხ. გამყრელიძე 1993: 25].

კოლხეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, სამხრეთით აჭარა-ლაზეთის მთიანეთი, აღმოსავლეთით ლიხის ქედი, ხოლო დასავლეთით შავი ზღვა ერტყმის. კოლხეთის მთიანეთის ბორცვგორაკები, ხეობები, სერები, ტაფობები და დაბლობი თავიანთი ბუნებრივი გარემოთი მოსახერხებელ დასასახლებელ ადგილებს ქმნიან. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა — ხე, სხვადასხვა ჯიშის ქვა, თიხა და ა.შ. აქ მეტალურგიული (სპილენძი, რკინა, თუთია, კალა, ოქრო) ნედლეულის მოპოვების ძირითადი ადგილებია — რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა. ცნობილია მეზობელი ხალიბების, მოსუნიკებისა და მოსხების როლი მეტალურგიული წარმოების საქმეში. მოსახლეობის მიერ მადნეულის ნაყოფიერმა დამუშავება-გამოყენებამ აქაური საზოგადოება უკვე ძვ.წ. II ათასწლეულში ახალი განვითარების საფეხურზე აიყვანა. რაც შემდგომში საფუძვლად დაედო მომპოვებელი და გადამამუშავებელი ხელოსნობა-წარმოების სხვადასხვა დარგების განვითარებას. მდინარეების ენგურის, ცხენისწყლის, ტეხურის და რიონის ქვიშა გარკვეული რაოდენობით ოქროს შეიცავს. ამას ადასტურებს სტრაბონი (იხ. სტრაბონი, XI, II, 19). იგივეს აღნიშნავს II ს-ის ავტორი აპიანეც (იხ. აპიანე, *მითრიდატეს ომები*, 103) ოქროს მოპოვების შესახებ გადმოგვცემს I ს-ის ავტორი გაიუს პლინიუს სეკუნდუსიც (უფროსი) (NH, XXXIII).

კოლხეთის რელიეფი მთა-მთისწინეთად და ბარ-დაბლობად იყოფა. ის შემოსაზღვრულია მთებით (ქედები, ხეობები, სერები, ტაფობები, ბორცვ-გორაკები), რაც მოსახერხებელ თავდაცვით გარემოს ქმნიდა. მდინარეებიდან ხობზე, ტეხურზე, ფიჩორზე, ჭოროხზე, სუფსაზე და განსაკუთრებით რიონ-ყვირილაზე ნავებით დაცურავდნენ. ზღვამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ზღვის სანაპიროზე მთელი რიგი ნაქალაქარები და სხვა დასახლებული პუნქტებია მიკვლეული: აფსაროსი (გონიოსთან), ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფასისი (აფოთთან), ანაკლია, ფიჩორი, გიენოსი (აოჩამჩირესთან), დიოსკურია- სებასტოპოლი (სოხუმთან), ეშერა, პიტუნტი (ბიჭვინთასთან) და ა.შ. სტრაბონის მიხედვით, კოლხეთი ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარ ქვეყნად წარმოგვიდგება (იხ. სტრაბონი, XI, II,17). საყურადღებოა კოლხეთის შესახებ პროკოპი კესარიელის ცნობაც (იხ. VIII,14).

კოლხეთის დაბლობი რომ დაწინაურებული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო, კარგად ჩანს ამ რეგიონში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდანაც. ძველი კოლხეთის სამეურნეო ყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ისეთი მცენარეების გავრცელებას, როგორც იყო — ხორბალი, ქერი, ფეტვი, ჭვავი, ვაზი, ნაბლი, კაკალი, თხილი, ლეღვი, ზღმარტლი, ხახვი და სხვ. კოლხეთში ცხოველთა სამყაროს სიმრავლეზე იყო გარკვეულწილად დამყარებული მოცემულ ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკვება. არქეოლოგიურად მოპოვებულ მასალაში ხშირია ოსტეოლოგიური ნაშთები, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი კოლხეთის მოსახლეობის მეცხოველეობა-მონადირეობის შესახებ. რაც შეეხება მეცხოველეობას, არქეოლოგიურ მასალაში მსხვილი და წვრილი რქოსანი საქონლის (ხარ-ძროხა, თხა, ცხვარი) ძვლები მრავლად არის დადასტურებული. გვხვდება აგრეთვე ღორის, ძაღლის, ცხენის ძვლებიც. კოლხეთში წვიმების სიუხვე, თბილი ზამთარი და ხანგრძლივი ზაფხული ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამეურნეო საქმიანობისათვის, კერძოდ, მემარცვლეობის, მეზოსტენობის და მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის. სამინათმოქმედო-სამეურნეო დარგების განვითარებას და მეორე მხრივ, საწარმოო ძალთა განვითარებას და ჭარბი პროდუქციის წარმოებას კოლხეთში დემოგრაფიული ზრდა უნდა გამოეწვია, რასაც არქეოლოგიური მონაცემებიც მოწმობენ. ძველი კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში მოწინავე როლი ითამაშა ზომიერმა კლიმატმა, ნოყიერმა ნიადაგმა, ჰიდრორესურსების სიმრავლემ, სხვადასხვა მადნეულმა, ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობამ. რამაც, საზოგადოების პროგრესისათვის კარგი საფუძველი შექმნა. უპირატესად კი ამაზე არის დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული, სავაჭრო-კომუნიკაციური, ფიზიოლოგიურ-ფსიქიკური, გეოპოლიტიკურ-სტრატეგიული, სულიერ-კულტურული განვითარების დონე. აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე, განვითარდა ფრიად თავისებური სახელმწიფოებრივი არე. აქ ისტორიული განვითარების დონე, ეკონომიკა და პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი იყო. შემდგომ, ანტიკური ხანის კოლხეთს გეოპოლიტიკურად საკვანძო ტერიტორია ეკავა; აქ მოხდა მაღალგანვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბება; აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრა.

სახელმწიფოებრივი განვითარების განხილვისას, იერარქიულად პირველ ადგილზე ბიოგეოგარემოს ვაყენებთ. მასთან ურთიერთზემოქმედებაში ადამიანი ქმნის სოციოგარემოს, რაზედაც დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული წინსვლის შემდგომი ბედი. მეორე ადგილზე, საგარეო ფაქტორი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის გეოპოლიტიკური სინამდვილის ნაწილია. მეზობელი ქვეყნები ერთმანეთზე ზოგჯერ სასიკეთო, ხოლო ზოგჯერ უკეთურ გავლენას ახდენენ. საგარეო ფაქტორი სახელმწიფოს ისტორიაში ხან კონსტრუქციულ, ხან კი დესტრუქციულ როლს თამაშობს. კონსტრუქციულია, მაგ.: საგარეო-სავაჭრო, სამეურნეო, კულტურული ინოვაციები; დესტრუქციულია — საომარი თავდასხმის შედეგად ქვეყნის დაპყრობა, საზოგადოებრივი წყობის ტრადიციული სტრუქტურების შეცვლა, საბრძოლო მოქმედებების შედეგად

სამოსახლოების დანგრევა, მატერიალურ ფასეულობათა ძარცვა-განადგურება, დასახლებების ეკონომიკური საფუძვლის მოშლა და ა.შ. სამეცნიერო ლიტერატურაში პროტოსახელმწიფოს ჩასახვის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ომისათვის მზადებას (თავდაცვას ან თავდასხმას) მიიჩნევენ. ომისათვის მზადება, საომარ მდგომარეობაში ყოფნა, გამორჩეულ წინამძღოლ-პიროვნებათა აღზევებას, საზოგადოების შეკვრა-მობილიზებას და მეტ ორგანიზებულობას იწვევდა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაში და სახელმწიფოებრიობის წარმოქმნაში გამოიხატებოდა [იხ. Claessen, Skalnik 1978: 619-636]. უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოს განვითარებაშიც "საომარ ფაქტორს," აგრეთვე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ჩამოყალიბებულ, განვითარებულ სახელმწიფოში ეს ფაქტორი დადებით (ქვეყნის კონსოლიდაცია-დარაზმულობა, საზოგადოებრივი წესრიგის ამაღლება, საფორტიფიკაციო მშენებლობა და სხვ.) ან უარყოფით — სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, ტრადიციული ცხოვრების წესის მოშლა, ეკონომიკურ ზარალს იწვევდა.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, კოლხეთის დაბლობზე მოსახლეობის ცხოვრების ხანგრძლივ ნაკვალევს ასახავს ბორცვებზე არქეოლოგიურად შესწავლილი ნამოსახლარები. აქ გვხვდება თხრილებითა და საარხო სისტემებით გამაგრებული მძლავრი სამოსახლო კომპლექსები. კოლხეთის დაბლობზე ბრინჯაოს ხანის განმავლობაში და მის მომდევნო ეპოქებში, არქეოლოგიური არტეფაქტების მიხედვით შეინიშნება განვითარების ერთიანი გენეტიკური ხაზი [იხ. ლორთქიფანიძე 2002]. ბორცვების გარშემო საარხო სისტემები კარგადაა შემონახული მაგ.: *ნამარნუში*, *ნაოხვამუში*, *ნაკარლალში*, *ჯვარალეში*, *ფიჩორში*, *ანაკლიაში*, *წყემში* და სხვა. ადრერკინა-ანტიკურ ხანაში ნამოსახლარების მასშტაბების ზრდასთან ერთად ხელოვნური თხრილები ფართოვდება. არხების ამოღების სამუშაოებს შრომით ორგანიზაციაზე დამყარებული საგვარეულო თემი აწარმოებდა. ცხადია, ერთი გვარის წარმომადგენლებს გაუჭირდებოდათ 10-20 და 30-40 მეტრის სიგანისა და 3-5 მეტრის სიღრმის არხის გათხრა. სავარაუდებელია, რომ ამ სამუშაოებში რამდენიმე მეზობელი თემის გაერთიანება იყო ჩართული (მაგ.: *ნამარნუს* მსგავსი საარხო სისტემა). ამ ირიგაციული სისტემების შექმნაში მრავალნაირი სამეურნეო იარაღი გამოიყენებოდა, რაც არქეოლოგიური მონაპოვრებით დასტურდება. შესაძლოა, რომ ცენტრალურ ბორცვებზე თავდაპირველად ცხოვრობდა ერთი დიდი ოჯახის წარმომადგენლები. ქონების დაგროვებისა და მოსახლეობის გამრავლების შედეგად დიდი ოჯახიდან ხდებოდა უფრო მცირე ოჯახების გამოყოფა, ცენტრალური ბორცვის მომიჯნავე ტერიტორიების ათვისება და ახალი სამოსახლოების მთელი კომპლექსების წარმოქმნა. ამგვარი მოდელი, კოლხეთის მთელ გვიანბრინჯაო-ადრერკინა-ანტიკური პერიოდის ნამოსახლარებზე ვრცელდებოდა.

კოლხეთის შედარებით უკეთ შემონახულ არქიტექტურულ ნაგებობებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმდროინდელი მოსახლეობის საშენი მასალების, ნაგებობათა ტიპებისა და მშენებლობათა ტექნიკის შესახებ. ბუნებრივ-კლიმატური პირობები გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა არქიტექტურულ ნაგებობათა ტიპების ჩამოყალიბებაზე და მშენებლობის ტექნიკაზე. კოლხეთის ბარში და ბორცვიან ზოლში, გვიანბრინჯაო-ადრერკინა-ანტიკურ პერიოდში ჯარგვლური, ძელური ნაგებობები დასტურდება, რომლის ერთ-ერთი სახეობის აღწერილობაც მოგვიანო ხანაში რომაელმა არქიტექტორმა ვიტრუვიუსმა დაგვიტოვა. მისი ცნობის თანახმად ძველი კოლხები ძელებისაგან აშენებდნენ სწორკუთხა სახლებს. ძელები ერთმანეთზე ეწყობოდა ე.წ. უსრულო ქდობით. მათ შორის რჩებოდა სივრცე, რომელიც თიხით ივსებოდა [იხ. Витрувий 1936: 41] (II,1). ეს ნარატივი არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. ჯერ კიდევ ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჯარგვლურ ნაგებობათა გვერდით გავრცელებული ყოფილა სარ-ლასტზე გამართული ნულოკედლიანი, ნულოკარკასიანი, ფაცხისმაგვარი შენობები. ასევე თირში ჩაჭრილი სათავსოები, მინურები და ნახევრადმინურები, რომელზედაც ზემოდან დადგმული იყო ფაცხისმაგვარი სარ-ლასტზე გამართული ნაგებობები. ისინი სითბოს უკეთ შენარჩუნების მიზნით გარედან და შიგნით თიხით ილესებოდა. სამშენებლო ხის მასალად ძირითადად წიფელი, თხმელა, რცხილა, წყავი, იფანი, ფიჭვი გამოიყენებოდა.

ზოგან გვხვდება ხის ძელური კედლით ნაგები, წრიული შენობებიც. მათი დიამეტრი 8-6 მ-მდეა. აღმოჩენილია აგრეთვე წნულკედლიანი, წრიული ფორმის შენობები, რომელნიც თიხით იყო შელესილი (მაგ.: *ოჩამჩირე, ნოსირი, ნაოხვამუ, ანაკლია*). ნამოსახლარებზე ხშირად დასტურდება რიყის ქვებით იატაკის მოკირწყვლის წესი (მაგ.: *ოჩამჩირეში, ფიჩორში, ნამჭედურში, ნაკარლალში, კისტრიკში, მოქეში, ბომბორაში* და სხვა).

კოლხეთის ნამოსახლარებზე დასტურდება ხორბლეული, რომელთა შორის ჭარბობს სპელტა, მახა, ორმარცვალა, რბილი, ჯუჯა ხორბალი, ფეტვი და ქერი [იხ. მაისაია და სხვ. 2005: 67-96]. მარცვლეული კულტურების მოსაყვანად გამოიყენებოდა ამაღლებული ადგილები. კოლხეთის დაბლობის ნამოსახლართა კომპლექსები ზოგჯერ 15-25 ჰა აღწევს (მაგ.: *ნამარნუ*). ნამოსახლარებზე მინათმოქმედებასთან დაკავშირებული სხვადასხვა იარაღია არქეოლოგიურად გამოვლენილი. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ხის სახენელები [იხ. ჯიბლაძე 1997: 88-91]. სახენელები გამოვლინდა *ჩოლოქის* (12 ერთეული) [იხ. ჩავლეიშვილი 1999] და *ფიჩორის* ნამოსახლარებზე. კოლხეთში მინის დასამუშავებელ ძირითად იარაღად გამოიყენებოდა მხრებმომრგვალებული და სამკუთხაპირიანი თოხები, რომელთა ადრეული ნიმუშები ჯერკიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის მინურულში ჩნდება. კოლხეთში მინათმოქმედებასთან ერთად განვითარებული იყო მეცხოველეობა, მეთევზეობა, მონადირეობა და მეურნეობის სხვა დარგები. ნამოსახლარების ფენებში გამოვლენილ ოსტეოლოგიურ მასალებში ჭარბობს საქონლის, ღორისა და ცხვრის სახეობები. არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, რომ რთვასა და ქსოვას უძველესი მოსახლეობის შინამრეწველობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა. ამ საქმიანობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ნამოსახლარებზე დიდი რაოდენობით მიკვლეული თიხის კონუსისებური ფორმის კვირისტავეები [ჯიბლაძე 2007].

კოლხეთის ნამოსახლარების შესწავლის შედეგად სადღეისოდ ამ ტერიტორიის სამოსახლოდ ინტენსიური ათვისება ხდება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში და გრძელდება ადრერკინა-ანტიკურ ეპოქაში. როგორც უკვე აღვნიშნე აქ, დაბლობზე ნამოსახლართა ძირითად ტიპს ხელოვნური ბორცვები წარმოადგენს. ხელოვნური ბორცვების უფრო მეტი კონცენტრირება შეინიშნება რიონ-ენგურის ორმდინარეთში. ხელოვნური ბორცვების გარდა ჯგუფებად განლაგებული ნამოსახლარები გამოვლენილია ბუნებრივ შემალგებებზეც, მთის ფერდებზე, ზღვისპირა და მდინარისპირა ტერასებზე. სადაც ძირითადად ხის ძელური შენობები და ფაცხისმაგვარი ნაგებობები დასტურდება. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ფოთი-პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარებიდან — *ნამარნუ, ძიგური, სირიაჩქონის ოხოჯე, ნანდეუ, საგვიჩიო (ზურგანი, კონშა), ნაღმიპიჯი, ჭალადიდი (ზურგა, საბაჟო, ჩხარი), გურიფული, ნაოხვამუ (სოფ. რეკა), ერგეტა* და სხვ. — ალბათ, ფასისი უფრო დაწინაურდა. მას კომუნიკაციების მიხედვით მოხერხებული ადგილი ეჭირა (კერძოდ, მდ. რიონ-ფასისის დელტა) და ურბანისტულ ცენტრად განვითარდა [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2003: 170-189].

ფოთის შემოგარენში სამოსახლოს კვალი აღმოჩნდა სოფ. ქვემო ჭალადიდში, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს (1,5 კმ-ზე ჩრდილოეთით), ფოთისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს. ამ ბორცვის ფართობი 1800 კვ.მ-ია; აქ გაითხარა ბათქაშიანი და ძელებიანი ნაგებობების ნაშთები. ნამოსახლარზე აღმოჩნდა კერამიკა: ქოთნები, ჯამები, თასები. ისინი შემკულია ირიბ ჭდეებიანი, ტალღოვანი, რომბისებური ორნამენტით. აქვე აღმოჩნდა ყალიბი, ქვის ხელსაფქვაკი, კვირისტავეები და სხვ. სოფ. ქვემო ჭალადიდის ე.წ. საბაჟოს მონაკვეთზე. ნამოსახლარებზე აღმოჩნდა ნაგებობების ძელების და ბათქაშების ნატყეხები. კერამიკის გარდა მეტალურგიული ქურის საბერველი მილი და ყალიბი აღმოჩნდა [იხ. მიქელაძე 1978: 33-40]. მეორე სამოსახლო, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ქ. ფასისის სასოფლო-სამეურნეო გარეშემორტყმად, აღმოჩნდა სოფ. საქორქიოს აღმოსავლეთ ნაწილში, "*სიმაგრეს*" სახელწოდებით ცნობილ მონაკვეთში, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. ბორცვი 3300 კვ. მ-ს მოიცავს. აქ აღმოჩნდა ხის ნაგებობები. ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა ძვ.წ. VII-V სს. თარიღდება. ნაგებობები ოთხკუთხაა და ძელების

წყობითაა ნაგები. ერთ-ერთი ნაგებობა 112 კვ.მ-ისაა. მასში კედლების ძელები ძირითადად ერთმანეთში ჩაჭდომის წესით არის ნაგები [იხ. მიქელაძე 1978: 50-78 ; გამყრელიძე 2016: 185-200].

კოლხეთის ხის ნაგებობების შესახებ საყურადღებო ფაქტებს შეიცავს ბერძნულ-ლათინური და არქეოლოგიური წყაროები. ისინი ძირითადად დაცულია ქსენოფონტის (*ანაბასისი V, 2; 6,7*), ჰეკათეოს მილეთელის, ჰოპოკრატეს, ჰეროდოტეს, სტრაბონის, აპოლონიოს როდოსელის, დიოდორე სიცილიელის, პომპონიუს მელას, ვიტრუვიუსის, პლინიუსის თხზულებებში. ამ ავტორთა თხზულებებში საუბარია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის გამაგრებულ სამოსახლოებზე. კერძოდ, კოლხურ-მოსუნიკურ ძეგურ-ბათქაშიან, კოშკურა ტიპის გამაგრებულ ნაგებობებზე. აქვე ცნობებია გამაგრებული სამოსახლოების აგებისას რელიეფის გამოყენებისა და ამ სამოსახლოთა ურთიერთმიმართების შესახებ. ქსენოფონტის მინიშნებით, სასიმაგრო ნაგებობები შედგებოდა თხრილისაგან, ძირითადი გზისაგან, რომელიც აკავშირებდა დასახლებას შიდა ციხე-კოშკთან და სხვა შედარებით მომცრო კოშკებთან. ყველაფერი ეს შემოსაზღვრული იყო ძელებიანი მესრით, რომელშიც დატანებული იყო ძირითადი ჭიშკარი. ხელისუფალ-მეთაურის კოშკი შემადგენელ ადგილას იყო აგებული და განსხვავდებოდა რიგითი მცხოვრების კოშკისაგან [იხ. გამყრელიძე 2016: 185-200].

არქეოლოგიური კვლევის შედეგად ძვ.წ. VIII-IV ს-ების კოლხეთში დასტურდება გამაგრებული სამოსახლოების ჩამოყალიბებული სისტემის არსებობა. საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული როგორც დაბლობი, ასევე მთისწინეთი და ხეობები. დასახლებები განცალკევებულ-სოფლური ტიპისა იყო, გაშენებული ბუნებრივ ბორცვებზე ან ხელოვნურად გაკეთებულ მიწაყრილებზე. ისინი გარკვეულ სისტემას ქმნიდა და გარშემორტყმული იყო თავდაცვითი თხრილებით. მთავარ სამშენებლო მასალას ხის ძელები წარმოადგენდა, რაც კოლხეთში ტყეების სიმრავლემ განაპირობა. აქ, არქეოლოგიურად დადასტურებული ხის უძველესი ნაგებობები, შენობის აგების წესი კი ე.წ. ჯარგვალური იყო. ამგვარი ძეგური ნაგებობები დღესაც გვხვდება დასავლეთ საქართველოში [იხ. ადამია 1979 : 15-19; გოგაძე და სხვ. 1982 : 58-70; მიქელაძე 1978; ნიორაძე 1941: 21-27; ჩიქოვანი 1999 :21-29]. ქსენოფონტისაგან განსხვავებით, ვიტრუვიუსი უფრო ზედმინევენით აღწერს კოშკურა-ძელებიანი ნაგებობების კონსტრუქციას (იხ. ვიტრუვიუსი, „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“ II, I, 4, 50).

ბუნებრივ ბორცვებზე აგებული ნაგებობის ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია ვანის მუნიციპ. სოფ. მთისძირში ადგიშვილების გორის ზედა ტერასაზე არქეოლოგიურად შესწავლილი ძეგურ-ბათქაშიანი ნაგებობა. ეს ნაგებობა ვანის ნაქალაქარიდან დასავლეთით, რვა კილომეტრზე მდებარეობს. ადგიშვილების გორის ნაგებობა ოთხკუთხაა და ორი სათავსისაგან შედგება. სამხრეთ სათავსის ფართობია 26,88 კვ.მ, ხოლო ჩრდილოეთის — 13,44 კვ.მ. ამ სათავსის დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია ძელებით მოგებული იატაკი, რომელზედაც ზედა სართულის გადახურვის ძელების ფრაგმენტები შეიმჩნევა. კედლის ფუნდამენტის შიდა ფართობი ამოვსებულია ქვებით, თიხამინით და გარდიგარდმოდ დანყოფილი ძელებით. ამგვარად, აქ იქმნებოდა ხის ძელებით შემოსაზღვრული კვადრატების კარკასი, რაც ცოკოლს მეტ სიმტკიცეს აძლევდა. ადგიშვილების გორის ნაგებობა ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება. ეს ნაგებობა წარმოადგენს ცოკოლზე დადგმულ ძეგურ, თიხით შელესილ შენობას. აქ საქმე უნდა გვექონდეს ანტიკური ეპოქის ავტორების — ქსენოფონტეს, პომპონიუს მელას და დიონისიოს ჰალიკარნასელის თხზულებებში ნახსენებ კოლხეთის ხის ნაგებობების ნაირსახეობასთან. ძვ.წ. IV ს-ის მინურულის, ერთი მხრივ, აზოს და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამოწვეული საომარი მოქმედებების შედეგებით შეიძლება აიხსნას სოფ. მთისძირის ადგიშვილების გორის გამაგრებული სამოსახლოს დანგრევა [დანვრ. იხ. გამყრელიძე 1982].

კოლხეთში ხის ძელებიანი ნაგებობები არქეოლოგიურად მრავლად არის დადასტურებული სოფ. ანაკლიაში (*დიხა-გუჭუბა I, II*), სოფ. რეკში ნაოხვამოსთან, სოფ. საქორქიოში *სიმაგრესთან*, ქობულეთში ჩოლოქთან, სოფ. ნოსირში, ვანის ნაქალაქარზე, სოფ. ვარციხეში ვარდიგორასთან, ქუთაისში *გაბაშვილის* გორაზე; ქვის საძირკვლიანი სათავსოა

გამოვლენილი ლეჩხუმში *კოვრაშის* ნამოსახლარზე [გაბიძაშვილი და სხვ. 2004: 121-123]. ხოლო ასეთი ტიპის ნაგებობების ნაშთები, ხის ძელებისა და ბათქაშის სახით, დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გვხვდება. ეს არქეოლოგიური ძეგლები ქრონოლოგიურად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათში არქიტექტურული მემკვიდრეობა იგრძნობა. ძეღურ-ბათქაშაიანი სამოსახლოები დამახასიათებელია კოლხეთისათვის, სადაც ბუნებრივ თუ ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული ნამოსახლარებია დადასტურებული მრავალრიცხოვანი სამოსახლო ბორცვებით, რომლებსაც დღეს „გორას“, „ზურგას“ და „დიხაგუძუბას“ უწოდებენ. კოლხეთის დაბლობის ამ სამოსახლო ბორცვებისათვის (გორანამოსახლარებისათვის) დამახასიათებელია გარშემო თხრილი [ჯიბლაძე 2007]. არსებობს საყურადღებო მოსაზრება, რომ გორა // გორაები, გორანამოსახლარები კავშირშია სოციალურ ტერმინ — გვართან // საგვარეულოსთან და მოსახლეობა მასზე (გორანამოსახლარებზე) ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში სახლობდა. შემდგომ, აქედან დაბაქალაქები წარმოიქმნენ [იხ. ბერძენიშვილი 1964: 383-388], რაც საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენდა.

კოლხეთის დაბლობზე, ჭაობიან ადგილებში ხის სახლების აგებისას თიხნარით მოზინული, შემალღებული ფართობები, მცირე გორები იქმნებოდა. ნაგებობათა ნაირსახეობად უნდა მივიჩნიოთ სოფ. რეჩხის ბორცვოვან ზოლში გამოვლენილი 600 კვ.მ.-ის ნაგებობა. კოლხეთში თლილი ქვა, ალიზის აგური და კრამიტი მხოლოდ ძვ.წ. III ს-ში იკიდებს ფეხს. როგორც ჩანს, მანამდე ხე ძირითადი სამშენებლო მასალა ყოფილა. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კოშკებს, ზღუდე-მესრებს და გამაგრებულ სამოსახლოებს. კოლხეთში ხის მასალა უხვად იყო. სტრაბონი გადმოგვცემს: „...აქ იზრდება მრავალი ტყე“ (XI, II, 17). ამასვე აღნიშნავს ვიტრუვიუსი (II, I, 4): „კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო...“ აშენებენ ხის ნაგებობებს. სენაკის მუნიციპ. სოფ. რეკაში, ნაოხვამუს ნამოსახლარზე, ნაგებობის თიხის მოდელი დადასტურდა, რომლის სიგრძეა 21,5 სმ, სიმაღლე 19 სმ. მოდელი დაზიანებულია და ოთხ ხიმინჯზე დგას. მოდელის კედლებზე ხის ძელებია გამოსახული. ნაოხვამუს ეს მოდელი, კოლხეთში ძვ. წ. I ათასწლეულში გავრცელებულ ბათქაშით შელესილ ხის ნაგებობათა ერთ-ერთ სახეობას გადმოგვცემს [იხ. ჯიბლაძე 2010: 117-124].

ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ თხრილებით გარშემოვლებულ ხელოვნურ ბორცვებზე სამოსახლოს გამართვას კოლხეთის დაბლობზე დიდი ხნის ისტორია აქვს. დასახლების ამნაირი ტიპი კოლხეთში შემთხვევით არ განვითარებულა. ის აქ არსებული ბრტყელი რელიეფითა და ჭარბწყლიანობით იყო განპირობებული. ასეთ სიტუაციაში ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობების შესანარჩუნებლად აუცილებელი ხდებოდა ხელოვნური შემალღებების გაკეთება. თხრილის შექმნა ბორცვის გარშემო განპირობებული უნდა ყოფილიყო იმითაც, რომ ხელოვნური ბორცვისათვის მიწა დიდი რაოდენობით იყო საჭირო; სრულიად ბუნებრივია, რომ მას ბორცვის მიმდებარე ადგილებიდან იღებდნენ. გარდა ამისა, თხრილს ჰქონდა თავდაცვითი მნიშვნელობა. ის მოსახლეობას იცავდა მტრისაგან, მტაცებელი ცხოველისა და წყლის სტიქიისაგან. როგორც ჩანს, ამ დროინდელი საზოგადოება მოხერხებულად იყენებდა გეოგრაფიულ პირობებს, ბუნებრივი ბორცვ-გორების ტერასებს და თვითონაც აქტიურად ზემოქმედებდა მასზე ხელოვნური, თხრილშემოვლებული ბორცვების შექმნით. ორივე ეს ტიპი თანაარსებობდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ ამგვარი სამოსახლოების გამართვის წესი კოლხეთში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იკიდებს ფეხს. დასახლების მოწყობა ხელოვნური ბორცვების მოზინვით, სპეციფიკურ კოლხურ მოვლენად არის მიჩნეული. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარში კოლხეთისათვის, აგრეთვე, დამახასიათებელია კოლექტიური სამარხები, რომლებიც არქეოლოგიურად გაითხარა — *ერგეტაში*, *ურეკში*, *დღვაბაში*, *ნიგვზიანში* და სხვ. მათ ახასიათებთ — საკულტო რიტუალის ფართი; კრემაციული მოედნები; მოზრდილი ფართის კოლექტიური სამარხი ორმოები; დაკრძალვის მეორადი წესი. მაგ. ერგეტის ნეკროპოლის (II) №4 სამარხის სიგრძე 11 მ-მდეა, ხოლო სიგანე 6 მ-მდეა. მასში აღმოჩნდა თიხის, ხის, სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის, ოქროს, ვერცხლის სხვადასხვაგვარი დანიშნულების ინვენტარი: სამეურნეო და საბრძოლი იარაღი;

სხვადასხვა სახის ხელსაწყოები; ნაირ-ნაირი სამკაული; სამოსის აქსესუარები და სხვ. [იხ. პაპუაშვილი 1998].

ანტიკურ ხანაში, როგორც ჩანს, ადგილობრივმა სამოსახლოებმა ცვლილებები განიცადა. ზოგიერთი სამოსახლო, რომლებსაც უფრო კარგი, მოხერხებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-კომუნიკაციური ადგილმდებარეობა ეკავა, დანიშნურდა და გარკვეული რეგიონის ქალაქური ტიპის ცენტრად ჩამოყალიბდა. ამ ცენტრს ჰქონდა მასზე დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია. საფიქრებელია, რომ „ვანი“ საქალაქო ცენტრი იყო, ხოლო „მთისძირი“ მისდამი დაქვემდებარებულ სასოფლო ტერიტორიაში შედიოდა. საქალაქო ცენტრს გარშემო გარკვეული თავდაცვითი სისტემა ჰქონდა, რომელიც მის უსაფრთხოებას ემსახურებოდა. ამგვარი გამაგრებული სოფელი იყო ძველი „მთისძირი“. ასეთი გამაგრებული სოფლები, ალბათ, განლაგებული იყო ქალაქისკენ მიმავალი კომუნიკაციების ჩასაკეტად. „მთისძირი“, ერთი მხრივ, აკონტროლებდა მდ. რიონის ხეობის მარცხენა ნაპირზე მიმავალ გზას, ხოლო მეორე მხრივ, მდ. ყუმურის ხეობიდან მომავალ გზას კეტავდა. არქეოლოგიური მასალისა და ძველი წერილობითი წყაროების შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ქართველური მოსახლეობით დასახლებულ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. III ს-ის წინა პერიოდში გავრცელებული იყო ბორცვსა და გორაზე გამართული, ძელურ-ბათქაშიანი, ძელებიანი მესრით შემოზღუდული, კოშკებჩართული კომპლექსები, ხისაგან ნაგები გამაგრებული სამოსახლო, რომელსაც მოსუინი ეწოდებოდა. სოციალურად, ადგილებების გორისნაირი გამაგრებული ბორცვ-გორები, ალბათ, ნათესაობრივი თემების საცხოვრის ნარმოადგენდა, რომელთა თავშიც ადგილობრივი ხელისუფალი, ბერძნული წერილობითი წყაროების მიხედვით, ბასილევსი იდგა. მაგალითად, ასეთ ადგილობრივ ხელისუფალს ეკუთვნოდა სოფ. მთისძირში აღმოჩენილი ნაგებობების თანადროული მდიდრული სამარხი [იხ. გამყრელიძე 1982: 69].

გვიანდელი ბრინჯაოს ეპოქიდან მოყოლებული და განსაკუთრებით ძვ.წ. VIII-IV სს-ებში დასავლეთ საქართველოს ბარ-დაბლობი და მთისწინა ფართობი, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მჭიდროდ დასახლებული ჩანს. შეიმჩნევა ე.წ. დემოგრაფიული აფეთქება [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 167]. არქეოლოგიური მასალების შესწავლა, მონმობს, აქ სამინათმოქმედო მეურნეობის განვითარების საკმაოდ მაღალ ნიშნულზე აწევას, რასაც უნდა უზრუნველყო ზედმეტი პროდუქტის წარმოება და აქედან გამომდინარე სასაქონლო ვაჭრობის განვითარება. ამ პერიოდში შეიმჩნევა აგრეთვე ე.წ. კოლხური კერამიკის არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება, რაც მონმობს მეთუნე-ხელოსანთა პროფესიონალიზმს. ეს კერამიკა საყოველთაო მოხმარებისთვისაა განკუთვნილი და ამიტომ მისი ძირითადი კომპონენტები გარკვეულ სტანდარტიზაციას განიცდის. ის მთელი კოლხეთის, ტერიტორიაზე გავრცელებული და კოლხეთის ერთიანობის დამაჯერებელი არქეოლოგიური არგუმენტია [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 167]. ზემოთ ნახსენებმა გარემოებებმა და ძვ.წ. VIII ს-დან ბრინჯაოს უფრო მტკიცე ლითონით, რკინით, ჩანაცვლებამ ძვ.წ. VI-IV სს-ში ხელი შეუწყო პოლიტიკური ერთეულის კოლხეთის სახელმწიფოს განვითარებას. მდინარეების მტკვრის, ჭოროხის, ზემო ევფრატის და არაქსის სათავეების მიმდებარე ტერიტორიაზე ძვ.წ. XI-VIII სს-ში ქართველურ ტომთა გაერთიანების შედეგად პროტოსახელმწიფოებრიობა განვითარდა. აქვე, მეზობლად ასურეთის და ურარტუს მძლავრი, აგრესიული ქვეყნები მდებარეობდნენ. ძვ.წ. VIII ს-ის ურარტული წერილობითი წყაროები ქართველური მოსახლეობის ერთ-ერთ შტოზე კო(უ)ლხებზე მიგვანიშნებენ. მათ მდ. ჭოროხის აუზიდან კავკასიონის ქედამდე მოიპოვეს ჰეგემონობა და ძლიერი გაერთიანება შექმნეს. ძვ.წ. VIII-VII სს. კოლხეთი პროტოსახელმწიფოს ტიპის ქვეყანას წარმოადგენდა. მას მმართველობის გარკვეული სისტემა ჰქონდა, რომლის ბირთვიც დროთა განმავლობაში მდ. რიონის აუზში განლაგდა [შეაძარ. მელიქიშვილი 1965: 78].

ქვემოთ, მაგალითად მოგვყავს, კოლხეთის ზოგიერთი გვიანბრინჯაო-ადრერკინა-ანტიკური პერიოდის სამოსახლოების მოკლე ჩამონათვალი:

ნამარნუს ხელოვნურად გამართული ნამოსახლართა სისტემა აბაშის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფ. კეთილარის ტერიტორიაზე, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირთან და მდ. ფიჩორის შუა წელზე მდებარეობს. ბორცვების მთელი კომპლექსი 13 ჰა ფართობს მოიცავს. ცენტრალურ ნამოსახლარ ბორცვს 2 ჰა ფართობი უკავია და სიმაღლე 5 მ-ა, ხოლო დიამეტრი 160 მ-მდეა. ცენტრალურ ბორცვს გარს უვლიდა 30 მეტრის სიგანის ხელოვნური თავდაცვითი თხრილი. ამ სამოსახლო ბორცვების ხის მრავალრიცხოვან ნაგებობებში დადასტურებული კულტურული ფენები გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლილი ადრეული რკინა-ანტიკური ხანის ჩათვლით თარიღდება [იხ. მიკელაძე და სხვ. 1987: 40; გრიგოლია და სხვ, 1973: 34; პაპუაშვილი 1987: 52].

ანაკლია I-ის ნამოსახლარი ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, ზღვიდან 1 კმ დაშორებით მდებარეობს. ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვის სიმაღლე 5 მ, ხოლო დიამეტრი 80 მ-მდე. აქ ხის ნაგებობები და სხვა არტეფაქტები აღმოჩნდა; არის აგრეთვე მარცვლეულის ნაშთები. ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა [იხ. Куфтин 1950: 239- 256; ჯიბლაძე 2007: 20-21].

ანაკლია II-ის ნამოსახლარი ამავე სახელწოდების სოფლის განაპირას ადგილ ჭითანყაროში, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, ზღვიდან 2 კმ დაშორებით მდებარეობს. ხელოვნური ბორცვის სიმაღლე 5 მ, ხოლო დიამეტრი 50 მ-მდეა, ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა. აქვე, ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა [იხ. მუსხელიშვილი და სხვ. 2010].

ერგეტას ნამოსახლარი ზუგდიდის დასავლეთით 25 კმ-ზე, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ერგეტასთან (მამულიას ნამოსახლარი) მდებარეობს. ხელოვნური ბორცვის სიმაღლე 5 მ, ხოლო დმ - 70 მ-მდეა. ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვება. ნამოსახლარზე ოთხი კულტურული ფენა დადასტურდა. აქ ფენებში ხის ძეღური ნაგებობები, ხორბლეულის ნაშთები და სხვა არტეფაქტები აღმოჩნდა. სოფ. ერგეტას მიდამოებში კიდევ რამდენიმე ხელოვნურად გამართული სამოსახლო ბორცვია მიკვლეული [იხ. პაპუაშვილი 2017: 38-44; პაპუაშვილი და სხვ. 2005: 51].

ნაოხვამუს ნამოსახლარი სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. რეკას სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. მისი სიმაღლე 4 მ, ხოლო დმ - 60 მ-მდეა. ის ხელოვნურად გამართულ ნამოსახლართა ტიპს განეკუთვნება. ნამოსახლარზე ხის ძეღური ნაგებობები გაითხარა. ბორცვს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოსდევდა. აქ კულტურულ ფენებში სხვადასხვა სახის კერამიკასთან ერთად ბრინჯაოს საკინძები, ბრინჯაოს და რკინის შუბისპირები და ისრისპირები აღმოჩნდა [Куфтин 1950: 168-238; ჯიბლაძე 2007: 22].

ნოსირი III-ის ნამოსახლარი ქ. სენაკის მუნიციპალიტეტის, ამავე სახელწოდების სოფლის ჩრდილოეთ მხარეს, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვის სიმაღლე 3 მ, ხოლო ფართობი 2500 კვ.მ-მდეა. აქ ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ოთხი კულტურული ფენა გამოიყოფა. აქ ხის ძეღებიანი, ჯარგვლისებური შენობები გაითხარა. მეტალურგიულ ნარმოებასთან დაკავშირებული ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბები და ციცხვები აღმოჩნდა. გამოვლინდა აგრეთვე ყურძნის ნიჰნები, ხორბლის სხვადასხვა სახეობა და ოსტეოლოგიური მასალა. ნოსირის ხელოვნური ნამოსახლარის ჩრდილოეთითაც, მდინარე ტეხურის მარცხენა სანაპიროზეც ბორცვ-ნამოსახლარების ნაშთები აღმოჩნდა. ასეთივე ნამოსახლარები დადასტურდა გეჯეთში, ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე, მდ. ტეხურის ნაპირას. სოფ. ნოქალაქევის სოფლის მეურნეობის ტერიტორიაზეც და სოფ. ხორმის სამოსახლო ბორცვ „ლომურაზე“, რომელიც მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტის, ამავე სახელწოდების სოფლის მიდამოებში [იხ. გოგაძე 1982: 36-38, 51-58].

აბედათის ნამოსახლარი მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს, ამავე სახელწოდების სოფლის განაპირა მხარეს. სამოსახლო ბორცვის სიმაღლე 5 მ, ხოლო დმ - 80 მ-მდეა. ნამოსახლარს ირგვლივ 10 მ სიგანის ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა [იხ. ფხაკაძე 1978: 138].

ნაჭვის ხელოვნური ბორცვის ნამოსახლარი მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურჩის დასავლეთით 2 კმ-ზე. მისი სიმაღლე 5 მ, ხოლო დიამეტრი 40 მ-მდეა. აქ ხის ძეღური ნაგებობები გამოვლინდა [იხ. გოგაძე 1982: 29-59].

კეკელურის ნამოსახლარი ხელოვნური ბორცვი მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურჩასთან, მდ. აბაშის ნაპირზე. მისი სიმაღლეა 4 მ, ხოლო ფართობი 1500 კვ.მ-მდეა. აქ გამოვლინდა ძეღური ნაგებობები [გოგაძე 1982: 29].

საელიაოს კურზიას ნამოსახლარი ხელოვნური ბორცვი, მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 7 მ, რომელსაც ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოსდევდა. ბორცვზე ძეღური ნაგებობები გამოვლინდა [იხ. ჯიბლაძე 2007].

ლევცავას ნამოსახლარი ბორცვი, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. სალხინოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. აქ, ხის ძეღებიანი სამოსახლო გაითხარა [იხ. Микеладзе და სხვ. 1980: 35].

ზურგას ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭალადიძეში, ე.წ. საბაჟოს უბანთან მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 5 მ-ია, ხოლო ფართობი 1900 კვ. მ-მდეა. ნამოსახლარზე გამოიყო სამი კულტურული ფენა. აქ გაითხარა ხის ძეღური ნაგებობები [იხ. მიქელაძე 1978: 21; ჯიბლაძე 2007].

საგვიჩიოს სოფლის მიდამოებში (სენაკის მუნიციპალიტეტი), მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გასწვრივ სადაზვერვო თხრილებით შესწავლილ იქნა სამოსახლო ბორცვების მთელი წყება, რომლებზეც ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები აღმოჩნდა. ეს ნამოსახლარები ხელოვნური თხრილებით იყო გარშემონერილი [იხ. ჯიბლაძე 2007].

ყულევის სოფლის მიდამოებში (ხობის მუნიციპალიტეტი), სანაპიროზე შესწავლილ იქნა ბორცვ-ნამოსახლარები, რომლებიც ხის ძეღური ნაგებობების ნაშთებს შეიცავენ [იხ. პაპუაშვილი და სხვ. 2014: 204].

წყემის №3 ხელოვნური ბორცვი (აბაშის მუნიციპალიტეტი) ამავე სახელწოდების სოფლის განაპირა მხარეს, მდ. აბაშის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. მისი სიმაღლე 6 მ-ია და ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა. აქ, ხის ძეღური ნაგებობები აღმოჩნდა [მიქელაძე და სხვ., 1974: 33-35; ჯიბლაძე 2007].

კოდორი I-ის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე (სოფ. ნაესაკოვოსთან — აბაშის მუნიციპ.), მდ. რიონის და მდ. ნოღელის შესართავთან მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 3 მ, ხოლო დიამეტრი 60 მ-მდეა. ირგვლივ მას ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა. აღმოჩნდა ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები [იხ. მიქელაძე და სხვ., 1972: 26]. აქვე მდებარეობს კოდორი II ხელოვნურად გამართული ნამოსახლარიც, სადაც ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები და იგივენაირი არქეოლოგიური მონაცემებია აღმოჩენილი [Микеладзе 1990: 33].

პალურის ჟირსუკის ორი გორანამოსახლარი (წალენჯიხის მუნიციპ.) ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროს ტერასაზე მდებარეობს. ამ ნამოსახლართან ახლოს სამაროვანიც მდებარეობს [გრიგოლია 1971: 29].

პატრიკეთის ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 7 მ, ხოლო დმ - 90 მ-მდეა. ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოსდევდა. ბორცვის გათხრისას საცხოვრებელი, ხის ძეღური ნაგებობები გამოვლინდა [იხ. Джапаридзе და სხვ. 1979: 25].

დაბლაგომის ნამოსახლარი (სამტრედიის მუნიციპალიტეტი) ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობს, ე.წ. ნაციხვარის კონცხის ფერდის ძირას, რიონის დაბლობიდან 200 მეტრის სიმაღლეზე. ბორცვის თხემზე მდებარე ნამოსახლარზე ხის ძეღებიან-ბათქაშებიანი ნაგებობების ნაშთები გაითხარა. აქ ე.წ. კოლხური ცულის ჩამოსახმელი ყალიბი და შუბისპირები აღმოჩნდა [იხ. თოლორდავა 1977: 71].

მაღლაკისა და საყულიას ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვები წყალტუბოს მუნიციპ.-ის ტერიტორიაზე მდებარეობს. მათი სიმაღლე 7 მ, ხოლო დმ - 100 მ-მდეა. ბორცვების გათხრისას ხის ძეღური ნაგებობები გამოვლინდა [კალანდაძე კ. და სხვ. 2004: 18].

შუხუთის ტერასული ნამოსახლარი ამავე სახელწოდების სოფლის თავზე, ე.წ. ნაციხვარის ჩრდილო-აღმოსავლეთით 150 მ-ზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს. გათხრისას ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა [სადრაძე და სხვ. 1996: 31].

არგვეთას ნამოსახლარი საჩხერის მუნიციპ.-ის ტერიტორიაზე, ამავე სახელწოდების სოფელთან, მდ. ლაშურას მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს [იხ. ჯიბლაძე 2007].

საირხის საბადურის გორაზე (I კულტურული ფენა) და მოდინახეში ხის ძელებიანი ნამოსახლარის ნაშთები და მისი შესაბამისი მასალებია გამოვლენილი [იხ. მახარაძე და სხვ. 1997: 21; ნადირაძე 1975: 21; 1990: 9].

ოჩამჩირის ნამოსახლარი მდ. ჯიხამურის მარცხენა ნაპირთან, მდინარის ზღვასთან შეერთების ადგილას მდებარეობს. ისინი ხელოვნურ ბორცვთა ტიპს განეკუთვნებიან. ზღვის სანაპიროს გასწვრივ განლაგებული სამი ბორცვიდან დასავლეთისა იყო შესწავლილი. ამ ხელოვნური ბორცვის სიმაღლე 6 მ, ხოლო დიამეტრი 70 მ-მდეა. აქ ხის ძელებიანი ნაგებობების ნაშთები გაითხარა. ბორცვ-ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა [იხ. Соловьев 1939: 44-48].

მაჭარას ნამოსახლარი დაბალ ტერასაზე, ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 300 მეტრზე მდებარეობს. აქ ხის ძელებიანი ნაგებობების ნაშთები გაითხარა [იხ. Бжания 1966: 113-124].

სოხუმის მთის ნამოსახლარი მდებარეობს ამავე სახელწოდების მთის თხემზე. აქ ხის ძელებიანი ნაგებობების ნაშთები გაითხარა. აქ, ფენებში კერამიკასთან ერთად გამოვლინდა მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები [იხ. კალანდაძე 1953: 18-19].

კისტრიკის ნამოსახლარი გუდაუთასთან, ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვისპირა ტერასაზე მდებარეობს. აქ, გათხრისას ხის ძეღური და ჯარგვალისნაირი ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა [იხ. Бжания და სხვ. 1987: 43].

ტამიშის ნამოსახლართა კომპლექსი ქ. ოჩამჩირის ჩრდილო-დასავლეთით, ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 300 მეტრის დაშორებით მდებარეობს. ეს არქეოლოგიური ძეგლი ხელოვნურ ბორცვთა ტიპს განეკუთვნება. გათხრისას ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა [იხ. Барамидзе და სხვ. 1980: 113].

ფიჩორის ხელოვნურ ნამოსახლართა კომპლექსი ქ. გალის ჩრდილო-დასავლეთით 40კმ-ზე, მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროდან 4 კმ-ზე, ზღვიდან 500 მ-ში მდებარეობს. ნამოსახლართა კომპლექსის საერთო ფართობი 12 ჰ-მდეა. კომპლექსის შუაში 5მ სიმაღლის ცენტრალური ბორცვია აღმართული. მთელ ამ კომპლექსს ირგვლივ 10 მ-ის სიგანის ხელოვნური თხრილი შემოსდევს. ცენტრალურ ბორცვზე ხის ძელებიანი, ჯარგვლური ტიპის შენობების ნაშთები გაითხარა [იხ. Барамидзе და სხვ. 1987: 43; ჯიბლაძე 2007:17-18].

ჯვარალეების ხელოვნურად გამართული ნამოსახლართა კომპლექსი (ფართობი 7ჰა) მდებარეობს სოფ. ფიჩორის განაპირა მხარეს, ზღვიდან 3 კმ-ზე. ის 7 ბორცვისაგან შედგება, სადაც გამოირჩევა ცენტრალური ბორცვი (სიმაღლე 4 მ, დმ - 70 მ-მდე). ნასახლარ-ბორცვებს ირგვლივ 3 მ-ის სიგანის და 2 მ-ის სიღრმის ხელოვნური თხრილი შემოსდევდა [იხ. ბარამიძე და სხვ. 1990: 23].

რეფო-შეშელეთის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი (სიმაღლე 9 მ, დმ - 120 მ-მდე) მდებარეობს გალის მუნიციპალიტეტში, ამავე სახელწოდების სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ბორცვზე ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები დადასტურდა. ნასახლარს ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მხრიდან ნაარხალი ეტყობა [იხ. Барамидзе და სხვ. 1982: 67-68].

ნაკარლალის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი (სიმაღლე 5 მ, დმ - 80 მ-მდე) ქ. გალის დასავლეთით 45 კმ-ზე, მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ფიჩორის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს. ბორცვს წრიულად შემოსდევდა ხელოვნური თხრილი. ბორცვზე ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები დადასტურდა [იხ. Барамидзе და სხვ. 1987: 46-47].

ნიფურისას ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი ქ. გალის რაიონის სოფ. თაგილონში, მდ. ენგურის შენაკადის ხაიას მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 7 მ-ია, ხოლო დმ - 100 მ-მდეა. აქ ხის ძელური ნაგებობების ნაშთები დადასტურდა [იხ. ბარამიძე და სხვ. 1990: 23-27].

განმუხურის ხელოვნურად გამართული ნამოსახლართა კომპლექსი მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 400 მ-ზე. ბორცვის სიმაღლე 3 მ, ხოლო დმ - 60 მ-მდეა. ბორცვზე ხის ძელური ნაგებობების ნაშთები დადასტურდა [იხ. ბარამიძე და სხვ. 1990: 23-26].

ისპანის ნამოსახლარი ქ. ქობულეთის აეროდრომის ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ-ზე მდებარეობს. ნამოსახლარზე უნდა ყოფილიყო გავრცელებული ხის ჯარგვლური ტიპის ძელური ნაგებობები [იხ. ინაიშვილი 1973: 15; ხახუტაიშვილი 1995: 39].

ნამჭედურის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი ქობულეთთან მდ. ოჩხამურისა და ჩოლოქის შეერთებდან 1 კმ-ზე ჩრდილოეთით, ზღვიდან 300 მ-ზე მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 5 მ-ია, ხოლო საერთო ფართობი 2000 კვ. მ-მდეა. აქ ხის ძელურ ნაგებობათა ნაშთები გამოვლინდა. ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოსდევდა [იხ. Микеладзе და სხვ. 1985: 11-22].

ჩოლოქისპირა ნამოსახლარი ქობულეთის რაიონში მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავთან მდებარეობს. ის ხელოვნურად გამართულ ბორცვთა ტიპს განეკუთვნება. აქ, მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული სახელოსნოს ნაშთები გამოვლინდა. ნამოსახლარზე ხის ძელური, ჯარგვლური ტიპის შენობები დაფიქსირდა [იხ. ჩავლეიშვილი 1991: 17-25; ჩავლეიშვილი 1987: 12].

ჰეროდოტეს (იხ. ისტორია IV, 37) მიხედვით შავი ზღვიდან სპარსეთის ყურემდე სულ ოთხი ხალხი სახლობს. ესენია ირანელები, მიდიელები, კოლხები და სასპერები. სახელი სპერი ძველი სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის სახელში შემორჩა. საყურედღებოა, რომ ჰეროდოტე აღნიშნავს კოლხ და სასპერ მეომრებს ერთნაირი ჩაცმულობა და ბრძოლის მეთოდი ჰქონდათ: "... სასპერები ლაშქრობდნენ კოლხებივით" -ო (ჰეროდოტე VII, 78, 79). ეს კი კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ მოდგმის ხალხთა (კოლხების და სასპერების) ერთიან წარმომავლობაზე. სასპერები ეს ის ქართველური მოდგმის ტომია, რომლებმაც შემდეგ საზოგადოების კონსოლიდაციის შედეგად, მდ. მტკვრის შუა წელზე ცენტრით მცხეთაში ქართლის სამეფო შექმნეს და რომლებსაც ძველი ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროები იბერიის სამეფოს უწოდებენ.

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუელების და ნომადური ტომების აგრესიულმა მეზობლობამ კოლხეთის მთებით შემოსაზღვრულ რეგიონში მომხდურთან დასაპირისპირებლად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების თავდაცვითი ორგანიზება და შეკვრა-კონსოლიდაცია გამოიწვია. მოცემულ საგარეო ფაქტორს შემდგომში, ძვ.წ. V საუკუნისათვის, კოლხეთის სახელმწიფოს განვითარების პროცესში საგრძნობი როლი უნდა შეესრულებინა. კოლხეთის სამეფოს განმტკიცებაში გამორჩეული, კონსტრუქციული ადგილი ეჭირა კულტურულ ინოვაციებსაც. საგარეო ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ე.წ. ბერძნული კოლონიზაციის მიმდინარეობა კოლხეთის ზღვისპირეთში. საბერძნეთიდან გასული მოსახლეობის ახალშენებს შორის გაიმიჯნა სავაჭრო და აგრარული კოლონია-აპოიკები [იხ. Vallet 1973: 53-72]. პირველი, კონსტრუქციული საგარეო ფაქტორია — ემპორიონები. მეორე (ხორიანი პოლისები) — დესტრუქციულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რადგან მას თან ახლავს ტერიტორიის დაკარგვა და ადგილობრივი მოსახლეობის განდევნა. ე.წ. ბერძნულ კოლონიზაციას, როგორც საგარეო ფაქტორს, კოლხეთისათვის დადებითი ძვრები მოჰყვა. კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო იმ ხანად მოწინავე ბერძნულ სამეურნეო და კულტურულ მიღწევებს, რამაც მნიშვნელოვანი სტიმული მისცა კოლხურ საზოგადოებაში საქალაქო ცხოვრების დანინაურებას. სანაპიროზე განვითარდნენ ქალაქები — ფასისი, გიენოსი, დიოსკურია.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პროტოსახელმწიფოს შემდგომ, ძვ.წ. V-IVსს.-ში კოლხეთის ძლიერი სამეფო განვითარდა. კოლხეთის სამეფოს კეთილდღეობის ეპოქა

თვალნათლივთა ასახული როგორც წერილობით წყაროებში, აგრეთვე მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან არქეოლოგიურ მონაცემებში [დანვრ. იხ. ლორთქიფანიძე 2002: 124-237; Braund 1994]. მოცემული ეპოქის კოლხეთის სამეფოს გული მდინარე ფასისის (რიონის) შუა წელზე იყო განლაგებული. ძველი ბერძენი ავტორები მის მთავარ ქალაქს ქ(კ)უთაიას უწოდებდნენ [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 157] კოლხეთში მრავალდარგოვანი ხელოსნური წარმოება იყო განვითარებული. აქ ლითონის დასამუშავებელი, კერამიკის გასაკეთებელი, ხის და ტყავის დასამუშავებელი, სხვადასხვაგვარი სამკაულების დასამზადებელი და სხვ. სახელოსნოები არსებობდა. კოლხეთის სამეფოს ეკონომიკური წინსვლის საყრდენს რკინის კარგად განვითარებული წარმოება წარმოადგენდა, რომელიც მინათმოქმედება-სამეურნეო საქმიანობას მრავალრიცხოვანი სანარმოო იარაღით ამარაგებდა. ამის მოწმობაა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებული რკინის სახნისები, თოხები, ცულები და სხვ. მინათმოქმედების მაღალი დონის მაჩვენებელია სხვადასხვა ჯიშის მარცვლეულის აღმოჩენაც. სწრაფმბრუნავ სამეთუნეო ჩარხზეა დამზადებული მრავალფეროვანი კოლხური ჭურჭელი, რომელიც სამეფოს მთელ ტერიტორიაზე ფორმების და გაფორმების მიხედვით გარკვეულად სტანდარტულ-ერთსახოვანია. კოლხეთის სამეფოში ძირითად საამშენებლო მასალად ხე და თიხა გამოიყენებოდა, რაც გენეტურად უკავშირდება წინამორბედი ეპოქის სამოსახლოებს. ძვ.წ. V-IVსს.-ში კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე იჭრებოდა თავისებური მონეტები — ე.წ. *კოლხური თეთრის* სხვადასხვა ნომინალები. არქეოლოგიური გათხრებით კოლხეთის სამეფოს უაღრესად თავისთავადი მხატვრული კულტურა წარმოჩინდა. მის ერთ-ერთ დანიშნულებულ დარგს ოქრომჭედლობა წარმოადგენს. მაგ.: ვანში და საირხეში მიკვლეულია ოქრომჭედლობის თავისებური ნიმუშები — ყელსაბამები, დიადემები, საყურეები, სამაჯურები. ეს ნივთები ფრიად ორიგინალურია და მხოლოდ იმ დროინდელი კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი (ჭედვა, ტვიფრვა, რჩილვა, ცვარა) [იხ. ლორთქიფანიძე 1971: 51-63].

წერილობით წყაროებში დაცული ცნობები [იხ. ქც. 1955: 24], რომლის მიხედვითაც აზოს და შემდგომში ფარნავაზის დროს (ძვ.წ. III ს. დასაწყისი) კოლხეთის ნაწილი იბერიის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული, სანდოდ გამოიყურება. ამ დროისათვის კოლხეთის სამეფო დასუსტებულია. ის კარგავს ტერიტორიებს. ჯერ აღმოსავლეთ, ხოლო შემდეგ შიდა კოლხეთზეც ვრცელდება იბერიის გავლენა [მელიქიშვილი 1965: 90; ბრაგვაძე 1990: 137-150]. ამ გარემოებას მხარს უბამს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მონაცემები. ძვ.წ. IV ს.-ის ბოლოს კოლხეთის მატერიალურ კულტურაში, რომელიც ადრე ერთგვაროვანი იყო, შეინიშნება ცვლილებები. ძვ.წ. III ს.-ში ეს ცვლილებები კიდევ უფრო გაღრმავდა. შემდგომ, განსხვავება შეიმჩნევა შიდა და ზღვისპირა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 40]. პირველად ეს აისახა დაკრძალვის ახალი წესის გაჩენაში (ქვევრსამარხები). ამგვარი სამარხები ძირითადად შიდა კოლხეთშია აღმოჩენილი — *ნიგორზღვა, დაფნარი, დაბლაგომი, სოფ. მთისძირი, ფარცხანაყანევი, ქუთაისი, წყალტუბო, მაღლაკი, ბანოჯა, ქვიტირი, გოდოგანი, ოდილაური, აჯამეთი, ჩხარი, ბანძა, ძვერი, ციხესულორი, დიდვანი, ბზვანი, მუხიანი, ჭოგნარი, მესხეთი, უკანეთი, ბუკისციხე, ზენობანი, გოგორეთი, ზემოფარცხმა, თეკლათი, ისულა, ზანათი, ნოქალაქევი, ბატნაოხურო, ლანჩხუთი, ძირულა, საჯავახო, ბორი* და სხვ. [იხ. თოლორდავა 1980: ტაბ. 1]. კოლხეთში ქვევრში დაკრძალვის წესის გაჩენა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, დაახლოებით ძვ.წ. IV ს. მიწურულიდან არის სავარაუდო. ამგვარი სამარხებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა რამდენადმე განსხვავდება მის წინა პერიოდში არსებულისაგან და მიგვითითებს ცვლილებებზე [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 40]. ქვევრსამარხებში აღმოჩენილ სამკაულებში (მძივები, სამაჯურები, საკისრე და საყურე რგოლები) და კერამიკაში შეიმჩნევა ადგილობრივი და შემოტანილი ფორმა-გაფორმების სიმბიოზი. შიდა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ცვლილება პირველად საირხის ლომინაურში [იხ. ნადირაძე 1975: 99], ითხვისში და ვანში [იხ. ლორთქიფანიძე 1977: 20] წითლად მოხატული ე.წ. იბერიული კერამიკის გაჩენით აღინიშნა. ამგვარი ჭურჭელი უცხოა ძვ.წ. III ს.-მდე კოლხეთისათვის.

ძვ.წ. IIIს-დან შიდა კოლხეთის არქიტექტურაზე, იბერიის გავლენა აისახა, მაგალითად: მსგავსება შეიმჩნევა არმაზციხე, წინამური, ღარის კარი, ციხიგორა, სამადლო, უფლისციხე და კოლხეთის — ვანი, საირხე, სამშენებლო წესებში (ალიზის აგური; ქვათლილების მშრალი ნყოფის ერთმანეთთან დაკავშირების წესი). სამადლოს, ვანისა და მცხეთის კრამიტების ნიშნებშიც მსგავსება აღინიშნება. მსგავსებაა სამადლოს, სარკინეს და ვანის ნაქალაქარების ტერასული პრინციპით დაგეგმარებაში. სამადლოს ნამოსახლარის სამშენებლო ქვის პეტროგრაფიული შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ასეთი ჯიშის ქვა (ეკლარის კირქვა) მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის მახლობლად მოიპოვება. კოლხეთის მატერიალურ კულტურაში გარდატეხის მიმანიშნებელია ისიც, რომ ძვ.წ. IV ს-ის ბოლოდან ე.წ. *კოლხური თეთრი* აღარ ჩანს ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევაში. ისინი ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს მონეტებმა და მინაბაძებმა ჩაანაცვლეს.

ძვ.წ. IV ს-ის მინურულის საომარი მოქმედებების შედეგადაა დანგრეული, მაგალითად, ვარციხის "*გიორგობიანების გორის*," ვანისა და სოფ. მთისძირის "*ადეიშვილების გორის*" ნაგებობები. სოფ. ვარციხის "*გიორგობიანების გორაზე*" აღმოჩენილი ნაგებობა დანგრეულ-გადამწვარია ძვ.წ. IV ს-ის მინურულს [ჯაფარიძე 1977: 43-50]. ამავე პერიოდშია გადამწვარი ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის თეთრი ქვით ნაგები შენობა და ზედა ტერასაზე გათხრილი ძეღურბათქაშიანი ნაგებობა. ძვ.წ. IV ს-ის მინურულისათვისაა დანგრეული სოფ. მთისძირის "*ადეიშვილების გორის*" ძეღურ-ბათქაშიანი თავდაცვითი ნაგებობა (შენობის დანგრევის დრო რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდითაა განსაზღვრული) [იხ. გამყრელიძე 1982: 56-63, 93]. კოლხეთის ძვ.წ. IV ს-ის მინურულის და ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის მატერიალურ კულტურაში ზემოთ აღნიშნული ცვლილებები შეიძლება, ერთი მხრივ, აზოს (აზონ) და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამოწვეული საომარი მოქმედებების შედეგებით აიხსნას. როგორც ცნობილია, იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესი სწორედ ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნაზე მიმდინარეობს [მამულია 1979: 93-113]. ამ დროისათვის შიდა კოლხეთიც პოლიტიკურად იბერიის სამეფოს ფარგლებში ერთიანდება. საისტორიო გადმოცემა ("*მოქცევაი ქართლისაი*" და "*ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა*") ქართლის სამეფოს წარმოშობის და აზო-ფარნავაზის ურთიერთობის შესახებ ძირითადად სანდოა. არიან-ქართლიდან (მდინარე მტკვრის, ჭოროხის სათავეების და ვანის ტბის ახლომახლო ტერიტორია; ჰეროდოტე III, 94) მოსულმა ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღზევებულმა აზომ ჯერ ქართლის გეოგრაფიულ-სტრატეგიული (მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყარი) ცენტრი "*მცხეთა*" დაიმორჩილა, ხოლო შემდგომში ქართველური მოდემის ხალხით დასახლებული სხვა მხარეებიც დაიქვემდებარა (მათ შორის ეგრისიც — resp. კოლხეთი) [იხ. ძვ. ქართული აგიოგრაფ... 1963: 81].

კოლხეთში ლეონტი მროველს ნახსენები აქვს ციხე-გოჯის (*ნოქალაქევი*), *შორაპნისა* და *დიმნის* ციხეები [ქც. 1955: 24]. შორაპანი თანამედროვე დაბაა შორაპნის ციხესთან, ხოლო დიმნი სოფ. ზედა დიმის ნაციხართან არის გაიგივებული. იმხანად კოლხეთში ცალკეული მხარე-ერთეულების გათიშულობა-დაპირისპირებამ იმძლავრა, ხოლო იბერიაში, პირიქით, მეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსოლიდაცია მოხდა და ცენტრალიზებულ ხელისუფლებიანი სამეფო განვითარდა. იბერიის სამეფომ ჩამოყალიბება-გაძლიერების პროცესში კოლხეთის ნაწილის ინკორპორაცია განახორციელა [იხ. გამყრელიძე 1985: 87-89]. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მანამდე, ვიდრე კოლხეთის ზღვისპირეთი მითრიდატე VI ევპატორის სამეფოს გავლენის ქვეშ არ მოექცა. კოლხეთის ზღვისპირეთში ძვ.წ. IVს-ის მინურულიდან განვითარდა პოლისური ტიპის ქალაქები — დიოსკურია, გიენოსი, ფასისი, ხოლო შიდა კოლხეთი იბერიის სამეფოს პოლიტიკურ გავლენას დაექვემდებარა [იხ. გამყრელიძე 1985: 86-97]. იბერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყვნენ კოლხეთის სტრაბონისეული სკეპტუხიები (იხ. სტრაბონი, XI, II, 18) — "*საირხე*" [იხ. ნადირაძე 1990], "*ქუთაისი*" [იხ. ლანჩავა 1975], "*ნოქალაქევი*" [იხ. ზაქარაია 1981; ლომოური, 1981: 18-46], "*ვანი*" [იხ. კრებ. ვანი, 1972, 1976, 1977, 1979, 1981, 1982, 1983]. ამგვარი ტერიტორიული დანაწილება განვითარდა, პირველ რიგში, ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-

კომუნიკაციური მდგომარეობის საფუძველზე. როგორც ჩანს, ზოგიერთი თემი უფრო დანინაურდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ საქალაქო ცენტრად. საყურადღებოა კოლხეთის შესახებ სტრაბონის "გეოგრაფიაში" შემონახული ცნობა: "თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ... ამის შემდეგ მემკვიდრეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება" (იხ. XI, II,18). როგორც სტრაბონის გეოგრაფიის ამ ნაწყვეტიდან ჩანს და არქეოლოგიური მონაცემებიც ამას მოწმობენ, დაახლოებით ძვ.წ. V ს-ათვის კოლხეთში უკვე გაფორმებულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-კომუნიკაციურ საფუძველზე წარმოქმნილი ტერიტორიული ერთეულები, რომელთა სათავეში ადგილობრივი დანინაურებული გვარის წარმომადგენლები იდგნენ. ამ ტერიტორიებიდან ზოგიერთი უფრო დანინაურდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ საქალაქო ცენტრად თავისი მიმდებარე ტერიტორიით. ასეთებია, მაგალითად, "ვანი", "ქუთაისი", "საირხე" და სხვ. სტრაბონის გეოგრაფიის ნაწყვეტიდან ჩანს, რომ კოლხეთი სკეპტუხიებად დაანანილეს, რაშიც უნდა იგულისხმებოდეს ქვეყნის დაყოფა გარკვეულ ტერიტორიულ-სამმართველო ერთეულებად. ეს დანანილება, ალბათ, ხელისუფლებამ ჩაატარა, რათა, ერთი მხრივ, გაადვილდებოდა ადმინისტრაციულად ქვეყნის მართვა, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ მეტი პოლიტიკური ცენტრალიზაციისათვის მიეღწია [იხ. ინაძე 1961: 783; ლორთქიფანიძე 1977:15].

საფიქრებელია, რომ მათი წარმოქმნის პირველ ეტაპზე ისინი უფრო ტომობრივ-ტერიტორიული ერთეულებია, ხოლო თანდათან ერთ-ერთი ამ ერთეულის არისტოკრატიული გვარი წინაურდება და ახერხებს დანარჩენების დაქვემდებარებას. სწორედ ეს არისტოკრატიული გვარი შემდეგ სამეფოს უკეთ სამართავად და ხელისუფლების განსამტკიცებლად ადმინისტრაციულ რეფორმებს ატარებს. აქ, ალბათ, ისეთივე რეფორმები ტარდება, როგორიც იბერიაში გაატარა მეფე ფარნავაზმა [იხ. ქც, 1955: 24]. დროთა განმავლობაში კოლხეთში საგამგებლო ერთეულებს შორის მოხდა გარკვეული დიფერენცირება, რადგან აქაური რეგიონული გეოგრაფიულ- აგროკლიმატური პირობები არათანაბარია (მაგ., რიონის დაბლობის სკეპტუხიები უფრო მდიდარი და შეძლებული უნდა ყოფილიყო, ვიდრე მთიანი გურიის). ამან შემდგომში, დაახლოებით ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარში, საგამგებლოებს შორის ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია, რაც საბოლოო ჯამში კოლხეთის სამეფოს დასუსტებით და იბერიასთან მისი ინკორპორაციით დასრულდა.

ძვ.წ. I ს. დასაწყისიდან კოლხეთის ზღვისპირეთში პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი გამოჩნდა [იხ. ისტორიოგრაფია — Reinach 1890; სანიკიძე 1956; გოზალიშვილი 1965; დუნდუა 1974: 146-159]. პონტოს სამეფოს თავისი პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ჰქონდა. აქ იყო განლაგებული დიოსკურიის, გიენოსის, ფასისის ქალაქები. ამ ქალაქების შემოერთებაში აისახა მითრიდატე ევპატორის ძირითადი მიზნის — მთელი შავიზღვისპირეთის გაერთიანების იდეის განხორციელება. ისეთი ძლიერი ხელისუფალის მმართველობაში შესვლა, როგორიც მითრიდატე იყო, ვაჭრობა-ეკონომიკასა და თავდაცვაში სტაბილურობის განმტკიცებას მოასწავებდა. იმ სანაპირო ნაქალაქარებზე, რომლებიც დღესდღეობით მეტნაკლებადაა არქეოლოგიურად შესწავლილი — ეშერა, სოხუმი-დიოსკურია, ოჩამჩირე-გიენოსი — არ არის დადასტურებული ძვ.წ. II-III ს-ის მიჯნის გადამწვარი ფენები ან რაიმე საბრძოლო მოქმედების კვალი [გამყრელიძე 1985: 97]. სტრაბონის (XI,II,17,18) ცნობებიდან სჩანს, რომ მითრიდატე დაინტერესებული იყო კოლხეთის სანაპიროთი, საიდანაც მას მისდიოდა მეტი წილი სანაოსნო საშუალებების გასამართავად, ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი — გემების ასაგებად. კოლხეთის სანაპირო ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა პონტოს სამეფოს თავისი ჩრდილოშავიზღვისპირა ტერიტორიების ზედამხედველობისათვის. მითრიდატემ, დაიკავა რა დასავლეთ კოლხეთი, მის ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია ქალაქი დიოსკურია (იხ. სტრაბონი, XI,II,18).

კოლხეთში სიტუაცია პონტო-რომის პირველი ომის დასასრულისათვის შეიცვალა, როცა მითრიდატემ მარცხი განიცადა საბერძნეთში. იბერიის დამარცხების შემდეგ

პომპეუსი გადავიდა კოლხეთში (იხ. პლუტარქე, *პომპეუსი* 34). რომაელების გამოჩენის დროს შიდა კოლხეთი დანაწილებული იყო სკეპტუხიებად (იხ. დიონ კასიუსი, *რომის ისტორია*, XXXVII,3). მათი ნაწილი იბერიის პოლიტიკურ გავლენას ემორჩილებოდა (მაგ., შორაპანი, რომელიც უბრძოლველად გაიარა პომპეუსმა), ხოლო ნაწილი კი, ეტყობა შედარებით დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა (მაგ. "ვანის" სკეპტუხია). სტრაბონის დედის ბიძას, მითრიდატე ევპატორის მოხელეს მოაფერნეს კი დასავლეთი კოლხეთი (resp. პონტოს კოლხეთი) ექვემდებარებოდა (სტრაბონი XI,II,18). პომპეუსი მდ. ფასისის გაყოლებით ზღვამდე ჩადის (ქ. ფასისში). რომაელები მათდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში კი არ ცვლიდნენ არსებულ სამმართველო აპარატის სტრუქტურას, არამედ მას თავიანთ სამსახურში აყენებდნენ. ისინი, კოლხეთშიც ასევე მოიქცნენ. შიდა კოლხეთის "სკეპტუხიებზე" (მაგ., *ოლთაკეს სკეპტუხიაზე*) საფიქრებელია, რომ რომის ძალაუფლება ეფემერული იყო. ჯერ კიდევ ლუკულუსი მითრიდატესთან ომის დროს აღნიშნავდა ამ მხარის სრულად დამორჩილების სიძნელეებს (იხ. პლუტარქე, *ლუკულუსი* 14).

იბერიის სამეფოსთან კოლხეთის ნაწილის ინკორპორაციამ კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური სტატუსის შეცვლა გამოიწვია. კოლხეთისათვის უარყოფითი საგარეო ფაქტორი გამოდგა პონტოს სამეფოს ექსპანსიამ, რომელსაც ზღვისპირეთის ანექსია მოჰყვა. რომმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა კოლხეთის განვითარების პროცესზე. ერთი მხრივ, ეს ზემოქმედება უარყოფითი გამოდგა — ქვეყნის დასავლეთი მხარე რომის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში კი რომაელთა ცბიერი პოლიტიკის შედეგად არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, რაც შემდგომში რომისადმი ნახევრად დაქვემდებარებული "სამთავროების" განვითარებით დასრულდა (იხ. ფლავიუს არიანე *"მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო"* 11).

იბერიის (resp. ქართლის) სამეფოში ძირითადი სამეურნეო-სამინათმოქმედო ფართობები შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მტკვრის ხეობაში, ტირიფონის და მუხრანის ნაყოფიერ ველებზე, ქვემო ქართლის ბარში და ალაზნის ველზე იყო განლაგებული. აქ ჰავა მშრალი კონტინენტურია. ამიტომ ინტენსიური მინათმოქმედებისათვის საჭირო იყო სარწყავი არხების გაყვანა. სტრაბონი, იბერიის შესახებ გადმოგვცემს: *"იბერია უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებით და სოფლებით; იქ არის კრამიტის სახურავიანი სახლები, რომლებიც არქიტექტურულად მონყობილია; ბაზრები და სხვა... ქვეყნის ნაწილი კავკასიონის მთებითაა გარშემორტყმული ... შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მორწყული; უდიდესი მათ შორის არის მტკვარი. ... ის მოედინება საძოვრებით მდიდარ ველზე, ერთვის სხვა მრავალ მდინარეს, რომელთა შორის არის ალაზანი, ... ესენი ... უერთდებიან კასპიის ზღვას"* (იხ. XI, III, 1,2). აქ საკმაო რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა: ხე, თიხა, ქვა და მეტალურგიული ნედლეული — სპილენძი, რკინა, კალა. აქაური ნოყიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ჰიდრორესურსები, მადნეული, ფლორის და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესის საფუძველს იძლეოდა. აქ დიდი ნაგებობების და სარწყავი არხების აგება შესაბამისი შრომის იარაღებისა და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ ცოდნა-გამოცდილების მქონე გამორჩეული პიროვნებები. სწორედ ეს ლიდერები ანხორციელებდნენ ამ მოსახლეობის დასახლებების დაცვას.

ამრიგად, თავდაცვითი და საცხოვრებელი პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვეტის პირობებში ხდებოდა გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაცია. სამუშაოების მასშტაბების და თავდაცვითი მზადყოფნის ზრდასთან ერთად იზრდება ლიდერების როლი საზოგადოებაში. დროთა განმავლობაში აქ პროტოსახელმწიფოებრივი საზოგადოებრივი წყობა განვითარდა. სოციუმის ამდაგვარი განვითარება, შესაძლოა ჯერკიდევ ე.წ. *დიდი ყორღანების* კულტურის დროს ჩაეყარა საფუძველი (დაახ. ძვ.წ. II ათასწლეული). ამ გარემოებებმა შემდგომ ხელი შეუწყო ძლიერი პოლიტიკური ერთეულის იბერიის სამეფოს წარმოქმნას. არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანაში, ინტენსიურად იყო დასახლებული ძველი საქართველოს ცენტრალური ნაწილი.

მოსახლეობა აქ ძირითადად ბორცვ-გორებზე ცხოვრობდა. მაგალითად, VIII-VI სს. ხოვლეს გორასაცხოვრისი იღებს დაბური დასახლების სახეს. ძვ.წ. VI-V სს. იზრდება *ხოვლეგორას* საფორტიფიკაციო მნიშვნელობა. მას შემოვლებული ჰქონდა საკმაოდ ღრმა თხრილი. ამ გორას გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს და ის აკონტროლებს ირგვლივ ტერიტორიას [დანვრ. იხ. ხიდაშელი 2009: 24-28].

მდინარეების ზემო ევფრატის, ჭოროხის, მტკვრის და არაქსის სათავეების მიმდებარე ტერიტორიაზე ქართველურ ტომთა (კოლხები, სასპერები, მესხები და სხვ.) გაერთიანების შედეგად ძვ.წ. XI-VIII სს.-ში განვითარდა პროტოსახელმწიფოებრიობა, რომელიც ჯერკიდევ უძველეს ლურსმულ წარწერებში მოიხსენიება. კოლხებს და სასპერებს ჰეროდოტეც (იხ. ისტორია IV, 37) ახსენებს. იბერიის ძვ.წ. III — ახ.წ. III სს. ისტორიისათვის ძირითად წერილობით წყაროს წარმოადგენს *"ქართლის ცხოვრების"* ნაწილი — *"ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა"*, რომლის შემდგენელ-გადამწერია სწავლული ლეონტი მროველი. ის წინამორბედთა მრავალფეროვანი, ქართული და უცხოური თხზულებებით სარგებლობდა. *"ცხოვრება ქართველთა მეფეთაში ..."* მოყვანილი ცნობების (პერსონაჟების, პუნქტების და სხვ.) უმეტესი ნაწილი, ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სადღეისოდ დოკუმენტურად დადასტურებულია. მაგ.: ციხე-ქალაქები — *ნასტაკისი, სარკინე, ციხე-გოჯი, არმაზციხე (ბაგინეთი), შორაპანი, დიშნა* [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2013].

ისტორიული პერსონაჟები — არტაგი (რესპ. არტოკე), ფარსმან I, ფარსმან ქველი, მითრიდატე (ანუ მიჰრდატი), ამაზასპი. არქეოლოგიურად აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასტურდება ისტორიულ პირთა სახელები: მეფე ფარსმანი ნახსენებია 75 წლით დათარიღებულ ე.წ. ვესპასიანეს წარწერაში, რომელიც მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს არმაზციხესთან აღმოჩნდა. აქვე იხსენიება მეფე მითრიდატე. ის აგრეთვე იხსენიება ე.წ. №1 წარწერაში, რომელიც არმაზში აღმოჩნდა. მეფე მითრიდატე მოიხსენიება ქ. რომში აღმოჩენილ წარწერაშიც. მეფე ფარსმანი ფიგურირებს ქ. რომის ნავსადგურ ოსტიაში აღმოჩენილ წარწერაში. იგივე მეფე ნახსენებია მცხეთაში, არმაზში არქეოლოგიურად გათხრილ ე.წ. *"არმაზის ბილინგვაზეც."* ამავე ბილინგვაზევე მოხსენიებულია *"იბერთა დიდი მეფე ქსეფარნუგი"*. *"იბერთა დიდი მეფე ამაზასპე"* მოიხსენიება არმაზციხეში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილ წარწერაში. *"ცხოვრება ქართველთა მეფეთაში..."* ნახსენებ ისტორიულ პირთა მოქმედებანი მრვალგზის აღინერება აგრეთვე ბერძნულ-ლათინურ წყაროებში. მაგ.: იბერიის მეფე არტაგს ძვ.წ. 65 წელს პომპეუსის იბერიაში ბრძოლების აღწერისას ახსენებს — აპიანე და დიონ კასიუსი. მეფე ფარსმანს — ტაციტუსი. მეფე ფარსმან II-ს იხსენიებს ფლავიუს არიანე; აელიოს სპარტიანე; იული კაპიტოლინი და სხვ. წერილობით წყაროებში ნახსენები იბერიის მეფეები ქართლის ხელმძღვანელ-ორგანიზატორები იყვნენ. მეფე ფარნავაზის მიერ გატარებულმა სამხედრო-ადმინისტრაციულმა რეფორმებმა საფუძველი დაუდო იბერიის სახელმწიფოს. შემდგომ ეს რეფორმები ფარნავაზიანთა დინასტიის სხვა მეფეებმა განავრცეს.

ძვ.წ. 334 წელს მცირე აზიაში ალექსანდრე მაკედონელის ჯარი გამოჩნდა. მაკედონელების მხარდაჭერით სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის ერთ-ერთი ქართველური გაერთიანების, *არიან ქართლის* მეთაურმა, აზონმა ილაშქრა და ციხე-ქალაქი სარკინე აიღო. იბერიაში მაკედონელთა მიერ აღზევებულმა აზონმა ხელთ იგდო ძალაუფლება. ამის შემდეგ, აქ აზონის მიერ, მმართველობის პრობერძნულ-მაკედონურ (resp. ჯეროპული) წესრიგი დამყარდა. იბერიის სამეფოს კონსოლიდაცია მტკიცეწეულად მიმდინარეობდა. ცალკეული მხარეების წარჩინებულ მეომართა გუნდები უცხო ძალის გამოყენებაში ხედავდნენ გამოსავალს, რათა უპირველესები გამხდარიყვნენ და ძალაუფლება ხელთ ეგდოთ. ამ ბრძოლებში ხან კიმერიელ-სკვითებს, ხან ირანელებს, ხანაც ბერძენ-მაკედონელებს იყენებდნენ. აზონს დაუპირისპირდა მცხეთელი წარჩინებული ფარნავაზი თავისი მომხრეებით (აღმოსავლურ-პროირანული). ამ დაპირისპირებას აზონის ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. აზონის და ფარნავაზის მომხრეთა შორის საბრძოლო მოქმედებებით გამოწვეული ნგრევის მონობაა საქართველოს ტერიტორიაზე

დადასტურებული ძვ.წ. IV ს. მინურულის გადამწვარი ნამოსახლარები, რომლებიც არქეოლოგების მიერ არის შესწავლილი [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2013].

ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში ფარნავაზმა მოახერხა მთელი იბერიისა და კოლხეთის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანება. მან საფუძველი ჩაუყარა ფარნავაზიანების სამეფო დინასტიას. წერილობითი წყაროები მას მიანერს იბერიის სახელმწიფო-ადმინისტრაციული რეფორმების ჩატარებას. ფარნავაზის დროს კოლხეთის ნაწილი იბერიის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული. ფარნავაზიანთა ეპოქის იბერიის სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამხედრო ორგანიზაციის საკმაოდ კარგი სისტემა ჰქონდა. სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო დაყოფილი. მათ ადგილობრივი სამხედრო-არისტოკრატიის წარმომადგენლები, ერისთავები, მართავდნენ, რომელთაც ბერძნული და არამეული წერილობითი წყაროები მოიხსენებს (იხ. სტრაბონი XI,II,18). ერისთავის ინსტიტუტს წარმოადგენდა — კვერთხი-სკიპტრა, განსაკუთრებული საბეჭდავი-ბეჭედი, მდიდრული სარტყელი, შეიარაღება და სხვ. ხსენებული ნივთები დოკუმენტურად დადასტურებულია საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში (იხ. მაგ. მცხეთის არქეოლოგიური აღმოჩენები). სამეფოს ჯარი (იხ. სტრაბონი, XI, III, 3; XI, IV, 5; აპიანე, მითრიდატიკა, 103; ქ.ც.; პლუტარქე, ლუკულუსი, 31) შეიარაღებული იყო — შუბებით, სატევრებით, საბრძოლო ცულებით, მშვილდ-ისრებით, ჯაჭვ-ჯავშნებით, მუზარადებით, ფარებით; საბრძოლო ეტლებით, ქვის ყუმბარების სატყორცნი მანქანებით. მათ, შეტევის და თავდაცვის, იმ დროისათვის მოწინავე, რკინის შეიარაღება ჰქონდათ [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2010]. იბერიის სამეფოს თავდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი საფორტიფიკაციო ნაგებობებს ეკავა, რომლებიც სტრატეგიულად მოხერხებულ და საჭირო ადგილებზე იყო განლაგებული — მაგ.: *მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, სარკინე, ნასტაკისი, შორაპანი, დიშნა* და სხვ. განსაკუთრებით სატახტო ქალაქი მცხეთა იყო დაცული. აქ მთავარ ციხესიმაგრესთან (*არმაზციხე*) ერთად სხვა, მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემა იყო აგებული [იხ. გამყრელიძე 2010; გამყრელიძე და სხვ. 2013].

I ს. პირველ ნახევარში იბერიის სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ გააფართოვა თავისი საზღვრები და მედგარი ბრძოლით აიღო მდ. არაქსთან მდებარე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი არტაქსატა. ამ დროისათვის იბერიამ დაიბრუნა სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ჭოროხის, მდ. მტკვრის და მდ. არაქსის სათავეების ტერიტორიები. ფარსმან II ქველი უკვე შეუფარავად ებრძვის რომის იმპერიას და ცდილობს მის განდევნას ზღვისპირა კოლხეთიდან და სამხრეთ ტრანსკავკასიიდან. იბერია, თავისი ინტერესების დაცვისათვის, გაბედულად უპირისპირდება იმ დროისათვის სამხედრო თვალსაზრისით უძლიერეს სახელმწიფოებს, რომსა და პართიას. ხსენებული სახელმწიფოები, როგორც ჩანს, იბერიის სამეფოს ანგარიშგასაწევ ძლიერ ქვეყნად მიიჩნევდნენ. ამიტომ, იმპერატორ ანტონინუს პიუსის (ახ.წ. 138-161 წწ.) დროს იბერიას და რომს შორის ურთიერთობები გამოსწორდა. რომაელი ისტორიკოსი ელიუს სპარტიანი მოგვითხობს, რომ რომის იმპერატორი პატივს სცემდა იბერთა მეფე ფარსმან II-ს, რადგან მისი სამხედრო მხარდაჭერა სჭირდებოდა სამხრეთ ტრანსკავკასიაში. ამის გამო, იბერთა მეფეს ურიცხვი ძვირფასი საჩუქარი (შესაძლოა, რომ სწორედ ეს ძვირფასი ნივთებია სადღისოდ, არქეოლოგიურად აღმოჩენილი მცხეთაში; იხ. მცხეთის არქ. გათხრების მასალები), საბრძოლო სპილო და ორმოცდაათკაციანი მეზრძოლთა რაზმი უბოძა (იხ. ელიუს სპარტიანი). ახ.წ. 140 წელს ფარსმან II ამალით, დიპლომატიური მისიით, იმპერიის სატახტო ქალაქ რომში ჩავიდა. აქ მას ზემოთ შეხვდნენ და პატივისცემის ნიშნად ფარსმანის ქანდაკებაც კი აღმართეს (იხ. დიონ კასიოსი, რომის ისტორია, XX, 2). იბერიის სამეფომ, რომსა და პართიას შორის მოქნილი პოლიტიკის წარმოების და წარმატებული ომების შედეგად საზღვრები გაიფართოვა.

ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ძველ საქართველოში, მსხვილი ქალაქური ტიპის დასახლებებიდან ქალაქები განვითარდა. ეს ქალაქები, ძირითადად გზების პირას, ვაჭრობის კონცენტრაციის და სამხედრო-სტრატეგიულ ადგილებზე წარმოიქმნენ. მათ შესახებ ინფორმაცია წერილობით და არქეოლოგიურ წყაროებშია შემორჩენილი. ასეთებია :

მცხეთა-არმაზციხე — ქ. მცხეთასთან, ნასტაკის-სამადლო — ქ. კასპის აღმოსავლეთით, ძალისა — სოფ. ძალისთან, სარკინე — ქ. მცხეთის დასავლეთით, უფლისციხე — ქ. გორის აღმოსავლეთით და სხვ. [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2013]. საქართველოში არქეოლოგიურად გამოვლენილ ძველ ქალაქთა ნაგებობანი შექმნილია იმდროინდელი მონინავე სამყაროსათვის დამახასიათებელი თეორიული და პრაქტიკული მიღწევების საფუძველზე. ქალაქის ყველაზე გამაგრებულ მონაკვეთს აკროპოლისი წარმოადგენდა აქ სახელისუფლო არისტოკრატიის რეზიდენცია და მთავარი ტაძარი იყო განლაგებული. ქალაქს მძლავრი თავდაცვითი კედლები ერტყა, რომელშიაც კოშკები იყო ჩაშენებული. გალავანს ხშირად თავდაცვითი თხრილი შემოუყვებოდა. კედლები ოთხკუთხა თლილი ქვებით და ალიზით ანუ გამოუმწვარი აგურით იგებოდა. ქვის, თლილ, ოთხკუთხა კვადრებს თიხის ხსნარით და ლითონის სამაგრებით ამაგრებდნენ. შენობების გადასახურად ბრტყელ და ღარიან კრამიტს ხმარობდნენ. ბუნებრივია, რომ ქალაქების საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული, სამეურნეო, წყალსადენის (წყარო, ჭა), საკულტო, და თავდაცვითი ნაგებობების შექმნა შესაბამისი შრომის იარაღებისა და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ სათანადო ცოდნა-გამოცდილების მქონე პიროვნებები. ერთ-ერთი პიროვნების, მცხეთის მთავარი არქიტექტორ-მშენებლის სახელი — *აგრელი აქოლისი*, ცნობილი გახდა მცხეთაში აღმოჩენილი საფლავის ქვის წარწერიდან.

ქალაქები ხელოსნობის და ვაჭრობის მსხვილ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ისინი ირგვლივ მდებარე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს ფლობდნენ, საიდანაც სურსათით მარაგდებოდნენ. იბერიის სამეფოს დედაქალაქი მცხეთა იყო, რომელიც ქალაქური ტიპის დაბების აგლომერაციას წარმოადგენდა. ის მდ. მტკვრის და მდ. არაგვის შესაყართან მდებარეობდა. მცხეთის ძირითადი ქალაქური დასახლებებია: არმაზციხე-მთაქართლი, კაციტავანა, არმაზისხევი, ღართისკარ-წინამურ-ზედაზნის სასიმაგრო ხაზი და მათ შორის ტერიტორია. მცხეთის არმაზციხე, დედაციხე აკონტროლებს მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის ხერთვისს და გზათა შესაყარს. აქ იბერიის მეფეთა რეზიდენცია მდებარეობდა. არმაზციხის ერთ მხარეს მდინარე მტკვარი საზღვრავს, ხოლო დანარჩენს პარალელური ხეხები. ხეხების კიდეს ოთხკუთხა კოშკებიანი სასიმაგრო ხაზი დაუყვებოდა. თლილი ქვის ნაგებობანი აქ, ძვ.წ. III ს. ბოლოდან იქმნებოდა; გამოყენებულია ალიზის აგურებიც. თავდაცვითი კედლის შიგნით განლაგებული იყო სასახლეები, ტაძრები, აბანო და სხვ. არქეოლოგების მიერ აქ აღმოჩენილია დიდი რაოდენობით კაპიტელები, სვეტები, სვეტისბაზები, კრამიტი და სხვა არქიტექტურული დეტალები.

ბერძნულ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ძველი საქართველოს ეკონომიკურ-კულტურულ წინსვლაში. არსებითად ეს ნიშნავდა მის ინტეგრაციას ხმელთაშუაზღვისპირეთ-სამხრეთ ევროპის ეკონომიკურ სისტემაში. ალბათ, ამანაც, ძველი საქართველოს ორიენტაცია იმ თავითვე ევროპული ცივილიზაციის მიმართულებით განსაზღვრა. მდინარე რიონ-ყვირილა (ფასისი) და მდინარე მტკვარი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო გზა იყო. ცნობები მისი სატრანზიტო მაგისტრალად გამოყენების შესახებ სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებშია შემონახული (იხ. სტრაბონი, XI, VII, 3 ; პლინიუს სეკუნდუსი, VI, 52). სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს კლასიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი უცხოური ნაწარმი.

ქართველური მოდგმა უძველესი დროიდან სახლობს დღევანდელი საქართველოს მიწაწყალზე. ქართველები, ქართველური ეთნოსი განვითარების თავდაპირველ საფეხურზე განსახლებული იყო სამი მდინარის — მტკვრის, რიონის და ჭოროხის აუზებში. ეს კი ზოგადად, ვანის ტბიდან შავზღვამდე და კავკასიონის ქედის ჩათვლით ტერიტორიას მოიცავს. ამ ტერიტორიაზე სახლობდა ძველი ქართველური მოდგმის ხალხი, რომელთა სხვადასხვა გაერთიანებებს საისტორიო წერილობითი წყაროები (იხ. ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.) სხვადასხვაგვარად

მოიხსენიებენ. კერძოდ — კოლხები, იბერები, ხალიბები, მოსუნიკები, სასპერები, მაკრონები, ჰენიოხები, მოსხები, ტაოხები, აფსილები, ტიბარენები, სანიგები; შემდგომ, ჭანები, ლაზები, სვანები, ეგრნი, ქართნი და ა.შ. [იხ. საქართველო და ქართველების აღმნიშვნელი...1993]. პროტოსახელმწიფოებრიობა უფრო მტკვრის, ჭოროხის მდინარეთა ზემო წელის აუზებში ჩაისახა და შემდგომ მყარი სახელმწიფოებრიობა მდ. რიონის აუზში განვითარდა და მდ. მტკვრის შუა წელიც მოიცვა. ძვ.წ. IIIს-დან კი პირიქით, კოლხეთი, გაძლიერებული და კონსოლიდირებული იბერიის სამეფოს ფარგლებში მოექცა. კოლხეთ-ლაზიკისა და იბერიის ადგილსა და საფუძველზე განვითარდა ერთიანი სახელმწიფო — საქართველო. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



არქიტექტურისა და მხანაულობის შესახებ

გ. გამყრელიძე, ნ. ჯაბუა

საქართველო იმ ქვეყნების რიგს განეკუთვნება, რომელთა ტერიტორიაზე სამშენებლო საქმე უძველესი დროიდან განვითარდა. ზომიერი სარტყლისათვის დამახასიათებელი კლიმატი აქ ცხოვრებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ადამიანი ჯერ ბუნებრივ გამოქვაბულებს და დროებით სადგომებს აფარებდა თავს, შემდგომ კი საცხოვრისის აშენებაზე დაიწყო ზრუნვა. ეს პრობლემა გააქტიურდა სამინათმოქმედო საქმიანობის დაწყების ხანიდან, როცა მოსავლის მოყვანის თუ მონეული ჭირნახულის დაბინავებისას დადგა ხანგრძლივად ერთ ადგილზე ცხოვრების საკითხი. რეალურად ამან განაპირობა სამშენებლო საქმის და არქიტექტურის, როგორც ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი დარგის, ფორმირებისთვის საფუძვლის მომზადება. საქართველოს ტერიტორიაზე ამ მნიშვნელოვანი პროცესის მიმდინარეობაზე წარმოდგენას ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარები გვიქმნის. ნათელია, რომ ამ ეპოქის ადამიანმა შესძლო ბუნებაში არსებული თიხის და წყლის მეშვეობით სამშენებლო მასალის — ალიზის შექმნა და მისთვის ესოდენ საჭირო საცხოვრისის აგება.

განვითარების შემდგომ პროცესს წარმოაჩენს თავდაპირველი მარტივი სტრუქტურის თანდათანობით გარდაქმნის, კონსტრუქციული, უტილიტარული თუ გარკვეული იდეურ-მხატვრული საკითხების გადაჭრის მცდელობები, რაც საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადასტურებულ ძეგლებში კარგად ვლინდება. ეს არტეფაქტები უაღრესად ღირებულ მასალას წარმოადგენს ხუროთმოძღვრების გენეზისის, ცალკეული არქიტექტურული ფორმების, სამშენებლო საშუალებებისა თუ ხერხების, ათასწლეულების განმავლობაში სამშენებლო გამოცდილების მემკვიდრეობითობის კვლევის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში შესაფერისი პირობები იყო არა მხოლოდ ხუროთმოძღვრების ჩასახვის, არამედ მისი ინტენსიურად განვითარებისათვის. მრავალფეროვანი ლანდშაფტი და ნაირგვარი სამშენებლო მასალის არსებობა ის მოცემულობა იყო, რამაც დროთა ვითარებაში მდიდარი ხუროთმოძღვრული ტრადიციების ფორმირებას შეუწყო ხელი. ეს პროცესი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ხის თუ ქვის რესურსის ათვისების და შესაბამისი სამშენებლო ხერხების დაუფლების გზით სხვადასხვა ლანდშაფტურ თუ კლიმატურ პირობებში განსხვავებულად წარიმართა. შედეგად შეიქმნა მრავალგვარი არქიტექტურული ფორმის ჩამოყალიბების და ხუროთმოძღვრების დინამიურად განვითარების პერსპექტივა. სამშენებლო საქმიანობის გააქტიურებას ბრინჯაოსა და შემდგომ რკინის ეპოქებში შრომის იარაღების გაუმჯობესებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

ხუროთმოძღვრების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის სპეციფიკამ. სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდებში ცივილიზაციის მოწინავე ცენტრებთან ინტენსიური კულტურული კავშირების არსებობამ სამშენებლო-ტექნიკური თუ მხატვრულ-სტილისტური ნოვაციების თანადროულად ათვისების შესაძლებლობა უზრუნველყო. ამან ეპოქის შესაბამისი სიახლეების დანერგვასა და ხუროთმოძღვრების განვითარების სტიმულირებას შეუწყო ხელი. ამდენად, საქართველოში არსებობდა ობიექტური პირობები არქიტექტურის ჩასახვა-განვითარებისათვის, რაზეც მის ტერიტორიაზე მიკვლეული უძველესი ძეგლები და მათი ქრონოლოგია მეტყველებს. ეს ნაგებობები უტყუარად ადასტურებს სამშენებლო საქმის ხანგრძლივი და მრავალმხრივი გამოცდილების არსებობას ძვ.წ. I ათასწლეულისთვის. ამას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს ხუროთმოძღვრების შესწავლისათვის ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, რომელიც ორ, წინაქრისტიანულ და ადრექრისტიანულ ხანას მოიცავს. ამ ეპოქებში არქიტექტურა და სამშენებლო საქმე განსხვავებული ხასიათისაა, რასაც ისტორიულ-კულტურული კონტექსტი თუ რიგი სხვა ფაქტორები განაპირობებს. თუმცა მჭიდრო კავშირის არსებობაც უდაოა, რაც ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო გამოცდილების მემკვიდრეობითობით არის განპირობებული. ადრექრისტიანული ეტაპი ქმნის იმ ნიადაგს, რომელზეც შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის მიღწევები იქნა დაფუძნებული. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდების, განსაკუთრებით წინაქრისტიანული, ხუროთმოძღვრული ძეგლების და არქიტექტურაში მიმდინარე პროცესების შესწავლას ართულებს ნაგებობების შესახებ არსებული ინფორმაციის ფრაგმენტულობა. ეს აძნელებს და ხშირად შეუძლებელს ხდის მათი თავდაპირველი სახის სრულფასოვნად აღდგენას. მიუხედავად ამისა, არსებული არტეფაქტები ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის წარმოჩენის და ხუროთმოძღვრების განვითარების ძირითადი მიმართულების დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

წინა პერიოდის მოკლე მიმოხილვა. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანების ცხოვრების კვალი პალეოლითის და ნეოლითის პერიოდებშია დადასტურებული. ამ დროს ძირითადად ღია ტიპის დროებით სადგომებს, ეხებასა და გამოქვაბულებს იყენებდნენ. საგანგებოდ აგებული მუდმივი საცხოვრისი და სოფლის ტიპის პირველი დასახლებები ადრესამინათმოქმედო კულტურის ეტაპზე ჩნდება. ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით დათარიღებული ამ კულტურის გავრცელების არეალი სცდება დღევანდელი საქართველოს ფარგლებს. საქართველოს ტერიტორიაზე ისინი ძირითადად კონცენტრირებულია მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადების, ხრამისა და დებედას, აუზში. ისინი ერთმანეთისაგან 10-15 კმ-ის დაშორებით 3-5 სოფლისაგან შემდგარ კომპაქტურ ჯგუფებად იყო განლაგებული. თავად სოფლები უმეტესად ბორცვებზე იყო გაშენებული. დასახლებისთვის ადგილის შერჩევასა საგანგებოდ იყო გათვალისწინებული წყლის რესურსთან სიახლოვე, ქარების მოძრაობის მიმართულება თუ სხვა კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებები, რაც აშკარად მიუთითებს იმ პერიოდის ადამიანის გარემო პირობებზე დაკვირვების და გარკვეული გამოცდილების დაგროვების უნარზე. ამგვარი დასახლებებია — *შულავერის გორა, იმირის-გორა, არუხლო, წითელი გორები, ხრამის დიდი გორა, ნოფი, ამირანის გორა* და სხვ. [იხ. ჯაფარიძე ოთ. 2003: 87]. ამ პუნქტებში არქეოლოგიური კვლევა-ძიება თვალსაჩინოდ ავლენს ინტენსიური ცხოვრების კვალს. შეინიშნება ნაგებობათა გადაკეთების, თავად დასახლების ფართობის შემცირების ან გაზრდის კვალი, რაც მოსახლეობის ერთ ადგილზე ხანგრძლივად ცხოვრების შესახებ მეტყველებს. ნაგებობები მეტწილად წრიული მოედნის გარშემო უსისტემოდ იყო განლაგებული. ძირითად საშენ მასალას წარმოადგენდა ალიზის აგური, რომელიც ალუვიური, წვრილმარცვლოვანი, ღია მონაცრისფრო-მოყვითალო ფერის თიხისგან მზადდებოდა. აგურები გამოუწვავი, მზეზე გამომშრალი იყო და კედლის წყობაში ჰორიზონტალურად, ცალპირად ლაგდებოდა. ისინი თიხის ხსნარით უკავშირდებოდა ერთმანეთს. კედლები და იატაკი თიხის ხსნარითვე იყო შელესილი. ნაგებობები გეგმაში წრიული ან ელიფსური ფორმისა იყო. კედლებს საძირკველი არ გააჩნდა. ისინი პირდაპირ მიწის ზედაპირზე იყო ამოყვანილი. ნაგებობის

სიდიდე მისი ფუნქციით განისაზღვრებოდა. დიდი (2,5-5 მ. დიამეტრის) საცხოვრებელს წარმოადგენდა, საშუალო (1,5-2 მ.) დამხმრე სათავსს, ხოლო მცირე (0,5-0,75მ) საკვების შესანახი ორმო იყო [იხ. აბრამიშვილი და სხვ. 2000: 7-8].

საცხოვრისის ტიპის ევოლუციის შემდეგ ეტაპს ქმნის ე.წ. *მტკვარ-არაქსის* კულტურის ძეგლები (ძვ.წ. IV ათასწ. მეორე ნახ. — III ათასწ. პირველი ნახ.) [იხ. ჯაფარიძე ოთ. 2003: 102]. დასახლებები მდინარეთა გასწვრივ, ერთმანეთისაგან 3-4 კილომეტრით იყო დაშორებული. დასახლებისათვის შერჩეული იყო ბუნებრივად კარგად დაცული ადგილები, შემალღებათა და წყალგამყოფი მთაგრეხილების თხემი და ფერდობები. კვადრატული დაგეგმარების დასახლებაში სახლები ერთმანეთის მიმართ მეტ-ნაკლებად სწორ რიგებად იყო განლაგებული, რის საშუალებას მათი სწორკუთხა გეგმა იძლეოდა. ზოგჯერ სახლები ერთმანეთს გვერდითი ან უკანა კედლებით ებჯინებოდა, რაც მჭიდროდ დაკავშირებული სახლების ჯგუფს ქმნიდა. ცალკეული სახლები მცირე მოედნების ირგვლივ იყო განლაგებული. ნიშანდობლივია, რომ სახლების ორიენტაცია თითოეულ დასახლებაში ემორჩილებოდა კლიმატური პირობების (ქარების და მზის სხივების მიმართულების) გათვალისწინების პრინციპს. საინტერესოა, რომ სწორკუთხა სახლებს კუთხეები გეგმაში მომრგალებული ჰქონდა, რაც მისი აგების სპეციფიკით, კედლებში ვერტიკალურად ჩადგმული ხის მასალის გამოყენებით, იყო განპირობებული.

სამშენებლო საქმის განვითარების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია მტკვარ-არაქსის კულტურაში ახალი მასალის და სამშენებლო წესების დანერგვა, რაც უმნიშვნელოვანეს ნოვაციას წარმოადგენდა. თუ ადრესამინათმოქმედო კულტურაში ძირითადი საშენი მასალა თიხა და ალიზ-აგური იყო, საცხოვრისის კი წრიული გეგმა ჰქონდა, მტკვარ-არაქსის კულტურაში აქტიურად შემოდის ხის მასალა, მისი კარკასად და საყრდენად გამოყენების წესი. ეს ნაგებობის სწორკუთხა მოხაზულობას და ბანური გადახურვის მოწყობას უზრუნველყოფდა. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ რეგიონებში ქვის მასალის გამოყენების მაგალითებიც ფიქსირდება. ხის და მით უფრო ქვის გამოყენება, ცხადია, უმთავრესად სამეურნეო იარაღის გაუმჯობესებას და ლითონის (ბრინჯაოს) გამოყენებას უკავშირდება და სამშენებლო საქმის უკეთ განვითარებას ადასტურებს. ამგვარი ძეგლებია მაგ.: *ხიზანანთ-გორა*, *ქვაცხელები*, *გუდაბერტყა*, *ციხიავორა*, *ნაცარგორა* და სხვა. *ხაზანანთ-გორა* და *ქვაცხელები* ახალი ტიპის სახლების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის. გარკვეული ტრანსფორმაციის ნიშნები ჯერ კიდევ ადრესამინათმოქმედო კულტურის გვიან ეტაპზე ფიქსირდება (*იმირის გორას* საყრდენიანი სახლი), თუმცა მთელი სისრულით სიახლე სწორედ ამ დასახლებებში გამოვლინდა. ამ პერიოდის საცხოვრისის ტიპური ნიმუშია *ქვაცხელას* საცხოვრისი.

ქვაცხელას ყველა საცხოვრისი ერთმანეთის მსგავსია. ისინი 30-50 კვ.მ ფართობის ნაგებობებია, რომლებიც სწორკუთხა მოხაზულობისაა, ოდნავ მომრგვლებული კუთხეებით. თითოეული ნაგებობა შედგებოდა ორი ნაწილისაგან: თითქმის კვადრატული გეგმარების საცხოვრებელი ოთახისა და სამეურნეო დანიშნულების დერეფნის - ერთგვარი წინკარისაგან. ნაგებობაში შესასვლელი საფასადო მხარეს, წინკარში იყო გაჭრილი. მის მოპირდაპირედ ოთახში შესასვლელი კარი მდებარეობდა. რელიეფის შესაბამისად, შენობის ორი ნაწილის დონეები შეიძლება განსხვავებული ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში ოთახში შესასვლელად საფეხურები იყო გამართული. საცხოვრებელი ოთახის უკანა კედლის გასწვრივ მდებარეობდა ოდნავ შემალღებული (10-15სმ სიმაღლის დ 70-80სმ სიგანის) ბაქანი, რომელიც მეცნიერთა აზრით საკულტო რიტუალის შესასრულებლად იყო განკუთვნილი. ოთახის ცენტრში გამართული იყო კერა. მის უკან მდგარი ხის ბოძი ბრტყელ გადახურვას იჭერდა. კერის თავზე უნდა ყოფილიყო საკვალმე ლიობი, საიდანაც სინათლეც შემოდებოდა. კოლხეთის დაბლობზე ხის ძელური სამოსახლოები ჭაობიან ადგილებში ბორცვებზე იყო განლაგებული. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის დაბლობზე მომდევნო პერიოდის ნამოსახლარებიც (მაგ. *ნამჭედური*, *ნოსირი*, *ანაკლია* და სხვა) მსგავსი სახისაა და მნიშვნელოვნად არ განსხვავდება წინამორბედი ხანის ნიმუშებისაგან [ჯაფარიძე ოთ. 2003: 186-187].

შუაბრინჯაოს ხანის განმავლობაში სამშენებლო საქმის განვითარების დონე ყველაზე უკეთ აისახა გრანდიოზული ყორღანული სამარხების მშენებლობაში. თრიალეთის ანუ ე.წ. დიდი ყორღანების კულტურა ნათელყოფს, რომ ძვ.წ. III-II ათასწლეულებში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას ჩამოყალიბებული რწმენა-წარმოდგენები გააჩნდა. საყურადღებოა, რომ ამ საზოგადოების განვითარების დონე გრანდიოზული სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად მატერიალური თუ ადამიანური რესურსების მობილიზების საშუალებას იძლეოდა. ამდენად, ე.წ. დიდი ყორღანების კულტურის ძეგლებში დაკრძალვის წესი და დასაკრძალი ნაგებობის მასშტაბი, მდიდრული ინვენტარის სიმრავლე, შემორჩენილი ნიმუშების ხასიათი და გამოსახულებების შინაარსი გარკვეულად მიგვანიშნებს ძველ აღმოსავლურ სამყაროსთან კულტურულ სიახლოვეზე. სამხრეთ საქართველოში შემორჩენილია მეგალითური ნაგებობები — მენჰირები, ხოლო დოლმენები ძირითადად აფხაზეთშია (მაგ. *ეშერა, აჭანდარა, ოთხარა*). გამოვლენილია ე.წ. ციკლოპური წყობით ნაგები ციხეები (*გობნარი, შაორი, ავრანლო, ქოროლო, ჩხიკეთა* და სხვ.). ამგვარი ნაგებობების არსებობა სამშენებლო საქმის განვითარების მნიშვნელოვანი ტექნიკურ-კონსტრუქციული საკითხების გადაწყვეტის, მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების კარგად ორგანიზების შესაძლებლობაზე მიუთითებს. ამრიგად ცხადია, ძვ.წ. I ათასწლეულისთვის საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო საქმის განვითარების დონე სათანადო საფუძველს ქმნიდა ახალი ეპოქის შესაბამისი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

წინაქრისტიანული საქართველოს არქიტექტურა, სამშენებლო მასალები და ხერხები. საქართველოში სამშენებლო მასალის რესურსი საკმაოდ მრავალფეროვანია. როგორც აღინიშნა, უძველეს ნამოსახლარებში ნაგებობები ალიზით იყო აგებული. ეს საშენი მასალა ათასწლეულების განმავლობაში გამოიყენებოდა. თავდაპირველად დასტურდება ალიზით ნაგები (მაგ.: *შულავერის გორა, არუხლო, იმირის გორა*), შემდგომ ხის კარკასის (მაგ. ქვაცხელა) და ქვის საფუძველზე ამოყვანილი კედლები (მაგ. ამირანის გორა). აღსანიშნავია, რომ ალიზს ფართოდ იყენებენ ძვ.წ. პირველ ათასწლეულშიც. მაგ. *ციხიაგორას* 1,5 მეტრი სისქის ქვის კედლებს ალიზის წყობა აგრძელებს [იხ. ცქიტიშვილი 2003: 11-25]; ხოლო ძვ.წ. II-I სს-ის *დედოფლის მინდორის* გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი მთლიანად ალიზის აგურით (ზომები — 50 X 50 X 15სმ) არის ნაგები [იხ. გაგოშიძე 1981:102-116].

საქართველოში ძირითადად ალიზის აგურის ორი სახეობა გვხვდება: კვადრატული და მართკუთხედის ფორმის. მართკუთხედი კვადრატის ნახევარს უტოლდება. ალიზის აგური დამზადებულია ბუნარევი თიხისაგან, მაკავშირებლად ნაცარშერეული თიხის ხსნარია გამოყენებული. მას არ ეტყობა დაშტამპვის კვალი. მაგ. ვანის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ალიზის აგურის ზომებია 50 სმ X 50 სმ X 11 სმ და 50 სმ X 22 სმ X 11 სმ. ალიზის გამოყენება მკვეთრად შემცირდა ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასასრულს, რაც ე.წ. *კირის დუღაბის* გავრცელებას უკავშირდება. ხშირად ალიზის კედლებს ქვის კვადრების ცოკოლზე აგებდნენ. ალიზის წყობას ჰორიზონტალური რიგები ახასიათებდა. შემაკავშირებლად თიხის ხსნარი გამოიყენებოდა. კედლის სიმტკიცისათვის, განსაკუთრებით საფორტიფიკაციო ნაგებობებში, ალიზის წყობას ხის ძელებით ამაგრებენ, როგორც გრძივად, ასევე განივად. საქართველოში ფართოდ გამოიყენებოდა თიხაც, რომელიც ბუნებრივ მასალას წარმოადგენს. მას ხსნარის სახით შელესილობისათვის, ალიზის წყობის შემაკავშირებლად, იატაკისა და ბანური გადახურვის მოსაწყობად იყენებდნენ.

ხე ერთ-ერთ ხშირად გამოყენებად საშენ მასალას წარმოადგენდა საქართველოში, განსაკუთრებით კოლხეთში. ტყეებით მდიდარი ეს მხარე სათანადო ხის მასალის მოპოვების კარგ შესაძლებლობას ქმნიდა. კოლხეთში ტყეების სიუხვეს და ხის ნაგებობების სიმრავლეს აღნიშნავენ ბერძენი და რომაელი ავტორებიც — ჰიპოკრატე, ქსენოფონტი, აპოლონიოს როდოსელი, პომპონიუს მელა, ვიტრუვიუსი, სტრაბონი და სხვ. ხით ნაგები სამოსახლოები აქ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან არის დადასტურებული. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კოშკებს, ზღუდე-მესერებს, გამაგრებულ სამოსახლოებს [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2002: 111-121]. აღსანიშნავია, რომ ხის ძელებით ნაგებ ე.წ. *კოლხურ სახლს* საგანგებოდ

ეხება რომელი არქიტექტორი ვიტრუვიუსი თავის ცნობილ ტრაქტატში “*არქიტექტურის ათი წიგნი*” (II, I, 4). ხეს იყენებდნენ ასევე დამხმარე მასალად, მაგალითად, ალიზის ნყოფის გასამაგრებლად, გადახურვის მოსაწყობად, კოჭებისა და სვეტების დასამზადებლად და სხვ.

საქართველოს ტერიტორიაზე ქვის მასალის ბუნებრივი რესურსი საკმაოდ მრავალფეროვანია. აქ საშენ მასალად გამოიყენებოდა როგორც ვულკანური ქანები — ანდეზიტო-ბაზალტი, ასევე უფრო ადვილად დასამუშავებელი ქვიშაქვა, ტუფი და მათთან შედარებით მტკიცე კირქვა; აქტიურად იყენებდნენ რიყის ქვასაც. აღსანიშნავია, რომ მასალის ტრანსპორტირების სირთულე მშენებლობაში ძირითადად ადგილობრივი წარმოშობის ქანების გამოყენებას განაპირობებდა. როგორც ცნობილია, ხის თუ ქვის საშენი მასალის დამუშავებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი იარაღის სრულყოფილებას. ამ თვალსაზრისით, ცხადია, რკინის ხანის დადგომამ ახალი შესაძლებლობები შექმნა საშენი მასალის ფორმის, მისი ზედაპირის დამუშავების და დეკორით შემკობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია ცალკეული სამშენებლო იარაღებიც. ასე მაგალითად, *წინამურის* ნამოსახლარზე აღმოჩნდა სატეხი, რომელიც, სავარაუდოდ, დიდი კვადრების დასამუშავებლად გამოიყენებოდა. სარკინეს ნამოსახლარზე გამოვლინდა ქვისმთელთა იარაღები. არმაზისხევეში აღმოჩენილი ბრინჯაოს ფარგალი [იხ. აფაქიძე 1963: 206]. ყოველივე ეს გარკვეულად მეტყველებს საკმაოდ მრავალფეროვანი ტექნიკური საშუალებების არსებობაზე, რაც სამშენებლო საქმის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ძვ.წ. VI-V სს-ში ჯერ კიდევ გვხვდება დაუმუშავებელი ქვის მშრალი ნყოფა შემაკავშირებლების გარეშე, ხოლო ძვ.წ. IV ს-დან მკვიდრდება ქვის კვადრებად გათლის წესი. კვადრები მშრალად ეწყობა; შემაკავშირებლად, უმეტეს შემთხვევაში, კვადრებში ამოკვეთილ ბუდეებში ჩამაგრებული ხის (მუხის) ან ლითონის ე.წ. *მერცხლის კუდის* სახის პირონები გამოიყენება (მაგ.: არმაზციხე, ვანი, წინამური). კედლის ნყოფაში თარაზული გადაბმისათვის ისრისპირისებური, ხოლო შვეული გადაბმისათვის პრიზმის ფორმის პირონები გამოიყენება. კვადრების ნყოფას ჰორიზონტალური რიგები ახასიათებს, თუმცა თავად რიგები არათანაბარი სიმაღლისაა. კვადრები დედაქანში ამოკვეთილ ბუდეებშია ჩასმული. ქანობიანი რელიეფის შემთხვევაში კვადრების პირველი რიგი საფეხურებადაა განლაგებული. ნყოფაში ჰორიზონტალური რიგები სხვადასხვა სიმაღლისაა ქვების ზომის შესაბამისად. ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულისთვის, ძირითადად ძვ.წ. II-I სს-დან, გამოიყენება რუსტებიანი ნყოფა (მაგ.: მცხეთა, ვანი, უფლისციხე). ასეთ ნაგებობებში ქვის კვადრის გათლილ ნაწიბურებს შორის მოქცეული დაუმუშავებელი ზედაპირით შექმნილი მხატვრული ეფექტი კედელს თავისებურ მხატვრულ გამომსახველობას სძენდა. გამოიყენებოდა ასევე კარგად დამუშავებული ქვის კვადრებიანი ნყოფა. კედლის სისქეში კვადრებით შედგენილ ე.წ. პერანგებს შორის არე ძირითადად რიყის, ე.წ. ფლეთილი ქვის და თიხის ხსნარით იყო შევსებული. ცალკეულ ნაგებობებში გვხვდება მხოლოდ კვადრული ნყოფაც. საფორტიფიკაციო და საცხოვრებელ ნაგებობებში შერეული, ქვისა და ალიზის აგურის ნყოფაა დაფიქსირებული [იხ. აფაქიძე 1963: 24-31].

ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოდან კირის დუღაბის გავრცელებამ ახალი შესაძლებლობები შექმნა ქვის არქიტექტურის განვითარების თვალსაზრისით. ეს უკავშირდება როგორც ნაგებობის კონსტრუქციული მდგრადობის გაზრდის, ასევე სივრცის ორგანიზების მრავალფეროვანი ხერხების, თალის, კამარის თუ სხვა არქიტექტურულ-მხატვრული საშუალებების გამოყენების დანერგვას. ძვ.წ. III ს-ში უკვე გვხვდება *კირხსნარის* ანუ *კირდუღაბის* გამოყენების ცალკეული შემთხვევები. ახალი წელთაღრიცხიდან კირხსნარი ფართოდ ვრცელდება როგორც შავიზღვისპირეთში, ასევე საქართველოს სხვა ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ კირხსნარი გამოიყენებოდა დანაყილ კერამიკასთან ერთადაც (ე.წ. ჰიდრავლიკური ხსნარი) და ამდენად ჰიდროიზოლაციის ფუნქციასაც ასრულებდა.

წინაქრისტიანულ ხანაში სამშენებლო ტექნიკის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სიახლეები იხერგება. ვითარდება საყრდენ-კოჭოვანი სისტემა, რასაც უფლისციხის დარბაზში მისი იმიტაციაც ადასტურებს. გვხვდება კამაროვანი გადახურვა (მცხეთის აკლდამა), ასევე სავარაუდოა გადახურვის სხვა ფორმების გამოყენებაც. ბანური, თიხატყეპნილი გადახურვის პარალელურად საქართველოში ფართოდ გავრცელდა კრამიტით გადახურვის იმ ეპოქისათვის მონიწივე წესი, რასაც არქეოლოგიურ მასალაში მრავლად აღმოჩენილი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტი ადასტურებს. ძვ.წ. III სს-დან კრამიტი ფართოდ ვრცელდება და იწყება მისი ადგილობრივად წარმოება. კრამიტით თავდაპირველად საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები იხურებოდა. მოგვიანებით, კრამიტის წარმოების განვითარებასთან ერთად, ის საცხოვრებელ სახლებშიც გამოიყენებოდა. გავრცელებული იყო კრამიტის ორფერდა სახურავი, ცალკეულ შემთხვევაში კი ცალფერდა სახურავიც. კრამიტს იყენებდნენ აგრეთვე სამარხების მოსაწყობად და აკლდამების გადასახურად.

საქართველოში ორი სახის კრამიტი გვხვდება: *ბრტყელი* და *ღარისებრი*. მცხეთური ბრტყელი კრამიტი ფართო ტრაპეციისებური მოყვანილობისაა, გრძივი გვერდები აკეცილი აქვს. კრამიტის სიგრძეა ≈ 50 სმ, სიგანე თავში $\approx 42,5$ სმ, ბოლოში $\approx 30,5$ სმ; კიდეების სიმაღლე $\approx 5-6$ სმ. ღარისებრი კრამიტი წარმოადგენს თიხის ღარს, რომლის ქვედა ნაწილი უფრო ფართოა; კრამიტის სიგრძეა ≈ 50 სმ, ფართო ნაწილის სიგანეა $\approx 20,5$ სმ; ვიწროსი $\approx 15,5$ სმ. აღსანიშნავია, რომ მცხეთის ღარისებრი კრამიტს გარე ზედაპირზე აქვს ქიმი, რომელიც ზედა მწკრივის ღარისებრი კრამიტს იჭერს. მცხეთური კრამიტი ხშირად შეღებილია (მოყავისფრო, მონითალო ფერი) [აფაქიძე, 1963: 49-75]. ნასტაკისის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კრამიტები. ბრტყელი კრამიტის სიგრძეა $\approx 57,5$ სმ – 73 სმ; ღარისებრის ≈ 47 სმ – 66,5 სმ. ნასტაკისის ნამოსახლარის კრამიტის ნაირია ციხიაგორას ნამოსახლარის კრამიტიც. *დედოფლის მინდორის* ნამოსახლარზე მონითალოდ შეღებილი კრამიტებია აღმოჩენილი, რომელთა სიგრძეც ≈ 57 სმ-ს აღწევს. ვანის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კრამიტებიდან უმეტესობა ადგილობრივია, თუმცა გვხვდება სინოპური კრამიტიც — როგორც ბრტყელი, ასევე ღარისებრი. ვანის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ბრტყელი კრამიტი სწორკუთხა მოყვანილობისაა, გრძივი გვერდები აკეცილი აქვს. კრამიტის სიგრძეა ≈ 50 სმ; სიგანე ≈ 38 სმ. გვხვდება უფრო დიდი ზომის კრამიტიც — სიგრძით 64 სმ, სიგანით 52,5 სმ. კრამიტი მცხეთურის მსგავსად აქაც ფიცრებისაგან შეკრულ დაზგაზე მზადდებოდა [ახვლედიანი 1999: 3-36]. ვანის ნამოსახლარზე, კრამიტების ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია რკინის ბრტყელი, კუთხეებმოხრილი სალტეები (სიგრძე ≈ 20 სმ, სიგანე ≈ 5 სმ), რომლებსაც ბოლოზე სამანჭვლე ნახვრეტი აქვს. ისინი კრამიტის სამაგრებად გამოიყენებოდა. ღარისებრი კრამიტის ნაირად მზადდებოდა კერამიკული მილები წყალსადენი სისტემებისთვის.

ნამოსახლარები, საცხოვრისები. საზოგადოდ, ნებისმიერ ეპოქასა თუ რეგიონში ნაგებობების უმრავლესობას საცხოვრებელი ფუნქცია გააჩნია. შესაბამისად, ძველ საქართველოშიც ამ ტიპის შენობები მრავლად შენდებოდა, მაგრამ სხვადასხვაგვარი მიზეზით დაზიანების, სახეცვლის და განადგურების გამო მათ შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვება გართულებულია.

კოლხეთი და ნაწილობრივ იბერია მთებით შემოსაზღვრული რეგიონები იყო, რაც სტრატეგიულად გარკვეულ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა. ნოციერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეული, ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესისათვის კარგ საფუძველს იძლეოდა. უპირატესად კი ამაზე იყო დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების დონე. აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე და იბერი-აში – მდ. მტკვარზე თავისებური ისტორიულ-კულტურული არე ჩამოყალიბდა. მათ გეოპო-ლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია ეკავათ. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრა. ძველი საქართველოს ისტორიული გან-

ვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიოგეოგარემომ: კლიმატმა, ნიადაგმა, რელიეფმა, მადნეულმა, ზღვამ, ტბებმა, მდინარეებმა, ფლორამ [იხ. გამყრელიძე 1993].

საქართველოს მთიანეთის ბორცვ-გორაკები, ხეობები, სერები, ტაფობები, ზეგნები და დაბლობი თავიანთი ბუნებრივი გარემოთი დასახლებლად მოსახერხებელია. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა: ხე, ქვა, თიხა. საქართველოს რელიეფი ორ ძირითად განსხვავებულ ნაწილად იყოფა: მთა-მთისწინეთად და ბარ-დაბლობად. მთა-მთისწინეთი კავკასიონის მთავარი ქედი და გვერდითი ქედებია. მათაც მრავალი განშტოება აქვს, რომლებიც მთისწინა ზოლში გადადის და ბარისაკენ ეშვება. დიდ და მცირე კავკასიონს შორის ლიხის ქედი მდებარეობს. ამ მთიანეთში გადადიოდა ბილიკ-გზები, რომლებითაც ძველი მოსახლეობა დანარჩენ სამყაროს უკავშირდებოდა. მდინარე რიონ-ყვირილა ანუ ფასისი და მდინარე მტკვარი ანუ კუროსი თავისი მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო გზა იყო (იხ. სტრაბონი XI, II, 17; XI, VII, 3; პლინიუს სეკუნდუსი VI, 52).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული მონაცემების მიხედვით წინაქრისტიანული ხანის ნამოსახლართა ტიპოლოგია საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ პერიოდში გარკვეული სახეცვლით არსებობას აგრძელებს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები. ჩნდება ქალაქური ტიპის სამოსახლოები: ნამარნუ (აბაშის მუნიციპ.) და ფიჩორი (გალის მუნიციპ.), რომლებიც ზომით სხვებზე დიდია. დასავლეთ საქართველოში სამშენებლო მასალად ძირითადად ისევ ხე და თიხა გამოიყენება. გავრცელებულია ნაგებობათა ორი ტიპი: ჯარგვალისებური და თიხით შელესილი წნული კედლებით ამოყვანილი. ასეთი ნამოსახლარები აღმოჩენილია *ნამჭედურზე, ნაოხვამუზე, ნოსირში, ანაკლიაში, ტამიშში, კისტრიკში* და სხვ. კოლხეთის ტერიტორიაზე ჭაობიან ადგილებში ნამოსახლარები ხელოვნურ ბორცვებზე იყო განლაგებული და გარშემო არხები შემოუყვებოდა. ამგვარი ნესის დამკვიდრება იმაზე მიუთითებს, რომ სამოსახლოს მონყობისას კარგად ითვალისწინებდნენ გარემო პირობების სპეციფიკას [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2016: 185-200; გამყრელიძე 2019: 9-39]. საინტერესოა ვანის ნაქალაქარიდან 8 კმ-ის დაშორებულ სოფ. მთისძირში აღმოჩენილი ძვ.წ. IV ს-ის საფორტიფიკაციო ნაგებობა. აქ ბუნებრივ ბორცვზე გამოვლინდა სწორკუთხა გეგმის მქონე კოშკის ნაშთები. საკმაოდ სქელი კედლები ქვითა და ხის მასალით იყო ნაგები და თიხით იყო შელესილი [გამყრელიძე 1982: 29-41]. როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოს სამოსახლოების მშენებლობისას ძალზე კარგად იყო გათვალისწინებული გარემო პირობების თავისებურებები და საშენი მასალის რესურსი. შედეგად ოპტიმალურად იყო გადაწყვეტილი როგორც უტილიტარული, ასევე თავდაცვის საკითხები.

ადრერკინის ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში საშენ მასალად გამოიყენება ე.წ. ფლეთილი ქვა, რიყის ქვა, ხე და თიხა. დასახლებები მდებარეობს როგორც ბუნებრივ ბორცვებსა და ტერასებზე, ასევე გაშლილ ლანდშაფტზე. ზოგიერთ ნამოსახლარს თავდაცვითი ნაგებობა ახლავს [ჯაფარიძე 2003: 221]. მათი ფართობი საკმაოდ ვრცელია და ისინი პროტოქალაქურ დასახლებებად არის მიჩნეული. მაგ.: ხოვლეგორა, თრელიგორები, სამთავრო, უფლისციხის მიდამოები და სხვ. ასეთი ნამოსახლარის ცენტრს წარმოადგენდა გამაგრებული შემადგენლობა, რომელზეც, სავარაუდოდ, სამლოცველო და საზოგადოების დანიშნულებული ფენის საცხოვრებლები უნდა მდგარიყო. საფორტიფიკაციო სისტემას ქმნიდა თხრილი და ზღუდე-კედელი, რომელიც ქვით, ხითა და ალიზით იყო ნაგები. გამაგრებული ადგილის გარშემო რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელი ნაგებობები იყო განთავსებული. ასეთ ნამოსახლარებთან აღმოჩენილია სახელოსნო უბნები. საცხოვრებელი ნაგებობა (მაგ. თრელიგორები) წარმოადგენდა ერთსათავსოიან ნახევრადმინურს ბანური გადახურვით. ზოგიერთ ნაგებობაში დადასტურებულია დედაბოძის არსებობა. კედლები ნაგები იყო ფლეთილი და რიყის ქვისაგან. შემაკავშირებლად თიხის ხსნარი გამოიყენებოდა. ამ პერიოდის საცხოვრებელ ნაგებობაში სივრცის დანაწევრება სხვადასხვა ფუნქციის მიხედვით ხდებოდა. გამოვლენილია საცხოვრებელი ნაწილი, ბაგა, ქურა, რომელთა გვერდზე, შემადგენულ ადგილას გამართული იყო სხვადასხვა ფორმის სამსხვერპლო.

ძველი ნელთაღრიცხვის მიწურულამდე ნამოსახლარების არქიტექტურაში არსებითი ცვლილებები არ შეინიშნება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საცხოვრისებში კრამიტის გამოყენების ინტესივობის ზრდა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია [ახვლედიანი 1999: 3]. ახალი ნელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები საქართველოში რომის პოლიტიკური და კულტურული გავლენის გაძლიერებით აღინიშნა. ეს სამშენებლო საქმესა და არქიტექტურაშიც აისახა. რომაული გავლენა ქალაქური ტიპის დასახლებებში უფრო ნათლად ფიქსირდება. რიგითი სამოსახლოები კი დიდნილად აგრძელებს ძველ სამშენებლო ტრადიციებს. ამის მაგალითია მდ. კარსნისხევის შესართავთან აღმოჩენილი ნამოსახლარი, ე.წ. ხელოსანთა უბანი. ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნაშთები. საცხოვრებელ სახლებს აქვთ სწორკუთხა გეგმა. საძირკველი და კედლები ნაგებია თიხის ხსნარით შეკავშირებული ფლეთილი ქვით. სახურავი კრამიტისაა, იატაკი თიხატკეპნილი, ცენტრალურ ნაწილში კერით. საცხოვრებელი ნაგებობების სამხრეთით აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები.



მოცემულ ეპოქაში გრძელდება საცხოვრებელი ნაგებობის სივრცის ცენტრულად გააზრების საერთო ტენდენცია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრესამონათმოქმედო ხანიდან იღებს სათავეს. იმავდროულად ვლინდება განსხვავებანი საშენ მასალასა და დასახლების ხასიათში, რაც სხვადასხვა რეგიონის ე.წ. ბიოგეოგარემოს თუ ლანდშაფტის თავისებურებებით არის განპირობებული და არქიტექტურული ხერხების მრავალფეროვნებას განაპირობებს.

ურბანული ცენტრების ფორმირება. ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში იწყება ურბანული ცენტრების ფორმირების პროცესი, რომელიც მომდევნო საუკუნეებში უშუალოდ ქალაქური ტიპის დასახლებების გაჩენით გრძელდება, რაც, ცხადია, სამშენებლო საქმიანობის გააქტიურებას უკავშირდება. პირველი ცნობები კოლხურ ქალაქებს ეხება [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 140-153]. ურარტუს მეფის სარდური II-ის ≈747 წ-ში წარწერაში მოხსენიებული ქალაქი ილდამუსა ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. “ქართლის ცხოვრების” მიხედვით ქალაქების წარმოშობა ეთნარქებს უკავშირდება. ეს ქალაქებია — მცხეთა, რუსთავი, ოძრხე, თუხარისი, წუნდა, არტაანი, უფლისციხე, ურბნისი, კასპი. ამ და სხვა ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ქალაქების ნაწილი დღესაც არსებობს. მათი ნაწილი არქეოლოგიურად არის შესწავლილი [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2013].

ურბანული ცხოვრების წესის დანერგვა საზოგადოების განვითარების შესაბამისი დონის და სათანადო ეკონომიკური თუ სოციალური პირობების არსებობის შემთხვევაში

ხდება. საქართველოში ქალაქური ტიპის დასახლებათა გაჩენა ან უკვე არსებული დასახლების ქალაქად გადაქცევის პროცესი ძვ.წ. IV-III სს.-ში იწყება. არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ მაგალითად, უფლისციხეში, მცხეთაში, რუსთავში გაცილებით ადრეულ ხანაში არსებული დასახლებები ქალაქებად ზოგადად ამ საუკუნეებში ფორმირდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზღვისპირეთში ქალაქების ფორმირების პროცესს ხელი შეუწყო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ და ზღვის სანაპიროზე ბერძნული ფაქტორების გაჩენამ. ამდენად, ეს მოცემულობა აქ ქალაქების წარმოშობის დამატებით სტიმულად იქცა (მაგ.: დიოსკურია, ფასისი [იხ. გამყრელიძე 2003: 170-189]). ნელნელა ქალაქური ტიპის დასახლებები შეიქმნა კოლხეთის შიდა მხარეშიც (მაგ.: ვანი, ქუთაისი, საირხე). სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ, ზღვისპირეთის გარდა, ქალაქების წარმოშობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეუწყო ხელი. როგორც ცნობილია, საქართველოში გადიოდა საერთაშორისო ვაჭრობისათვის მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზები, რომელთა მარშრუტი ძირითადად მდინარეების გასწვრივ მიემართებოდა. სწორედ ამ ადგილებში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები და გაშენდა უმეტესი ქალაქები. მცხეთაში აღმოჩენილი ახ.წ. IV ს-ის არქიტექტორ “აგრელი აქოლისის” ეპიტაფია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იმ დროის საქართველოში არსებობდა ურბანული განაშენიანების ხელმძღვანელის სპეციალური თანამდებობა. საყურადღებოა აგრეთვე ძვ.წ. I ს-ის ცნობილი გეოგრაფოსის სტრაბონის (იხ. XI, III, 1,2) ცნობაც იბერიის არქიტექტურულად გამართული ქალაქებისა და დაბების შესახებ. არქეოლოგიური მასალა გარკვეულწილად ადასტურებს ამ ცნობის რეალობას.

ქალაქების ფორმირებისას უმთავრესია ცხოვრებისათვის საჭირო პირობების არსებობა. ეს უპირველესად ეხება სასმელი წყლის საკმარისი რესურსით და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების უზრუნველყოფას. სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო თავდაცვითი საკითხების გადაწყვეტა. ამიტომ ქალაქებისათვის ადგილს უმეტესად ბორცვებსა თუ მთისწინეთში არჩევდნენ, სადაც უკეთ შეიძლებოდა საფორტიფიკაციო ნაგებობების მეშვეობით თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ქალაქის ტიპის დასახლებას გამოარჩევდა საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ნაგებობების არსებობა. ასევე იყო სავაჭრო ადგილები (ბაზრობა) ან ამ ფუნქციისთვის აგებული საგანგებო შენობები. დროთა განმავლობაში ყალიბდება ქალაქური ტიპის საცხოვრებელი სახლები. ქალაქის ტერიტორია შემოსაზღვრული იყო კედლებით. აგრეთვე არსებობდა შიდა ციხე (აკროპოლისი), რომელიც დამატებით თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეტ-ნაკლებად შესწავლილია რიგი ნაქალაქარები, როგორცაა მცხეთა, უფლისციხე, ძალისა, ურბნისი, ვანი, ბიჭვინთა და სხვ. ამ მონაცემების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ წინაქრისტიანულ ძველ საქართველოში საკმაოდ კარგად იყო განვითარებული ურბანული ხუროთმოძღვრება. სათანადოდ არჩევდნენ ადგილს ქალაქმშენებლობისათვის და კარგად ითვალისწინებდნენ როგორც თავდაცვის, ასევე კომუნიკაციისთვის საჭირო პირობების არსებობას. საფორტიფიკაციო სისტემის შექმნისას მკაფიოდ იაზრებდნენ ლანდშაფტის თავისებურებას. სათანადოდ ფლობდნენ ქალაქის დაგეგმარების თუ სამშენებლო-კონსტრუქციული საკითხების გადაწყვეტის ხერხებსა და საშუალებებს.

საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ ნაქალაქარებს შორის უმნიშვნელოვანესია მცხეთა. ჯერ კიდევ 1867 წელს მდ. მტკვრის ნაპირზე, ბაგინეთსა და რკინიგზის ხიდს შორის, 75 წელს ამოკვეთილი ქვათლილი ე.წ. ვესპასიანეს წარწერით აღმოჩნდა (იხ. კრებ. მცხეთა I-XII, რედ. ან. აფაქიძე). არმაზისხევში სასახლის ნაგებობების ნაშთები, აბანო და მდიდრული ნეკროპოლი გაითხარა. სასახლის ნაშთების კედლებით შემოსაზღვრულ სივრცეში სვეტების, ბაზისა და არქიტრავის ფრაგმენტები აღმოჩნდა. აქვე კრამიტის ნატეხები და დამწვარი ხის ნაშთებია. სასახლიდან, რომელიც ქვიშაქვითაა ნაშენი, ორი ოთახის საძირკველია შემორჩენილი, რომლის უკანაც ღია ეზო სჩანს. მდ. მტკვრისაკენ კი აბანო მდებარეობდა. ამ აბანოიანი სასახლის სამხრეთით, ერთოთახიანი ნაგებობის ნანგრევებია. ხსენებული ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთით

მარანი აღმოჩნდა, სადაც 50 ქვევრი დადასტურდა. ქვის ნახსენები ნაგებობები, აბანო და მარანი არმაზისხევის დიდებულთა სასახლე-რეზიდენციის ერთიან კომპლექსად ითვლება. არმაზციხე ანუ ბაგინეთი ქართლის მთის ტერასებზე მდებარეობს. მას ჩრდილოეთიდან მდ. მტკვარი, აღმოსავლეთიდან კარსნისხევი, ხოლო დასავლეთიდან არმაზისხევი ერტყმის [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2013 362-363; გამყრელიძე 2010:24]. არმაზციხეში ე.წ. სვეტებიანი დარბაზის დასავლეთით, რიყის ქვით ნაგები კედლები და ლომის გამოსახულებიანი კარნიზი აღმოჩნდა. აქვე გაითხარა აბანო და საკულტო ნაგებობა. აღმოჩენილია ქვაზე შესრულებული სამშენებლო წარწერები: „...მეფის... ეზოსმოძღვარმა გააკეთებინა თავის სახსრით მინისქვეშა წყალსადენი და აბანო...“ ან „... მეფის ... ასულს, იბერთა დიდი მეფის ამაზასპეს მეუღლეს, ... ეზოსმოძღვარმა, საკუთარი სახსრით აგებული აბანო შესწირა...“ [იხ. ყაუხჩიშვილი 2004: 227- 228].

არმაზციხის ნაქალაქარი ქვით ნაგები გალავნით იყო შემოზღუდული. არმაზციხის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო სისტემა ქართლის მთის, კარსნისხევის პირას გამავალ მცირე ქედს ჩამოყვება და მდ. მტკვრამდე აღწევს. არმაზციხის სამხრეთ მხარეს ზღუდის ორი რიგია შემორჩენილი. კოშკი, რომელიც ქართლის მთის ზემო მხარეს დგას ქვიშაქვის ლოდებითაა ნაგები. კედლის სიგანე აქ 3.0 მ-დეა. კედელი და კოშკები ქვათლილების მშრალი წყობით არის ნაგები. კედლების საძირკველის ქვები კლდეში ამოკვეთილ ბუდეებშია ჩასმული, რომელზეც უმეტესად ალიზის კედელია ამოყვანილი. ქვების მშრალი წყობის დამაკავშირებლად გამოყენებულია სხვადასხვა ფორმის ამოკვეთილი ბუდეები, რომლებშიაც ლითონის სამაგრები თავსდება. ალიზის აგურები თიხის ხსნარით არის შეკავშირებული. ალიზის მასას ამაგრებს წყობაში ჩატანებული ხის ძელები. კოშკები ბრტყელი და ღარიანი კრამიტით ყოფილა გადახურული. ქვედა ტერასის აღმოსავლეთ მხარეს მართკუთხა ე.წ. სვეტებიანი დარბაზი მდებარეობს. დარბაზის კედლები ქვათლილების მშრალი წყობით და ალიზით არის აგებული. დარბაზის ცენტრში, გრძივად განლაგებული ექვსი სვეტის ბაზა, კრამიტები და ხის ძელების ნაშთები დადასტურდა. აქვე ქვის კაპიტელი, ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები და სხვა არტეფაქტები აღმოჩნდა [იხ. ნიკოლაიშვილი 2011: 16-26]. ქვედა ტერასაზე ოთხკუთხა გარშემოწერილობის საკულტო ნაგებობა გაითხარა (ე.წ. *ექვსაფსიდიანი ტაძარი*), რომელიც ქვათლილით და ალიზით არის ნაგები. გადასახურად ბრტყელი და ღარისებური კრამიტია გამოყენებული. ძირითადი დარბაზის ფართობი 200 კვ. მ-ია და დერეფნებით უკავშირდება დასავლეთით მდებარე მარანს. დარბაზში ქვიშაქვის ბაზა (დმ. 1,25 მ) და მოჩუქურთმებული კაპიტელი დადასტურდა. აქვე აღმოჩნდა ქანდაკების კვარცხლბეკი. დადასტურდა ასევე კარნიზის, რელიეფებისა და ქანდაკებების ფრაგმენტები; ქვის ყუმბარები. არმაზციხე წყლით კარსნისხევიდან მარაგდებოდა. წყალი თიხის მილების და არხების საშუალებით ცისტერნებში გროვდებოდა. ნაგებობათა უმეტესი ნაწილი სანიტარული კვანძებით და კოლექტორებითაა აღჭურვილი. ძირითადი კოლექტორი მტკვარში ჩაედინებოდა. არმაზციხის ტერიტორიაზე რომაული ტიპის აბანოები გაითხარა, რომლებსაც ცივი, თბილი და ცხელი განყოფილები აქვთ. მათი შემადგენელი ნაწილებია აბაზანები, წყალსადენები და ცხელი აბანოს ქვემოთ მდებარე გათბობის სისტემა. აბანოები ნაგებია ფლეთილი ქვით; შიდა კედლები შელესილია ე.წ. ჰიდრაულიკური ხსნარით.

არმაზციხის ქვედა დასავლეთ მხარეს, კლდოვანი ფერდობის ძირში, 1951 წ. ახ.წ. I ს-ის მავზოლეუმის ტიპის აკლადამა გაითხარა. ის მშრალი წყობით, ქვიშაქვის კვადრებით არის აგებული. აღმოსავლეთ კედელში კარია დატანილი. იატაკი სწორკუთხა ფილებით არის მოგებული. ორფერდა სახურავი ღარიანი და ბრტყელი კრამიტით არის დახურული [ლომთათიძე და სხვ. 1951: 641-648]. მცხეთის ჩრდილოეთ მხარეს ღართისკარის ხევთან გაითხარა სასიმაგრო სისტემა, რომლის ნაშთები არაგვის ორივე ნაპირზეა გამოვლენილი. საფორტიფიკაციო სისტემის ზღუდე-კედლები შიომღვიმე-სხალტბის ქედიდან იწყება და მდ. არაგვისაკენ ეშვება. სასიმაგრო სისტემის მონაკვეთები საგურამოს ქედთანაც დაფიქსირდა, რომელსაც ზედაზნის მთისაკენ აქვს მიმართულება. ღართისკარის არქეოლოგიურად შესწავლილ სასიმაგრო ზღუდე-კედლებში ექვსი, 7 X 7მ ოთხკუთხა კოშკი

გამოვლინდა, რომლებიც ერთმანეთისაგან 50მ-ით არის დაშორებული. ზღუდე-კედლები და კოშკები აგებულია ხის ძელებით გამაგრებულ რიყის ქვით შექმნილ საძირკველზე, რომელზეც ალიზის კედელია ამოყვანილი [აფაქიძე და სხვ. 1989: 22]. ღართისკარის სასიმაგრო სისტემა არაგვის მარცხენა მხარეს, წინამურისკენაც ვრცელდება. აქ არაერთი არქეოლოგიური ძეგლია გამოვლენილი. წინამურის მოდამოებში მიაკვლეულ იქნა ნამოსახლარის ნაშთები, სადაც თლილი ქვით და მშრალი წყობით ნაგები ნაგებობები გამოვლინდა. აქ ბრტყელი და ღარისებური კრამიტი აღმოჩნდა [იხ. აფაქიძე 1958: 119-140; 1963: 182-199].

სარკინე, რომელიც „მეფეთა ცხოვრებაში“ (იხ. ქც 1: 15,18; 17,21; 18,10) მოიხსენიება, მცხეთის დასავლეთით 7 კმ-ის დაშორებით, შიომღვიმის მიდამოებში, სავანეთის ქედსა და გრძელ მინდორზე ლოკალიზდება. აქ ძვ.წ. II-I სს-ის რკინის სანარმოთა ნაშთებს და არქიტექტურულ დეტალებს მიაკვლიეს. შეისწავლეს ნაქალაქარის დასავლეთით მდებარე კარიბჭის კომპლექსიც. ციხესიმაგრის ნაშთები სავანეთის ქედის ფერდზე და ე.წ. გრძელ მინდორზე დადასტურდა. გრძელ მინდორზევე აღმოჩენილია კირქვის ორგოლუტიანი კაპიტელი, ქვიშაქვის ბაზა, ნახევარსვეტისა და ლავგარდანის ფრაგმენტები [იხ. აფაქიძე 1963: 206-214]. სარკინეში გამოვლინდა ტერასულად განლაგებული, ქვათილილებით, ალიზის აგურითა და ხის მასალით ნაგები შენობების ნაშთები, რომელიც ბრტყელი და ღარიანი კრამიტით იყო გადახურული. იატაკი თიხის ფილებით იყო მოგებული [იხ. ბოხორაძე 1973: 36-45].

ურბნისის ნაქალაქარი მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ურბნისის ტერიტორიაზე მდებარეობს. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად 22 ჰექტარზე ნაქალაქარის გამაგრების სისტემის სამი პერიოდი გამოვლინდა. ძვ.წ. IV-III სს-ის ქალაქს გარს უვლიდა რიყის ქვით ნაგები 4 მეტრი სიგანის ზღუდე, რომელიც ნაგები იყო ქვით და ალიზით (0,52 X 0,52 X 0,12 სმ). ქალაქის გალავანი გამაგრებული იყო 18 კოშკით. ნაქალაქარის ტერიტორიაზე ნამოსახლარები და კერამიკის გამოსაწვავი სანარმოს ნაშთები გაითხარა. აგრეთვე გაითხარა საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობები [იხ. ზაქარაია 1965: 69-80; ჭილაშვილი 1964: 29-59].

მუხრანის ვაკეზე, მდ. ნარეკვავთან, ახლანდელი სოფ. ძალისას ტერიტორიაზე, ძალისას ძვ.წ. II - ახ.წ. VII სს-ის ნაქალაქარი გაითხარა. აღმოჩნდა მრავალსათავსიანი ე.წ. სასახლე, საცხოვრებელი ნაგებობები და საზოგადოებრივი დანიშნულების აბანოები, წყალსადენის ქსელი, აგურით მოკირწყლული ქუჩები და მოედნები, მოზაიკები, არქიტექტურული დეტალები და სხვ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე სამშენებლო მასალად ალიზის აგური, რიყის ქვა, ტუფისა და ქვიშაქვის ქვათილიები, აგური, კერამიკული ფილები, ბრტყელი და ღარიანი კრამიტები იყო გამოყენებული. ე.წ. სასახლე 2500 კვ. მ ფართობისაა და 30-მდე სხვადასხვა სიდიდის, ფორმისა და დანიშნულების სათავსისაგან შედგება [იხ. ბოხორაძე 1977: 17-24; ბოხორაძე 1981: 36-85].

ძველ ნაქალაქარებს შორის გამორჩეულია უფლისციხე, თითქმის მთლიანად კლდეში ნაკვეთი ქალაქი [იხ. ყიფიანი 2002]. ის სოფ. ქვახვრელის მოპირდაპირედ, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. მისი არქიტექტურული სახის ფორმირების არსებითი ეტაპი ძვ.წ. IV -ახ.წ. II სს. უფლისციხის ნაქალაქარი დაქანებული რელიეფის მქონე ქვიშაქვის მასივშია ამოკვეთილი და ნაგები. მისი დასავლეთი და სამხრეთი მხარე შვეული კლდოვანი ფერდითაა დაცული. აღმოსავლეთიდან კი კედლითაა გამაგრებული. ეს მძლავრი კედელი სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის თვალსაზრისით არმაზციხისა და წინამურის თავდაცვითი კედლების ანალოგიურია. კლდეში ნაკვეთი გვირაბი მდ. მტკვარზე გადის და სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. უფლისციხეს კარგად გააზრებული საფორტიფიკაციო სისტემა აქვს. ქალაქი ფერდობზე ტერასებადაა გაშენებული და სამი ნაწილისაგან შედგება. მთავარი შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან იყო და ცენტრალურ ქუჩას უკავშირდებოდა. კლდეში ნაკვეთი კომპლექსების მთავარი სათავსი უმეტეს შემთხვევაში კამართაა დაგვირგვინებული. მის უკან ან სამ მხარეს განლაგებულია გაცილებით დაბალი, ბრტყელჭერიანი ოთახები. უფლისციხეში, ცალკეული დარბაზების

მხატვრულ მორთულობაში გამოყენებულია — მაგ.: კესონები, პილასტრები, იმპოსტები; ასევე ხის კონსტრუქციები. ნაქალაქარის გათხრებმა გამოავლინა საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო დანიშნულების არაერთი ნაგებობა [იხ. ხახუტაიშვილი 1965; ლეჟავა 1979: 7-8, 16-17; ხიმშიაშვილი 1986].

ძველი ქალაქებიდან არქეოლოგიურად ერთ-ერთი შედარებით მეტად შესწავლილი ნაქალაქარია ვანი. აქ ქალაქობამდე პერიოდის ნაგებობების კვალიც არის დადასტურებული [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 168]. ვანის ძველი ნაქალაქარი მდ. რიონის მარცხენა შენაკადის, მდ. სულორის მარცხენა მხარეს, ქალაქ ვანის დასავლეთით მდებარეობს. ის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაფერდებულ სამკუთხა ბორცვზე, ქვედა, ცენტრალურ და ზედა ტერასებზეა განლაგებული.



ვანის ნაქალაქარის სასიმაგრო კედლებში წრიული და ოთხკუთხა კოშკები და კურტიწებიცაა გამართული. ჩრდილოეთით მდებარეობს მთავარი კარიბჭე, რომელიც ურთიერთგამიჯნული ორი კარისაგან, ნახევარწრიული კოშკის, საკურთხეველისა და ე.წ. საგუშაგო ნაგებობებისაგან შედგება. ქალაქის მეორე შესასვლელი აღმოსავლეთ მხარეს იყო. ამ კარის მომდევნო შიდა სივრცე სწორკუთხაა. იქვე, გარეთ, წყლით მომარაგებისათვის, მოზრდილი რეზერვუარია კლდეში ამოკვეთილი. ქალაქის კედლები ქვათლილებითა და ალიზით იყო ამოყვანილი (იხ. კრებ. ვანი, რედ. ოთ. ლორთქიფანიძე). ქალაქს დიდი სამშენებლო პოტენციალი ჰქონდა. დაფიქსირდა კრამიტის, ალიზის აგურის დამამზადებელი და რუსტირებული ქვის სათლელები, მშენებლობის ადგილას მასალის მიმტანი საშუალებები და ა.შ. ყოველივე ეს ნათელყოფს, რომ არსებობდა სათანადო სამშენებლო-საინჟინრო ცოდნა და ფართომასშტაბიანი სამუშაოების ორგანიზების საშუალება. ნაქალაქარზე აღ-

მოჩენილია საზოგადოებრივი და საკულტო ნაგებობების ნაშთები. ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, რომელთა ფუნქციაც ვერჯერობით ნათლად განსაზღვრული არ არის.

ვანის ნაქალაქარის მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობების საძირკველი ლითონის სამაგრებით გადაბმული, კარგად გათლილი, რუსტირებული კვადრებით, ხოლო კედლები ალიზით იყო ნაგები. კვადრების პერანგული წყობის შიდა არე თიხითა და ქვით იყო შევსებული. ფართოდ გამოიყენებოდა ხის მასალაც, ასევე რკინისა და ბრინჯაოს დეტალები. ნაგებობები უმეტესად კრამიტით იყო გადახურული. ქალაქის კარგად გააზრებულ სასიმაგრო სისტემაში ჩანს ანტიკური საფორტიფიკაციო პრინციპების ცოდნა. ქალაქში მრავლად იდგა მრავალფეროვანი დეკორით მორთული ნაგებობები. ამას ადასტურებს აღმოჩენილი არქიტექტურული დეკორის დეტალები [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 233]. აღსანიშნავია, რომ ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილ ნაგებობაში კორინთული ორდერის, ძვ.წ. II-ი სს-ის კირქვის სამი კაპიტელი აღმოჩნდა. ამავე ტერასაზე დაფიქსირდა საინტერესო არქიტექტურული დეტალები. მათ შორის წვიმის წყლის სადინარისთვის განკუთვნილი ლომის თავის ორი ქვის გამოსახულება.

სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ეშერის ძვ.წ. II-ი სს-ის ნაქალაქარი ბორცვის ორ ტერასაზეა განლაგებული. ნაქალაქარის კედლები ქვიშაქვის კვადრებითაა ამოყვანილი, რომელზედაც ალიზის აგურების წყობაა გამართული. ჯერჯერობით ნაქალაქარის მცირე ნაწილია არქეოლოგიურად გამოვლენილი. აქ გაითხარა საფორტიფიკაციო ნაგებობის სისტემა — კედლები და კოშკები, რომლებსაც ოთხკუთხა გეგმა აქვს და ნაგებია თლილი ქვით და ალიზით. აგრეთვე დადასტურდა რამდენიმე ნაგებობა, წყალსადენის მილები, კრამიტები და სხვ. [იხ. IIIამნა 1980: 10-60].

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან რომის იმპერიის ინტერესი შავი ზღვის სანაპიროს მიმართ უფრო გააქტიურდა. აქ შენდება რომაული სიმაგრეები. ამის შესახებ ცნობებს გვანჯდის წერილობითი წყაროებიც. მაგ.: ფლავიუს არიანეს პერიპლუსი, რომელიც ახ.წ. 131 წელს აფსაროსის, ფასისისა და სებასტოპოლისის ინსპექციის შედეგებს ასახავს. არიანეს ცნობით აფსაროსში (თანამედროვე გონიო) რომაელთა კოჰორტები მდგარა. ფასისის სიმაგრეს ჰქონდა თავდაცვითი გალავანი და ორმაგი თხრილი შემოუყვებოდა. ადრე კედელი თიხის ყოფილა, ხის კოშკებით; არიანეს დროს, კი კედელიცა და კოშკებიც გამომწვარი აგურისაგან გაუმართავთ. სიმაგრის გარეთ ვაჭართა სახლები ყოფილა განლაგებული. არიანემ ეს ტერიტორიაც თხრილით გაამაგრა. სებასტოპოლისშიც სიმაგრე გალავნისა და თხრილისაგან შედგებოდა. რომაული სიმაგრეებიდან მეტ-ნაკლებად კარგადაა შესწავლილი ახ.წ. II-VI სს-ის პიტიუნტი (ბიჭვინთა) [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2013:112-113] (იხ. დიდი პიტიუნტი კრებ. I-IV, რედ. ან. აფაქიძე). ნაქალაქარის შენობები ნაგებია ქვის კვადრებით და აგურით. კასტელუმი კვადრატულია და გამაგრებულია 15 კოშკით. ამ კოშკებს ოთხკუთხა, მრავალკუთხა და ნახევარწრიული გეგმა აქვს. გალავნი ქვითაა აგებული, ხოლო შემაკავშირებლად კირხსნარია გამოყენებული. კასტელუმის ცენტრში გამოვლენილია 240 კვ.მ კვადრატული გეგმარების შენობა. იატაკი მოლესილია ჰიდრავლიკური ხსნარით. ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილია, ასევე წყალსადენის კოლექტორის სისტემა. იქვე ე.წ. რომაული ტიპის აბანოა. ქალაქის სამოქალაქო დასახლება (კანაბე), ნახევარწრიული გეგმისაა, ხოლო მისი გალავანი 11 კოშკით არის გამაგრებული [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1991: 87-90]. აქვე მდებარეობს ადრე შუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკა, რომელის იატაკი მოზაიკით იყო შემკული [ციციშვილი 1977: 83-101]. სოხუმის (სებასტოპოლისი) სანაპიროზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ახ.წ. I-IV სს კასტელუმის ტიპის ციხესიმაგრის ნაშთები გამოვლინდა. კედლები ნაგებია ქვით და აგურით კირხსნარზე. აქ, ოთხკუთხა კოშკების და თავდაცვითი კედლის ნაშთებია შემორჩენილი [იხ. Трaнш 1969: 298-315; 318-351].

ძვ.წ.III - ახ.წ.IIIსს-ში საქართველოს ტერიტორიაზე ქალაქური დასახლებების შექმნის გარკვეული პროცესი მიმდინარეობს. ეს ზოგადად მეტყველებს სოციალ-ეკონომიკურ წინსვლაზე, რაც ხუროთმოძღვრების განვითარებას უწყობს ხელს. ურბანული

მშენებლობების წარმოებას უცხოური ინოვაციების გავრცელება უკავშირდება. კოლხეთში თავდაპირველად ბერძნულ-ელინისტური, ხოლო იბერიაში ირანული კულტურის გავლენა დომინირებს. ახალი წელთაღრიცხვიდან საქართველოს ტერიტორიაზე ურბანულ ცხოვრებაში ნათლად ჩანს რომის ზეგავლენის შედეგები [იხ. გამყრელიძე 2011: 76- 91].

წინაქრისტიანული ხანის არქიტექტურული ნაგებობები: საქართველოში წინაქრისტიანული ხანის ნაგებობები ძირითადად ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. ამდენად გაძნელებულია არა მხოლოდ მათი სივრცული გადანწყვეტის რეკონსტრუქცია, არამედ ხშირ შემთხვევაში გეგმის სრულად წარმოდგენაც. ეს, ცხადია, ართულებს, როგორც ამ ნაგებობების არქიტექტურული სახის, ასევე მათი ფუნქციის ზუსტად განსაზღვრას. თუმცა არსებობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი რიგი ძეგლები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის წინაქრისტიანული ხანის ნაგებობების გეგმარებასა თუ არქიტექტურული გადანწყვეტის ხასიათზე.

იდეოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე ყველა ეპოქაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა საკულტო არქიტექტურას. სატაძრო ნაგებობების მშენებლობა ინტელექტუალური, მატერიალური თუ სამშენებლო რესურსის მაქსიმალური მობილიზების ხარჯზე ხდებოდა. შესაბამისად ამ ძეგლების გამოვლენა და შესწავლა უაღრესად ღირებული ინფორმაციის წარმოჩენის საშუალებას იძლევა. წინაქრისტიანულ საქართველოში სხვადასხვა გეგმარების ნაგებობების ნაშთებია შემორჩენილი, რომლებიც შეიძლება საკულტო არქიტექტურის ნიმუშად მივიჩნიოთ. ამ საკითხის სრულფასოვნად გარკვევას ართულებს არა მხოლოდ ნაგებობების ცუდი დაცულობა, არამედ მწირი ინფორმაცია ძველ საქართველოში რწმენა-წარმოდგენების შესახებ. ამ თვალსაზრისით უფრო მკაფიო სურათია ცეცხლის ტაძრებთან მიმართებაში, რადგან ამ რელიგიის მოთხოვნებსა და არქიტექტურულ პრინციპებთან შესაბამისობის გარკვევა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია. სატაძრო არქიტექტურის საყურადღებო ნიმუშებია შემორჩენილი ვანის ნაქალაქარზე. აქ, ქვედა ტერასაზე დადასტურებულია შთამბეჭდავი ზომის (800 კვ.მ) ტაძრის ნაშთები, რომელიც შედგებოდა სამხვერპლოს, დარბაზის და შემონირულობების შესანახი სპეციალური სათავსისაგან [იხ. მათიაშვილი 2013: 4-29]. საკულტო ნაგებობებს შორის გამორჩეული მნიშვნელობისაა *ციხიაგორას* და *დედოფლის მინდორის* კომპლექსები. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდის სხვა ნაგებობებისგან განსხვავებით მათი არქიტექტურული სახის და ფუნქციის განსაზღვრა მეტ-ნაკლები სისრულით არის შესაძლებელი. ისინი წარმოადგენენ ე.წ. *ცეცხლის ტაძრებს*, რომელთა გეგმა დაფუძნებულია ამ ტიპის ნაგებობისათვის სახასიათო ე.წ. კვადრატი კვადრატში პრინციპზე. თავად ფაქტი *ცეცხლის ტაძრების* აგებისა საქართველოში მრავლისმეტყველია და ზოროასტრიზმის, ფართო გაგებით კი ირანის, გავლენაზე მეტყველებს. ეს ნათლად აისახება არქიტექტურულ გადანწყვეტაში, თუმცა ამავედროულად აღინიშნება მთელი რიგი თავისებურებებიც. საყურადღებია, რომ ასევე ცეცხლის ტაძრად არის მიჩნეული ოთხსაყრდენიანი კლდეში ნაკვეთი კვადრატული გეგმის ნაგებობა უფლისციხეში, რომელიც VI ს-ში სამნავიან ბაზილიკად გადააკეთეს [იხ. ყიფიანი 2000: 101-109].

ციხიაგორას სატაძრო კომპლექსში შედის ტაძარი, ბეღელი, მარანი და სხვა ნაგებობები. ამ კომპლექსის კედლის სისქე ≈ 1.5 მ; საძირკველი და ქვედა ნაწილი ქვით, ხოლო ზედა ალიზის აგურით იყო ნაგები. სწორკუთხა მოხაზულობის მთავარი ტაძრის ცენტრში კვადრატული გეგმის დარბაზი მდებარეობდა. ჩრდილოეთით დარბაზს გრძივი ნაგებობა ებჯინებოდა, რომელიც ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. ამაზე კედლის წყობაში სართულშორის გადახურვის ხის კოჭებისათვის განკუთვნილი ფოსოები მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ მრავლად აღმოჩნდა კრამიტი [იხ. ცქიტიშვილი 2003]. სატაძრო კომპლექსის არქიტექტურული სტრუქტურა კარგად არის გააზრებული. აქ ჩანს როგორც *ცეცხლის ტაძრისთვის* სახასიათო ტრადიციული სქემები და ფორმები (მაგ.: კვადრატული ცელა, სამხრევი გარშემოსავლელი, ბეღელი და სხვ.), ასევე განსხვავებული მიდგომები (მაგ.: ორსართულიანი გრძივი ნაგებობა და სხვ.), რაც ამ ხუროთმოძღვრული თემის ადგილობრივ ნიადაგზე თავისებურად გადამუშავებაზე მეტყველებს.

ციხიაგორასთან შედარებით გაცილებით მასშტაბურია დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსი [იხ. Гагошидзе 1981ა], რომლის მშენებლობაც რეგიონში ირანის რელიგიურ-იდეოლოგიური პოლიტიკის გაძლიერებას ემსახურებოდა. კომპლექსის კედლები რიყის ქვის საძირკველზე, ალიზითაა ნაგები. მშენებლობისას გამოყენებული იყო ძველური კონსტრუქცია, სადაც ხის ძელები ერთმანეთს რკინის ლურსმნებით უკავშირდებოდა. სავარაუდოდ ხის სვეტები ოთხკუთხა განივკვეთის ბაზაზე იდგა. მათ ქვიშაქვის კაპიტელები ამკობდა. მთავარი ნაგებობის ცენტრალური ნაწილის გარდა, ყველა სხვა ნაგებობას კრამიტის სახურავი ჰქონდა [Гагошидзе 1981: 109ა]. არქიტექტურული ანსამბლის გეგმა სიმეტრიულობის პრინციპზე იყო დაფუძნებული. მის ცენტრს დიდი ზომის კვადრატული ეზო ქმნიდა და ყველა ნაგებობა მასთან მიმართებაში მოიაზრებოდა. ეზოს სამხრეთით მთავარი ტაძარი იყო აღმართული, რომელსაც ოთხსაყრდენიანი ცელა და გარშემოსასვლელი გააჩნდა. ცელას ცენტრში ოთხკუთხა ბაქანზე საკურთხეველი იყო აღმართული. ცელაში სამხრეთი შესასვლელი არა ცენტრში, არამედ გვერდზე იყო გაჭრილი, რაც ზოროასტრული რელიგიის მიხედვით ნმინდა ცეცხლის დაცვას ემსახურებოდა. ამ ნაგებობას ჩრდილოეთით ორ და სამხრეთით ოთხსვეტიანი პორტიკები, ხოლო აღმოსავლეთით და დასავლეთით კვადრატული ეზოები ემიჯნებოდა. მთავარი ეზოს ჩრდილოეთით ე.წ. სექციური სახლები სიმეტრიულად იყო განლაგებული. როგორც ვხედავთ, დედოფლის მინდორი არა მხოლოდ მასშტაბით, არამედ კარგად გააზრებული გეგმარების თავისებურებით გამოირჩეოდა და ცეცხლის ტაძრის გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა ქვის სპეციალური სანაყი, რომელიც სპეციალისტების აზრით ჰაომის (ზოროასტრების ნმინდა სითხის) დასამზადებლად გამოიყენებოდა [იხ. Гагошидзе 1981ა: 114].

არმაზციხეში აღმოჩენილია სწორკუთხა გეგმარების დარბაზი (20.8მ X 8.9მ). შიდა სივრცეს გრძივად მდგარი ექვსი სვეტი ორ ნაწილად ყოფდა. სვეტები ხის უნდა ყოფილიყო, ხოლო მარტივი ფორმის ბაზისები და კაპიტელები — ქვის. თავად კედლები ქვედა დონეზე ქვის კვადრების მშრალი წყობით იყო შედგენილი და ალიზით გრძელდებოდა. ნაგებობა კრამიტით იყო გადახურული. შესასვლელი გრძივი კედლის ცენტრში იყო გაჭრილი. ამ ფასადის გვერდებზე მცირე ანტები იყო. არმაზციხეშივე აღმოჩნდა ე.წ. ექვსაფსიდიანი ნაგებობა, რომელსაც ტაძრად მოიხსენიებენ. ნაგებობის ალიზის კედლები ქვიშაქვის კარგად დამუშავებული ქვების წყობაზე იყო დაფუძნებული. გადახურვა კრამიტის იყო, რაზეც აქ აღმოჩენილი ნითლად შეღებილი ბრტყელი და ღარისებური კრამიტები მიუთითებს. ოთხკუთხა გეგმარების ნაგებობაში რადიალურად განლაგებული ექვსი აფსიდით შედგენილი კომპოზიცია იყო ჩანერილი. ეს მთავარი სივრცე დერეფნით უკავშირდებოდა დასავლეთის მინაშენსა და მარანს, რომელშიც ორ რიგად მინაში ჩაფლული 16 ქვევრი იყო. თავად დარბაზში დადასტურდა ქვიშაქვის ბაზა, რომელზეც ხის სვეტი უნდა ყოფილიყო აღმართული. საინტერესოა დარბაზში აღმოჩენილი სხვადასხვა არქიტექტურული დეტალი [ნიკოლაიშვილი 2011: 11].

როგორც უკვე აღინიშნა, წინაქრისტიანული პერიოდის ნაგებობები ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის აღმოჩენილი. ამდენად უმეტესად მხოლოდ გეგმა იკითხება ან საუკეთესო შემთხვევაში კედლები გარკვეულ სიმაღლემდეა შემორჩენილი. შედეგად ამ ნაგებობების გადახურვის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება გამოითქვას. ამ ვითარების გათვალისწინებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაგებობა, რომელმაც სრულად მოაღწია. ეს არის მცირე ზომის კვადრატს მიახლოებული გეგმარების მქონე მავზოლეუმის ტიპის აკლდამა ორფერდა სახურავით და ე.წ. კამაროვანი გადახურვით [დანვრ. იხ. მათიაშვილი 2016]. თუ გავითვალისწინებთ ამ ძეგლის გარდა უფლისციხის კომპლექსებში კამაროვანი ფორმის იმიტაციის არსებობას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წინაქრისტიანულ ხანაში საქართველოში კამაროვან გადახურვას იყენებდნენ. ამდენად, გადახურვის კონსტრუქციულად ასეთი რთული და ეფექტური ფორმის გამოყენება იმ დროის საქართველოში სამშენებლო საქმის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მიანიშნებს.

აბანოები. საქართველოში აბანოების მშენებლობის ინტენსივობა და მათი არქიტექტურულ-ტექნიკური გადამწყვეტის ხასიათი ქვეყანაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მნიშვნელობის გააზრებასა და ამ პრობლემების გადამწყვეტის სამშენებლო შესაძლებლობების არსებობაზე მიუთითებს. ნიშანდობლივია, რომ ისინი ძირითადად აგებულია ე.წ. *რომაული აბანოს* პრინციპების მიხედვით, რაც იმ ეპოქის ერთ-ერთ მონინავე ტექნიკურ სიახლეს წარმოადგენდა. ამდენად რომაული აბანოების თანადროული გავრცელება საქართველოში მრავლისმეტყველი ფაქტია. მიჩნეულია, რომ პირველი თერმები რომში ააგო აგრიპამ (ძვ.წ. 25-19წწ). შემდგომში, დაწყებული ნერონიდან, არაერთმა იმპერატორმა ააშენა აბანოები. მათ შორის ყველაზე გრანდიოზული იყო კარაკალას თერმები.

რომაული აბანო ანუ თერმები წარმოადგენდა ამ ფუნქციის ნაგებობის ძალზე წარმატებულ ვარიანტს, სადაც ბრწყინვალედ იყო გააზრებული როგორც წყლით მომარაგების, ცირკულირების, გათბობის, კანალიზაციის, ასევე ადამიანისათვის მაქსიმალური კომფორტისა და რელაქსაციის პირობების შექმნის საკითხები. წმინდა უტილიტარულ-ფუნქციური პრობლემების პარალელურად საიმპერატორო დაკვეთით აგებულ თერმებში ძალზე მაღალ დონეზე იყო გადამწყვეტილი მდიდრულად მორთული მასშტაბური სივრცის შექმნის თუ ინტერიერის სხვადასხვა ხერხით (მარმარილოს მოპირკეთება, მოზაიკა, რელიეფი, სკულპტურა და სხვ.) შემკობის საკითხი. რომაელმა არქიტექტორებმა შეიმუშავეს ცენტრალური გათბობის ეფექტური — ჰიპოკაუსტის სისტემა, რომელიც იატაკისა და კედლების გათბობის საშუალებას იძლეოდა. მისი შექმნა უკავშირდება ძვ.წ. I ს-ის რომაელი ვაჭრისა და ჰიდროინჟინერის სერგი ოთარას სახელს. აბანოს ქვედა ნაწილში საგანგებოდ მოწყობილი ქურის მეშვეობით საქვაბეში ცხელდებოდა წყალი და ჰაერი. ცხელი ჰაერი ცირკულირებდა იატაკის ქვეშ (ამისთვის იატაკი ეყრდნობოდა კალორიფელებს მცირე საყრდენებს) და კედლის სისქეში მოწყობილ სპეციალურ სადენებში. ცხელი ჰაერის ამ სისტემაში მოძრაობა უზრუნველყოფდა ცხელი და თბილი აბანოს იატაკისა და კედლების გახურებით სათანადო ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნებას. როგორც წესი, რომაული აბანო შედგება ხუთი აუცილებელი ნაწილისაგან. ესაა — გასახდელი, ცივი (ფრიგიდარიუმი), თბილი (ტემპიდარიუმი) და ცხელი (კალდერიუმი) წყლის სათავსები, რომლებშიც შესაბამისი აუზები იყო, და საცეცხლე განყოფილება.

რომაული ცხოვრების წესისთვის ესოდენ სახასიათო ტიპის აბანოს საქართველოში ფართოდ გავრცელების ფაქტი რომთან მჭიდრო კავშირის არსებობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანია. რომაული ტიპის აბანო, რომელიც ტექნიკური და სამშენებლო თვალსაზრისით ძალზე რთულ და სპეციფიკურ კომპლექსურ ნაგებობას წარმოადგენს, გვხვდება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში (არმაზისხევი, არმაზისციხე, ძალისა, ბიჭვინთა, ნოქალაქევი, შუხუთი, ციხისძირი, გონიო, ქუთაისი და სხვ.). მათი რაოდენობა დღეისათვის 14-ამდეა. ისინი რომაული პერიოდსა და ადრეულ შუასაუკუნეებს განეკუთვნება. ეს ნიმუშები, რომლებიც რომაული აბანოს ძირითადი სტანდარტების დაცვითაა აგებული, ნათლად მეტყველებს რომაული ხუროთმოძღვრების ამ ტიპიური ნიმუშის თავისებურების საფუძვლიან ცოდნას. ყველა შემორჩენილ ძეგლში წარმოდგენილია ცივი, თბილი, ცხელი წყლის სათავსები, გასახდელი და სართულქვეშა ორთქლით გასათბობი სისტემა კალორიფელებით. განსაკუთრებით გამორჩეულია ძალისას კომპლექსი მოზაიკური კომპოზიციებით შემკული იატაკით და უზარმაზარი საცურაო აუზით. მოზაიკებია დადასტურებული ასევე ბიჭვინთისა და შუხუთის აბანოებშიც. შემკულობის ამ ხერხის გამოყენება მიუთითებს საქართველოში აბანოს იმგვარი გააზრების წესზე, როგორც ეს რომაულ სამყაროში იყო მიღებული. კერძოდ, ის არა მხოლოდ სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქციის მქონე ნაგებობას, არამედ უფრო ფართო, სოციალ-კულტურულ ფენომენს წარმოადგენდა.

მაგ. არმაზისხევის აბანო ხუთი განყოფილებისაგან შედგებოდა. გასახდელი შენობის დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. აღმოსავლეთის კედელში, საცეცხლის თავზე, ცხელ

აბანოში გამავალი კარი იყო. ამ სათავსში შემორჩენილია კვადრატული ფილაქვით ნაგები აუზი. ცხელი აბანო თავის მხრივ კარით უკავშირდებოდა თბილ აბანოს, რომელსაც სამხრეთით სწორკუთხა, ხოლო ჩრდილოეთით ნახევარწრიული ნიშა ჰქონდა. თბილი აბანოდან გასასვლელი იყო ცივ აბანოში, რომლის სამხრეთ ნაწილში მოწყობილი იყო აუზი, რომელშიც ჩასვლა სამსაფეხურიანი ქვის კიბით შეიძლებოდა. აუზის იატაკი დაქანებული იყო. მის კუთხეებში დატანებული კერამიკული მილების საშუალებით წყალი მდ. მტკვარისაკენ მიმავალ არხს უერთდებოდა. აბანო მარაგდებოდა ორი წყალსადენით. აბანოში გაცილებით უკეთ არის შემორჩენილი ქვედა, იატაკქვეშა სართული, სადაც ჰიპოკაუსტის სისტემაა გათბობისათვის. დადასტურებულია წრიული ან ოთხკუთხა აგურის სვეტები. ისინი გადახურული იყო სწორკუთხა ფილებით, რომლებიც ზედა სართულის იატაკს ქმნიდნენ. საცეცხლეში გახურებული ცხელი ჰაერი იატაკის ქვეშ და კედლებში მოწყობილ სპეციალურ სადინარების საშუალებით ათბობდა ცხელ და თბილ განყოფილებებს. ეს აბანო იბერიის დიდებულითა საკუთრება იყო. ასე რომ, ამ დროის მცხეთელი დიდებულები რომაელებს ბაძავდნენ არა მარტო ახალი, მდიდრული ინვენტარითა და ფუფუნების საგნებით, არამედ ცხოვრების წესითაც. არმაზისხევის მსგავსი აბანოები საქართველოს გარდა გავრცელებული იყო მცირე აზიაში და სირიაში. ისინი თავისი მასშტაბით და არქიტექტურული გადაწყვეტით განსხვავდებოდა რომის დიდებული თერმებისაგან, თუმცა აბანოს ფუნქციონირების პრინციპი იდენტური იყო.

მუხრანის ველზე მდებარე ძალისას ძველ ნაქალაქარში სასახლის კომპლექსის ნაწილს წარმოადგენდა აბანო [ბოხოჩაძე 1981]. მას ჰქონდა ცივი, თბილი და ცხელი წყლის თანაბარი ზომის განყოფილებები. სწორკუთხა გეგმის ამ სათავსებს ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს ნახევარწრიული აფსიდები გააჩნდა. ქვის კედლები შიგნიდან და გარედან შელესილი იყო. ცხელი და თბილი აბანოების ქვეშ მოწყობილი იყო ჰიპოკაუსტის სისტემა, რომლის სვეტებად გამოყენებული იყო ბრტყელი, კვადრატული და წრიული აგური. ცივ აბანოში დაგებული ყოფილა მოზაიკური იატაკი. მოზაიკას შემოვლებული აქვს არშია მცენარეული ორნამენტით. შიდა არეში გამოსახულია ზღვის ფაუნა (განიჩრევა ნიჟარა, დელფინის თავი). აბანოებს ემიჯნება სწორკუთხა გასახდელი-აპოდიტერიუმი. მის გვერდით, სასახლის მხარეს მდებარეობს კომპლექსის შთამბეჭდავი 48,6 კვ.მ.-ის ფართობის დარბაზი. ამ კომპლექსიდან რამდენიმე მეტრში მდებარეობს საცურაო აუზი. აბანოს ეს კომპლექსი საქართველოში ყველაზე დიდი და მასშტაბურია. აბანოს აუზის კიდეებში აგებულია ქვის მერხები მოსასვენებლად. იატაკის დონეზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ტრაპია მოწყობილი. ტრაპისკენ იატაკი დამრეცად ეშვება. აუზი ივსებოდა დასავლეთის მხრიდან ორი მილსადენით. აბანოს კედლებში ჩაყოლებულია კერამიკული მილები. ძალისაში კერამიკულის გარდა ტყვიის მილებიც არის დადასტურებულია [იხ. ბოხოჩაძე 1981]. მოზაიკით მორთული აბანოს კომპლექსი აღმოჩნდა ბიჭვინთის ნაქალაქარზეც. აქ მიკვლეულია წყლის რეგულირების სისტემა კერამიკული მილებითა და კირხსნართაა გაკეთებული.

რომაული ტრადიციების გაგრძელებაა ადრეულ შუა საუკუნეებში აგებული აბანოებიც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღმოჩენილი აბანოს კომპლექსი, რომელიც ათი ნაწილისაგან შედგებოდა. საქართველოში აღმოჩენილი აბანოების რაოდენობა და მათი არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის ხასიათი ცხადყოფს, რომ მათი მშენებლები ძალიან კარგად იცნობდნენ რომაული ტიპის აბანოს სტრუქტურასა და მის ტექნიკურ მახასიათებლებს. იმ ეპოქის საქართველოში არსებობდა სამშენებლო საქმის საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რათა წარმატებით დაეგეგმათ და განეხორციელებინათ ამგვარი აბანოების მშენებლობის საკმაოდ რთული პროცესი.

არქიტექტურული დეტალები. ხუროთმოძღვრება პირუთვნელად ასახავს კონკრეტული ეპოქისა თუ ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების დონეს, კულტურული კავშირ-ურთიერთობების ხასიათს. ამ თვალსაზრისით ინფორმაციის შემცველია არა მხოლოდ არქიტექტურული ნაგებობა, არამედ მისი ცალკეული დეტალიც. როგორც

აღვნიშნეთ წინაქრისტიანული ხანის ნაგებობებმა ჩვენამდე უმეტესად ძლიერ დაზიანებული ან ფრაგმენტული სახით მოაღწია. ამდენად, დიდ მნიშვნელობას იძენს არქიტექტურული დეტალები, რომელთა შესწავლა ბევრი საყურადღებო საკითხის წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქიტექტურული დეტალები. მათი ფორმის დახვეწილობა, პროპორციათა ურთიერთშეთანხმება, ორნამენტული რეპერტუარის მრავალფეროვნება და შესრულების ოსტატობა ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო საქმის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. ფაქტობრივი მასალის სიმრავლეში განსაკუთრებით ინფორმატიულია ისეთი ხუროთმოძღვრული ფორმა როგორცაა კაპიტელი, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით აკონკრეტებს ძეგლის არქიტექტურულ-კულტურული რაობის საკითხს და მიანიშნებს ადგილობრივი ხუროთმოძღვრების განვითარების დონეს. ამავდროულად, კაპიტელის აღმოჩენა თავისთავად ადასტურებს საყრდენის გამოყენების ფაქტს, რაც ნაგებობის ინტერიერსა თუ ექსტერიერში სვეტების არსებობაზე მიანიშნებს და ამდენად არქიტექტურული კომპოზიციის დადგენის ალბათობას ზრდის. საგულისხმოა ისიც, რომ კაპიტელის ფორმისა და მხატვრული იერსახის შესწავლა ანტიკური თუ აღმოსავლური კულტურული არეალისთვის კუთვნილების განსაზღვრის და, შესაბამისად, ისტორიულ-კულტურული კავშირების იდენტიფიცირების კარგ საშუალებას იძლევა.

საინტერესოა, რომ ზემოთ უკვე ნახსენებ *ციცხლის ტაძრებში* — *ციხიაგორასა* და *დედოფლის მინდორზე* დადასტურებულია ქვის კაპიტელები. ისინი, სავარაუდოდ, ხის სვეტებზე იყო დაფუძნებული. ციხიაგორას კაპიტელი [იხ. ცქიტიშვილი 2003] აქემენიდური ირანის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ორპროტომიანი კაპიტელია. უნდა ითქვას, რომ ირანის სამეფო სასახლეების კაპიტელების ძლევამოსილი, პომპეზური იერის გამოსახულებებისაგან განსხვავებით ციხიაგორას კაპიტელზე ხარის მხატვრული სახე სრულიად განსხვავებულია. მას მომცრო ზომა და კამერული განწყობა გამოარჩევს. ამას, ცხადია, განსხვავებული იდეური დატვირთვა და არქიტექტურული ამოცანის არსებობა განაპირობებდა. საინტერესოა, რომ ორპროტომიანი კაპიტელი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარზეც [იხ. ახვლედიანი, ყიფიანი 2004], რაც იმის მანიშნებელია, რომ ირანის კულტურული გავლენა აღმოსავლეთის გარდა გარკვეულად დასავლეთ საქართველოზეც ვრცელდებოდა. სვეტები *დედოფლის მინდორის* კომპლექსის სხვადასხვა ნაგებობაშიც გვხვდება. შემორჩენილია ქვის კაპიტელი, რომელსაც გაშლილი ლოტოსის ყვავილის ფორმა აქვს. როგორც ცნობილია, ეს ფორმა ძალზე გავრცელებული იყო აღმოსავლურ სამყაროში. საყურადღებოა, რომ *დედოფლის მინდორის* ნიშუშს კიდევ დეკორატიული წნული შემოუყვება, რაც მისი მხატვრული გააზრების თავისებურებაზე მეტყველებს. სოფ. საირხეში არქეოლოგიური სამუშაოების დროს აღმოჩენილია დორიული სტილის ორი კაპიტელი. ორივე გამოკვეთილია მკვრივი თეთრი კირქვისაგან. მათ შესახებ აღნიშნავენ, რომ კაპიტელი კი დორიულია, მაგრამ ახასიათებს თავისებურება ექინის დამუშავებაში. კერძოდ, ჩვეული სადა ფორმის ნაცვლად შემკულია ლოტოსის ყვავილის ფოთლების მოტივით და მისი დამუშავების ტექნიკა სკულპტურულია. ეს კაპიტელები დორიული ტიპის ტაძარს განეკუთვნებოდა [იხ. ლეჟავა 1979: 9-10]. სარკინეში არქეოლოგიური გათხრებისას სხვა საინტერესო მასალასთან ერთად აღმოჩნდა იონური კაპიტელი, რომელსაც ამ ორდერისთვის სახასიათო ყველა დამახასიათებელი ნიშანი გააჩნია. მას აქვს ვოლუტები, რომლებიც ლენტითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ ლენტის ცენტრში ექვსფურცლიანი ვარდულია გამოსახული [ლეჟავა 1979: 12]. საინტერესოა ფორმის კაპიტელი აღმოჩნდა არმაზციხეში, ე.წ. ექვსაფსიდიან შენობაში. კაპიტელი, ისევე როგორც აქ დადასტურებული ქვის ბაზა შემკულია რელიეფური, სამ დონეზე ტალღისებურად განლაგებული ვოლუტებით. კაპიტელის ვოლუტებს ე.წ. *მარგალიტისებური მძივის* რიგები ამკობს. აქვეა ნაპოვნი კორინთული ტიპის კაპიტელიც [ნიკოლაიშვილი 2011: 16-21, 30].

ორი კორინთული კაპიტელი აღმოჩნდა ვანში. მათ ორიარუსიანი გადანყვეტა აქვთ. ქვედა რიგი მთლიანად აკანთის ფოთლების მოტივითაა წარმოდგენილი. ზედა რიგში კუთხეებში

ასევე ოთხი ფოთოლია. მათ შორის ერთ შემთხვევაში ქალის მკერდამდე ფიგურა, ხოლო მეორეში ვარდულია გამოსახული. ეს დეტალები კაპიტელებს გამორჩეულ იერს ანიჭებს. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი არქიტექტურული ფრაგმენტები, რომლებიც განეკუთვნებოდა როგორც მონუმენტურ, ასევე მომცრო ნაგებობებს. დადასტურებულია სხვადასხვა ტიპის კაპიტელების, ბაზების და სვეტის ნატეხები, ასევე აკროტერიუმის, წვიმის სადინარის და სხვა არქიტექტურული დეტალების ფრაგმენტები. საინტერესოა ე.წ. სიმას ღარის ნაწილი, რომელიც თეთრი კირქვის სკულპტურული ლომის თავის სახითაა წარმოადგენილი. ორი ლომის თავიდან ერთზე შემორჩენილია კარნიზზე დასამაგრებელი სპეციალური ნაწილი. წყლის სადინარის ამგვარი გაფორმება გავრცელებული იყო კლასიკურ და ელინისტურ ხანაში.

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები უტყუარად ადასტურებს წინაქრისტიანული ხანის საქართველოში როგორც აღმოსავლური ხუროთმოძღვრებისათვის სახასიათო, ასევე ანტიკური ორდერის გამოყენების ფაქტს და შესაბამისი არქიტექტურული სისტემების შესახებ სათანადო ინფორმაციის ფლობას. ამავდროულად ჩანს თავისებური მიდგომებისა და მოტივების შემუშავების სურვილიც, რაც კარგად ავლენს შემოტანილი არქიტექტურული ფორმების შემოქმედებითად გადამუშავების უნარს. კაპიტელების მაგალითზე ნათლად ჩანს დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროსთან კულტურული კავშირ-ურთიერთობის შედეგი. ეს, ცხადია, არქიტექტურის სხვა ფორმებსა თუ დეკორატიულ მოტივებშიც ვლინდება და საქართველოში ხუროთმოძღვრების მრავალფეროვნების განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად გვევლინება.

არქიტექტურული პოტენციალი ადრექრისტიანული პერიოდის დასაწყისისთვის. საქართველოში ადრექრისტიანული პერიოდის დასაწყისისთვის ხუროთმოძღვრებას საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნდა, რამაც ახალი ეპოქის და ქრისტიანული რელიგიის მიერ დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის შესაძლებლობა შექმნა. ამ პოტენციალს ქმნიდა როგორც ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებებით განპირობებული ობიექტური ფაქტორები, ასევე ის მდიდარი სამშენებლო გამოცდილება, რაც წინაქრისტიანულ ხანაში დაგროვდა.

როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მონაცემები ნათელყოფს, წინაქრისტიანულ ხანაში საქართველოში კარგად ფლობდნენ სხვადასხვა სამშენებლო მასალას და შესაბამის მრავალფეროვან ხერხებსა თუ წესებს, აგებდნენ მრავალფეროვანი გარემოს შესაბამის საცხოვრისებს, აშენებდნენ ქალაქებს შესაბამისი საფორტიფიკაციო, სამოქალაქო თუ საკულტო ნაგებობებით. ხუროთმოძღვრები იყენებდნენ მზიდ და ზიდულ კონსტრუქციებს, გადახურვის განსხვავებულ საშუალებებს, იცნობდნენ როგორც ორდერული სისტემის პრინციპებს, ასევე აღმოსავლური ხუროთმოძღვრებისათვის სახასიათო საყრდენთა ფორმებს. დადასტურებულია დორიული, იონური, კორინთული, ლოტოსის ფორმის მსგავსი, ორპროტომიანი კაპიტელები, ე.წ. ზარისებური ბაზისები. სხვადასხვა ცხოველური, მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით გაფორმებული არქიტექტურული დეტალები, აკროტერიუმები, პროფილირებული ლავგარდანი, კესონებიანი ჭერი და სხვა დეტალები ნათლად მეტყველებს, რომ არქიტექტურული სტრუქტურის გამართულად აგების პარალელურად ოსტატები ზრუნავდნენ ნაგებობის იერსახის მხატვრული გაფორმების გამომსახველობაზე.

წინაქრისტიანული ხუროთმოძღვრების შესახებ მონაცემები თვალსაჩინოდ წარმოაჩინეს მჭიდრო კულტურული კავშირების არსებობას დასავლური (ბერძნულ-რომაული) და აღმოსავლური (განსაკუთრებით ირანული) ცივილიზაციის ცენტრებთან. ამავდროულად, კაპიტელები და სხვა არქიტექტურული დეტალები ნათლად ავლენს საკუთრივ ბერძნულ-რომაული თუ ირანული ნიმუშებისაგან განმასხვავებელ რიგ სტილისტურ ნიშნებს, რაც, უთუოდ, ადგილობრივი მხატვრული თავისებურებების გამოვლინებად უნდა შეფასდეს. საგულისხმოა, რომ დასავლური და აღმოსავლური გამოცდილების ცოდნა დასტურდება ნაგებობის კედლის წყობის სპეციფიკაშიც. საქართველოში გავრცელებული იყო როგორც ანტიკური სამყაროსათვის სახასიათო

რუსტირებული წყობა, ასევე ქვევიდან ზევით ქვის კვადრების ზომის შემცირების ძველ ირანული წესი. საგულისხმოა, რომ კედლის წყობის ამგვარი გააზრების ტრადიცია გრძელდება შუა საუკუნეების ძეგლებშიც. ნინაქრისტიანული ხანის ძეგლებს ქრონოლოგიური, ფუნქციონალური და სტილისტური სხვაობის მიუხედავად ერთი საერთო მახასიათებელი გააჩნია, რაც გეგმარებისა და შიდა სივრცის ცენტრულ გააზრებაში ვლინდება. საგულისხმოა, რომ ამგვარი მიდგომა უძველესი, VI-V ათასწლეულების, საცხოვრისებიდან იღებს სათავეს. ეს მრავალსაუკუნოვანი ტენდენცია ნათლად ჩანს როგორც საერო ხუროთმოძღვრებაში, ასევე ისეთ ნაგებობებში, როგორცაა ცეცხლის ტაძრები, არმაზციხის ე.წ. ექვსაფსიდიანი ნაგებობა, ვანის ტაძარი, სამადლოს ნაგებობა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ნაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობის არმაზციხის ექვსაფსიდიან დარბაზშიც ინტერიერის აღქმა ზემოთ აღნიშნულ მიდგომას ეხმიანება. ეს შესავლელის გრძივი ფასადის შუა ნაწილში გაჭრით მიიღწევა. შედეგად შემსვლელი დარბაზს არა სიგრძივ პერსპექტივაში, არამედ ცენტრიდან აღიქვამდა, რაც განაპირობებდა მისი სივრცული გააზრების ლოგიკას. აღნიშნული ტრადიციის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ იგივე წესის გამოყენების ფაქტი ადრექრისტიანული ხანის ბოლნისის სიონშიც. ამდენად, ნაგებობის კომპოზიციური გააზრების და შიდა სივრცის ცენტრულობა წარმოადგენს ქრისტიანობის საწყისი პერიოდისათვის საქართველოს არქიტექტურული პოტენციალის რაობის ერთ-ერთ არსებით ნიშანს, რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართული ხუროთმოძღვრების, მათ შორის საეკლესიო არქიტექტურის, განვითარებაზე.

საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საწყისი ეტაპისათვის არსებული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე არქიტექტურული პოტენციალის რაობას სხვა ფაქტორთან ერთად განაპირობებდა მრავალფეროვანი სამშენებლო მასალის და შესაბამისი სამშენებლო ხერხების ფლობის, ნაირგვარი კონსტრუქციული ფორმებისა და საშუალებების გამოყენების გამოცდილება, ნაგებობის კომპოზიციისა და შიდა სივრცის ცენტრული გადაწყვეტის პრინციპზე აგების მდგრადი ტრადიცია, არქიტექტურულ ფორმათა მრავალფეროვანი მხატვრულ-სტილისტური რეპერტუარი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საუკუნეების განმავლობაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის მონინავე კულტურის ცენტრებთან ინტენსიური ურთიერთობების შედეგად გამომუშავდა არქიტექტურული, კონსტრუქციული თუ სტილისტური ინოვაციების თანადროულად შეთვისების და თავისებურად გააზრების უნარი, რამაც შემდგომ, შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურა. საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ იწყება ადრეული შუა საუკუნეების პერიოდი, როდესაც იქმნება ახალი რეალობა როგორც იდეოლოგიური თუ ისტორიულ-პოლიტიკური, ასევე ხუროთმოძღვრების განვითარების თვალსაზრისით. არქიტექტურის ნინაშე დადგა ეპოქის შესაბამისი ამოცანები, რომლებიც არსებული სამშენებლო პოტენციალის წყალობით წარმატებით გადაწყდა. საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებულმა ინოვაციების შეთვისების უნარმა ხელი შეუწყო ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნებთან სწრაფად ადაპტირებას. შედეგად უკვე V ს-ში აიგო არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული ბოლნისის სიონის ბაზილიკა და გუმბათიანი არქიტექტურის ნიმუში — მანგლისის ტეტრაკონქი, ხოლო VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე მცხეთის ჯვარი. საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების არსობრივი პრინციპების შეცნობისა და გათავისების პროცესში დიდი როლი შეასრულა მრავალფეროვანი სამშენებლო ხერხების, განსხვავებული კონსტრუქციული თუ დეკორაციული საშუალებების გამოყენების გამოცდილებამ, რამაც ხელი შეუწყო მრავალგვარი არქიტექტურულ-მხატვრული ფორმების შექმნის და სტილისტური ცლილებების სტიმულირებას.

ნინაქრისტიანულ ხანაში ანტიკური და აღმოსავლური ცივილიზაციის ცენტრებთან ურთიერთობების ბაზაზე შექმნილმა მრავალფეროვანმა მხატვრულ-სტილისტურმა რეპერტუარმა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში განსხვავებული დეკორატიული

ფორმების გამოყენება განაპირობა. ამ პერიოდის ტაძრებში გვხვდება როგორც კლასიკური კაპიტელების, მარმარილოს ინკრუსტაციის, იატაკის მოზაიკის (მაგ.: ბიჭვინთა, ვაშნარი) მაგალითები, ასევე სასაზღვრო ირანის ხელოვნების გარკვეული გავლენით შექმნილი რელიეფური კომპოზიციები (მაგ.: ბოლნისის სიონი, ხაშმი). წინაქრისტიანული კულტურის გავლენა შემდგომში ნელნელა შესუსტდა და ტრანსფორმირდა. მხატვრული სახეების ფორმირება ძირითადად ახალი იდეოლოგიური და სტილისტური პროცესების ფარგლებში განხორციელდა. ამდენად, წინაქრისტიანულ საქართველოში არსებულმა მრავალფეროვანმა არქიტექტურულმა პოტენციალმა მოამზადა ნაყოფიერი ნიადაგი ადრექრისტიანული ეპოქის შესაბამისი ამოცანების გადასაწყვეტად. სწორედ ამ პოტენციალის ბაზაზე მოხდა ახალი ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის თუ ქრისტიანული რელიგიოუს მოთხოვნების გააზრება-გათავისება და, ამავდროულად, თვითმყოფადობის შენარჩუნება. მიდარ არქიტექტურულ მემკვიდრეობასთან უწყვეტი კავშირი იყო ის მოცემულობა, რომელმაც ადრექრისტიანულ სამყაროში ქართულ ხუროთმოძღვრებას თავისი გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა.

სამშენებლო მასალები და ხერხები. ადრეულ შუა საუკუნეებში მრავალფეროვანი სამშენებლო მასალები, რომლებიც მრავლად მოიპოვება საქართველოში, ახალი რეალობის შესაბამისად იქნა გამოყენებული. უძველესი და ფართოდ გავრცელებული საშენი მასალა, ალიზი, ამ პერიოდში შედარებით ნაკლებად გვხვდება და ნელნელა საბოლოოდ განიდევენა ხმარებიდან. ეს დიდწილად კირხსნარის დამკვიდრებას უკავშირდება. ხე ისევ რჩება ერთ-ერთ ძირითად მასალად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. ის ტრადიციისამებრ აქტიურად გამოიყენება საცხოვრისების მშენებლობისას. ხით ხურობის მნიშვნელობაზე მიუთითებს *“მოქცევაი ქართლისაი”*-ს ცნობაც ქართლში პირველი ქრისტიანული ეკლესიის ხისგან აგების შესახებ. პირველი სასაზღვრო მშენებლობა — *“სვეტიცხოვლის აღმართვა”* სწორედ ხით ხურობასთან არის დაკავშირებული [აბრამიშვილი და სხვ. 2000: 59]. საყურადღებოა, რომ სვეტიცხოვლის ინტერიერში წარმოებული გათხრებისას მართლაც აღმოჩნდა ხის ნაგებობების კვალი ხის ძელების ანაბეჭდების სახით. ხის საკულტო ნაგებობები, სავარაუდოდ, შემდგომშიც იგებოდა, მაგრამ მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე არ შემორჩა.

ადრეული შუა საუკუნეების ჩვენამდე მოღწეული ძეგლები ძირითადად ქვით არის ნაგები. შესაბამისად ნათელია, რომ გრძელდება ქვით მშენებლობის ძველი ტრადიციები, თუმცა ამავდროულად მიმდინარეობს ახალი ტექნიკური თუ კონსტრუქციული ხერხებისა და საშუალებების დანერგვა. ნაგებობები, მათ შორის ეკლესიები, შენდება უმეტესად ტუფით, კირქვით, ქვიშაქვით. ცნობილია, რომ წინაქრისტიანულ პერიოდში ანტიკური კულტურის გავლენით კვადრების დამუშავებას დიდი ყურადღება ექცეოდა. ეს გამოცდილება ახალ ეპოქაშიც იგრძნობა. მშენებლობისას იყენებენ საკმაოდ დიდი ზომის კვადრებს, რომლებიც სუფთად არის გათლილი. ნაკლებად ჩანს სამუშაო იარაღის ხმარების კვალი, რაც დამუშავების ხასიათით ან დროთა განმავლობაში ქვის ზედაპირის ცვეთით შეიძლება იყოს გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ კვადრების ზედაპირებზე ქვის მთლელები ხშირად სხვადასხვა ნიშნებს გამოსახავდნენ. გვხვდება სვასტიკა, ვარსკვლავი, სხვადასხვა ფორმის ვარდული, ასევე ასომთავრულით შედგენილ ლიგატურები. რუსტირების ნაცვლად გამოიყენება კვადრის კიდეების ირიბად ჩაკვეთის წესი, რაც შუქის დაცემისას ჩრდილს წარმოშობს და კედლის ზედაპირზე შესაბამის მხატვრულ ეფექტს ქმნის. კვადრები კედლის წყობაში უმეტესად მოწესრიგებულად ლაგდება, თუმცა რიგის მაქსიმალური სიზუსტით დაცვის სურვილი არ იგრძნობა, რაც არა ჰორიზონტალური წყობის ხაზგასმას, არამედ კედლის მთლიანობაში აღქმას ემსახურება. ამავდროულად, ძველი ტრადიციისამებრ მიმართავენ ზედა რიგებში კვადრების ზომის შემცირების წესს. ეს კედლის ამოყვანისას მშენებლობის ტექნიკური პროცესის გაადვილების გარდა, კედლის სიმაღლის ილუზორულად გაზრდას ემსახურება. ქვის კვადრების წყობა გამოიყენება როგორც ფასადზე, ასევე ინტერიერში. კედლის სისქეში კვადრებს შორის არე კირის ხსნარისა და ე.წ. ფლეთილი ქვის ნარევით ივსება. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ეს არე მცირეა, ზოგჯერ

კი საერთოდ არ არის და მხოლოდ კირხსნარია ნახმარი (მაგ. მცხეთის ჯვრის VI ს-ის მცირე ტაძარში) [იხ. ჩუბინაშვილი 1948]. საგულისხმოა, რომ კედლის სისქეში კვადრებისა და ე.წ. ხურდით შევსებული ნაწილის შეფარდება შემდგომ ეპოქებში იზრდება. გვხვდება კვადრების გამდნარი ტყვიით ან რკინის სამაგრებით დაკავშირების მაგალითებიც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წინა ეპოქაში ფართოდ გავრცელებული პირონები ეხლა იშვიათად გამოიყენება. თლილი ქვის კვადრების გარდა საშენ მასალად იყენებენ რიყის ქვას. ის განსაკუთრებით გავრცელებულია კახეთში. კედლები უმეტესად რიყის ქვის ე.წ. ნესიერი ნყობით არის ნაგები. რიყის ქვის ნყობა გვხვდება აფხაზეთშიც, სადაც შერეულ ნყობაში აგურის რიგიც არის. დასავლეთ საქართველოში ქვისა და აგურის ე.წ. opus mixtum ნყობის გავრცელება ბიზანტიის ხუროთმოძღვრების გავლენას უკავშირდება.

ადრეულ შუასაუკუნეებში ისევ აქტიურად იყენებენ ბრტყელ და ღარისებრ კრამიტს. ის ნითელი ფერის წერნაქითაა დაფარული, სველ ზედაპირზე დაწნეხით დატანილი წყვილი ზოლი აქვს და კარგადაა გამომწვარი. წინა პერიოდთან შედარებით კრამიტის ნყობაში ცვლილება არ შეინიშნება. ბრტყელი კრამიტების აკეცილ გვერდებს ღარისებრი კრამიტი ფარავს, რითაც სახურავის ერთიანი, ზედაპირი იქმნება, რაც შენობის ნალექებისაგან კარგად დაცვას უზრუნველყოფს. კრამიტებზე დადასტურებულია დამღები ასომთავრულით შედგენილი ლიგატურებით. შემორჩენილია თიხისაგან დამზადებული ნახევარწრიული ფორმის ანტიფიქსების ნიმუშები. ისინი სახურავის ქვედა რიგის ღარისებრი კრამიტების ნახევარწრეებში მაგრდებოდა. (მაგ.: ახიზი, ურბნისი და სხვ.). ადრეული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების სამშენებლო და კონსტრუქციულ სიახლეებზე ყველაზე უკეთ წარმოდგენას საკულტო არქიტექტურის ნიმუშები გვიქმნის. ამას განაპირობებს როგორც მათი არქიტექტურული ღირებულება, ასევე დაცულობის უკეთესი დონე. ამ ნაგებობებში ჩანს ძველი სამშენებლო ტრადიციების გავლენაც, ასევე ბევრი ახალი კონსტრუქციული ხერხი. ე.წ. კამაროვანი გადახურვა, რომელიც წინაქრისტიანულ ეპოქაშიც გვხვდება, ადრეულ შუასაუკუნეებშიც ფართო გავრცელებას ჰპოვებს. ძირითადად გამოიყენება ქარგილებით შეკრული კამარა, რომელიც გამბრჯენ თაღებზეა დაფუძნებული. გრძივი სივრცის გადასახურად ცილინდრული, ხოლო კვადრატულ სივრცისთვის ჯვრული ან ვარსკვლავისებრი კამარა გამოიყენება. VI ს-დან საკულტო არქიტექტურაში წამყვანი ხდება გუმბათის თემა. ამ პერიოდში გუმბათი ტრომპებზეა ამოყვანილი.

წინაქრისტიანული ხანის ნაგებობებში საყრდენები მხოლოდ ფრაგმენტების სახით იყო შემორჩენილი. მეცნიერთა ვარაუდით ქვის კაპიტელები უმეტესად ხის სვეტებს ეფუძნებოდა. საბედნიეროდ, ადრეული შუასაუკუნეების რიგ ნაგებობებში საყრდენებმა დღემდე მოაღწია. ეს საშუალებას გვაძლევს მეტი გავიგოთ როგორც სვეტების ფორმის, ასევე არქიტექტურულ სტრუქტურაში მათი კონსტრუქციული ფუნქციის და მხატვრული მნიშვნელობის შესახებ. საგულისხმოა, რომ შემორჩენილი საყრდენები ქვისაა. გვხვდება გეგმაში კვადრატული, ჯვრული, სწორკუთხა. მათ უმეტესად აქვს მარტივპროფილიანი სვეტისთავი, გვხვდება ასევე რელიეფით შემკული. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია ამ პერიოდის ნაგებობების კლასიკური ტიპის კაპიტელებიც. შემორჩენილ საეკლესიო ნაგებობებში საყრდენები ერთმანეთს თაღების საშუალებით უკავშირდება. სავარაუდოდ, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებში ხის კოჭოვანი გადახურვაც იქნებოდა გამოყენებული.

წინაქრისტიანულ ხანასთან შედარებით უკეთ დაცული ნაგებობების გარკვეული რაოდენობის არსებობა ცალკეული არქიტექტურული ფორმების შესახებ მეტ ინფორმაციას გვანჭვდის. ასე მაგალითად, მაშინ როდესაც თითქმის არ გაგვაჩნია მონაცემები წინაქრისტიანული ეპოქის ნაგებობებში ლიობების ზომისა და ფორმაზე, ამ პერიოდის რიგ ძეგლებში ამის შესახებ არსებობს გარკვეული ფაქტობრივი მასალა. საკულტო ნიმუშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სარკმელები დიდი ზომისაა და პარალელური გვერდები აქვს. ლიობები უმეტესად ნალისებური ფორმისაა. კარს სწორკუთხა ან თაღოვანი მოხაზულობა აქვს. მის თავზე გვხვდება, როგორც ტიმპანი, ასევე ღია ლუნეტი. საინტერესოა, რომ ეს

უკანასკნელი ფართოდ იყო გავრცელებული ჯერ კიდევ წინაქრისტიანული ხანის სირიაში და სასახლეების არქიტექტურაში გამოიყენებოდა. როგორც ცნობილია, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია წინაქრისტიანული ხანის ნაგებობების დეკორაციული მორთულობის მრავალრიცხოვანი დეტალები. ჩუქურთმითა და რელიეფური კომპოზიციებით ნაგებობის მორთვის წესი ფართოდ გამოიყენება ადრე შუა საუკუნეებშიც. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა საეკლესიო ნაგებობებში. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მორთულობის ელემენტები გვხვდება როგორც ინტერიერში, ასევე ფასადებზე. რაც შეეხება მათ მხატვრულ-სტილისტურ ხასიათს, ისინი ახალი ეპოქის, ქრისტიანული იდეოლოგიის შესაბამისია, მაგრამ ამავედროულად აშკარად იგრნობა კავშირი ძველ მხატვრულ ტრადიციებთან. ჩანს ელინისტური და აღმოსავლური, ძირითადად სასანური ირანის გავლენებიც.

ამრიგად, ადრეული შუა საუკუნეების ეპოქაში ნათლად ვლინდება როგორც ძველი სამშენებლო გამოცდილების, ასევე ახალი რეალობის ადეკვატური ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით მიღწეული შედეგი. ძველისა და ახლის საუკეთესო მიღწევების შეთავსება არის ის პირობა, რაც ამ ეპოქაში ხუროთმოძღვრების წარმატებით განვითარებას განაპირობებს.

ნასოფლარები და ქალაქმშენებლობა: ადრეულ შუასაუკუნეებში საცხოვრებლების მშენებლობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივი კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებული ძველი სამშენებლო ტრადიციების შესაბამისად გრძელდება, თუმცა ფიქსირდება გარკვეული სიახლეებიც. ფართო გავრცელებას ჰპოვებს ქვითკირის საცხოვრისები. ადრეული შუასაუკუნეების სახლები და სამეურნეო ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა სხვადასხვა რეგიონებში, მაგალითად, *ურბნისის, კუხეთის რუსთავის* და სხვა ნამოსახლარებზე. ცალკეულ შემთხვევებში შემორჩენილი ნაშთები იძლევა სამეურნეო ნაგებობების კონკრეტული დანიშნულების დეფინიციის საშუალებას. მაგალითად განიჩევა მარანი, ზეთის სახდელი თუ წყლის რეზერვუარი, რაც კონკრეტული დასახლების მაცხოვრებელთა საქმიანობის და ეკონომიკური აქტივობის დონის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ამ პერიოდის საინტერესო ნაგებობა აღმოჩნდა ვანის მახლობლად სოფ. *მთისძირში* [იხ. გამყრელიძე 1982: 101-122]. ასევე ყურადღებას იმსახურებს მტკვრის მარცხენა ნაპირზე რუსთავის მახლობლად გათხრილი ძველი — *ნაციხვარი*, სადაც აღმოჩნდა ქვითკირის საკმაოდ დიდი ნაგებობა და აგურით ნაგები აბანო.

ადრეული შუასაუკუნეების ნასოფლარები, არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგად, რამდენიმე ასეული გამოვლინდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში [იხ. მინდორაშვილი 2014: 192-197]. საქართველოში ადრეულ შუა საუკუნეებში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებამ ხელი შეუწყო ურბანული ცხოვრების გააქტიურებას. დანიშნურებული იყო *მცხეთა, უჯარმა, თბილისი, რუსთავი, უფლისციხე, სამშვილდე, ბოლნისი, ჭერემი, ქუთაისი, ნოქალაქევი, შორაპანი, ვარდციხე* და სხვ. ამ ქალაქებიდან ნაწილი წინაქრისტიანულ ხანაშიც არსებობდა, ზოგი კი ურბანულ ერთეულად ახალ ეპოქაში ჩამოყალიბდა.

თბილისის ტერიტორიაზე მოსახლეობის კვალი უძველესი დროიდან ფიქსირდება. IV ს-ში აქ, მდ. მტკვრის ხეობის ვიწრო ადგილზე სტრატეგიული სიმაგრე აიგო. თავად ქალაქის ისტორიის დასაწყისი უპირველესად V ს-ში ვახტანგ გორგასლის მიერ აქ დედაქალაქის გადმოტანას უკავშირდება. გორგასალმა ძალზე ზუსტად შეაფასა ქვეყნისათვის ამ ადგილის სამხედრო-თავდაცვითი და სავაჭრო-საკომუნიკაციო მნიშვნელობა, რაც შემდგომში ქალაქის ისტორიამაც დაადასტურა. თბილისს გამოარჩევს ლანდშაფტის თავისებურება, რაც მის ურბანულ იერსახეს განუმეორებელ ხიზლს სძენს. ძველი ქალაქის განაშენიანებაში ადგილმდებარეობის სპეციფიკას მდ. მტკვრის, სოლოლაკის ქედისა და ისნის პლატოს ურთიერთმიმართება განაპირობებს. დღეს საკმაოდ ძნელია ადრეული შუა საუკუნეების ქალაქგეგმარების სურათის ზუსტად აღდგენა, თუმცა ამ გეოგრაფიული მოცემულობის და რიგი შემორჩენილი თუ ახლად გამოვლენილი მასალის საფუძველზე

ნათლად იკვეთება ადრეული შუა საუკუნეების ქალაქის არეალი. VI ს-ის დასაწყისისათვის თბილისი შედგებოდა ციხისა და მის მიმდებარედ გაშენებული ქალაქისაგან, რომელიც, კალას უბნის ფარგლებში იყო მოქცეული. ადრეული შუასაუკუნეების თბილისის სამშენებლო საქმისა და არქიტექტურის შესახებ ცნობები მწირია. თუმცა არქეოლოგიური ძიების შედეგად გამოვლენილ სხვადასხვა ნაგებობათა ფრაგმენტები აქ საკმაოდ დანიშნაურებული ქალაქის არსებობაზე მეტყველებს. თბილისში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოები შესახებ [იხ. ძნელაძე, ჩიხლაძე 2012: 83-98]. თბილისის დანიშნაურების პარალელურად აგრძელებს არსებობას მცხეთაც. ის ქრისტიანობის მიღების და სვეტიცხოვლის პირველი ეკლესიის მშენებლობის შემდგომ უმთავრეს საეკლესიო ცენტრად ყალიბდება.

ადრეულ შუასაუკუნეებში ეყრება საფუძველი ქალაქ უჯარმას [იხ. ლომთათიძე 1953: 11]. ციხე-ქალაქი შედგება მდ. ივრის გასწვრივ, შემალღებაზე მდებარე დედაციხის (145მ X 30მ) და სამხრეთით განლაგებული ქვედა ნაწილისაგან, რომელიც დამრეც ფერდობზეა და ივრის ნაპირებამდე ჩადის. საფორტიფიკაციო ნაგებობები ქვის კვადრებით და კირხსნარის გამოყენებით არის ნაშენი. ზედა ციხეს სამი მხრიდან კოშკებიანი გალავანი შემოუყვება. კოშკები ოთხკუთხაა და მათი კედლის სისქე 1.50 მ-ია. ისინი კრამიტით ყოფილა გადახურული [ციციშვილი 1982: 15-26]. ნაქალაქარის პირველი სამშენებლო პერიოდის ნაგებობები თანაბარი სიმაღლის, სწორკუთხა მოყვანილობის, წყობაში გულდასმით გადაბმული კვადრებითაა აშენებული. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ზედა და ქვედა ციხის გალავანი, ოთხკუთხა კოშკები, ზედა ციხის ე.წ. სასახლე, წყალსაცავი და ეკლესია [იხ. ლომთათიძე 1989: 122]. ქალაქ უჯარმისათვის ადგილმდებარეობის გააზრებულად შერჩევა, კარგად გათვლილი, რელიეფს მორგებული დაგეგმარება, საფორტიფიკაციო სისტემის გამართულობა, კედლის მოწესრიგებული წყობა, ნაგებობათა მშენებლობის ხარისხი ამ პერიოდის საქართველოში ქალაქმშენებლობის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. ადრეული შუასაუკუნეების დანიშნაურებული საქალაქო ცენტრებია — ნეკრესი, ურბნისი, რუსთავი, ჭერემი, ხორნაბუჯი, ციხისძირი, აფსაროსი, ფოთი-ფასისი, სებასტოპოლისი, ბიჭვინთა, ნოქალაქევი, ვარდციხე, ქუთაისი, ვაშნარი, შორაპანი, საზანო, სკანდა, დიმი და სხვ. [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2013]. ისინი განსხვავებული გეგმარებით ხასიათდება, რაც, უპირატესად, კონკრეტული ადგილმდებარეობის სპეციფიკით არის განპირობებული. ადრეულ შუასაუკუნეებში საქართველოს ქალაქმშენებლობის ტრადიცია დიდწილად წინაქრისტიანული სამშენებლო გამოცდილებას ეფუძნებოდა, თუმცა ტექნიკური თუ სამშენებლო სიახლეები სამოქალაქო და საფორტიფიკაციო ნაგებობების გადამწყვეტაში ახალი მიდგომების გაჩენას უწყობდა ხელს. ქალაქების ურბანული სახის განმსაზღვრელ ფაქტორად რჩება საფორტიფიკაციო ნაგებობები. ისინი აფიქსირებენ ქალაქის საზღვრებს და გამოყოფენ შიდაციხეს. ამასთან, ახალი იდეოლოგიური და სოციალ-პოლიტიკური რეალობის შესაბამისად ურბანულ განაშენიანებაში დიდი მნიშვნელობას იძენს საეკლესიო ნაგებობები. ისინი თავისი იდეოლოგიური მნიშვნელობის შესაბამისად ქალაქის ერთიან ქსოვილში არქიტექტურული გადამწყვეტით მკაფიო აქცენტებს ქმნიან.

IV ს-ში მირიან მეფის დროს იბერიის გაქრისტიანების შედეგად საქართველოში ახალ ეპოქას დაედო დასაბამი. დაიწყო საეკლესიო ნაგებობების მშენებლობა და შესაბამისი არქიტექტურულ-მხატვრული ამოცანების გადამწყვეტის გზების ძიება. ამან საეკლესიო ხუროთმოძღვრების ფორმირებისთანავე საქართველოს ადრექრისტიანულ სამყაროში მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობა განაპირობა. მას ყველა ახალი კანონიკური მოთხოვნის, არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ სტილისტური ნოვაციის თანადროულად გაცნობის და გათავისების შესაძლებლობა მიეცა. გასათვალისწინებელია, რომ წინაქრისტიანულ ხანაში დაგროვილი მრავალფეროვანი ხუროთმოძღვრული ტრადიციები და მდიდარი არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალი ქართულ ხუროთმოძღვრებას ახალ რეალობასთან ადაპტაციის პარალელურად თვითმყოფადობის გამოვლენას უწყობდა ხელს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ადრეული

შუასაუკუნეების ეპოქა, რომელიც ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნების შეთვისების, შესაბამისი არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბების პერიოდია ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში. ერთ-ერთი პირველი არქიტექტურული ტიპი, რომელიც საეკლესიო ნაგებობის მშენებლობისათვის გამოიყენეს იყო ბაზილიკა. ქრისტიანული რელიგიის მიერ დაკანონებული ეს ხუროთმოძღვრული ტიპი მთელ ადრექრისტიანულ სამყაროში, მათ შორის საქართველოში, გავრცელდა და არქიტექტურულ-სამშენებლო ტრადიციებით განსხვავებულ ქვეყნებში სახეცვლილებები განიცადა.

სამნავიანი ბაზილიკა წარმოადგენს საყრდენების საშუალებით ნაგებად დაყოფილი გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხა ფორმის ნაგებობას. შუა ნავი გვერდითებზე მაღალი და განიერია. საყრდენები ერთმანეთს უკავშირდება თაღების საშუალებით ან გამოყენებულია არქიტრავული სისტემა. ნაგებობის აღმოსავლეთით საკურთხევის აფსიდაა, რომელიც გეგმის სწორკუთხედშია ჩანერილი ან შვერილი ფორმისაა. ფართოდ გავრცელებულია ე.წ. სამნაწილიანი საკურთხეველი — აფსიდა და გვერდითი სათავსები, პასტოფორიუმები. ბაზილიკის გეგმაში გამოკვეთილია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი, მიმართული საკურთხევისაკენ. დასავლეთ ნაწილში ხშირად გვხვდება ნართექსი. ბაზილიკის ნაგების გადახურვა შეიძლება იყოს კამაროვანი ან ხის კონსტრუქციებით შესრულებული. შუა ნავს ექსტერიერში უმეტესად დამოუკიდებელი ორფერდა სახურავი აქვს, ხოლო გვერდითებს ცალფერდა. ასეთ შემთხვევაში ნაგებობას გააჩნია ე.წ. ბაზილიკური ჭრილი და ექსტერიერში სახასიათო სილუეტი.

საქართველოში 70-მდე სამნავიანი ბაზილიკაა ცნობილი [იხ. ჯაბუა 2009]. ამათგან დიდი ნაწილი სწორედ ადრეულ შუასაუკუნეებშია აგებული. ეს ბაზილიკები უმეტესად ცუდად არის შემორჩენილი, ზოგიერთი გადაკეთებულია. ერთგვარ საწყის საფეხურს წარმოადგენს V ს-ის ორი ძეგლი — ძეგლი *შუამთა* და *მატანის ცხრაკარა*. ეს ბაზილიკები მომცრო ზომისაა და თავისებური გადაწყვეტით ხასიათდება. უმთავრესია ცენტრულობის პრინციპის დომინირება, რასაც სიგრძე-სიგანის შეფარდების სიმცირე, არქიტექტურულ სტრუქტურაში დასავლეთი ნავის არსებობა და მხოლოდ ერთი წყვილი საყრდენის გამოყენება განაპირობებს. ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი ნაგებით შექმნილი კომპოზიცია გარკვეულ მსგავსებას ავლენს საქართველოში დადასტურებულ ქრიატიანობამდელი ნაგებობების (მაგ.: *ციხიაგორა*, *დედოფლის მინდორი*) გეგმასთან. ადრეული შუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკებში თავისი მასშტაბით და არქიტექტურული ღირებულებით გამოირჩევა ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის [იხ. ჩუბინაშვილი 1936: 32-50] ძეგლები: *ბოლნისის სიონი*, *წყაროსთავი*, *ურბნისი*, *ხაშმი*, *ანჩისხატი*, *კონდოლი*, *ნატკორა*, *ხირსა*, *ვაზისუბანი*. თავისი პარამეტრებით ამ ჯგუფს უახლოვდება ნასტაკისის ბაზილიკა. დიდი მასშტაბი გამოარჩევს ასევე რამდენიმე წლის წინ გამოვლენილ *დოლოჭობის* სამნავიან ბაზილიკას [იხ. ბახტაძე 2012]. ამ ძეგლებში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მთავარი კონცეფცია ნათლად არის გამოკვეთილი. ნაგებობებში ხაზგასმულია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი, ინტერიერის მხატვრულ სახეს არქიტექტურული ფორმების განმეორებით მიღწეული რიტმი განსაზღვრავს. მაგ. *ბოლნისის სიონში*, ხუროთმოძღვრული ფორმები მთლიანად ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის შესატყვისია, მაგრამ მათი აღქმა ცენტრული ნაგებობის პრინციპით ხორციელდება, რაც თავის მხრივ წინაქრისტიანულ ხანაში გავრცელებულ ტრადიციას ეხმიანება. აღსანიშნავია, რომ *ბოლნისის სიონი*, ისევე როგორც *ხაშმის ბაზილიკა* გამორჩეულია რელიეფური მორთულობით.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში (*ბიჭვინთა*, *ნოქალაქევი*, *სეფიეთი*, *ალაჰაძე*, *ციხისძირი*, *განთიადი*, *ვაშნარი*, *ნოქალაქევის ორმოცმონამეთა*, *ცაიში*) გვხვდება რიგი მახასიათებლები, რომლებიც ბიზანტიური არქიტექტურის გავლენაზე მიუთითებს. ასეთია ე.წ. ოპუს მიხტუმ ნეობა, შვერილი აფსიდა, ნარტექსი, ინტერიერის მორთულობის მრავალფეროვანი საშუალებები, მაგალითად, იატაკის მოზაიკა (მაგ. ბიჭვინთა), კლასიკური კაპიტელები (მაგ.: ვაშნარი, ბიჭვინთა), ორსართულიანი გვერდითი ნაგები (მაგ. სეფიეთი). აღსანიშნავია, რომ რიგ ძეგლებში (მაგ.: ბიჭვინთა, ციხისძირი, ვაშნარი) ეს გავლენა უფრო

თვალსაჩინო და არსებითია. ეს, უთუოდ, სხვა ფაქტორებთან ერთად შავიზღვისპირა ამ ცენტრებში ბიზანტიის პოლიტიკურ-კულტურული გავლენით აიხსნება. დასავლეთისგან განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკები მეტ სიახლოვეს სირიის ძეგლებთან ამჟღავნებს. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევაში (მაგ. ბოლნისის სიონის სვეტისთავები) სასანური ირანის ხელოვნების ერთგვარი გავლენაც აღინიშნება. შემდგომ, საქართველოში შემუშავდა ბაზილიკის თავისებური სახესხვაობა — ე.წ. *სამეკლესიოანი ბაზილიკა* [იხ. ჩუბინაშვილი 1970: 104-108]. ამ ტიპის ნაგებობა გარეგნულად სამნავიანი ბაზილიკის მსგავსია, მაგრამ ინტერიერი სრულიად განსხვავებული აქვს. ნაგები ერთმანეთისგან გამიჯნულია არა საყრდენების, არამედ კედლების საშუალებით და სამი იზოლირებული ნაწილია გამოყოფილი [იხ. ჯაბუა 2009: 53-55]. სამეკლესიოანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ჩამოყალიბების საწყისი პერიოდს წარმოაჩენს — *ქვემო-ბოლნისი* და *ვანათი*; შემდგომ — *ნეკრესი*, *ზეგანი*, *ვაჩნაძიანი* და სხვ. შედეგად, კომპოზიციურად დახვეწილი და არქიტექტურულად კარგად გააზრებული სტრუქტურა ჩამოყალიბდა.

საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში გუმბათიანი არქიტექტურის უადრესი ნიმუში V ს-ის *მანგლისის* ტაძარია, რომელიც ტეტრაკონქის ტიპს განეკუთვნება [დვალი 1974]. ამ არქიტექტურული ტიპის უმთავრეს მახასიათებელს ფვრულად განლაგებული ოთხი აფსიდა წარმოადგენს. ტეტრაკონქების აქტიური გავრცელების პერიოდი ადრეული შუა საუკუნეებია. ტიპოლოგიური თვალსაზრისით საქართველოში გვხვდება მარტივი — *მანგლისი*, *ძველი გავაზი*, *ნოჯიხევი*; კუთხისოთახებიანი — *მცხეთის ჯვარი*, *ატენის სიონი*, *ძველი შუამთა მარტვილი* და მონუმენტური, წრიულგარშემოსასვლელიანი — *იშხანი*, *ბანა* — ტეტრაკონქები.

ადრექრისტიანულ სამყაროში ფორმირებული კიდევ ერთი არქიტექტურული ტიპია ე.წ. თავისუფალი ჯვრის ტიპი, რომელიც ასევე გავრცელდა საქართველოში. მის საფუძველს, ისევე როგორც ტეტრაკონქის შემთხვევაში, ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი სიმბოლო ჯვარი წარმოადგენს და ძირითადი მახასიათებელი გეგმის ჯვრული გარშემონერილობაა. საქართველოში თავისუფალი ჯვრის ტიპის ფორმირება ჯერ კიდევ V ს-ში იწყება. IV-VII სს, ახალი იდეოლოგიური და სოციალ-პოლიტიკური რეალობის ფორმირების ხანა, დიდი ცვლილებების მომტანია ზოგადად ქართული კულტურის, კონკრეტულად კი ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიაში. ეს ტრანსფორმაცია წინაქრისტიანული ხანის მდიდარი არქიტექტურული ტრადიციების და ადგილობრივი სამშენებლო პოტენციალის ბაზაზე განხორციელდა, რამაც დიდწილად განაპირობა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ხასიათი.

ამრიგად, ხუროთმოძღვრება, რომელიც საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან განვითარდა. მისი განვითარების საინტერესო პროცესი ადგილობრივი მრავალფეროვანი ბიოგეოგარემოს და მრავალგვარი კულტურული კავშირების არსებობის პირობებში წარიმართა. ამ პროცესში ათასწლეულების განმავლობაში დაგროვდა მდიდარი სამშენებლო გამოცდილება და ტრადიციები. ამაზე მეტყველებს ძველ საქართველოში ცალკეული არქიტექტურული ნაგებობისა თუ ურბანული დასახლებების არსებობის ფაქტი. შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლების ცუდი დაცულობის მიუხედავად უმეტესად ნათლად ვლინდება მათი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულება. იცვლება ეპოქები, კულტურული კავშირების ხასიათი, სამშენებლო საშუალებები თუ ხერხები, თუმცა სხვადასხვა პერიოდში მსგავსია მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული საკითხების გააზრების მიდგომები, რაც თვითმყოფადობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად გვევლინება. ამგვარი მემკვიდრეობითობა წინაქრისტიანული და ადრექრისტიანული პერიოდების იდეოლოგიური და სოციალ-პოლიტიკური განსხვავების მიუხედავად ძველი საქართველოს ხუროთმოძღვრებაში განვითარების ერთიანი უწყვეტი პროცესის არსებობას განაპირობებს. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



სანარი მონყოილობა და მნიშვნობრობა

მ. ჩარკვიანი, გ. გამყრელიძე

დამწერლობის წარმოშობა და შესაბამისად, მნიშვნობრობის გაჩენა პიქტოგრამული გამოსახულებების ჩამოყალიბებას და განვითარებას უკავშირდება. პიქტოგრამული გამოსახულებები გვხვდება როგორც ქვაზე, ასევე კერამიკასა და ლითონზე. მსოფლიო ცივილიზაციების წარმოქმნასთან ერთად ჩნდება სხვადასხვა სახის დამწერლობები (იეროგლიფური, ლურსმული), რომლებიც ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებში თანდათანობით ანბანურმა შეცვალა [იხ. გამყრელიძე თ. 1989: 24-48, 119 და შემდეგ]. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მრავლადაა გამოვლენილი სხვადასხვა მასალაზე (ქვაზე, თიხაზე, ლითონზე, პაპირუსსა და პერგამენტზე) შესრულებული განსხვავებული ხასიათის (სამეურნეო, სავაჭრო, საკულტო-რიტუალური, მიძღვნილი, სამშენებლო, ისტორიული და სხვ.) ნარწერები.

ძველ საქართველოში, რომელიც მოქცეული იყო ამ ცივილიზაციათა სისტემაში, სახელმწიფოებრიობის (კოლხეთი, იბერიის) გაჩენისთანავე იწყება დამწერლობის გამოყენება, რაც წერილობით წყაროებშიც აღნიშნულია და არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი არტეფაქტებითაც დასტურდება. წერილობითი წყაროები: ძვ.წ. III ს-ის ბერძენი სწავლული აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ ნახსენებია — კოლხებს „შემონახული აქვთ თავიანთი მამათაგან ნაწერი კირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგ ზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“ (არგონავტიკა, IV, 279-291). ამ ცნობის საფუძველზე ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს ძველ კოლხეთში დამწერლობის არსებობას [იხ. ურუშაძე 1964: 150-169].

II ს-ის ერთ-ერთ ანონიმურ ტრაქტატში შემონახულია საინტერესო ცნობა, რომლის პირველწყაროდ ძვ.წ. IV ს-ის ბერძენი ევჰემერისტი პალეფატე ივარაუდება: „კოლხეთში დაცული (ტყავი) ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ იყო (ეს პოეტური გამონაგონია), არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით ...“ [ურუშაძე 1964: 439]. ამავე წყაროდან სარგებლობდნენ II-III სს-ის ევჰემერისტი ხარაკს პერგამონელი, XII ს-ის ბიზანტიელი ევსტათი თესალონიკელი, VII ს-ის ისტორიკოსი იოანე ანტიოქელი, „სვიდას“ სახელით ცნობილი X ს-ის ლექსიკონი და სხვ. [იხ. ურუშაძე 1964: 447, 150]. ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველ მეფეთა“-ში აღნიშნულია, რომ ქართლის სამეფოს დამაარსებელმა მეფე ფარნავაზმა შექმნა „მნიშვნობრობა ქართული“ [ქც, 1955]. ამგვარ ცნობებს ემყარება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება უძველესი ქართული დამწერლობის არსებობაზე. სამწუხაროდ, ამ ცნობების რეალობის ნივთიერი მტკიცებულება ჯერჯერობით არ გავაჩნია.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. V- ახ.წ. IV სს-ის ნარწერები შესრულებულია არამეული, ბერძნული, ლათინური და ქართული დამწერლობით, რაც ძველი საქართველოს (კოლხეთ-იბერიის) ცივილიზებულ გარესამყაროსთან მჭიდრო კულტურულ ურთიერთობებზე მიუთითებს. ისინი სხვადასხვა მასალაზეა შესრულებული და სხვადასხვა შინაარსისაა:

1- ნარწერები ბრინჯაოსა და ქვის ფილებზე: ბრინჯაოს ფილის ფრაგმენტი ვანის ნაქალაქარიდან, ნარწერა შესრულებულია ბერძნულად, ძვ.წ. III ს., სატაძრო-საკანონმდებლო დოკუმენტი [იხ. ყაუხჩიშვილი თ. 1999: 149-150; ფირცხალავა და სხვ. 1986: 52-78]; ბრინჯაოს ფილის ფრაგმენტები (38ც.) ემერის ნაქალაქარიდან, ნარწერა შესრულებულია ბერძნულად, ძვ.წ. III ს., სავარაუდოდ, სამხედრო აქციას ეხება [იხ. ყაუხჩიშვილი თ. 1999: 27-28]; ქვიშაქვით ნაგებ კარიბჭის ნარწერები ვანის ნაქალაქარიდან, შესრულებულია ბერძნულად. ძვ.წ. IV-III სს., საკუთარი სახელები და სავადრებელი შინაარსის ტექსტი [იხ. ყაუხჩიშვილი თ. 1999: 148-149]; ქვის სტელა მცხეთის

მისადგომებიდან, რომის იმპერატორ ვესპასიანეს ბერძნული წარწერა, ახ.ნ. 756., მიძღვნილი შინაარსის [იხ. ყაუხჩიშვილი თ. 1999: 29].

ქვის ფილა სოხუმიდან, შესრულებულია ლათინურად, ახ.ნ.132 ნ., მიძღვნილი შინაარსის [Iомоури 1981: 25]; ქვის სტელა ე.წ. „არმაზის ბილინგვა“ არმაზისხევის სამაროვნიდან, შესრულებულია ბერძნულითა და არამეული დამწერლობის თავისებური სახეობით — ე.წ. „არმაზულით“, ახ.ნ. II ს., სერაფიტის ეპიტაფია [იხ. აფაქიძე ან. და სხვ.1955; ყაუხჩიშვილი ს. 1941: 169-176; წერეთელი გ. 1942; Церетели Г. 1948: 49-57]; ქვის სტელა ე.წ. „შარავასის“ არმაზისხევის სამაროვნიდან, არამეული — „არმაზულით“ შესრულებული წარწერა, ახ.ნ. I-II სს., მიძღვნილი შინაარსის [წერეთელი გ. 1942]; ქვის ფილები (3ც.) არმაზციხე-ბაგინეთიდან ბერძნული წარწერებით, ახ.ნ. II-III სს., მიძღვნილი შინაარსის [ყაუხჩიშვილი თ. 1996: 81-94; ყაუხჩიშვილი თ. 2004: 227-229; ნიკოლაიშვილი 2011]; სტელის ფრაგმენტი მცხეთის მოგვთაკარის უბნიდან, ბერძნული წარწერა IV-V სს-ის, ეპიტაფია [ყაუხჩიშვილი თ. 2004: 229-230]; სტელა მცხეთის ანტიოქიის ეკლესიის ზღუდიდან, ბერძნული წარწერა IV-V სს-ის, სამშენებლო შინაარსის [ყაუხჩიშვილი თ. 2004: 230]; სტელა სამთავროს სამაროვნიდან, ბერძნული წარწერა IV ს-ის, მთავარი მხატვარისა და ხუროთმოძღვრის ავრელიუს აქოლისის და მისი მეუღლის ეპიტაფია [იხ. ყაუხჩიშვილი თ. 2004: 256-257] და სხვ.

2- წარწერები კერამიკულ ნაწარმზე: დამლიანი ამფორები სოფ. გვანდრადან (სოხუმის მახლობლად), შესრულებულია ბერძნულად, ძვ.წ. IV-III სს., ქალაქის კუთვნილება [Воронов 1977: 163-166]; ქვევრების პირები უფლისციხიდან, ახ.წ. II-III სს. [ხახუტაიშვილი დ. 1964: 57; წერეთელი კ. 1991: 90-110]; ურბნისიდან, ახ.წ. II-IV სს. შესრულებულია არამეულად [ჭილაშვილი 1964:54; წერეთელი კ. 1990:198-200]; სამეფო დამლიანი კრამიტები ვანის ნაქალაქარიდან, შესრულებულია ბერძნულად, ძვ.წ. III ს., მეფის კუთვნილება და საკუთარი სახელები [ახვლედიანი 1999:4-11, ტაბ. II]; დამლიანი აგურები — ციხისძირიდან ახ.წ. III-IV სს.; მოედანიდან (ლანჩხუთის მუნიციპ.) — ახ.წ. III ს.; გონიოს ციხე-სიმაგრიდან ახ.წ. III ს.; ბიჭვინთის ნაქალაქარიდან ახ.წ. III ს., შესრულებულია ლათინურად [დანვრ. იხ. Gamkrelidze 2014: 11-15, 17-19, სურ. 1, 2, 3, 4, 5, 5, 6; მამულაძე და სხვ. 2001: 163]. ქ ფოთთან, მდინარე რიონის შესართავთან, მალთაყვის სრუტის მარცხენა მხარეს და პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაპირთან ბერძნულ წარწერა-გრაფიტოიანი ამფორები აღმოჩნდა [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2011: 172-181].

3- წარწერები ტორეცტიკულ ნაწარმზე: ვერცხლის ჭურჭლები არმაზისხევის (სამ. №3), ზღუდერისა და ბორის სამაროვნიდან, ბერძნულად შესრულებული, ახ.წ. II-III სს., მიძღვნილი შინაარსის [აფაქიძე ან. და სხვ. 1955; ყაუხჩიშვილი თ. 2004: 267-268]; ვერცხლის ლანგარი არმაზისხევის (სამ. №2) სამაროვნიდან, ფალაურად შესრულებული, ახ.წ. II-III სს., მიძღვნილი შინაარსის [აფაქიძე ან. და სხვ. 1955]; ვერცხლის პენალი, სვეტიცხოვლის უბნის №14 სამარხიდან, ბერძნულად შესრულებული, ახ.წ. III ს., კუთვნილების შინაარსის და ხელოვნების მფარველი მუზეუმის სახელები [ყაუხჩიშვილი თ. 2004: 367-370] და სხვ.

4- წარწერები გლიპტიკურ ნაწარმზე: ოქროს ბეჭედ-საბეჭდავის ფარაკზე, ვანის ნაქალაქარის №9 სამარხიდან, შესრულებულია ბერძნულად, ძვ.წ. IV ს., საკუთარი სახელი [ლორთქიფანიძე მარგ. 1976:135-147]; ინტალიოებზე (5 ც.), არმაზისხევის სამაროვნიდან, შესრულებულია ბერძნულად, ახ.წ. II-III სს., ინსიგნიები საკუთარი სახელებით [ლორთქიფანიძე მარგ. 1958]; ინტალიოებზე (4 ც.) მცხეთის სამაროვნიდან ახ.წ. I-III სს., საკუთარი სახელები [ყაუხჩიშვილი თ. 2004: 261-263]; ინტალიოებზე (2 ც.), ზღუდერის სამაროვნიდან, შესრულებულია ბერძნულად, ახ.წ. III ს., ინსიგნიები საკუთარი სახელებით [ბრაუნდი და სხვ. 2009]; ინტალიო ჟინვალის ნაქალაქარიდან, შესრულებულია ბერძნულად, ახ.წ. III ს., საკუთარი სახელი [ყაუხჩიშვილი თ. 2004: 263-264].

ინტალიო წილკნიდან, შესრულებულია ბერძნულად (პალიმფსესტი), ახ.წ. II-IV სს., მაგიური შინაარსის [ყაუხჩიშვილი თ. 2004: 264-265; ლორთქიფანიძე მარგ. 1961: 26-29; ლორთქიფანიძე მარგ. 1969: 54, 61] და სხვ. წარწერები გვხვდება ასევე სხვადასხვა დანიშნულების მცირე ზომის ნივთებზეც. მაგ., ძვლის (ირმის რქის) სამკითხაო-სათამაშო

ფირფიტების კომპლექტი გრავირებული ნახატებითა და არამეული (არმაზული) წარწერებით *დედოფლის გორიდან*, ახ.წ. I-II სს. [Gagoshidze 2008: 87-116; წერეთელი კ. 1992: 5-8]; ბრინჯაოს მედალიონი სამთავროს სამაროვნიდან, ბერძნული წარწერით, ახ.წ. II ს., მიძღვნილი შინაარსის [ყაუხჩიშვილი თ. 2004: 267]; თუთიის მედალიონი ნებელდის სამაროვნიდან, ბერძნული წარწერით, ახ.წ. IV ს., აპოტროპული შინაარსის [ყაუხჩიშვილი თ. 2004: 76, *Трапш* 1963: 273]; ოქროს ფირფიტა-გრაგნილის ამულეტი ე.წ. შელოცვა იუდევეურ-არამეული წარწერით მცხეთიდან, ახ.წ. V ს. [წერეთელი კ. 1996:95-132] და ა.შ.

5- რაც შეეხება ქართული დამწერლობით შესრულებულ წარწერებს, მისი განვითარების ისტორიის პირველი ეტაპი, სადღეისოდ, ახ.წ. IV-VII საუკუნეებს მოიცავს. ისინი ძირითადად, ლაპიდარული ძეგლებია, რომლებიც დატანილია საკულტო ძეგლებზე (ქვაჯვრები და ეკლესიები) და სამარხებზე. წარწერები შინაარსის მიხედვით არის სამშენებლო (ქტიტორთა და ხუროთმოძღვართა), მოსახსენიებელი (ქტიტორთა და ხუროთმოძღვართა, უფალთა და გამგებელთა, შემწირველთა, მომლოცველ-პილიგრიმთა) და ეპიტაფიები [იხ. ლაპიდარული წარწერები 1980: 18-20]. არქეოლოგმა ვ. კორბომ ისრაელში, იერუსალიმთან ბირ ელ-ქყუთის მონასტერში გათხრებისას, მოზაიკურ იატაკზე 450 წლით დათარიღებული ქართული წარწერები აღმოაჩინა (ინახება იქვე) [იხ. წერეთელი გ. 1960].

ქართული ასომთავრული წარწერები ეკლესიებზე: ურბნისის სიონი, სამშენებლო, ქტიტორული შინაარსის, V ს-ის პირველი ნახევარი; ბოლნისის სიონი, სამშენებლო, მოსახსენიებელი და ქტიტორული შინაარსის — V ს-ის მეორე ნახევარი (494 წ.); ზემო ნიქოზის ღვთაების ტაძარი, მოსახსენიებელი შინაარსის — V ს-ის მეორე ნახევარი; აკაურთას ეკლესია, სამშენებლო, მოსახსენიებელი შინაარსის — V ს-ის მეორე ნახევარი [ლაპიდარული 1980: 62-72]. ქართული ასომთავრული წარწერები ქვა და სტელა ჯვრებზე: ბოლნისის სიონთან, 7 ც. — V ს-ის მეორე ნახევარი (494 წ.); "ლამაზი გორის" ბაზილიკასთან (ბოლნისის მუნიციპ.), 8 ც. — V-VI სს., 1 ც. — VI-VII ს. — მოსახსენიებელი შინაარსის; უკანგორის ეკლესიასთან (დმანისის მუნიციპ.), 3 ც. - V-VI სს., დაბლუტის წყლის ხეობის ეკლესიასთან (დმანისის მუნიციპ.), 2 ც. - V-VI სს., VII ს., მცხეთის ჯვრის ტაძარზე, 595-605 წწ., წყისის ციხეზე, VII ს., პანტიანის ეკლესიაზე, VII ს-ის მეორე ნახევარი, აბასთუმნის ეკლესიაზე, 685-711 წწ. - მოსახსენიებელი (სათაყვანო-საუფლო) შინაარსის. სამწვერისთან, VII ს., "ლამაზი გორა"-სთან, VII ს., ბოლნისის სიონთან, VII ს. — ეპიტაფიები [ლაპიდარული 1980: 89-103; 150-152]. ქართული ასომთავრული წარწერა ბალიჭის სარკოფაგზე, VI ს., ეპიტაფია [ლაპიდარული 1980: 149-150].

ამ პერიოდის ქართული მნიგნობრობის ძეგლებს, ასევე წარმოადგენენ პალიმფსესტები. უძველესი პალიმფსესტები V-VI სს-ით თარიღდება, რომლებიც ხანმეტის სახელწოდებითაა ცნობილი და შეიცავს ძველი და ახალი აღთქმის, ლექციონარის, ჰაგიოგრაფიული თხზულებების და ა.შ. ფრაგმენტებს. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია პალიმფსესტი 89, რომლის პირველი ფენა V-VI სს-ით თარიღდება და წარმოადგენს ოთხთავის ფრაგმენტს.

უადრესად ითვლება დავათის სტელის წარწერა, რომელზეც გამოხატულია ქართული ასომთავრული ანბანი, თარიღდება ≈367 წ. [იხ. პატარიძე 1989: 14-17]. სოფ. დავათი მდებარეობს დუშეთის მუნიციპ., მდ. არაგვის მარცხენა შენაკადის — *აბანოსხევისკენ*. აქ მდებარე ეკლესიაში არქეოლოგებმა მიაკვლიეს ქართულ წარწერიან სტელას, რომელიც შემდგომ უმნიშვნელოვანესი გამოდგა ქართული დამწერლობათმცოდნეობისათვის [დანვრ. იხ. რამიშვილი 2008]. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგად გაითხარა დავათის ხუროთმოძღვრული კომპლექსის ძირითადი ნაგებობა — ღვთისმშობლის სახ. ორნავიანი ეკლესია (≈8,5 X 6,8 მ) და მისი შემოგარენი (უინვენტარო სამარხები). როგორც სჩანს ეს ნაგებობა მრავალჯერ არის გადაკეთებული და მიშენებულ- მოშენებული. გათხრებისას გამოვლინდა შუასაუკუნეების სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალა. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია, საყრდენ სვეტში ჩატანებული სტელები, რომლებიც განაც ერთ-ერთი გამორჩეულად საყურადღებოა. მასზე წარმოდგენილია ქართული ანბანის ამაღლების

სცენა. სტელაზე გამოხატულია ერთიმეორის პირისპირ მდგარი მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები. მათ ხელი ზეანული აქვთ. ამ ორ გამოსახულებას შორის გამოსახულია ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშნები. ამ არქეოლოგიური ძეგლის გამთხრელი რამინ რამიშვილი მიიჩნევდა, რომ ეკლესია აგებული უნდა იყოს VI ს-ის მეორე ნახევარში და მშენებელმა გამოიყენა სასანური, მაზდეანური, ირანის ექსპანსიის დროს დამტვრეული ქრისტიანული სტელების ნატეხები და ისინი ეკლესიის ძირითად სვეტში ჩაამაგრა. მისი აზრით, ეს სტელები IV ს-ის მეორე ნახევარში შექმნილი რელიკვიებია [იხ. რამიშვილი 2008] (არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც — იხ. კ. წერეთელი, ირ. ელიზბარაშვილი [წერეთელი 1986]). ქართულანბანიანი სტელა მიჩნეულია IV ს-ის ძეგლად [იხ. Abramishvili და სხვ. 1990].

საყურადღებოა აგრეთვე ნეკრესის ნაქალაქარზე (კახეთი) ახ.წ. IV სს-ის ნაგებობასთან არსებულ ახ.წ. I-III სს-ის კულტურულ ფენასთან აღმოჩენილი 41,5 X 10 სმ-ის, ქართულ ასომთავრულ წარწერიანი ქვა (მოტეხილია ზედა და ქვედა მხარე). აქვე, ნაქალაქარზე ასომთავრულ წარწერიანი სხვა არტეფაქტებიც დადასტურდა. ამ არქეოლოგიური ძეგლის გამთხრელი ლევან ჭილაშვილი მიიჩნევდა, რომ ეს წარწერიანი ქვები აქ მეორადი გამოყენების დროს მოხვდა, ხოლო თვით წარწერები ზოგადად, ახ.წ. I-III სს-ს უნდა განეკუთვნებოდეს [დანვრ. იხ. ჭილაშვილი 2000: 7-8; ჭილაშვილი 2004].

საქართველოში გამოვლენილი მნიგნობრობასთან დაკავშირებული ნივთებია — სტილოსები, სამელნეები და სანერი მონყობილობის სრული კომპლექტი (პენალი, სტილოსები და სამელნე). ეს არტეფაქტები სხვადასხვა მასალისაგანაა (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, ძვალი) დამზადებული და ზოგადად, ახ.წ. I-IV სს-ით თარიღდება. მცხეთის სვეტიცხოვლის საძირკვლის არქეოლოგიური შესწავლისას აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის სამარხები. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ქვედა ფენის III-IV სს-ის სამარხები. მათ შორის ინვენტარის სიუხვით, მრავალფეროვნებითა და უნიკალობით გამოირჩევა სამარხი-აკლამა №14. სამარხში აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, მინის და სხვადასხვა მინერალებისაგან დამზადებული 25 არტეფაქტი. აქ საყურადღებოა ვერცხლისა და ოქროსაგან დამზადებული სანერი მონყობილობები. ესენია — სამი კალამ-კალმისტარი ვერცხლის კოლოფში მოთავსებული — პენალი (მუხების გამოსახულებით); ოქროს სამელნე. მცხეთაში ადრე გამოვლენილ სანერ-სტილოსებთან და სამელნეებთან ერთად ეს აღმოჩენა ადგილობრივი მნიგნობრობის უდაო მაჩვენებელია [იხ. Apakidze და სხვ. 2004: 105-12]. ესენია:

სტილოსები: სტილოსი (13 ც.), ძვლის, დედოფლის გორას ნაქალაქარი, ოთახი № 1, 11, 12, 13, ახ.წ. I ს-ის დასაწყისი [Gagoshidze 2008: 101-102, კატ. № 99-113, ტაბ. 43-44]. სტილოსი (5 ც.) — ბრინჯაოს წკირი (4 ც.), ძვლის (1 ც.); ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის უბანი, კრამიტსამარხი № 6, ახ.წ. I-II სს. [აფაქიძე ან. და სხვ. 1978: 72-74, სურ. 445, 447]; კალამ-კალმისტარი (3 ც.), ვერცხლის, ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის უბანი, სამ. № 14, ახ.წ. II-III სს. [აფაქიძე ან. და სხვ. 2003: 93, ტაბ. XIII]; სტილოსი, სამთავროს სამაროვანი, სამარხი № 186, ახ.წ. II-III სს. [მანჯგალაძე 1985: 68, სურ. 386]; სტილოსი (2 ც.), ძვლის, ბაიათხევის სამაროვანი, სამარხი № 35, ახ.წ. III ს. [ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995ა:131, სურ. 1099, 1100, 1286, 1287]; სტილოსი (4 ც.), ძვლის, ურბნისის ნაქალაქარი, სამარხი № 269, ახ.წ. I-II სს., სამარხი № 263, ახ.წ. II-III სს., სამარხი № 22, ახ.წ. III ს. [კერესელიძე 1978: 76, 90, ტაბ. XIII,8, XVIII,3, XXXVIII,3], აგურსამარხი №58, ახ.წ. IV ს. [ჭილაშვილი 1964: 76, სურ. 35]; სტილოსი (2 ც.), ძვლის და ბრინჯაოს, ჟინვალის სამაროვანი, სამ. № 263, 579, ახ.წ. II-III სს. [ჩიხლაძე 2015: 20, 101, ტაბ. V-188]; სტილოსი, ძვლის, ბიჭვინთის ნაქალაქარი, სამარხი №22, ახ.წ. [ლორთქიფანიძე გ. 1991: 76, ტაბ. XXVIII].

სამელნეები: სამელნე (11 ც.), ძვლის, დედოფლის გორის სასახლე, ოთახი №1, 10,12, 13, ახ.წ. I ს-ის დასაწყისი [გაგოშიძე 2008: 88-99, კატ. №78-88, ტაბ. 38, 47]; სამელნე, ბრინჯაოს, ძირზე ლათინური წარწერით “Ex officinal Calpurnii”, სამთავროს სამაროვანი; სამელნე, ვერცხლის, ქ. მცხეთაში, არაგვისპირას გამოვლენილი სამარხი [იხ. აფაქიძე ან. და სხვ. 1978: 72-73]. სამელნე, ბრინჯაოს, ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის უბანი, კრამიტსამარხი № 6, ახ.წ. I-II

სს. [აფაქიძე ან. და სხვ. 1978: 72-74, სურ. 446]; სამელნე, ოქროს, ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის ეზო, სამ. № 14, ახ.ნ. II-III სს. [აფაქიძე ან. და სხვ. 2003: 84, ტაბ. I]; სამელნე, ბრინჯაოს, ბაიათხევის სამაროვანი, სამარხი №35, ახ.ნ. III ს. [ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995ა: 131, სურ. 1098, 1285]. სამელნე, ძვლის, ცილინდრული, ურბნისის ნაქალაქარი, სამარხი №96, ახ.ნ. I-II სს. [კერესელიძე 1978: 89, ტაბ. XVIII,1]. სამელნე, ძვლის, უფლისციხის ნაქალაქარი, ბამბების სამაროვანი, სამარხი № 10, ახ.ნ. IV ს. [ხახუტაიშვილი 1970: 141, ტაბ. 45].

პენალი, მოოქრული ვერცხლის, ორნაწილიანი კოლოფი, ჩაფენილი ვერცხლის ფირფიტით, ბუდით სტილოსების ჩასაწყობად; მცხეთა, სვეტიცხოვლის ეზო, სამ. № 14, ახ.ნ. II-III სს. [იხ. აფაქიძე ან. და სხვ. 2003: 91-93, ტაბ. XI]. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



საომარი იარაღი

გ. გამყრელიძე, ვ. შატერაშვილი, მ. ფირცხალავა

საბრძოლო იარაღის შესახებ წლების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად საკმაოდ მრავალფეროვანი მონაცემები დაგროვდა. ეს არქეოლოგიური არტეფაქტები (შუბი, სატევარი, მშვილდ-ისარი, მუზარადი, ფარი და სხვ.), შესწავლილია სტატისტიკურ-ტიპოლოგიურად, სისტემური ანალიზის მეთოდის გამოყენებით. გამოყენებულია სამხედრო ისტორიის შესახებ არსებული წერილობითი წყაროები — ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, ტაციტუსი, აპიანე, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ. ყოველივე ამის საფუძველზე, ძველი საქართველოს, იბერია-კოლხეთის საომარი იარაღის ისტორიაა წარმოდგენილი (დანვრ. იხ. [გამყრელიძე 2010; გამყრელიძე, შატერაშვილი, ფირცხალავა, ჩარკვიანი, ნან. I, 2018; გამყრელიძე, შატერაშვილი, ფირცხალავა, ჩარკვიანი, დავლიანიძე, 2018 ნან. II, კატალოგი]).

ივანე ჯავახიშვილმა წერილობითი წყაროების მონაცემების საფუძველზე, პირველმა მოგვცა საბრძოლო იარაღის კლასიფიკაცია: საძგერებელი, სატყორცნ-საძგერებელი, სატყორცნი, სასროლი, დასარტყმელი, მკვეთრ-მკვეთებელი, თავსაბურავი, გულმკერდის საცავი, ქვედა ნაწილის საცავი, ფარი და ჩელთი [იხ. ჯავახიშვილი 1962].

ძვ.წ. VII-დან საქართველოს ტერიტორიაზე რკინის საბრძოლო, შეტევითმა იარაღმა ბრინჯაოს იარაღი ხმარებიდან თითქმის მთლიანად გამოდევნა. შეტევითი იარაღის ისეთი სახეობები, როგორცაა შუბები, ცულები და სატევარ-მახვილები უკვე მხოლოდ რკინისაგან მზადდებოდა, რამაც მათი საბრძოლო თვისებები მკვეთრად გააუმჯობესა. ბრინჯაოს იყენებდნენ თავდაცვითი საჭურველისა (ფარი, მუზარადი, ჯავშანი, საწვივეები) და ისრებისათვის, აგრეთვე ისეთი იარაღისათვის, რომელსაც საბრძოლო ფუნქციის გარდა, ინსიგნიის დანიშნულებაც ქონდა (მაგ. ლახტისთავები).

შუბი. მოცემული ეპოქის საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული იარაღი შუბი იყო, რასაც არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, წერილობითი წყაროებიც ადასტურებს. ჰეროდოტეს, ქსენოფონტის, სტრაბონისა და პლუტარქეს ცნობების მიხედვით შუბი კოლხების, ხალიბების, მოსხებისა და იბერებისთვის ძირითადი იარაღი იყო (იხ. ჰეროდოტე, VII, 78, 79; ქსენოფონტი, ანაბასისი, V, 2,22; V, 4,12; V, 4,25; სტრაბონი, XI, 4,5; პლუტარქე, ლუკულუსი 31). *სამადლოსა* და *ციხიაგორის* არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილ მოხატულ ჭურჭლებზე ბრძოლის სცენებია გამოსახული. მათზე შუბიანი ადამიანები არიან გამოხატულნი. *დედოფლის გორის* I ს-ის არქეოლოგიურ ძეგლზე აღმოჩენილია ფირფიტები შეიარაღებული ადამიანების გამოსახულებებით, რომლებსაც შუბები უჭირავთ [იხ. Гагошидзе 1979: 94, ტაბ. XV; გაგოშიძე 2004: 119]. სოფ. გომის სასმისზე გამოსახულ ბრძოლის სცენაზე მარცხნიდან პირველ მეომარს, ზეანულ ხელში, წვერით ქვემოთ, საძგერებლად გამზადებული შუბი უჭირავს; ასეთივე შუბით იბრძვის მეოთხე

მეომარიც. მეომრების პოზა და მტერთან უშუალო კონტაქტი, აგრეთვე შუბის წვერით ქვემოთ დახრა თითქოს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს შუბები საძვერებელია და არა სატყორცნი (გომის სასმისის შესახებ დანვრ. იხ. [გამყრელიძე 2002: 39-49]).

საინტერესოა წერილობით წყაროებსა და ზეპირსიტყვიერებაში შემონახული განსხვავებული სახელები შუბებისა. მაგ., გრძელი, საძვერებელი შუბის სხვადასხვა, ხშირად გაურკვეველი ტიპებია — *გეონი*, *ლახვარი* და სხვ.; მოკლე, სატყორცნი შუბისა — *ზუფანი*, *შუბაკი*, *ხელშუბა*, *სათხედი*, *ოროლი* და სხვ. არქეოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, რომ შუბისპირები, სხვა იარაღთან შედარებით, რაოდენობით პირველ ადგილზეა, რაც იმაზე მოგვანიშნებს, რომ იმ დროს შუბი ძირითად საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა. შუბი შედგება შუბისპირისა და ტარისაგან. შუბის კლასიფიკაციისას ამოსავალია შუბისპირი. თავის მხრივ, შუბისპირი შედგება მასრისაგან, რომელიც უზრუნველყოფს შუბისპირის ტარზე მორგებას და ორლესული საძვერებლისაგან, რომელსაც აქვს წვერი, გვერდები და მხრები — მასრიდან საკუთრივ პირზე გარდამავალი მონაკვეთი. აღწერისათვის გამოყოფილია შემდეგი მახასიათებლები: პირის ფორმა-მოყვანილობა და მასრაზე გადასვლის კონტური, პირის განიკვეთი, მასრის ფორმა, თანაფარდობა მასრისა და პირის სიგრძეს შორის, მათ სიგანეს შორის; ამ პარამეტრების მიხედვით ნებისმიერი ტიპის შუბისპირი შეიძლება იყოს: გრძელმასრიანი, რაც ნიშნავს, რომ მასრა შუბის საერთო სიგრძის ნახევარზე მეტია; ხოლო, თუ პირის სიგრძე ორჯერ აღემატება მასრის სიგრძეს, ეს გვაძლევს გრძელპირიან შუბისპირს; ფართოპირიანია შუბისპირი, რომლის უდიდესი სიგანე ბევრად აღემატება მასრის სიგანეს, ხოლო ვიწროპირიანია იმ შემთხვევაში, როცა მისი უდიდესი სიგანე ტოლია ან ოდნავ აღემატება მასრის სიგანეს. ამ ნიშნების საფუძველზე საქართველოს ძვ.წ. V-ახ.წ. V სს-ის არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოიყო 8 ტიპი:

I ტიპი — ვიწროპირიანი შუბისპირი, რომელსაც აქვს ვიწრო და გრძელი პირი, წვერისკენ თანაბრად დავიწროებული გვერდები, კონუსური, გახსნილი მასრა, თანდათან გადამავალი ვიწრო პირში.

II ტიპი — რომბისებურპირიანი შუბისპირი, რომლისთვისაც დამახასიათებელია წაგრძელებული რომბის მოყვანილობა, მკაფიოდ გამოკვეთილი, გრძელი ან საშუალო ზომის, ზემოთ ანეული მხრები, კონუსური, მრგვალგანიკვეთიანი, გახსნილი მასრა.

III ტიპი — წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი შუბისპირი, რომელსაც აქვს გრძელი და ვიწრო, წაგრძელებული სამკუთხედის ფორმის პირი, სწორი გვერდები, ოდნავ ანეული ან ჰორიზონტული მხრები, კონუსური, გახსნილი მასრა.

IV ტიპი — მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირი, რომელსაც აქვს მომრგვალებული მხრები, სწორი, წვერისკენ თანდათან დავიწროებული გვერდები. ეს ტიპი არქეოლოგიურ ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც „ფოთლისებური“.

V ტიპი — მომრგვალებულგვერდებიანი შუბისპირი: მასრა თანდათან გადადის პირზე, რომელიც წვერისკენ ჯერ ფართოვდება, უდიდეს სიგანეს შუა ნაწილში აღწევს, ბოლო მესამედში კი ვიწროვდება. ეს ტიპი არქეოლოგიურ ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც „ლანცეტური“, ან „დაფნის ფოთლისებური“.

VI ტიპი — ისრისპირისებური, მხრებადშვებული შუბისპირი. მას აქვს სამკუთხა პირი, რომლის ქვედა გვერდის კუთხეები წვეტების სახით ეშვება ქვემოთ. მასრა გრძელი, ვიწრო და გახსნილია და ქედიან პირს მრგვალგანიკვეთიანი ღეროთი უერთდება. ამ ტიპის შუბისპირებს ლიტერატურაში „ხელშუბის პირებად“ მოიხსენიებენ.

VII ტიპი — იშვიათი ტიპის შუბისპირებია, რომელთაც აქვთ მოკლე, რომბული, ქედიანი პირი და გრძელი მასრა, რომელიც პირს ვიწრო და გრძელი, განიკვეთილი ოთხკუთხა „წელით“ უკავშირდება; მასრა კონუსურია, გახსნილი.

VIII ტიპი — ამ იარაღს შუბი არც ეთქმის, ეს არის სატყორცნი-საძვერებელი იარაღის „ხიშტისმაგვარი“ სახეობა, რომელსაც აქვს ოთხნახნაგა, გრძელი პირი და პირისაგან ყელით გამოყოფილი, გახსნილი მასრა. ცალკე დგას რომაული სატყორცნი შუბი — *პილუმი*.

I ტიპის, ვიწროპირიანი შუბისპირების აღმოჩენა წინარეანტიკური ხანის ძეგლებზე არცთუ იშვიათი მოვლენაა. რაც შეეხება ანტიკურ ხანას, ასეთი შუბისპირები ფიქსირდება:

ნითელი შუქურას სამაროვნის უმცროსი ჯგუფის, ძვ.წ. V ს-ის №1 სამარხში (5ც.). ისინი მოკლე, გახსნილმასრიანები და ქედიანები; უდიდესი სიგრძე — 40 სმ-ია, უმცირესისა — 26 სმ [Трапш 1969: 268-269, ტაბ. XXXVI, 7,9,10, 11, 12]; ახულაბაას №5 სამარხში [Воронов 1991: 225, სურ. 2.15-18]; ვანის ნაქალაქარზე, №9, ე.წ. მეომრის ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედის სამარხში (8 ც., სიგრძე — 32, 35, 40, 50 სმ) [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 203, 211, სურ. 175,1- 4]; დაბლაგომის კრამიტით დახურულ სამარხში, რომელიც ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება, 2 ასეთი შუბისპირია (სიგრძე — 33, 37 სმ) [თოლორდავა 1976: 76, ტაბ.117]; სოხუმის მთაზე, ძვ.წ. III-II სს-ის №2 და 6 სამარხებში განსახილველი ტიპის სულ 6ც., აქედან 5 №2 სამარხიდანაა (შუბისპირების სიგრძე 24,5-დან 34 სმ-მდეა [კალანდაძე 1954: 29, ტაბ.VIII3-7, IX19]; ვანის ნაქალაქარის კარიბჭის კომპლექსთან ერთი ცალი აღმოჩნდა [ლორთქიფანიძე 1976:181-182, სურ. 137-6]. ძვ.წ V-III სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე ვინროპირიანი შუბისპირები აღმოჩენილია — სოფ. ჩხიკვაში — 1ც. [კვიციანიძე 1975: ტაბ. XXVIII,6]; ვარსიმაანთკარის სამაროვანზე 3ც. [მუხიგულაშვილი 2015: 71 ტაბ. I, სურ. 2, №75, 105]; ეცოს სამაროვანზე ძვ.წ. IV-III სს-ის №96 სამარხში, სიგრძე — 14,5 სმ-ია [შატბერაშვილი 2005: ტაბ. XXXIV12]; სხალთაში, №20, 36, 37 სამარხებში ამ ტიპის 3 იარაღია, რომელთა სიგრძე 19,5-27 სმ-ს შორის მერყეობს [Shatberashvili და სხვ. 2005: 36, ტაბ.VI,1,3]; მცხეთიჯვრის ნაურიალის სამაროვანის № 14 სამარხში — 1 ც., 30 სმ-ის სიგრძის შუბისპირია [დავითაშვილი ამ., დავითაშვილი ქ. 2010:55]; შავსაყდარა I-ის №16, 34 სამარხებში თითო, მოკლემასრიანი, 45 და 48 სმ-ის სიგრძის, №26 სამარხში კი გრძელმასრიანი, 16,5 სმ-ის სიგრძის [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004: 72, 88, 96, ტაბ. CIX,5, CXVIII,5, CIX,3]. ვინროპირიანი შუბისპირები მოგვიანოთაც აგრძელებენ არსებობას. მაგ.: ჩხორონწყუში ახ.წ. II-III სს-ის სამარხში აღმოჩენილია რკინის, ვინროპირიანი (სიგრძე — 43 სმ), მასრაგახსნილი შუბისპირი, რომლის მხრები ოდნავ გამოკვეთილი და მომრგვალებულია [ფუთურიძე 1959: 57-58]. ჟინვალის სამაროვანზე, ახ.წ. II ს-ის №492 სამარხში აღმოჩენილია რკინის, ვინროპირიანი, მახვილწვერიანი, ქედიანი, მასრაგახსნილი შუბისპირი (31 სმ) [ჩიხლაძე 2015: 33]. ახ.წ. III-IV სს-ის ძეგლებზე, კერძოდ კი ნებელდის სამაროვნებზე ვინროპირიან შუბისპირებს მრგვალგანივკვეთიანი ან რომბულ განივკვეთიანი ქედი ახასიათებს. ისინი ნაპოვნია აბგიძრახუს № 9 (2ც., მოკლე მასრით, მრგვალგანივკვეთიანი ქედით, სიგრძე — 39 სმ), № 54 (2 ც., სიგრძე — 35,5 სმ, 32,2 სმ) და №58 სამარხებში (სიგრძე — 26სმ). ახიაცარახუს №6 სამარხში აღმოჩენილ ეგზემპლარს რომბულგანივკვეთიანი პირი, ოდნავ კუთხოვანი მხრები და გრძელი მასრა აქვს (სიგრძე — 36 სმ), ასეთივეა აუახუამახუს №4 სამარხის ვინროპირიანი შუბისპირიც (სიგრძე - 29 სმ) [იხ. Трапш 1971:29, 31, 150, ტაბ. V-10, 11; 83, ტაბ. XXXI-14; 86; 92, 150, ტაბ. XXXIV-9; 104]. ამგვარად, შეიძლება ითქვას, საქართველოში ვინროპირიანი შუბისპირები ძირითადად გავრცელებულია ძვ.წ. V-III სს-ში.

II ტიპის, რომბისებურპირიანი შუბისპირები შეიძლება ორ ქვეტიპად — ა და ბ — დაიყოს. ა. ქვეტიპის შუბისპირები, რომლებსთვისაც დამახასიათებელია განიერი პირი და ფართო, კარგად გამოკვეთილი მხრები; ბ. ქვეტიპის შუბისპირები ერთგვარად მსგავსია წაგრძელებულსამკუთხა პირიან შუბისპირებსა და ა. ქვეტიპისაგან შედარებით დაბალი მხრებით გამოირჩევა, ზეანეული მხრებით კი წაგრძელებულსამკუთხა ტიპის შუბისპირებისაგან იმიჯნება.

ა. ქვეტიპის, რომბისებური შუბისპირები აღმოჩენილია შემდეგ ძეგლებზე: ვარსიმაანთკარის სამაროვანზე (ძვ.წ. V-IV სს.) 2 ეგზემპლარია, რომლებსაც ქედიანი პირი და გრძელი, გახსნილი მასრა აქვს (31 და 32 სმ) [მუხიგულაშვილი 2015: 70, ტაბ. I, სურ.1, №208, 309]; ასეთივე შუბისპირებს ვხვდებით ეცოს სამაროვანზე №55 (ძვ.წ. IV-III სს.), 82 და 94 (ძვ.წ. IV ს-ის) სამარხებში. №55 სამარხის შუბისპირი უქედო და მასრაგახსნილია (სიგრძე — 20,4 სმ, დანარჩენი ორი კი მაღალქედიანი და მასრაგახსნილია (სიგრძე — 23 და 22,5 სმ) [შატბერაშვილი 2005: ტაბ. XII,55-2; ტაბ. XIX,82-2, XXI,94-2]; თითო ასეთი იარაღი გვხვდება სხალთას №13 სამარხში [Shatberashvili და სხვ. 2005: 436, ტაბ. VI,4]; ვანის ნაქალაქარის გალავნის კედელთან, ძვ.წ. I ს-ის ალიზის კედლის ნაშაღის ქვეშ, ა. ქვეტიპის 2 შუბისპირი

(გრძელ და შეკრულმასრიანი, მრგვალგანივკვეთიან ქედიანი) არის მოპოვებული, ორივეს სიგრძე — 21 სმ-ია [ლორთქიფანიძე 1976: 182; სურ. 138,7; თავაძე და სხვ. 1976: 215, სურ. 155,2, 3].

ბ. ქვეტიპის, დაბალმხრებიან, რომბისებურ შუბისპირებს შორის გვხვდება როგორც მოკლე, ისე გრძელმასრიანი ეგზემპლარები. შესაძლოა სატყორცნი იარაღი — ხელშუბი იყოს *ყანჩაეთში* [გაგოშიძე 1964: 53, ტაბ. XI,36], *შავსაყდარა* I-ის № 13 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004: 72, 86, ტაბ. CXCIV,5, CVII,3] და *ეცოს* სამაროვანზე, ძვ.წ. IV ს-ის № 41 სამარხში [შატბერაშვილი 2005, ტაბ. IX,41-5]. *ვარსიმანთკარში* აღმოჩენილ ბ. ქვეტიპის 4 შუბისპირს, რომლებიც ძვ.წ. IV ს-ის არის, რელიეფური ქედი, პირზე ოდნავ მოკლე, გახსნილი მასრა ახასიათებს და განსხვავებული სიგრძისაა — 22, 22,5, 35 და 37სმ [მუხიგულაშვილი 2015: 72, ტაბ. II, სურ.1, 367, 106ა, სურ. 3, 378, 379]. ასეთივეა *იოხვისის* ძვ.წ. IV ს-ის №2 სამარხში (3ც., სიგრძე 21,2 – 23,5 სმ) [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006: 44, სურ. 9, ფოტო 33] და *კამარახვის* ძვ.წ. IV-III სს-ის № 131 სამარხში აღმოჩენილი (სიგრძე — 30 სმ) [ჯღარკავა 1982:179, სურ. 1385] შუბისპირებიც. ამავე ქვეტიპს მიეკუთვნება *აბელიას* სამაროვანზე ძვ.წ. IV-III სს-ის № 21 სამარხში (19 სმ) [კვიციანიძე 1975: 13-14, ტაბ. VI], *ქარსაანთ* მინების, ძვ.წ. V ს-ის №28 სამარხში [ბერაძე 1980:24, ტაბ. XXIII,6] აღმოჩენილი გრძელმასრიანი, მასრაგახსნილი შუბისპირებიც, რომელთა სიგრძე — 19, 22,5 და 25,5 სმ-ია. კიკეთში, ძვ.წ. V ს-ის სამარხში გვხვდება ბ. ქვეტიპის მოკლემასრიანი ეგზემპლარი (სიგრძე - 17,4 სმ) [დავლიანიძე 1983: 39, ტაბ. VI,13]. რომბისებურპირიან შუბისპირებს ვხვდებით *ახულაბაას* ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის №1 სამარხში (სიგრძე - 15 სმ) [Воронов 1991: 225], *ბზიფში* (ინვ. №1-36:151), *გუადიხუს* უმცროსი ჯგუფის №8 სამარხში, ძვ.წ. IV ს. [Трапш 1969:249, ტაბ. XXXIII,9]. *კანის* №9 სამარხში ასეთი 2 იარაღია (სიგრძე - 22,5 და 28სმ), რომლებსაც გრძელი, კონუსური, გახსნილი მასრა აქვთ [ლორთქიფანიძე და სხვ., 1972:203, 211, სურ. 175-5,6]. ზემოთჩამოთვლილი შუბისპირებიდან ყველა ბ. ქვეტიპს მიეკუთვნება. რომბისებურპირიანი შუბისპირების ორივე ქვეტიპი გავრცელებულია ძვ.წ. V-III სს-ში.

III ტიპი, წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი შუბისპირებია, რომელთაგანაც შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე ქვეტიპი: ა. ქვეტიპის შუბისპირებს ვინრო და გრძელი პირი, დაკუთხული მხრები, მაღალი ქედი და მოკლე მასრა ახასიათებთ. ისინი აღმოჩენილია *ენაგეთის* № 1 და 13 სამარხებში (ძვ.წ. IV ს) [მარგიშვილი 1992: 28-29, 68, ტაბ. XXI; მარგიშვილი 2004: 62, ტაბ. CVII]; *ეცოს* სამაროვანზე, ძვ.წ. IV ს-ის №72 სამარხში [შატბერაშვილი 2005, ტაბ. XVI,72-2]; *შავსაყდარა* I-ის № 15 სამარხში (ძვ.წ. IV ს., სიგრძე - 29 სმ.) [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004: 72, 87, ტაბ. CIX,4]. ამ სამი ძეგლიდან მომდინარე შუბისპირების სიგრძე 29 სმ-დან 48 სმ-მდე მერყეობს. სამი ცალი, ამავე ქვეტიპის შუბისპირები *ვარსიმანთკარშიცაა* აღმოჩენილი (სიგრძე — 52,56, 64სმ) [მუხიგულაშვილი 2015: 70, ტაბ. I, სურ. 1, №222, 193, 143]. ასეთი შუბისპირი *ნითელი შუქურას* უმცროსი ჯგუფის №1 სამარხშია (ძვ.წ. Vს.) აღმოჩენილი. აღწერილი შუბისპირებისაგან ის შედარებით ვინრო მხრებითა და პირით გამოირჩევა (სიგრძე — 62სმ) [Трапш 1969: 269, ტაბ. XXXVI,13]. ა. ქვეტიპის შუბისპირები დიდი ზომით გამოირჩევა. აღსანიშნავია მათი ფართო მასრებიც, რაც, მსხვილ ტარზე მიგვითითებს. შესაბამისად, ისინი საძვერებელ შუბისპირებს წარმოადგენდნენ.

ბ. ცალკე ქვეტიპად შეიძლება გამოიყოს *ვარსიმანთკარის*, ძვ.წ. V ს-ის №105, 107, 117 სამარხებში აღმოჩენილი სამი, წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი, ვინრო და გრძელპირიანი, რელიეფურქედიანი, ოვალურმასრიანი შუბისპირი (სიგრძე — 33, 42, 43 სმ), რომელთა მხრები მთავრდება მცირე ნიბოთი, და გვერდთან შეჭრილ კუთხეს ქმნის [იხ. მუხიგულაშვილი 2015: 70, ტაბ. I, სურ. 1, №164, 172, 28]. ეს შუბისპირებიც, საძვერებელი იარაღის პირებს წარმოადგენდა.

გ. ვინროპირიანი, ქედიანი, გრძელ, გახსნილმასრიანი შუბისპირები გვხვდება *ვარსიმანთკარში*, 4ც. (სიგრძე 23-39 სმ) [მუხიგულაშვილი 2015: 70, ტაბ. II, სურ. 1, №161, სურ. 3, №268]; 3 ასეთივე შუბისპირია *ნინანდალში* (სიგრძე 30, 32.5 სმ., ინვ. № 11-25:1, 13,

16); ახულაბაას №1 სამარხში (სიგრძე – 22.8 სმ) [Воронов 1991:225]. ვანის №14 სამარხში (ძვ.წ. III ს.) აღმოჩენილ შუბისპირსაც იგივე მახასიათებლები აქვს [ხოშტარია 1972: 89, სურ. 5,4; ლორთქიფანიძე 1976:181, სურ. 137,4]. 10 ასეთი იარაღი აღმოჩნდა ნითელი შუქურას სამაროვანზე, უფროსი ჯგუფის №7, 11, 28 და 88 სამარხებში (ძვ.წ. VI-V სს.). ყველას აქვს გრძელი, კონუსური, გახსნილი მასრა, მათი სიგრძე კი 18-45 სმ-ს შორის მერყეობს [Трапш 1969: 85-87, 89, 91, 106, 140, ტაბ. VI,13, XXI,14,10]. სოხუმის მთაზე, ძვ.წ. IV-III სს-ის №12 სამარხში აღმოჩენილ შუბისპირს მკვეთრად გამოხატული, თითქმის ჰორიზონტული მხრები, გრძელი, გახსნილი მასრა აქვს და პირის მთელ სიგრძეზე ქედი გასდევს. სიგრძე — 29 სმ [კალანდაძე 1954: 51, ტაბ. X,3]. გრძელი, გახსნილი მასრა აქვს თელავში შემთხვევით აღმოჩენილ, მცირე ზომის 4 შუბისპირსაც (სიგრძე 19.2-23 სმ., ინვ. № 2-60-1, 3, 27).

დ. ვარსიმაანთკარსა და ნინანდალში (ინვ. №11-25:3,18, 21) 7 წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი, რელიეფურქედიანი, საშუალო სიგრძის მასრიანი (პირის სიგრძე მასრისას თითქმის ორჯერ აღემატება) ეგზემპლარებია აღმოჩენილი. მათი სიგრძე 22-26 სმ-ს შორის მერყეობს. ასეთივე 1 ც. აბულმუგის №19 სამარხშიცაა დაფიქსირებული (სიგრძე — 30,7 სმ) [იხ. ხოხოზაშვილი, ძნელაძე 2008: 75]. საშუალო ზომის, გახსნილი მასრები აქვთ გუადიხუს უმცროსი ჯგუფის ძვ.წ. IV ს-ის № 8 და 38 სამარხებში აღმოჩენილ (4 ც., სიგრძე — 24.5 სმ) და უფროსი ჯგუფის ძვ.წ. VI-V სს-ის № 13 სამარხში (1 ც., სიგრძე — 18.5 სმ) [Трапш 1969:33, სურ. 6,6; 249, 261, ტაბ. XXXIII,8]. ახ.წ. I-II სს-ის ძეგლებიდან ასეთი იარაღი გვხვდება კლდეეთის №4 სამარხში [ლომთათიძე 1957: 140, სურ. 29დ, ტაბ. XXI,2ბ]. მისი მასრა და პირი თანაბარი ზომისაა (სიგრძე — 30.7 სმ). ნინანდალში აღმოჩენილი, ჰორიზონტულ მხრებიანი, ქედიანი, მასრაშეკრული, სამანჭველე ნახვრეტციანი, 17,4 სმ-ის სიგრძის შუბისპირი (ინვ. №11-25:15). ასეთივეა ნითელი შუქურას №4 სამარხში აღმოჩენილი ეგზემპლარიც [Трапш 1969: 85-87, ტაბ. VI,13]. ნებელდაში — აბგიძრახუს, ალრახუს და ახარახუს ახ.წ. III-IV სს-ით დათარიღებულ სამაროვნებზე წაგრძელებულ სამკუთხაპირიან შუბისპირებს მრავლად ვხვდებით. ისინი განსხვავდებიან ზემოაღწერილი ტიპის შუბისპირებისაგან. ისინი აღმოჩენილია აბგიძრახუს № 12 (2 ც.), 13 (2 ც.), 27 (2 ც.), 31, 41(2 ც.), 43 (2 ც.), 44, 47 (2 ც.), 57 სამარხებში (სიგრძე 21-დან 36.5 სმ-მდე მერყეობს); აუახუამახუს №2 სამარხში (სიგრძე - 28,5 სმ); ალრახუს №3 (2ც.) და 8 სამარხებში (30-34 სმ) [Трапш 1971: 35, 51, 64, 66, 70, 50,151, ტაბ. VI-1, VII-12, 13, XI-18, 19, XIV-9, XX-11, 12, XXI-5,6, XXII-15, XXV-7,8, XXXIII-3; 102109, 114, ტაბ. XI-2:]; ახარახუს № 32 (2ც.),10 (2 ც.),14, 15 (2ც.), 24 (2ც.) [Шамца 1970: 41, ტაბ. XIV-8,9].

IV ტიპის, მომრგვალებულმხრებიან შუბისპირებს შორის შეიძლება გამოიყოს ფართომხრებიანი და ვიწროპირიანი ქვეტიპები, რომლებსაც თავისი ვარიანტები აქვთ — ა. მომრგვალებულმხრებიან, ფართომხრებიან შუბისპირებს შორის გვხვდება შემდეგი ვარიანტები:

ა. 1. გრძელპირიანი, მოკლემასრიანი შუბისპირები აღმოჩნდა: კამარახვის, ძვ.წ. IV-III სს-ის № 6 და 24 სამარხებში (სიგრძე — 25 სმ.) [ჯღარკავა 1982: 144,148, სურ. 951, 1008]; გუადიხუს ე.წ. უფროსი ჯგუფის, ძვ.წ. VI-V სს-ის №2 და 7 სამარხში (სიგრძე — 42, 27 სმ) [Трапш 1969: 2126, 63, ტაბ. II,1 სურ. 6,1]. კამარახვისა და გუადიხუს ეგზემპლარებს მსხვილი მასრა აქვთ. დაბლაგომში, ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის მდიდრულ სამარხში 1 მოკლემასრიანი შუბისპირია აღმოჩენილი [თოლორდავა 1976: 76, სურ. 117,3]. ახალ ათონში, აღმოჩენილ 2 შუბისპირს მოკლე მასრები აქვს (სიგრძე — 32 სმ; ინვ. № 12-02/2458). ასეთივეა მახვანში (სიგრძე - 27 სმ; ინვ. № 8-31:2), ზედა გორაში (ახ.წ. I-II სს., სიგრძე - 40 სმ) [ხარაბაძე 2003:164, ტაბ. I1] და ბანძაში (ახ.წ. II ს., სიგრძე - 32 სმ) აღმოჩენილია ქედიანი და მასრაშეკრული თითო შუბისპირი [ფუთურაძე 1959: 76, ტაბ. V,3].

ა. 2. ფართომხრებიანი შუბისპირი, რომლის მასრისა და პირის ზომა თითქმის თანაბარია, ან მასრა პირზე ოდნავ მოკლეა აღმოჩნდა აბულმუგის სამაროვანზე, № 2 სამარხში (სიგრძე — 26 სმ) [ხოხოზაშვილი, ძნელაძე 2008: 23]; ანთოკში (სიგრძე — 27.8 სმ, ინვ. № 2-21:12); ბეშთაშენის №2 და №36 სამარხში [მენაბდე, დავლიანიძე 1968: 119,132, ტაბ. XI,345; ტაბ. XIV,466]; გუადიხუს უმცროსი ჯგუფის № 8 და 39 სამარხში, 4 ც. ძვ.წ. IV ს. [Трапш 1969: 249, 263, ტაბ. XXXIII,10]; თაშბაშის ძვ.წ. IV ს-ის №3 სამარხში (სიგრძე - 22,8 სმ)

[გაგომიძე 1982: 57, 59]; *შავსაყდარა I*-ის ძვ.ნ. IV-III სს-ის, №39 სამარხში (სიგრძე — 35 სმ) [მარგოშვილი, ნარიმანიშვილი 2004: 72, 98, ტაბ. CXX,3]; *ყანჩათში* (სიგრძე - 28,5 სმ) [გაგომიძე 1964: 52, ტაბ. XI,34]; *შაშიანში* (ძვ.ნ. IV-I სს., სიგრძე - 29,5 სმ., ინვ. № 17-57:1); *ბეშთაშენის* №35 სამარხში (სიგრძე — 15,3 სმ) [მენაბდე, დავლიანიძე 1968: 131, ტაბ. XIV, 462]; სამი ასეთი შუბისპირი დაფიქსირდა *ვანის ე.წ.* თორმეტსაფეხურიან სალოცავთან, რომელიც ძვ.ნ. II-თაა დათარიღებული [ფირცხალავა, ყიფიანი 1986: 75, სურ. 55, 1-3]; *დუისში*, 2ც. (სავარაუდოდ I-II სს., სიგრძე — 26, 31.7 სმ.; ინვ. №10-54:1,2); *ბეჟანბაღის* II ს-ის სამარხში (23 სმ) [მამაიაშვილი 1980: 119, ტაბ. XXXII,1], აგრეთვე *აბგიძრახუს* ახ.ნ III-IV სს-ის № 35 სამარხში [Трапш 1971: 54, 150; ტაბ. XV,15].

ა.3. ფართომხრებიანი, გრძელპირიანი, გრძელმასრიანი შუბისპირი აღმოჩნდა *ეცოს* სამაროვანზე №80 (ძვ.ნ. II ს.) და №120 (ძვ.ნ. III ს.) სამარხში (19.5-22 სმ) [შატბერაშვილი 2005: ტაბ. XVIII,80]; *დიდი ლილოს* №1 სამარხში, სიგრძე — 30 სმ. (ინვ. №180-1970: 7); ვარსიმაანთკარის ძვ.ნ. V-IV სს-ის სამაროვანზე (სიგრძე — 26 და 41 სმ) [მუხიგულაშვილი 2015: 71, ტაბ. I, სურ. 2, №116. 532]; *ვანის* №9 სამარხში (ძვ.ნ. IV ს-ის მესამე მეოთხედი) ორი ასეთი შუბისპირია (სიგრძე — 33 და 41 სმ) [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 203, 211, სურ. 175-7]; *ნინანდალში* (ინვ. №11-25,12); *დაბლაგომში*, ქვევრსამარხების ტერიტორიაზე, აღმოჩენილია 2 ასეთივე შუბისპირი (სიგრძე — 23, 34 სმ) [Куртин 1950: 36, ტაბ.11-5]; *საირხეში*, *გულიაშვილების უბანში* (ძვ.ნ. III-II სს.), სიგრძე — 31 სმ [მახარაძე, ნერეთელი 2002: 66]. ისინი აგრეთვე გვხვდება *ჟინვალის* ახ.ნ. II ს-ის №277 და 282 სამარხებში (სიგრძე — 34, 36 სმ) [ჩიხლაძე 2015: 22, 25, ტაბ. VIII, 352, XI, 382]; *ჩხორონყუს* ახ.ნ. II-III სს-ის სამაროვანზე [ფუთურიძე 1959: 57-58] და *ციხისძირის* ახ.ნ. IV ს-ის, №1 სამარხში [ინაიშვილი 1993: 83, ტაბ. XXXII,6].

ა.4. ფართომხრებიანი, მოკლეპირიანი, გრძელმასრიანი შუბისპირი დაფიქსირებულია *ბეშთაშენის* №7 სამარხში (სატყორცნი იარაღია) [მენაბდე, დავლიანიძე 1968: 121, ტაბ. XI,357]; *დიდი ლილოს* №1 სამარხში (ინვ. №180-970:21, სიგრძე — 17 სმ); *ნაურიალის* ძვ.ნ. V ს-ის №76 სამარხში [დავითაშვილი და სხვ. 2010: 52-53; დავითაშვილი 2002: 37, სურ.112]; *შავსაყდარა I*-ის ძვ.ნ. IV-III სს-ის, №60 სამარხში (სიგრძე — 22 სმ) [მარგოშვილი, ნარიმანიშვილი 2004: 72, 110, ტაბ. CXXXII,7]; *ღრმახევისთავის* №71, 93, 108 სამარხებში [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980: 150, 66, 189, სურ. 141, 160]; *ზედა გორაში* (ახ.ნ. I-II სს., სიგრძე — 20,5 სმ.) [ხარაბაძე 2003: 164, ტაბ. 12].

ბ. მომრგვალებულმხრებიან, ვიწროპირიან შუბისპირებს ასევე რამდენიმე ვარიანტი აქვს:

ბ. 1 ვიწროპირიანი, გრძელმასრიანი შუბისპირები აღმოჩენილია *გუადიხუს უფროსი ჯგუფის*, ძვ.ნ. VI-V სს-ის № 23 (2ც.) და 30, სამარხებში (სიგრძე — 22, 28 სმ) [Трапш 1969:21, სურ. 3,2; ტაბ. II,2,3]; მცხეთიჯვრის *ნაურიალის* სამაროვნის № 104 სამარხში (ძვ.ნ. VI-V სს) [დავითაშვილი ამ., დავითაშვილი ქ. 2010: 53-54]; *ქასრანთ მინების* ძვ.ნ. VI-IV სს-ის № 28 სამარხში (სიგრძე — 23,4 სმ) [ბერაძე 1980: 20, ტაბ. XXIII,7]; *აბულმუგში*, ძვ.ნ. IV-III სს-ის №22 სამარხში (სიგრძე — 26.8 სმ) [ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008: 86]; *სოხუმის მთის* ძვ.ნ. III-II სს-ის №6 (3 ც.), 8 და 12 (ძვ.ნ. IV-III სს.) სამარხებში [კალანდაძე 1954: 33,34, 51, ტაბ. IX,3, 16-18; X,3]; *კლდეეთის* ახ.ნ. II ს-ის №4 სამარხში, 3 ც. [ლომთათიძე 1957: 140, 142, სურ. 29ა,ბ,გ, ტაბ. XXI,2,ა,დ,გ]; *ჟინვალის* ახ.ნ. II ს-ის №574 სამარხში [ჩიხლაძე 2015: 34, ტაბ. XVI,1]; *რვანის* ახ.ნ. III-IV ს-ის №2 სამარხში [ბრაგვაძე 2000: 108, სურ. 24].

ბ. 2. ვიწროპირიანი, მოკლე ან საშუალო ზომის მასრიანი შუბისპირები აღმოჩენილია *გომარეთის* №7 სამარხში, სიგრძე — 35,3 სმ [დავლიანიძე 1983: 132, ტაბ. XVI,2]; შედარებით მცირე ზომისაა *ეცოს* ძვ.ნ. III ს-ის №23 კომპლექსიდან [შატბერაშვილი 2005: ტაბ. VI,23-11] მომდინარე ეგზემპლარი.

ბ. 3. ვიწროპირიანი, ფართომასრიანი. *დედოფლის გორაზე*, №7 სათავსოში აღმოჩენილ 2 ფართომასრიან შუბისპირს, მასრის ძირზე გასამაგრებელი რგოლი შემოუყვება (31 სმ) [Gagoshidze 2008: 138]. მსგავსი ფორმის, შედარებით მომცრო, 19 სმ-ის სიგრძის იარაღი აღმოჩენილია *სტირფაზის* სამაროვანზე №49 სამარხში (ახ.ნ. I-II სს.) [Гаглоев 1984: 31, სურ.28,1]. სამი ვიწროპირიანი, გრძელ და ფართო მასრიანი, მასრაშეკრული შუბისპირი

აღმოჩნდა ჩხარშიც, ახ.ნ. II-III სს-ის ოქონის გორის სამაროვანის №8, 13, 14 სამარხებშიც (25-30 სმ) [ბრაგვაძე 1997: 12-14 30-32, ტაბ. XIX,2, XXIV,1, XXVI,2]. მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირები ძვ.ნ. V ს-დან ახ.ნ. IV ს-ის ჩათვლით გვხვდება.

V ტიპის, მომრგვალებულგვერდებიან შუბისპირებს შორის შეიძლება გამოიყოს ა. ვინროპირიანი და ბ. ფართოპირიანი ქვეტიპები, რომლებსაც თავისი ვარიანტები აქვთ: ა.1. მომრგვალებულგვერდებიანი, ვინროპირიანი, გრძელმასრიანი შუბისპირები აღმოჩენილია ახულ-აბაას სამაროვანზე, ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევრის №4 სამარხში (4ც., სიგრძე 24,6 - 32,4 სმ) [Воронов 1991: 225, სურ. 2,3,12]; გუადიხუს უფროსი ჯგუფის, ძვ.ნ. IV ს-ის №7 და ძვ.ნ. VI-V სს-ის №10 და 23 სამარხში (22- 28 სმ); გუადიხუს უფროსი ჯგუფის, ძვ.ნ. V ს-ის №7 და 19 სამარხში (22-34 სმ) [Трапш 1969: 26, 31, 39, სურ. 3, 4, 36, ტაბ. II,2; 26, სურ. 6,3, ტაბ. II,10], აგრეთვე სოხუმის მთის, ძვ.ნ. IV სს-ის №9 სამარხში [კალანდაძე 1954: 34, ტაბ. IX,8].

ა.2. მომრგვალებულგვერდებიანი, ვინროპირიანი, მოკლემასრიანი შუბისპირები აღმოჩნდა სოხუმის მთის, ძვ.ნ. V-IV სს-ის №9 სამარხში, 2ც., სიგრძე — 30 სმ, თან ახლდათ ბუნიკები [კალანდაძე 1954: 34, ტაბ. IX,7,9]; ნითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის, ძვ.ნ. V ს-ის №1 და 18 (2 ც.) და უფროსი ჯგუფის, ძვ.ნ. VI-V სს-ის №4 სამარხებში [Трапш 1969: 269, 280, ტაბ. XXXVI,8]; ვანის ნაქალაქარის გალავნის კედელთან, ძვ.ნ. I ს-ის ალიზის კედლის ნაშალის ქვეშ, 2 ც., სიგრძე — 21 სმ [ლორთქიფანიძე 1976: 82; სურ. 138, 5,6; თავაძე და სხვ. 1976:216, სურ. 155, 1, 4].

ბ.1. მომრგვალებულგვერდებიანი, მოკლე, ფართო პირიანი, გრძელი, გახსნილი, კონუსურმასრიანია შუბისპირები — გუადიხუს უფროსი ჯგუფის, ძვ.ნ. V-IV სს-ის № 1, 8, 11, 29 და 31 სამარხებიდან [Трапш 1969: 29, 43 244, სურ. 6,5 ტაბ. II,4]; აგრეთვე სოხუმის მთის სამაროვნის № 3 (ძვ.ნ. III-II სს.) და 11 (ძვ.ნ. IV-III სს.) სამარხებიდან (სიგრძე 22- 27 სმ) [კალანდაძე 1954: 32,51, ტაბ. VIII,12, X,4].

ბ.2. მომრგვალებულგვერდებიანი შუბისპირები გრძელი, ფართო პირით, მოკლე, გახსნილი, კონუსური მასრით, სუსტი ქედით აღმოჩენილია გუადიხუს უმცროსი ჯგუფის №8, 38, 39 სამარხებში (ძვ.ნ. IV ს.) [Трапш 1969: 249, 263, ტაბ. XXXIII,5].

VI ტიპის, ისრისპირისებურ, მხრებდაშვებულ შუბისპირებს, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ლიტერატურაში „ხელშუბის პირებად“ მოიხსენიებენ. ამ ტიპის ეგზემპლარების სიგრძე 21-27 სმ-ს შორის მერყეობს, ფრთებმორისი მანძილი საშუალოდ 5 სმ-ია, პირის სიგრძე - 13-14 სმ, მასრის სიგრძე - 13 სმ-სა და 17 სმ-ს შორის ვარიირებს. ისინი აღმოჩენილია სოხუმის მთის № 2 და 5 კომპლექსებში, თითო ცალი [კალანდაძე 1954: ტაბ. VIII, 8, 22], დაბლაგომის მდიდრულ სამარხში, 4 ც. [თოლორდავა 1976: 76, სურ.117], კირცხში, 1ც. (ინვ. №1-60-3). დაბლაგომის მდიდრული სამარხი, რომელშიც ისრისებურპირიანი შუბებია, ძვ.ნ. IV-III სს-ის მიჯნითა თარიღდება [თოლორდავა 1976: 76].

VII ტიპის შუბისპირებს აქვთ მოკლე, რომბული პირი, გრძელი მასრა, რომელიც პირს ვიწრო და გრძელი, განივკვეთში ოთხკუთხა „წელით“ უკავშირდება; ყველა ქედიანია, მასრა კონუსურია, გახსნილი. ისინი სოხუმის მთის №8 სამარხშია აღმოჩენილი, სიგრძე — 43, 40, 41 სმ. ძვ.ნ. III-II სს. [კალანდაძე 1954: 32,34-35, ტაბ. VIII,18, IX,4-6, სურ. 12].

VIII ტიპის, ხიშტისებურ შუბებს აქვს პირისაგან ყელით ოთხნახნაგა, გრძელი პირი და გამოყოფილი გახსნილი მასრა. ძვ.ნ. IV ს-ით დათარიღებული ასეთი შუბისპირი მომდინარეობს წინანდლიდან (ინვ. №11-25:17), ასევე შავსაყდარა I-ის, ძვ.ნ. IV-III სს-ის №16 სამარხიდან [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004: 72, 88 ტაბ. CIX,5], გუადიხუს უფროსი ჯგუფის, ძვ.ნ. VI-V სს-ის №13(55) სამარხიდან (21სმ) [Трапш 1969:ტაბ. II, 5], სოხუმის მთის №4 (50 სმ) და 9 (23 სმ) სამარხებიდან [კალანდაძე 1954: 32, 35 სურ. 10, 13, ტაბ. VIII18]. მოგვიანო ხანის ძეგლებიდან, ასეთი იარაღი აღმოჩენილია ნებელდაში, ახ.ნ. III-IV სს-ის, ახაჩარხუს № 32 და 43 [Шамра 1970: 42, ტაბ. XIV,7, XV,3, XXI,6] სამარხში.

პილუმი სატყორცნი შუბი იყო, რომელიც რომელიც ლეგიონერების შეიარაღებაში შედიოდა. ის შედგებოდა ხის ტარისაგან და რკინის წვერისაგან, რომელიც შუბის ტარს უტოლდებოდა. პილუმის სროლისას მოწინააღმდეგე ან კვდებოდა ან ფარში ისე ესობოდა, რომ მეომარი იძულებული იყო ფარის გარეშე გაეგრძელებინა ბრძოლა. საქართველოს

ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ცალი პილუმის ფრაგმენტი აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. I ს-ის ნგრევის ფენაში. ის წარმოადგენს რკინის მრგვალგანივკვეთიან ღეროს, რომელსაც აქვს ოთხნახნაგა, პირამიდული პირი, აკლია მასრიანი ბოლო ნაწილი. შემორჩენილი სიგრძე — 32 სმ, პირის სიგრძე — 4,5 სმ, ღეროს დმ. — 7 მმ [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1976: 178, სურ. 136, 8].

ხელშუბები. ხელშუბი მცირე ზომის, სატყორცნი შუბია, რომელიც შუბისაგან მხოლოდ ზომით განსხვავდება. ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების განმავლობაში ხელშუბი როგორც ფეხოსანთა, ისე ცხენოსანთა შეიარაღებაში შედიოდა. გამოიყოფა ხელშუბის რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რითაც ის შუბისაგან განსხვავდება. შუბს, როგორც საძვერებელ იარაღს, მსხვილი ტარი ჭირდება, რათა ის ძვერებისას არ გადატყდეს, ამიტომაც მას საკმაოდ ფართო მასრა უნდა ქონდეს. შესაბამისად, ის იარაღი, რომელსაც წვრილი მასრა აქვს, ხელშუბისპირად უნდა ჩავთვალოთ. *ვარსიმაანთკარის* სამაროვანზე, სადაც რამდენიმე სამარხში სხვა საბრძოლო იარაღთან ერთად გვხვდება როგორც დიდი ზომის შუბისპირები (60-80 სმ-ის სიგრძისა), ასევე მცირე ზომის, სხვადასხვა ფორმის ხელშუბები (13-20 სმ-ის სიგრძისა) [იხ. მუხიგულაშვილი 2015: 71-72, ტაბ. II, სურ. 3, №248; ტაბ. III, სურ. 5, №201, 271]. ასეთივე სურათია ვანის ნაქალაქარის №9 სამარხშიც. მცირე ზომის სატყორცნი იარაღი — ხელშუბი, ყველაზე უკეთ *თელავის* რკინის განძის შემადგენლობაშია წარმოდგენილი და ძვ.წ. III ს-ით თარიღდება. ის 85 ხელშუბს შეიცავს. ამ მასალაში გვხვდება როგორც შედარებით მოზრდილი ეგზემპლარები (20-27 სმ), ისე ძალზე პატარა (10-13 სმ) ზომის იარაღი.

მუჯირა (ბუნიკი, სათიხარი). არქეოლოგიურ ძეგლებზე გვხვდება შუბისპირები, რომლებსაც ახლავს წაწვეტილებული, მომრგვალებული ან მართკუთხა ფორმის ბუნიკები. ისინი შუბის ხის ტარის ქვედა ბოლოზე იყო მიმაგრებული. იხ. ქსენოფონტი: „*მოსინიკებს ეკავათ ... მარჯვენა ხელში ექვსწერტიანი შუბი, რომელსაც თავში წვეტი ჰქონდა, ბოლოში კი სფერო*“ (V, 4-12). ეთნოლოგიური მონაცემების მიხედვით, მუჯირა, იგივე მუჯირა შინდის ხის კეტს წარმოადგენს, რომლის სიგრძე 160 სმ-მდეა. ცალკე საბრძოლო იარაღად შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ბოლოწაწვეტილებული მუჯირები. ისინი ღრუმასრიანია და კონუსური ფორმა აქვს, პირი, უმეტეს შემთხვევაში ოვალურგანივკვეთიანია, თუმცა გვხვდება ოთხკუთხა ან სამკუთხაგანივკვეთიანიც. მუჯირა ხშირად იმ არქეოლოგიურ კომპლექსებშია, სადაც შუბისპირებია აღმოჩენილი.

არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილ სხვა იარაღთან შედარებით შუბისპირები რიცხობრივად პირველ ადგილზეა. ამასვე გვიდასტურებს წერილობითი წყაროები სადაც კი ქართველური მოსახლეობის შეიარაღების ხსენებაა, ყველგან ფიგურირებს შუბი. სტრაბონის ცნობით, ძვ.წ. I ს-ში, იბერები შუბოსნები არიან (იხ. XI, 4-5). შუბოსან იბერებს, როგორც განსაკუთრებით ძლიერ მებრძოლებს, ახსენებს პლუტარქეც (იხ. *ლუკულუსი*, 31). საგულისხმოა, რომ ზოგიერთ კომპლექსში შუბის სამარხში ჩატანების გარკვეული წესი შეინიშნება. მაგალითად, ვანის ნაქალაქარის №9 სამარხში მეომარს სამი მხრიდან ჰქონდა შემონწყობილი 53 შუბი [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 202]; *ვარსიმაანთკარის* №3 სამარხში შუბი ვერტიკალურად იყო ჩარჭობი 70 ც. [წითლანაძე 1983: 54]. ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ტიპის შუბის თანაარსებობა ერთსა და იმავე ხანაში, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ერთ სამარხში ერთი ტიპის, მაგრამ მკაფიოდ განსხვავებული ზომის შუბისპირების არსებობა. მაგ.: იხ. ვანის №9 სამარხი სადაც სახეზეა განსხვავებული ზომის, ვინროპირიანი და წაგრძელებულრომბისებრი შუბისპირები. მსგავს მოვლენას ვხვდებით *სოხუმის* მთის №6 სამარხშიც (ძვ.წ. III ს), *წითელი შუქურას* უმცროსი ჯგუფის №1 სამარხში (ძვ.წ. V ს), *დაბლაგომში* (ძვ.წ. III ს), *ვარსიმაანთკარში* (ძვ.წ. V-IV სს). ის, რომ ერთ მეომარს რამდენიმე სახის შუბს ატანდნენ სამარხში, გვაფიქრებინებს შუბების განსხვავებულ ფუნქციაზეც. შედარებით მსუბუქი შუბები სატყორცნი შეიძლებოდა ყოფილიყო, სხვა — საძვერებელი. ფიქრობენ, რომ ვინროპირიანი შუბები გამიზნული იყო აბჯრის გასარღვევად და ქვეითი ლაშქრისთვის მოსახერხებელი იქნებოდა შეჯავშნულ ცხენოსანთან შესაბამელად.

შუბების მრავალფეროვნებაზე მოგვითხრობენ წერილობითი წყაროებიც. ჰეროდოტე და ქსენოფონტი ქართველური მოსახლეობის შეიარაღების აღწერასაც გვთავაზობენ. ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხებს ჰქონდათ „მოკლე შუბები“ — ხოლო მოსხების „შუბის წვერები გრძელი იყო“ (VII, 78-79), ხალიბებში კი „თითოეულს ორი შუბი ეპყრა“ (VII, 76). იგივე ხალიბებს, ქსენოფონტის მიხედვით, „ეკავათ ხუთი წერთის სიგრძის შუბები, რომელთაც მხოლოდ თითო შუბისპირი ჰქონდათ“ (IV, 7, 15-16). ამ ცნობაში ხაზგასმულია განსხვავება ბუნიკიანი შუბისაგან, რომელიც ქსენოფონტს ხვდება მოსინიკებთან — მათ ეკავათ „მარჯვენა ხელში ექვსწერთიანი შუბი, რომელსაც თავში წვეტი ჰქონდა, ბოლოში კი სფერო“ (V, 4-12). თუ გავითვალისწინებთ, რომ წერთა 45 სმ ტოლია [მიქელაძე 1967: 28], ეს ყოფილა 2,70 მ სიგრძის შუბი, რომელსაც თავში აქვს შუბისპირი, მეორე ბოლოზე კი სფერული ბუნიკი. მოსინიკების შეიარაღებაში, როგორც თვითმხილველი, ქსენოფონტი, მკვეთრად მიჯნავს სატყორცნ შუბს საძგერებლისაგან და ასე ახასიათებს მას — მოწინააღმდეგე მათ “დაუშინა შუბები. სხვებსაც ჰქონდათ შუბები, მაგრამ იმდენად მსხვილი და გრძელი, რომ კაცი ძნელად თუ შეძლებდა მის ტარებას“ (იხ. V, 4-25). ძვ.წ. V ს-თვის, წყაროების ზემომოტანილი ცნობების დროისათვის, ჩვენ გვაქვს შემდეგი ტიპის შუბისპირების — ვინროპირიანი, წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი, რომბისებრი, მომრგვალებულმხრებიანი, მომრგვალებულ -გვერდიანი, ისრისპირისებური, ყუნწიანი, ხიშტისებური — ნიმუშები. ჩამოთვლილ ნიმუშთაგან ყველაზე გავრცელებული ჩანს მომრგვალებულმხრებიანი შუბები, რომელთა სხვადასხვა ვარიანტები მთელი ანტიკური პერიოდისათვისაა დამახასიათებელი [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2018, ნაწ. I; გამყრელიძე და სხვ. 2018 ნაწ. II (კატალოგი)].

საბრძოლო ცული. საბრძოლო ცული შეტევითი შეიარაღების სახეობას განეკუთვნება. ის ხელჩართული ბრძოლისას გამოიყენებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ანტიკური ხანის რკინის ყველა ცული მსუბუქია, მისი გამოყენება ცალი ხელითაა შესაძლებელი და ის, როგორც მხედრების, ისე ფეხოსნების შეიარაღებაში შედიოდა. ასეთი იარაღით მეომარს შეეძლო მტრისათვის მიეყენებინა ღრმა ჭრილობა, დაებლოკა მისი დარტყმები ან ფარი გაეგდებინა. შესაძლო იყო ცულის ტყორცნაც. აღსანიშნავია, რომ რკინის საბრძოლო ცულს, როგორც მოსინიკების შეიარაღების კომპონენტს, ქსენოფონტი „ანაბასისში“ (V, IV, 13) ახსენებს. ხის ტარზე დაგებული საბრძოლო ცული შედგება ყუისაგან, სატარე ხვრელისა და პირისაგან. მისი კლასიფიკაციისათვის ამოსავალია ცულის სეგმენტების მოყვანილობა, განივკვეთი და პროპორციები. მისი აღწერისას გამოყოფილია შემდეგი მახასიათებლები: ცულის ყუა შეიძლება იყოს მოკლე ან გრძელი, ოთხკუთხა ან მრგვალ განივკვეთიანი; ყუისთავი დაბრტყელებული ან გამობერილი; სატარე ხვრელი — ოვალური ან მრგვალი; სატარეს პროფილი გვერდიდან შესქელებული, მკაფიოდ გამოყოფილი, კუთხოვანი. ცულის პირი სიმეტრიულია, რაც ნიშნავს, რომ სატარედან თანაბრად ფართოვდება ორივე მხარეს, ან ასიმეტრიული. ცულის იერს განსაზღვრავს თანაფარდობა საერთო სიმაღლესა და პირის უდიდეს სიგანეს შორის, რის მიხედვითაც ცული ფართოპირიანია — როცა პირის სიგანე უახლოვდება ცულის სიმაღლეს, ან ვინროპირიანი, როცა პირის სიგანე საერთო სიმაღლეზე ნაკლებია ორჯერ ან მეტჯერ. რკინის საბრძოლო ცულები ტრანსკავკასიაში ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება. ადრეულ ნიმუშებს ახასიათებს მაღალი ყუა, ვინრო პირი და წაგრძელებული პროპორციები. ასეთებია სამთავროს, თლიას, ბრილის, ყულანურხვას, დვანის და ა.შ. რკინის ცულები. მოგვიანოდ კი, პროპორციები იცვლება და განსხვავებული ფორმები ყალიბდება. ზემოთხსენებული მახასიათებლების მიხედვით, საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე გამოიყოფა საბრძოლო ცულების სამი ტიპი:

I ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოკლე, ოთხნახნაგა ყუა — ე.წ. ჩაქურჩისებრი, დაბრტყელებული ყუისთავი, ოვალური სატარე ხვრელი, ასიმეტრიული, წაგრძელებული პირი. პირველი ტიპის ცულებს შორის გამოყოფა სამი ქვეტიპი: ა. ყუა კარგად გამოკვეთილი და ოდნავ შემაღლებულია, მისი მთავარი მახასიათებელი კი ასიმეტრიული, ოდნავ მოხრილი პირია. ამ ქვეტიპის ცულები ძვ.წ. VI-V სს-ით

დათარიღებულ კომპლექსებში: აბანოს №2 [ნუცუბიძე 1968: 61-73] და *მცხეთიჯვრის ნაურიალის* №24 სამარხებშია აღმოჩენილი [დავითაშვილი ამ. დავითაშვილი ქ. 2010: 54, ტაბ. II,29]. ბ. ყუა გამოკვეთილი და ოდნავ შემადლებულია, ყუისთავი დაბრტყელებული, სიმეტრიული ან ასიმეტრიული პირი კი თანდათანობით ფართოვდება მჭრელი ბოლოსაკენ. ასეთი ცულები გვხვდება *აბულმუგის* ძვ.ნ. IV-III სს-ის №18 და 24 სამარხებში [ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008: 71,92], *ბეშთაშენის* ძვ.ნ. IV ს-ის № 49 სამარხში [მენაბდე, დავლიანიძე 1968:136, ტაბ. XIV,505], ეცოს ძვ.ნ. IV -III სს-ის №72, 69, 95, 107 სამარხში [შატერაშვილი 2005: XVI,72-3, XV,69-9, XXI,95-3, XXIII,107-4], *გუადიხუს* უფროსი ჯგუფის №1, 2, 8, 13, 31, 32 სამარხში, *წითელი შუქურას* უფროსი ჯგუფის №4 და 38 სამარხში [Трапш 1969: 20-21,38, 44-45, ტაბ. II, 9, 12, სურ. 4, 1-2,5; 183, ტაბ. XIX,10-11], *სოხუმის* მთის №10 და 12 სამარხში [კალანდაძე 1954: ტაბ. IX,13, XI,1]. ამ ქვეტიპის ცულები გავრცელებულია ძვ.ნ V-III სს-ის მთელი საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე.

გ. ძირითადი მახასიათებელი დაბალი ყუაა დაბრტყელებული ყუისთავით, სიმეტრიული ან ასიმეტრიული პირი კი თანდათანობით ფართოვდება მჭრელი ბოლოსაკენ. ასეთი ცულები აღმოჩნდა *ასურეთის* ძვ.ნ. IV ს-ის № 25 სამარხში [კვიციანიძე 1975: 42, ტაბ. XXIII], *გომარეთის* ძვ.ნ. IV-III სს-ის №1 სამარხში [დავლიანიძე 1983: 132, ტაბ. XVI,6], *მანგლისის* ძვ.ნ. IV ს-ის № 3 სამარხში [დავლიანიძე 1983: 50, ტაბ. XVI], *სანთას* ძვ.ნ. IV ს-ის №2 სამარხში [გაგოშიძე 1982: 44]. შედარებით ვიწრო პირით გამოირჩევა *ითხვისის* ძვ.ნ. IV ს-ის №21 სამარხში აღმოჩენილი ცული [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006: 57, სურ.48]. როგორც ვნახეთ, ასეთი ცულები ძირითადად ძვ.ნ. V-III სს-შია გავრცელებული, თუმცა ისინი მოგვიანო ხანაშიაც, კერძოდ, ახ.ნ. I-II და II სს-ით დათარიღებულ ძეგლებზეც — *კლდეეთსა* [ლომთათიძე 1957: 15, ტაბ. XXI,1დ] და *ზედა გორაზე* [ხარაბაძე 2003: 164, ტაბ. 14] გვხვდება. *კლდეეთის* ცული ამ ქვეტიპის ტიპური ნიმუშია, ხოლო *ზედა გორას* ეგზემპლარის პირი ოდნავ მოხრილია.

II ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოკლე ყუა, დაბრტყელებული ან გამობერილი ყუისთავი, ოვალური სატარე ხვრელი, გვერდიდან მკვეთრად გამოყოფილი, განიერი პირი სატარეს ვიწრო ყელით უერთდება, არის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ პირიანი ნიმუშები. ამ ტიპის ცულების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ სატარე ხვრელთან ჰორიზონტალური გაზიდულობანი ჩნდება. ამ დეტალით ცული ტარზე მორგებულია და მდგრადობას იარაღი ტარიანად უკეთ ინარჩუნებს. ესაა დიზაინის ერთგვარი სიახლე ცულის ტექნოლოგიური სრულყოფის გზაზე. სწორედ ეს ნიშანი განაპირობებს ამ ტიპის თავისებურებას, ვიწრო წელთან და განიერ პირთან ერთად. მათ შორის გამოიყოფა შემდეგი ქვეტიპები: ა. ქვეტიპის ცულები მოკლე ყელით გამოირჩევა, ფართო პირი სიმეტრიული ან ასიმეტრიულია. სიმეტრიული პირი აქვს *სოხუმის მთის* ძვ.ნ. III-II სს-ის № 2 სამარხისა [კალანდაძე 1954:28, ტაბ. VIII,1] და *ყანჩაეთის* ძვ.ნ. IV ს-ის სამარხის [გაგოშიძე 1964:53, ტაბ. XI,33] ცულებს. ასიმეტრიულპირიანი ნიმუშები ცნობილი: *სოხუმის მთის* ძვ.ნ. III-II სს-ის № 6 სამარხიდან [კალანდაძე 1954:33, ტაბ. IX,15], *გუადიხუს* უმცროსი ჯგუფის, ძვ.ნ IV და IV-III სს-ის №1, 7, 8 და 38 სამარხში [Трапш 1969: 242, 249, 266, ტაბ. XXXIII,7, 11], ეშერას ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევრის ორ კომპლექსში [Шамца 1980: 47-48, ტაბ. XII,1, 4]. ბ. ქვეტიპის ცულების მთავარი მახასიათებელი გრძელი და ვიწრო, ოთხკუთხაგანივკვეთიანი ყელია. ასეთი ცულები *გუადიხუს* უმცროსი ჯგუფის, ძვ.ნ. IV-III სს-ის №49 სამარხშია დაფიქსირებული [Трапш 196: 266], აგრეთვე *სოხუმის* მთის, ძვ.ნ. III-II სს-ით დათარიღებულ №3, 4, 6, 8 სამარხებში [კალანდაძე 1954: 31-33, ტაბ. VIII,11,17, 20]. ასეთივე ტიპის სიმეტრიულპირიანი რკინის ცული *ყანჩაეთის* სამარხშიაც აღმოჩნდა [გაგოშიძე 1964: 52, ტაბ. XI,33]. მეორე ტიპის ცულები, როგორც ასიმეტრიულ, ისე სიმეტრიულპირიანები, ძვ.ნ. V-IV სს-ის მიჯნაზე ჩნდება და ძვ.ნ. III-III სს-ის ჩათვლით არსებობს.

III ტიპის ცულები ე.წ. *ნებელდურის* სახელით არის ცნობილია. მათთვის დამახასიათებელია გრძელი ან ოდნავ შესამჩნევი, მილისებრი სატარე, განიერი, ასიმეტრიული პირი, რომელიც სატარეს ყელით უერთდება. პირი ტარის მხარეს

მკვეთრადაა განეული და ოდნავ მოკაუჭებული. ეს ტიპი ძირითადად *ნებელდის* არქეოლოგიურ ძეგლებზე ვრცელდება — *ახაცარახუ, ალრაახუ, ახაჩარხუ, აბგიძრაახუ, აუხუამახუ*. მსგავსი ცულები აღმოჩენილია: თითო ნიმუში *მერხეულიდან, განახლებიდან, ატარადან, ბიჭვინთიდან, გაგრიდან, 2ც. ხაშუფსედას* [იხ. Трапш 1971: 148]. სულ 160 ე.წ. *ნებელდური* ტიპის ცულია აღმოჩენილი. სამარხებში, ისინი სხვა იარაღთან ერთად გვხვდება [იხ. ანჩაბაძე 2015: 32]. ასეთი ცულები ცნობილია *ჯიეთის* სამაროვნის №27 (II-III სს.) სამარხიდან [სონღულაშვილი 2006: 83], *ურეკიდან* (2ც.) [Хоштариа 1955: 63], *ნოქალაქევიდან* [Леквинадзе და სხვ. 1981: 144, ტაბ. I,5], *ციხისძირის* №1 სამარხიდან (ახ.წ. IV ს) [ინაიშვილი 1993: 54, ტაბ. XXXII,7], *ფიჭვნარიდან* (ახ.წ. IV-V სს) [კახიძე, ვიკერსი 2004: 128]. ახ.წ. V-VII სს-ში კი ე.წ. *ნებელდური* ცულები დასავლეთ საქართველოს არაერთ ძეგლზე გვხვდება [ჯაფარიძე 1989: 107,108].

ჩუგლუგი მოცემული პერიოდის საქართველოში შეტევითი კატეგორიის შეიარაღების ერთ-ერთი სახეობაა. ის ტარზე დასაგები რკინის პირნამახული იარაღია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „ჩულ-ნერაქეად“ ან პირნამახულ ცულად მოიხსენიება. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ჩუგლუგი არის „ნერაქეი ხელთ საპყრობი საომრად“ [სულხან-საბა ორბელიანი 1993: 371]. ჩუგლუგის, როგორც სახეობის განმსაზღვრელი სწორედ ნანვეტებული პირია, ხოლო ყუა მოყვანილობის მიხედვით სხვადასხვა ვარიანტებს იძლევა.

ჩუგლუგი *ზესტაფონში*, ძვ.წ. V ს-ის სამარხშია აღმოჩენილია — სატარე ხვრელი ჩუგლუგის შუა ნაწილშია მოთავსებული, შესაბამისად, ყუა გრძელია, ამასთან, ნახნაგოვანი, ყუისთავი — დაბრტყელებული [იხ. ფირცხალავა, ლანჩავა 2013: 106-107, სურ. 31]. ეროვნული მუზეუმის ფონდში დაცულ რკინის ჩუგლუგს აქვს დაბალი, ნახნაგოვანი ყუა და ფართო კონუსურთავიანი ყუისთავი. სოფ. *სიმონეთიდან* ცნობილია ორი ჩუგლუგი (ინახება ქუთაისის მუზეუმში). ასეთივე ჩუგლუგები სოფ. *ბუკისციხიდან ჩოხატაურის* მუნიციპ. მუზეუმში ინახება; ამავე ტიპისაა ჩუგლუგი *ნარეკავის* ძვ.წ. VI ს-ის მიწურულითა და V ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული № 43 სამარხიდან — მას აქვს ნახევარსფეროს ფორმის ყუისთავი; ნანვეტებული პირი ქედიანია [იხ. დავლიანიძე, სადრაძე 1993: 36]. ჩუგლუგის კიდევ ერთ ნაირსახეობა *ბრილის* სამაროვანზე გამოვლენილ ძვ.წ. VI-V სს-ის რკინის იარაღს შორის. მას აქვს ვიწრო, რომბულგანივკვეთიანი, წვეტით დაბოლოებული პირი, ხოლო ყუა ცულის გაფართოებული პირის სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც მორკალული მოხაზულობა აქვს, სატარე მრგვალია და იარაღის შუა ნაწილშია მოთავსებული [იხ. გობეჯიშვილი 1952: 167, XV, 1].

ჩუგლუგის ნაირი იარაღი უკვე წინარეანტიკური ხანიდანაა ცნობილი. ერთი ნიმუში აღმოჩენილია *დვანის* ნეკროპოლის №2 სამარხში, რომელიც ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება [მაკალათია 1948: 29]. მას აქვს ვიწრო და გრძელი, კონუსისებრთავიანი ყუა, მრგვალი სატარე და სამკუთხა პირი, წვეტით დაბოლოებული, სწორტანიანია. როგორც ჩანს, მორკალული ტანი მომდევნო საფეხურია ამ ტიპის იარაღის განვითარებაში. ასევე, შუბისპირის მსგავსი პირი აქვს *თლიას* ძვ.წ. VII-VI სს-ის №258 და 143 სამარხის ჩუგლუგის მსგავს ორ იარაღს [იხ. Тешов 1980: 56-57, სურ.19, 4]. კავკასიაში, სადაც ცულის ტიპის იარაღი უცხო არ იყო, ძვ.წ. VI-V სს-ში მოხდა ახლად ათვისებული ნანვეტებული პირის შეთავსება სხვადასხვა ფორმის ყუასთან, ალბათ, ფუნქციიდან გამომდინარე, რის შედეგადაც მივიღეთ კომბინირებული რკინის ჩუგლუგების ნაირსახეობები [იხ. ფირცხალავა, ლანჩავა 2013: 107, ტაბ. IV,31-43].

სატევარი და მახვილი ინდივიდუალური საბრძოლო შეტევითი იარაღია. ის ხელჩართულ ბრძოლაში გამოიყენებოდა. ძვ.წ.V—ახ.წ.V სს. საქართველოში გავრცელებული სატევრებისა და მახვილების სიმრავლეში შეიძლება გაიმიჯნოს ორი დიდი ჯგუფი — ტიპი: ორპირლესული და ცალპირლესული ნიმუშები. მათი ხმარების წესიდან გამომდინარე — ორმხრივი პირის შემთხვევაში პირის ორივე მხარე საბრძოლოა, ცალპირა კი თავისი მახასიათებლებით მხედრისთვის მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ქსენოფონტის ცნობილი სიტყვები ცხენოსნისთვის მტრისათვის დარტყმის

მისაყენებლად ასეთი იარაღის უპირატესობის შესახებ ორპირლესულ იარაღთან შედარებით (იხ. ქსენოფონტი, 12,11).

სატევრისა და მახვილის ძირითადი ნაწილებია ტარი (რომელიც თავის მხრივ იყოფა ტარისთავად და ტარის ღეროდ) პირი და ვადა. ორივე ტიპის, როგორც ორპირლესული, ასევე ცალპირლესული მახვილი და სატევარი შეიძლება იყოს ტარიანი (ტარის ღეროიანი) და ყუნწიანი. აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ტერმინები „ტარიანი“, იგივე „ტარის ღეროიანი“ და „ყუნწიანი“ მეტად პირობითია, ვინაიდან ეს ტერმინები ასახავენ იარაღის იმ მდგომარეობას, როგორც მან ჩვენამდე მოაღწია. ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება ისაა, რომ ე.წ. ტარიანი იარაღის შემთხვევაში მას აქვს პირთან ერთად გამოჭედილი ბრტყელი ღერო, თითქმის ყოველთვის ტარისთავიანი, რომელზეც ხის ან ძვლის გარსაკრავები მაგრდებოდა. ე.წ. ყუნწიანი სატევრებსა და მახვილებს კი ბრტყელი ღეროს ნაცვლად აქვთ ასევე პირთან ერთად გამოჭედილი ვიწრო, მრგვალ ან ოთხკუთხა განივკვეთიანი სხვადასხვა სიგრძის, ზემოთკენ დავიწროებული ყუნწი, რომელზეც ჩამოიციმებოდა ტარი (რკინისავე, ან რაიმე სხვა მასალის). ეს ტექნოლოგიური დეტალი საშუალებას იძლევა, ტარიანი ნიმუშები მივიჩნიოთ ორპირლესული ტიპის (I) პირველ ქვეტიპად (I, 1), ხოლო ყუნწიანი ცალკე პირველი ტიპის მეორე ქვეტიპად (I, 2). ტარიანი სატევრებისა და მახვილების ჯგუფი, თავის მხრივ, გვთავაზობს რამდენიმე ვარიანტს.

ესენია: ძელაკისებურ ტარისთავიანი (I,1.ა), ნახევარწრიულ ტარისთავიანი (I,1.), სუსტად გამოკვეთილტარისთავიანი (I,1.გ) და ტარრგოლიანი (I,1.დ) ნიმუშები. ორპირლესულ ტარისთავიან რკინის სატევრებსა და მახვილებში არის ერთი ჯგუფი (I,1.ა), რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: მათ აქვთ დაბრტყელებული ძელაკისებური ტარისთავი; ბრტყელი, პარალელურგვერდებიანი ტარის ღერო; ბრტყელი, განიერი, წვერისკენ თანდათან დავიწროებული პირი; მკაფიოდ გამოხატული ვადა. ზოგიერთ ეგზემპლარს პირზე შერჩენილი აქვს ხის ქარქაშის ნაშთი. სიგრძე ამ ნივთებისა 50-85 სმ, სიგანე კი 5,5-6 სმ შორის მერყეობს. ისინი აღმოჩენილია ძვ.წ. IV-III სს. სამარხებში: ვანის ნაქალაქარის №9, მეომრის სამარხში [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 211, სურ. 174,1]; გუადიხუს უმცროსი ჯგუფის № 8 სამარხში [Трапиш 1969: 251, ტაბ. XXXIII, 2]. ტარისთავიანი სატევრების შემდეგ ვარიანტს (I,1.ბ) აქვს ნახევარწრის ფორმის ტარისთავი, მკაფიოდ გამოხატული ვადა. სამი ასეთი სატევარი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, ძვ.წ. I ს-ის ე.წ. საგანძურში [იხ. ფირცხალავა, ყიფიანი 1986: 75, სურ. 55-4, 5, 9], მათი სიგრძე მერყეობს — 19-22 სმ. ასევე ცნობილია ამ ტიპის სატევარი დაბლაგომიდან [იხ. Куфтин 1950: 36, 38, 11].

ტარიანი მახვილებისა და სატევრების ვარიანტები, როგორც კვლევამ გვიჩვენა, ძვ.წ. IV-I სს-შია გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. ფორმალური ნიშნებით — ბრტყელი ტარი, ტარისთავის არსებობა — ქვეტიპის მორიგ ვარიანტად (I,1დ) შეიძლება მივიჩნიოთ, რომელთაც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ე.წ. ტარრგოლიან მახვილებს უწოდებენ სპეციფიკური ტარისთავის გამო, რომელსაც $\approx 4,5$ სმ დიამეტრის რგოლის ფორმა აქვს. ის მზადდებოდა რკინის ან ბრინჯაოს მავთულისაგან და შემდეგ ტარის ღეროზე მმაგრდებოდა. ამ იარაღის სპეციფიკას სწორედ ეს ნიშანი განსაზღვრავს. ტარი ბრტყელია, განივკვეთში ოთხკუთხა, როგორც წესი, ხის გარსაკრავიანი. ვადა ამ ტიპის მახვილებს სწორი აქვთ. ამ მახვილების პირის სიგრძე მერყეობს $\approx 60-80$ სმ-ს შორის. ამ ტიპის მახვილები საქართველოში ახ.წ. I-II ს-ში ჩანს გავრცელებული. ისინი საქართველოს მრავალ პუნქტშია ნაპოვნი. ე.წ. ტარრგოლიანი მახვილები აღმოჩენილია ძვერში (ახ.წ. III) [ფუთურიძე 1959: ტაბ. V12], ლიაში [ნითლანაძე 1973: 70], ბორში, ინაშაურში და სოფ. ზედა გორაში [ხარაბაძე 2003: 165, ტაბ. II]. ზედა გორისა და ინაშაურის მახვილები ახ.წ. I-II სს. თარიღდება. ოთხი ე.წ. ტარრგოლიანი მახვილი ცნობილია ჩხარდან [ხარაბაძე 2003: 165], ოთხიც ყინვალის №282, 383. 499 და 525 სამარხიდან [ჩიხლაძე 2015: 22, 25; ტაბ. XI, 383; VIII, 351]. აღსანიშნავია დედოფლის გორაზე ნაპოვნი ძვ.წ. I ს-ის ფირფიტა, რომელზეც მხედარია გამოსახული, რომელსაც მარჯვენა გვერდზე ტარრგოლიანი სატევარი უკიდია [Gagoshidze 2008: 99, ტაბ. 40, კატ. № 92].

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან ფართოდ ვრცელდება ე.წ. *ყუნნიანი* სატევრები და მახვილები; მათ, ბრტყელი ღეროს ნაცვლად, აქვთ პირთან ერთად გამოჭედილი ყუნნი, რომელზეც ჩამოიციმებოდა სხვა მასალის ტარი. ამ ტიპის სატევრები და მახვილები აღმოჩენილია *ჟინვალის* სამაროვანზე, ახ.წ. II-IV სს. სამარხებში [ჩიხლაძე 2015: 41, 110, 150, ტაბ. XX,21; XVIII,249; XI, 35]; *არმაზისხევის* II-III სს. სამარხებში [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955: ტაბ. I-III]. ასეთივეა *მოდინახეს* IV ს-ის სამარხების სატევრები, მათ შორის რკინის ორპირლესული სატევარი, რომელსაც ქარქაში და ტარის გარსაკრავი შემკული ჰქონია ოქროს აპლიკაციებით; ტარისთავთან, ვადასთან და წვერთან გარსშემოუყვება ოქროს ფურცლის სალტეები, ვადაზე და წვერისკენ — ე.წ. *რვიანისებრი* ხვები. მისი სიგრძე — 19 სმ; აღმოჩნდა №22 სამარხში [იხ. ნადირაძე 1975: 59, ტაბ. XX, XI, 1-2; ბრაგვაძე, ჩიგოგიძე 2002: 98, სურ. 140]. ორპირლესული, ყუნნიანი სატევრები და მახვილები აღმოჩენილია — *კლდეეთის* [ლომთათიძე 1957: 132, სურ.26], *ჩხორონყუს* [Хоштариа 1941: 67-95], *ზემო ავჭალის*, *ბანძის* კომპლექსებში, *ბეჟანბაღის* [იხ. მამიაშვილი 1980ა: ტაბ. XXXII,1]. ყუნნიანი სატევრები და მახვილები ჩამოცმული ვადით აღმოჩენილია *ჩხარის*, II-III სს-ის სამარხებში [ბრაგვაძე 1997: 9, 30-32, ტაბ. XV, 1,2; XXVI, 1, 3]. ყურადღებას იპყრობს მახვილებისა და სატევრების კოლექცია *ნებელდიდან* — აქ აღმოჩენილი ათი ნიმუშიდან ყველას წაგრძელებული პროპორციებისაა, ვადა მკაფიო კუთხოვანია, ხშირ შემთხვევაში იარაღს პირზე ხის ქარქაშის კვალი აქვს შერჩენილი [Трапш 1971: 143-145, ტაბ. V, 1, 4; VI-9, 10, 15, 8; VII, 2; XI, 8, 9; XXII - 5,17, 24].

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, II ტიპის, ანუ ცალპირლესული მახვილები და სატევრები, ხშირ შემთხვევაში ისეა შემონახული, რომ ტიპის განსაზღვრა ჭირს. ტარიანი, ცალპირლესული სატევრები აღმოჩენილია: *ქასრაანთ მინებზე* (აქვთ სუსტად გამოკვეთილი ტარისთავი და მანჭვლებიანი ტარის ღერო) VI-IV სს. სამარხებში; *გუადიხუს* უმცროსი ჯგუფის №7 კომპლექსში, რომელიც ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება [Квирквелия 1981: 7]; *ეშერაში* [Шамба 1980: 47], ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამარხში; *ყანჩაეთში* [იხ. გაგოშიძე 1964: 51, ტაბ. XII,32]; *შრომის უბანში* [გობეჯიშვილი 1952: 29]; *ნითელი შუქურას* უმცროსი ჯგუფის ძვ.წ. V ს-ის №3 სამარხში [Трапш 1969: 272, ტაბ. XXXVII, 14]; *კამარახვის* სამაროვანზე [ჯღარკავა 1982: 163]. მათ აქვთ სწორი ზურგი, თითქმის პარალელური გვერდები, რომლებიც ვინროვდება წვერთან, ტარის ღერო მრგვალგანიკვეთიანია, მხართან ხის გარსაკრავის მისამაგრებლად განკუთვნილი სიმეტრიულად განლაგებული რკინის ერთი ან რამდენიმე ლურსმანი აქვთ; სიგრძე მერყეობს ≈ 25-50 სმ-ს შორის. ცალპირლესული ყუნნიანი სატევრები აგრეთვე აღმოჩენილია *კოთიძის* სამაროვანზე [შატერაშვილი 2005]; *ჟინვალის* [ჩიხლაძე 2015: 110, ტაბ. XI,35] და *ციხისძირის* [ინაიშვილი 1993: ტაბ. XXXV, 2] IV ს-ის სამარხებში. ასეთივე მახვილები ნაპოვნია *ნებელდაში*, III-IV სს-ის სამარხებში [Трапш 1971:75, 144, ტაბ. XXV,4].

მოცემულ პერიოდში საქართველოში გავრცელებულ სატევრებსა და მახვილებს შორის არის ნიმუშები, რომლებიც სპეციფიკური მორფოლოგიური ნიშნებით ხასიათდებიან. მათ აქვთ ე.წ. *პეპლისებური* (ვარიანტი — ე.წ. *გულისებრი* ან ე.წ. *თირკმლისებური*) ვადა და სხვადასხვანაირად გაფორმებული ტარისთავი; სკვითოლოგიურ გამოკვლევებში ამ ტიპის სატევრებსა და მახვილებს დაუკანონდათ ტერმინი — *აკინაკი*. *აკინაკი სკვითური კულტურის* ერთერთ განმსაზღვრელ კატეგორიად არის მიჩნეული. საქართველოს ნივთიერ კულტურაში *აკინაკები* ძირითადად წარმოდგენილია მათი ე.წ. *სკვითური არქაიკისთვის* დამახასიათებელი ფორმით, ძვ.წ. VII-VI სს. დათარიღებულ ძეგლებზე, მოგვიანო ხანაში კი იარაღის ეს სახეობა შედარებით იშვიათად გვხვდება.

მახიარა გახლავთ ბერძნული ტერმინი, რომელსაც მკვლევარები იყენებენ ანტიკური ხანის, ცალპირლესული, ოდნავ მოხრილი სატევრის ან დიდი ზომის დანის აღსანიშნად. მისი მთავარი მახასიათებლებია: ტარისთავი, ხშირად ფრინველის თავის ნისკარტმოხრილი სახით წარმოდგენილი, პირი შუა ნაწილიდან გაფართოებული, წვეტით დაბოლოებული, ზურგი შესქელებული, ალესილი მხარე კი მოხრილი. ქარქაშები იყო ხისა, ტყავ ან ლითონგადაკრული. ატარებდნენ მხარზე გადაკიდებული თასმით [Сокольский 1954: 130].

ასეთი იარაღის მასა პირისკენ იყო კონცენტრირებული, შესაბამისად, მოქნევისას დარტყმის ძალა მატულობდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ქსენოფონტის გამონათქვამი, რომლის მიხედვით, მხედარი უმჯობესია ხმარობდეს მახაირას, რადგან დარტყმის მისაყენებლად ის ცხენოსნისათვის უფრო მოხერხებულია, ვიდრე ორპირლესული სატევარი (ქსენოფონტი 12:11). *მახაირა*, ძველ საბერძნეთში, ძვ.წ. VI ს-დან გაჩნდა [იხ. Roux 1964: 63; Hoffmeyer 1972: სურ. 31]. მახაირების გამოსახულებები გვხვდება ბერძნული ხელოვნების არაერთ ნიმუშზე. ასეთი იარაღი ნაპოვნია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ ძეგლებზეც [იხ. Виноградов 1999: 153-160; Сокольский 1954: 130]. *მახაირას* შემცველი არქეოლოგიური კომპლექსებია: *ახულ აბაას* №4 სამარხი [კვირკველია 1995: სურ. 4], *იოხვისის* №2 სამარხი [გაგოშიძე და სხვ. 2006: 42, ფოტ. 25], *ეშერას* სამარხი [Шамба 1980: 47, ტაბ. XII,1], *ტახტიძირის* №8 სამარხი [იხ. გოგიბერიძე 2011: 25]. ყველა ეს არქ. კომპლექსი ძვ.წ. IV ს-ის ფარგლებში ექცევა, მახაირას ზომები კი $\approx 45-56$ სანტიმეტრს შორის მერყეობს.

საბრძოლო დანები. საქართველოს მოცემული პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებზე რკინის დანების აღმოჩენა ხშირია. მათ, თითქმის ყველა იმ სამარხში ვხვდებით, სადაც საბრძოლო იარაღი დაფიქსირებული. რაც, იმაზე მიუთითებს, რომ ის დამხმარე იარაღი უნდა ყოფილიყო. თუმცა გვხვდება ისეთი ეგზემპლარებიც, რომელთა პირის სიგრძე 30 სანტიმეტრზე მეტია [იხ. გამყრელიძე და სხვ. ნაწ. I, 2018]. დანების ერთი ნაწილი, თავისი აღნაგობით, მახაირასებური სატევრების მსგავსია. მაგ.: ასეთი იარაღი გვხვდება *ასურეთში* [კვიციანიძე 1975: 36 ტაბ. XVIII], *წინანდალში* და *ვარსიძიანთკარში* [მუხიგულაშვილი 2015: 77].

ლახტისთავი. *ლახტი* დასარტყმელ-საცემელ იარაღს წარმოადგენს. მას ხის ან ლითონის ტარი და ლითონის, ბურცობებიანი ან წვეტებიანი, მომრგვალებული თავი აქვს. სულხან-საბა ორბელიანის გამარტებით ლახტი „*უმკუთეთლო საცემი საომარი იარაღია*“ [იხ. სულხან-საბა 1991: 409]. ლახტის სინონიმებად გამოიყენება *გურზი*, რომელიც სულხან-საბას განმარტებით, ლახტით დიდა, მაგრამ უფროა [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2018]. *ლახტი* ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე იშვიათია. ის არ გვხვდება ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში და მხოლოდ გვიანანტიკური ხანის სამ ძეგლზე — *კლდეეთში*, *ბორსა* და *რგანშია* აღმოჩენილი. სამივე ლახტისთავს ხის ტარი უნდა ქონოდა, რომელიც შემორჩენილი არ არის. კლდეეთში აღმოჩენილი ლახტისთავი მთლიანადსხმული ბრინჯაოსაგანაა დამზადებული, სატარე მილი სქელკედლიანია, მის შემსხვილებულ თავზე ხუთი, რომბულგანიკვეთიანი, წანვეტებული ქიშია, რომელთა შორის მოთავსებულია ორ-ორი ბურცობი. სიმაღლე $\approx 7,4$ სმ. ნივთი ახ.წ. II ს. *კლდეეთის* სამაროვანიდან მომდინარეობს [ლომთათიძე 1957:13-14, ტაბ. VII; ფუთურიძე 1959:78, ტაბ. V,14]. მსგავსი ლახტისთავი აღმოჩენილია ზემო რაჭაში, სოფ. *ღებში* და *ქუთაისის* მუზეუმშია დაცული [ლომთათიძე 1957: 14]. საყურადღებოა სოფ. *ბორში* აღმოჩენილი ლახტისთავიც. მისი სიმაღლე ≈ 6 სმ-ია, თავზე სამკუთხა წვეტები აქვს [Придик 1914: 106, ტაბ. IV,7]. რკინის, ოთხქიმიანი ლახტისთავი აღმოჩნდა ახ.წ. IV ს-ის, *რგანის* №3 სამარხში [იხ. ბრაგვაძე 2000: 108, სურ. 32].

მშვილდ-ისარი. მოცემული პერიოდის საქართველოში მშვილდ-ისრის არსებობაზე ძირითადად მოგვითხრობენ ისრისპირები, ვინაიდან როგორც მშვილდის ხის საფუძველი, ასევე მისი ლარი, დროთა განმავლობაში მინაში იშლება. ამისდა მიუხედავად, მიკვლეულია ნივთები და დეტალები, რომლებიც მშვილდთანაა დაკავშირებული: ესაა მშვილდის საფუძვლის ძვლის კიდურა გარსაკრავები, ასევე მშვილდის ბუდის — *გორიტის* შემამკობელი ლითონის დეტალები. მშვილდის ტიპზე მოგვითხრობენ საქართველოში მოპოვებულ სხვადასხვა ნივთებზე დატანილი მშვილდოსნების გამოსახულებები. მშვილდის კონსტრუქციის მთავარი პრინციპი უხსოვარი დროიდან მოდის. როგორც ეთნოლოგიური მასალიდან ჩანს, მისი ძირითადი ნაწილი — ხის საფუძველი — საგანგებოდ შერჩეული და შემდეგ დამუშავებული ხის ტოტისგან მზადდებოდა. მას ორივე ბოლოზე ლარის დასაჭიმად განკუთვნილი ამოღარული ნაჭდევეები, ე.წ. კილონი აქვს. ლარი მსხვილი რქოსანი საქონლის ტყავისა ან მყესებისა იყო. მშვილდის შუა, შემსხვილებული ნაწილია სახელური, რომლის აქეთ-იქით ამალღებული ნაწილები მშვილდის მხრები, ანუ იგივე *გოზანებია*. სწორედ მათზე მოდის ყველაზე დიდი დატვირთვა [იხ. ელიაშვილი 1959: 27]. ხშირად მშვილდს სახელურსა

და ბოლოებზე უკეთდებოდა ძვლის ან რქის გარსაკრავები. სწორედ ამ ფუნქციის მატარებელია *დედოფლის გორაზე* ნაპოვნი 1 სმ სიგანის, ძვლის, მშვილდის გარსაკრავი ფირფიტები, რომელთა ერთი გვერდი ბრტყელია, მეორე კი გამობერილი და აქვთ ღარი, ღარზე მისამაგრებლად განკუთვნილი; ეს ფირფიტა-გარსაკრავები მშვილდის ორივე ბოლოზე მაგრდებოდა [Gagoshidze 2008: 124-125, ტაბ. 49, №14-17]. მსგავსი გარსაკრავები აღმოჩენილია არმაზციხეზე და *აბგიძრახუს* ახ.წ. III ს.-ის №44 სამარხშიც [Трапиш 1971: 68].

მშვილდოსნებს ისრებიცა და მშვილდიც ტყავის ან ხის საგანგებო ბუდეებში — კაპარჭსა (ე.წ. *ისართ ბუდე*) ან გორიტიში (ე.წ. *მშვილდის ბუდე*) ეწყობო. კაპარჭის გარსაკრავის ფრაგმენტები — ბრინჯაოს ორი ფირფიტა, შემკული ორნამენტით, ნაპოვნი ვანის №9 სამარხში (ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი) [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 211]. სამარხში ორ ადგილას, მიჯრით ეწყობო ისრისპირები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი საგანგებო ბუდეში ელაგა (30ც.). მშვილდის გორიტიზე მიგვანიშნებს აგრეთვე ბრინჯაოს ფირფიტისაგან დამზადებული დეტალი, რომელიც ტყავის ან ხის ბუდის ზედა წვერზე მაგრდებოდა. ესენია: *ჯიმიითის* (ივრისპირების) და *წნორის* ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ფურცლისაგან დამზადებული ფირფიტები [იხ. მამაიაშვილი 1980: 110, 113, ტაბ. XXX,11, XXXI,5; ტაბ. XXX, XXXI]. გამოსახულებების მიხედვით, არის მარტივი, ე.წ. სეგმენტის ფორმის (მაგ. *გომის* სასმისზე) [იხ. გამყრელიძე 2002: 43, ტაბ. I] და შედგენილი, ორგზის მოხრილი ტიპის (მაგ. *არაგვისპირის* №13 სამარხის ვერცხლის სურებზე) [რამიშვილი 1999: სურ. 2]. თუ გავიხსენებთ სტრაბონის იმ ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ იბერთაგან ისინი, ვინც მთაში ცხოვრობენ, სკვითებისა და სარმატების მსგავსად აღიჭურვებოდნენ, უადგილო არ იქნება ვახსენოთ ე.წ. *სკვითურ-სარმატული* მშვილდი, მით უფრო, რომ საქართველოში ნაპოვნ შესაბამისი ხანის ისრისპირებს შორის არის მცირე ზომის ისრისპირები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს ე.წ. სკვითური ტიპის მსუბუქი, მცირე ზომის, ორგზის მოხრილი შედგენილი მშვილდი, რომლის ხის საფუძველი რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა. მისი სახელური და ბოლოები არალუნვადი უნდა ყოფილიყო, ხოლო მხრები — დრეკადი. ამ ტიპის მშვილდი დასავლეთ აზიაში იყო გავრცელებული [იხ. Хазанов 1971: 29].

საქართველოში მოცემულ ეპოქაში სხვადასხვა სახის ისრისპირები გვხვდება. ისარი შედგება ისრისპირისაგან, რომელიც შეიძლება იყოს ბრინჯაოსი, რკინისა ან ძვლისა და ისრის ტარისაგან (ხის ღეროსაგან). საკუთრივ ისრისპირი შედგება მასრისა ან ყუნწისაგან და თავისაგან. მისი მახასიათებლებია მასრის ან ყუნწის და თავის ფორმა. თავი კი შეიძლება იყოს ორფრთიანი, სამფრთიანი, სამწახნაგა, ოთხწახნაგა და ბრტყელი, კიდებმომრგვალებული ან ე.წ. ოვალურ-რომბული ფორმის. უმასრო ისრისპირები არის სამფრთიანი, ოთხწახნაგა და სამწახნაგა. ამ ნიშნების საფუძველზე გამოიყოფა შემდეგი ტიპები: I — ოთხწახნაგა, პირამიდული ფორმის, მრგვალლრუიანი ისრისპირები ყველა ძვლისაა. სიგრძე მერყეობს $\approx 3,2-6,6$ სმ-ს შორის. ამ ტიპის ისრისპირი აღმოჩენილია *კამარახევის* №24 სამარხში [ჯღარკავა 1982: 148, სურ.1009], *ჯიმიითისა* და *წნორის* სამარხებში [მამაიაშვილი 1980: 106,113, ტაბ. XXX,4; XXXXI,6-7]. *ენავეთის* №1 ქვაყუთში, რომელიც ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება [მარგიშვილი 1992: 28, 69, ტაბ. XXI,8]. II — ბრინჯაოს უმასრო, მრგვალლრუიანი სამწახნაგა ისრისპირები, რომელთათვის დამახასიათებელია მეტ-ნაკლებად შეჭრილი წახნაგის ფუძე (სიგრძე $\approx 2,5-3$ სმ), წახნაგებზე ქვემოთ — ნახვრეტები. ისინი აღმოჩენილია *ვანის* ნაქალაქარზე, მეომრის №9 სამარხში, სადაც სამარხის მთელ ტერიტორიაზე იყო მობნეული. III — ბრინჯაოს მრგვალლრუიანი, სამფრთიანი ისრისპირები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაშვებული ფრთების წვერების მიხედვით იძლევიან ვარიაციებს. ისინი აღმოჩენილია *ვანის* № 9 სამარხში და *ციხედიდის* ხევის სამაროვნის ძვ.წ. IV ს-ის სამარხში (სიგრძე 2,5-4 სმ). IV — მრგვალლრუიანი ისრისპირების კიდევ ერთი ტიპია ე.წ. ტყვიისებრი ძვლის ისრისპირები, რომელთაც კონუსური ფორმა აქვთ (სიგრძე მერყეობს $\approx 2,1-3,5$ სმ-ს შორის, დმ. $\approx 0,6-0,8$ სმ). ასეთი ისრისპირები საქართველოში გვხვდება წნორის ძვ.წ. IV ს-ის სამარხში [მამაიაშვილი 1980: ტაბ. XXX,5]. V — სამწახნაგა, მოკლემასრიანი, $\approx 2,5-3$ სმ-ის სიგრძის, ბრინჯაოს ისრისპირები

ერთეულების სახით გვხვდება კულტურულ ფენებსა და სამარხებში. ისინი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის არქ. ფენებში [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1976:179], რომლებიც ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება; *იოხვისის* სამარხში [გაგოშიძე 1968: 35, ტაბ. 1,4,5]; ქუთაისში [ლორთქიფანიძე გ. 1976: 179, სქ.4]. VI— მასრიან ისრისპირებს შორისაა ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირები, დეზიანი და უდებო, რომლებიც ძვ.წ. V-IV სს-ის სამარხებში გვხვდება. ისინი აღმოჩენილია: *ივრისპირების* №1 და №2 სამარხში [მამაიაშვილი 1980: ტაბ. XXX,6; XXXI,8]; *გომარეთის* სამაროვანზე [დავლიანიძე 1983: 138, ტაბ.XVII]; *კუმისში* [Давлиანიძე 1977: 122, სურ. 2]. ანალოგიური ისრისპირები ცნობილია ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და ჩრდილო კავკასიის ძვ.წ. V-IV სს-ის კომპლექსებიდან [Мельникова 1964: ტაბ. 8, K1-9, ტაბ. 8, B6, T1-3; Смирнов 1964: სურ.51,3ა]. VII— მასრიან ისრისპირთა შორისაა პირამიდულთავიანი ბრინჯაოს ისრისპირები. მათ აქვთ მოკლე თავი და მრგვალგანივკვეთიანი გრძელი მასრა. სამი ასეთი ისრისპირი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, ძვ.წ. V-IV სს-ის ფენაში [ლორთქიფანიძე გ. 1976:სურ.136-11,3]. VIII— შედარებით იშვიათად, ბრინჯაოს მასრიან, ისრისპირთა შორის გვხვდება ორფრთიანებიც. ორფრთიანი, მასრიანი, მასრაზე დეზიანი ან უდებო ცალები ძვ.წ. V-IV სს-ში ნაკლებად ჩანს. ასეთები ნაპოვნია *სამადლოში* [იხ. Гагоშიძე 1979: 38, ტაბ. XIII,23].

IX — რკინის სამფრთიანი, ყუნწიანი, განიერპირიანი ისრისპირები აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე არქ. ფენაში (≈ 4 სმ სიგრძისა) [ლორთქიფანიძე გ. 1976: ტაბ. 136, 11,2], *კლდეეთის* სამაროვანზე, ახ.წ. II ს-ის სამარხში [ლომთათიძე 1957: სურ. 30]. ისინი დიდი ხნის მანძილზეა ხმარებაში. ანალოგიური რკინის ყუნწიანი ისრისპირები ძვ.წ. IV ს-დან ჩნდება ჩრდილო კავკასიაში, ხოლო ინტენსიურად ვრცელდება ძვ.წ. II ს-ის შემდეგ, საქართველოს ნიმუშების ანალოგიურად [იხ. Хазанов 1971: ტაბ. XIX, XX; 35-37, 40; Смирнов 1964: სურ. 48, 46-3]. საყურადღებოა რკინის ისრისპირების კიდევ ერთი სახეობა, გრძელყუნწიანი, ქედიანი, ბრტყელი ნიმუშები. ისინი ვანის ნაქალაქარიდანაა ცნობილი ($\approx 6,5-7$ სმ სიგრძისა) [ლორთქიფანიძე გ. 1976: 180, სურ. 136, 11,4]. განსაკუთრებულ ადგილს იკავებს *დედოფლის გორის* ნგრევის ფენაში (II ს.) ნაპოვნი 800 ც. რკინის სამფრთიანი ისრისპირი [იხ. Gagoshidze 2008: 125-126; ტაბ. 48, კატ. № 1, 3, 7, 8, 9]. X— რკინის ორფრთიანი, მხრებდაშვებული, ყუნწიანი ისრისპირები, საქართველოს ტერიტორიაზე ეშერის ნაქალაქარის გვიანელინისტურ ფენაშია აღმოჩენილი (100ც.). ყველა მათგანი ნაჭედია; საბრძოლო პირი განივკვეთში ოთხკუთხაა, ოთხკუთხაგანივკვეთიანია ყუნწიც, რომელიც თანდათან ვიწროვდება და მოხრილი წვეტით ბოლოვდება; ამ ნივთების სიგრძე $\approx 4,6 - 9$ სმ-ს შორის მერყეობს [Шамба 1980: 49; ტაბ. XV, 9-15].

ძვ.წ. IV-III სს. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ისრისპირები მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ალბათ, იმ პერიოდში მშვილდ-ისარს სამხედრო შეიარაღებაში მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა. თითქოს ამასვე ადასტურებს ჰეროდოტეს (VII,78,79) და ქსენოფონტის (IV,7,15-16; IV,8,3; V,2,22; V,4,12) ცნობებიც. ისინი კოლხების, მოსხების, მოსინიკების, ხალიბების შეიარაღების ჩამოთვლა-აღწერისას მშვილდ-ისარს არ ახსენებენ. თვალშისაცემია, რომ *სოხუმსა* და მის მიდამოებში, სადაც არქეოლოგიურ კომპლექსებში იარაღის რამდენიმე სახეობაა თავმოყრილი — შუბი, სატევარი, მახვილი, ცული — არ არის ისრისპირები. როგორც ჩანს, მოგვიანებით (ძვ.წ. II ს. II ნახევრიდან) მშვილდ-ისარი ქართველური მოსახლეობის შეიარაღებაში პოპულარული ხდება. გვაქვს ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობები ქართველური მოსახლეობის მიერ ისრების ხმარების შესახებ (იხ. სტრაბონი, დიონ კასიოსი). იბერიასა და ალბანეთში პომპეუსის ლაშქრობის დროს, სტრაბონი იბერების შეიარაღების ჩამოთვლისას მშვილდ-ისარსაც ახსენებს (XI,4,5). მშვილდოსანი იბერების შესახებ გადმოგვცემს აპიანეც (*მითრიდატეს ომები*, 101) და დიონ კასიუსიც (XXXVII,2). სვანების მონამულ ისრებს აღნიშნავს სტრაბონი (XI,2,19).

შურდული. მოცემული პერიოდის საქართველოში, როგორც ამას არქეოლოგიური მონაცემები და წერილობითი წყაროები მონშობენ, შურდულიც გამოიყენებოდა. ეს ქვის სასროლი მარტივი იარაღი წარმოადგენდა ორად მოკეცილ სალტეს ან ბანარს, რომელსაც

შუაში ბრტყელი ნაწილი ჰქონდა ქვის ჩასადებად და სასროლად. ეს იყო უძველესი და ადვილად ხელმისაწვდომი იარაღი, რომელიც ანტიკურ სამყაროშიც ფართოდ გამოიყენებოდა. ნამოსახლარების ნანგრევებში, ხშირად ჩნდება $\approx 4-6$ სმ დიამეტრის მრგვალი მოყვანილობის რიყის ქვები, რომლებსაც შურდულით ტყორცნიდნენ. ათეულობით ასეთი საშურდულე ქვა ნაპოვნია ვანის ნაქალაქარზე; ასევე ძვ.წ. III ს-ის მეომრის №9 სამარხში. *ანაკოფიაში* ასეთი ქვები სასიმაგრო კედელთან, ძვ.წ. III-II სს-ით დათარიღებულ ფენაში გამოვლინდა [ლორთქიფანიძე გ. 1976: 175]. შურდული მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ლაშქრის შეტევით, სატყორცნ იარაღად ითვლება [გამყრელიძე და სხვ. 2005: 147].

თავდაცვითი საჭურველი. თავდაცვითი საჭურველიდან მოცემული პერიოდის საქართველოში დადასტურებულია: აბჯარი, მუზარადი, ფარი და წვიცაფარი (კნემიდები).

ფარი საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ჩანს და აღმოჩენილია *ბადიაურში* [საქ. არქეოლოგია 1959: 177], *ლილოში*, *კაჭრეთში* [მუხიგულაშვილი 2015: 82], *მელაანში* [ფიცხელაური 1973: 221], *ვანთაში* [ნუცუბიძე 1980: ტაბ. 1,8]. საქართველოს მოცემული პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებზე შედარებით იშვიათია ფარის აღმოჩენის შემთხვევები. მათი მცირერიცხოვნება ნაწილობრივ შეიძლება იმით აიხსნას, რომ ფარი იყო ტყავგადაკრული ხის ან ტოტებისაგან დანული და მიწაში არ შემოინახა. ნიშანდობლივია, რომ ბერძნულ წერილობით წყაროებში მოიხსენიება ქართველური მოსახლეობის (კოლხების, მოსინიკების, მოსხების, ხალიბების) ფარები. კერძოდ, პეროდოტე აღნიშნავს - „*კოლხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები, ამის გარდა დანები*“. ქსენოფონტის „ანაბასისში“ ხარის ტყავისაგან გაკეთებული, ხალიბების ფარები მოიხსენიება, ასევე მოტანილია ცნობა, რომ მოსინიკების მეომრებს „*ყოველს ხელში ეკავა სუროს ფოთლისნაირი ფარი, ხარის თეთრი ბენვიანი ტყავით დაფარული*“. სტრაბონის მიხედვით ალბანელები „*არიან შუბოსნები და მშვილდოსნები, აქვთ ტყავის აბჯრები და ფარები იბერების მსგავსად*“. აქვე ნახსენებია რომაული *სკუტუმის* მსგავსი ფარი. მნიშვნელოვანია, რომ „გეოგრაფიის“ ეს მონაკვეთი ქრონოლოგიურად, კავკასიაში რომაელი სარდლის პომპეუსის იბერებთან ომის პერიოდს ემთხვევა. ასევე, უნდა ითქვას, რომ ლითონის საფარიანი ფარები (ისევე, როგორც თავდაცვითი აღჭურვილობის სხვა ელემენტები) ძვირი და შესაბამისად, რიგითი მოლაშქრისათვის ხელმიუწვდომელი იყო, მას მხოლოდ წარჩინებული მეომრები ფლობდნენ [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2005: 149-151].

საქართველოს ძეგლებზე აღმოჩენილია ლითონის საფარიანი რამდენიმე ფარი, რომლებიც გარსაკრავების მიხედვით განიხილვიან: ლითონის მთლიანი ფურცლით დაფარული; ლითონის სარტყლებით ან ფირფიტებით დაფარული; ლითონის უმბონებიანი. რაც შეეხება ფარის ფორმასა და მის მოყვანილობას, იშვიათი შემთხვევების გარდა, ის, ორგანული (ხისა და ტყავის) საფუძვლის ცუდად შემონახულობის გამო, ვერ ისაზღვრება. სამაგიეროდ, არის გამოსახულებანი, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის ფარის მოყვანილობაზე [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2005: 144-147]. საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე დადასტურებულ ფარებს შორის ყველაზე ადრეულია *წითელი შუქურას* სამაროვნის *უფროსი ჯგუფის* №7 სამარხში აღმოჩენილი წრიული ფარი, რომელიც ჩვენამდე ბრინჯაოს თხელი, სამფენიანი ფირფიტის (0,5—1,0 მმ) სახითაა მოღწეული. ფირფიტა წარმოადგენს არწივის გამოსახულებას, რომელიც ჭედვითაა გამოყვანილი და მის კიდეს წყვილ-წყვილად დატანილი ნახვრეტები გასდევს ხის საფუძველზე დასამაგრებლად. ფიქრობენ, რომ ეს არის *ჰოპლიტური*, ანუ *არგოსული* ფარის ბრინჯაოს გარსაკრავი, რომელიც ძვ.წ. Vს. უნდა იყოს. ასევე *ჰოპლიტური* ფარის ბრინჯაოს ფირფიტის დეტალებია ნაპოვნი *ახულ-აბაას* სამარხეულ ნივთებს შორის, რომელიც ხის ფარის გარსაკრავის ნაშთებადაა მიჩნეული. შემორჩენილია ხის ფარის (დმ. - 85სმ) ბრინჯაოს გარსაკრავის ფრაგმენტები; ცენტრალური ნაწილი, ე.წ. *გული* (დმ. - 29სმ), რომელსაც კიდეებზე შემოუყვება პანია ლურსმნების წყება. *ახულაბაას* კომპლექსი, რომლის შემადგენლობაშიც ეს ფარი იყო, ძვ.წ. IV ს-ის დასასრულით თარიღდება [იხ. კვირკველია 2001: 34, სურ. 3,10, 11,

12; 32, სურ.1]. ლითონის ფურცლით მთლიანად დაფარულ ტიპს განეკუთვნება ასევე *ემერის* ნაქალაქარზე აღმოჩენილი ნახევარწრიული ბრინჯაოს ფურცელი, რომელსაც გარეთა, წრიული კიდე შეკეცილი, ხოლო მოპირდაპირე, სწორ კიდეზე — ნალურსმნალი გამჭოლი ნახვრეტები აქვს (4ც.); ასეთივე ნახვრეტებია (2ც.) მრუდი კიდის გასწვრივ ხის საფუძველზე დასამაგრებლად [Шамова 1980: 50, ტაბ. XVI,1].

ლითონის საფარიანი ფარების ნაირსახეობაა ბრინჯაოს თხელფირფიტოვანი დისკოთი დაფარული ნიმუშები. ასეთი ოთხი ნიმუში გვაქვს: ერთი *კამარახევის* №27 ორმოსამარხიდან, რომელიც ძვ.წ. III ს-ით თარიღდება [ჯღარკავა 1982: 50, სურ. 1024], ორი *ვარსიმაანთკარის* ძვ.წ. IV სს-ის № 65 და 18 სამარხიდან [მუხიგულაშვილი 1986: 60, ტაბ. XXIV; მუხიგულაშვილი 2015: 83-84, ტაბ. IV., სურ.7] და ერთი *ნატახტარის* II სამაროვნის სამარხიდან [აფაქიძე და სხვ. 2004: 70-80]. *კამარახევი* აღმოჩენილ, 2 მმ სისქის დისკოს (დმ. - 30სმ) შუაში ნახევარსფერული უმბონი აქვს (დმ. - 5 სმ), ხოლო დისკოს კიდე შემკულია წვრილი, მძივისებური, ამოტვიფრული ორნამენტით კიდეზე, მისგან 1,5 სმ-ის დაშორებით, ორი ნახვრეტია. *ვარსიმაანთკარის* ფარებიც წრიული ფორმისაა, ერთს ცენტრში დეკორატიული, რელიეფური, სხივისებური ხაზებით შედგენილი ორნამენტი აქვს. ლითონის საფარიანი ფარების კიდევ ერთი ნაირსახეობაა რკინის ფურცლებისაგან შედგენილი და ბრინჯაოს მავთულით შეკრული ხის, ტყავადაკრული ფარის ნაშთი, რომელიც ვანის ნაქალაქარის №9 სამარხში იყო აღმოჩენილი. ფარი მეომრის ფერხთით იდო და ფარავდა შუბისპირებს [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 211 სურ.164]. ხის, ოთხკუთხა ფარის ფრაგმენტები *ნებელდაში*, *აბგიძრახუს* №44 სამარხში (ახ.წ. III ს) აღმოჩნდა. ესენია რკინის ორად მოკეცილი ფირფიტები, რომლებიც ფარის ხის საფუძველზე, ოთხივე კუთხეში იყო შემოჭდობილი, რკინის ვიწრო და გრძელი ორი ფირფიტა, დამაგრებული ფარის შუა ნაწილში, მის გრძივ ნაპირებზე, მარყუჟისებრთავიანი რკინის ლურსმნები (3ც.), რომელთაც ოთხკუთხა განივკვეთიანი ღერო აქვთ, ჩაჭედილი იყო ფარის ზედა განივ კიდეზე. ფარის ზომებია 50 X 69 სმ [Трапш 1971: 68, 153-156; ტაბ. XXII-10; XVI-7].

საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან ცნობილია ფარის წრიული გულები, იგივე უმბონები (ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის), სხვადასხვა პროფილის (კონუსური, ნახევარსფერული) ბურცობითა და ირგვლივი კიდით. ჩვენ ხშირად არ ვიცით, რა კონფიგურაციისა იყო თვით ფარი, რადგან უმბონის წრიულობა არ ნიშნავს ფარის წრიულობას [იხ. გამყრელიძე 2002: 41]. ბრინჯაოს ხუთი ცალი ნახევარსფერულ ბურცობიანი უმბონი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, თორმეტსაფეხურიან სალოცავთან გამართულ ძვ.წ. II-I სს. საცავ-საგანძურში. ყველა ერთი ტიპისაა, ნახევარსფერული მოყვანილობის შუა ნაწილს ირგვლივ ბრტყელი კიდე შემოუყვება. ბურცობს ცენტრში ნახვრეტი აქვს. ერთ მათგანს ცენტრში, გამოზიდულ ნაწილზე, ბრინჯაოს პატარა ლურსმანი აქვს მიკრული ხის საფუძველზე დასამაგრებლად (დმ - 10სმ, ბურცობისა - 7 სმ, სიმაღლე - 3 სმ). უმბონებს, შიდა მხარეს მიკრული ჰქონდათ დანახშირებული ხის ნამცეცები. უმბონები აღმოჩენილი იყო ნაგებობის იმ ადგილას, სადაც რკინის იარაღი იყო თავმოყრილი — სამი სატევარი და სამი მახვილი [ფირცხალავა და სხვ. 1986: 75, სურ. 556, 8]. სამი უმბონი აღმოჩნდა *ჟინვალის* სამაროვანზე ახ.წ. III-IV სს-ის სამარხებში. აქედან ორი ვერცხლისაა [ჩიხლაძე 1999: 68], რკინის უმბონი კი ახ.წ. III ს-ით დათარიღებულ, №357 სამარხში აღმოჩნდა [ჩიხლაძე 2015:182]. რკინის კონუსურბურცობიანი უმბონი ნაპოვნია მოდინახეს №8 სამარხში [ნადირაძე 1975:49, 58, ტაბ. XX19]. ასეთივე უმბონი *რგანის* №15 სამარხშიცაა აღმოჩენილი [იხ. ბრაგვაძე 2000: 111, სურ.78]. *ნებელდაში*, *აბგიძრახუსა* და *ახიაცარახუს* ახ.წ. II-V სს-ის სამაროვნებზე ბრინჯაოსა და რკინის უმბონებია აღმოჩენილი [Трапш 1971: 90, 83; ტაბ. XVII-4,5; 154-155; ტაბ. XXXI-2,3].

ფარების ფორმებისა და მათი ნაირსახეობების აღდგენისათვის მნიშვნელოვანია გამოსახულებები არტეფაქტებზე: ამ მხრივ საინტერესოა *სამადლოში* აღმოჩენილი მოხატული ქვევრები, სოფ. *გომში* აღმოჩენილი სასმისი, და *დედოფლის გორის* სასახლეში აღმოჩენილი ბრძოლის ეპიზოდური ფირფიტა და სხვ. *გომის* სასმისზე ორთაბრძოლის ორი სცენაა გამოსახული [იხ. გამყრელიძე 2010: 138-154]. ოთხი მეომრიდან ორს, მარცხნიდან

პირველს და მესამეს ერთნაირი კონფიგურაციის ფარი უჭირავს, რომელიც მენჯიდან მხრამდე ფარავთ. ფარი ოთხკუთხაა და მარჯვენა ზედა კუთხე ამოჭრილი აქვს. ის ისეა გამოსახული, რომ მკლავზე მარყუჟით დამაგრებული ჩანს და ხელის ჩასაჭიდიც უნდა ჰქონოდა. ამგვარად, მეზრდოლს ფარი უფრო მარჯვედ, მოხერხებულად ეკავა და თუ დასჭირდებოდა, ბრძოლის დროს ორივე ხელის ხმარება შეეძლო. გომის სასმისის ფარის მარჯვენა კუთხე ამოჭრილი იყო, რაც მეომარს ლავირების დროს გამოხედვის საშუალებას აძლევდა და მოხერხებული უნდა ყოფილიყო. მაგ.: ადრეული რომაული ფარები წრიულია, ხოლო დაახლოებით ძვ.წ. III ს-დან ჩნდება ოთხკუთხა, ვერტიკალზე ოდნავ მოღუნული ფარები. პოლიბიოსი „ისტორიაში“ (VI, 23, 2-4) გადმოგვცემს, რომ ფარები შედგება ხის ფირფიტებისაგან და დაფარულია ტყავით (ზომები $\approx 110 \times 70$ სმ). ფარის ზედა და ქვედა მხარეს, შესაკვრელად რკინის გარსაკრავები ერტყა. შემდგომ, კუთხეებიანთან ერთად თანაარსებობენ ოვალური და მოგრძო ნაკვეთილ ბოლოებიანი რომბისებური, ექვსკუთხა ფარებიც. ფარის ცენტრში წრიული ლითონის უმბონი იყო. სამივე (ოთხკუთხა, ექვსკუთხა, ოვალური) ტიპის ფარი ქ. რომში ლუციუს სეპტიმიუს სევერუსის ტრიუმფალური თალის რელიეფებზეა გამოხატული. ოთხკუთხა ფარებია გამოხატული ქ. პომპეიში აღმოჩენილ გლადიატორთა ბრძოლის სცენებზეც. მარკუს ფურიუს კამილუსის დიქტატორობისას, რომაელი ქვეითის ძირითად ფარად იქცა ოთხკუთხა ფარი — *სკუტუმი*. აქედან მოყოლებული, დაახლოებით ახ.წ. III ს-მდე ამ ტიპის ფარები დომინირებენ რომის ქვეითთა არმიაში (ცხენოსნებს ოვალური აქვთ). ამგვარი ოთხკუთხა ფარები უნდა ჰქონოდათ პომპეუსის ლეგიონერებს, როცა ძვ.წ. 65 წელს პირველად გამოჩნდნენ ტრანსკავკასიაში და იბერიის მეფე არტოკესთან მოუხდათ შეტაკება [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2001:57-69]. რომის იმპერიის ეპოქაში ფარის ზომები შემცირდა და ძირითადად მეომრის ტორსს ფარავდა [იხ. Connolly 1988: 230-234].

მუზარადი. საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე ლითონის მუზარადი იშვიათად გვხვდება. წერილობითი წყაროები ქართველური მოსახლეობის შეიარაღების აღწერისას აღნიშნავენ, რომ კოლხებს და მოსხებს თავზე ხის მუზარადები (ჰეროდოტე VII, 79, 78), იბერებს კი ტყავის მუზარადები ეხურათ (სტრაბონი, XI,4,5). შესაბამისად, ორგანული მასალისაგან დამზადებული მუზარადები მინაში დაიშალა და ჩვენამდე ვერ მოაღწია. ანტიკური ხანის მუზარადების შესახებ ინფორმაციას ვიღებთ ამ პერიოდში დამზადებულ არტეფაქტებზე დატანილი გამოსახულებებიდანაც. ამ მხრივ, აღსანიშნავია ზემო რაჭაში, სოფ. *გომში* აღმოჩენილი ბრძოლის სცენის გამოსახულებიანი ვერცხლის სასმისი, რომელიც ქ. ქუთაისის სახ. მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში ინახება [იხ. გამყრელიძე 2002: 39-49].

ამ სასმისზე გამოხატულ ოთხივე მეომარს თავზე ნახევარსფერული მუზარადი ახურავს. ზოგიერთს თითქოს ცხვირსაფარი და ყბების საფარი მოუჩანს. ანტიკურის წინა ეპოქაში ცხვირსაფარი და ყბისსაფარი მუზარადებზე არ აქვთ. ისინი არაა დამახასიათებელი არც ირანული სამყაროსათვის. ბერძნული და შემდეგ რომაული სამყაროსათვის კი ყბასაფარები შედარებით ხშირია [იხ. Bottini და სხვ. 1988: 65-136, 327-365]. რომის რესპუბლიკის ეპოქაში მუზარადებს შუბლთან სიმტკიცისათვის უკეთებდნენ დამატებით ლითონის სარტყელს. რესპუბლიკის და იმპერიის ხანის რომაული მუზარადებისათვის ცხვირსაფარები ნაკლებადაა დამახასიათებელი [Bottini და სხვ. 1988: 327-365; Connolly 1988: 228]. მუზარადის გამოსახულებას ვხვდებით ქვემო ქართლში, *ეცოს* სამაროვანზე, ძვ.წ. IVს-ით დათარიღებულ №39 სამარხში აღმოჩენილ ფარაკიან ბეჭედზე [შატბერაშვილი 2005: ტაბ. XV,36; რამიშვილი, შატბერაშვილი 1997: 20]. მასზე გამოსახულია მუზარადიანი მამაკაცის თავი პროფილში. აღსანიშნავია აგრეთვე სამადლოში აღმოჩენილი მოხატული ქვევრები, რომლებზეც გამოსახული მხედრების თავსაბურავი კონუსურ მუზარადებს წააგავს [Гагошидзе 1979: 94, ტაბ. XV, XVI].

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ამ ხანის ლითონის ყველა მუზარადი იმპორტია და განეკუთვნება ე.წ. *ქალკიდური* მუზარადის ტიპს. მათ აქვთ ნახევარსფერული ფორმა, შუბლის არეში შეღრმავება, ცხვირსაფარი და ყბისსაფარი. ამ ტიპის ბრინჯაოს

მუზარადები აღმოჩენილია ახულ-აბაას №4 და 5 სამარხში და ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. ბრინჯაოს მეორე მუზარადიდან შემორჩენილია კისრის დამცავი ნაწილისა და ცხვირსაფარის ფრაგმენტები, შედარებით მთელია მოძრავ სახსარზე დამაგრებული ყბისსაფარი [Воронов 1991: 226, სურ. 3., 225, სურ. 2.3-4]. *ეშერის* ნაქალაქარზე სამი ე.წ. ქალკიდური მუზარადია აღმოჩენილი [იხ. Воронов 1969: 50, ტაბ. XVI-10; Воронов 1972: 116, სურ.37,8,9]. მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე არსებულ სამაროვანზე მიკვლეულია მსგავსი ნახევარსფერული მუზარადის ფრაგმენტები [Куфтин 1949: 129]. ქალკიდური მუზარადები აგრეთვე აღმოჩენილია ქუთაისთან (ინახება მოსკოვის ისტორიის მუზეუმში), სოფ. კობთან, სოფ. ქვიანში (ინახება ლანჩხუთის მუზეუმში) [იხ. გამყრელიძე 2002: 43].

ვარსიშაანთკარში, ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებულ №18 და 65 სამარხში მიკვლეულია მუზარადები. ეს მუზარადები ოვალურია, შედგენილია ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისაგან [მუხიგულაშვილი 2015: 84, ტაბ. IV, სურ. 8]. ბრინჯაოს მუზარადი აღმოჩენილია *კამარახევის* ძვ.წ. IVს-ის №27 სამარხში [იხ. ჯღარკავა 1982: 150]. ერთი მუზარადი *დედოფლისწყაროს* მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო ქედში, აღმოჩნდა და *დედოფლისწყაროს* მუნიციპალურ მუზეუმში ინახება [იხ. გამყრელიძე 2002: 43]. ის ნახევარსფერულია, აქვს ფართო, კისრის დამცავი ფირფიტა, კეფისა და შუბლის არე დანახნაგებულია. ის ე.წ. რომაული იმპერიულ-გალური ტიპის მსგავსია, თუმცა მათგან განსხვავებით, ბრინჯაოსაგანაა დამზადებული [იხ. Robinson 1975: 54, სურ.113]. თუკი ასეთი მუზარადების გამოყენების პერიოდს გავითვალისწინებთ, ის ახ.წ. II-ით უნდა დათარიღდეს. რკინის მუზარადის ფრაგმენტი აღმოჩნდა *თავილონის* მდიდრულ სამარხში [იხ. ფუთურიძე 1959: 75]. მუზარადის ფრაგმენტი *ნოქალაქევის IV ს.* ფენაშიაცაა აღმოჩენილი [იხ. Леквинадзе და სხვ. 1981: 144, ტაბ. 7].

აბჯარი. საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე ნაპოვნია ლითონის (ბრინჯაოსა და რკინის) პატარა ზომის ფირფიტები, როგორც ნატეხებად შეკრული, ასევე ცალკეული ფირფიტების სახით. ფირფიტებს სხვადასხვა მოყვანილობა აქვთ, ძირითადად წარმოდგენილია წაგრძელებული ფორმის ფირფიტები, რომელთაც ზედა მხარე სწორი აქვთ, ქვედა — მომრგვალებული, ხოლო ზედა კიდეზე ნახვრეტებია ტყავის ან ქსოვილის საფუძველზე დასამაგრებლად. ასეთი ფირფიტები აღმოჩენილია *ვანის* ნაქალაქარზე, მეომრის №2 სამარხთან გამოვლენილ კულტურულ ფენაში, რომელიც ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება [Хоштариа 1979: 116]. ასამდე ბრინჯაოს ფირფიტა სხვადასხვა ზომისა და პროპორციებისაა, რომელთა პარამეტრებია: $\approx 2,8 \times 2,8$ სმ; $3,7 \times 2$ სმ; $2,8 \times 2,2$ სმ; $2,5 \times 1,8$ სმ; სისქე — 1-3 მმ. ზედა გვერდი სწორი აქვთ, ქვედა — მომრგვალებული. მათ, როგორც წესი, ოთხი ნახვრეტი — სამი ზედა კიდის გასწვრივ და ერთი — გვერდზე აქვთ. ფირფიტების განსხვავებულ ზომებთან კავშირში უნდა ითქვას, რომ ერთი და იგივე აბჯარი სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფირფიტებისგან შედგებოდა. საყურადღებოა, რომ *ვანის* №2 სამარხის ბრინჯაოს საჯავშნე ფირფიტების ზედაპირი გლუვია. რკინის სამოცი ცალი საჯავშნე ფირფიტა აღმოჩნდა *ვანის* ნაქალაქარის ძვ.წ. V-IV სს-ის კულტურულ ფენაში. აქაც, ფირფიტის ზედა მხარე სწორია, ქვედა — მომრგვალებული. აქვთ ერთი, ორი ან სამი ნახვრეტი ტყავის საფუძველზე დასამაგრებლად [ლორთქიფანიძე გ. 1976: 183, სურ.139]. რკინის საჯავშნე ფირფიტების დიდი რაოდენობა აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს-ის *საირხის* №8 აკლდამაში [ნადირაძე 1990: 58, 52, ტაბ. XXXI,6]. აქვე ასევე ნაპოვნია ასეულობით სხვადასხვა ფორმის დაჟანგული ფირფიტა (ზომა - $3,7 \times 1,5$ სმ), ძვ.წ. Vს-ის №5 სამარხში. აქ აბჯრის ერთმანეთზე გადასული ფირფიტები წარმოქმნიან ჰორიზონტალურ რიგებს. ფირფიტები ოთხნახვრეტიანია და დამაგრებული იყო ტყავის საფუძველზე [იხ. მახარაძე, ნერეთელი 2007: 53, სურ. 26; 64, სურ. 38].

ბრინჯაოს ე.წ. ქერცლისებური საჯავშნე ფირფიტები, რომლებსაც თან ახლდა ტყავის (ან რაიმე სხვა მასალის) საფუძველზე დასამაგრებლად განკუთვნილი რკინის მანჭვლები აღმოჩენილი იქნა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ *ნატახტრის* მიდამოებში შესწავლილ ძვ.წ. IVს-ის სამაროვანზე [აფაქიძე და სხვ. 2004: 70-80]. ანალოგიური საჯავშნე ბრინჯაოს ფირფიტები ცნობილია *ფიჭვნარის* ნეკროპოლიდან (სამარხები №55 და 95) [კახიძე 2010: 87, სურ. 41/2; 125/7; 53/9; 132/9]. ასობით საჯავშნე ფირფიტებია მიკვლეული *დედოფლის*

გორის სათავსოებში, რომლებიც ახ.წ. II. განადგურებული. აქ არის რკინის სხვადასხვა ზომის ფირფიტები. მათში გაირჩევა ორი და მეტი ნახვრეტების მქონე, ერთიმეორესთან მავთულით დაკავშირებული ნიმუშები. ფირფიტები ჰორიზონტულ რიგებად არის აწყობილი [იხ. Gagoshidze 2008: 138-140, ტაბ. 51-53, კატ. №27-36]. ე.წ. ქერცლისებური ჯავშნის სხვადასხვა ნაწილი განსხვავებული ზომისა და მოყვანილობის ფირფიტებისაგან შედგება. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე დაფიქსირებული საჯავშნე ფირფიტები, მათი სიმცირე და ნაკლებობა აბჯრის სრულად წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა (აგებულება, ზომები და ა.შ.). ამ ხარვეზს ავსებს დედოფლის გორაზე აღმოჩენილ ახ.წ. II-ის ძვლის ფირფიტაზე გრავირებით შესრულებული ე.წ. ქერცლისებური ჯავშნით შემოსილი მხედრების გამოსახულება. აქ წარმოდგენილია შეიარაღების არაერთი კომპონენტი — გარდა აბჯრისა, ჩვენ ვხედავთ ქარქაშიან სატევარს; ჩანს გრძელი შუბი და ფარიც [იხ. Gagoshidze 2008: 99, ტაბ. 40, კატ. №92]. ე.წ. ქერცლისებურ ჯავშანს. ფირფიტებით დაფარულ აბჯარს დიდი ხნის ისტორია აქვს. ის დამონმებულია ძვ.წ. XVI ს-დან ეგვიპტეში, სირიასა და მესოპოტამიაში, როგორც ცალკეული ფირფიტების, ასევე მთლიანი ჯავშნის სახით. ამასთან მათი გამოსახულებები წარმოდგენილია რელიეფებზე, ფრესკებზე, მათ შესახებ მოგვითხრობენ წყაროები [Черненко 1968: 131, სურ. 66; D'Amato 2009: 123-128, სურ. 150].

საქართველოს მოცემული ხანის რამდენიმე ძეგლზე დადასტურებულია ჯავშნის კიდევ ერთი ტიპის, ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები — *lorica hamata*. ეს იყო დამცავი სამოსი, შედგენილი ლითონის რგოლებით. ერთი ასეთი აბჯარი ათასობით რკინის რგოლისაგან შედგებოდა. მას, ჩვეულებრივ, ტყავის სამოსზე იცვამდნენ [D'Amato 2009: 128-129]. დედოფლის გორაზე, ერთერთ სათავსოში, აღმოჩნდა ამ ტიპის ჯავშნის ფრაგმენტი, შედგენილი რკინის რგოლებისაგან; რგოლები წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან მავთულს, რომლის დიამეტრი — 0,55 სმ-ია, სისქე — 0,5-0,3 სმ [Gagoshidze 2008: 132-133, ტაბ. 54, კატ. №37]. ბრინჯაოს ჯავშნის ანალოგიური ფრაგმენტები ცნობილია კლდეეთის ახ.წ. II ს-ის სამარხიდან [იხ. ლომთათიძე 1957: 14-15, ტაბ. VIII,1; ფუთურიძე 1959: 78]. რკინის ჯაჭვის პერანგის ნაწილები ნაპოვნია თავილონის II ს-ის მდიდრულ სამარხში [იხ. ფუთურიძე 1959: 56]. რკინის ჯაჭვის პერანგის ნაწილები ნოქალაქევესა და ურბნისის ნაქალაქარზეა დაფიქსირებული [ჭილაშვილი 1964: 94]. აბჯრის ნაწილებს ვხვდებით ვარსიმანთკარის სამაროვანზე, ძვ.წ. IV ს. ორ სამარხში. აქ შემორჩენილია სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ბრინჯაოს თხელფურცლოვანი ფირფიტები, რომელთა ნაწილი ბრინჯაოს რგოლებითა დაკავშირებული [იხ. მუხიგულაშვილი 2015: 84-85, ტაბ. IV, სურ. 9].

ჩანს, იმ დროის საქართველოში ჯავშნის ყველაზე პოპულარული ტიპი იყო ე.წ. ქერცლისებური აბჯარი. მეომრის სხეულის დამცავი სამოსი შესაძლოა გაცილებით მრავალფეროვანი ყოფილიყო — ამ კატეგორიის ძეგლების სიმცირე იმით უნდა აიხსნას, რომ ჯავშანი, ძირითადად ტყავისა ან სელისა იყო და ამიტომ არ შემოინახა. ბერძენი მწერლები ახსენებენ ქართველურ მოსახლეობას, რომელსაც სელის აბჯრები ჰქონდა. ქსენოფონტის „ანაბასისში“ ნათქვამია, რომ მოსინიკებს „ეცვათ ტილოს მოკლე ქიტონები,“ ხალიბებს კი „ჰქონდათ სელის აბჯრები, მუცლის ქვედა ნაწილამდე, ხოლო ქვემოთ მჭიდროდ დაგრეხილი თოკები“ [იხ. IV,7,15]; სტრაბონის მიხედვით კი „ალბანელებს აქვთ ტყავის აბჯრები იბერების მსგავსად“ [იხ. XI,4,5]. ამავე კონტექსტში მეტად საინტერესოა სოფ. გომთან აღმოჩენილი ვერცხლის ყანწ-რიტონი, რომელზედაც გამოსახულ ორ მეომარს (ერთი შუბითა და ფარით, ხოლო მეორე მშვილდ-ისრითაა შეიარაღებული), ტყავის უმკლავებო სამოსი აცვია [იხ. გამყრელიძე 2002: 42]. საყურადღებოა აგრეთვე ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. I ს. არქ. ფენაში აღმოჩენილი შეჯავშნული მხედრის სხმული ბრინჯაოს ქანდაკების ფრაგმენტები, რომელზედაც ე.წ. ანატომიური კირასაა (ჯავშნის ერთერთი ტიპი) გამოსახული. ის წარმოადგენდა მეტალის ან ტყავის კორსეტს და შედგებოდა მკერდისა და ზურგის დამცავი ორი ფირფიტისაგან, მხრის დამცავი სამხრეებისგან და მეომრის ბარძაყის დამცავი ტყავის, თექის ან სელის, მეტწილად ლითონით გამყარებული ლენტისებური ფირფიტებისაგან [D'Amato 2009: 38-42, 134-140]. ვანის ნაქალაქარზე

აღმოჩენილი ფრაგმენტები ასახავენ კირასის მკერდსაფარს, სამხრეს, კორსეტის ქვედა ფორმებიან კიდეს და კირასისქვეშა ტუნიკის ქობას [იხ. გიგოლაშვილი და სხვ. 2012: 39, 40-44].

საწვივეები. მეომრის ჯავშნის ნაწილს შეადგენდა ლითონის საწვივე, რომელიც მეომრის ფეხს იფარავდა მუხლიდან ტერფამდე. საწვივეები, ანუ *კნემიდები*, ელინური აღჭურვილობის ნაწილია. საქართველოში ანტიკური ხანის ძეგლებიდან ცნობილია სამი წყვილი. ისინი ბრინჯაოსია და ერთი ტიპისაა: მუხლი და კუნთები რელიეფურადაა გამოყოფილი, სიგრძეზე გასდევს რელიეფური ქედი, გასდევთ ხაზი და აქვს ნახვრეტები — თასმით ფეხზე დასამაგრებლად. მათი სიგრძე $\approx 30-35$ სმ [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2005: 148-149]. ორი წყვილი ბრინჯაოს კნემიდისა *ახულ-აბაას* ძვ.წ. IVს-ის სამაროვნზეა ნაპოვნი [კვიციანი 1995: სურ.4]. მესამე წყვილი აღმოჩნდა *ვანის* ნაქალაქარზე №9 ძვ.წ. IV ს-ის სამარხში. ამ სამარხშივე ნაპოვნია ბრინჯაოს ე.წ. *საბარკლულები* (დაცვა მუხლის ზემოთაც) [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 203, სურ. 172-173].

საბრძოლო ეტლები. საზოგადოების სამხედრო ტექნიკის განვითარების ერთ-ერთი მონომობაა საბრძოლო ეტლების არსებობა. საქართველოში არქეოლოგიურ აღმოჩენათა ეს კატეგორია შემდეგი სახით გვაქვს წარმოდგენილი: ორი კონკრეტული ეტლის ნაშთები *უფლისციხიდან*, ეტლის ბრინჯაოს მოდელი *გობებიდან*, რელიეფის ფრაგმენტი ეტლის ნაწილის გამოსახულებით *ვანის* ნაქალაქარიდან [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2005: 149-151].

უფლისციხის არქეოლოგიურ მასალაში, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის სამარხის ინვენტარად არის მიჩნეული, ნაპოვნია ორი ეტლის ფრაგმენტები. ერთი, შემდეგი ნაწილებით არის წარმოდგენილი: ბორბლები — ფერსოს რკინის გარსაკრავის ნატეხები, ლურსმნები, სარჭები, ღერძი, წრიული საგდულები, მანის ფუძეების გარსაკრავები, რკინის ხელნა. ეს იყო საბრძოლო, ორბორბლიანი, მსუბუქი ეტლი, რკინის პროტექტორებიანი რვამანიანი ბორბლებით. რაც შეეხება მეორის ფრაგმენტებს, აქ წარმოდგენილია ფერსოს რკინის სალტე, ლურსმნები, მანჭვლები, სარჭები, ისინი ასევე ორბორბლიანი საბრძოლო მცირე ეტლის ნაწილებადაა განსაზღვრული [იხ. ყიფიანი 2000: 80-87]. საბრძოლო ეტლის მოდელი სხმული ბრინჯაოსი ნაპოვნი იქნა *თეთრინყაროს* მუნიციპალიტეტში, ადგილ *გობებში* (სიგრძე 19 სმ, სიმაღლე 9 სმ). ეს არის ორბორბლიანი, ორცხენშებმული, საბრძოლო ეტლი, აქვს ორად გაყოფილი ჭვირული ძარა, რომელიც უკან ღიაა, ხელნა, ცილინდრულ სარქველებიანი და ათმანიანი ბორბლები. ბორბალს აქვს გვერდითი ცელი, რომელიც საბრძოლო მოქმედებების დროს ცელავდა მტრის გარემოცვას. ამ ტიპის ეტლები ძვ.წ. VII-IVსს-ში იყო გავრცელებული ხმელთაშუაზღვისპირეთში [Πορδικιπანიძე და სხვ. 1999:197]. ეტლის გამოსახულებიანი ქვაზე რელიეფი ნაპოვნია *ვანის* ნაქალაქარზე, რომელიც ძვ.წ. I ს. თარიღდება [ჭყონია 1986: 95].

სააღყო იარაღი. სააღყო იარაღთა შორის აღსანიშნავია ქვისა და დიდი ზომის ისრების სატყორცნი მანქანა-მონყობილობები — ბალისტები და კატაპულტები. მოცემული ეპოქის საქართველოს ციხე-ნაქალაქარების არქეოლოგიური მასალიდან ირკვევა, რომ ყუმბარსატყორცნ, ონაგრის ან ბალისტას ტიპის მანქანებს თავდამსხმელებიც იყენებდნენ და ქალაქის დამცველებიც. თავდამსხმელები ყუმბარებით — ქალაქის ნაგებობებს, ხოლო ქალაქის გარნიზონი მომხდურების სააღყო მანქანა-მონყობილობებს აზიანებდნენ [იხ. გამყრელიძე 2010: 152].

ქვის ყუმბარები, უმეტესწილად, *ვანის* ნაქალაქარის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, თავდაცვითი კედლისა და კარიბჭის კომპლექსის ნანგრევებში დადასტურდა. ყუმბარმტყორცნი მანქანები ალბათ, ძირითადად გალავანზე იყო განლაგებული, რათა მონინააღმდეგის დასაზიანებელ ობიექტებთან უფრო ახლოს ყოფილიყო. ყუმბარმტყორცნიდან ნასროლი ჭურვი მონინააღმდეგეს 200 მ-ზე სწვდებოდა და აზიანებდა. *ვანის* ნაქალაქარზე აღმოჩენილი ტუფის ქვისაგან გამოთლილი მრგვალი ბირთვების — ყუმბარების დიამეტრი 10-დან 30 სმ-მდეა. შესაბამისად, ისინი სხვადასხვა კალიბრისა იყო [ახვლედიანი 2003: 7-13]. ასეთი, სპეციალურად მრგვლად გამოთლილი ყუმბარები, ეტყობა ძირითადად ქალაქის გარნიზონის იყო. მომხდურები კი ჩვეულებრივ, არამრგვალ ლოდებს იყენებდნენ სატყორცნად, რომლებიც მდინარეების ქალებიდან

მოჰქონდათ. ყუმბარ-ჭურვების სატყორცნი მანქანები გალავანსა და კომპებზე იყო განთავსებული. მათ გვერდით ყუმბარების მარაგი ეწყო. ვანის ნაქალაქარზე 300-მდე ქვის მრგვლად გათლილი ყუმბარაა აღმოჩენილი. ყუმბარები მიკვლეულია აგრეთვე უფლისციხის, მცხეთის, ეშერის, სოხუმის, ბიჭვინთის, ურბნისისა და ნოქალაქევის ნაქალაქარებზე. საერთოდ, ყუმბარმტყორცნების დამზადებისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იყო საჭირო. მათი ამოქმედება კი სპეციალურ მომზადებას მოითხოვდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალაქში სპეციალურად განვრთნილი მეომარი — ყუმბარმტყორცნელები ჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ ასეთი იარაღი მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ ქალაქებს ჰქონდათ [გამყრელიძე და სხვ. 2005: 75].

ბალისტის ერთი-ერთი დეტალი ბიჭვინთის ნაქალაქარზე ერთ-ერთი კომპშია აღმოჩენილი. ის მთავარი ლერძის ნაწილია, ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული და 20 სმ დიამეტრი აქვს. დატანებული აქვს კბილანები და ნახვრეტები. ბიჭვინთური ბალისტის დეტალის ანალოგები ცნობილია სხვა არქეოლოგიური მასალებიდან. ამავე კომპში რკინის ისრისპირებთან და შუბისპირებთან ერთად ქვის მრგვალი ჭურვების გროვები აღმოჩნდა, რომელთა დმ — 9-19 სმ-ს არ აღემატება. აღსანიშნავია, რომ ქვის ამგვარი ჭურვები ნაქალაქარის სხვა მონაკვეთებზეცაა დადასტურებული. რომაელი პოლიოკრეტიკოსი ვეგეციუსი (IV,8) მეომრებს ურჩევდა, ჭურვებად რიყის ქვები გამოეყენებინათ. ბიჭვინთის ბალისტის ხსენებული დეტალი აქ ბალისტების არსებობას მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ფასისის გარნიზონსაც, არიანეს ცნობით, სამხედრო მანქანები ჰქონია (იხ. არიანე, პერიპლუსი..., 9). როგორც წესი, სატყორცნი მანქანები განლაგებული იყო გალავანზე ან კომპზე. ძველი დროის პოლიოკრეტიკოსები რეკომენდაციებში აღნიშნავდნენ, მტრის მოახლოებისას საბრძოლო მანქანები უნდა გამოაგოროთ და იქიდან ანარმოთ სროლად (ვეგეციუსი, II, 8). ბალისტის საბრძოლოდ მომზადება საკმაოდ დროს მოითხოვდა და ამიტომ ტყორცნის სიხშირე და სისწრაფე მაინცდამაინც დიდი არ უნდა ყოფილიყო [დანვრ. იხ. გ. გამყრელიძე და სხვ. ნაწ. I, 2018].

ურნალი. ტარანს ანუ ურნალს წარმატებით იყენებდნენ საფორტიფიკაციო კედლების, კომპებისა და კარიბჭეების შესანგრევად იბერია-კოლხეთის პერიოდის საქართველოში. ეს საომარი საშუალება შეტევითი, საძვერებელი იარაღის მძიმე სახეობა იყო და ლითონის თავისა და ხის, მსხვილი ძელისაგან შედგებოდა. ლითონის ტარანის პირი წვეტიანი იყო, მასრა კი გაფართოებული ჰქონდა, რაც უზრუნველყოფდა თავზე ხის მსხვილი ძელის მორგებას. ტარანი ქალაქების ფორტიფიკაციის დასანგრევ ძირითად იარაღს წარმოადგენდა. ვანის ნაქალაქარზე ტარანის ერთი მეტრის სიგრძის რკინის ნაჭედი პირია აღმოჩენილი, რომელიც სამფრთიანი წვეტიანი წვერის, ცილინდრული ტანისა და კონუსისებური მასრისაგან შედგება [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1976: 167]. საყურადღებოა პროკოპი კესარიელის (იხ. BP, BG, VIII, 14; , II, 17) ცნობა იმის შესახებ, რომ არქეოპოლის-ნოქალაქევისა და პეტრა-ციხისძირის ციხესიმაგრეების კარიბჭეების შესანგრევად გამოეყენებულ იქნა ტარანი, რომელსაც ანტიკურ სამყაროში ვერძის თავს ანუ „კრიოს მანქანებს“ უწოდებდნენ. ხშირად ტარანს ურემზე ამაგრებდნენ და ასე მიმართავდნენ კარიბჭეების შესაღწევად [იხ. გამყრელიძე 2010: 154-155].

საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ.V-ახ.წ.IV სს-ის, საბრძოლო იარაღიანი 106 არქეოლოგიური პუნქტია (ნამოსახლარი და ნეკროპოლი) გათხრილ-შესწავლილი. მაგალითად — ძვ.წ. VI-III სს-ის ვარსიმანთკარის სამაროვანზე 166 სამარხია გათხრილი, სადაც იარაღი 66-ში აღმოჩნდა. აქ გვხვდება სრულად აღჭურვილი მეომრების სამარხები, სადაც შუბები, მახვილები, ფარი, აბჯარი, მუზარადი და ზოგჯერ ცხენიც არის ჩაყოლებული. ფიქრობენ, რომ ასეთ, სრულ საბრძოლო კომპლექტიან №18, 41, 53, 65, 105, 106, 132 სამარხებში საბრძოლო ქვედანაყოფების მეთაურები იყვნენ დაკრძალულები. მაღალი რანგის მეომრები დაუკრძალავთ ვანის №9 სამარხსა და ეშერის ე.წ. მეომარ-ქურუმის სამარხებშიაც, რომელთა ინვენტარიც სიმდიდრითა და იარაღის სიუხვით გამოირჩევა. საინტერესოა რიგითი მეომრების განსასვენებლებიც. მაგ.: ქვემო ქართლში 24 იარაღის შემცველი სამაროვანია მიკვლეული და მათ შორის — 22 ძვ.წ V-III სს-ით

თარიღდება. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით: *სხალთაში* სადაც 60 სამარხიდან 28 მამაკაცია, შეიარაღებულია 5 (18%). *ბეშთაშენში* გათხრილი 61 სამარხიდან (≈ 21 მამაკაცი) 13-ში იარაღია (60%); *ეცოში* ძვ.წ. IV — III სს.-ის 101 სამარხიდან (≈ 35 მამაკაცი) იარაღი 11-შია (31%), დანარჩენ, ძვ.წ. II ს-ის 17 სამარხიდან 4-ში, ხოლო ძვ.წ. I ს-ის 2 სამარხში არცერთი; *ღრმახევისთავში* 55-დან (≈20 მამაკაცი) 6-ში (30%); *პაპიგორაზე* 65-დან (≈18 მამაკაცი) 7-ში (39%); *შავსაყდარა I-ზე*, 89-დან (≈31 მამაკაცი) 15-ში (48%); *შორში*, 21-დან (≈7 მამაკაცი) 5-ში (71%).

სამხედრო ტაქტიკის, სტრატეგიის და ორგანიზაციის შესახებ. ძვ.წ. 401 წელს მომხდარი ბრძოლის დროს, როგორც ამას ბერძენთა ერთ-ერთი სარდალი — ქსენოფონტი გადმოგვცემს, კოლხების “ფალანგა” ბერძენების შეტევისას სწრაფად, მწყობრად ორად გაიყო. ამის შედეგად ფალანგის ერთი ნაწილი მარჯვნივ, ხოლო მეორე მარცხნივ გადაჯგუფდა. ამ ქმედებით კოლხების ხელმძღვანელობამ გარკვეული მანევრი ჩაატარა. მათ ფალანგის ცენტრალური ნაწილის გახსნით ისეთი მდგომარეობა შექმნეს, რომ ბერძენები შეეცდებოდნენ და შემდგომ ფლანგებიდან აპირებდნენ შეტევას. მოცემული მანევრით კოლხებმა თავიდან აიცილეს ბერძენების ლოხებისაგან გარშემოვლის საშიშროება. კოლხებმა ტაქტიკურად სწორი მანევრი განახორციელეს, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ბერძენთა მეზობელების რიცხოვნობა სიმრავლემ ითამაშა, ისინი 10.000-მდე იყვნენ [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2010: 62].

ზემოხსენებული, კოლხთა ფალანგის მანევრი, მათი წინასწარ სტრატეგიულ სიმაღლეზე განლაგება, იმის მაჩვენებელია, რომ კოლხებს სამხედრო საქმე არც თუ ცუდად ჰქონდათ დაყენებული. ისინი ბერძენულ, იმ დროისათვის მოწინავე სამხედრო ხელოვნებასაც იცნობდნენ. კოლხების და ბერძენების ბრძოლის ამბავს ქსენოფონტი მოკლედ შემდეგნაირად გადმოგვცემს: „როდესაც მოწინააღმდეგემ (ბერძენი მეომრები) შენიშნა; ისინი (კოლხი მეომრები) გამოემართნენ მათკენ და ამის მერე გაიშალნენ ნაწილი მარჯვნივ, ხოლო ნაწილი — მარცხნივ; ამგვარი გადაჯგუფებით თავისი ფალანგის ცენტრში ფართე დერეფანი შექმნეს“ (ანაბასისი, IV, VIII, 17). კოლხებმა ჯერ კიდევ ძვ.წ. 401 წ. ზემოხსენებულ ბრძოლაში, მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინააღმდეგ, ე.წ. ქიმიური იარაღის მაგვარი რამ გამოიყენეს [იხ. გამყრელიძე 2010: 64]. კერძოდ, როცა ბერძენმა ჯარისკაცებმა აიღეს კოლხების დასახლებული პუნქტები და იქ შევიდნენ, ადგილობრივებმა იქ დატოვეს სპეციფიკური თაფლი. ბერძენ „მეომართაგან ყველამ ვინც კი თაფლის ფიჭა შეჭამა, გონება დაკარგა, აღებინა, კუჭი აეშალა და არც ერთს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო, ... ”უმრავლესობა ეყარა ისე, როგორც დამარცხების შემდეგ ბრძოლის ველზე“ (იხ. ანაბასისი IV,8,20-21). კოლხი მეზობელების ამ ტაქტიკურმა ფანდმა ბერძენი მეომრები მწყობრიდან გამოიყვანა და მათი შეტევა რამდენიმე დღით შეაჩერა. სპეციფიკური თაფლის საომარი მიზნით გამოყენება წერილობით წყაროებში აგრეთვე ძვ.წ. I ს-შია დადასტურებული. ეს ამბავი დაახლოებით იგივე ადგილებში მოხდა. კერძოდ, რომაელ სარდალს პომპეუსს „... ამოუნყვიტეს სამი სპეირა (დაახლოებით 350 მეომრიანი რაზმი - გ.გ.), რომლებიც მოძრაობდნენ ამ მთებში. მათ (მეომრების) გზებზე კრატერებით დადგეს შერეული გამაცოფებელი თაფლი,“ რომაელმა მეომრებმა „... შეჭამეს ის და გაცოფდნენ; მაშინ მათ თავს დაესხნენ და ადვილად დახოცეს“ (იხ. სტრაბონი, XII,III,18). ასევე ე.წ. ქიმიურ იარაღად შეიძლება ჩაითვალოს სპეციფიკური შხამიანი ისრები. კერძოდ, სპეციალური მომწამვლელი ნივთიერებით დაფარული ისრისპირები, რომლის მოხვედრის შემთხვევაში მოწინააღმდეგის მეომრები მცირე ჭრილობითაც სწრაფად იღუპებოდნენ — მაგ.: „სვანები ისრისპირებისათვის სანამლავს ხმარობენ...“ (იხ. სტრაბონი, XI,II,19).

კოლხეთში სამხედრო მოქმედებების დროს გამოიყენებოდა „მედეას ზეთი“ — ნავთობი [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2001: 26] და სხვა კომპონენტები, რომელიც თანამედროვე „ნაპალმს“ ჰგავდა თავისი მოქმედებით. კერძოდ, ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აღწერს კოლხეთში ქ. ფასისიდან სამხრეთით ციხე-ქალაქ პეტრასთან (დღევანდელი ციხისძირი ქობულეთთან) 550 წელს რომაელებისა და ირანელების ბრძოლას, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას — „მათ აავსეს ქოთნები

გოგირდით, ასფალტით და ერთი სანამლაგით, რომელსაც მიდიელები ნავთს ეძახიან, ელინები კი მედეას ზეთს, მოუკიდეს მათ ცეცხლი და ესროდნენ კედლის დამანგრეველ მანქანებს, რომლებიც თითქმის უმეტესობა დანვეს“, „... მაგრამ მათ დიდხანს ვერ გაუძლეს ამას; ვინაიდან ცეცხლი, სადაც კი მოედებოდა, მაშინვე აგიზგიზდებოდა, თუ ის მაშინვე არ იყო უკუგდებული,“ „ცეცხლი ავარდა, მოედო და კოლხი მედეას სახელით ცნობილი ზეთისა და სხვა მომარაგებულ ნივთიერებათა ნყალობით მთელი კოშკი და იქ მყოფი სპარსი მეომრები გადაწვა“ (იხ. პროკოპი კესარიელი, VIII, 11, 36-40). სამხედრო საქმის განვითარების გარკვეულ დონეზე მიუთითებს ალბათ ისიც, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. 400 წლებში მოიხსენიებიან ქართველური წარმომავლობის მეომრები, რომლებიც აქემენიდთა ირანის სახელმწიფოს ჯარში მოქირავნებულ მსახურობდნენ — „...ტირიბაზს ყავს ჯარი და მოქირავნეები: ხალიბები და ტაოხები“ (იხ. ანაბასისი, IV, 4, 18). ისინი მომდინარეობდნენ გასამრჯელოსათვის. მოქირავნეებზეა ლაპარაკი ჰეროდოტესთანაც, როცა ის აღწერს ირანის მეფე ქსერქსეს მიერ, ძვ.წ. 480 წელს საბერძნეთში ლაშქრობას (იხ. ჰეროდოტი, ისტორია, VII, 53-79). დაქირავებული მეომრები უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე, შემდეგ, მითრიდატეს და ტიგრანის ჯარში მყოფი იბერი მეომრებიც (იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, 26). იქვე აღნიშნულია, რომ „ლუკულუსის წინააღმდეგ მტრის რჩეული და მრავალრიცხოვანი ჯარი იდგა. ჯარს წინ ცხენოსანი მშვილდოსნები - მარდები და შუბოსანი იბერები უძლოდნენ...“ (იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, 30).

იბერიის (resp. ქართლის) სამეფოში, ძვ.წ. III-დან უკვე ჩამოყალიბებულია სამხედრო არისტოკრატია. ფარნავაზიანთა ეპოქის იბერიის სამეფოს, რომელშიც კოლხეთის ნაწილიც შედიოდა, სამხედრო ორგანიზაციის საკმაოდ კარგი სისტემა ჰქონდა. როგორც ჩანს იბერიელები ინფორმირებულები იყვნენ ბერძნეთა, ირანელთა და რომაელთა მოწინავე სამხედრო ხელოვნების შესახებ. ისინი ამ ცოდნას მოხერხებულად უხამებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს. ომის დროს ქვეყანას დაახლოებით 50.000 ქვეითის და 20.000 ცხენოსნის მობილიზება შეეძლო (იხ. სტრაბონი, XI, IV, 5). სტრაბონი გადმოგვცემს, რომ — „იბერთაგან... დიდ ნაწილს, რომლებიც მეომარი ბუნების არიან, უკავიათ მთიანი მხარე ... მისდევენ მინათმოქმედებასაც; როცა შფოთი და ომიანობაა ... თავისი სახსრებით მრავალი ათასი (მეომარი) გამოჰყავთ“ (იხ. სტრაბონი, XI, III, 3; IV, 5; ქც, 1955: 23). მეფეს, აგრეთვე, მომთაბარე მთიელების, ჩრდილო კავკასიური დაქირავებული რაზმები ჰყავდა [იხ. გამყრელიძე 2010: 66-67].

როგორც ჩანს იბერიის მეფეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი შეეძლო საომრად გამოეყვანა. ამ ჯარის ნაწილი კარგად განვრთნილი იყო და ფრიად მრისხანე ძალას წარმოადგენდა. პომპეუსთან ომის დროს იბერიას აპიანეს მონაცემებით შემდეგი რაოდენობის მებრძოლი ჰყავდა — „...არტოკე (არტაგი; იხ. ქც, 1955: 30), იბერთა მეფე 70.000 მებრძოლით შეებრძოლა (პომპეუსს)... მდინარე კირნოსთან (მტკვართან)“ (იხ. აპიანე, მითრიდატიკა, 103). მაშინ, როდესაც იმ დროისათვის რომის უძლიერეს, პომპეუსის არმიას, მახლობელ აღმოსავლეთში მითრიდატესთან საომრად და წესრიგის დასამყარებლად 120.000 ქვეითი, 4.000 ცხენოსანი და 25 მაღალი რანგის სარდალი ჰყავდა (იხ. აპიანე, მითრიდატიკა, 94).

იბერიის სამეფოს უმაღლესი მთავარსარდალი მეფე იყო, რომლის ხელშიც სახელმწიფოებრივი მართვის მთავარი სადავეები იყრიდა თავს. მეფეს მთელი სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემა ემორჩილებოდა. ხშირად, ბრძოლის დროს მეფე ჯარს თავად მიუძღოდა. სტრაბონის მონაცემებით, მეფის შემდეგ მეორე პირი მხედართმთავარი იყო, რომელიც სამეფო გვარიდან ინიშნებოდა (იხ. სტრაბონი, XI, III, 6). ასეთივე, მთავარი სამხედრო პირი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქვეყანაში სამხედრო საქმეს, ნახსენებია „ქართლის ცხოვრებაშიც.“ იქვე აღნიშნულია, რომ მას ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციული მხარეების ხელმძღვანელები — ერისთავები ექვემდებარებოდნენ. თავის მხრივ ერისთავებს ექვემდებარებოდნენ ათასისთავები [იხ. ქც, 1955: 24-25] და ასისთავები. აქედან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჯარი, ასეულებად და ათასეულებად იყო დაყოფილი. მეფის შემდეგ მეორე პირის არსებობა, რომელსაც

სამხედრო უწყება ებარა, იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფოში უპირველესი მნიშვნელობა სამხედრო საქმეს ენიჭებოდა. მთავარსარდალი, ერისთავთ-ერისთავი განაგებდა ამ უწყებას და ევალბოდა სამეფოს შეიარაღებული ძალების მართვა. ის, აგრეთვე, პასუხს აგებდა ჯარის მობილიზებაზე, მონინალმდეგის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებაზე და საბრძოლო წრთვანა-მზადყოფნაზე. ასეთივე მოვალეობები ეკისრებოდათ გარკვეული ტერიტორიების მფლობელ ერისთავებს, რომლებიც მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებს და აქედან გამოსულ მებრძოლებს ხელმძღვანელობდნენ. სამხედრო-არისტოკრატიული გვარის შვილები ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ სამხედრო წრთობას, რადგან მომავალში, ეს მათი ძირითადი საქმე და მოვალეობა იყო. აღზრდა-წვრთნაში წამყვანი ადგილი ნადირობას ენიჭებოდა. ნადირობა ომისათვის მზადების საუკეთესო ხერხი იყო და სამხედრო-ფიზიკური მომზადების კომპლექსურ საშუალებას წამოადგენდა. ის მომავალ მეომარს იარაღის ხმარებას — შუბის და ისრის მიზანში ტყორცნის უნარს, ცხენოსნობას; სხვადასხვა საბრძოლო ხერხს, სწრაფ მანევრირებას, მამაცობას, ფიზიკურ გამძლეობას უვითარებდა და აჩვენებდა [იხ. გამყრელიძე 2010: 1712].

იბერიის სამეფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო დაყოფილი [იხ. ქც, 1955: 24]. მათ ადგილობრივი სამხედრო-არისტოკრატიის წარმომადგენლები, ერისთავები მართავდნენ, რომელთაც ბერძნული და არამეული წერილობითი წყაროები სკეპტუხებად ან პიტიახშებად მოიხსენებს (იხ. სტრაბონი, XI, II, 18) [იხ. წერეთელი გ. 1943: 37-43]. ერისთავი, მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, სამეფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი იყო. იგი აქ საჯარო და სამხედრო ხელისუფლებას ახორციელებდა; ომის დროს სარდლობდა საერისთავოდან გამოსულ ლაშქარს. ერისთავის ინსიგნიებს, რომელსაც ის მეფისაგან იღებდა, წარმოადგენდა — კვერთხი-სკიპტრა, განსაკუთრებული საბეჭდავი-ბეჭედი, მდიდრული სარტყელი, შეიარაღება და სხვ. ხსენებული ნივთები დოკუმენტურად დადასტურებულია საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში; იხ. მაგ. მცხეთაში აღმოჩენილი მდიდრული სამარხები [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955].

იბერიის სამეფოს სახელმწიფო აპარატის მოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი სამხედრო კონტინგენტის (თავისუფალი მეთემეების, სამხედრო-არისტოკრატიული გვარის შვილების, დაქირავებული პროფესიონალი მეომრების) შევსება იყო. მეფეს მუდმივი, ძირითადი სამხედრო რაზმები და პირადი მცველი რაზმი ჰყავდა. ეს რაზმები დაკომპლექტებული იყო სამხედრო-არისტოკრატიული გვარის შვილებით (შუა საუკუნეების ტერმინოლოგიით მათ აზნაურებს უწოდებენ) და დაქირავებული პროფესიონალი მეომრებით. ისინი მეფის სამსახურისათვის მალალ გასამრჯელოს და მიწის ფართობებს იღებდნენ. ამათგან შედგებოდა სამეფოს მართვის რეპრესიული ძალები. მათი ხელით ხდებოდა გადასახადების ამოღება და ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება. ამ კატეგორიის მეომრები უფრო სწრაფად წინაურდებოდნენ. ამის მთავარი პირობა კი იყო — დამსახურება სამხედრო სარბიელზე, ომიანობის დროს თავის გამოჩენა და მეფის კარზე ერთგული სამსახური. ომის დროს ძირითადად ისინი აკომპლექტებდნენ მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანთა რაზმებს, რომელთაც შეეძლოთ სწრაფი მანევრირება. ამათგან შედგებოდა საშუალო და უმცროსი ოფიცრობა, კერძოდ, ათასისთავები და ასისთავები. მათი ნაწილი მშვიდობიან პერიოდში სამოქალაქო ფუნქციას ასრულებდა და გარკვეულ მცირე ტერიტორიულ ერთეულებს განაგებდა. ომის დროს კი მეთაურობდნენ ამ საგამგებლოებიდან მობილიზებულ სამხედრო რაზმებს, რომლებიც მეთემეებისაგან კომპლექტდებოდა. სტრაბონი ამ მეთემეებს „მეომართა და მიწათმოქმედთა“ (იხ. სტრაბონი, XI, III, 6) ფენას უწოდებდა. ეს, იბერიის სამეფოს მიწათმოქმედი მეთემეების ის სოციალური ფენაა, რომელიც საომარი საფრთხის შემთხვევაში, სამხედრო სამსახურს ეწეოდა და კოლექტიურად იცავდა თავის კარ-მიდამოს და მთლიანად სამეფოს. სწორედ ამ საგვარეულო თემებიდან გამოჰყავდათ ხალხი, რომელიც საომრად თავისი შეიარაღებით მიდიოდა და სახელმწიფო ჯარის უმეტეს მასას წარმოადგენდა. ამათგან ძირითადად კომპლექტდებოდა მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ლაშქარი. ასეთი კატეგორიის

მეთემეები ომის დასრულების შემდეგ უბრუნდებოდნენ თავის კარმიდამოს და სამინათმოქმედო საქმიანობას.

იბერიის სამეფოს შეიარაღებული ძალების იერარქიული სტრუქტურა ზოგადად ასეთი უნდა ყოფილიყო: უმაღლესი მთავარსარდალი — მეფე; მთავარსარდალი — სამეფო სამხედრო უწყების უშუალო ხელმძღვანელი, ერისთავთ-ერისთავი; დღევანდელი ტერმინოლოგიით უფროსი ოფიცრობა — უმაღლესი სარდლობა, ტერიტორიული ერთეულებიდან გამოსული მეომრების სარდლები, ერისთავები; საშუალო და უმცროსი ოფიცრობა — ათასისთავები, ციხისთავები (სიმაგრეების გარნიზონის ხელმძღვანელები), ასისთავები (არისტოკრატიული გვარის უმცროსი შვილები), დაქირავებული პროფესიონალი სამხედროები; ჯარისკაცები — ომის შემთხვევაში მობილიზებული მეთემეები [იხ. გამყრელიძე 2010: 174].

იბერიის სამეფოს ჯარი (იხ. სტრაბონი, XI, III,3; XI, IV,5; აპიანე, *მითრიდატიკა*, 103; ქც, 1955: 24-25; პლუტარქე, *ლუკულუსი*, 31) ძირითადად, ქვეითი და ცხენოსანი დანაყოფებისაგან შედგებოდა. ესენია: მეფის მცველი მძიმედ შეიარაღებული და კარგად განვრთნილი რაზმი. ისინი შეიარაღებული იყვნენ — შუბებით, სატევრებით, საბრძოლო ცულებით, მშვილდ-ისრებით, ჯაჭვ-ჯავშნებით, მუზარადებით, ფარებით; ცხენოსანთა და ქვეითთა კარგად შეიარაღებული ასეულები. ამ ორივე გვარეობის ჯარის შეიარაღებაც ალბათ, ძირითადად მეფის რაზმისნაირი იყო. მათ შეიარაღებაში საბრძოლო ეტლები და ქვის ყუმბარების სატყორცნი მანქანებიც ჰქონდათ; ქვეითთა მსუბუქად, დამცავი ჯაჭვ-ჯავშნის გარეშე, შეიარაღებული ლაშქარი ძირითადად, შუბებით, შურდულებით, მშვილდ-ისრებით და ხის ფარებით იბრძოდა. ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ. იბერიის სამეფოს თავდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი საფორტიფიკაციო ნაგებობებს ეკავა, რომლებიც სტრატეგიულად მოხერხებულ და საჭირო ადგილებზე იყო აგებული. ასეთები იყო, მაგალითად: *მცხეთა*, *უფლისციხე*, *ურბნისი*, *სარკინე*, *ნასტაკისი*, *შორაპანი*, *დიმნა* და სხვ. განსაკუთრებით კარგად სატახტო ქალაქი მცხეთა იყო დაცული. აქ მთავარ ციხესიმაგრესთან, *არმაზციხესთან* ერთად სხვა მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემაც იყო აგებული. საფორტიფიკაციო ნაგებობებით გამაგრებულ-გადაკეტილი იყო აგრეთვე ზოგადად ქვეყანაში შემომავალი გზები. ბუნებრივია, ციხესიმაგრეებსა და ციხე-ქალაქებში მეციხოვნეთა გარნიზონები იდგა. ამ ციხე-ქალაქების თავდაცვითი სისტემა ანუ ფორტიფიკაცია მოიცავდა სქელ კედლებს, კოშკებს, კარიბჭეებს, ცალკეულ საგუმბაგოებს, რაც მაშინდელი სამშენებლო საქმისა და რელიეფის გამოყენების კომპლექსური გააზრების ნაყოფი იყო [იხ. გამყრელიძე 2010: 171].

წერილობითი წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ იბერიის სამეფოს სამხედრო ძალები კარგად ფლობდნენ მაშინდელი საომარი საქმის ძირითად ელემენტებს. მათ იცოდნენ და წარმატებით იყენებდნენ საომარ-ტაქტიკურ ხერხებს — სწრაფ იერიშს, გადაჯგუფებას, რელიეფის მოხერხებულად გამოყენებას, ე.წ. *პარტიზანული* ბრძოლის ელემენტებს (იხ. დიონ კასიუსი, XXXVII, 1,2; აპიანე, *მითრიდატიკა*, 103; პლუტარქე, *პომპეუსი*, 34; ქც, I: 28). ისინი ომში მამაცნი, მოხერხებულნი და შეუპოვარნი იყვნენ. ამის განსახორციელებლად კი მათ, შეტევის და თავდაცვის, იმ დროისათვის მოწინავე, რკინის შეიარაღება ჰქონდათ.

საქართველოს მიწაზე ისტორიული განვითარების თავისებური პროცესი ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. შესაბამისად იხვეწებოდა სტრატეგია და ტაქტიკა, ვითარდებოდა შეიარაღება. აქ ანტიკურ ეპოქაში პოლიტიკური ჰეგემონობა მოიპოვეს *კოლხეთისა* და *იბერიის* სამეფოებმა, რომელთა საფუძველზეც შემდეგ ერთიანი საქართველო განვითარდა. ძველი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო. ქართველური მოდგმის ხალხი განვითარების თავდაპირველ საფეხურზე მდინარეების — მტკვრის, რიონისა და ჭოროხის აუზში იყო განსახლებული. მათ გაერთიანებებს საისტორიო წერილობითი წყაროები სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ. კერძოდ, *კოლხები*, *იბერები*, *ხალიბები*, *მოსინიკები*, *სასპერები*, *მოსხები*, *ტაოხები*, *აფსილები*, *სანიგები*; შემდეგ — *ჭანები*, *ლაზები*, *სვანები*, *ეგრნი*, *ქართნი*. კოლხეთი და ნაწილობრივ იბერიაც მთებით შემოსაზღვრული ისტორიულ-

გეოგრაფიული რეგიონები იყო, რაც სამხედრო-სტრატეგიულად გარკვეულ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა. მრავალფეროვანი რელიეფი, ნოყიერი ნიადაგი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეული, ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების განვითარების დადებით საფუძველს ქმნიდა, რაც საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური და სამხედრო განვითარების დონეზე აისახებოდა. კოლხეთსა და იბერიას გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრაც და შეჯახებაც.

სამხედრო-საბრძოლო მოქმედებებისას ადგილობრივი მეზობლები ფლობდნენ და წარმატებით იყენებდნენ მთებს, ხეობების ჩასაკეტად ვიწრო ადგილებს, მთა-გორებზე მოხერხებულად განლაგებულ თავდაცვით ნაგებობებს, მდინარეების ფონებს. იგივე ფაქტორები უარყოფითად აისახებოდა მომხდურთა სამხედრო ძალის მოქმედებაზე. ისინი არ იცნობდნენ და ტაქტიკურად სწორად ვერ იყენებდნენ ადგილობრივი გარემოს ამ რესურსს. მომხდურები ადგილობრივი პირობების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდნენ. კერძოდ, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მონინალმდეგის სამეურნეო-ეკონომიკურ რესურსებზე, რაოდენობაზე, კომუნიკაციურ და სამხედრო-ტექნიკურ საშუალებებზე, საზოგადოებრივ წყობაზე და სხვ. ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე, იბერია-კოლხეთში შეუძლებელი იყო ფართო, მასშტაბური, ფრონტალური, მრავალრიცხოვანი ჯარით მოქმედება. გამართული საგზაო კომუნიკაციები მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ჯარის მობილურობისათვის. კონკრეტული ვითარების მიხედვით, მცირერიცხოვანი მობილური რაზმების მოქმედება დიდ როლს თამაშობდა წარმატების მიღწევაში [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2010]. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



ვაჭრობის შესახებ

გ. კვიციანი, გ. გამყრელიძე

ზოგადი მიმოხილვა.[©] ზოგადი შეხედულებებით, ვაჭრობა (უფრო ფართო გაგებით — გაცვლა) წარმოადგენს წარმოებისა და მოხმარების დამაკავშირებელ რგოლს, რომლის საშუალებით ხდება წარმოებული პროდუქციის გადანაწილება. ძველი ეკონომიკის, მათ შორის ვაჭრობის, კვლევაში არსებობს მრავალრიცხოვანი მოსაზრებანი, რომლებიც, გამომდინარე მეთოდოლოგიიდან იძლევიან თანამედროვე შეხედულებათა მეტად მრავალფეროვან სპექტრს.

პრეისტორიული საზოგადოებების ეკონომიკის შესწავლის დარგში დისკუსია ძირითადად წარიმართა ფორმალისტებსა და ე.წ. სუბსტანტივისტებს შორის — „ეკონომიკური ანთროპოლოგიის“ [დანვრ. იხ. Dalton 1975: 68-74; Бутинов 1979: 68; Семенов 1973: 37]. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ — დ. რიკარდო, ა. მარშალი, უ. ჯევონსი, კ. მენგერი, დ. კლარკი, ლ. რობინსი. ამ მიმართულების მთავარ თეზისს წარმოადგენს ის, რომ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არსებობს რესურსების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა. სწორედ ეს შეზღუდულობა წარმოადგენს ეკონომიკის გამომწვევ მიზეზს. ადამიანის ამოცანას წარმოადგენს იმის გამოთვლა, თუ შეზღუდული საშუალებების გამოყენების რომელი ვარიანტი უზრუნველყოფს მისთვის მაქსიმალურ ეფექტს. ერთი სიტყვით, ფორმალური ეკონომიკა არის საბაზრო ეკონომიკა, გადატანილი ძველ საზოგადოებაში. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლების შრომებში ხაზგასმულია,

[©] გ. კვიციანი.

რომ კაპიტალისტურსა და ე.წ. პრიმიტიულ ეკონომიკას შორის არ არსებობს ძირეული განსხვავებანი [იხ. Goodfellow 1939: 5].

არქაული საზოგადოებების ეკონომიკის შესწავლამ მისცა ბიძგი ალტერნატიული თეორიების განვითარებას [იხ. Malinowski 1920; Malinowski 1935]. ბ. მალინოვსკიმ პირველმა აღნიშნა პრინციპული განსხვავებანი პრიმიტიულ და თანამედროვე საზოგადოებებს შორის. მისმა კვლევებმა უჩვენა, რომ არქაულ საზოგადოებებში არსებობდა არა მხოლოდ თანამედროვე შეხედულებებისათვის ჩვეული ეკონომიკური ურთიერთობების ფორმები, არამედ სრულებით უჩვეულო ურთიერთობანი. მაგალითად, მეტ-ნაკლებად თვითკმარი მეურნეობის პირობებში გაცვლითი ურთიერთობების დიდი ნაწილი ხორციელდება ძღვენის სახით, და ეს ძღვენი თავის თავში მოიცავს გაცილებით უფრო დიდ მნიშვნელობას, ვიდრე უბრალოდ ეკონომიკურს.

კარლ პოლანმა წინამორბედების მთელ რიგ ნაშრომებზე დაყრდნობით (ვებერი, მაინე, ბიუხერი, ტიურნვალდი, მალინოვსკი და სხვ.) ზოგადად ეკონომიკაში არსებული გაცვლითი სისტემების ანალიზისათვის შეიმუშავა გარკვეული სისტემა და შემოიღო ახალი ტერმინები [იხ. Polanyi 1957; Polanyi 1975]. ფრიად მნიშვნელოვანია შემდეგი დებულება: რაიმე მოვლენის არსებობა, მაგ. საგარეო ვაჭრობის, ჯერ არაფერს გვეუბნება ეკონომიკის რაობის შესახებ, ვინაიდან ეს ინსტიტუტი არსებობდა სხვადასხვა საზოგადოებაში და სხვადასხვა მიზნებიდან გამომდინარე სხვადასხვა ხერხებით ხორციელდებოდა. მაგრამ ის, თუ როგორ იყო ეს საგარეო ვაჭრობა ორგანიზებული, შემოზიდული და გატანილი საქონლის რაობა და შინაარსი, რაოდენობრივი მაჩვენებლები — ყველაფერი ეს საგრძნობლად არის დამოკიდებული ყოველი კერძოდ აღებული საზოგადოების ეკონომიკის ორგანიზაციაზე, მისი განვითარების დონეზე. საგარეო ვაჭრობა, ფულის ფორმები, მათი ორგანიზაცია და მნიშვნელობა დეტერმინირებულია იმ საზოგადოებათა შინაგანი ორგანიზაციით, რომლებშიც ისინი ფუნქციონირებენ და ამდენად არ გააჩნიათ უნივერსალური სახე. პოლანისა და მისი მიმდევრების ტერმინოლოგიური ინოვაციებიდან აღსანიშნავია სამი ტერმინი, რომლებიც გამოიყენება ანთროპოლოგებისა და არქეოლოგების მიერ: Reciprocity (ურთიერთგაცვლა), Redistribution (გადანაწილება) და Market exchange (საბაზრო გაცვლა).

ურთიერთგაცვლა — ეს არის მატერიალურ ფასეულობათა და მომსახურეობათა გაცვლა საზოგადოების ურთიერთდაკავშირებულ წევრებს ან ჯგუფებს შორის, რომლებიც ერთმანეთის მიმართ სიმეტრიულად ანუ თანასწორად არიან დამოკიდებულნი.

გადანაწილება — იგულისხმება ცენტრისა და მასთან დაკავშირებული ჯგუფების არსებობა, რომელთა შორის ხორციელდება ვერტიკალური კავშირები და გაცვლა. წარმოებული ქარბი პროდუქტი გადაეცემა ცენტრალურ ხელისუფლებას მისი შემდგომი გადანაწილებით (მათ შორის ცენტრალური ხელისუფლების შესანახად). ზოგადი მნიშვნელობა თანაბრად ეხება ყველა ნებისმიერ ცენტრალიზირებულ პოლიტიკურ სისტემას, იქნება ეს სამეფო, იმპერია, კაპიტალისტური თუ სოციალისტური ეკონომიკური წყობის სახელმწიფო. ამ საერთო სახით გადანაწილება წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლებისადმი ყოველი სახის გადასახადების გადახდის აუცილებლობას, რომელიც იყენებს ფულს, საქონელს ან შრომას პოლიტიკური თუ რელიგიური ლიდერების შესანახავად, მთელი რიგი აუცილებელი საზოგადოებრივი საქმიანობის გასაწევად.

საბაზრო გაცვლა — გულისხმობს როგორც გარკვეული გეოგრაფიულად დეტერმინებული ადგილის არსებობას, სადაც ხორციელდება გაცვლითი ოპერაციები, ასევე ფასწარმოქმნისა და სავაჭრო რეგულაციების მექანიზმს. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი: 1. არსებობს ჩამოთვლილი ფორმის მრავალი ვარიანტი. 2. ჩვეულებრივ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ერთდროულად შეიძლება არსებობდეს ორივე ან სამივე ფორმა. 3. ფასეულობათა სისტემა და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციის ფორმა პირდაპირ და მნიშვნელოვნად განპირობებული იყო ეკონომიკურ ურთიერთობათა დომინირებული სახეობით; ეკონომიკურ ურთიერთობათა სახეობანი პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზაციასთან.

ვაჭრობა გაცვლის სინონიმური ტერმინია და განისაზღვრება როგორც „საქონლის ურთიერთმიმთვისებლური გადაადგილება ხელიდან ხელში“ [Polanyi 1957: 266]. ეს მოძრაობა არ მოითხოვს დიდ მანძილებს და შეიძლება განხორციელდეს სოციალური ან ტერიტორიული ჯგუფების შიგნით (შიდა ვაჭრობა) ან ამ ჯგუფებს შორის (გარე ვაჭრობა). საგარეო ვაჭრობის როლი და ადგილი ადრეული საზოგადოების პირობებში შემდეგნაირად ხასიათდება: ჩვეულებრივ ის არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან საქმიანობას, რომელიც მოიცავდა ყოველდღიური მოხმარების საქონლის ფართო სპექტრს. ადრეულ ხანაში ათასგვარი ტექნიკური, სამხედრო და სხვა სახის სიძნელების (მაგ. უცხო ქვეყანაში მოგზაურობასთან დაკავშირებული ხიფათი) გამო ის ხორციელდებოდა ჯგუფურად, შეირაღებული ამალის თანხლებით. ვაჭრობა ხორციელდებოდა სეზონურად, ჰქონდა სპორადული ხასიათი, არ წარმოადგენდა გრძელვადიან საქმიანობას, მაგრამ ამავე დროს ძვირადღირებული ოპერაცია იყო. ამ გარემოებათა გამო სავაჭრო საქონელი შედგებოდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასი, ელიტარული მოხმარების საქონლისაგან — მონები, იარაღი, ნელსაცხებლები და ა.შ. ექსპორტირებული საქონელი საჭირო იყო მხოლოდ იმპორტულის მისაღებად. შორ მანძილებზე ფასეულობათა გადაადგილების ძირითად არხებს წარმოადგენდა: 1. თარეში, მეკობრული რეიდები (მაგ. ვიკინგების ექსპედიციები). 2. ხარკის მიღება სუსტი მეზობლებისაგან, დამოკიდებული სახელმწიფოებისაგან. ხარკის გადახდა, ადრეულ საზოგადოებებში უმეტეს შემთხვევებში ძველის ფორმით შენიღბული, წარმოადგენდა კეთილგანწყობილებისა და პატივისცემის, შორეული და ძლიერი ხელისუფლისათვის საკუთარი მშვიდობიანი განწყობილების ჩვენების საშუალებას. 3. გადასახადები სუვერენული ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიებიდან. 4. შორეული ვაჭრობა.

ყველა სახის ვაჭრობისთვის საერთო ნიშანს წარმოადგენს მანძილზე დაშორებული საქონლის მოპოვება, რაც ამ სახის საქმიანობაში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. ამ ინტერესების დაკმაყოფილება ხდებოდა მშვიდობიანი ან ძალადობის ფორმით, მაგრამ ძალიან ხშირად ამ ორი მხარის სხვადასხვა კომბინაციით. ყველა შემთხვევაში მუდმივმოქმედ ფაქტორს წარმოადგენდა გარკვეული სახის საქონელზე მყარი მოთხოვნილება, დამოკიდებული ამა თუ იმ „ძირითადი“ პროდუქტის ქრონიკულ ან დროებით უკმარისობაზე, ან „პრესტიჟული“ სახის ნივთების მიღების მოთხოვნილებაზე (ფუფუნების საგნები). მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ვაჭრობის პერსონალური მხარე. არსებობს სავაჭრო ოპერაციებში ინდივიდის დასაქმების მოტივაციის ორი სტიმული — ერთი სტატუსური, გამომდინარე საზოგადოებაში მისი მდგომარეობის სპეციფიკიდან. მეორე კი მოგების მიღების მოლოდინი. ვაჭრების ადგილი სხვადასხვა სახის საზოგადოებაში განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარი იყო. არქაულ ხანაში მხოლოდ ბელადი ან მეფე და მისი უშუალო გარემოცვა იყო დაკავებული ვაჭრობით. გამოიყენებოდა ამა თუ იმ სახის სამხედრო ან დიპლომატიური საშუალებანი უცხო საქონლის მისაღებად, მეკობრეობა ან სახელშეკრულებო გაცვლა, თვითოეული მათგანი ცალ-ცალკე ან ორივენი ერთად. მოქმედებათა მთელი ეს წრე განეკუთნებოდა მართვის სფეროს. უზენაესი მმართველი ან უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ აქციებს, ან თვალყურს ადევნებდა მათ მსვლელობას. ყველა შემთხვევაში ვაჭრობაში უშუალოდ მონაწილეობდა არა მმართველი, არამედ მისი მოხელეების ჯგუფი, სტატუსური მდგომარეობით გათანაბრებული სამხედრო ლიდერებთან ან სამოქალაქო მოხელეებთან. ანტიკურ საზოგადოებაში წარმოიშვა ვაჭრების უფრო დაბალი ფენა (არისტოკრატიული ვაჭრობის სანაცვლოდ). არსებობდა პროფესიონალი ვაჭრების გარკვეული კატეგორიებიც. ზემოთ ნახსენებმა იდეებმა და შეხედულებებმა შემდგომ მასტიმულირებელი გავლენა მოახდინა ე.წ. „ახალი არქეოლოგიის“ მიმდევრების კვლევებზე.

ახალი ანუ პროცესუალური არქეოლოგია 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ამერიკაში. ტრადიციულ არქეოლოგიას არ შეეძლო არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ფართო ანთროპოლოგიური პრობლემების გადარწმუნება; ის ძირითადად იფარგლებოდა არქეოლოგიური მასალის აღწერითა და სისტემატიზაციით; მას არ გააჩნდა რაიმე

ღირებული კონცეპტუალური სქემა; ის თვლიდა, რომ მონაცემების რაოდენობრივ ზრდას მექანიკურად მოყვება ცოდნის მომატება; უგულვებელყოფილი იყო არქეოლოგიური თეორიის არსებობის მნიშვნელობა; ტრადიციული არქეოლოგიის აზრით ემპირიულად მოცემული ფაქტები წარმოადგენენ არქეოლოგიური ცოდნის ერთადერთ ლეგიტიმურ შინაარსს, ამდენად ნებისმიერი ინტერპრეტაცია, თუკი ის სცილდებოდა არქეოლოგიურ წყაროს შინაარსის ფარგლებს, ცხადდებოდა სპეკულატიურად და ემპირიულად უკონტროლოდ; ტრადიციული არქეოლოგიების მტკიცებით, სოციალური და ისტორიული საკითხების გადანყვება შესაძლებელია მხოლოდ ამომწურავი მონაცემთა ბაზის საფუძველზე, რომლის შექმნის შესაძლებლობა შორეულ პერსპექტივაში იწეოდა; მათ ისტორიული პროცესების შესწავლა დაჰყავდათ არტეფაქტებისა და მატერიალური კომპლექსების დროსა და სივრცეში ცვალებადობის ფიქსირებამდე; მიუხედავად გამოცხადებული „ისტორიული“ მიდგომისა, კულტურული პროცესების შესწავლა არ მიმდინარეობდა; იგნორირებული იყო ეთნოგრაფიული ანალიზის გამოყენების მნიშვნელობა; ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი იყო კულტურის ნიაღში ყოველნაირი ცვლილებების ასახსნელად მიგრაციებისა და დიფუზიების კონცეფციების გამოყენება: კულტურა გაიგივებული იყო მის არქეოლოგიურ გამოვლენასთან და ის განისაზღვრებოდა მისი ფიზიკური ნიშნების ჯამით.

საბოლოო ჯამში ტრადიციული არქეოლოგიის მთავარი ნაკლი გამოიხატება შემდეგში: მან ვერ შეძლო ეფექტურად მიეღწია რომელიმე ტრადიციული არქეოლოგიური მიზნისათვის, ე.ი. გამოეყენებინა არქეოლოგიური მონაცემები ინფორმაციის ეფექტიური წყაროს სახით: 1) კულტურის ისტორიის; 2) წარსულის ცხოვრების წესის და 3) ზოგადი კულტურული პროცესების შესახებ, ე.ი. იმის შესახებ, რაც პროცესუალისტების მიერ არქეოლოგიის ძირითად ამოცანებად იყო დასახული. „ახალი არქეოლოგიის“ თეორიული შეხედულებების არსი შეიძლება დაყვანილი იქნას რამოდენიმე პრინციპულ დებულებამდე. ერთ-ერთი უმთავრესი იყო ის, რომ არქეოლოგიის ამოცანად ჩაითვალა არა უზარმაზარი კომპენდიუმებისა და კატალოგების შედგენა, არამედ ადამიანის ქცევისა და კულტურის განვითარების პროცესის კანონზომიერებების დადგენა. ამდენად არქეოლოგია ნაწილია არა ისტორიისა, არამედ ეკუთვნის ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა წრეს. კულტურა გაგებულ იქნა, როგორც გარემოს მიმართ ადამიანთა ადაპტაციის განვითარებადი დინამიური სისტემა, შემდგარი ტექნოლოგიური, სოციოლოგიური და იდეოლოგიური კომპონენტებისაგან, რომელთა მოქმედების კვალი ილექება არქეოლოგიურ ნარჩენებში. ერთ-ერთი მთავარი მიზანი „ახალი არქეოლოგიისათვის“ იყო დისციპლინის „ნამდვილ მეცნიერებად“ გადაქცევა და მისი შესაბამისი მეთოდოლოგიით აღჭურვა. ასევე მნიშვნელოვანი მომენტი იყო შესასწავლი მოვლენებისადმი სისტემური მიდგომა და კულტურული პროცესების მოდელირებისათვის კომპიუტერული ტექნიკის ფართო გამოყენება. ფართოდ უნდა დანერგილიყო მათემატიკური მეთოდებიც.

პროცესუალური არქეოლოგია საზოგადოებას განიხილავენ როგორც გარკვეული სტრუქტურის მქონე სისტემას. სისტემური მიდგომის თავისებურებანი მოკლედ შეიძლება ასე დავახასიათოთ: საზოგადოება ან კულტურა გაგებულია როგორც სისტემა თავისი ცვალებადი პარამეტრებით. სისტემის მთავარ პარამეტრებს შეადგენენ მოსახლეობის სიდიდე, სამოსახლოების ტიპი, წარმოება, მინათმოქმედება, გაცვლა, იდეოლოგია და ა.შ. სისტემის განვითარება დროში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ერთმანეთის მიყოლებით მონაცვლე სისტემური მდგომარეობების სერია, რომელთაგანაც ყოველი ხასიათდება დროის გარკვეულ მონაკვეთში სისტემური პარამეტრების გარკვეული სიდიდით. ერთმანეთს მიყოლებული სისტემური მდგომარეობები ქმნიან სისტემის ტრაექტორიას. სავსებით გამართლებულია წარმოვიდგინოთ ყოველი სისტემა როგორც მის სტრუქტურაში შემავალი ელემენტების იერარქიული ერთობლიობა. სისტემის იერარქიულობა გულისხმობს, რომ მისი ყოველი ელემენტი შეიძლება განიხილებოდეს როგორც გარკვეული სუბსისტემა, ასეთ სუბსისტემაში აღმოჩნდება ჩართული ადამიანების გარკვეული მოქმედება, არტეფაქტები და შესაბამისი გარემო. თვით სისტემაც შეიძლება

შედიოდეს უფრო მაღალი დონის მაკროსისტემაში მისი სუბსისტემის სახით. სისტემისა და სუბსისტემების ურთიერთობა და ცვალებადობა შეიძლება აღინეროს კიბერნეტიკიდან ნასესხები კონტროლის თეორიის ტერმინებით, სადაც მთავარ ცნებებს წარმოადგენს პოზიტიური და ნეგატიური უკუკავშირები. სისტემის სტაბილური არსებობა შედეგია ნეგატიური უკუკავშირისა. კულტურა თავისი არსით მეტად კონსერვატიულია, და სისტემის სტაბილურობა შეიძლება გამოიხატოს გემეოსტაზისის ტერმინებში. ამავე დროს განვითარება და ცვლილება არ შეიძლება ადეკვატურად გამოიხატოს იმავე ტერმინებში, როგორც უბრალოდ გემეოსტატური პასუხი გარეშე მომხდარ ცვლილებებზე. კულტურული ცვლილებანი შეიცავენ სტრუქტურის ღრმა და შეუქცევად ცვლილებებს, და ამდენად მოდერნიზაციის პროცესი არ შეიძლება ავხსნათ მხოლოდ ნეგატიური უკუკავშირით. პირიქით, განვითარების ციკლები გულისხმობენ პოზიტიური უკუკავშირების არსებობას, რაც უზრუნველყოფს კიდევ განვითარებას. სუბსისტემების დადებითი ურთიერთქმედებებს ერთ-ერთ შედეგად შეიძლება ჰქონდეს განვითარება და ღრმა სტრუქტურული ცვლილებანი, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ისეთი ბაზისური ცვლილებები, როგორცაა ქალაქების გენეზისი ან ცივილიზაციის გაჩენა.

კულტურები შეიძლება დაიყოს ნებისმიერ სუბსისტემადად, რომლებიც განისაზღვრება ადამიანთა საქმიანობის სახეობათა მიხედვით. ყოველი ინდივიდი ერთდროულად მოქმედებს სხვადასხვა სუბსისტემაში. მაგალითად, წინასწორიული ეგეიდის შესწავლისას გამოყენებული იყო შემდეგი სუბსისტემები: 1. საარსებო ანუ წარმოება; 2. ტექნოლოგიური; 3. სოციალური; 4. დამპროექტებელი; 5. სავაჭრო ანუ კომუნიკაციური [იხ. Renfrew 1972].

ნებისმიერი სისტემა ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური, განონასწორებული მდგომარეობა. ამავე დროს მისი ცალკეული ელემენტები სხვადასხვა გარემოებათა გამო განიცდიან ცვალებადობას. სისტემა, დინამიური წონასწორობის შესანარჩუნებლად, ვალდებულია მოახდინოს რეაქცია მისი ცალკეული ელემენტების ცვლილებაზე. ამ რეაქციათა არსთან არის დამოკიდებული სწორედ სისტემის განვითარება ან კონსერვატიულობა, ან სულაც მისი მოსპობა და მის ადგილზე ახლის გაჩენა. ამდენად, განვითარების პირველმიზეზად, სისტემატიკოს მკვლევართა კონცეფციით, შეიძლება გამოდგეს სისტემის ერთ-ერთი ელემენტი ან ელემენტთა ერთობლიობა. მაგალითისათვის, ხელოსნური წარმოების სუბსისტემაში ტექნოლოგიის განვითარება, განსაკუთრებით პიროტექნიკური აღმოჩენები კერამიკულ წარმოებაში, შესაძლებელს ხდის მეტალურგიის განვითარებას. განვითარებაზე ასევე ახდენს გავლენას სოციალურ სფეროში მომხდარი ცვლილებების მთელი რიგი: 1. სამხედრო სიტუაციების გახშირება იწვევს მზარდ მოთხოვნილებას იარაღზე; 2. იზრდება საბაზრო მოთხოვნილება ოქროსა და ვერცხლის ნივთებზე; 3. დაკრძალვის რიტუალში ლითონის ნივთების მზარდი გამოყენება კვლავ იწვევს მზარდ მოთხოვნილებას მეტალურგიული სუბსისტემისადმი. საგარეო ვაჭრობა ხელმისაწვდომს ხდის სასურველი ნედლეულის წყაროს [Renfrew, Bahn 1991: 421-422].

ცვალებად სუბსისტემათა რიცხვს, რომელსაც დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო მთლიანად სისტემაზე, ვაჭრობა ანუ გაცვლა განეკუთვნებოდა. სპეციალური ნაშრომები ვაჭრობის ფორმებზე, მათ სივრცით გამოხატულებაზე, საზოგადოების სოციალურ განვითარებაში მათ ადგილსა და მნიშვნელობაზე ეკუთვნის კ. რენფრიუს [დანვრ. იხ. Renfrew 1969; Renfrew 1972; Renfrew 1975; Renfrew 1977; Renfrew 1979]. კ. რენფრიუსათვის საქონლის გადანაცვლება წარმოადგენს ვაჭრობის, როგორც სივრცობრივი განაწილების, მთავარ არსს. ნებისმიერი სოციალური ჯგუფის სიმტკიცე განპირობებულია მის შიგნით არსებული გაცვლითი ურთიერთობების სიმშრითა და ინტენსიურობით. გაცვლა შეიძლება გაიზომოს როგორც ინტენსივობის ტერმინებში, ასევე გადანაცვლების პროცესში მყოფი საქონლის რაოდენობრივი მახასიათებლების მიხედვით. როდესაც გაცვლა წარმოებს ერთ გარკვეულ ადგილზე, ამ უკანასკნელს შეიძლება ეწოდოს ცენტრალური ადგილი (Central Place) და ასეთ ადგილს სპეციალური მნიშვნელობა აქვს ჯგუფის განმტკიცებაში [Renfrew 1975: 4]. გაცვლაში შედიან როგორც მატერიალური ობიექტები, ასევე ინფორმაცია, რომელიც ხშირად განისაზღვრება როგორც იძულება ან სტიმული ამჟამინდელი ან

მომავალი ქცევისა. უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან გაცვლის პროცესის ორ უკიდურეს პოლუსზე განლაგებული მხარეები — საქონლის გაცვლა და ინფორმაციის გაცვლა. საქონლის გაცვლა თანმხლები ინფორმაციის გარეშე წარმოადგენს ე.წ. „უხმო, მუნჯი ვაჭრობის“ წმინდა გამოსატყულებას. მეორე უკიდურესი მხარე — წმინდა ინფორმაციული გაცვლა — შეიძლება მოინათლოს როგორც სოციალური ან რელიგიური გაცვლა, თუმცა აქაც ხშირად საქმე გვაქვს მატერიალური ობიექტების გაცვლასთან. უმეტეს შემთხვევაში მატერიალური და ინფორმაციული მხარე გაცვლაში განუყოფელად გადახლართულია [იხ. Renfrew 1975: 5-6].

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ინფორმაციის გაცვლასაც. ზუსტად ისევე, როგორც სპეციალიზაცია ხელოსნობის სხვადასხვა დარგებში გაცილებით უფრო მომგებიანი იყო პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და წარმოების ეკონომიურობის თვალსაზრისით, ზუსტად ასევე ვითარდებოდა სპეციალიზაცია სოციალური ურთიერთობების დარგში. ფიზიკური თვალსაზრისით გადანაწილება გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების მიერ საქონლის მიღებას, დაგროვებას და შემდგომ გაცემას, რაც თავისთავად გულისხმობს გარკვეული მარაგების შექმნასაც, როგორც, მაგალითად, კრეტა-მიკენურ სასახლეებში. მუდმივმოქმედი ცენტრალური ადგილი წარმოადგენს ნებისმიერი ცივილიზაციის დამახასიათებელ ნიშანს. ცენტრში შეიძლება არსებობდეს მუდმივი ვრცელი მოსახლეობა, მაგრამ ის შეიძლება მოკლებულიც იყოს ასეთ მოსახლეობას. ის წარმოადგენს ნებისმიერი გაცვლის (მატერიალურისა თუ ინფორმაციულის) ჩატარების ადგილს, რაც თავისთავად გულისხმობს სოციალურ ურთიერთქმედებას როგორც ცივილიზაციის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს, ხოლო ცენტრების მუდმივი არსებობა მისთვის დამახასიათებელ ფუნქციებთან ერთად წარმოადგენს იმ უმთავრეს ნიშანთაგანს, რომელიც ცივილიზაციებს განასხვავებს იმავე „ჩიფდომის“ ტიპის საზოგადოებებისაგან [Renfrew 1975: 12].

კ. რენფრიუს თვალსაზრისით, უმრავლეს, შესაძლოა ყველა ადრეულ ცივილიზაციაში, შეიძლება გამოიყოს ერთი გარკვეული — სივრცითი მოდელი. ჩვეულებრივ სახელმწიფოც და ცივილიზაციაც განიხილებოდა ადამიანების სპეციალიზაციისა და ორგანიზაციის ჩარჩოებში. მაგრამ გასაგებია, რომ სივრცითი მონყოლა წარმოადგენს მთელი ორგანიზაციის არსებობის განუყოფელ ასპექტს, და ცივილიზაციის წარმოქმნა შეიძლება განხილული იყოს სივრცითი ორგანიზაციის გენეზისის ჩარჩოებში. ცივილიზაციათა უმრავლესობაში ფუნქციონირებდა ავტონომიური ცენტრების გარკვეული რაოდენობა. ავტონომიური ტერიტორიალური ერთეულები თავიანთ ცენტრებთან ერთად ერთობლივად შეადგენდნენ იმას, რასაც შეიძლება ცივილიზაცია ეწოდოს. ასეთ ერთეულებს კ. რენფრიუ უწოდებს ადრეულ სახელმწიფოებრივ მოდულებს — **ასმ** (Early State Module). ადრეულ ცივილიზაციათა დიდი ნაწილი ჩვეულებრივ შედგებოდა ათამდე მსგავსი ასმ-საგან, თუმცა მათი რაოდენობა შეიძლება მერყეობდეს. მაგალითად, მიკენური ხანის საბერძნეთში აღრიცხულია 14 სასახლე ან მთავარი სასიმაგრო ნაგებობა. მათ შორის მანძილები საშუალოდ 76 კმ-ს შეადგენდა, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო მთიანი ტერიტორიების არსებობით მომიჯნავე მოდულებს შორის. დაახლოებით ასეთივე სურათს გვიჩვენებს მინოსური ხანის კრეტაც [Renfrew 1972: 258]. უკანასკნელ მაგალითში ცენტრებს შორის მანძილი საშუალოდ 35 კმ-ია, ხოლო კუნძულის შეზღუდული ტერიტორია იძლეოდა მხოლოდ 5 ან 6 სასახლის არსებობის შესაძლებლობას. ორივე შემთხვევაში ტერიტორიალურ თავისებურებებს შეჰქონდათ თავისი კორექტივები სივრცით განაწილებაში. ამდაგვარივე სიტუაციაა იდენტიფიცირებული მესოპოტამიის შემთხვევაშიც. აქ წინააღმდეგობრივი და ადრეინასტიური ქალაქ-სახელმწიფოები წარმოადგენდნენ სწორედ ასმ-ს ცენტრალურ ადგილებს [იხ. Renfrew 1975: 15-16].

ადრეული სახელმწიფოებრივი მოდულის შიგნით გაცვლა წარმოებდა გადანაწილების, მოდულებს შორის კი — ურთიერთგაცვლის საფუძველზე. მოდულების ერთობასა (ცივილიზაცია) და გარე სამყაროს შორის მიმდინარეობდა საგარეო ვაჭრობა. ადრეულ ცივილიზაციათა ასმ-თა სიდიდეები, კ. რენფრიუს აზრით, ჯდება გარკვეულ ფარგლებში და დამოკიდებულია ცენტრიდან ტერიტორიალურ საზღვრებამდე მაქსიმალურ მანძილებზე,

რომლებიც ხელმისაწვდომი იყო არსებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის. მაგ. ეტრურიისათვის ეს იყო 50 კმ, მიკენური ცენტრებისათვის, მინათმოქმედებისათვის გამოუყენებელი მიწის მასივების არსებობის პირობებში — 70 კმ. ორივე შემთხვევაში ძირითად სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა — ურემი [Renfrew 1975: 19-20]. ცენტრალური ადგილის აუცილებელი თანმხლები ფიგურაა ცენტრალური პერსონა. ეს ის პირია, რომელზედაც ფოკუსირებულია საქონლისა და ინფორმაციის გაცვლა. გარკვეული თვალსაზრისით ცენტრალური ადგილების იერარქია შეიძლება გამოიხატოს ცენტრალური პერსონების იერარქიით. ცივილიზაცია, კ. რენფრიუს მიხედვით, გულისხმობს ძლიერ სტრუქტურირებული და დიფერენცირებული საზოგადოების არსებობას, რომელიც მოიცავს მწარმოებელ ხელოსნებს, მუდმივ მაკონტროლებელ ორგანიზაციას, რომელიც განაგებს პროდუქციის მნიშვნელოვან წილს (ხელისუფლება) და რწმენა-წარმოდგენათა განვითარებულ სისტემას. ცივილიზაციის განვითარების წარმოდგენილი მოდელი, კ. რენფრიუს თვალსაზრისით, გამოსადეგია ადრეულ ცივილიზაციებში ვაჭრობის როლის კვლევისათვის. ხაზგასმულია, რომ ვაჭრობას უდიდესი ძალა გააჩნია მაშინ, როდესაც ის პოზიტიური ურთიერთქმედების მდგომარეობაშია საზოგადოების სხვა სუბსისტემასთან. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამგვარ ურთიერთქმედებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც სავაჭრო საქონელს აქვს ფასი და მნიშვნელობა სოციალური სისტემის შიგნით, ხშირად პრესტიჟის მნიშვნელობით. ეს არის მაგალითი მატერიალურ და სოციალურ ფასეულობათა სიმბოლური ექვივალენტურობისა [იხ. Renfrew 1972: 496-500].

ამდენად, ვაჭრობის როლი ადრეული ცივილიზაციების განვითარებაში შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ კულტურული სისტემის სხვა სუბსისტემებთან ურთიერთობების კონტექსტში. წარმოდგენილ თეორიულ შეხედულებებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კონკრეტული არქეოლოგიური კვლევისათვის. იმპორტის სტატისტიკური და კარტოგრაფიული მონაცემების მოშველიებით სავსებით შესაძლებელი ხდება ვაჭრობის, გაცვლის და გადახანჩლების ფორმების სივრცობრივი ანალიზი. სულ ბოლო დრომდე გაცვლის სხვადასხვა ხერხის გავლენა საქონლის სივრცობრივ განაწილებაზე იგნორირებული იყო. ამის შედეგად არქეოლოგიური მასალის გამოყენების შესაძლებლობანი მეტად შეზღუდული იყო. ამავე დროს სრულფასოვანი სივრცობრივი ანალიზის გამოყენებისათვის არსებობს გარკვეული სიძნელეებიც. პირველია ის გარემოება, რომ მატერიალური ობიექტების მხოლოდ საკმაოდ შეზღუდული ნაწილია საკმარისად მდგრადი, რომ შემოინახოს არქეოლოგიური ობიექტების სახით. მეორე, ნივთების დიდი ნაწილი შეისწავლება სამარხეული კომპლექსების მიხედვით. ნივთების გარკვეული ასორტიმენტის თანდამარხვა მიცვალებულთან ერთად, რა თქმა უნდა, შეიძლება წარმოადგენდეს განპირობებულ აქტს, მაგრამ აუცილებლად არ წარმოადგენს იმ ნივთების რეპრეზენტაციული ნაკრების ანარეკლს, რომლებსაც ფლობდა განსვენებული. მესამე, მონაპოვრის სივრცობრივი განაწილება არასოდეს არ გვაძლევს დროის ერთი მონაკვეთის სიტუაციას, არამედ დროში საკმაოდ გაშლილი მოვლენების ანარეკლია.

ანტიკური საზოგადოების მიმართ ვაჭრობის მექანიზმის და არსის შესწავლას, ისტორია-არქეოლოგიის თვალსაზრისით, მე-19 საუკუნის ბოლოდან მიექცა ყურადღება, განსაკუთრებით ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის კვლევასთან დაკავშირებით, როგორცაა ე.წ. *ბერძნული კოლონიზაცია*. ჯერკიდევ 1893 წელს ედ. მეიერი ასაბუთებდა თვალსაზრისს კოლონიზაციაზე, როგორც ბერძნული ქალაქების სავაჭრო ექსპანსიაზე. მისი აზრით, *ბერძნული კოლონიზაცია* დაკავშირებულია სასაქონლო წარმოების გაფურჩქვნასთან. ძვ.წ. VIII ს-ის ყველა მსხვილ ცენტრში ვითარდება მასობრივი მოხმარების საგნების წარმოება. აქედან მოყოლებული საბერძნეთში ვითარდება საზღვაო ვაჭრობა. გასაღების ბაზრების ძებნაში ბერძნები ითვისებენ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის სხვადასხვა მხარეს [იხ. Meyer 1893: 443-484]. გამოითქვა სანინაალ-მდეგო შეხედულებებიც, რომელსაც დაერქვა ე.წ. პრიმიტივისტული მიმდინარეობა [იხ. Bücher 1893]. კამათის ძირითად საკითხს წარმოადგენდა ვაჭრობისა და შესაბამისად ვაჭრების როლის შეფასება ძველი საბერძნეთის ქალაქების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, არა

მარტო ეკონომიკაში, არამედ პოლიტიკაშიც. დისკუსიის ცალკე მიმართულებას წარმოადგენდა საკითხი, თუ რას უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი უპირატესობა საკოლონიზაციო მოძრაობის მოტივების განსაზღვრისას — კომერციულ მოტივებს თუ მიწის ნაკლებობას, რომელიც იწვევდა ზედმეტი მოსახლეობის კოლონიებში გადასახლებას აგრარული კრიზისის დაძლევის მიზნით [იხ. Beloch 1893; შეადარ, Guiraud 1893; Glotz 1920].

XX ს-ის 20-იანი წლებისათვის ისტორიოგრაფიაში მოდერნიზატორული მიმდინარეობა იყო გაბატონებული [იხ. Zimmern 1924; Erb 1938; Hasebroek 1928; Hasebroek 1931]. ეს მკვლევარები ხაზს უსვამდნენ, რომ პოლისის ხასიათს განსაზღვრავს პირველ რიგში ის გარემოება, რომ ის წარმოადგენს მინათმფლობელთა ორგანიზაციას, იმ დროს, როდესაც ხელოსნები და ვაჭრები არ განეკუთვნებოდნენ მოქალაქეთა წრეს. სწორედ ამ მიზეზით პოლისს არ გააჩნდა ეკონომიკური პოლიტიკა (თანამედროვე მნიშვნელობით) და დაინტერესებული იყო მხოლოდ ერთით — უზრუნველყო ქალაქში სასიცოცხლო აუცილებლობის პროდუქტების შემოზიდვა. ი. ჰაზებროკის აზრით, ძველი სახელმწიფოების ე.წ. „სავაჭრო პოლიტიკა“ დაკავშირებული იყო არა ვაჭრობასთან, არამედ საარსებოდ აუცილებელი პროდუქციის მოპოვების საჭიროებასთან. ასეთი პროდუქტების რიცხვს კი ძირითადად მიეკუთვნებოდა მარცვლეული და ხე-ტყე. ვაჭრობისა და წარმოების მნიშვნელობა იზრდება ძვ.წ. VIII-VI სს-ების განმავლობაში, მაგრამ მაგ. წინაელისტიურ საბერძნეთში საექსპორტო წარმოება არასოდეს არ აღწევდა ფართო მასშტაბებს.

ეკონომიკისა და ვაჭრობის შესწავლაში მომდევნო ნაბიჯი გადადგა ფ. ჰაიჰელჰაიმმა. მისი შეხედულებების სიტემა ვაჭრობის განვითარების თაობაზე შემდეგნაირად გამოიყურება: ძვ.წ. VIII ს-ში სავაჭრო კავშირები უმნიშვნელო იყო. VII ს-ის დასაწყისიდან ვრცელდება კორინთული კერამიკა, მაგრამ ის ჯერ არ წარმოადგენდა სერიული წარმოების შედეგს. ძვ.წ. VI ს-ის შუახანებიდან ეკონომიკა იძენს უკვე „კლასიკურ ელფერს“, ვინაიდან ეფუძნება უკვე სერიულ წარმოებას და ფულად მიმოქცევას. ძვ.წ. VII ს-მდე ქალაქი ეკონომიკური თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არსებობდა და მათი ეკონომიკური აქტივობა არავითარი სახით არ ვითარდება ძვ.წ. VIII და VII სს-ში სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებით [იხ. Heichelheim 1958]. საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ჟ. ვალეს. მისი აზრით, ბერძნული კოლონიების შექმნას წინ უსწრებდა სავაჭრო ურთიერთობების პერიოდი, რომელიც მყარდებოდა ბერძნებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის. ის თვლის, რომ გაცვლის მთავარ ობიექტს წარმოადგენდა ფუფუნების საგნები. თვითონ კოლონიზაცია ატარებდა აგრარულ ხასიათს [იხ. Vallet 1958].

ანტიკური სამყაროს განვითარების ეკონომიკურ საკითხებს, საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნეს აგრეთვე — რ. ვიპერმა, მ. ხვოსტოვმა, ი. გრევსმა, მ. როსტოვცევმა, ვ. ბუზესკულმა [იხ. Виппер 1904; Хвостов 1915; Гревс 1899; Ростовцев 1910; Бузескул 1913]. ს. ჟებელევის ნაშრომებში უკვე ჩამოყალიბებული სახითაა გადმოცემული მოსაზრებები ვაჭრობის ადგილისა და როლის შესახებ როგორც ანტიკური ხანის საზოგადოებაში მთლიანად, ასევე საკოლონიზაციო მოძრაობასთან მიმართებაში. იგი წერდა, რომ კოლონიების დაარსებას, როგორც სახელმწიფოებრივ ინიციატივას, წინ უსწრებდა კერძო ინიციატივის აქტი, რომელშიც ავტორი გულისხმობდა ზღვაოსანი ვაჭრების მოგზაურობას [Жебелев 1953: 116-158]. კოლონიზაციის, როგორც სავაჭრო ექსპანსიის კონცეფციის შემდგომი გამოხატულება ჩანს ა. იესენის, დ. კალისტოვის და ს. სტრჟელეცკის ნაშრომებში [იხ. Иессен 1947; Каллистов 1949; Стржелецкий 1959; შეადარ. იხ. Лапин 1966].

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ამ მიმართულებით ახალი მოსაზრებები გამოჩნდა. მათი აზრით მთავარი ამოსავალი წერტილი მდგომარეობს იმაში, რომ ანტიკური ეკონომიკის გაგება თანამედროვე ცნებებისა და კრიტერიუმების საშუალებით — არასწორია. ანტიკურობის ეკონომიკური სისტემა დაკავშირებული იყო ნატურალურ წარმოებასთან, ხოლო სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენდა გლეხურ მეურნეობაზე დამყარებული ოიკოსი, ანუ გვარი, მისი მეთაურის ძალაუფლებით, რომელიც არ იყო დიფერენცირებული ეკონომიკურ, სოციალურ და პირად ასპექტებად და წარმოებას არ ჰქონია დიდი გავლენა ექსპორტზე. ხელოსნობა არ თამაშობდა დიდ როლს

ქალაქების ცხოვრებაში. ანტიკური ეკონომიკა განსხვავდება როგორც კაპიტალიზტურისაგან, ასევე ძველადმოსავლურისაგან. ვაჭრობა თავიდანვე დაფუძნებული იყო ნედლეულზე. პირველ ადგილზე იდგა ლითონი. არანაკლები მნიშვნელობისა იყო მარცვლეული. მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლება ძვ.წ. VII ს-ის ბოლოსათვის. ფაქტია, რომ კოლონიათა უმრავლესობა არსდება სამინათმოქმედო რეგიონებში, რაც მიუთითებს, რომ მათ დამაარსებელ პოლისებს არ გააჩნდათ საკმარისად არც მინა და არც სურსათი. ძვ.წ. VI ს-თვის უკვე ჩანს ყველა მომავალი ძირითადი სავაჭრო მიმართულება. ბერძნული პოლისების დაინტერესება სხვადასხვა სახის ნედლეულით არა ერთნაირი იყო და იცვლებოდა დროთა განმავლობაში. მდიდარი ვაჭრების ინტერესები ერწყმოდა პოლისის ინტერესებს. ბერძნებს ეგვიპტედან მონების, ლითონის, ხე-ტყის, ზეთისა და ღვინის სანაცვლოდ გამოჰქონდათ პაპირუსი, ქსოვილები, წამლები; მარცვლეულიც. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, ისევე როგორც ეგვიპტე და სიცილია, წარმოადგენდა რეგიონს, საიდანაც ბერძნებს მარცვლეული გაჰქონდათ.

1983 წელს, ვაჭრობის პრობლემებს მიეძღვნა კრებ. „ვაჭრობის როლი უძველეს ეკონომიკაში“ [იხ. Garnsey და სხვ. 1983], სადაც ჩამოყალიბებულია შემდეგი პოსტულატები: 1. ანტიკური ეკონომიკა ყველა დონეზე მიისწრაფოდა თვითკმარობისაკენ; 2. ეკონომიკის ძირითად საფუძველს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა; 3. ვაჭრობაში ნედლეული მეტად მცირე როლს ასრულებდა, ხოლო ტრანსპორტირების მაღალი ხარჯების გამო რენტაბელური იყო მხოლოდ ფუფუნების საგნებით ვაჭრობა; 4. ვაჭრობის შეზღუდული მნიშვნელობიდან გამომდინარე ვაჭრის სოციალური სტატუსი მეტად დაბალი იყო; 5. ადგილობრივი არისტოკრატია ზღვისპირა საპორტო ქალაქებშიც კი მიწის ფლობას ამჯობინებდა სავაჭრო საქმიანობას; 6. ქალაქი უფრო მოხმარების ცენტრია, ვიდრე წარმოების ან ვაჭრობის, ხოლო ურბანიზაციის პროცესი უფრო კულტურული წყების მოვლენებითაა გამონვეული, ვიდრე ეკონომიკური ზრდით. რა თქმა უნდა აგრეთვე — მეტალებზე და იმ მასალებზე, რომლებიც გადაჰქონდათ ამფორებით; ხე-ტყე, მარილი, მეთევზეობის პროდუქტები, საქონელი, ტყავი, ბენვეული, მარცვლეული, ქსოვილები და სხვ.

შორეულ მანძილებზე ბერძნული ვაჭრობა დაფუძნებულია შუამავლების მექანიზმზე. საერთო წესს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მწარმოებლები არ იყვნენ ამავე დროს თავისი ნაწარმის გამსაღებლები. სამოსელებს გადაჰქონდათ ლაკონური ბრინჯაო, ატიკური კერამიკა ვრცელდებოდა იონიელი წარმოშობის ვაჭრების საშუალებით. ფინიკიელი ვაჭრები, ეზიდებოდნენ ატიკურ კერამიკას და სხვ. საქონელი მიედიდებოდა ერთ გარკვეულ ცენტრში, ხოლო შემდგომ ამ ცენტრიდან დანიშნულების ადგილას. ამგვარი ცენტრების არსებობის აუცილებლობა განსაკუთრებით შესამჩნევია შორეული ვაჭრობის შემთხვევაში, რომელიც შეუძლებელია ხორციელდებოდეს ნივთის ნივთზე გაცვლის საშუალებით, არამედ მოითხოვს საქონლის აკუმულირებას ერთ კონკრეტულ ადგილზე მისი შემდგომი მოძრაობით სხვადასხვა დონის არხების გამოყენებით. გადანაწილებადი ცენტრები ხშირად არსებობდა ბერძნული დასახლებების გვერდით, მაგრამ მათი პოლიტიკური გავლენის საზღვრებს გარეთ, სადაც შედარებით ნეიტრალურ ტერიტორიაზე შესაძლებელი იყო ბერძნებისა და ადგილობრივების მშვიდობიანი შეხვედრა. ბერძნული ეკონომიკის შესახებ აღნიშნავენ, რომ ძვ.წ. VII ს-ის ბოლოსა და VI ს-ის განმავლობაში აქ მომხდარ მთელ რიგ ცვლილებებს: ვითარდება ხელოსნური წარმოება, რომელიც სერიულ ხასიათს იღებს. საბერძნეთში იმავე პერიოდში ჩნდება მონეტა. აღნიშნული ცვლილებები მოწმობენ, რომ თანდათანობით ანტიკური პოლისის წიაღში წარმოიშვება ქალაქი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების მაღალი დონით [იხ. Кошеленко 1980; Кошеленко 1983; Маринович, Кошеленко 1997].

ამგვარად, ბერძნული ვაჭრობა, უფრო ზოგადი გაგებით — გაცვლა, ყოველი მეტნაკლებად რთული საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ნორმალური არსებობის აუცილებელი პირობაა. სხვა საქმეა, რა ადგილი და მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭრობას ამ საზოგადოების დანარჩენი, არაეკონომიკური სექტორებისა და სუბსისტემებისათვის. წერილობითი წყაროების მიხედვით ბერძნული საზღვაო ვაჭრობის ერთ-ერთ უმთავრეს

ფიგურას ნავკლერი წარმოადგენდა. კლასიკური ხანის ვაჭრობა, რომლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ქალაქის მომარაგება, წარმოებდა მეტად ერთგვაროვანი ფორმებით. ნავკლერი ანუ ზღვის ვაჭარი მოქმედებდა კერძო ინიციატივით, მოჰქონდა ქალაქში მისი მომარაგებისათვის საჭირო პროდუქცია და აქ აბარებდა ადგილობრივ ვაჭრებს [იხ. Velissaropoulos 1980: 3]. ელინისტურ მონარქიებში პირიქით, სახელმწიფო თამაშობდა აქტიურ როლს საზღვაო ვაჭრობაში. სწორედ ის აძლევდა ნავკლერს სახელმწიფოს კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებას. ძვ.წ. III ს-მდე სახელმწიფო მნიშვნელობის გადაზიდვები ეფუძნებოდა სავაჭრო გარიგებებს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ხაზინასა და, მეორე მხრივ, ნავკლერსა შორის [იხ. Gomme 1945: 187-188, 368-370].

არქაულ ეპოქაში ვაჭრობა, როგორც ჩანს, კონცენტრირებული იყო მდიდარ და საშუალო მინათმფლობელთა ხელში, რომლებიც ფლობდნენ როგორც საქონელს, ასევე ტრანსპორტირების საშუალებებსაც (გემებს). ამ სახის ვაჭრობა წარმოადგენდა მხოლოდ ძირითადი სამეურნეო საქმიანობის თანმხლებ, პარალელურ მოქმედებას. ვაჭრობაზე, როგორც ჩამოყალიბებული სახის პროფესიაზე, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ კლასიკური ხანისათვის [იხ. Hasebroek 1923: 393-425]. ანტიკურ ხანაში არ არსებობდა საერთაშორისო ნაოსნობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული რეგლამენტაცია. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ნაოსნობის თავისუფლება წარმოადგენდა. ეს მდგომარეობა არ წარმოადგენდა რაიმე სპეციალური დადგენილებებისა თუ ხელშეკრულების ნაყოფს. გარკვეულ სიტუაციებში სახელმწიფო თავისი მოქმედებებით ზღვაზე ხელს უწყობდა სავაჭრო გადაზიდვების უსაფრთხოებას. ერთ-ერთ ასეთ მოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს სავაჭრო გემების ესკორტირება საბრძოლო ხომალდების მიერ. ჩვეულებრივ ეს იყო ხორბლით ან რაიმე სხვა სტრატეგიული ტვირთით დატვირთული გემები [Gomme 1933: 16-24]. ელინისტური ხანის სახელმწიფოებში ჩნდება უკვე სპეციალური სამხედრო თანამდებობანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ხორბლით დატვირთული გემების მშვიდობიან მოგზაურობას. წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მონაცემების მოშველიება საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ეკონომიური ცხოვრება პოლისებში საკმაოდ ინტენსიურია. სახელმწიფოს ჩარევა სავაჭრო საქმიანობაში გამოიხატებოდა ძირითადად დაბეგვრის სფეროში, რომლის დროს ერთნაირი ოდენობით იბეგრებოდა (გავრცელებული იყო 2%-იანი გადასახადი), როგორც იმპორტირებული, ასევე საექსპორტო საქონელი [იხ. Casson 1984:23].

არქაული ხანიდან მოყოლებული, ბერძნული საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური, კულტურული აყვავების კვალდაკვალ დიდ გაქანებას იძენს ვაჭრობაც (რისი დადასტურებაცაა ის მრავალი არქეოლოგიური ნივთი, რომელიც მოპოვებულია უზარმაზარ ტერიტორიაზე ჰიბრალტარის სრუტიდან შავი ზღვის ჩათვლით). მაგრამ ბერძნული ვაჭრობის ფენომენი და მისი ძირეული განსხვავება ტრადიციული საზოგადოებებისაგან მდგომარეობდა მის კერძო ხასიათში და ის გარემოება, რომ ის წარიმართებოდა ინიციატივიანი ადამიანების მიერ. საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში მონაწილე პირებს ძირითადად ამოდრავებდა მაქსიმალური მოგების სურვილი, და არა საკუთარი წარმოების საქონლის გასაღების ბაზრის დაპყრობის ინტერესი.

შავიზღვისპირეთში ბერძნული სავაჭრო სისტემა მოვიდა შეხებაში ადგილობრივ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სამყაროსთან. ამ ურთიერთობებში გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივ ტრადიციული სამყაროს თავისებურებების გათვალისწინებით. ძვ.წ. VII ს-ის შუახანებიდან შავი ზღვის სანაპიროებზე არსდება პირველი ბერძნული კოლონიები. ბერძნული სამყაროს შავიზღვისპირეთთან ურთიერთობამ სრულებით შეცვალა მანამდე არსებული ვითარება. აქ არსებული მოსახლეობის უკვე ჩამოყალიბებულ სოციო-ეკონომიკურ სისტემაში შეიჭრა ახალი, თანაც მეტად დინამიური ელემენტი, რომელმაც ადგილობრივ ტრადიციულ სამყაროს ნიაღში მთელი რიგი ცვლილებები გამოიწვია. ამ ცვლილებების გამომწვევ ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) ფაქტორად სავაჭრო ურთიერთობების დამყარება უნდა ყოფილიყო. ახლადშექმნილი სიტუაციის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ერთმანეთთან შეხებაში შევიდა პრინციპულად სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ საწყისებზე აგებული

საზოგადოება — ერთის მხრივ, მეტად ორიგინალური და თვითმყოფადი ძველბერძნული ეკონომიკური სისტემა და, მეორეს მხრივ, ტრადიციული ადგილობრივი საზოგადოებები. ჩვეულებრივ ამა თუ იმ კულტურულ-ისტორიული გარემოს არქეოლოგიურ კონტექსტში უცხო წარმოშობის ნივთების გაჩენა აიხსნება სავაჭრო მექანიზმების მოქმედებით. გამონაკლისს ამ მხრივ არც შავიზღვისპირეთი წარმოადგენს, სადაც ბერძნული ხელოსნური წარმოების ნივთების აღმოჩენა ადგილობრივ სამოსახლოებზე და სამარხეულ კომპლექსებში ჩვეულებრივ ინტერპრეტირებულია, როგორც მონმობა ადგილობრივებთან ბერძნების უშუალო ან გაშუალედებული სავაჭრო კონტაქტების არსებობისა. შავი-ზღვისპირეთის სავაჭრო ურთიერთობების კვლევის ძირითად წყაროს არქეოლოგიური ძეგლები წარმოადგენენ, კერძოდ შავიზღვისპირეთის სამოსახლოებიდან თუ ნაქალაქარებიდან მომდინარე ნივთიერი მასალა.

ძველბერძნულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით (ევმელოს კორინთელი, ჰესიოდე და სხვ.), ოთარ ლორთქიფანიძემ გამოთქვა ვარაუდი ძვ.წ. VIII-VII სს-ის განმავლობაში ბერძნების კოლხებთან გარკვეული კონტაქტების არსებობის თაობაზე. ამ ფაქტის არაპირდაპირ არქეოლოგიურ მონმობად მას მიაჩნია ვანში ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამსხვერპლო მოედანზე აღმოჩენილი ტერაკოტული ფიგურები ორ-ორი თავით საპირისპირო მხარეებზე, რომლებიც უცნობია კოლხეთის სხვა არქეოლოგიური კომპლექსებისათვის, მაგრამ გააჩნიათ მრავალრიცხოვანი ტიპოლოგიური პარალელი ე.წ. *გეომეტრიული ხანის ბერძნულ სამყაროში* [ლორთქიფანიძე 1991: 156; ლორთქიფანიძე ოთ. 1990: 188]. იგი ასევე შესაძლებლად თვლის, რომ სწორედ ბერძნული წინასაკოლონიზაციო გავლენებით შეიძლება აიხსნას ბრინჯაოს რკალისებური ერთნილადი ფიბულების — ე.წ. *სუბმიკენური* ფიბულების ერთ-ერთი ნაირსახეობის — გავრცელება კოლხეთში. ასეთივე რიგის მონმობად მას მიაჩნია ამჯერად უკვე საბერძნეთში, კერძოდ, სამოსზე აღმოჩენილი კოლხური ტიპის ზოგიერთი ნაკეთობა (კერძოდ, ცხენზე მჯდომი ქალღმერთის ბრინჯაოს ქანდაკება, ზარაკები, აბზინდები [იხ. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე 1990: 176].

რეალური მონაცემები ბერძენ-აბორიგენული კონტაქტების შესახებ მაინც მხოლოდ კოლონიების დაარსების დროიდან ჩნდება. ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ერთ-ერთ უადრეს კოლონიად შესაძლებელია ყოფილიყო სინოპა. არქეოლოგიური მონაცემები ჯერჯერობით არ ადასტურებენ ამ ადრეული (ძვ.წ. VIII ს.) კოლონიის არსებობის რეალობას [იხ. შეადარე - Hind 1988: 207; Huxley 1990: 196-201]. გარდა სინოპესი, ადრეულ ბერძნულ კოლონიებს შავიზღვისპირეთში წარმოადგენდნენ *ბერეზანი* და *ისტრია* [იხ. Копейкина 1979: 106-113; Доманский და სხვ. 1978: 72-74; Виноградов და სხვ. 1990: 76-83; Alexandrescu 1962: 49-69]. შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ადრეულ დასახლებათა რიცხვს პირველ რიგში მიეკუთვნება აპოლონია, რომელიც გათხრების შედეგადაც დასტურდება [იხ. Лазаров 1981: 61]. ძვ.წ. VI ს-დან, როდესაც ბერძნული საკოლონიზაციო მოძრაობა თავისი განვითარების მწვერვალს აღწევს, არსდება დღეს ჩვენთვის ცნობილი ახალშენების უმრავლესობა, გაცილებით უფრო ინტენსიური ხდება ურთიერთობა ზღვისპირა ბერძნებსა და ჰინტერლანდის სიღრმეში დასახლებულ საზოგადოებებს შორის. ამ ურთიერთობების პირველი ორი საუკუნე წარმოადგენს ერთგვარად ფორმატიულ პერიოდს, რომელიც ხასიათდება სხვადასხვა სახის კონტაქტების ინტენსივობის თანდათანობითი ზრდით, რამაც საბოლოო ჯამში შედეგად ბერძნულ-აბორიგენული ვაჭრობის გაფურჩქვნა გამოიწვია.

კოლხეთში ბერძნული იმპორტის ყველაზე ადრეული ნიმუშები (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო – VI ს.) წარმოდგენილია მეტად მცირე რაოდენობით და ისიც უმეტესწილად ზღვისპირა ზოლის კოლხურ ნამოსახლარებზე (ბათუმის ციხე, ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ფოთთან — სიმაგრე, ოჩამჩირე, ეშერი). უცხოური ნაწარმი წარმოდგენილია *ქიოსური*, *ლესბოსური* და *სამოსური* ამფორებით. გარდა ამფორული ტარისა გამოვლენილია ე.წ. მოხატული ჭურჭელიც, რომელიც წარმოდგენილია როგორც აღმოსავლურ ბერძნული კერამიკით (როზეტებიანი თასები, ფიკელურას სტილის ჭურჭელი, იონიური ზოლებიანი კერამიკა), ასევე ძვ.წ. VI ს-ის მესამე მესამედით დათარიღებული ატიკური შავფიგურული კერამიკით

[იხ. კახიძე 1971; კახიძე, ხახუტაიშვილი 1989: 75-88; ლორთქიფანიძე 1966: 73-75; ლორთქიფანიძე 1979: 155; მიქელაძე 1978: 62-67; კალანდაძე 1954: 38; Трапш 1955: 221-230; Шамба Г. 1983: 33-37; Шамба Г., Шамба С. 1985]. არაკერამიკული იმპორტიდან შეიძლება დასახელდეს მხოლოდ ერთი ნივთი — არწივის გამოსახულებიანი ბრინჯაოს ფარის გარსაკრავი, რომელიც, როგორც ჩანს, იონიური წარმოშობისაა [იხ. კვიციანი 1981: 11]. კოლხეთის შიდა რაიონებში არქაული იმპორტი მეტად მწირი რაოდენობით გვხვდება და წარმოდგენილია გვიანარქაული ხანის ქიოსური და ლესბოსური ამფორების ფრაგმენტებით (მაგ.: გურიანთა, ვანი, დაბლაგომი), აღმოსავლურ-ბერძნული მოხატული ჭურჭლის ორი ფრაგმენტით (სამოსური წარმოების ფიკელურას სტილის ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრის ვაზა ჭოგნარიდან ქუთაისის მახლობლად და ამავე საუკუნის პირველი ნახევრის ქიოსური თასი ვანიდან), ატიკური წვრილფიგურული კილიკებით (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო მესამედი) ვანიდან [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1983: 9; ლორთქიფანიძე 1966: 73-75; ლორთქიფანიძე ოთ. 1979: 156; ვაშაკიძე 1971: 18; კაჭარავა 1990: 309; ფუთურიძე 1990: 306]. გვიანარქაული ხანისაა ვანში აღმოჩენილი ბეჭედ-საბეჭდავები [ლორთქიფანიძე მარ. 1975: 116]. არქაული იმპორტი აღმოსავლეთ საქართველოშიც აღწევს. ე.წ. ფიკელურას სტილის სამოსური ვაზის ფრაგმენტი აღმოჩენილია სოფ. ავლევი (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი), ხოლო ძვ.წ. VI ს-ის ბოლო მეოთხედის შავფიგურული კილიკი — ხოვლევი [ლორთქიფანიძე 1966: 72, 80].

კოლხეთში კლასიკური ხანის იმპორტი უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. ფართოვდება მისი გავრცელების არეალი და ახლა უკვე მაღალმთიან რაიონებშიც აღწევს (მაგ. ბრილი). რიცხვობრივად კვლავ გაბატონებულია ამფორები — ქიოსური, ლესბოსური, პროტოთასოსური, თასოსური და მისი წრის ნაწარმით. შემოდის ატიკური მოხატული და შავლაკიანი ჭურჭელი, იონიური ზოლებიანი, თასოსური წარმოშობის ლეკითოსები [დანვრ. იხ. ვაშაკიძე 1971: 18; ვაშაკიძე 1982: 79-82; კალანდაძე 1954: 38; კახიძე 1971ბ; კახიძე 1975: 12; კახიძე 1981: 43; კახიძე, ხახუტაიშვილი 1989: 79-89; ლორთქიფანიძე 1966: 80-85; ლორთქიფანიძე 1979ა: 159-168; ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1983; მიქელაძე 1978: 74-76; ნადირაძე 1975: 27, 141; ნადირაძე 1990: 39-41, 57; გამყრელიძე 1982: 87-89; სიხარულიძე 1985: 9-22; სიხარულიძე 1987: 51-108; სიხარულიძე 1988: 62-71; Трапш 1969: 242; Шамба Г., 1980: 21-22; Шамба С. 1988]. ჩნდება სხვა სახის იმპორტიც: პოლიქრომიული მინის ჭურჭელი ვანიდან, ფიჭვნარიდან, საირხედან, ბრილიდან [იხ. ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1983: 79-87; ჩხაიძე 1974: 34-38; ჩხაიძე 1979: 38-40; ნადირაძე 1990: 42-44], ლითონის ჭურჭელი ვანსა და ფიჭვნარში [გიგოლაშვილი 1990: 316-320; კახიძე 1975: 26-29; კახიძე 1987: 47-50; ლორთქიფანიძე და სხვ. 1983: 89-91], აგრეთვე გლიპტიკის ნიმუშები [იხ. ლორთქიფანიძე მარ. 1975: 116; ლორთქიფანიძე და სხვ. 1983: 91-96]. ბერძნული მონეტები კოლხეთში გვხვდება უმეტესწილად ზღვისპირა ზოლში, თანაც უმთავრესად სანაპიროს სამხრეთ ნაწილში (ბათუმ-ქობულეთ-ფიჭვნარის მონაკვეთზე). ესენია: ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრისა და შუა ხანების ქიზიკური მონეტები (3 ცალი); ძვ.წ. V-IV სს-ის ათენური ტეტრადრაქმა; ძვ.წ. 475-45 წწ. ვერცხლის პანტიკაპეური მონეტა; ძვ.წ. VI-V სს. სინოპური დრაქმა. კოლხეთის შიდა რაიონებში უცხო მონეტების აღმოჩენის ფაქტები ცოტაა.

კოლხეთში უცხოური ნაწარმის შეღწევის სურათი შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად: ყველაზე ადრეული იმპორტული ნივთები განეკუთვნებიან ძვ.წ. VII ს-ის ბოლოს — VI ს-ის პირველ ნახევარს და წარმოადგენენ აღმოსავლურ-ბერძნული სახელოსნოების ნაწარმს. ძვ.წ. VI ს-ის ბოლო მესამედში კოლხეთში შემოსვლას იწყებს ატიკური იმპორტი, რომელიც ძვ.წ. V ს-ისათვის გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს. ამ მასალათა უმრავლესობა დაფიქსირებულია ფიჭვნარში, სადაც ბერძენ მოახალშენეთა სამაროვანია დაფიქსირებული და ზღვისპირა ზოლის იმ ძეგლებზე, რომლებიც განლაგებულია ბერძნული კოლონიების სავარაუდო ადგილმდებარეობის მახლობლად. კოლხეთის შიდა რაიონებში იმპორტი დაფიქსირებულია ძირითადად ადგილობრივი წარჩინებულების სამარხებში (მაგ.: ვანი, საირხე, ითხვისი). ნამოსახლარებზე მისი რაოდენობა უმნიშვნელოა და გვხვდება მხოლოდ მსხვილ სამოსახლოებზე (მაგ.: ვანი, საირხე, ნამარხუ) ან მის გარშემო განლაგებულ

ტერიტორიებზე. მომდევნო ხანაში გრძელდება გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ელინისტურ სამყაროსთან [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 117-137]. ელინისტურ ხანაში მკვეთრად იცვლება შემადგენლობა იმ ქვეყნებისა თუ ცალკეული სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებისა, რომელნიც ახორციელებდნენ ეკონომიკურ ურთიერთობებს კოლხეთთან. შესამჩნევად მცირდება ათენის სავაჭრო აქტივობა. სამაგიეროდ ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან კოლხეთთან ურთიერთობაში თანდათანობით წამყვან ადგილს იკავებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქები, განსაკუთრებით კი — სინოპა. ძვ.წ. IV-I სს-ში სინოპის იმპორტს კოლხეთში აშკარად დომინირებული მდგომარეობა უკავია: სინოპური ამფორების (ზეითუნის ზეთი რომ შემოჰქონდათ), ლუთერებისა და კრამიტის ფრაგმენტები აღმოჩენილია კოლხეთში თითქმის ყველგან — როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე შიდა ოლქებშიც. სინოპეს გარდა კოლხეთთან სავაჭრო ურთიერთობა აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კიდევ ერთ ბერძნულ ქალაქს — პერაკლევას. კოლხეთში ნაპოვნია ქიოსისა და თაზოსის ამფორები [ლორთქიფანიძე 2002: 214]. ძვ.წ. III-I სს-ში კოლხეთთან სავაჭრო ურთიერთობა აქვს კუნძულ როდოსს, რასაც მოწმობს როდოსის, კოსისა და კნიდის ამფორების აღმოჩენები. ძვ.წ. III-I სს-ში კოლხეთში ვრცელდება შავი და წითელლაკიანი კერამიკა და სხვა ნაწარმი მცირე აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრებისა (პერგამონის, სამოსის, ალექსანდრიისა და სხვ.). მცირეაზიური იმპორტი ამ დროს გვხვდება კოლხეთის ზღვისპირა და შიდა რაიონებში (განსაკუთრებით მრავლად — ვანში). საინტერესოა, რომ ადრეანტიკური ხანიდან მოყოლებული კლხური იმპორტის ნიმუშები თავს იჩენს ჩრდილო შავიზღვისპირეთში. კერძოდ, ბოსფორის ქალაქებში ნიმფეონსა და პანიტიკაპონში აღინუსხება კოლხური ქვევრების აღმოჩენის შემთხვევები [იხ. Худяк 1940: 22-23; Скуднова 1952: 238-240; Зеест, Марченко 1962: 154; Гайдукевич 1952: 46; Гайдукевич 1981: 70; ლორთქიფანიძე 1977]. ადრეელინისტური ხანიდან ჩრდილო შავიზღვისპირეთში კოლხურ ქვევრებს ამფორები ცვლიან, ე.წ. ყავისფერკეციანი კოლხური ამფორები კერამიკულ მასალებში ცალკე გამოიყო [იხ. Зеест 1951: 114-115; Зеест 1960: 108, XXVI⁵⁹; ლორთქიფანიძე 1966: 175; ფუთურიძე 1971: 197; ფუთურიძე 1977: 69; Брашинский 1980: 32; Брашинский 1976: 70-71, სურ. 2; Алексеева 1984: 34, სურ. 8₁₃, 12₁₄; Лейпунская 1984: 115-116]. კოლხური ამფორების ჩრდილო შავიზღვისპირეთში შეტანის მწვერვალია ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი.

ამდენად, ძვ.წ. IV ბოლოდან თუ III ს-ის დასაწყისიდან კოლხური იმპორტი ვრცელდება გაცილებით ფართო არეალში, ვიდრე ადრინდელ ხანაში. კოლხეთის ჩრდილო შავიზღვისპირეთთან ვაჭრობის საშუამავლო რგოლად შესაძლოა, რომ ბერძნები, კონკრეტულ შემთხვევაში კი სინოპელები მივიჩნიოთ [იხ. Максимова 1956: 71; Брашинский 1963: 132-145]. სინოპი დაარსებისთანავე საგანგებო ინტერესს იჩენდა კოლხეთის მიმართ და მისი საკოლონიზაციო მოძრაობა საბოლოო ჯამში სწორედ კოლხეთზე იყო გამიზნული. სინოპის მეტად ძლიერ ეკონომიკურ პოზიციებზე კოლხეთში მეტყველებს სინოპის იმპორტის უპირატესი მდგომარეობა ძვ.წ. IV ს-დან [იხ. ლორთქიფანიძე 1979: 193; Брашинский 1973: 182, 185], და, რაც მთავარია, სინოპური ნიმუშების გავლენა ამფორებისა და კრამიტის კოლხურ ნარმოებაზე [იხ. კახიძე 1971ბ; ინაძე 1982: 214-215]. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სინოპური საქონლის შემოტანა ჩრდილო შავიზღვისპირეთში იწყება ძვ.წ. V ს-დან. არსებობს მოსაზრება, ძვ.წ. IV ს-დან კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობებში ხმელთაშუაზღვისპირეთთან სწორედ სინოპელი ვაჭრების შუამავლობის შესახებ [იხ. ინაძე 1968: 189; Брашинский 1973: 189].

მომდევნო პერიოდში, ძვ.წ. IV-III სს-ში სინოპის ექსპორტის მთავარი შემადგენელი ნაწილი ხდება თხევადი პროდუქციის, განსაკუთრებით ზეთუნის ზეთის ტრანსპორტირება ამფორებით და პითოსებით [Брашинский 1963: 136-137]. ყველაზე მაღალ დონეს სინოპური ექსპორტი აღწევს ძვ.წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედში და III ს-ის პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში, ე.ი. ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც შეიმჩნევა კოლხური ექსპორტის ზრდა. სინოპური ექსპორტის დაცემას ემთხვევა კოლხური ამფორების აღმოჩენის რიცხვის

შემცირება ჩრდილო შავიზღვისპირეთში ძვ.წ. II ს-ის განმავლობაში. მოყვანილი პარალელები საკმაოდ მეტყველად მიგვაჩნია და სრული უფლება გვაქვს დავაყენოთ საკითხი სინოპელი ვაჭრების საგანგებო როლზე ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან ურთიერთობაში.

რომაული ნანარმი საქართველოში.[©] საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. I ს-ის 60-იან წლებში რომაელი მეომრები პომპეუსის მეთაურობით გამოჩნდნენ. აქ რომს ეკონომიკურ-სტრატეგიული გამორჩენა იზიდავდა — ახალი სავაჭრო გზები და ურთიერთობები; კავკასიის თავისი გავლენის სფეროში მოქცევა. რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კომუნიკაციები აუცილებელი იყო პართიის მსგავს ძლიერ სახელმწიფოსთან ქიშპობისას. ანტიკური ხანის საქართველოს (კოლხეთ-იბერიას) გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია ეკავა. რომაელებს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ადგილობრივების სამეურნეო-ეკონომიკურ ბაზარესურსებზე და კომუნიკაციურ-საგზაო მდგომარეობაზე. მიუხედავად ძლევამოსილებისა, პირველ ეტაპზე, რომმა ვერ მოახერხა შიდა კოლხეთის დამორჩილება. ეს ვერ მოხერხდა ვერც არისტარქეს, ვერც მითრიდატე პერგამონელის და ვერც პოლემონის ხელით. რამდენადმე გამართლდა ლუკულუსის წინასწარმეტყველება, რომელიც აღნიშნავდა — *ამ მხარის დამორჩილება ძალიან ძნელიაო* (იხ. პლუტარქე, *ლუკულუსი*, 14).

იბერია-კოლხეთი თავისი ხეობებით, მთებით, სწრაფი, ძნელად გადასალახი მდინარეებით უღრანი ტყეებით — ადვილად დასამორჩილებელი არ უნდა ყოფილიყო. ზღვისპირეთისათვის კი რომაელები გარკვეული კონტროლის განწევას ახერხებდნენ. ამაში მათი ძირითადი საყრდენი უნდა ყოფილიყო სანაპირო ქალაქები რომლებშიც, შიდა კოლხეთისაგან განსხვავებით, ანტიკური სამეურნეო-კულტურული გავლენა შედარებით ძლიერი იყო. კოლხეთის ზღვისპირეთი ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა რომს თავისი გავლენის დასამყარებლად კავკასიაში, მცირე აზიასა და ბოსფორში. რომმა — იმ დროისათვის მაღალგანვითარებულმა სახელმწიფომ, რამდენადმე დადებითი როლიც ითამაშა. კერძოდ ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო იმ დროისათვის მონივნვე რომაულ კულტურას და გამოჩნდა რომაული სავაჭრო კაპიტალიც. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული დასახლებების სახით კლასიკური ტიპის კანაბები არ წარმოქმნილა. დიოსკურია-სებასტოპოლისსა და აფსაროსში რომაული სამხედრო შენაერთების სამოქალაქო დასახლების ფუნქციას ასრულებდა ადგილობრივი საქალაქო ცენტრები; პიტიუნტისა და ფასისის კასტელუმებთან კი არსებობდა ვიკუსის კატეგორიის რომაული მცირე სავაჭრო-სახელოსნო დასახლებები, რომელთა მოქმედების არე კონკრეტული სანაპირო ზოლით შემოიფარგლებოდა.

პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის ორგანიზაციული ჩამოყალიბებისა და გარნიზონთა რიცხოვრივ ზრდასთან ერთად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ნანარმი (კერამიკის, მინის, ლითონის ნაკეთობები, სამკაულები) გავრცელდა, რომელთა შორის მცირე აზიის რომაული ცენტრების ნანარმი სჭარბობდა. უცხოური პროდუქციის ტრანსპორტირება უპირატესად საზღვაო გზით ხორციელდებოდა. ის ძირითადად ორიენტირებული იყო რომაული სამხედრო შენაერთების მომარაგებაზე. რომაული გარნიზონების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება კი ცენტრალიზებულად II-III სს-ში ტრაპეზუნტიდან, ხოლო IV ს-ში კი — ანტიოქიიდან ხდებოდა. ზღვისპირა კოლხეთში რომის გარნიზონების დისლოკაციის შედეგად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ჩაერთო რომაული სამყაროს სისტემაში. უწინარეს ყოვლისა ეს პროცესი კოლხეთ-იბერიაში იმპორტული ნანარმის გავრცელებაში აისახა. რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრებიდან ძველი საქართველოს შავიზღვისპირეთში შემოტანილი უცხოური პროდუქცია სხვადაცხვა სახისაა. კერძოდ, არქეოლოგიურად დასტურდება — კერამიკა, მინის ნანარმი, ლითონის

© გ. გამყრელიძე

ჭურჭელი, სამკაულები და სხვ. მაგ. ერთ-ერთი დამახასიათებელი არტეფაქტია იტალიკური წარმომავლობის ფიბულები — ე.წ. ავცისები. მათი მსგავსი მუხლსახსრიანი ლითონის ფიბულებისათვის დამახასიათებელია — ბრტყელი და განიერი რკალი, რომელიც ბოლოვდება შვერილით, რომლის ქვემოთაც მილაკისებურად თავშეხვეული ბუდეა ნემსისათვის ჩამოშვებულია. ამ ტიპის ფიბულები (ზოგჯერ ლათ. წარწერიანი) გავრცელებულია რომაულ პროვინციებში. საქართველოდან ამგვარი ფიბულები ცნობილია სოფ. ლიადან (№4 სამარხ.), *სტეფანწმინდიდან*, შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ნამოსახლარებიდან [იხ. ნითლანაძე 1973: 67-71. სულავა 1996: 30]. ე.წ. ერთნილადი ბუდეაბმული ბრინჯაოს ფიბულები აღმოჩენილია ბიჭვინთაში [თოდუა 2003: 65] ნებელდაში [Воронов და სხვ. 1982: 22], ურბნისში [აფხაზავა 1979: 9]. მინანქრიანი ე.წ. დისკოსებური ბრინჯაოს ფიბულა აღმოჩენილია კლდეეთში [ლომთათიძე 1957: 107-108 ტაბ. III]. ვერცხლის ფიბულა დელფინის გამოსახულებით აღმოჩენილია ბიჭვინთის №414 სამარხში [ლორთქიფანიძე გ. 1991: 138].

ე.წ. იტალიკური წარმომავლობის ამფორები აღმოჩენილია გონიოში [იხ. ხალვაში 2002: 24]; სოხუმში [აფაქიძე, ლორთქიფანიძე 1965: 120-121] ბიჭვინთაში [ბერძენიშვილი და სხვ. 1975: 254]. ზღვისპირეთში აღმოჩენილი ამფორის ფრაგმენტების უმრავლესობა *სინოპური* თიხის მსგავსია. მათი თიხა ღია მონაცრისფროა და თან ოდნავ იისფერი დაჰკრავს. ამგვარი თიხის ამფორები ძირითადად წარმოდგენილია ძირების, კედლების და ყურების სახით. უმეტესობისათვის დამახასიათებელია ტანის დაღარულობა. სინოპურის მსგავსი თიხის ამფორებში ფორმის მიხედვით გამოიყოფა რამოდენიმე ჯგუფი. ამგვარი თიხისნაირი ამფორები აღმოჩენილია — *ბიჭვინთაში*, *სოხუმში*, *ოჩამჩირეში*, *გუდავაში*, *ციხისძირში*, *ნებელდაში*, *ფოთში* და სხვ. ცალკე გამოიყოფა ღია მოყავისფრო-მონითალოდ გამომწვარი ამფორები, რომლებსაც კარგად განლექილი თიხა აქვთ. ისინი საშუალო ზომის ამფორებს მიეკუთვნებიან. ამნაირი ამფორები ნანახია ბიჭვინთაში, ციხისძირში. მსგავსი ამფორები აღმოჩენილია ათენის აგორაზე. არის გოფირებული ამფორების ნახევარსფეროსებური ძირები, რომლებსაც წვერზე პატარა ბურცობები აქვთ. მათი თიხა ძირითადად მოყავისფრო-მონითალოა. ამგვარი ძირები *ბიჭვინთაში*, *ნებელდაში*, *სოხუმში*, *ციხისძირში* და *ფოთში* არის ნაპოვნი. კერამიკულ ტარაში ცალკე გამოიყოფა მოყავისფროდ გამომწვარი ამფორები ქარსის უწვრილესი მინარევებით. ამგვარ ამფორებს გრძელი და ვიწრო ყელი აქვს; პირის კიდეზე ლილვისებური ნიბო დაუყვება. ყურები პირის კიდესთან ახლოა და ჰორიზონტალურად არის მიმაგრებული. ხსენებული სახის ამფორები ჰგავს ჩრდილო შავიზღვისპირეთის ნაქალაქარებზე II-III ს-ის ფენებში ნანახ ამფორებს. აღმოჩენილია ე.წ. ორმაგყურიანი კოსურკორპუსიანი ამფორები, რომლებიც აგრეთვე რომაულ სამყაროს უკავშირდება. ისინი დადასტურებულია *გონიოში* [იხ. ხალვაში 2002: 21-23]; *სოხუმში* [Трапш 1971: 323]; ბიჭვინთაში [ლორთქიფანიძე 1991: 82]. ამფორები, მცირე ზომის ვიწროყელიანი მოკლე კორპუსით შედრეკილი და ამობურცული პატარა ქუსლით; თიხა მოიასამნისფრო; სინოპური წარმოების; აღმოჩენილია სოხუმში [აფაქიძე და სხვ. 1965: 119], ბიჭვინთაში [ბერძენიშვილი და სხვ. 1975: 257], გონიოში [ხალვაში 2002: 37], ფოთში [გამყრელიძე 1987: 98-117].

ამფორები, დიდი ზომის — ლილვაკიანი პირითა და ცილინდრული ყელით ე.წ. კვერცხისებური კორპუსით და კონუსური ძირით (სინოპური?) — აღმოჩენილია ბიჭვინთაში [ბერძენიშვილი და სხვ. 1975: 261-263], სოხუმში [აფაქიძე და სხვ. 1965: 119], გონიოში [ხალვაში 2002: 38-39], ფოთში [გამყრელიძე 1987: 98-117]. ე.წ. ძაბრისებრპირიანი ამფორები ცილინდრული მოყვანილობის დაბალი ყელით (როდოსული წარმოების) აღმოჩენილია გონიოში [ხალვაში 2002: 27-28 ტაბ. VIII, 2] ბიჭვინთაში [ბერძენიშვილი და სხვ. 1975: 268 სურ. 58]. ამფორები ვიწროყელიანი ღია ფერის სინოპური. აღმოჩენილია ბიჭვინთაში [ბერძენიშვილი და სხვ. 1975: 256-259], სოხუმში, ფოთში [გამყრელიძე 1992: 38], გონიოში [ხალვაში 2002: 38-39]. IV-V სს-ით თარიღდება. ამფორები ტანდაღარული ვიწრო ყელიანი ბრტყელგანივკვეთიანი ყურები და კონუსური ძირი; კეცი მონითალო-მოყავისფრო; სამოსური; აღმოჩენილია ბიჭვინთაში [ბერძენიშვილი და სხვ. 1975: 273-275],

სოხუმში, გუდავამი [ზამთარაძე 1979: 72], ფოთში [გამყრელიძე 1992: 38]; თარიღდება IV ს-ით. ამფორები ლილვისებური მოყვანილობის პირით ვინრო ცილინდრული ფორმის ყელით; კორპუსი გოფირებული; კეცი ნარინჯისფერი. დასავლეთ მცირე აზიური. აღმოჩენილია გონიოში [ხალვაში 2002: 46-47 სურ. 38], ციხისძირში [ინაიშვილი 1993: 55], ბიჭვინთაში [ბერძენიშვილი და სხვ.1975: 273]; IV ს-ით თარიღდება. ამფორები ყელნიბოიანი; კეცი მონითალო; ხმელთაშუაზღვისპირული; აღმოჩენილია სოხუმში, ბიჭვინთაში, ფოთში [გამყრელიძე 1987: 98-117].

ახ.ნ. I ს-ის ნითელლაკიანი თხელკედლიანი ჯამები, ე.წ. *პერგამონული*, აღმოჩენილია ბიჭვინთის ნაქალაქარზე, სოხუმში, ვანში [იხ. მათიაშვილი 1977: 50; ბერძენიშვილი 1963: 109; ფუთურიძე 1965: 33]. ჯამები ნითელლაკიანი პირგადაშლილი დაბალი და მრგვალი ქუსლით; დასავლურ შავიზღვისპირული; აღმოჩენილია ბიჭვინთაში [ლორთქიფანიძე 1962: 247 სურ. 16], სოხუმში [Трапш 1969, ტაბ. XVI₁₄], ციხისძირში [ინაიშვილი 1993: 60]. ჯამები ნითელლაკიანი პირფართო ღრმა ძირისკენ ოდნავ დაქანებული კალთებით; ხმელთაშუაზღვისპირული; აღმოჩენილია ბიჭვინთაში [ლორთქიფანიძე 1962: 242-244 სურ. 10], ციხისძირში [ინაიშვილი 1993: 60]. ლუთერიები მომრგვალებულ ზედაპირიანი ჰორიზონტალურად გადაშლილი პირით; კეცი მოიასამნისფერო; სინოპური; აღმოჩენილია გონიოში [ებრაღიძე 2002: 91 სურ.2], სოხუმში [Трапш 1969: 308 ტაბ. XVIII], ბიჭვინთაში [რამიშვილი 1963: 81], ფოთში [გამყრელიძე 1987: 98]. ლუთერიები სამკუთხაგანიკვეთიანი გარეთკენ გადაშლილი პირით; კეცი მონითალო-მოყავისფრო (ჰერაკლეა?); აღმოჩენილია გონიოში [ებრაღიძე 2002: 91 სურ.3₁₋₂]. ე.წ. იტალიკური თიხის ჭრაქი, რომლის საპატრუქზე მაღალფეხიანი ცალყურა ჭურჭელი და პილუმია გამოსახული; აღმოჩენილია გონიოში [ლორთქიფანიძე და სხვ. 2002: 170]. ეროტიკული სიუჟეტით შემკული ანალოგიური ფორმის ჭრაქი; იტალიკური; აღმოჩენილია გონიოში [Braund 1994: 184].

უცხოეთიდან შემოტანილი არქეოლოგიური მასალის კიდევ ერთ ჯგუფს ქმნის მინის ნაწარმი. თეთრი “ძაფებით” შემკული მომწვანო ფერის მინის ახ.ნ. I ს. თასი; სირიული ნაწარმი; აღმოჩენილია ურბნისოს ნაქალაქარზე [იხ. საგინაშვილი 1970: 16-17]. მოლურჯო ფერის მინის სანელსაცხებლები; ე.წ. კოლბისებური და კონუსისებურმუცლიანი, მაღალყელიანი; სირიის პროდუქცია; დადასტურებულია მცხეთაში და ურბნისში; დათარიღებულია ახ.ნ. I-II სს-ით [ლორთქიფანიძე 1968: 75]. კოლბისებური ფორმის ხორკლიანი მინის სანელსაცხებლები; მცირე აზიური; აღმოჩენილია ბიჭვინთაში №8 სამარხში [ლორთქიფანიძე გ. 1991: 140 ტაბ. XXI₃]. მომწვანო ფერის ოთხკუთხა და ბრტყელძირა მინის ფლაკონები; კიოლნის(?) ნაწარმი; აღმოჩენილია ბიჭვინთაში სამარხი №12 [ლორთქიფანიძე გ. 1991: 194]. მომწვანო ფერის წარწერიანი მინის სასმისი; სირიული; აღმოჩენილია გონიოში [იხ. შალიკაძე 2003: 80-81 სურ.1]. მინის მოცისფრო-მომწვანო კონუსურტანიანი სანელსაცხებლები; ჩრდილო იტალიკური; აღმოჩენილია კლდეეთში [ლომთათიძე 1957: 23 სურ.5₁]. სფერულმუცლიანი ბრტყელძირა და ძაბრისებურპირიანი მინის სანელსაცხებლები; აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირული. აღმოჩენილია ბიჭვინთაში [თოდუა 2003: 70]. IV ს. მინის სანელსაცხებლები წაგრძელებული ფორმის წრიული ძირითა და ცილინდრული ყელით; იტალიკური; აღმოჩენილია სოხუმში [Трапш 1969: 342 ტაბ. VI₆], ბიჭვინთაში [თოდუა 2003: 71]. მომწვანო ფერის ოთხკუთხა ფორმის ცალყურა მინის სანელსაცხებლები; კიოლნი (?); აღმოჩენილია ბიჭვინთის ნაქალაქარზე [თოდუა 2003: 71 ტაბ. VI₅]. ამ პერიოდის მინის ნაწარმი ძირითადად ფეხიანი სასმისებით არის წარმოდგენილი. მინა ძირითადად გამჭვირვალეა და ლიამომწვანო ელფერისაა, მაგრამ მოცისფრო ფრაგმენტებიც გვხვდება. ასეთი მინის ნატეხები გათხრილია *ნებელდაში*, *გუდავამი*, *სოხუმში*, *ნოქალაქევში*, სოფ. *მთისძირში* და სხვ. მსგავსი ფეხიანი სასმისები IV-VIII სს-ით თარიღდება და ბევრია ნაპოვნი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა და შავიზღვისპირა ნამოსახლარებზე. ისინი, აგრეთვე, ნანახია სანაპიროდან დაცილებულ მცირე აზიის, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონებში. მინის ფეხიანი სასმისები საქართველოში დადასტურებულია *მცხეთაში*, *ურბნისში*, *რუსთავში*, *ჟინვალში*, *თბილისში*; *ბიჭვინთაში*, *სოხუმში*, *ნებელდაში*, *ოჩამჩირეში*, *გუდავამი*, *ციხისძირში*, *ვაშნარში*, სოფ. *მთისძირში*, *ვარდციხეში* და სხვა

ადრეული შუასაუკუნეების ნამოსახლარებზე. მათ ფერში და ფორმაში შეიმჩნევა განსხვავებები. სირიული წარმოშობის ე.წ. ხალიანი მინის ჭურჭელი აღმოჩენილია *სოხუმში და ბიჭვინთის* ნაქალაქარზე [თოდუა 2003: 74]. მეომრის რელიეფურ-გამოსახულებიანი IV ს-ის მინის სასმისი; ხმელთაშუაზღვისპირული; აღმოჩენილია ბიჭვინთაში [უგრელიძე 1987: ტაბ. XIII]. V ს-ის სასმისი მინისა ე.წ. ბადისებრორნამენტისანი; ხმელთაშუაზღვისპირული; აღმოჩენილია ბიჭვინთაში სოხუმში. სასარკმლე მინა მომწვანო ფერის ბრტყელი; რომის აღმოსავლური პროვინცია(?); აღმოჩენილია *ბიჭვინთაში, სოხუმში* [ჩხატარაშვილი 1978: 72-73], *ფოთში* [გამყრელიძე 2001: 98].

უცხოეთიდან შემოტანილი არქეოლოგიური მასალის საკმაოდ დიდ ჯგუფს ქმნის ლითონის არტეფაქტები: ახ.წ. II-ის მაღალყელიანი მუცელგამობერილი ბრინჯაოს სურები; სურების ყური ბოლოვდება მედუზა გორგონას თავის გამოსახულებით; სამხრეთ იტალიკური წარმომავლობის; აღმოჩენილია ნიჩბისში [იხ. ლორთქიფანიძე 1968: 78]. სამი ბრინჯაოს სურა, ე.წ. კვერცხისებურკოროპუსიანი, ვინროყელიანი და ე.წ. ნისკარტისებური ტუჩით. ძირზე წრიული ქუსლი აქვს მიჩილული. ერთი მათგანის ყურის ზედა ნაწილი შემკულია გედის თავის, ხოლო მეორე ხარის თავის გამოსახულებებით, მესამე კი ლომის თავით; სამხრეთ იტალიკური წარმოების; აღმოჩენილია ბორში [იხ. Придик 1914: 102-103] და მცხეთაში [ლორთქიფანიძე 1968: 86]. ახ.წ. I ს-ის ბრინჯაოს ცილინდრული სამელნე; აღმოჩენილია მცხეთაში [ლორთქიფანიძე 1968: 99]. ბატილუმები ბრინჯაოსი, ოთხკუთხა, მრგვალგანიკვეთიანი ტარით; სირიული ნაწარმი; აღმოჩენილია *არადეთში* [იხ. გაგოშიძე 1973: 77-79, სურ. 1-2]. ე.წ. იტალიკური წარმომავლობის ბრინჯაოს პატერები; აღმოჩენილია კლდეეთში [ლორთქიფანიძე 1957: 125], ბორში, მცხეთაში [ლორთქიფანიძე 1964: 213], ციხისძირში [ინაიშვილი 1993: 37]. ომფალოსიანი ვერცხლის პინაკი; რომაულ-პროვინციული ნაწარმი; მცხეთაში [აფაქიძე და სხვ. 1996: 16]. სამხრეთ-იტალიკური ახ.წ. II ს-ის ნაწარმი აღმოჩენილია ბორში [ლორთქიფანიძე 1968: 99]. ოქროთი დაფერილი რელიეფური მედალიონით შემკული ლანგარი ცენტრალურ ნაწილში ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით; ლანგარს ლილვაკისებური პირი და დაბალი ქუსლი; *გალიის* ნაწარმი; აღმოჩენილია ციხისძირში [იხ. ინაიშვილი 1993: 33]. კანელურებით შემკული დაბალქუსლიანი ბრინჯაოს თეფში; იტალიკური ნაწარმი; აღმოჩენილია ციხისძირში [ინაიშვილი 1993: 38]. ვერცხლის ლანგარი, რომლის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია მედალიონი ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით. ლანგარს ლილვაკისებური პირი და დაბალი ქუსლი აქვს; ახ.წ. II-III სს-ით დათარიღებული [იხ. მაჩაბელი 1976: 39]. რომაული წარმოების ვერცხლის თასი ანტინოეს გამოსახულებიანი მედალიონით შემკული; ტიხე-ფორტუნას ჰორელიეფით ცენტრში შემკული თასი; წვეროსანი მამაკაცის სკულპტურული ბიუსტით შემკული თასი. სამივე მცხეთაში არმაზისხევის ერისთავთა ნეკროპოლშია აღმოჩენილი და ახ.წ. II ს. ან III ს-ით თარიღდება [იხ. მაჩაბელი 1976; ლორთქიფანიძე 1968: 101]. იტალიკური წარმოების ბრინჯაოს ენობოები აღმოჩენილია კლდეეთში [ლორთქიფანიძე 1957: 119], ბორში [Придик 1914, ტაბ. V], მცხეთაში [აფაქიძე და სხვ. 1996: 9-10 ტაბ. XI, XII]. წრიული ფორმის, ჩამოსხმული ვერცხლის ახ.წ. II ს. სარკე; რომაულ-პროვინციული ნაწარმი; აღმოჩენილია ბიჭვინთაში [ლორთქიფანიძე 1991: 139 ტაბ. VIII_გ]. ორნაწილიანი ვერცხლის სარკე, რომელზედაც დიონისე და სხვ. გამოსახულებებია; ახ.წ. III ს. რომაულ-პროვინციული ნაწარმი; აღმოჩენილია მცხეთაში №905 სამარ. [აფაქიძე და სხვ. 1996: 11, ტაბ. XV].

რომაულ-იტალიკური წარმომავლობის არის ოქროსა და ვერცხლის, გემიანი ბეჭდები — ტიხე-ფორტუნას, ათენა-მინერვას, ნიკე-ვიქტორიას, მარსი-არესის, ჰელიოსის, ფორტუნა-ისიდას, პლუტონის, ასკლეპიოსის გამოსახულებებით; აღმოჩენილია *მცხეთაში, ბორში, ბოლნისში, საძვეურში, თბილისში* [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1954-56: 8-28]. ვერცხლის გემიანი ბეჭდები ხელის ჩამორთმევის გამოსახულებით; რომაულ-პროვინციული; აღმოჩენილია ბიჭვინთაში [მშვილდაძე 2005: 74]; ურბნისში [ჭილაშვილი 1964: 50]. ოქროს გემიანი ბეჭედი სამი გრაციის გამოსახულებით; რომაულ-პროვინციული; აღმოჩენილია ბიჭვინთაში [ლორთქიფანიძე 1991: 73]. III ს-ით თარიღდება. რომის აღმოსავლეთი

პროვინციიდან შემოტანილი ოქროს საყურე ბუდეში ჩასმული კონუსური ფორმის გრანატის ქვით; აღმოჩენილია ციხისძირში [ინაიშვილი 1993: 21-22].

ზემოთ განხილული უცხოური პროდუქციის გარდა, კოლხეთში წარმოდგენილია რომაული ნაწარმის ისეთი საინტერესო ნიმუშები, როგორცაა ოქროსი და ვერცხლის ფალერები. საქართველოში სამიოდე ასეთი ნიმუშია აღმოჩენილი. ერთი ესაა ბიჭვინთის №345 სამარხში დადასტურებული III-ის ვერცხლის სამკლავური (დმ. 9.2 სმ, მედალიონის დმ. 3 სმ) ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით. მეორე II ს. ოქროს ინკრუსტირებული გარსაკრავი (დმ. 13.5 სმ) გონიოს შემოგარენიდან. მესამე II ს. კლდეეთის №3 სამარხში აღმოჩენილი მახვილის ტარის — გემაა. მასზე გამოსახულია ღვთაება ვიქტორია და არნივი, რომელსაც ნისკარტით გვირგვინი უჭირავს. აქვე რომაული სამხედრო დროშაა აღმართული [იხ. თოდუა 2008: 138]. ფალერებათ იყენებდნენ აგრეთვე — ბეჭდებს, ბალთებს, სამაჯურებს, იარაღს, თასებს, სასმისებს და სხვა. იმპერიის ეპოქაში ფალერებით აჯილდოებდნენ არა მარტო ცალკეულ მეომრებს და სამხედრო ქვედანაყოფებს, არამედ პრორომაული ორიენტაციის ადგილობრივ მმართველებსაც. კოლხეთში ამგვარი ხასიათის ნივთებით რომაელები, თავის სამსახურში მყოფ ადგილობრივ წარჩინებულ პირებს აჯილდოებდნენ. მაგალითად: ტაციტუსის ცნობით, რომაელებმა მრისხანე ადგილობრივ მმართველებს საჩუქრად ვერცხლის ძვირფასი ლარნაკები მიართვეს (იხ. ტაციტუსი, *ანალები*, V, 31). იმავე ტაციტუსის ცნობით, რომაელებმა სედოხეზების მეფეს *ანიკეტის* გადმოცემისათვის აჯილდო შესთავაზეს ანუ მათთან პოლიტიკური სახის ვაჭრობა გამართეს (იხ. ტაციტუსი, *ანალები*, III, 48). “*პოლიტიკური სახის ვაჭრობის*” მექანიზმს შეიძლება დაუკავშირდეს საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში დადასტურებული რომაული მონეტებიც. ცნობილია, რომ ფულადი კომპენსირების გზით რომაელები არცთუ იშვიათად მიმართავდნენ პერიფერიული ქვეყნების მეთაურებისა თუ წარჩინებულთა მოსყიდვის პოლიტიკას, რომელიც რომის დიპლომატიის ერთ-ერთ ინსტრუმენტს შეადგენდა. რომაელები იმპერიის საზღვრებს არამარტო სამხედრო ძალით, არამედ მოქნილი დიპლომატიური ხერხებითაც აფართოებდნენ. იმპერიის საზღვრების მეზობლად მოსახლე ხალხებს ადგილობრივი დამოუკიდებელი მეფე-მთავრები განაგებდნენ. რომი დიპლომატიურ ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ამ მმართველებთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა, რამდენადაც იმპერიის წარმატებები, ზოგჯერ მათზე იყო დამოკიდებული. სასურველი მიზნების მიღწევისათვის, რომაელები დიპლომატიის სხვადასხვა მეთოდებს მიმართავდნენ: მოსყიდვას, დაშინებას, შანტაჟს, ზოგჯერ კი პროდუქციის ურთიერთგაცვლასაც.

II-IV სს. აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში იმპორტირებული პროდუქციის ერთი მცირე ნაწილი რომაული საინტენდანტო სამსახურის მიერ არის შემოზიდული. ასეთ საგანთა რიცხვს უნდა განეკუთვნოს არქეოლოგიურად შესწავლილ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ტარა და ე.წ. რომაული ნითელაკიანი კერამიკა. სამხედრო სამოსის ფიბულები, ფალერები, გემიანი ბეჭდები, რომლებზეც გამოსახულია რომაულისთვის დამახასიათებელი სტილის — არნივი, ლომი, კიბორჩხალა, მორიელი, კუ და სხვ. სავაჭროდ შემოსულ პროდუქციას რიცხვს უნდა განეკუთვნოს, ნაქალაქარების ტერიტორიაზე დადასტურებული მრავალფეროვანი რომაული მცირე აზიის მინის ნაწარმი, სამკაულები, სინოპური და სამოსური ტარა. ახ.წ. II-III სს. რომაული პროვინციული ნაწარმის ზრდით აღინიშნება, რაც ე.წ. პონტოს ლიმესის ჩამოყალიბებას უნდა უკავშირდებოდეს. ამ გამაგრებულ ფორპოსტთა ქსელის მომარაგება ერთიანი სისტემით ხდებოდა ტრაპეზუნტიდან, სადაც რომაელთა შავი ზღვის ფლოტის ძირითადი ბაზა იყო განლაგებული. ტრაპეზუნტი-სამოსატა-სატალას მონაკვეთი ძველი საქართველოს ზღვისპირა ცენტრებსაც უკავშირდებოდა და აქ განლაგებული რომაული მხედრობის მომარაგების საქმეში გარკვეულ როლს თამაშობდა. რომაელთა ეკონომიკური ინტერესების სფეროში ექცეოდა ის სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს კავკასიაზე გავლით დასავლური ქვეყნების სამყაროსათან აკავშირებდა. ცნობილია, რომ პომპეუსი საგანგებოდ იყო დაინტერესებული ამ გზაზე სავაჭრო ურთიერთობათა განხორციელების

შასაძლებლობების შესწავლით (იხ. პლინიუსი, NH, VI, 52). ახ.წ. I-II სს-ში იბერიის სამეფო გარკვეულ როლს ასრულებს რომის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში და მის მოკავშირედაც კი გვევლინება. ტაციტუსის და დიონ კასიუსის მიხედვით იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ ზოგიერთი ჩრდილოკავკასიური ტომები. იბერიის ხელისუფალნი აკონტროლებდნენ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზებს და გადასასვლელებს. მათვე შემოგვინახეს ცნობები იბერიის მეფეების პართელთა წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლების შესახებ.

ახ.წ. IV-VI სს.-ში. საქართველოს ზღვისპირეთის და აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის ურთიერთობები ფრიად ცვალებადია. ახ.წ. IV ს. დასასრულიდან ეს პროცესი შედარებით სტაბილურობას იძენს კოლხეთ-ლაზიკის (resp. ეგრისი, ქართული წერილობითი წყაროების) სანაპიროზე. ახ.წ. V ს. ბოლოდან ბიზანტიელებმა თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს კოლხეთის ზღვისპირა პუნქტებში — *ფასისში* (დღევანდელი ფოთი), *აფსაროსში* (დღევანდელი გონიო), *პეტრაში* (დღევანდელი ციხისძირი), *სებასტოპოლისსა* (დღევანდელი სოხუმი) და *პიტეუნტში* (დღევანდელი ბიჭვინთა). ამ გამაგრებული პუნქტების ხასიათი და ამოცანები დაახლოებით იგივე რჩებოდა, რაც I-IV სს-ში. მათ ევალეობდათ კავკასიის რეგიონის გაკონტროლება და ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შავი ზღვის სანაპიროზე. აღსანიშნავია, რომ VI ს-ში, განსაკუთრებით კი იუსტინიანეს ეპოქაში გარე სამყაროსთან კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები, რომაულ ხანასთან შედარებით შემცირებულია. ეს ფაქტი კი იუსტინიანეს მიერ აქ სავაჭრო მონოპოლიის დაწესებით უნდა აიხსნას. ამის შესახებ პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს: „*ლაზიკის (კოლხეთის) მინა-წყალზე, ..., იუსტინიანემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა ... ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისთვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რაიმე ეყიდინებინათ, მან ეგრეთწოდებული მონოპოლია შემოიღო*“ [იხ. გეორგიკა 1965: 21-22]. ამგვარ სანქციებს ბიზანტიასთან კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობების შეფერხება უნდა მოჰყოლოდა, რაც არქეოლოგიურ მონაცემებში აისახა.

ნავთობით ვაჭრობის შესახებ არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. ©

ქ. ფოთში არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მიკვლეულ ადგილ *ნატეხებში* გამოჩენულ ყურადღებას იპყრობს სამი ამფორის ქვედა ნაწილი და ამავე ტიპის ამფორების სხვა ფრაგმენტები. მოცემული ტიპის ამფორების ფსკერზე დადასტურდა ბიტუმისებური მოშავო ფერის ნალექი მასა. მისი ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული ნალექი შეიცავს ნავთობპროდუქტის ნახევრად მყარ ასფალტ-ფისოვან ნარჩენებს. დროთა განმავლობაში ნავთობის მსუბუქი ფრაქციები, როგორც ჩანს, ამფორის დაზიანებისას ამოქარდა, ხოლო მძიმე ფრაქციების დაჟანგვის შედეგად და ინერტული ნაერთების შერევით იქცა ასფალტ-ფისოვან მასად (ანალიზი ჩაატარა აკც-ს ინტერდისციპლინარულმა განყოფილებამ, ხელმძღვანელი გ. ინანიშვილი). ადგილი *ნატეხები*, სადაც აღნიშნული ამფორები დაფიქსირდა, მდებარეობს ქ. ფოთის სამხრეთ მხარეს, ზღვის შესართავიდან (მალთაყვა) კილომეტრზე, კაპარჭინას გადმოღმა *პალიასტომის* ტბის მცირე ყურეში [დანვრ. იხ. გამყრელიძე 1987: 97; გამყრელიძე 1998: 22].

ნავთობის ნალექიანი ამფორების ტიპის სამი მთლიანი ეგზემპლარი ტბაშიც აღმოჩნდა (ინახება ქ. ფოთის მუზეუმში). საერთოდ, ამ ტიპის ამფორები 0,50-0,65 მ სიგრძისაა და გამოირჩევა ნაგრძელებული ფორმით, კონუსისებური ქუსლით, ტანზე ქვედა მხარეზე ხშირად შეიმჩნევა დაბალი ჰორიზონტალური ღარები, თიხა ღია მოყავისფროა. ისინი ჰგვანან ადგილობრივ, კოლხურ, მოყავისფრო თიხიან ნელშეზნექილ ამფორებს; რომელთა თიხა ხშირად არათანაბრად არის გამომწვარი და შეიმჩნევა კირქვის და ქარსის მცირე მინარევები. საერთოდ, ამ სახეობების ამფორები ბევრია აღმოჩენილი დასავლეთ

© გ. გამყრელიძე.

საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე — *ბიჭვინთა, სოხუმი, განთიადი, ნებელდა, ოჩამჩირე, გუდავა, ნოსირი, ბათუმი, ნოქალაქევი*, სოფ. *მთისძირი, ურეკი, ციხისძირი* და სხვ. [იხ. გამყრელიძე 1982: 114; ზაქარაია, ლექვინაძე 1974: 139; ინაიშვილი 1993: 54; რამიშვილი 1965: 114; ფუთურიძე 1959: 70; ფუთურიძე 1975: 148; ფუთურიძე 1959: 70]. ამის მაგვარი ნელშენეცილი მომცრო ამფორები აღმოჩენილია ყირიმში ქალაქ *ტირიტაკეს* გათხრისას. ამ ტიპის ერთ-ერთ დახუფულ ამფორაში, რომელიც გაითხარა ქ. *ტირიტაკეში* XIII ნაკვეთზე, ნავთობი დადასტურდა. ეს IV ს. ამფორაც წაგრძელებულ ტანიანი და ნელშენეცილია, კონუსისებური დაბოლოება აქვს (სიმაღლე - 0,58 მ) [იხ. Гайдукевич 1952: 62]. ქიმიურ-ლაბორატორიული ანალიზის შედეგად ამფორაში დადასტურდა თხევადი ნავთობი, ხოლო ფსკერზე ბიტუმისებური დანალექი მასა [იხ. Успенский 1952: 415]. ეს ნავთობი, შემადგენლობის მიხედვით, მოპოვებულია *ქერჩის* ნახევარკუნძულის *ჩონგელეკის* ძველ საბადოში. ძირითადად ნავთობით აქედან მარაგდებოდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, *ტირიტაკე, ტანაისი, ქერსონესი* და სხვ. [Кострин 1971: 264-265; Кострин 1965: 291-293]. მოცემული ტიპის ამფორები მრავლად არის აღმოჩენილი ქერსონესში (სადაც ისინი მოპოვებული ამფორების საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს წარმოადგენს), *ტირიტაკეში, მირმეკიონში, ისტრიაში, ვარნაში* და სხვ. [იხ. Якобсон 1979: 12]. სამხრეთ შავიზღვისპირეთშიც ქ. სინოპთან (დემირსში) აღმოჩნდა ნელშენეცილი კონუსისებურ ძირიანი ამფორები [იხ. Kassab Tezgör 2010].

ნავთობი და ნავთობპროდუქტების დამახასიათებელი თვისებები იცოდნენ და მოხერხებულად იყენებდნენ კიდევაც მთელ ძველ ცივილიზებულ სამყაროში — იხ. ჰეროდოტე (I, 179; IV, 195; VI, 119), სტრაბონი (XVI, I, 5, 9, 15), პლუტარქე (*ალექსანდრე* 35), ქსენოფონტი (*ანაბასისი* II, 4), პლინიუს უფროსი (II, 109; XXXV, 15), ვიტრუვიუსი (არქ. ისტ I, 5, 8); აგრეთვე, დაბადება (თავი, VI, 14), გამოსვლა (თავი, II, 3). ამ ტექსტებში მოთხრობილია ნავთობის და ნავთობპროდუქტების მოპოვების და გამოყენების შესახებ. კერძოდ, მათში მოყვანილია ცნობები ნავთობის, მალთის საბადოების შესახებ *მესოპოტამიაში, სიცილიაში, პალესტინაში, ირანში* და სხვ.; სადაც ის მოიპოვებოდა ბუნებრივი წყაროებიდან და მცირე სიღრმის ჭებიდან. *ნავთობი, მალთა, ასფალტი* გამოიყენებოდა, როგორც სამშენებლო და შემაკავშირებელი მასალა; წყალგაუმტარი საშუალება; კულტმსახურებისას (ცეცხლის საკურთხევლებში ურევდნენ სხვა ზეთებში); სოფლის მეურნეობაში, სამედიცინო და ვეტერინალური წამლების დასამზადებლად; მუმიფიცირებისათვის; სამხრედრო საქმეში; გასანათებელ საშუალებად (ჭრაქ-ლამპრებში, საზღვაო შუქურებში, სხვადასხვანაირ ჩირაღდებში და ა.შ.). ნავთობი, შავი-მოყავისფრო მომწვანო ელფერის წყალში უხსნადი ზეთოვანი ნივთიერებაა. ის ბუნებრივი წყაროებიდან მოიპოვება. მისი სახეობებია — *ნავთობის ზეთი, მალთა, ბიტუმი, ბუნებრივი ასფალტი* და ა.შ. ბერძნულ-ლათინურ წერილობით წყაროებში ისინი ხშირად მოიხსენებიან [იხ. Forbes 1936: 4-12]. სიტყვა ნავთი ირანულ ნასესხობად მიაჩნიათ [იხ. ანდრონიკაშვილი 1966: 345].

ნავთობის და კოლხი მედეას შესახებ საყურადღებო ცნობას გვანვდის პროკოპი კესარიელი (BG, VIII, 11). საინტერესოა აგრეთვე ნიკანდროს კოლიფონელის (ძვ.წ. II ს. ავტორის) წერილობითი ცნობა — *“მედეასი, ...ნამალია ..., რომელსაც ეწოდება კოლხიდური ... მისი მომზადება მედეამ აღმოაჩინა, ამიტომ კოლხურს ეძახიან”* (იხ. სქოლიონი 249 და შემდ. [ურუშაძე 1964: 335]). კოლხეთში კარგად იცნობდნენ ნავთობის თვისებებს და იყენებდნენ კიდევაც მას. ამ მხრივ საყურადღებოა ფოთის (სადაც ნავთობის ნაშთიანი ამფორები დადასტურდა) სამხრეთით რამდენიმე კილომეტრზე მდ. სუფსის და ნატანების ქვემო ნელზე ნავთობის საბადოების და ბუნებრივი ასფალტის [იხ. ძველაია 1973: 51; კიკნაძე 1990: 192] ნაშთების არსებობა, რაც აქ ძველად ბუნებრივი წყაროებიდან ნავთობის მოპოვებას არ უნდა გამორიცხავდეს. აქ დღესაც არის ნავთობის სარეწები. საქართველოში სხვაგან ნავთობის ბუნებრივი წყაროები ძველთაგანვე ცნობილია სამგორი-პატარძული-ნავთლულის (ქ. თბილისის ერთ-ერთი უბნის ნავთლულის სახელი ნავთობს უკავშირდება — [იხ. თბილისის..., 1990: 339] მონაკვეთზე. ნავთობის საბადოები მდებარეობს აგრეთვე *მირზაანში, შირაქში, ელდარში* და *ფოთთან* ახლოს *ჭალადიძში*.

ქ. ფოთი (სადაც ნავთობიანი ამფორები აღმოჩნდა), კარგად ცნობილი ევროპა-აზიის საზღვაო-სამდინარო-სახმელეთო სავაჭრო გზის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო (იხ. სტრაბონი XI, II, 17; პლინიუს უფროსი, NH, VI, 52; ანონიმი XII, 3). შესაძლოა სწორედ, ქ. ფასისზე გავლით ხდებოდა ტრანსპორტირება სამშენებლო ხე-ტყის, სელის, ფისის, თაფლის, ღვინის, ლითონის, ტყავეულის და სხვა პროდუქციის თუ ნაკეთობის. ჩამოთვლილ სავაჭრო პროდუქციას შეიძლება დაემატოს არქეოლოგიურად დადასტურებული ნავთობიც, რომელიც ამფორებით ტრანსპორტირდებოდა საზღვაო ხომალდების საშუალებით, სავარაუდოდ, ყირიმის ნახევარკუნძულიდანაც. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ფოთში ნავთობი სატრანზიტო გზით კასპიის ზღვის სანაპიროდან ან ზემოთ მოხსენებული, საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სარეწებიდანაც მოხვედრილიყო.

ბზაზი. საქართველოში წყალუხვ მდინარეებს — ხობს, ტეხურას, ფიჩორს, სუფსას, ჭოროხს და განსაკუთრებით, რიონ-ყვირილას, ალაზანს და მტკვარს სატრანსპორტო გზებად იყენებდნენ. მათზე სავაჭრო-სატრანსპორტო ნაგებობები და ტივები დაცურავდნენ. წერილობით წყაროებში მდ. რიონის შუა და ქვემო წელი ხშირად მოიხსენება ფასისის სახელით. მდინარე რიონ-ყვირილა (ფასისი) და მდინარე მტკვარი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო-სატრანზიტო და სტრატეგიული გზა იყო [იხ. ბერძნიშვილი 1969: 99; ლორთქიფანიძე 1957: 377; Гамкрелидзе 1992: 7]. ცნობები მისი სატრანზიტო მაგისტრალად გამოყენების შესახებ, სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებშია შემონახული. სტრაბონი აღწერს ამ მაგისტრალს: “ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა; შორაპნიდან ფეხით, საურმე გზით, ოთხ დღეში მიისვლება მდ. მტკვარამდე” (XI, II, 17). ამ გზის გაგრძელებას სტრაბონი ასე აგვიწერს: “... ინდოეთიდან სავაჭრო საქონელი მოაქვთ ჰირკანის (კასპიის) ზღვამდე, ხოლო აქედან ალბანეთში გადააქვთ და შემდეგ მტკვარზე და მისი მომდევნო ადგილებით ევქსინის (შავ) ზღვამდე ჩააქვთ” (იხ. XI, VII, 3).

ამრიგად, ნათელია, რომ სტრაბონი აღწერს სავაჭრო-სტრატეგიულ გზას, რომელიც მოემართებოდა აღმოსავლეთიდან მდ. მტკვრის და მდ. რიონის გავლით შავი ზღვისაკენ. ამავე გზას აღწერს I ს. ავტორი პლინიუსი: “...პომპეუსის ლაშქრობის დროს, მისი ბრძანებით შესწავლილი იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება შვიდ დღეში ჩასვლა ბაქტრიაში, მდ. ბაქტრთან, რომელიც ერთვის ოქსს. აქედან ინდური სავაჭრო საქონელი გადააქვთ კასპიის ზღვის იქით მდ. მტკვარზე და ხმელეთით არა უმეტეს ხუთი დღისა მათ შეუძლიათ მიაღწიონ ფასისს, რომელიც შავ ზღვას უერთდება” (იხ. პლინიუს სეკუნდუსი, NH, VI, 52). სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი უცხოური ნაწარმი (კერამიკა, სამკაულები, მონეტები, ლითონის და მინის ჭურჭელი). ასეთი ნამოსახლარები მდ. რიონ-ყვირილას გაყოლებაზე აღმოჩენილია შორაპანში, კლდეეთში, ვარციხე-პატრიკეთში, ვანში, შუამთაში, ფარცხანაყანევში, სოფ. მთისძირში, დაბლაგომში, დაფნარში, საჯავახოში, პატარა ფოთში, ჭალადიძეში, ფოთთან (პალიასტომის ტბა) და სხვ. [იხ. Гамкрелидзе 1992: 7-17]. აღმოსავლეთ საქართველოში: ზღუდერში, ურბნისში, უფლისციხეში, ყანჩათში, ნასტაკისში, სამადლოში, სარკინეში, მცხეთაში და სხვ.

რიონ-ყვირილას (ფასისის) სავაჭრო გზის ბოლო პუნქტი იყო ტბა პალიასტომთან მდებარე ქალაქი, რომლის შემდეგაც სავაჭრო კარჭაპები შავ ზღვაში გადადიოდა კაბოტაჟური ცურვისათვის. ძველად აქ მდინარე რიონის ლიმანი იყო ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავსაყუდელი მდებარეობდა, სავაჭრო და საბრძოლო ხომალდები შემოდიოდა. ხომალდებიდან შემდეგ ტვირთი ბრტყელძირა სამდინარო კარჭაპებში გადაიტვირთებოდა და პალიასტომის გავლით მდინარე რიონზე ანდა ფიჩორზე აგრძელებდა გზას. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით “კვალად ფოთის სამხრეთით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღუას მდინარე ამისივე. აქედამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა

განსუენებისათვის ... ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან” [იხ. ვახუშტი 1973: 790]. აგათია პალიასტომის შესახებ გადმოგვცემს “იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევქსინის პონტოს უერთდება;” “... ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის მახლობლად” [იხ. აგათია, გეორგიკა 1936: 102; იხ. გამყრელიძე 1987: 98]. მდინარე რიონზე ჩამოცურებული სატრანსპორტო ნაგებობებიდან ტვირთი პალიასტომის ტბაზე მდებარე ნავსაყუდელში უკვე საზღვაო ხომალდებში გადაჰქონდათ და შავი ზღვის გავლით მიჰქონდათ სხვა ქვეყნებში.

შავმა ზღვამ დიდი როლი შეასრულა კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ზღვის სანაპიროზე მთელი რიგი ნაქალაქარები და სხვა გამაგრებული დასახლებული პუნქტებია მიკვლეული: აფსაროსი (გონიოსთან), ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფასისი (ფოთთან), ანაკლია, ფიჩორი, გიენოსი (ოჩამჩირესთან), დიოსკურია-სებასტოპოლისი (სოხუმთან), ეშერა, პიტიუნტი (ბიჭვინთასთან) და ა.შ. ჩამოთვლილი დასახლებები, ბუნებრივია, ცხოვრების წესით ზღვასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ისინი წამყვან როლს ასრულებდნენ უცხოეთთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობაში. პირველ რიგში, სწორედ ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა კონტაქტები შავი და ხმელთაშუა ზღვების ქვეყნებთან და ქალაქებთან: მილეთთან, ქიოსთან, როდოსთან, ათენთან, სინოპთან, რომთან (ოსტია). შემდგომ ბიზანტიასთან და სხვ.

ზღვისპირა ქალაქში, ვაჭრობის გარდა, ხელოსნობის სხვადასხვა დარგები (მეთუნეობა, მჭედლობა, ხუროობა, ფეიქრობა და ა.შ.) იყო განვითარებული; მაგრამ აქ განსაკუთრებული ადგილი მაინც ზღვასთან დაკავშირებულ საქმიანობას — ზღვაოსნობას, მეთევზეობას, ზღვის მარილის მოპოვებას და სხვ. ეჭირა. სტრაბონის “გეოგრაფიაში” აღნიშნულია, რომ შავი ზღვის “ძველი ხალხები დაცურავდნენ მეკობრეობის და ვაჭრობისათვის ... ნაპირ-ნაპირ” (კაბოტაჟურად) (იხ. I, III, 2). ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათიაც კოლხეთის შესახებ გადმოგვცემს: “*ქლანდელი მცხოვრებლები დაცურავენ ... და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებელს*” (აგათია, III, 5). შავი ზღვა ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით გადის ხმელთაშუა ზღვაში. ბოსფორის სრუტის უვინროესი ადგილი 700 მეტრამდეა, ამიტომ მისი გადაკეტვა-კონტროლი ადვილია. ვის ხელშიც ეს გასასვლელი იყო, ის აკონტროლებდა ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის მიმოსვლას და ვაჭრობას. კოლხეთის ისტორიაზე მნიშვნელოვანი, უარყოფითი როლი ნაპირის ბიო-გეოგრაფიის შეცვლამ ითამაშა. გეომორფოლოგიის ვარაუდით, ახალშავ ზღვურმა ტრანსგრესიამ შეცვალა ფანაგორიული რეგრესია (დაახლოებით ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში), ხოლო ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ისევ იწყება ზღვის დონის აწევა. ამის გამო, სანაპიროზე განლაგებული ძველი ქალაქ-დასახლებები წყლის ქვეშ მოხვდა და მათ შეწყვიტეს არსებობა.

საქართველოს ზღვისპირეთის ნაქალაქარების ან მათი მიმდებარე ტერიტორიის წყალში დაძირვამ და ცხოვრების შეწყვეტამ ზღვისპირეთში სანარმოო-ეკონომიკური დონის დაქვეითება გამოიწვია. სტრაბონის “გეოგრაფიაში” დაცული ცნობის მიხედვით, კოლხეთი ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარ მხარედ წარმოგვიდგება: “*ქვეყანაში კარგი ნაყოფი იცის; ... მოიპოვება გემთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებით ჩამოაქვთ; ამუშავებენ ბევრ სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის წარმოება განთქმულია და გარეთაც კი გააქვთ*” (იხ. XI, II, 17). სტრაბონის ცნობით, “*ქვეყანაში ... იზრდება მრავალი ტყე*” (იხ. XI, I, 17). ტყეების სიუხვესვე ადასტურებს ძვ.წ. I ს. რომაელი არქიტექტორი ვიტრუვიუსიც (იხ. ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ, II, I, 4). საყურადღებოა VI ს. ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის წერილობითი ცნობა: “*მოხირისი ერთი დღის სავალზეა არქეოპოლისიდან და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხეთის მინა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს; ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ხარობს...*” (პროკოპი კესარიელი, BG, VIII, 14). კოლხეთში მდებარე მოხირისის მხარე ეკონომიკურად ძლიერი

რეგიონია. კოლხეთის დაბლობი რომ დანიშნაურებული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო, კარგად ჩანს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდანაც [იხ. გამკრელიძე 1992].

სამხრეთ კავკასია აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის დამაკავშირებელი ისეთი რეგიონია, რომელიც ათასწლეულთა მანძილზე კულტურათა გზაჯვარედინზე მდებარეობს. კასპიისა და შავ ზღვებს შორის მოქცეული ტერიტორია უმნიშვნელოვანეს საკომუნიკაციო სარბიელს წარმოადგენდა. სამხრეთის ძველ ცივილიზაციებსა და ჩრდილოეთის ნომადურ ტომებს შორის მოქცეული ეს რეგიონი, კულტურათა შეხვედრის მნიშვნელოვანი ადგილი იყო. სამხრეთ კავკასიაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ არსებული წერილობითი წყაროები ძირითადად, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების შემდგომ პერიოდს ეხება. ასურული, ურარტული, ძველბერძნული, რომაული, ბიზანტიური, ქართული და სომხური წერილობითი წყაროები, რომლებიც ძველი ქართველური ხალხის შესახებ მოგვითხრობენ. მათში შემონახულია ცალკეული მინიშნებანი სამიმოსვლო გზების შესახებ [იხ. მელიქიშვილი 1966: 25-34; მელიქიშვილი 1959: 178-179]. სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში გამავალ გზებზე ცნობები ბერძნულ წყაროებში ხშირად იჩენს თავს. საყურადღებო ცნობა სამხრეთ კავკასიაზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზის შესახებ სტრაბონთანაა შემონახული (იხ. II,1,15; IX,7,3) [იხ. ლორთქიფანიძე 1957, 377-384; გამყრელიძე 1993: 28-30].

ასევე, მნიშვნელოვანია ლეონტი მროველის ცნობა: “... ციხე-ქალაქი ესე ძლიერი შუა ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკვრისა, ოძრხე მოკიდებული კლდესა დადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა ... და რუსთავი, და დედაციხე სამშვილდე, და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქი” [ქც, 1955: 17-18]. “ქართლის ცხოვრება”-ში დაცული ერთი ცნობა, რომელიც ეგრისთან დამაკავშირებელი გზის არსებობაზე პირდაპირ მიგვითითებს: “და გარდამოვლეს გზა თაკუერისა, და მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა” [ქც. 1955: 57]. სამხრეთ კავკასიაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების, სავაჭრო ცენტრების და გადამანაწილებელი პუნქტების შესახებ უმნიშვნელოვანესი წყაროა ე.წ. „ტაბულა პეუტინგერიანა“ — საგზაო რუკა, რომელიც ახ.წ. IV ს-შია შედგენილი რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ და წარმოადგენს ამ ეპოქის მსოფლიოს რუკას. ამ რუკაზე სამხრეთ კავკასიაში ორი საგზაო მაგისტრალია დატანილი [ლომოური 1958: 99-118]. ორივე მათგანის შეერთების ადგილად ანტიკური ხანის ქალაქი ართაშატია აღნიშნული. გზა სამცხიდან დასავლეთ საქართველოში ზეკარის უღელტეხილით გადადიოდა. ეს გზა ბიზანტიიდან შავი ზღვის სანაპიროს მიუყვებოდა და ტრაპეზუნტ-რიზე-ათინა-აფსაროს-ბათომ-ფასის (ფოთის) გზით სებასტოპოლისს ადგებოდა. აქედან გზა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა და ციხე-გოჯისკენ (არქეოპოლისისკენ) და ვარდციხეზე (როდოპოლისზე) გავლით გადიოდა ზეკარის უღელტეხილზე, საიდანაც სამცხეში ჩადიოდა. სამცხიდან ის მდ. მტკვრის ზემო ნელს აუყვებოდა [იხ. გამყრელიძე 1993: 75, 68 და რუკა; გამყრელიძე 2001: 62].

დიდი და მცირე კავკასიონის მთებში გამავალი იბერია-კოლხეთის გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები ფუნქციონალური თვალსაზრისით დღესაც შემორჩა და ამ გადასასვლელებს ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა მიზნით ახლაც იყენებს. ამ გადასასვლელებს (რიკოთი, მამისონი, ნაკრა, ქლუხორი და სხვა) შორის ლიტერატურაში სახელდება გოდერძის, ზეკარისა და მეფისწყაროს გადასასვლელებიც [გამყრელიძე 2001: 8]. არაა გამორიცხული, რომ პომპეუსთან დამარცხების შემდეგ მითრიდატე ევპატორი, რომელიც “მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცა,” იქ ზეკარის, ან მეფისწყაროს უღელტეხილებით გადასულიყო [იხ. გამყრელიძე 1993: 70; გამყრელიძე 2001: 52], ხოლო ამის შემდეგ დიოსკურიასი ჩასასვლელად კასტორიუსის რუკაზე აღნიშნული გზით ესარგებლა. მთებით შემოსაზღვრული კოლხეთი მთიანი რელიეფისა (ქედები, ხეობები, სერები, კანიონები, ტაფობები, ბორცვ-გორაკები, გაუვალი ტყეები) და რთული ლანდშაფტის გამო, დიდი ტვირთით ძნელად გადასაადგილებელი გარემო ჰქონდა.

მოსახლეობის განსახლების დიდ მდინარეთა აუზებში რამდენიმე ისეთი სტრატეგიული პუნქტი გამოიყოფა, რომლებიც აღმოსავლეთითა და დასავლეთით გამნაწილებლის ფუნქციას ასრულებდა. ამ მსხვილ დასახლებულ პუნქტებში იკვრებოდა სატრანზიტო-საქარაგვო ცენტრალური მაგისტრალები. მაგ. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ამდაგვარი სტრატეგიული რეგიონები იყო — ჭოროხის და მტკვრის აუზები. ამ დიდ მდინარეთა შორის არსებულ ტერიტორიაზე, გზაჯვარედინებზე ხდებოდა ახალი დასახლებული პუნქტების ჩამოყალიბება. ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები ახალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების გაჩენას მოითხოვდა. ჭოროხის სათავეებიდან ევფრატისა და ტიგროსის მეშვეობით მაგისტრალები წინა აზიისა და აღმოსავლეთის უფრო შორეულ გზაჯვარედინებს აღწევდა, ხოლო არტაან-ჯავახეთსა და ახალციხესთან მტკვრის ხეობის მეშვეობით კასპიის ზღვის სტრატეგიულ დასახლებებსა და მდინარე არაქსის გასწვრივ არსებული მაგისტრალით ირანისკენ მიდიოდა. მაგ. გოდერძის უღელტეხილიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი გზა აჭარისწყლის ხეობის სათავეებთან, დიდაჭარის თემის მიდამოებში ერთ მაგისტრალად იკვრებოდა. აჭარისწყლის ხეობა ერთმანეთს აკავშირებდა შავი ზღვის, მტკვრისა და ჭოროხის ხეობების შენაკადი ხეების მოსახლეობას. ცენტრალურ მაგისტრალებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შიდა საგზაო სისტემის განვითარებისათვის. საცალფეხო და საურმე გზები არა მხოლოდ თემისა და ხეობათა სოფლების დამაკავშირებელი არტერიები იყო, არამედ ხელს უწყობდა ამ დასახლებათა დიდ სამიმოსვლო გზებზე მიმდინარე სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვას [იხ. ნარიმანიშვილი, მგელაძე 2007: 70-80].

IV-VII სს-ში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. ახ.წ. VIII-ის წერილობით წყარო *“მოქცევა ქართლისა”*-ში იბერიის ქალაქებია: *მცხეთა, სარკინე, კასპი, უფლისციხე, ოძრახე, ურბნისი*. მეორე წერილობითი წყარო — *“ქართლის ცხოვრება”* კი მათ ამატებს — *შორაპანს, დიმნას, წუნდას, თუხარისს, გაჩიანს, არტაანს* და სხვ. აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალები მიუთითებს, რომ ისინი ძირითადად, უკვე ანტიკურ პერიოდში არსებობდნენ [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2013]. ეს სასოფლო დაბებით შემოსაზღვრული ქალაქი გარკვეული რეგიონის ეკონომიკური ცხოვრების მარეგულირებელ ცენტრს წარმოადგენდა. მდ. მტკვრის და მდ. რიონის გასწვრივ განლაგებული ქალაქები გადამანაწილებელ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ჯერკიდევ ძვ.წ. VI-V სს-დან მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში შეინიშნება და იწყება წვრილი ხელოსნური წარმოების კონცენტრაცია და უფრო მსხვილი ცენტრების წარმოქმნა, რომელთა პროდუქცია უკვე სასაქონლო-სავაჭრო ხასიათს იღებს. შემდგომ, ამ ტიპის სახელოსნოები ქალაქებში უბნებად იყო განლაგებული.

იბერიის აღწერისას სტრაბონი ახსენებს — *“იბერია უმეტესად კარვად არის დასახლებული ქალაქებითაცა და დაბებითაც, ისე რომ, იქ არის კრამიტისანი სახურავები, სახლები, არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები (სავაჭრო) და სხვა საზოგადო დაწესებულებანი”* (იხ. XI,3,1). არქეოლოგიურმა გათხრებმა მცხეთასა და დანარჩენ საქართველოში საყურადღებო მასალა მოგვცა იბერია-კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. სამწუხაროდ ეს არქეოლოგიური მასალა ქალაქური ხელოსნობის ცალკეული დარგების შესასწავლად არათანაბრადაა გამოვლენილი. წარმოების ზოგ დარგებზე მხოლოდ ნაწარმის მიხედვით არის მსჯელობა შესაძლებელი. იმ ეპოქის წარმოების ერთ-ერთი ნაწყვანი დარგი ლითონის მოპოვება-გადამუშავება იყო. მაგალითად, ამ მხრივ საყურადღებოა ნაქალაქარი სარკინე, რომელიც მცხეთასთან მდებარე, მელითონეობის ცენტრს წარმოადგენდა. აქ არქეოლოგიურად აღმოჩენილია, როგორც ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული ქურები და იარაღები, ისე დასრულებული ნაწარმი და წარმოების ნახევარფაბრიკატები. აქ, წარმოების ციკლი ლითონის ნივთის დამზადებით არ მთავრდებოდა, შემდეგი პროცესი, მისი სავაჭროდ ბაზრებისაკენ ტრანსპორტირება და გაყიდვა იყო [იხ. ხახუტაიშვილი 1966: 128-133].

ქალაქური ტიპის სამოსახლოები ადგილობრივ სავაჭრო ცენტრებსაც წარმოადგენდნენ, სადაც მიწათმოქმედი მოსახლეობა საკუთარი ნაწარმის ქარბ მოსავალს

ასალებდა და სამაგიეროდ მისთვის საჭირო ხელოსნურ ნაწარმს იძენდა. ქალაქსა და სოფელს შორის შრომის დანაწილების გაღრმავება ქმნიდა სტაბილურ პირობებს რეგულარული გაცვლა-გამოცვლისათვის. ამ პერიოდის არქეოლოგიურ არტეფაქტებში გამოიყო ისეთი მასალები, რომლებიც არამარტო საშინაო, არამედ უცხოეთთან ვაჭრობის გააქტიურებაზეც მიგვანიშნებენ, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. მდ. მტკვრისპირა ქალაქები, როგორც ჩანს, ის სავაჭრო ცენტრები იყო, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა უცხოურ ნაწარმს ეცნობოდა. უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობის გარკვეულ გაცხოველებას მიგვითითებს ნუმისმატიკური მონაცემებიც. ამ დროს ძველ საქართველოზე გადიოდა საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს შავიზღვისპირა ქალაქებთან აკავშირებდა.

ამ პერიოდისთვის შედარებით მოწესრიგებულ სტაბილურ სახეს იღებს საშინაო ვაჭრობა, რომელიც ძირითადად ქალაქებში არსებული ბაზრობების მეშვეობით ხორციელდებოდა. ახ.წ. I- III სს-ში საგარეო ვაჭრობა მტკიცედ ადგება რომის იმპერიის და ირანის საქალაქო ცენტრებთან ურთიერთობის გზას. აქ რომი და ირანი ერთმანეთს ეკონომიურ გავლენას ეცილებიან. ამის ერთ-ერთ მაგალითად და მოწმობად ირანული და რომაული სავაჭრო ნაწარმის მოზღვაება; მიმოქცევაში რომაული და პართული მონეტების სიმრავლეთანაარსებობა. უცხოური არტეფაქტებიდან აგრეთვე ნივთიერ კულტურაში დადასტურებულია ეგვიპტის, სირიის, მცირე აზიის, ევროპის სახელოსნო ცენტრების პროდუქცია. ვაჭრობა ქალაქების კეთილდღეობის ერთ-ერთი ძირითად ეკონომიკურ პირობას წარმოადგენდა, მაგრამ ქალაქების არსებობა წარმოუდგენელი იყო გამართული საგზაო-საკომუნიკაციო ქსელის გარეშე. ქალაქების განვითარების ადრეულ საფეხურზევე, სასაქონლო ხელოსნური წარმოების ჩასახვა-განვითარების კვალდაკვალ თანდათანობით სავაჭრო გზებიც ფორმირდებოდა. მაგისტრალურ მნიშვნელობას იძენს მდ. მტკვრის გასწვრივ არსებული გზა, რომელიც ჰირკან-ფასისის სავაჭრო-სატრანზიტო გზის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთად იქცა. ამ სავაჭრო გზის საკვანძო პუნქტს კი მცხეთა წარმოადგენდა. სავაჭრო გზების მშენებლობა და მათი ექსპლოატაცია წარმოუდგენელია ცენტრალური ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე, რომელიც დაინტერესებული იყო ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობით. სამეფო ხელისუფლება ანხორციელებდა გზების მშენებლობაზე მზრუნველობას, ხოლო მისი დაცვა კი შესაბამისი ადმინისტრაციული რეგიონის მმართველს ევალებოდა [იხ. ცქიტიშვილი 1955: 99]. მისვლა-მოსვლისათვის ხმელეთის გზების გარდა მდინარეებიც გამოიყენებოდა. მაგ.: ნავებით დაცურავდნენ მდ. რიონზე, მტკვარზე, სუფსაზე, ხობზე, ფიჩორზე, ალაზანზე და სხვ. სტრაბონის ცნობით მდ. ფასისზე 100-მდე ხიდი ყოფილა გადებული (*გეოგრაფია XI, 3, 4*). სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გამო გაყვანილმა გზებმა ხელი შეუწყვეს ანტიკური და ირანული სამყაროდან კულტურის ძეგლების გავრცელებას ქვეყნის ქალაქურ ცენტრებში და აქედან მთის რეგიონებშიც. ამ თვალსაზრისით საყურადღებო არქეოლოგიური მასალებია ნაპოვნი მდ. რიონ-ყვირილას და მდ. მტკვრის აუზებსა და შენაკადების ხეობებში. ამ გზებთან მდებარე ნამოსახლარებზე აღმოჩნდა ანტიკური ხანის ბერძნული, ირანული, რომაული კერამიკის, ტორევიტიკის, მონეტებისა და ოქრომჭედლობის ნიმუშები.

IV ს-ში გარკვეული ეკონომიკური აღმავლობა შეიმჩნევა დასავლეთ საქართველოში, რაც, სავაჭრო ურთიერთობის განვითარებითა და საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებით აღინიშნა. აგათიას შეფასებით ადგილობრივი “... მცხოვრებლები დაცურავენ კიდეც, როგორც შეუძლიათ და ვაჭრობაშიც დიდ სარგებელს ნახულობენ” (აგათია, ისტორია [გეორგიკა: 51]), ხოლო მათ ვაჭრობაზე რომაელებთან არაერთგზის ლაპარაკობს პროკოპი კესარიელიც (გეორგიკა: 73, 97). სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე არქეოლოგიური მასალაც (იხ. ზემოთ). ხოლო IV ს-ის რომაულ რუკაზე — თაბულა ეუტინგერიანა-ზე აღნიშნულია დასავლეთ საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზებიც. ერთ-ერთი გზა შავი ზღვის სანაპიროს მიჰყვებოდა და რომის აღმოსავლეთ პროვინციებს საქართველოსთან აკავშირებდა სოხუმ-სებასტოპოლისის გავლით. ამავე გზაზე მიგვანიშნებს VII ს-ის *რავენელი* ანონიმიც [იხ. ლომოური 1958: 99]. ამ გზაზე მდებარე

საქართველოს ზღვისპირა ქალაქების არქეოლოგიურ მასალაშიც აისახა ბიზანტიის იმპერიასთან სავაჭრო ურთიერთობა. IV–V სს-ში ეს ზღვისპირა ქალაქები — ფასისი, სებასტოპოლისი, ბიჭვინთა, კვლავ მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად ჩანან. შემდგომ, V–VI სს-ში, ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების რთული პროცესი დიდ აგრარულ გარდაქმნებს იწვევდა. ფეოდალთა სეპარატისტული მისწრაფებანი საგრძნობ ზიანს აყენებდნენ ქვეყნის შინაგან ეკონომიურ კავშირებს. ძლიერ მცირდება ამ ხანებში უცხოეთთან სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობაც, რასაც ადასტურებს როგორც ნუმიზმატიკური მონაპოვარი, ასევე იმპორტული ნივთების საგრძნობლად შემცირება არქეოლოგიურ მასალაში. კასპიის, მდ. მტკვარის, ფასის-შავი ზღვის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომელმაც თავის დროზე ხელი შეუწყო ანტიკური ქალაქების დანიშნულებას, ამ პერიოდში თითქმის აღარ მოქმედებს.

III ს-ის ეკონომიკურმა კრიზისმა რომის იმპერიაში უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო ვაჭრობაზეც. საერთაშორისო ვაჭრობის ისევ აღმავლობა ბიზანტიურ-სასანურ ხანაში დაიწყო. IV–VI სს-ში აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) და მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი თავისებურება სავაჭრო ურთიერთობათა სტაბილურობის შენარჩუნება იყო. ნუმიზმატიკური მასალის თანახმად, IV–V სს-ში საგრძნობლად შესუსტებულა ფულის მიმოქცევა საქართველოში. უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობის შენელების მაუწყებელია იმპორტული ნივთების სიმცირე არქეოლოგიურ მასალაში. კერძოდ, ეს ეხება მინისა და ლითონის ჭურჭელს, ძვირფას ქვებს და სამკაულებს, გემებს, ქსოვილებსა და ტანსაცმელს და სხვ. [იხ. ლომთათიძე 1977].

V–VI სს-ში წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების შესაბამისი მასალების ანალიზით ირკვევა, რომ ხელოსნობის ისეთი დარგები, როგორცაა კერამიკული წარმოება, მელითონეობა, ვაჭრობა გარკვეულ დაქვეითებას განიცდის. მაგალითად, კერამიკული წარმოების არქეოლოგიურად დადასტურებული ნიმუშები უმთავრესად საკმაოდ მდარეხარისხოვანი არტეფაქტებითაა წარმოდგენილი. V ს-ის შემდეგ, პროდუქციის თანდათან გაუარესება ხელოსნების ამ დარგის დაქვეითების ნიშანია. სამწუხაროდ, IV–VI სს-ის არქეოლოგიური მასალა სრულ წარმოდგენას ვერ გვაძლევს იმდროინდელი წარმოება-ვაჭრობის შესახებ. ძალიან ცოტაა ამ ხნის საბრძოლო და სამუშაო იარაღთა ნიმუშები, ცოტაა ლითონის ჭურჭელიც. ადრეული შუა საუკუნეების ფეოდალური ქალაქები ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები იყვნენ, რომელთა უმრავლესობა მეფის ან მსხვილ წარჩინებულთა რეზიდენციებსა და ადმინისტრაციულ ცენტრებსაც წარმოადგენდა. არსებობდა მათი სხვადასხვა სახეობა — სავაჭრო-ქალაქი, ციხე-ქალაქი, დაბა-ქალაქი, სამეფო ქალაქი, საერისთაო ქალაქი, ნავთსადგური და სხვ. ანტიკური პერიოდის ქალაქებში ხელოსნობას და ვაჭრობის გარდა სოფლის მეურნეობასაც გარკვეული ადგილი ეჭირა, ფეოდალიზაციის პროცესმა კი ნახევრად აგრარული ქალაქები წამოწია წინ. ფეოდალიზაციის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელმა მეურნეობის ნატურალიზაციამ გარკვეული ზემოქმედება მოახდინა ქალაქების ეკონომიკაზე. მიზეზები, რამაც საქალაქო ცხოვრების ზოგადად და ვაჭრობის კონკრეტულად დაქვეითება VI ს. მეორე ნახევრიდან გამოიწვია საძიებელია ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესში, რაც ქვეყნის დეცენტრალიზაციაში, მეურნეობის ნატურალიზაციაში, ეკონომიური კავშირების შესუსტებაში, საომარ შიდა და საგარეო ფაქტორში (ბიზანტიასთან, ირანთან) გამოიხატებოდა. ანტიკურ ხანაში ქალაქების როლი პოლიტიკური მნიშვნელობით შუა საუკუნეებისას სჭარბობდა, ხოლო შუა საუკუნეებში მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში უფრო უმნიშვნელო იყო. ადრეული შუა საუკუნეების პირველ ეტაპზე საქალაქო ცხოვრების დაქვეითება შეინიშნება, ხოლო როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ფეოდალური სამეურნეო ურთიერთობა ვითარებაც შედარებით სტაბილური გახდა, დაიწყო საქალაქო ცხოვრების აღმავლობა და მეურნეობის აგრარულმა ხასიათმა ველარ შეაფერხა საქალაქო ცხოვრების წინსვლა. იმ ძირეულმა ცვლილებებმა, რომელიც აქ საზოგადოებამ განიცადა ამ პერიოდში, შეაფერხა ქალაქების წარმოქმნისა და განვითარების პროცესი. ეს ის პერიოდია, როდესაც ანტიკური ხანის ქალაქის საფუძველი

სუსტდება, მაგრამ ახალი ტიპის ქალაქების წარმოშობისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს შესაფერისი სოციალურ-ეკონომიკური ნიადაგი.



უცხოური ამოკრები

დ. ახვლედიანი

ამფორა წარმოადგენდა ბერძნულ-რომაულ და ბიზანტიურ სამყაროში სატრანზიტო კერამიკულ ტარას, რომლის მეშვეობითაც უმეტეს შემთხვევაში საზღვაო და სამდინარო გზით გადაჰქონდათ პროდუქტები, ძირითადად ღვინო და ზეთის ზეთი, ასევე წყალი, მარცვლეული, დამარილებული თევზი, ნავთობი და სხვა. ამფორებს მეორადი გამოყენებაც — პროდუქტების შესანახად, სამშენებლო მასალად, სამარხად, სამარხეულ ინვენტარად და სხვ. — ჰქონდა.

ზოგადად, ესაა ჭურჭელი ორი ყურით, ოვალური კორპუსითა და ნაწვეტებული ძირით, რაც მეტად ხელსაყრელი იყო ხომალდებით ტრანსპორტირებისათვის. მათი საშუალო ტევადობა 26 ლიტრს შეადგენდა, რაც ძველ საბერძნეთში მოცულობის საზომ ერთეულადაც იყო მიჩნეული. ამფორების მასობრივი წარმოება ძვ.წ. VII-VI სს-დან იწყება და ადრეულ შუასაუკუნეებშიც გრძელდება. სადღეისოდ, ამფორების წარმოების მრავალი ცენტრია დადგენილი, სადაც თითოეულისათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური ფორმისა და თიხის შემადგენლობის ნაწარმი მზადდებოდა. ადრეულ პერიოდში, ძვ.წ. VI ს. - V ს-ის დასაწყისი, ამფორების დამზადება მხოლოდ რამდენიმე საწარმოო ცენტრში (*ლესბოსი, სამოსი, ქიოსი*) ხორციელდებოდა. ძვ.წ. V ს-ის შუა წლებიდან ამ საწარმოო ცენტრთა რიცხვი და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა მკვეთრად იზრდება, განსაკუთრებულ მასშტაბს ძვ.წ. IV-III სს-ში აღწევს. ყველა ცენტრი ცდილობს ორიგინალური ფორმის ამფორის გამოშვებას და ასევე დამლებით მათ აღჭურვას. დამლები ამფორის ყურზე ან ყელზე დაიტანებოდა. დამლებზე გამოსახულია სხვადასხვა წარწერები და ემბლემები. წარწერებზე აღნიშნულია საწარმოო ცენტრის, ეპონიმის, სახელოსნოს მეპატრონის ან ხელოსნის საკუთარი სახელები, ემბლემა კი მიეკუთვნება საწარმოო ცენტრს, ეპონიმს ან ხელოსანს. რიგ შემთხვევებში წარწერები და ემბლემები კომბინირებულია. ძვ.წ. II ს-დან კერამიკული დამლები ნელ-ნელა ქრება, მნიშვნელობას კარგავს სხვადასხვა ცენტრისთვის მახასიათებელი ამფორის ფორმა, მაგ. ქიმისებურშვერილიანი ყურების მქონე ამფორები მზადდებოდა *სინოპში, იტალიასა და სამხრეთ ესპანეთში* [ხალვაში 2002: 24-25]. აქედან გამომდინარე მათი იდენტიფიცირება ძირითადად თიხის ფერისა და შემადგენლობის მიხედვით ხდება. ამფორათა ტევადობა სხვადასხვა იყო (ერთი საწარმოო ცენტრისაც კი), მიუხედავად ამისა, ისინი ყოველთვის გარკვეულ სტანდარტს ექვემდებარებოდნენ [იხ. Брашинский 1984].

საქართველოში იმპორტული ამფორები ძირითადად, კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი. ისინი წარმოადგენენ შემდეგი საწარმოო ცენტრების — *ლესბოსის, სამოსის, ქიოსის, თასოსის, მენდეს, ჰერაკლესა, სინოპეს, როდოსის, კნიდის, კოსის, კორინთოს, ქერსონესის* და სხვ. ნაწარმს. ამფორები გამოვლენილია როგორც სამარხებში, ისე ნამოსახლართა კულტურულ ფენებში.

ლესბოსური ამფორები. საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისით დათარიღებული ეგზემპლარები ფიქსირდება შემდეგ ძეგლებზე: 1) ფიჭვნარში [კახიძე და სხვ. 2004: 66-67; კახიძე 2007: 63-65, კახიძე და სხვ. 2014ა: 18,31]; 2) ბათუმის ციხეზე; 3) ციხისძირში; 4) გურიანთაში [კახიძე 1971: 40-41]; 5) საქორქიოში [ლორთქიფანიძე 1966: 74]; 6) დაბლაგომში [კახიძე 1971: 40-41]; 7) ვანის ნაქალაქარზე [ფუთურიძე 1983: 16].

ლესბოსური ამფორების მასალის მახასიათებელია ნაცრისფერი, რუხკეციანი თიხა ქარსის მინარევებით, ფორმით — მასიური, ნახევარლიღვისებური პირის გვირგვინით, ცილინდრული, მაღალი, შუა ნაწილში ოდნავ გამობერილი ყელით, კვერცხისებური ტანით, ცილინდრული ფეხით, მრგვალგანივკვეთიანი ყურებით. ლესბოსური ამფორები არ იდამლებოდა.

სამოსური ამფორები. საქართველოს ტერიტორიაზე სამოსური იმპორტი ორ ქრონოლოგიურ ჯგუფში — ძვ.წ. VI ს-ის ბოლო –V ს. და ახ.წ. IV-VI სს. თავსდება. ძვ.წ. VI ს-ის ბოლო –V ს-ით დათარიღებული სამოსური ამფორების ფრაგმენტები აღმოჩენილია: 1) ბათუმში “თამარის ციხეზე” [კახიძე და სხვ. 1989: 79, 114-115]; 2) ფიჭვნარში [ვაშაკიძე 1982: 79; კახიძე 1971: 42]; 3) საქორქიოში [მიქელაძე 1978: 74]; 4) ოჩამჩირეში [Шамба С. 1988: 73]. მათი მახასიათებელია ღია ყავისფერი, სუფთად განლექილი თიხის კეცი, ქარსის მინარევებით, ფორმით — გარედან შესქელებული პირის გვირგვინით, დაბალი, სწორი ყელით, კვერცხისებური ფორმის ტანით, ქვემოთკენ გაფართოებულ ფეხზე ქვემოდან ფართო ღრმულით, ოვალურგანივკვეთიანი ყურებით. სამოსური ამფორები არ იდამლებოდა (7). ახ.წ. IV-VI სს-ით დათარიღებული სამოსური ამფორების ფრაგმენტები აღმოჩენილია: 5) ბიჭვინთაში [ბერძენიშვილი და სხვ. 1975: 273-277]; 6) ქუთაისში [ლანჩავა 2007: 134]; 7) გონიო-აფსაროსში [ხალვაში 2002: 48-50]; 8) ფოთში [გამყრელიძე 1987: 112]; 9) დიოსკურია-სებასტოპოლისში [აფაქიძე ან. და სხვ. 1965: 114]; 10) გუდავასში [ზამთარაძე 1979: 72]; 11) ნებელდაში [Воронов და სხვ. 1985: 73]; 12) დრანდაში [Хотелашвили და სხვ. 1984:194]; 13) ნოქალაქევში [Леквинадзе და სხვ. 1981: 133-134]; 14) ვარდციხეში [ჯაფარიძე ვ.მ. 1989: 58-61]. მათი მახასიათებელი ფორმით — მცირე ზომა, სადა, ზოლისებური პირი, ვიწრო ყელი, თითისტარისებური ფორმის ფართო ღარებით დაფარული ტანი ბოლოვდება მისგან ჰორიზონტალური ქედით გამოყოფილი ფეხით, რომელიც განსხვავებულ ვარიანტებს იძლევა, პატარა ბრტყელგანივკვეთიანი, ნახევარკალისებურად მოხრილი ყელზე დაძერწილი ყურები (44) [ხალვაში 2002: 48].

ქიოსური ამფორები. საქართველოს ტერიტორიაზე მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა და მოიცავს ძვ.წ. VI ს-ის ბოლო – ძვ.წ. II ს-ს. აღმოჩენილია: 1) ბათუმში “თამარის ციხეზე” [კახიძე და სხვ. 1989: 79, 113-114]; 2) ფიჭვნარში [ვაშაკიძე 1982: 80; კახიძე 1971ა: 35; კახიძე და სხვ. 2004: 65-66, 94; კახიძე 2007: 62-63; კახიძე და სხვ. 2014: 21; კახიძე და სხვ. 2014ა: 23, 31, 59, 68-69]; 3) საქორქიოში [მიქელაძე 1978: 48]; 4) სიმავრეზე [ლორთქიფანიძე 1966: 74; მიქელაძე 1978: 48]; 5) ერგეტაში; 6) ქარიეტაში [ლორთქიფანიძე 1966: 74]; 7) ოჩამჩირეში [Шамба С. 1988: 73]; 8) სოხუმის ციხეზე [Трапш 1955: 221]; 9) ეშერაზე [Воронов 1977:107; Шамба Г. 1980: 22]; 10) დაფნარში [თოლორდავა 1983ბ: 137; Кигურაძე და სხვ. 1977: 57]; 11) სოფ. მთისძირში [გამყრელიძე 1983: 127]; 12) ვანის ნაქალაქარზე [ფუთურიძე 1983ა: 9-10, 16-18]; 13) საყანჩიაზე [ლიჩელი 1983: 124]. ქიოსური ამფორების მასალის მახასიათებელია ღია ყავისფერკეციანი თიხა, ქარსისა და კირქვის მინარევებით. რაც შეეხება ფორმას, ის დროთა განმავლობაში იცვლება: ძვ.წ. VI ს-ის ბოლო –V ს-ის მეორე მეოთხედი — მასიური, ნახევარლიღვისებური პირის გვირგვინით, დაბალი, მკვეთრად გამობერილი ყელით, კვერცხისებური ტანით, ცილინდრისებური ფეხით, ქვემოდან შეღრმავებული ძირით, ოვალურგანივკვეთიანი ყურებით (2); ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი - დაგრძელებული ყელით, მასიური, წიბოიანი ძირით (3); ძვ.წ. IV-III სს. – ელიფსისებური პირით, ცილინდრული ყელით, კონუსური მოყვანილობის ტანით, ღრმაფოსოიანი, ე.წ. ჩაჩისებური ფეხით (4, 5); ძვ.წ. II ს. — დაგრძელებული, ცილინდრული ყელით, მკვეთრად კონუსური ფეხით (6). ძვ.წ. III ს-ის დამლებით აღჭურვილი ქიოსური ამფორის ყურები (4ც.) აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე [ფუთურიძე 1983: 17], რომელთაგან სამზე იკითხება ხელოსნის სახელი — Hghsēou (ძვ.წ. 200 წელთან) და ერთზე — ხელოსნის სახელი - Ikesēou (ძვ.წ. III ს-ის მესამე მეოთხედი) [ახვლედიანი, ფუთურიძე 2002: 51].

თასოსური ამფორები. საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. V-IV-III სს-ით დათარიღებული თასოსური ამფორები აღმოჩენილია: 1) ბათუმის მიდამოებში; 2) ფიჭვნარში [კახიძე და სხვ. 2004: 67-68, 94-95; კახიძე 2007: 65-67; კახიძე და სხვ. 2010: 50;

კახიძე და სხვ. 2014: 22; კახიძე და სხვ. 2014ა: 61, 67-68]; 3) *კობში* [ფუთურიძე 1983: 10]; 4) *ფოთის* მიდამოებში; 5) *ყულევში* [პაპუაშვილი 2002: 32]; 6) *ოჩამჩირეში* [კახიძე 1971:53]; 7) *გუადიხუში* [Воронов 1969: 45]; 8) *დაფნარში* [თოლორდავა 1983ბ: 138]; 9) *დაბლაგომში* [თოლორდავა 1983:131; კახიძე 1971: 53]; 10) *ვანის* ნაქალაქარზე [ფუთურიძე 1983ა: 10]. მათი მახასიათებელია მოყვითალო-მონითალო-მოყავისფროკეციანი, წვრილმარცვლოვანი თიხა ქარსის მინარევებით, ფორმით — ძვ.წ. V-IV სს-ისა — მასიური, ნახევარლილვისებური ან სამკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინით, სწორი, ცილინდრული ყელით, სფეროსებური ან კონუსური მოყვანილობის ტანით, სხვადასხვა სიმაღლის ცილინდრული, ქვემოთკენ გაფართოებული ფეხით, ოვალურგანივკვეთიანი ყურებით (13-19), ძვ.წ. III ს. — კვერცხისებური მოყვანილობის ტანით, ე.წ. სირჩისებური ძირით (20).

თასოსური ამფორების დამლევი აღმოჩენილია მხოლოდ *ვანის* ნაქალაქარზე. ესენია: 1. ემბლემა ცენტრში – ჭრაქი, გარშემო წარწერა საწარმოო ცენტრისა და ეპონიმის სახელებით [Θασι[α] Δ[ι]χ[ι]ρα[α]τ[ε]ς] (ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი) [ახვლედიანი, ფუთურიძე 2002: 50]; 2. ემბლემა — კნეხტი, გარშემო წარწერა საწარმოო ცენტრისა და ეპონიმის სახელებით Θασι[α] Ἡρόδο[το] (ძვ.წ. 325-310 წწ.) [ახვლედიანი, ფუთურიძე 2002: 51]; 3. ემბლემა ცენტრში – კაპარჭი, წარწერა არ იკითხება [ახვლედიანი, ფუთურიძე 2002: 51]; 4. ემბლემა ცენტრში — ამფორა, წარწერა არ იკითხება [ახვლედიანი, ფუთურიძე 2002: 51].

მენდეს ამფორები. საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებული ეგზემპლარები ფიქსირდება შემდეგ ძეგლებზე: 1) *ფიჭვნარში* [კახიძე და სხვ. 2004: 95; კახიძე 2007: 68-69; კახიძე და სხვ. 2014: 22-23]; 2) *სოხუმში* [Воронов 1977: 130]; 3) სოფ. *მთისძირში* [გამყრელიძე 1983: 128]; 4) *ვანის* ნაქალაქარზე [ფუთურიძე 1983: 19; კაჭარავა და სხვ. 2018: 13]. *მენდეს* ამფორების მასალის მახასიათებელია მოყავისფრო-მონაცრისფრო, სუფთად განლექილი თიხის კეცი ქარსის მინარევებით, ფორმით კი, ძვ.წ. V ს-ისა არის სამკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინით, დაბალი, ცილინდრული ყელით, პითოსისებური ტანით, მაღალი, ცილინდრული, ქვემოთკენ გაფართოებული ფეხის ფოსოიანი ძირით, ოვალურგანივკვეთიანი ყურებით (8), შემდგომში ძვ.წ. IV ს-ისა — მაღალი, ცილინდრული ყელით, კონუსისებური ტანით (9-12).

ჰერაკლეური ამფორები. საქართველოს ტერიტორიაზე *ჰერაკლეური* იმპორტი ძვ.წ. IV ს. – III ს-ის დასაწყისით თარიღდება და აღმოჩენილია: 1) ბათუმთან [კახიძე, ხახუტაიშვილი 1989: 45]; 2) *ფიჭვნარში* [ვაშაკიძე 1982: 84-87; კახიძე 1974: 73; კახიძე და სხვ. 2004: 96; კახიძე და სხვ. 2014: 23-24]; 3) ფოთის მახლობლად, *მალთაყვაში* [გამყრელიძე 2003: 170-185]; 4) *საქორეიოში*; 5) *ოჩამჩირეში*; 6) *სოხუმში* [ლორთქიფანიძე 1966: 73]; 7) *ეშერაზე* [Воронов 1977: 107; Шамба Г. 1980]; 8) *დაფნარში* [თოლორდავა 1983ბ: 137]; 9) *ვანის* ნაქალაქარზე [ფუთურიძე 1983: 20]. მათი მახასიათებელია მოყავისფრო-მოყვითალოკეციანი თიხის კეცი, შავი და თეთრი წვრილი მინარევებით, ფორმით — მრგვალგანივკვეთიანი პირის გვირგვინით, მაღალი, ცილინდრული ყელით, დაქანებულმხრებიანი კონუსური ტანით, წელში შევიწროებული, ქვემოთ გაფართოებული ფეხით, ოვალურგანივკვეთიანი ყურებით (32, 33). 5 *ჰერაკლეური* ამფორის ყელზე ენგლიფური დამლევი დაფიქსირებული — 2ც. *ვანის* ნაქალაქარიდან: 1. - Καλία - ენგლიფური დამლა, ჰერაკლეს კომბლით ორად გაყოფილი საკუთარი სახელი, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით [ფუთურიძე, 1983:20; Брашинский 1980: 39; Балабанов 1985: 12-28; Монахов 1999: 191]; 2. NI –დამლა, თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნით [ფუთურიძე 1983: 20; Брашинский 1980: 177-178; Балабанов 1985: 12-28; Монахов 1999: 448-451]; 2ც. *ფიჭვნარის* სამაროვანზე (სამ. № 1, 9): 1. Δαματρίο / Μολισσο, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ით [კახიძე 1974: 73; Брашинский 1980:39; Балабанов 1985: 12-28; Монахов 1999: 191]; 2. Ἡρακλέδα, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ით [კახიძე 1974: 73; Брашинский 1980: 39; Монахов, Рогов, 1990: 148; Монахов 1999: 349]; 1ც. ბათუმთან — / ἑπί Σιλάνο [კახიძე, ხახუტაიშვილი 1989: 45], თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის 30-იანი წლებით [Монахов 1999: 321].

სოლოხა I ტიპის ამფორები. ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებითა და მეორე ნახევრით დათარიღებული ამ ტიპის ამფორათა საწარმოო ცენტრი სადღეისოდ დაუდგენელია. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია: 1) *ბათუმის* ციხეზე [კახიძე, 1971ა: 53]; 2) *ფიჭვნარში* [ვაშაკიძე, 1982: 87-89; კახიძე და სხვ. 2014: 25]; 3) *ეშერაზე* [Воронов 1977: 107]; 4) *დაბლაგომში* [თოლორდავა 1983: 131]; 5) *საყანჩიაზე* [ლიჩელი 1983: 113]; 6) *ვანის* ნაქალაქარზე [ფუთურიძე 1983ა: 19-20]. *სოლოხა I* ტიპის ამფორების მახასიათებელია ღია ყავისფერი-ვარდისფერი, წმინდად განლექილი თიხის კეცი, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ფორმით — ძალზე ფართო გვირგვინიანი პირით, დაბალი, სწორი ყელით, კვერცხისებური ტანით, დაბალი, ფართო ფეხით, ოვალურგანივკვეთიანი ყურებით (21). *სოლოხა II* ტიპის ამფორები (პეპარეტი). ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებითა და მეორე ნახევრით დათარიღებული ამ ტიპის ამფორები აღმოჩენილია: 1) *ფიჭვნარში* [კახიძე 1979: 53-54; კახიძე და სხვ. 2014: 111], 2) *ეშერაზე* [Воронов 1977: 107]. მათი მახასიათებელია ნითელი ფერის თიხის კეცი ქარსის მინარევებით, ფორმით — მაღალი, სწორი ყელით, კონუსისებური ტანით, მაღალი, ცილინდრული, ქვემოთკენ ძლიერ გაფართოებული ფეხით, ძირზე მცირე ფოსოთი, ოვალურგანივკვეთიანი ყურებით (22, 23).

სინოპური ამფორები. საქართველოს ტერიტორიაზე სინოპური იმპორტი ორ ქრონოლოგიურ ჯგუფში — ძვ.წ. IV ს-ის შუა წლები – III ს-ის 30-იან წლებამდე და ძვ.წ. I ს-დან ახ.წ. V-VI სს. თავსდება. ძვ.წ. IV-III სს-ის სინოპური ამფორები აღმოჩენილია: 1) *გონიოში* [გძელიძე და სხვ. 1964: 78; ლორთქიფანიძე 1966: 126]; 2) *ბათუმის* ციხეზე [კახიძე და სხვ. 1989: 117]; 3) *ფიჭვნარში* [Кахидзе და სხვ. 1980: 161]; 4) *ნამჭედურზე* [Микеладзе და სხვ. 1985]; 5) *ფოთის* მახლობლად, მალთაყვაში [გამყრელიძე 2003: 170-185]; 6) *სიმაგრის* ნამოსახლარის სამხრეთით [მიქელაძე 1978: 76-77]; 7) *ქვემო ჭალადიძში* [მიქელაძე 1978: 78]; 8) სოფ. *საქორქიოს* დასავლეთ ნაწილში, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე [Микеладзе და სხვ. 1980: 34-35]; 9) *ქარიეტაში* [ლორთქიფანიძე 1966: 126]; 10) *ოჩამჩირეში* [მათიაშვილი 1977: 78, 83]; 11-14) *სოხუმის* მიდამოებში: ძველ ციხეზე, *ბაგრატის* ციხეზე, *ნითელ შუქურაზე*, *გუადიხზე* [Трапш 1969: 222-223], 15) *ეშერაზე* [Шамба Г. 1980: 27]; 16) *ნოქალაქევში*; 17) *ლესანდრაოზე*; 18) *საგვიჩიოში* [გრიგოლია და სხვ. 1973: 23]; 19) *გულეიკარში* [პაპუაშვილი 1999ა: 100]; 20) *ნოსირში* [ქორიძე და სხვ. 1969: 132]; 21) *დაფნარში* [თოლორდავა 1983ბ: 137]; 22) *დაბლაგომში* [თოლორდავა 1983: 132]; 23) სოფ. *მთისძირში* [გამყრელიძე 1983: 128]; 24) *საყანჩიაზე* [ლიჩელი 1983: 113]; 25) *ციხესულორში* [ფუთურიძე 1983: 126]; 26) *ვანის* ნაქალაქარზე; 27) *ჭოგნარში* [ლორთქიფანიძე 1966: 127]. მათი მახასიათებელია მოვარდისფრო-მოიასამნისფრო თიხის კეცი პიროქსენის მარცვლების მსხვილი ჩანარებით, ფორმით — ლილვისებური პირის გვირგვინით, ცილინდრული ყელით, გაშლილმხრებიანი, კონუსური ტანით, ცილინდრული ფეხით, ოვალურგანივკვეთიანი ყურებით (24-27). ძვ.წ. I ს-დან ახ.წ. V-VI სს-ით დათარიღებული *სინოპური* ამფორები ფორმით რამდენიმე სახისაა: ე.წ. ქიმისებურშვერილიანი ყურებით, აღმოჩენილია: 28) *გონიო-აფსაროსში* [ხალვაში 2002: 24-25]; 29) *სოხუმში* [აფაქიძე და სხვ. 1965: 120-121]; 30) *ბიჭვინთაში* [ბერძენიშვილი და სხვ. 1975: 254], თარიღდება ძვ.წ. I-ახ.წ. II ს-ის დასაწყისით (42); ე.წ. ორმაგყურიანი აღმოჩენილია: 28) *გონიო-აფსაროსში* [ხალვაში 2002: 21-23]; 29) *სოხუმში* [Трапш 1969: 323]; 30) *ბიჭვინთაში* [ლორთქიფანიძე გ. 1991: 82], თარიღდება ახ.წ. I ს-ის შუა ხანებით; ე.წ. ვინროყელიანი, აღმოჩენილია: 28) *გონიო-აფსაროსში* [ხალვაში 2002: 29-33]; 29) *სოხუმში* [Трапш 1969: 322]; 30) *ბიჭვინთაში* [ბერძენიშვილი და სხვ. 1975: 256-259]; 31) *ვარდციხეში* [ჯაფარიძე ვ.მ. 1989: 39-41], თარიღდება ახ.წ. II ს-ის დასაწყისი -III ს-ის პირველი ნახევრით (28); ე.წ. მხრებზე ყურებშიძერწილი, აღმოჩენილია: 28) *გონიო-აფსაროსში* [ხალვაში 2002: 34-35]; 29) *სოხუმში* [Трапш 1969: 331]; 30) *ბიჭვინთაში* [ბერძენიშვილი და სხვ. 1975: 268,271]; 31) *ინკიტის* ტბასთან [ლორთქიფანიძე 1963:105], თარიღდება ახ.წ. II-III სს-ით (29); გოფირებულტანიანი, აღმოჩენილია: 28) *გონიო-აფსაროსში* [ხალვაში 2002: 51-52]; 32) *პალიასტომის* ტბაში [გამყრელიძე 1987: 111]; 33) *ნოქალაქევში*, თარიღდება ახ.წ. V-VI სს-ით (30-31).

სინოპური ამფორების დამლევი (20ც.) დაფიქსირებულია — ვანის ნაქალაქარზე (16ც.): ἀστυσός / Ζήνιος τὸν / Ἀπολλο[δάρου] / -----, ემბლემა ტროპიუმი, თარიღდება ძვ.წ. III ს-ის შუა წლებით [Федосеев 1994: 189-190; Федосеев 1998: 259; ჩონოვიცი 1998: 40]; [Φί]ντιος / [ἀ]στυσός(μους) / [Θ]εῖδάρου, ემბლემა ბრონეულის ყვავილი, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით [Федосеев 1994: 189; Conovici 1998: 33]; Ἰστιαίου / ἐπὶ Κύρου / ἀστυσός(μους), ემბლემა არნივი დელფინზე, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებით [ფუთურიძე 1983:20; Федосеев 1994: 189; Conovici 1998: 25; Монахов 1999: 382-383]; ἀ[στυσός(μους)]/Μνηασικλῆς/----, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის ბოლო-ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით [Федосеев 1994: 89; Федосеев 1998: 258; Conovici 1998: 38; Монахов 1999: 447]; ----/Πασιχάρου/ τ[ὸν] Δημη[τρίου], თარიღდება ძვ.წ. III ს-ის 30-იანი წლებით [Федосеев 1994: 190; Conovici 1998: 40]; [ἀστ]υσός(μους)/[Ποσ]εῖδ[νί]ου, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის 30-იანი წლებით [Федосеев 1994: 190]; [Ποσειδ]ωνί(ος) / [ἀστυσ]ός(μους) / [Νεμυ]νί(ος), ემბლემა კადუცეუმი, სამფეხი, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის 30-20-იანი წლებით [Федосеев 1994: 189; Conovici 1998: 32]; Χαριξενίδου/ἀστυσός(μους) / Ποσειδων[νί]ου, ემბლემა კანთაროსი, მეორე გაურკვეველი, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის 30-20-იანი წლებით [Федосеев, 1994:189]; ---σ/ ἀστυσός(μους)/Ηφαιστ(ί)ου / Ποσειδων[νί]ου, ემბლემა ყურძნის მტევანი, ამფორა, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით [ახვლედიანი, ფუთურიძე 1999: 52-53]; [Π]οσειδωνί(ος), τὸν Θεῖδάρου/κεραμῆας, ემბლემა ბრონეულის ყვავილი, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის ბოლო – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით [Цехмистренко 1960: 70]; Τυμῆλας, თარიღდება ძვ.წ. III ს-ით [Цехмистренко 1960: 72-75]; 4 დამლაზე მხოლოდ ემბლემებია შემორჩენილი – რომბულ ფორმაში ითიფალური ჰერმა, ხარის თავი და ბრონეულის ყვავილი, ადამიანის ფიგურა მარჯვენა ხელით სვეტზე დაყრდნობილი, მარცხენაში სიაუხვის ყანნით (2 ც.) [ფუთურიძე 1983: 22]; [ἀ]στυσός(μους)/--ο--σ/--οσ---, ემბლემა მუზარადიანი წვეროსანი მამაკაცის თავი, მარცხნივ მიმართული; *საყანჩიაზე* (1ც.) – ΑΣΤΥΝΟ---/ ΕΠ---/ Μ---, თარიღდება ძვ.წ. III-II სს-ით [ლიჩელი 1983: 124]; *ნოქალაქევი* (1ც.) – Βόρσις ἀστυσός(μους) / Φορμίωσ, ემბლემა წვეროსანი მამაკაცის თავი მარჯვნივ, თარიღდება ძვ.წ. III ს-ის 80-იანი წლებით [ლომიტაშვილი 1997-98: 44-45; Федосеев 1998: 258; Conovici 1998: 38]; *ფიჭვნარში* (2ც.): Αἰσχίνο(ς) / ἀστυσός(μους) / Ποσειδων(νί)ου, ემბლემა მტრედი მარჯვნივ, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის 40-30-იანი წლებით [კახიძე 1965: 85-86; Монахов 1999: 357; Conovici 1998: 25]; [Πό]τιος/ἀστυσός(μους) /---ι ემბლემა ჰელიოსის თავი ფასში, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით [იაშვილი 1982: 95-98; Федосеев 1994: 189; Conovici 1998: 33].

როდოსული ამფორები. საქართველოს ტერიტორიაზე როდოსული იმპორტი ორ ქრონოლოგიურ ჯგუფში — ძვ.წ. III ს-ის ბოლო – II ს. და ახ.წ. III-IV სს-ში თავსდება. ძვ.წ. III ს-ის ბოლო – II ს-ით დათარიღებული ამფორათა ფრაგმენტები აღმოჩენილია: 1) *ეშერაზე* [Воронов 1977: 107]; 2) *სოხუმში* [ლორთქიფანიძე 1966: 130]; 3) *სოხუმის მთაზე* [კალანდაძე 1954: 39-49]; 4) *ახულ-აბააზე* [Воронов 1979: 32-36]; 5) *ოჩამჩირეში* [Качарава 1972]; 6) *პალიასტომის* ტბის დასავლეთ ნაწილში [Гамкрелидзе 1992: 35]; 7) *დაფნარში* [Кигურაძე 1976: 12; თოლორდავა 1983: 137]; 8) *საყანჩიაზე* [ლიჩელი 1983: 113,125]; 9) *ვანის ნაქალაქარზე* [ფუთურიძე 1983: 13-14, 22-24] (39). როდოსული ამფორის მახასიათებელია ღია მოყავისფერო ან მონითალო თიხის კეცი, სუფთად განლექილი, მინარევების გარეშე, ფორმით — კვერცხისებური ან წაგრძელებული ტანით, ცილინდრული ქუსლით, მრგვალგანვიკვეთიანი, მართი კუთხით მოხრილი ყურებით (მხოლოდ ადრეულ ნიმუშებზე გვხვდება ოვალურგანვიკვეთიანი ყურები). ახ.წ. III-IV სს-ით დათარიღებული - 10) *გონიო-აფსაროსში* [ხალვაში 2002: 25-29]; 11) *ბიჭვინთაში* [ბერძენიშვილი და სხვ. 1975: 261]. მათი მახასიათებელია ძარბრისებური პირ-ყელი (40, 41).

როდოსული ამფორებზე დამლევი დაიტანებოდა ორივე ყურზე. ერთ დამლაზე ეწერა ეპონიმის სახელი (როდოსზე ეპონიმი იყო ჰელიოსის ქურუმი, რომლის სახელიც ნათესაობით ბრუნვაში იდგა, ჩვეულებრივ თავსართ ἐπι-თან ერთად, ზოგჯერ ქურუმის წოდების აღნიშვნით -ἐπῆδας), მეორეზე – ფაბრიკანტის საკუთარი სახელი (უმრავლეს

შემთხვევაში ნათესაობით ბრუნვაში, იშვიათად სახელობითში), როდოსული კალენდრის თვის დასახელება ხან ეპონიმის, ხან ფაბრიკანტის დამლაში თავსდებოდა. გარდა ამისა როდოსული დამლები აღიჭურვებოდა ემბლემით, ხშირად ეს იყო ვარდის (ზოგჯერ მას ბრონეულის ყვავილს უწოდებენ), უფრო იშვიათად ჰელიოსის თავის გამოსახულება, ხანდახან სხვა ემბლემაც დაიტანებოდა. ისინი ან ეპონიმის, ან ფაბრიკანტის დამლაზე თავსდებოდა. როდოსული ამფორების დამლები დაფიქსირებულია - ვანის ნაქალაქარზე (58ც.), საყანჩიაზე (30ც.), დაფნარში (1ც.) და ძვ.წ. IIIს-ის ბოლო – II ს-ით თარიღდება.

კოსური ამფორები. საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. III–II სს-ით დათარიღებული კოსური ამფორები აღმოჩენილია: 1) *ეშერაზე* [Воронов 1977: 107]; 2) *ოჩამჩირეში* [Качаравა 1972]; 3) ანურხვაზე [ლორთქიფანიძე 1966: 130]; 4) *საყანჩიაზე* [ლიჩელი 1983: 115-116, 124]; 5) *ვანის* ნაქალაქარზე [ფუთურიძე 1983: 19]. მათი მახასიათებელია მოვარდისფრო თიხის კეცი კარგად განლექილი, ქარსის მინარევებით, ფორმით — ნახევარლილვისებური პირის გვირგვინით, ცილინდრული ყელით, ნაგრძელებული (სიგარისებური) ტანით, რკოსებური ძირით, ორლულიანი ყურებით (36, 37). გონიო-აფსაროსში აღმოჩენილია ახ.წ. II ს-ით დათარიღებული კოსური ამფორების ფრაგმენტები, რომლებიც მის მთავარ მახასიათებელს ორლულიან ყურებს წარმოადგენენ [ხალვაში 2002: 21-23].

კორინთული ამფორა. საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. III–II სს-ით დათარიღებული ერთი კორინთული ამფორის პირ-ყელის ფრაგმენტია აღმოჩენილი საყანჩიაზე [ლიჩელი 1983: 116, 124]. ზოგადად, მათი მახასიათებელია მოთეთრო-მოყვითალო თიხის კეცი შამუტის მინარევებით, ფორმით — შესქელებული, ოდნავ გარეთ გადმოკეცილი პირის გვირგვინით, ცილინდრული, საფეხურებად პროფილირებული ყელით, კვეცხისებური ტანით, ნაკვეთილი კონუსისებური ფეხით, ოვალურგანივკვეთიანი ყურებით. კორინთული ამფორების იმპორტი ძვ.წ. II ს-ის შუა წლებიდან უნდა შემწყდარიყო, ვინაიდან ძვ.წ. 146 წელს რომაელებმა ქ. კორინთო დაანგრიეს.

ქერსონესული ამფორები. საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. III ს-ით დათარიღებული ქერსონესული ამფორების ორი ცალი ფეხი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე კულტურულ ფენაში [ფუთურიძე 1983: 26] (34) და ახ.წ. III ს-ით - *ბიჭვინთაში* [ბერძენიშვილი და სხვ. 1975: 265] (35). მათი მახასიათებელია ნითელი-მოყვითალო ფერის თიხის კეცი კირქვისა და პიროქსენის მინარევებით, ლილვისებური პირის გვირგვინით, დაბალი, სწორი ყელით, კვერცხისებური მოყვანილობის, რიგ შემთხვევაში კონუსური ტანით, დაბალი, ქვემოთკენ გაფართოებული ფეხით, ქვემოდან შეღრმავებული ძირით, ოვალურგანივკვეთიანი ყურებით.

კნიდური ამფორები. საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. II ს-ით დათარიღებული კნიდური ამფორების ფრაგმენტები აღმოჩენილია: 1) *საყანჩიაზე* [ლიჩელი 1983: 113-125]; 2) *ვანის* ნაქალაქარზე [ფუთურიძე 1983: 24-25]. მათი მახასიათებელია მოწითალო-მოყავისფრო თიხის კეცი ქარსისა და ქვიშის მინარევებით, ფორმით - შესქელებული პირის გვირგვინით, მაღალი, ოდნავ გამობერილი ყელით, კვერცხისებური ტანით, მაღალი, ვიწრო, კონუსური ფეხით, რომელზეც შემოვლებულია მრგვალი სალტე, ოვალურგანივკვეთიანი ყურებით (38). კნიდური ამფორის დამლიანი ყური დაფიქსირებულია ვანის ნაქალაქარზე — [Ἐπι'Αγ]αθοκλα[ς] / [Εἰ]φρα[ν]α[ρ] / Kv[ι]δ[ιον], თარიღდება ძვ.წ. II ს-ის მესამე მეოთხედით [Grace, Savatianou-Petropoulakou, 1970: 329-330].

იტალიკური ამფორები. საქართველოს ტერიტორიაზე ამ ამფორების იმპორტი თარიღდება ძვ.წ.-ახ.წ. II სს-ით. გამოვლენილია *ვანის* ნაქალაქარსა [მათიაშვილი 2013: 39, 116] და *გონიო-აფსაროსში*, ე.წ. ქიმისებურშვერილიანი ამფორების სახით [ხალვაში 2002: 24-25]. ათენის ამფორა. საქართველოს ტერიტორიაზე ახ.წ. IIIს. *პირზემოთაზიდულყურიანი* ამფორის ფრაგმენტები დაფიქსირებულია გონიო-აფსაროსში (43) [ხალვაში 2002: 35-36].

მიღებული მონაცემების მიხედვით ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე იმპორტის შემოსვლა, ჩვენს შემთხვევაში ამფორების, დამოკიდებული იყო როგორც სავაჭრო კონტრაგენტების ცვლილებაზე, ასევე კოლხეთში არსებულ ვითარებაზე. შესაბამისად, შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები: უცხოური ამფორების იმპორტი კოლხეთში

ინყება ძვ.წ. VI ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისში. ესაა ლესბოსური, სამოსური და ქიოსური ამფორები; ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარში დომინირებენ ჰერაკლეური ამფორები, მასთან ერთად გვხვდება ქიოსური და თასოსური ნაწარმი, ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისამდე კოლხეთის სავაჭრო კონტრაგენტების რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს: დომინირებს სინოპური იმპორტი, გარდა ამისა გვხვდება ჰერაკლეს, თასოსის, ქიოსის, მენდეს, სოლოხა I, სოლოხა II, ქერსონესის ამფორები. ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარში გვხვდება მხოლოდ სინოპესა და ქიოსის ნაწარმი, ხოლო ძვ.წ. III ს-ის ბოლოსა და II საუკუნეში დომინირებენ როდოსული ამფორები, მათთან ერთად გვხვდება კოსის, კნიდის, ქიოსისა და კორინთოს ნაწარმი. ძვ.წ. I ს-ში კვლავ აღდგა სინოპური იმპორტი, მასთან ერთად შემოსვლას იწყებს იტალიკური ნაწარმი. ახ.წ. I-III სს-ში კოლხეთის ტერიტორიაზე დომინირებს სინოპური იმპორტი, მასთან ერთად გამოვლენილია როდოსული, ქერსონესული, ათენური და არა იდენტიფიცირებული საწარმოო ცენტრების ნაწარმი, ახ.წ. IV-VI სს-ში კი - სამოსური, როდოსულთან და სინოპურთან ერთად.

იმპორტული ამფორების გავრცელება კოლხეთის ტერიტორიაზე შემდეგ პერიოდებად იყოფა: I. ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი - იმპორტი ვრცელდება როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ისე შიდა რეგიონებში (მდ. რიონის შუა წელამდე), განსაკუთრებით დიდ ფართობზე ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებიდან - ძვ.წ. III ს-ის დასაწყისამდე; II. ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი - იმპორტის გავრცელების არეალი ძალზე იკვეცება. სადღეისოდ არსებული მონაცემების მიხედვით, იგი მხოლოდ ვანის ნაქალაქარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (საყანჩია) ფიქსირდება; III. ძვ.წ. III ს-ის ბოლოდან - II საუკუნე - იმპორტი ვრცელდება კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში და ვანის ნაქალაქარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (საყანჩია და დაფნარი); IV. ძვ.წ. I ს. - ახ.წ. III ს. იმპორტის გავრცელების არეალი ისევ მცირდება (ძირითადად, შავი ზღვის სანაპირო), ახ.წ. II-III სს-ში შედარებით იზრდება; V. ახ.წ. IV-VI სს. იმპორტული ამფორების გავრცელება იზრდება, როგორც ქვეყნის სანაპირო ზოლში, ასევე შიდა რეგიონებში. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



უცხოური ნაწარმი

დ. კაჭარავა

ძველ საქართველოში საგარეო-სავაჭრო კონტაქტები შედარებით ინტენსიური გახდა ბერძნულ-ირანული ომების შემდეგ. ძვ.წ. V ს-დან მოყოლებული უცხოური ნაწარმი ხშირად გვხვდება საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. ჩანს, ძველი საქართველოს მოსახლეობის საქმიანობაში სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. საქართველოში არქეოლოგიურად მოპოვებული არტეფაქტების ერთი ნაწილი, როგორც მათმა შეწავლამ უჩვენა, უცხოეთიდან შემოტანილი ნაწარმია. ისინი აქ სავაჭრო-გაცვლითი ურთიერთობის შედეგად, ან ე.წ. ძღვენის სახით არის მოხვედრილი. ძღვენ-საჩუქარს მიართმევდნენ ხოლმე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მათგან კეთილგანწყობის და დახმარების სანაცვლოდ. საქართველოში აღმოჩენილი მდიდრული სამარხების (მაგ.: ვანის, საირხის, ქობულეთ-ფიჭვნარის ნაქალაქარებზე) კომპლექსებში დადასტურებული ტორევიტიკისა და ოქრომჭედლობის მაღალმხატვრული ნიმუშები ამის გარკვეული დასტურია.

ადრეანტიკური ხანის (resp. ძვ.წ. VI-IV სს.) იმპორტული ნაწარმი საქართველოში ძირითადად ორი სამყაროდან შემოდიოდა — დასავლურიდან (საბერძნეთიდან) და აღმოსავლურიდან (ირანიდან). იმპორტი წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის (ჭურჭელი, სამკაული, სატუალეტო და საყოფაცხოვრებო ნივთები, იარაღი, ქანდაკებები,

ტერაკოტები) და სხვადასხვა მასალისაგან (თიხა, მინა, ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა) დამზადებული ნაკეთობებით.

აღმოსავლური იმპორტი. ანტიკურ ხანაში კოლხეთ-იბერიას საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლურ სამყაროსთან, კერძოდ, აქემენიდურ ირანთან. აქემენიდური ნაწარმი საქართველოს ზღვისპირეთში მეტად იშვიათია. შედარებით მეტია ცენტრალურ კოლხეთსა (მაგ.: *ვანი, საირხე, ითხვისი*) და აღმოსავლეთ საქართველოში. აქ ის წარმოდგენილია ოქროს სამკაულებით, ვერცხლისა და მინის ჭურჭლით, აგრეთვე ცხენის აკაზმულობის მორთულობით, საბეჭდავებით, მონეტებით და სხვ.

სამკაულები. ოქროსაგან დამზადებული აქემენიდური სამკაულები არც ისე მრავლად გვხვდება ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში. პირველ რიგში უნდა დასახელდეს წრიული საყურეები. ისინი აღმოჩენილია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში: *ახალგორის* განძში [ლორთქიფანიძე 2003: 30, 32-34; Смирнов 1934: 21-22, ტაბ. III, 24, 25], *კახეთში* [Гагошидзе 1985: 59, სურ. 17], *შავსაყდარას* სამაროვანზე [მარგიშვილი 1992: 18, 56, ტაბ. 11, 5; 24, 4], საირხის №1 სამარხში [ბრაგვაძე 2010: 56-60; მახარაძე და სხვ. 2007: 45, სურ. 32]. იხ. სურ. 1. *საყურეები. ოქრო. ახალგორის განძი*. აქემენიდური ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი სამკაულის ტიპს მიეკუთვნება *ვანის* №6 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ინკრუსტირებული სამაჯურები, ზურგშენეკილი და ცხოველთა თავებით შემკული [იხ. ჭყონია 1981: 48, 110, კატ. №54-56; ჭყონია 2013: 119; Rehm 1992: 32, ტაბ.35,91]: სამაჯურების ზურგშენეკილობა და ორნამენტში ინკრუსტაციის გამოყენება აქემენიდური ოქრომჭედლობის დამახასიათებელი ნიშნებია. იხ. სურ. 2. *სამაჯურები. ოქრო. ვანი, სამარხი №6*.

აქემენიდური მოდელის მიხედვით დამზადებულ სამკაულადაა მიჩნეული *ვანის* №6 და საირხის №8 სამარხების ოქროს სამაჯურები (ზურგშედრეკილი, დაბოლოებული ვერძის თავებით; საირხის ნიმუშებს თავებთან სამი დაღარული მძივისებური შემსხვილება აქვს დამატებული [ჭყონია 1981: 48; ჭყონია 2013: 117-122; ნადირაძე 1990: 50]. ორივე სამარხი ძვ.წ. IVს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [იხ. ჭყონია 2013: 120]. იხ. სურ. 3. *სამაჯურები. ოქრო. ვანი, სამარხი №6*.

ტიხროვანი ინკრუსტაციით შემკული პექტორალი *ვანის* №6 სამარხიდან ოქრომჭედლობის უნიკალური ძეგლია. ის მიჩნეულია აქემენიდური ხანის ეგვიპტიზირებული ხელოვნების ნიმუშად [იხ. ჭყონია 1981: 40-46]. იხ. სურ. 4. *პექტორალი. ოქრო. ვანი, სამარხი №6*.

შემოტანილი ჩანს ოქროს მძივების რამდენიმე სახეობა. პირველ რიგში ესაა მძივ-საკიდები, შედგენილი ერთმანეთზე მორჩილული ღრუ სფერული მძივებისაგან, რომლებიც რამდენიმე რიგადაა განლაგებული ისე, რომ პირამიდის ფორმას იღებს. ისინი აღმოჩენილია *ვანში* (სამარხი №22) [Kacharava და სხვ. 2009: 257-258, სურ. 14ბ; კაჭარავა 2016:72, ტაბ. IV, 6], საირხეში (სამარხები №1, 8, 10) [ნადირაძე 1990: 51, 79, 95, ტაბ. XXXIV, 2; მახარაძე და სხვ. 2007: 38,63, 65, 75, სურ. 33, 90, 119] და ე.წ. *ახალგორის* განძში [იხ. ლორთქიფანიძე 2003: 30-31, სურ. 5,20]. ამათგან მხოლოდ *საირხის* №10 სამარხსა და *ახალგორის* განძში არის დადასტურებული იმდენი მძივი, რომ შეიძლება ყელსაბამის შედგენა, სხვა შემთხვევებში მხოლოდ თითო-ოროლაა აღმოჩენილი. ასეთი ელემენტებისგან შედგენილი ყელსაბამი ცნობილია *სარდისიდან* [იხ. Curtis 1925: 22, 24, №41, 45, ტაბ. 3,12; 4,3]. აქემენიდურია ე.წ. ნესვისებური მძივი *ვანის* №22 სამარხიდან, რომელიც ანალოგიას პოულობს *სარდისის* მასალებში [იხ. Curtis 1925: 22,24, სურ. 3,12; 4,3; Hanfmann 1962: 27, სურ 23, 46; Waldbaum 1983:126, კატ. №760, სურ. 46]. იხ. სურ. 5. *მძივი. ოქრო. ვანი, სამარხი №22*; სურ. 6. *მძივი. ოქრო. ვანი, სამარხი №22*.

ე.წ. სასახლის სტილის ნივთებს მიეკუთვნება *ახალგორის* განძის საკიდი, რომელიც შემკულია ერთმანეთის პირისპირ მსხდომი სფინქსების გამოსახულებებით [ლორთქიფანიძე 2003: 40-41, სურ. 7,3; 16,3]. იხ. სურ. 7. *საკიდი. ოქრო. ახალგორის განძი*.

ციხიაგორის (ძვ.წ. IIIს), *უფლისციხისა* (ძვ.წ. IV ს. მიწურული) და *ტახტიძირის* (ძვ.წ. IVს.) სამარხებში აღმოჩენილი, ჭვირული ფილიგრანით გამოყვანილი საყურეების საკიდები

აქემენიდური ოქრომჭედლობის ნიმუშები უნდა იყოს [ცეციტიშვილი 2001: 41-46; ყიფიანი 2000:79, სურ. 31]. ამ საყურეების საკიდების უახლოესი ანალოგია პასარგადის განძში (დაახლოებით ძვ.წ. 330-იან წლები) აღმოჩენილი ჭვირული საყურის საკიდია [იხ. Stronach 1978:176, პლ.148]. იხ. სურ. 8. *საყურეები. ოქრო. ციხიაგორა*. სურ. 9. *საკიდი. ოქრო. ტახტიძირი*.

ჭურჭელი. საქართველოში აღმოჩენილი ჭურჭელი, რომელიც აქემენიდურ სამყაროს შეიძლება დაუკავშირდეს, დამზადებულია მინისა და ვერცხლისაგან. მინის ჭურჭელი წარმოდგენილია როგორც მონოქრომიული, ასევე პოლიქრომიული ნიმუშებით. მათგან პირველი მხოლოდ ორი ფიალის სახით გვხვდება. ერთი წინწყაროს, მეორე კი საირხის სამარხშია აღმოჩენილი. წინწყაროს ფიალა [იხ. Куфтин 1941: 37, ტაბ. VIII; საგინაშვილი და სხვ. 1973: 81-98] დამზადებულია უფერული, გამჭვირვალე მინისაგან. ის ძვ.წ. IV ს-ის კომპლექსიდან მომდინარეობს. წინწყაროში აღმოჩენილი ფიალა აქემენიდური იმპერიის ცენტრალურ რეგიონშია დამზადებული, შესაძლოა, მესოპოტამიაში. ძვ.წ. V ს-ის შუახანების კომპლექსშია დადასტურებული ასეთივე მინის ფიალა საირხიდან [იხ. მახარაძე და სხვ. 2007: 109-110, სურ. 111; Gagoshidze და სხვ. 2000: 72, სურ. 3,2]. იხ. სურ. 10. *ფიალა. მინა. ალგეთის წინწყარო, სამარხი*.

პოლიქრომიული მინის ჭურჭლის ორი ჯგუფი ასევე უკავშირდება ირანს. ესენია თასები და ქუთუთოების საღებავისთვის განკუთვნილი ჭურჭელი, ე.წ. *კოჰლ-ტუბე-ები*. თასები ჯერჯერობით მხოლოდ *ვანის* ნაქალაქარზე დადასტურდა (2ც. №11 სამარხში, რომელიც ძვ.წ. VI ს. შუახანებით თარიღდება). ამგვარი ჭურჭელი ირანული წარმომავლობისად არის მიჩნეული [იხ. ფირცხალავა 1983:84-86; Barag 1975: 23-36]. იხ. სურ. 11. *ვაზები. მინა. ვანი, სამარხი №11*.

თვალის შესაღები ფხვნილისთვის განკუთვნილი ფერადი მინის სანელსაცხებლები — ე.წ. *კოჰლ-ტუბე-ები* — აღმოჩენილია საქართველოს რამდენიმე ძეგლზე: ქვეყნის დასავლეთ ნაწილში *ვანში* და *ფიჭვნარში* [იხ. ფირცხალავა 1983: 83-84, 86, კატ. №396, ტაბ. 37; კახიძე 2007: 172-173, სურ. 12¹¹, 15⁸; კახიძე 2008: 49-53; კახიძე და სხვ. 2009: 24-27, კატ. №6-7], ხოლო აღმოსავლეთში — *ენაგეთში*, *ტახტიძირში*, *კუშში*, *შავსაყდარაში* [იხ. Gagoshidze და სხვ. 2000ა: 67-70, სურ.1, 2-8]. ამ სანელსაცხებლების ოთხკუთხაგანივკვეთიანი ნიმუშები კარგად დათარიღებული კომპლექსებიდან მომდინარეობს: *ვანის* სამარხები №6 (ძვ.წ. IV ს. დასაწყისი) და №22 (ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევარი), *ენაგეთის* №16 სამარხი (ძვ.წ. V ს. დასასრული — IV ს. დასაწყისი), *ტახტიძირის* №8 სამარხი (ელინისტური ხანის დასაწყისი). იხ. სურ. 12. *Kohl-tube-ი. მინა. ვანი, სამარხი №6*; სურ. 13. *Kohl-tube-ი. მინა. ვანი, სამარხი №22*; სურ. 14. *Kohl-tube-ი. მინა. ტახტიძირი*; სურ. 15. *Kohl-tube-ი. მინა. ტახტიძირი*; სურ. 16. *Kohl-tube-ი. მინა. კუში*. აქემენიდური მინის ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოდან ქვეყნის დასავლეთ ნაწილში გავრცელდა, ხოლო ზოგადად საქართველოში კი — ირანიდან მომავალი გზით შემოაღწია [იხ. საგინაშვილი 2000: 75].

აქემენიდური ირანიდან შემოტანილი ნაწარმის საიტერესო ჯგუფს ქმნის ვერცხლის ჭურჭელი. *ახალგორის* განძში, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის დასასრულით თარიღდება, რამდენიმე ფიალა აღმოჩნდა. ერთ-ერთ მათგანს მიეკუთვნებენ ე.წ. *Phialen mit gegenständigen Bückeln*-ის ჯგუფს [იხ. Luschey 1939: 43, 50, 58]. ის ირანული ან მცირეაზიური წარმოებისაა. ეს არის უადრესი ფიალა *ახალგორიდან*. მას ძვ.წ. VI ს. აკუთვნებენ. ამავე დროით თარიღდება კიდევ ერთი ფიალა *ახალგორიდან* [იხ. ლორთქიფანიძე 2003: 37-38]. ძვ.წ. VI ს-ით დათარიღებული ყაზბეგის ფიალა, ნუშისებური ბურცობებით და გედების თავებით არის შემკული [იხ. Смирнов 1909: 7, ტაბ.VIII]. ვერცხლის ფიალა, შემკული *ვანის* ოქროს ფიალის მსგავსი ორნამენტით, აღმოჩენილია ფიჭვნარის №6 სამარხში, რომელიც თარიღდება ძვ.წ. V ს-ის შუახანებით [იხ. Kakhidze 2004: 85-119]. ასეთივე ორნამენტითაა შემკული ფიალა *ენაგეთის* №1 სამარხიდან, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება [იხ. მარგიშვილი 1992: 71-72, ტაბ. XX]. უომფალოსო ფიალა აღმოჩენილია *ყანჩაეთის* სამარხში. ის ღრმაა და მისი ტანი ლოტოსის ყვავილის ფორმისაა [იხ. გაგოშიძე 1964: 62-64, ტაბ. XII, 74; XIII, 74].

ფიჭვნარის სამაროვანზე ვერცხლის ორი ფიალა აღმოჩნდა [იხ. Kakhidze 2004: 85-119]. ესენიც აქემენიდურის ტიპის ფიალებია. ვერცხლის სადა, ომფალოსიანი ფიალები ვანიდან და საირხიდან აქემენიდურია და ძვ.წ. V და ადრეული IV სს-ით თარიღდება [იხ. ფუთურიძე და სხვ. 1972: 116, სურ. 58; გიგოლაშვილი 2001: 35-36, სურ. 3; მახარაძე და სხვ. 2007: 78, სურ. 62, ფ. 127]. ვერცხლის ორი ფიალა ვანიდან ნუშისებური ბურცობებისა და ლოტოსისებრი პალმეტების გარდა შემკულია ზომორფული სახეებით. ერთი მათგანი, აღმოჩენილი №6 სამარხში, შემკულია ჰერალდიკურად განლაგებული ფრთოსანი თხების ფიგურებით, რომლებიც დგანან უკანა ფეხებზე. ეს ფიალა ძვ.წ. V ს-ის არის და აქემენიდურ წრეს განეკუთვნება. იხ. სურ. 17. *ფიალა. ვერცხლი. ვანი, სამარხი №6.*

ვანის №2 სამარხში აღმოჩენილ ფიალაზე ომფალოსის გარშემო გამოსახულია ცხოველების მსვლელობა — ტახი, ძაღლი, ლომი და ირემი. იგივე სამარხიდანაა მეორე ფიალა [მათიაშვილი 1977ა: 104]. ვანის №24 სამარხში აღმოჩენილი 5 ფიალიდან ორზე ფრინველების რიგია გამოსახული, ერთზე კი — ნადირობის სცენა [Kacharava და სხვ. 2009: 300]. ფრინველების გამოსახულებიანი მსგავსი ფიალა სოხუმშიც არის დადასტურებული [Воронов 1991: 226, სურ. 4,1]. ფიალების ეს ჯგუფი სტილისტური ერთიანობით ხასიათდება და შესაძლოა ერთსა და იმავე ცენტრშია დამზადებული.

ვერცხლის ლანგარი, აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოში, ალგეთის ხეობაში, სოფელ *ნინწყაროსთან* [Куфтин 1941: 36, სურ. VII], დაახლოებით ძვ.წ. 350 წლით თარიღდება. ის მხოლოდ გარედან გრავირებული ლოტოსის ყვავილებით არის ორნამენტირებული. ალგეთის სამარხშივე აღმოჩენილი ვერცხლის ომფალოსიანი ფიალა [Куфтин 1941: 36-37] ჰ. ლუშეის *Blattphialen* ჯგუფში თავსდება და გვიანაქემენიდურ ხანას მიეკუთვნება. ჰორიზონტალური კანელურებით შემკული ვერცხლის თასი ვანის №6 სამარხიდან [Guigolashvili 1990: 279-280, სურ. 32] აქემენიდური ირანიდან არის შემოტანილი. იხ. სურ. 18. *თასი. ვერცხლი. ვანი, სამარხი №6.*

ზემოთ განხილულ ნიმუშებს გარდა, საქართველოში ვერცხლის ისეთი სხვა ჭურჭელიცაა აღმოჩენილი, რომელიც აქემენიდებს შეიძლება დაუკავშირდეს. მათ რიცხვში შედის: უჩვეულო ფორმის სასმისი ითხვისის (ჭიათურის მუნიციპ.) ძვ.წ. VI-ის შუახანების სამარხიდან [იხ. გაგოშიძე 1968: 31-45; გაგოშიძე და სხვ. 2006: 56, სურ. 43, სურ. 90; გაგოშიძე და სხვ. 2010: 54]; აგრეთვე ვერცხლის ბრტყელძირა და პირფართო სასმისი ვანის №11 სამარხიდან, რომელიც ემსგავსება ფორმით პოლიქრომიული მინის 2 ჭურჭელს იმავე სამარხიდან. მინის ეს ჭურჭელი კი, როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, ირანულ-აქემენიდურ სამყაროს უკავშირდება [იხ. ფირცხალავა 1983: 84-86]. ამავე რიგისაა ვერცხლის დიდი ზომის ძირწვეტიანი ჭურჭელი [მახარაძე და სხვ. 2007: 77. 95, სურ. 159, 126] და სასმისი საირხის სამაროვნიდან [მახარაძე და სხვ. 2007: 91-92, სურ. 85, სურ. 150; Treister 2007]. ეს უკანასკნელი თავისი ორნამენტითა (ლოტოსის ფურცლები და პალმეტები; ნუშისებური ბურცობები, ე.წ. ენები-და-კვერცხები) და ფორმით ირანული ჩანს [შეადარე, გიგოლაშვილი 2005: 57-64]. იხ. სურ. 19. *სასმისი. ვერცხლი. ვანი, სამარხი №11; სურ. 20. ძირწვეტიანი ჭურჭელი. ვერცხლი. საირხე.*

ვანის №24 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ჩამჩის აქემენიდური წარმომავლობა თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. უახლოესი ანალოგიები ძვ.წ. V ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება. იხ. სურ. 21. *ჩამჩა. ვერცხლი. ვანი, სამარხი № 24.* ვანში აღმოჩენილი ვერცხლის მცირე ზომის ვაზა ე.წ. აქემენიდური ღრმა თასების ადრეულ ვარიანტს მიეკუთვნება [Kacharava და სხვ. 2009: 302]. იხ. სურ. 22. *ვაზა. ვერცხლი. ვანი, სამარხი №24.* ღრმა თასი ციხიაგორის მდიდრულ სამარხშიც დადასტურდა [Zkitischvili 1995: 19]. ირანულ სამყაროს უკავშირდება ფიალა ქალის სამარხიდან (სამარხი №2) [იხ. მათიაშვილი 1977: 104].

საბეჭდავები. საქართველოში დღემდე 6 აქემენიდური საბეჭდავია აღმოჩენილი. ესენია: 1. ზოლიანი აქატის ცილინდრული საბეჭდავი *ჯოისუბნის* სამაროვნიდან, რომელზეც გამოსახულია ფრთოსანი ლომები სიცოცხლის ხის აქეთ-იქით. საბეჭდავი აქემენიდური გლიპტიკის აღმოსავლური ე.წ. *სასახლის კარის* სტილს მიეკუთვნება და ძვ.წ. V ს-ით თარიღდება; 2. საფირინის კონუსური საბეჭდავი სიცოცხლის ხისა და მის ორივე მხარეს

უკანა ფეხებზე მდგარი გარეული თხების ფიგურებით ტახტიძირის სამაროვნიდან; ესეც „აღმოსავლური სასახლის“ კარის სტილს მიეკუთვნება, თარიღდება ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით; 3. ქალცედონის პირამიდული საბეჭდავი ფრთოსანი ღვთაების გამოსახულებით, რომელსაც კუდებით უჭირავს ორი ფრთოსანი ლომი *სამთავროს №905* სამარხიდან, დასავლურ *სასახლის კარის* სტილს მიეკუთვნება და ძვ.წ. VI ს. დასასრულით-V ს. პირველი ნახევრით თარიღდება; 4. ქალცედონის მრავალნახნაგა საბეჭდავი ბაიათხევის სამაროვნიდან, რომლის ოთხ ნახნაგზე სხვადასხვა გამოსახულებაა მოცემული, ბერძნულ-სპარსული საბეჭდავების რიგს მიეკუთვნება და ძვ.წ. V ს. მეორე ნახევრით-IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება; 5. ქალცედონის სკრაბეოიდი ხართან მებრძოლი მხედრის გამოსახულებით ჯიმითის სამარხიდან ბერძნულ-სპარსული საბეჭდავების ე.წ. ბერნის ჯგუფს მიეკუთვნება და ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება; 6. სკრაბეოიდის ფორმის ქალცედონის საბეჭდავი ლომისა და შველის(?) ბრძოლის სცენით, სავარაუდოდ ბოლნისის რაიონიდან, ასევე ბერნის ჯგუფს მიეკუთვნება და ძვ.წ. III ს-ით თარიღდება [იხ. ჯავახიშვილი ქ. 2009: 85-93].

აღმოსავლურ იმპორტს შორის ყურადღებას იქცევს ქალცედონის ტვიფარ-საბეჭდავი ვანის №24 სამარხიდან. ამ რვაკუთხა პირამიდის ფორმის საბეჭდავის ფუძეზე გამოსახულია ორი მლოცველი *ბაბილონური* სიმბოლოების წინ. საბეჭდავი მიეკუთვნება გვიანბაბილონური საბეჭდავების სტილს, რომელსაც დრილლედ ანდ ცუტ სტყულე-ს უწოდებენ. ამ ტიპის საბეჭდავები გავრცელებულია ძვ.წ. VI-IV სს-ში — თავს იჩენს ნეობაბილონურ ხანაში და არსებობს ბაბილონის დაცემის (ძვ.წ. 539წ.) შემდეგაც [იხ. კაჭარავა 2008: 174-177]. იხ. სურ. 23. *ტვიფარ-საბეჭდავი. ქალცედონი. ვანი, სამარხი №24.*

ცხენის აკაზმულობის ნაწილები. აქემენიდური პროდუქციის ეს ჯგუფი ასევე მცირედაა წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო ხანის ძეგლებზე. აჭურამაზდას გამოსახულებიანი ცხენის ოქროს საშუბლე ბალთა აღმოჩენილია საირხის №8 სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [მახარაძე და სხვ. 2007: 70, კატ. №58, სურ. 17; ბრავგაძე 2010: 56-60]. უფრო მეტი რაოდენობითაა ჩვენში აღმოჩენილი სხვადასხვა მასალისაგან (ოქრო, ბრინჯაო, ძვალი) დამზადებული, ეშვისებური ფორმის ცხენის აღვირის თასმების განმანაწილებლები, რომლებიც შეიძლება აქემენიდურ სამყაროს დაუკავშირდეს. ზოგი მკვლევარი ამგვარ განმანაწილებლებს „ასხმულას“ უწოდებს [ფირცხალავა და სხვ. 2013: 103]. საირხეში ძვ.წ. V ს. შუახანებით (თუ მესამე მეოთხედით) დათარიღებულ №5 სამარხში დაკრძალული ხუთი ცხენიდან სამს (№1-3) ჩატანებული ჰქონდა აკაზმულობა, რომელშიც შედიოდა ცხენის აღვირის ღვედების განმანაწილებლები, საკუთრივ ტახის ეშვისაგან გაკეთებული და ეშვის ფორმისა, ოღონდ ოქროსაგან დამზადებული [მახარაძე და სხვ. 2007: 57-58, კატ. №44, 48-49, 52-53, ფოტო 72, 75, 76, 79-80]. ითხვისის სამაროვნის №21 სამარხში აღმოჩნდა ძვლისგან დამზადებული ტახის ეშვის ფორმის დეტალი [გაგოშიძე და სხვ. 2006: 59, სურ. 53]. სამარხი ძვ.წ. V ს-ის შუახანებით თარიღდება [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2010: 54]. ზესტაფონში შემთხვევით აღმოჩენილ ძვ.წ. V ს-ით დათარიღებულ სამარხში კი ეშვის ფორმის აღვირის თასმების განმანაწილებელი ბრინჯაოსაგანაა დამზადებული [ფირცხალავა და სხვ. 2013: 108, ტაბ. III, 16]. ცხენის აკაზმულობის ამგვარი დეტალი აღმოსავლეთ საქართველოშიც არის დადასტურებული. კერძოდ, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. *აბანოში*, ადგილ *ციხიანაში* გამოვლენილ სამაროვანზე — სამარხში, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებით თარიღდება [Нуцунидзе 1978: 69-70, ტაბ. 24,5].

ბერძნული ნაწარმი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ადრეანტიკურ ხანაში საქართველოში უცხოური ნაწარმი აღმოსავლური სამყაროდანაც (ირანიდან) შემოდიოდა და დასავლურიდანაც (საბერძნეთიდან). ბერძნული იმპორტი რაოდენობრივად სჭარბობს არაბერძნულს და უფრო მრავალფეროვანიცაა.

თიხის ჭურჭელი. საბერძნეთიდან შემოტანილი ნაწარმის უდიდეს ნაწილს თიხის ჭურჭელი ქმნის. მასში რამდენიმე დიდი ჯგუფი გამოირჩევა — სუფრის ჭურჭელი

(მხატვრული და სადა), სატუალეტო დანიშნულების ჭურჭელი (სანელსაცხებლები, ლეკანები), ტარა (ამფორები).

ამ პერიოდის იმპორტული მოხატული კერამიკის ყველაზე ადრეულ ჯგუფს ქმნის აღმოსავლურ-ბერძნული ნაწარმი, წარმოდგენილი ე.წ. ფიკელურას, გარეული თხის და ქიოსური თასის — სტილით, იონიური ზოლებიანი კერამიკითა და ვარდულებიანი ჯამებით. ამ სახის კერამიკის ყველაზე დიდი კოლექცია (თუმც თავისთავად მეტად მცირე), რომელიც მოიცავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფს, გარდა ე.წ. ქიოსური თასის სტილისა, სიმავრის ნამოსახლარზე დაფიქსირდა [იხ. მიქელაძე 1978: 65]. ეშერის ნამოსახლარზე აღმოჩენილია როდოსულ-იონიური ჯგუფის კერამიკა ძალიან მცირე რაოდენობით [Шамна 1980: 20-21]. შიდა კოლხეთის ძეგლებზე აღმოსავლურ-ბერძნული მოხატული კერამიკა მცირე რაოდენობით გვხვდება: ქიოსური თასის ერთადერთი ფრაგმენტი (ძვ.წ. VII ს. პირველი ნახევარი) აღმოჩენილი ვანში [კაჭარავა 1983ა: 26-27, 42]; ჭოგნარში (ქუთაისიდან 8კმ-ზე), ე.წ. ნასაჯვარების ბორცვზე იონიური კერამიკის ასევე ერთი ფრაგმენტი დაფიქსირებული [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 72]. სადაზოლებიანი იონიური კერამიკის უადრესი ნიმუშები (ძვ.წ. VII ს. დასასრული) ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი [კახიძე და სხვ. 1989: 86-88; კახიძე 2007: 123]; ფოთის მიდამოებსა [მიქელაძე 1978: 66-67] და ეშერაში ძვ.წ. VI ს-ის ნიმუშებია დადასტურებული [Шамна 1980: 21]. გვიანარქაული ხანისაა ციხისძირის სამარხებში მოპოვებული სადაზოლებიანი იონიური კერამიკის მცირეოდენი ნიმუშები [ვაშაკიძე და სხვ. 1999: 14]. ამ სახის კერამიკის იმპორტი მთელი ძვ.წ. V ს-ის მანძილზე გრძელდება. ასე, ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის სამაროვნის მონაპოვარში იონიური სადაზოლებიანი კერამიკა საკმაოდ დიდ ჯგუფსა ქმნის, წარმოდგენილს ფორმათა სხვადასხვა სახეობით, რომელთაგან სჭარბობენ სამყურასებრიანი იონოხოიები, ამფორები; მცირე ჯგუფს ქმნიან დოქები, იშვიათია ამფორისკები და ჯამები, აგრეთვე პიქსიდისებური ჭურჭელი; ასკოსები ერთადერთი ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი. საკმაოდ მოზრდილ ჯგუფს შეადგენს სამოსური ლეკითოსები [იხ. კახიძე 2007: 123-126, სურ. 11/11; 39/3; 42/6; 54/3, 55/3; 56/4,9; 59/6, 8, 9; 60/3, 5; 62/12; 66/7/5; 69/5; 74/5; 75/11, 12; 78/2, 12; 79/8; 82/13; 84/11; 90/9; 91/16; კახიძე 2016: 96-98; კახიძე და სხვ. 2004: 38, 74, სურ. 25-26, 74, 80, 90, 116, 159; კახიძე და სხვ. 2014ა: 33-34, 79, სურ. 9/6, 10/13, 13/6, 15/12, 24/9; 27/3, 31/3, 33/9 და 11, 36/10, 38/2, 46/7, 51/1]. განსახილველი ჯგუფის კერამიკა ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს-ის ბერძნულ სამაროვანზეც იჩენს თავს, ოღონდ მეტად მცირე რაოდენობით — თითო იონოხოა და ჯამია აქ აღმოჩენილი [კახიძე ამ., კახიძე ემ. 2014: 39, ტაბ. 60,3].

სამხრეთ საქართველოში — აწყურის ნამოსახლარზე გამოვლენილი აღმოსავლურ-ბერძნული კერამიკის ნიმუშები (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრის სადა ზოლებიანი კილიკები) მცირერიცხოვან ჯგუფსა ქმნის [დემეტრაძე 2009: 25-30]. აღმოსავლეთ საქართველოდან აღმოსავლურ-ბერძნული მოხატული კერამიკის ერთადერთი ფრაგმენტია წერჯერობით ცნობილი. მხედველობაშია ავლევი (ფრონეს ხეობა) აღმოჩენილი ე.წ. ფიკელურას სტილის ჭურჭლის ყური [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 72].

ძვ.წ. VI ს-ის დასასრულიდან კოლხეთში იწყება ატიკური კერამიკის იმპორტი, რომელიც აღწევს კოლხეთის შიდა რაიონებში და იქიდან აღმოსავლეთ საქართველოშიც კი შედის, თუმც მიზერული რაოდენობით (*ხოვლეში* აღმოჩენილია ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელი მეოთხედის ატიკური შავფიგურული კილიკის ფრაგმენტი [ლორთქიფანიძე 1966: 80]). თანდათანობით ატიკური კერამიკა, როგორც მოხატული, ასევე შავლაკიანი, ბატონდება კოლხეთის ბაზარზე. ამ სახის კერამიკის ყველაზე მრავალრიცხოვანი კოლექცია *ქობულეთ-ფიჭვნარშია* მოპოვებული. ის გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ კოლხეთის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლებისა, როგორცაა *ვანი* და *საირხე*. *ფიჭვნარში* აღმოჩენილი ატიკური მოხატული კერამიკის ყველაზე ადრეულ (გვიანარქაულ) ჯგუფს ქმნის შავფიგურული ტექნიკით შესრულებული ცილინდრულტანიანი, თეთრფონიანი ლეკითოსები, შემკული ვერტიკალური პალმეტებით (ძვ.წ. V ს. მეორე მეოთხედი) ან სუროს ტოტით, რომელთაც *ბელდამის* მხატვრის სახელოსნოს აკუთვნებენ (ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედი); ცილინდრულტანიანი წითელფიგურული ლეკითოსი

ათენაბოუდონის მხატვრის სახელოსნოდან (ძვ.წ. 460-440 წწ.). ადრეკლასიკურ ხანას მიეკუთვნება ნიობიდების მხატვრის წრის ორ-რეგისტრიანი კრატერი, მოხატული ერთ მხარეს თეზევსის მიერ ელენეს დევნის და ტრიპტოლემოსის მინიერი მისიის ამსახველი სცენებით; მეორე მხარეს კი – ეოსის მიერ კეფალოსის დევნისა და სიმპოზიუმის სცენებით (დაახლ. ძვ.წ. 450 წ.). კლასიკური ხანის კუთვნილია პოლიგნოტოსის ჯგუფის ოსტატის კრატერი ეოსის მიერ კეფალოსის მოტაცების სცენით (დაახლ. ძვ.წ. 440 წ.). გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია გვიანკლასიკური ხანით დათარიღებული ნითელფიგურული ვაზები: *შუვალოვის* მხატვრის სახელოსნოს ჰიდრია-კალპისი (ძვ.წ. 425-410 წწ.); ცილინდრულტანიანი ლეკითოსები ქალის გამოსახულებებით, აგრეთვე შავლაკიანი და მარტივორნამენტური ლეკითოსები, მოხატული L.M. მხატვრის სახელოსნოში (ძვ.წ. V ს. ბოლო მეოთხედი); ტანგამობერილი ანუ არიბალისებური ლეკითოსები, შემკული ქალის ან ქალღვთაების, ეროსის, სფინქსის ფიგურით, ქალის ან მამაკაცის თავით, გედის, ბუს, ირმის გამოსახულებით, პალმეტით, მარტივი ორნამენტის ზოლით (ძვ.წ. V ს. მეოთხე მეოთხედი) [სიხარულიძე 1991: 42-45]; ბადისებურორნამენტური ვაზები — ლეკითოსები და ამფორისკოსი (ძვ.წ. IV ს. პირველი და მეორე მეოთხედები), ასკოსები ლომისა და ხარის, ათლეტების, სატირისა და მენადის, სირენების ან სფინქსების გამოსახულებებით (ძვ.წ. V ს. მეოთხე მეოთხედი — IV ს. პირველი ათწლეული), ე.წ. ქერჩის სტილის ვაზები (ძვ.წ. IV ს. პირველი ნახევარი), ე.წ. გლაუხ სკიფოსები [იხ. სიხარულიძე 1985: 9-22; სიხარულიძე 1987: 51-108; სიხარულიძე 1991: 42-46; კახიძე 2007: 75-92; კახიძე, ვიკერსი 2004: 68-71, 96-99; კახიძე, ვიკერსი 2014: 70-75], ანოდოსის სცენიანი არიბალისებური ლეკითოსები (ძვ.წ. V ს. ბოლო მეოთხედი — IV ს. პირველი ნახევარი) [ძნელაძე 2013: 22-25]). როგორც წესი, ვაზები სერიული ნაწარმის რიგისაა. *ფიჭვნარში* St.-Valentin-ის ჯგუფის ვაზებიცაა აღმოჩენილი [კახიძე და სხვ. 2004: 70; კახიძე და სხვ. 2014: 74].

ძვ.წ. IV ს-ის ატიკური მოხატული (ნითელფიგურული) კერამიკის კოლექცია *ფიჭვნარიდან* არა მხოლოდ მრავალრიცხოვანი, არამედ მრავალფეროვანიც არის. მასში წარმოდგენილია სხვადასხვა კერამიკული ფორმები — ზარისებური კრატერი ერთ მხარეს სამი, მოსასხამში გამოწყობილი მამაკაცისა და მეორე მხარეს ცხენისა და ორი მამაკაცის გამოსახულებით; კილიკი, შემკული ორი ათლეტის გამოსახულებით, მხატვრის სახელოსნოში დამზადებული; სკიფოსები, რომელთაგან ერთი ათლეტების გამოსახულებითაა შემკული; გუტუსები ერთ მხარეს ლომისა და მეორე მხარეს ძაღლისა და გედის გამოსახულებით; გაკრული სტილის ოინოხოა ქალისა და ბავშვის(?) გამოსახულებებით; არიბალისებური ლეკითოსები ქალის თავის, გედის, პალმეტის, ვეშაპის გამოსახულებით. პალმეტური ლეკითოსები მრავლადაა, ვეშაპის გამოსახულება კი უნიკალურია. საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი ბადისებურორნამენტური ლეკითოსები, იშვიათია ასეთი ორნამენტით შემკული ამფორისკოსები [კახიძე ამ., კახიძე ემ. 2014: 25-31, ტაბ. 13/ 1, 4; 15/3; 16/2; 17/1-2; 18/2; 20/1, 7; 21/1, 2, 8; 22/6; 27/6; 31/4; 32/1; 35/1-2; 37/ 10; 38/3, 6-8; 40/15; 41/2; 43/8; 44/12, 15; 45; 59/5; 64/1-3; 65/2, 4; 67/5]. როგორც აღინიშნა, *ფიჭვნარში* ძვ.წ. IV ს-ის ბერძნულ სამაროვანზეც დასტურდება ე.წ. სადაზოლებიანი იონიური კერამიკა, თუმცა მეტად მცირე რაოდენობით [კახიძე ამ., კახიძე ემ. 2014: 38]. ციხისძირში ატიკური მხატვრული კერამიკა წარმოდგენილია მცირე რაოდენობით შავფიგურული და ნითელფიგურული ვაზების ფრაგმენტებით, რომელთა შორისაა ჰაიმონის მხატვრისა და ბელდამის მხატვრის სახელოსნოებში დამზადებული ნიმუშები [ვაშაკიძე და სხვ. 1999: 14]. ნითელფიგურული ატიკური კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩენილია ეპერის ადრეელინისტური ხანის კულტურულ ფენებში [Иллари 1980: 35-36].

ცენტრალური კოლხეთის ძეგლებიდან ატიკური მოხატული კერამიკა ყველაზე დიდი რაოდენობით ვაშაია დამონმებული (200-ზე მეტი ერთეული, უპირატესად ფრაგმენტები). შავფიგურული კერამიკიდან ყველაზე ადრეულია ნვრილფიგურული კილიკები. იდენტიფიცირებულია აგრეთვე ჰაიმონის ჯგუფის ანცუტ-ის ქვეჯგუფის კილიკის (ძვ.წ. V ს. მეორე მეოთხედი), ბელდამის მხატვრის ლეკითოსების ფრაგმენტები; ნითელფიგურული კერამიკის ყველაზე ადრეულ ჯგუფს ქმნიან St.-Valentin-ის ჯგუფის ვაზების ფრაგმენტები;

აღმოჩენილია ე.წ. მხატვრისა და Fat Boy ჯგუფის ვაზები; გაკრული სტილის ლეკანებისა და ხუფების ფრაგმენტები. პელიკები და სათევზე ლანგრები ძვ.წ. IV ს-ის ნიმუშებითაა წარმოდგენილი. ზოგადად ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება ბადისებურორნამენტისანი ლეკითოსებიც [იხ. კაჭარავა 1983: 27-35; ყიფიანი ნ. 2009: 80-84]. იხ. სურ. 24. *ნითელფიგურული სკიფოსი, ვანი, სამარხი №24*; სურ. 25. *ნითელფიგურული ლეკითოსი, ვანი, სამარხი № 22*; სურ. 26. *ბადისებურორნამენტისანი ლეკითოსები, ვანი, სამარხი № 22*; სურ. 27. *ატიკური ნითელფიგურული სათევზე ლანგრის ფრაგმენტი, ვანი*. მხატვრული თიხის ჭურჭლის ისეთი ჯგუფიცაა ჩვენში წარმოდგენილი, როგორიცაა West Slope-ის ვაზები: ვანის ფიალა ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება, ხოლო კანთაროსები — ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრით [მათიაშვილი 1983: 53, კატ. №184].

აღმოსავლეთ კოლხეთის ძეგლებზე იმპორტული მოხატული და შავლაკიანი კერამიკა მცირე რაოდენობით არის გამოვლენილი: საირხეში აღმოჩენილი ატიკური ნითელფიგურული ზარისებური კრატერი დინოსის მხატვრის წრეს მიეკუთვნება (ძვ.წ. V ს-ის ბოლო ორი ათეული წელი [ყიფიანი ნ. 2004: 114-119]). თეთრფონიანი ლეკითოსები №5 სამარხიდან ძვ.წ. VI ს. მეორე მეოთხედისაა [მახარაძე და სხვ. 2007: 59]. საირხეში, *წყაროსთავის II* ფენაში აღმოჩენილია St.-Valentin-ის ჯგუფის ვაზების რამდენიმე ფრაგმენტი [ბრაგვაძე, მახარაძე 1999: 7]. ითხვისის სამაროვანზე (სამარხი №21, ძვ.წ. VI ს. შუახანები) აღმოჩენილი შავფიგურული კილიკი ჰაიმონის ჯგუფის Lancut-ის ქვეჯგუფისაა (ძვ.წ. VI ს. მეორე მეოთხედი [გაგოშიძე 1964: ტაბ. XVI; ლორთქიფანიძე 1966: 83; გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006: 57, სურ. 96]). იხ. სურ. 28. *შავფიგურული კილიკი, ითხვისი, სამარხი №21*. ცილინდრულტანიანი თეთრფონიანი ლეკითოსი შავფიგურული ვერტიკალური პალმეტებით აღმოჩენილია საჩხერეში [ნადირაძე 1990: 39, ტაბ. III].

ატიკური შავლაკიანი კერამიკა — ნაკვეთი და ნატვიფრი ორნამენტით შემკული თუ სადა - ასევე ყველაზე დიდი რაოდენობით *ფიჭვნარშია* აღმოჩენილი, როგორც მოსალოდნელი იყო [კახიძე და სხვ. 1971: 67-73]. ძვ.წ. VI ს-ის სამაროვნებზე დადასტურებულია კილიკები ე.წ. კასტულოს ტიპიდან მოყოლებული (ძვ.წ. 480-470 წწ.), ნატიფი კლასით დამთავრებული (ძვ.წ. 430-იანი წლები); სკიფოსები, ე.წ. ბოლსალები, ტოლჩები, რომელთა შორისაა ე.წ. ფიდიასის კლასის ნიმუშები; მაღალფეხიანი თასები, უყურო ჯამები, ცალყურა თასები, ამფორისკოსები, სამარილეები, ოინოხოები, თეფშები, ლეკითოსები, ასკოსები, ოლპა [კახიძე, ვიკერსი 2004: 35-37, 71-73, 99; კახიძე, ვიკერსი 2014ა: 31-33, 75-79; კახიძე 2007: 93-121; კახიძე 2016: 85-95]. მდიდარია ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს-ის ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის კოლექციაც, რომელიც წარმოდგენილია ძირითადად სასმისებით (კილიკები, სკიფოსები, ე.წ. ბოლსალები, ჯამები). საკმაო რაოდენობითაა სამარილეები, მცირე რაოდენობით — საღვინე დოქები (ოინოხოები, ოლპეა); ასევე ამფორისკოსები [კახიძე ამ., კახიძე ემ. 2014: 31-34, ტაბ. 13/5; 14/7-8, 11; 15/1; 16/4, 6-7; 17/11; 21/11-12; 22/6-7, 10; 23/7, 9-11; 27/3; 29/ 4-6, 8; 30/2; 33/6; 35/3; 36/1; 37/5; 39/3, 5; 40/1 4; 59/4; 62/7; 63/3; 65/5; 67/7; 70/3-4].

შავლაკიანი კერამიკა ნაკლები ოდენობითაა ცნობილი *ოჩამჩირესა* და *სოხუმის* მიდამოებიდან. *ნითელი შუქურას* სამაროვნის უმცროსი ჯგუფის სამარხებში მცირე რაოდენობით დასტურდება ატიკური შავლაკიანი სკიფოსები, სასმისი (cup-skyphos) [Трапш 1969: 272, 276]. ძვ.წ. V ს. დასასრულის-IV ს-ის ატიკური შავლაკიანი კერამიკა, თეფშების, სკიფოსების, კოტილების, თასების ფრაგმენტების სახით, ეშერის ნამოსახლარზეც დასტურდება [Шамба 1980: 36-40]. ატიკური შავლაკიანი კერამიკა ძალზე მცირე რაოდენობით დადასტურდა ბათუმის ციხეზე [კახიძე და სხვ. 1989: 88-89], აგრეთვე ანაკლია II-ის ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარზე [ჯიბლაძე და სხვ. 2007: 117, ტაბ. III, 1-3]. *ვანის* ნაქალაქარზე შავლაკიანი ჭურჭელი წარმოდგენილია ძირითადად სკიფოსების, კილიკების, ბოლსალების, კანთაროსების, ჯამების, სამარილეების ფრაგმენტების სახით (მთელი ნიმუშები მხოლოდ სამარხებში გვხვდება). ყველაზე ადრეული შავლაკიანი ნიმუშები ძვ.წ. V ს-აა, ყველაზე გვიანდელი კი — ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელ მეოთხედს მიეკუთვნება [კაჭარავა

1983: 35-42]. იხ. სურ. 29. შავლაკიანი კილიკი. ვანი, სამარხი №11; სურ. 30. შავლაკიანი კანთაროსი. ვანი, სამარხი № 9.

შიდა კოლხეთის ისეთ ძეგლებზე, როგორცაა საირხე, ითხვისი, მოდინახე და ბრილი, ატიკური შავლაკიანი კერამიკა გაცილებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ითხვისის სამაროვანზე (სამარხი №1, ძვ.წ. V ს. შუახანები) გამოვლენილია მაღალფეხიანი ვაზა გრაფიტოთი — ΜΗΤΟΣ [გაგოშიძე და სხვ. 2006: 58, სურ. 49, ფ. 97]. საირხის სამაროვანზე ნაპოვნია: კილიკი (ძვ.წ. 525-500 წწ), ჯამები (ძვ.წ. V ს. მესამე მეოთხედის მიწურული; ძვ.წ. V ს. 30-იანი წლები; ძვ.წ. 375-350 წწ.), არიბალისებური ლეკითოსი (ძვ.წ. V ს. უკანასკნელი მეოთხედი) [მახარაძე და სხვ. 2007: 45, 67, 47, 78-79, 100-101]. მოდინახეს ციხეზე ნატვიფრი ორნამენტით შემკული შავლაკიანი ჭურჭლის ძირი დაფიქსირდა [ლორთქიფანიძე 1966: 83, ტაბ. XXI, 96-97], ხოლო ბრილის სამაროვანზე — ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრის შავლაკიანი სკიფოსი. იხ. სურ. 31. ატიკური შავლაკიანი კილიკი. ითხვისი, სამარხი №21. ვანში ძვ.წ. IV ს-ის შავლაკიანი თიხის ჭურჭელი უპირატესად სუფრის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. ესაა — სკიფოსები (ზოგადად ძვ.წ. IV ს-ით დათარიღებული), კანთაროსები (პროფილირებულ პირისკიდიანი — ძვ.წ. IV ს-ის მეორე-მესამე მეოთხედები და სადა პირისკიდიანი — დაახლ. ძვ.წ. 350 წ.), ჯამები (ძვ.წ. IV ს-ის პირველი მეოთხედის, შუახანების, უკანასკნელი მეოთხედის ნიმუშები), სათევზე ლანგრები (ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრისა და ბოლო მეოთხედის) [კაჭარავა 1983: 48-50, კატ. №154, 164-167, 170-179]. შავლაკიანი კერამიკის ცალკეული ნიმუშები ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება [მათიაშვილი 1983ა: 60-61, კატ. №253-255]. შავლაკიანი ჯამი №24 სამარხიდან ათენის აგორის პარალელური მასალებით ძვ.წ. IV ს-ის მეორე მეოთხედს მიეკუთვნება.

ატიკური შავლაკიანი კერამიკა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ ძეგლზე გვხვდება, თუმც მეტად მცირე რაოდენობით: ტახტიძირის სამაროვანზე დადასტურებულია ორიოდე შავლაკიანი კანთაროსი (ძვ.წ. IV ს. უკანასკნელი მეოთხედის, III ს. დასაწყისის). როგორც აღინიშნა, ადრეანტიკური ხანის აღმოსავლურ-ბერძნული მხატვრული კერამიკა აღწევს სამხრეთ საქართველოსაც, თუმც უმნიშვნელო რაოდენობით. აწყურის ძვ.წ. VI-I სს-ის ნამოსახლარზე აღმოჩენილია ატიკური Lancut-ის ჯგუფის შავფიგურული სკიფოსისა (ძვ.წ. 480-470 წწ.) და ლეკითოსის (ძვ.წ. 500-450 წწ.) ფრაგმენტები. ატიკური სადა შავლაკიანი კერამიკაც უმნიშვნელო რაოდენობისაა და ძირითადად უსახური ფრაგმენტებით არის წარმოდგენილი, რომელთაგან მხოლოდ ერთეულების განსაზღვრა მოხერხდა [დემეტრაძე 2009: 25-30].

ადრეანტიკურ ხანაში არა-ატიკური თიხის ჭურჭელიც შემოდის, თუმც ატიკურთან შედარებით მისი რაოდენობა უმნიშვნელოა. ესენია: ნაბლისფერკეციანი ჭრაქები *სიმაგრეს* ნამოსახლარიდან, რომელთაც ზოგი კორინთულად მიიჩნევს და ათარიღებს არა უგვიანეს ძვ.წ. VI ს-ის შუახანებისა [შეადარ. მიქელაძე 1978: 67]; სამოსური ლეკითოსები, აღმოჩენილი *ფიჭვნარში* მთელი კლასიკური ხანის განმავლობაში [კახიძე, ვიკერსი 2004: 38, 74, სურ. 87-88, 148; კახიძე და სხვ. 2014ა: 81, სურ. 30/2, 48/9]; *ფიჭვნარის* ელინურ მოსახლეობაში გავრცელებულია *თაზოსური* ლეკითოსებიც [კახიძე და სხვ. 2014ა: 81, სურ. 28/2 და 5, 34/7, 46/8]. ძვ.წ. V ს. მეორე ნახევრის ცილინდრულტანიანი და დისკოსებურძირიანი თაზოსური ლეკითოსები აღმოჩენილია ციხისძირში [ვაშაკიძე და სხვ. 1999: 14].

ატიკური კერამიკა აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის თითქმის ყველა ძეგლზე — *ნიფნარი*, ჩოხატაურის მუნიციპ. (შავლაკიანი კანთაროსი, ძვ.წ. IV-III სს. [ვაშაკიძე 1973: 76, ტაბ. VIII, 2; კახიძე, ვაშაკიძე 2010: 91, 106, სურ. 181/5]; *ჩიბათი*, ლანჩხუთის მუნიციპ. (შავლაკიანი ლეკითოსი, ძვ.წ. IV ს. დასასრული — III ს. დასაწყისი [ვაშაკიძე 1973: 78-79, ტაბ. VIII, 5; კახიძე და სხვ. 2010: 91, 105, სურ. 182/2]); *ვანის* მიდამოებში — სოფ. *ქვედა ციხესულორის* ქვევრსამარხში, ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის შავლაკიანი კანთაროსი [ხარაბაძე 2005: 32, ტაბ. II, 2]; სოფ. *ციხესულორში*, ძვ.წ. IV ს. ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის ორიოდე ფრაგმენტი [იხ. ფუთურიძე 1983: 126, კატ. №527-528], სოფ. *მთისძირში* ძვ.წ. IV-III სს. ატიკური სკიფოსის ფრაგმენტი აღმოჩნდა [იხ. გამყრელიძე 1983: 128, კატ. 538]).

ელინისტური ხანის მხატვრული კერამიკა ცოტაა აღმოჩენილი და თანაც ფრაგმენტულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია იმხანად ბერძნულ სამყაროში გავრცელებული ნაწარმის თითქმის ყველა სახეობა (ე.წ. დასავლეთ ფერდობის სტილის კერამიკა, ატიკური წარმოებისა, ე.წ. გნათიას სტილი — ატიკური და მცირეაზიური, მათ შორის პერგამონული; ყალიბში დამზადებული რელიეფებით შემკული კერამიკა პერგამონული წარმომავლობისა; აპლიკაციებიანი კერამიკა, რომელიც ძირითადად პერგამონში მზადდებოდა, დაყალიბებული კერამიკა, მცირეაზიური, პერგამონული, დელოსური, ატიკური და ბოსფორული წარმომავლობისა; ღია ფერის ფონზე მუქი საღებავით მოხატული კერამიკა, სავარაუდოდ *ალექსანდრიული* წარმომავლობისა) [მათიაშვილი 1977: 28-38; მათიაშვილი 1983: 51-53, კატ. №184-252]. სხვა მონაპოვრებს შორის აღსანიშნავია გნათიას სტილის პორიზონტალურ კანელურებიანი ატიკური წარმოების ვაზები *ფიჭვნარიდან* [კახიძე, და სხვ. 2013: 44, ტაბ. VII/1]. მეგარული თასები შედარებით დიდი რაოდენობითაა (180-ზე მეტი) დადასტურებული *ემერის* ნაქალაქარზე [Шамба 1980: 37-39]. იხ. სურ. 32. *მეგარული თასი. თიხა. ვანი*.

ბერძნულ სამყაროში სანელსაცხებლეები ძირითადად ნელსაცხებლის ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებოდა, მაგრამ დიდ როლს ასრულებდა დაკრძალვის რიტუალებშიც, სადაც ადრეელინისტური ხანიდან ენაცვლება ლეკითოსებს. ეს გარემოება საქართველოშიც დასტურდება. სანელსაცხებლეები, რომელთაც სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ სამეცნიერო ლიტერატურაში (უნგვენტარიუმი, ფლაკონი, ბალზამარიუმი, ლაკრიმარიუმი), აღმოჩენილია არა მხოლოდ სამარხებში, არამედ კულტურულ ფენებშიც [თოლორდავა 1983ა: 75]. ვანის სანელსაცხებლეებში გამოიყოფა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მცირეაზიური ნაწარმი. პირველი ძვ.წ. IV ს-ის მიწურულსა და III ს-ის დასაწყისს განეკუთვნება, მეორე კი — უფრო გვიანდელია, ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [თოლორდავა 1983ა: 76, კატ.№ 357-359]. მცირეაზიური სანელსაცხებლეები აღმოჩენილია ძვ.წ. IV-III სს. ბალანის სამაროვანზე [ვირკველია 1995: 75]. *დაბლაგომის* კრამიტით გადახურულ მდიდრულ სამარხში (ძვ.წ. IIIს. დასაწყისი) აღმოჩენილი თხელკედლიანი სანელსაცხებლეები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირული ნაწარმი უნდა იყოს [თოლორდავა 1983: 129, შენ.3, კატ. 556-557], ხოლო შავლაკიანი კერამიკის ნიმუშები — პირგადაშლილი თასი და სამარილე მცირეაზიური წარმოებისაა [თოლორდავა 1983: 129, შენ.4, კატ. № 559-560]. თითისტარისებური სანელსაცხებლე დადასტურდა *ნითელი შუქურის* №39 (150) სამარხში (უმცროსი ჯგუფი) [Трапш 1969: 283].

ადრეელინისტური ხანის ატიკური შავლაკიანი სასმისების ისეთი წამყვანი ფორმა, როგორიცაა კანთაროსები, ფიჭვნარის ელინისტური ხანის (ძვ.წ. IV-III სს.) სამაროვანზე რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი [კახიძე და სხვ. 2010: 42-43, სურ. 116, 74/2, 3; 75/6; 141/4, 5; 142/6; კახიძე და სხვ. 2014ა: 137-138, სურ. 71/2-3, 72/6, 103/4-5, 104/6, 130/1, 131/1, 135/10]. ასევე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი ატიკური შავლაკიანი ჯამები [კახიძე და სხვ. 2010: 44-45, სურ. 77/1; 79/11; 143/5; 146/3; კახიძე და სხვ. 2014ა: 139-140, სურ. 74/1, 76/11, 105/5, 108/3]. ცოტაა ატიკური შავლაკიანი სათევზე ლანგრები, რომლებიც ძვ.წ. IVს. დასასრულსა და ადრეულ III ს-ს მიეკუთვნება [კახიძე და სხვ. 2014ა: 140-141, სურ. 159/2]. ასევე იშვიათია შავლაკიანი ლეკითოსები [კახიძე და სხვ. 2010: 44, სურ. 32/6; 40/4; 46/1; 106/2; 128/4]. სანელსაცხებლეები, რომლებიც ელინისტური ხანის ბერძნულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კერამიკული ფორმაა, ფიჭვნარში საკმაოდ მრავალრიცხოვანია [კახიძე და სხვ. 2010: 46-48, სურ. 22/3; 62/5; 72/4; 73/3; 78/4,5; 79/12-13; 81/10; 82/5; 100/4; 139/5; 146/1,2; 147/10; 148/6; 149/3; 152/2; 153/7; კახიძე და სხვ. 2014ა: 141-143, სურ. 70/3, 75/4-5, 76/12-13, 78/10, 80/3, 106/6,7, 108/1,2, 109/10, 110/6,11/3, 114/2].

ელინისტურ ხანაში შავლაკიანი ჭურჭელი უმნიშვნელო რაოდენობითაა აღმოჩენილი ვანშიც. აქ გამოიყოფა ძვ.წ. III-II სს. ატიკური და მცირეაზიური ნიმუშები — სათევზე ლანგრები, თეფშები, ნახევარსფერული თასები, პირგადაშლილი თასები [მათიაშვილი 1983: 60-63, კატ. №253-356]. საყანჩიაში აღმოჩენილია — ლანგრები, თეფშები, იხთიები, თასები, კანთაროსები, რომლებიც ძვ.წ. III-II სს. მიეკუთვნება [ლიჩელი 1983: 118]. ელინისტური ხანის

სხვა ძეგლებზე ბერძნული კერამიკული იმპორტი თითო-ორი ნიმუშის სახით თუ გვხვდება. ასე, *ზემო ფარცხმის* სამაროვანზე ძვ.წ. III-II სს. თითო შავლაკიანი კანთაროსი და ლეკითოსია აღმოჩენილი. ისინი მცირეაზიულ ნაწარმად მიიჩნევა [ვაშაკიძე 1985: 84, სურ. X,13]. *დაფნარის* სამაროვანზე ქვევრსამარხებში აღმოჩნდა ყავისფერლაკიანი თასი და შავლაკიანი კანთაროსი, რომლებიც მცირეაზიული ცენტრების ნაწარმადაა განსაზღვრული და ძვ.წ. III-III სს. მიეკუთვნება [თოლორდავა 1983: 136, კატ. №580-582]. იხ. სურ. 33. *შავლაკიანი კანთაროსი. დაფნარი.* ძვ.წ. II ს-ის შავლაკიანი კანთაროსი დადასტურდა *ნოქალაქევი* [გვინჩიძე 1988: 31-32, სურ. 18]. *ახულ-აბას* 1940 წელს გამოვლენილ სამარხში აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევრის შავლაკიანი თასი და IV-III სს-ის შავლაკიანი კანთაროსის ქვედა ნაწილი, გადაბმული პალმეტებითა და კონცენტრული ნაჭდევების წრეებით შემკული შავლაკიანი ჯამი, რომელიც ძვ.წ. IV ს. მიეკუთვნება [Боронов 1979: 34]. სუხუმის მთაზე, ძვ.წ. III-II სს. სამარხში აღმოჩნდა შავლაკიანი კანთაროსი (მცირეაზიული ნაწარმი) და სადა ამფორისკოსი [კალანდაძე 1954: 31]. მცირეაზიული შავლაკიანი სათევზე ლანგარი აღმოჩენილია ძვ.წ. III ს. მეორე ნახევრის ბალანის მდიდრულ სამარხში [Kvirkvelia 1995: 76, სურ.1, 6-7]. შავლაკიანი სათევზე ლანგრების რამდენიმე ფრაგმენტი ეშერაშიც აღმოჩნდა [Шамба 1980: 35].

ძვ.წ. IIIს-დან, როგორც კი *პერგამონმა* დაიმკვიდრა წამყვანი ადგილი მახლობელი აღმოსავლეთის საწარმოო ცენტრებს შორის, კოლხეთში შემოაღწია იქ წარმოებულმა მხატვრულმა კერამიკამ (და ლითონის ნაკეთობებმა). ისინი დადასტურებულია დღეისათვის ცნობილ ანტიკური ხანის ყველა მნიშვნელოვან ძეგლზე (*ეშერა, სოხუმი, ოჩამჩირე, ვანი*). ჩვენში გამოვლენილი ადრეელინისტური ხანის პერგამონული თიხის ჭურჭელი აერთიანებს მცირედენ შავლაკიან სუფრის ჭურჭელს, აგრეთვე მოხატულ (ე.წ. West slope სტილის) ნიმუშებს. გვიანელინისტური ხანის პერგამონული თიხის ჭურჭელი კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში არ დასტურდება, მაგრამ გვხვდება ცენტრალურ კოლხეთში, თუმც მხოლოდ *ვანში*. აქ ძირითადად აღმოჩენილია წითელლაკიანი ჭურჭელი: დაყალიბებული და რელიეფური აპლიკაციებით შემკული თასები, *მეგარული* თასები, სადა სუფრის ჭურჭელი [იხ. მათიაშვილი 2011: 73-84].

წითელლაკიანი კერამიკა საკმაოდ მრავალრიცხოვანია *ვანის* ნაქალაქარზე, სადაც ის წარმოდგენილია *პერგამონული* და *სამოსური* პროდუქციით. პირობითად *პერგამონულად* ნოდებული კერამიკა (ძირითადად თევზები) ხმელთაშუაზღვისპირეთის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე საწარმოო ცენტრის ნაწარმადაა მიჩნეული და ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევრითა და I ს-ით თარიღდება. საკუთრივ *პერგამონული* კერამიკა წარმოდგენილია თევზებით, თასებით, ორყურა ჯამებით. ისინი ძვ.წ. II-I სს-ის კულტურულ ფენებსა და I ს-ის კომპლექსებში გვხვდება. ე.წ. *სამოსური* კერამიკა მეტად მცირე რაოდენობით დასტურდება. ამ რიგის კერამიკის წარმოების დაწყებას ძვ.წ. I ს-ის მიწურულიდან ვარაუდობენ [იხ. მათიაშვილი 1977: 41-50].

მცირე ჯგუფს ქმნის ულაკო, ნაცრისფერკეციანი კერამიკა, რომლის წარმომავლობის დადგენა არ ხერხდება. ნაცრისფერკეციანი სუფრის ჭურჭელი, უპირატესად დოქები, მცირე რაოდენობით სათევზე ლანგრები და სხვა ფორმების (ჯამი, გუტუსი) თითო-ორი ნიმუში, დაფარული შავი საღებავით, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს-ის სამაროვანზე მოპოვებულ იმპორტულ კერამიკაში; ფრაგმენტები გვხვდება ნაქალაქარზეც. მათი წარმოების ცენტრი დაუდგენელია [კახიძე და სხვ. 2014: 34-36]. მოთეთრო ანგობით დაფარული ლაგინოსები და ამფორისკოსები სხვადასხვა ცენტრებში მზადდებოდა. *ვანში* აღმოჩენილი ამფორისკოსები *კოსის* ნაწარმადაა მიჩნეული [მათიაშვილი 2013: 40-43], *ზემო ფარცხმაში* აღმოჩენილი სადა, ულაკო ლეკითოსი კი — მცირეაზიულ ნაწარმად [ვაშაკიძე 1985: 84, სურ. X, 11].

ვანში აღმოჩენილ სანელსაცხებლებს შორის რამდენიმე ჯგუფი გამოიყო: ძვ.წ. IV-III ს. მიჯნის სანელსაცხებლები №10,15 სამარხებიდან, რომლებსაც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს უკავშირებენ; ძირფართო სანელსაცხებლები, რომლებიც იონიური წარმოებისა უნდა იყოს; მალაღფეხიანი, ვინროტანიანი და დაბალქუსლიანი

სანელსაცხებლები, რომლებიც ძვ.წ. III-III სს-ით თარიღდება; დაბოლოს, ძვ.წ. II ს. ე.წ. თითისტარისებური სანელსაცხებლები [თოლორდავა 1983ა: 75-78, კატ. №357-385]. ძვ.წ. II ს-ის ე.წ. თითისტარისებური სანელსაცხებლები ვანის მიდამოებშიც არის წარმოდგენილი, კერძოდ *საყანჩიაში* [ლიჩელი 1991:63]. ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის მცირე რაოდენობით სანელსაცხებლები აღმოჩენილია ეშერაში – ძვ. წ. III ს-ის დასასრულის, ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრის — II ს-ის სანელსაცხებლები, ძვ.წ. II ს-ის ფლაკონები [Шамба 1979ა: 37-41]. ძვ.წ. III-II სს. *ქიოსური* ამფორისკოსები აღმოჩენილია *დაფნარში, ეშერში* [Кигურაძე 1976: 36].

სინოპური კერამიკული ნაწარმი სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლით არის წარმოდგენილი, კერძოდ, მორტარიუმებით. *სინოპური* მორტარიუმები ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება. ყველა ერთი ტიპისაა — აქვთ შედარებით დაბალი კორპუსი და ბრტყელი ძირი, ბრტყელი სახელები, რომლებიც უშუალოდ პირის გაგრძელებაა და შემკულია თითოთ გამოყვანილი ფოსობით. ამგვარი *სინოპური* მორტარიუმები აღმოჩენილია *ვანში* [თოლორდავა 1983გ: 79, კატ.№ 386-391], *საყანჩიაში* [ლიჩელი 1991: 42], *დაფნარში* [თოლორდავა 1983ბ: 137, კატ. №579], *ნოქალაქევეში* [ზამთარაძე 1993: 161-162], *ეშერაში* [Шамба 1980: 32-33], *ახულ-აბააში* [Воронов 1979: 33], *ოჩამჩირეში* [Качарава 1972: 27], *გონიო-აფსაროსში* [ებრაღიძე 2002: 89-93]. *სინოპური* უნგვენტარიუმები აღმოჩენილია *ბაღლანის* მდიდრულ სამარხში [Kvirkvelia 1995: 76-77]. *სინოპური* ნაწარმი სამშენებლო კერამიკითაც (კრამიტებით) არის წარმოდგენილი, თუმცა არც ისე დიდი რაოდენობით. მათ შორის არის დამლიანი ნიმუშებიც, რომელთა დიდი უმრავლესობა ვანის ნაქალაქარზეა დადასტურებული [ახვლედიანი 1999: 21], თითო-ოროლაა აღმოჩენილი *დაბლაგომში* და *ეშერის* ნაქალაქარზე [Шамба 1980: 41].

იმპორტული სამშენებლო კერამიკა ჩვენში ელინისტური ხანის დასაწყისიდან იჩენს თავს და *სინოპური* ნაწარმითაა წარმოდგენილი. *ვანში* აღმოჩენილია როგორც ბრტყელი კრამიტები, ასევე ღარისებური, თუმცა ეს უკანასკნელი გაცილებით მცირე რაოდენობით დასტურდება *ვანის* მონაპოვარში. გვხვდება დამლიანი კრამიტებიც. დამლებს შორის განისაზღვრა ბ. *გრაკოვის* II (ძვ.წ. 260-220 წწ.) და III (ძვ.წ. 220-183 წწ.) ქრონოლოგიური ჯგუფების ნიმუშები [ახვლედიანი და სხვ. 1999: 50-56]. დაბლაგომის მდიდრული სამარხი *სინოპური* ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით იყო გადახურული, რომელთაგან ოთხი დამლიანია. მათ თარიღად ძვ.წ. 320-270 წწ. არის მიჩნეული [თოლორდავა 1983: 130, კატ. №565-568]. *სინოპური* კრამიტები გამოვლენილია *ფიჭვნარშიც*. ისინი გამოყენებულია სამარხების სახურავებად [იხ. კახიძე, ვაშაკიძე 2010: 49; კახიძე და სხვ. 2014ა: 144, სურ. 63/1].

ბრინჯაოს ჭურჭელი. თიხის ჭურჭლის გარდა ლითონისგან (უპირატესად ბრინჯაოსა და ვერცხლისგან) დამზადებული ჭურჭელიც შემოდოდა კოლხეთში. ადრეანტიკურ ხანაში იმპორტული ბრინჯაოს ჭურჭლის სხვადასხვა სახეობები გვხვდება — პატერა, ოინოხოა, სკიფოსი, ჩამჩა, სანური და ლანგარი.

პატერებს შორის ყველაზე ძველია (ძვ.წ. 480-470 წწ.) ანთროპომორფულტარიანი (ე.წ. აკროპოლისის ჯგუფის) პატერა *ვანის* №11 სამარხიდან, რომლის წარმოების ცენტრად ათენია მიჩნეული [ლორთქიფანიძე 1983: 89-90, №402]. უფრო გვიანდელია (ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა) *დაბლაგომის* კრამიტით გადახურულ სამარხში აღმოჩენილი პატერა, რომლის განივად დაღარული ტარი ბოლოვდება ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებით [გიგოლაშვილი 2011: 63-72]. იხ. სურ. 37. *პატერა. ბრინჯაო. ვანი, სამარხი №11.*

ოინოხოა *ვანის* №11 სამარხიდან ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედით თარიღდება და ისიც ათენში დამზადებულადაა მიჩნეული. რაც შეეხება ოინოხოას №15 სამარხიდან, ის ძვ.წ. III ს. პირველი ნახევრით თარიღდება [ლორთქიფანიძე 1983: 90-91, კატ.№.403, 412]. იხ. სურ. 38. *ოინოხოა. ბრინჯაო. ვანი, სამარხი №11. ფიჭვნარში*, ძვ.წ. V ს-ის ბერძნულ სამაროვანზე (სამარხი №1, ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედი) აღმოჩენილი ბრინჯაოს ბრტყელძირა, მომრგვალებულტარიანი დოქი, რომლის ყურის ბოლო შემკულია პალმეტითა და ლოტოსის ყვავილით, ეტრუსკულ ნაწარმადაა მიჩნეული [კახიძე 1987: 47-50; კახიძე 2007: 159-160, სურ. 28/1, 29/1]. №15 სამარხში აღმოჩენილი სამყურასებრპირიანი ბრინჯაოს ოინოხოას

ყურის ზედა ბოლო გველისებური ფორმისაა.ის ძვ.ნ. V ს-ის შუახანებში უნდა იყოს დამზადებული, სავარაუდოდ, ათენში [კახიძე 2007: 160-161, სურ. 48/3].

საწურები. დღესდღეობით საკვლევი პერიოდის ხუთი საწურია ცნობილი, აღმოჩენილი *ნითელი შუქურის* სამაროვნის ე.წ. უმცროსი ჯგუფის №1 სამარხში, *ფიჭვნარის* ბერძნული სამაროვნის №1, 15, 70 სამარხში, *ვანის* №6 სამარხში. *ნითელი შუქურის* საწური ეტრუსკულია და ხასიათდება მოგრძო და ბრტყელი ტარით, რომელიც ბოლოვდება იხვის თავის ფორმის კაუჭით. მსგავსი საწურები ძვ.ნ. V ს-ის პირველი მეოთხედით-მეორე მეოთხედის დასაწყისით/შუა წლებით თარიღდება. *ფიჭვნარის* ერთი საწური (რვიანისებურ-ტარიანი) თანმხლები მასალით ძვ.ნ. V ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება, მეორე (იხვის თავი, რომლითაც ბოლოვდება ტარი, ტართან ერთ სიბრტყეშია განლაგებული) და მესამე (ნახვრეტებიანი ტანით, გაღუნული ტარით, დისკოსებური ჩამოსაკიდით) — ძვ.ნ. V ს-ის მეორე ნახევარს. *ფიჭვნარის* პირველი ორი საწური ეტრუსკულადაა მიჩნეული, მესამის წარმომავლობა კი უცნობია. რაც შეეხება *ვანის* საწურს, რომლის ტარი მდიდრულადაა ორნამენტირებული (ბოლოვდება იხვის თავის ფორმის კაუჭით, ტართან მიერთების ადგილზე ლომის თავის რელიეფური გამოსახულებათა, საკუთრივ ტარი კი შემკულია ვოლუტებითა და პალმებით), ის ბერძნულია და ძვ.ნ. IV ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება [დანვრ. იხ. გიგოლაშვილი 2003: 29-32; კახიძე 2007: 162-163, სურ. 28/3, 29/3; 49/3; 80/5]. იხ. სურ. 39. *საწური. ბრინჯაო. ვანი, სამარხი №6*. *ფიჭვნარის* ძვ.ნ. V ს-ის ბერძნული სამაროვნის №1 და 15 სამარხში დადასტურდა ბრინჯაოს ორი ჩამჩა: მცირე ჯამიანი, გედის თავის სკულპტურული გამოსახულებით ვერტიკალური ტარის ბოლოზე [კახიძე 2007: 161-162, სურ. 28/2, 29/2; 47/6, 49/4]. ბრინჯაოს სკიფოსი *ფიჭვნარის* ძვ.ნ. V ს-ის ბერძნული სამაროვნის №110 სამარხიდან (ძვ.ნ. V ს-ის 40-30-იანი წლები) ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში [კახიძე 2007: 163, სურ. 92/4].

იმპორტული ბრინჯაოს ჭურჭელი ელინისტურ ხანაშიც შემოდის კოლხეთში. ბრინჯაოს ორი ჭურჭელია (ოინოხოა და ლანგარი) აღმოჩენილი №15 სამარხში, რომელიც ძვ.ნ. III ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [ლორთქიფანიძე 1983: 91, კატ. №410, 413]. *ვანის* №24 სამარხში, რომელიც ძვ.ნ. IV ს-ის მიწურულს მიეკუთვნება, ბრინჯაოს რამდენიმე ჭურჭელი აღმოჩნდა: ფიალა მიეკუთვნება ე.წ. ბერძნული ტიპის ფიალის უმარტივეს სახეს; ლანგარი პოდანიპტეროსის ტიპისაა [იხ. Kacharava და სხვ. 2009: 303-304, სურ. 59]. *ვანში* აღმოჩენილია აგრეთვე ბრინჯაოს სიტულა, რომლის საწარმოო ცენტრად მიჩნეულია ტარენტუმი. ასეთი სიტულები ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება [მათიაშვილი 1977ა: 101-102]. *ვანის* ქვედა ტერასის სატაძრო კომპლექსში აღმოჩნდა ბრინჯაოს კანთაროსი, რომელიც ემსგავსება ძველი წელთაღრიცხვის დასასრულის იტალიკურ ნაწარმს [მათიაშვილი 2013: 59, ტაბ. I, 854]. იხ. სურ. 40. *ბრინჯაოს ჭურჭელი. ვანი, № 24 სამარხი*. ბრინჯაოს მაღალფეხიანი კილიკი *ფიჭვნარიდან* ელინისტური ეპოქის ტორევეტიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია [კახიძე და სხვ. 2010: 87, სურ.165/1]. *დაბლაგომის* კრამიტით გადახურულ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ოინოხოა და პატერა [იხ. თოლორდავა 1983: 130, კატ. №562-3]. იხ. სურ. 41. *ბრინჯაოს ოინოხოის ყური. დაბლაგომი. მდიდრული სამარხი*.

ძვ.ნ. II ს-ის მეორე ნახევარში თიხის ჭურჭლის გარდა პერგამონული მხატვრული ბრინჯაოს ნაწარმიც შემოდის. ამის საუკეთესო ნიმუშია *ვანში* აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭურჭელი, შემკული პანის, მენადების, სატირის ჰორელიეფური თავებით, ნიკეს ფიგურით [იხ. ლორთქიფანიძე 1984: 33-37]. იხ. სურ. 42. *ჭურჭლის სამკაული. ბრინჯაო. ვანი*. სურ. 43. *ნიკე. ბრინჯაო. ვანი*. სურ. 44. *არნივის ფიგურა. ბრინჯაო. ვანი*.

ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი. ოქროს ერთადერთი ჭურჭელია აღმოჩენილი ჩვენთვის საინტერესო ხანის დასავლეთ საქართველოში. ეს არის ფიალა *ვანის* №6 სამარხიდან (ძვ.ნ. IV ს-ის დასაწყისი), ბერძნული ტიპისა, შემკული ნუშისგულისებური ბურცობებითა და ლოტოსის გამლელი ყვავილის გამოსახულებებით [იხ. ფუთურიძე და სხვ. 1972: 116, სურ.55; გიგოლაშვილი 2001: 33-34, სურ.10; შეად., ლორთქიფანიძე 2002: 207, სურ.180]. იხ. სურ. 45. *ფიალა. ოქრო. ვანი, სამარხი №6*. ბერძნული წარმოების ვერცხლის ჭურჭელი არ გამოირჩევა არც მრავალრიცხოვნებითა და არც მრავალფეროვნებით. სჭარბობს კილიკები.

ვერცხლის არიბალოსი და ორი კილიკი ვანის №11 სამარხიდან ძვ.წ. Vს. მეორე მეოთხედის ათენური ნაწარმია; ხოლო ვერცხლის ორი სარწყული და კოვზი თანმხლები მასალით ძვ.წ. Vს. პირველი ნახევრით თარიღდება და სტილისტური ნიშნებით ათენში დამზადებულად არის მიჩნეული [იხ. ლორთქიფანიძე 1983: 90-91, კატ. №407-409]. ვერცხლის მაღალფენიანი კილიკი აღმოჩენილია საირხის №13 სამარხში, რომელიც ძვ.წ. V ს. პირველი ნახევრით თარიღდება [მახარაძე და სხვ. 2007: 94-95; ბრაგვაძე და სხვ. 1999: 7]. ვერცხლის ომფალო-სიან ფიალებს საირხის სამაროვნიდან ბერძნულ ნაწარმად მიიჩნევენ [ბრაგვაძე და სხვ. 1999: 7; მახარაძე და სხვ. 2007: 78, 91, სურ. 62, 84, ფ. 127, 149]. იხ. სურ. 46. *კილიკები. ვერცხლი. ვანი, სამარხი №11*. ვერცხლის კილიკი ვანის №4 სამარხიდან ძვ.წ. III ს. პირველი ნახევრის ათენური ნაწარმია [ლორთქიფანიძე 1983: 91; მათიაშვილი 1977ა: 108-109, სურ. 105-108]. მსგავსი ვერცხლის კილიკი აღმოჩენილია დაბლაგომის მდიდრულ სამარხში, რომელიც ძვ.წ. III ს. დასაწყისით თარიღდება [თოლორდავა 1983: 134, 561]. იხ. სურ. 47. *კილიკი. ვერცხლი. ვანი, სამარხი №4*. გვიანელინისტური ხანით თარიღდება პლემოხოვე, აღმოჩენილი ვანის ქვედა ტერასის სატაძრო კომპლექსში [მათიაშვილი 2013: 108, №589, ტაბ. X]. ვერცხლის ფიალები (3ც.) ფიჭვნარის ძვ.წ. Vს-ის ბერძნული სამაროვნიდან ბერძნულ ნაკეთობებადაა მიჩნეული [კახიძე 2007: 156-157, სურ. 48/4; 33/4, 34/3; 92/7]. ერთი მათგანი შემკულია კანელურებით. ის ძვ.წ. 450-440-იანი წლებით თარიღდება; მეორე, შემკული ურთიერთმონაცვლე ნუშისებური ბურცობებითა და პალმეტებით, ასევე ძვ.წ. 450-440-იანი წლების კუთვნილია; მესამე ფიალა, რომელიც შემკულია ნუშისებური ბურცობების სამი რიგით, თარიღდება ძვ.წ. 440-430-იანი წლებით [Kakhidze 2004: 85-119].

ვერცხლის კოვზები. ვერცხლის რამდენიმე კოვზი არის დადასტურებული ვანში. ერთი მათგანი, აღმოჩენილი ვანის №11 სამარხში, შემკულია სფინქსის სკულპტურული გამოსახულებით. ის ძვ.წ. V ს. პირველ ნახევარს მიეკუთვნება (თანმხლები მასალების მიხედვით) და ათენში დამზადებულადაა მიჩნეული გამოსახულებების (პალმეტი, სფინქსი) სტილის მიხედვით [ლორთქიფანიძე 1983: 90-91]. ერთი კოვზი აღმოჩნდა №15 სამარხში (ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი). ტარი ოთხკუთხაგანიკვეთიანია, ბოლოვდება ცხოველთა გამოსახულებებით [თოლორდავა 1986: 86, სურ. 69, 2-3]. ორი კოვზი ნაქალაქარის ქვედა ტერასის სატაძრო კომპლექსშია აღმოჩენილი. ერთი მათგანი ტიპური *cochlearium*-ია (კვერცხის თუ ხამანკების საჭმელად) — პატარა ჯამით და წანვეტებული ტარით. მეორეს გველის ფორმის ტარი აქვს. ორივე იმპორტულია [მათიაშვილი 2013: 59, ტაბ. XIII, 641; XVI, 704]. იხ. სურ. 48. *კოვზი. ვერცხლი. ვანი, სამარხი №11*.

მინის ჭურჭელი. ბერძნული იმპორტის მნიშვნელოვანი საგანი, კერამიკასთან ერთად, მინის ჭურჭელი იყო. საქართველოში აღმოჩენილი უადრესი ნიმუშები *ფიჭვნარის* კოლხური და *ციხისძირის* სამაროვნიდან ძვ.წ. Vს-ის პირველ მეოთხედს მიეკუთვნება [იხ. კახიძე და სხვ. 2009: 27-31; კახიძე 2007: 174, სურ.15/9]. მაგ.: იხ. სურ.49. *ოინოხოია და ამფორისკოსი. მინა. ვანი, სამარხი №6*; იხ. სურ. 50. *ალაბასტრონი. მინა. თბილისი*.

ტერაკოტული ფიგურები. საქართველოში მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. მაგ. 13 ცალია ფიჭვნარსა და ციხისძირში ნაპოვნი. ყველაზე პოპულარულია დემეტრესა და მის კულტთან დაკავშირებული ცხოველების (კუ, ტახი) გამოსახულებები. ისინი ძვ.წ. Vს. მეორე მეოთხედის-შუახანების სამარხებშია აღმოჩენილი. აღსანიშნავია ე.წ. პოსტაფროდიტეს ჯგუფის ტერაკოტა *ფიჭვნარიდან*, რომელიც ატიკური ნაწარმია და ძვ.წ. V ს. შუახანებით თარიღდება [იხ. კახიძე და სხვ. 2004: 74, სურ. 136,167,1; Tsetskhladze და სხვ. 1994: 109-125].

ელინისტური ხანის ტერაკოტებიც მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ისინი ძირითადად *ვანის* ნაქალაქარზეა მოპოვებული. ქალღმერთის ტერაკოტული ქანდაკების მხოლოდ თავია შემორჩენილი. ის ყალიბშია გამოყვანილი [რამიშვილი ქ.ი. 1976: 191-193, სურ.145]. მასთან ერთად აღმოჩნდა მამაკაცის ნიღბების ფრაგმენტები (თმა, ცხვირ-ტუჩი, სახის ზედა ნაწილი რქითა და ბაფთით თავზე) და ყურძნის მტევნის ცალმხრივი გამოსახულება. ეს უკანასკნელი დიონისეს ნიღბის ჩამონატეხს ჰგავს. ცხვირ-ტუჩი დიდი ზომის ნიღბის ნაწილია, ხოლო სახის ზედა ნაწილი ე.წ. დიონისური სატირის გამოსახულების ფრაგმენტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიონისეს ნიღაბი. ვანის

ტერაკოტები ძვ.წ. II-I სს-ის მასალის თანხლებით არის აღმოჩენილი. ივარაუდება მათი მცირეაზიური წარმომავლობა [იხ. რამიშვილი ქ.ი. 1976: 193-204, სურ. 146-150]. იხ. სურ. 51. ქალღვთაება. ტერაკოტა. ვანი; სურ. 52. დიონისეს ნილაბი. ტერაკოტა. ვანი; სურ. 53. ტერაკოტის ფრავმენტები. ვანი.

მძივები. ადრეანტიკური ხანის საქართველოში ხორციელდებოდა სხვადასხვა მასალისაგან (ქარვა, სარდიონი, მინა) დამზადებული მძივების იმპორტი, თუმც არცთუ დიდი რაოდენობით. ქარვის მძივები და საკიდები ფიქსირდება ვანში ძვ.წ. V ს-ის შუახანების, IV ს. მეორე ნახევრის სამარხებში [იხ. გიგოლაშვილი 1983: 98; კაჭარავა და სხვ. 2013: 148-173]. ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის ბერძნული სამაროვნის ძვ.წ. V ს. მეორე მეოთხედის სამარხებში აღმოჩენილია ქვისა და მინის მძივები [იხ. თურმანიძე 2005: 45-51]. მინის მძივები მრავლადაა აღმოჩენილი ვანში [იხ. კაჭარავა და სხვ. 2013: 151-154] მძივები მცირე რაოდენობით გვხვდება ბალანში, ახულ-აბააში [იხ. Kvirkvelia 1995: 75, 80]. მაგ. იხ. სურ. 54. მძივები. მინა. ვანი, სამარხი №24. ელინისტური ხანიდან კოლხეთში შემოდის ოქროფენილი მძივები. ისინი ცნობილია ვანის ელინისტური ხანის კომპლექსებიდან; მაგ. №4 სამარხიდან [გიგოლაშვილი 1983: 103, 110], აგრეთვე ფიჭვნარიდან [იხ. კახიძე და სხვ. 1977: 46] და სხვ.

ლითონის სამკაულები. ლითონის სამკაულები მცირე რაოდენობით შემოდის ადრეანტიკურ ხანაში. ვერცხლისა და ბრინჯაოს სპირალური ხვიები, რომელთაც მკვლევართა ნაწილი საყურე რგოლებად მიიჩნევს, ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის ბერძნული სამაროვნიდან მომდინარეობს [იხ. კახიძე 2007: 184-186, სურ. 13/11, 62/7; კახიძე და სხვ. 2014ა: 93, სურ. 29/6; 47/4]. უფრო ადრეულია (ძვ.წ. VI ს. დასასრული) ვერცხლის სპირალური ხვიები ციხისძირიდან [Tsetskhladze და სხვ. 1994: სურ.3,1]. სამკაულის ეს სახეობა მთელ ანტიკურ სამყაროშია გავრცელებული მიკენური ეპოქიდან ძვ.წ. III-II სს-მდე.

ოქროს სამკაული, ელინისტურ ხანაშიც მცირე რაოდენობით შემოჰქონდათ უცხოეთიდან. ასე, ვანის ნაქალაქარზე ამ პერიოდის ოქრომჭედლობის თითო-ოროლა ნიმუშია აღმოჩენილი. ესენია: ჰერაკლეს კვანძის გამოსახულებიანი ორი ბალთა, რომლებიც დიადემის ნაწილებად ითვლება და ძვ.წ. II ს. მიეკუთვნება; რქებიანი ლომის თავებით შემკული ძეწკვი, რომელიც ზოგადად ძვ.წ. III-II სს. თარიღდება; გრანატის თვლიანი ყელსაბამის შესაკრავის ნაწილი; სხვადასხვა სახის საკიდები — გრანატის თვლიანი ნუშისებური ფორმის, სამფრთიანი, რკოსებური. უეჭველია, რომ ისინი იმპორტულია, თუმც ოქროს ყუნწი მათზე ადგილობრივ უნდა იყოს დამატებული [იხ. ჭყონია 1981: 63-67, 72-74, 76-77, №77-78, 90-91, 98-104, 108-109; ჭყონია 1983: 88-89, კატ. № 399-401; ჭყონია 2010: 13-18]. მაგ. იხ. სურ. 55. ჰერაკლეს კვანძიანი ბალთები. ოქრო, ნახევრადვირფასი თვლები. ვანი; სურ. 56. პეპლის ფორმის საკიდები. ოქრო, აქატი. ვანი.

ფიჭვნარის სამაროვანზე აღმოჩენილი ლომისთავიანი ძვ.წ. 300-275 წწ. საყურეები [იხ. კახიძე, და სხვ. 2010: 51-53, სურ. 79/1; 145/1-2; კახიძე და სხვ. 2014ა: 145-148, სურ. 76/1, 107/1,2; კახიძე და სხვ. 2013: 45, ტაბ. VIII/6]. მაგ. ე.წ. ნახევარმთვარისებური იმპორტული საკიდები და მედალიონები დედოფლის გორიდან [გოგობერიძე და სხვ. 2010: 25-38].

საყოფაცხოვრებო ნივთებიდან ცნობილია მაგ. ბრინჯაოს იმპორტული კლინეს ფეხის გარსაკრავები, რომელიც ვანში 2007 წ. გათხრილ განძში შედის [იხ. Akhvlediani და სხვ. 2016: 182-191]. იხ. სურ. 57. კლინეს დეტალები. ბრინჯაო. ვანი. ძვ.წ. II-I სს. ავეჯის დეტალები შეიძლება იყოს არნივის კლანჭების ფორმის არტეფაქტები ვანის ე.წ. მოზაიკურიატაკიანი ტაძრიდან. აქვეა აღმოჩენილი კლინეს ფეხის გარსაკრავები [იხ. ფუთურიძე 1986: სურ. 29, 1-2]. იხ. სურ. 58. ავეჯის დეკორი. ბრინჯაო. ვანი. ძვ.წ. II ს.

სატუალეტო ნივთებიდან არის ბრინჯაოს სარკეები ფიჭვნარის ძვ.წ. Vს-ის ბერძნული სამაროვნიდან; ყველა დისკოსებური მოყვანილობისაა, ხის სახელურიანი. ისინი დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან; ჩამოსხმულია. მათ ათენის პროდუქციად მიიჩნევენ [იხ. კახიძე 2007: 165, სურ. 57/2; 59/4, 60/2; 62,9; 88/4]. რამდენიმე სარკეა ცნობილი — ვანიდან [იხ. ლორთქიფანიძე 1983: 91, კატ. №414]; ერთი — დაბლაგომის ძვ.წ. III ს-ის სამარხიდან [იხ. თოლორდავა 1983: 134, კატ. №564]. მსგავსი ნიმუშები ფართოდაა გავრცელებული ბერძნულ სამყაროში. იხ. სურ. 59. სარკე. ბრინჯაო. ვანი, სამარხი №24.

ქანდაკებას ელინისტურ სამყაროში სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებს შორის წამყვანი ადგილი ეჭირა. ეს გარემოება ასახულია საქართველოს არქეოლოგიური მასალის მაგალითზეც. საკმაოდ მრავალრიცხოვანია *ვანის* ნაქალაქარზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის ბრინჯაოს ქანდაკებების ფრაგმენტების კოლექცია. მასში წარმოდგენილი არის როგორც ნატურალური ზომის, ასევე ნატურალურზე უფრო დიდი და მცირე ზომის ნიმუშები. მცირე ზომის ნიმუშებს შორის აღსანიშნავია შიშველი ქალის ქანდაკების ნაწილები — ორივე ხელი, ფეხებისა და მხრის ფრაგმენტები; ძვ.წ. II-I სს-ით თარიღდება [იხ. გიგოლაშვილი 2013: 114-116]. იხ. სურ. 60. *ქანდაკების ფრაგმენტები. ბრინჯაო. ვანი. ძვ.წ. II-I სს.* [იხ. გიგოლაშვილი, თოლორდავა, ფირცხალავა 2008: 16-17, ტაბ. I, 4-5; II, 8-9]. *ვანის* კოლექციიდან არის აგრეთვე მაგ. იხ. სურ. 61. *ქანდაკების ფრაგმენტები. ბრინჯაო. ვანი. ვანის* ბრინჯაოს ქანდაკებების კოლექციის მნიშვნელოვანი ძეგლია ჭაბუკის ბრინჯაოს ტორსი. ის ელინისტური ეპოქის ე.წ. კლასიციზტური სტილის კუთვნილია და ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევრით ან I ს-ის დასაწყისით თარიღდება [იხ. ლორთქიფანიძე 1995-96: 27-28, სურ. 86, 6; 87]. იხ. სურ. 62. *ჭაბუკის ტორსი. ბრინჯაო. ვანი.* სატირის ბრინჯაოს ფიგურა *ვანიდან* ბერძნული დეკორატიული ქანდაკების ნიმუშია, რომელსაც მოგვიანებით ადგილზე (კოლხეთში) შეეცვალა ფუნქცია [იხ. ლორთქიფანიძე ნ. 2011ა: 53-65]. მაგ. იხ. სურ. 63. *სატირი. ბრინჯაო. ვანი. ძვ.წ. III ს.* ძვ.წ. III-II სს-ის მცირეაზიულ ნაწარმად არის მიჩნეული დიონისეს ბრინჯაოს მცირე ქანდაკება სოფელ კოდისწყაროდან (კასპის მუნიციპ.). აპოლონის ვერცხლის ორი მცირე ფიგურა აღმოჩნდა ვანის განძსაცავში. ისინი მიეკუთვნებიან აპოლონის ყველაზე გავრცელებულ იკონოგრაფიულ ტიპს: ფეხზე მდგომი, შიშველი, ზურგზე კაპარჭით და მარჯვენა ხელში ფიალით [ლორთქიფანიძე ნ. 2005: 37-38]. იხ. სურ. 64. *აპოლონის ფიგურები. ვერცხლი. ვანი.*

ვანის განძში, რომელიც ძვ.წ. I ს-ის შუახანებშია ჩაფლული, ბრინჯაოსა და რკინის 100-ზე მეტი ნივთი შედის [იხ. ახვლედიანი 2010: 11]. მათგან საყურადღებოა ბრინჯაოს ოთხი უცხოური ჭრაქი. ისინი ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟების გამოსახულებებითაა შემკული. კერძოდ, გამოსახულია არნივის მიერ განიმედესის მოტაცება; ეროტების ფიგურები; დიონისეს, არიადნესა და ჰერაკლეს გამოსახულებები [იხ. ლორთქიფანიძე ნ. 2011: 47-53]. იხ. სურ. 65. *სასაკმეველე. ბრინჯაო. ვანი.* გასანათებელი საშუალებებიდან საყურადღებოა *ტახტიძირის* სამაროვნის ძვ.წ. III ს. კანდელაბრი. იხ. სურ. 66. *რკინის კანდელაბრი. ტახტიძირი.*

რომაული ნაწარმი. რომაული სამყაროდან საქართველოში სხვადასხვა სახის ნაწარმის იმპორტირება ხდებოდა: ჭურჭლის, სამკაულის, საკულტო, საყოფაცხოვრებო, სანიტარულ-ჰიგიენური და სატუალეტო. აგრეთვე გასანათებელი და დეკორატიული ნივთების. ამათგან იმპორტის მთავარ საგანს სხვადასხვა სახისა და მასალის ჭურჭელი შეადგენდა. ესენია ძირითადად ვერცხლის, ბრინჯაოსა და მინის ჭურჭელი; აღმოჩენილია სურები, პატერები, ამფორისკები, კოვზები, ჯამები და სხვ. [Löhr 2008: 155-157].

რომაულმა ვერცხლის ჭურჭელმა, რომელიც მთელს ანტიკურ სამყაროს მოედო სწრაფად, ფეხი საქართველოშიც მოიკიდა. ის უკვე ძვ.წ. I-ახ.წ. I სს-ში იჩენს თავს, თუმც მცირე რაოდენობით. კონტაქტების ამ საწყის ეტაპზე ვერცხლის ჭურჭლის ასორტიმენტი ფრიად შეზღუდულია, მხოლოდ სასმისებითაა წარმოდგენილი. მათ შორის არის ცილინდრული ფორმის, ბრტყელძირა, ცალყურა სამისები, რომელთა რგოლისებური ყური ოთხკუთხა ფორმის ფირფიტის მეშვეობითაა ტანზე მირჩილული. ამგვარი სასმისები აღმოჩენილია რამდენიმე ძეგლზე: *თავილონში* [Амиранашвили 1935: 23, ტაბ. IV], *ბორში* [Мачабели 1976: 24-26], *ხოვლეში* [Цкитишვილი და სხვ. 1979: 122-123, ტაბ. I], *ალაიანში* (ძვ.წ. II ს-ის) [მირიანაშვილი 1983: 61, სურ. 71]. იხ. სურ. 67. *სასმისი. ვერცხლი. ალაიანი.* ფეხიანი, ორმაგკედლიანი და ზედაპირზე ჭედვით გამოყვანილი მცენარეული სახეებით თასი გავრცელებულია რომაულ სამყაროში ახ.წ. II ს-ში. საქართველოში რამდენიმე ასეთი თასია აღმოჩენილი: *ბორში*, *თავილონში*, *ხაიში* [იხ. ფუთურიძე 1959: 72, ტაბ. II, 3; Мачабели 1976: 26, 28, ტაბ. 2, 2]. იხ. სურ. 68. *თასი. ვერცხლი. ხაიში.* კანელურებიანი ნახევარ-კვერცხისებურ ტანიანი ახ.წ. II ს. სასმისები აღმოჩენილია სოფ. *თავილონსა* და *ბანძაში* [იხ.

ფუთურიძე 1959: 72, ტაბ. II, 1-2]. იხ. სურ. 69. *სასმისი. ვერცხლი. ბანძა. ალაიანში №2* სამარხი აღმოჩენილ ორყურა ახ.წ. I ს-ის თასს შეზნეილი კორპუსი, დაბალი ქუსლი და ფიგურული ყურები აქვს [იხ. მირიანაშვილი 1983: 22, 61, ნახ. 2, სურ. 75]. იხ. სურ. 70. *თასი. ვერცხლი. ალაიანი.* თბილისში გათხრილი ახ.წ. I ს-ის სამარხის ვერცხლის ფიალის კედლები ე.წ. *ენების* ორნამენტითაა შემკული, ხოლო ძირზე კი — ფოთლოვანი ორნამენტი აქვს [Abramishvili და სხვ. 2008: 441-442, სურ. 2, 2]. იხ. სურ. 71. *ფიალა. ვერცხლი. თბილისი.* ვერცხლის ფეხიანი ორყურა თასი სამთავროს №905 სამარხიდან (ახ.წ. III ს. მეორე ნახევარი); თასის ყურები და ქუსლი ცალ-ცალკეა დამზადებული [იხ. აფაქიძე და სხვ. 1996: XXVII, 1; XIX, 4]. იხ. სურ. 72. *თასი. ვერცხლი. სამთავრო.* ასეთივე ყურები აქვს ახ.წ. II ს. ვერცხლის პირფართო თასს *ბაგინეთიდან* [იხ. აფაქიძე გ. 1973: 59]. იხ. სურ. 73. *თასი. ვერცხლი. ბაგინეთი.* ახ.წ. II ს-ის ფიალები არმაზისხევის №6 სამარხიდან და არმაზციხიდან, შემკული ყურძნის რტოს და ბრონეულის გამოსახულებებით [იხ. მაჩაბელი 1983: 105, №39]. იხ. სურ. 74. *ფიალა. ვერცხლი. არმაზციხე;* სურ. 75. *ფიალა. ვერცხლი. არმაზისხევი.*

საყურადღებოა პორტრეტული მედალიონებით შემკული ფიალები: ორი არმაზისხევიდან მომდინარეობს, ერთი კი არმაზციხიდან. მათზე — მარკუს ავრელიუსის, ანტინოეს, უცნობი მამაკაცის პორტრეტებითაა შემკული. ისინი რომაული სახელოსნოს ნაწარმია ახ.წ. II ს. თარიღდება [მაჩაბელი 1962: 49-55]. მაგ.: იხ. სურ. 76. *ფიალა. ვერცხლი. არმაზციხე;* იხ. სურ. 77. *ფიალა. ვერცხლი. არმაზისხევი;* იხ. სურ. 78. *ფიალა. ვერცხლი. არმაზისხევი.* არმაზისხევის №6 სამარხში აღმოჩენილი ფორტუნა-ტიხეს გამოსახულებიანი ფიალა [Machabeli 1970: 28-39]. იხ. სურ. 79. *ფიალა. ვერცხლი. არმაზისხევი.* იხ. სურ. 80. *თასი. არმაზციხე. ვერცხლი.* იხ. სურ. 81. *თასი. ვერცხლი. არმაზციხე;* სურ. 82. *თეფში. ვერცხლი. არმაზციხე.* იხ. სურ. 83. *თასი. ვერცხლი. არმაზციხე.* იხ. სურ. 84. *თასი. ვერცხლი. არმაზციხე.* იხ. სურ. 85. *ტოლჩა. ვერცხლი. არმაზციხე.* იხ. სურ. 86. *პინაკი. ვერცხლი. სამთავროს №905 სამარხიდან.*

რომაულ ტორევეტიკაში ვერცხლის ჭურჭლის შემკულობაში სევადის გამოყენება არცთუ ისე ხშირი მოვლენაა. საქართველოში აღმოჩენილ რომაული ხანის ტორევეტიკულ ნაწარმს შორის მხოლოდ ორი ჭურჭელია მოსვეადებული. ესენია: *კვაშხეთისა და ცხინვალის* ფიალები. იხ. სურ. 87. *სევადიანი ფიალა. ვერცხლი. კვაშხეთი. ახ.წ. III ს.* ვერცხლის ორი ორყურა ჯამი არმაზისხევის №1 სამარხიდან ერთმანეთის მსგავსია ფორმითა და ორნამენტით. ჯამები დაბალქუსლიანია [აფაქიძე და სხვ. 1955: 34, ტაბ. XIV, 1-4]. იხ. სურ. 88. *ჯამები. ვერცხლი. არმაზისხევი. ახ.წ. II ს. მეორე ნახევარი.* ვერცხლის ლანგრები იმპერატორთა დროის რომაული სუფრის ჭურჭლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო. *არმაზისხევის ბერსუმას* სამარხიდან გამოირჩევა გაპრიალებულ ზედაპირიანი ლანგარი; მედალიონსა და პირის კიდზე აქვს ორნამენტი [იხ. Machabeli 1976: 41-45, ტაბ. 8-9]. ლანგარი ახ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის რომაული ნაწარმია. იხ. სურ. 89. *ლანგარი. ვერცხლი. არმაზისხევი.* ვერცხლის ლანგარი *სამთავროს №905* სამარხიდან რამდენადმე ემსგავსება არმაზისხევისას [იხ. აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: 13-14, ტაბ. XVIII-XX, XV]. იხ. სურ. 90. *ლანგარი. ვერცხლი. სამთავრო.* ვერცხლის ფიგურული სინი სამთავროს ამავე, №905 სამარხიდან [იხ. აფაქიძე და სხვ. 1996: 14, ტაბ. XXI-XXII, XVI]. იხ. სურ. 91. *სინი. ვერცხლი. სამთავრო. ახ.წ. II ს. მეორე ნახევარი.*

საქართველოში არქეოლოგიურად მოპოვებული უცხოური ჭურჭლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ბრინჯაოს ნაწარმი. მაგ.: იხ. სურ. 92. *სურა. ბრინჯაო. ნიჩბისი;* იხ. სურ. 93. *სურა. ბრინჯაო. ალაიანი;* იხ. სურ. 94. *სურა. ბრინჯაო. ზღუდერი;* სურ. 95. *სურა. ბრინჯაო. სამთავრო;* სურ. 96. *სურა. ბრინჯაო. სამთავრო. ახ.წ. პირველი საუკუნეები;* იხ. სურ. 97. *ოინოხოა. ბრინჯაო. კლდეეთი. ელინისტური ხანა.*

ლითონის სუფრის ჭურჭელს შორის იშვიათია ისეთი სახეობა, როგორცაა ამფორა. ერთადერთი ნიმუში, ბრინჯაოს დიდი ზომის ამფორა დედოფლის გორიდან კამპანური ნაწარმისთვის დამახასიათებელი სტილიზებული მცენარეული ორნამენტითა და დიონისეს თავით არის შემკული [Löhr 2008: 155, №1]. იხ. სურ. 98. *ამფორის ყურები. ბრინჯაო. დედოფლის გორა. ახ.წ. I ს.*

კოვზები საქართველოს არქეოლოგიური მასალაში აღმოჩენილია — არმაზციხეში, სამთავროში, ურბნისში, ბორში, ზღუდერში, სარგვეშში, ურეკში, ციხისძირში. მაგ. იხ. სურ. 99. კოვზი. ვერცხლი. ბაგინეთი. ახ.წ. III ს. საქართველოში რომაულ ხანაში კოვზებთან ერთად ჩამჩებიც შემოაქვთ, როგორც ვერცხლის, ასევე ბრინჯაოსი. ვერცხლის ჩამჩები აღმოჩენილია ბაგინეთში (3ც.); ვერცხლის ორი ჩამჩა ბორშიც დადასტურდა. ბაგინეთისა და ბორის ჩამჩები ყველა ერთი ტიპისაა. მათ აქვთ ღრმა ნახევარსფერული ჯამი და გრძელი ვერტიკალური ყური, რომელიც რგოლით ბოლოვდება [იხ. მაჩაბელი 1983:114, 62]. მაგ.: იხ. სურ. 100. ჩამჩები. ვერცხლი. ბაგინეთი; იხ. სურ. 101. ჩამჩა. ბრინჯაო. ნიგოზეთი. ახ.წ. I ს.

ახ.წ. II ს-დან მინის ჭურჭელი საკმაოდ ფართოდ მკვიდრდება ძველი საქართველოს ყოფაში. აღსანიშნავია მცხეთის ახ.წ. I ს-ის აკლდამაში აღმოჩენილი მუქი ლურჯი მინის თეფში და ჯამი, რომლებიც ახ.წ. I ს-ის I ნახევრის იტალიური ნაწარმია [იხ. საგინაშვილი 2003:75-76, ტაბ. I.3]. იხ. სურ. 102. თეფში. მინა. მცხეთა; სურ. 103. ჯამი. მინა. მცხეთა; იხ. სურ. 104. ე.წ. მოზაიკური მინის ჭურჭელი. სარკინე. ახ.წ. I ს; იხ. სურ. 105. თასი. მინა. მცხეთის აკლდამა. ახ.წ. I ს. დასასრული; იხ. სურ. 106. სანელსაცხებლები. მინა. ურბნისი; იხ. სურ. 107. სანელსაცხებლები. მინა. დედოფლის გორა. ახ.წ. I ს; იხ. სურ. 108. კუბიკოსები. მინა. სამთავრო. ახ.წ. II ს; იხ. სურ. 109. სანელსაცხებლე. მინა. ურბნისი; სურ. 110. სანელსაცხებლე. მინა. ურბნისი; იხ. სურ. 111. სანელსაცხებლე. მინა. არმაზისხევი. ახ.წ. II ს. მინურული; იხ. სურ. 112. ცალყურა ჭურჭელი. მინა. არმაზისხევი; იხ. სურ. 113. მინა. ურბნისი; იხ. სურ. 114. ორყურა ჭურჭელი. მინა. ჟინვალის. ახ.წ. I ს. დასასრული.

რომაული ხანის საკულტო ნივთები წარმოდგენილია ბრინჯაოს პატერებითა და სასაკმევლებით, ვერცხლის ერთი პატერით, აგრეთვე ბრინჯაოსა და რკინის ბატილუმებით [იხ. Иващенко 1980: 191, სურ. 32, 320-321; გაგომიძე 1973: 77-82; ლორთქიფანიძე 1968: 93-97, ტაბ. VIII; Abramishvili და სხვ. 2008: 441-443, სურ. 3, 1; ბრაუნდი და სხვ. 2009: 88-89; გიგოლაშვილი 2011: 67-68, ტაბ. II, სურ. 4; მაჩაბელი 1983: 103]. მაგ.: იხ. სურ. 116. პატერა. ბრინჯაო. თბილისი. ახ.წ. I ს; იხ. სურ. 117. პატერა. ბრინჯაო. ზღუდერი; იხ. სურ. 118. პატერა. ვერცხლი. არმაზისხევი. ახ.წ. II ს. მინურული; იხ. სურ. 119. სასაკმევლე. ბრინჯაო. ზღუდერი; სურ. 120. სასაკმევლე. ბრინჯაო. ზღუდერი.

საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები მცირე რაოდენობით არის დადასტურებული რომაული ხანის საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. ისინი წარმოდგენილია ბრინჯაოს თითო-ოროლა აბაზანით, ტაშტით, სასწორებით, აგრეთვე ძვლის ნივთებით. ვანში აღმოჩენილია ახ.წ. III ს-ის აბაზანა, რომელსაც ლომის თავის ფორმის ოთხი სახელური აქვს, პირში გაყრილი რგოლებით [იხ. ხოშტარია 1972: 81-95 სურ. 16; Stroszeck 1994: 225, 239, №22, ტ. 82,3; 89,1]. საყურადღებოა აგრეთვე დიდი ზომის, ძაღლის თავებიანი ყურებით შემკული, ბრინჯაოს ტაშტი, რომელიც დედოფლის გორაზე აღმოჩნდა. ამ ტიპის ჭურჭელი რომაულ სამყაროში გავრცელებულია ახ.წ. II ს-ის მეორე მეოთხედიდან III ს-ის პირველ მეოთხედამდე [იხ. Löhr 2008:156, №3-4]. იხ. სურ. 121. ტაშტის ყური. ბრინჯაო. დედოფლის გორა. ახ.წ. I ს.

რომაული სამყაროდან შემოსული ყოფითი დანიშნულების სხვადასხვა ნივთები. ესენია: კოლოფები (პიქსიდები), სათამაშო კამათლები, გრავირებული ფირფიტები, მცირე ზომის ქანდაკებები, გასაღებები, გასანათებელი საშუალებები, სანიტარულ-ჰიგიენური ნივთები, ინსიგნიები, ავეჯი და სხვ. მაგ.: იხ. სურ. 123. პიქსიდა. ძვალი. დედოფლის გორა. ახ.წ. I ს; სურ. 122. სასწორი. ბრინჯაო. დედოფლის გორა. ახ.წ. I ს; იხ. სურ. 124. გასაღები. ძვალი. დედოფლის გორა. ახ.წ. I ს; იხ. სურ. 125. ავეჯის ან კოლოფის სამკაული. სპილოს ძვალი. დედოფლის გორა; იხ. სურ. 126. კამათელი. ძვალი. დედოფლის გორა. ახ.წ. I ს; იხ. სურ. 115. ბალზამარიუმი. თიხა. დედოფლის გორა. ახ.წ. I ს; იხ. სურ. 127. კანდელაბრი. რკინა. ალაიანი; იხ. სურ. 128. სასანთლე (?). ვერცხლი-რკინა. არმაზისხევი; იხ. სურ. 130. გრიფონი. ბრინჯაო. ზღუდერი; იხ. სურ. 131. სარკე. ვერცხლი. სამთავრო; იხ. სურ. 132. სანელსაცხებლები და ფერ-უმარილის სასრესი ლამბაქი. აქატი. სამთავრო; იხ. სურ. 133. სანერი მოწყობილობა. ვერცხლი, ოქრო. მცხეთა; იხ. სურ. 134. სტილოსი. ძვალი. დედოფლის გორა. ახ.წ. I ს; იხ. სურ. 135. სამკლავური. ვერცხლი. ბიჭვინთის სამაროვანი; იხ.

სურ. 137. ფულკრუმი. ბრინჯაო. დედოფლის გორა; იხ. სურ. 138. აბჯარი. რკინა. დედოფლის გორა. ახ.ნ. I ს; იხ. სურ. 139. პინაკი. ვერცხლი. არმაზისხევი; იხ. სურ. 141. ამულეტები. ფაიანსი. დედოფლის გორა. ახ.ნ. I ს.; სურ. 142. იოტები. მინისებური პასტა. დედოფლის გორა. ახ.ნ. I ს; იხ. სურ. 140. ძაღლის ქანდაკება. ძვალი. დედოფლის გორა. ახ.ნ. I ს.

ადრეანტიკურსა და ელინისტურ პერიოდში ბერძნული იმპორტული ნაწარმი წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ნაკეთობებით, თუმც მის უდიდეს ნაწილს თიხის ჭურჭელი ქმნიდა. საწყის ეტაპზე (ძვ.წ. VIII. დასასრული -VII) აღმოსავლურ-ბერძნული ცენტრების ნაწარმი იჩენს თავს. ძვ.წ. VI ს-ის დასასრულიდან კი დასავლეთ საქართველოში იწყება ატიკური კერამიკის იმპორტი, რომელიც თანდათანობით ბატონდება კოლხეთის ბაზარზე. შეიძლება ითქვას, რომ ათენში დამზადებული თიხის ჭურჭელი დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს ადრეანტიკური ხანის ყველა ძეგლზე. ადრეანტიკურ ხანაში არაატიკური თიხის ჭურჭელიც შემოდის, თუმცა ატიკურთან შედარებით მისი რაოდენობა უმნიშვნელოა. ელინისტურ ხანაში შემოტანილი კერამიკა შედარებით მცირე რაოდენობითაა აქ დადასტურებული და თანაც ფრაგმენტულია, მაგრამ წარმოდგენილია იმ დროინდელი საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებში დამზადებული თითქმის ყველა წამყვანი სახეობით. შემოტანილი თიხის ჭურჭლის მნიშვნელოვან ნაწილს კერამიკული ტარა შეადგენდა. თავდაპირველად ის ხმელთაშუაზღვისპირული ცენტრების ამფორებით იყო წარმოდგენილი, ადრეელინისტური ხანიდან კი კონტრაგენტი შეიცვალა და ამ დროს უპირატესობა სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებმა მოიპოვა, თუმც ძვ.წ. III ს-ის 30-იანი წლებიდან სინოპური იმპორტი ქრება და მის ადგილს ისევ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქალაქების ნაწარმი იკავებს. იმპორტული სამშენებლო კერამიკა ჩვენში ელინისტური ხანის დასაწყისიდან იჩენს თავს და ფაქტობრივად მხოლოდ სინოპური ნაწარმითაა წარმოდგენილი. აღმოჩენილია როგორც ბრტყელი კრამიტები, ასევე ღარისებური.

შემოტანილი ლითონის ჭურჭელი კერამიკულთან შედარებით მცირე რაოდენობით იჩენს თავს. თავდაპირველად უპირატესად ატიკური და ეტრუსკული ნარმოების ბრინჯაოს ნაწარმი შემოდის, მოგვიანებით (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან) თრაკიაში გავრცელებული სახეობები ემატება; ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარში კი პერგამონული მხატვრული ბრინჯაოც დასტურდება. რაც შეეხება ვერცხლის ჭურჭელს, ბერძნული ნარმოების ნიმუშები არ გამოირჩევა არც მრავალრიცხოვნებით და არც მრავალფეროვნებით. ადრეული ეტაპის მასალის ნაწილი ათენში დამზადებულად არის მიჩნეული. ბერძნული იმპორტის მნიშვნელოვანი საგანი მინის ჭურჭელიც იყო, დამზადებული აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებში, უპირატესად როდოსზე. ელინისტურ ხანაში მინის ჭურჭლის შემოტანა მკვეთრად იკლებს.

ტერაკოტული ფიგურები უკიდურესად მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ისინი უპირატესად ადრეანტიკურ ხანას მიეკუთვნება და ძირითადად ატიკური ნიმუშების სახითაა წარმოდგენილი. ვანის ტერაკოტები ძვ.წ. II-I სს-ის მასალის თანხლებით არის აღმოჩენილი; ივარაუდება მათი მცირეაზიური წარმომავლობა. ადრეანტიკური ხანის საქართველოში ხორციელდებოდა სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივების იმპორტი, თუმც არცთუ დიდი რაოდენობით. ადრეელინისტურ ხანაში კი მათი შემოტანა მნიშვნელოვნად მატულობს. ქანდაკებას ელინისტური სამყაროს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებს შორის წამყვანი ადგილი ეჭირა. ეს გარემოება აისახა ჩვენს ქვეყანაშიც. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია ელინისტური ხანის ბრინჯაოს ქანდაკებების საკმაოდ დიდი კოლექცია, რომელშიც დასტურდება როგორც ნატურალური ზომის, ასევე ნატურალურზე უფრო დიდი და მცირე ზომის ნიმუშები.

ახალი ნელთალრიცხვის პირველი საუკუნეების იმპორტი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, წარმოდგენილია სხვადასხვა მასალისაგან (ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა, ოქრო, მინა, ნახევრადძვირფასი ქვები) დამზადებული ნაწარმით. ამ პერიოდის ვერცხლის იმპორტული ნაწარმი გაცილებით სჭარბობს წინარე ხანისას. მისი

ასორტიმენტიც უფრო მრავალფეროვანია (ჭურჭელი, საკულტო, საპირისფარეშო, საყოფაცხოვრებო ნივთები, ინსიგნიები, სამკაული). ვერცხლეულის ძირითადი მომწოდებელი რომისა და მისი პროვინციების სახელოსნოებია. პრესტიჟული ხასიათის იტალიური ბრინჯაოს ჭურჭელი (უპირატესად სხვადასხვა სახის საღვინე სურები) საკმაოდ ხშირად გვხვდება ქართლის სამეფოში, რაც რომაული პროდუქციის ფართო იმპორტზე მიუთითებს. ამგვარი იმპორტის სიმნიერე დასავლეთ საქართველოში მკვლევარებს აფიქრებინებს, რომ იტალიკური ნაწარმი ჩვენში სამხრეთის სავაჭრო გზით შემოდოდა მცხეთაში და იქიდან ვრცელდებოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში [იხ. ლორთქიფანიძე 1968: 100].

(ზემოთ მოტანილი უცხოური ნაწარმის ჩამონათვალი სრული არ არის და აქ მხოლოდ ის ნაწილია წარმოდგენილი, რომელიც ასახულია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა ეს ნაწილიც მიგვანიშნებს ზოგად ტენდენციებზე). **ტაბ. იხ. ბოლოში.**



სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესი

დ. კაჭარავა, მ. ჩარკვიანი, მ. კვაჭაძე, გ. გამყრელიძე

არქეოლოგიურ წყაროთა ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ჯგუფს სამაროვნები და ცალკეული სამარხები წარმოადგენს. სამარხი, მიცვალებულის მიზანმიმართული დაკრძალვის ადგილია. როგორც წესი, სამარხთა გასამართავად გარკვეული ადგილი გამოიყოფოდა, რომელსაც სამაროვანი (ბერძნულად ნეკროპოლი — “მკვდართა ქალაქი”) ეწოდება. ზოგიერთ სამაროვანზე ასობით სამარხი მდებარეობდა, ზოგიერთის ტერიტორია კი მრავალი საუკუნის მანძილზე გამოიყენებოდა და სხვადასხვა პერიოდის სამარხები იარუსებად იყო განლაგებული. სამარხთა ტიპის, დაკრძალვის წესისა და იქ მდებარე ნივთების გამოკვლევით შესაძლებელია იმდროინდელი საზოგადოების, როგორც იმქვეყნიურ ცხოვრებაზე რწმენა-წარმოდგენების, ისე მათი სოციალური დონის აღდგენა.

საზოგადოდ, მიცვალებულის დაკრძალვის წესი ორი სახისაა: ინჰუმაციური (მიცვალებულის ნეშტის დამარხვა) და კრემაციული (მიცვალებულის ნეშტის დაწვა და შემდეგ დამარხვა). თუმცა, შედარებით იშვიათად, ვხვდებით მესამე — მიცვალებულის ძვლების მეორად დამარხვას. არსებობს სიმბოლური სამარხი ანუ სამარხი მიცვალებულის ნეშტის გარეშე, რომელსაც კენოტაფი ჰქვია. სამარხებს რიგ შემთხვევაში, ქვის სტელებს ადგამდნენ, რომლებიც შემკულია წარწერებით, სხვადასხვა გამოსახულებებითა და რელიეფებით. სამარხებში მიცვალებულთა რაოდენობა განსხვავებულია. არსებობს ინდივიდუალური, წყვილადი და კოლექტიური სამარხები.

1. სამარხთა ტიპები. სამარხები აგებულების მიხედვით მრავალნაირია: ორმოსამარხი, ქვაფილა სამარხი, კრამიტსამარხი, აგურსამარხი, აკლდამა, სარკოფაგი, ქვევრსამარხი, ამფორასამარხი, დერგსამარხი.

სამარხის ტიპებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი **ორმოსამარხია**. ორმოსამარხი მიწაში სპეციალურად ჩაჭრილი ორმოა, რომელშიც მიცვალებულს კრძალავდნენ. ის შედარებით მარტივი კონსტრუქციით გამოირჩევა დანარჩენი ტიპის სამარხებისაგან. რიგ შემთხვევაში დასაკრძალავი ორმო გადახურული იყო ხის მორებით ან ფიცრებით; ქვის ერთი ან რამდენიმე ფილით, იშვიათად — კრამიტით, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით, კევრით და სხვ. ორმოსამარხის იატაკი ძირითადად თიხატკეპნილია. ამ სახით მოწყობილი სამარხი იფარებოდა მიწაყრილით ან ქვაყრილით, გვხვდება მათი კომბინირებაც. არსებობს ფლეთილი და რიყის ქვით, ზოგჯერ სრულად, ზოგჯერ ნაწილობრივ კედელმოპირკეთებული (ე.წ. ქვაყორე) ორმოსამარხები. არსებობს იშვიათი გამონაკლისი ორმოსამარხებისა, რომელშიც მიცვალებულის დაკრძალვის დროს კირხსნარი

გამოიყენებოდა. დასაკრძალავი ორმოს ამოღების შემდეგ იატაკზე კეთდებოდა კირხსნარის პლატფორმა, რომელზეც დასვენებული მიცვალებულის ნეშტი ნაწილობრივ ან მთლიანად კირხსნარით იფარებოდა. ასევე საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს ორმოსამარხები, რომლებიც გადახურულია ხის კონსტრუქციაზე დაყრდნობილი კრამიტის, ორფერდა სახურავით. გვხვდება ორმოში ჩადგმული ხის კონსტრუქციებიც. ორმოსამარხის ცალკე მდგომ ტიპს წარმოადგენს ე.წ. კატაკომბური სამარხი. ის წარმოადგენს ვერტიკალურად გაჭრილ ორმოს, რომელსაც იატაკის დონეზე ჰორიზონტალურად ამოჭრილი ნიშა აქვს, სადაც თავსდებოდა მიცვალებულის ნეშტი. ნიშას მიფარებული ჰქონდა თიხის ქურჭლის ან კრამიტის ფრაგმენტი.

საქართველოს ტერიტორიაზე ორმოსამარხები აღმოჩენილია შემდეგ სამაროვნებზე: აბანო (ქარელის მუნიციპ.), 7ც., ძვ.წ. VI-Vსს. [ნუცუბიძე 1968: 61-73]; აბელია (თეთრინყაროს მუნიციპ.), 2ც., ძვ.წ. V-IV სს. [კვიციანიძე 1975: 127-187]; აბულმუგი (დმანისის მუნიციპ.), 2ც., ძვ.წ. IV-III სს. [ძნელაძე 2002: 140-236]; აგუძერა (გულრიფშის მუნიციპ.), ადრეანტიკური ხანა [Воронов 1969: 58]; ათარა (ოჩამჩირის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. III-II სს. [Квициния 1989: 7-8]; არაგვისპირი (დუშეთის მუნიციპ.), 95ც., ახ.წ. I-V სს. [რამიშვილი რ. 1975: 7-15]; არაგვისკარი (მცხეთა), 1ც., ძვ.წ. I-ახ.წ. II სს. [კალანდაძე და სხვ. 1968]; არკნეთი (ყორნისის მუნიციპ.), 6ც., ძვ.წ. II-I სს. [ჯაფარიძე 1956: 186-206]; არდასუბანი “პოგვისხევი” (თეთრინყაროს მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. V-VI სს. [თუშიშვილი 1970: 127-140]; არმაზისხევი (მცხეთა), 10ც., ახ.წ. II-IV სს. [აფაქიძე ან. და სხვ. 1955]; არხილოსკალო (დედოფლისწყაროს მუნიციპ.), ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. [ნიორაძე 1940]; ანყური (ახალციხის მუნიციპ.), 20ც., ძვ.წ. V-I სს. [ლიჩელი და სხვ. 1997: 19-21]; ახალდაბა (ახმეტის მუნიციპ.), 9ც., ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. [ლორთქიფანიძე 1968]; ახალი ჟინვალი (დუშეთის მუნიციპ.), 37ც., ახ.წ. III-IV სს. [რამიშვილი 1983: 81-121]; ახულ-აბაა (ოჩამჩირის მუნიციპ.), 5ც., ძვ.წ. IVს. [Воронов 1979: 32-36]; ბაგიჭალა (დუშეთის მუნიციპ.), 34ც., ძვ.წ. I-ახ. I სს. [Рамишвили და სხვ. 1984]; ბადრიანები (დუშეთის მუნიციპ.), 13ც., ახ.წ. II-IV სს. [რობაქიძე 2004: 284]; ბაზალეთი (დუშეთის მუნიციპ.), 103ც., ძვ.წ. VIII-IIIსს. [რამიშვილი და სხვ. 2004: 97, 98]; ბაიათხევი (მცხეთა), 7ც. ახ.წ. III-IV ს. პირველი ნახევარი [აფაქიძე ან. და სხვ. 1982: 192-198; ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995ა: 97-133]; ბაძებე (გორის მუნიციპ., უფლისციხე), 28ც., ძვ.წ. V-IV სს, ძვ.წ. II-I სს. [ხახუტაიშვილი 1970; ნიკოლაიშვილი ბ. და სხვ. 2002: 80-86]; ბარგიყარია (მცხეთის მუნიციპ.), 2ც., ახ.წ. I ს. [აფაქიძე ან. და სხვ. 1978, აფაქიძე ან. და სხვ. 1995: 49-51]; ბაღლანი (ოჩამჩირის მუნიციპ.), 7ც., ძვ.წ. III ს. [ვირკველია 1995: 75-82]; ბეჟანბალი (გურჯაანის მუნიციპ., ს. ზემო კაჭრეთი) 1ც., ახ.წ. I-II სს. [მამაიაშვილი 1980ა: 116-126]; ბეშთაშენი (წალკის მუნიციპ.), ძვ.წ. VII-V სს. [მენაბდე და სხვ. 1968]; ბიჭვინთა (გაგრის მუნიციპ.), 351ც., ახ.წ. II-IV სს. [ლორთქიფანიძე გ. 1991: 113-165]; ბრილი (ონის მუნიციპ.), 16ც., ძვ.წ. VII-I სს. [გობეჯიშვილი 1953: 14; გობეჯიშვილი 1962: 22; ლამბაშიძე 1961: 22-23]; გომარეთი (დმანისის მუნიციპ.), 2ც., ძვ.წ. IV-III სს. [დავლიანიძე 1983: 116-170]; გონი (ცაგერის მუნიციპ.), 11ც., ახ.წ. II-IV სს. [სულხანიშვილი და სხვ. 2014ა: 118-134]; გონიო (ხელვაჩაურის მუნიციპ.) 2ც., ძვ.წ. V ს. [მამულაძე 2002]; გოსტიბე (კასპის მუნიციპ.), 22ც., ახ.წ. III-IV სს. [თორთლაძე 2014: 37-66]; გრიგოლეთი (ლანჩხუთის მუნიციპ.), 6ც., ძვ.წ. VI-IV სს. [პაპუაშვილი და სხვ. 2007: 43; სადრაძე და სხვ. 2001: 7-19]; გუადიხუ (სოხუმი), 58ც., ძვ.წ. V-III სს. [Трапш 1969: 223, 242-268]; გუდაუთა (გუდაუთის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. V-II სს. [Воронов 1969: 45]; დაბლაგომი (სამტრედიის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი [თლორდავა 1976ა: 76]; ბორნილელე (ბორჯომის მუნიციპ., დვირი), 14ც., ძვ.წ. VIII-VI სს., ძვ.წ. VI-III სს. [Гамбашидзе და სხვ. 1991: 27-29]; ეცო (თეთრინყაროს მუნიციპ.), 7ც., ძვ.წ. IV-I სს. [შატბერაშვილი 1999: 57-63]; ვანი, 24ც., ძვ.წ. V-III სს. [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972ა: 198-239; კაჭარავა და სხვ. 1979: 25-27; კაჭარავა და სხვ. 2016: 156-193]; ვარსიმანთკარი (დუშეთის მუნიციპ.), 179ც., ძვ.წ. V-IV სს. [წითლანაძე 1983: 52-76; მუხიგულაშვილი 2015: 69-97]; ვაშლიჯვარა (თბილისი), 6ც., ახ.წ. IV-VII სს. [ნიკოლაიშვილი 1978ა: 63-77]; ვერემწავინის ბორცვი, ქვემო ეშერა (სოხუმის მუნიციპ.), 2ც., ძვ.წ. IV-III სს. [Куфтин 1949: 18-19, 21-41]; ზესტაფონი, ფერო-შენადნობთა ქარხნის მიდამოები (ზესტაფონის მუნიციპ.),

1 ც., ძვ.წ. V ს. [ჯიქია 1989: 6-7]; *ზღუდერი* (ქარელის მუნიციპ.), 6 ც., ახ.წ. III-IV სს. [ნემსაძე 1969: 45-55; ბრაუნდი და სხვ. 2009]; *თალთები* (დუშეთის მუნიციპ.), 19 ც., ახ.წ. I-V სს. [რამიშვილი და სხვ. 1984]; *თელათგორი* (კასპის მუნიციპ.), 1 ც., ახ.წ. II-III სს. [კვიციანი 1990: 40-45]; *თხოთის მთა* (კასპის მუნიციპ.), 16 ც., ახ.წ. IV ს. [მირიანაშვილი 1983: 89-91]; *იაშთხვა* (სოხუმის მუნიციპ.), 2 ც., ძვ.წ. VI-IV სს. [კვიციანი 1978: 74-79]; *იასხარი* (ახმეტის მუნიციპ., ს. მატანი), 16 ც., ახ.წ. V-VI სს. [Рамишвили 1969: 111-127]; *იოხვისი* (ჭიათურის მუნიციპ.), 21 ც., ძვ.წ. V-III სს. [გაგოშიძე და სხვ. 2006: 36-59]; *კამარახევი* (მცხეთის მუნიციპ.), 110 ც. ძვ.წ. IV-III სს. [რამიშვილი 1959: 5-52; აფაქიძე და სხვ. 1978: 103-109; ჯღარკავა 1982: 139-180]; *კარახტინი* (საჩხერის მუნიციპ.), 5 ც., ახ.წ. I ს. [ბრაგვაძე და სხვ. 1990: 39; ბრაგვაძე 1993: 5-6]; *კარსნისხევი* (მცხეთის მუნიციპ.), 14 ც., ახ.წ. I-II სს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 32-53, ნიკოლაიშვილი 1993]; *კეხვი* (ცხინვალის მუნიციპ.), 6 ც., ძვ.წ. VII-V სს. [Гаглоев 1987: 526-527]; *კვირაცხოველი* (ბორჯომის მუნიციპ.), 16 ც., ძვ.წ. VI-IV სს. [Гамбашидзе და სხვ. 1985: 31-37]; *კლდეეთი* (ხარაგაულის მუნიციპ.), 6 ც. ახ.წ. I-II სს. [ლომთათიძე 1957]; *კოდისწყალი* (საჩხერის მუნიციპ.), 4 ც. – ძვ.წ. V-IV სს., 10 ც. – ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. [ბრაგვაძე 1993: 6; მახარაძე 2001: 40-47]; *ლია* (ნალენჯიხის მუნიციპ.), 19 ც., ახ.წ. I- VI სს. [ნითლანაძე 1973: 66-72; ჯაფარიძე ვ. 2006]; *მაქართა* (დუშეთის მუნიციპ.), 6 ც., ძვ.წ. VIII-VI სს. [Рамишвили და სხვ. 1981]; *მოგვთაკარი* (მცხეთა), 2 ც. [სიხარულიძე და სხვ. 1985: 109-131]; *მოდინახე* (საჩხერის მუნიციპ.), 15 ც. – ძვ.წ. IV-III სს., 80 ც. – ახ.წ. III-VI სს. [ნადირაძე 1975: 15-21, 26, 38-40; ბრაგვაძე და სხვ. 2002: 91-141]; *მონასტერი* (ცხინვალის მუნიციპ.), 150 ც. ძვ.წ. II-ახ.წ. სს. [Гаглоев 1987: 526-527]; *მოქვი* (ოჩამჩირის მუნიციპ.), 1 ც., ძვ.წ. IV-III სს. [Пхакадзе და სხვ. 1981: 85-87]; *მუხათგვერდი I* (მცხეთის მუნიციპ.), 2 ც., ახ.წ. VI-VIII სს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 96-99; ხეცურიანი 1985: 151-161]; *მუხათგვერდი II* (მცხეთის მუნიციპ.), 3 ც., ძვ.წ. IV-III სს. [აფაქიძე და სხვ. 1982: 208-211]; *მზეთამზე* (ბორჯომის მუნიციპ.), 51 ც., ძვ.წ. VI-IV სს. [Насидзе 1995: 101-103]; *მცხეთიგორა* (მცხეთის მუნიციპ.), 9 ც., ძვ.წ. IV-III სს. [ნიკოლაიშვილი და სხვ. 1985]; *ნანეფიშ ქალე* (სენაკის მუნიციპ.), 1 ც., ძვ.წ. IV ს-ის ბოლო-ძვ.წ. III ს-ის შუახანები [გვინჩიძე 2003: 24-25]; *ნაურიალი* (ხაშურის მუნიციპ., მცხეთიჯვარი), 104 ც., ძვ.წ. VIII-III სს. [დავითაშვილი ქ. და სხვ. 2010: 47-65]; *ნასტაკისი* (მცხეთის მუნიციპ.), 120 ც., ძვ.წ. III-ახ.წ. III სს. [Бохочадзе და სხვ. 1980; ნარიმანიშვილი 1990: 85-110]; *ნაცარგორა* (ხაშურის მუნიციპ.), 72 ც., ძვ.წ. VI-V სს. [Наридзе 1995: 74-75]; *ნეძიხი* (დუშეთის მუნიციპ.), 223 ც., ახ.წ. III-IV სს. [ჯორბენაძე 2004: 286]; *ნოქალაქევი* (სენაკის მუნიციპ.), 58 ც., ძვ.წ. IV-I სს. [გვინჩიძე 2003: 23-28]; *ოქონის გორა*, ჩხარი (თერჯოლის მუნიციპ.), 16 ც., ახ.წ. II-III სს. [ბრაგვაძე 1997]; *პაპიგორა* (თეთრინწყაროს მუნიციპ.), 13 ც., ძვ.წ. IV-III სს. [მარგოშვილი და სხვ. 2004: 10-64]; *ყინვალის* (დუშეთის მუნიციპ.), 272 ც. – ახ.წ. I-IV სს., 108 ც. – ახ.წ. IV-VIII სს. [ჩიხლაძე 2015: 3, 162]; *რეიანების ველი*, ალაიანი (კასპის მუნიციპ.), 19 ც., ახ.წ. სს. [მირიანაშვილი 1983: 18-43]; *რვანი* (ჭიათურის მუნიციპ.), 47 ც., ახ.წ. III-VII სს. [ბრაგვაძე 2000: 107-152]; *საბადურის გორა*, საირხე (საჩხერის მუნიციპ.), 12 ც., ძვ.წ. V-IV სს. [მახარაძე, ნერეთელი, 2007: 34-45; ნადირაძე, 1990: 79]; *სადულა* (გურჯაანის მუნიციპ., სოფ. ჯიმიტი), 2 ც. – ძვ.წ. VI-IV სს., 1 ც. – ახ.წ. III ს. [მამიაშვილი 1980: 105-115; მეუნარგია 1990: 111-124]; *საკრაველი*, *ლოუბანი* (თეთრინწყაროს მუნიციპ.), 1 ც., ძვ.წ. IV-III სს. [ამირანაშვილი 1997: 15-17]; *საკობიანო* (ახმეტის მუნიციპ.), 1 ც., ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. [მაკალათია 1941ა: 84-87]; *სამთაგრო* (მცხეთა), 126 ც., ახ.წ. I-VII სს. [აფაქიძე და სხვ. 1981; აფაქიძე და სხვ. 1989; აფაქიძე და სხვ. 1995]; *საყარაულო სერი*, *კავთისხევი* (კასპის მუნიციპ.), 15 ც., ძვ.წ. III-ახ.წ. I სს. [ყაზახიშვილი 1980: 60-67]; *სოხუმის მთა*, 8 ც., ძვ.წ. V-II სს. [კალანდაძე 1954: 27-35]; *სოხტა* (ჯავის მუნიციპ.), 51 ც., ახ.წ. II-III სს. [Сланов 1977: 481-482]; *სხალთა* (თეთრინწყაროს მუნიციპ.), 5 ც., ძვ.წ. IV-III სს. [ნიკოლაიშვილი და სხვ. 2010: 430-453]; *სვეტიცხოვლის უბანი* (მცხეთა), 4 ც., ძვ.წ. I-III ს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 68-77, 137-142, აფაქიძე და სხვ. 1989]; *ტახტიძირი* (ქარელის მუნიციპ.), 26 ც., ძვ.წ. IV-III სს. [გაგოშიძე 2011]; *ურბნისის ნაქალაქარი* (ქარელის მუნიციპ.), 1 ც. – ძვ.წ. VI-V სს., 6 ც. – ახ.წ. I-II სს., 18 ც. – ახ.წ. IV-V სს. [ჭილაშვილი 1964: 29-31, 47-54, 60-68, 84-87]; *ურეკი* (ლანჩხუთის მუნიციპ.), 3 ც., ახ.წ. III-IV სს. [Хоштариа 1955: 25-78; სადრაძე 2009: 50-60]; *ფიჭვნარი* (ქობულეთის მუნიციპ.),

ბერძნული სამაროვანი: 412ც. - ძვ.წ. V-IV სს; კოლხური სამაროვანი - 383ც., ძვ.წ. V-IV სს.; 238ც. - ძვ.წ. IV-III სს.; 6ც. - ახ.წ. IV-V სს. [კახიძე 1981; კახიძე 1983: 53-63; კახიძე და სხვ. 2004; კახიძე და სხვ. 2007; კახიძე და სხვ. 2010; კახიძე და სხვ. 2014; კახიძე და სხვ. 2014ა]; *ქასრანთ მინები*, კავთისხევი (კასპის მუნიციპ.), 30ც., ძვ.წ. VI-IV სს. [ბერაძე 1980:14-27]; *ქვემო ალგვი* (ახალგორის მუნიციპ.), 4ც. [აფხაზავა 1988: 42-43]; *ქლივანა* (ცხინვალის მუნიციპ.), 27ც. - ძვ.წ. VI-IV სს., 35ც. - ძვ.წ. IV-III სს. [Сланов 1983: 415-416]; *ქუშანანთგორა II* (მაგრანეთი, თიანეთის მუნიციპ.), 16ც., ახ. II-IV სს. [რამიშვილი 1979: 30-56]; *ღრმახევისთავი* (დმანისის მუნიციპ.), 12ც., ძვ.წ. VII-IV სს. [აბრამიშვილი და სხვ. 1980: 21-24, 89-199]; *ყანჩათი* (ახალგორის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. V ს. [გაგომიძე 1964]; *ყოლოთო* (დედოფლისწყაროს მუნიციპ.), 13ც., ახ.წ. III-V სს. [სინაურიძე 1967: 112-134]; *შავსაყდარა I* (თეთრინწყაროს მუნიციპ.), 16ც., ძვ.წ. IV-III სს. [თუშიშვილი და სხვ. 1987: 44-47; მარგიშვილი და სხვ. 2004: 65-131]; *შავსაყდარა II* (თეთრინწყაროს მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. IV-III სს. [მარგიშვილი 1992: 65]; *შაპკა, ნებელდა* (გულრიფშის მუნიციპ.), 400ც., ახ.წ. III-VII სს. [Воронов 1982а: 21-26]; *შრომისუბანი* (ონის მუნიციპ.), 3ც., ძვ.წ. V-IV სს. [გობეჯიშვილი 1963: 27-30]; *შულავერი* (მარნეულის მუნიციპ.), 5ც., ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი [დავლიანიძე 1975: 173-181]; *ციხისძირი* (ქობულეთის მუნიციპ.), 277ც., ძვ.წ. VI-ახ.წ. IV სს. [ინაიშვილი ნ. 1993: 81, 93-97]; *ცხეთა* (ცაგერის მუნიციპ.), 15ც., ძვ.წ. II-ახ.წ. IV სს. [სახაროვა 1963: 35; სულავა 1996: 9-45]; *ძვერი* (თერჯოლის მუნიციპ.), 19ც., ახ.წ. II-III სს. [ფუთურიძე 1959: 61-63; ბრავაძე 2003: 89-97]; *ნებელდა* (გულრიფშის მუნიციპ.), 20ც., ძვ.წ. III-I სს., ახ.წ. III-VII სს. [Воронов და სხვ. 1987: 524-525]; *ნითელი შუქურა* (სოხუმის მუნიციპ.), 150 ც., ძვ.წ. VIII-II სს. [ბარამიძე და სხვ. 1979: 77-82]; *ნინწყარო* (ალგეთი) (თეთრინწყაროს მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. IV ს. [დავლიანიძე 1976: 118-147]; *ნინამური* (მცხეთის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. VI ს. [Куфтин 1941: 47]; *ნინამური III* (მცხეთის მუნიციპ.), 17ც., ახ.წ. I-II სს. [ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995: 58-82]; *ნნისი* (ახალციხის მუნიციპ.), 30ც., ძვ.წ. IV-III სს. [კვიციანიძე 1987: 32-35]; *ჭორატი* (ახალციხის მუნიციპ.), 13ც., ახ.წ. IV-VII სს. [ჩიხლაძე 2010: 472-492]; *ხიმშიანთმინები* (დუშეთის მუნიციპ.), 12ც., ახ.წ. III-IV სს. [რამიშვილი და სხვ. 1987: 81]; *ხოვლე* (კასპის მუნიციპ.), 3ც., ძვ.წ. III-II სს. [შატბერაშვილი 2012: 98-115]; *ჯიეთი* (საჩხერის მუნიციპ.), 29ც., ახ.წ. I-IV სს. [სონღულაშვილი 2006: 75-84].

ე.წ. კატაკომბური სამარხები დაფიქსირებულია: *თხოთის* მთა, 6ც. ახ.წ. IV ს. [იხ. მირიანაშვილი 1983: 87-89]; *ჟინვალი* (დუშეთის მუნიციპ.), 51ც., ახ.წ. IV-VII სს. [ჩიხლაძე 2015: 3]; *სადულა* (გურჯაანის მუნიციპ., სოფ. ჯიმიტი), 1 სამარხი – ახ.წ. III ს. [მეუნარგია 1990]. კირსნარაინი სამარხები აღმოჩენილია მხოლოდ ბიჭვინთის სამაროვანზე (120ც.) [კილურაძე 2006: 107-113]. კრამიტის ორფერდა სახურავიანი ორმოსამარხები აღმოჩენილია დაბლაგომის, ფიჭვნარის და ქუშანანთგორის სამაროვნებზე [თოლორდავა 1976ა; თოლორდავა 1977ა; კახიძე 1983; რამიშვილი 1979].

სამარხის ტიპებიდან კონსტრუქციულად ბევრად რთულია გეგმით მართკუთხა, ყუთისებრი ფორმის სამარხები, რომლებიც იგებოდა სხვადასხვა მასალისაგან, როგორცაა ქვისა და თიხის ფილები, კრამიტი, აგური; რიგ შემთხვევებში ხდებოდა ამ მასალათა კომბინირებული გამოყენება. შესაბამისად, ასეთი ყუთისებრი ფორმის სამარხების ტიპების სახელწოდებებიც გამოყენებული მასალიდან მომდინარეობს: ქვაფილა სამარხი, თიხაფილა სამარხი, კრამიტსამარხი, აგურსამარხი.

ქვაფილა სამარხის კედლები შედგენილია ერთი მთლიანი, ან რამდენიმე ქვის ფილისაგან; გადახურვა ბანური ან ორფერდა აქვს. იატაკი ქვის ფილებითაა მოგებული ან თიხატყეპნილია. ზოგჯერ ქვის ფილები, მეტი სიმყარისათვის, გამირებითაა (რკინის კაუჭისებური სამაგრი) დამაგრებული და ტყვიით ჩადუღებული. ფილაქვებით ნაგები სამარხები (ქვაყუთები) აღმოჩენილია შემდეგ სამაროვნებზე: *აბელია* (თეთრინწყაროს მუნიციპ.), 16ც., ძვ.წ. V-IV სს. [კვიციანიძე 1975: 127-187]; *აბულმუგი* (დმანისის მუნიციპ.), 24ც., ძვ.წ. IV-III სს. [ძნელაძე 2002: 140-236]; *აგჭალისკარი* (მცხეთის მუნიციპ.), 83ც., ახ.წ. IV ს. [Апакидзе და სხვ. 1985: 462-463]; *არდასუბანი* (თეთრინწყაროს მუნიციპ.), 3ც., ძვ.წ. V-VI სს. [თუშიშვილი 1970: 127-140]; *არმაზისხევი* (მცხეთა), 129ც., ახ.წ. II-VII სს. [აფაქიძე და სხვ. 1955];

ახალი არმაზი (მცხეთის მუნიციპ.), 17ც., ახ. V-VII სს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 99-103]; ბაგიჭალა (დუშეთის მუნიციპ.), 8ც., ახ. III-IV სს. [Рапишвили და სხვ. 1981: 58]; ბაიათხევი (მცხეთა), 6ც. ახ. III-IV ს-ის პირველი ნახევარი [აფაქიძე და სხვ. 1982: 192-198; ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995ა: 97-133]; ბეშთაშენი (ნალკის მუნიციპ.), 78ც., ძვ. VII-V სს. [მენაბდე და სხვ. 1968: 99-107]; ბიჭვინთა (გაგრის მუნიციპ.), 1ც., ახ. II-IV სს. [ლორთქიფანიძე გ. 1991: 113-165]; გველეთი (სტეფანწმინდას მუნიციპ.), 16ც., ახ. VI-VII სს. [მინდორაშვილი 2014: 228-230]; გომარეთი (დმანისის მუნიციპ.), 26ც., ძვ. IV-III სს. [დავლიანიძე 1983: 116-170]; გოსტიბე (კასპის მუნიციპ.), 8ც., ახ. III-IV სს. [თორთლაძე 2014: 37-66]; დაშბაში (ნალკის მუნიციპ.), 3ც., ძვ. V-IV სს. [გაგომიძე 1982: 57-59]; ენაგეთი (თეთრიწყაროს მუნიციპ.), 9ც., ძვ. IVს. [მარგიშვილი 1992: 32]; ეცო (თეთრიწყაროს მუნიციპ.), 113ც., ძვ. IV-III სს. [შატბერაშვილი 1999: 57-63]; ვანის ნაქალაქარი, 1ც. - ძვ. IV ს., 1ც. - ახ. III ს. [ხომტარია და სხვ. 1972: 90-91]; ვაშლიჯვარა (თბილისი), 18ც., ახ. IV-VIII სს. [ნიკოლაიშვილი 1978: 63-77]; თეთრიწყარო, 19ც., ძვ. III ს. [ბოხოჩაძე 1963: 37; კვიციანიძე 1975: 13,74,100]; იახსარი (ახმეტის მუნიციპ., სოფ. მატანი), 10ც., ახ. V-VI სს. [რამიშვილი 1969: 111-127]; კაზრეთი (ბოლნისის მუნიციპ.), 9ც., ძვ. II-ახ. III სს. [სინაურიძე 1985: 34]; კამარახევი (მცხეთის მუნიციპ.), 20ც., ძვ. IV-III სს. [რამიშვილი 1959:5-52; აფაქიძე და სხვ. 1978: 103-109; ჯღარკავა 1982: 139-180]; კარიაკი (ნალკის მუნიციპ.), 3ც., ძვ. IV ს. [გაგომიძე 1982: 60-61]; კიკეთი (გარდაბნის მუნიციპ.), 6ც., ძვ. V ს. [დავლიანიძე 1983: 115]; კოდმანი (მცხეთა), ადრეული შუასაუკუნეები [აფაქიძე და სხვ. 1982: 211]; კუშჩი (ნალკის მუნიციპ.), 5ც., ძვ. VI-V სს. [გაგომიძე 1982: 47-56; დავლიანიძე 1983: 116-170]; მოგვთაკარი (მცხეთა), 2ც., ახ. I-III სს. [სიხარულიძე და სხვ. 1985: 109-131]; მარტაზისხევი (მცხეთის მუნიციპ.), ძვ. IV-III სს., ახ. IV-VII სს. [უგრელიძე და სხვ. 1971: 89-91]; მუხათვერდი I (მცხეთის მუნიციპ.), 30ც., ახ. VI-VIII სს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 96-99; ხეცურიანი 1985: 151-161]; მუხათვერდი II (მცხეთის მუნიციპ.) 25ც., ძვ. IV-III სს. [აფაქიძე და სხვ. 1982: 208-211]; მცხეთიგორა II, (მცხეთა), 82ც., ახ. III-VII სს. [აფაქიძე და სხვ. 1982: 213; ნიკოლაიშვილი და სხვ. 1985: 132-148]; მზეთამზე (ბორჯომის მუნიციპ.), 3ც., ძვ. VI-IV სს. [Насидзе და სხვ. 1995: 101-103]; ნასტაკისი (მცხეთის მუნიციპ.), 1ც., ძვ. III-ახ. III სს. [ბოხოჩაძე და სხვ. 1982: 44-51, ნარიმანიშვილი 1990: 85-110]; ნეძიხი (დუშეთის მუნიციპ.), 14ც., ახ. III-IV სს. [რობაქიძე 1990: 60]; ნერონ-დერესი (ნალკის მუნიციპ.), 8ც., ძვ. II ს. [გაგომიძე 1982: 10-28]; პაკიგორა (თეთრიწყაროს მუნიციპ.), 50ც., ძვ. IV-III სს. [მარგიშვილი და სხვ. 2004: 10-64,131; თუშიშვილი და სხვ. 1987: 44-45]; ჟინვალი (დუშეთის მუნიციპ.), 127ც., ახ. IV-VII სს. [ჩიხლაძე 2015: 3]; სათოვლე-ნაბაღრები (მცხეთის მუნიციპ.), 2ც., ახ. VI-VII სს. [აფაქიძე და სხვ. 1981]; საკრაველი, ლოუბანი (თეთრიწყაროს მუნიციპ.), 23ც., ძვ. IV-III სს. [ამირანაშვილი 1997: 15-17]; სამაჩხეთი, ასურეთი (თეთრიწყაროს მუნიციპ.), 19ც., ძვ. VI-IV სს. [კვიციანიძე 1975]; სამთავრო (მცხეთა), 164ც., ახ. I-VII სს. [აფაქიძე და სხვ. 1981; აფაქიძე და სხვ. 1982; მანჯგალაძე 1985; აფაქიძე და სხვ. 1989; აფაქიძე და სხვ. 1995; აფაქიძე და სხვ. 1996]; სანთა (ნალკის მუნიციპ.), 8ც., ძვ. IVს. [გაგომიძე 1982: 60-61]; საყარაულო სერი,კავთისხევი (კასპის მუნიციპ.), 4ც. - ძვ. III-ახ. III სს.; 2ც. - ადრეული შუასაუკუნეები [ყაზახიშვილი 1980: 60-67]; სვეტიცხოვლის უბანი (მცხეთა), 14ც., ძვ. I-III სს. [აფაქიძე და სხვ., 1978: 68-77, 137-142; აფაქიძე და სხვ. 1989; აფაქიძე და სხვ. 2003:91-93]; სხალთა (თეთრიწყაროს მუნიციპ.), 55ც., ძვ. IV-III სს. [ნიკოლაიშვილი და სხვ. 2010: 430-453]; ტუიაქოჩორა (მცხეთა), 14ც., ახ. IV-VIII სს. [ნიკოლაიშვილი 1978ბ: 157-169]; ფიქრისგორა (მცხეთა), 12ც., ახ. IV-IX სს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 59-61]; ქვემო ალავი (ახალგორის მუნიციპ.), 53ც. [აფხაზავა 1988: 10-41]; ქლივანა (ცხინვალის მუნიციპ.), 15ც., ძვ. VI-IV სს. [Сланов 1983: 415-416]; ღრმახევისთავი (დმანისის მუნიციპ.), 77ც., ძვ. VII-IV სს. [აბრამიშვილი რ. და სხვ. 1980: 21-24, 89-199]; შავსაყდარა I (თეთრიწყაროს მუნიციპ.), 85ც., ძვ. IV-III სს. [თუშიშვილი და სხვ. 1987: 44-47; მარგიშვილი და სხვ. 2004: 65-131]; შავსაყდარა II (თეთრიწყაროს მუნიციპ.), 10ც., ძვ. IV-III სს. მიჯნა [მარგიშვილი 1992: 65]; შენაქო (ახმეტის მუნიციპ.), 11ც., ძვ. VI-V სს. [დოლაბერიძე 2004: 157]; წნისი (ახალციხის მუნიციპ.), 37ც., ძვ. IV-III სს. [Квицинадзе 1987: 32-35]; ყაზბეგი (სტეფანწმინდის მუნიციპ.), 3ც., ძვ. IV-III სს. [ნითლანაძე 1976]; ჭერემი (გურჯაანის მუნიციპ.), 14ც., ახ. III-VIII სს. [მამაიაშვილი 2004;

მამაიაშვილი და სხვ. 1984: 77-107]; *ჭორატი* (ახალციხის მუნიციპ.), 4ც., ახ.ნ. IV-VII სს. [ჩიხლაძე 2010: 472-492]; *ხოვლე* (კასპის მუნიციპ.), 2ც. - ძვ.ნ. III-II სს., 1 ც. - ახ.ნ. IV ს. [შატბერაშვილი 2007: 87-96; შატბერაშვილი 2012: 98-115].

თიხაფილა სამარხის (resp. აგურსამარხი) კედლები შედგენილია ერთი მთლიანი, ან რამდენიმე თიხის ფილისაგან. გადახურვა ბანური ან ორფერდაა. იატაკად გამოიყენებოდა როგორც თიხის, ასევე ქვის ფილები ან თიხატკეპნილი იყო. კერძოდ, თიხაფილა სამარხები აღმოჩენილია შემდეგ პუნქტებში: *ბაიათხევი* (მცხეთა), 4ც., ახ.ნ. III - IV ს. [აფაქიძე და სხვ. 1982: 192-198; ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995: 97-133]; *კარსნისხევი* (მცხეთის მუნიციპ.), 1ც., ახ.ნ. I-II სს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 32-53; ნიკოლაიშვილი 1993]; *სამთავრო* (მცხეთა), 29ც., ახ.ნ. II-IV სს. [აფაქიძე და სხვ. 1981; აფაქიძე და სხვ. 1982; მანჯგალაძე 1985; აფაქიძე და სხვ. 1989; აფაქიძე და სხვ. 1995]; *სვეტიცხოვლის უბანი* (მცხეთა), 11ც., ახ.ნ. III ს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 68-77, 137-142, აფაქიძე და სხვ. 1982: 157-158, აფაქიძე და სხვ. 1989]; *თხოთის მთა* (კასპის მუნიციპ.), 1ც., ახ.ნ. IVს. [მირიანაშვილი 1983: 83]; *სამთავრო* (მცხეთა), 11ც., ახ.ნ. I-IIIსს. [Ивашенко 1980]; *სვეტიცხოვლის უბანი* (მცხეთა), 2ც., ახ.ნ. II-III სს. [აფაქიძე და სხვ. 1981]; *ურბნისი* (ქარელის მუნიციპ.), 2ც., ახ.ნ. IVს. [ჭილაშვილი 1964: 76-78]; *ყოლოთო* (დედოფლისწყაროს მუნიციპ.), 1ც., ახ.ნ. III-V სს. [სინაურიძე 1967: 112-134].

კრამიტსამარხი შედგენილია ბრტყელი (სოლენი) და ღარისებური (კალიპტერი) კრამიტით. გადახურვა ბანური ან ორფერდაა. იატაკად ბრტყელი კრამიტია გამოყენებული. კრამიტსამარხები დადასტურებულია შემდეგ პუნქტებში: *არაგვისკარი* (მცხეთა), 3ც., ძვ.ნ. I-ახ.ნ. IIIსს. [კალანდაძე და სხვ. 1968]; *არმაზისხევი* (მცხეთა), 3ც., ახ.ნ. II-IVსს. [აფაქიძე და სხვ. 1955]; *ბაიათხევი* (მცხეთა), 17ც. [აფაქიძე და სხვ. 1982: 192-198; ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995ა: 97-133]; *ბარგიყარია* (მცხეთის მუნიციპ.), 1ც., ახ.ნ. IV ს. [აფაქიძე და სხვ. 1978]; *ბიჭვინთა*, 15ც., ახ.ნ. II-IV სს. [ლორთქიფანიძე გ. 1991: 113-165]; *თელათგორი* (კასპის მუნიციპ.), 2ც., ახ.ნ. II-IIIსს. [კვიციანიშვილი, 1990: 40-45]; *კარსნისხევი* (მცხეთის მუნიციპ.), 13ც., ახ.ნ. I-IIIსს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 32-53]; *კოდმანი II* (მცხეთა), 3ც., ახ.ნ. IV-V სს. [აფაქიძე და სხვ. 1982: 211]; *მოგვთაკარი* (მცხეთა), 10ც., ახ.ნ. I-IIIსს. [სიხარულიძე და სხვ. 1985: 109-131]; *სამთავრო* (მცხეთა), 75ც., ახ.ნ. I-IIIსს. [აფაქიძე და სხვ. 1978; აფაქიძე და სხვ. 1981; აფაქიძე და სხვ. 1982; მანჯგალაძე 1985; აფაქიძე და სხვ. 1989; აფაქიძე და სხვ. 1995]; *სვეტიცხოვლის უბანი* (მცხეთა), 10ც., ახ.ნ. I-II სს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 68-77, 137-142; აფაქიძე და სხვ. 1981; აფაქიძე და სხვ. 1989].

აკლდამა ქვის სამარხი ნაგებობაა, რომელიც ხშირად *სასახლეს* მოგვაგონებს. მათ აშენებდნენ როგორც მიწის ზედაპირზე, ასევე ხდებოდა მათი კლდეში გამოკვეთა. დიდი ზომის სამარხ ნაგებობებს უწოდებენ ე.წ. მავზოლეუმის ტიპის აკლდამებს, სადაც, როგორც წესი, უმაღლესი სოციალური ფენის წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები იკრძალებოდნენ. აკლდამა მრავალჯერადი დაკრძალვის ადგილია. აკლდამებში მიცვალებულის დასასვენებლად გამართულია პოსტამენტები. არსებობს აკლდამის მსგავსი თაღოვანი სამარხი-ნაგებობა კრიპტა, რომელიც, როგორც წესი, იმართებოდა ადრექრისტიანული ეკლესიების იატაკის ქვეშ. აკლდამები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვადასხვა პუნქტებში: *არმაზისხევი* (მცხეთა), ახ.ნ. II-IV სს. [აფაქიძე და სხვ. 1955]; *არმაზციხე* (მცხეთა), ახ.ნ. I-II ს. [აფაქიძე 1963; ციციშვილი 1950: 187-193]; *მოგვთაკარი* (მცხეთა), ახ.ნ. I-II სს. [ლომთათიძე და სხვ. 1951: 641-648; ლეჟავა 1978: 12-13]; *ნასტაკისი* (მცხეთის მუნიციპ.), ახ.ნ. V-VI სს. [ბოხორაძე 1983: 406-407]; *სამადლო* (მცხეთის მუნიციპ.), ძვ.ნ. IV-III სს. [Гагошидзе 1979; Гагошидзе 1981]; *სიონი* (თიანეთის მუნიციპ.), ახ.ნ. V -VI სს. [რამიშვილი 1970]; *ძალისა* (მცხეთის მუნიციპ.), ახ.ნ. IV-V სს. [Бохочაძე და სხვ. 1990]; *წილკანი* (მცხეთის მუნიციპ.), ახ.ნ. IV-V სს. [ნიკოლაიშვილი 2001: 79]; *ყოლოთო* (დედოფლისწყაროს მუნიციპ.), 6ც., ახ.ნ. Vსს. [სინაურიძე 1967: 112-134; სინაურიძე 1967ა: 3].

კრიპტა საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ნეკრესის ნაქალაქარზე ჭაბუკაურის მემორიალური სამლოცველოს ქვეშ (ყვარლის მუნიციპ.), 1ც. კრიპტა ახ.ნ. VI ს-ზე ადრეულად არ ითვლება [ბახტაძე 2010: 118-140]. მიცვალებულის ნეშტს სპეციალურ ყუთში სარკოფაგში ასვენებდნენ. სარკოფაგები მზადდებოდა ქვისაგან, ლითონისაგან,

თიხისა და ხისგან. ისინი, როგორც წესი, სახურავისა და ქვედა ნაწილისგან შედგებოდა. მათ ყუთის, ე.წ. აბაზანის ან ადამიანის სხეულის ფორმა ჰქონდათ. მათზე ზოგჯერ ორნამენტია დატანილი. სარკოფაგები რიგ შემთხვევაში ნიადაგში ამოჭრილ ორმოში იდგმებოდა, ზოგჯერ კი აკლდამაში თავსდებოდა. ქვაში მთლიანადკვეთილი სარკოფაგი დაფიქსირდა შემდეგ ძეგლებზე: *არმაზისხევი* (მცხეთა), 2ც., ახ.წ. II-III სს. [აფაქიძე და სხვ. 1955]; *არმაზციხე* (მცხეთა), 1ც., ახ.წ. I ს. [აფაქიძე 1963; აფაქიძე გ. 1973: 59-65; ნიკოლაიშვილი 2011]; *ბიჭვინტა*, 2ც., ახ.წ. VI ს. [ბერძენიშვილი ირ. 2006: 179-182]; *ბალიჭი* (ბოლნისის მუნიციპ.), ახ.წ. VI-VII სს. [სინაურიძე 1985]; *იაცუბლო* (დმანისის მუნიციპ.), ახ.წ. V-VII სს. [კოპალიანი 2001: 303-309]; *რუსთავი*, 2ც., ახ.წ. VII-VIII სს. [პაჭიკაშვილი 2000: 39-43]; *სოხუმი*, 2ც., ახ.წ. VI ს. [ბერძენიშვილი ირ. 2006: 179-182].

თიხის სარკოფაგი: *ატენი*, (გორის მუნიციპ.), 1ც., [მაკალათია 1941: 90]; *ბაიათხევი* (მცხეთა), 1ც., [აფაქიძე და სხვ. 1982: 192-198; ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995ა: 97-133]; *გოროვანი* (მცხეთის მუნიციპ.), 3ც., ახ.წ. IV-V ს. [აფაქიძე და სხვ. 1995: 48; ნიკოლაიშვილი 2006: 92-104]; *დარჩელი* (ზუგდიდის მუნიციპ.), 1ც. [მირიანაშვილი 1983: 100]; *თელათგორი* (კასპის მუნიციპ.), 1ც., ახ.წ. II-III სს. [კვიციანიშვილი 1990: 40-45]; *თხოთის მთა* (კასპის მუნიციპ.), 9ც., ახ.წ. IV-V სს. [მირიანაშვილი 1983: 89-91]; *კოდინყარო* (კასპის მუნიციპ.), 5ც., ახ.წ. IV-V სს. [ირემაშვილი 1990: 173]; *ლია* (ჩხორონყუს მუნიციპ.), 1ც., ახ.წ. I-VI სს. [ნითლანაძე 1973: 197]; *ნიჩბისხევი* (კასპის მუნიციპ.), 1ც., ახ.წ. IV-V სს. [ნიკოლაიშვილი 2006: 92-104]; *რიყანების ველი* (ალაიანი, კასპის მუნიციპ.), 2ც., ახ.წ. I ს. [მაკალათია 1941: 90; მირიანაშვილი 1983: 39-40]; *საგურამო* (მცხეთის მუნიციპ.), 3ც., ახ.წ. IV-V სს. [მაკალათია 1941: 90, ნიკოლაიშვილი 2006: 92-104]; *სამთავრო* (მცხეთა), 2ც., ახ.წ. IV-V სს. [მანჯგალაძე 1985: 97, 11, 32; ნიკოლაიშვილი 2006: 92-104]; *საფურცლე*, ნატახტარი (მცხეთის მუნიციპ.), 1ც., ახ.წ. IV-V სს. [ნიკოლაიშვილი 2006: 96]; *სკრას ხეობა* (გორის მუნიციპ.), 4ც., IV-V სს. [Такаишвили 1898: 110]; *ურბნისი*, (ქარელის მუნიციპ.), 13ც., ახ.წ. IV-V სს. [ჭილაშვილი 1964: 88-90]; *ქსოვრისი* (კასპის მუნიციპ.), 1ც., ახ.წ. IV-V სს. [ნიკოლაიშვილი 2006: 92-104]; *შიოსუბანი* ქსანთან (მცხეთის მუნიციპ.), 2ც., ახ.წ. IV-V სს. [სულხანიშვილი და სხვ. 2014: 124-132]; *ნილკანი* (მცხეთის მუნიციპ.), 1ც., ახ.წ. IV-V ს. [აფაქიძე და სხვ. 1995: 48-49; ნიკოლაიშვილი 2006: 92-104]; *ძალისი* (მცხეთის მუნიციპ.), 1ც., ახ.წ. IV-VIII სს. [ნიკოლაიშვილი 2006: 92-104]; *წეროვანი* (მცხეთის მუნიციპ.), 1ც., ახ.წ. IV-V ს. [აფაქიძე და სხვ. 1995: 48-49; ნიკოლაიშვილი 2006: 92-104].

ლითონის (ბრინჯაოს) აბაზანა სარკოფაგად არის გამოყენებული *ვანის* ნაქალაქარზე, 1ც., ახ.წ. III ს. [იხ. ხომტარია 1972: 91].

ხის სარკოფაგი წარმოადგენს ხის ძეგლებით შეკრულ, სხვადასხვა ზომის ყუთს (ნაგებობა). როგორც წესი, ხის მასალა მინაში ცუდად ინახება. რიგ ორმოსამარხებში ლითონის (რკინის) დიდი ზომის ლურსმნების, მუხლისებურად მოხრილი სამაგრებისა და ანჯამების აღმოჩენისა და კუთხეებში განლაგების საფუძველზე ხის სარკოფაგების არსებობა ივარაუდება. ისინი დაფიქსირებულია შემდეგ ძეგლებზე: *ვანი*, *იხვისი*, *საირხე-საბადურის გორა*, *ფიჭვნარი*, *ურბნისი* და სხვ. [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972; კაჭარავა და სხვ. 2007; გაგოშიძე და სხვ. 2006; მახარაძე და სხვ. 2007; კახიძე ამ. და სხვ. 2004; კახიძე ამ. და სხვ. 2007; ჭილაშვილი 1964]. *ვანის* ნაქალაქარის №15 სამარხში ივარაუდება ხის წნულის სარკოფაგის არსებობა [იხ. თოლორდავა 1986: 83].

სამარხთა განსაკუთრებულ ტიპს ქვევრსამარხი, ამფორასამარხი, დერგსამარხი წარმოადგენს. მიცვალებულის ნეშტი სამეურნეო თიხის ჭურჭელში — ქვევრი, ამფორა ან დერგი — არის მოთავსებული. იშვიათია სხვა თიხის ჭურჭლის — ქოთანის, ჩაფის და ა.შ. სამარხად გამოყენება. უმეტეს შემთხვევაში სამარხად უკვე ნახმარი თიხის ჭურჭელია გამოყენებული, თუმცა გვხვდება ახალი, უხმარი ცალეპიც. მიცვალებულის ჩასასვენებლად სამარხად გამზადებული თიხის ჭურჭლის კორპუსის ნაწილის ამოტეხვა ხდებოდა.

ქვევრსამარხი ნიადაგში იმართებოდა როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად (დაპირქვევებული). ქვევრის პირი რიგ შემთხვევებში დაფარული იყო ქვის ფილით, კრამიტით, ან თიხის ჭურჭლის ნატეხით. თვითონ ქვევრი იყო როგორც

სადაზღვეოპირიანი, ასევე წითლად მოხატული ან რელიეფური ორნამენტით შემკული. ქვევრსამარხები აღმოჩენილია: *არაგვისკარი* (მცხეთა), 11ც., ძვ.წ. I-ახ.წ. II სს. [კალანდაძე და სხვ. 1968]; *არკნეთი* (ყორნისის მუნიციპ.), 7ც., ძვ.წ. III-IV სს. [ჯაფარიძე 1956: 199-203]; *ბალოჯიანი* (დედოფლისწყაროს მუნიციპ.), ძვ.წ. III-IV სს. [ნონეშვილი 1983]; *ბამბები* (გორის მუნიციპ., უფლისციხე), 1ც., ძვ.წ. II-III სს. [ნიკოლაიშვილი ბ. 2006: 69-73]; *ბანძა* (მარტვილის მუნიციპ.), 2ც., ძვ.წ. III, ახ.წ. III. [გვინჩიძე 2003: 26; ნონეშვილი 1983: 6]; *ბატნაობორუ* (სენაკის მუნიციპ.), 2ც., ძვ.წ. III-IV სს. [გრიგოლია და სხვ. 1967: 19; გვინჩიძე 2003: 25-26]; *ბუკისციხე* (ჩოხატაურის მუნიციპ.), 7ც., ძვ.წ. III-IV სს. [თოლორდავა 1980: 27; სადრაძე და სხვ. 1997: 15-23]; *გოგორეთი* (ოზურგეთის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. II-III სს. [ვაშაკიძე 1971: 12; თოლორდავა 1980: 29]; *დაბლაგომი* (სამტრედიის მუნიციპ.), 55ც., ძვ.წ. IV-III სს. [თოლორდავა 1980: 6-14; ნონეშვილი 1983: 7-10]; *დაფნარი* (სამტრედიის მუნიციპ.), 38ც., ძვ.წ. IV-III სს. [თოლორდავა 1980: 17-22]; *დიდვანი* (ჩოხატაურის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი [ვაშაკიძე 1973: 81-82; ვაშაკიძე 1996: 90-92]; *ვანის* ნაქალაქარი, 1ც., ძვ.წ. III. [Лордкипаниძე და სხვ. 1991: 70-74]; *ვეშაპიძის გორა* (საჩხერის მუნიციპ.), 2ც., ძვ.წ. III-IV სს. [ნადირაძე 1975: 124-132; ბრაგვაძე 1993: 6]; *ზედა დიმი* (ბაღდათის მუნიციპ.), 9ც., ძვ.წ. II-III სს. [ჯაფარიძე ვ. 2006: 29]; *ზემო ავჭალა* (თბილისი), 3ც., ძვ.წ. III-IV სს. [ნონეშვილი 1983]; *ზემო ფარცხმა*, ე.წ. *ვარდნაულის გორა* (ჩოხატაურის მუნიციპ.), 35ც., ძვ.წ. IV-III სს. [ვაშაკიძე 1973: 84-86; ვაშაკიძე 1985: 39, 103-106]; *ზენობანი* (ჩოხატაურის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი [ვაშაკიძე 1973: 79-80; ვაშაკიძე 1996: 89-90]; *თალთები* (დუშეთის მუნიციპ.), 1ც., ახ.წ. I-V სს. [Рапишвили 1984]; *თეთრინწყარო*, 17ც., ძვ.წ. IV ს. [ბოხორაძე 1963: 37; კვიციანიძე 1975: 13, 74, 100]; *თელათგორი* (კასპის მუნიციპ.), 3ც., ახ.წ. II-III სს. [კვიციანიძე 1990: 40-45]; *კავთისხევი, დაჭრილები* (კასპის მუნიციპ.), 25ც., ძვ.წ. IV-III სს. [ნაკაიძე 1980: 28-41]; *კავთისხევი, საყარაულო სერი* (კასპის მუნიციპ.), 16ც., ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. [ჯინჯიხაშვილი 1980: 42-58]; *კარსნისხევი* (მცხეთის მუნიციპ.), 1ც. I-II სს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 32-53]; *კოდორე* (აბაშის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. III-IV სს. [გვინჩიძე 2003: 25]; *მარტაზისხევი* (მცხეთის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. II-III სს. [უგრელიძე და სხვ. 1971: 89-91]; *მალლაკი* (წყალტუბოს მუნიციპ.), 2ც., გვიანელინისტური ხანა [თოლორდავა 1980: 34-35]; *მთა ქართლი* (მცხეთა), 1ც., ძვ.წ. II-III სს. [თოლორდავა 1980]; სოფ. მთისძირი, *ნიკურაძეების უბანი* (ვანის მუნიციპ.), 2ც., ძვ.წ. III-IV სს. [გამყრელიძე 1982; გამყრელიძე 1977: 58-78]; *მურის* ციხის მიდამოები (ცაგერის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. IV-III სს. [სულავა 1996: 58-60]; *მუხიანი* (წყალტუბოს მუნიციპ.), 7ც., გვიანელინისტური ხანა [თოლორდავა 1980: 32-33]; *ნოქალაქევი* (სენაკის მუნიციპ.), 16ც., ძვ.წ. III-IV სს. [გვინჩიძე 2003: 23-28]; *ნანეფიშ ქალე* (სენაკის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. III ს-ის ბოლო-ძვ.წ. II ს-ის შუახანები [გვინჩიძე 2003: 24-25]; *ნასტაკისი* (მცხეთის მუნიციპ.), 5ც., ძვ.წ. III-ახ.წ. III სს. [ნარიშვილი 1990: 85-110]; *ოფაჩაფუ* (აბაშის მუნიციპ.), 3ც., ძვ.წ. III-IV სს. [გვინჩიძე 2003: 25]; *პაპიგორა* (თეთრინწყაროს მუნიციპ.), 1ც. ძვ.წ. IV-III სს. [მარგიშვილი და სხვ. 2004: 10-64]; *131; თუშიშვილი და სხვ. 1987: 44-45]; რიყიანების ველი* (ალაიანი, კასპის მუნიციპ.), 1ც., ახ.წ. I ს. [მირიანაშვილი 1983: 43]; *სამთავრო* (მცხეთა), 150ც., ძვ.წ. II-III სს. [თოლორდავა 1980: 47]; *საზანო* (თერჯოლის მუნიციპ.), 5ც., ძვ.წ. II-III სს. [ჯაფარიძე ვ. 2006: 28]; *სვეტიცხოვლის უბანი* (მცხეთა), 10ც., ძვ.წ. I ს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 68-77, 137-142; აფაქიძე და სხვ. 1981]; *უკანეთი* (წყალტუბოს მუნიციპ.), 5ც., გვიანელინისტური ხანა [თოლორდავა 1980: 33]; *უჯარმა* (საგარეჯოს მუნიციპ.), 7ც., [ნონეშვილი 1983]; *ფარცხანაყანევი* (წყალტუბოს მუნიციპ.), 18ც., ძვ.წ. III-IV სს. [მამულაძე 1979: 85-89; თოლორდავა 1980: 31-32]; *ქვედა დიმი* (ბაღდათის მუნიციპ.), 10ც., ძვ.წ. II-III სს. [ჯაფარიძე ვ. 2006: 29]; *ქვედა მესხეთი* (წყალტუბოს მუნიციპ.), 3ც., ძვ.წ. III. [თოლორდავა 1980: 34]; *ქვემოხეთი* (ჩოხატაურის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. III-IV სს. [ვაშაკიძე 1973: 82-84; ვაშაკიძე 1996: 92-94]; *შავსაყდარა I* (თეთრინწყაროს მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. IV-III სს. [თუშიშვილი და სხვ. 1987: 44-47; მარგიშვილი და სხვ. 2004: 65-131]; *ყოლოთო* (დედოფლისწყაროს მუნიციპ.), 6ც., ახ.წ. III. [სინაურიძე 1967: 112-134]; *ჩიბათი* (ლანჩხუთის მუნიციპ.), 1ც., ძვ.წ. IV-III სს. [ვაშაკიძე 1973: 78-79; ვაშაკიძე 1996: 87-88; თოლორდავა 1980: 29]; *ძვერი* (თერჯოლის მუნიციპ.), 9ც., ახ.წ. I-II სს. [ფუთურიძე 1959: 61-63; ბრაგვაძე 2003:

89-97]; *ნიფნარი* (ჩოხატაურის მუნიციპ.), 1 ც., ძვ.წ. IV-III სს. [ვაშაკიძე 1973: 74; ვაშაკიძე 1996: 85]; *წინამური III* (მცხეთის მუნიციპ.), 6 ც., ახ.წ. I-II სს. [ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995: 58]; *ჭოგნარი* (წყალტუბოს მუნიციპ.), 3 ც., გვიანელინისტური ხანა [თოლორდავა 1980: 33-34].

ამფორასამარხი. ამფორა მისი ზომებიდან გამომდინარე, მცირეწლოვანი მიცვალებულის დასაკრძალავად გამოიყენებოდა. ამფორასამარხები აღმოჩენილია შემდეგ ძეგლებზე: *ბიჭვინთის* სამაროვანი, 67 ც., ახ.წ. II-IV სს. [ლორთქიფანიძე გ. 1991: 113-165; თოდუა 2003ა: 51-54]; გონიო, 1 ც., ახ.წ. II ს. [კახიძე ამ. და სხვ. 2002: 47]; *ფიჭვნარი* (ქობულეთის მუნიციპ.), 6 ც., ძვ.წ. V-III სს. [კახიძე ამ. და სხვ. 2004; კახიძე ამ. და სხვ. 2007]; *ციხისძირი* (ქობულეთის მუნიციპ.), 32 ც., ახ.წ. IV-VI სს. [ინაიშვილი ნ. 1993: 81, 93-97].

დერგსამარხი. დერგიც მცირეწლოვანი მიცვალებულის დასაკრძალავად გამოიყენებოდა. დერგსამარხები აღმოჩენილია: *არკნეთი* (ყორნისის მუნიციპ.), 1 ც., ძვ.წ. II-I სს. [ჯაფარიძე, 1956: 199-203]; *ახალსოფელი* (თეთრინყაროს მუნიციპ.), 1 ც., ელინისტური ხანა [დავლიანიძე რ. და სხვ. 2011: 104-115]; *ბამბები* (გორის მუნიციპ., უფლისციხე), 2 ც., ძვ.წ. II-I სს. [ნიკოლაიშვილი ბ., 2006: 69-73]; *ბუკისციხე* (ჩოხატაურის მუნიციპ.), 4 ც., ძვ.წ. II-I სს. [სადრაძე და სხვ. 1997: 15-23]; *ვანის* ნაქალაქარი, 1 ც., ძვ.წ. III ს. [ხოშტარია 1972: 90]; *მონასტერი* (ცხინვალის მუნიციპ.), 1 ც. ძვ.წ. II-ახ.წ. I სს. [Гаглоев 1977: 472-473]; *ნასტაკისი* (მცხეთის მუნიციპ.), 11 ც., ძვ.წ. III-ახ.წ. III სს. [Бохочадзе და სხვ. 1982: 44-51]; *საბადურის* გორა (საჩხერის მუნიციპ.), 2 ც., ძვ.წ. III-II სს. [მახარაძე და სხვ. 2007: 34-45]; *ჟინვალი* (დუშეთის მუნიციპ.), 1 ც., ახ.წ. II ს. [ჩიხლაძე 2015]; *ურბნისი* (ქარელის მუნიციპ.), 7 ც., ძვ.წ. III-I სს. [ჭილაშვილი 1964: 44]; *ლოუბანი*, *საკრაველი* (თეთრინყაროს მუნიციპ.), 1 ც., ძვ.წ. IV-III სს. [ამირანაშვილი 1997: 15-17]; *შავსაყდარა II* (თეთრინყაროს მუნიციპ.), 2 ც., ძვ.წ. IV-III სს. [მარგიშვილი 1992: 65]; *წინამური III* (მცხეთის მუნიციპ.), 2 ც., ახ.წ. I-II სს. [ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995: 58-82].

კრემაციის შემთხვევაში, მიცვალებულის ფერფლს სპეციალურ ჭურჭელში — ურნაში — ათავსებდნენ, რომელსაც მინაში მარხავდნენ ან სპეციალურ, ნიშებიან ნაგებობაში — კოლუმბარეუმში — ინახავდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე ურნად გამოიყენებოდა მომცრო ზომის თიხის ქოთანის, რომელსაც თიხის ქუსლიანი ჯამი ეფარებოდა. დაკრძალვის ეს წესი *ჩხორონწყუს* სამაროვანზეა დაფიქსირებული, რომელიც თარიღდება ახ.წ. II-III სს. ასევე კრემაციისათვის იქმნებოდა სპეციალური მოედანი. მაგ. *ლარი-ლარის* (მესტიის მუნიციპ.) ძვ.წ. VI-III სს. სამაროვანზე გაითხარა კრემაციული მოედნები [იხ. ჩართოლანი 1968: 300; ჩართოლანი 1996: 143-145].

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VII-ახ.წ. VII სს-ში ფიქსირდება სამარხთა ტიპები: ორმოსამარხები, ქვაფილა სამარხები, კრამიტსამარხები, აგურსამარხები, აკლდამები, სარკოფაგები, ქვევრსამარხები, ამფორასამარხები, დერგსამარხები. მათ შორის ყველაზე ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონი ორმოსამარხებს აქვს — უძველესი დროიდან (ზედა პალეოლითი) დღემდე. ქვაფილა სამარხებიც ასევე დიდი ხნის მანძილზე — ბრინჯაოს ხანიდან გვიანდელ შუასაუკუნეებამდე — ფუნქციონირებდნენ. რაც შეეხება კრამიტსამარხებს, ისინი ძირითადად გვხვდება მცხეთასა და მის შემოგარენში ძვ.წ. I-ახ.წ. V სს, ხოლო კოლხეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ბიჭვინთის სამაროვანზეა (ახ.წ. II-IV სს.) აღმოჩენილი. თუმცა კრამიტის ორფერდა სახურავით გადახურული ორმოსამარხები დაფიქსირებულია დაბლაგომისა და ფიჭვნარის სამაროვნებზე და დათარიღებულია ძვ.წ. III ს-ით. აგურითა და თიხის ფილებით ნაგები სამარხები ფიქსირდება მცხეთასა და მის შემოგარენში (ახ.წ. I-IV სს). მავზოლეუმის ტიპის აკლდამები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-დან ახ.წ. V-VI სს-ის ჩათვლით. რაც შეეხება ქვევრსამარხებსა და დერგსამარხებს, მათი ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ.წ. IV-ახ.წ. IV სს. და ისინი საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, ხოლო ამფორასამარხების თარიღი ძვ.წ. V-ახ.წ. V სს-ია და დაფიქსირებულია შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე. ქვის, თიხის და ლითონის სარკოფაგების გამოყენება ახ.წ. I-დან იწყება და მთელი ადრეული შუასაუკუნეების განმავლობაში ფუნქციონირებს.

2. დაკრძალვის წესები. ძვ.წ. VI - ახ.წ. VI სს-ის საქართველოში დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებით შეიძლება გამოიყოს შემდეგი ასპექტები: **I.** კოლექტიურ სამარხებში მიცვალებულების მეორადი დაკრძალვის, ნახევრად კრემაციული რიტუალით. **II.** თიხის ჭურჭლის გამოყენება მიცვალებულის დასაკრძალავად. **III.** თანდაკრძალვა როგორც ადამიანების, ისე ცხოველების. **IV.** მონეტათა ჩატანება, მათ შორის ე.წ. *ქარონის ობოლის*.

I. ძვ.წ. VIII-VI სს-ში ჩნდება კოლექტიური სამარხები და ე.წ. *საკულტო მოედანი* მიცვალებულის მეორადი დაკრძალვის რიტუალით, რომელშიც ცეცხლის მონანილეობა დასტურდება; ძვლები დამწვარი კი არ არის, არამედ მხოლოდ გატარებულია ცეცხლში (შესაძლოა, ავი სულის სანინაალმდეგოდ). ეს რიტუალი დასტურდება შემდეგ სამაროვნებზე — *ემერის* [Иващенко 1932; Иващенко 1935; Куфтин 1949], *მერხეულის* [ბარამიძე 1977: ტაბ. I], *გუადიხუს* [თრაფში, 1969: 17-78], *ყულანურხვას*, *წითელი შუქურის* [Грапш 1970], *სოხუმის* მთის [კალანდაძე 1954], *ნიგვზიანის*, *ურეკის* [მიქელაძე 1985: 70-88, 115-122], *მუხურჩას* [Гогодзе და სხვ. 1977: 60-64], *პალურის* [ოქროპირიძე და სხვ. 1974: 96-123], *დღვაბას* [პაპუაშვილი 1998: 4-19], *ცაიშის* [პაპუაშვილი და სხვ. 2002], *გორაძირის* [გოგაძე და სხვ. 1981], *ლარი-ლარი* [ჩართოლანი 1996: 143]. მაგალითისათვის, ურეკის სამაროვანზე გათხრილია 72 სამარხი და ე.წ. *საკულტო მოედანი*. ეს უკანასკნელი 180 მ²-ზე მეტი ფართობისა და 0,80 მ სისქის ქვყარილით მოფენილ მოედანს წარმოადგენს, ცეცხლისგან გაშავებულ სილაში არეული დიდი რაოდენობის ცეცხლითვე დანაწევრებული ძვლებისა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით, აგრეთვე ცალკეული ნივთებით. როგორც ჩანს, მოედანი გარკვეული დროის მანძილზე არაერთგზის გამოიყენებოდა. კოლექტიური სამარხი-ორმოები, რომელთა რაოდენობა 3-ია, სამაროვნის დასავლეთ ნაწილში იყო გამართული. მათი დიამეტრი ზოგჯერ 2 მეტრს აღემატება. ითვლება, რომ ისინი საოჯახო თუ საგვარეულო სამარხებს წარმოადგენდნენ, სადაც დაკრძალვის გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ ათავსებდნენ მიცვალებულთა ძლიერ დანაწევრებული ძვლების ნაშთებს ცეცხლის კვალით და ინვენტარს (იარაღი, სამკაული, საკულტო საგნები, იშვიათად ჭურჭელი). მიცვალებულთა ნაშთები და მათი კუთვნილი ინვენტარი ხშირ შემთხვევებში სხვებისგან გამოცალკევებულია — თავმოყრილია ან სეგმენტისებურ იარაღზე, ან ფარის უმბონებზე. ზოგჯერ კი ნივთებიცა და ძვლებიც ტყავში ან ქსოვილში იყო გახვეული და თითო ან წყვილ უმბონზე თუ სეგმენტისებურ იარაღზე იყო მოთავსებული. სამაროვანზე დასტურდება დაკრძალვის რთული წესი, რომელიც, როგორც ჩანს, ეტაპობრივად ხორციელდებოდა. საფიქრებელია, რომ დაკრძალვის რიტუალის პირველ ეტაპს წარმოადგენდა წერილობით წყაროებში დამოწმებული კოლხური ჩვეულება გარდაცვლილთა ტყავებში გახვევისა და ხეზე ჩამოკიდებისა (აპოლონ როდოსელი III, 203).

კოლხეთის კოლექტიურ სამარხებში აღმოჩენილია ანთროპომორფული ქანდაკებები — **I.** ქალები: ა. ადორანტის პოზაში (ზეანეული ან წინგამოშვერილი ხელებით); ბ. ტახტზე ან ცხენზე მჯდომი (ქალღვთაება — „დიდი დედა“), ბავშვით ხელში; **II.** მამაკაცები: გ. თავსაბურავიანი მამაკაცები; დ. მეეტლე. თვალშისაცემია მათი მსგავსება გეომეტრიული ხანის ბერძნულ ანთროპომორფულ ქანდაკებებთან. სოფ. მუხურჩაში აღმოჩენილი ე.წ. *მეეტლის ქანდაკება* ოლიმპიაში და დელფოში აღმოჩენილ გვიანგეომეტრიული ხანის მცირე პლასტიკის ნიმუშებს ჩამოჰგავს. მეორადი დაკრძალვის რიტუალი ნაწილობრივი კრემაციით, მკვლევართა ნაწილის ვარაუდით, ადამიანის აზროვნებაში სულისა და ხორცის ერთიანობის გამოხატვაა. სანამ ხორციელი ბოლომდე არ მოსცილდება, სულიერი სანყისი ცოცხალია. ამიტომ მხოლოდ ხორცის სრული გახრწნის შემდეგ იმარხებოდა ძვლები მიწაში — როცა სული ხორცთან ერთად სტოვებდა მიცვალებულს [იხ. ნიორაძე 1940: 75-78]; ცეცხლის მონანილეობა რიტუალში კი ავი სულებისაგან მიცვალებულის განმენდას ემსახურება [იხ. ბარამიძე 1977: 24]. ვანის ნაქალაქარის №2 სამარხი ოთხკუთხა ორმოში (0,52 X 0,42 მ) იყო გამართული. მიცვალებულის ჩონჩხი ცუდად იყო დაცული. ფიქრობენ, რომ აქ მეორად დაკრძალვასთანა გვაქვს საქმე — ლულოვანი ძვლები ჯვარედინად იყო დანყობილი, ჩონჩხი ნაკლულია. რიტუალში ცეცხლი არის გამოყენებული. მისი კვალი ეტყობოდა ფენას, რომელიც სამარხს ფარავდა და ამ ფენაში აღმოჩენილ ბრინჯაოს

ნივთებს — აბჯრის ფირფიტებს. ამავე ფენაში ცხოველის (ძროხის, ღორის) ძვლები აღმოჩნდა (ალაპის კვალი?) და 50-ზე მეტი მრგვალი ფორმის რიყის ქვა. მეომრის სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო შავლაკიანი ჭურჭლით, რკინის 6 შუბისპირითა და სხვ. [ხოშტარია 1972: 89].

II. ძვ.წ. IV ს-ის დასასრულიდან ჩნდება სამარხის ახალი ტიპი, როდესაც მიცვალებულის დასაკრძალად იყენებდნენ თიხის ჭურჭელს — ქვევრს, დერგს, ამფორას და ა.შ. ეს ნოვაცია, ალბათ, ახალ რწმენა-წარმოდგენებსა და რიტუალზე უნდა მიუთითებდეს. ისინი გვხვდება როგორც ერთეული სამარხის, ასევე სამაროვნების სახით. სამარხად ჩვეულებრივი სამეურნეო ქვევრებია გამოყენებული, იშვიათად დადასტურებულია ქვევრის საგანგებოდ დასაკრძალავად დამზადების შემთხვევებიც. ირკვევა, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო მოხრილ პოზაში, თავით დასავლეთისაკენ; თავი ედოთ მარჯვენა ხელის მტევანზე, ხოლო მარცხენა ხელი სწორად ჰქონდათ მიმართული. სამარხეული ინვენტარი მიცვალებულის წინ იდო. სამარხეული ინვენტარის ასორტიმენტი შეზღუდულია, წარმოდგენილი თიხის ჭურჭლის, სამკაულებისა და მონეტების სახით. თიხის ჭურჭელს შორის იშვიათია იმპორტი. სამკაულებიდან გვხვდება ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, საყურე რგოლები (ძალზე იშვიათია ოქროს, ელექტრუმისა და ვერცხლის სამკაულები; შედარებით ნაკლები რაოდენობითაა რკინის სამკაულიც); მინისა და მინისებური პასტის მძივები [იხ. ვაშაქიძე 1985: 23-116; თოლორდავა 1980: 24-31; ნონეშვილი 1983: 29].

III. ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ფიქსირდება როგორც ადამიანების, ისე ცხოველების თანდაკრძალვის რიტუალი. დასავლეთ საქართველოში ადამიანთა თანდაკრძალვა დაფიქსირებულია ვანის, საირხის, ითხვისის მდიდრულ სამარხებში. მაგ.: ვანის №9 სამარხი (ძვ.წ. IV ს. მესამე მეოთხედი) კოლექტიურია და მასში ადვილად ამოიცინობა მდიდრული ინვენტარიანი მთავარი მიცვალებული და თანდაკრძალულები (ფაქტობრივად უინვენტარო), რომელთათვის საგანგებო ბაქანია გამართული; ერთ-ერთი თანდაკრძალული ძაღლის ჩონჩხზე იყო დასვენებული [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 202-203]; №11 სამარხშიც (ძვ.წ. V ს. შუახანები) ადვილი ამოსაცნობია მთავარი მიცვალებული, რომლისთვისაც ჩაუყობდნენ ერთი ცხენი და სამი თანმხლები პირი, ხოლო ჯამებზე ეწყობოდა თხის, ღორის, გოჭის, ბატის ძვლები [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 213-215]; ვანის №12 სამარხში (ძვ.წ. III ს.) შვიდი მიცვალებული, ოთხი ცხენი და ერთი ძაღლი იყო დაკრძალული [კაჭარავა და სხვ. 1979: 25-27]; №13 სამარხში მიცვალებულთან ერთად ცხენიც იყო დაკრძალული [კაჭარავა და სხვ. 1979: 27]; სამარხ №22-ში (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი) ერთი ცხენი და ხუთი მიცვალებული დაფიქსირდა [კაჭარავა და სხვ. 2009: 247-248]; №23 სამარხში, რომელიც დაზიანებულია და გაძარცვულია, აღმოჩნდა ადამიანის თავის ქალის ნაშთები და ცხენის ჩონჩხის ნაწილი [Kacharava და სხვ. 2009: 263]; №24 სამარხში (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი) ხუთი მიცვალებული და ერთი ცხენი იყო დაკრძალული [Kacharava და სხვ. 2009: 263-267].

საირხის (საბადურის გორის) სამაროვანზე №1 სამარხში (ძვ.წ. IV-III სს. მიჯნა ან III ს. დასაწყისი) აღმოჩნდა ორი მიცვალებულისა და რამდენიმე ცხენის ჩონჩხი [მახარაძე და სხვ. 2007: 34-45; ნადირაძე 1990: 65-79]; №8 სამარხში (ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი ან შუახანები) — ოთხი მიცვალებულის, ხუთი ცხენის, სამი ძაღლისა და ფრინველის ძვლების ნაშთები [მახარაძე და სხვ. 2007: 61-72; ნადირაძე 1990: 45-58]; №10 სამარხში (ძვ.წ. IV ს-ის მეორე მეოთხედი) ორი მიცვალებული იყო დაკრძალული [მახარაძე და სხვ. 2007: 73-80; ნადირაძე 1990: 86-97]; ხოლო №15 სამარხში (ძვ.წ. V ს. შუახანები) აღმოჩნდა სამი ინდივიდისა და ხუთი ცხენის ჩონჩხი [მახარაძე და სხვ. 2007: 50].

ითხვისის სამაროვანზე ორ სამარხში (№21 - ძვ.წ. V ს. შუახანები, და №2 - ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევარი) აღმოჩნდა ცხენის ჩონჩხი. №2 სამარხში ცხენთან ერთად ძაღლის ჩონჩხიც დადასტურდა. ითხვისის სამაროვანზე გვხვდება ალაპის გამართვის შემთხვევებიც: №1 სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისით თარიღდება, საქონლის ძვლები აღმოჩნდა მიცვალებულის ხელებთან, ხოლო №8 სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV ს. პირველი ნახევრით, საქონლის ძვლები მიცვალებულის მუცლისა და მკერდის არეში იდო;

№2 სამარხში ცხვრის თავის ქალა, ნეკნები და ძვლები აღმოჩნდა [გაგოშიძე და სხვ. 2006: 37-39, 52, 56; გაგოშიძე და სხვ. 2010: 49-55]. მიცვალებულთან ერთად ადამიანის და/ან ცხოველის დაფლვის წესი აგრეთვე დასტურდება: *თაქეილისას* ადრერკინის ხანის სამაროვანზე ქვისსამარხი, რომელშიც ცხენიცაა დაკრძალული [Куфтин 1941: 55, ტაბ. XXI], სოფ. წინამურთან გათხრილი ძვ.წ. VI ს-ის სამარხი, რომელშიც მამაკაცთან ერთად ცხენი იყო დამარხული [Куфтин 1941: 47, სურ. 45]; სოფ. წინწყაროს წარჩინებული ქალის სამარხი, რომელშიც ცხენიც იყო დაკრძალული [იხ. Куфтин 1941: 34-41]; *შავსაყდარა I* სამაროვანზე ერთ-ერთი ქვაყუთის სახურავზე ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული [მარგიშვილი 1992: 35-43]. *შავსაყდარა II*-ის №6, 8, 11, 12 ქვაყუთები გამოირჩევა დიდი ზომებით, ხის კონსტრუქციის არსებობითა და ცხენების თანადაკრძალვის რიტუალით [მარგიშვილი 1992: 43-65]. *ენაგეთის* სამაროვანზე სამი კოლექტიური სამარხია დადასტურებული. მიცვალებულები წვანან მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი. ორიენტაციაში მტკიცე კანონზომიერება არ შეიმჩნევა, თუმცა უმრავლესობა ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთით. ერთ-ერთ კოლექტიურ სამარხში (სამარხი №13) გამოიკვეთა მთავარი მიცვალებული, დაკრძალული ჩვეულებრივ პოზაში; მის იქით-აქეთ კი — ორი მიცვალებული, დამჯდარ მდგომარეობაში. ორი შემთხვევაა სამარხში (სამარხები №1, 13) ცხენების ჩატანებისა. №13 სამარხთან სააღაპო რიტუალის კვალი შეიმჩნა. №1 და 13 სამარხები ზომითაც სხვებზე უფრო დიდია და ცხენების ჩატანების წესითაც გამოირჩევა სხვებისაგან. ეს სამარხები სოციალურად დანიშნურებულ პირებს ეკუთვნის [იხ. მარგიშვილი 2004: 61-62].

თანადაკრძალვის რიტუალი გრძელდება, მაგრამ ამ დროს მხოლოდ ცხოველების ჩატანება ხდება. ასე, მცხეთის ე.წ. *სადგურის* აკლდამაში (ახ.წ. II) ცხენია დაკრძალული აკლდამის გალავნის კუთხეში [ლომთათიძე და სხვ. 1951: 642-647]. *რიყიანების* ველის №10 სამარხში (ძვ.წ. II) ორი ცხენი იყო ჩატანებული [იხ. მირიანაშვილი 1983: 32]. ალაპის კვალი დასტურდება *რიყიანების* ველის სამაროვნის ყველა სამარხში (ძვ.წ. II) [იხ. მირიანაშვილი 1983: 18, შენ. 3]. გვიანანტიკურ ხანაში ცხენების თანადაკრძალვა დასტურდება ისეთ ძეგლებზე, როგორცაა ახ.წ. II-ის *ბორის* სამაროვანი; ახ.წ. III-ის კლდეეთის სამაროვანი, სადაც ერთ შემთხვევაში (№6) ცხენთან ერთად ძალღიჯ არის ჩატანებული საფლავში [ლომთათიძე 1957: 119, 140, 155, 163-167]. ცხენების სამარხში ჩატანების წესს უკავშირებენ ცხენის, როგორც მსხვერპლად შესანიშნავი ცხოველის შესახებ წარმოდგენას, რომელიც თანდათანობით საკულტო, ღვთაებასთან დაკავშირებულ ცხოველად იქცევა [იხ. ლომთათიძე 1957: 165-166]. საინტერესოა, რომ გვხვდება, თუმცა მეტად იშვიათად, ძაღლებისთვის საგანგებოდ გამართული სამარხებიც. მაგ. სამთავროს სამაროვანზე I-III სს-ების ერთ-ერთ ქვისსამარხში (№167) მხოლოდ ძაღლი იყო დაკრძალული და თან მცირეოდენი ინვენტარიც კი ჰქონდა ჩატანებული [იხ. Иващенко 1980: 57].

IV. სამარხებში მონეტების ჩატანების წესი ძვ.წ. Vს-დან ჩნდება. საქართველოს ზღვისპირეთში მონეტების სამარხში ჩატანების ფაქტი ორ ძეგლზე დასტურდება: *გუადიხუსა* და *ფიჭვნარის* სამაროვნებზე. *გუადიხუს* სამაროვანზე მონეტა მხოლოდ ერთ სამარხში გვხვდება, რომელიც თარიღდება ძვ.წ. IV ს.-ით [იხ. Трапш 1969: 263]. *ფიჭვნარში* მონეტის ჩატანების წესი თავს იჩენს ჯერ კიდევ ძვ.წ. V ს-ის შუახანებში [კახიძე და სხვ. 2005: 38; კახიძე და სხვ. 2001: 283]. ეს არის კოლხეთისთვის ყველაზე ადრეული შემთხვევა სამარხში მონეტის ჩატანების წესის დადასტურებისა. ეს წესი ძვ.წ. Vს-ის შემდეგაც გრძელდება, ელინისტური ხანის ჩათვლით. *ფიჭვნარის* ძვ.წ. V-IV სს-ის ბერძნულ სამაროვნებზე პროცენტულად მცირე რაოდენობის სამარხებშია დადასტურებული მიცვალებულისთვის მონეტის ჩატანების წესი. მაგალითად, ძვ.წ. V ს-ის ე.წ. ბერძნულ სამაროვანზე 159 სამარხიდან მონეტები 3-შია აღმოჩენილი; ძვ.წ. V ს-ის ე.წ. კოლხურ სამაროვანზე 81 სამარხიდან — 25-ში; ელინისტური ხანის სამაროვანზე შესწავლილი 168 სამარხიდან მონეტები 59-ში აღმოჩნდა. როგორც წესი, სამარხებში თითო მონეტაა აღმოჩენილი, ჩვეულებრივ მიცვალებულის პირშია მოთავსებული [იხ. კახიძე და სხვ. 2001: 283; კახიძე და სხვ. 2004: 87-103]. დაფიქსირებულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მონეტა

მიცვალებულს ხელში ეჭირა. მიცვალებულისთვის სამარხში მონეტის ჩატანება შემდეგ ძეგლზე დასტურდება: სოფ. *წიფნარის* ქვევრსამარხში; *ზემოფარცხმის* სამაროვანზე [იხ. ვაშაკიძე 1985: 23-116; თოლორდავა 1980: 24-31; ნონეშვილი 1983: 29]; *დაფნარის* სამაროვანზე [იხ. Кигурадзе 1976: 56-58]. *დაბლაგომის* სამაროვანზე [თოლორდავა 1980: 14]. ვანის ნაქალაქარზე მონეტები ძვ.წ. IV-III სს-ის ყველა სამარხში გვხვდება [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1972ბ: 208; კაჭარავა და სხვ. 1986: 22; კაჭარავა და სხვ. 2009: 307]. მიცვალებულისთვის მონეტების ჩატანების წესი ქუთაისის შემოგარენშიც დასტურდება. სოფ. *ფარცხანაყანევის* სამაროვანზე [Ивашенко 1950: 320-330]; სოფ. მესხეთში აღმოჩენილ ქვევრსამარხში ერთი კოლხური თეთრი იდო [ნონეშვილი 1983: 14]. მონეტის ჩატანება დაფიქსირებულია აგრეთვე შემდეგ ძეგლებზე: *ნოქალაქევის* სამაროვანი [გვინჩიძე 2003: 23; ზამთარაძე 1987: 221; გვინჩიძე 2003: 23]; სოფ. *ზანათის* ქვევრსამარხებში [ელიავა 1971: 11-12]; *ნანფეშ-ჭალეს* სამაროვანზე (ოზურგეთის მუნიციპ.) [გვინჩიძე 1980: 15-21]; *ოფანაფუს* ქვევრსამარხებში [იხ. გვინჩიძე 2003: 25]; *საირხის* სამაროვანზე [მახარაძე და სხვ. 2007: 59-60, 62, 66, 72, სურ.88, 94]; *მოდინახეს* №4 სამარხში [ნადირაძე 1975: 31, ტაბ. XIV, 1-2].

აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. IV-III სს-ში მიცვალებულისათვის მონეტების ჩატანების ფაქტი მეტად იშვიათია. მაგ. მდ. ჭერათხევის ხეობაში *მცხეთიჯვრის* სამაროვანზე მონეტა მხოლოდ ერთ №93 სამარხში აღმოჩნდა (კოლხური ნახევარდრაქმა მიცვალებულის თავისქალასთან იდო) [ბრაგვაძე და სხვ. 1993: 19, 25]. *წნისის* სამაროვანზე (ახალციხის მუნიციპ.) [კვიციანიძე 1983: 28-32]. *ბორნილელეს* №3 სამარხში ერთი კოლხური ტრიობოლი აღმოჩნდა [იხ. ღამბაშიძე და სხვ. 1987: 42]. *სამთავროს* ძვ.წ. III-I სს-ის ქვევრსამარხებში [თოლორდავა 1980: 53]; *რიყანების* ველის სამაროვანზე (სოფ. ალაიანთან) [მირიანაშვილი 1983: 18, 21, 24, 27-28, 32-33, 35, 37-40, 42]; *საყარაულო* სერის სამაროვანზე (კასპის მუნიციპ.) [ჯინჯიხაშვილი 1980: 48-49]; *ბოგვის* მდიდრულ სამარხში [მარგოშვილი 1992: 34, 77-78]; *არკნეთის* სამაროვანზე, *ვასასწყარო*, სადაც ერთ-ერთ სამარხში ძვ.წ. II-ის 5 მონეტა დადასტურდა [იხ. ჯაფარიძე 1956:190, 197].

საქართველოში მონეტების სამარხში ჩატანების ტრადიცია გვიანანტიკურ ხანაშიც გრძელდება. ასე მაგალითად, მიცვალებულისთვის მონეტების ჩატანების წესი დადასტურებულია: *ციხისძირის* სამაროვანზე [ინაიშვილი 1993: 86, 90]; *ბანძის* (მარტვილის მუნიციპ.) ქვევრსამარხში [გვინჩიძე 2003: 26], *ჩხარის* სამაროვანზე (თერჯოლის მუნიციპ.) [ბრაგვაძე 1997: 7, 9, 39-40], *ძევრის* სამაროვანზე (თერჯოლის მუნიციპ.) [ბრაგვაძე 2003: 89-97]; არმაზისხევის სამაროვნის სამარხებში, რომლებიც ახ.წ. II-III სს. მიეკუთვნება, მონეტები აღმოჩენილია ყველა გაუძარცვავ სამარხში [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955: 32-33, 44-45, 50-52, 73-74, 93-94, 100, 103, 124, 146] და სხვ.

როგორც საქართველოს არქეოლოგიური მასალის შესწავლამ გვიჩვენა, ერთგვაროვანი წესი მონეტის ჩატანებისა არ არის დაცული დაკრძალვის რიტუალში. სამარხში მოთავსებული მონეტების ტოპოგრაფია და რაოდენობა განსხვავებულია არამც თუ ერთ სამაროვანზე, არამედ ერთი სამაროვნის სამარხების ერთ ჯგუფშიც კი. ე.წ. *ქარონის ობოლის* ჩატანების წესი, რომელიც ბერძნული სამყაროდან შემოტანილად არის მიჩნეული, არ არის სავალდებულო არც ერთი სამაროვნისთვის. მიცვალებულისთვის მონეტების გარდა ზოდების ჩატანების წესიც დასტურდება ძვ.წ. IV-III სს-ის საქართველოში, თუმცა მეტად იშვიათად და, როგორც წესი, მდიდრულ სამარხებში. კერძოდ, ამგვარი რამ დაფიქსირებულია: *საირხში* (№10, 13 სამარხი), *ვანსა* (№6, 11, 16, 24 სამარხი) და *ტახტიძირში* (№3, 8, 5 სამარხი) [მახარაძე და სხვ. 2007: 76, 84, 88, ფ. 120, 144; ხომტარია და სხვ. 1972: 116, 226, ტაბ. 54; კაჭარავა და სხვ. 1986: 22].

განხილული სამაროვნებიდან ნიმუშად შევარჩიეთ ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილი სამარხები და ვიძლევიტ მათ ზოგად აღწერილობას.

ვანის ნაქალაქარზე ყველაზე ადრეული სამარხი (№11), რომელიც ცენტრალური ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა, ძვ.წ. V ს-ის შუახანებით თარიღდება. ის ორმოსამარხს (3მ X 3,70მ) წარმოადგენს, რომელშიც ხის სარკოფაგი (3,10მ X 2,25მ X 1.50 მ) იყო ჩადგმული. ამ უკანასკნელის არსებობას მოწმობს რკინის დიდი ზომის ლურსმნები.

სამარხში ოთხი ადამიანის ჩონჩხი დადასტურდა; სარკოფაგის გარეთ რკინის ლაგმიანი ცხენი იყო დაკრძალული. სამარხის ცენტრალურ ნაწილში მთავარი მიცვალებული (ქალი) იყო დასვენებული თავით აღმოსავლეთით, გაშოტილი, რომელსაც მდიდრული ინვენტარი ჰქონდა ჩატანებული: თავთან ეწყო ბრინჯაოს პატერა, ოინოხოა, სიტულა, ვერცხლის არიბალოსი, სარწყულა და ორი კილიკი, მინის თასები, თიხის სანელსაცხებლე და დოქი. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ოთხ კოლხურ ჯამსა და ერთ ატიკურ შავლაკიან კილიკზე ეწყო საქონლისა და ფრინველის ძვლები — მიცვალებულისთვის ჩატანებული საგზლის ნაშთი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში კოლხური ბრინჯაოს სიტულები იდგა. მთავარი მიცვალებული შემკული იყო ოქროს სამკაულით: თავს უმშვენებდა — დიადემა, საშუბლე, შედგენილი ე.წ. მსხლისებური საკიდებისა და ე.წ. სხივანა სასაფეთქლებისაგან. იქვე აღმოჩნდა ჭვირულბურთულიანი საყურეები, აგრეთვე ზოდი (თუ ნატეხი?). მიცვალებულის ყელს ამკობდა ოქროს საკიდებისა და მძივებისაგან შედგენილი ხუთი ყელსაბამი; სავარაუდოდ ყელსაბამებად იყო აგრეთვე ასხმული ქარვის მძივები, ფერადი პასტისა და სარდიონის მძივსაკიდები. მაჯები შემკული ჰქონდა 2 წყვილი ოქროს სამაჯურით, ხოლო მკლავი — ოქროსა და სარდიონის მძივებით. დაკრძალულის ტანსაცმელიც იყო შემკული: სარტყელს ამკობდა არნივის გამოსახულებიანი ორი ფირფიტა; სამოსს — ფიბულა. ტანსაცმლის მორთულობის კუთვნილი უნდა იყოს ვერცხლის მრავალრიცხოვანი (5 000-მდე) წვრილი სამკაული (მძივები, მილაკები, საკიდები). მიცვალებულის სუდარა ოქროს ლილაკებითა და ორნამენტირებული ფირფიტებით იყო მორთული. მთავარი მიცვალებულისთვის შენირული სამი ქალბატონი, რომლებიც ასევე თავით აღმოსავლეთით, გაშოტილი იყო დაკრძალული, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებით იყო შემკული, ოღონდ გაცილებით მცირე რაოდენობის. ასე, მეორე მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ვერცხლის ორი დიადემა და სამაჯურები, ოქროს საყურეები და პასტის მძივ-საკიდები, მესამეს — ვერცხლის დიადემა, ოქროს საყურეები და ოქროსა და პასტის მძივებისაგან შედგენილი ყელსაბამი; მეოთხეს — მხოლოდ ერთი საყურე, ოქროსი [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 213-239].

ადრეული ეტაპის კიდევ 3 სამარხი (№6, 7, 8) გაითხარა, ოღონდ ქვედა ტერასაზე ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მათგან მხოლოდ №6 არის ხელუხლებელი. №6 სამარხი კლდოვან ქანში ამოკვეთილ ორმოშია გამართული, რომელიც ხით იყო გადახურული. მიცვალებული (25 წლის ქალი) ზურგზე გამოტილ პოზაში იყო დაკრძალული სამარხის დასავლეთ ნახევარში, თავით ჩრდილოეთისაკენ, ხელებჩამოშვებული. ინვენტარი უფრო მიცვალებულის თავისა და გულმკერდის არეში იყო მოთავსებული. ინვენტარში შედიოდა ოქროს დიადემა, ხუთი საყურე (რომელთაგან ოთხი — წყვილია), საკისრე რკალი, ხუთი ყელსაბამი, პექტორალი, ორი წყვილი სამაჯური, ოქროს ოთხი საბეჭდავი-ბეჭედი; ტანსაცმლის სამკაული — ოქროს ფიბულა, ქამრის სამკაული არნივების გამოსახულების სახით, სხვადასხვა ფორმის მძივები, საკიდები, კილიტები. არა ოქროს ორი სამკაულია მხოლოდ მიცვალებულისთვის ჩატანებული — დიადემა და ქარვის ერთი საბეჭდავი, ოქროს ყუნწიანი. სარიტუალო ნივთი — საავგაროზე — ოქროსია. სამარხში აღმოჩნდა ოქროს ზოდიც. რაც შეეხება ჭურჭელს, ჩატანებულია ვერცხლის ორი და ოქროს ერთი ფიალა, ვერცხლის სასმისი, ჩამჩა, მათარისებური ჭურჭელი; მინის ამფორისკოსები (2ც.), ოინოხოა და ალაბასტრონი. თიხის ჭურჭელი მხოლოდ ადგილობრივი ნაწარმით იყო წარმოდგენილი. როგორც ჩანს, სამარხში ჩატანებული იყო რაღაც ქსოვილი, რომლისგან შემორჩა მხოლოდ წვრილი პასტის მძივები [იხ. ფუთურიძე და სხვ. 1972: 113-117].

ამრიგად, ადრეული სამარხები ნაქალაქარის ორ სხვადასხვა ტერასაზეა გამოვლენილი. ყველა სამარხი ორმოშია გამართული. ორი კარგად დაცული სამარხიდან ერთში მთავარ მიცვალებულთან ერთად თანადაკრძალულებიც გამოიკვეთა, მეორე — ინდივიდუალური აღმოჩნდა. პირველში სარკოფაგი გამოიკვეთა, რომლის გარეთ ცხენი იყო დაკრძალული, მეორეში კი — ორმო ხით იყო გადახურული.

ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედის— ძვ.წ. III ს-ის სამარხები გვხვდება ზედა და ცენტრალურ ტერასებზე. ზედა ტერასაზე ჩვენთვის საინტერესო ხანის ათზე მეტი

სამარხია გათხრილი. როგორც წესი, სამარხები ჯგუფებად, ბუდეებადაა განლაგებული. ასე, ერთ ბუდეს ქმნის 3 სამარხი (№2, 3, 4) და მათთან ერთად დაკრძალული რკინის ფიგურა (სამარხი №1). №2 სამარხი კლდეში ნაკვეთ ოთხკუთხა ორმოში (0,52 მ X 0,42 მ) იყო გამართული. მიცვალებულის ჩონჩხი ნაკლულია; ფიქრობენ, რომ აქ მეორად დაკრძალვასთანა გვაქვს საქმე. რიტუალში ცეცხლია გამოყენებული — ცეცხლის კვალი ეტყობოდა ფენას, რომელიც სამარხს ფარავდა და ამ ფენაში აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთებს (აბჯრის რამდენიმე ათეულ ფირფიტას). ამავე ფენაში აღმოჩენილი ცხოველის (ძროხის, ღორის) ძვლები ალაპის კვალად არის მიჩნეული. მეომრის სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო შავლაკიანი ჭურჭლით, რკინის 6 შუბისპირითა და რკინის რაღაც ნივთის ფრაგმენტით [იხ. ხოშტარია 1972ა: 89].

№3 დერგსამარხია, ჩადგმული კლდეში ამოკვეთილ ორმოში (0,75 მ X 0,80 მ). დაკრძალული მდებარეობით სქესისაა. ინვენტარი წარმოდგენილი იყო სამკაულებით (ბრინჯაოსა და რკინის საკისრე რგოლები; ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოს ზარაკები), ჭურჭლით (ვერცხლის 4 ფიალა; ბრინჯაოს 2 ლანგარი, სიტულა, ორყურა ჭურჭელი, დოქი, ჩამჩის სახელური, გაურკვეველი ჭურჭლის ფრაგმენტები; ხის ჭურჭლის ბრინჯაოს გარსაკრავები), მონეტებით (8 კოლხური ტრიობოლი). ჭურჭელი წინასწარ, სამარხში ჩადებამდე იყო დაზიანებული. ვერცხლის ფიალები ქსოვილში იყო გახვეული. ბრინჯაოს სამაჯურებიდან ორი საგანგებოდ გაღუნული ჩანს [იხ. ხოშტარია 1972: 89-90; Хоштариа 1979: 118-126]. №3 სამარხს ებჯინებოდა ორმო (0,50 X 0,30 მ), რომლისგანაც მას ტიხარი ჰყოფდა. ამ ორმოში მამაკაცის რკინის ფიგურა აღმოჩნდა, დასვენებული ღარიან კრამიტზე თავით ჩრდილოეთით და ღარიანი კრამიტითვე გადახურული. ფიგურა ოქროს საყურეებითა და საკისრე რგოლით იყო შემკული. ეს კომპლექსი სამარხად იქნა მიჩნეული (სამარხი №1) [იხ. ხოშტარია 1972: 88]. მოგვიანებით ეს ფიგურა გარდაცვლილი ღვთაების დატირების მისტერიებს დაუკავშირეს [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1976: 123]. ზოგი ამ ქანდაკებას ნაყოფიერების ღვთაების საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ ტიპიურ სახედ მიიჩნევს და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბრინჯაოს ფალიკურ ფიგურებთან აკავშირებს [იხ. ჯავახიშვილი 1984: 80]. ეს კომპლექსი ძვ.წ. III ს-ით დათარიღდა [ხოშტარია 1972: 89].

სამარხი №4 წარმოადგენს ქვიშაქვის ფილებით შედგენილ ქვაყუთს, რომელიც კლდეში ამოკვეთილ ორმოშია ჩადგმული (1,20 X 0,57 X 0,20 მ). მასში 4 წლის გოგონა იყო დაკრძალული მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული. მას თავს უმკობდა ოქროს ვარდულებით შედგენილი თავსაბურავი; ყელზე ეკეთა ოქროს საკისრე რგოლი და ყელსაბამი, შედგენილი ოქროს, ოქროფენილი მინის, აქატის, პოლიქრომიული მინის მძივებისაგან. ხელები შემკული ჰქონდა ოქროს ორი სამაჯურით. მიცვალებულის ტანსაცმელი და/თუ სუდარა მორთული იყო დასაკერებელი ფირფიტებითა და მილაკებით, ლურჯი იოტებით და ოქრომკედით. სამარხეულ ინვენტარში შედიოდა აგრეთვე ვერცხლის კილიკი [იხ. ხოშტარია 1972: 89]. სამარხი ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრისაა [იხ. მათიაშვილი 1977: 108-109]. ამრიგად, ამ ჯგუფში შემავალი სამივე სამარხი სხვადასხვა ტიპისაა — ორმოსამარხი, დერგსამარხი და ქვაყუთი. დაკრძალვის წესი განსხვავებულია — ორ სამარხში მეორადი დაკრძალვა დასტურდება, რიტუალში ცეცხლი არის გამოყენებული; ერთ შემთხვევაში ალაპის კვალი ჩანს. მესამე სამარხში დაკრძალული ბავშვი წევს მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული.

ზედა ტერასის სამარხების მეორე ჯგუფი მოიცავს №12, 13, 14 სამარხს. №12 სამარხის სამხრეთი ნაწილი თავდაცვითი კედლის მშენებლობისასაა დაზიანებული. სამარხიდან შემორჩა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ წაგრძელებული სწორკუთხა ორმო (6,80 მ X 3,80 მ), რომელშიც შვიდი ინდივიდი, ოთხი ცხენი და ერთი ძალი იყო დაკრძალული. ძვლები იმდენად ცუდად იყო შემორჩენილი, რომ მიცვალებულთა სქესი ვერ განისაზღვრა. ყველა დაკრძალული გვერდზე იყო დასვენებული, მუხლებში მოხრილ პოზაში. ხუთი მათგანი თავით დასავლეთით, მარჯვენა გვერდზე იწვა. ამ ხუთი მიცვალებულის დასავლეთით და აღმოსავლეთით თითო-თითო მიცვალებული იყო დასვენებული: ერთი მარჯვენა, მეორე კი მარცხენა გვერდზე. თითოეულ მიცვალებულს სამკაულები ეკეთა: 1-ს — ბრინჯაოს

საყურეები, რკინისა და ბრინჯოს თითო სამაჯური, აგრეთვე ვერცხლის მძივებისაგან შედგენილი სამკაული; 2-ს — ბრინჯაოს კისრის რკალი, ბრინჯაოს ოთხი და რკინის ერთი რგოლი, ბრინჯაოსა და რკინის თითო სამაჯური; ბრინჯაოსა და რკინის რალაც დაშლილი ნივთები. 3-ს — მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ბრინჯაოს რგოლი და ღილი; 4-სა და 5-ს — ბრინჯაოს კისრის რკალები; 6-ს — ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯური, ხოლო 7-ს — ვერცხლის კისრის რკალი. სამარხის დასავლეთ კედელთან თიხის შვიდი ერთნაირი ჭურჭელი იდო. ცხენები (ულაყები) ერთ რიგში იყო ჩამარხული მარჯვენა გვერდზე. ინვენტარი სამარხს ძვ.წ. III ს-ეს აკუთვნებს [იხ. კაჭარავა და სხვ. 1979: 25-27]. ძვ.წ. III ს-ის №13 სამარხი №12-დან შვიდიოდე მ-ის დაცილებით მდებარეობდა. ის გამართული იყო კლდეში ნაკვეთ ოვალურ (3,10 X 2,60 მ) ორმოში, რომელიც ხის ძელებით იყო გადახურული და თავზე თირის ქვების ყრილი ეყარა. ორმოში მიცვალებულთან ერთად ცხენიც იყო დაკრძალული. ეს სამარხიც გაძარცვულია [იხ. კაჭარავა და სხვ. 1979: 27]. № 14 სამარხი იმდენად დაზიანებულია, რომ არც სამარხი ნაგებობის შესახებ შეიძლება მსჯელობა, არც მიცვალებულის პოზაზე და არც ინვენტარზე [კაჭარავა და სხვ. 1979: 27].

№18 სამარხი პირველი ორი ჯგუფის სიახლოვეს, მათ აღმოსავლეთით აღმოჩნდა კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილ ოთხკუთხა მოედანზე (2,5მ X 9,10მ). სამარხად გამოყენებულია ჰორიზონტალურად ჩადგმული ქვევრი. სამარხი ბავშვისაა. სამარხეული ინვენტარი შეიცავდა თიხის ჭურჭელს (დოქები, ჯამები, ამფორისკოსი), ოქროს სამკაულებს (წყვილი საყურე, სფერული და ცვარასგან შედგენილი ოთხკუთხა მძივები), სარდიონის, სტეატიტის და მინის მძივებს, რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურებს, რკინის ბეჭედს, რკინის ორ შუბისპირს და სინოპურ ვერცხლის ჰემიდრაქმას. მონეტის საფუძველზე, რომელიც ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება, სამარხი ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრით დათარიღდა [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1991: 73-74]. სამარხი №17 სხვებისგან განცალკევებით იყო გამართული კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ სწორკუთხა ორმოში (6 მ X 2 მ). ეს სამარხიც ძალიან დაზიანებულია, ჩონჩხიდან არაფერი არ შემორჩენილა, ხოლო ინვენტარიდან მხოლოდ ადგილობრივი წარმოების დერგი და ჯამი, სინოპური ამფორა, რკინის შუბისპირის ფრაგმენტები, ორი კოლხური ტრობოლი, ბრინჯაოს ბეჭედი, ოთხი ცილინდრული ზარაკი და მინის შვიდი მძივი დადასტურდა. №17 სამარხი მის სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩენილი №16 სამარხის სინქრონულად არის მიჩნეული [კაჭარავა და სხვ. 1986: 25-26].

ცალკე ჯგუფს ქმნის სამარხების ჯგუფი, გამართული ზედა ტერასის ქვედა, აღმოსავლეთ კიდედთან. აქ 7 სამარხია აღმოჩენილი ერთ ჯგუფად (სამარხი № 20, 21, 22, 23, 24, 27, 28). სამარხი №20 ქვაყუთს წარმოადგენს, რომელიც კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ ოთხკუთხა ორმოში იდგა (0.35 მ X 0.9 მ X 1.05 მ). ქვაყუთი ქვიშაქვის ფილებითაა ნაგები. სახურავი ორი ფილისაგან შედგება [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1998: 10]. სამარხი № 21 (ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი) ძლიერაა დაზიანებული. ის თირში ნაკვეთ ოთხკუთხა ორმოს წარმოადგენს (2.70 X 2.10 მ). სამარხი №22, რომელიც ოდნავ აქვს დაზიანებული მოგვიანო პერიოდის კლდეში ნაკვეთ კომპლექსს. სამარხი № 23-იც გამართულია კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ ოთხკუთხა ორმოში (3.50 X 2.60 მ). სამარხში შემორჩა მხოლოდ ადამიანის თავის ქალის ნაშთები; ცხენის ჩონჩხის ნაწილი, ადგილობრივი თიხის ორი დოქი და ერთი ჯამი, ვერცხლის საყურეები, რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურები, რკინის საკისრე რგოლი, მინისა და მინისებური პასტის მძივები. სამარხი ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნოს [იხ. Kacharava და სხვ. 2009: 263-265]. სამარხი №24, №22-იდან სამხრეთ-დასავლეთით 2 მ-ის დაცილებით მდებარეობს. ორი ნაწილისაგან — ორმოსა და ბაქნისაგან — შედგება, ოღონდ ბაქანი, რომელიც 0.50 მ სიგანისა და 1 მ სიმაღლისაა, თირის ბელტებითაა ნაგები. სამარხ ორმოში (3 X 4 მ) თავი იჩინა რიყის ქვების ყრილმა. პლატფორმის ჩრდილოეთი კიდის გაყოლებაზე და ორმოს დასავლეთ კედელთან დაფიქსირდა რკინის ლურსმნების რიგი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სამარხში იდგა ხის რალაც კონსტრუქცია. პლატფორმაზე დასვენებული იყო ერთი მიცვალებული, რომლის ინვენტარში შედიოდა: ვერცხლის და ბრინჯაოს საკისრე რგოლები, ბრინჯაოს რგოლი, რკი-

ნის სამაჯური, ვერცხლის ბეჭედი, მინისა და სარდიონის მძივები და მინისებური პასტის იოტები. ინვენტარის განლაგება გვიჩვენებს, რომ მიცვალებული თავით აღმოსავლეთისაკენ იყო დაკრძალული. პლატფორმის ქვეშ, სამარხის იატაკის დონეზე კიდევ ერთი მიცვალებული იყო დასვენებული. იქვე ცხენის თავის ქალაა. დაკრძალულს ჩატანებული ჰქონდა ვერცხლის საკისრე რგოლი და წყვილი საყურე რგოლი. ეს მიცვალებულიც ინვენტარის განლაგების მიხედვით თავით აღმოსავლეთისაკენ იყო დასვენებული. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დაფიქსირებული ორი დაკრძალული თავით დასავლეთისაკენ იდო. ერთ მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ვერცხლისა და რკინის საკისრე რგოლები, სარდიონის და მინის მძივები; მეორეს — ვერცხლის საკისრე რგოლი და წყვილი საყურე რგოლი, იოტები. მე-3 და მე-4 მიცვალებულებს შორის არეზე აღმოჩნდა ინვენტარის ჯგუფი (ბრინჯაოს ზარაკის და რკინის გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტები, რკინის სამაჯურები, რკინის 2 და ბრინჯაოს 4 ბეჭედი).

მთავარი მიცვალებული ადვილად გამოიკვეთა სამარხში მისი ცენტრალური ადგილ-მდებარეობისა და მდიდრული ინვენტარის გამო. მისი ჩონჩხი ასევე არ შემორჩენილა, მაგრამ სამარხეული ინვენტარის განლაგება საშუალებას გვაძლევს, რომ ალვადგინოთ დაკრძალულის ორიენტაცია და პოზა. აშკარაა, რომ ის დასვენებული იყო თავით სამხრეთით, სახით ჩრდილოეთისაკენ; ინვა ზურგზე, გაშოტილი. რამდენადაც მიცვალებულის ჩონჩხი ფაქტობრივად არ შემორჩენილა, სქესის დადგენა შეუძლებელია. ინვენტარის დიდი ნაწილი კონცენტრირებული იყო მთავარი მიცვალებულის თავის მახლობლად, მისგან მარცხნივ: თიხის (ოთხი ქიოსური ამფორა და ორი ატიკური ლეკითოსი, ადგილობრივი ჯამი და სამი დოქი), ვერცხლისა (ფიალა, ჩამჩა, სარწყულა და სანელსაცხებლე) და ბრინჯაოს ჭურჭელი (დოქი, ფიალა და ლანგარი), ბრინჯაოს სარკე და ვერცხლის სარტყელი. სამარხი ორმოს დასავლეთ კედელთან იდგა ატიკური ნითელფიგურული სკიფოსი და შავლაკიანი ჯამი. მთავარი მიცვალებულის აღმოსავლეთით ვერცხლის წვრილი სამკაულის (მილაკები, მძივები, ნახევარსფეროსებური და პირამიდისებური სამკაული) გროვა დაფიქსირდა.

მთავარი მიცვალებულის არეზე გამოვლენილი ინვენტარი შედგება პირადი და ტანსაცმლის მოსართავი სამკაულის, ჭურჭლის, ტუალეტის ნივთების, იარაღის, მონეტის, ზოდის, აგრეთვე ოქროსა და ვერცხლის საბეჭდავებისაგან. როგორც ჩანს, მას გადაფარებული ჰქონდა სუდარა, რომლისგან მინის, ეგვიპტური ფაიანსის, ქარვის, გიშრის და ნახევრად-ძვირფასი ქვების მძივები (17 000-მდე) შემორჩა. პირადი სამკაული წარმოდგენილია რთული თავსამკაულით, ყელსაბამებით, ბეჭდებითა (ოქროს, ვერცხლის და რკინის) და სამაჯურებით (ოქროს, რკინის სამაჯურები; ოქროს მილაკებითა და მინის მძივებით შედგენილი). ოქროს ნივთების დიდი ნაწილი ხშირი ხმარების კვალს ატარებს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ვარაუდს, რომ ისინი მხოლოდ დაკრძალვის რიტუალისთვის კი არ მზადდებოდა, არამედ სიცოცხლეში სახმარად იყო განკუთვნილი. მთავარი მიცვალებულის ტანსაცმელი უხვად იყო შემკული ოქროს დასაკერებელი ფირფიტებით; მკერდზე მიბნეული იყო ოქროს გულსაბნევი. ვერცხლის სარტყელი, რომელიც ვერცხლის და ბრინჯაოს ჭურჭლის გროვაში აღმოჩნდა, ასევე ტანსაცმლის მოსართავთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ. გარდაცვლილს მკერდზე ედო ვერცხლის ოთხი ფიალა, ხელებთან ვერცხლის ვაზა იდო. სამარხში აღმოჩენილი ჭურჭელი სხვადასხვა მასალისაგან არის დამზადებული: თიხის, ვერცხლის და ბრინჯაოსი. სატუალეტო ნივთები წარმოდგენილია ბრინჯაოს სარკით. რიტუალთან დაკავშირებული ნივთები კი — ბრინჯაოს 7 ზარაკით. აღსანიშნავია აგრეთვე ქალცედონის ნეო-ბაბილონური შესაკიდი საბეჭდავი და ერთადერთი იარაღი — რკინის შუბისპირი. დასტურდება *ქარონის* ობოლის ჩატანების ფაქტი. თავის არეში კი აღმოჩნდა ოქროს ზოდი.

სამარხი მდიდრულია. ინვენტარი შეიცავს 1000-ზე მეტ ოქროს, ასობით ვერცხლის სამკაულს, თიხის 12 ჭურჭელს, ვერცხლის 8 და ბრინჯაოს 3 ჭურჭელს, ვერცხლის სარტყელს, ბრინჯაოს სარკეს, 17 000-ზე მეტ მინის, ეგვიპტური ფაიანსის, სარდიონის, ქარვისა და გიშრის მძივს. მთავარ მიცვალებულთან ერთად დაკრძალული იყო კიდევ ოთხი

ადამიანი და ერთი ცხენი. ყველაზე გვიანდელი ნივთების (პანტიკაპეიონის მონეტის და ბრინჯაოს ოინოხოსის) საფუძველზე სამარხის გამართვის თარიღად ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი, უფრო უკანასკნელი მეოთხედი უნდა მივიჩნიოთ. ინვენტარის რაოდენობა და ხარისხი, ისევე როგორც რეპერტუარი, გვაფიქრებინებს, რომ მთავარი მიცვალებული ადგილობრივი ელიტის წარმომადგენელია [იხ. Kacharava და სხვ. 2009: 265-307] (დანარჩენი ორი სამარხი (№26, 28) ისეა დაზიანებული და გაძარცვული, რომ გარდაცვლილთა ორიენტაციასა და პოზაზე ვერაფერს ვამბობთ).

ამრიგად, განხილული სამარხების ჯგუფი, სხვა ჯგუფების მსგავსად არაერთგვაროვნებას ავლენს. 7 სამარხიდან ერთი ქვაყუთს წარმოადგენს, ერთის ორმოს კვეთის კვალი საერთოდ არა ჩანს, დანარჩენები კი გამართულია რბილ კლდეში ნაკვეთ ოთხკუთხა ორმოებში. კარგად შემორჩენილი სამარხების შემთხვევაში დასტურდება სამარხის თავზე რიყის ქვების ყრილი. მცირე ზომის №26 სამარხის გარდა ყველა ორმოსამარხი ერთი კონსტრუქციისაა — ორმოს დასავლეთი კედლის გაყოლებაზე პლატფორმაა გამართული, რომელიც ჩვეულებრივ კლდეშია გამოკვეთილი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში (სამარხი №24) პლატფორმა თირის ფლეთილი ქვებით არის შედგენილი. ყველა სამარხში ივარაუდება ხის კონსტრუქციის არსებობა, თუმც ხე არსად არ არის შემორჩენილი. ამგვარი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა სამარხებში დადასტურებული რკინის ლურსმნები და სამაგრები. ხის კონსტრუქცია იდგა სამარხ ორმოში და არ მოიცავდა პლატფორმას. კარგად შემორჩენილ სამარხებში შეიძლება მიცვალებულის ორიენტაციასა და პოზაზე საუბარი. მკაცრი დაცვა ერთი რაიმე წესისა არ დასტურდება ერთ სამარხშიც კი. ასე, №24 სამარხში მთავარი მიცვალებული ზურგზე გაშოტილი წევს თავით სამხრეთისაკენ; მასთან თანადაკრძალულებს კი სხვანაირი ორიენტაცია აქვთ [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 212; კაჭარავა და სხვ. 2016: 68-69].

ვანის ნაქალაქარზე განსახილველი ეტაპის დაკრძალვის წესებში თანაარსებობენ ტრადიციული და ახალი ელემენტები. სამარხები ბუდეებადაა განლაგებული; სამარხის ტიპში წამყვანი ისევე ორმო-სამარხია, მაგრამ მის პარალელურად შემოდის ქვაყუთები და თიხის ჭურჭელში დაკრძალვა (ქვევრსამარხი და დერგსამარხი). უკანასკნელი წლების მონაცემების მიხედვით, შეიძლება ვისაუბროთ ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრისთვის-III ს-ის დასაწყისისთვის დამახასიათებელ გარკვეულ წესზე, რომელიც გულისხმობს მსახურებისა და ცხოველების დასაკრძალავად საგანგებო ბაქნის გამართვას სამარხის სამხრეთი კედლის გაყოლებაზე. გარკვეული სიახლეებია სამარხეული ინვენტარის შედგენილობაშიც. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია მონეტის და ამფორების ჩატანების წესი; სიახლეა აგრეთვე ბექთარისა და სარტყლის ჩატანება. ამავე დროს გრძელდება ადამიანებისა და ცხენების შეწირვის წესი, დადასტურებული წინარეელინისტური ხანის სამარხებში.

ახ.წ. IVს-დან საქართველოს ტერიტორიაზე ფეხს თანდათან იკიდებს დაკრძალვის ქრისტიანული წესი. კერძოდ, თავით დასავლეთით გაშოტილი პოზა, მკერდთან დაკრეფილი ხელებით და ჩატანებული ინვენტარის გაქრობით. IVს-ის სამარხებში ჯერ კიდევ ხშირია მიცვალებულთა ნებისმიერი პოზა. მდიდართა სამარხეულ ინვენტარში ისევე გვხვდება ოქროს საყურეები, ბეჭდები, საკიდები და სხვ. V-VI სს-ში სამარხებიდან ძვირფასი საგნები ქრება და ჩატანებული ნივთები ძირითადად რკინის, ბრინჯაოს და ხანდახან ვერცხლის ნაკეთობებითაა წარმოდგენილი. სამარხში ჭურჭელსაც უკვე იშვიათად ატანდნენ. V-VI სს-ის არაერთი სამარხია, სადაც მიცვალებული ისევე არაქრისტიანულად არის დაკრძალული. არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ IV-VI სს-ში მთაში და ნაწილობრივ ბარშიც წმინდა ქრისტიანული წესის სამარხები მცირე რაოდენობისაა. ამ პერიოდში სამარხის ზოგიერთი ძველი ტიპი — ორმოსამარხი, ფილასამარხი, აკლდამა, სარკოფაგი კვლავ განაგრძობენ არსებობას.

ადრეული შუასაუკუნეების ქვის ფილასამარხებში მიცვალებულები ძირითადად დაკრძალულია ქრისტიანულად — თავით დასავლეთით ზურგზე გაშოტილი. არის ამოშენებულკედლებიანი სამარხები. მის გასამართად ამოთხრიდნენ სწორკუთხა ორმოს და

ამოაშენებდნენ ე.წ. ფლეთილი ქვის კედლებს. ამგვარი სამარხები ბრტყელი ქვის ფილებით იყო გადახურული. ამ ტიპის სამარხები გაითხარა — სამთავროში, არმაზისხევში, მარტაზისხევში და სხვ. მაგ.: რუსთავის ნაქალაქართან გაითხარა ერთიან ქვიშაქვაში ამოკვეთილი სარკოფაგები. მათ სახურავზე ჯვარია ამოკვეთილი. №2 სარკოფაგის სიგრძეა 2.03 მ., სიმაღლე 80 სმ. №1 სარკოფაგში მიცვალებული ინვა მარჯვენა გვერდზე და თავით დასავლეთით. ამნაირი სამარხები ჯერ კიდევ გვიანანტიკურ ხანაში ჩნდება და ადრეულ შუასაუკუნეებშიცაა გავრცელებული. ამ ტიპის სარკოფაგები აღმოჩენილია: სვეტიცხოვლთან, ბოლნისთან, ურბნისთან, დილომში, კავთისხევში რუსთავში და სხვ. საქართველოში აღმოჩენილი ოცდაათამდე სარკოფაგის უმეტესობა სამნუხაროდ გაძარცვულია. ბალიჭის VI ს. ორფერდა სახურავიან, ქვიშაქვის სარკოფაგზე (სიგრძეა — 2,15 მ) ქართული ასომთავრული წარწერაა — „*იესეს სული, ქრისტე მოიხსენე.*“ მასში გულხელდაკრეფილი, ზურგზე გაშობილი მიცვალებული აღმოჩნდა, რომელსაც მარჯვენა ხელზე ცისფერთვლიანი ოქროს ბეჭედი ეკეთა, ხოლო მკერდთან ცისფერთვლიანი ოქროს საკინძი ჰქონდა. ადრეულ შუასაუკუნეებში, ქვის გარდა თიხის სარკოფაგებიცაა აღმოჩენილი. ეს სარკოფაგები მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან მზადდებოდა და არათანაბრადაა გამომწვარი. IV-VI სს. ამგვარი თიხის სარკოფაგები გამოვლენილია მაგ.: სოფ. ალაიანთან (რიყიანების ველი), სოფ. შალაურთან (თელავთან), *მცხეთაში, საგურამოში, ურბნისში, ბორჯომის ხეობაში, რუსთავში, ახალგორში, ატენში* და სხვ. ადრეული შუასაუკუნეების სამარხთა ტიპებს შორის ცალკე დგას მცირე რაოდენობით აღმოჩენილი კატაკომბური ტიპის სამარხები. ისინი ჯერჯერობით მხოლოდ *ალაიანში* და *ჟინვალშია* მიკვლეული. ეს სამარხები ძირითადად უინვენტაროა. ან მცირეინვენტარიანია. მაგ.: *ჟინვალის* სამაროვანზე გაითხარა 50-მდე ამგვარი სამარხი. მათ გასამართად ამოღებულია თხრილი, რომლის ერთ-ერთ მხარეს შეთხრილია დასაკრძალავი კამერა. აქ დასაკრძალავი კამერა ოვალურის ნაირია; ზედა მხარე თალოვანია. კამერაში ხშირად რამდენიმე მიცვალებულია დაკრძალული. დაკრძალვის წესი უმეტესად ქრისტიანულია [იხ. მინდორაშვილი 2014: 201-218].

საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული შუასაუკუნეების არაერთი ნეკროპოლია არქეოლოგიურად შესწავლილი. ეს სამაროვნები, არტეფაქტების მიხედვით, ძირითადად ერთგვაროვანია, მაგრამ ხანდახან დაკრძალვის წესსა და ჩატანებულ ნივთებში შეინიშნება განსხვავებები. კერძოდ, ეს ნეკროპოლებია მაგ.: *მცხეთისგორის* სამაროვანი მცხეთაში, მრეველოშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩებთან მდებარეობს. აქ შესწავლილია ადრეული შუასაუკუნეების 32 სამარხი, მათ შორის ქვაფილებით დახურული ორმოსამარხები. სამარხების ძირითადი ზომებია — 1,85 X 0,90 მ. ახ.წ. VI-VII სს *კარსნის* ხევის სამაროვანი მდებარეობს მცხეთიდან სამხრეთით 2 კმ-ზე. აქ 20-ამდე ქრისტიანული წესის ქვის ფილასამარხი გაითხარა. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია რკინისა და ბრინჯაოს საკინძებით, რომელთა თავები შემკულია მარჯნის, სარდიონისა და ალმანდინის მძივებით. აქვე აღმოჩნდა ოქროს საყურეები, რკინის ფიბულები; ბრინჯაოს ბეჭდები და სხვ.

მუხათგვერდი I-ის სამაროვანი მცხეთიდან 6 კმ-ზე, სოფ. მუხათგვერდთან, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. სამაროვანზე გამოვლინდა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. 17 სამარხი უინვენტაროა. დანარჩენებში გამოვლინდა: რკინისა და ბრინჯაოს, ძონის, მარჯნის, ქარვის, გიშრისა და ალმანდინის თავებით შემკული საკინძები და სხვ. [იხ. ხეცურიანი 1985]. *ავჭალისკარის* სამაროვანი ზემო ავჭალაში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. აქ გაითხარა IV-VII სს-ის, ქვის ფილებით ნაგები 70-მდე სამარხი. მიცვალებულები ზურგზე გაშობილი, თავით დასავლეთითაა დაკრძალული. ინვენტარი მხოლოდ 41 სამარხში დადასტურდა. IV-VII სს-ის სამაროვნები რუსთავთან ხუთ ადგილასაა მიკვლეული. აქედან, სამი მდ. მტკვრის მარჯვენა, ხოლო ორი მარცხენა მხარეს. აქ გაითხარა: ორმოსამარხები, ქვის ფილასამარხები, სარკოფაგები. დაკრძალვის წესი ძირითადად ქრისტიანულია. ე.წ. *რიყიანის* სამაროვანი სოფ. *გლდანთან* მდებარეობს. აქ აღმოჩნდა ქვის ფილასამარხები. სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაოს საყურეები; რკინის სამაჯურის ნატეხი და სხვ.

იალსარის სამაროვანი მდებარეობს ახმეტის მუნიციპ.-ში, სოფ. მატანიდან დასავლეთით დაახ. 3 კმ-ზე. აქ 26 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი გაითხარა. ქვემო ალევის V-VII სს. სამაროვანი ახალგორის მუნიციპ.-ში, მდ. ალეურას მარჯვენა ნაპირზე, ადგილ ე.წ. გრძელებთან მდებარეობს. სამაროვანზე გამოვლინდა ადრეული შუასაუკუნეების ქვის ფილასამარხები. მიცვალებულები თავით დასავლეთით, ზურგზე გამოტილი დაუკრძალავთ. სამაროვანზე აღმოჩენილია: სხვადასხვა ტიპის ფიბულები, მრავალ ნაირი სახეობის საკინძები, სხვადასხვა ფორმის საყურეები, მრავალფეროვანია სამაჯურები, ფარაკიანი ბეჭდები და სხვ. აქვე აღმოჩნდა 36 მონეტა [იხ. აფხაზავა 1988].

საჩხერესთან, მოდინახეს ციხის ცენტრალურ ტერასაზე გაითხარა გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების 80-მდე ორმოსამარხი. მიცვალებულთა ნაწილი ესვენა მარჯვენა გვერდზე მოხრილი, თავით დასავლეთით, ხოლო ნაწილი ზურგზე გამოტილი აგრეთვე თავით დასავლეთით. სამარხეულ ინვენტარში გვხვდება: შუბისპირები, სატევრები სამფრთიანი ისრისპირები. საყურადღებოა, რომ თანადროული სამარხები იშვიათად შეიცავენ საბრძოლო იარაღს [იხ. ბრავაძე, ჩიგოგიძე 2002]. ე.წ. გიგას სათიბის სამაროვანი მდებარეობს დარიალის ხეობაში, დაბა ყაზბეგიდან 13 კმ-ზე, დარიალის ციხესა და სოფ. ლარსს შორის, მდ. თერგის მარჯვენა მხარეს ტერასაზე. სამაროვანი შედგება თავით დასავლეთით დამხრობილი, ქვის ფილებით გამართული სამარხებისაგან. ისინი თითქმის უინვენტაროა. 13 სამარხიდან ინვენტარი მხოლოდ ექვსში აღმოჩნდა. ნებელდაში, მდ. კოდორის ხეობაში, უმთავრესად გავრცელებულია ორმოსამარხებში დაკრძალვა. მიცვალებულთა უმეტესობა ზურგზე გამოტილია დაკრძალული; II - VII სს-ის სამარხები უმთავრესად დამხრობილია თავით დასავლეთისაკენ. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



საკურთხევლები

ვ. შატერაშვილი, გ. გამყრელიძე

საკურთხეველი საკრალური დანიშნულების ნაგებობა ან ცალკეული ნივთია, რომელიც ღვთაებისადმი სხვადასხვანაირი შესაწირის მიძღვნისთვის გამოიყენებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის საკურთხეველები ძვ.წ. V ათასწლეულიდან გვხვდება და არსებობას აგრძელებენ დღემდე. ანტიკური პერიოდის გამოკვლეულ არქეოლოგიურ ძეგლებზე განსხვავებული ტიპისა და რელიგიური კუთვნილების საკურთხეველებია აღმოჩენილი. კერძოდ, ზოგადად გამოიყოფა: სატაძრო, საოჯახო და გადასატანი მცირე საკურთხეველები — ე.წ. საკურთხევის მოდელები.

სატაძრო საკურთხეველები უშუალოდ ტაძარში, მის მინაშენებში ან მცირე სამლოცველოებშია აღმოჩენილი. მაგალითად:

ციხიაგორას სატაძრო კომპლექსის მთავარი ტაძრის ცელაში, იატაკზე თიხის სვეტისებრი საკურთხეველი იდგა. მისი შემორჩენილი ზედა მხარე — $\approx 0,36 \times 0,35$ მ; საკურთხეველს თავზე გარკვეული ჩაღრმავება ჰქონდა. ციხიაგორას ტაძრის ცელის სამხრეთით მდებარე ეზოში აღმოჩენილია ქვის, მშრალი წყობით ნაგები, მართკუთხა საკურთხეველი ($1,9 \times 2,5 \times 3,2$ მ). მისი თავი თიხით იყო შელესილი, ზემოდან კი ნაცარი, დამწვარი ძვლები და რკინის დანა აღმოჩნდა [იხ. ცქიტიშვილი 2003: 11, ტაბ. XIX 1]. ციხიაგორას არქეოლოგიური კომპლექსის ე.წ. მარნის სამხრეთ კედელთან ალიზისაგან ნაგები, კვადრატული საკურთხეველია ($1,6 \times 1,6$ მ) მიშენებული. საკურთხეველთან აღმოჩნდა 0,6 მ-ის დიამეტრის თიხის დისკო, რომელზეც ჯვრისებური გამოსახულება იყო დაძერწილი, მის ქვეშ კი ნაცრის გროვა იყო. ამ ე.წ. მარანშივე ალიზით ნაგები და თიხით შელესილი, ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული საკურთხეველია მიდგმული ჩრდილოეთ

კედელთან. ერთის ზომებია — 1,45 X 0,45 X 0,17 მ, რომელშიც სამი ნახევარსფერული ნაცრიანი ღრმულია. მეორე საკურთხეველი პირველისაგან აღმოსავლეთით არის. ის სწორკუთხაა და ორი ბაქნისაგან შედგება (ძლიერ დაზიანებულია); ზომებია — 1,3 X 0,8 X 0,4 მ. აქაც შეინიშნება ცეცხლის კვალი, რომელშიაც თხების რქიანი თავისქალები დაუნვავეთ. №15 სათავსოში, დასავლეთის კედელზე დაბალი, ოთხკუთა სამსხვერპლო საკურთხეველია (1,75 X 1,75 X 0,15 მ), რომელსაც შუაში, ნახშირით და ნაცრით სავსე მომრგვალებულ კუთხეებიანი ჩაღმავება აქვს [იხ. ცქიტიშვილი 2003: 17, 20]. ციხიგორას არქეოლოგიური კომპლექსი და შესაბამისად, საკურთხევლებიც ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება [იხ. მახარაძე ზ. და სხვ. 2001: 53-54]. ეს კომპლექსი, განსხვავდება კლასიკური ტიპის ცეცხლის ტაძრებისაგან [იხ. ხიმშიაშვილი 2001ბ: 11].

ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. II-ი სს-ის კარიბჭის კომპლექსის, რომელიც განლაგებულია ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სამლოცველო. ის ჭიშკართან არის განთავსებული და კლდეზე მიდგმული, სამი მხრიდან შემოსაზღვრული ნაგებობაა (3,0 X 3,15 მ). სამლოცველო რუსტებიანი კვადრებითაა ნაგები და თიხატყეპნილი იატაკი აქვს. მის დასავლეთ, კლდესთან, ქვათლილებით ამოშენებულ კედელზე საკურთხეველია მიდგმული (მთლიანი სიმაღლე — ≈1,20 მ; სვეტის სიგანე — ≈0,30მ). ეს არის სწორკუთხა ფილაზე მდგარი ოთხნახნაგა სვეტი, რომელზედაც თლილი ფილები დევს. საკურთხევლის ირგვლივ აღმოჩნდა თიხის 23 ჭურჭელი სხვადასხვა შენირულობებით; მათში მარცვლეულიანი 5 ამფორა დადასტურდა [იხ. ხოშტარია და სხვ. 1972: 153-160, სურ. 99-117]. ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასის მაღალ ნაწილში აღმოჩნდა ძვ.წ. II ს-ის დასაწყისის საკრალური კომპლექსი, რომელსაც 8 // 9 საფეხური უნდა ქონოდა. ის აგებულია კლდოვან ქანზე და შედგება ქვათლილებით მოგებული მოედნისაგან — 15,60 X 11,20 მ და მის წინ არსებული ბაქნისა და 1,70 მ სიმაღლის საფეხურებიანი კიბისგან. კიბე კი ქვათლილებისგან არის შედგენილი; ზოგიერთი კვადრი რუსტირებულია [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 35; კაჭარავა და სხვ. 1979: 20-23; Лордкипаниძე Г. 1977: 106].

ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე გამოვლენილი ტაძრის დასავლეთ ნაწილში დაფიქსირდა ორი კვადრისგან შემდგარი ნყოფის ფრაგმენტი, რომელიც მონუმენტური საკურთხევლის ნაშთებს უნდა წარმოადგენდეს. ამ საკურთხევლის საფეხურს წარმოადგენდა მის მახლობლად დადასტურებული ქვის მოზრდილი ბლოკი (1,20 X 0,80 X 30 მ), მომრგვალებული ცალი კიდით. ეს ნაგებობა, ძვ.წ. III ს-ის დასაწყისისთვის უკვე არსებობდა [იხ. კვირკველია 2011: 100,104, ტაბ. I]. ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში გაითხარა ძვ.წ. II ს. ქვის, 12 // 13 (ზედა საფეხურები ნეხევარწრიულად არის განლაგებული) საფეხურიანი საკრალური კომპლექსი. ეს საფეხურები ადის სწორკუთხა ბაქანზე. ამ ნაგებობასთან განლაგებულია ორი სამსხვერპლო, რომელიც თიხით შელესილ 5 X 5 მ ფართობის ნაგებობას წარმოადგენს. მათში შენირულობები აღმოჩნდა — თიმიატერიონები, თიხის ჭურჭელი, მძივები, რკინის შუბისპირები, სატევრები, ბრინჯაოს უმბონები, ბრინჯაოს სარკე; ვერცხლის ორი მცირე ქანდაკება; ვერცხლისავე მედალიონი ქალის ჰორელიეფური გამოსახულებით; ძვ.წ. ≈57-38 წწ. ვერცხლის დრაქმა და სხვ. [იხ. ფირცხალავა და სხვ. 1986: 63-78, სურ. 48-58]. ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილია ნაგებობა (ე.წ. მოზაიკურიატაკიანი) სადაც 0.70 მ სიმაღლის ოვალურგანივკვეთიანი საკურთხეველი იდგა ორ სწორკუთხა ფილაზე. საკურთხეველთან აღმოჩნდა შენირულობები — ქვევრი და 40 ამფორა, სპილენძის 120 მონეტა, რკინის სასაკმეველე, ორნამენტირებული ბრინჯაოს ჭურჭელი და სხვ. ნაგებობა ძვ.წ. I ს-შია დანგრეული [იხ. ხოშტარია და სხვ. 1972: 179; ფუთურიძე 1986: 34-51].

ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასის ძვ.წ. II-ი სს სატაძრო კომპლექსი (41 X 18კვ.მ). განლაგებულია *საქვაბის* ღელესთან. ნაგებობის შემორჩენილი ნაწილი შედგება რუსტირებული ქვათლილის, ალიზის აგურის და ფლეთილიქვისაგან. შუა ოთახი სწორკუთხედიან ცენტრში ორი სვეტით, რომელთა მხოლოდ ბაზისები შემოინახა. ცენტრალური დარბაზის დასავლეთ კუთხესთან გამართულია საფეხურებიანი კიბე რომელიც სწორკუთხა

სამსხვერპლო ბაქანზე (2,2 X 2,2 მ) ადის. განხილულ საკრალურ კომპლექსში შემონახულია ქვათილების და ალიზის აგურის (55 X 37 X 10 სმ) ნყოფები. ბაქანთან მისასვლელი ცხრა საფეხური დაფრდებულ დედაქანზეა გამართული. აქვე უნდა ყოფილიყო რამოდენიმე საკურთხეველი-სამსხვერპლო, რომლებიც იქვე ნაგებობის ნანგრევებშია აღმოჩენილი. ერთი ოთხი ფილისაგან შედგენილი ყუთისმაგვარი საკურთხეველია (1,25 X 0,57 მ) [იხ. მათიაშვილი 2013: 8-9, 62-64, ტაბ XII; მათიაშვილი 2005: 118]. ზემოთხსენებული ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე დერეფანთან აღმოჩნდა 0,5 X 1 მ ალიზის ბლოკებისაგან ნაგები საკურთხეველი [იხ. მათიაშვილი 2005: 118]. ამავე სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილია ხუთი მონოლითური საკურთხეველი, რომელთაგანაც ერთის მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი (აღმოჩნდა ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფასადთან), დანარჩენი ოთხი ხსენებულ ცენტრალურ დარბაზშია მიკვლეული. ისინი ტუფის ქვისაგანაა გამოკვეთილი. ე.წ. რქებიანი საკურთხეველი დარბაზის დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონიდან 0,4 მ-ზე აღმოჩნდა. მას მკვეთრად გამოწეული, პროფილირებული კიდეები აქვს; ზედაპირზე ნახევარსფერული ჩაღრმავებაა ამოკვეთილი, კუთხეები კი პირამიდულისმაგვარი შვერილებით არის შემკული. (0,52 X 0,44 X 0,38). გამთხრელის აზრით, ე.წ. რქებიანი საკურთხევლები განისაზღვრება, როგორც ქტონური ღვთაებებისათვის განკუთვნილი ცეცხლის საკურთხევლები [იხ. მათიაშვილი 2005: 119].

ცენტრალური ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან, ალიზის კედლის ნანგრევში იატაკის დონიდან 0,4 მ-ის სიმაღლეზე აღმოჩენილი საკურთხეველი წრიულგანიკვეთიანია, შუაში გვერდებზეზნექილი, ორივე ბოლოზე ღრმა, კონუსური ფოსოებია ამოკვეთილი; სიმაღლე — 0,36 მ ზედა დმ — 0,44 მ, ქვედა — 0,36 მ. ასეთ საკურთხევლებს ე.წ. ქვიშის საათისებურს უწოდებენ [იხ. მათიაშვილი 2005: 119]. მართკუთხა ფორმის ერთი საკურთხეველი დარბაზის ცენტრალურ ნაწილში იატაკის დონიდან 0,7 მ-ის სიმაღლეზეა აღმოჩენილი (0,9 X 0,7 X 0,58 მ). მას ზედაპირზე ნახევარსფერული ორი და ერთი წრიული ჩაღრმავება აქვს ამოკვეთილი; უკანა მხარეს უძირო ნიშაა, რომელშიც დადასტურდა ქათმისა და ცხვრის ძვლები [იხ. მათიაშვილი 2005: 119]. მართკუთხა ფორმის, კიდეე ერთი საკურთხეველი (0,68 X 0,38 X 0,48 მ) ცენტრალური დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, იატაკიდან 0,6 მის სიმაღლეზე აღმოჩნდა. მის ზედაპირზე 0,25 მ-ის დიამეტრის ფოსოა ამოკვეთილი, რომლის წინ სეგმენტისებრი ჩაღრმავებაა ამოტეხილი. ქვედა მხარეს 0,15 მ-ის სიღრმის კვადრატული ჩაღრმავებაა ჩაჭრილი [იხ. მათიაშვილი 2005: 119]. ქვედა ტერასაზე, სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი, ზემოთაღწერილი საკურთხევლები ზოგადად, გვიანელინისტური ხანით თარიღდება.

ნასტაკისის არქეოლოგიური ძეგლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა ძვ.წ. I-ახ.წ. II სს-ის ნაგებობა, რომელიც ქვიშაქვის კვადრებით, ალიზის აგურით დაკრამპით არის აშენებული. ამ ნაგებობაში ქვიშაქვაში გამოკვეთილი ორი საკურთხეველი დადასტურდა. ერთი დგას ცენტრში (2 X 1,5 მ), ხოლო მეორე კი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთანაა გამართული [იხ. ბოხოჩაძე 1990: 313-315; ხიმშიაშვილი 2001: 16]. მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ე.წ. *სამადლოს მინების* დაზიანებულ საკრალურ ნაგებობაში აღმოჩენილია ალიზით ნაგები საკურთხეველი, რომელთაგანაც დადასტურდა შესანიშნავი სამი ოთხკუთხაბაკოიანი ჭურჭელი. მათ ცეცხლის კვალი ემჩნევათ. ეს კომპლექსი ძვ.წ. II ს-ით თარიღდება [იხ. ნარიშანიშვილი და სხვ. 1993: 105-108].

დედოფლის მინდვრის არქეოლოგიური ძეგლის მთავარი ტაძრის კვადრატული დარბაზის ცენტრში, საკურთხევლისთვის განკუთვნილი ბაქანია (1,6 X 1,6 X 1,2 მ). ტაძარი ძვ.წ. II-I სს-ის მიჯნაზეა აგებული [იხ. Gagoshidze 1992: 46]. ამავე არქ.-ძეგლის მეათე ოთახში, რომელიც სამლოცველოდაა მიჩნეული, ცეცხლის სამსაფეხურიანი საკურთხეველია. ის ორი ნაწილისაგან შედგება — ნახევარცილინდრული ფორმის ორი თიხის ფილისაგან და თიხითვე შელესილი ცეცხლის შესანახი ე.წ. *ზურგიანი სკამის მსგავსი* კერისაგან. ეს საკურთხეველი მიიჩნეის — ზოროასტრულისნაირად; ე.წ. ნალისებური ფორმის, ქვითა და ალიზით ნაგები საკურთხეველია აღმოჩენილი აქვე გალავნის ჩრდილო კარიბჭესთან [დანვრ. იხ. Knauß 2008: 49].

დედოფლის გორის ნაგებობების №20 ოთახის შუა ნაწილში, აღმოჩნდა, ე.წ. ცეცხლის თაღოვანი საკურთხეველი, რომლის ბრტყელ ზედაპირზე ხანძრის სიმბურვალისაგან ერთმანეთთან შედუღებული, შეწირული ნივთები დადასტურდა: ბრინჯაოსა და ვერცხლის მცირე ზომის ქანდაკებები, ოქროს ე.წ. ფოთლოვანი გვირგვინი, ვერცხლის სასაკმევლე, ავგუსტუსის 13 დენარი და ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერის ორი ადგილობრივი მინაბაძი [იხ. გაგოშიძე 2015: 125-126]. აგრეთვე, დედოფლის გორის IV ს-ის არქ.-ფენაში აღმოჩენილ სამლოცველოში, თიხისა და ქვისაგან ნაგები, კუბის ფორმის, 0,7 მ-ის სიმაღლის ცეცხლის საკურთხეველია დადასტურებული [იხ. Gagoshidze 2008b: 43].

ადგილ დილმისთავის სამლოცველოში, აღმოსავლეთი კედლის წინ, ოთხკუთხა პრიზმის მოყვანილობის ქვის საკურთხეველი აღმოჩნდა (0,74მ X 0,17მ.). ის ორადაა გატეხილი და გვერდები ორ-ორი ღარით აქვს შემკული; თავზე სამ წრიულ ღარს შორის ნახევარმთვარის სიმბოლური გამოსახულებაა ამოკვეთილი. თარიღდება პირველი საუკუნით. ამ არქეოლოგიური ძეგლის გამთხრელების მოსაზრებით, აღნიშნული ნაგებობა ზოროასტრულ რელიგიას უნდა უკავშირდებოდეს [იხ. მირცხულავა და სხვ. 2007: 120-121].

მცხეთასთან, ადგილ ღართისკარის ტაძრის ზედა სამშენებლო ჰორიზონტის, ძვ.წ. II ს-ით დათარიღებულ, ცელაში, ალიზით ნაგები ორი საკურთხეველია შემორჩენილი: ერთი ცენტრშია, მეორე კი დასავლეთ კედელთან. პირველი საკურთხევლის ცენტრში ჩადგმული იყო თიხის ჭურჭელი, რომელსაც ცეცხლის ხანგრძლივი მოქმედების კვალი ეტყობა, აქვე ნაცრის სქელი ფენა დაფიქსირდა. საკურთხევლის კიდეზე კი ირმის რქა იდო [იხ. ხიმშიაშვილი 2001: 12-13].

საოჯახო საკურთხევლები: ამ ტიპის საკურთხევლები საცხოვრებელ ნაგებობებშია გამართული. ძვ.წ. VIII-სა და შემდგომი ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან ცნობილი საკურთხევლებიდან მნიშვნელოვანია ნარეკვავის ნამოსახლარზე საცხოვრებელ სახლებში აღმოჩენილი 12 საკურთხეველი. მათ შორის გამოიყოფა ნახევარწრიული (4) და ოთხკუთხა (8) ტიპები. ნახევარწრიული საკურთხევლები ალიზისაგანაა ნაგები, ორი სადაა, ორსაც ხარის რქებისმაგვარი შვერილები აქვს. ოთხკუთხა საკურთხევლებიც ალიზითაა ნაგები. ნარეკვავის საკურთხევლები ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება [იხ. დავლიანიძე და სხვ. 1993: 10-15, 29, 30. ტაბ. XXV].

საცხოვრებელ ფართობში გამართული საკურთხევლებიდან ასევე აღსანიშნავია ნალკის მუნიციპალიტეტში, დარაკოვის ნამოსახლარზე მიკვლეული საკურთხევლები, რომლებიც, აქ არსებულ მასალასთან ერთად ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება [იხ. ნარიმანიშვილი 2009: 103]. აქ, №1 სახლის სამხრეთ-დასავლეთ კედელზე ქვითა და თიხით ნაგები, ალიზის ხსნარით შეღესილი, წაგრძელებული ფორმის (სიგრძე- 2,72 მ, სიგანე – 1,12 მ, სიმაღლე – 0,48 მ.) საკურთხეველია მიდგმული. №4 სახლის დასავლეთ ნაწილში გამოვლენილია ქვის ფილებით შედგენილი ოთხკუთხა საკურთხეველი (სიგრძე — 0,80 მ, სიგანე — 0,50 მ), რომელზედაც იდო ბაზალტის ქვის ხელსაფქვავი. №5 სახლის ცენტრალურ ნაწილში, ქვის ფილებით შედგენილი საკურთხეველია გამართული. ფუძის ზომებია 0,7 X 0,9 მ. სიმაღლე — 0,35 მ-ია. საკურთხეველი ზურგიანია. №7 სახლში ალიზით ნაგები საკურთხეველი დაფიქსირდა; საერთო სიგრძე -1,8 მ-ია, სიგანე -1,0 მ [იხ. ნარიმანიშვილი 2009: 94-99].

გადასატანი მცირე საკურთხევლები: ე.წ. პორტატული საკურთხევლები, რომელთა ნაწილიც ე.წ. საკურთხევლების მოდელებადაა მიჩნეული, საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილია ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. კლდეში (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის 225-ე კმ. სამეურნეო ორმოში. ინახება ახალციხის მუზეუმში); სამთავროს კულტურულ ფენაში; ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე (ინახება ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში). ორი ცალი მცირე საკურთხეველი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, გვიანელინისტური ხანის სატაძრო კომპლექსის ტერიტორიაზე. ორივე კერამიკული ნაწარმია, ერთი ქვიშის საათის მოყვანილობისაა, არათანაბრად გამომწვარია, მინარევებიანი, მარცვლოვანი თიხისაგანაა დამზადებული [მათიაშვილი 2013: 57, ტაბ. XXVI, კატ. №465]. მეორე სწორკუთხა სვეტის მოყვანილობისაა, ერთი მხარე წატეხილი აქვს, მეორე კი პროფილირებულია და ამობურცული გადახურვით ბოლოვდება, დამზადებულია

განლექილი თიხისაგან, თანაბრად გამომწვარი და ზედაპირგაპრიალებულია. ორივე ძვ.ნ. I ს-ით თარიღდება [მათიაშვილი 2013: 57, ტაბ. XXVI, კატ. № 464].

სოფ. კლდეში აღმოჩენილი გადასატანი საკურთხეველი [იხ. თოდუა 2006: 169; Дзnelაძე 2007: 82-83] ტერაკოტისაა, მოთეთრო ფერის, ყალიბში დამზადებული; ცეცხლში ნამყოფი, ნაწილობრივ დეფორმირებული (სიმაღლე -11,5 სმ. ძირი -6,7 X 6 სმ) ძირთან ბაზა ოთხკუთხაა, პროფილირებული, მკვეთრად გამოყოფილი ოთხი საფეხურით, კაპიტელი ბოლოვდება ბრტყელი საფეხურით, ოთხივე მხრიდან ქიმიტაა შემოსაზღვრული. კორპუსის წინა ფასადზე გველთან მებრძოლი მამაკაცის რელიეფური ფიგურაა. გამოსახულება იდენტიფიცირებულია, როგორც მითრა. მარცხენა და მარჯვენა ფასადები შემკულია ვერტიკალურ მწკრივად განლაგებული ჭდეული ორნამენტით, უკანა ფასადი კი წინვოვანი ორნამენტით. კაპიტელი ორფრიზიანია: ქვედა სადაა, ხოლო ზედაზე ტრიგლიფებისა და მეტოპების მსგავსი ორნამენტია. ნივთი მიიჩნევა ადგილობრივ დამზადებულად.

მცხეთის სამთავროს ნეკროპოლის კულტურულ ფენაში თიხის მონითალო-მოყავისფროდ გამომწვარი მცირე ზომის საკურთხეველი აღმოჩნდა [Gamkrelidze 2014: სურ. 27]. მისი ზომებია — სიმაღლე — 8,5 სმ, სიგანე ბაზასთან და კაპიტელთან — 5,5 სმ; ოდნავ გამოკვეთილი, ჰორიზონტული ღარებით ორ ნაწილად დაყოფილი ბაზა და კაპიტელი აქვს, კორპუსზე, თითო მხარეს, ოთხ-ოთხი სამკუთხედიანი ამოჭრილი, რომელთა ერთიანობაც ე.წ. მალტური ჯვრის გამოსახულების მსგავსია. ნივთი, სავარაუდოდ ახ.წ. III ს-ით თარიღდება.

საკურთხევლების გამოსახულებები: არმაზისხევის №3 სამარხში (ორ თასზე) [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955: ტაბ. VI, VII]; ზღუდერის №2 სამარხში [იხ. ბრაუნდი და სხვ. 2009: 56] და ბორში [იხ. Придик 1914: 100] აღმოჩენილ თასებზე, ცენტრალურ მედალიონში ცეცხლის საკურთხევლების წინ მდგარი ცხენებია გამოსახული. არმაზისხევის №3 სამარხის თასებზე დატანილი ცხენების გამოსახულებები განსხვავდება ერთმანეთისაგან; განსხვავებულია საკურთხევლის ფორმაც. ერთ შემთხვევაში ფაფარაყრილი ცხენი გამოსახულია აწეული ტორით, მეორე შემთხვევაში — მოკლედ შეკრეჭილ ფაფარში სამი სხივი მოჩანს, წინა ფეხები კი მიწაზე უდგას. ბორის პინაკზე გამოსახული ცხენი წინა ფეხებით მიწაზე მყარად დგას, ხოლო ზღუდერისაზე კი ტორი აწეული აქვს. იმ გამოსახულებებზე, რომლებზედაც ცხენს ცალი ფეხი აქვს აწეული, კარგად ჩანს საკურთხეველზე დანთებული ცეცხლი, ხოლო მეორე შემთხვევაში საკურთხეველზე გირჩისმაგვარი ნივთი დევს. არაგვისპირის სამაროვანზე, №13 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის თასის [იხ. რამიშვილი რ. 1975: 12] ფსკერზე დატანილი გამოსახულება იმეორებს ზღუდერისა და არმაზისხევის პინაკების სიუჟეტს. ზაჰესის ტერიტორიაზე აღმოჩენილ თასზე კი ორი ცხენია გამოსახული, რომლებიც ბომონის წინ დგანან და წინა მარჯვენა ფეხი აქვთ აწეული, თასის ქვედა ფრიზზე კი ორი გრიფონია გამოსახული, რომლებიც, ასევე ბომონის წინ დგანან [იხ. ნემსაძე 1972: 7, 8]. ცეცხლის საკურთხევლები აგრეთვე გამოსახულია საქართველოში აღმოჩენილ, IV-VI სს-ით დათარიღებულ სასანურ გემებზე სამთავროდან, ურბნისიდან, ავჭალისკარიდან და სხვ. [რამიშვილი ქ.ი. 1979: 30; ჯავახიშვილი 1972: სურ.192-194; Ramishvili 2007: 277].

საკურთხევლების გამოსახულებები გვხვდება საქართველოში აღმოჩენილ მონეტებზეც: ბიჭვინთასა და სოხუმში აღმოჩენილი ტრაპეზუნტის მონეტების ნაწილზე გამოსახულია ცხენზე ამხედრებული მითრა. მხედრის წინ დგას ბომონი, რომლის წინაშეც ცხენს მარჯვენა წინა ტორი აწეული აქვს. მონეტები II ს-ით თარიღდება. ქართულ-სასანურ მონეტებზე, კერძოდ გურგენისა (586 წლამდე) და ჯონბერ // ჯუანშერის (590-591 წწ) [იხ. დუნდუა და სხვ. 2014: 11, 43-65] სახელზე მოჭრილ დრაქმებზე, რომელთა ზურგზე გამოსახულ საკურთხეველზე სარიტუალო ცეცხლი ანთია. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



კოლხეთის კერამიკული ჭურჭელი და სავაჭრო ტარა

მ. ფირცხალავა, გ. გამყრელიძე

კერამიკული ანუ თიხის ჭურჭლის დამზადება ადამიანმა უხსოვარი დროიდან დაიწყო. მათი კეთება ძველი სამყაროს სხვადასხვა ნაწილში დამოუკიდებლად ჩაისახა. თიხა დღემდე სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების მიუხედავად ჭურჭლის დასამზადებელი უცვლელი მასალაა. მისგან კერამიკის წარმოების ძირითადი ეტაპებია: პრიმიტიულად ხელით გამოძერწვა; ფორმის მიცემა ყალიბის გამოყენებით; ე.წ. ლენტური წესით ძერწვა; ე.წ. მეთუნის მორგვის გამოგონება; ჭურჭლის ჰაერზე გამოშრობა; ჭურჭლის ცეცხლზე გამოწვა; სპეციალური სხვადასხვა ნაირი ქურების აგება და სხვ. კერამიკული ნაწარმი ყველაზე გავრცელებული არტეფაქტია და მისი როლი დომინირებს არქეოლოგიური კულტურების განსაზღვრაში. ათასწლეულების განმავლობაში ტექნოლოგიურ პროგრესში მომხდარ ცვლილებებზე და მეთუნეთა ხელობის პროდუქციაზე თვალის გადავებით იკვეთება ამა თუ იმ ძველი საზოგადოების განვითარების საფეხურები.

საქართველოში კერამიკულ წარმოებას განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ძვ.წ. VII – ახ.წ. VI სს-ის კერამიკული ნაწარმი დასავლეთ საქართველოში ცნობილია ნამოსახლარებიდან და სამაროვნებიდან. თითქმის არ მოიძებნება დროის ამ მონაკვეთის არქეოლოგიური ძეგლი, რომელზეც არ იყოს ფიქსირებული თიხის ჭურჭლის ესა თუ ის სახეობა. მისი გავრცელების ძირითადი პუნქტებია: *ვანის* ნაქალაქარი [იხ. თოლორდავა 2001: 37-39; ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 15-16; მათიაშვილი 1977: 52; მათიაშვილი 2013:], *ნაოხვამუ* [იხ. Куфтин 1950: 193-200], *დაბლაგომი* [იხ. Куфтин 1950: 20; თოლორდავა 1977: 71-81], სოფ. *მთისძირი* [იხ. გამყრელიძე 1982: 82-86, 107-114], სოფ. *დაფნარი* [იხ. Кигურაძე 1976: 7], სოფ. *ნოსირი* [იხ. გოგაძე 1982: 57], სოფ. *ჭალადიდი* [იხ. მიქელაძე 1978: 40], სოფ. *ნიგვზიანი* [იხ. მიქელაძე 1985: ტაბ. IV], *საჩხერე* [იხ. ნადირაძე 1990: 16], *ყვირილის* ხეობის ნამოსახლარები [იხ. ნადირაძე 1975: 21-36], *ბათუმისციხე* [იხ. ვაშაკიძე და სხვ. 1975: 96-97; კახიძე 1965: 71-72], *ქობულეთ-ფიჭვნარი* [იხ. კახიძე 1971: 40-50], ქ. *ფოთის* მიდამოები [იხ. მიქელაძე 1978: 55; გამყრელიძე 1987: 97-119], *სოხუმი* და მისი მიდამოები [იხ. კალანდაძე 1954: 35-36; Трапш 1969: 121, 143], *ოჩამჩირე* [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 58], *ქუთაისი* და მისი მიდამოები [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 42], სოფ. *ერგეტა* [იხ. პაპუაშვილი და სხვ. 2005], *შორაპანი* [იხ. ჯაფარიძე ვ. 2006:], *ნებელდა* [იხ. Воронов და სხვ. 1985: 74-80].

დროის ხსენებულ მონაკვეთში წარმოებული ადგილობრივი თიხის ჭურჭელი სახეობებისა და ტიპების მრავალფეროვნებით ხასიათდება. კერამიკული მონაცემები დანიშნულების მიხედვით, ჯგუფებად არის გაერთიანებული, რადგან სწორედ ფუნქცია განაპირობებს ჭურჭლის გარეგნულ სახეს [იხ. ბოჭორიშვილი 1949: 59]. გამოყოფილია შემდეგი ჯგუფები: სამეურნეო (ქვევრი, დერგი), სამზარეულო (ქოთანი, ქვაბი, ბადია, ხუფი, სანური), სუფრის (დოქი, სასმისი, ლანგარი, თეფში, ჯამი, თასი, ტოლჩა, სამარილე), სამგზავრო (მათარა), სავაჭრო-სატრანზიტო (ამფორა), დეკორატიული (ლარნაკი), რიტუალური (ე.წ. თიმიატერიონი, რიტონი). ეს დაყოფა პირობითია, რადგან ამა თუ იმ ჯგუფის ჭურჭელი სხვა დანიშნულებითაც შეიძლება გამოყენებული. აგრეთვე, კერამიკული წარმოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე თიხის ჭურჭლის სხვადასხვა სახეობა, ან ტიპი დომინირებს.

ქვევრი, სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი, ყველა დროის მუდმივი სახეობაა. ჭურჭლის ეს სახეობა მისი ფორმის ჩამოყალიბების დროიდან მოკიდებული დღემდე მზადდება და მოიხმარება საქართველოში მისი ძირითადი ფუნქციით. ქვევრი კოლხეთში ძვ.წ. VII ს-დან დოკუმენტურად დასტურდება. ამის შემდეგ ხანგრძლივი დროის მანძილზე, მორფოლოგიური ცვლილებების მიუხედავად, რომლებიც ყოველთვის გარკვეული ეპოქის სტილს გამოხატავს, უცვლელია ქვევრის ფორმის ძირითადი პრინციპი — ვიწრო ყელი, ვიწრო ძირი და სხვადასხვა პროპორციის განიერი კორპუსი (სფერული, ე.წ. კვერცხისებური, მხრებგანიერი, ძირისკენ მკვეთრად დავიწროებული). აქაური ქვევრების

უადრესი ნიმუშებისათვის (ძვ.წ. VII-VI სს) დამახასიათებელია ვინრო პირი და განიერი (ზოგჯერ თითქმის სფერული) კორპუსი, რომელიც მკვეთრად ვინროვდება ბრტყელი ძირისკენ. ამ ჭურჭლის სპეციფიკური ნიშანია პროფილირებული პირის გვირგვინი, რომლის გარეთა გვერდი ზოგ შემთხვევაში ორფერდაა და დაფარულია დაკბილული შტამპით გამოყვანილი ე.წ. წინვისებური ორნამენტით, ხოლო მხრებიდან ძირისკენ ეშვება სწორი ან ირიბიად დახრილი კანელურები [იხ. Куфтин 1950: 193, სურ.49ა,1]; ხშირად, გვირგვინის გარეთა გვერდი დაფარულია ირიბი ღარებით. ჭურჭლის ყელს ხშირად ირგვლივი ღარები და მათ შორის გამოყვანილი ქედები შემოუყვება. ეს ნიშანი — ირიბი ღარები გვირგვინის გარეთა გვერდზე, ყოველთვის მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული — დამახასიათებელი მომენტია ამ ხანის, წინარეანტიკური ეპოქის კერამიკისათვის, ისევე როგორც ირგვლივი განიერი ღარები და მათ შორის გამოყვანილი ქედები სხვადასხვა ზომის ჭურჭლის ყელზე. ეს ღარები პირის გვირგვინებზე ხშირად დაკბილულად შტამპითაა დატანილი, სხვადასხვა სიხშირის კბილანებიანი ტვიფრით. ჭურჭლის მხარი სხვადასხვანაირად არის შემკული: გვხვდება ურთიერთსანააღმდეგოდ მიმართული ღრმა ღარების რიგები, რომელთა ზედა მწკრივზე დაძერწილია წრიული, დაბრტყელებული, რელიეფური კოპები. არის — კოპებსა და ღარებს შორის დაშტრიხული სამკუთხედები; ზოგჯერ მხარი კონცენტრული წრეებით შედგენილი სარტყლითაა შემკული. ღარებისა და წრეების კვეთა ღრმაა, ღარების ბოლოები მომრგვალებულია; კონტურები მკვეთრია და ორნამენტი რელიეფურ იერს იძენს. მხარზევე ვხვდებით ირგვლივი ღარებითა და ტალღოვანი ხაზებით შედგენილ სარტყელს; ასევე სამკუთხედებით, ირგვლივი ღარებითა და ტეხილი ხაზებით შედგენილ სარტყელს, საიდანაც მთელ კორპუსზე ძირამდე ეშვება კანელურები. გვხვდება კორპუსზე ირიბი ღარებითა და ბადისებრი ნახატი დაფარული ირგვლივი და შვეული ქედები.

ქვევრს მეურნეობაში იყენებდნენ მარცვლეულის, ზეთის, ღვინის შესანახად; მომდევნო პერიოდში კი ამ ჭურჭლის ძირითადი ფუნქცია ღვინის დაყენება და შენახვა იყო [ვაშაკიძე და სხვ. 1975: 93-96]. გარდა ამისა, გარკვეულ ეპოქაში ეს დიდი ზომის ჭურჭელი ზოგჯერ გამოიყენებოდა მიცვალებულთა დასაკრძალად, ე.წ. ქვევრსამარხად. ქვევრის ფორმის სტანდარტიზაცია ძვ.წ. VII ს-ის დასასრულიდან ივარაუდება და მის ძირითად ფუნქციად ღვინის დაყენება-შენახვაა მიჩნეული, რაც მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული; ამავე დროს არ გამორიცხავენ, რომ ქვევრი სხვა პროდუქტების შესანახავად და ტრანსპორტირებისთვისაც გამოიყენებოდა [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 91. მიქელაძე 1974: 62; ბოხოჩაძე 1963: 114-149; ვაშაკიძე და სხვ. 1975: 93-96]. ძვ.წ. VI ს-დან საგრძნობლად იზრდება ქვევრის პოპულარობა. ამ ხანიდან მოკიდებული დასავლეთ საქართველოში არ მოიძებნება ისეთი ნამოსახლარი, სადაც დიდი რაოდენობით არ იყოს წარმოდგენილი კოლხური ქვევრების ფრაგმენტები. ეს პერიოდი აღინიშნება ქვევრის წარმოების მკვეთრი გადიდებით; მექვევრეობა წარმოგვიდგება, როგორც კერამიკული ხელოსნობის ჩამოყალიბებული ცალკე დარგი. ამ პერიოდის ქვევრებისათვის, შედარებით უკეთ დაცული ნიმუშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დამახასიათებელია გადაშლილი, მასიური, პროფილირებული, ორნამენტირებული პირის გვირგვინი; ზემოთკენ დაფართოებული, შეზნექილი (იშვიათად სწორი) ყელი; გამოყვანილი მხრები; გამობერილი კორპუსი, რომელიც თანდათან ვინროვდება ბრტყელი ძირისკენ; ძირი ტანისგან არ არის გამოყოფილი, იშვიათად გვხვდება ძირგამოზიდული ნიმუშებიც. ქვევრების ცალკეული სეგმენტები მდიდრული ორნამენტითაა შემკული. ასეთი ქვევრები მინაში არ იდგმებოდა [იხ. ვაშაკიძე და სხვ. 1975: 95]. ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია ღარებისა და ქედების კომბინაციით შექმნილი ორნამენტით: კორპუსს მაქსიმალური დიამეტრის ადგილას შემოუყვება ირგვლივი ღარებით შედგენილი სარტყელი, რომლიდანაც ორივე მხარეს — ძირისკენ და მხრისაკენ — მიემართება რელიეფური (შვეული ან ირიბი) ქედები, ხშირად ლილაკისებური დანაძერწებით სარტყელთან. ზოგჯერ ამ ნახატს ემატება ერთიმეორეში ჩასმული ნალისებური მოყვანილობის ქედები, ხოლო მათზე, როგორც წესი, დაკბილული შტამპით დატანილია ირიბი ნაჭდევეები. ხშირად ქვევრს ყელზე ქედები

შემოუყვება. ქედები კორპუსზე სხვადასხვა სახისაა — დაბალი, მაღალი, ნანვეტებულზედაპირიანი; ქედებითვე გამოყვანილი კონცენტრული წრეები.

ამ ხანის ქვევრებს აქვთ სპეციფიკური ფორმის პირის გვირგვინები, რომლებიც დეკორთან ერთად კოლხური კერამიკის განვითარების აღნიშნული საფეხურის მახასიათებლებად გვევლინებიან. გვირგვინის პროფილების მიხედვით ჩანს, რომ ძვ.წ. VI-V სს-ში თანაარსებობს ორი ძირითადი ტიპი — ოთხკუთხაგანივკვეთიანი და განივკვეთში სამკუთხა მოყვანილობის — გარკვეული ვარიაციებით. ასევე მყარია პირის გვირგვინის გვერდების შემკულობა — რომბული ბადისა და წინვისებური ნახატის სხვადასხვა კომბინაცია, ერთი მხრივ, და ტალღისებური და ჯვარედინი ხაზებისა, მეორე მხრივ. წინვისებური ორნამენტი და მისი დიდი ზომის ჭურჭლის პირის გვირგვინზე დატანის ტრადიცია წინამორბედი ეპოქის გამოძახილია, ხოლო გვირგვინის სამკუთხა განივკვეთი და მისი რომბული ბადით ან ტალღოვანი და ჯვარედინი ხაზებით შემკობა ამ ეპოქის სიახლეა. ის საკმაოდ მდგრადი ფორმაა და თითქმის უცვლელი სახით არსებობს ორი საუკუნის მანძილზე [ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 20-21; გამყრელიძე 1982: სურ. 36-38]. ორნამენტი დაკბილული იარაღით არის დატანილი, დახვეწილია, კვეთა არ არის ღრმა; გვირგვინზე ნახატი იშვიათად დაუდევრად არის შესრულებული. მოგვიანო ხანაში შემკულობის ეს მოტივები ქვევრის პირის გვირგვინებზე ქრება, თვით ქვევრებიც აღარ არის ასე მდიდრულად ორნამენტირებული [ვაშაკიძე და სხვ. 1975: 100].

ქვევრების დამზადების პროცესი: ქვევრის ძირი მბრუნავ ჩარხზე კეთდება, მისი შემდგომი კედელი კი შენდება ნაწილ-ნაწილ; ქვევრის ახალამოყვანილ კედელს ხელისფიცრით ლესავენ ორივე მხრიდან [იხ. ბოჭორიშვილი 1949: 116-120]. ასეთი მოლესვის კვალი ძვ.წ. VI-IV სს-ის ქვევრების კედლებზე მკაფიოდ ჩანს როგორც ჭურჭლის გარეთა, ისე შიდა მხარეს. შემდგომ, გამომშრალ ქვევრს კერამიკულ ქურაში გამოწვავდნენ. ლაბორატორიული კვლევით გაირკვა, რომ ე.წ. კოლხური ქვევრები 750-800° ტემპერატურაზეა გამოწვარი [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 16]. მათი ტექნოლოგიური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ე.წ. კოლხური ქვევრის თიხა მარცვლოვანია, კეცი გაულექავია, მომზადებულია სპეციფიურად დამუშავებული თიხისაგან. ქვევრის გამოწვარი თიხოვანი მასა სხვადასხვა პროცენტით შეიცავს რკინას, მინდვრის შპატის, კვარცის, ქარსისა და პლაგიოკლაზის მინარევებს. საყურადღებოა, რომ ეს შემადგენლობა დამახასიათებელია კოლხური კერამიკის სხვა სახეობებისთვისაც [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 138-139; ვაშაკიძე და სხვ. 1975: 97]. ამ ხანის ქვევრები, გადანატეხში, მოყავისფრო ან მორუხოა; შავზედაპირიანები, ხშირად მოვარდისფრო შიდა მხრით. ლაბორატორიული დაკვირვებით, კეცის ფერზე გავლენას ახდენდა რკინის ჟანგეულების ცვალებადობა. ამგვარი ქვევრების სიმაღლე ზოგადად 80 სმ-სა და 120 სმ შორის მერყეობს, პირის დიამეტრი 25-45 სმ შორის, ძირისა — 17-30 სმ შორის, კეცის სისქე — 1სმ-დან 3სმ-მდე.

შემდეგ ქვევრმა თანდათანობითი ევოლუცია განიცადა. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან, განსხვავებით ადრინდელი ნიმუშებისაგან, რომლებისთვისაც დამახასიათებელია განიერი კორპუსი და ფართო, ოდნავ ბრტყელი მხრები, მოგვიანო ქვევრებს გაუჩნდათ მომრგვალებული მხრები და კვერცხისებური მოყვანილობა. განსხვავებულია პირის გვირგვინი, ესოდენ ტიპიური სეგმენტი ადრინდელი ქვევრებისა, ვითარდება გამარტივების გზით: ის შემსხვილებულია და ირგვლივი ღარებითაა პროფილირებული; გვირგვინზე აღარ არის წინვისებური ნახატი, რომბული ბადე, ტალღოვანი ორნამენტი, ასევე ტვიფრით დატანილი წრიული მოტივები; შემკულობის გამარტივება არაერთბაშად, თანდათან ხდება — ძვ.წ. IV ს-ში ჯერ კიდევ ვხვდებით რელიეფური ქედებით გამოყვანილ სახეებს, რომლებიც შემდეგში ქრება, ასევე ქრება რელიეფური სარტყლები. ძვ.წ. III-I სს-ში ორნამენტი უკვე ცოტაა, გვხვდება სადაზედაპირიანი ნიმუშებიც. ეს მოვლენა იმითაა ახსნილი, რომ ამ დროიდან ქვევრები, ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე, უკვე მინაშია ჩადგმული. მათი ძირითადი ფუნქცია კვლავ ღვინის დაყენება-შენახვაა [ვაშაკიძე და სხვ. 1975: 98-100, ტაბ. XV-XVI]; პარალელურად ძვ.წ. IV-III სს-ში ცენტრალურ კოლხეთში საყოველთაოდ ვრცელდება

ხმარებიდან გამოსული ქვევრის სამარხად გამოყენების წესი [იხ. Куфтин 1950: 20-34]. მარცვლეულით სავსე ქვევრები ფიქსირებულია ძვ.წ. II-I სს-ის საკულტო კომპლექსებში [მათიაშვილი 2013: 53, 109-110, ტაბ. XIII-XIV]. ამ პერიოდში ქვევრებზე გარკვეული ნიშნები ჩნდება. ისინი დატანილია ჭურჭლის ყელისა და მხრის მიჯნაზე, წვეტიანი იარაღით, სველ თიხაზე გამოწვამდე; არის რელიეფური ნიშნებიც. ნიშნები რამდენიმენაირია: სოლარული — სვასტიკა, ჯვარი, სამთითა, რქები; სტილიზებული — ადამიანის, ცხოველის, ფრინველის გამოსახულებები; ასოსმაგვარი ნიშნები [იხ. ვაშაკიძე და სხვ. 1975: 103, ტაბ. XXVIII-XXIX; მათიაშვილი 2013: 54, ტაბ. XIII].

ახ.წ. I ს-დან ქვევრის ტიპი იცვლება: ერთი მხრივ გვხვდება სადაზედაპირიანი ქვევრები [იხ. მინდორაშვილი 2014: IV, ტაბ.X,8; II, ტაბ.XII,34], ხოლო პარალელურად სპეციფიკური მოყვანილობისა და შემკულობის მქონე ნიმუშები. ახ.წ. III-Vსს-ში აქ გავრცელებული ნიმუშები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მონითალოდ; აქვთ გამობერილი, ძირისკენ თანდათან დავიწროებული კორპუსი; ოთხკუთხაგანივკვეთიანი და სადა პირის კიდე; ყელზე ზოგჯერ ვერტიკალურად განლაგებული ტალღისებური ხაზებით შედგენილი ზოლებია; მხარი დაფარულია ახლოს მიჯრილი ტალღოვანი ხაზებით შედგენილი განიერი სარტყლით.

დერგები: ქვევრებთან ერთად დერგებიც სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლია. ისინი პროპორციებით ქვევრებზე უფრო მცირე, ხოლო ქოთნებზე უფრო დიდი ზომისანი არიან. ძვ.წ. VII ს-ის დერგების მიხედვით მათში გამოიყოფა რამდენიმე ტიპი. ცალკე ჯგუფს ქმნიან სხვადასხვა ზომის ერთგვაროვანი დერგები, რომელთაც აქვთ სწორი, გადაშლილი და სადა პირი, რომლის სიგანე ზოგ შემთხვევაში აღემატება დერგის კორპუსის სიგანეს. დერგის კორპუსის ყველაზე განიერი ნაწილია მხრები, აქედან ის თანაბრად ვიწროვდება ბრტყელი ძირისკენ. ზოგჯერ პირის კიდიდან მხრებამდე ირგვლივ ღარებია. მხრებიდან ქვემოთ ეშვება კანელურები ან ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული მოკლე ირიბი ღარების რიგები. ხშირად მხარზე დაძერწილია შვერილები [იხ. თოლორდავა 2001: ტაბ.I,15].

ძვ.წ. VI-IV სს-ში, გავრცელებულია უკვე განსხვავებული ტიპის დერგები. აქ ვხვდებით ე.წ. ქვევრის ტიპის თხელკედლიან დერგებს, რომლებიც მოყვანილობით და შემკულობით თანადროული ქვევრების გამეორებაა, განსხვავებაა მხოლოდ ზომებში; პარალელურად ჩნდება ახალი ფორმები — ორყურა, ვიწროპირიანი დერგები ე.წ. ბიკონუსური ტანით (რაც ამ ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია). ასევე ფართოპირიანი ორყურა დერგები, ბიკონუსური მოყვანილობის, თარაზულად მიმაგრებული ყურებით და ტანზე შვეული პრიალა ზოლებით. ძვ.წ. III-I სს-ის დერგები სხვადასხვა ზომის, მომრგვალებულტანიანი, სადაზედაპირიანი, ყურიანი ან უყუროა [იხ. მათიაშვილი 2013: 52-53, ტაბ. XXXII-XXXIV].

ქოთანი, ე.წ. კოლხური კერამიკული, სამზარეულო ჭურჭლის ყველაზე გავრცელებული სახეობაა. ძვ.წ. VIII-IV სს-ის კერამიკაში ქოთნები საკმაოდ მრავალფეროვანი ფორმებით არის წარმოდგენილი: ადრეულ ეტაპზე, ძვ.წ. VIII-VII სს-ში კანელურებიანი ქოთნებია გავრცელებული; ასევე ფართოპირიანი ნიმუშები; პირგადაშლილი ქოთნები, შემკული ასტრალური ნიშნებით; ცალყურა და ორყურა ქოთნები, დანაძერწით ყურზე, როგორც სადა, ასევე ორნამენტირებული — ქოთნის კორპუსის ზედა ნაწილი შემკულია ტეხილი ხაზების სამი რიგით შედგენილი სარტყლით; გვხვდება უყურო, თითქმის სფერულტანიანი, პირფართო და ვიწროპირიანი ეგზემპლარები [იხ. თოლორდავა 2001: 38, ტაბ.I, 10, 13, 14, ტაბ.IV,9-17]. მომდევნო, ძვ.წ. VI-IV სს-ში, გვხვდება სხვადასხვა ზომის, ორყურიანი ქოთნები, ბიკონუსურტანიანი ცალყურა ნიმუშები და სხვ. უმეტესობას გაპრიალებული ზედაპირი აქვს, ყელი შემკულია სხვადასხვა ორნამენტით: ირგვლივი ღარებით, ტალღოვანი ხაზებით, წინვისებური ქდეებით; მხარზე გვხვდება ირიბი ღარები, რომბული ბადე; ტანზე გამოყვანილია პრიალა შვეული ზოლები და სხვ. [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 28-31; გამყრელიძე 1982: 63-67; პაპუაშვილი და სხვ. 2005: 16, ტაბ. XIII. კახიძე 2007: 128]. ამ პერიოდის ქოთნებთან დაკავშირებულია — **ხუფები**, რომლებიც ორი ტიპისაა: ე.წ. ჯამისებური და დისკოსებური ხუფები [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 32-33, სურ. 51-52]. ჯამისებრი ხუფები განსხვავებული დიამეტრისანი არიან. მათ შუაში აქვთ სახელური —

ე.ნ. ზოომორფული ყურების მსგავსი დანაძერნი. ძვ.წ. III - ახ.წ. I სს-ის ქოთნებში (სხვადასხვა ზომის, ყურიანი და უყურო, მომრგვალებულტანიანი, სადაზედაპირიანი, სპეციფიკური მახასიათებლების არარსებობის გამო, ქრონოლოგიური განვითარების სურათი არ შეინიშნება [იხ. მათიაშვილი 1977: 68. მათიაშვილი 2013: 52-53, ტაბ. XXXII-XXXIV].

სანურები სამზარეულო კერამიკის ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნიან. სანურები წარმოადგენს ღრმა ჯამისებური მოყვანილობის ჭურჭელს, რომლის კედლები და ძირი გამჭოლი ნახვრეტებითაა დაფარული [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 31-32, სურ. 50-51. პაპუაშვილი და სხვ. 2005: 16, ტაბ. XIV, 6-9].

სასმისები ე.წ. კოლხური კერამიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ჭურჭლის სახეობაა. მათ ფართო გავრცელებას ძვ.წ. VII-IV სს-ში, ქვევრების მსგავსად, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას უკავშირებენ. სუფრის ჭურჭლის ეს სახეობა მკაფიოდ ჩამოყალიბებული და მხოლოდ ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი ფორმით გამოირჩევა. ძვ.წ. VII ს-ში ე.წ. ძირწვეტიანი სასმისებია გავრცელებული. მათი ტანი პირიდან ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება; ზედა ნაწილზე მიმაგრებული აქვთ ე.წ. ზოომორფული ყური. არის სადაზედაპირიანი და ორნამენტირებული ნიმუშები; ხშირია კანელურებიანი სასმისები, ასევე რომბული ბადით და ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ირიბი ღარების რიგებით შემკული ეგზემპლარები [მიქელაძე 1974: 62, ტაბ. VI, 12. გოგაძე 1982: ტაბ. 41, 508. თოლორდავა 2001: ტაბ. I, 8]. ძვ.წ. VI-IV სს-ში სასმისების რამდენიმე ტიპი ვრცელდება. ცალკე ჯგუფს ქმნიან ე.წ. ჭიქისებური სასმისები — ცალყურა, პირფართო, ძირისკენ დავიწროებული ჭურჭლები; მათი კორპუსის შემკულობის მოტივებია რელიეფური საღებები, ირგვლივი ღარებით შემოსაზღვრული ტალღოვანი ხაზების სარტყელი, საღებებისა და ტალღოვანი ნახატის კომბინაცია [მიქელაძე 1974: 62, ტაბ. IX. ლორთქიფანიძე სხვ. 1981: 38, სურ. 58; გამყრელიძე 1982: 63-67, სურ. 36-38]. ტიპიურია ამ პერიოდისთვის აგრეთვე ე.წ. ცილინდრულტანიანი სასმისები — ცალყურა, ცილინდრის ფორმის ტანით, რომელიც ძირთან ბრტყელია და გამოზიდული, თითქოს სიმყარისთვის შექმნილი სადგარია. ეს გამოზიდულობა ზოგჯერ კონუსური გაფართოებით არის შეცვლილი, რის გამოც ასეთ ნიმუშებს კონუსურტანიანებადაც მოიხსენიებენ. ამ ჯგუფის სასმისების ტანი მთლიანად დაფარულია ტალღოვანი ორნამენტით, რომელიც ირგვლივი ღარებით მონაკვეთებადაა დაყოფილი. გავრცელებლი აგრეთვე ცალყურა ფეხიანი სასმისები — მათი კორპუსი მკვეთრად ვიწროვდება ძირისკენ და გადადის წრიულ სადგარში; გაპრიალებული ტანი დაფარულია ირგვლივი ღარებით. გვხვდება კათხისებური სასმისებიც [ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 41, სურ. 61, 63; გამყრელიძე 1982: სურ. 14].

ძვ.წ. III-I სს-ში, ადგილობრივ კერამიკულ წარმოებაში ჩნდება სუფრის ჭურჭლის უცხოური, ბერძნულის მსგავსი ფორმები. მზადდება უფრო თხელკედლიანი, ნატიფი სასმისები — ე.წ. კანთაროსის ტიპის ორყურა თასები — დაბალი, სწორკედლიანი, გამოყვანილი ძირითა და რელიეფური დანაძერნებით დაბრტყელებულ ყურებზე; გვხვდება როგორც სადა, ისე ორნამენტირებული ცალები, შემკული წნეხვით გამოყვანილი რობული ბადითა და წერტილებით. ასევე დამახასიათებელია ამ ხანის დასავლეთ საქართველოს თიხის ნაწარმისთვის ცალყურა ტოლჩები. ამ ტიპის ადრეულ (ძვ.წ. VII ს-ის) ჭურჭელს აქვს სადა სწორი პირი, ოდნავ გამოყოფილი ყელი, ბრტყელი ძირი და ე.წ. ზოომორფული, ზოგჯერ მარყუჟისებური ყური. მათთვის დამახასიათებელია თანაბარი სიგანის ვერტიკალური კანელურებით დაფარული, გაპრიალებულზედაპირიანი კორპუსი [იხ. მათიაშვილი 1977: 62-63, ტაბ. XXI, 13. ფირცხალავა და სხვ. 1986: 70, სურ. 50, 5].

ძვ.წ. VIII-VII სს-ში საშუალო და მცირე ზომის ჭურჭლისთვის ტიპიურია სპეციფიკური ფორმის **ყურები**, რომლებიც თიხის ჭურჭლის განვითარების მხოლოდ ამ ეტაპზე გვხვდება. გამოიყოფა რამდენიმე განსხვავებული ჯგუფი. ერთი ჯგუფის ნიმუშებს ზედა ბოლოზე განივად დაძერნილი აქვთ ლილვაკისებური ბოლოებნაკვეთილი და შუაში ჩაღრმავებული დეტალი — წინარე ხანის რქისებურშვერილიანი ე.წ. ზოომორფული ყურების სტილიზაციის ახალი ვარიანტი; არის სადა და განივი ჭდეებით დაფარული ნიმუშები. ამ ტიპის ყურები ძირითადად საშუალო ზომის ჭურჭლის კუთვნილებას წარმოადგენს; ესაა სხვადასხვა

ქოთნები, სასმისები, დოქები. ასევე ტიპიურია ე.წ. ბრტყელზურგა, მრგვალნახვრეტიანი ყურები; ისინი სადაა, იშვიათად შემკულია ირიბი ღარებით და პატარა და საშუალო ჭურჭლის კუთვნილია. ორივე ჯგუფის ყურები გვხვდება კანელირებულ ჭურჭელზე, რომელიც ასე დამახასიათებელია ამ ეტაპისათვის. არის მორკალული, სადა ყურებიც, სქელკედლიანი დიდი ზომის ჭურჭლის კუთვნილი. მომდევნო ხანაში, ძვ.წ. VI-IV სს-ში, ისინი ქრება და ადგილს უთმობს სხვა ნაირსახეობას — მათ დანაძერნები და შვერილები მოხრის ადგილზე აქვთ მოთავსებული [იხ. მიქელაძე 1974: 56, ტაბ. VI, 2,3,6-12. თოლორდავა 2001: 38, ტაბ. 1,3-8, ტაბ. IV, 9-17 ; ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 49, სურ. 72, 73, 7].

ჯამ-ფიალების ტიპის ჭურჭელი: ძვ.წ. VII ს-თვის ეს არის პირფართო, გადაშლილი, ზოგჯერ პირმოყრილი, თხელკედლიანი, ბრტყელძირიანი ჭურჭელი. მათ შორის გამოიყოფა ნიმუშები, რომელთა კალთა მთლიანად დაფარულია ირგვლივი ღარებით, ხოლო პირის კიდეზე ტალღოვანი ღარები შემოუყვება. ძვ.წ. VI-IV სს-ის ჯამები მრავლადაა წარმოდგენილი ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე. არის სხვადასხვა ზომის პირგადაშლილი და პირმოყრილი ნიმუშები. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია ბრტყელი ძირი, რომელიც თანდათან გამოყვანილ ფორმას იძენს და ძვ.წ. IV ს-ის შუახანებისათვის ჯამს უკვე ქუსლი უჩნდება [იხ. თოლორდავა 2001: ტაბ. I,3]. ძვ.წ. III-I სს-ში გავრცელდა კალთადახრილი და კალთამომრგვალებული, პირმოყრილი ნიმუშები გამოყვანილი ძირებით. მათთან ერთად, ჩნდება ბერძნულის ნაირი კერამიკა. მაგ.: მონთალო ფერის, ნაპრიალები, შვეულკიდიანი ჯამები. მონთალო ფერის პირგადაშლილი, გაპრიალებული, ქუსლიანი ჯამები. ისინი მცირეაზიური კერამიკული ფორმების გავლენას განიცდიან. არის აგრეთვე მოყავისფრო, ორყურა ჯამები, რომლებსაც შვეული კიდე, ძირისკენ მკვეთრად დავინრობებული კალთა, გამოყვანილი ძირი და ე.წ. ჩახვეული ჰორიზონტალური ყურები აქვთ [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 132-133, 140, ტაბ. XXXII; მათიაშვილი 1977: 66, ტაბ. XVI, 9,10; XXI, 8,10,12; ფირცხალავა და სხვ. 1986: 68-69, სურ. 51-1,3,8]. ახ.წ. I-V სს-შიც, როცა ადგილობრივ სამეთუნეო ნაწარმში წარმოდგენილი ტრადიციული კერამიკული ფორმების გვერდით ინტენსიურად მზადდება ბერძნულ-მცირეაზიური ნარმომავლობის კერამიკული ნაწარმის მინაბაძები. უფრო მრავლად ადგილობრივი ფორმების გაგრძელებით შექმნილი თიხის ჯამები გვხვდება, როგორც პირგადაშლილი ასევე პირმოყრილი, ქუსლიანი ნიმუშები [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1991: 193, ტაბ. XIV-3; გამყრელიძე 2014: 133, 136-137].

დოქი: კოლხური კერამიკის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია დოქი. საქართველოში ჭურჭლის ეს სახეობა წარმოქმნის მომენტებიდან დღემდე არსებობს ფორმისა და შემკულობის მრავალფეროვანი ვარიაციებით. ფორმათა ამ სიმრავლეში განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან ე.წ. ყურმილიანი დოქები, რომლებიც ძვ.წ. VII-III სს-შია გავრცელებული დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე, განსაკუთრებით პოპულარული კი დოქის ეს ტიპი ძვ.წ. VII-IV სს-შია და ამ ხანის კერამიკის წამყვან სახეობად გვევლინება ქვევრებთან და სასმისებთან ერთად. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძნელად თუ მოიძებნება ამ ხანის ძეგლი, სადაც არ არის აღმოჩენილი ყურმილიანი დოქები (მაგ.: *ფიჭვნარი, ბათუმისციხე, სიმაგრე, რიონისპირა დასახლებები, ერგეტა, სოფ. მთისძირი, შუამთა, დაბლაგომი, დაფნარი, ოჩამჩირე, ქუთაისი, მოდინახე, საირხე, მუხურჩა, მერხეული, ითხვისი, ბრილი* და სხვ.). ამ დოქების განმსაზღვრელი ნიშანია თავისებური ყური, რომელიც შედგება სწორი, მრგვალგანივკვეთიანი მილისაგან და რკალისაგან, რომლითაც მილი ყელს უერთდება. კორპუსის მოყვანილობის მიხედვით დოქები გაირჩევა ბიკონუსურტანიანი და სფერულტანიანი ნიმუშები. ცნობილია სადაზუდაპირიანი და ორნამენტირებული ცალები — ყელი და მხარი შემკულია ირგვლივი ღარებითა და ირიბი ნაჭდევების რიგით. ამ ტიპის დოქები ჯერ კიდევ ძვ.წ. VII ს-ის დასასრულს ჩნდება. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. VI-IVსს-ში კოლხეთში გავრცელებულ ყურმილიან დოქებს აქვთ ბიკონუსური მოყვანილობის ტანი, რაც ამ ხანის კოლხური კერამიკის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად ითვლება, ასე რომ ჭურჭლის ეს სახეობა, წარმომავლობისა და მიუხედავად, ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკის სპეციფიკას განსაზღვრავს [იხ. გამყრელიძე 1982: 63-67, სურ. 36-38].

ყურმილიან დოქებს გარდა სინქრონული ბიკონუსური დოქების მთელი სერიაა წარმოდგენილი კოლხეთში. მათგან ერთი ნაწილი გამოირჩევა ამ დროისთვის სპეციფიკური, დახვეწილი პროპორციებითა და ორნამენტით. დოქებს აქვთ მკვეთრად ბიკონუსური ტანი, რომელიც იმდენად არის განზე გაზიდული, რომ ჭურჭლის დიამეტრი დოქის სიმაღლეს აღემატება. ყურები ხშირ შემთხვევაში პირდაპირ პირის კიდიდანაა აღმართული. აქაც, როგორც ყურმილიანი დოქების შემთხვევაში, ტიპიურია ორნამენტის სარტყლებად განლაგება ჭურჭლის ტანის ზედა ნაწილზე. ძირითადი ორნამენტული სახეებია ღარებს შორის მოქცეული ტალღოვანი ხაზები; წინვისებური ორნამენტის სარტყელი; წერტილებით შევსებული ტრაპეციები, რომლებიც ჭურჭლის მხრებიდან სხივისებურად იშლებიან; წერტილებით შედგენილი ირიბი ხაზების სარტყელი; ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ღარების ირგვლივი რიგები; მხარსა და წელზე — წვერით ზემოთ მიმართული და რომბული ბადით დაფარული სამკუთხედებით შედგენილი სარტყელი, ღილაკებითა და კონცენტრული წრეებით შემოსაზღვრული; ხშირად შემკულია ყურიც: მის მთელ სიგრძეზე დატანილია წერტილების რიგი; წნული ან წინვისებური ნახატი. ძვ.წ. IV ს-დან ბიკონუსური კორპუსი ნაკლებად გაზიდულია, იგრძნობა ტანის მომრგვალების ტენდენცია, ხოლო ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-ში ჩნდება კორპუსის ე.წ. მსხლისებრი მოხაზულობა, მარტივდება ორნამენტი. ბიკონუსურტანიან დოქებს შორის გვხვდება სადაზედაპირიანი, მაღალი დოქები, შედარებით ნაკლებად გაზიდული კორპუსით; მათი ერთადერთი შემკულობაა ირგვლივი ღარები ყელზე, იშვიათად ტანს უდიდესი დიამეტრის ადგილზე შტამპით დატანილი წრეები გასდევს [იხ. კახიძე 2007: 132, სურ. 14,2; 34, 9; 49,5; 84,6; 64,11; 75,4; 64,4; 80,2; მახარაძე და სხვ. 2007: 43, 79, სურ. 11, 12].

დოქის, სუფრის ჭურჭლის ამ სახეობის განვითარებაში ახალი ნიშნები თავს ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან იჩენს. თუკი ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარში დოქებს ჯერ კიდევ შერჩათ ტანის ბიკონუსური, მაგრამ არც თუ მკვეთრი მოყვანილობა, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან დოქების ტიპი იცვლება, ამკარაა მიდრეკილება ნაგძელეული პროპორციებისაკენ — წინა ეპოქის ნიმუშებისგან განსხვავებით ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. III ს-ის დოქებს აქვთ ვიწრო და მაღალი ყელი, ე.წ. მსხლისებური ან სფერული კორპუსი, რომელზეც ძველი ტრადიციიდან გამოყოფილი ტალღისებური ხაზების სარტყელია დატანილი; ხშირად ამ დოქებზე ყელს ქვემოთ სამკუთხა “შევრონების” სარტყელია; ზოგჯერ სფერულტანიანი დოქების ტანი მთლიანადაა დაფარული ტალღოვანი ხაზებით, რომლებზეც ზევიდან დატანილია პრიალა ზოლებით შექმნილი რომბული ბადე. დროთა განმავლობაში დოქის ახალი ფორმები იწერება — ძვ.წ. II-I სს-ში ჩნდება დაბალყელიანი, სფერულტანიანი, სადაზედაპირიანი და წითელი საღებავის სარტყლებით მოხატული დოქები; მათ დიდ ნაწილს აქვს სპეციფიკური ფორმის, ხშირად რელიეფური დანაძერწებით შემკული ბრტყელი, შეწყვილებული ან გრეხილი ყურები; ამ დოქების ერთ ნაწილს სამტურა პირი აქვს. ბერძნული კერამიკული ფორმების გავლენაზე მიუთითებს საღვინე ჭურჭლის — *ოინობოიას* — მიბაძვით შექმნილი კოლხური სამტურა დოქები და შეწყვილებული ყურების არსებობის ფაქტი. საყურადღებოა, რომ დოქებს გარდა, ასეთი ყურები დამონმებულია ასევე წითელი ზოლებით მოხატულ, პელიკის ტიპის ჭურჭელზეც. ამ გარემოებების გათვალისწინებით, კოლხურ მეთუნეობაში ამ ტიპის ჭურჭლის გაჩენა, ისევე როგორც წითელი ზოლებით შემკული კერამიკის ხმარებაში შემოსვლა, ელინისტური ხანის ბერძნული კერამიკის გავლენით არის ახსნილი [იხ. მათიაშვილი 1977: 62].

საყურადღებოა წითელი ზოლებით მოხატული ადგილობრივი წარმოების დოქების ერთი ჯგუფი, რომლებიც ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-შია გავრცელებული და ითვლება ახალი კულტურული იმპულსების მონაწილად [ლორთქიფანიძე 1977: 20]; ესაა მოყვითალო ფერის ანგობზე მონითალო ან მოყავისფრო საღებავით მოხატული დოქები, რომელთაც აერთიანებთ ერთგვაროვანი ფორმა და მოხატულობის საერთო პრინციპი — მათთვის დამახასიათებელია გადაშლილი პირი, ე.წ. მსხლისებური კორპუსი, პირის კიდეა და მხარზე მიერთებული ექვსნახნაგა (ზოგჯერ ოვალური) ყური და ტანის ზედა ნაწილის მოხატვა წითელი ზოლებით შედგენილი გეომეტრიული ორნამენტით; ძირითადად ეს არის

სარტყლები, რომლებსაც ქმნის სამი ან ოთხი ირგვლივი ზოლი, დაყოფილი ირიბი ან შვეული მოკლე ხაზებით; “შევრონები”, შევსებული პარალელური წითელი ზოლებით; ერთიმეორეში ჩახატული სამკუთხედების მწკრივი; რომბული ბადე; ერთიმეორეში ჩახატული რომბების მწკრივი, გაყოფილი ორ ნაწილად ირგვლივი ზოლით; ტეხილი ხაზების რიგები [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 208, სურ. 176; ჭყონია 1986: 109, სურ. 93; გაგომიძე და სხვ. 2006: 43-44, ფ. 31, 32, სურ.14, 15]. ამ ტიპის მოხატული დოქები ცნობილია აღმოსავლეთ კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლებიდან — ითხვისი, ვანი, ასევე გვხვდება ისინი აღმოსავლეთ საქართველოს — თბილისი, კუშჩი, ასურეთი, ტკოცი — ძეგლებზე [იხ. ლორთქიფანიძე 1977: 20].

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოში წარმოებული დოქები გამოირჩევიან განსხვავებული კეციტა და ახალი ფორმებით — ისინი დამზადებულია კარგად განლევილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისაგან; მათი ერთი ნაწილი სფერულტანიანია, მაღალყელიანი, გამოყვანილიძირიანი; ზოგჯერ ყელზე, მხარსა და მუცელზე ირგვლივი რელიეფური ქედებია; მეორე ჯგუფს აქვს ნაგრძელებული მსხლისებური ტანი, დაბალი ყელი და გამოყვანილი ძირი [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1991: 192, ტაბ. II-1; 193, ტაბ. XIV-1, 2]. თავისებურ ჯგუფს ქმნიან ე.წ. *ნებელდური* ტიპის კერამიკის შემადგენლობაში მყოფი დოქები, რომლებიც პირის სპეციფიკური ფორმით (ძაბრისებური) გამოირჩევიან. ახ.წ. II ს-ის ამ დოქებს აქვთ ძაბრისებური, კიდეზე ლილვაკემოვლებული პირი; მხრებგანიერი კორპუსი, თითქმის მთლიანად დაფარული ტალღისებური ხაზებით და გრეხილის იმიტაციით შემკული ყური [იხ. Вороних 1975: 67, სურ.13-6,7].

ახ.წ. IV ს-დან დოქის პირი ფართოვდება და გარეთა მხრიდან ირგვლივი ღარებით იფარება; V ს-ში ტანი ე.წ. მსხლისებური ხდება და VI ს-ში უკვე გაბატონებულია წითელკეციანი დოქები, რომელთაც აქვთ თასისებურად გადაშლილი, გარედან დაღარული სპეციფიკური პირი; მაღალი და ვიწრო ყელი; მსხლისებური მოყვანილობის კორპუსი; განიერი ბრტყელი ძირი; სადა ან შეწყვილებული, ზოგჯერ სამსვეტა ყურები; ტანის ზედა ნაწილი დაფარულია სხვადასხვა სიხშირის ტალღისებური ხაზებით, რომლებსაც ერთვის სხვადასხვა ორნამენტული მოტივები — კონცენტრული წრეები, სპირალი, სათვალისებრი ნახატი, რომბები და სხვ. ზოგ შემთხვევაში ტალღისებური ხაზები [იხ. Вороних და სხვ. 1985: 75-76, სურ. 22, 2-3; 52, 1-44; 53-58; რამიშვილი 2003: 286].

ძვ.წ. VI-IV სს.-ის კოლხური კერამიკის პოპულარულ სახეობადაა აღიარებული ღრმა **ლანგრებად** განსაზღვრული ჭურჭელი. ამ ჯგუფის ნიმუშებისთვის დამახასიათებელია ფართო, გადაშლილი პირი, სხვადასხვა მოდიფიკაციის სამკუთხაგანიკვეთიანი პირის გვირგვინი, რომელიც ფორმითა და ორნამენტით ქვევრების ანალოგიური მოყვანილობის პირის გვირგვინების გამეორებაა. ამ ლანგრების პირის გვირგვინები შემკულია ტვიფრით დატანილი კონცენტრული წრეების რიგებით, დაკბილული შტამპით გავლებული ტალღოვანი ხაზებითა და რომბული ბადით. პარალელურად არის უორნამენტო ღრმა ლანგრები — ბრტყელი, ჰორიზონტალურად გადმოკეცილი განიერი პირის კიდით და ძირისკენ მკვეთრად დავინროებული კალთით. იშვიათი კერამიკული ფორმაა ე.წ. *ლარნაკისებური* ჭურჭელი — უყურო, მკვეთრად ბიკონუსური კორპუსით, პროფილირებული პირის გვირგვინით, შემკული ირიბი ჭდეების სარტყლივით პირსა და ტანის ზედა ნაწილზე [იხ. მიქელაძე 1974: 63, ტაბ. X; მახარაძე და სხვ. 2007: 54-55, სურ. 30].

მათარები: სპეციფიკური ფორმის, წრიული, დაბრტყელებული, ყელიანი, ზოგჯერ ორყურიანი და ზოგჯერ უყურო (ბუდეში ჩასადები) სალაშქრო-სამგზავრო ჭურჭელი [იხ. ჭანიშვილი 2013: 257]. ორნამენტირებულია ჭურჭლის ორივე მხარე. მთელი ნიმუშების მიხედვით ნახატი ჭურჭლებზე არ მეორდება და ამ მხრივ ყოველი მათგანი უნიკალურია; ცნობილია ძვ.წ. V ს. დათარიღებული რამდენიმე მათარა, რომელიც საგანგებო აღნიშვნის ღირსია: ერთ-ერთი მათგანის კორპუსის ორივე მხარეს ამოკანვრით დატანილია სპირალურად ჩახვეული გამოსახულება — სამი პარალელური, ერთიმეორეში ჩახვეული სპირალი; შუა სპირალი მათარის ერთ გვერდზე მტაცებელი ფრინველის ძლიერ სტილიზებული გამოსახულებით სრულდება [იხ. მახარაძე და სხვ. 2007: 97-98, სურ. 94]. სხვა

ნიმუშებზე ვხვდებით ორივე გვერდის შემკობას კონცენტრული წრეებით და ყელის ირგვლივ ღილაკების რიგით [იხ. კახიძე 2007: 128-129, სურ. 72,5; 76,5]. მათარები ძვ.წ. VI-V სს-ის კოლხეთში ფართოდ გავრცელებული არა ყოფილა. მათი უმრავლესობა ძვ.წ. IV-III სს-ის ძეგლებიდანაა ცნობილი. უცვლელია მათი ტანის ფორმა (წრიული, ბრტყელი ან მომრგვალებული ძირით) [იხ. ჭანიშვილი 2013: 257-260].

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან კოლხურ მეთუნეობაში მკვეთრი ცვლილებები ხდება. იცვლება ჭურჭლის ტანის ფორმა — გაბატონებული ბიკონუსური მოყვანილობა ადგილს უთმობს სფერულ ტანს, ხდება პროპორციების დაგრძელება, ჩნდება ქუსლი; ტრადიციულ სახეობათა გვერდით ბერძნული კულტურის გავლენით ჩნდება ჭურჭლის ახალი ფორმები. დავიწყებას ეძლევა კერამიკის ზოგიერთი სახეობა. ნაკლები ყურადღება ექცევა ჭურჭლის შემკობას — რაც წარმოების ინტენსიფიკაციითა და მასობრივ წარმოებაზე გადასვლით აიხსნება. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან ადგილობრივი მეთუნეობის განვითარებაში დგება ხანა, როდესაც კოლხეთში, ტრადიციული სახეობების გვერდით, კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია ბერძნული ფორმების მიბაძვით დამზადებული მცირე არტეფაქტებით. შედარებით ფართო ხასიათი ბერძნული კერამიკული ფორმების დანერგვამ ძვ.წ. III—I სს-ში მიიღო. დოქების, ჯამ-ფიალებისა და თასების შესახებ უკვე აღნიშნული იყო. ამ სახეობებს უნდა დავუმატოთ ე.წ. სათევზე ლანგრები — გარეთ გადახრილი პირის კიდით, ბრტყელი ძირით, წრიულქუსლიანი, ფსკერის ცენტრში რელიეფური ქედით შემოსაზღვრული ჩაღრმავების მქონე ჭურჭლები, ლაკის იმიტაციით დაფარული ან წითელი საღებავით მოხატული; ეს ჭურჭელი ფორმით ენათესავება ელინისტურ სამყაროში გავრცელებულ სათევზე ლანგრებს, რომელთა გავლენითაცაა სავარაუდოდ შექმნილი კოლხეთში; ასევე თეფშები — შვეულკიდიანი, წრიულქუსლიანი, წითლად ან შავად გაპრიალებული, ან წითელი საღებავის ზოლებით დაფარული ჭურჭელი, რომელიც მოყვანილობით ელინისტურ სამყაროში გავრცელებულ წითელი და შავი ლაკით დაფარულ სუფრის ჭურჭელს ჰგავს და ამდენად მის მინაბაძადაა მიჩნეული [იხ. მათიაშვილი 1977: 66-68, ტაბ. XXI, 2-7, 9].

საქართველოს ზღვისპირეთში, ახ.წ. II—V სს-ში, მცირე აზიის რომაული პროვინციების თიხის ნაწარმის ინტენსიური მოზღვავების პარალელურად, ისევე, როგორც გვიანელინისტურ ხანაში, მზადდება თიხის ჭურჭლის ადგილობრივი მინაბაძები — *ოინოხოიები*; *მორტარიუმები*; *პატერები* — საკულტო დანიშნულების ჭურჭელი ცილინდრული ჰორიზონტალური ყურებით [იხ. Трапш 1969: 331-335, ტაბ. III-4, 8,5, XVIII, 3-5; რამიშვილი 2003: ტაბ. 109, 11]. ახალი კერამიკული ფორმებია რიტუალური დანიშნულების ჭურჭლები: მაღალფეხიანი თასი-თიმიატერიონები (წითელი საღებავით მოხატული), *რიტონები*, ე.წ. *დაფანჯრული* ჭურჭელი (წითელსარტყლებიანი).

ძვ.წ. VIIIს.-IVს-ის პირველი ნახევრის ე.წ. კოლხური კერამიკის ორნამენტული დეკორი განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა. შემდეგ თიხის ჭურჭლის ზედაპირის შემკობა გამარტივების გზით მიდის. ძვ.წ. VIII-IVსს.-ის კოლხური კერამიკის ორნამენტს, ის გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ზემოთ მოტანილი, შედარებით უკეთ დაცული კერამიკული ფორმების განხილვისას გამოჩნდა. ვინაიდან დასავლეთ საქართველოს ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე ნაპოვანია ჭურჭლის უამრავი ორნამენტირებული ფრაგმენტი, რომლებიც აფართოებენ წარმოდგენას ამ ხანის კერამიკის შემკულობის მოტივებსა და მათი შესრულების ტექნიკურ ხერხებზე. გამოსახულების დატანისას გამოყენებულია სხვადასხვა ტექნიკა: დაძერწვა, კვეთა, დაშტამპვა, წნეხვა, გაპრიალება. შტამპით დატანილია კონცენტრული წრეები, პატარა ტრაპეციისებური ჭდეებით შედგენილი წრეხაზები, ე.წ. სათვალისებური სპირალი, ირიბი ღარები. დაკბილული შტამპით დატანილია სხვადასხვა სიგანისა და სიღრმის ირიბი და ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ღარები, რომბული ბადე, ხვიები; დაძერწილია ბრტყელი ღილაკები და წვეტიანი კოპები, ქედები. გვხვდება რთული ნახატი — სხვადასხვა ორნამენტული სახის კომბინაცია, კერძოდ, წერტილების, კოპების, ჭდეებისა და ღარების მონაცვლეობა. ამ პერიოდის ადრინდელ ეტაპზე, რომელიც ძვ.წ. VIII-VII სს.-ს მოიცავს, კოლხური კერამიკის განმსაზღვრელი ნიშანია ჭურჭლის ზედაპირის კანელურებით

დაფარვა, ასევე მისი პრიალა ზოლების კომბინაციით შემკობა და გაპრიალება. განსხვავებული სიხშირისა და სიღრმის კანელურებით დაფარულია დიდი ზომის სქელკედლიანი ჭურჭელი, თხელკედლიანი ქოთნები, ტოლჩები, სასმისები. კანელურები მხრიდან ეშვება ძირამდე, ზოგჯერ ძირთან ახლოს წყდება და დარჩენილი არე ჰორიზონტალურ ზოლებადაა გაპრიალებული; სადა ნაწილები, როგორც წესი, ნაპრიალებია; დიდი ზომის ჭურჭლის ძირებზე ხშირია პრიალა ზოლებით შექმნილი ბადისებური ნახატი [იხ. მიქელაძე 1974: 56-57. თოლორდავა 1977: 76].

წინარეანტიკური ხანის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ორნამენტული მოტივია ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ღარების რიგებით შედგენილი ნახატი — როცა დახრილი რიგების რაოდენობა ორზე მეტია, მას ე.წ. *პარკეტულ ორნამენტად* მოიხსენიებენ, ხოლო ღარების ორი რიგი ე.წ. *წინვისებურ*, იგივე ე.წ. *თევზიფხურ* მოტივადაა განსაზღვრული [იხ. Куфтин 1950: 197, სურ. 48-42, 75, 83; 49ა-3; 49ბ-11; ტაბ. 75, 5. თოლორდავა 2001: ტაბ. I, 15; II, 5, 7, 9; V, 12]. ამ ტიპის ორნამენტით, ჩვეულებრივ, შემკულია ჭურჭლის მხარი და კორპუსი მხარს ქვემოთ (როგორც სქელკედლიანი, ისე თხელკედლიანი სხვადასხვა ტიპის ჭურჭლისა), ცალკე, ან სხვა მოტივებთან შეთავსებით (კოპები, ჯვრები, რომბული ბადე და სხვ.). როგორც ზემოთ დავინახეთ, ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული რიგებით შედგენილი ორნამენტით დაფარულია დიდი ზომის ჭურჭლის ე.წ. *ორფერდა პირის* გვირგვინებიც. საინტერესოა, რომ კერამიკული წარმოების განვითარების მომდევნო ეტაპზე, ძვ.წ. VI-IV სს., ეს ნახატი გამარტივებული სახით (ე.წ. *წინვისებური ორნამენტი*) უპირატესად ჭურჭლის პირის გვირგვინებზე გადაინაცვლებს [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 53-54].

ძვ.წ. VIII-IVსს. ასევე პოპულარული მოტივია რომბული ბადის ორნამენტი, რომელიც სარტყლების სახით გვხვდება ჭურჭლის მხარსა და კორპუსზე, როგორც ცალკე, ისე სხვა ორნამენტულ სახეებთან შეთავსებით; ის ხან დაკბილული ტვიფრითაა დატანილი, ხან წნეხვით გამოყვანილი პრიალა ზოლებით არის შედგენილი [Куфтин 1950: სურ. 48, 35; თოლორდავა 2001: 39, ტაბ.V,9]. ამავე პერიოდში ჩნდება ორნამენტის სახეები, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII სს.-ში არ არის ფართოდ გავრცელებული მთელ კოლხეთში, მაგრამ ამ ეტაპისთვის დამახასიათებლადაა მიჩნეული, რადგან ამ ხანისთვის ტიპიური ჭურჭლის შემკულობაში გვხვდება [იხ. თოლორდავა 2001: 39]. პირველ რიგში ეს ეხება კონცენტრული წრეებით შედგენილ ორნამენტს. ნახატს ქმნის საგანგებო ტვიფრით დატანილი ორი ერთიმეორეში ჩასმული წრეხაზი შუაში წერტილით. ასეთი კონცენტრული წრეების ერთი ან რამდენიმე რიგისგან შედგენილი სარტყელი ამკობს დიდი ზომის სქელკედლიანი ჭურჭლის მხარს, მცირე ზომის კანელირებულ ცალყურა კათხებს, თხელკედლიანი ჭურჭლის კორპუსს [Куфтин 1950: 97, 99, ტაბ. 36-1; თოლორდავა 1977: 74, სურ. 57, 20; თოლორდავა 2001: ტაბ.V,22]. მეთუნეობის განვითარების მომდევნო ეტაპზე ეს ორნამენტი უზვადაა გამოყენებული ღრმა, პირგადაშლილი ლანგრების პირების შემკობაში, სადაც პირის გადმოშლილ კიდეც კონცენტრული წრეების ორი ან სამი რიგი შემოუყვება [Куфтин 1950: 95, 96, ტაბ.34-1,3-6]. ყურადღებას იპყრობს ამ მოტივის როლი ცხოველის გამოსახულებიანი სქელკედლიანი ჭურჭლების შემკულობაში: ჭურჭლის მხარის სამ სხვადასხვა ფრაგმენტზე ამოკვეთილი თითო ზოომორფული ფიგურა სწორედ კონცენტრული წრეებისა და ირიბი ღარების კომბინაციით შედგენილ სარტყლებს შორისაა მოთავსებული; წრიულად განლაგებული კონცენტრული წრეებივე ქმნიან ერთიან დისკოს — სოლარულ გამოსახულებას, რომლისკენაც მიემართება ფანტასტიკური არსება, რომლის ტანი მთელ სიგრძეზე, კისრისა და დრუნჩის ჩათვლით, ამ წრეების მწკრივითაა დაფარული [Куфтин 1950: 103-107, სურ. 27-29, ტაბ. 37].

აგრეთვე ორნამენტის იშვიათ სახეებს მიეკუთვნება სპირალური ორნამენტის ვარიანტები — ე.წ. რვიანში ჩანერილი სპირალი და ე.წ. *გადაბმული სპირალის*, ან იგივე ე.წ. *მიკენური სპირალის* სახელით ცნობილი მოტივები [იხ. Kunich 1998: 230-231, სურ. 89 ა,ე]. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ხაზებით შეერთებულ ერთიმეორეში ჩასმულ სპირალურ ხვეულებს; ხვეულები ტვიფრითაა დატანილი, ხოლო გადაბმის ხაზები წვეტიანი

ინსტრუმენტითაა გავლენიანი. შენიშნულია, რომ კოლხური კერამიკისათვის ორნამენტის ეს იშვიათი მოტივები უხვად გვხვდება ბრინჯაოს თანადროულ მხატვრული ხელოსნობის ნივთებზე — *კოლხური კულტურის* გრაფიკული დეკორით შემკულ საგნებზე [იხ. ხიდაშელი 1982: ტაბ. X-XIII, XVI, №17; ფანცხავა 1988: 27, ტაბ. II-IV].

ძვ.წ. VI-IV სს.-ში კოლხური კერამიკის შემკულობის ძირითადი ტრადიციული სახეები: ე.წ. ტალღისებური, წინვისებური, რომბული ბადე, ირგვლივი და შვეული ხაზები, ირიბი ნაჭდევები, კონცენტრული წრეები, ღილაკები, ერთდროულად გვხვდება სხვადასხვა ნაკეთობებზე. ამასთან, კონკრეტულ მორფოლოგიურ ნიშნებს გარკვეული სახის ორნამენტი შეესაბამება. საერთოა ორნამენტის დატანის პრინციპიც — ორნამენტული მოტივების სარტყლებად განთავსება (ქვევრებზე, დერგებზე, ქოთნებზე, დოქებზე, ლარნაკებზე); წინა ეპოქის მსგავსად, ტექნიკური ხერხებიც — წნეხვა, დაკბილული ტვიფრის გამოყენება, გაპრიალება, კვეთა, ძერწვა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე პოპულარულმა ორნამენტულმა სახეებმა — რომბულმა ბადემ და წინვისებურმა ნახატმა — ჭურჭლის ტანიდან პირის გვირგვინებზე (ეს უპირატესად ამ ხანაში საყოველთაოდ გავრცელებულ ჭურჭელს — ქვევრს ეხება) გადაინაცვლა [გამყრელიძე 1982: 63-67].

დასავლეთ საქართველოს მოცემული პერიოდის თიხის ჭურჭლის განვითარებაზე დაკვირვების შედეგად, ჩანს, თუ როგორ ხდება წარსულიდან შემორჩენილი ნაკადების შერწყმა ახალ ფორმებთან. იშვიათი გამონაკლისის გარდა, კოლხურმა კერამიკამ გვერდი აუარა უცხო ფორმების გავლენას და გარკვეულ ხანამდე შეინარჩუნა ტრადიციული თვითმყოფადობა. ის თავისი გზით ვითარდებოდა, ვიდრე ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან და მთელი შემდეგი პერიოდის განმავლობაში არ შემოიჭრა ბერძნული სამეთუნეო ნაწარმის გავლენით შექმნილი სახეობათა ახალი ფორმები. ამ დროიდან კოლხურ მეთუნეობაში მკვეთრი ცვლილებების ხანა დგება. გარდა იმისა, რომ ჭურჭლის ტანის ფორმები ახალ ნიშნებს იძენს (ბიკონუსური მოყვანილობის ნაცვლად გაბატონებულია სფერული ან ე.წ. *მსხლისებრი* ტანი, ხდება პროპორციების დაგრძელება, ჩნდება ქუსლი), ტრადიციულ სახეობათა გვერდით ბერძნული კულტურის გავლენით ჩნდება ჭურჭლის ახალი სახეობები — დასაწყისში ეს არის ძირითადად ადგილობრივად დამზადებული ამფორები, შემდეგში კი, ძვ.წ. III-I სს.-ში, ბერძნული იმპორტის მოზღვავენასთან ერთად, ინტენსიურად ინარმოება ბერძნული კერამიკის მიზაძვით დამზადებული ჭურჭელი. ახ.წ. II-დან კოლხეთში იცვლება პოლიტიკური სიტუაცია: დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი რომის პოლიტიკის გავლენის ქვეშ მოექცა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ე.წ. პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის ჩამოყალიბების შედეგად ამ სისტემაში შემავალი ქალაქები სასაზღვრო მილიტარისტული ხასიათის ციხე-ქალაქებად გარდაიქმნა [იხ. გამყრელიძე 2014: 132]. ეს მოვლენა მატერიალურ კულტურაზეც აისახა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ნაწარმის, უპირატესად კი მცირე აზიის რომაული პროვინციების სანაპირო ცენტრების წარმომავლობის არტეფაქტების მომძლავრებით, რამაც განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი ახ.წ. II-III სს.-ში მიიღო; ამ ხანაში ადგილობრივ სამეთუნეო ნაწარმში წარმოდგენილი ტრადიციული კერამიკული ფორმების გვერდით ინტენსიურად მზადდება მცირეაზიური პროვინციების ნაწარმის მინაბაძები [იხ. გამყრელიძე 2014: 133, 136-137].

რაც შეეხება ძვ.წ. VII-IV სს-ის კერამიკას, როგორც კოლხეთის მატერიალური კულტურის ერთ-ერთ ყველაზე მეტყველ ელემენტს, ის თავისთავადი კოლხური კულტურის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს შეადგენს და კულტურის სხვა მახასიათებლებთან ერთად წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს კოლხეთის ხელოსნური წარმოების ისტორიისთვის. ადრეულ ეტაპზე, ძვ.წ. VIII-VII სს-ში, უკვე გვხვდება ჭურჭლის ყველა ის სახეობა, რომელიც შემდგომი, ძვ.წ. VI-IV სს-ის (ე.წ. ადრეანტიკური ხანის) კერამიკის განმსაზღვრელად ითვლება. ძვ.წ. VI-IV სს-ში წინარე ხანის სამეთუნეო ტრადიციების გაგრძელებასთან ერთად იქმნება დიდი რაოდენობის, რთული ფორმების მრავალფეროვანი სახეობები. ამ ხანის კოლხური კერამიკა, ტიპოლოგიური მრავალფეროვნების მიუხედავად, ხასიათდება გარკვეული ერთიანობით, რაც შემდეგ ასპექტებში ვლინდება: ყველა ჭურჭელი სემეთუნეო ჩარხზეა დამზადებული, დადგენილია თიხის ერთგვაროვანი შემადგენლობა და გამოწვის

ერთნაირი რეჟიმი; განსხვავებული დანიშნულებისა და ფორმის ჭურჭელს აერთიანებს ორნამენტი. ძვ.წ. VI-IVსს თიხის ნაწარმის არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება კერამიკული წარმოების ფართო მასშტაბებსა და ხელოსანთა კარგ პროფესიულ დონეზე მიუთითებს მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. ნათლად ჩანს, რომ ამ ხანაში ხდება ფორმების სტანდარტიზაცია, მეთუნეობის სპეციალიზაცია (მექვევრეობის ცალკე დარგად გამოყოფა), მეთუნეობა სასაქონლო ხასიათს იღებს, რასაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შიდაკოლხური ეკონომიკური კავშირების განვითარებისათვის, ხოლო ამ ხანის თიხის ნაწარმის საყოველთაო გავრცელება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ზღვისპირა ზოლსა და ლიხის ქედს შორის, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დიდსა და მცირე კავკასიონს შორის) თანხვედბა ამავე პერიოდის ხელოსნობის სხვა მნიშვნელოვანი დარგების გავრცელების ზონას და გარკვეულად შეესაბამება კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ-ტერიტორიულ საზღვრებს [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 209-2010].

კოლხური ამფორები: დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმპორტული ამფორები სავაჭრო ტარად ძვ.წ. VII-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება. აქ დადასტურებულია შავიზღვისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის საქალაქო ცენტრებში დამზადებული ამფორები [ფუთურიძე 1976: 79-90]. ძვ.წ. IVს-ის მეორე ნახევრიდან იწყება ადგილობრივი ე.წ. *კოლხური ამფორების* (resp. ყავისფერთიხიანი) წარმოება [იხ. გამყრელიძე 2010: 176-189]. ამ პერიოდისათვის ე.წ. კოლხური ამფორები სინოპურს ჰგვანან. დასავლეთ საქართველოს კოლხური ამფორების მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მონაპოვარში, ფორმის, მოცულობის და თიხის მიხედვით სხვადასხვა ტიპოლოგიური ვარიანტები შეინიშნება [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 137-140; კახიძე 1971: 55-63; ფუთურიძე 2003: 98-109; გამყრელიძე 1982: 96-98; გამყრელიძე 2010: 176-189; Брашинский 1980: ტაბ. XXIII; Внуков და სხვ. 1991: 170-185; ხალვაში 2002: 10-20 და იქ დასახ. ლიტ.]. აგრეთვე სხვაობაა ქრონოლოგიურადაც. კოლხური ამფორები, როგორც ჩანს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არაერთ ადგილას მზადდებოდა. ეს, ადგილობრივი წარმოების ამფორები ძვ.წ. IVს-ის მეორე ნახევრიდან ახ.წ. VIIIს-მდე და შემდეგაც სხვადასხვა მოდიფიკაციით კეთდებოდა. ზოგადად, კოლხური ამფორები ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურად შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1) ძვ.წ. IVს-ის მეორე ნახევრის — IIIს-ის პირველი ნახევრის კოლხური ამფორები სინოპურს გვანან, ოღონდ თიხის ზედაპირი უფრო ხორკლიანია, ფერი კი მოყავისფრო. გვხვდება ღია-მოყავისფრო ეგზემპლარებიც. ადგილობრივი, კოლხური ამფორების კორპუსი კვერცხისებურია, ლილვაკისებური პირი და ცილინდრული ყელი აქვს; ქუსლი წაკვეთილი კონუსისებურია, ცილინდრულთან მიახლოებული; ყურები თანაბრად მორკალური და ჭრილში ოვალურია.

2) ძვ.წ. II-ის-ის კოლხურ ამფორებს ნელზე შეზნეილობა უჩნდებათ; ყელი ცილინდრულია და შედარებით მოკლე; ოვალურგანიკვეთიანი ყურები თანაბრად მორკალური და შედარებით მოკლეა; თიხა ზედაპირზე ხორკლიანია და მოყავისფრო ელფერისაა; გვხვდება ღია-მოყავისფრო ეგზემპლარებიც. საერთოდ, კოლხური ამფორების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ფსკერზე სპირალური ხვია, რომელსაც ზოგი მეცნიერი ე.წ. ვარდულისებურსაც უწოდებს. ამგვარი სპირალური ხვია უცხოური ამფორებისათვის არ არის დამახასიათებელი. კოლხური ამფორების თიხის სტრუქტურა ხაოიან-ფოროვანია. თიხა შეიცავს მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვან ნამცეცებს. შერეულია დიაბაზის და ბაზალტის, პიროქსენიტების, კვარცის, ქარსის, რკინის ჰიდროქსანგის მინარევები და სხვ. ჩატარებულია თიხის მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ანალიზი, რის შედეგადაც დადასტურდა, ადგილობრივი, კოლხეთის სხვადასხვა რეგიონის თიხასთან მათი იდენტიურობის ფაქტი [იხ. მორჩაძე 1979: 81; ფოფორაძე და სხვ. 2006: 220-224]. ძვ.წ. II-ის-ის კოლხური ამფორების ზოგიერთ ეგზემპლარზე გვხვდება ნიშნები. შესაძლოა ისინი ხელოსნის მიერ ამფორის მოცულობას ან რაოდენობას აღნიშნავდეს. კოლხურ ამფორაზე დატანილი ნიშნები ჰგავს ადგილობრივ დამზადებულ ქვევრებზე და

კრამიტზე აღბეჭდილ ნიშნებს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ვანში აღმოჩენილ ერთ-ერთ ადგილობრივ ამფორას ზედაპირი ისევე აქვს დამუშავებული, როგორც ადგილობრივ ქვევრებს — ვერტიკალურ ხაზებიანი ჰორიზონტალური სარტყლებით [Путиридзе 1977: 68-69]. კოლხეთში აღმოჩენილია კერამიკის გამოსაწვავი ქურები, სადაც სხვა ტიპის კერამიკის ნატეხებთან ერთად ამფორების ფრაგმენტებიცაა დადასტურებული. ასეთი ქურა აღმოჩენილია სოფ. *გვანდრასთან* (აფხაზეთი), რომელიც ძვ.წ. IIIს-ისაა. ასეთივე ქურაა სოხუმთან ე.წ. *წითელი შუქურას* ნამოსახლარზე. ქურის ნაშთებია შესწავლილი აგრეთვე სოფ. *გულრიფშის* სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნამოსახლარზე.

ძვ.წ. IIIს. მეორე ნახევრის და ძვ.წ. IIს. კოლხურ ამფორებს ფსკერზე ისევე სპირალური ხვია აქვს. ცილნდრული ქუსლი უფრო სოკოსთავისებრ მომრგვალებულ ფორმას იღებს და ბოლო უფრო შესქელებულია. ზოგი მეცნიერი მას ე.წ. ლილისებურსაც უწოდებს. ამ პერიოდის კოლხური ამფორების კედელი შედარებით თხელია. ამფორებს ტანზე უფრო შესამჩნევი შეზნეილობა უჩნდებათ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს შეზნეილობა ამფორის ხმელეთზე ტრანსპორტირებასთანაა დაკავშირებული. ამგვარად, ამფორას უფრო ადვილად მოედებოდა შეზნეილობაზე ბანარი და უფრო მოხერხებული იქნებოდა ცხენის ან ვირისთვის საპალნედ გადაკიდება. კოლხური ამფორების ტევადობა 13-დან 22 ლიტრამდე მერყეობს. კოლხური ამფორები მრავლადაა აღმოჩენილი ძვ.წ. II-IIIს-ის ნამოსახლარებზე ისტორიული კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე. აქ თითქმის არ არის ამ პერიოდის ნამოსახლარი, სადაც ამგვარი ამფორები არ აღმოჩენილიყო. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ახლა თითქმის ერთხმადაა აღიარებული, რომ ეს ამფორები ადგილობრივი, კოლხური წარმოებისაა. კოლხური ამფორები დადასტურებულია შემდეგ პუნქტებში: *ეშერაში*, ქ. *სოხუმში*, ქ. *ოჩამჩირეში*, მდ. *ენგურის* ხეობაში, ქ. *ფოთის* მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფ. *ურეკში*, მდ. *სუფსა-ნატანების* შუამდინარეთში, სოფ. *ციხისძირში*, ქ. *ქობულეთის* ფიჭვნარში, სოფ. *მახვილაურში*, ქ. *ბათუმში*, სოფ. *გონიოში*, სოფ. *ბუკისციხეში*, სოფ. *გურიანთაში*, სოფ. *დაფნარში*, სოფ. *დაბლაგომში*, სოფ. *მთისძირში*, ქ. *ქუთაისის* მიდამოებში, სოფ. *საგვიჩიოში*, ქ. *ვანში* და მის მიმდებარე ტერიტორიაზე და სხვ. ძვ.წ. II — IIIს-ის კოლხური ამფორები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში სხვადასხვა ნამოსახლარებზეა აღმოჩენილი. ესენია — *გორგიპია*, *კიტეი*, *კეპი*, *ნეაპოლი*, *ქერსონესი*, *დონუზლავი*, *ბელიაუსი*, *კარატობე*, *კერკინტიდა* და სხვ. [იხ. Внукон და სხვ. 1991: 170-185 და იქ დასახ. ლიტ.].

3) ძვ.წ. II — IIIს. კოლხური ამფორების შემდგომი პერიოდის გაგრძელებად ახ.წ. II -III სს. ე.წ. ყელნიბოიანი წელშეზნეილი ამფორები უნდა იყოს, რომლებსაც წაგრძელებული ტანი, თითქმის თანაბრად მორკალული ყურები და ფსკერზე აგრეთვე სპირალური ხვია ახასიათებთ. მათი კედელი შედარებით კიდევ უფრო თხელია და ყელზე, ყურების მიძერწვის ადგილზე გამოხატული ნიბო აქვთ, რომელიც შიდა მხრიდან ოდნავ ჩაზნეილია. ამ ტიპის ამფორები მიკვლეულია — *ბიჭვინთაში*, *სოხუმში*, *ეშერაში*, *წებელდაში*, *ფოთში* (*პალიასტომი*), *ურეკში*, *ქობულეთის* ფიჭვნარში, *ციხისძირში*, *გონიოში* და სხვ. [იხ. ხალვაში 2002: 10-20].

4) ახ.წ. III—IVსს-დან წელშეზნეილი და ფსკერზე სპირალურხვიანი კოლხური ამფორების ახალი ტიპი ვითარდება. ამ ამფორებს ყურები მკვეთრად აქვთ ზედა ნაწილში მოხრილი და ტანი კიდევ უფრო ვიწრო და წაგრძელებული აქვთ. ზოგიერთ ეგზემპლარს ტანზე დაბალი გოფირება უჩნდება. ყურები განივკვეთში ოვალურობას კარგავს და უფრო ბრტყელი ხდება.

ჯვრიანდამლიანი კოლხური ამფორები: 1) ქ. ფოთში, პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაპირთან, ადგილ *ნატეხებში* კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური წრეში ჩასმული ჯვრის დამლით აღმოჩნდა. აქ თიხა-ტორფიანი ფენაა, სადაც ძვ.წ. IV—IIIსს-ის არქეოლოგიური მასალა, კერძოდ, ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის პროფილირებული ქუსლი და როდოსული ამფორის ქუსლი დადასტურდა [იხ. გამყრელიძე 1987: 97-117; გამყრელიძე 2003: 170-185; გამყრელიძე 2002: 70-101; Gamkrelidze 1992a: 101-119; Gamkrelidze 1992: 30-48]. ხსენებული კოლხური ამფორის ყურზე რელიეფური დამლა ზედა მხარეზეა

მკაფიოდ დასმული. ყური ოვალურგანივკვეთიანია. დამლის დმ-1,9სმ და შიგ ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. დამლა ანეპიგრაფიკულია [იხ. გამყრელიძე 2010: 176-189]. 2) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური წრეში ჩასმული ჯვრის დამლით აღმოჩნდა ჩოლოქის ნამოსახლართან, მდ. ჩოლოქის მარცხენა ნაპირზე. თარიღდება ძვ.წ. III ს. ინახება ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზის ფონდში [იხ. ცეცხლაძე, იაშვილი 1991: 58-61]. 3) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური წრიული დამლით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკ. 213-212; სავ. №07:1-04:470. ფენა ძვ.წ. III ს-ისაა. 4) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური წრიული დამლით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკ. 222; სავ. №07:1-74:360. ფენა ძვ.წ. III ს-ისაა [გიგოლაშვილი და სხვ. 1979: ტაბ. 5, სურ. 30]. 5) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური წრიული დამლით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე; ნაკვეთი 67, ცისტერნასთან; სავ. №07:1-79:2067. ფენა ძვ.წ. II-III ს-ის არტეფაქტებს შიგნით. 6) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური წრიული დამლით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკ. 213; სავ. №07:1-03:65. ფენა ძვ.წ. III ს-ის არტეფაქტებს შიგნით. 7) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური მომრგვალებულ მკლავიანი სვასტიკის დამლით; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე; ნაკ. 127-142; სავ. №07:1-04:2287. ფენა ძვ.წ. III-III ს-ის არტეფაქტებს შიგნით. 8) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური ჯვრიანი დამლით; აღმოჩნდა მდ. სულორთან, ვანის ნაქალაქარიდან აღმოსავლეთით, ადგილ *მშვიდობის გორაზე* არქეოლოგიური დაზვერვების დროს; სავ. №07:9-05:34. იქვე დადასტურდა ძვ.წ. III—III ს-ის არტეფაქტები. ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე კოლხური ამფორის კიდევ ერთი ჯვრიანდამლიანი ყური აღმოჩნდა.

ჯვრიანი დამლები დაფიქსირებულია ადგილობრივი წარმოების ქვევრზეც: ქვევრის პირზე წრიული დამლაა, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკ. 222; სავ. №07: 1-74:277. ფენა ძვ.წ. III—III ს-ის არტეფაქტებს შიგნით. ადგილობრივი წარმოების ქვევრის სამკუთხაგანივკვეთიან პირზე დამლაა, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკ. 221; სავ. №07:1-70:329. ფენა ძვ.წ. III-III ს-ის არტეფაქტებს შიგნით. ქვევრის ეს ფრაგმენტი ძლიერ დაზიანებულ ქურასთან აღმოჩნდა [იხ. ცეცხლაძე და სხვ. 1991: 59]. ადგილობრივი წარმოების ქვევრის მხრის ფრაგმენტი, რომელსაც წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის ტვიფრი აქვს. აღმოჩნდა *გურიანთას* ნამოსახლარზე, რომელიც მდ. სუფსის მარცხენა მხარეს (ოზურგეთის მუნიციპ.) მდებარეობს. ფენა ძვ.წ. IV-III ს-ით თარიღდება [იხ. ვაშაკიძე 1971: 17]. დღესდღეობით, ჯვრიანდამლიანი კოლხური ამფორები, დასავლეთ საქართველოს გარდა, არსად არ არის მიკვლეული. ისინი, სტრატეგრაფიული მონაცემების და არტეფაქტების კონტექსტზე დაყრდნობით, ძირითადად ძვ.წ. IV ს-ის მიწურულით — III-ით უნდა დათარიღდეს. დამლებზე, ჯვრის ფორმების გარკვეული სხვადასხვაობა შეიმჩნევა. შემდგომ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მრავლად აღმოჩენილ ძვ.წ. II-III ს-ის კოლხური ამფორების ყურზე და ყელზე, ხშირად სხვადასხვა ნიშნებია ამოკანრული. ჯერჯერობით ამგვარი ნიშნების ოცდაათამდე სახეობაა დადასტურებული. საყურადღებოა, რომ დაახლოებით ასეთი ნიშნები კოლხეთში ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს-დან ქვევრებზე, ხოლო ძვ.წ. III ს-დან კრამიტებზე და სანაფებზეც ფიქსირდება. ისინი, მეცნიერების მიერ, ძირითადად ქვევრების, ამფორებისა და კრამიტების დამამზადებელი სახელოსნოების ნიშნებადაა მიჩნეული [იხ. ფუთურიძე 2003: 102]. ამ ნიშნებს შორის არის ჯვრის ნიშან-გრაფიკოებიც. წრეში ჩასმული წვრილტანა ჯვრიანი დამლები ცნობილია თასოსში დამზადებულ ამფორებზე. მაგრამ აქ მკლავებშია ჩასმულია ბერძნული ასოები [იხ. Брашинский 1980: 233, სურ. 132; Монахов 1999: 233].

დამლის დასმა, ხელშეუხებლობისა და ნივთის ან ჭურჭლის შიგთავსის ვისიმე საკუთრებას ნიშნავდა. დამლა მას, ამ ქონებას, არაკეთილსინდისიერი ადამიანების ხელყოფისაგან სამართლებრივად იცავდა. დამლა დაახლოებით ისეთივე უფლებრივი ნიშანი

იყო, როგორც მონეტაზე გამოსახული ემბლემები. მისი გამოსახვა მხოლოდ გარკვეული წარჩინებული პირების (კოლხეთში — ქურუმი, მეფე, მთავარი) პრეროგატივა იყო. მას ძირითადად სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარჩინებული პირები და მაღალი რანგის მოხელეები ფლობდნენ და იყენებდნენ. ამიტომ, დამლა იურიდიული ხასიათის დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს. წრეში ჩასმული ჯვარი შესაძლოა დასავლეთ საქართველოს რომელიმე ქალაქური დასახლების, რეგიონის უფლებამოსილი წარჩინებული პირის ნიშანია, რომლის დაქვემდებარებაში მყოფი კერამიკული სახელოსნოების ნაწარმი ასეთი ემბლემით იდამღებოდა. ასეთი საქალაქო ცენტრი შეიძლება "ვანი", "ფიჭვნარი" ან ფასისი იყო. ქალაქ ფასისის საშუალებით კოლხეთის ნედლეული და ნაწარმი საერთაშორისო ბაზარზე გაედინებოდა. გამორიცხული არ არის, რომ ეს დამღები მეფის მოხელისაც იყო, რომელსაც ამფორების (ტარის) წარმოების კონტროლი ევალებოდა და გარკვეული პასუხისმგებლობა გააჩნდა ამ ამფორებით გადასატანი სავაჭრო პროდუქციის ხარისხზე. თუკი დიოსკურია-ეშერიდან ძვ.წ. III ს. კოლხური ამფორების ცნობილ დამღებს გავითვალისწინებთ, რომელზედაც ქალაქის სახელია აღნიშნული [იხ. ფუთურიძე 2003: ტაბ.1, სურ.2], მაშინ შესაძლოა, რომ ჯვრიანი დამღაც, რომელიმე სხვა კოლხური ქალაქის ემბლემად ჩაითვალოს, მაგალითად, სავაჭრო ქალაქ ფასისის. აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე და სხვა არტეფაქტების მოშველიება-გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ: ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან — III ს-ის ჩათვლით კოლხეთში მზადდებოდა ამფორები, რომლებზედაც ტვიფრავდნენ უფლებრივ, სავაჭრო დამღებს, ისევე, როგორც ეს ხდებოდა ხმელთაშუა და შავი ზღვისპირა საქალაქო ცენტრებში [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2010: 176-189]. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



იპერიის კერამიკული ჭურჭელი

გ. ნარიმანიშვილი

კერამიკა არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებულ არტეფაქტებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვან მასალას წარმოადგენს. ქვემოთ განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. VI – ახ.წ. V სს. კერამიკის დამზადების ტექნოლოგია, ქრონოლოგია, ფორმოზირ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და სტილისტური დახასიათება [დანვრ. იხ. ნარიმანიშვილი 2017: 21-71; ნარიმანიშვილი 2018: 77-144; Нариманишвили 1991]. ამ პერიოდის კერამიკის კვლევის ობიექტებად შერჩეულია შემდეგი არქეოლოგიური ძეგლები:

აბელია [კვიციანიძე 1975], ასურეთი [კვიციანიძე 1967], ახალსოფლი [Давлиანიძე 1977], ალექსეევკა [კვიციანიძე 1975], ალაიანი [ბოხოჩაძე 1981], ბარგიყარია [აფაქიძე და სხვ. 1955], ბეშთაშენი [დავლიანიძე 1983], გომარეთი [გაგოშიძე 1982; დავლიანიძე 1983], დაშ-ბაში [Куфтин 1941; გაგოშიძე 1982], დაჭრილები [ნაკაიძე 1980], დედოფლის მინდორი [გაგოშიძე 1975], ვარსიმაანთკარი [ნითლანაძე 1983], ვასასწყარო-არკნეთი [ჯაფარიძე 1956], თეთრინწყარო [ბოხოჩაძე 1963], კამარახევი [აფაქიძე და სხვ. 1978; ჯღარკავა 1983], კაზრეთი [სინაურიძე 1985], კვირაცხოვლი [Гамбашиძე და სხვ. 1985], კუშჩი [გაგოშიძე 1982; დავლიანიძე 1983], კარიაკი [დავლიანიძე 1983], კუმისი [Давлиანიძე 1977], კაცითავანა [Апакиძე და სხვ. 1987], მცხეთა [Апакиძე და სხვ. 1982], მარტაზისხევი [აფაქიძე და სხვ. 1955; ნარიმანიშვილი, მანჯგალაძე 1989], მუხათვერდის [Апакиძე და სხვ. 1982], ნარეკვაკი [აფაქიძე და სხვ. 1983], ნასტაკისი [ნარიმანიშვილი 1990], ნერონ-დერესი [გაგოშიძე 1975], სამთავრო [აფაქიძე და სხვ. 1955; ნიკოლაიშვილი და სხვ. 2012], სამადლო [გაგოშიძე 1967; გაგოშიძე 1970; გაგოშიძე 1974; Гагоშიძე 1979]; სამადლოს მინები [Апакиძე და სხვ. 1987]; სანთა [გაგოშიძე 1982], საყარაულო სერი [ჯინჯიხაშვილი 1980; ყაზახიშვილი 1980], ურბნისის [ზაქარაია 1965; ქორიძე 1965], უფლისციხე [ხახუტაიშვილი 1964; ხახუტაიშვილი

1970], *ქასრაანთ* მიწები [ბერაძე 1980], *ღართისკარის* [Апакидзе და სხვ. 1980], *ღრმახევისთავის* [აბრამიშვილი და სხვ. 1980], *შავსაყდარა* [ბოხოჩაძე 1963; კვიციანიძე 1975], *შულავერის* [დავლიანიძე 1975], *შორი* [ტყეშელაშვილი 1969], *ჩხიკვთა* [კვიციანიძე 1973], *ცხრაძმა* [Нариманишвили 1991], *ციხედიდისხევი* [გაგომიძე 1975; Апакидзе და სხვ. 1987], *ციხიაგორა* [Цкитишвили 1977], *წნისისხევი* [კვიციანიძე 1983], *წინამური* [აფაქიძე 1963], *ხოვლე* [მუსხელიშვილი 1978].

აღმოსავლეთ საქართველოს თიხის ჭურჭლების ფორმოზრივ-ტიპოლოგიური დახასიათებისას ჩვენ ის ფუნქციის (დანიშნულების) მიხედვით ხუთ ჯგუფად დავყავით: სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის, სამგზავრო, საზოგადოებრივ-სარიტუალო, რომლებშიც 27 სახის ჭურჭელი გამოვყავით. ჩვენი მიზანია — მოცემულ პერიოდში გავრცელებული კერამიკის ძირითადი ტიპოლოგიური რიგების შემუშავება, თიხის ჭურჭლის ფორმოზრივი განვითარების, ან ახალი ფორმების გამოჩენის ტენდენციის დადგენა. ამის საფუძველზე კი დანაწევრებული ქრონოლოგიის შემუშავება და არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოვლენილი ადგილობრივი კერამიკისათვის დამატარებელი მნიშვნელობის მინიჭება. ფორმოზრივ-ტიპოლოგიური კლასიფიკაციის და ტიპოლოგიური რიგების თანხვედრის საფუძველზე მოცემულ კერამიკაში ცხრა ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყო. მათ გამოყოფას საფუძველად დაედო ჭურჭლების ფორმა, ტექნოლოგია, შემკულობა. ფორმოზრივ-ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შემდეგ გაირკვა თუ რომელი სახეობის და ტიპის ჭურჭლები გვხვდება ამა თუ იმ ქრონოლოგიურ ჯგუფში და როგორია მათი გავრცელება-განვითარების ხაზი. აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკაში ცხრა ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყო: **1.** ძვ.წ. VII – ძვ.წ. VI ს-ის I ნახევარი; **2.** ძვ.წ. VI ს-ის II ნახევარი – ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი; **3.** ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი – ძვ.წ. IV ს-ის I ნახევარი; **4.** ძვ.წ. IV ს-ის II ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი; **5.** ძვ.წ. III ს. – ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი; **6.** ძვ.წ. II ს. – ძვ.წ. I ს-ის I ნახევარი; **7.** ძვ.წ. I ს-ის II ნახევარი – ახ.წ. II საუკუნე; **8.** ახ.წ. III – IV ს; **9.** ახ.წ. V – VII სს. [იხ. ნარიმანიშვილი 2017: 21-71; ნარიმანიშვილი 2018: 77-144].

კერამიკის ფორმოზრივ-ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის გთავაზობთ იერარქიულ სქემას — ჯგუფი, სახე, ტიპი, ქვეტიპი, სახეობა, ქვესახეობა, ვარიანტი, ქვევარიანტი, რომელიც დაცულია ყველა სახის ჭურჭლის კლასიფიკაციის დროს. ამასთან აღსანიშნავია, რომ საფუძველიან კლასიფიკაციას, როგორც ფორმოზრივ-ტიპოლოგიური, ისე ქრონოლოგიის თვალსაზრისით, ექვემდებარება მხოლოდ ის სახეები, რომლებიც მრავალრიცხოვანია და არსებობენ დიდი ხნის განმავლობაში (მაგ.: ქვევრები, დოქები და სხვ.). ზოგიერთი სახის ჭურჭელი თითო-ოროლაა აღმოჩენილი და ამდენად ძნელია ქრონოლოგიურ ჭრილში გავადევნოთ თვალი მათი ფორმის განვითარებას. ზოგიერთი ჭურჭელი კი მიუხედავად მრავალრიცხოვნებისა (მაგ.: ქოთნები, კოჭბები), ძნელად ემორჩილებიან კლასიფიკაციას. ეს ჭურჭელი დიდი ხნის განმავლობაში არსებობს და კონსერვატულობით გამოირჩევა.

კერამიკის ფორმოზრივ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. ფუნქციის ანუ დანიშნულების მიხედვით, მოცემულ პერიოდში დათარიღებული ჭურჭლები ხუთ ძირითად ჯგუფად იყოფა: სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის, სამგზავრო, საზოგადოებრივ-სარიტუალო. ამ ძირითად ჯგუფებში 27 სახის ჭურჭელი გამოიყო: **სამეურნეო ჭურჭელი:** I. ქვევრი; II. დერგი; III. სადღვებელი; IV. თაღარი; V. ლუთერია; VI. ძაბრი; VII. სანური; VIII. ჭრაქი. **სამზარეულო კერამიკა:** IX. ტაფისებური ჭურჭელი; X. ქოთანი; XI. კოჭობი; XII. ქილა; XIII. ბაღია; XIV ხუფი; XV. ჩაფი. **სუფრის ჭურჭელი:** XVI. დოქი, ხელადა; XVII. ტოლჩა/კათხა; XVIII. სასმისი; XIX. ლანგარი; XX. ჯამი; XXI. ფიალა; XXII. ლარნაკი; XXIII. ვაზა/თასი. **სამგზავრო ჭურჭელი:** XXIV. მათარა. **საზოგადოებრივ-სარიტუალო ჭურჭელი:** XXV. ოთხკუთხაბაკოიანი ჭურჭელი; XXVI. უყურო დოქები; XXVII. მილიანი დოქები [იხ. ნარიმანიშვილი 2017: 21-71; ნარიმანიშვილი 2018: 77-144].

სამეურნეო ჭურჭელი. I. ქვევრი. ქვევრის ძირითად დანიშნულებას ღვინის დაყენება, შენახვა წარმოადგეს. ამაზე მიუთითებს სამხრეთ კავკასიაში გათხრილი მარნების სიმრავლე. ქვევრს იყენებდნენ მარცვლეულის და ზეთის შესანახადაც. ქვევრებს, აგრეთვე,

საზოგადოებრივ-სარიტუალო დანიშნულებითაც იყენებდნენ (მაგ. სამადლოს მოხატული ქვევრები). გარკვეულ ეტაპებზე ზოგჯერ, ქვევრს მიცვალებულის დასაკრძალავადაც იყენებდნენ. მოცემული ეპოქის ქვევრები ორ ძირითად ტიპად იყოფა: 1. დაბალყელიანი და 2. მაღალყელიანი. პირველი ტიპის ქვევრებისათვის დამახასიათებელია დაბალი ყელი, ფართო პირი, დაბრტყელებული ან მომრგვალებული და შესქელებული ქობა, გამობერილი მხრები, დაქანებული კალთები და პატარა, ბრტყელი ძირი. მეორე ტიპის ქვევრებისათვის დამახასიათებელია გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, ვიწრო ბრტყელი ძირი. ყველა ქვევრი კარგად განლექილი თიხისაა და მონითალო მოვარდისფროდაა გამომწვარი. ქვევრების ზედაპირი კარგადაა დამუშავებული და გაპრიალებულია, გვხვდება მოხატული ცალები. ნახატი წითელი საღებავითაა შესრულებული. უმეტესწილად გამოსახულია მცენარეული ან გეომეტრიული ორნამენტი, ასევე ნადირობის სცენები; გვხვდება მარტივი და რთული კომპოზიციები. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აგრეთვე გამოვლენილია ე.წ. კოლხური ქვევრები. მაგ. მცხეთასთან, შიომღვიმის მონასტრის სამხრეთით, *გრძელ მინდორზე* გაითხარა მარანი, რომელიც ძვ.წ. II ს. თარიღდება და ძირითადად შავად გამომწვარი, სქელკეციანი, დიდი ქვევრებისაგან შედგება. მათი ტანი რელიეფური ორნამენტითაა შემკული [იხ. ნარიმანიშვილი 2017: 21-71].

II. დერგი. დერგი სამეურნეო ჭურჭლის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა. მას, ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახად იყენებდნენ. მათი უმრავლესობა ნამოსახლარებზეა აღმოჩენილი. სამარხებში დერგი ჩვეულებრივ არ გვხვდება. დერგებში გამოიყოფა სამი ტიპი: 1. ქვევრისებური; 2. ორყურა, გადაშლილპირიანი დერგები; 3. პირსნორი, პირმოყრილი დერგები. დერგის თითოეული ტიპი ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება. მათი ფორმების განსხვავება შესაძლებელია იმით არის გამოწვეული, რომ დერგების პირველი ტიპი სტაციონარულია — ნაწილობრივ მიწაშიც იდგმებოდა. მეორე და მესამე ტიპის დერგები კი გადასაადგილებელია და მათ ყურები აქვთ. სამივე ჯგუფის დერგს ფართო პირი და ბრტყელი ძირი აქვს. პირველი და მესამე ტიპის დერგები კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული, კარგად გამომწვარი და ღია ფერის კეცი აქვს. მათი ერთი ნაწილი მოხატულიცაა. მეორე ტიპის დერგები უმეტესწილად უხემკეციანია რუხი ფერის კეცით [იხ. ნარიმანიშვილი 2017: 21-71].

III. საღვებელი ძირითადად კარაქის დასამზადებლად გამოიყენება. ამ მიზნით უძველესი დროიდან სხვადასხვა მასალისაგან (ტყავი, ხე, თიხა, ლითონი) დამზადებულ საღვებლებს იყენებდნენ. თიხის საღვებლებს გადაშლილი და განიერი პირი, მკვეთრად გამობერილი მხრები, დაქანებული კალთები და ვიწრო ძირი აქვთ. მოცემულ პერიოდში გვხვდება ორყურა, ცალყურა, იშვიათად უყურო საღვებლები.

IV. თალარი. თალარი (ისარნა) ძირითადად მეღვინეობასთან დაკავშირებული დიდი ზომის ჭურჭელია. თალარი უმეტესწილად მარანში საწნახელის წინ არის გამართული და საწნახელიდან გადმოსული წვენის ჩასასხმელად და შემდეგ ქვევრებში გასანაწილებლად არის განკუთვნილი [იხ. მასალები...1979: 148]. თალარი, აგრეთვე გამოიყენებოდა საღებავის ან მარცვლეულის გადასატანად. თალარს ახასიათებს ფართო, ოდნავ გადაშლილი პირი, თითქმის ვერტიკალური კალთები და პატარა ბრტყელი ძირი. ისინი ფორმით დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მცირე განსხვავება შეინიშნება მხოლოდ ქობის გაფორმებაში. ამ ნიშნის მიხედვით თალარები ორ ტიპად იყოფა. პირველი ტიპის თალარებს გადაკეცილი ქობა აქვთ. მეორე ტიპის თალარებისათვის ჰორიზონტალური ქობაა დამახასიათებელი. თალარების პირის დმ 30 სმ-დან 150 სმ-მდე მერყეობს. სიდიდის მიხედვით ჭურჭლებს სამი, ან ორი ჰორიზონტული ყური აქვთ. ყველა მათგანი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, გამომწვარია მოვარდისფროდ და მოხატულია წითელი საღებავით.

V. სარძევე ჭურჭელი (ლუთერიუმი) დიდი ზომის ბადისებური ჭურჭელია, რომელსაც გადმოსაღვრელი აქვს. ძირათადად გამოიყენებოდა სითხის და მარცვლეულის ამოსაღებად, ასევე ერთი რეზერვუარიდან მეორეში გადასატანად. ასეთი ჭურჭლების პირის დიამეტრი 30

– 50 სმ-ს უდრიდა. ლუთერიუმი (სარძევე ჭურჭელი) ძირითადად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული და კარგადაა გამომწვარი. მას ფართო, მოყრილი პირი, მაღალი და დაქანებული გვერდები და დიდი, ბრტყელი ძირი აქვს. მოცემულ პერიოდში გადმოსალვრელის მიხედვით ორი ტიპის ლუთერიუმია გავრცელებული. პირველი ტიპის ჭურჭლებს გადმოსალვრელი პირს ქვემოთ აქვს დატანილი და მილის ფორმა აქვს. მეორე ტიპის ჭურჭლების გადმოსალვრელი ქობაზეა გაფორმებული და პირის გაგრძელებას წარმოადგენს. ასეთ გადმოსალვრელებს ღარისებული ფორმა აქვთ. პირველი ტიპის ჭურჭლები განსახილველი პერიოდის მთელ მანძილზე გვხვდება [იხ. ნარიმანიშვილი 2017: 21-71].

VI. ძაბრი. სულ თიხის ორი ძაბრია აღმოჩენილი. ერთი ხოვლეს ნამოსახლარის I ჰორიზონტს მიეკუთვნება [იხ. მუსხელიშვილი 1978: 59, ტაბ. IX-1431] და ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება, მეორე კი ნარეკავის ნამოსახლარის II ჰორიზონტშია აღმოჩენილი [დავლიანიძე და სხვ. 1993: 47, 65, ტაბ. XXXIV-10, XXXIX-5] და ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება. ორივე მათგანი დამზადებულია მინარევებიანი თიხისგან, ხელითაა გამოძერწილი, გამომწვარია მონაცრისფრო-მოვარდისფროდ. მათ ფართო, ოდნავ მოყრილი პირი და მრგვალი მილი აქვთ.

VII. სანური. სამეურნეო და სამზარეულო დანიშნულების ნივთია. გამოიყენებოდა თხევადი მასის გასაფილტრად. თიხისაგან დამზადებული ასეთი ჭურჭელი იშვიათია არქეოლოგიურ ძეგლებზე. ვფიქრობთ, ამ მიზნით სხვა მასალისაგან დამზადებული სანურები იყო ხმარებაში.

VIII. ჭრაქი. ჭრაქი (ლამპარი გასანათებელი) სანათი ჭურჭელია, რომელსაც ლითონის, ქვის და თიხისაგან ამზადებდნენ. თიხის ჭრაქები ფორმით ჯამ-ფიალებს ჰგავს. *კამარახევისა და მუხათგვერდის* სამაროვნებზე მოპოვებულ ამგვარ ჭურჭლებზე დაკვირვებით გაირკვა, რომ მათი უმრავლესობა ტუჩის გარშემო შებოლილია. ზოგიერთი ჭრაქის პირის დმ 30 სმ-ზე მეტი იყო. ჭრაქებში გვხვდება პირმოყრილი, პროფილირებულპირიანი და პირსწორი ცალები. ყველა ჭრაქი ბრტყელძირიანია. ერთ ნაწილს აქვს ყური, მეორე ნაწილი კი უყუროა. ჭრაქებში ოთხი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: 1. სახელურიანი, 2. ყურიანი, 3. უყურო და 4. ორნაწილიანი ჭრაქები. სახელურიანი ჭრაქები ყველაზე ადრეული ჩანს და ძვ.წ. V ს-ით თარიღდება. სახელურიანი ჭრაქების განვითარებულ სახეს შეიძლება კამარახევიში აღმოჩენილი ჭრაქი წარმოადგენდეს, რომელსაც სახელურის ნაცვლად ე.წ. ცერისებრი შვერილი აქვს [იხ. დავლიანიძე 1983: 30, 115]. უყურო ჭრაქებში გამოიყოფა პირმოყრილი და პირსწორი ცალები. ორივე ამ სახეობის ჭურჭელი ფორმით არ განსხვავდება ჯამებისგან. მათი განმასხვავებელი ნიშანია ტუჩი, რომელზეც ცეცხლის კვალია შემორჩენილი. ასეთი ცალები ძირითადად ძვ.წ. III – I სს. გვხვდება. მცირე ზომის უყურო ჭრაქები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი I-VI სს-ის ძეგლებზე: *მცხეთა, არმაზციხე, არმაზისხევი, ძალისი* და სხვ.). პირმოყრილი ჭრაქების მაქსიმალური დიამეტრი 6.0-7.0 სმ-ია, სიმაღლე კი 3.0 სმ-ს არ აღემატება. ორნაწილიან ჭრაქს აქვს საკმაოდ ფართო და გრძელი ტუჩი, მკვეთრად დაქანებული მხრები, სფერული მუცელი, ხოლო ძირზე სამი ფეხი ჰქონია [იხ. ნარიმანიშვილი 2017: 21-71].

სამზარეულო ჭურჭელი. IX. ტაფისებური ჭურჭელი სამზარეულო კერამიკის ერთ სახეს წარმოადგენს. მას 50 – 80სმ დმ., ოდნავ გარეთ გადაშლილი პირი, დაბალი 5 – 12სმ კალთები და ბრტყელი ძირი აქვს. ყველა მათგანი უხეში თიხისაგან დამზადებული და სქელკედლიანია. ორი ტიპის ტაფისებური ჭურჭელი გვხვდება. პირველი ტიპის ტაფისებური ჭურჭლების ბორტები თანაბარი სიმაღლისაა და არსად არ არის გახსნილი. მეორე ტიპის ტაფისებური ჭურჭლების კალთები ერთ მონაკვეთში დადაბლებას იწყებს და შემდეგ ჩამოდის ძირის დონემდე, ისე, რომ ჭურჭლის ერთ მხარეს 10 – 15 სმ-ის სიგანის ლიობი წარმოიქმნება.

X. ქოთნები სამზარეულო ჭურჭლის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეა. მათ უმრავლესობას ფართო პირი, გარეთ გადაშლილი ქობა, დაბალი ყელი, მომრგვალებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ზედაპირი უმეტეს შემთხვევაში უორნამენტოა. ამ ტიპის

ჭურჭლის ფორმა დიდი ხნის განმავლობაში თითქმის უცვლელი რჩება. არ იცვლება მათი დამზადების ტექნოლოგიაც — თიხა მინარევებიანია, უხეში კეცი გამომწვარია რუხად; ზოგიერთი მათგანი გამომწვარია არათანაბრად, გვხვდება ზედაპირგაპრიალებული, იშვიათად ანგობირებული და მოხატული ცალები. ქოთნებში ორი ტიპი გამოიყოფა: 1. უყურო და 2. ყურიანი. ისინი ფორმით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. უყურო ქოთნები მსგავსებას იჩენენ დერგებთან. ყურიანი ქოთნები კი ტოლჩების ერთ ჯგუფთან ავლენს სიახლოვეს [იხ. ნარიმანიშვილი 2017: 21-71; ნარიმანიშვილი 2018: 77-144].

XI. კოჭობი. კოჭობი ქოთნის ფორმის, პატარა ზომის (ყველაზე მაღალი 15 სმ) ჭურჭელია რომელსაც ფართო, გადაშლილი პირი, დაბალი, გამოყვანილი ყელი, სფერული, ბიკონუსური ან პროფილირებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. კოჭბები უმეტესად მსხვილმარცვლოვანი თიხისგანაა დამზადებული და გამომწვარია მუქად, რომელთა შორის გვხვდება არათანაბრად გამომწვარი ცალები. კოჭბების ნაწილს ღია ფერის კეცი აქვთ, იშვიათია შეღებილი და მოხატული ეგზემპლარები. კოჭბები სამი ტიპისაა: 1. სფერულმუცლიანი, 2. ბიკონუსურტანიანი, 3. პროფილირებულტანიანი [იხ. ნარიმანიშვილი 2017: 21-71; ნარიმანიშვილი 2018: 77-144].

XII. ქილა. ნაგრძელებული ფორმის თიხის ჭურჭელია, რომლის სიმაღლე მუცლის დიამეტრზე სამჯერ მეტია. მათი სიმაღლე 20 – 50 სმ-ს შორის მერყეობს.

XIII. ბადია. დიდი ზომის ხის, ლითონის ან თიხის ჯამის ფორმის ჭურჭელია, რომელსაც ფართო, მოყრილი პირი, მაღალი კალთები და ბრტყელი ძირი აქვს. ბადიების სიმაღლე 10 - 30 სმ- პირის დიამეტრი კი 20 - 40 სმ-ს შორის მერყეობს. სამზარეულოში ძირითადად მყარი ან თხევადი საკვების გადასაადგილებლად გამოიყენებოდა. თიხისგან დამზადებული ბადიები ძირითადად ერთი ტიპის იყო, განსახილველი ეპოქის ყველა ეტაპზე გამოიყენებოდა.

XIV. ხუფი (სარქველი) დამოუკიდებელ ჭურჭელს არ წარმოადგენს, ის იხმარება დერგების, ქოთნების ან ქილების სარქველად. სარქველები გვხვდება ხის, ქვის და თიხის. თიხის ხუფები სამი ტიპის გვხვდება: 1. დისკოსებრი, 2. ტაფისებრი, 3. ფიალისებრი. დისკოსებურ ხუფების ნაწილი სახელურიანი, დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისგან და გამომწვარია რუხად. ე.წ. ტაფისებური ხუფები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, გამომწვარია მოვარდისფროდ; მათი ნაწილი მოხატულია. ტაფისებური ხუფების ერთ ნაწილს კიდზე ორი ნახვრეტი აქვთ, მეორე ნაწილს კი შუაში ერთი ნახვრეტი აქვთ. ტაფისებური ხუფები ძირითადად ძვ.წ. III ს-დან ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევრამდე გვხვდება. ფიალისებური ხუფების ჯგუფში გვხვდება სახელურიანი და უსახელურო ცალები [იხ. ნარიმანიშვილი 2017: 21-71; ნარიმანიშვილი 2018: 77-144].

XV. ჩაფი. დიდი ზომის თიხის ჭურჭელია, რომელიც ფორმით დოქის მსგავსია, თუმცა მასზე დიდია. ჩაფში 10 ლიტრზე მეტი სითხე ეტევა. მოცემული პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებზე დაფიქსირებული ჩაფები კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული და თხელკეციანია. მათ მრგვალი პირი, შევიწროვებული ყელი, მხრიანი, სფერული, ან ნაგრძელებული ფორმის ტანი და ბრტყელი ძირი აქვთ. ერთი ყური ძირითადად პირსა და მხარზეა მიძერწილი.

სუფრის ჭურჭელი. XVI. დოქი (ხელადა). დოქები სუფრის ჭურჭლის ყველაზე გავრცელებულ სახეს მიეკუთვნება. ისინი სხვადასხვა ზომისაა, მათი სიმაღლე მერყეობს 15 სმ-დან 35 სმ-მდე. ზომა ფორმასთან არ არის დაკავშირებული. არქეოლოგიურ მასალაში ამ სახის ჭურჭლები მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ფორმით, ისე დამზადების ტექნოლოგიით. მათში სამი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: 1. მხრიანი, 2. სფერულტანიანი და 3. მსხლისებურტანიანი. ძვ.წ. VII-VI ს-ში ძირითადად მხრიანი და სფერულმუცლიანი ჭურჭლებია გავრცელებული. იშვიათად გვხვდება ხელადები, რომლებსაც მსხლისებური ტანი აქვთ [დავლიანიძე და სხვ. 1993: ტაბ. XXIX-2; ნიკოლაიშვილი და სხვ. 2007: 321-323]. ამ პერიოდების დოქებსა და ხელადებს ახასიათებს მრგვალი ბაკო, მაღალი გამოყვანილი ან ძაბრისებური ყელი. ჭურჭლებს პირსა

და მხარზე განივკვეთში მრგვალი ან ოვალური ყური აქვთ მიძერწილი. იშვიათად გვხვდება გრეხილი ყურებიც [იხ. Нариманишвили 1991].

მეორე ტიპის, სფერულტანიანი დოქები პირის გაფორმების მიხედვით გვხვდება ტუჩიანი და მრგვალპირიანი ცალები. ტუჩიანი (ნისკარტიანი, სამტუჩა) ჭურჭლები ყველაზე დიდი რაოდენობით ძვ.წ V ს-ის დასაწყისიდან ძვ.წ. III ს-ის დასაწყისამდე არის გავრცელებული. იშვიათია ძვ.წ. III ს-სა და ძვ.წ. II ს-ის დასაწყისში და კვლავ ჩნდება ძვ.წ. II-I ს-ის პირველ ნახევარში, შემდგომ მათი რაოდენობა თანდათან მატულობს, თუმცა, ახ.წ. III-IV სს-ში მკვეთრად მცირდება, შემდეგში თითქოს საერთოდ ქრება. მესამე ტიპის, მსხლისებურტანიანი დოქებში გვხვდება ნისკარტიანი და მრგვალპირიანი ცალები. მსხლისებურტანიანი ნისკარტიანი ჭურჭლები გვხვდება ძვ.წ. V – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში; დამზადებულია მინარევებიანი თიხისგან, გამომწვარია ლეგად, არათანაბრად ან მოვარდისფროდ. ზევით აღწერილი ყველა ტიპის დოქებში სხვადასხვა შემკობის მიხედვით გამოიყოფა მცირე ზომის ხელადების ორი ვარიანტი — ე.წ. ყელნიბოიანი და კოპებიანი ხელადები. პირველი ვარიანტის ჭურჭლებს ორი სახის ნიბო აქვთ. ერთ შემთხვევაში ნიბო წარმოქმნილია ყელის თანაბრად გამობერვის, მეორე შემთხვევაში კი ჭურჭლის ყელზე თიხის ზოლის დაძერწვის შედეგად. დოქებსა და ხელადებზე კოპები (ბურცობები) გვხვდება როგორც დაძერწილი, ისე შიგნიდან მყარი საგნით გამობელი ბურცობის, კოპის სახით [იხ. ნარიმანიშვილი 2017: 21-71; ნარიმანიშვილი 2018: 77-144].

XVII. ტოლჩა (კათხა) თიხის ან ლითონისაგან დამზადებული სითხის მოსახმარად გამოსაყენებელი საყოველღეო ჭურჭელია. თიხის ტოლჩა ცალყურიანია, მას სწორი ან ოდნავ გადაშლილი პირი, მაღალი ტანი და ფართო ბრტყელი ძირი აქვს. ამ ტიპის ჭურჭლები ძირითადად ძვ.წ. VII-VI სს-ში იყო გავრცელებული, თუმცა შემდგომი პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებზეც გვხვდება. ყველა ტოლჩას ბრტყელი ძირი აქვს. ისინი მსხვილმარცვლოვანი თიხისაა, ხელითაა ნაძერწი და ტლანქია. ტოლჩები სამ ტიპად იყოფა: 1. მუცელგამობერილი; 2. მუცელშეზნექილი და 3. ბიკონუსური მუცლით. პირველი ტიპის ჭურჭლებს მუცელი გამობერილი აქვს, პირმოყრილია, ყური კალთაზე აქვს მიძერწილი. მეორე ტიპისას ცილინდრული, შიგნით შეზნექილი ტანი აქვთ, პირის და ძირის დიამეტრიც თითქმის თანაბარია [ნიკოლაიშვილი და სხვ. 2007]. მესამე ტიპის ჭურჭლებს გადაშლილი პირი, შიგნით შეზნექილი კორპუსი, ძირთან ახლოს გარეთ გამოზიდული ბიკონუსური მუცელი აქვთ. ამ ქვეტიპის ჭურჭლების ერთ ნაწილს წაგრძელებული ტანი აქვს, მეორე ნაწილის სიმაღლე და მუცლის დიამეტრი თითქმის თანაბარია [იხ. დავლიანიძე და სხვ. 1993; ნარიმანიშვილი 2017: 21-71; ნარიმანიშვილი 2018: 77-144].

XVIII. სასმისი სუფრის, ყოველდღიურად სახმარი ჭურჭელია. სასმისები ფორმის მიხედვით ოთხ ტიპად იყოფა: 1. ხელადისებური, 2. ჭიქისებური, 3. ქოთნისებური, 4. კათხისებური. ხელადისებური სასმისებისთვის დამახასიათებელია ფართო, გარეთ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მომრგვალებული ან ბიკონუსური მუცელი და ბრტყელი ძირი. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მუცელზე. გვხვდება მოვარდისფროდ გამომწვარი, რომელთა შორის არის მოხატული ეგზემპლარებიც და შავად გამომწვარი ცალები. მათ შორის გვხვდება ბიკონუსურ ტანიანი და მომრგვალებულტანიანი სასმისები, რომლებიც ძვ.წ. II – ახ.წ. II სს-ეს მიეკუთვნება. ჭიქისებურ სასმისებში გვხვდება წაგრძელებულტანიანი, მომრგვალებულტანიანი, ვერტიკალურკალთიანი და ცილინდრული ფორმის [ნიკოლაიშვილი და სხვ. 2007]. ჭიქისებური ცილინდრული სასმისები ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე გვხვდება. ე.წ. ქოთნისებურ სასმისებში გვხვდება პირგადაშლილი და პირმოყრილი ცალები. ისინი ფორმით ძალიან გვანან ქოთნების ერთ ჯგუფს, მაგრამ მათგან განსხვავებით მცირე ზომისაა. ასეთი სასმისები ძირითადად ძვ.წ. VII-VI სს-ში გვხვდება [დავლიანიძე და სხვ. 1993]. ქოთნისებური სასმისები ძვ.წ. V-IV სს-ის პირველი ნახევარშიც არის გავრცელებული. მათი უმრავლესობა მუქკეციანია. კათხისებური სასმისები ერთი ტიპისაა და ღრუქუსლიან მცირე ზომის ჭურჭლებს წარმოადგენენ, რომლებიც კარგად განლექილი თიხისაა და ჩარხზეა დამზადებული. ამ ჭურჭლების უმეტესობა ორნამენტითაა შემკული.

XIX. ლანგარი დიდი ბრტყელი თევზია, რომლის სიმაღლე 10 – 12 სმ-ს არ აღემატება, პირის დიამეტრი კი 25 სმ-ზე მეტია. გვხვდება ხის, ლითონის და თიხის ლანგრები. თიხის ლანგრები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. მათ ფართო, ოდნავ გადაშლილი პირი, პროფილირებული კიდე, მკვეთრად დაქანებული კალთები და პატარა, ბრტყელი ან მასიური ძირი აქვთ.

XX. ჯამი. ჯამები სამზარეულო ჭურჭლის ყველაზე მრავალრიცხოვან სახეს მიეკუთვნება. მათ ახასიათებთ ფართო, მოყრილი, სწორი ან გადაშლილი პირი, მკვეთრად დაქანებული კალთები, ქუსლიანი ან უქუსლო ძირი. ძირის გაფორმების მიხედვით ჯამები ორ ტიპად იყოფა: 1. ქუსლიანი და 2. უქუსლო. ქუსლიან ჯამებში გამოიყოფა მასიურ ქუსლიანი და რკალისებურ ქუსლიანი ეგზემპლარები. უქუსლო ჯამების შემდგომი კლასიფიკაცია პირის გაფორმების მიხედვით ორგვარია: 1. პირმოყრილი, 2. პირსწორი და პროფილირებულპირიანი ცალები [იხ. ნარიმანიშვილი 2018: 77-144].

XXI. ფიალა ინდივიდუალურად სახმარი, სუფრის საზეიმო-სარიტუალო სასმისია. დაკავშირებული იყო ღვინის შეწირვასთან, სითხის სამსხვერპლო დაქცევასთან. ეს განაპირობებდა მის ზომას. ისინი ფორმით პროფილირებულპირიან ჯამებს მოგვაგონებენ. მათთან შედარებით პატარა ზომისაა და ძირიც მომრგვალებული აქვთ. ზოგჯერ ძირი ცენტრში შეზნექილია ისე, რომ ფსკერზე ბურცობი — ომფალოსი აქვს. გავრცელებულია ორი ტიპის ფიალები: 1. ნახევარსფერული და 2. გადაშლილპირიანი. ნახევარსფერული ტიპის ფიალები, ძირის გაფორმების მიხედვით, გვხვდება უომფალოსო და ომფალოსიანი ფიალები. უომფალოსო ფიალები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ზოგი შავად არის გამომწვარი და გაპრიალებულია, ზოგი კი, გამომწვარია მოვარდისფროდ, ხაოიანი ზედაპირი მოხატულია წითელი საღებავით. ძირითადად, ძვ.წ. II-ის მეორე ნახევარი – ახ.წ. II-შია გავრცელებული. გადაშლილპირიან ფიალებში გამოიყოფა სადა და რელიეფურორნამენტიანი ცალები. გადაშლილპირიანი, სადა ფიალებში გვხვდება ომფალოსიანი და უომფალოსო ცალები. ომფალოსიანი ფიალებისათვის დამახასიათებელია ფართო პირი, მომრგვალებული ქობა, გამოყვანილი ყელი. მომრგვალებული კალთები ასეთივე ძირში გადადის, რომელიც ომფალოსით მთავრდება [დავლიანიძე 1983; საგინაშვილი და სხვ. 1973]. უომფალოსო სახეობის ფიალებში, გვხვდება მუქკეციანი ზედაპირგაპრიალებული და მოვარდისფრო კეციანი, შეღებილი ან მოხატული ცალები. გავრცელებულია ძვ.წ V-IV ს-ის პირველ ნახევარში, ძვ.წ. II – I სს-ის და ახ.წ. I ს-ში. ამ სახეობის ფიალების უმეტესობა დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადრეული ცალების თიხა, გვიანდლებთან შედარებით, უფრო მსხვილმარცვლოვანია. ამ სახეობის ფიალები ყოველთვის კონუსურძირიან დოქებთან ერთად გვხვდება სამარხებში. ამიტომ ალბათ ისინი ორივე სარიტუალო დანიშნულებით გამოიყენებოდა. გადაშლილპირიან, რელიეფურორნამენტიან ფიალებში გამოიყოფა ფიალები, რომლებსაც ძირზე შიგნიდან რელიეფური წრეები აქვთ და ბურცობებიანი ფიალები. ყველა მათგანი შეღებილია წითელი საღებავით. ბურცობებიანი, გადაშლილპირიანი და რელიეფურორნამენტიანი ფიალებშიც გვხვდება ომფალოსიანი და უომფალოსო. ომფალოსიანი თიხის ფიალები ერთი ნაწილი ბურცობებითაა შემკული, მეორე კი სადაა. თარიღდება ძვ.წ. VI-III სს-ით [იხ. Нариманишвили 1991]. უომფალოსო ფიალების კალთა შემკულია რვა, თორმეტი ან ცამეტი კოვზისებური ბურცობით.

XXII. ლარნაკი სუფრის, სარიტუალო-საზეიმო ჭურჭელია. მათი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მაღალი ფეხი. ამ ნიშნის მიხედვით ლარნაკები ორ ტიპად იყოფა: 1. ერთფეხიანი და 2. სამფეხიანი. ერთფეხიან ლარნაკებს სხვადასხვა სიმაღლის ფეხი აქვს. მათ შორის გვხვდება პროფილირებულპირიანი და პირმოყრილი ლარნაკები. პროფილირებულპირიანი ლარნაკები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია შავად და ზედაპირგაპრიალებულია, ან მოვარდისფროდ და შეღებილია წითელი საღებავით. ასეთი ლარნაკები გავრცელებულია ძვ.წ. III ს-დან ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებამდე. პირმოყრილი ლარნაკები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ. ისინი პირმოყრილი ფიალების მიბაძვით არის დამზადებული

და მათ მოგვიანო ვარიანტებს წარმოადგენენ და ძირითადად ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.წ. II ს-ში უნდა იყვნენ გავრცელებული. სამფეხიან ლარნაკებში, ფეხის გაფორმების მიხედვით გამოიყოფა სწორფეხა, მოკაუჭებულფეხიანი და ირიბფეხიანი ცალები [იხ. ნარიმანიშვილი 2018: 77-144].

XXIII. თასი. დეკორატიული და საზეიმო ჭურჭელი. მზადდებოდა ქვის, ლითონის და თიხისაგან. ისინი ძირითადად სარიტუალო დანიშნულების იყო, თუმცა იყენებდნენ სახლის ან დარბაზის მოსართვადაც. თასები არ იყო მასიური წარმოების და როგორც ჩანს ინდივიდუალურად მზადდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ მათი ერთი ნაწილი — ხელით ნაძერწი, უხეშკეციანი ცალები, რომლებიც მდიდრული თასების მიბაძვით მზადდებოდა — ერთჯერადი გამოყენების იყო და ალბათ დაკრძალვის რიტუალში გამოიყენებოდა.

XXIV. მათარა. სითხის გადასატანი ჭურჭელია. მზადდებოდა ტყავის, ხის, ლითონის და თიხისაგან. თიხის მათარები ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს-ში ყველა ქრონოლოგიურ ჯგუფში გვხვდება. ისინი ძირითადად სამგზავრო ჭურჭელს წარმოადგენენ, ხოლო დიდი ზომის მათარები ტარად გამოიყენებოდა.

სარიტუალო ჭურჭლები. მოცემულ პერიოდში რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული რიტუალის დროს თითქმის ყველა ტიპის ჭურჭელი იხმარებოდა. ამავე დროს, არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება ისეთი ფორმის ჭურჭლებიც, რომლებიც მხოლოდ რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული. შესაძლოა ასეთებია: ოთხკუთხაბაკოიანი ჭურჭლები, უყურო დოქები და მილიანი ხელაღები.

XXV. ოთხკუთხაბაკოიანი ჭურჭელი. სიმცირის გამო ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას ცუდად ექვემდებარება. ასეთი სახის ჭურჭელი პირველად უფლისციხეში აღმოჩნდა. ისინი *in situ* მდგომარეობაში პირველად *კავთისხევის ციხიაგორას* სამლოცველოს გათხრისას დადასტურდა, რამაც მიგვანიშნა ამგვარი ჭურჭლების საკულტო დანიშნულებაზე. ასეთივე სიტუაცია დადასტურდა *სამადლოს* ნაქალაქართან გათხრილ სამლოცველოშიც. ოთხკუთხაბაკოიან ჭურჭელს ფართო, მრგვალი პირი აქვს, რომელსაც ჰორიზონტალური, ოთხკუთხა ბაკო შემოუყვება. ამ ტიპის ჭურჭლებს ცილინდრული, ძირისაკენ ოდნავ შევიწროვებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ყველა მათგანი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია მუქად. ზედაპირი გაპრიალებულია. ამ ტიპის ჭურჭელი ძვ.წ. III ს-დან ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევრამდე ჩანს გავრცელებული [ნარიმანიშვილი 2018: 77-144].

XXVI. უყურო დოქი. მოცემული პერიოდის არქეოლოგიურ მასალაში უყურო დოქები იშვიათობას წარმოადგენენ. ისინი მხოლოდ სამარხებშია აღმოჩენილი. ამასთან ორ მათგანს ძირზე ნახვრეტი აქვს, რაც გამორიცხავს მათ სითხის მოსაკავებლად გამოყენებას. ზოგიერთ ჭურჭელს კი კონუსური ძირი აქვს და უპირატესად კონუსურძირიან ფიალებთან ერთად გვხვდება სამარხებში. ისინი, როგორც ჩანს, ერთ კომპლექტს წარმოადგენენ. კონუსურძირიანი ჭურჭელი აღმოჩენილია: *უფლისციხეში* [ხახუტაიშვილი 1964: 79-80], *მთა ქართლზე* [გაგოშიძე 1982: 14, 26-27], *ურბნისის* ნაქალაქარზე, *ნერონ-დერესის* სამარხებში, *ზემო ავჭალაში* და *ახალციხეში* [იხ. გაგოშიძე 1982: 26], *ნასტაკისის* სამლოცველოში [Бохочадзе და სხვ. 1982ა: 47, ტაბ. XXIV-1] და სხვ. უყურო დოქებში ორი ტიპი გამოიყოფა — 1. ბრტყელძირა და 2. კონუსურძირიანი.

XXVII. მილიანი დოქი (ხელადა). მოცემული პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებზე ორი ტიპის მილიანი დოქები გვხვდება: 1. ე.წ. *ჩაიდნები* და 2. ე.წ. *ყურმილიანი* დოქები. ე.წ. *ჩაიდნებს* ფართო, გადაშლილი პირი, გამოყვანილი ყელი, მხრიანი, სფერული ან მსხლისებური ტანი და ბრტყელი ძირი აქვთ. ცილინდრული მილი აღმართულია ყურის მოპირდაპირედ. ასეთი ჭურჭლები დამზადებულია კარგად განლექილი, მინარევებიანი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ. მათი ნაწილი შეღებილია წითელი საღებავით. ასეთი ტიპის ჭურჭელი საქართველოში ძვ.წ. V-IV სს-ში გვხვდება, რაც შესაძლოა აქემენიდურ ირანს უკავშირდებოდეს, სადაც ამ ტიპის კერამიკა უძველესი დროიდან ფიქსირდება [იხ. Гагошидзе 1979: 77-78; დავლიანიძე 1983: 17-19, 132; იქვე იხ. ლიტ.]. ე.წ.

ყურმილიან ხელადებს გადაშლილი პირი, გამოყვანილი ყელი, მხრიანი, სფერული ან მსხლისებური ტანი და ბრტყელი ძირი აქვთ. სითხის გადმოსაღვრელი მილი ყურშია განთავსებული. ასეთი ჭურჭლები დამზადებულია მინარევებიანი თიხისაგან და ძირითადად რუხი ფერისაა. ზედაპირი შემკულია ამოღარული ან ამოკანრული ორნამენტით. ამ ტიპის ჭურჭლების გავრცელების ძირითადი არეალი დასავლეთ საქართველოა. სადაც ძირითადად ძვ.წ. V-IV ს-შია გავრცელებული [იხ. ნარიმანიშვილი 2018: 77-144].

მოცემული პერიოდის კერამიკის ქრონოლოგია, ტექნოლოგია და მოხატული კერამიკის სტილისტური ანალიზი. დათარიღების საკითხისათვის. ქართლის (იბერიის) კერამიკის ფორმობრივ-ტიპოლოგიურმა კლასიფიკაციამ, ზოგადად, საშუალება მოგვცა მოცემული პერიოდის კერამიკაში ცხრა ქრონოლოგიური ჯგუფი გამოგვეყო. მათი გამოყოფა განხორციელდა ამა თუ იმ ტიპის ჭურჭლების ერთად აღმოჩენის საფუძველზე (სამარხებსა და ნამოსახლართა კარგად სტრატოფიციურებულ ფენაში). ყველა მონაცემის შეჯერების საფუძველზე გაირკვა, რომ თითოეულ ქრონოლოგიურ ჯგუფს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტიპის ჭურჭელი შეესაბამება, თუმცა გამონაკლისის სახით გვხვდება ისეთი ტიპებიც, რომლებიც ყველა ქრონოლოგიურ ჯგუფში თავსდება. თითოეული ქრონოლოგიური ჯგუფისათვის, კარგად დათარიღებული კომპლექსების საშუალებით, შემუშავდა ქრონოლოგია. შედარებულია სხვადასხვა სახის ტიპოლოგიური რიგები ერთმანეთს და თანხვედრის საფუძველზე დადგენილია ზოგადი ქრონოლოგიური ჯგუფები. ცალკეული სეგმენტების გაფორმების მიხედვით დახასიათებულია ამა თუ იმ ქრონოლოგიურ ჯგუფში შემავალი კერამიკის თავისებურება. მოცემული პერიოდის კერამიკის თანხვედრის საფუძველზე ცხრა ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყო (იხ. ზემოთ). მოცემული პერიოდის კერამიკის დათარიღებისათვის პირველ რიგში დიდი მნიშვნელობა აქვს აბსოლუტურ თარიღებს, რომლებსაც სხვა, კარგად დათარიღებული არტეფაქტები იძლევიან. მოცემული ქრონოლოგიური მონაკვეთის ძეგლებზე ასეთი მასალები არათანაბრადაა გადანაწილებული. ძვ.წ. V-I სს-ის ძეგლებზე ისინი შედარებით ნაკლებია, შემდეგ ეპოქაში უფრო მრავლად გვხვდება ისეთი არტეფაქტები, რომლებიც უფრო ზუსტი დათარიღების შესაძლებლობას იძლევა. ყველაზე უკეთ არის დათარიღებული ის ქრონოლოგიური ჯგუფები, რომლებშიც მონეტები გვხვდება.

I-II ქრონოლოგიური ჯგუფების (ძვ.წ. VIII - VI ს-ის პირველი ნახევარი) კერამიკის ორ ქრონოლოგიურ ჯგუფში გადანაწილება აღმოსავლეთ საქართველოს ამ ეპოქის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების (*ნარეკვაფი, ხოვლე, კახეთი*) სტრატოგრაფიული მონაცემების, იმპორტული კერამიკის, არტეფაქტების მეცნიერული ანალიზის და რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღების საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

III ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. Vს-ის დასაწყისი – ძვ.წ. IVს-ის პირველი ნახევარი) გამოყოფა შესაძლებელი გახდა მთელი რიგი ნიშნების მეშვეობით. ამ ჯგუფის კერამიკა ტექნოლოგიურად დიდ მსგავსებას იჩენს რკინის ფართო ათვისების ხანისათვის დამახასიათებელი ჭურჭლების ტექნოლოგიასთან. შეინიშნება გარკვეული ფორმობრივი მემკვიდრეობაც. III ქრონოლოგიური ჯგუფის საწყის ეტაპზე ჯერ კიდევ გვხვდება რკინის ფართო ათვისების ხანისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური მასალა. ესენია: მხრიანი, მრგვალპირიანი ხელადები, რომელთაც დაბალი ყელი, მკვეთრად გამობერილი მხრები და ვიწრო ძირი აქვთ. მათთან თანაარსებობენ ასევე მრგვალპირიანი დოქები, რომელთაც ზემოთ აღწერილებთან შედარებით მაღალი ყელი, დაქანებული კალთები და შედარებით ფართო ძირი აქვთ. III ქრონოლოგიური ჯგუფის საწყის ეტაპზე ჩნდება ნისკარტიანი და მილიანი ხელადები, რაც სრულიად უცხოა წინამორბედი ეპოქისათვის. III ქრონოლოგიური ჯგუფის საწყის ეტაპზე ჯერ კიდევ გვხვდება პროფილირებულკალთიანი, მასიურქუსლიანი ჯამები, რომლებიც ძირითადად I-II ქრონოლოგიური ჯგუფებისათვის არის დამახასიათებელი. ამავე დროს ჩნდება პირმოყრილი ბრტყელძირა ჯამებიც.

IV ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი) კვლავ გვხვდება მრგვალპირიანი დოქები და ხელადები, თუმცა I ქრონოლოგიური ჯგუფის ცალეებისაგან განსხვავებით, მათ უფრო მაღალი ყელი, დაქანებული კალთები და ფართო

ძირი აქვთ. პროპორციების დაგრძელების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს და IV ქრონოლოგიურ ჯგუფის მიწურულისათვის მხოლოდ მსხლისებურტანიანი დოქები და ხელადები გვხვდება. ეს პროცესი შეეხო როგორც მრგვალპირიანი, ისე ნისკარტიანი და მილიანი დოქებსა და ხელადებს. III და IV ქრონოლოგიური ჯგუფების კერამიკაში შეიძლება გამოიყოს ჭურჭლის ამა თუ იმ სეგმენტის თავისებურება, რომელიც ან III ან IV ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი. მხოლოდ III ჯგუფშია დადასტურებული და შემდეგ აღარ გვხვდება – დოქები, რომლებსაც ტრაპეციის ფორმის ყელი აქვთ, მილიანი დოქები – მკვეთრად გამოხედილი მხრებით და ვერტიკალურად მიმართული გადმოსაღვრელით. მხოლოდ IV ქრონოლოგიური ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი – ხელადები მსხლისებური ტანით (გვხვდება გარადამავალი ტიპის ჭურჭლებიც, რომლებიც III ქრონოლოგიური ჯგუფის ბოლოს ჩნდება), ყურის თავზე ორი კოპის დაძერწვა, ლენტისებურყურიანი ჭრაქები (მუხათგვერდი). მიუხედავად გარკვეული განსხვავებისა ორივე ჯგუფის კერამიკას ბევრი საერთო აქვთ. ძვ.წ. V ს-ში შემოსული ტექნოლოგია და ტიპები IV ქრონოლოგიური ჯგუფის დასასრულამდე არსებობენ.

V ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. III ს. – ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი) კერამიკის დათარიღებაც კარგადაა შესაძლებელი. ამ ჯგუფის კერამიკა უკავშირდება ე.წ. *სამადლოს ტიპის* კერამიკას. ამგვარი კერამიკა კი დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი სამადლოს ნაქალაქარის ქვედა ელინისტური ხანის ფენაში. ამ ფენის შესახებ კი აღნიშნულია, რომ ის ძირითადად ძვ.წ. III ს-ით თარიღდება და ნაწილობრივ მოიცავს ძვ.წ. IV ს-ის II ნახევარს და შეიძლება შედის ძვ.წ. II ს-ში. ეს ქრონოლოგიური ჯგუფი *სამადლოზე* მოპოვებული იმპორტული კერამიკის საფუძველზეა დათარიღებული [იხ. Гагошидзе 1979: 49].

VI ქრონოლოგიური ჯგუფი (ძვ.წ. III ს. – ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევარი) *სამადლოს, კავთისხევის, ნასტაკისის, დედოფლის მინდორის* სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით გამოიყო. ამ ჯგუფის განმსაზღვრელ კერამიკულ მასალას ე.წ. *სარკისებურზედაპირიანი*, შავად გამომწვარი ჭურჭლები წარმოადგენენ. ასეთი შავპირილა კერამიკა განსხვავებულია მანამდე ცნობილი ფორმებისაგან. მოცემული პერიოდის არქეოლოგიურ მასალაში ეს ჭურჭლები ფორმით და ტექნოლოგიით განსხვავებულ ჯგუფს ქმნიან, რომელთა ნიმუშები *უფლისციხეში* და *ურბნისში* აღმოჩენილი [ხახუტაიშვილი 1964; ხახუტაიშვილი 1970; ჭილაშვილი 1964]. ასეთი ჭურჭლები *სამადლოს* ნაქალაქარის ქვედა ელინისტურ ფენაში საერთოდ არ აღმოჩენილა, ზედა ფენაში კი მხოლოდ ერთი ნატეხია ნაპოვნი. ისინი დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი *კავთისხევის* ციხიანაგორაზე, სადაც ასეთი კერამიკის შემცველი ფენა ზემოდან ედო ე.წ. *სამადლოს* ტიპის კერამიკის შემცველ ფენას და თითქმის მხოლოდ ასეთ კერამიკას შეიცავდა [იხ. Гагошидзе 1979: 85, იქვე ლიტ.]. ასეთივე სიტუაცია დადასტურებულია *დედოფლის მინდორის* [გაგოშიძე 1978: 75] და *ნასტაკისის* სამაროვნებზე, სადაც კერამიკული მასალის აბსოლუტური უმრავლესობა შავად არის გამომწვარი და გაპრიალებული. შავად გამომწვარი, ე.წ. *სარკისებრზედაპირიანი* ჭურჭლები ძვ.წ. II-ს ს-ში არის გავრცელებული. ეს კერამიკა დიდხანს არ ყოფილა ყოფაში, ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებისათვის ის უკვე აღარ არსებობს. შავპირილა კერამიკის დეგრადირებული ნიმუშები კიდევ გვხვდება ახ.წ. პირველ საუკუნეებშიც.

VII და VIII ქრონოლოგიური ჯგუფების კერამიკის დათარიღებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მონეტებიან კომპლექსებს (*საყარაულო* სერის და *სამთავროს* ქვევრსამარხები, *რიყიანების* ველის სამაროვანი, *მცხეთის*, *არმაზისხევის*, *ნასტაკისის*, *ალაიანის*, *ჟინვალის* სამაროვნები, *არკნეთისა* და *შულავერის* სამარხები), რომლებიც ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით და მომდევნო ხანით თარიღდებიან. ამდენად აღნიშნული კომპლექსები იძლევიან აბსოლუტურ თარიღებს და კარგად განსაზღვრავენ VII (ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარი – ახ.წ. III ს) და VIII ქრონოლოგიური ჯგუფების როგორც ქვედა, ისე ზედა თარიღებს. IX ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. V-VII სს) კერამიკის ტიპოლოგია და ქრონოლოგია ძირითადად *მცხეთის* და *ურბნისის* ნაქალაქარების არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით არის წარმოდგენილი.

ტექნოლოგია. მოცემული პერიოდის კერამიკამ ტექნოლოგიური თვალსაზრისით არაერთი ცვლილება განიცადა. მისი დამზადების ტექნიკასა და ტექნოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს თიხის ჭურჭლის დათარიღებაში. ეს კერამიკა, კეცის ფერის მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა — მუქკეციანი და მოვარდისფროკეციანი. თითოეულ ქრონოლოგიურ ჯგუფს, გარდა ფორმებისა, გარკვეული ტექნოლოგიაც შეესაბამება. პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკა ძირითადად მსხვილმარცვლიანი თიხისგანაა დამზადებული; გამომწვარია მუქად. გვხვდება არათანაბრად გამომწვარი, ხელით ნაძერნი ჭურჭლებიც. ამ ჯგუფის კერამიკა ტექნოლოგიურად წინამორბედი ხანის კერამიკის მსგავსია. ძვ.წ. VII- IV სს. [იხ. Маисурадзе 1952]. აღნიშნული ხანის მუქკეციანი კერამიკა მსხვილმარცვლოვანია, უპირატესად არათანაბრად არის გამომწვარი. ასეთი კერამიკის ტექნოლოგიის საკითხები არაერთხელ იყო განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში [ჭილაშვილი 1964; ხახუტაიშვილი 1970; გაგოშიძე 1975; ნარიმანიშვილი 1997]. ძვ.წ. VII-VI სს. კერამიკის შემკულობას უმეტესად ამოღარული, წრიული ორნამენტი წარმოადგენს. კონცენტრული ამოღარული ხაზები ძირითადად მხრებზეა დატანილი. ხშირია ტალღისებური ორნამენტი და ირიბი, მოკლე ნაჭდეგები. გვხვდება გაპრიალებული ხაზებით შემკული ჭურჭლები [იხ. მუსხელიშვილი 1978: 89-90].

პირველი დიდი ტექნოლოგიურ-ტიპოლოგიური ტეხილი კერამიკაში ძვ.წ. VI ს-ის ბოლოს თუ ძვ.წ. V ს-ის დასაწყისში ხდება, რაც გარკვეულად აქემენიდური ირანის აქტივობასთან არის დაკავშირებული. ძვ.წ. Vს-ის თიხის ჭურჭელი ტექნოლოგიურად და ტიპოლოგიურად წინამორბედი ხანის კერამიკის დიდ გავლენას განიცდიდა. ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან ქართლის მატერიალურ კულტურაში ჩნდება ახალი ელემენტები, რომლებიც წინამორბედი ხანისათვის არ არის დამახასიათებელი. ესენია: ნისკარტიანი და მილიანი დოქები, პირმოყრილი ჯამები, ნითლად გამომწვარი და ნითელი საღებავით შეღებილი და მოხატული ჭურჭლები, ოქროს და სხვ. ძვ.წ. V ს-ის დასაწყისში ჩნდება ნითლად გამომწვარი, შეღებილი და მოხატული კერამიკა, რომელთა თიხის სტრუქტურა მკვეთრად განსხვავდება მუქკეციანი კერამიკის თიხისაგან. ნითელკეციანი კერამიკა დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან გამომწვარია თანაბრად, მოვარდისფროდ. ყველა მათგანი ჩარხზეა ამოყვანილი. ამ ტექნოლოგიით დამზადებული ჭურჭელი ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი – ძვ.წ. IVს-ის პირველი ნახევარში მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი, მაგრამ ისინი ამ ეპოქის განმსაზღვრელ, წინამორბედი ხანისაგან განმასხვავებელ მასალას წარმოადგენენ. ძვ.წ. VI ს-ში გავრცელებულია ტიპოლოგიურად და ტექნოლოგიურად წინამორბედი ხანისათვის დამახასიათებელი მუქკეციანი კერამიკა.

ახალი ტეხილი, ე.წ. *სამადლოს სტილის* მოხატული კერამიკის გამოჩენას უკავშირდება. ეს სიახლე ძვ.წ. IV ს-ის მიწურულიდან და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისიდან ფიქსირდება; ძვ.წ. III ს-ის დადასტურებული მატერიალური კულტურის რიგი ელემენტები გენეტიკურად ძვ.წ. V-IV სს. მატერიალურ კულტურასთან არის დაკავშირებული და მათ განვითარებას წარმოადგენს. მხედველობაში გვაქვს ქვევრების და დოქების ერთი ჯგუფი. კერამიკაში შემდეგი სიახლე ძვ.წ. II ს-ის დასაწყისში ფიქსირდება და ე.წ. *სარკისებურზედაპირიანი*, შავპრიალა კერამიკის გამოჩენასთან არის დაკავშირებული. ასეთი კერამიკა კარგად განლექილი თიხისაგან არის დამზადებული და შავადაა გამომწვარი. მისთვის სრულიად ახალი ფორმებიცაა დამახასიათებელი. დოქებისა და ხელადების ზედაპირი ე.წ. *სარკისებურად* არის გაპრიალებული და შემკულია წნევით ამოღარული და გაპრიალებული სარტყლებით. ამ დროს ჩნდება ჯამ-ფიალების ერთი ჯგუფი, რომლებსაც პროფილირებული ქობა, დაქანებული კალთები და დაბალი რკალისებური ქუსლი აქვს.

თიხის ჭურჭლების ფორმების შემდეგი ცვლილება ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარიდან ფიქსირდება და, როგორც ჩანს, ქართლის (იბერიის) რომის იმპერიის ორბიტაში მოქცევას უკავშირდება. ამ დროს ქართლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში ახალი საფეხური იწყება, რაც მატერიალურ კულტურაშიც აისახა. ნელთაღრიცხვათა მიჯნაზე გაჩენილი კერამიკული ტიპები, მცირე სახეცვლილებების მიუხედავად ახ.წ. IIIს-ის ჩათვლით იკავებენ გაბატონებულ მდგომარეობას. ამ დროს ჯერ კიდევ გვხვდება მოხატული ცალები,

შემორჩენილია ჭურჭლების შეღებვის წესი. კერამიკის უმეტესობა ნითლადაა გამომწვარი. ახ.წ. III- IV სს-ში აღარ გვხვდება მოხატული და შეღებილი ჭურჭლები. კერამიკა კარგად განლექილი თიხისაა და ძირითადად მოვარდისფროდ ან მოჩალისფროდაა გამომწვარი. ზედაპირი ძირითადად ხაონია. აღსანიშნავია, რომ ყველა ტიპის თიხის ჭურჭლის ზომები იზრდება. ამავე დროს შეინიშნება თიხის ჭურჭლის პროპორციების დაგრძელება, რაც მომდევნო ეპოქაში (V-VI სს.) უფრო თვალსაჩინო ხდება.

V-VI სს-ში ძირითადად ორი ტიპის, კვერცხისებური მოყვანილობის და სფერულმუცლიანი ქვევრები გვხვდება. მათი ნაწილი მონითალოდ და ნაწილი კი მოჩალისფროდ არის გამომწვარი. მათი უმრავლესობა სქელკეციანია, რომლებსაც დაბრტყელებული, ძირითადად განიერი და სქელი პირი აქვთ, გვხვდება თხელკეციანი ცალებიც. ქვევრების უმეტესობას მთელ ტანზე დაკეჭნილი რელიეფური სარტყლების ხშირი რიგები შემოსდევს. გვხვდება უყურო და ორყურა ქოცოები (მაგ.: *მცხეთა, სამთავრო, ნასტაკისი, ძალისი, კარსნისხევი* და სხვ). ფორმით მათი მსგავსია ოდნავ მომცრო დერგები, რომლებიც მინითალო-მოვარდისფროდ, ღია მოჩალისფროდ, მონაცრისფრო-მოჩალისფროდ და მომწვანო-მოჩალისფროდაა გამომწვარი.

ნითელკეციანი კერამიკა. ნითლად გამომწვარი ჭურჭლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ძვ.წ. V-IV სს. დათარიღებულ ძეგლებზე — *სანთა, კუშჩი, თაშბაში, კარიაკი, შორი, ღრმახევისთვის, აბელია, შავსაყდარა, ალექსეევკა, ჯიგრაშენი, ასურეთი, კამარახევი, ვარსიმაანთკარი, ქასრაანთ მინები, აბანო, გომარეთი, ბეშთაშენი*; სულ 18 ძეგლი — გათხრილ 395 სამარხში აღმოჩნდა 659 თიხის ჭურჭელი, რომელთაგან 197 ღია ფერისაა — მონაბლისფრო, ღია ყავისფერი, ღია ნაცრისფერი, მონითალო, მოვარდისფრო. მათ შორის მხოლოდ 42 ჭურჭელია შეღებილი ნითელი საღებავით და 11 მოხატული. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი — ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი ძეგლებზე (*კუშჩი, თაშბაში, კარიაკი, შავსაყდარა, ასურეთი, ჯიგრაშენი, ალექსეევკა, ჩხიკვთა, აბელია, გომარეთი*) გათხრილ 89 სამარხში 133 თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, აქედან 62 ღია ფერისაა, რომელთაგან 34 ნითლად არის გამომწვარი, 22 ნითელი საღებავით შეღებილი, 6 მოხატული. ამ მასალის პროცენტული შეფარდება შემდეგ სურათს იძლევა — 70,4%, ღია ფერის — 29,8%, შეღებილი — 6,5%, მოხატული — 0,9%. III ქრონოლოგიური ჯგუფი — მუქი ფერის კერამიკა — 74,4%, ღია ფერის — 25,4%, შეღებილი — 3,8%, მოხატული — 0,9%. IV ქრონოლოგიური ჯგუფი — მუქი ფერის კერამიკა — 53,4%, ღია ფერის — 46,6%, შეღებილი — 16,5%, მოხატული — 4,5%.

როგორც მოტანილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, III ქრონოლოგიური ჯგუფის ძეგლებზე ღია ფერის კერამიკა მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი, განსაკუთრებით თვალში საცემია შეღებილი ცალების სიმცირე. IV ქრონოლოგიური ჯგუფის ძეგლებზე კი მუქი და ღია ფერის ჭურჭლები თითქმის თანაბარი რაოდენობითაა გამოვლენილი. ნითელკეციანი კერამიკა საბოლოოდ ბატონდება მხოლოდ ამ პერიოდის ბოლოს, ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე. ძვ.წ. VI ს-ში გაბატონებულია ტიპოლოგიურ-ტიქნოლოგიურად წინა პერიოდისათვის დამახასიათებელი კერამიკა, თუმცა შეინიშნება ახალი ელემენტიც. შეიძლება ითქვას, რომ არა თუ ძვ.წ. VI ს-ში, არამედ ძვ.წ. V ს-ის დასაწყისშიც ნითელკეციანი კერამიკა იშვიათია.

კერამიკის ამ მასალაში გამოიყოფა ორი დიდი ჯგუფი: **1.** თიხის ჭურჭლები, რომლებიც დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ ან მონითალოდ, თხელკეციანია, მსუბუქი, ზედაპირი უმეტეს შემთხვევაში შეღებილი, ანგობირებული, ან კარგად გაპრიალებული აქვთ. ყველა მათგანი ჩარხზეა დამზადებული. **2.** თიხის ჭურჭლები, რომლებიც დამზადებულია მინარევებიანი, მქისე თიხისაგან. ასეთი კერამიკის კეცი ხშირად არათანაბრად არის გამომწვარი, ჭურჭლის ზედაპირი ჭრელია, ზოგან მუქი, ზოგან ღია ფერისაა. ძვ.წ. IIIს. — ძვ.წ. IIIს-ის დასაწყისში ნითელკეციან კერამიკას გაბატონებული მდგომარეობა უკავია.

მოცემული პერიოდის ნითლად მოხატული კერამიკის ორნამენტის სტილისტურმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ ამ მასალაში შეიძლება პირობითად გამოიყოს ოთხი ძირითადი სტილი: ე.წ. 1. *სამკუთხედების სტილი*; 2. *სამადლოს სტილი*; 3. *კაზრეთის სტილი*; 4.

სამთავროს სტილი [დანვრ. იხ. ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი 2002: ტაბ.10-42; მახარაძე 1999: 58, ტაბ. III, 2, V, 1; Гагошидзе 1979: 43, 47; Гагошидзе 1981: 12, 25, ტაბ. VII, 64, XXV, 321-22; Цкитишвили და სხვ. 1991: 67, ტაბ. 166].

ამრიგად მოცემული პერიოდის კერამიკის ფორმობრივ-ტიპოლოგიური, ტექნოლოგიური და სტილისტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ: **1.** ქართლის ამ ეპოქის კერამიკა ცხრა ქრონოლოგიურ ჯგუფად შეიძლება დაიყოს; **2.** ყოველი ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული წინამორბედი ხანის კერამიკასთან, მის წიაღში ისახება და მის განვითარებას წარმოადგენს; **3.** კერამიკის ფორმირებაში გარე ფაქტორებიც მოქმედებს და გარკვეულ გავლენას ახდენს როგორც თიხის ჭურჭლის ფორმაზე, ისე ტექნოლოგიაზე (ირანული, ცენტრალურანატოლიური, ბერძნული და რომაული იმპორტული კერამიკა, ან მათთვის დამახასიათებელი ტექნოლოგიები); **4.** ძვ.წ. VI – ახ.წ. VI სს. კერამიკა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის არსებულ შიდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ასახავს (მაგ. ე.წ. კოლხური კერამიკის აღმოჩენის ფაქტები აღმ. საქართველოს და იბერიული თიხის ჭურჭლების დაფიქსირება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე). **5.** ყოველი ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკა მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს და მეურნეობის ხასიათზე მიუთითებს.

ტაბ. იხ. ბოლოში.



მინის ნაწარმი

მ. ფირცხალავა, გ. გამყრელიძე

პირველად მინა, ძვ.წ. IV ათასწლეულიდან ე.წ. მოჭიქურებისათვის გამოიყენებოდა, ხოლო შემდეგ მესოპოტამიაში მინის მძივებიც მზადდებოდა [იხ. Harden და სხვ. 1968: 12]. მინის ჭურჭლის წარმოება კი ძვ.წ. XIV ს-ში დასავლეთ აზიაში ჩაისახა. ამ პერიოდიდან მოყოლებული მინის ჭურჭელს აწარმოებენ, როგორც დასავლეთ აზიაში, ასევე ძვ. ეგვიპტეშიც. აღმოჩენილია ძველი წარწერები, რომლებიც შეიცავენ მინის წარმოების შესახებ მითითებებს. ძვ.წ. IX ს-ის შემდგომ ძირითადად მინის წარმოების ორი ცენტრია — ძვ. სირიის სანაპირო და მესოპოტამია. ძვ.წ. VII ს-დან მინის წარმოებაში ჩაებნენ კუნ. როდოსი, კვიპროსი და საბერძნეთის სხვა რეგიონებიც. ძვ.წ. IV ს-დან განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ძვ. სირიისა და ეგვიპტის ალექსანდრიის ნაწარმი [იხ. Fossing 1940: 78, 133; Barag 1962: 9-27; Oppenheim 1973, 10].

მინა, თავისი თვისებებით უნიკალური მასალაა, რომელიც ერთი შეხედვით — მყიფე, სალი, გამჭვირვალე ან გაუმჭვირვალე, მსხვრევადი, ქიმიურად მედეგია; დნობისას წელვადია და ბლანტი; გაციებული არ კრისტალიზდება. ძველად, მინა, სამკაულის, ჭურჭლის, მოჭიქულობის მხატვრულ-გამოყენებით გადამწყვეტილებების მრავალფეროვნებას უზრუნველყოფდა. უძველეს ცივილიზაციებში ის არა როგორც პირველადი აუცილებლობის საგანი წარმოიშვა, არამედ მხატვრულ ფასეულობათა კატეგორიაში იყო და მხოლოდ მისი განვითარების პროცესში ხდება მისი უტილიზაცია. მინის ჭურჭლის წარმოებაში, ტექნიკური ხერხის მიხედვით, ორ პერიოდს გამოყოფენ: 1. მინის ჭურჭლის წარმოება გამობერვის ტექნიკის დანერგვამდე და 2. მინის ჭურჭლის დამზადება გამობერვის მეთოდით. საბერავი მილის გამოგონებამდე მინის ჭურჭელი ძირითადად მზადდებოდა მეთოდით, რომელსაც ე.წ. ქვიშის გულარის ტექნიკა ეწოდება, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ სასურველი ფორმის ქვიშის გულარზე ჩამოისხმებოდა მინის გამლღვარი მასა, რომელიც გაცივებამდე ფერადი ძაფებით ირთებოდა. ეს ტექნიკა ფიქსირდება ძვ.წ. II ათასწლეულიდან, ხოლო ძვ.წ. V ს-იდან ამ ხერხის პარალელურად,

ნაგრძელებული ფორმის მინის ჭურჭლის დასამზადებლად გამოიყენებოდა ე.წ. *ლითონის ლერაკზე ფორმირების* მეთოდი. ამავე პერიოდშივე მზადდება ჭურჭელი ფორმაში მინის მასის ჩაწნეხვით. ძვ.წ. I ათასწლეულის მიწურულს კი მინის წარმოებაში გამოიგონეს ე.წ. *საბერავი მილის ტექნიკა*, რამაც დასაბამი მისცა მინის წარმოებაში ახალ ეპოქას. საქართველოში მინის ჭურჭელი პირველად ძვ.წ. V ს-ში ჩნდება. ესენია, ძვ.წ. V-IV სს-ის მცირე ზომის პოლიქრომიული მინის ჭურჭელი, რომლის დამზადების ტექნიკაშიც ორი განსხვავებული მეთოდი გაირჩევა:

1. ქვიშის გულარზე ფორმირებული ფერადი გაუმჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე მინის ჭურჭელი: ამ ჯგუფის ჭურჭელი მინის სხვა ნაწარმისაგან გამოყოფილია დამზადების ერთი საერთო ხერხის მიხედვით — ყველა ქვიშის გულარზეა ჩამოსხმული. მაგ.: საჭირო ფორმის ქვიშის გულარზე ჩამოსხმებოდა მინის მასა, რომელსაც შემდეგ, ვიდრე მინა გაცივდებოდა, რთავდნენ ფერადი ძაფებით; ბოლოს უმატებდნენ ყურებსა და სხვა დეტალებს (პირის გვირგვინს, ქუსლს და ა.შ.), საბოლოო ეტაპზე კი ჭურჭლიდან ქვიშას გამობერტყავდნენ. უმეტესად ამ ტექნიკით დამზადებულ ჭურჭელს შიდაპირზე ქვიშის თხელი ფენა აკრავს [იხ. Labino 1966: 124-127; Barag 1962: 10]. საქართველოში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში გამოიყოფა ე.წ. ქვიშის გულარის ტექნიკით დამზადებული მინის ჭურჭელი. კერძოდ: ოინოხოია, ამფორისკი, არიბალოსი, ალაბასტრონი, რომლებიც სურნელოვანი ზეთისთვის, ნელსაცხებლისათვის განკუთვნილ ჭურჭელს (ბალზამარიუმს და უნგვენტარიუმს) წარმოადგენენ.

ამფორისკი, როგორც წესი, დამზადებულია მოლურჯო, მოიისფრო, მცირედ გამჭვირვალე მინისაგან. მას დაბრისებური, გადაშლილი პირი აქვს; ყელი ცილინდრული, ხოლო ტანი კვერცხისებურია და ძირისაკენ ვიწროვდება; მხრიდან ყელზე ორი ყური აქვს; ტანი ზიგზაგისებური, მოცისფრო, მოყვითალო, მოთეთრო სარტყლებითაა შემკული. სიმაღლე უმეტესად — 7 – 9 სმ. პოლიქრომიული ამფორისკები აღმოჩენილია ქობულეთის ფიჭვნარის ე.წ. ბერძნული ნეკროპოლის ძვ.წ. V ს-ის სამარხებში, ციხისძირში, ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. IV ს-ის სამარხში, ბრილში [ჩხაიძე 1979: 39, ტაბ. VI,2; კახიძე და სხვ. 2009: 29-30, 39-41, 48-50, №12,13, 26-28, 32, 42-44. 22, №4; ფირცხალავა 1983: 81, 85-86, ტაბ. 37, 392-394]. ამფორისკების ამ ჯგუფისაგან გამოირჩევა 6 სმ სიმაღლის ორი ამფორისკი, რომლებსაც მოთეთრო კორპუსის შუა ნაწილი ე.წ. ზეთისხილისფერი ზიგზაგური სარტყლით აქვს შემკული [იხ. კახიძე და სხვ. 2009: 30-31, 41, ტაბ. VI,14; X,29]. ფიქრობენ, რომ ამ ტიპის ამფორისკების წარმოების ცენტრი კუნძული როდოსია. როდოსულად მიჩნეული მინის ამფორისკებისათვის დამახასიათებელია ე.წ. *დახვეული ქუსლი* [იხ. Haevernik 1960: 56-58; Weinberg 1966: 709-712].

ოინოხოია. საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში წარმოდგენილი ოინოხოიები დამზადებულია ნახევრად გამჭვირვალე, მოლურჯო მინისაგან. მათ სამყურასებრი პირი, ვიწრო და დაბალი ყელი აქვთ; ტანი ბრტყელი ქუსლით ბოლოვდება; პირიდან მხრისკენ ყური ეშვება; კვერცხისებური ტანის შუა ნაწილი შემკულია მოყვითალო და მოცისფრო, ზიგზაგური სარტყლით. სიმაღლე 6,5–11 სმ-მდე მერყეობს. ამგვარი ოინოხოიები საქართველოში ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. IV ს-ის სამარხსა და ფიჭვნარის ე.წ. ბერძნული ნეკროპოლის V ს-ის სამარხებშია ნაპოვნი [ფირცხალავა 1983: 81, 86, ტაბ. 37, 395; ჩხაიძე 1974: 46, ტაბ. I,2; კახიძე და სხვ. 2009: 32, 38-39, 48, №15-16, 24-25, 41]. ოინოხოის წარმოების ცენტრიც, ამფორისკებისვით, ალბათ კუნძული როდოსია [იხ. Haevernik 1960a: 57, ტაბ. 11, 3].

არიბალოსის ყველა ნიმუში ნახევრად გამჭვირვალე, მუქი მოლურჯო მინისაგან არის დამზადებული. მათ გარეთკენ გაფართოებული, განიერი, დაბრტყელებული პირი, დაბალი ყელი, სფეროსებური ტანი აქვთ; ყურები მიმაგრებულია ყელსა და მხარზე; პირის კიდეს შემოუყვება მოცისფრო ან მოყვითალო ძაფი; კორპუსი ირგვლივი მოყვითალო მოცისფრო ზიგზაგების სარტყლითაა შემკული. სიმაღლე – 5-6,5 სმ-მდე მერყეობს. სანელსაცხებლის ეს სახეობა საქართველოში ნაპოვნია ციხისძირის სამარხის ძვ.წ. Vს-ის დასაწყისით დათარიღებულ სამარხში და *ფიჭვნარის* ე.წ. ბერძნული ნეკროპოლის ძვ.წ. V ს-ის სამარხებში [კახიძე და სხვ. 2009: 21-22, № 1-3, 27-28, 38, №8-9, 23].

ალაბასტრონი პოლიქრომიული მინის სანელსაცხებლის ყველაზე მრავალრიცხოვანი სახეობაა საქართველოში. ისინი დამზადებულია გაუმჭვირვალე, მოლურჯო ან მუქი მოიისფრო მინისაგან. მათ ფართო, დისკოსებური პირი და ვიწრო ყელი აქვთ; ტანი ვიწროა, წაგრძელებული, ძირისკენ ოდნავ გაფართოებული; ძირი მომრგვალებულია; მხართან ორი ყურია; პირი მოცისფრო ან მოყვითალო ზიგზაგების სარტყლით არის შემკული [კახიძე და სხვ. 2009: 34-35, 42-47, 50, №33-40, 45-50; ჩხაიძე 1974: 12, ტაბ. I,3; ჩხაიძე 1979: 39-40, ტაბ. VI, 1,3]. აგრეთვე აღმოჩენილია მოთეთრო ალაბასტრონები, მოცისფრო ან მოყავისფერო ზიგზაგებიანი სარტყლით შემკული [კახიძე და სხვ. 2009: 36-37, № 20-22]. ჭურჭლის სიმაღლე – 9-11 სმ-მდე მერყეობს. ისინი აღმოჩენილია *ფიჭვნარის* ბერძნული და კოლხური სამაროვნების ძვ.წ. Vს-ის სამარხებსა და ამავე პერიოდის საირხის №5 სამარხში (№3 კომპლექსში) [იხ. მახარაძე და სხვ. 2007: 45, სურ.50]. ალაბასტრონი ამ კატეგორიის ნივთებს შორის ერთადერთი ფორმაა, რომელიც ძვ.წ. IVს-ის შემდეგაც განაგრძობს არსებობას საქართველოს ნივთიერ კულტურაში. მაგ.: *ფიჭვნარის* სამარხები [კახიძე და სხვ. 2009: 53, №51-52] და *ვანის* ნაქალაქარი.

პოლიქრომიული მინის ჭურჭლის განხილული სახეობები უამრავი ნიმუშითაა წარმოდგენილი მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში (მაგ.: ძვ. სირია, ფინიკიური კოლონიები). ამ ჭურჭელმა ყველაზე დიდი გავრცელება იტალიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთში ჰპოვა. ძვ.წ. VI-IV სს-ის პოლიქრომიული მინის ნაწარმის გავრცელება დროითა და არეალით თანხვედრა ატიკური კერამიკის გავრცელებას. მინის ამ პროდუქციის გატანას ასეთ დიდ ტერიტორიაზე ატიკელ ვაჭრებს მიაწერენ [იხ. Fossing 1940: 71-72, 75, 79, სურ. 47, 52; Кунина 1997: 247-253, კატ.2-35]. ამ ტიპის ჭურჭლის უადრესი ნიმუშები ხმელთაშუაზღვისპირეთში გვხვდება. კერძოდ, კუნძულ *როდოსზე*, სადაც ძვ.წ. VI—IV სს-ის პოლიქრომიული მინის ნაწარმის ყველაზე დიდი ნაწილია მოპოვებული. რამდენადმე გვიან, ეს ჭურჭელი შავიზღვისპირეთსა და კავკასიაშიც ჩნდება [იხ. ფირცხალავა 1983: 82, სქ. 507, 508]. საქართველოში ნაპოვნი ეს ნივთები საფუძვლიანად დათარიღებული და განსაზღვრული არქეოლოგიური კომპლექსებიდან მომდინარეობს. მათი მეშვეობით შესაძლებელია ამ ნაწარმის ზოგადი თარიღის დაკონკრეტება: *ფიჭვნარის* მაგალითზე ირკვევა, რომ ადრეულ ფერად ჭურჭელში (ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედის) სჭარბობს თეთრფონიანი ალაბასტრონები; ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარში კი არიბალოსები აღარ იწარმოება; ვანის სამარხი, რომელიც ამფორისკებსა და ოინოხოიას შეიცავდა, ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისისაა [იხ. ფირცხალავა 1983: 82, სქ. 509].

2. ლითონის ღერაკზე ფორმირებული გაუმჭვირვალე მინის ჭურჭელი. ამ ჭურჭლის მთავარი საერთო ნიშანი დამზადების ტექნიკაა. კერძოდ, ისინი ლითონის ღერაკზეა ჩამოსხმული და არა ქვიშის გულარზე. ეს მომცრო ჭურჭლები ქუთუთოების შესაღები მოშავი ნივთიერების შესანახავად იყო განკუთვნილი და Kohl-tube-ს უწოდებენ [იხ. Barag 1975: 23]. ჭურჭლის კორპუსის მოყვანილობის მიხედვით ოთხნახნაგა და ცილინდრულ ტანიანი ფლაკონები გაირჩევა. ოთხნახნაგა სანელსაცხებლებს გაუმჭვირვალე მუქი მოიისფრო ან მუქი მოლურჯო ზედაპირი აქვთ; არის მოთეთრო ზედაპირიანიც, რომელიც გადანატეხში მოშავოა. პირის კიდე ლილვაკისებურია და დაღარულია ირიბი ხაზებით; აქვს ვიწრო, ცილინდრული ყელი; ტანი ძირისკენ ვიწროვდება; ძირი მომრგვალებულია; ტანის შუა ნაწილი მოთეთრო ან მოყვითალო ზიგზაგებით არის შემკული. ჭურჭლის სიმაღლე 7- 8,5 სმ-მდე მერყეობს. ჭურჭლის ოთხნახნაგა ნიმუშები საქართველოში აღმოჩენილია *ფიჭვნარის* ე.წ. ბერძნული ნეკროპოლის ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედის სამარხში და *ვანის* ნაქალაქარის ძვ.წ. IV ს-ის სამარხებში. აქედან ერთი სამ ამფორისკთან და ოინოხოიასთან ერთად იყო ერთ სამარხში. აგრეთვე ნაპოვნია ენაგეთის ძვ.წ. V ს-ის დასასრულისა და ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისის სამარხში; *ტახტიძირის* სამარხში [იხ. საგინაშვილი 2000: 73, 74, სურ.4-6]. ცილინდრულტანიან გაუმჭვირვალე, მოთეთრო ფერის ფლაკონებს დაკბილული პირის კიდე აქვთ; ბრტყელი ძირი და პირიდან ძირამდე სპირალურად შემოხვეული ძაფი. ისინი აღმოჩენილია სოფ. *კუშჩში* (*ნალკასთან*) და *შავსაყდარა* II-ის სამაროვანზე და შედარებით გვიანდელი ხანით — ძვ.წ. IV—III სს-ის მიჯნით თარიღდება [იხ. საგინაშვილი 2000: 72-73,

სურ. 1, 3; მარგიშვილი 1992: 24, ტაბ. XVII,5; XXIV,2]. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ სახეობის მინის ჭურჭელი უმეტესად კარგად დათარიღებული არქეოლოგიური კომპლექსებიდან მომდინარეობს. საინტერესოა, რომ კერძო კოლექციების ოთხი მსგავსი ჭურჭელი შეიცავდა მოშავო კოსმეტიკური ნივთიერების ნარჩენებს [იხ. Barag 1975: 28]. მოშავო ნივთიერების ნარჩენები ვანის ნაქალაქარის ერთ-ერთ მსგავს ფლაკონშიც აღმოჩნდა.

მოცემულ პერიოდში გავრცელებული სანელსაცხებლეებისაგან მკვეთრად გამოირჩევიან ფერადი მინის თასისებური ჭურჭლები. ისინი დამზადებულია გამჭვირვალე, მოლურჯო ან მოყავისფრო მინისაგან. მათ ფართო პირი აქვთ; ყელი ვიწროვდება; ტანი კვერცხისებურია; ძირი მომრგვალებულია; ყელი შემკულია ორ მოყვითალო ხაზს შორის მოქცეული მოთეთრო ზიგზაგური სარტყლით. სულ ორი ნიმუშია ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. V ს-ის ბოლო მესამედით დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილი. სიმაღლე — 15 სმ, დიამეტრი — 7,5 სმ [ფირცხალავა 1983: 84-85, სურ.37, 397, 398]. ხსენებული თასისებური ტიპის მინის ჭურჭელი ძვ.წ. V ს-ში არ გვხვდება. ამ პერიოდში ძირითადად პოლიქრომიული მინის ვიწროყელიანი და ვიწროპირიანი ჭურჭლებია გავრცელებული. თასისებური ტიპის მინის ჭურჭლებს ყელის ირგვლივ ღარი აქვთ, რომელიც მოსახერხებელია რაიმე ზონარის შესაბამელად. ამიტომ ფიქრობენ, რომ ეს ჭურჭელი შესაძლოა ჩამოსაკიდი კოსმეტიკური სანელსაცხებლე იყო. ამგვარი ნივთები — ორფერი ან სამფერი გრეხილებით შედგენილი პირის კიდე ძვ.წ. VII-ის მესოპოტამიური და დასავლეთ ირანული სამყაროს ნაწარმისთვისაა დამახასიათებელი [იხ. Barag 1975: 15, 24, 28]. თუ რამდენად ძვირფასი იყო პოლიქრომიული მინის სანელსაცხებლეები აღნიშნულ ხანაში ჩანს იქიდან, რომ ხშირად გატეხილი ცალკე შეკეთებულია [იხ. Nolte 1975: 15]. ამასთან, უკლებლივ ყველა საქართველოში მოპოვებული ჭურჭელი მდიდრული სამარხული კომპლექსის ნაწილია.

ე.წ. საბერავი მილის გამოგონებამდე ე.წ. გულარის ტექნიკის გარდა, მინის ფორმაში ჩანწეხვის მეთოდსაც მიმართავდნენ. ასეთი მეთოდით დამზადებული ღია ტიპის მინის თასები საქართველოშიც არის ნაპოვნი. ეს არის გამჭვირვალე მოყვითალო მინის ჭურჭელი, რომელსაც გადაშლილი სწორხაზოვანი პირი აქვს, გამობერილი და ძირისკენ დავიწროვებული ტანი, რომლის ზედა მხარე შემკულია რელიეფური ქედებით, ხოლო ძირთან გარედან მოცემულია რელიეფური წრე, საიდანაც სხივებად გამოდის ლოტოსის ყვავილის მგვარი ფურცლები (მაგ. საირხის ნიმუშზე) [იხ. საგინაშვილი და სხვ. 1999: 45-49, სურ. 4], ან ლოტოსის ვარდულის ფურცლებს შორის განთავსებულია ნუშის გულის ფორმის ბურცობები (მაგ. ალგეთის ფიალაზე) [იხ. Куфтин 1941: 37, ტაბ.VIII]. შიდა პირი ამ ჭურჭლისა გლუვია და არ იმეორებს გარე პირის რელიეფს, მათი კედლები სქელია და არათანაბარი სისქისა, რაც ფორმაში მინის მასის ე.წ. ჩანწეხვის ტექნიკური ხერხის შედეგია. მინის ფიალები აგრეთვე ნაპოვნია საირხის №5 სამარხთან მიკვლეულ „საკულტო მოედანზე“ და ალგეთის მდიდრულ სამარხში. ეს უკანასკნელი ძვ.წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედით თარიღდება, საირხის აღმოჩენა კი ძვ.წ. V-IV სს. ფიქრობენ, რომ ამ ტიპის ფიალების ფორმა უშუალოდ ლითონის ფიალებიდანაა აღებული [იხ. საგინაშვილი და სხვ. 1973: 84-92; საგინაშვილი და სხვ. 1999: 50]. ასეთია მინის ჭურჭლის ის ძირითადი სახეობები, რომლებიც საბერავი მილის გამოგონებამდე მოიხმარებოდა ძველ საქართველოში და რომლებიც ძველი მსოფლიოს სხვადასხვა საწარმოო ცენტრებიდან შემოჰქონდათ საქართველოში გარკვეული, შეძლებული კატეგორიის მომხმარებლისთვის.

საბერავი მილის გამოგონება ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ივარაუდება. ეს სიახლე პირველად შემოიღეს: სირია-ფინიკიაში, ეგვიპტეში ან რომში. ე.წ. საბერავი მილის გამოგონებასთან ერთად მინის წარმოება ბევრმა დაწინაურებულმა ქვეყანამ აითვისა, სადაც კი მოიპოვებოდა მინის დამზადებისათვის საჭირო ნედლეულის საბადოები. დოკუმენტურად ცნობილია, რომ ახ.წ. I ს-ში სირია მინის ჭურჭლის მზა პროდუქციის მთავარი მიმწოდებელი იყო იმდროინდელ მსოფლიო ბაზარზე [იხ. საგინაშვილი 1970: 5, 42-43]. გამობერვის ტექნიკით შესაძლებელი გახდა თხელკედლიანი და მსუბუქი მინის ჭურჭლის დამზადება. მინის ჭურჭლის გამობერვისას ამა თუ იმ ტიპის

ჭურჭლისათვის განკუთვნილი, მოდულეზული ნამზადიდან ხელოსანი საბერავი მილის საშუალებით იღებს სათანადო ოდენობის ცხელ მასას, რომელიც მოსქოა და ბლანტი. მილის მეორე ბოლოდან ჩაბერვით წარმოიქმნება ბურთულა, რომლის კედლები გამობერვის პროცესში უფრო და უფრო თხელდება. იმის მიხედვით, თუ რა ფორმის ჭურჭელი უნდა დამზადდეს, ხელოსანი აჩერებს ბერვას და ბრტყელ დაფაზე გორებითა და ინსტრუმენტების მოშველიებით სასურველ ფორმას აძლევს. სხვა დეტალი: ქუსლი, ყური, ტუჩი, ხელახალი გათბობით ემატება. ადრეული შუა საუკუნეებიდან საბერავი მილი ლითონისაგან მზადდება, ხოლო პირი და ტარი ხისაგან. მილის სიგრძე $\approx 1-1,30$ მ-ია [საგინაშვილი 1970: 43; უგრელიძე 1967: 87].

გამობერვის მეთოდით მიღებული ჭურჭელია არის თავისუფლადნაბერი ან ფორმაში გამობერილი. არის აგრეთვე, ჭურჭლის დამზადება ყალიბში ჩამოსხმის ხერხითაც. ჭურჭლის ე.წ. **ფორმაში გამობერვა** შედარებით თავისუფალ ბერვასთან, ნაკლებ დახელოვნებას მოითხოვს. საბერავი მილის ბოლოს მინის მასითურთ ათავსებენ ფორმაში და ბერავენ იქამდე, ვიდრე მინა მჭიდროდ არ მიეკვრება ფორმის კედლებს. ზედაპირი რომ გლუვი გამოვიდეს, მილს ატრიალებენ. გამოღების შემდეგ მილს აშორებენ — ხშირად ამ პროცესის შემდეგ ძირზე რჩება საბერავი მილის კვალი, რომელიც მოითხოვს ხეხვასა და გაპრიალებას. ფორმაში გამობერვა წინ უსწრებდა თავისუფლად გამობერვას. ფორმა მზადდებოდა თიხისაგან და ხისაგან ან ლითონისაგან. ცილინდრული ან კვადრატული ჭურჭლის გამობერვისას იყენებდნენ მთლიან ფორმას, რელიეფურ ორნამენტიანი ჭურჭლისთვის კი ორ, ან რამდენიმე ნაწილისაგან შედგენილ ყალიბს [საგინაშვილი 1970: 43]. საქართველოში მოპოვებული ფორმაში გამობერილი მინის ჭურჭლის უდიდესი ნაწილი სანელსაცხებლებია. ამ ტექნიკური ხერხით დამზადებული უადრესი ნაწარმი ახ.წ. I ს. ირკვევა, რომ ამ ტიპის ჭურჭლის ექსპორტის მთავარ ცენტრს წარმოადგენდა სირია. ამავე დროს რიგ შემთხვევებში შესაძლებელი ხდება დაკონკრეტება, რომ გარკვეული ტიპის მინის ჭურჭლის ჯგუფი სიდონურია, კერძოდ, ენიონის სახელოსნოს პროდუქციაა. ასეთია მაგალითად ე.წ. **რელიეფურ ორნამენტიანი** ფიგურული ჭურჭელი, დამზადებული გამჭვირვალე მოიისფრო ან მოყავისფრო მინისაგან. მათ დაბრტყელებული გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, მრგვალი ტანი, ბრტყელი ძირი აქვთ; ორი ყური მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. ტანი სამ ფრიზად არის დაყოფილი: თავსა და ბოლოში ბოლოებმომრგვალებული ვიწრო კანელურებია, მათ შორის მოქცეულია ფართო სარტყელი, შედგენილი რელიეფური სპირალით. სიმაღლე — 6,8-7,3 სმ. საქართველოში ამ ტიპის ჭურჭელი აღმოჩენილია ურბნისის სამაროვანზე, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ხმელთაშუაზღვისპირეთში. მათი თარიღია I ს. [Кунина 1997: 280, კატ.140-141]. ამავე ჯგუფს ფერადი მინის კანელურებიანი ჭურჭელიც მიეკუთვნება. ის დამზადებულია მოიისფრო ან მოცისფრო გამჭვირვალე მინისაგან; აქვთ გადაშლილი ბრტყელი პირი, მაღალი ყელი, სფერული ტანი, ქუსლიანი ძირი. ერთი ან ორი ყური, მიმაგრებული პირსა და მხარზე. ტანი დაფარულია ღრმა კანელურებით. სიმაღლე 6,8-7,9 სმ. აღმოჩენილია ურბნისის სამაროვანზე. თარიღდება I ს [საგინაშვილი 1970: 12-13, სურ. 2, კატ.4-6]. ამ ტიპის ჭურჭელი გავრცელებულია აზერბაიჯანში, სომხეთში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, მთელ რომაულ სამყაროში. ამგვარი ჭურჭელი ყველაზე დიდი რაოდენობით სირიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი [Кунина 1997: 280, კატ. 139].

წახნაგოვანტანიანი ჭურჭელი. საქართველოში მოპოვებულ ყალიბში გამობერილ მინის ჭურჭელს შორისაა სპეციფიკური ფორმის ბოთლები, ე.წ. *კუბიკოსები*. მათი საერთო ნიშანია მაღალი, ოთხწახნაგა ტანი და კვადრატული ფორმის ძირი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში შემკულია რელიეფური ორნამენტით. ეს ჭურჭლები დამზადებულია გამჭვირვალე, სქელკედლიანი, მოთეთრო, მოცისფრო ან მომწვანო მინისაგან; ყველა ყალიბშია გამობერვით დამზადებული. მათ აქვთ ბრტყელი, გვერდებისკენ დაქანებული პირი; დაბალი ცილინდრული ყელი; განიერი ყური თითქმის ყოველთვის მართი კუთხითაა მოხრილი და მიმაგრებულია პირსქვემოთ და მხარზე. მათში, ყურის რამდენიმე ვარიანტი გაირჩევა: 1. ლენტისებური, შუაში განიერი ღარით. 2. სამი თანაბარი ნაწილისგან

შედგენილი. 3. ლენტისებური, ვინრო ღარებით დაფარული. ძირი ბრტყელია, მასზე გამოსახული რელიეფური ორნამენტი რამდენიმე ვარიანტს გვაძლევს: 1. ძირი შემკულია ხუთი რელიეფური წრით (ნერტილით ცენტრში), რომელთაგან ოთხი, მცირე ზომის, კუთხეებშია გამოსახული, ერთი კი ცენტრში. 2. იგივე სქემა შუა ნაწილში ორი, სამი, ოთხი კონცენტრული წრით, რომელიც კვადრატული ძირის მთელ ფართობს მოიცავს. 3. წრეების ნაცვლად კუთხეებში და ცენტრში კოპებია დასმული, ცენტრალური კოპის ირგვლივ კი რელიეფური კონცენტრული წრეებია. 4. ძირზე მხოლოდ კონცენტრული წრეებია. 5. ორ კონცენტრულ რელიეფურ წრეში ჩასმულია ჯვრისმაგვარი სახე, კუთხეებში კი მოთავსებულია ე.წ. გვერდებგახსნილი კვადრატის გამოსახულება. 6. კვადრატული ძირის მთელ ფართობს მოიცავს რელიეფურ წრეში ჩასმული ვარდული. ამ ოთხნახნაგა ბოთლების სიმაღლე მერყეობს 18,9 სმ-დან — 32,6 სმ-მდე, მაგრამ მოცულობის დასადგენად ნახნაგების სიგანეცაა გასათვალისწინებელი — არის შემთხვევები, როდესაც დაბალ ბოთლებს მაღლებთან შედარებით განიერი ნახნაგები აქვთ. მაგ. 32,6 სმ სიმაღლის ბოთლის ტევადობა, რომლის ნახნაგის სიგანეა 7სმ, ნაკლებია 19,3სმ სიმაღლის ბოთლის ტევადობაზე, რომლის ნახნაგია 10, 5 სმ ტოლია.

საქართველოში ასეთი ბოთლები აღმოჩენილია *მცხეთაში*, ახ.წ. I-III სს-ის სამარხებში [საგინაშვილი 2005: 42-44; ტაბ. I-II]; *ურბნისში*, ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრის სამარხში [საგინაშვილი 1970: 19-20; სურ. 4, ტაბ. 16]; *ზღუდერში*, ახ.წ. II ს. და III ს-ის დასაწყისის №3 სარკოფაგში [ბრაუნდი და სხვ. 2009: 84, კატ. 3.22, 3.23]; *ჟინვალში*, III ს-ის დასასრულისა და IV ს-ის დასაწყისის №5 სამარხში [რამიშვილი რ. 1983: 94, 117-118; ტაბ. XXXVIII]; *გონიოში* [შალიკაძე 2004: 26-29; სურ. 18-19]; *ბიჭვინთაში*, II-III სს-ის სამარხში [ლორთქიფანიძე გ. 1991: 194; ტაბ. XIX-1]. ამგვარი ჭურჭელი ფართოდ იყო გავრცელებული I-III სს-ის განმავლობაში ხმელთაშუაზღვისპირეთში, შავიზღვისპირეთსა და დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. ითვლება, რომ თავდაპირველად ე.წ. კუბიკოსების გამობერვა ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებში დაიწყო ახ.წ. II ს-ში; აქედან ეს ხერხი მალევე იქნა ათვისებული რომის იმპერიის პროვინციების სახელოსნოების მიერ, საიდანაც ეს ჭურჭელი გავრცელდა მთელ ანტიკურ სამყაროში. ჩანს, გამონაკლისს ამ მხრივ არც ძველი საქართველოს ტერიტორია წარმოადგენდა [საგინაშვილი 2005: 41]. საქართველოში ამ ჭურჭლისა უადრესი ნიმუშები *ურბნისისა* და *მცხეთის* კუბიკოსებია, ხოლო ყველაზე გვიანდელი — *ჟინვალისა*. მოიაზრება მათი წარმოების ორი დიდი კერა — ხმელთაშუაზღვისპირა (რომელიც მოიცავს *სირიას*, *ეგვიპტესა* და *კვიპროსს*) და დასავლურ-რომაული (რომელშიც შედიოდა *გალია* და *რეინის* ოლქი) [საგინაშვილი 2005: 43]. საქართველოს ნივთიერ კულტურაში არსებულ კუბიკოსებში, დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მინის კუბიკოსების მსგავსად [Кунина 1997: 285, კატ. №163-168, 170], არჩევენ ამ ორივე დიდი ჯგუფის პროდუქციას — სახელდობრ, *სირიის* სახელოსნოს ახ.წ. II-ის ნაწარმს (*მცხეთა*, *ურბნისი*), ერთი მხრივ, და *გალიისა* და *რეინის* ახ.წ. II-III სს-ის საწარმოთა ნახელავს, მეორე მხრივ [საგინაშვილი 1970: 19]. სირიული მინის სხვა სახეობის ჭურჭლის აღმოჩენები იმდენად ხშირია საქართველოში, რომ შესაძლებელი ხდება ამ ორ სამყაროს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის არსებობაზე ლაპარაკი; მაგრამ რაც შეეხება დასავლურ ჯგუფს, ამ ცენტრების ნაწარმი საქართველოში აღნიშნულ ხანაში იშვიათია და საკითხავია, იყო ეს გალიისა და რეინის ცენტრებთან უშუალო კავშირის შედეგი, თუ ურთიერთობანი შუამავლების საშუალებით ხორციელდებოდა. ოთხნახნაგა ბოთლები წარმოადგენდა ტარას სხვადასხვა სითხის შესანახად და ტრანსპორტირებისათვის. მათი ფორმა ხელსაყრელი იყო ყუთებსა და კალათებში მოხერხებულად მოსათავსებლად. ოთხნახნაგა ბოთლები სუფრის ჭურჭლადაც გამოიყენებოდა [იხ. საგინაშვილი 2005: 41].

ნახნაგოვან ტანიანი მინის ჭურჭლის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ე.წ. **მრავალნახნაგა ამფორისკები**, მოყვითალო-მოყავისფრო ან მომწვანო გამჭვირვალე მინისა. მათ აქვთ გადაშლილი პირი; ცილინდრული ყელი; ექვსნახნაგა, რთული კონფიგურაციის კორპუსი, რომელსაც აქვს ორი განიერი ყური მუქი მოლურჯო მინისა; ძირი — კონუსური. სამაღლე —

5,6–7,1სმ; გამობერილია ორნაწილიან ყალიბში. საქართველოში ამ ტიპის სანელსაცხებლები აღმოჩენილია *მცხეთა-სამთავროს* ახ.წ. II ს-ის სამარხში [უგრელიძე 1961: ტაბ. 7] და *ურბნისის* სამაროვანზე, ახ.წ. I ს-ის სამარხში [საგინაშვილი 1970: 13-14, 50, 51; ტაბ.7,8]. მინის ეს ამფორისკები ახ.წ. I ს თარიღდება. ანალოგიური სანელსაცხებლები აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და სომხეთში [Кунина 1997: 279, კატ. 137]. როგორც სჩანს, ახ.წ. II ს-ის მინის ჭურჭლის მთავარი მიმწოდებელი ძველი საქართველოსთვის იყო *სირია*. ამ ჭურჭლის უმრავლესობა ტარას წარმოადგენდა.

ძვ. სირიული წარმომავლობის არის აგრეთვე ყალიბში გამობერვის ტექნიკით დამზადებული კიდევ რამდენიმე ტიპის ჭურჭელი. კერძოდ, ასეთია რელიეფურ სარტყლებიანი ამფორისკები — ნახევრადგამჭვირვალე მოლურჯო ან მოიასამინისფრო მინის. მათ ჰორიზონტალურად გადაშლილი განიერი პირის კიდე, ცილინდრული ყელი, კვერცხისებური ტანი აქვთ, რომელიც ირგვლივ რელიეფური ქედებით არის დაფარულია. სიმაღლე 7,6 სმ-ია. საქართველოში ასეთი სანელსაცხებლები ცნობილია *სამთავროდან* და *ურბნისის* ახ.წ. I ს-ის სამარხიდან [უგრელიძე 1961: ტაბ. 13]. ანალოგიური ამფორისკები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშია ნაპოვნი [Кунина 1997: 280, კატ.142-143]. ჭურჭლის ფორმაც და შემკობაც ახ.წ. I ს-ის *სირიული* მინის ნაწარმისთვისაა დამახასიათებელი. საყურადღებოა აგრეთვე ე.წ. მათარის ტიპის მოიისფრო ან მოყვითალო-მოყავისფრო გამჭვირვალე მინის სანელსაცხებლები, რომლებსთვისაც დამახასიათებელია გადაშლილი პირი; ცილინდრული ყელი; დაბრტყელებული სფეროს მსგავსი ტანი, რომლის ორივე მხარეს, ორ რელიეფურ კონცენტრულ წრეხაზს შორის, გამოსახულია რელიეფური ვარდული. მათ აქვთ ორი ვერტიკალური, ზემოთ მოხრილი ყური. სიმაღლე 7,2 სმ-ია. აღმოჩენილია *სამთავროს* ახ.წ. II ს-ის სამარხში [უგრელიძე 1961: ტაბ. 6] და *ურბნისში*, ახ.წ. I ს-ის სამარხში [საგინაშვილი 1970: 15, სურ.3, 1; ტაბ.10]. ანალოგიური ჭურჭელი, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ახ.წ. I ს-ის სირიულ ნაწარმადაა მიჩნეული [Кунина 1997: 277, კატ.128]. საქართველოში ერთადერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი ყალიბში გამობერვით დამზადებული ოინოხოია, მუქი წითელი ფერის გამჭვირვალე მინისა. მას აქვს მაღალი ყელი; სფერული ტანი; ვიწრო ყური მიმაგრებულია პირზე და მხარზე, პირთან მიმაგრების ადგილას მარყუჟისებრი შვერილი აქვს. ტანზე ჩაღარული ორნამენტის სამი ფრიზია: მხარზე და ძირთან პატარა მრგვალი ფოსოების ორ-ორი რიგით შედგენილი სარტყლები საზღვრავენ შუა დიდ ფრიზს, შედგენილს ურთიერთგადამკვეთი წრეხაზებით, ასეთივე ფოსოებით ცენტრში. მისი სიმაღლე 11,6 სმ-ია. ნაპოვნია *ურბნისის* ახ.წ. I ს-ის სამარხში [საგინაშვილი 1970: 17-18, ტაბ. 12].

ამავე პერიოდის არის, სანელსაცხებლისგან განსხვავებული ფუნქციის მქონე სასმისების ჯგუფი — **ფიალები**. ისინი მოცისფრო გამჭვირვალე მინისა და ნახევარსფერული მოყვანილობის არის. მათ კალთაზე ხშირი რელიეფური შვეული ქედებია აქვს. ის *ურბნისის* ახ.წ. I ს-ის სამარხშია აღმოჩენილი [საგინაშვილი 1970: 16, ტაბ.11]. ანალოგიური თასები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშია ნაპოვნი და ახ.წ. I ს-ის სირიულ ნაწარმად არის მიჩნეული [იხ. Кунина 1997: 276, კატ.121,122]. ნაირსახეობა გამჭვირვალე მინის თასებისა, ე.წ. ვერტიკალურ ნიბოებიანი ფიალებისა, ფრაგმენტების სახით წარმოდგენილია *გონიოს* ციხისა და *ციხისძირის* კულტურულ ფენებში, მაგრამ განსხვავებით *ურბნისის* ტიპის თასებისაგან, რომელთა კორპუსი დაფარულია თანაბარი სიგანის ხშირი ქედებით, მათი რელიეფური ნიბოები უკლებლივ ყველა ნიმუშზე ძირისკენ თანდათან ვიწროვდება [შალიკაძე 2004: 17-20, სურ. 10-14. ინაშვილი 1993: 62-64, ტაბ. XXVII, 5] და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი თასების იმ ჯგუფთან ავლენს ყველაზე მეტ სიახლოვეს, რომელიც თავისუფალი ბერვის ტექნიკით დამზადებულად ითვლება ჩრდილოეთ იტალიაში და ახ.წ. I ს-ით თარიღდება. ამ ტიპის თასების წარმოების ცენტრებად სახელდება *რომი*, *გალია*, მდ. *რეინის აუზი* [Кунина 1997: 295, კატ. 204-211].

ყალიბში გამობერილი სასმისის კიდევ ერთი სახეობაა წარმოდგენილი *გონიოს* მინის ნაწარმში. ეს არის მოცისფრო გამჭვირვალე მინის ლოტოსის რელიეფური რიგებით დაფარული სასმისი [იხ. შალიკაძე 2004: 25, სურ.17]. ანალოგიების მიხედვით მსგავსი

სასმისი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ახ.წ. II-ის მეორე ნახევრით არის დათარიღებული და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნაკეთობად არის განსაზღვრული [იხ. Кунина 1997: 275, კატ.118]. ყურადღებას იწვევს მოყვითალო-მომწვანო, გამჭვირვალე მინის, ბერძნულწარწერიანი სასმისი გონიოდან. მას ტანზე ორმაგი ხაზებით შემოფარგლულ არეზე გამოსახული აქვს რელიეფური ორნამენტი — წყვილ-წყვილად განლაგებული ოთხი გვირგვინი. ეს სასმისიც ახ.წ. I ს-ით თარიღდება და სირიულ ნახელავად ითვლება [იხ. შალიკაძე 2004: 23-25, სურ. 15].

ყალიბში გამობერილი სანელსაცხებლების გვიანდელი ფორმები: 1. ე.წ. ყურძნის მტევნისებური, 2. ტანდალარული და 3. ნაგრძელებული გვერდებში შეხეილი სანელსაცხებლები IV-V სს-ის რუსთავიდან, ალაიანიდან და სამთავროდან არის ცნობილი: 1. ესაა მომწვანო მინის ჭურჭელი, ბრტყელი, გადაშლილი პირით, განიერი ყელით, კვერცხისებური ტანითა და ბრტყელი ძირით. მისი კორპუსი რელიეფური ნახევარსფერული ბურცობებითაა დაფარული, რაც ყურძნის მტევნის იმიტაციად მიიჩნევა. ძვ. სირიული ნაწარმია. 2. სფერულტანიანი, კორპუსი შვეული ღარებით და მათ შორის წარმოქმნილი რელიეფური ქედებითაა დაფარული [ჩხატარაშვილი 1978: 8-9, ტაბ. I, 1, II, 1; 9, ტაბ. II, 4; უგრელიძე 1967: 31, სურ. 10]. 3. ვიწრო და ნაგრძელებულტანიანი, შესქელებულ პირიანი, ყელი ვიწრო ტანის გაგრძელებას წარმოადგენს და თითქმის კორპუსის სიგრძისაა; ვიწრო კორპუსი მთელ სიგრძეზე შეხეილია. აღმოჩენილია სამთავროში (4ც.) და რუსთავში (5ც.) [იხ. უგრელიძე 1967: 35-36, სურ. 20; ჩხატარაშვილი 1978: 9, ტაბ. I, 5].

ყალიბში გამობერილი ჭურჭლის პარალელურად საქართველოში ახ.წ. II-დან თავისუფალი გამობერვის მეთოდით დამზადებული მინის ჭურჭელი ვრცელდება. ე.წ. საბერავი მილის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა მინის მასობრივი წარმოება და თხელკედლიანი და მსუბუქი მინის ჭურჭლის მიღება. სახელოსნოებში ერთი მხრივ, იმეორებენ ლითონისა და თიხის ჭურჭლის ფორმებს, და ამავე დროს ერთმანეთისაგან განსხვავებული ახალი ფორმებიც იქმნება. ამ ფორმათა შორის გამოიყოფა შემდეგი სახეობები: ე.წ. მინიატურული ნახევრადგამჭვირვალე სანელსაცხებლები — ე.წ. კოლბისებურთა ჯგუფის. მათი ზომები მერყეობს 2,9 - 4,2 სმ-ს შორის. ისინი ნაპოვნია მცხეთაში ახ.წ. II-ით დათარიღებულ სამთავროს სამაროვნის სამარხებსა და ე.წ. სადგურის აკლდამაში, ურბნისის სამარხებში, გონიოში [უგრელიძე 1961: ტაბ.11; შალიკაძე 2004: 39, სურ.33]. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ე.წ. კოლბისებურტანიანი მინის სანელსაცხებლები. მათი დამახასიათებელი ნიშანია მაღალი და ვიწრო ცილინდრული ყელი და სხვადასხვა მოყვანილობის დაბალი კორპუსი; ძირი ბრტყელია, მეტწილად შედრეკილი. ხშირად ყელთან მცირე ღარია, რაც ნელსაცხებლის ნელ-ნელა გადმოღვრას უზრუნველყოფდა. მათი სიმაღლე 10 სმ - 15,6 სმ მერყეობს [საგინაშვილი 1970: 20-22, 43, სურ. 6-20. ტაბ. 59-123, 125-158]. კორპუსის მოყვანილობის მიხედვით გაირჩევა რამდენიმე ვარიანტი: ესენია კონუსურტანიანი ნიმუშები. ისინი სამთავროსა და, ურბნისშია აღმოჩენილი [უგრელიძე 1961: ტაბ. 13; საგინაშვილი 1970: 21, სურ. 6-9. ტაბ. 59, 60; ჩხატარაშვილი 1978: 10-11, ტაბ. I, 3; შალიკაძე 2004: 39-40, სურ. 34-36]. ამ ტიპისები გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის აუზში, შავიზღვისპირეთში. მათი წარმოების ცენტრად სახელდება ახ.წ. I-III სს-ის სირია და ეგვიპტე [Кунина 1997: 325, კატ.361-64]. ე.წ. კოლბისებრტანიან სანელსაცხებლეთა მეორე ჯგუფი — ე.წ. მსხლისებრტანიანი ნიმუშები — მხოლოდ კავკასიაში გვხვდება: ურბნისის გარდა სომხეთსა და აზერბაიჯანში, I-II სს კომპლექსებში. ისინი კავკასიურ ნაწარმადაა მიჩნეული [იხ. საგინაშვილი 1970: 25-26, სურ.10-12]. მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან ე.წ. ზარაკისებურტანიანი (ნახევარსფერულტანიანი) ჭურჭლები, რომელთა უმრავლესობის დამახასიათებელი ნიშანია ღრმად შეხეილი ძირი, თარიღებიან ახ.წ. I-IV სს-ით. აღმოჩენილია ურბნისში, ბიჭვინთაში და ფიჭვნარში [ლორთქიფანიძე გ. 1991: 194-195, ტაბ. XXIII, 1-6; XXIV, 1-3, 5,6; შალიკაძე 2004: 60-61, სურ.62]. ახ.წ. III-IV სს-ში გავრცელებულია სფერულტანიანი ჭურჭლები. მათ ცილინდრული ყელი, ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი ძირი აქვთ. ისინი ბიჭვინთის სამარხებში გვხვდება [ლორთქიფანიძე გ. 1991: 194, ტაბ. XXI, XXII].

ე.წ. თავისუფლად ნაბერი მინის ჭურჭლის ადრეულ სახეობებთან უნდა ვახსენოთ არიბალოსის ტიპის სანელსაცხებლებების ერთი ჯგუფი, მოყვითალო მომწვანო, ზოგჯერ მოიისფრო, გამჭვირვალე მინისაგან დამზადებული, რომელიც ხასიათდება სფერული ტანით, გადაშლილი პირით, სხვადასხვა სიმაღლის ცილინდრული ყელითა და ხშირ შემთხვევაში მოყავისფრო ფერის ორ-ორი ყურით. მცირე ზომის ნიმუშების სიმაღლე მერყეობს 4სმ - 7,4 სმ-ს შორის, ხოლო შედარებით დიდი სანელსაცხებლებებისა 9 - 11,8 სმ-ს შორის. ისინი აღმოჩენილია *მცხეთა-სამთავროში*, *ურბნისში*, *მარტაზისხევეში*, *რუსთავეში*, *გონიოში* [საგინაშვილი 1970: 33-38, სურ.21-23, ტაბ.45-46, 48-54, 159-160. შალიკაძე 2004: 34, სურ.26]. მათში გამოირჩევა ორნამენტირებული, შედარებით დიდი ზომის სანელსაცხებლებები, შემკული ერთ შემთხვევაში სამ ფრიზად განლაგებული ირგვლივი გრავირებული სარტყლით, ხოლო მეორე შემთხვევაში მინისავე ძაფით, რომელიც მხარიდან მოყოლებული ძირამდე სპირალურად შემოუყვება კორპუსს [საგინაშვილი 1970: 33, სურ.21; 34-35, სურ.22]. მინის ჭურჭლის ამოკანონული ხაზებით შემკობა ცნობილია ანტიკურ სამყაროში. ამ ტექნიკამ, რომელიც ახ.წ. I ს-ში ჩაისახა, განვითარების ზენიტს III ს-ში მიაღწია, საქართველოს ნიმუში კი *ურბნისიდან*, კომპლექსის მიხედვით, ახ.წ. II თარიღდება, რაც იშვიათი მოვლენაა. მისი ანალოგია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ასევე ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრითა და II ს-ის დასაწყისით თარიღდება [იხ. Кунина 1997: 299, კატ. 228].

მინის ე.წ. ძაფებით კორპუსის დაფარვა, ეს ხერხი გულისხმობდა უკვე გამზადებულ, და ხელახლა გაცხელებულ ჭურჭელზე ძაფის დადებას, რომელიც მიიღებოდა მინის ცხელ მდგომარეობაში განელვის გზით, რაც ემსახურებოდა არა მხოლოდ ესთეტიურ მხარეს, არამედ უზრუნველყოფდა ჭურჭლის სიმყარესაც. ამ ტექნიკით დამზადებული სანელსაცხებლებები, ოღონდ სხვა ფორმისა, შედარებით გვიანდელი, ახ.წ. IV-V სს-ის ძეგლებიდან არის ცნობილი — *სამთავროდან*, *ურბნისიდან*, *მარტაზისხევიდან* [უგრელიძე 1967: 30, სურ. 8; 38-40, სურ. 26-27. ჩხატარაშვილი 1978: 11-12, ტაბ. II, 2-3]. მათი გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩო ზოგადად ახ. წ. II-IV სს. შემოიფარგლება [საგინაშვილი 1970: 36, 43], ასე რომ ურბნისის არიბალოსები ამ შემთხვევაშიც, კომპლექსების თარიღიდან — I-II სს. — გამომდინარე, ამ ტექნიკის უადრესი ეგზემპლარებია. არიბალოსი სურნელოვანი ზეთისთვის განკუთვნილი ჭურჭლის მეტად პოპულარული სახეობა იყო ანტიკურ სამყაროში და განსაკუთრებით ფართოდ მოიხმარებოდა ყმანვილთა მიერ სპორტული შეჯიბრებების წინ ტანის დასაზღვრად. მას ქალებიც ხმარობდნენ. მათი ნარმოების კერებად ზოგადად ხმელთაშუაზღვის აუზი მოიაზრება, კონკრეტულად კი ისინი რომის დასავლური პროვინციებისთვის უფრო დამახასიათებელ ფორმებადაა მიჩნეული, ვიდრე სირიისა და მცირე აზიისათვის, და ითვლება, რომ მათი ნაკადი ახ.წ. I ს-ში უპირატესად დასავლეთ ევროპიდან შემოდის [შალიკაძე 2004: 35. შდრ. საგინაშვილი 1970: 34-36]. საქართველოსთვის იშვიათი ფორმაა *ხოვლეს* მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ორი, მოზრდილი ზომის (სიმაღლე 36 სმ), მომწვანო გამჭვირვალე მინისაგან დამზადებული, ამფორის ტიპის ჭურჭელი. მათ აქვთ მასიური პროფილირებული პირის კიდე; ძაბრისებრი პირი; ვინრო, ქვემოთ გაფართოებული ყელი; ცილინდრული ტანი; ჰორიზონტული მხრები; ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი ძირი; ორი განიერი, ვერტიკალური ყური, დაფარული ხშირი ვინრო ქედებით [შატბერაშვილი 2007: 88, 92, ტაბ.III, 3,6]. მსგავსი ჭურჭელი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან *რეინის* რეგიონის პროდუქციად ითვლება და ახ.წ. IV ს-ით თარიღდება [Кунина 1997: 332, კატ.400]. ხოვლეს კომპლექსი კი ახ.წ. IIIს-ის შუა ხანებით არის დათარიღებული [იხ. შატბერაშვილი 2007: 95].

ხოვლეს არქეოლოგიური ძეგლის ამავე კომპლექსში ნაპოვნია გაუმჭვირვალე თეთრი მინის ორი ერთნაირი სურა. ის ფერადი გამდნარი მინით მოხატული და თხელი ოქროს ფირფიტებით არის განწყობილი. მათ აქვთ გადაშლილი პირი; გამოყვანილი ყელი; მომრგვალებული მხრები; ძირისკენ თანდათან დავიწროებული ტანი, ოდნავ შედრეკილი ძირი. სამწილადი ყური მიმაგრებულია პირსა და მხარზე; სიმაღლე — 9,1 სმ. ყელზე ორ ოქროსფერ სარტყელს შორის მოყავისფრო საღებავით ჩახატულია ერთ სურაზე ე.წ. თევზიფხური, ხოლო მეორეზე “მორბენალი ძაღლის” ორნამენტი. აქვე ოქროსფერი

ბერძნული წარწერაა — „შესვი, გაამოს.“ ერთ სურაზე, ახალგაზრდა დიონისე და მასთან დაკავშირებული ხუთი პერსონაჟია თაღებში ჩასმული, მეორეზე კი ჭურჭლის ერთ მხარეს პეგასზე ამხედრებული ბელეროფონტე და ქიმერაა, მეორე მხარეს კი მამაკაცი და ქალი (ალბათ დიონისე და არიადნა). ფორმის, დამზადების ტექნიკისა და შემკულობის სტილის (და არა სიუჟეტების) მიხედვით ხოვლეს სურებს ანალოგები მოეძებნა ოთხ ნიმუშს შორის (კორინტის მინის მუზეუმში დაცული ქერჩში აღმოჩენილი ნივთი, ღურა ევროპოსში ნაპოვნი ჭურჭელი, ტანაისში მოპოვებული ფრაგმენტი, ლისაბონის მუზეუმში დაცული ფრაგმენტი) და გამოითქვა მოსაზრება მათი ერთ სახელოსნოში დამზადების შესაძლებლობის შესახებ [იხ. შატბერაშვილი 2007: 88-89, ტაბ.IV, V; 92-94, 95].

საყურადღებოა საქართველოში, *ურბნისის* და *ბიჭვინთის* ნაქალაქარის არქეოლოგიურ ფენებში აღმოჩენილი იხვის ფორმის **გუტუსები**. ამ ფორმის ნაკეთობა კავკასიაში იშვიათად არის აღმოჩენილი [საგინაშვილი 1970: 39, ტაბ.169. ლორთქიფანიძე გ. 1991: 193, ტაბ.XVII,4]. ისინი დამზადებულია მოთეთრო გამჭვირვალე მინისაგან, აქვთ ბრტყელი პირი; განიერი, ქვემოთკენ გაფართოებული ყელი; არასწორი მოყვანილობის მომრგვალებული კორპუსი; ოვალური, ბრტყელი ძირი; კორპუსის ქვედა ნაწილიდან გამოწეულია “შვერილი-კუდი” ნახვრეტით, ანუ სადინარ-სანვეთურით. ისინი ჩამოგვანან პანტიკაპონის გუტუსის ფორმას, რომელიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პროდუქციად ითვლება და ახ.წ. I ს-ით თარიღდება [Кунина 1997: 227, კატ. 380]. ამდაგვარი მინის გუტუსები ახ.წ. I-III სს-ში გავრცელებული იყო მთელ ანტიკურ სამყაროში და მათ იყენებდნენ — ჭრაქებში ზეთის ჩასასხმელად, სურნელოვანი ზეთის წვეთ-წვეთ გადმოსაღვრელად, ნამლების სანვეთურებად, სუფრაზე სხვადასხვა სითხეებისა და საკმაზების მისატანად. საქართველოს არქეოლოგიური მასალისათვის ასევე უჩვეულოა, მოცისფრო გამჭვირვალე მინის, **ფრინველის** (იხვის?) სტილიზებული ფორმის ერთადერთი ჭურჭელი, რომელიც აღმოჩენილია გონიოს ციხის ტერიტორიაზე. ამ ჭურჭელს ანალოგიების მიხედვით ძაბრისებური, გაფართოებული პირი; მოხრილი და მაღალი ყელი; კვერცხისებური, ჰორიზონტალური კორპუსი; მსხვილი ნანაზარდი (კუდი) ჰქონდა [იხ. შალიკაძე 2004: 50-51, სურ.53]. ამ ტიპის ჭურჭელი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ახ.წ. II-ით არის განსაზღვრული და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირულ ნახელავად მიიჩნევა [Кунина 1997: 327, კატ.377, 378]. საყურადღებოა საქართველოს არქეოლოგიური მასალისათვის აგრეთვე იშვიათი ფორმა, გამჭვირვალე მინის ყანწისებური მოყვანილობის **რიტონი**, რომელიც ორი ეგზემპლარით არის წარმოდგენილი — *სამთავროდან* და *ურბნისიდან* [იხ. საგინაშვილი 1970: 39, ტაბ. 124].

საქართველოში არქეოლოგიურად მოპოვებულ ახ.წ. I ს-ის მინის ნაწარმს შორის არის იშვიათი ფორმები, რომლებიც თითო ეგზემპლართაა წარმოდგენილი. ერთ-ერთი ასეთი ჭურჭელია *გონიოში* აღმოჩენილი, მოცისფრო გამჭვირვალე მინის, 15 სმ სიმაღლის **კრატერისკი** [შალიკაძე 2004: 29-31, სურ. 20]. მას უნდა ჰქონოდა — ლილვაკისებური პირის კიდე, ნახევარსფერული ვერტიკალურ ნიბოებიანი ქვედა ნაწილი, ცილინდრული ფეხი და კონუსური, ირგვლივ ლილვაკემოვლებული ძირი. ამ ტიპის კრატერისკებს მოყვანილობითა და ნატიფი ორნამენტით ავგუსტუსის ხანის ვერცხლისა და ნითელაკიან თასებს ამგვანებენ და მათ ჩრდილოეთ იტალიის პროდუქციად მიიჩნევენ. ასევე იშვიათი არქეოლოგიური მონაპოვარია *გონიოში* ნაპოვნი, გამჭვირვალე მინის, მომწვანო-მოცისფრო სამელნის ხუფი [შალიკაძე 2004: 49-50, სურ.51]. მსგავსი ხუფები აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც სამელნის თუ პიქსიდის, და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნაწარმად არიან მიჩნეული [Кунина 1997: 329, კატ.382, 383]. ამავე რიგშია *გონიოში* ნაპოვნი გამჭვირვალე უფერული მინის **ძაბრიც**. მას პირგადაშლილი თასის ფორმის რეზერვუარი და ვიწრო ყელი აქვს [შალიკაძე 2004: 50, სურ.52]. ანალოგიური ძაბრები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ახ.წ. I-II ს-ით თარიღდება და რომის დასავლური პროვინციების ნაწარმად ითვლება.

ახ.წ. IV-V სს-ში მინის ჭურჭელი წინა პერიოდთან შედარებით ფორმების მრავალფეროვნებით ხასიათდება. ქვეყნის გაქრისტიანებასთან ერთად ჩნდება

ქრისტიანულ სიმბოლოებიანი ჭურჭელი. ყურადღებას იქცევს *მცხეთის* სამთავროში აღმოჩენილი მწვანე მინის, 8სმ სიმაღლის, ქრისტიანულ სიმბოლიკიანი, ოთხკუთხა მოყვანილობის ცალყურა ჭურჭელი, რომელიც ე.წ. ყალიბში გამობერვის წესით არის დამზადებული. მის გვერდებზე რელიეფური ტოლმკლავიანი ჯვრებია და სამტოტა ხის გამოსახულებაა. ის ადგილობრივი წარმოებისაა და ახ.წ. IV ს-ით თარიღდება [უგრელიძე 1967: 28-29, 44-45, სურ.6]. ქრისტიანულ სიმბოლოთა ასახულებებს ვხვდებით ასევე ევქარისტული დანიშნულების ფიალებზე. საქართველოში ასეთი სამი ფიალაა აღმოჩენილი — პირგადაშლილი, დაბალი (3სმ სიმაღლის, პირის დმ—13,5 ს), უქუსლო. აქედან ორი ერთნაირი, *სამთავროს* სამაროვანზეა მოპოვებული, ხოლო ერთი — *ბიჭვინთის* ნაქალაქარზე. მათზე გრავირებით შესრულებულია ფარშევანგის და ხის გამოსახულება. კომპოზიცია მოჩარჩოებულია ერთიმეორეზე გადაბმული ხვიების სარტყლით. ისინი ევქარისტული დანიშნულების ჭურჭლებადაა მიჩნეული და IVს-ით თარიღდება. ისინი დამზადებულია *სირიაში*. ახ.წ. IV-VII სს-ში *სირიის* მინის საწარმოები ექსპორტისათვის ამზადებდნენ ქრისტიანული სიმბოლოებით შემკულ ჭურჭელს [იხ. უგრელიძე 1967: 27-28, 43-45, 87, სურ.5; უგრელიძე 1987: 70-72, ტაბ. XV].

ამავე პერიოდიდან სანელსაცხებლებს, თავისი მრავალფეროვნებით, ისევე წამყვანი ადგილი უჭირავთ და ძირითადად სამარხეული არქეოლოგიური კომპლექსებიდანაა ცნობილი. მათი სიმრავლე და ფორმათა ნაირგვარობა ნელსაცხებელის ფართო მოხმარებაზე მიგვანიშნებს. პარალელურად ახალი სახეობებიც ვრცელდება: სასმისები, ჭიქები, თასები, ლამპარი, სურა, ბოთლი და სხვ. ტექნიკური სიახლეა ე.წ. ხალებიანი ჭურჭელის გამოჩენა. საქართველოში აღმოჩენილია ხალებით შემკული ჭიქების ორი ტიპი და კონუსური ლამპრები. მთელი ნიმუშების მიხედვით, ჭიქები დამზადებულია უფერული, მომწვანო ან მოყვითალო, გამჭვირვალე მინისაგან. ისინი უყუროა; ერთი ჯგუფის ჭიქებს აქვთ სწორი, ოდნავ გადაშლილი პირი; სწორი, ზემოთკენ ოდნავ გაფართოვებული, ან თანაბრად გამობერილი ტანი; ბრტყელი ძირი; პირს ქვემოთ ირგვლივ მკრთალი ნაკანრი ზოლია [იხ. უგრელიძე 1967: 26, სურ.4]. მეორე ჯგუფის ჭიქებს აქვთ წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის ტანი და ბრტყელი, გამოყვანილი ძირი. კორპუსზე ნაკანრი ზოლის ქვევით შერჩენილია ორი მუქი ლურჯი მინის წვეთი [ინაიშვილი 1993: 68, სურ. 28, 1, 2]. ეს ფერადი ხალები ზედ არის დადნობილი. სიმაღლე — 7-9 სმ. საქართველოში ამ ტიპის ჭურჭელი და მისი ფრაგმენტები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი შავიზღვისპირეთში — *ციხისძირში*, *ბიჭვინთაში*, *ნებელდაში*, *ფიჭვნარში*, *გონიოში* [იხ. ინაიშვილი 1993: 67, ტაბ. 28, 1-2, 4-8. შალიკაძე 2004: 56-57]. მინის ჭურჭლის ე.წ. ხალებით შემკობის ტექნიკა ფართოდაა გავრცელებული მთელ გვიანრომაულ სამყაროში, განსაკუთრებით კი IV ს-ის მეორე ნახევრიდან. გამჭვირვალე ჭურჭელზე დალღობილი ეს ფერადი ხალები ლითონის ჭურჭლის ძვირფასი ქვებით შემკობის იმიტაციას წარმოადგენს. ე.წ. ხალებიანი ჭურჭელი, სხვადასხვა ფორმისა (ჭიქისებურის ორივე ტიპი, კონუსურტანიანი, ღრმა ჯამის ფორმის და სხვ.), ბევრია მიკვლეული აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში, ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მათ ახ.წ. IVს-ის მეორე ნახევრითა და Vს-ის დასაწყისით ათარიღებენ. ითვლება, რომ ხალებიანი ჭურჭელი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, სირიულ-პალესტინური საწარმოებიდან არის შემოტანილი [Кунина 1997: 337, კატ. 419- 424. ინაიშვილი 1993: 67, 71].

ამავე კონტექსტში განიხილება მინის *კონუსური მოყვანილობის ლამპრები* მათ ტანზე დამლვარი მინის წვეთების გამო. ისინი გავრცელებულია იმავე ტერიტორიაზე და იმავე ხანაში, რაც ზემოთ ითქვა ე.წ. ხალებიანი მინის ჭურჭლის შესახებ. ეს ლამპრები დამზადებულია უპირატესად ღია მოყვითალო ფერის გამჭვირვალე მინისაგან. აქვთ ფართო, ოდნავ შესქელებული და შიგნითკენ გადახრილი პირი; ძირისკენ მკვეთრად დავიწროვებული კორპუსი; ვიწრო და მასიური ძირი. კორპუსის ზედა ნაწილი შემკულია მოგრძო ოვალის მოყვანილობის ფირუზისფერი სამი ან ოთხი ხალით. ზედაპირზე, როგორც ხალებიანი მინის ჭურჭლის თითქმის ყველა ნიმუშზე, ნაკანრი მკრთალი ირგვლივი ხაზებია. სიმაღლე — 13, 7 სმ-ა. ისინი ნაპოვნია ციხისძირის ნაქალაქარზე, ბიჭვინთის ნაქალაქარის IV-V სს-ის კულტურულ ფენებში, ნებელდის სამაროვანზე [უგრელიძე 1967: 41]. სამთავროს მინის ნაწარმს შორის არის ანალოგიური ფორმის, მხოლოდ ხალების გარეშე, ლამპარიც, ღია მწვანე მინისა, მაგრამ მქრქალი ამოკანრული

ირგვლივი ხაზი კორპუსზე და ფორმა მას აახლოვებს ამ ჯგუფის ლამპრებთან [უგრელიძე 1967: 26-27, სურ. 3].

ე.წ. თავისუფალი გამოხერვით დამზადებული მინის **ლამპრები** საქართველოში IV ს-დან ჩნდება და ფართოდ ვრცელდება მომდევნო საუკუნეებში. ადრეული შუა საუკუნეებში მათში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა — ლითონის ბუდეში ჩასადგმელი ლამპრები, თავისი ნაირსახეობებით, და ყურიანი, ჩამოსაკიდებელი ლამპრები. ბუდეში ჩასადგმელი ლამპარი ეს არის ღრმა რეზერვუარიანი, ვინროფეხიანი, დამუხლულფეხიანი თასი, მოყვითალო, მოცისფრო ან მომწვანო გამჭვირვალე მინის. ისინი ნაპოვნია *რუსთავში, უჯარმაში, დმანისში, თბილისში, იყალთოში, ურბნისში, მცხეთაში*. ისინი თარიღდება VI-VII სს-ით და მომდევნო ხანაშიც განაგრძობს არსებობას [ჩხატარაშვილი 1978: 29-30, ტაბ. V, 6-9, 10, 11, 30]. შემდეგი ნაირსახეობაა ე.წ. წვეთისებურძირიანი ლამპრები — ზარისებრი ან ცილინდრული, ძირთან შევიწროვებული კორპუსით, რომელიც წვეთისებური მოყვანილობის ძირით ბოლოვდება. ისინი აღმოჩენილია *ციხისძირში, ბიჭვინთაში, ფოთის მიდამოებში, ნოქალაქეში, გონიოში, ნებელდაში* [იხ. ინაიშვილი 1993: 74-75, ტაბ. 20,6; ლორთქიფანიძე 1991, 187, ტაბ. XI, 6-10; შალიკაძე 2004: 66-67, სურ. 67; გამყრელიძე 1987: 114, სურ. 20]. საქართველოში ამ ტიპის ლამპრები ახ.წ. V ს-ის მეორე ნახევარში ჩნდება და ფართოდ ვრცელდება VI ს-ში. ანალოგიური ლამპარი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ახ.წ. IV-V ს-ით თარიღდება და სირიულ ნაწარმად არის განსაზღვრული [Кунина 1997: 337, კატ. 426]. რაც შეეხება ყურიან, ჩამოსაკიდებელ ლამპრებს, მათ აქვთ ღრმა ფიალისებრი ტანი და მრგვალგანივკვეთიანი ორი პატარა ყური. ისინი აღმოჩენილია *დმანისში, რუსთავში, ბოლნისში, მცხეთაში* [ჩხატარაშვილი 1978: 31, ტაბ. V, 2-5].

ადრეული შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მინის ჭურჭელია ე.წ. **ფეხიანი სასმისები**. ისინი დამზადებულია მოცისფრო, მომწვანო ან მოყვითალო მინისაგან; ფართოპირიანი რეზერვუარი თანდათან ვინროვდება ძირისკენ; დგას კონუსურად შედრეკილ ან ბრტყელქუსლიან სხვადასხვა სიმაღლის ფეხზე; ფეხი ხან სადაა, ხან დამუხლული [იხ. უგრელიძე 1967: 68, სურ.34; ჩხატარაშვილი 1978: 21-23, ტაბ. IV, 1-5]; არის ფეხიანი სასმისების ნაირსახეობა — დაბალი, სფერული ღრუ ფეხითა და კონუსისებური მოყვანილობის ლილვაკისებურკიდიანი ქუსლით [იხ. გამყრელიძე 1987: 114-115, სურ. 20. ლორთქიფანიძე გ. 1991: 73, ტაბ. XI, 16. ინაიშვილი 1993: 75-76, ტაბ. 31, 16-18. შალიკაძე 2004: 47-48, სურ.48]. როგორც ითქვა, მინის ფეხიანი სასმისები, მთელი მათი ნაირსახეობებით, ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ნივთიერ კულტურაში. ითვლება, რომ ეს ფორმა ჩნდება ახ.წ. IVს-ში და აქედან მოკიდებული წამყვანი სახეობაა როგორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზღვისპირა ზოლში, ისე ქვეყნის შიგნით. ისინი აღმოჩენილია ნაქალაქარების კულტურულ ფენებში და შედარებით ნაკლებად, სამარხებში: *ბიჭვინთის ნაქალაქარზე, ციხისძირში, ვაშნარის ნაქალაქარზე, გონიოში, პალიასტომის ტბის ადგილ - ნატეხებში, სოხუმში, ნებელდის სამარხებში, მცხეთა-სამთავროში, რუსთავში, ურბნისში, დმანისში, თბილისში*, საქართველოს გარდა სამხრეთ კავკასიაში გვხვდება აზერბაიჯანში [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1991: 187, ტაბ. XI, 9-21; ინაიშვილი 1993: 75-76, ტაბ. 31, 7-10, 16-18; შალიკაძე 2004: 46, სურ. 47; 66, სურ.66; Трапш 1969: 343, ტაბ. 56, 7,12; უგრელიძე 1967: 68, სურ. 34; ჩხატარაშვილი 1978: 21-23, ტაბ. IV, 1-5 გამყრელიძე 1987: 114-115, სურ. 20]. დიდია მათი გავრცელების არე — მათ ამზადებდნენ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სანარმოო ცენტრებში, საიდანაც გაჰქონდათ დასავლეთ აზიაში, ეგვიპტეში, ჩრდილო კავკასიაში. საყურადღებოა, რომ ურბნისში კარგ ნახელავთან ერთად, რომელიც, ალბათ, შემოტანილია, გვხვდება წუნიანი ნიმუშებიც, ხოლო მცხეთაში, სადაც VIIIს-ის მინის ჭურჭლის წარმოება ივარაუდება, ნაპოვნია წიდა, რაც საფუძველს უქმნის მოსაზრებას *ურბნისსა და მცხეთაში* ფეხიანი სასმისების ადგილზე დამზადების შესახებ [იხ. უგრელიძე 1967: 90-9 ; ჩხატარაშვილი 1978: 22-24]/

ამავე პერიოდში ე.წ. ტანმეხორკლილი სანელსაცხებლეები ვრცელდება. რომლებიც ერთეულების სახით ახ.წ. IV ს ჩნდება და VI-VII სს-ში უკვე მრავლად მოიპოვება. ისინი სამთავროს სამაროვნის არქეოლოგიური მასალების მიხედვით მომწვანო მინისაგან არის დამზადებული.

უადრესი ეგზემპლარები სფერულტანიანია, მოკლე ყელი და მომრგვალებული ძირი აქვს. ტანი თანაბარი ზომის ე.წ. ხორკლებითაა დაფარულია. მათი მოხორკლიანება პატიოსანი ქვების იმიტაციისადმი მიდრეკილებითაა ახსნილი. გვიანდელი ეგზემპლარები, VI-VII სს. სხვადასხვა მოყვანილობისაა და ასიმეტრიულად განლაგებული ხორკლებით არის შემოსილი. *სამთავროს* გარდა ანალოგიური ხორკლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩენილია *ურბნისის* ნაქალაქარზეც [იხ. უგრელიძე 1967: 37-38, 62 სურ. 24 ; 62, სურ. 31, ტაბ. II; 64].

ახ.წ. I-VII სს. საქართველოში ფიქსირდება ე.წ. ყალიბში ჩამოსხმის ტექნიკით დამზადებული ე.წ. ფაცეტებიანი მინის ჭურჭელი. ე.წ. ფაცეტები მიიღებოდა მინის ცივი ხერხით დამუშავებით, რომელიც სათავეს იღებს ახ.წ. II-დან, ხოლო მოგვიანებით, ახ.წ. VI-VII სს-ში, ფაცეტები ცხელ მდგომარეობაშიც უკეთდებოდა. ფაცეტები სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა სხვადასხვა ეტაპზე; დასაწყისში ამოხეხვით მიღებული ჩანაღარებია, შემდეგ კი ჩნდება სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები — რომბისებური, ოვალური, მრგვალი, ხუთკუთხა მოყვანილობის, განთავსებული უპირატრსად ფიალის ტიპის ჭურჭლებზე. ისინი აღმოჩენილია როგორც სამარხებში, ასევე ნაქალაქართა არქეოლოგიურ ფენებში — *მცხეთაში* (სამთავროს სამაროვანზე, სადგურის აკლდამაში, კარიბჭესთან, სვეტიცხოვლის ტერიტორიაზე), ზემო ავჭალის სამარხში, კლდეეთის სამარხებში, ჭერემში, ურბნისში, ზღუდერის სამარხში, ძალისში. საქართველოს გარეთ ამ ტექნიკით დამზადებული მინის ჭურჭელი განფენილია — ბიზანტიაში, ჩრდილო კავკასიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ირანში, მესოპოტამიაში, ევროპაში. საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში გაირჩევა ადგილობრივი და შემოტანილი ნიმუშები. ასე მაგალითად, სირიულია სვეტიცხოველთან აღმოჩენილი ფაცეტებიანი მინის ჭურჭელი, ახ.წ. III ს., ხოლო აქვე აღმოჩენილი ახ.წ. VI—VIII სს ფაცეტებიანი ნიმუშები ადგილობრივი ნაწარმია. აღნიშნულ პერიოდში კავკასიაში ფაცეტებიანი ჭურჭლის დამზადების რამდენიმე კერაა — *ურბნისის, მცხეთის, რუსთავის* [იხ. ჩხატარაშვილი 1987: 80, 81; 13, ტაბ. III, 1-7; 83, ტაბ. XVIII, 1-6, 9-10; 82, ტაბ. XVIII, 160 ; 86-87, ტაბ. XIX, 4; ჩხატარაშვილი 1978: 14, 18; უგრელიძე 1967: 90-91].

მინის ნაწარმის ერთ-ერთი სახეობაა **სარკმლის მინა**. საქართველოს არქეოლოგიური მონაპოვარიდან უძველესი სარკმლის მინა, ახ.წ. II-III სს თარიღდება. მინის ფირფიტები ჩამოსხმის ხერხით არის დამზადებული. სწორკუთხოვან ფირფიტებს როგორც ქვის, თიხის ან ხის ყალიბში ჩამოსხმით იღებდნენ, ისე მინის მასის საგანგებო დაფაზე დასხმით და შემდეგ მისი ხის საგორებლით განელვის გზით. ისინი გამჭვირვალე, ღია მომწვანო, მოცისფრო ან მოყვითალო ფერისაა და დიდი რაოდენობით შეიცავენ ბუმბუტულებს. სარკმლის მინა აღმოჩენილია საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე — *მცხეთა-არმაზისხევში* (II-III სს), *ურბნისში* (III ს), *ბიჭვინთაში* (III-IV სს), *სოხუმში* (III ს), პალიასტომის ტბის ადგილ *ნატეხებში* (III-VIII სს), *ციხისძირში* (IV ს), *გონიოში* (IV ს), *ვარციხეში*, *ნოქალაქევში* (VI ს). აქედან *მცხეთის, ძალისის, ბიჭვინთის, სოხუმის* სარკმლის მინის ფირფიტები შემოტანილად ითვლება, *ურბნისისა* კი ადგილობრივი ნაწარმია [იხ. ჩხატარაშვილი 1978ა: 72-76, 90-91, 93; ინაიშვილი 1993: 79; შალიკაძე 2004: 68-69; გამყრელიძე 1987: 114-115].

საქართველოში არქეოლოგიურად მოპოვებული მინის ნაწარმის განვითარების ხანგრძლივი პერიოდის (ძვ.წ.V-ახ.წ. VIII სს) მიმოხილვამ დაგვანახვა, რომ უადრესი მინის ჭურჭელი, სხვადასხვა ფორმისა, საქართველოში ძვ.წ. Vს-დან ჩნდება, ე.წ. პოლიქრომიული მინის სანელსაცხებლების სახით, რომლებიც ე.წ. ქვიშის გულარის ტექნიკითაა დამზადებული. ეს ჭურჭელი, როგორც წესი, მდიდრული სამარხეული ინვენტარის შემადგენელი ნაწილია და თავის შიგთავსიანად ფუფუნების საგანს წარმოადგენს. ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ცენტრებიდან (ატიკა, კუნძული როდოსი, დასავლურ ირანული სამყარო) შემოჰქონდათ გარკვეული კატეგორიის მომხმარებლისთვის. საქართველოში მათი არსებობის ხანა ძირითადად ძვ.წ. V-II სს-ით შემოიფარგლება. ე.წ. საბერავი მილის ტექნიკის დანერგვისთანავე იცვლება მინის ნაწარმის ასორტიმენტი. ახ.წ. II-დან საქართველოში ვრცელდება ფორმაში გამოხერხილი და თავისუფლადნაბერი ჭურჭელი, რომლის დიდი ნაწილი უცხოეთიდან შემოტანილია. საქართველოში ამ პერიოდის მინის

ჭურჭლის ექსპორტის მთავარ ცენტრს წარმოადგენდა ძვ. სირია, რომელიც ახ.წ. II-დან კარგა ხნის მანძილზე მინის ჭურჭლის მზა პროდუქციის მთავარი მიმწოდებელი იყო მსოფლიო ბაზარზე. შედარებით მცირე რაოდენობით დასავლეთ ევროპის სანარმოების ნიმუშებიც არის დადასტურებული. კერძოდ — ჩრდილო იტალია, რეინის რეგიონი, რომის დასავლეთი პროვინციები და სხვ. ეს კი ცხადყოფს და ადასტურებს სავაჭრო ურთიერთობას, რომელიც იმ დროს საქართველოს ჰქონია ძვ. სირიასთან, მცირე აზიასთან და ზოგადად ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ქვეყნებთან. ირკვევა აგრეთვე, რომ არსებობდა მინის ნარმოების ადგილობრივი რამდენიმე კერა, რასაც მოწმობს წუნდებული და დაუმთავრებელი ჭურჭლის აღმოჩენები, ურბნისსა და მცხეთის სამთავროში, IV ს-ის არქეოლოგიურ ფენებში აღმოჩენილი მინის წიდეები და ნალვენთები. განსაზღვრულია ადგილობრივი ნანარმის ზოგიერთი სახეობა — მაგ., კოლბისებრი ჯგუფის ე.წ. მსხლის ფორმის ეგზემპლარები, ასევე ე.წ. ურბნული და სამთავრული ფორმები, რომელთაც არსად არ ეძებნებათ ანალოგები და ხარისხითაც განსხვავდებიან შემოტანილთაგან. ივარაუდება შემოტანილი მინის ჭურჭლის ხელახალი გადადნობაც და მისგან ახალი ჭურჭლის დამზადება [იხ. უგრელიძე 1967: 8, 91, 22-23; საგინაშვილი 1970: 45-46]. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



სანათები

მ. ჩარკვიანი, გ. გამყრელიძე

სანათები საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთია, რომელიც გამოიყენებოდა საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების გასანათებლად. განსაკუთრებული განათება რელიგიური რიტუალებისა და დღესასწაულების დროს იყო საჭირო. ხშირია სანათების მიცვალებულისათვის სამარხში ჩატანების ფაქტი, რაც დაკავშირებულია იმდროინდელ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან. გარკვეული პერიოდიდან სანათები მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფუნქციასაც იძენენ. სანათების ქრონოლოგიური და გეოგრაფიული არეალი ფართოა. მათ ვხვდებით კაცობრიობის განვითარების ისტორიის თითქმის ყველა პერიოდში და მსოფლიოს ყველა კუთხეში.

უძველესი სანათები ნაპოვნია ჯერკიდევ პალეოლითურ მღვიმეებში. სანათებს განეკუთვნება: კვარი, ჩირაღდანი, ჭრაქი, ლამპაძარია, კანდელაბრი, ჭალი და სხვ. მრავალფეროვანია მათი ფორმა, მასალა, რისგანაცაა დამზადებული და მათზე გამოსახული ორნამენტი. სანათების დასამზადებლად გამოიყენებოდა სხვადასხვა მასალა: ქვა, თიხა, ლითონი (ბრინჯაო, რკინა, ვერცხლი, ოქრო), მინა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა მათი ფორმა, დამზადების ტექნოლოგია და მათზე გამოსახული ორნამენტი. სანათები იმკობოდა სხვადასხვა გეომეტრიული თუ სტილიზებული ორნამენტით, მათზე ხშირადაა გამოსახული როგორც მითოლოგიურ სიუჟეტები, ისე საყოფაცხოვრებო სცენები და ნივთები. პატრუქის დასამზადებლად ლერწმის გულს, სელსა და კანაფს იყენებდნენ, ხოლო სანჯავად — სელის, თხილის, ყაყაჩოს, ნიფლის, ზეითუნის ზეთს, ქონს ან ნავთობს ხმარობდნენ. პატრუქის წვერის გასასწორებლად არსებობდა საგანგებო ხელსაწყო — ბრინჯაოს კაუჭი [იხ. კილურაძე 1977: 214; გამყრელიძე 2001ა: 26-30].

თიხა, ძირითადად, მსუბუქი და იოლად გადასადგილებელი ჭრაქების დასამზადებლად გამოიყენებოდა. შესაბამისად, თიხის ჭრაქები, სხვა დანარჩენთან შედარებით, ბევრად მრავალრიცხოვანია და ალბათ, უფრო საყოფაცხოვრებო დანიშნულებისაა. დამზადების ტექნოლოგია ძირითადად სამი სახისაა — 1. ხელით ნაძერწი, 2. კერამიკულ ჩარხზე, 3. ყალიბში დამზადებული. ხელით ნაძერწი ჭრაქები, როგორც წესი, უხეში და სადა ნივთებია.

მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა (ძვ.წ. III ათასწლეულიდან ახ.წ. XVIII სს-მდე). ჭრაქების კერამიკულ ჩარხზე დამზადება შემდეგნაირად ხდებოდა — ჩარხზე ჯერ კეთდებოდა ტანი, შემდეგ ემატებოდა დანარჩენი დეტალები, ნაკერები საგანგებოდ იგმანებოდა და იფარებოდა ლაკით. მათი წარმოება იწყება ძვ.წ. VI ს-დან. ჭრაქის ყალიბში დასამზადებლად — ყალიბის ორივე საგდული თიხის თხელი მასით ილესებოდა. მასის გამოშრობის შემდეგ ხდებოდა ყალიბიდან გამოღება, შეერთება, დარჩენილი ნაკერის მოდალური შტამპით დამუშავება და ჰაერზე გაშრობის შემდეგ ღუმელში გამოწვა. გახმობის შემდეგ ხდებოდა მისი სხვადასხვა ორნამენტით დაფარვა. ყალიბის გამოყენებამ გამოიწვია ჭრაქების მრავალნაირი ორნამენტით შემკობა. ითვლება, რომ პროტოტიპი, ყალიბში დამზადებული თიხის ჭრაქებისა, ლითონში ჩამოსხმული ჭრაქები იყო. მათი წარმოება დაიწყო ძვ.წ. II ს-დან და კარგა ხანს ჩანაცვლა ჩარხზე დამზადების ტექნოლოგია. ახ.წ. III-IV სს-ში ისევ აღორძინდა ჩარხზე დამზადების წესი და ყალიბში დამზადების წესთან ერთად განაგრძო არსებობა [Арсеньева 1988: 3-6].

ლითონისგან (ბრინჯაო, რკინა და სხვ.) და მარმარილოსაგან დამზადებული სანათები (ჭრაქები, ლამპადარიები, კანდელაბრები, ჭალები), თუ გავითვალისწინებთ მასალას და დამზადების ტექნოლოგიას, საკმაოდ ძვირი იყო. ბრინჯაოს სანათები ჩამოსხმით, ხოლო რკინისა — ჭედვით მზადდებოდა. ისინი წარჩინებულთა სასახლეებს, ტაძრებსა და ადმინისტრაციულ შენობებს ამშვენებდნენ. ცნობილია, რომ ბრინჯაოს თუ სხვა ლითონისაგან დამზადებული სანათები ძვირფას სასაჩუქრე საგანსაც წარმოადგენდნენ. არსებობს ცნობა, რომ მეფის ან წარჩინებული პირის დამარხვისას სამარხთან მუდმივად იდგნენ მონები, რომელთაც ევალებოდათ მთელი ცერემონიის განმავლობაში ცეცხლის შენარჩუნება. მისი დამთავრების შემდეგ სანათები (უმეტესად ლამპადარიები) მაგრდებოდა სამარხის კედლებზე, ან იდგმებოდა სამარხში ან მის გარეთ [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955: 82].

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სანათები ქრონოლოგიური დიაპაზონით — მოცემულ ეპოქაში ჯგუფდება, ადგილობრივად დამზადებულ და უცხოურ ნაწარმად. ცალ-ცალკეა განხილული თიხისა და ლითონისაგან დამზადებული ნიმუშები. ადგილობრივი თიხის ჭრაქები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: I — ჯამისებური ჭურჭელი, ფართო პირით, ტურჩ-სადინარით, ბრტყელი ძირით, სხვადასხვანაირი სახელურით: შვერილით, ყურით, ასევე გვხვდება უსახელურო ეგზემპლარებიც. ტურჩი ხშირად შემურულია. II — სასმისისებური ჭურჭელი, კონუსისებური ტანით, გამოყვანილი ფეხით, ტურჩ-სადინარით. III — ოთხკუთხა ფორმის ჭურჭელი, ბრტყელი, ოთხი საპატრუქე-სადინარით. უცხოური თიხის ჭრაქები დიდი რაოდენობით მზადდებოდა ანტიკური სამყაროს ტრადიციულ სახელოსნოებში, ისეთები როგორც იყო *ეფესო*, *სამოსი*, *ათენი*, *რომი*, *ალექსანდრია*, *პერგამონი*, *კართაგენი*, *ანტიოქია* და სხვ. ჭრაქები იდამლებოდა ამ სახელოსნოთა სიგნატურით. უცხოური თიხის ჭრაქები ორი ტიპისაა — ღია და დახურული რეზერვუარით. ღია რეზერვუარიანი ჭრაქი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: კორპუსი-რეზერვუარი (ცილინდრული ან მრგვალი), ფართო პირი ზეთის ჩასასხმელად, მხრები, საპატრუქე ცხვირი ან მილი (ე.წ. საყვირისებური, ჩიბუხისებური), სახელური — შვერილი ან ყური (ორლულიანი ან დაღარული მარყუჟისებრი), ბრტყელი ან ქუსლიანი ძირი. დახურულ რეზერვუარიანი ჭრაქი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: კორპუსი-რეზერვუარი (ცილინდრული ან მრგვალი), ფარაკი (ამოზნექილი ან ჩაზნექილი, ხშირად დაბრისებური), რომელზეც დატანილია ზეთის ჩასასხმელი ნახვრეტი, მხრები, საპატრუქე ცხვირი ან მილი (საყვირისებური, ჩიბუხისებური), სახელური — შვერილი ან ყური (ორლულიანი ან დაღარული მარყუჟისებრი), ბრტყელი ძირი. ადრეულ შუა საუკუნეებში ვრცელდება მინის სანათები — ლამპრები, რომლებიც ლითონის ბუდეში იდგმებოდა. ისინი ფორმით ორი ტიპისაა — სწორკედლებიანი ღრმა თასი, რომელიც ქვემოთკენ ვიწროვდება და ფეხით (ბურთულადაბოლოებული ან დამუხლული) ბოლოვდება და სწორკედლებიანი ღრმა თასი, ყურიანი, რომელიც ძირისკენ მცირედ ვიწროვდება და შედრეკილი ძირი აქვთ. ლამპრები მინის გამოხერვის ტექნიკითაა დამზადებული [იხ. ჩხატარაშვილი 1978: 29-32].

ძვ.წ. VI-IV სს-ის თიხის ჭრაქები. ადგილობრივი ნაწარმი: I ჯგუფი — სიმაგრის ნამოსახლარი, II ფენა (ხოზის მუნიციპ.), ძვ.წ. VI-V სს. [მიქელაძე 1978: 58, ტაბ. XXXVI,299]. ბეშთაშენის ციხესთან მდებარე სამაროვანი, სამარხი №59, სოფ. ბეშთაშენი (წალკის მუნიციპ.), ძვ.წ. V ს. [მენაბდე და სხვ. 1968: 141, ტაბ. XV,550; Нариманишвили 1991: 22-23, 126]. ვარსიმაანთკარის სამაროვანი, სამარხი № 13, სოფ. ვარსიმაანთკარი (დუშეთის მუნიციპ.), ძვ.წ. V-IV სს. [წითლანაძე 1983: 52-76(60), ტაბ. XXI,5]. კამარახევის სამაროვანი, სოფ. წინამური (მცხეთის მუნიციპ.), სამარხები №3, 10, 11, 33, 103, 127, 130, 140, 141, 146, 148, 151, — 12 ც., ძვ.წ. V-IV სს. [ჯღარკავა 1982: 146-186, სურ. 946, 968, 975, 1292, 1056, 1365, 1380, 1465, 1474, 1445,1421, 1428]. II ჯგუფი — სიმაგრის ნამოსახლარი, III ფენა (ხოზის მუნიციპ.), ძვ.წ. VI-V სს. [მიქელაძე 1978: 58, ტაბ. XXXVI,179]. უცხოური ნაწარმი: სიმაგრის ნამოსახლარი, II ფენა (ხოზის მუნიციპ.), კორინთული და იონიური, ღია ტიპის, ძვ.წ. VI-V სს. [მიქელაძე 1978: 67, ტაბ. XIV,371, 73].

ძვ.წ. IV-III სს-ის თიხის ჭრაქები. ადგილობრივი ნაწარმი: I ჯგუფი — ადგილ დაჭრილების სამაროვანი, ქვევრსამარხი №1, სოფ. კავთისხევი (კასპის მუნიციპ.), ძვ.წ. IV-III სს. [ნაკაიძე 1980: 30, ტაბ. XXV,1]. ადგილ ბამბების სამაროვანი, სამარხი №2, უფლისციხის ნაქალაქარი (გორის მუნიციპ.) [ხახუტაიშვილი 1964: 77, ტაბ. XV,4]. ადგილ სამაჩვეთის სამაროვანი, სოფ. ასურეთი (თეთრინწყაროს მუნიციპ.), ძვ.წ. IV-III სს. მუხათგვერდის სამაროვანი, სოფ. მუხათგვერდი (მცხეთის მუნიციპ.), 9 ც., ძვ.წ. IV-III სს.. გომარეთის სამაროვანი, სოფ. გომარეთი (დმანისის მუნიციპ.) [Нариманишвили 1991: 22-23, 126, სურ.216, 22-23,126, სურ.207-216]. სამადლოს ნაქალაქარი (მცხეთის მუნიციპ.), 6ც., ძვ.წ. III-II სს. [Гагошидзе 1981ა:13, 14, 29, 33].

ძვ.წ. II-I სს-ის თიხის ჭრაქები. უცხოური ნაწარმი: ოჩამჩირე, ატიკური, დახურული ტიპის, ძვ.წ. II ს. [Качарава 1972]. საყანჩიას ნამოსახლარი (ვანის მუნიციპ.), IIა სათავსოს ქვეშ გათხრილ ქვაყრილი, ატიკური, დახურული ტიპის, 2 ც., ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევარი [ლიჩელი 1991: 644].

ახ.წ. I-III სს-ის თიხის ჭრაქები. ადგილობრივი ნაწარმი: I ჯგუფი — დედოფლის გორა, ოთახი №5, 9, 10, 12, 13 (ქარელის მუნიციპ.), 7 ც., ახ.წ. I ს-ის დასაწყისი [ჩჰანისჭვილი 2008: 72, კატ. №118-124, ტაბ. 30]. მცხეთა, სვეტიცხოვლის უბანი, სამარხი №6, ახ.წ. I-II სს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 687]. მცხეთა, კრამიტსამარხი №46 (დავით აღმაშენებლის ქ.) ახ.წ. I-II სს. [აფაქიძე და სხვ. 1995: 14, სურ. 31]. მცხეთა, ბაიათხევის ნასახლარი და სამაროვანი, სამარხ №13-თან ახლოს, ახ.წ. I-II სს. [ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995ა: 133, სურ.1119, 1312]. კარსნისხევის ნასახლარი, სოფ. კარსანი (მცხეთის მუნიციპ.), სახლი №3, 5, ორმო №4, 8 - 5 ც., ახ.წ. I-II სს. [ნიკოლაიშვილი 1993: 108, ტაბ. XXI,3, XXII,1-2; 106, ტაბ. XI,5; 110, ტაბ. XXXII,4]. მცხეთა, სამთავროს სამაროვანი, სამარხები № 6, 36, 38, 154, 158, — 19 ც., ახ.წ. II ს. [Ивашенко 1980: 81, 91, 92]. ძლისის ნაქალაქარი, სენაკი №9, — 100 ც., ახ.წ. III. [ბოხოჩაძე 1981: 40, ტაბ. XI,1, XVI,1]. II ჯგუფი — მცხეთა, სამთავროს სამაროვანი, სამარხი №73, ახ.წ. II ს. [Ивашенко 1980: 81, 92]; გონიოს ციხე-სიმაგრე, კოშკი №2, ახ.წ. II ს. [ლორთქიფანიძე გ. და სხვ. 2002: 170, ტაბ. XIII,2]. უცხოური ნაწარმი: გონიოს ციხე-სიმაგრე, ზღუდის სამხრეთ-დასავლეთ კუთხე, დასავლეთ ევროპული, დახურული ტიპის, ახ.წ. I ს-ის მესამე მეოთხედი; ციხის გარე ტერიტორია, კულტურულ ფენა, სამოსური, დახურული ტიპის, ახ.წ. I ს-ის მეორე-მესამე მეოთხედი; № 2 კოშკი, პერგამონული, დახურული ტიპის, 3 ც., ახ.წ. I ს-ის მესამე მეოთხედი; აქვილეური, დახურული ტიპის, ახ.წ. I-II სს. [ებრალიძე და სხვ. 2008: 33,34, 36, 37, ტაბ. I-1,2,3,4; II-4,8]. მცხეთა, ბაიათხევის ნასახლარი და სამაროვანი, მეორე ფენა, ნამოსახლარის იატაკზე, I ნაკვეთის მე-10⁶ კვადრატში, უცხოური, დახურული ტიპის, ახ.წ. I-II სს. [ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995ა: 133, სურ.1120, 1313]. გონიოს ციხე-სიმაგრე, პერგამონული, დახურული ტიპის, 4ც., ახ.წ. II ს-ის დასაწყისი [ებრალიძე და სხვ. 2008: 34,35, ტაბ. I,5,6,7,8]; სამოსური, დახურული ტიპის, 4ც., ახ.წ. III. [ებრალიძე და სხვ. 2008: 37, ტაბ. II,5; მამულაძე და სხვ. 2013: 195, ტაბ. IX,1]; პერგამონული, დახურული ტიპის, 2ც., ახ.წ. III. [ებრალიძე და სხვ. 2008: 35,36, ტაბ. I,9; II,1]; იტალიკური, დახურული ტიპის, ახ.წ. II-III სს. [ებრალიძე და სხვ. 2008: 38, ტაბ. II,9]; აბანოს ერთ-ერთი კედლის ნაშთის დონეზე,

პერგამონული, დახურული ტიპის, ახ.ნ. II-III სს. [ებრალიძე და სხვ. 2008: 36, ტაბ. II, 2]; შიდა ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (83-ე კვ.), *ალექსანდრიული*, დახურული ტიპის, ახ.ნ. II-III ს. [ებრალიძე და სხვ. 2008: 37, ტაბ. II, 7]; *პერგამონული*, დახურული ტიპის, ახ.ნ. III ს. [ებრალიძე და სხვ. 2008: 36, ტაბ. II, 3]. *გონიოს* ციხე-სიმაგრე, აბანოების უბნის ახ.ნ. II-III სს-ის კულტურული ფენები, *სამოსური*, ღია ტიპის, თეფშისებრი ჭრაქი-სასანთლე, ახ.ნ. II-III სს. [ებრალიძე და სხვ. 2008: 37, ტაბ. II, 6]. ბიჭვინთის ნაქალაქარი, III თხრილი, *პერგამონული*, დახურული ტიპის, 4ც., ახ.ნ. III ს. [კილურაძე 1977: 216, 219, სურ. 440, 443, 444, 469], *ატიკური*, დახურული ტიპის, 3ც., ახ.ნ. III-IV სს. [კილურაძე 1977: 215-216, 218, სურ. 460, 461, 475], მცირე აზიური, დახურული ტიპის, 2ც., ახ.ნ. III-IV სს. [კილურაძე 1977: 217, 219, სურ. 442, 462]. კლდის ნამოსახლარი (ახალციხის მუნიციპ.), რომაული, დახურული ტიპის, ახ.ნ. III-IV სს. [კულტურული მემკვიდრეობის... 2011: 94, 160].

ახ.ნ. IV-VII სს-ის თიხის ჭრაქები. ადგილობრივი ნაწარმი: I ჯგუფი — მცხეთა, *სვეტიცხოვლის* უბანი, ნამოსახლარის ზედა, მესამე ფენა, ახ.ნ. IV-V სს. [აფაქიძე და სხვ. 1978: 68]. II ჯგუფი — *ადეიშვილების* გორის ნამოსახლარი, №12 თხრილის ნაგებობა, სოფ. მთისძირი (ვანის მუნიციპ.), ახ.ნ. VI ს. [გამყრელიძე 2001b :139-147, ტაბ. I]. *სვენეთის* ნასოფლარი, (გორის მუნიციპ.), თხრილი №11, ახ.ნ. V-VI სს. [მინდორაშვილი 2012: 76, ტაბ. II, 18; IV, 20]. *ურბნისის* ნაქალაქარი (ქარელის მუნიციპ.), უბანი XVI-4, ახ.ნ. V-VII სს. [ჭილაშვილი 1964: 114, ტაბ. XIV, 2]. *ლოჭინის* ნასოფლარი (გარდაბნის მუნიციპ.), ახ.ნ. V-VII სს. [აბრამიშვილი და სხვ. 1962: 202]. *ბარმაქსიზის* სამაროვანი, სამარხი №3 (წალკის მუნიციპ.), ახ.ნ. V-VII სს. [Куртин 1941: 22]. *უფლისციხის* ნაქალაქარი, ცენტრალური უბნის ხევი (გორის მუნიციპ.), 2ც., ახ.ნ. VI-VII სს. [მინდორაშვილი 2008: 27, ტაბ. IX, 1, 2]. III ჯგუფი — ბიჭვინთის ნაქალაქარი, III თხრილი, 5ც., ახ.ნ. IV სს. [კილურაძე 1977: 215, 221, სურ. 439]. უცხოური ნაწარმი: ბიჭვინთის ნაქალაქარი, III თხრილი, *პერგამონული*, დახურული ტიპის, 2ც., ახ.ნ. IV-V სს. [კილურაძე 1977: 215, სურ. 450, 463]; *ალექსანდრიული*, დახურული ტიპის, 2ც., ახ.ნ. IV-V სს. [კილურაძე 1977: 215, 217-218, სურ. 470, 472]; *სამოსური*, დახურული ტიპის, 2ც., ახ.ნ. IV-V სს. [კილურაძე 1977: 217, 220, სურ. 477, 478]. ქუთაისი, დახურული ტიპის, 2ც., ახ.ნ. IV-V სს. [ლანჩავა 2007: 118, სურ. 67, 77]. ბიჭვინთის ნაქალაქარი, III თხრილში, ე.წ. *ჩაიდნისებური* ფორმის, 6ც., ახ.ნ. IV-V სს. [კილურაძე 1977: 217, 220-221, სურ. 441, 445, 446, 447, 476, 479]. *ნოქალაქევის* ნაქალაქარი (სენაკის მუნიციპ.), ე.წ. ჩაიდნისებური ფორმის 2ც., ახ.ნ. IV-V სს. [ზაქარაია და სხვ. 1977: 107, ტაბ. XX, 2; Леквинадзе და სხვ. 1981: 134, ტაბ. XIX, 4].

ძვ.ნ. IV-III სს-ის ლითონის სანათები. ბრინჯაოს კანდელაბრი, *ალგეთის* მდიდრული სამარხი, სოფ. წინწყარო (თეთრიწყაროს მუნიციპ.), ძვ.ნ. IV-III სს. [დავლიანიძე 1976: 130-131, ტაბ. XIII, 8]. რკინის კანდელაბრი, *ტახტიძირის* სამაროვანი, სამარხი №8 (ქარელის მუნიციპ.), ძვ.ნ. IV-III სს. [გაგოშიძე და სხვ. 2011: 27, 2].

ძვ.ნ. III-I სს-ის ლითონის სანათები. ბრინჯაოს ჭრაქი, *ვანის* ნაქალაქარი, ქვედა ტერასა (ნაკვ. 203), განძი, 2ც., ძვ.ნ. III-I სს. [ახვლედიანი 2008: 1, 2, 9, ტაბ. I-II; ლორთქიფანიძე ნ. 2011ა: 47; Akhvlediani და სხვ. 2016: 184, 187, სურ. 8, 11]. ბრინჯაოს ჭრაქი, *ვანის* ნაქალაქარი, ქვედა ტერასა, ნაკვეთი 186, *იტალიკური* ან მცირე აზიის რომელიმე სახელოსნო, ძვ.ნ. III ს. [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 102, სურ. 23]. ბრინჯაოს ჭალი, *ვანის* ნაქალაქარი, ქვედა ტერასა (ნაკვ. 203), განძი, 2 ც. ძვ.ნ. III-I სს. [ახვლედიანი 2008: 129, ტაბ. I-II]. რკინის კანდელაბრი, *ვანის* ნაქალაქარი, ქვედა ტერასა (ნაკვ. 203), განძი, 2 ც. ძვ.ნ. III-I სს. [ახვლედიანი 2008: 129, ტაბ. I-II; Akhvlediani და სხვ. 2016: 185-187, სურ. 13].

ახ.ნ. I-II სს-ის ლითონის სანათები. რკინის ჭრაქი, *დედოფლის გორას* ნაქალაქარი, ოთახი №1 (ქარელის მუნიციპ.), 6 ც., ახ.ნ. I ს-ის დასაწყისი [Löhr 2008: 158-159, კატ. №42, 44-48, ტაბ. 63]. რკინის ჭალი, *დედოფლის გორას* ნაქალაქარი, ოთახი №1 (ქარელის მუნიციპ.). რკინის ლამპადარია, *რიყიანების ველის* სამაროვანი, სამარხი №7, სოფ. ალაიანი (კასპის მუნიციპ.), ახ.ნ. I ს-ის შუა ხანები [მირიანაშვილი 1983: 26, სურ. 100]. რკინის ლამპადარია, საკიდის დეტალებით, *მცხეთა, არმაზისხევის* სამაროვანი №6 სამარხის გარეთ, სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან, ახ.ნ. II ს. [აფაქიძე ან. და სხვ. 1955: 81-82]. რკინის ლამპადარია,

საკიდის დეტალებით, *მცხეთა, სამთავროს* სამაროვანი, სამარხი №212, ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევარი [Иващенко 1980: 60, 118, 225, სურ. 322]. რკინის კანდელაბრი, *დედოფლის* გორას ნაქალაქარი, ოთახი №1 და 11 (ქარელის მუნიციპ.), 3 ც., ახ.წ. II ს-ის დასაწყისი [Löhr 2008: 158-159, კატ. №39-41, ტაბ. 63]. რკინის კანდელაბრი, “*რიყიანების ველის*” სამაროვანი, სამარხი №2, სოფ. ალაიანი (კასპის მუნიციპ.), ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი [მირიანაშვილი 1983: 24, ნახ.4]. ბრინჯაოს კანდელაბრი, *გონიოს* ციხე-სიმაგრე, ცენტრალური ნაწილის კულტურულ ფენაში, ახ.წ. II ს. [მამულაძე და სხვ. 2007: 47]. რკინის კანდელაბრი, *მცხეთა, არმაზისხევის* სამაროვანი, სამარხი №6, ახ.წ. II ს. [აფაქიძე ან. და სხვ. 1955: 77, ტაბ. XXV].

ახ.წ. III-V სს-ის ლითონის სანათები. ბრინჯაოს ჭრაქი, ბიჭვინთის ნაქალაქარი, III თხრილი, ახ.წ. III-IV სს. [რამიშვილი 1965: 116, სურ.12; კილურაძე 1977: 212, სურ. 473, 474]. ბრინჯაოს ჭრაქი, *ჭაბუკაურის* ნაეკლესიარი, *ნეკრესის* ნაქალაქარი (ყვარლის მუნიციპ.), ახ.წ. IV ს. [ბახტაძე 2010: 213, ტაბ. II,1]. ბრინჯაოს ჭალი, *ჭაბუკაურის* ნაეკლესიარი, *ნეკრესის* ნაქალაქარი (ყვარლის მუნიციპ.), 2ც., ახ.წ. IV-V სს. [ბახტაძე 2010: 213, ტაბ. II,2]. ბრინჯაოს ჭალი (ქოროსი), მრგვალი, აჟურული დისკები (2 ც.) დამაკავშირებელი ჯაჭვებით, ჯვრისებური მონოგრამით, *ნოქალაქევის* ნაქალაქარი (სენაკის მუნიციპ.), ახ.წ. IV-VI სს. [ზაქარაია და სხვ. 1977: 107, ტაბ. XX,1]. რკინის ლამპადარია, რკინისავე ჯაჭვით ჩამოკიდებული სამარხის კედელზე, *მცხეთა, სამთავროს* სამაროვანი, აკლდამა-სამარხი 905, ახ.წ. III ს. [აფაქიძე ან. და სხვ. 1987: 17-18; აფაქიძე ან. და სხვ. 1996:31, ტაბ. XXXVI,2; IV,1]. რკინის კანდელაბრი, *ზღუდერის* სამაროვანი, სამარხი №2, სოფ. ზღუდერი (ქარელის მუნიციპ.), ახ.წ. III ს. [ბრაუნდი და სხვ. 2008: 60]. რკინის კანდელაბრი, *ხოვლეს* სამარხი №1, სოფ. ხოვლე (კასპის მუნიციპ.), ახ.წ. III ს. [შატბერაშვილი 2007: 91, ტაბ. II,9].

ახ.წ. V-VII სს-ის მინის ლამპრები. I ტიპი — *ციხისძირის* ნაქალაქარი (ქობულეთის მუნიციპ.), ახ.წ. V-VI სს. [ინაიშვილი ნ. 1993: 74, ტაბ.29,6]. *ციხისძირის* სანერგე მეურნეობასთან გამოვლენილი ეკლესია, ახ.წ. V-VI სს. [ინაიშვილი ნ. 1993:75]. *გონიოს* ციხე-სიმაგრე, ჩრდილო-დასავლეთ სექტორი, 2 ფრაგმენტი, ახ.წ. V-VI სს. [ხალვაში 2002ა: 138, ტაბ. XII,9; შალიკაძე 2004: 135, სურ.25]. ბიჭვინთის ნაქალაქარი, 5 ფრაგმენტი, ახ.წ. V-VI სს. [ლორთქიფანიძე გ. 1991: 73, ტაბ. XI,7-9]. *ნოქალაქევი*, ახ.წ. V-VI სს. [Леквинадзе და სხვ. 1981: 125, სურ. 13ა]. *ფოთის* მიდამოები, ახ.წ. V-VI სს. [გამყრელიძე 1987: 114, სურ.20]. *ნებელდა*, ციხე-სიმაგრესა და სამარხებში, ახ.წ. VI-VII სს. [Воронов 1974: 75, სურ.2-12,3-9]. *დმანისის* ნაქალაქარი, 5 ფრაგმენტი, ახ.წ. VI-VII სს., *რუსთავის* ნაქალაქარი, 10 ფრაგმენტი, VI-VII სს., *უჯარმის* ნაქალაქარი (საგარეჯოს მუნიციპ.), VI-VII სს., *იყალთოს* სამონასტრო კომპლექსი (თელავის მუნიციპ.), 2 ფრაგმენტი, VI-VII სს., *ურბნისის* ნაქალაქარზე (ქარელის მუნიციპ.), VI-VII სს., *ლამაზი გორის* სამონასტრო კომპლექსი (ბოლნისის მუნიციპ.), VI-VII სს., თბილისი, *ერეკლეს მოედანი*, 2 ფრაგმენტი, VI-VII სს., *მცხეთა* (კარიბჭესთან და *სვეტიცხოველთან*), 5 ფრაგმენტი, VI-VII სს. [ჩხატარაშვილი 1978: 29-30, ტაბ. V,6-11]; *ჭაბუკაურის* ნაეკლესიარი, *ნეკრესის* ნაქალაქარზე (ყვარლის მუნიციპ.), ახ.წ. V-VI სს. [ბახტაძე 2010:213]. II ტიპი — *დმანისის* ნაქალაქარი, 1 ფრაგმენტი, VI-VII სს.; *რუსთავის* ნაქალაქარი, 1 ფრაგმენტი; VI-VII სს. [ჩხატარაშვილი 1978: 31-32, ტაბ. V,2-5].

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სანათების წარმოება და მათი ფართოდ გამოყენება ძვ.წ. V ს-დან იწყება. ხმარებაში იყო როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ნაწარმი. თიხის ადგილობრივი ჭრაქები დადასტურებულია: 15 ნამოსახლარზე (≈145 ც.) და 12 სამაროვანზე (≈ 50 ც.), თიხის უცხოური ჭრაქები კი გვხვდება 8 ნამოსახლარზე (ძირითადად ნაქალაქარებზე) (≈ 47 ც.), ლითონის სანათები — 6 ნამოსახლარზე (≈ 23 ც.), 7 სამაროვანზე (≈10 ც.). სანათები გამოიყენებოდა როგორც უტილიტარული, ისე სარიტუალო-დეკორატიული დანიშნულებით, რაზეც მათი ფორმებისა და გამოყენებული მასალის მრავალფეროვნება მიუთითებს. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



ნუმიზმატიკა

გ. დუნდუა †

საქართველო სამონეტო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ ძვ.წ. VI ს-ის დასასრულიდან, ან V ს-ის დასაწყისიდან იჭრება ე.წ. *კოლხური თეთრი*. ეს ტერმინი პირობითია და მისი გავრცელების არეალი, კოლხეთის, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაა ძვ.წ. V-IV სს-ში. ამ მონეტის რამდენიმე ტიპი და ნომინალი იჭრებოდა: ე.წ. ტეტრადრაქმა, სამი ტიპის დიდრაქმა, დრაქმა, ორი ტიპის ნახევარდრაქმა და ჰემიტეტარტემორიონი. კოლხური თეთრის ემიტენტის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული [იხ. Капанაძე, Голенко 1957: 88-95; კაპანაძე 1969: 27; დუნდუა, კახიძე 1978: 48-61; დუნდუა, კახიძე 1979: 61-73; დუნდუა 2003: 33-49].

ვერცხლის კოლხური თეთრის აღწერილობა: ნახევარდრაქმა (ტრიობოლი) II ტიპის.

1. ავერსი — რკალში ჩასმული ადამიანის თავი. რევერსი — მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, ხაზოვან რკალში. წონითი რემედიუმი საგრძნობ გადახრებს იძლევა: 1,2—2,6 გრ. დღეისათვის II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების რაოდენობა 5800 ცალია. მათი უმრავლესობა ანეპიგრაფიკულია; მცირე ნაწილზე ბერძნული ასოები გვხვდება: ΣΟ (ΜΟ), Φ, Α, Ο, Ε, Π, Δ. შესაძლოა, ისინი სამონეტო მაგისტრატებს ეკუთვნოდათ. II ტიპის ცირკულაციის ხანა ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი - III ს.

2. ე.წ. ტეტრადრაქმა. წონა — 10,40 -13 გრ. ავერსი — დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ. რევერსი — ჩაჭდულ კვადრატში მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა. მონეტის ეს ტიპი სულ სამი ცალია ცნობილი. თითო-თითო ეგზემპლარი ჰააგის, ბრიტანეთისა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმებშია დაცული. ამ მონეტის ავერსზე გამოსახული ლომის თავი მსგავსია II ტიპის დიდრაქმის შუბლზე ამოკვეთილი ლომის თავისა. ეს ტეტრადრაქმა ძვ.წ. V ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

3. დიდრაქმები (სამი ტიპისა), რომელთა შორის აღრეულია მწოლიარე ლომის გამოსახულებიანი მონეტა. მათი რაოდენობა 9ც. სამი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ორი — ერმიტაჟში (ს.-პეტერბურგი), თითო-თითო ცალი ქუთაისის, ბერლინის, ბრიტანეთისა და ბოსტონის მუზეუმებში: ავერსი — მწოლიარე ჰერმეფროდიტი ლომის (ხვადის ფაფარითა და ძუს ძუძუებით) გამოსახულება მარჯვნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. რევერსი — ჩაჭდულ სწორკუთხედში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის (შეიმჩნევა მკერდის მოხაზულობა) ფიგურა მარჯვნივ. ამ აღწერილობისაგან სხვა ცალები ვარიანტული სახეცვლილებებით გამოირჩევა, მაგრამ სტანდარტი ერთია. დიდრაქმის რევერსზე გამოსახული ფანტასტიკური არსების თავი (ხარის) იდენტურია II ტიპის ნახევარდრაქმაზე გამოსახული ხარის თავისა. ემისიის თარიღი — ძვ.წ. VII ს-ის უკანასკნელი მეოთხედი [იხ. დუნდუა, დუნდუა თ. 2006: 32-33].

4. II ტიპის კოლხური დიდრაქმა; წონა — 8,99- 9,90 გრ-ში მერყეობს. ავერსი — ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ (ისეთივე, როგორც ნახევარდრაქმაზე); რევერსი — ჩაჭდულ კვადრატში ერთმანეთის საპირისპიროდ ადამიანის ისეთივე თავები, როგორც მონეტის შუბლზეა გამოსახული. ამ მონეტებზე ამოტვიფრული ადამიანის თავების პროფილი იდენტურია. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია 7ც., ქუთაისში 2ც., ერმიტაჟში 1ც., აშშ ნუმიზმატიკური ასოციაციის კოლექციაში 1ც. ეს დიდრაქმა ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება.

5. III ტიპის დიდრაქმა. ეს უნიკალური მონეტა ამჟამად დაკარგულია; შემორჩენილია მისი ჩანახატი: ავერსი — ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ; რევერსი — ორი ხარის თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ჩაჭდულ კვადრატებში (ხარები იდენტურია II ტიპის ნახევარდრაქმაზე ამოკვეთილი ხარისა); III ტიპის კოლხური დიდრაქმა სინქრონულია II ტიპის კოლხური დიდრაქმისა.

6. ე.წ. დრაქმა. წარმოდგენილია ერთი ცალით. წონა — 5,52 გრ. ინახება ქუთაისის მუზეუმში. ავერსი — ლომის თავის გამოსახულება ანფასში. რევერსი — ჩაჭდულ კვადრატში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. ეს ნომინალი — ძვ.წ. V ს.

7. I ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა; ცნობილია 4ც.; ყველა მიკვლეული დასავლეთ საქართველოში (ახალსოფელსა და ქობულეთში); წონითი რემედიუმი 1,7-2,6 გრ. დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ავ. — დალრენილი ლომისთავის მარჯვენა პროფილი (ქობულეთში აღმოჩენილზე ლომის თავი მარცხნივ). რვ. — ჩაჭდულ კვადრატში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა. პარალელების საფუძველზე, ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება.

8. ჰემიტეტარტემორიონი (დრაქმის 1/48 ნაწილი) ცნობილია სამ ცალად. სამივე მათგანი აღმოჩენილია *ფიჭვნარში* (ქობულეთის მუნიციპ.). წ. — 0,150 გრ., 0,111 გრ., 110 გრ. დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ავ. — მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება (იდენტური II ტიპის ნახევარდრაქმაზე ამოკვეთილი პროფილის). რვ. — მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი (წერო?).

ვერცხლის, კოლხური თეთრის ემისიას, ჩვენ მიღებულ მხარეებზე მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დაარსებულ აპოკიას — ფასის მივანერეთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოლხური თეთრი წმიდანის საქალაქო მონეტაა. პირიქით, ისინი იჭრებოდა კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკური უერთიერთობის მოსაწესრიგებლად. ამ მონეტების საშუალებით იღებდა მისთვის საჭირო ნედლეულს ქალაქი ფასის დასავლეთ საქართველოდან. კოლხური თეთრის ზოგიერთი სახეობა ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში, რაც მაჩვენებელია იმ ფაქტისა, რომ კოლხური თეთრი არეგულირებდა ქვეყნის შიდა ბაზრის მოთხოვნილებას, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ძვ.წ. VI-III სს-ში მზადაა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისათვის, რომ ეს მოსახლეობა მაღალ განვითარებული საზოგადოებაა. სიმპტომატურია ისიც, რომ სინქრონული უცხოური მონეტები, ძირითადად, მხოლოდ სანაპირო ზოლშია მოკვლეული. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებთან ვაჭრობაში ფასისს პრევალირებული ადგილი ეკავა.

უცხოურ მონეტებიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია: 1. ძვ.წ. VI-V სს. ქ. *კიზიკის* ელექტრუმის სტატერი 4 ც.; 2. ძვ.წ. VI-V სს. აქემენიდური სიკლი (აღმოჩენილია ვანის მუნიციპ. სოფ. *სულორში* კოლხურ ნახევარდრაქმებთან ერთად); 3. ძვ.წ. VI ს-ის ლიდური ვერცხლის მონეტა; 4. ძვ.წ. VI ს-ის ვერცხლის მონეტა, მოჭრილი *კარიაში*; 5. ძვ.წ. V-IV სს. *სინოპური* დრაქმები. ძვ.წ. IV ს-ის მონეტები დიდი რაოდენობით (*ფიჭვნარში* ნაპოვნია ძვ.წ. IV ს. შუა ხანების სინოპური დრაქმების და კოლხური მონეტების შერეული განძი; გარდა ამისა, ისინი აღმოჩენილია ბათუმში, სოხუმში და ურეკში); 6. ძვ.წ. IV ს-ის *ამისოს* სიკლები — 2 ც. (ქობულეთი, სოხუმი); 7. ძვ.წ. V-IV სს. ათენური ტეტრადრაქმა — 1 (მწვანე კონცხი — ხელვაჩაურის მუნიციპ.); 8. ძვ.წ. V-IV სს. ა) პანტიკაპეონის ვერცხლი — 2 (*ფიჭვნარი* და *ვანი*), სპილენძი — 1 (*ციხისძირი* — ქობულეთის მუნიციპ.), ბ) *თეოდოსიაში* მოჭრილი ვერცხლის — 2 მონეტა (*ფიჭვნარი*), გ) *აპოლონიის* ვერცხლი — 1 (*ფიჭვნარი*), დ) *ნიმფეონის* დიობოლი — 1 (*ფიჭვნარი*), ე) *ქერსონესის* დიხალკი — 1 (სოხუმი); 9. ფილიპე II-ის (ძვ.წ. 359-336 წწ.) სტატერი — 1, *ვანი*.

მოტანილი ნუმისმატიკური მასალის ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ.წ. VI-IV სს-ში უცხოური მონეტები დასავლეთ საქართველოში, ძირითადად, შავი ზღვის სანაპირო ზოლის მიდამოებში მიმოიქცეოდა. ამასთანავე, ძირითადად პრევალირებს მცირე აზიის ზარაფხანებში მოჭრილი მონეტები. შავი ზღვის სანაპიროს ქობულეთ-ბათუმის სექტორი ეკონომიკურად *სინოპეს* მიერაა ათვისებული [იხ. ინაძე 1975: 53]. აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროზე მიკვლეულ ჩრდილო შავიზღვისპირეთის მონეტები აქ *ათენის* ეკონომიკური აქტიურობის შედეგად უნდა მოხვედრილიყვნენ. ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებში *ათენი* თავის პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერების მწვერვალს აღწევს. სწორედ *ათენის* მიერ ჩატარებული ენერგიული საგარეო პოლიტიკის ნყალობით, როგორც ირკვევა, შეიქმნა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთიანი ეკონომიკური სივრცე [იხ. ინაძე, 1975: 53-60]. ძვ.წ. V-IV სს-ის აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ორი უცხოური მონეტაა აღმოჩენილი: 1. ძვ.წ. V ს-ის აქემენიდური სიკლი, კოლხურ ნახევარდრაქმებთან ერთად

სურამის მიდამოებში იპოვნეს; 2. ძვ.წ. V-IV სს-ის ათენური ტეტრადრაქმა, სოფ. კომპათელასთან (დმანისის მუნიციპ.) აღმოჩნდა.

ძვ.წ. IVს-ის დასას. - IIIს-ის საქართველოში ყველაზე გავრცელებული უცხოური მონეტა ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი სტატერია. მის მიერ შექმნილმა ფულადმა სისტემამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა იმდროინდელ მსოფლიოში, გამოდევნა რა ბაზრიდან ყველა ინტერლოკალური მონეტა. ამ უნივერსალური ეკონომიკური ცხოვრებიდან ანტიკური პერიოდის საქართველო გვერდზე არ დარჩენილა. საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი 378 ოქროს მონეტაა აღმოჩენილი [იხ. დუნდუა 2008: 20-21]. რაც შეეხება ამ მონარქის სახელით მოჭრილ ვერცხლის მონეტებს, ისინი საქართველოს საზღვრებში სულ 6ც. ნაპოვნი — 2 ტეტრადრაქმა (ქუთაისსა და სოფ. ნიჩბისში) და 4 დრაქმა (მდ. ყვირილას მიდამოებში — შორაპანთან, სოფ. კაჭრეთში; თბილისში — ელიას მთაზე და ციხიაგორაზე) [იხ. დუნდუა, დუნდუა თ. 2009: 6]. ელინისტური ხანის საქართველოში თრაკიის მეფის ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს მონეტები ფართოდ იყო გავრცელებული, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს არა მარტო მათი აღმოჩენის რაოდენობა, არამედ ის ფაქტიც, რომ მათ მიხედვით დიდი რაოდენობით ადგილობრივი მინაბადები იჭრება. ლისიმაქეს სახელით მოჭრილი 8 სტატერია მიკვლეული — სვანეთი — 2ც., ეკი (სენაკის მუნიციპ.) — 2ც., ვანი — 2ც., გულრიფში — 1ც., ტახტიძირი — 1ც. ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერების გავრცელების ადგილი, ძირითადად, დასავლეთ საქართველოა.

ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების გარდა აღმოჩენილია: 1. ფილიპე III-ის (ძვ.წ. 323-316 წწ.) ოქროს მონეტები თითო-თითო ცალი სოფ. აგუძერაში (აფხაზეთი) და ვანში. 2. ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედის პანტიკაპეიონის სტატერების განძი (32 ც.) ნაპოვნი სოფ. მულახში [პატარიძე 2011: 25], ხოლო 1 ც. — სამეგრელოში. 3. ჰერიონ II-ის (ძვ.წ. 275-216 წწ.) სირაკუზული ნახევარსტატერი — ვანის ნაქალაქარზე, ძვ.წ. 340 წ.-ის სირაკუზის ვერცხლის მონეტა, ფიჭვნარში [იხ. ვარშალომიძე 2005: 53-56]. ძვ.წ. IV-II სს. საქართველოში, ისევე როგორც მთელს იმდროინდელ მსოფლიოში, ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლების მანამადე არნახული აღმავლობის ხანაა. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის ფართო ქსელში ექცევა არა მარტო მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ უფრო შორეული ქვეყნებიც — შუა აზია და ინდოეთი. ამ ეპოქაში საქართველოს ურთიერთობა ხმელთაშუაზღვისა და მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებთან კიდევ უფრო ფართოვდება [იხ. ინაძე 1962: 106-109]. გარე სამყაროსთან ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უცყუარი საბუთი, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტებია. ამ სტატერების სტანდარტული ტიპის აღწერილობა შემდეგნაირია:

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის წონა $\approx 8,50$ გრ., ბაჯალლო ოქრო. ავ. — ათენა ქალღმერთის თავის გამოსახულება მუზარადში მარჯვნივ; მუზარადზე ზოგჯერ დაკლანკილი გველია გამოსახული. რვ. — ქიტონში ჩაცმული ფრთოსანი ნიკეს გამოსახულება მთელი ტანით. მარჯვენა ხელში მას გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში — სტილიდა. ადრეულ ცალებზე მის უკან მოთავსებულია ბერძნული ზედწერილი: ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ. მონეტის არეზე ამოკვეთილია სხვადასხვა მონოგრამები და სიმბოლოები, რომელთა მეშვეობით ხერხდება ზარაფხანების დადგენა. ლისიმაქეს სტატერი, იმავე წონითი სტანდარტი, ბაჯალლო ოქრო. ავ. — მარჯვნივ მიმართული ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება დიადემაში. რვ. — მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი შუბსა და ფარს ეყრდნობა. გამოსახულების უკან ბერძნული ზედწერილი — ΒΑΣΙΛΕΩΣ, წინ — ΛΥΩΣΜΑΧΟΥ. მონეტის რვევრსზე დამატებითი სიმბოლოები და მონოგრამებია მოთავსებული იმის მიხედვით, თუ რომელ ზარაფხანაშია მოჭრილი ესა თუ ის ცალი. ლისიმაქეს სტატერებთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას, რომ ამ მონარქის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელით მონეტებს ქრის ქალაქი ბიზანტიონიც, ოღონდ თავისი ემბლემით: ათენა პალადას ქვემოთ ათავსებს სამთითას და ორ პანია დელფინს. ამ

დეტალს აქვს დიდი მნიშვნელობა ლისიმაქეს სტატერების სახელით მოჭრილი ქართული მინაბაძების დასათარიღებლად, რადგან მათ უმრავლესობაზე სწორედ სამითთაა ამოკვეთილი. იმ მოსაზრების თანახმად, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში წყდება, ან კლებულობს ფართოდ გავრცელებული მონეტების შემოსვლა, იწყება მათი ადგილობრივი იმიტაციების ემისია. გამონაკლისი არც საქართველოა. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერები. მათი მიბაძვით ხორციელდება ქართული იმიტაციების ემისია. საქართველოში ადგილობრივ მოჭრილ ოქროს მონეტებიდან პირველ რიგში უნდა შევეხოთ კლასიკურ სტატერს. მისი აღწერილობა ასეთია: წონა — 8,45 გრ. ბაჯაღლო ოქრო. ავ. — მარჯვნივ მიმართული ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება; რვ. — მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში გამარჯვების ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი ტახტის სახელურს ეყრდნობა. ტახტის უკან მოთავსებულია ფარი. ათენა პალადას ქვემოთ სამითთაა, რომლის ორსავე მხარეს პანია დელფინებია გამოსახული. ამ კომპოზიციის უკან ბერძნული ზედწერილი ΒΑΣΙΛΕΩΣ, წინ — ΑΚΟΥ; მეფის სახელი ნათესაობით ბრუნვაში და ქართულად ითარგმნება როგორც მეფე აკესისა/აკასი, ან აკოსისა. აღწერილი მონეტა ზუსტი ასლია ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს მონეტებისა, რომელთა ემისიას ანარმოებდა ქალაქი ბიზანტიონი ძვ.წ. 195 წლის შემდეგ. შესაბამისად აკის სტატერი შეიძლება ძვ.წ. II ს-ის 80-იანი წლებით დათარიღდეს. ეს მონეტა სულ 2 ც. ცნობილი, ერთი აღმოჩნდა ქ. ტრაპეზუნტში, ხოლო მეორე — სოფ. კინჩხაში, ხონის მუნიციპ. და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება. ოქროს მონეტებზე მოხსენიებული ამ მეფის სახელი სხვა წერილობითი წყაროებით უცნობია. შემდეგი რგოლი ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერების იმიტაციების ჯაჭვში არის სოფ. რეყეში (ზუგდიდის მუნიციპ.) აღმოჩენილი ოქროს ცალი — წონა 7,78 გრ. ავ. — ოდნავ დამახინჯებული ალექსანდრეს პროფილი მარჯვნივ. რვ. — ასევე ოდნავ დამახინჯებული მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა ხელში ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი ტახტის სახელურს ეყრდნობა. გამოსახულების ქვემოთ სამითთაა.

ამრიგად, აღმოჩენილი მონეტის სახით ჩვენ გვაქვს პირველი რგოლი, რომელიც ბაძავს ბიზანტიონში მოჭრილ ლისიმაქეს სტატერებს, ან თვით ე.წ. აკის სტატერს. ის ძვ.წ. II ს-ის 80-იანი წლებით უნდა დათარიღდეს. თუ ე.წ. აკის სტატერი კოლხურია, ეს იმას მოწმობს, რომ ამ სამეფოს აქვს შესანიშნავი ზარაფხანა, სადაც სამონეტო საქმის ოსტატები მუშაობენ, ვინაიდან ის აბსოლუტურად ტოლფასოვანია ლისიმაქეს სტატერებისა. შემდეგში ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერების მინაბაძების გამოსახულებანი თანდათან უხეშდება, სქემებად იქცევა და ძალიან სცილდება ორიგინალებს. გარდა ამისა, მონეტების სინჯი უარესდება და წონა ეცემა. რაც შეეხება თარიღს, ვინაიდან ისინი აღმოჩენილია სხვა კარგად დათარიღებულ მონეტებთან ერთად და ასევე კარგად დათარიღებულ სამარხებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი ემისია გრძელდებოდა ძვ.წ. II ს-ის 80-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან, ვიდრე ძვ.წ. I ს-ის უკანასკნელ მეოთხედამდე [იხ. დუნდუა 1987: 71-82].

ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ქართული მინაბაძების ადრეულ ცალგებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ხოლო არსებული ეგზემპლარების ზოგადი აღწერილობა ასეთია: ავ. — მარჯვნივ მიმართული ქალღმერთ ათენას სქემატური პროფილი. სახის ნაკვეთები გადმოცემულია მკვეთრი შტრიხებით. დროთა განმავლობაში გამოსახულება თანდათან მახინჯდება: რვ. — ფრთოსანი ნიკეს სქემატური გამოსახულება ანფასი. ფრთები გაშლილ-ჩამოყრილი აქვს, პირობითადაა გადმოცემული, მაგრამ ისე, რომ არავითარ ეჭვს არ ტოვებს, თუ ვისი გამოსახვა სურდა ხელოსანს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიის მინაბაძების წონაც (რემედიუმი: 1,6-3,7 გრ.) თანდათან ეცემა და უარესდება სინჯი. ბოლოსდაბოლოს ისინი ვერცხლის მონეტებად იქცევა. მათი ემისიის ქრონოლოგიური დიაპაზონი: ძვ.წ. I — ახ.წ. I სს. საქართველოში სულ 59 ც. ნაპოვნი. გვიანელინისტური ხანის საქართველოში სამონეტო ემისია არ წყდება. ცნობილია ვერცხლის მცირე ზომის 8 მონეტა,

რომლებიც 3 ტიპად იყოფა. მათი აღწერილობა ასეთია: 1. ავ. — მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში; რვ. — მარჯვნივ მიმართული ხარის თავი; ბერძნული ზედწერილი: ΒΑΣΙ... ΣΑΥΜ... ე.ი. მეფე სავმაკისა (?). 2. ავ. — მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში. რვ. — ვარდის გამოსახულება, რომლის ზემოთ და ქვემოთ ასევე ფრაგმენტული ბერძნული ზედწერილი. 3. ავ. — მამაკაცის თავის გამოსახულება სხივანა გვირგვინში პირდაპირი; ღვთ. ფრთოსანი ელვა, რომლის ზემოთ და ქვემოთ ასევე ფრაგმენტული ბერძნული ზედწერილია. არც ერთ მონეტაზე მეფის სახელი სრულად შემორჩენილი არ არის, რამაც მათი გენეზისის საკითხი დისკუსიის საგნად აქცია. ამ რვა მონეტიდან ხუთი — *სოხუმის* მიდამოებში და *ვანის* ნაქალაქარზე აღმოჩენილი [იხ. Голенко 1963: 69-81; დუნდუა 2002: 160-169]. საქართველოს ტერიტორიაზე სპილენძის საქალაქო მონეტებიც იჭრებოდა, მათ ემისიას *დიოსკურია* (თანამედროვე სოხუმთან) ახორციელებდა. იჭრებოდა სამი ნომინალი: ხალკი (ნონა 1,3-3,1 გრ.), დინალკი (3,7-5 გრ.), ტეტრახალკი (6,1 გრ.), რომელთაც ასეთი სახე აქვთ: ავ. — ტყუპი ძმების ემბლემის — ორი ფრიგიულის მაგვარი ქუდის გამოსახულება, რომელთა ზემოთ მოთავსებულია ექვსი ან რვაქიმიანი ვარსკვლავები. რვ. — მონეტის ცენტრში კვერთხის (დიონისეს?) გამოსახულება, მის ორივე მხარეს ბერძნული ზედწერილი: ΔΙΟΣΚΟΥΡΙΑ:ΔΟΣ. მონეტები ძვ.წ. II ს-ის დასასრულის და I ს-ის დასაწყისისაა [Голенко 1977: 3].

ომი რომსა და პონტოს შორის რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა და მითრიდატეს მარცხით დასრულდა. რომაელი სარდალი გნეუს პომპეუსი ძვ.წ. 65 წელს მეფე არტაგის იბერიაში შეიჭრა, ხოლო მერე დასავლეთ საქართველოში გადავიდა. პომპეუსმა აქ მმართველად ძვ.წ. 63 წელს არისტარქე კოლხი გაამწესა. ჩვენამდე მოაღწია მისი სახელით მოჭრილმა ვერცხლის 6 მონეტამ, რომლებიც დაცულია: ბერლინის, ემპოლისა და ბრიტანეთის მუზეუმებში, აგრეთვე პარიზის “*მედელების კაბინეტში*” — თითო თითო ცალი, ორიც — ს.-პეტერბურგის ერმიტაჟში (აქედან ერთი აღმოჩენილია სოხუმის მიდამოებში). მათი აღწერილობა: ნონა — 3,2-3,7 გრ.; ავ. — მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილის გამოსახულება სხივანა გვირგვინში, რომელიც ჰელიოსადაა მიჩნეული. რვ. — მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის გამოსახულება გვირგვინით. მარცხენა ხელში მას სფეროს მაგვარი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჭეს ეყრდნობა. გამოსახულების ორსავე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი: ΤΟΥ:ΕΠΙ:ΚΟΛΧΙΑΔΟΣ:ΑΡΙΣΤΑΡΧΟΥ:ΒΙ — “*არისტარქესი, რომელიც კოლხეთს მართავს*” და თარიღი 12, რაც უდრის ამ პიროვნების მმართველობის მე-12 წელს, ანუ 52/51 წლებს [იხ. Голенко 1974: 105-110].

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ელინისტური პერიოდის უცხოური მონეტების სია ასეთია: ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის *სინოპური* ჰემიდრაქმები (*სოხუმის* მიდამოები — 2, *ფიჭვნარი* — 3, *დაფნარი*, სამტრედიის მუნიციპ. — 1; ძვ.წ. III-II სს. *ამისოს* სიკლი (*სოხუმის* მიდამოები — 1); *ათენური* ტეტრადრაქმები და დრაქმები, ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარი (*ვანი* — 2, *სოხუმი* — 1); მითრიდატე VI ევპატორის ტეტრადრაქმები (*სოხუმი* -1, *ვანი* -2); ძვ.წ. II-I სს. *კაპადოკიის* მეფეთა დრაქმები (*ვანი* -10); ძვ.წ. II-I სს. რომის რესპუბლიკური დენარები (*სოხუმი* -7, *გუმურუმი*, გალის მუნიციპ. -1, სოფ. *საზოდელავო*, სენაკის მუნიციპ. -23ც., *ვანი* -2); ძვ.წ. I ს-ის პართული დრაქმები, *ვანი* -2. სპილენძის მონეტებს რაც შეეხება, მათი გავრცელება *სოხუმის* მიდამოებსა (მაგ. *ეშერში*) და *ვანში* იწყება ძვ.წ. II ს-ის დასასრულსა და I ს-ის დასაწყისში. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ ამ პერიოდში დიოსკურიასა და მის შემოგარენში, აგრეთვე *ვანში* მითრიდატე VI ევპატორის გარნიზონი უნდა მდგარიყო. *სოხუმის* მიდამოებში აღმოჩენილია პონტოს სხვადასხვა ქალაქებში (*ამისო*, *ფარნაკეა*, *ნეოკესარია*, *ამასტრია*) მოჭრილი 13, ხოლო *ვანში* — მითრიდატეს ეპოქის 200-მდე სპილენძის მონეტა. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. VI-ახ.წ. IV სს-ში სპილენძის მონეტები სანაპირო ზოლის საზღვრებში ცირკულირებდა. ვანის ნაქალაქარზე მიკვლეული მითრიდატე VI პონტოელის 200-მდე მონეტა იმის მაჩვენებელია, რომ მათი უმრავლესობა ცენტრალურ კოლხეთში პონტოს სამეფოს ჯარისკაცების მიერ არის შემოტანილი. ამ მონეტების ძირითადი მასა ძვ.წ. 105-90 წწ-შია მოჭრილი [იხ. Дундуа 1987: 105-108].

თუ კი ნუმისმატიკური აღმოჩენების მიხედვით ვიმსჯელებთ, ძვ.წ. IV-III სს-ში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სამონეტო მიმოქცევა შედარებით სუსტადაა განვითარებული. გარდა ზემოთმოხსენიებული მონეტებისა, იბერიაში კიდევ ნაპოვნია რამდენიმე ცალი II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა და ეგვიპტის მეფის პტოლემეაოს III-ის (ძვ.წ. 247-222 წწ.) სპილენძის მონეტა (*ზემო ავჭალა*). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კოლხური თეთრის აღმოჩენის შემთხვევები აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფარგლებში: *არმაზი* (მცხეთის მუნიციპ.) – 1 ც., სოფ. *წნისი* (ახალციხის მუნიციპ.) – 5 ც., *ანყური* (ახალციხის მუნიციპ.) – 1 ც., *სურამის* მიდამოები (ხაშურის მუნიციპ.) – 1 ც. უფრო ინტენსიურ ხასიათს სამონეტო მიმოქცევა იბერიაში ძვ.წ. III ს-ის ბოლოსა და II ს-ში იღებს. ქ. გორის მიდამოებში ამ პერიოდის პართული მონეტების განძია ნაპოვნი; სოფ. *ალაიანში* (კასპის მუნიციპ.) აღმოჩენილია კაპადოკიის მეფის არიარათ IV-ის (ძვ.წ. 220-163წწ.) დრაქმა, დათარიღებული ძვ.წ. 187წ.; *გორსა და ნასტაკისში* (მცხეთის მახლობლად) თითო-თითო ცალი პართული დრაქმა მითრიდატე I-ისა (ძვ.წ. 171-138 წწ.); *დილომში* (თბილისი) — დემეტრიოს I სოტეროსის (ძვ.წ. 162-150 წწ.) სირიული სპილენძის მონეტა, ხოლო ქ. ცხინვალში — სელევკიდური ტეტრადრაქმა ანტიოქოს ვერგეტისა (ძვ.წ. 138-129 წწ.). ამ ნუმისმატიკური მასალის ანალიზზე დაყრდნობით, ძვ.წ. II ს-ის დასაწყისიდან მაინც უნდა ვივარაუდოთ იბერიაში პართული მონეტების შედარებით ფართო ცირკულაცია.

ძვ.წ. II ს-ის დასასრულსა და I ს-ის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში უკვე საკმაოდ ძრელი სამონეტო ბაზარი ჩამოყალიბდა. ქვეყნის სხვადასხვა პუნქტში ამ პერიოდის დაახლოებით 70-ზე მეტი მონეტაა ნაპოვნი. აქედან 44 პართული დრაქმაა (გორი, სოფ. *სხალთი*, მცხეთა, სოფ. *ალაიანი*), 13 — რესპუბლიკური ხანის რომაული დენარი (*ნასტაკისი*, *ალაიანი*, ქარელის მიდამოები, თბილისი), მითრიდატე VI ეგპატორის ეპოქის პონტოს ქალაქების (*ამისო*, *სინოპე*, *ამასტრია*) 7 სპილენძის მონეტა (მცხეთა, თბილისი), ძვ.წ. 72 წ. დათარიღებული მითრიდატე VI-ის ტეტრადრაქმა (სოფ. *ალაიანი*), სომხეთის მეფის ტიგრან II-ის (ძვ.წ. 95-55 წწ.) 3 ტეტრადრაქმა, მოჭრილი ორონთის ანტიოქიაში ძვ.წ. 83-69 წწ. (სოფ. *ალაიანი*), ვერცხლის 6 ბაქტრიული მონეტა (თბილისი), ძვ.წ. I ს-ის სოგდური მონეტა, ევტიდემეს ტეტრადრაქმის მინაბაძი (ფასანაური), ქ. სოლის (კილიკია) ძვ.წ. II-I სს. მონეტა (თბილისი), კაპადოკიის მეფის არიობარძანე I-ის (ძვ.წ. 96-62 წწ.) დრაქმა (მცხეთა). ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული პერიოდის მონეტებიდან 30 ნაპოვნია მცხეთაში, 24 — ალაიანში. მოყვანილი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ძვ.წ. II ს-ის დასასრულსა და I ს-ის პირველ ნახევარში წამყვანი როლი იბერიის ეკონომიკაში ისევ პართულ დრაქმებს ეკავა. მათი შემოსვლის გზა იბერიაში დადგენილია, კერძოდ, კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროდან მდინარე მტკვრის სატრანზიტო არტერიით [იხ. *Зорпад* 1945: 42]. პონტოს სპილენძის მონეტები შავიზღვისპირეთიდანაა იბერიაში შემოსული. აგრეთვე ბაქტრიული და სოგდური მონეტების აღმოჩენა მოწმობს იმას, რომ ტრანსკავკასიური სავაჭრო გზა, რომელიც შავი ზღვის აუზის ქვეყნებს ინდოეთთან აკავშირებდა, გვიანელინისტურ ხანაშიც ინტენსიურად ფუნქციონირებდა. იბერიის სამონეტო ბაზარს ძირითადად ორი ეკონომიკური არხი კვებავდა: ტრანსკავკასიური და არტაშატის სავაჭრო მაგისტრალი. იბერიაში აღმოჩენილი მონეტების სტატისტიკა და ტოპოგრაფია ასეთ სურათს იძლევა: სულ ნაპოვნია 146 მონეტა, აქედან 134 პართული დრაქმაა და 12 რესპუბლიკური ხანის რომაული დენარი. პართული დრაქმებიდან 119 მიეკუთვნება ოროდ II-ს (ძვ.წ. 57-38 წწ.). 134 პართული დრაქმიდან 55 ნაპოვნია მცხეთაში, 44 — ალაიანში. 12 რომაული დენარიდან 5 მოჭრილია რომის ზარაფხანაში, 3 — აღმოსავლეთის პროვინციებში, თითო-თითო ცალი — ესპანეთში, *ანტიოქიასა* და *გალიაში*. 5 დენარი ნაპოვნია *ალაიანში*, 2 — *ნასტაკისში*, თითო-თითო ცალი *თბილისში*, *გორში*, *მცხეთაში*, *აბისში*, *კავთისხევში*. ამრიგად, ნათელია, რომ იბერიის სამონეტო ბაზრის ძირითადი კომპონენტები ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარში კვლავ პართული დრაქმები და რომაული დენარებია, ხოლო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი — მცხეთა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორია I-IV სს-ში სამ ზონად იყოფა — სანაპირო, ცენტრალური და აღმოსავლეთ ნაწილად. ფულადი მიმოქცევის თვალსაზრისით სანაპირო ზოლი და შიდა რაიონები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ეს განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ სანაპირო ზოლის ქალაქებში, ძირითადად, ტრიალებს სპილენძი, ხოლო შიდა რაიონებში — ვერცხლი. სანიმუშო მასალად ზღვისპირეთისათვის ვიღებთ *ბიჭვინთასთან* და *გაგრასთან*, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ნუმიზმატიკურ მონაცემებს. მათი რიცხვი 1000-ზე მეტია, ხოლო შიდა რაიონებისათვის — სოფ. *გერზეულის*, სოფ. *ეკისა* და სოფ. *სეფიეთის* მონაცემებს [იხ. დუნდუა, დუნდუა თ. 2006: 96-101; *Зорцах* 1931:20]. ამ განძების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: ჩრდილოეთ და ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე I-III სს-ის პირველ მეოთხედში ყველაზე გავრცელებული ვალუტა კესარიული დიდრაქმაა. II ს-ის დასასრულიდან რეგიონის სამონეტო ცირკულაციაში ერთვება საერთო საიმპერიო ტიპის მონეტები. ეკის განძის აღმოჩენამდე, დასავლეთ საქართველოში 500-მდე კესარიული მონეტა იყო ნაპოვნი [Голенко 1964: 23-29; დუნდუა 1979:10]. ისინი საზღვაო გზითაა შემოსული. ზღვისპირა ქალაქებიდან (*ფასისი*, *სებასტოპოლისი*, *პიტიუნტი*) ქვეყნის სიღრმეში მხოლოდ ვერცხლის მონეტები — დიდრაქმები და დენარები იკავავენ გზას, რადგენ მათ რეალური ღირებულება გააჩნიათ.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე I-IV სს-ში, ისევე როგორც დასავლეთში I-III სს-ში, მონეტების გარკვეული მოზღვავება შეინიშნება. მონაცემები ძირითადად გვაქ: *მცხეთა*, *ზღუდერი* (ქარელის მუნიციპ.), *ალაიანი-ნასტაკისი* (კასპის მუნიციპ.) და *ერნო-თიანეთი*. ახ.წ. II ს. დასაწყისიდან სამონეტო ბაზრზე წამყვან ადგილს იკავებს *ლუგდუნუმში* (თანამედროვე ლიონი), ძვ.წ. 2 - ახ.წ. 4 წლებში ოქტავიანე ავგუსტუსის სახელით მოჭრილი დენარები და ე.წ. გოტარზეს (40-51წწ.) პართული დრაქმები. პირველი ჯგუფის მონეტები ზემოთ მოხსენიებულ პუნქტებში დაახლოებით 206ც. ნაპოვნი, ხოლო მეორე – 132ც. გარდა ამისა, ერთეული ეგზემპლარებითაა წარმოდგენილი ტიბერიუსისა (14-37 წწ.) და კალიგულას (37-41 წწ.) მონეტები. ტიბერიუსის ორი დენარი ნაპოვნია მცხეთაში, ერთიც — ალაიანში. სამონეტო ბაზარზე გამოჩნდა რომაული აურეუსი — ავგუსტუსი – 1ც., ტიბერიუსი – 1ც. (მცხეთა), რომელიც I ს-ის მეორე ნახევრიდან, ავგუსტუსის დენარებთან ერთად, ფულადი მიმოქცევის ძირითად საშუალებად იქცა მთელ რეგიონში [იხ. დუნდუა 2005: 170-180]. ავგუსტუსის დენარები აქ I-III სს-ში ფულადი მეურნეობის საფუძველია. ამ მონეტების ემისია, როგორც ვარაუდობენ, ძალიან ფართო მასშტაბით წარმოებდა და ისინი განსაკუთრებული ინტენსიურობით იმპერიის პერიფერიებში ვრცელდებოდა. სამხრეთ კავკასიაში მათი შემოსვლის გზა ევფრატის ზემო წელიდან იწყებოდა და მდ. მტკვრის არტერიით იბერიაში იღექებოდა [იხ. Голенко 1964: 43]. ამ მონეტების რიცხვის მკვეთრმა შემცირებამ III ს-ის შუა ხანებიდან გამოიწვია მათი ადგილობრივი იმიტაციების გენეზისი. ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან იბერიის სამონეტო ცირკულაციაში, ასევე აქტიურად ე.წ. გოტარზეს დრაქმები ერთვება. ამ დრაქმებთან ერთად, რომაული აურეუსებიც ცირკულირებს. რომაული აურეუსები აღმოაჩინა ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ეს მონეტები მოჭრილია იულია დომნას (198-209 წწ.), ალექსანდრე სევერუსის (225 წ., რომის ზარაფხანა), გორდიანე III-ის (2ც.), კარუსის (282-283 წწ., ანტიოქიის ზარაფხანა), დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) – 1ც. და ვალერიანეს (254-260 წწ.) სახელით. სულ 7ც. გორის მიდამოებში უპოვიათ იმპერატორ კარინუსის (283-285 წწ.), ხოლო *ოკამში* (კასპის მუნიციპ.) №1 აკლდამაში აღმოჩნდა *ალექსანდრიაში* მოჭრილი დიოკლეტიანეს ოქროს მონეტა. შემდგომ, რომაული აურეუსების შემოსვლის საგრძნობმა შეკვეცამ მათი ადგილობრივი იმიტაციების გენეზისი გამოიწვია. ამის ერთერთი მაგ. სოფ. *ჟინვალის არაგვისპირის* სამაროვნის №13 სამარხში აღმოჩენილი იმპერატორ ვალერიანეს (253-260 წწ.) ოქროს მონეტა. IV ს-ში სამონეტო მიმოქცევის ინტენსიურობა იბერიაში მცირდება [იხ. მაკალათია 1941: 90; Голенко 1971: 58].

VI ს-ის დასაწყისიდან მძაფრი ბრძოლა იწყება ორ დიდ იმპერიას — ბიზანტიასა და ირანს შორის საქართველოს დაუფლებისათვის. *ლაზიკა-იბერიის* ფლობა ნიშნავდა

კონტროლს მთელს კავკასიის რეგიონზე, შავ ზღვაზე და კავკასიონის უღელტეხილებზე. თავდაპირველად უპირატესობა ბიზანტიის მხარეზე იყო. ბიზანტია განსაკუთრებულ აქტიურ პოლიტიკას დასავლეთ საქართველოს მიმართ იუსტინე I-ის (518-527 წწ.) დროიდან აწარმოებდა. ბიზანტიამ აქ ააგო ციხესიმაგრეები — *პეტრა (ციხისძირი?)*, *სებასტოპოლისი*, *პიტეუნტი*. ამან გამოიწვია ბიზანტიური მონეტების ინტენსიური შემოსვლა სანაპირო ზოლში. აქ სახეზე გვაქვს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიზანტიის იმპერიასთან [იხ. ცუხიშვილი 1977: 14]. ბიზანტიური სპილენძის მონეტები აღმოჩნდა: *სოხუმში*, *ოჩამჩირესთან*, *ნებელდაში (ციხილიუმი?)*, *გულრიფშის* მიდამოებში [იხ. Воронцов 1975]; *ციხისძირში* (ქობულეთის მუნიციპ.); ქუთაისში; *ნოქალაქევეში* (სენაკის მუნიციპ.), *ზუგდიდში*, *ბათუმის მიდამოებში*; *ჩხალთაში*, *ახალ ათონში*, *ჩხორონყუში*, *ჩიბათში* (ლანჩხუთის მუნიციპ.). *ფოთში*, პალიასტომის ტბის ადგილ *ნატეხებში* აღმოჩნდა იმპერატორ იუსტინიანე II-ის (565- 578წწ.) სპილენძის ოცნუმიანი მონეტა; აქვე დადასტურდა თეოდოსიუს I-ის (?) (379-395 წწ.) დაზიანებული მონეტა [იხ. Gamkrelidze 1992: 104; Гамкрелидзе 1992: 42; ცუხიშვილი 1977: 45].

III ს-დან იბერიის სამეფოს სამხრეთით ჩამოყალიბდა ძლიერი და აგრესიული სასანიანთა სამეფო. მათ ენერგიული ბრძოლა დაიწყო მეზობელი, კავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ. ნუმიზმატიკური მასალა იმას მოწმობს, რომ III ს-ის სასანიური ვერცხლის მონეტების ხვედრითი წონა ქართლის სამონეტო ბაზარზე უმნიშვნელოა. ჯერჯერობით, იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია შესაბამისი ხანის 7 მონეტა: მაპურ I-ის (241-272 წწ.) – 4 ც. სამთავროდან, ყარაღაჯიდან (სილნალის მუნიციპ.), თბილისიდან, მუხრანიდან; და ვარაჰრან I-ის – 3 განთიადი – დმანისიდან [იხ. წონელია 1981]. VI ს-ში იბერიის ეკონომიკაში პრევალირებული ადგილი სასანიურ მონეტებს ეკავა [იხ. Джалаганиа 1979: 13]. მაგ. იხილეთ ერწო-თიანეთის ზონაში სასანიური მონეტების აღმოჩენის სია: 1. 1923 წ. სოფ. თოლენჯში (თიანეთის მუნიცი.) იპოვნეს განძი, რომლის გადარჩენილ ნაწილში (71 ც.) შედის: ფეროზი (459-484 წწ.) – 2; ბალაში (484-488 წწ.) – 2; კავადი (488-531 წწ.) – 60; ზამასპი (496-498 წწ.) – 1; ხოსრო I (531-579 წწ.) – 6. განძის ჩამარხვის დრო – VI ს-ის შუა ხანები; 2. სოფ. სიმონიანთხევში (თიანეთის მუნიცი.) 1924 წ. იპოვნეს განძი, გადარჩა მხოლოდ 14 მონეტა. ესენია: ფეროზი – 1; კავადი – 11; ხოსრო I – 2. ეს განძიც VI ს-ის შუა ხანებშია ჩამარხული. 3. სოფ. გულელებში (იგივე მუნიცი.) მოიძიეს ფეროზის დრაქმა. 4. 1968 წ. სოფ. მალრანეთში (იგივე მუნიცი.) აღმოჩნდა შერეული განძი 19 ც. რაოდენობით, აქედან 12 სასანიური დრაქმაა და დანარჩენი ბიზანტიური ჰექსაგრამები (resp. ვერცხლის მონეტები). სასანიური მონეტების სია ასეთია: ხოსრო I – 2; ჰორმიზდ IV (579-590 წწ.) – 7; ხოსრო II (591-628 წწ.) – 3. ბიზანტიური მონეტები მოჭრილია იმპერატორ ჰერაკლეს (610-641 წწ.) და მისი შვილის ჰერაკლე-კონსტანტინეს მიერ 615 წლის შემდეგ. მაგ. მცხეთაში აღმოჩენილია: 1. 41 სასანიურ დრაქმისაგან შემდგარი განძი. ის შეიცავს ბალაშის (484-488 წწ.), კავადის და ხოსრო I-ის მონეტებს. განძის ქრონოლოგიური დიაპაზონია 484-568 წწ. ჩამარხულ უნდა იყოს VI ს-ის ბოლოს; 2. შემთხვევით იპოვეს ფეროზის დრაქმა; 3. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში მცხეთის მიდამოებში აღმოჩნდა კავადის 4 დრაქმა; 4. *მთა-ქართლის* არქეოლოგიური გათხრების დროს ჰორმიზდ IV-ის ვერცხლის მონეტას მიაკვლიეს; 5. იქვე ხოსრო II-ის (591-628 წწ.) დრაქმა აღმოჩნდა [იხ. Джалаганиа 1979: 24].

VI ს-ის დამლევისათვის იბერიაში მონეტები სასანიელთა ირანის სტანდარტის მიხედვით იჭრება (სტეფანოს I-ის ქართულ წარწერიანი მონეტების გარდა). ამ მონეტების ტიპი ტრაფარეტულია და მისი სქემატური აღწერილობა ასეთია: ავ. — ჰორმიზდ IV-ის თავის გამოსახულება მარჯვნივ. ფალაური ლეგენდა, რომელიც მის სახელს გადმოსცემს. გარშემო ერთმაგი რკალი. რვ. — კვარცხლბეკზე მოთავსებული ზოროასტრიზმის ემბლემა — წმინდა ცეცხლი, რომელსაც ორი შეიარაღებული მცველი დარაჯობს; ლეგენდა — მოჭრის წელი და ზარაფხანა. გარშემო ერთმაგი რკალი [იხ. დუნდუა 1976: 97-109, 45-53]. ამ ტრაფარეტულ ტიპს ადგილობრივებმა მეფის მხარს ზემოთ მიუმატეს ქრისტიანობის სიმბოლო — ჯვარი და მინაბაძები დაამზადეს. ამ ტიპის მონეტები 5 ც. ჩვენამდე მოღწეული. ისინი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ს.-პეტერბურგის ერმიტაჟში.

შემდეგ ეტაპზე, მეფის გამოსახულების ზემოთ ვხვდებით ქართულ ასოებს ან მონოგრამებს, რომლებიც ქართველ მმართველთა სახელებს გვაუწყებს: გურგენი, ვახტანგი, ჯუანშერი [იხ. Паравა 2011: 27-30]. გურგენის მონეტები 7ც. ცნობილი: 3ც. ინახება ბერლინის მუზეუმში, 1ც. — ერმიტაჟში, 2ც. — საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და 1ც. — ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების კოლექციაში.

პოლიტიკური ნარმატებების პარალელურად, ქართული მონეტების რევერსიდან საერთოდ განიღვნა მაზდეანიზმის ემბლემა ცეცხლი და მის ადგილას აღიმართა ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარი. ეს ანონიმური მონეტები ცნობილი იყო 7ც. ოთხი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ერმიტაჟში — ორი, ხოლო მეშვიდე აღმოჩენილია ერაყში. ბოლოს სტეფანოს I-მა, ჯერ მონეტის ავერსის კიდეზე თავის სახელის აღმნიშვნელი ოთხი ქართული მთავრული ასო ამოკვეთა, ხოლო შემდეგ კი ფალაური ლეგენდა საერთოდ გააქრო მონეტიდან და მის ნაცვლად, მეფის გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ სრულად მოათავსა თავისი სახელი - სტეფანოს. ამით და მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობით, სტეფანოს I-მა დააგვირგვინა ქართველი ხალხის ბრძოლა სასანელთა ირანის წინააღმდეგ. სტეფანოს I-ის ქართულნარნერიანი დრაქმა ინახება: საქართველოს ეროვნულ მუზეუმში — 4ც., ერმიტაჟში — 2ც., მოსკოვის ისტ. მუზეუმში — 1ც., ბრიტანეთის მუზეუმში — 1ც. ბერლინის მუზეუმში — 4ც.

ტაბ.: I – 1. ე.წ. კოლხური ტეტრადრაქმა; **2.** I ტიპის კოლხური დიდრაქმა; **3.** II ტიპის კოლხური დიდრაქმა. **II – 1.** კოლხური დრაქმა; **2.** I ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა; **3.** II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა; **4.** კოლხური ჰემიტეტარტემორიონი. **III – 1.** ალექსანდრე მაკედონელის სტატერი; **2.** ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ქართული მინაბადი; **3.** ლისიმაქეს სტატერი; **4.** ე.წ. აკის სტატერი; **5-6.** ლისიმაქეს სტატერის ქართული მინაბადი; **7.** დიოსკურიის სპილენძის მონეტა; **8.** ე.წ. სავ(ლაკის) მონეტა; **9.** არისტარქე კოლხის დრაქმა. **IV – 1.** ავგუსტუსის დენარი; **2.** ავგუსტუსის დენარის მინაბადი; **3.** ქართლის ერისმთავრის ვახტანგის დრაქმა; **4.** ქართულ-სასანური დრაქმა; **5-7** სტეფანოს I დრაქმები ქართული ნარნერებით. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



ქირურგიული ინსტრუმენტები და ტუალეტის საყოფაცხოვრებო საგნები

თ. ჭანიშვილი, ნ. მინდაძე, გ. გამყრელიძე

მკურნალობის ქირურგიული მეთოდი კაცობრიობის უძველესი ისტორიიდან არის ცნობილი. ტრეპანირებული თავის ქალები და ქირურგიული ჩარევისათვის საჭირო არტეფაქტები კავკასიის არქეოლოგიურ მასალაშიც გვხვდება. მკურნალობის ეს მეთოდი სხვადასხვა ხერხით სრულდებოდა: გაჭრა, მოკვეთა, გახეხვა, გაბურღვა. ამ მანიპულაციების ჩატარებას კი შესაბამისი ინსტრუმენტები სჭირდებოდა [იხ. Низовский 2002: 23]. საქართველოს არქეოლოგიური მასალიდან კი ცნობილია ის იარაღები, რომლებიც საჭირო იყო ქირურგიული მკურნალობის დროს. თუმცა ამგვარი მკურნალობისთვის განკუთვნილი სპეციალური იარაღი ამ პერიოდში არ ჩანს. მათი გამოყოფა საყოფაცხოვრებო და საბრძოლო ხასიათის არტეფაქტებიდან რთულია. არქეოლოგიური კომპლექსები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დავაფიქსიროთ ის ნივთები, რომლებიც მხოლოდ სამკურნალოდ გამოიყენებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევრები (მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, მ. შენგელია, რ. შენგელია და სხვ.) არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების გამოყენებით, თავიანთ შრომებში, ქირურგიული

მკურნალობის შესახებ საყურადღებო ინფორმაციას გვანვდიან. არქეოლოგიური მასალის პალეოანთროპოლოგიური და სამედიცინო კუთხით კვლევა და მასთან დაკავშირებული სამედიცინო-ქირურგიული იარაღების შესწავლა საქართველოში ექიმისა და მეცნიერის პავლე ფირფილაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მან სამარხეული ოსტეოლოგიური მასალის რენტგენოპალეოპათოლოგიური კვლევის შედეგად, ტრეპანირებული თავის ქალები და ნამკურნალები "...რთული კომბინირებული ხასიათის დაზიანებები... გამოავლინა" [იხ. ფირფილაშვილი 1963: 29]. მანვე, როგორც სპეციალისტ-ექიმმა არქეოლოგიური მასალიდან გამოჰყო ის არტეფაქტები, რომლებიც შესაძლებელი იყო გამოეყენებინათ ძველად ქირურგიული ჩარევის დროს. მაგალითად, მცხეთის *სამთავროს* ნეკროპოლის ძვ.წ. IX სს. №96 და ძვ.წ. VII-VI სს. №35 სამარხების მიცვალებულების თავის ქალას რენტგენოლოგიური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჩატარებელია რთული ქირურგიული ოპერაცია — ტრეპანაცია [ფირფილაშვილი 1958: 4-11]. ტრეპანაციის შემთხვევა გარდა *სამთავროსა*, დადასტურდა აგრეთვე სოფ. *სიონში*, ადგილ *ფარეხებზე* №7 სამარხში დაკრძალული 30 წლის ქალის თავის ქალაზე [იხ. მენაბდე და სხვ. 1981: 67; ფირფილაშვილი 1963: 43] ასევე *ნარეკვავის* სამაროვნის ძვ.წ. IX სს. №14 სამარხში; *შულავერში*; *ბორჯომში* და სხვ. გარდა ამისა, ძვლოვან მასალში გამოვლენილია ტრამეული დაზიანებები და მათზე ჩატარებული მკურნალობის შედეგები [ფირფილაშვილი 1960: 128-129]. ქირურგიული მკურნალობისთვის გამოსადეგი იარაღი მამაკაცების სამარხებში ჩანს.

საქართველოს მთიანეთში ეთნოლოგებს გასული საუკუნის დასაწყისში აღწერილი აქვთ ტრეპანაციის ჩატარების ხალხური ტრადიცია. ამ ოპერაციისათვის მაშინდელი ადგილობრივი მცხოვრებლები თვითნაკეთ ინსტრუმენტებს იყენებდნენ: ბორწკალს (პინცეტის მაგვარი) — იარიდან ჩამსხვრეული ძვლებისა და უცხო ნაწილაკების ამოსაღებად; ხვეწს — თავმოკაუჭებულ რკინის ინსტრუმენტს, დაზიანებული ძვლების კიდების დასაბლაგვებლად; შპატელის მსგავს ხის იარაღს — ხმალიკას, ბუნებრივი ინგრედიენტებიდან დამზადებული მალამოს ჭრილობაში შესაზელად [იხ. მინდაძე 1981: 24-31]. მსგავსი ინსტრუმენტები ბრინჯაო-ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალაშიც შეინიშნება. კერძოდ, ასეთებია: დანა, ნემსი, კაუჭი, პინცეტი და ლანცეტისებური იარაღები. სხვადასხვა სახის ჭრილობის დასამუშავებლად ერთ-ერთ აუცილებელ ქირურგიულ იარაღს — დანა წარმოადგენდა. დანა, არქეოლოგიური მასალის მიხედვით, საომარი თუ ყოფითი დანიშნულების ნივთი იყო. ის ძირითადად გვხვდება მამაკაცის სამარხებში. დანები სხვადასხვა ფორმის და ზომისაა. დიდი ზომის (მაგ. სიგრძე 34 სმ) რკინის დანები ოდნავ მოხრილი ზურგით, ცალპირლესული, ე.წ. მახაირა, ძირითადად, შეიარაღების ატრიბუტი იყო. თუმცა ანტიკური ტექსტების მიხედვით, ხშირად, ქირურგიული სკალპელის მნიშვნელობითაც მოიხსენიება. ასეთი, მახაირების მაგვარი საქართველოს ძვ.წ. IV-III სს. ძეგლებზეც დასტურდება: *იოხვისის* №2, *ახულ-აბას* №4, *ეშერის* და *ტახტიძირის* №8 სამარხებში [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2018: 84-85].

საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილია ე.წ. სამართებლის მსგავსი ბრინჯაოს ნივთები. მათთვის დამახასიათებელია თხელი, ორპირლესული, ენისებური ბასრი პირი, გრძელი და წანვეტებული სახელური. ამგვარი იარაღი აღმოჩნდა წეროვნის სამაროვნის ძვ.წ. XI სს-ით დათარიღებულ №49 სამარხში, სადაც მასთან ერთად მხოლოდ წკირისმაგვარი ნივთი დადასტურდა. ვარაუდობენ, ამ საგნების მფლობელი დალაქ-დასტაქარის ფუნქციას ასრულებდა [იხ. Садрадзе 1991: 32, ტაბ. XXIX,4]. ამგვარივე ნივთის ჩამოსასხმელი ყალიბი მდ. ჩოლოქისპირა ნამოსახლარის IV კულტურულ ფენაში აღმოჩნდა [ჯიბლაძე 2005: 96-97, სურ.5,17,18]. ასეთივე ნივთები ცნობილია ეშერის IV დოლმენიდან [Куфтин 1949, ტაბ. XXXII,5, სურ.65,4], *პოგრეშის* სამარხიდან (სვანეთი), *წნორის* I ყორღანიდან [ჯიბლაძე 2005: 96-97], *თლიას* სამაროვნის სამარხებიდან — 5ც. და მათ სამედიცინო იარაღებად მიიჩნევენ [იხ. Техов 1977: 119, სურ.93]. *დეგუავსკო-დახოვსკის* დოლმენიდან [Марковин 1978: 258-259, სურ.129,5,6] და სხვ. დაახლოებით ამ ფორმის ნივთი, რომელთა გვერდები სწორად გრძელდება და ბოლოები წაკვეთილი აქვს, წააგავს ე.წ. სამედიცინო შპატელებს, ორ ძეგლზე ჩანს: სოფ. *მელაანის* ძვ.წ. VIII-VII დათარიღებულ

საკულტო ადგილად მიჩნეულ შესანიშნავ ნივთთა შორის — 3ც. [ფიცხელაური 1965: 86, ტაბ.XIX,1] და I ს-ის *დედოფლის* გორის №11 ოთახში — 2ც. [Gagoshidze 2008: 153, ტაბ.58, კატ.№47, 48]. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ამ ტიპის ე.წ. სამართებლების თუ ე.წ. შპატელების ერთეული სახით გამოჩენა, მათ სპეციფიკურ დანიშნულებაზე მიგვანიშნებს. რკინის დანის ყველაზე ადრეული ცალები აღმოჩნდა *სამთავროს* სამაროვნის №51, 211 სამარხში [აბრამიშვილი 1957: 140, ტაბ.I, 148-151]. აქვე დადასტურებულია ტრეპანირებული თავის ქალებიც. *ნეროვანის* ნეკროპოლზე №49 სამარხში რკინის 16 სმ სიგრძის დანა აღმოჩნდა, ხოლო აქვე №27 სამარხში მოცვალებულის ტრეპანირებული თავის ქალა დადასტურდა [იხ. Садрадзе 1991: 32, ტაბ.XXIX,4]. ძვ.წ. VII-VI სს-იდან, საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე, ნეკროპოლებში რკინისაგან დამზადებული დანების რაოდენობა საგრძნობლად იზრდება. ვინაიდან დანა ყოფითი ფუნქციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნივთი იყო, სამედიცინო თვალსაზრისით მათ ზუსტ დანიშნულებაზე საუბარი არ არის მარტივი. შესაძარებლად საყურადღებოა ანტიკური ეპოქის სამედიცინო ინსტრუმენტების რამდენიმე კომპლექსი, რომლებიც აღმოჩენილია *პომპეის*, *ბადენის*, *ბინგენის* და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქების არქეოლოგიური ძეგლებიდან [იხ. Финогенова 1967: 147-148]. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული დანები ორი ტიპისაა — სწორი და მოხრილი. ქირურგიული ოპერაციისათვის მომცრო დანებს იყენებდნენ. დანებს სახელურზე მანჭვლებით დამაგრებული ძვლის ან ხის ტარი ჰქონდათ. მოხრილი დანით რთულ ოპერაციებს აკეთებდნენ. ძვლისტარიანი დანები შემორჩენილია: *ბეშთაშენის* ძვ.წ. VI-V სს. №63 სამარხში [მენაბდე, დავლიანიძე 1968: ტაბ.XVI, 563]; *ღრმახევისთავის* ძვ.წ. V-IV სს. №60 სამარხში; *სიონის* ძვ.წ. VII-VI სს. №1 [მენაბდე და სხვ. 1981: 78, ნახ. 25, 5]. ხისტარიანი დანა შემორჩენილია *სიონის* ძვ.წ. VII-VI სს. №7 სამარხში [მენაბდე და სხვ. 1981: 93, ნახ. 34,3], *ნითელი შუქურას* ძვ.წ. VI-V სს. №21 სამარხში [Трапш 1969: 131, ტაბ. VII, 5].

საყურადღებოა სკალპელის ტიპის დანისპირების (სიგრძე 8-12 სმ) აღმოჩენა, რომლებიც პომპეიში ნაპოვნ ქირურგიულ დანას წააგავს [იხ. Финогенова 1967: სურ.1,1]. ამ დანების პირი წვერისაკენ თანდათან ვიწროვდება და წვეტიანია; ზურგი ოდნავ მორკალულია. მსგავსი დანები გავრცელებულია სხვადასხვა პერიოდის ნეკროპოლებზე: *ბეშთაშენის* ძვ.წ. VII-VI სს. №22 და 54 [მენაბდე და სხვ. 1968: 125მ138, ტაბ. XII,400, XV,527]; *სამთავროს* ძვ.წ. VI ს. №1 (1939,) [კალანდაძე 1982: 108, სურ. 600]; *ვარსიმანკარის* ძვ.წ. V-IV სს. №7 [ნითლანაძე 1983: ტაბ. XVIII, 6]; *კამარახევის* ძვ.წ. IV-III სს. №23 [ჯღარკავა 1982: 147, სურ. 995]. აღსანიშნავია, რომ ხშირად ამგვარი დანა, პინცეტთან ერთად აღმოჩნდა *სამთავროს* ძვ.წ. VI II სს-ის №17,31,38 [კალანდაძე 1982: 104,108,110]; *ნარეკვავის* ძვ.წ. VII ს. №32 [დავლიანიძე და სხვ. 1993: V,3]; *ვარსიმანტკარის* ძვ.წ. V-IV სს. №3 [ნითლანაძე 1983: 54, ტაბ. XIX,1] და სხვ. სამარხებში.

ე.წ. ლანცეტისებური 3 ნივთი აღმოჩნდა ქრონოლოგიურად მეტად დაშორებულ ორ სამაროვანზე: ძვ.წ. XV-XIV სს-ის *საფარ-ხარაბას* სამაროვნის №8 სამარხში — 2 ცალი [იხ. ნარიმანიშვილი 2006: 95, ტაბ.XVII,2,3] და ერთი — ძვ.წ. IV-III სს-ის ეცოს სამაროვნის №87 სამარხში [იხ. შატერაშვილი 2005: 64, ტაბ.XXIX,14]. მათ სამედიცინო იარაღად მიიჩნევენ. ფიქრობენ, რომ — “*დანების ტიპებიდან ზოგიერთი..., საყოფაცხოვრებო დანას წააგავს. ზოგი კი მისგან შესამჩნევად გამოირჩევა..., ზოგი ლანცეტს მოგვაგონებს, ზოგი ნამგალს თუ სანამყენე დანას, ზოგიც სამართებელს... სხვადასხვა ტიპის დანები... ბასრია და საექიმო თვალსაზრისითაც მოსახერხებელი*” [იხ. ფირფილაშვილი 1963: 54].

დანა, როგორც ქირურგიული ინსტრუმენტი, მოიხსენიება ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში. მაგალითად, დანას იყენებდნენ თვალის სხვადასხვა სახის დაზიანებებისას. XIII ს-ის ხელნაწერის მიხედვით, ქუთუთოების ერთმანეთზე დაკვრის დროს “*...ყმა დანით ტყავნი ერთმანეთისგან გახსნან*” [იხ. ნიგინი...1936: 10]. მაგ. *ნეროვანში* №49 სამარხში აღმოჩნდა ორპირლესული, ბასრპირიანი სამართებლის ნაირი ნივთი. ასეთივე არტეფაქტები *თლიას* სამაროვანის სამარხებშიც აღმოჩნდა, რომელთაც ქირურგიულ ინსტრუმენტებად მიიჩნევენ. გამორიცხული არ არის, რომ *ნეროვნის* №49 სამარხის ე.წ.

სამართლებელი და სადგისისმაგვარი წკირი სისხლის გამოსაშვებად იხმარებოდა [იხ. Садрадзе 1991: 32; შეადარე — Техов 1977: 119, სურ.93].

ძველ ცივილიზაციებში დალაქ-დასტაქარის არსებობა ეჭვს არ იწვევს. ეს სჩანს ძვ.წ. XVIII ს. ხამურაბის კანონებიდანაც, სადაც აღნიშნულია “... უკეთუ დალაქი მონის პატრონის გარეშე მონას ნიშანს (წვერს) მოპარსავს... ხელი უნდა მოჰკვეთონ.” [ხამურაბის... 1988: 41]. შუა საუკუნეებში დალაქი მცირე ქირურქიულ მანიპულაციებს (კბილის ამოღება, სისხლის გამოშვება) ატარებდა. იოანე ბატონიშვილის ცნობით — “... დალაქების უფროსი. ესენი განასწავლიდნენ შევირდებს კარგად. მისცემდნენ რიგსა სამართებელსა, ნეშტარს და სხვათა სადალაქოსა სახმართა ნივთებთა” [ბატონიშვილი 1957: 58]. დალაქი კბილის ამოღების და სისხლის გამოშვების ხელოვნებას ფლობდა [იხ. Contenau და სხვ. 1938: 33; Carter 2012: 11]. “სადალაქო და სახმართა” ნივთებად იოანე ბატონიშვილი მოიხსენიებს სამართებელსა და ნეშტარს. ნეშტარი (ნესტარი; შაშარი) სისხლძარღვის გასახსნელი რკინის იარაღია. XVI ს-ის სამედიცინო ხელნაწერში ვკითხულობთ: “...თუ ესე სენი (სათულრა — ფილტვის დაავადება) კაცსა წაეკიდების, ასრე სისხლს წაუხდენს და გაუსქელებს რომე, კაცმან შაშარი ჰკრას, აღარ გამოედინოს და რომეცა გამოედინოს ისიცა სქელი და შავი იქნების” [იხ. იადიგარ დაუდი 1985: 345]. ცნობილია, რომ თბილისის დალაქთა ამქარი დალაქებს დოსტაქრობის ატესტატსაც აძლევდა [იხ. მინდაძე 2013: 262].

საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ხშირად გვხვდება ინსტრუმენტები, რომლებიც მხოლოდ ყოფითი მოხმარებისთვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ასეთია მაგალითად ნემსები და მახათები. შესაძლებლად მიიჩნევენ ყოფითი ხასიათის იარაღის აგრეთვე ქირურგიული მიზნით გამოყენებას [იხ. ფირფილაშვილი 1960: 49]. ნემსები და მახათები ორგვარია: თავჩახვეული და თავგაბრტყელებული (ზოგჯერ რომბისებური), თავზე ნახვრეტი. დამზადებულია, ძირითადად, ბრინჯაოსაგან. ზომები: 15-9 სმ. ძვ.წ. XIV ს-დან ჩანს სამთავროს სამაროვნის სამარხებში: №179 (1940), 288 (1947), 10 (1939) და სხვ. [იხ. კალანდაძე 1980: 69, 71, 91; სურ. 419, 252, 930]. თრელის სამაროვანზე კი ძვ.წ. XIII ს-დან დასტურდება [აბრამიშვილი და სხვ. 1978: 143]. ნემსები თუ მახათები იშვიათად გვხვდება სამაროვნებზე. შუასაუკუნეების ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში, გვხვდება ქირურგიული ნემსის გამოყენების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, მათში აღნიშნულია — “თუ გაკვეთილი ერთი მტკაველი იყო ანუ უფრო, ფოლადი ნემსით უნდა შეკეროს აბრეშუმითა”. გახურებული ნემსი გამოიყენებოდა ინფიცირების საწინააღმდეგოდ [იხ. ქანანელი 1940: 208, 390-391]. ჭრილობის გაკერვის პრაქტიკა საქართველოს მოსახლეობის ტრადიციულ ყოფაშიც არის დადასტურებული. მაგალითად, დასტაქარი სვანიძეები ჭრილობას, სათანადო დამუშავების შემდეგ, ნემსით კერავდნენ [იხ. ბურდული 2010: 32]. ნემსს, როგორც სჩანს სხვა მიზნითაც იყენებდნენ — დასტაქარი გამჭოლი ჭრილობის მკურნალობის დროს, ერთად შეკრულ რამდენიმე ძუას ნემსის ყუნწში გაუყრიდა და ძუას “წყლულის წამალს” წაუსვამდა, ნემსს ჭრილობაში გაატარებდა და ამ გზით ჭრილობაში წამლიან ძუას შეიტანდა. ამ სამკურნალო პროცედურას “უსმარი” ეწოდებოდა [იხ. მინდაძე 2013: 79]. სამედიცინო ინსტრუმენტების ერთ-ერთ აუცილებელ ნივთად პინცეტი ითვლება. პინცეტების სამედიცინო დანიშნულება იყო: ჭრილობიდან მცირე ნამსხვრევების ამოღება და ჭრილობის ამოსუფთავება. დანიშნულების მიხედვით პინცეტს სხვადასხვა ზომა და მოღუნული სამუშაო ბოლოები ჰქონდა. პინცეტი გვხვდება როგორც სამარხებში, ასევე ნამოსახლარებზე და განძებში. პირველად, ბრინჯაოს პინცეტი დადასტურდა ბორნილელეს ძვ.წ. XIV ს-ის №85 სამარხში. რკინის პინცეტი კი პირველად სამთავროს ძვ.წ. IX ს-ის №208 სამარხში აღმოჩნდა. ერთადერთი უცხოური პინცეტი ძვ.წ. I -ახ.წ. I სს-ის დედოფლის გორის (ქარელის მუნიციპ.) არქეოლოგიურ ძეგლზე აღმოჩნდა [იხ. Gagoshidze 2008: 153, ტაბ.58, კატ. №49]. ამ პინცეტის მსგავსი დასავლეთ ევროპის არქეოლოგიური ძეგლის ანტიკური ხანის სამედიცინო კომპლექსში აღმოჩნდა [Финогенова 1967: 152, სურ. 4, 33].

საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე პინცეტის ორი ძირითადი ტიპი დასტურდება [იხ. ჭანიშვილი 2016: 68-79]. შუა საუკუნეებში ესენია: დიდი — მარწუხი, პატარა — ჩქიფი. ისინი, ალბათ, იხმარებოდა სხვადასხვა ორგანოზე ოპერაციის წარმოების დროს უცხო

სხეულების ამოსაღებად [იხ. ფირფილაშვილი 1960: 52; ქანანელი 1940: 208]. სამარხები, სადაც პინცეტი აღმოჩნდა გამოირჩევა ნივთების მრავალფეროვნებით. ამასთანავე, თითქმის ყველა სამარხში გვხვდება იარაღი. ამ სამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე. პინცეტიანი და დანებიანი სამარხები, ძირითადად მამაკაცებს ეკუთვნოდა. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ძველად "...დასტაქრის და დალაქის ხელობას ტრადიციულად მამაკაცი ფლობდა" [იხ. მინდაძე 2018: 259].

საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე პინცეტი თითქმის ყველა სამაროვანზე აღმოჩნდა. თუ სამარხთა რაოდენობა სამაროვანზე დიდია, პინცეტის რაოდენობაც იზრდება. ასე მაგალითად, *თლიაში* 200–მდე სამარხიდან 12 პინცეტია, *სამთავროში* 112 სამარხიდან — 9, *ნარეკვავში* — 42 სამარხიდან — 3ც., *ნითელი შუქურის* 152 სამარხიდან — 6ც., კოლხეთის სამაროვნებიდან (*ნიგეზიანი*, *ურეკი*, *ერგეტა I-IV*), სადაც გაითხარა სულ 34 სამარხი — 28 პინცეტია. სამარხები, სადაც პინცეტი აღმოჩნდა, გამოირჩევა ნივთების მრავალრიცხოვნებით. პინცეტები ბრინჯაოს ან რკინისაა. პინცეტების ტიპები:

I. ტიპის პინცეტი ბრინჯაოს ან რკინის თხელი ფირფიტა, ორად მოკეცილი, ბოლოებისკენ მეტ-ნაკლებად გაფართოებული, სამუშაო ძირები შიგნით მოლუნული, სადა ზედაპირიანი. სიგრძე — ბრინჯაოს პინცეტების 15–6 სმ, ხოლო რკინის — 6,5 სმ. ამ ტიპის პინცეტები ძირითადად საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისთვის და ხანგრძლივი დროის განმავლობაში როგორც სამაროვნებზე, ასევე ნამოსახლარებზე გვხვდება. ყველაზე ადრეული კომპლექსი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ბრინჯაოს პინცეტი დაფიქსირდა *ბორნილელეს* №85 სამარხია, რომელიც ძვ.წ. XIV ს. თარიღდება [Гамбашидзе 1991: 31, სურ. 68, 3]. პინცეტი აღმოჩნდა *სამთავროს* სამაროვნის №240 სამარხში [კალანდაძე 1981: 27]; *ქისტაურის* №13 სამარხში [Пицхелаური 1969: 98, ტაბ. IV]; *ნარეკვავის* №32, 35 სამარხში [აფაქიძე 1999: 81, 91 სურ. 310, 351]; *თრელის* №136 სამარხში [Абрамишвили 1979: 52]; *სამთავროს* ჩრდ. უბნის №168, 327 სამარხში [აბრამიშვილი 1961: 363, ტაბ. VIII, 1, IX]; *ერგეტა IV* №2 სამარხში [პაპუაშვილი 2010: 42, ტაბ. IV]; ე.წ. *გრძელი გუბეების* (ყვარლის მუნიციპ.) №3 სამარხში [მაისურაძე 1993: 65, 77, ტაბ. X, 40]; *ნეროვანის IV*-ის №29 სამარხში [აფაქიძე 1989: 62]; *სამთავროს* №184, 88, 17 [კალანდაძე 1982: 61, 110, 108, 103]; *სათოვლე-ნაბაღრების* №19 [აფაქიძე 1982: 206–208] სამარხში.

პინცეტების რაოდენობა მატულობს ძვ.წ. VIII—VI სს-ის სამაროვნებზე: *ემერის* კრომლესი [Шамна 1974: 24–26], *ურეკის* №3 სამარხი [პაპუაშვილი 2010: 35], *რკინის კალოს* №12 სამარხი [კობაიძე 1978: 26, ტაბ. XXIII], *ოყორას* №14 სამარხი [ჯაფარიძე 1957: 216], *სამთავროს* №310, 186 [სულავა 2011: 176, სურ. 34], *ნარეკვავის* №34 [აფაქიძე 1995: 36, სურ. 231], *ნაცარგორას* (ხამურის მუნიციპ.) №67 [Наридзе 1991: 26, სურ. 51, 32], *ნითელი შუქურას* სამაროვნის №64, 88 სამარხში, ხოლო ერთი რკინის პინცეტი №9 სამარხში [იხ. Трапш 1969: 90, ტაბ. XXV, 15], *მუხურჩის* სამარხები [Гогодзе 1984: სურ. 1, 32], *სოხუმის* მიდამოებში აღმოჩენილი პინცეტი [Воронов 1980: 32, სურ. 5]. რკინის პინცეტები: *ნიგეზიანის* სამაროვანზე 2ც. №12 სამარხში [მიქელაძე 1985: 81, ტაბ. XXXIII, 1, 167], *ერგეტა III* სამარხი ორმო №1, 7ც., *ერგეტა I* სამარხი №6 — 4ც. [პაპუაშვილი 2010: 32, 42, ტაბ. I-IV]; *გორაძირის* (ყვირილის ხეობა) სამაროვანზე 1ც. [გოგაძე 1981: 16, ტაბ. IX, 150], *თლიას* სამაროვანზე №333 სამარხში 1ც. რკინის პინცეტი [Техов 1985: 56, სურ. 211]; *სამთავროს* №17 სამ. [აბრამიშვილი 1957: 125–132]; *ქასრაანთ მინების* (კასპის მუნიციპ.) №18 სამარხში [ბერაძე 1980: 20, ტაბ. XVIII, 3]; *გომარეთის* სამაროვანზე [დავლიანიძე 1983: 167, ტაბ. XIX, 15].

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ვრცელდება გრავირებული პინცეტები. მათი გრაფიკული დეკორი ორი სახისაა: გეომეტრიული და ზომომორფული. უმეტესობა გეომეტრიული სახეებითაა შემკული (ტეხილი და ურთიერთგადამკვეთი ხაზები, წრეები, სპირალური, სამკუთხედები და სხვ.), რომლებიც პინცეტის ორივე ზედაპირზეა განაწილებული. ზომომორფული გრაფიკა პინცეტებზე შედარებით იშვიათია. აქ ჩანს: ირემი, გველი, ბაყაყი, ძაღლი. გრავირებული პინცეტები აღმოჩენილია სამარხებში; სიგრძე — 19–5,2 სმ მერყეობს. ამგვარი პინცეტები აღმოჩნდა: *ნატახტარი* №1 სამ. [Апакидзе 1986: 34–35,

ტაბ. XIII, 7]; *ქისტაურის* №6 სამ. [Пицхелаური 1969: 97-98, ტაბ.V, 6]; *ნარეკვავის* სამ. №14 [აფაქიძე 1999: 46, სურ. 167] და სხვ.

II. ტიპის პინცეტები. ბრინჯაოს ორი თხელი ფირფიტა, ერთმანეთთან შეერთებული ბრინჯაოს რგოლით, ბოლოებისკენ გაფართოებული, სამუშაო ძირები შიგნით მოლუნული. სადაზღვეპირიანი. სიგრძე — 9,5 – 5 სმ მერყეობს. ამ ტიპის ბრინჯაოს პინცეტი: *ყულანურხვა* (აფხაზეთი) სამაროვნის №11 სამ. [Трапш 1962:75, ტაბ. XIX,3]; ე.წ. *ქასრანთ მიწების* (კასპის მუნიციპ.) №13, 24 სამ. 2ც. [ბერაძე 1980: 19,23, ტაბ. XVI,1, XXI,11]; ე.წ. *ყაზბეგის* განძში [წითლანაძე 1976: 81, ტაბ. XXVIII, 5]; ე.წ. რკინის კალოს სამაროვნის №28 სამ. [კობაიძე 1978: 61, ტაბ. XIX, 466]. **III.** ტიპის პინცეტი. ბრინჯაოს ერთი თხელი ფირფიტა, ორად მოკეცილი, ბოლოებისკენ გაფართოებული, გვერდები ზედა ნაწილში გრეხილია. სიგრძე — 12 სმ. ეს პინცეტი აღმოჩნდა *მელაანში* (კახეთი) [ფიცხელაური 1965: 85, ტაბ. XVIII, 6]. **IV.** ტიპის პინცეტი. ბრინჯაოს მოკეცილი ორი თხელი ფირფიტა, შეერთებული და დამაგრებული გრეხილი (ზამბარისებული) ყელით. სიგრძე — 14 სმ. ამ ტიპის პინცეტი, მხოლოდ ერთი ცალი აღმოჩნდა *დღვაბას* სამარხ ორმოში №2 [პაპუაშვილი 2010: 33, ტაბ. II, 39]. **V** ტიპის პინცეტი. ბრინჯაოს ორი თხელი ფირფიტა, რომლის წაგრძელებულ თავს (ზედა ნაწილს) შემოხვეული აქვს წვრილი მავთული. შემორჩენილი სიგრძე — 6,5 სმ. აღმოჩნდა *დედოფლის გორის* (ქარელის მუნიციპ.) №13 ოთახის იატაკზე ილართან ერთად [Gagoshidze და სხვ. 2008:148-149, ტაბ.58, კატალოგი №49]. **I** ტიპის სადაზღვეპირიანი პინცეტები საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩნდება ძვ.წ. XIV ს. და გვხვდება ძვ.წ. III სს-მდე. რკინის პინცეტი პირველად სამთავროს №208 სამარხში დადასტურდა. რკინის პინცეტები იმეორებენ ბრინჯაოს პინცეტების ფორმებს. ძვ.წ. IIIს-ის შემდეგ პინცეტი თითქმის არ გვხვდება საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებლებს გააჩნდათ ქირურგული ინსტრუმენტები, რომლებსაც იყენებდნენ როგორც რთული ოპერაციების (მაგ. თავის ქალას ტრეპანაცია), ისე მცირე ქირურგიული მანიპულაციებისათვის (სისხლის გამოსაშვებად; კბილის ამოსაღებად). სამკურნალო საქმიანობის სქესის მიხედვით დანაწილებას, არქეოლოგიური მასალის გარდა, წერილობითი წყაროები და ეთნოგრაფიული მონაცემებიც ადასტურებს. საქართველოში, ტრადიციულად ქალები ბუნებრივი ინგრედიენტებით დამზადებული წამლებით მკურნალობდნენ. მამაკაცები კი ძირითადად, დასტაქრები იყვნენ. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, სამეგრელოში ქალები აკეთებენ წამლებს როგორც დასალევად, ისე გარეგან დასადებლად და ამისათვის ბლომად ხმარობენ ბალახებს [იხ. ლამბერტი 1981: 91]. ხოლო იოანე ბატონიშვილის ცნობით, “*მკურნალნი უფრორე იყვნენ მდებრთ ნათესავნი და აქიმობდნენ ბალახითა და ხის ნაყოფებითა*” [ბატონიშვილი 1991: 231]. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე გვხვდება ისეთი ყოფითი თუ სამეურნეო დანიშნულების ნივთებიც (მაკრატილი, სტრიგალი, ილარი, კაუჭი და სხვ.), რომლებიც ქირურგიული ჩარევის დროს გამოიყენებოდა.

სავარცხელი, ყველა დროის, ძველი და ახალი სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არტეფაქტია. ის მრავალგვარი დანიშნულების ნივთია: თმის დავარცხნის, ბეწვის და ქსოვილის დამუშავების, კერამიკის გაფორმების და სხვ. სულხან-საბას მიხედვით “*სავარცხელი — თმათ დასავარცხნელი, სავარცხელი ეწოდების ფეიქრის ლაფათანსა ლერ-წმისგან შეწყობილსა, გინა კარის ფიცართა გარდასაბამსა, გინა ერთსა თევზსა ხიმანჯასა...*” [ორბელიანი 1949: 290]. ის იხმარებოდა როგორც ტუალეტის და ჰიგიენის ნივთი, ასევე სამკაულის სახითაც. ხშირად, სოციალურ-ჰიგიენური დანიშნულების ეს არტეფაქტი მოხატულობის და შემკულობის მიხედვით მხატვრული ხელოსნობის ნიმუშს წარმოადგენდა. სავარცხელი ხშირად მოიხსენება მითებში და ზღაპრებში. მათ შორის ქართულ ზღაპრებშიც (მაგ. ნიქარა). გარდა უტილიტარული თუ სამკაულის დანიშნულებისა, სავარცხელს ხალხის წარმოდგენაში საკრალური მნიშვნელობაც ჰქონდა. ჯერ კიდევ, 4000 წლის წინ, სპილოს ძვლის სავარცხლები ცნობილია ეგვიპტიდან, სადაც მათ თმაში, თავსამკაულად იყენებდნენ [Чапид 1956: 104, სურ.26, ტაბ.VIII]; აგრეთვე ძვ.წ. 3000 წლის წინ ურის დედოფალ *შუბადის* თავსამკაულს ოქროს სავარცხელიც ამშვენებს [იხ. Низовский 2002: 85].

სავარცხელს სხვადასხვა მასალისაგან ამზადებდნენ. კერძოდ, ძვლისგან, ხისგან ან ლითონისგან. საქართველოს სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებიდან, ჯერჯერობით, სავარცხლის მხოლოდ 12 ერთეულია ცნობილი; ყველა ეს სავარცხელი მცირე ზომისაა. ამასთანავე, მათ ზედა ნაწილში, ცენტრში, ზონარის გასაყრელი ნახვრეტი აქვთ. რიგი სავარცხლებისა, რომლებსაც ზედა ნაწილი ფიგურული აქვთ თმებისათვის სამკაულად გამოიყენებოდა. აღმოჩენილი 12 სავარცხლიდან 5 — ბრინჯაოსია, 4 — ძვლის და 3 — ხის. ისინი სხვადასხვა პერიოდის ნეკროპოლზე აღმოჩნდა; ორი — ნამოსახლარის ფენაში დადასტურდა. ინვენტარის მიხედვით სავარცხელი ქალის სამარხებში (მაგ.: *სამთავრო, ყულანურხვა*) უფრო ჩანს. ზოგ, ძვ.წ. IV ს-ის მდიდრულ სამარხში ოქროს სავარცხლის შესანიშნავი მხატვრული ნიმუშიც ჩანს. აგრეთვე ცნობილია, ორნამენტიტით შემკული ხის სავარცხელი ძვ.წ. I ს-ის მდიდრული სამარხიდან [იხ. Либеров 1965: 22, ტაბ.33,8,10; Манцевич 1950: 223; Погребова 1961: 173, სურ.26,5]. საქართველოს არქეოლოგიური მასალიდან შემდეგი სავარცხლებია ცნობილი:

1. ძვლის სავარცხელი *სამთავროს* ველის სამშენებლო ფენიდან. ზომები — 7 X 3 სმ; ხელის მტევნის მოყვანილობის; ექვსი კბილანით; სამი ნახვრეტი აქვს. ის გვიანბრინჯაოს ხანისაა და ყველაზე ადრეულია საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან [აფაქიძე და სხვ. 2001: 29, ტაბ. IX, 5]. 2. ამ პერიოდისავეა *ნაღვლის* სამაროვანის №91 სამარხში აღმოჩენილი სხმული ბრინჯაოს სავარცხელი. მას 10-მდე კბილანა აქვს; ზომები — 6,5 X 4,1 სმ [რამიშვილი 1990: 38]. 3. ძვ.წ. XI ს. *კვირაცხოვლის* სამაროვანზე №65 სამარხში აღმოჩნდა ძვლის სავარცხელი. მას 6 კბილანა აქვს; ზომები — 3 X 5 სმ; ზედა შუა ნაწილი წაგრძელებულია. ფიქრობენ, რომ ეს სავარცხელი “საფეიქრო მაქოა” [იხ. Гамбашидзе და სხვ. 1982: 31, ტაბ. XXXVI, 310]. 4. *კავთისხევის საყარაულო სერის* სამაროვანის №9 ორმოსამარხში ძვლის სავარცხელი დადასტურდა. მას სამი კბილანა აქვს შემორჩენილი; ზომები — 3 X 4 სმ [გვეტაძე 1980: 8, ტაბ. IV,3]. 5. *სამთავროს* სამაროვანის ჩრდილოეთ უბანზე გათხრილ ქალის №29 (1938) სამარხში მიცვალებულის სახის წინ ძვლის სავარცხელი აღმოჩნდა. მას 5 კბილანი აქვს შემორჩენილი; ზომები — 3,5 X 1,9 სმ; ზედა ნაწილი ფიგურულია [იხ. კალანდაძე 1981: 45; 1982: 66]. 6. ძვ.წ. VII ს. *ეშერის* კრომლებში ბრინჯაოს სავარცხელი დადასტურდა. სავარცხელს 13 კბილი უნდა ჰქონოდა; ზომები — 8 X 5,5 სმ; ზედა ნაწილი ფიგურულია; შუაში ერთი დიდი და მის თავზე ორი პატარა ნახვრეტია [იხ. Шамба 1974: 44, ტაბ. XXVI, 6]. 7. ძვ.წ. VII ს. *ყულანურხვას* სამაროვანის ქალის №2 სამარხში სხმული ბრინჯაოს სავარცხელი დადასტურდა. მას ექვსი კბილი აქვს; ზომები — 5 X 3,5 სმ; ზედა ნაწილი ფიგურულია და შუაში ნახვრეტი აქვს [Трапш 1970: 105-106, ტაბ. III,3]. 8. *ერგეტის* მეორე სამაროვანის ძვ.წ. VII ს. №4 ორმოსამარხში 596 ნივთს შორის ერთი ხის სავარცხელი აღმოჩნდა. სავარცხლის ზედა ნაწილი ფიგურულია [პაპუაშვილი 1999: 3-9]. 9. ძვ.წ. VII ს. *ნერონდერესის* №4 სამარხში ბრინჯაოს სავარცხელი დადასტურდა. სავარცხელს ხუთი კბილი აქვს; ზომები — 4 X 3,8 სმ; ზედა ნაწილი ფიგურულია და მორკალული, შუაში ნახვრეტით [იხ. Куптин 1941: 52, სურ.50, ტაბ. XXIII]. 10. *სიმავრეს* ნამოსახლარზე ძვ.წ. V ს. ნივთებს შორის აღმოჩნდა ხის სავარცხელი. მას მოგრძო კბილები აქვს; ზომები — 5 X 2 სმ; ზედა ნაწილი შემკულია წრეებით. ეს შემკულობა კოლხური კერამიკისათვის არის დამახასიათებელი [იხ. მიქელაძე 1978: 59, ტაბ. XXXIX]. 11. ძვ.წ. IV-III სს-ის სხალთის (თეთრინყაროს მუნიციპ.) №1 ორმოსამარხში ხის სავარცხელი დადასტურდა. მას შემორჩენილი აქვს ექვსი კბილანი; ზომები — 4,2 X 2,3 სმ; ზედა ნაწილს ორი შვერილი ამკობს [ნიკოლაიშვილი 2013: 433, ტაბ. III, 16]. 12. ახ.წ. VI-VII სს-ს *მუხათგვერდი I*-ის № 15 სამარხში ბრინჯაოს სავარცხელი აღმოჩნდა. მას ექვსი კბილი აქვს; ზომები — 3,6 X 3,3 სმ; ზედა ნაწილი ფიგურულია და ორნახვრეტიანი [ხეცურიანი 1985: 156, სურ. 900].

ეს არტეფაქტი იშვიათად გვხვდება სხვა ქვეყნისა და სხვადასხვა დროის არქეოლოგიურ ძეგლებზე [შეადარ. Хачатрян 1975: 104, სურ. 57; Асланов და სხვ. 1959: ტაბ. I; Уварова 1900 :71, 92, 134, ტაბ. X,9, XV,18, XI,21]. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ყველა სავარცხელი სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა. მათი დამახასიათებელი დეტალია — ზედა ნაწილში არსებული ნახვრეტები. როგორც ჩანს, სავარცხელს ძირითადად

პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა და დაკრძალვის რიტუალში სავარცხლის ჩატანების ტრადიცია არ არსებობდა, რადგან უმთავრესად სამარხებში მხოლოდ საკიდის ან თავსამკაულის სახით გვხვდება.

სარკე, ტუალეტის ჰიგიენური, კოსმეტიკური და ამასთანავე მაგიური დანიშნულების ნივთი, საზოგადოების ყოფითი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არტიფაქტია. სარკის ქრონოლოგიური და გეოგრაფიული გავრცელების არეალი მეტად ფართოა. ყველაზე ადრეული ობსიდიანისგან დამზადებული სარკე ცნობილია ჯერ კიდევ ძვ.წ. VII ათასწლეულის მეორე ნახევრის *ჩათალ-ჰიუკის* სამარხებიდან [იხ. Низовский 2002: 60]. სარკე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მასალისგან: მარმარილო, ბრინჯაო, ოქროსა და ვერცხლისაგან მზადდებოდა, რომლებიც მთელ ძველ სამყაროში ვრცელდებოდა — მესოპოტამია, ეგვიპტე, ინდოეთი, საბერძნეთი [იხ. Lemer 1994: 2]. სარკე, სხვადასხვა პერიოდის, საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზეა დაფიქსირებული: *ფიჭვნარი*, *ვანი*, *დაბლაგომი*, *ბიჭვინთა*, *ემერი*, *ახალგორი*, *ურბნისი*, *თრელი*, *კავთისხევი*, *რუსთავი*, *მცხეთა* და მისი მიდამოები. ჯერჯერობით, სულ 50-მდე სარკეა აღმოჩენილი. ეს სარკეები ძირითადად სამარხებიდან მომდინარეობენ, რომლებიც გამოირჩევიან მდიდრული ინვენტარით — ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, მინის ჭურჭელი, მძივები, სანელსაცხებლე, ზოგჯერ მონეტებიც და სხვ. ერთგვაროვანი ინვენტარის მიხედვით, თითქმის ყველა სარკიანი სამარხი ქალს უნდა ეკუთვნოდეს. არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი სარკეების ძირითად მასალას ბრინჯაო წარმოადგენს. სამარხებში სარკე სხვადასხვა ადგილას დაფიქსირდა. მაგალითად, *ფიჭვნარის* ძვ.წ. V ს-ის ბერძნულ ნეკროპოლისზე სარკე მიცვალებულს თავთან ედო [კახიძე 2007: 164-165]. *დაბლაგომის* ძვ.წ. III ს. სამარხის მიხედვით კი სარკე მიცვალებულს ფეხებთან იდო [თოლორდავა 1976: 74]. *არმაზისხევის* ახ.წ. II ს-ის პირველ სამარხში სარკე მიცვალებულის თავის უკან ედო [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955: 35; აფაქიძე და სხვ. 1996: 12]. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი სარკეების მორფოლოგია მარტივია. ბრინჯაოსგან ან ვერცხლისგან დამზადებული წრიული დისკო, რომლის ერთი მხარე გაპრიალებულია, ხოლო მეორე მხარე შუა ნაწილში ოდნავ ამოზურცული; სარკეების უმეტესობა დაზიანებულია. სარკის ორი ტიპი გამოიყოფა — სახელურიანი და სახელურის გარეშე:

I. ტიპის სახელურიანი სარკეები. სარკე კალიანი ბრინჯაოსი; თხელი, წრიული, დისკოსებური; კიდეები შესქელებული; კიდეზე შერჩენილი აქვთ ხის ტარის დასამაგრებელი წყვილი მანჭვალი; ზომები — დმ. 10-17 სმ მერყეობს. ამგვარი 5ც. სარკე აღმოჩნდა ძვ.წ. V ს. *ფიჭვნარის* ნეკროპოლის №19, 20, 23, 96, 100 სამარხებში. აქედან სამი სარკე ორნამენტირებულია. ყველა ეს სარკე ათენშია დამზადებული [იხ. კახიძე 2007: 164]. სარკე ბრინჯაოსი, წრიული; მოკლე 5,5 სმ სიგრძის სახელურით; დმ. 12,4 სმ; ძვ.წ. IV-III სს ე.წ. *ახალგორის* განძიდან. ვერცხლის სარკე, ჩამოსხმული, ნახევრადწრიული ფორმის; ზედაპირი გრავირებულია სარტყლებით; დმ. 12,8 სმ აღმოჩნდა *ბიჭვინთის* ახ.წ. III ს. №03-5 სამარხში. სარკე რომაული ნაწარმია [იხ. კილურაძე და სხვ. 2001: 76-78]. სარკე ბრინჯაოსი, წრიული, დისკოსებური; ზედაპირზე, კიდეებთან შვიდ-შვიდი, ხოლო ცენტრში ორი ამოღარული კონცენტრული ხაზით აქვს; დმ. 18,6 სმ. ის აღმოჩნდა მცხეთაში, *სვეტიცხოველთან*, ახ.წ. III ს-ით დათარიღებულ მდიდრულ №25 სამარხში [აფაქიძე და სხვ. 1989: 43, სურ.203]. ბრინჯაოს სარკის ფრაგმენტები, ვერცხლის სახელურის ნატეხებით, აღმოჩნდა *ბაიათხევის* სამაროვნის III-IV სს-ით დათარიღებულ №18 სამარხში [ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995ა: 116]. ბრინჯაოს წრიული სარკე (დმ. 9 სმ), კიდეზე შვერილით ხის სახელურის ჩასასმელად, აღმოჩნდა *ურბნისის* სამაროვნის IV ს-ის №15 სარკოფაგში [იხ. ჭილაშვილი 1964: 70, ტაბ. XXIV, 2; საგინაშვილი 1970: 12, 51, 60].

II. ტიპის სარკე სახელურის გარეშე. სარკე სახელურის გარეშე საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებიდან აღმოჩნდა ძვ.წ. III ს-ის ორ სამაროვანზე: *ვანის* №15 და *დაბლაგომის* მდიდრულ სამარხებში. ახ.წ.-დან ამ ტიპის სარკეების რაოდენობა იზრდება და მისის ქრონოლოგიური გავრცელება IV ს-მდე გრძელდება. უსახელურო სარკეები

ძირითადად ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. სახელურიან სარკეებთან შედარებით, ეს სარკეები მცირე ზომისაა: 4-დან 10-14 სმ-მდე.

მაგ.: ბრინჯაოს სარკე, წრიული; ზედაპირი გაპრიალებულია; კიდეები აკეცილი აქვს; შესაძლოა, ხეზე ყოფილიყო დაკრული; დმ. 14,5 სმ. ის აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. III ს. №15 სამარხში [თოლორდავა 1986: 85, სურ. 65,2,3]. ბრინჯაოს სარკე, წრიული; ზედა მხარე გაპრიალებულია და შემკულია რელიეფური წრეხაზებით. მეორე მხარეს ემჩნევა ხის ჩარჩოს ნაშთები; დმ. 19 სმ. აღმოჩნდა ძვ.წ. III ს-ის დაბლაგომის მდიდრულ სამარხში [თოლორდავა 1976: 134]. სარკე ბრინჯაოსი, წრიული; დმ. 4,5 სმ. აღმოჩნდა ე.წ. *საყარაულო სერის* (სოფ. *კავთისხევი*) ახ.წ. II-ის №9 ქვევრსამარხში [იხ. ჯინჯიხაშვილი 1980: 48, ტაბ. XV, 3]. ბრინჯაოს სარკეები წრიული, ზურგის მხარეს ოდნავ ამოზურცული; აღმოჩნდა ურბნისის სამაროვნის ახ.წ. I-II სს-ებით დათარიღებულ №205, 218 სამარხებში [იხ. ქორიძე 1965; საგინაშვილი 1970: 74; ჯავახიშვილი 1972: 44, 83]. სარკეები აღმოჩნდა აგრეთვე ურბნისის სამაროვნის XXV, XVI უბნის სამარხებში. III ს-ის ვერცხლის სარკე აღმოჩნდა არმაზციხის მდიდრულ სარკოფაგში [აფაქიძე გ. 1973: 59-65]. I-III სს ეკუთვნის *თრელის* (დიღომი) ბრინჯაოს სარკიანი №2 ორმოსამარხი; დმ. 4 სმ [ნიკოლაიშვილი 1978: 91-103] და *მოგვთაკარის* №6 კრამიტსამარხი; სარკის დმ. 8,8 სმ [სიხარულიძე და სხვ. 1985: 109-131, სურ. 687]. არმაზისხევის II ს-ის მდიდრულ პირველ სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის, წრიული სარკე (დმ. 4,2 სმ) მნიშვნელოვანი დეტალით. კერძოდ, სარკეს ერთმანეთის პირისპირ ორ ადგილას აქვს მცირე გამონაშვები, რომელიც ამოჭრილ ორ ბუდეშია ჩასმული. ეს კი ხელს შეუწყობდა სარკის თავისუფალ ტრიალს და მისი ორივე ზედაპირით სარგებლობას [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955: 35, ტაბ. XI,3, X,6]. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



საკინძები

ვ. ჩიხლაძე

საკინძი — ქინძისთავი, ტანსაცმლის შესაკრავი სამკაულია, ზოგჯერ რიტუალური დანიშნულების მქონე. მათ ამზადებდნენ ძვლისა და სხვადასხვა ლითონისაგან. საკინძს ღერო და სხვადასხვა ფორმის თავი აქვს. ქართულ ენაში დასტურდება კომპოზიტი ქინძისთავი — მნიშვნელობით ლითონის პატარა წვრილი ღერო, თავმრგვალი და წვერწვეტი, ხმარობენ რისიმე მისამაგრებლად [იხ. ჭოხონელიძე 2004: 71-72]. უძველესი საკინძები ტანსაცმლის შესაკრავად იყო განკუთვნილი. ადრეულ შუა საუკუნეებში კი მანდილოსანთა თმის და თავსაბურავის სამაგრ სამკაულად იქცა. საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურ მონაპოვარში უძველესი საკინძი ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან ჩნდება და იქიდან მოყოლებული დღემდე ეს სამკაული სხვადასხვა ფორმით უწყვეტად ფუნქციონირებს. ცნობილია მანდილოსანთა თავსაბურავის დასამაგრებელი წვრილღეროიანი საკინძები [იხ. გოგაძე 1982: 673].

ადრებრინჯაოს ხანის საკინძები ხასიათდებიან დიდი ზომებით. შემდგომ პერიოდში ზომები მცირდება. იხვენება და იცვლება თავის ფორმები. საკინძები მეტად დამახასიათებელია ადრეანტიკური ხანისათვის. მათ გარდა სამკაულისა პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა და ტანსაცმლის შესაკრავ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ამავე ხანაში ჩნდება საკინძები, რომელთა თითქმის აუცილებელი კომპონენტია ბრინჯაოსივე ძეწკვები. ასეთი საკინძები უხეშ ქსოვილთან ან ტყავთან უნდა იყოს დაკავშირებული. მოცემული პერიოდის საკინძებში გაფორმების მიხედვით რამდენიმე ტიპის ჯგუფი გამოიყოფა:

I — წარმოდგენილია ბრინჯაოს ცილინდრული — დაღარულთავიანი საკინძებით, რომლებიც ყელთან გაბრტყელებულია და გახვრეტილი, ღერო განივკვეთში მრგვალი — წვეროსაკენ თანაბრად შევიწროებული აქვს. სიგრძე — 9,6–10,5 სმ-მდე; მსგავსი საკინძები გვხვდება *მცხეთა-კამარახევში* [აფაქიძე და სხვ. 1978: სურ.485, 486], *კავთისხევში*, ადგილ *დაჭრილების* სამაროვანზე [ნაკაიძე 1980: ტაბ. XXXVIII-7], *ვარსიმაანთკარის* სამაროვანზე [მუხიგულაშვილი 1983: 13]. თარიღდებიან ძვ.წ. VI-IV სს.

II — ბრინჯაოს პრიზმისებრი ან ოდნავ დაბრტყელებული ოთხნახნაგათავიანი საკინძები. საკინძის თავები და ზოგჯერ ყელის არე შემკულია ჭედული გეომეტრიული ორნამენტით. მათი ზომებია: სიგრძე — 8–10 სმ; ღეროს დმ. — 0,3 სმ. მსგავსი საკინძები დადასტურებულია: ადგილ *ქასრაანთ* მინების VI-IV სს. სამაროვანზე [ბერაძე 1980: ტაბ. XII,4,6; ტაბ. XX,16], *კამარახევის* ძვ.წ. IV-III სს. სამარხებში [ჯღარკავა 1982: სურ. 980]; *ბეშთაშენი*, *მანგლისი*, *კიკეთი*, *ახალი სოფელი* [იხ. დავლიანიძე ც. 1983: ტაბ.XI,1-14]; *პაპიგორასა* და *შავსაყდარას* სამაროვნებზე [მარგოშვილი და სხვ. 2004: 76–77, ტაბ. ჩჩ1,1-4]; *ღრმახევისთავის* სამაროვნებზე [აბრამიშვილი 1980; სურ.393], *ზემო გოსტიბეში* [ჩუბინიშვილი 1950: 22–23].

III — ტიპის საკინძს ახასიათებს მომრგვალებული, სოკოსებური თავი, დაბრტყელებული და გახვრეტილი. ზომები: სიგრძე — 9 სმ, ღეროს დმ — 0,4 სმ. მსგავსი საკინძები დადასტურებულია *ქასრაანთ მინების* სამაროვანზე [ბერაძე 1980: ტაბ. XXIII,4,5], *ვარსიმაანთკარის* სამაროვანზე ძვ.წ. V ს. ბოლო -IV ს. პირველი ნახევრით თარიღდება [მუხიგულაშვილი 1983: 15].

IV — ტიპის საკინძებში ერთიანდება პირამიდისებურ, დაღარულთავიანი საკინძები, რომელთა ღერო ყელის არეში ოდნავ გაფართოებულია და გახვრეტილი. ზომები: სიგრძე — 6,6–8,5 სმ. მსგავსი საკინძები დადასტურებულია *ბეშთაშენის*, *მანგლისის*, *ახალსოფლისა* და *კიკეთის* [დავლიანიძე 1983, ტაბ.XI,5]; *ვარსიმაანთკარის* [მუხიგულაშვილი 1983: ტაბ.II, სურ.358] სამაროვნებზე. ამ ტიპის საკინძები ძვ.წ. V-III სს. კომპლექსებშია დადასტურებული.

V — ტიპი წარმოდგენილია რკინის ბრტყელთავა საკინძებით, რომლებიც თავს ქვემოთ გახვრეტილია. ისინი ყველგან ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. აღმოჩენილია *ვარსიმაანთკარის* სამაროვანზე [მუხიგულაშვილი 1983, ტაბ.II, სურ. 96,258], თრიალეთში [დავლიანიძე ც. 1983, ტაბ. XI, 8].

VI — ერთიანდება რკინისა და ბრინჯაოს თავხვია საკინძები, რომლებიც უხვადაა დადასტურებული საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე — თრიალეთში [დავლიანიძე 1983: ტაბ. XI, 24], *პალურში* [ოქროპირიძე და სხვ. 1974; ტაბ.XIV], *ასურეთში* [კვიციანიძე 1975; ტაბ.XIV, 8-9, XX, 2-3]. ის იმეორებს ბრინჯაოს თავხვია საკინძების ფორმებს, რომელიც დამახასიათებელია გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპისათვის [ოქროპირიძე 1951]. თავხვია საკინძები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფილა ხმარებაში. ისინი გვხვდება ძვ.წ. VIII-VI სს. ძეგლებზე, მატულობს მათი რიცხვი ელინისტური ხანის მასალებს შორის [მათიაშვილი 2013: ტაბ. VII,1003] და გვხვდება გვიანანტიკურ ხანაშიც *ყოლოთოსა* [სინაურიძე 1967: 118–119] და *ჟინვალის* [ჩიხლაძე 2005; ტაბ. I-4] სამაროვნებზე, აგრეთვე *მძივიანამამულეებისა* [მუხიგულაშვილი 1982] და *ნეძიხის* [რობაქიძე 1986] ადრეული შუასაუკუნეების სამარხებში.

ახ.წ. I-IV სს-ში საკინძები ტიპოლოგიური მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. იხ. ძირითადი ტიპების აღწერილობა: I — საკინძი ბრინჯაოსი, ბურთულათავიანი, მოთვალული ორი ნახევარსფეროსაგან შემდგარი მსხვილი ფუყე ბურთულა; თავი დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან, რომლის ზედაპირი ე.წ. წინვოვანი ორნამენტითაა შემკული. ბურთულას შიდა სიცარიელე შევსებულია კაოლინური თიხით. საკინძის ღერო სადაა, მას ყელთან შემსხვილებული, ოთხკუთხა ფუძე აქვს. სიგრძე — 12,2 სმ, თავის დმ — 4,6 სმ [იხ. ჩიხლაძე 2005, ტაბ. I-1].

II — საკინძი ბრინჯაოსი, მასიური, მთლიანადსმული, ღეროგახვრეტილი. სიგრძე — 12–15 სმ. აღმოჩნდა სამი ცალი ჟინვალის II-III სს ორმოსამარხებში [იხ. ჩიხლაძე 2005, ტაბ.

I]. ანალოგიური ღეროგახვრეტილი ბრინჯაოს საკინძები აღმოჩენილია ადგილ *მძივიანა მამულში* III-IV სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში [მუხიგულაშვილი 1982: 5, ტაბ. III].

III— საკინძი თავხვია, ბრინჯაოსი და რკინისა, მთლიანადსხმული. მსგავსი საკინძები ჟინვალის სამაროვანზე რვა ცალი აღმოჩნდა III-IV სს-ით დათარიღებულ ორმოსამარხებში. ექვსი ცალი ბრინჯაოსია და ორი რკინის. ანალოგიური რკინის თავხვია საკინძები 5ც. აღმოჩენილია „*მძივიანამამულში*“ III-IV სს. კომპლექსში [მუხიგულაშვილი 1982: 7, ტაბ. III], ხოლო ნეძიხის სამაროვანზე ბრინჯაოსა და რკინისა — 20 ც., III-V სს-ით დათარიღებულ სამარხებში [რობაქიძე 1986: 7]. *ჟინვალის, მძივიანთამამულის* და *ნეძიხის* სამაროვნებზე მოპოვებული საკინძები ტანისამოსის შესაკრავად იყო განკუთვნილი. თუ *ჟინვალის* სამაროვანზე თავხვია საკინძები III სს-ის ბოლოსა და IV სს-ის დასაწყისში გვხვდება, *მძივიანთამამულში* III-IV სს, ხოლო *ნეძიხის* სამაროვანზე III-V სს-ით დათარიღებულ კომპლექსებშია. IV. კვირისტავისებრი საკინძისთავეები. I-IVსს-ის სამარხულ კომპლექსებში გვხვდება. კვირისტავისებრი დიდი ზომის მძივები სხვადასხვა ფერის მინისა, აქატისა, ქალცედონისა, გიშრის და შავი ფერის ქვისა. მათი უმრავლესობა მძივსაკიდებადაა მიჩნეული. ისინი მძივებთან ერთად ყელისა და თავის არეში იქნა დადასტურებული. *ჟინვალის* სამაროვანზე აღმოჩნდა IV ს. ექვს სამარხში (№ 291, 552, 160, 196, 189).

ახ.6. IV-VII სს-ის საკინძები. IV სს-ის დასაწყისიდან საკინძების ახალი რთული სახეობები ვრცელდება, რომლებიც ქსოვილის შეცვლასთან, ასევე ქალის ახალი თავსამკაულის და თმის ახალ ვარცხნილობასთან არის დაკავშირებული. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ახალი რელიგიის შემოსვლას უნდა ჰქონოდა. ქრისტიანობამ მოსახლეობის ყოფა შეცვალა. ამის გარკვეული დადასტურებაა ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებზე მრავლად მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტები — საკინძები. IV-VII სს-ის სამაროვნებზე აღმოჩენილი საკინძები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. ისინი ორ ჯგუფად იყოფა: ერთი მასალისაგან დამზადებული და მძივით თავშემკული:

1. მთლიანადსხმული ბრინჯაოს საკინძები, რომელთაც თავი ღეროსთან ოდნავ შემსხვილებული აქვთ. საკინძისთავი კი ფორმით ე.წ. მსხლისებრი, ნიფლის კვირისებრი ან ნაძვის გირჩისებრია. მათი სიგრძე — 3–7 სმ. ასეთი საკინძები დადასტურებულია *ჟინვალის* სამაროვანზე; მცხეთაში — *სამთავროს* სამაროვანზე; *მცხეთისგორაზე*; *მუხათგვერდში*; *ერწო-თიანეთში*; *თხოთისმთის* სამაროვანზე; ძეგლების IV-V სს. კომპლექსებში. 2. ბურთულათავიანი მთლიანადსხმული საკინძები ბრინჯაოსი და რკინისა. მათი სიგრძე 6–13 სმ. ისინი აღმოჩენილია IV-VI სს. დათარიღებულ ორმოსამარხებში, ქვის სამარხებში კატაკომბურ სამარხში. ორმოსამარხებში აღმოჩენილი საკინძები როგორც ბრინჯაოსი, ასევე რკინისა ტანისამოსის შესაკრავად იყო განკუთვნილი. ბურთულათავიანი საკინძები აღმოჩენილია — *ჟინვალის, ერწო-თიანეთი, იაღსარის, არმაზისხევის, ტუიაქოჩორას, ურბნისის, სოფ. მაგრანეთის, საცხვრეგორის, ვაშლაჯვარის* სამაროვანზე. 3. ლურსმნისებურთავიანი, რკინისა და ბრინჯაოს მთლიანადსხმული საკინძები აღმოჩენილია IV-Vსს-ის კომპლექსებში. ისინი აღმოჩენილია — *ჟინვალის, ტუიაქოჩორას, თხოთის მთის, ვაშლაჯვარის, არაგვისპირის, მუხათგვერდის* სამაროვანზე.

4. სოკოსებურთავიანი მთლიანადსხმული საკინძები, ყველა ბრინჯაოსია. სიგრძე 5–9 სმ. აღმოჩენილია VI-VII სს-ის კომპლექსებში: *ჟინვალის* [ჩიხლაძე 2005: 197], *თელოვანის* [ნიკოლაიშვილი 1978: 90–104], *სამთავროს* [ტყეშელაშვილი 1957: 149–162] სამაროვანზე.

5. მრგვალი, მთლიანადნაჭედი, რკინის, ჭვირულთავიანი საკინძები. საკინძისთავი ოთხ ნაწილად არის დატიხრული, რომელიც ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებას ჰქმნის. ერთერთ მათგანში ჯვრის მკლავების ბოლოში მცირე ზომის მარგალიტია ჩასმული. ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია *სამთავროში* IV-V სს-ის კომპლექსებში [უგრელიძე 1967: ტაბ. I], *ტუიაქოჩორას* სამაროვანზე IV სს-ის კომპლექსში [ნიკოლაიშვილი 1978: სურ.628], *ჟინვალის* სამაროვანზე ქვის ფილებით გადახურულ №469 ორმოსამარხში [ჩიხლაძე 2005: ტაბ. VI, 3, 4].

6. დისკოსებური ბრტყელთავიანი ბრინჯაოს საკინძები აღმოჩნდა IV-V სს-ის სამარხებში; სიგრძე — 7–11 სმ. *ჟინვალის* სამაროვანზე ოთხი ცალი დადასტურდა ორ

სამარხში. №80 სამარხში ორი ცალი საკინძი — შუბლსაკინძი შუბლის არეში აღმოჩნდა. აღნიშნული შუბლსაკინძები მთლიანად სხმულია, დაბრტყელებული დისკოსებური თავით. ერთერთ მათგანზე შემორჩენილია ერთ მხარეს დარჩილული ბრინჯაოს რგოლი, რომელიც ოთხ თანაბარ ნაწილად არის დატვირთული ბრინჯაოსივე ღერაკებით. ტიხარებს შორის ჩასმულია ჯვრისებური მინანქარი. ეს სამარხი IV ს. არის [ჩიხლაძე 2005: 197, ტაბ. I, 5, 6]. ანალოგიური საკინძები დადასტურებულია სოფ. მაგრანეთში ადგილ საცხვრეგორის სამაროვანზე IV-V სს-ის სამარხში [ჯორბენაძე 1982: სურ. 3, 220, 221].

7. საკინძი ბრინჯაოსი, მტრედის გამოსახულებიანი თავით; სიგრძე — 11,5 სმ. ჟინვალის სამაროვანზე V-VI სს-ის სამარხში ორი ცალი აღმოჩნდა. ამ საკინძების თარიღი ამავე სამარხში აღმოჩენილი დრაქმით (პეროზის 459–484 წწ.) განისაზღვრა. ანალოგიური საკინძები მტრედის გამოსახულებით აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე VI-VII სს-ის სამარხებში [იხ. აფხაზავა 1988: ტაბ. VI, 19, XXXI, 20, 21; ტაბ. XXXVI, 5].

8. გრდემლისებურთავიანი მთლიანადსხმული საკინძები, ბრინჯაოსი. სიგრძე — 12 სმ. დადასტურებულია V-VI სს-ის სამაროვანზე [იხ. ჩიხლაძე 2005: ტაბ. III, 144, 147]. ანალოგიური საკინძები აღმოჩნდა ვაშლიჯვარში VI ს-ის სამარხში [ნიკოლაიშვილი 1978: ტაბ. XVI, 7].

9. საკინძები ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული ვიოლინოსებრი ბრტყელი თავით. ერთი ცალი აღმოჩნდა ჟინვალის სამაროვანზე VI ს-ის კომპლექსში [ჩიხლაძე 2005: 197, ტაბ. I, 24]. ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია თელოვანში [ნიკოლაიშვილი 1978: ტაბ. XVII, 1], სამთავროს №810 და 395 VI-VII სს-ის სამარხებში. 10. საკინძი ბრინჯაოსი, მთლიანად სხმული, რგოლიანი თავით. თავს ქვემოთ ღეროზე ორ-ორი რელიეფური სარტყელი შემოსდევს. სიგრძე — 11–12 სმ. აღმოჩნდა 2ც. ჟინვალის სამაროვანზე №138 სამარხში [ჩიხლაძე 2005: 197: ტაბ. II, 173–175] და ქვემო ალევის № 8 სამარხში [აფხაზავა 1988: ტაბ. XXXI, 14–15]. თარიღი VI-VII სს.

11. საკინძი ბრინჯაოსი გულისებრი ფორმის თავით. თავს ქვემოთ ორი რელიეფური სარტყელი შემოსდევს. მათი სიგრძე — 15,5 სმ-ია. ანალოგიური საკინძები დადასტურდა ჟინვალის სამაროვანზე [ჩიხლაძე 2005: ტაბ. I, 17] და სამთავროს სამაროვანზე [აფხაზავა 1988: ტაბ. XXXIX, 19] VI-VII სს-ის არქეოლოგიურ კომპლექსებში.

12. საკინძი ბრინჯაოსი, რომლის თავი გამოსახავს ხელის მტევანს. თითები ოდნავ მოხრილ მდგომარეობაშია გამოსახული. საკინძს თავს ქვემოთ ორი რელიეფური სარტყელი შემოსდევს. სიგრძე — 6–16 სმ-ია. აღმოჩნდა ჟინვალის სამაროვანზე IV ს-ის ქვის ფილებით გადახურულ №276 ორმოსამარხში და Vს-ის №138 სამარხში.

13. საკინძი ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული, ოთხკუთხა დაფანჯრული თავით, თავზე ბრონეულის ნაყოფისებრი გვირგვინით. სიგრძე 11–15 სმ. ასეთი საკინძები აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე [ჩიხლაძე 2005: 197, ტაბ. II, 174, ტაბ. III, 42, 143], ქვემო ალევში [აფხაზავა 1988: ტაბ. I, 22], ფიტავში [კალანდაძე ზ. 1982, ტაბ. I, 5], ჩინთში, ბანთარეულის სამაროვანზე [ლომიძე 1998 გვ. 49–58], ნაქულბაქებში ქოშიგორის სამაროვანზე [აბრამიშვილი 1980: 29–30] და სტირფაზში [Глаголеви 1977: 14]; თარიღდება — VI-VII სს.

14. საკინძები ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული, ე.წ. სამრეკლოსებრი თავით. მათი სიგრძე 16–17 სმ. ასეთი საკინძები 10ც. აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე [ჩიხლაძე 2005: ტაბ. I, 19, 20], ქვემო ალევში [აფხაზავა 1988: ტაბ. I, 1, 2], სამთავროში [უგრელიძე 1967: ტაბ. II], ტუიაქოჩორას სამაროვანზე [ნიკოლაიშვილი 1978: სურ. 635–636], ქუშანანთგორაზე [ჯორბენაძე 1982: სურ. 16, 1, 2], მარტაზისხევში [უგრელიძე 1956: 80], ფიტავში [კალანდაძე ზ. 1982: 118]. თარიღდება — V-VII სს.

15. ბრინჯაოს და რკინის მოხრილთავიანი საკინძები: I. დიდი ზომის თავმოხრილი საკინძები აღმოჩნდა VI-VIII სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში. მათი სიგრძე 12 სმ-ია. ისინი აღმოჩნდა სამთავროს სამაროვანზე [აფხაზავა 1979: ტაბ. XXVII, 32, XXXI, 33], სოფ. მაგრანეთში, ადგილ საცხვრეგორის სამაროვანზე [ჯორბენაძე 1982: 72, სურ. 11–212], ქვემო ალევში [აფხაზავა 1988: ტაბ. XXVI, 8]. II. მცირე ზომის თავმოხრილი საკინძები აღმოჩნდა ჟინვალის სამაროვანზე, კატაკომბურ სამარხებში №265 და №440 [ჩიხლაძე 2005: ტაბ.

I,21,22, IV,255,257,262]. ისინი დედაკაცთა თმის ვარცხნილობისათვის (თმის სარჭი) უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

16. ე.წ. ქნარისებურთავიანი საკინძები მთლიანადსხმული, ბრინჯაოსი; სიგრძე 9–10 სმ; 2 ც. აღმოჩნდა ქვემო ალევის №35 სამარხში, რომელიც VI-VII სს-ით თარიღდება [აფხაზავა 1988: ტაბ.XVIII, 14,15].

მთლიანადსხმული, ერთი მასალისაგან დამზადებული საკინძები გამოიყენებოდა როგორც ტანსაცმლის შესაკრავად, ისე თავსამკაულისა და თმის ვარცხნილობის დასამაგრებლად. მათი უმეტესი ნაწილი დედაკაცების თავის ქალის არეში იქნა დადასტურებული.

ძვლის საკინძები. ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნებში გვხვდება ძვლისაგან დამზადებული საკინძები მცირე რაოდენობით. ისინი რამდენიმე ტიპისაა: I. ძვლის გრძელი ბრტყელთავიანი, განივკვეთში მრგვალფეროიანი საკინძები, რომელთაც მოგრძო ოთხკუთხა ბრტყელი თავი აქვთ. ისინი შემკულია ორმხრივ წრენერტილებით. აღმოჩნდა: ქვემო ალევის №40 სამარხში [აფხაზავა 1988: 64, ტაბ. XXXI,24,25]. II. საკინძი რგოლისებრი თავით და ყელზე ორი ნიბოთი. აღმოჩნდა ქვემო ალევის №44 სამარხში [აფხაზავა 1988: 65, ტაბ. XXXI, 26,32]. III. საკინძები ორკაპათავიანი, ყელნიბოიანი. აღმოჩნდა ქვემო ალევის №25 სამარხში [აფხაზავა 1988: 65, ტაბ. XXXI,29]. IV. საკინძი ყაყაჩოსპარკისებრი თავით. აღმოჩნდა ქვემო ალევის №15, 25 სამარხებში [აფხაზავა 1988: 65, ტაბ. XXXI,28,30]. ანალოგიური საკინძი აღმოჩენილია ვაშლაჯვარის სამაროვანზე [იხ. ნიკოლაიშვილი 1979, ტაბ. XVI,3]. V. ძვლის საკინძი რგოლისებური თავით, ზედა ნაწილზე ზის ნამგალა მთვარისებური გამოსახულება [აფხაზავა 1988: 65, ტაბ. XXXI,31]. მსგავსი ძვლის საკინძები გვხვდება V-VII სს-ის კომპლექსებში [კერესელიძე 1978:44, ტაბ. III,5]. VI. საკინძი ძვლისა ხელისმტევენის გამოსახულებით; აღმოჩნდა ურბნისში [ჭილაშვილი 1964 გვ. 58 ტაბ.16].

მძივიანი საკინძები. ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნებზე მძივით თავშემკული საკინძები უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე ერთი მასალისაგან დამზადებული. მძივების ფორმის მიხედვითეს საკინძები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: I. ბურთულა მძივით თავშემკული საკინძები. მათი საშუალო ზომა 4 სმ. ისინი გვხვდება როგორც ბრინჯაოსი, ასევე რკინისა IV-VIII სს-ის კომპლექსებში. ამ საკინძებს სხვადასხვა ფერის მინის ბურთულა მძივით აქვთ თავი შემკული; გვხვდება ძონის, სარდიონის, ალმანდინის, მარჯნის, გიშრის, მარგალიტის და ვერცხლის ფუყე მძივით თავშემკული საკინძები. ისინი აღმოჩენილია დედაკაცთა სამარხებში, თავის ქალის არეში, თავსამკაულისა და თმის ვარცხნილობის დასამაგრებლად. ასეთი საკინძები აღმოჩენილია: *ჟინვალში, მცხეთაში, იალსარის სამაროვანზე, ბოლნისში, რაჭის უბნის სამაროვანზე, მაგრანეთში საცხვრეგორის სამაროვანზე, ტუიაქორორას სამაროვანზე, მცხეთიგორაზე, მუხათგვერდში, თელოვანში ვაშლაჯვარში* და სხვ. II. მოგრძო, ცილინდრული მოყვანილობის, სადა მძივით თავშემკული საკინძები; აღმოჩნდა IV-VII სს-ის სამარხებში. მათი საშუალო სიგრძე 7–9 სმ. გვხვდება მინისებური პასტის, ალმანდინის, მარჯნისა და სხვ. [იხ. ჩიხლაძე 2005: ტაბ. III,149].

III. ე.წ. ნუშისგულისებური მძივით თავშემკული V-VI სს საკინძები. მათი სიგრძე 6–9 სმ. აღმოჩენილია: *ჟინვალის, ქვემო ალევის, სამთავროს, ვაშლაჯვარში, ავჭალისკარის, თელოვანის ადგილ ბაჭყალას* და სხვ. სამაროვნებზე. საკინძის თავებად გამოყენებულია მინა, ქარვა, სარდიონი, მარჯანი. V. მსხლისებრი ფორმის მძივით თავშემკული IV-VI სს საკინძები. საშუალო ზომა 4–9 სმ. ისინი აღმოჩენილია *ჟინვალის, თელოვანის, თხოთის* მთის სამაროვნებზე.

VI. საკინძები ბრინჯაოსი და რკინისა, რომელთაც თავი ორად აქვს განტოტვილი და სარდიონის ბურთულა მძივებით არის შემკული. მათი სიგრძე 5–7 სმ-ია. დადასტურებულია IV-VI სს-ით დათარიღებულ სამარხებში. VII. ჯვრის ფორმის თავიანი საკინძები ბრინჯაოსი და რკინისა. *ჟინვალის* სამაროვანზე 5ც. დადასტურდა. მათი საშუალო ზომა 7–9 სმ-ია. თარიღი IV-V სს. აღმოჩნდა ერთ კატაკომბურ სამარხსა და სამ ქვის სამარხში [იხ. ჩიხლაძე 2005: 200]. *ქვემო ალევის* სამაროვანზე 23ც. აღმოჩნდა [იხ. აფხაზავა 1988, ტაბ. IV,12, V,1,2]. VIII. დაწახნაგებული მძივით თავშემკული საკინძები. მძივები გვხვდება ოთხნახნაგა

და მრავალნახნაგა. ამ ტიპის საკინძები ჟინვალის სამაროვანზე 24ც. დადასტურდა [ჩიხლაძე 2005: 200, ტაბ. III, 140,141]. საკინძები გვხვდება როგორც ბრინჯაოსი, ასევე რკინისა. მათი ზომა $\approx 8-11$ სმ. საკინძისთავებად გამოყენებულია მინა, სარდიონი, გიშერი. IX. საკინძი ბრინჯაოსი, ძვლის ე.წ. კამათლისებური თავით და ყელზე ორი ნიბოთი. სიგრძე 10,7 სმ. აღმოჩნდა ქვემო ალევის №35 სამარხში, 2 ც.; სამარხი VI-VII სს [აფხაზავა 1988: ტაბ. IV, 6].

X. ბრონეულის ყვავილისებრი და ბრონეულის ნაყოფისებრი მძივით თავშემკული საკინძები. ამ ტიპის საკინძები აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებზე აღმოჩენილია V-VIII სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში. მათი ზომა $\approx 7-11$ სმ-ია. საკინძისთავებად გამოყენებულია მარჯანი, ლურჯი ფერის მინა. საკინძების უმრავლესობას რკინის ღერო აქვთ. XI. საკინძები, ოქროსა და ვერცხლის თვალბუდიანი ე.წ. მედალიონისებრი მოძრავი თავით. ისინი თხელფურცელა ოქროსგანაა დამზადებული. დაბალი, წრიული, ფუყე თვალბუდით. გვხვდება ვერცხლის, ბრინჯაოს და რკინის საკინძებზე მოძრავად დამაგრებული თავით. მათი სიგრძე $\approx 10-15$ სმ [იხ. ჩიხლაძე 2005: 201]. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



ზარაკები

თ. ჭანიშვილი, გ. გამყრელიძე

საქართველოს არქეოლოგიური კომპლექსების ერთ-ერთი გავრცელებული სამარხეული ნივთი ზარაკია, რომელიც სამკაულისა თუ საკულტო-საკრალურ დანიშნულების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა. ზარაკები სამი ნაწილისაგან შედგება: ყუნწი, კორპუსი და ენა. ზარაკების მასალა ძირითადად ბრინჯაოა. ერთეულ შემთხვევებში გვხვდება ოქროსაგან და ვერცხლისაგან დამზადებული ზარაკები (მაგ.: *ახალგორის განძი, ჭერემი*). ბრინჯაოს ზარაკების ენა უმთავრესად რკინისაა. რკინის ენა ადვილად იჟანგებოდა, ამიტომ ხშირად მხოლოდ ჟანგის სახით არის შემორჩენილი. ზარაკის ყუნწი მრგვალი ან სამკუთხა მოყვანილობისაა. ყუნწის ეს ცვლილება გარკვეულ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობასთან არის დაკავშირებული. ზარაკები ყუნწიანად არის ჩამოსხმული. რაც შეეხება ენას, მისი დამაგრების რამდენიმე ვარიანტია: 1. ენა დაკიდულია კორპუსის თავში (ყუნწის ქვეშ) მდებარე ნახვრეტში გადებულ მავთულზე; 2. ენა დამაგრებულია კორპუსზე გაკეთებულ ნახვრეტებში გადებულ ღეროზე. ზარაკების კლასიფიკაციისათვის, მის მთავარ დამახასიათებელ ელემენტად ზარაკის კორპუსის ფორმა ითვლება. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ზარაკებში გამოიყოფა ოთხი ძირითადი სახეობა ანუ ჯგუფი — კონუსური, ცილინდრული, ნახევარელიფსური და ნახევარსფერული:

I. ზარაკების კორპუსი კონუსურია; ენა რკინისაა. კონუსური ზარაკები გვხვდება მთელ ანტიკურ ხანაში. ამ ტიპის ზარაკები გამოირჩევა სხვადასხვა ზომებით (სიმაღლე $\approx 1,7-8,10$ სმ); სადა ან დაწახნაგებული. 1. კონუსური ზარაკების ეს ტიპი აღმოჩნდა — *თრელის* (თბილისი) №16 სამარხში; *მცხეთი-ჯვარში*, ადგილ *ნაურიის* №82 სამარხში; სოფ. *კურზუში* (მარტვილის მუნიციპ.) [ქორიძე 1961: 67-69]; *ნითელი შუქურას* №8, 21 სამარხში; *ურეკის* სამაროვანზე [მიქელაძე და სხვ. 1985: 39, ტაბ. III]; *მუხურჩის* (მარტვილის მუნიციპ.) სამაროვანზე; ერგეტა I და II სამაროვნებზე აღმოჩნდა რკინისენიანი ზარაკები [იხ. პაპუაშვილი 2003: 205, 207] და სხვ.

2. დამახასიათებელი ელემენტი: ზარაკის კორპუსი გვერდმეჭრილია (სიმაღლე $\approx 2,5$ სმ, დმ. 1,5 სმ). ამ ტიპისათვის დამახასიათებელია მასიური ყუნწი და კორპუსზე ორი ნახვრეტი; გვხვდება: *პაპიგორას* ძვ.წ. IV-III სს-ის №49 ქვევრსამარხში [იხ. მარგიშვილი და სხვ. 2004: 16,

ტაბ. XXXIX, 10-13]; *ბაზალეთის* ძვ.წ. VI-IV სს. სამაროვანზე [რამიშვილი 2004: ტაბ. CLXVIII]; ძვ.წ. V ს. სამარხების (*იაშთხვა, ნითელი შუქურა* და სხვ.) [იხ. კვიციანი 1978: ტაბ. 28, 3, 4].

3. დამახასიათებელი ელემენტი: კორპუსზე გამჭოლი სამკუთხა ჭრილი აქვს (სიმაღლე 2,5 სმ დმ 1,0 სმ); აღმოჩნდა: *ახალგორის განძში, ციხიაგორის* და *ტახტიძირის* სამარხებში [იხ. ლორთქიფანიძე 2003: 40; გოგიბერიძე 2003: 79; ცქიტიშვილი 2001: 44, ტაბ. II, 5].

4. დამახასიათებელი ელემენტი: სამკუთხა ფორმის ყუნწი. შემკულია ორ რიგად განლაგებული გამჭოლი სოლისებური, წაგრძელებული სამკუთხედებით (სიმაღლე \approx 5,9-6,5 სმ, დმ. 2-2,6სმ) [იხ. გაგოშიძე 1964: 69].

კონუსური ფორმის ზარაკები ფუნქციონირებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ძვ.წ. VII – ახ.წ. I სს.). ყველაზე ადრეული კონუსური ფორმის ზარაკები ჩანს ძვ.წ. VIII-VII სს. (მაგ.: *თრელი, ნაურიალი*). კონუსური ზარაკები მდიდრულ სამარხებში აღმოჩნდა პირველად, როგორც ცხენის აკაზმულობის ნაწილი, ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარში ის ჩანს როგორც საკულტო ნივთი [იხ. ჭანიშვილი 2006: 138-143]

II. ზარაკის კორპუსი ცილინდრული ფორმისაა; გვერდი — შეჭრილი. ამ ჯგუფის ზარაკების არსებობის ქრონოლოგიური დიაპაზონი დიდია — ძვ.წ. VII – ძვ.წ. I სს. ზარაკის ეს ფორმა ცვლილებას არ განიცდის და კონუსური ზარაკებისაგან განსხვავებით მათი ეს ფორმა სტაბილურია. მათში გამოიყოფა 4 ტიპი: **1.** დამახასიათებელი ელემენტი — მრგვალი ან მორკალური ყუნწი; სადა ან ვერტიკალური რელიეფური ხაზებით შემკული კორპუსი (სიმაღლე \approx 14-5,5 სმ). ეს ზარაკები კონუსურ ზარაკებთან ერთად ყველაზე ადრეულია და გვხვდება ძვ.წ. VIII ს-დან. მომრგვალებული ყუნწი დამახასიათებელია მათთვის ძვ.წ. Vს-მდე. რაც შეეხება შემკულობას, გვხვდება როგორც სადა, ასევე ორნამენტირებული. ამ ტიპის ზარაკების ყველაზე ადრეული ცალეები გვხვდება *რკინის კალოს* (თიანეთის მუნიციპ.) ძვ.წ. VIII ს-ით დათარიღებულ №27 სამარხში [კობაიძე 1978: 55-60, ტაბ. XVI, 417] და *ნაცარგორას* (ხაშურის მუნიციპ.) №126 სამარხში, სადაც 2ც. აღმოჩნდა, რომელთაგან ერთი სადაა, ხოლო მეორე ვერტიკალური რელიეფური ხაზებით შემკული. **2.** დამახასიათებელი ელემენტი: მორკალური ან სამკუთხა ყუნწი; წინვისებური ან გრეხილი ვერტიკალური რელიეფური ხაზებით შემკული კორპუსი. ძვ.წ. VIს-დან ზარაკებზე ჩნდება ორნამენტის ახალი სახეობა: წინვოვანი ხაზებით შემკული კორპუსი. ეს ორნამენტი ამკობს მაგ.: *კაზრეთის, შორის* და *ციხიანას* (ქარელი მუნიციპ.) ზარაკებს [იხ. Нуцубидзе 1978: 70, ტაბ. 24, 7]. ძვ.წ. VI-V სს. ზარაკების რიცხვი მატულობს და ზომა იზრდება (სიმაღლე \approx 10-10,8 სმ). ასეთებია: *შორის, კაზრეთის, ყაზბეგის განძის, კიკეთის, მუხურჩა, იაშთხვა, ნითელი შუქურა* და სხვ. ასეთივე უნდა იყოს სოფ. მთისძირის (ვანის მუნიციპ.) ძვ.წ. IV ს. ნაგებობაში აღმოჩენილი ზარაკი [იხ. გამყრელიძე 1982: 68, სურ. 24].

3. დამახასიათებელი ელემენტი: სამკუთხა ყუნწი, მცირე ზომები (სიმაღლე \approx 2,1-3,5 სმ, დმ. 0,8-1,5სმ); სადა ან გოფირირებული; განსხვავება ზომებში და შემკულობაშია. ასეთი ზარაკები ჩანს მთელ ელინისტურ ხანაში, ხოლო ახ.წ.-დან ქრება. ეს ტიპი ყველაზე გავრცელებული ვარიანტია და საქართველოს უმეტეს სამაროვანზე გვხვდება: *კამარახევი, პაპიგორა, მუხათგვერდი, ნაურიალი (მცხეთიჯვრის), დაჭრილების (კავთისხევი), ახალგორის განძში, ნატახტრი, სამადლო, ტახტიძირი, დიდუბე, ვანი, დაბლაგომი, ოჩამჩირე, ფარცხანაყანევი, დაფნარი* და სხვ. **4.** დამახასიათებელი ელემენტი: კორპუსი — წაგრძელებული ცილინდრული ფორმის; სამკუთხა ყუნწი (სიმაღლე \approx 5-7სმ, დმ. 1,202სმ). ამ ტიპის ზარაკები გვხვდება: *ახალგორის, ყანჩაეთის* და *ყაზბეგის* განძში. *ახალგორის* და *ყანჩაეთის* განძის თარიღი ძვ.წ. IV-III სს. [იხ. ლორთქიფანიძე 2003: 40; გაგოშიძე 1964: 69].

III. ჯგუფში გაერთიანებულია ზარაკების ის სახეობა, რომელიც მოიხსენებოდა ე.წ. გუმბათისებურ, ნახევარსფერულ ან ე.წ. ოვოიდურ ზარაკებად. ამგვარი ზარაკები ნახევარელიფსური ფორმისაა და უფრო წაგრძელებული და მომრგვალებული ფორმები აქვთ. ამ ტიპის ზარაკების ძირითადი განსხვავება შემკულობაშია. **1.** დამახასიათებელი ელემენტი: სადა კორპუსი (სიმაღლე \approx 2,3-2,8სმ, დმ. 2,3-2,6სმ). ამ ჯგუფის ყველაზე ადრეული ვარიანტი ძვ.წ. IV-III სს. გვხვდება (მაგ.: *ყანჩაეთი, პაპიგორა, კამარახევი*).

შემდგომში ამგვარი ზარაკი ქრება. ყველაზე ადრეული ცალი ამ ტიპის ზარაკისა ჩანს კამარახევის № 65 სამარხში, რომელიც ძვ.წ. V და IV ს-ის პირველი ნახევრის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჯდება [იხ. გოგიბერიძე 2003: 79]. 2. დამახასიათებელი ელემენტი: კორპუსი შემკულია მთლიანად ან ნაწილობრივ რომბული ბადით (სიმაღლე $\approx 3,2-4,5$ სმ, დმ. 2,3-3,6 სმ). ამ ტიპის ზარაკები ძვ.წ. II ს. ჩანს და ძირითადად ძვ.წ. I ს-შია გავრცელებული. ეს ზარაკები აღმოჩნდა: *სამთავროს №59 ქვევრსამარხში, ბამბების (უფლისციხე) №8 სამარხში, რიყიანების №13 და სხვ.* 3. დამახასიათებელი ელემენტი: კორპუსი შემკულია გამჭოლი სამკუთხედებით ერთ ან ორ რიგად, უწესრიგოდ (სიმაღლე $\approx 2,3-5,5$ სმ, დმ. 1,4-1,5სმ). ამ ტიპის ზარაკები არსებობენ ახ.წ I - ახ.წ. IVს-მდე.

IV. ამ ჯგუფის ზარაკი ნახევარსფერული ფორმისაა; ენა რკინისაა (სიმაღლე $\approx 1,7-1,2$ სმ, დმ. 2,8-2,3 სმ). ზარაკის ეს ფორმა დროთა განმავლობაში არ იცვლება. ამ ზარაკების ენისა და ყუნწის დამაგრების სხვადასხვა ტექნოლოგიური თავისებურებები გააჩნია. ამ ტიპის ზარაკები ჩანს ძვ.წ. IIIს., ინტენსიურად გვხვდება ძვ.წ. II-ში, ფართოდაა გავრცელებულია ახ.წ. I-IV სს. [იხ. დავლიანიძე 1983: 18-19]. ამ ტიპის ზარაკები ხშირად გვხვდება: *სანთა, სამადლო, თოხლიაური, თელების ველის, არკნეთის, ბრილის, ნერონ-დერესის, რიყიანები ველი, საყარაულო სერის სამარხებში და სხვ.*

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ზარაკი თავდაპირველად (ძვ.წ. VIII-VI სს.) ჩნდება როგორც ცხენის აღკაზმულობის ელემენტი, შემდგომში (ძვ.წ. V-III სს.) ის ჩანს ეჟვენებთან ერთად როგორც შტანდარტის შემადგენელი ნაწილი, ხოლო ბოლოს — ძვ.წ. IV ს-დან ჩანს, როგორც საკრალურ-ფუნქციონალური ნივთი. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



ტორევეტიკული ნანარმი

ელ. გიგოლაშვილი †

ტორევეტიკა (ლითონზე მხატვრული რელიეფის დამუშავება) დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განსაკუთრებული დარგია, რომელიც უძველესი დროიდან აღმოცენდა ეგვიპტეში, წინა აზიის და ეგეოსური სამყაროს ქვეყნებში. მხატვრული თეგვა და ჩამოსხმა, ტვიფრა და გრავირება, აგრეთვე ინკრუსტაციის, ფილიგრანისა და გრანულაციის ტექნიკა — აღმოსავლეთის ეს საოცარი მემკვიდრეობა, შეთვისებული და განვითარებული კრეტის, იტალიის და საბერძნეთის ხელოსნების მიერ, არც ძველი საქართველოსთვის იყო უცხო. ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები ნათლად ადასტურებენ ლითონის წარმოების საკმაოდ მაღალ დონეს. ამ დროისთვის უკვე ათვისებულია ლითონის გამოდნობა, ჭედვა და ჩამოსხმა, ლითონის დამუშავების სხვადასხვა რთული ხერხები. უფრო მოგვიანებით, ვერცხლისა და ოქროს ნივთების მორთულობაში რთული ტექნიკური ხერხები გამოიყენება, როგორცაა ლითონის წნევით დამუშავება, მხატვრულ-ორნამენტური ნაწილების (გავარსი, წნული) მირჩილვა, ინკრუსტაცია ფერადი ქვებით, ლითონის ფურცლისგან სხვადასხვა ნაკეთობის შექმნა.

ლითონის დამუშავების მაღალი დონის მაჩვენებელია ძვ.წ. VIII-VII სს-ის საქართველოსა და მთელი კავკასიის მხატვრული კულტურის ერთ-ერთი შესანიშნავი კომპონენტი — გრავირებული სარტყლები, რომელთაც ადგილობრივად დამზადებულად მიიჩნევენ. ასევე გრავირებული სახეებითაა შემკული კოლხური ბრინჯაოს ცულების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილი. ცულების გარდა ორნამენტირებულია ბრინჯაოს შუბისპირები,

ქინძისთავები, მამები და სხვ. ყველა ამ ძეგლებს ფუნქციონალური, დეკორატიული და სტილისტური ერთიანობა ახასიათებს [იხ. ფანცხავა 1988: 15; ხიდაშელი 1982: 46].

საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა განვითარებულ ქვეყანაში, ტორეტიკის ნიმუშების დამზადებისას გამოყენებულ ტექნიკურ ხერხებს შორის ყველაზე გავრცელებული და სრულყოფილი მეთოდი ჭედვა და თეგვა იყო. პირველ შემთხვევაში გამოიყენებოდა ჩაქუჩი და გრდემლი, მეორეში — სხვადასხვა ფორმის თეგი. ჭედვით მიიღებოდა სადა და გლუვი ზედაპირები, თეგვით — უფრო რთული ნაკეთობანი — გამოზურცულორნამენტიანი. ჩამოსხმის მეთოდით მზადდებოდა როგორც მთელი ნაკეთობა, ისე მისი ცალკეული ნაწილები, მაგალითად ჭურჭლის შემთხვევაში — ძირი, ყურები, ასევე ზედნადები დეკორის ზოგიერთი ელემენტი — ადამიანის, მითოლოგიური პერსონაჟების, ცხოველების ფიგურები, მცენარეული ორნამენტი. ჩამოსასხმელი ფორმები თიხისგან ან რბილი ქვისგან კეთდებოდა. მომდევნო ეტაპზე ნაკეთობის ზედაპირს აპრიალებდნენ, ამუშავებდნენ საჭრისით და გრავირებული ორნამენტით ამკობდნენ. ლითონის დამუშავების ეს ტექნიკური ხერხები ერთბაშად არ გაჩენილა, არამედ თანდათან, ტორეტიკ-ოსტატების მუშაობის სრულყოფასთან ერთად იხვეწებოდა. დიდ როლს ასრულებდნენ ტორეტიკის ნაკეთობების შექმნა-გავრცელებაში ოსტატი-ოქრომჭედლები [Онайко 1970: 17]. ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოქიდან დაწყებული — არქაულ და კლასიკურ ხანაშიც, ოქრომჭედელი თავისუფალი იყო თავის საქმიანობაში, მას შეეძლო გადაადგილებულიყო ერთი ადგილიდან მეორეზე და ყველგან მის შრომაზე დიდი მოთხოვნილება იყო. ერთი და იგივე ხელოსანი ხშირად სხვადასხვა ლითონზე მუშაობდა და სხვადასხვა დაკვეთებს ასრულებდა [იხ. Strong 1966: 14; Маршак 1971: 6].

ძველ საქართველოში ხელოსნური წარმოების ინტენსიური ხასიათი ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას. მნიშვნელოვან როლს ამ პროცესში ასრულებდა მოსახლეობის ეკონომიკური კონტაქტები გარე სამყაროსთან, კერძოდ კი, ქვეყნის ჩართვა საერთაშორისო ვაჭრობის ორბიტაში [ლორთქიფანიძე 2002: 181]. განსაკუთრებით ინტენსიური ეს კონტაქტები კლასიკური ხანიდან ხდება. ეს ის პერიოდია, როდესაც კოლხეთი ბერძნულ-ირანულ ომებში გამარჯვებული ათენის სავაჭრო ინტერესების სფეროში ხვდება. ძვ.წ. Vს-დან დასავლეთ საქართველოში ატიკური პროდუქცია ჭარბობს ყველა სხვა სახისას, როგორც რაოდენობით, ისე ასორტიმენტით. ჩნდება ფუფუნების საგნები — პოლიქრომული მინის ნაწარმი, მაღალმხატვრული ლითონის ჭურჭელი. *ვანში, საირხეში, ქობულეთ-ფიჭვნარში* აღმოჩენილი მდიდრული სამარხების კომპლექსები საკმაო რაოდენობით შეიცავენ დახვეწილ, მაღალი გემოვნებით შესრულებულ ლითონის ჭურჭელს, რომელიც აქ მხოლოდ სავაჭრო ოპერაციების შედეგად არ მოხვდა. ტორეტიკის ეს მაღალმხატვრული ნაკეთობა ზოგ შემთხვევაში შესაძლოა წარმოადგენდა “პოლიტიკურ ძღვენს,” მირთმეულს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის საპასუხო მაქსიმალური ხელშეწყობის მოსაპოვებლად. გარდა ამისა, ქვეყანაში მათი არსებობა სავაჭრო-გაცვლითი ურთიერთობითაც აიხსნება. ზოგ შემთხვევებში ამ ნივთების დამზადება ადგილობრივი მმართველი ფენის რომელიმე წარმომადგენლის დაკვეთითაც ხდებოდა.

ძვ.წ. V-IVსს-ის პირველი ნახევარი სავაჭრო კავშირების ე.წ. ატიკური ეტაპი იყო, როდესაც შემოდიოდა ატიკური პროდუქცია; ამასთან ერთად რამდენიმე არტიფაქტი ფიჭვნარიდან ეტრუსკული წარმოშობისაა; ამ დროისთვის, ძვ.წ. VI-IV სს-ში ეტრუსკულ ქალაქებში ძალზე განვითარდა ხელოსნობა და ვაჭრობა, განვითარდა რკინის მეტალურგია, რკინასთან ერთად ფართოდ გამოიყენებოდა ბრინჯაოც; ბრინჯაოსგან დამზადებული ტორეტიკის ნიმუშები გამოირჩეოდა ტექნიკური და მხატვრული სრულყოფით და იტალიის საზღვრებს გარეთაც ვრცელდებოდა, კერძოდ ათენში, სადაც ამ დროისთვის ეტრუსკული ბრინჯაო საკმაოდ ძვირად ფასობდა [Richter 1939: 194]; გავრცელდა ის სხვა ბერძნულ ქალაქებშიც, მცირე აზიაში და სირიაში. შესაძლებელია ეტრუსკულმა ნივთებმა საქართველოში შემოაღწიეს არა პირდაპირ ეტრუსკულიდან, არამედ ათენიდან, რომელიც ამ შემთხვევაში ალბათ შუამავალ რგოლს წარმოადგენდა ეტრუსკული იმპორტის გავრცელებაში. მომდევნო პერიოდში, ანუ ელინისტურ ხანაში, არქეოლოგიური მასალების

მიხედვით, ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა იწყება ელინისტურ სამყაროსთან (ძვ.წ. IV-I სს). ამ დროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე გადიოდა სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს დასავლეთთან აკავშირებდა. რომაულ ხანაში იმპორტული ლითონის ნაწარმი ზღვისპირა რომაული სამხედრო ბანაკებიდან ვრცელდებოდა ანდა სავაჭრო გზებით სამხრეთიდან შემოდიოდა იბერიაში. ვაჭრებს საქონელი შემოჰქონდათ მცხეთაში, რომელიც გზაჯვარედინზე მდებარეობდა, აქედან კი იმპორტი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ვრცელდებოდა.

მდიდრული სამარხების ინვენტარის აუცილებელი შემადგენელის — ძვირფასი სამკაულის გარდა, სამარხებში სხვადასხვა ლითონის მაღალმხატვრული ჭურჭლის ფართო ასორტიმენტიც შედიოდა. მდიდრული ჭურჭლის არსებობა სამარხეულ ინვენტარში კი მიანიშნებს ამ ნაკეთობათა მფლობელების განსაკუთრებულ, გამორჩეულ მოთხოვნილებებზე, რადგან რაც უფრო დახვეწილია ჭურჭლის ფორმები და მათი დამზადების ტექნიკური ხერხები, მით მეტად მეტყველებენ ისინი მოსახლეობის მაღალ კულტურულ დონეზე, მდიდრულ ყოფაზე და მხატვრულ გემოვნებაზე. ლითონისგან შექმნილი ნიმუშები ძვირადღირებული და პრესტიჟული პროდუქტი იყო და მისი ფლობა სწორედ მაღალგემოვნებიანი, მდიდარი და წარჩინებული ფენის წარმომადგენელს შეეძლო. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ლითონისგან დამზადებული ჭურჭელი ორი ჯგუფითაა წარმოდგენილი — იმპორტული ნიმუშები და ადგილობრივი ნაწარმი. იმპორტი თავის მხრივ სხვადასხვა საწარმოო ცენტრების ტორევეტიკის ძეგლებს აერთიანებს. ესაა ათენის სხვადასხვა სახელოსნოებში დამზადებული პროდუქცია ანუ ატიკური ნაწარმი, ეტრუსკული ჭურჭელი, მცირეაზიური და აქემენიდური კულტურული წრის ნიმუშები, რომაული პროდუქცია, სასანური ჭურჭელი. თითოეულ ჯგუფში ჭურჭლის სხვადასხვა სახეობა შედის: ოინოხოია, პატერა, კილიკი, თასი, სანური, ჩამჩა, ფიალა და სხვ.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ტორევეტიკის იმპორტირებულ ნიმუშებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დოქის ტიპის ჭურჭელს. ამ ჯგუფის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ოინოხოია, რომლის უადრესი ეგზემპლარები ძვ.წ. V-IV სს-ს განეკუთვნება. მისი დამახასიათებელი ნიშანია სამტურა პირის კიდე. აქვს მხრებში გაფართოებული, მომრგვალებული, ძირისკენ შევიწროებული ტანი და ბრტყელი ძირი. რიგ შემთხვევაში მაღლა აზიდული და მორკალული, ან ზედა ნაწილში ორად გაყოფილი ყური ყოველთვის პირის კიდესთანაა მიერთებული. ყურის ქვედა ნაწილი შემკულია ზოგჯერ პალმეტიტ ან რელიეფური, მეტწილად სილენის გამოსახულებით. ოინოხოიების გამოსახულებები ხშირად გვხვდება მოხატულ ჭურჭლებზე, ძირითადად სარიტუალო-შენიშნულობის სცენებში, ცერემონიებში, სადაც ის გამოყენებულია ღვინის გადასასხმელად ფიალაში ან პატერაში [Walters 1905: 177]. საქართველოში არქეოლოგიურად მოპოვებული ამ პერიოდის (ძვ.წ. V-IV სს) ოინოხოიები ბრინჯაოსგან არის დამზადებული და მათი ნაწილი ათენის პროდუქციას წარმოადგენს. ისინი აღმოჩენილია: *ფიჭვნარში* (სამარხი №15) [კახიძე 2000-01: 44, სურ.2]; *საირხეში* (№13 სამარხში) [მახარაძე, და სხვ. 2007: 94, ფ. 156]; *ვანში* (№11 სამარხში) [ლორთქიფანიძე 1972: 234]; ყველა ძვ.წ.Vს-ის პირველი ნახევრით. ანალოგიური ოინოხოიები აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში [Силантьева 1959: 66]; დნეპრისპირეთში [Онайко 1966: 30]; უკრაინაში [Штителъман 1971: 42-43]. ეს ჭურჭელი ძვ.წ. V ს-ისაა. *ფიჭვნარში* (№1 სამარხი) აღმოჩენილია ოინოხოია, რომელიც ეტრუსკული წარმომავლობის ჭურჭლად არის მიჩნეული. მისი ტანი ქვედა ნაწილში განიერია, ყური მაღლაა აზიდული, მორკალული, ბოლოვდება პალმეტიტ, რომლის თავზე ლოტოსის ყვავილია გამოსახული (15,8სმ-12,8სმ); თარიღდება ძვ.წ. Vს-ის შუა ხანებით [იხ. კახიძე 2000-01: 41-43, სურ.1,1]. *ფიჭვნარის* ოინოხოიას ნაირი ჭურჭელი აღმოჩენილია “სემიბრატინი“-ს ყორღანში. ამ ტიპის ოცამდე ჭურჭელი ნაპოვნია ეტრუსკულ სამარხებში. *ფიჭვნარის* ეგზემპლარი უკავშირდება ჭურჭელს ვატიკანიდან, კასელიდან და ლოკრიდან და ის ალბათ *ვულჩის* საწარმოო ცენტრის ხელოსნის ნაკეთობას წარმოადგენს, რომელიც ამ ცნობილი სახელოსნოს ტრადიციებით ქმნიდა; მათი თარიღია ძვ.წ. 460-450 წწ [იხ. Билимович 1982: 84-85]. საინტერესოა, *კაზრეთში* (ქვემო ქართლი) აღმოჩენილი ოინოხოია. მას ამავე ტიპის

ჭურჭლისაგან განასხვავებს მის ტანზე გრავირებით დატანილი მითოლოგიური სიუჟეტი, რომელიც ჰერაკლეს თავგადასავლებიდან რომელიმეს ასახავს [იხ. სინაურიძე 1985: 31-32]; თუმცა, სხვა მოსაზრებით, ოინოხოიაზე მენორიანი საკრალური მოტივია ასახული, რომელიც ებრაულ სამყაროს უკავშირდება [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2006ა: 26-37]. აგრეთვე, უცნობია ძვ.წ. IV-III სს-ის დაბლაგომის კრამიტით გადახურულ სამარხში აღმოჩენილი ოინოხოიას წარმოების ცენტრი. შემორჩენილია ჭურჭლის სამტუჩა პირი, ბრტყელი ძირი; პირზე მირჩილვის ადგილას, შემკულია ქალის თავის სკულპტურული გამოსახულებით, ხოლო მისი ქვედა ნაწილი წარმოადგენს რელიეფში შესრულებულ სილენის თავის გამოსახულებას [იხ. თოლორდავა 1983: 134]. ამავე ხანისაა (ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი) ვანში ნაპოვნი (სამარხი №15) ოინოხოიაც, რომლის ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა (ზომებია 24,5 – 7სმ); ჭურჭლის ყურის ზედა ნაწილი ლომის თავის სკულპტურული გამოსახულებითაა შემკული, ქვედა — წვეროსანი მამაკაცის რელიეფური გამოსახულებით, ხოლო შუა ნაწილი — ე.წ. მცენარეული ორნამენტით (ლოტოსის ფოთლებით) [იხ. ლორთქიფანიძე 1983: 91].

საქართველოში მოპოვებული ბრინჯაოს დოქისებური ტიპის ჭურჭლის კიდევ ერთი ნაირსახეობაა ე.წ. იტალიკური წარმოების სურები. მიჩნეულია, რომ ახ.წ. I-II საუკუნეებში ამგვარი ჭურჭლების წარმოების მთავარ ცენტრებს წარმოადგენდნენ სამხრეთ-იტალიკური ქალაქები, განსაკუთრებით კი კაპუა; მათთვის დამახასიათებელია მუქი ყავისფერი, უფრო იშვიათად მუქი-მწვანე პატიწა; ძირზე, როგორც წესი, ჩარხზე დამუშავების კვალია — სხვადასხვა სისქის რელიეფური კონცენტრული წრეები [იხ. ლორთქიფანიძე 1968: 76-77]. ამ პერიოდის ბრინჯაოს სურები ერთმანეთისგან განსხვავდებიან პირის მოყვანილობით, ტანის სხვადასხვაგვარი ფორმებით, ყურის შემკულობით. ერთ ჯგუფში გაერთიანებულია ე.წ. მრგვალპირიანი სურები; მათ აქვთ მაღალი, მუცელგამობერილი ტანი, დაბალი ყელი, მრგვალი მოყვანილობის პირი; ჭურჭლის ფართოდ გადაშლილი, შესქელებული პირის გვირგვინი შემკულია „მარგალიტების“ ორ რიგს შორის მოთავსებული ოვებით. ეს სურები ფორმით სავსებით ანალოგიურია სამხრეთ იტალიკური ბრინჯაოს ნაწარმისა, რომელიც *პომპეუმსა* და *ბოსკორეალეშია* აღმოჩენილი. სურებს ძირითადად მაღალი, რელიეფური ორნამენტით შემკული ყური აქვთ, ყურის ზედა ნაწილი წარმოადგენს მცენარის (აკანთის) სამ გაშლილ, სტილიზებულ ფოთოლს, შუაში ცერა თითივით ზეაშვერილს, რომლის გვერდითი ფოთლები გადადის გრძელნისკარტიანი ფრინველის თავებში, რომლებიც მჭიდროდ ეკვრიან პირის გვირგვინს. ყურის ზედა ნაწილის ამგვარი ორნამენტი დამახასიათებელია იტალიკური მრგვალპირიანი ბრინჯაოს სურებისთვის, რომლებიც ახ.წ. I ს-ით თარიღდება; ისინი მრავლადაა აღმოჩენილი როგორც *პომპეუმსა* და სხვა სამხრეთ იტალიურ ქალაქებში, ასევე რომის დასავლეთ პროვინციებში. მსგავსი ნიმუშები *ერმიტაჟის* კოლექციებშიც არის დაცული [იხ. Гуляева 1989: 57, სურ.1,2]. სურების ყურის შუა ნაწილი ძირითადად მცენარეული ორნამენტითაა შემკული, თუმცა ერთ შემთხვევაში (მაგ. *ნიჩისის* ჭურჭელი) ადამიანის და ცხოველის გამოსახულებასაც ვხვდებით. ყურის ქვედა ნაწილი კი წარმოადგენს დიონისეს, გორგონა-მედუზას, ღვთაებების და სხვ. გამოსახულებებს. საქართველოში ეს მრგვალპირიანი სურები აღმოჩენილია *ნიჩისში* (ორი ნიმუში), *ბორში*, ახმეტის მუნიციპ.-ის სოფ. *ახალდაბაში*, *ალაიანში* და სხვ. [იხ. Придик 1914: 102; ლორთქიფანიძე 1968: 78-79, 84; მირიანაშვილი 1983: 65, სურ.95; აფაქიძე და სხვ. 1991: 82, ტაბ.199,6]. ფორმისა და ორნამენტაციის მთელი რიგი ნიმუშებით (მცენარეული ორნამენტი, რელიეფური გამოსახულებები, გრავირებული თუ ნაკვეთი ორნამენტი) მრგვალპირიანი სურები ავგუსტუსის ხანით თარიღდება, არა უგვიანეს ახ.წ. I ს-ის პირველი მეოთხედისა [იხ. ლორთქიფანიძე 1968: 83-84].

ბრინჯაოს სურების შემდეგი ჯგუფი ე.წ. ნისკარტისებური პირის მქონე სურებია, რომლებიც საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი. ესაა საკმაოდ მოხდენილი ფორმის ჭურჭელი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფართე ნისკარტისებური პირი, პატარა ქუსლი, დაბალი კვერცხისებური ტანი და მაღალი, ვიწრო ყელი. ამ ტიპის სურები ერთმანეთისგან ყურის შემკულობით განსხვავდებიან: ყურის ზედა

ნაწილის შემკულობა წარმოდგენილია ცხოველის ან ფრინველის (ხარი, ლომი, გედი და ა.შ.) სკულპტურული გამოსახულებით, ყურის შუა ნაწილი მორთულია მცენარეული ორნამენტით, ხოლო ქვედა ნაწილი შემკულია სხვადასხვა გამოსახულებებით: ფავნის, გორგონა-მედუზის, ომფალასი, მენადის (ტაბ. III, 5, 6). მცენარეული ორნამენტი და გამოსახულებათა ზოგი დეტალი ვერცხლითაა ინკრუსტირებული. საქართველოში აღმოჩენილი ამ ტიპის სურები იმეორებენ იტალიური ჭურჭლების როგორც ფორმას, ისე შემკულობის ცალკეულ დეტალებს, მათი ფართო წარმოების ხანა ახ.წ. I ს-ა, მაგრამ ხშირია მათი აღმოჩენები ახ.წ. II ს-შიც. ამ ჯგუფის სურები აღმოჩენილია *ბორში* (ორი ნიმუში), *მცხეთაში*, *ზღუდერში* და თარიღდებიან ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით [Придик 1914: 102-103; ბრაუნდი და სხვ. 2009: 90-91].

მესამე ჯგუფში გაერთიანებულია ბრინჯაოს სამტუჩაპირიანი სურები; ასეთია *ბორში* აღმოჩენილი სურა, რომლის ყურის ზედა ნაწილი შემკულია პირდაღებული ლომის რელიეფური გამოსახულებით, ქვედა ნაწილი კი მრგვალ ფოთოლზე დაფენილი ლომის თათით. ყურის შუა ნაწილი ვიწრო ღარიტაა გაყოფილი. ჭურჭლის ეს ტიპი განეკუთვნება სამხრეთ-იტალიური (*კაპუის*) წარმოების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მასიურ პროდუქციას, რომელიც მზადდებოდა მთელი ახ.წ. II ს-ის განმავლობაში. ანალოგიური ჭურჭელი დიდი რაოდენობითაა მოპოვებული *პომპეუმსა* და *ჰერკულანუმში*, რეინის სანაპირო ოლქებში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში [იხ. Кропоткин 1970: 96, სურ. 66-67]. ამ პერიოდის სამტუჩა სურები აღმოჩენილია აგრეთვე *მცხეთაში*, *სამთავროს* ნეკროპოლზე (№159 კრამიტსამარხში), *ბორში* — მისი ყური პირთან ზეანეულია და ცერა თითის მსგავსი შვერილი აქვს, მთავრდება ფოთლის გამოსახულებით [Лордкипანიძე 1964: 209-210]. მეტად საინტერესოა სოფ. *მეტეხში* ნაპოვნი ოინოხოია, რომელიც ამჟამად კასპის მუზეუმში ინახება. პირი სამტუჩაა, ტანი შემკულია გრავირებით დატანილი მცენარეული ორნამენტით, რომელიც ვერცხლითაა ინკრუსტირებული. ყურის პირთან მიერთების ადგილზე მოთავსებულია ომფალეს გამოსახულება, ხოლო ყურის ქვედა ნაწილზე მაღალ რელიეფში გამოსახულია დიონისეს წრის ღვთაება — სილენი [იხ. შატბერაშვილი 2002: სურ. 45-46]. ყველა ეს ჭურჭელი ახ.წ. I ს-ით თარიღდება. უფრო გვიანდელია მცხეთაში (№905 აკლდამაში) აღმოჩენილი ოინოხოია — მისი სამტუჩა პირის კიდე წერტილოვანი რელიეფური ორნამენტით და ოვებით არის შემკული; ყურის ზედა ნაწილი ზეანეულია, ორად გაყოფილი და პირს ქვემოთ მირჩილული; ყური ბოლოვდება ფრთაგამლილი სირენას გამოსახულებით, რომელიც ფეხებით პალმეტს ეყრდნობა. დათარიღებულია ახ.წ. III ს-ით [აფაქიძე და სხვ. 1996: 9]. დაახლოებით ამავე ხანისაა (ძვ.წ. I - ახ.წ. I სს) ბრინჯაოს სურა *დედოფლის გორიდან*, რომელსაც სამტუჩა პირი, ბრტყელი ძირი და ფართოდ გაზიდული მხრები აქვს (სიმაღლე -16,5სმ) [Furtvengler და სხვ. 2008: 160, ტაბ. 60]. ახ.წ. I-III სს-ის *კლდეეთის* სამარხში აღმოჩენილი სამტუჩაპირიანი ოინოხოია, ფორმით და საერთო იერით ძალზე ჰგავს *ბორის* ლომის თათიან ჭურჭელს (ტაბ. III, 4). თავისებურია მისი ყურის მოყვანილობაც და შემკულობაც. აქ ყური ორად იტოტება და მის ახვეულ ბოლოებს შორის მოთავსებულია პირდაღებული ლომის თავისა და წინა თათების რელიეფური გამოსახულება [იხ. Лордкипანიძე 1964: 212].

ბრინჯაოს სურების გარდა ყურადღებას იმსახურებს საქართველოში აღმოჩენილი ვერცხლის სურების ჯგუფი. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი *არმაზისხევის* ნეკროპოლის სამარხებში გამოვლინდა — 6 სურა სამ სამარხში, №1, 6, 7 (ახ.წ. III ს-ის დასასრული). მათ აქვთ საშუალო სიმაღლის ქუსლი, მსხლისებური მოყვანილობის ტანი, მაღალი ყელი, ოვალური პირი, რთული პლასტიკური ყური, რომლის ზედა ნაწილი პირთან არის მირჩილული და პირის კიდესთან ზეანეული, ქვედა ნაწილი კი გულის ფორმის ფირფიტით მიმაგრებულია ჭურჭლის ტანზე. ამავე ტიპის წყვილი სურა აღმოჩნდა ერნოში (ახ.წ. III ს), ცალკეული სურები ნაპოვნია *ბორში*, *ცხინვალში*, *ზღუდერში*. სურები ფორმით ერთმანეთის მსგავსია, განსხვავებულია მათში *ბორის* და *ზღუდერის* ნიმუშები [იხ. Мачаბели 1976: 73, ტაბ. 26; ბრაუნდი და სხვ. 2009: 36]. ორი სურა აღმოჩნდა *არაგვისპირში* — მათი ზედაპირი შემკულია რელიეფში შესრულებული ნადირობის სცენებით, ისინი ახ.წ. III ს-ით თარიღდება.

მოპოვებულია მსგავსი ჭურჭელი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც, ოღონდ უფრო გვიანდელ პერიოდში [იხ. Кропоткин 1970: 87, №739]. ეს სურები ხელუხლებელ სამარხებში წყვილ-წყვილად არის აღმოჩენილი და ისინი ფართოდ გამოიყენებოდა სარიტუალო ცერემონიებში, განსაკუთრებით მსხვერპლშენიერვის რიტუალში. მათი ამგვარი გამოყენება ცნობილი იყო როგორც დასავლეთში — რომში, ისე აღმოსავლეთშიც [Мачабели 1976: 78].

კლასიკური ხანის ლითონის ჭურჭლის ერთერთი გავრცელებული სახეობაა **პატერა**, რომელიც საქართველოში გვხვდება. პატერა წარმოადგენს დაბალ არალრმა ჭურჭელს, დღევანდელი ტაფის მაგვარს, მოგრძო, სწორი ტარით. ტარი ის ნაწილია პატერისა, რომელიც განასხვავებს ჭურჭლის ამ სახეობას ერთიმეორისაგან. პატერა გამოიყენებოდა სითხის დასაღვებად, ძირითადად კი საკულტო რიტუალის ჩასატარებლად. უბრალო პატერა მზადდებოდა თიხისგან, ძვირფასები — ვერცხლისა და ბრინჯაოსგან, ზოგჯერ ოქროსგანაც. უფრო ხშირად ორნამენტირებული პატერები იწარმოებოდა, განსაკუთრებით კი შემკული იყო მათი ტარები. პატერა გვხვდება მთელი საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდებში [იხ. გიგოლაშვილი 2011: 63-65]. საქართველოში აღმოჩენილ პატერებს შორის ყველაზე ადრეულია ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. V ს-ის შუა წლებით დათარიღებულ №11 სამარხში მოპოვებული პატერა. მისი ტარი წარმოადგენს შიშველი ჭაბუკის სკულპტურულ გამოსახულებას, რომელიც გაჭიმული ტერფებით ცხვრის თავს ეყრდნობა. იდაყვი მოხრილი ხელებით ჭაბუკი ეხება ფირფიტას, რომელიც მას პატერის რეზერვუართან აკავშირებს. ფირფიტა ორი რელიეფური ხვიისგან შედგება, მათ შორის ყვავილია, ხვიების აქეთ და იქით ნახევარპალმეტებია ჩასმული. პატერის შემადგენელი ნაწილები ყველა ცალ-ცალკეა ჩამოსხმული და შემდეგ ერთმანეთზე მირჩილული (ტარის სიგრძე -19სმ, ჯამის დმ-28სმ) [იხ. გიგოლაშვილი 2011: 63-65] (იხ. ტაბ. VII, 5). ვანის პატერა მიეკუთვნება ე.წ. ანტროპომორფულტარიანი პატერების ტიპს და განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის ანტიკურ ტორეგტიკაში [Gjodesen 1944: 101]. ეს პატერები ძვ.წ. VI ს-დან მოყოლებული სწრაფად გავრცელდა მთელ ბერძნულ სამყაროში, სადაც ისინი დაახლოებით 100 წლის განმავლობაში იწარმოებოდა. ფიქრობენ, რომ მათი მრავლად აღმოჩენა ძველ სატაძრო კომპლექსებში — *ათენის აკროპოლისზე*, *სიცილიაში*, *დოდონასა* და *დელფოში* — იმის მოწმობაა, რომ პატერა სარიტუალო ჭურჭელი იყო და მსხვერპლშენიერვის რიტუალს უკავშირდებოდა [იხ. Билимович 1966: 117]. ჭაბუკის ტანისა და სახის დამუშავების თავისებური სტილისტური ნიშნებით და შემაკავშირებელი ფირფიტის ხასიათით ვანის პატერა პარალელურს პოულობს *ატიკურ*, აკროპოლისის ე.წ. ანტროპომორფულტარიან პატერებთან, რომელთა თარიღია ძვ.წ. 500-480 წწ. [Gjodesen 1944: 110].

უფრო გვიანდელია *დაბლაგომის ბრინჯაოს პატერა*, რომელიც აღმოჩნდა ძვ.წ. III ს-ის კრამიტით გადახურული სამარხის ინვენტარში [იხ. თოლორდავა 1976: 76]. მას შეიძლება ცხვრისთავიანი ტარის მქონე პატერა ვუნოდოთ — მისი ტარი ჩამოსხმულია, ღრუ, ბოლოვდება ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებით. ჯამთან ტარის შემაერთებელი ფირფიტა ოვალური ფორმისაა და შემკულია მცენარეული ორნამენტით. ტარი მთელ სიგრძეზე განივი რკალებითაა დაფარული. *დაბლაგომის პატერა* ჰგავს გვიანდელი, რომაული ხანის პატერებს, მაგრამ გვიანდელებს ტარი გრძივი კანელურებით აქვთ შემკული, დაბლაგომის პატერას კი განივი რკალები გასდევს — ეს არის არსებითი დეტალი, რომელიც ამ პატერის ადრეულობაზე მიუთითებს. *დაბლაგომის პატერის* ანალოგიური ჭურჭელი აღმოჩენილია ბულგარეთში, *ვერბიცას* და *ფერნიხანდოვის* სამარხებში, რომლებიც ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნით თარიღდება, გარდა ამისა განივი რკალებით შემკული და ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებით დაბოლოებული ტარი აქვს ვერცხლის პატერას, რომელიც ნაპოვნია *ვერჯინაში*, ძვ.წ. IV ს-ის ბოლო წლების სამარხში [იხ. Guide და სხვ. 1996: 180; Андроникос 1990: 124].

საქართველოში მოპოვებული ყველა დანარჩენი პატერა რომაული ხანისაა და რამდენიმე ტიპითაა წარმოდგენილი (ტაბ. II, 8-10). ერთია ბრტყელტარიანი და ბურთულით დაბოლოებულტარიანი ტიპის ბრინჯაოს პატერა, რომელიც მცხეთაშია აღმოჩენილი (სამთავროს სამაროვანი); მას ბრტყელი ტარი აქვს, შუაში შევიწროებული, ბოლოვდება

პატარა ბურთულით, რომლის ქვეშ სწორკუთხა არეა ამოჭრილი (ტარის სიგრძე —13,5სმ, ჯამის დმ—17,5სმ) [Ивашенко 1980: 180]. პატერის ეს ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული და ბევრ მათგანზე *კაპუანელი* ოსტატის დამლაა დასმული, რის გამო ისინი *კაპუანურ* პატერებად არის მიჩნეული. ამ დამლებსა და კარგად დათარიღებული კომპლექსების საფუძველზე პატერის ეს ტიპი ახ.წ. II-ის შუა ხანით – III-ის დასაწყისით თარიღდება; შემდგომ პერიოდში ის აღარ გვხვდება. *მცხეთის* პატერა თანმხლები ინვენტარით და ანალოგიებით ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით არის დათარიღებული [იხ. ლორთქიფანიძე 1968: 94; Веселовский 1912: 124].

არსებითად განსხვავებულია ამ პერიოდის პატერების მეორე ჯგუფი, მათ შეიძლება ე.წ. ვერძის თავით დაბოლოებულ ტარიანი პატერები ვუნოდოთ: ისინი უფრო მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანი ნიმუშებით გამოირჩევა (ტაბ. IX, 8). ამ ჯგუფის პატერების ჯამიც და ტარიც ცალ-ცალკეა ჩამოსხმული და შემდეგ ერთმანეთზე მირჩილული, აქვთ დაბალი ქუსლი, ტარი დაფარულია გრძივი კანელურებით და ბოლოვდება ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით (ტარის სიგრძე ≈ 11,5-13,5-14სმ, ჯამის დმ—21,5-22-22,5სმ). ამ ტიპის პატერები საქართველოში მოპოვებულია *ბორში* (ახ.წ. I-II სს) [ლორთქიფანიძე 1968: 94], *კლდეეთში*, №3 სამარხში (ახ.წ. II-ის ბოლო – III-ის დასაწყისი) [ლომთათიძე 1957: 134, 151-152], *ზღუდერში* გათხრილ №3 სამარხში (ახ.წ. II ს-ის დასასრული) [ბრაუნდი და სხვ. 2009: 88-89], *მცხეთაში*, *არმაზისხევის* №6 სამარხში (ახ.წ. II ს-ის დასასრული) [აფაქიძე და სხვ. 1955: 82], *ციხისძირში* (ახ.წ. II—III სს) [ინაიშვილი 1993: 37-38, ტაბ. IX_{2,3}]. *კლდეეთის* პატერის ჯამისა და ტარის შემაერთებელი ფირფიტა შემკულია მცენარეული ორნამენტით და ყანჩის რელიეფური გამოსახულებით, ხოლო *არმაზისხევის* პატერა ვერცხლისაა და შემკულია ფარშევანგების გამოსახულებებით და ვაზის ფოთლით. პატერების ამ ჯგუფს, რომელთა ტარი ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით ბოლოვდება, ტიპოლოგიურად სავსებით ემსგავსება კიდევ ერთი სახეობა ამ ქურჭლისა — მათი ტარი მთავრდება ძალის (მგლის?) სკულპტურული გამოსახულებით. ასეთი პატერები აღმოჩენილია *ბორში* (2 ც., ახ.წ. I-II სს) [იხ. Придик 1914: 103, #8,9; Лордкипანიძე 1964: 215, სურ. 2,3], *მცხეთაში* - №212 ქვის ყუთში (ახ.წ. I-II სს) [Ивашенко 1980: 118, 191], *მცხეთაში* (№905 აკლდამაში - ახ.წ. III ს) [აფაქიძე და სხვ. 1996: 20-21]. ამ ტიპის პატერები დიდი რაოდენობითაა მოპოვებული იტალიის ქალაქებში, ასევე რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციებში, და თითქმის ყველგან — დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. არაერთგზის აღმოჩენილია ეს ქურჭელი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზეც [იხ. Кропоткин 1970: 88, 96, სურ. 65-66]. პატერა ძალიან ხშირად ოინოხოიასთან ერთად ფიგურირებს სამარხებში — ადრეულ პერიოდშიც და განსაკუთრებით რომაულ ხანაში. მიჩნეულია, რომ ისინი ხელების რიტუალური განბანვისთვის იყო განკუთვნილი; გარდა ამისა მათი ერთად აღმოჩენა სამარხებში მათ საკრალურ როლზეც მეტყველებს [Лордкипანიძე 1964: 217].

განსაკუთრებული სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა საქართველოში გამოვლენილი ვერცხლისა და ბრინჯაოს ყურიანი და უყურო თასები, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს კილიკი — სითხის დასალევად განკუთვნილი ბერძნული ორყურა ქურჭლის ერთერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა. საქართველოში აღმოჩენილი ყველაზე ადრეული ნიმუშები ატიკური წარმოებისაა და ძვ.წ. V ს-ით თარიღდება. ასეთია ვერცხლის ორი, ორყურა თასი ვანის ნაქალაქარიდან (სამარხი №11) (ტაბ. V, 1) და ერთი საირხედან (სამარხი №13) (ტაბ. IX, 11) [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 23, სურ.209. მახარაძე და სხვ. 2007: 94-95, ფ.158; შეადარ. Горбунова 1971: 18]. კილიკი ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებოდა. ლითონის კილიკის კლასიკური ფორმა ძვ.წ. V ს-ის დასაწყისში შეიქმნა და ის ამავე ხანის ე.წ. შავლაკიანი თიხის კილიკების თითქმის იდენტურია. მაგა.: ვანის №11 სამარხში აღმოჩენილი ატიკური, თიხის შავლაკიანი კილიკი, მაღალფეხიანი, რომელიც თარიღდება ძვ.წ. VI-ის პირველი მეოთხედით [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 23, სურ.213]; ასეთივეა *აშმოლეს* მუზეუმის ატიკური, შავლაკიანი კილიკი, რომლის ფორმა ძვ.წ. 475-450 წწ. არის დათარიღებული. ტიპოლოგიურად

ვერცხლის კილიკების მსგავსია აგრეთვე *აპოლონიაში* აღმოჩენილი ძვ.წ. Vს-ის შავლაკიანი კილიკები [Иванов 1963: 187]. განსხვავებულია მომდევნო ხანის, ძვ.წ. IIIს-ის პირველი ნახევრის ვერცხლის კილიკები, რომელთაგან ერთი ნაპოვნია *ვანში* (სამარხი №4), ხოლო მეორე *დაბლაგომის* კრამიტით გადახურულ სამარხში. ისინი პირგადაშლილია, მათი ყურები მარყუჟისებურია და ტანთან მიერთების ადგილას ფოთლისებური ორნამენტი აქვთ. კილიკის ძირი შიგნიდან ორნამენტირებულია, ქუსლი მაღალია; კილიკები ათენის პროდუქციაა.

სითხის შესასმელი ჭურჭლის ერთერთი ბერძნული ფორმაა **კანთაროსი**, რომელიც საქართველოში ბრინჯაოს ერთადერთი ეგზემპლარით არის წარმოდგენილი (ვანის ნაქალაქარის გვიანელინისტური ხანის ფენიდან). აქვს ცილინდრული ფორმის ტანი, დაბალი ქუსლი; ყური სამნაწილიანია (იხ. ტაბ. IX, 9); თარიღდება ძვ.წ. I ს-ის დასასრულით და იტალიურ ტორეტიკაში გავრცელებულ ნაწარმად არის მიჩნეული [იხ. მათიაშვილი 1977: 109, სურ. 104].

ცალკე ჯგუფს ქმნიან ახ.წ. II-ის სხვადასხვა ორყურა თასები მდიდრულორნამენტიანი ზედაპირით (ტაბ.V,3,4); თასები დაფარულია ჭედვით შესრულებული ნატურალისტური შემკულობით, რომელიც შედგება ვაზის, სუროს, ზეთისხილისა და მუხის ფოთლების ან ტოტებისგან; ჭურჭელი როგორც წესი, მზადდებოდა ორმაგი ვერცხლის ფურცლისგან — გარედან იყო ვერცხლის თხელი ფენა, რომელშიც ჭედვით გამოჰყავდათ რელიეფური ნახატი და შიგნით უფრო სქელი ფენა — ჭურჭლის საფუძველი. ამ ორ ნაწილს ერთმანეთს შეადულებდნენ და შემდეგ მიამაგრებდნენ ცალკე ჩამოსხმულ ყურებს და ქუსლს [Мачаџели 1976: 27; Внукџ да სხვ. 1990: 108-109]. საქართველოში ასეთი თასების დახვეწილი ნიმუშები, შემკული რელიეფური მცენარეული ორნამენტით, მოპოვებულია *ბორში* და *ხაიში* და ახ.წ. I ს-ით თარიღდებიან. ასეთივე ჭურჭელი ცნობილია ისევ *ხაიშიდან* — 2 ც., *თაგილონიდან* — 3 ც., მაგრამ ძლიერი დაზიანების გამო ორნამენტი ან არ იკითხება, ან თასებს მხოლოდ შიდა ნაწილი აქვთ შემორჩენილი. ანალოგიური თასები ცნობილია *ბოსკორეალებიდან*, *პომპეუმისა* და *ჰერკულანუმიდან*, *ბერთუვილიდან*, *ლიბანიდან* და სხვ.; ეს ჭურჭლები განსაზღვრულია როგორც რომაული ტორეტიკული სახელოსნოს პროდუქცია და ფართოდ იყო გავრცელებული რომის იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში [იხ. Внукџ და სხვ. 1990: 115]. ამათგან განსხვავდება ამავე პერიოდის (ახ.წ. II ს.) ვერცხლის ორყურა, თასები *რიყიანების ველის* ნეკროპოლიდან და *ბოგვის* მდიდრული სამარხიდან; მათ აქვთ ფიგურული ყურები, რომლის ზედა ნაწილები ბურთულეებითაა შემკული (იხ. ტაბ. V, 5) [მირიანაშვილი 1983: 61, სურ. 75; მარგიშვილი 1992: 74, ტაბ. XXII]. ორყურა თასების ტიპს მიეკუთვნება ზღუდერის (№3 სარკოფაგის) პატარა თასი — მისი ცენტრალური ნაწილი და განზე ფართოდ გაზიდული ყურები შემკულია მცენარეული ორნამენტით; დათარიღებულია ახ.წ. I ს-ით [ბრაუნდი და სხვ. 2009: 76].

აღსანიშნავია ორი ორყურა სადა თასი ახ.წ. II ს-ით დათარიღებული *არმაზისხევის* №1 სამარხიდან, დაბალ ძირზე ჰორიზონტალურკიდიანი (პირის დმ-18,5/10,8) [მაჩაბელი 1983: 100]. საქართველოს ორყურა თასების ნაირსახეობებში გამოირჩევა *არმაზისხის* ახ.წ. III ს-ის ორყურა ცილინდრული ფორმის ვერცხლის თასი; მას აქვს ჰორიზონტალური, სამნაწილიანი ყურები და დაბალი, მრგვალი ქუსლი; ტანი შემკულია ვერტიკალური, შემალღებული მოგრძო ენებით, ხოლო ზედა და ქვედა ნაწილები — ე.წ. წინვოვანი ორნამენტის ჰორიზონტალური ზოლებით. თასის ეს ტიპი პოპულარული იყო ახ.წ. I-II სს-ში; ის რიტუალურ ჭურჭლად არის მიჩნეული. ასევე გამოირჩევა ორნამენტირებულზედაპირიანი ორყურა ვერცხლის თასი *სარგვეშიდან*; მას აქვს საშუალო ზომის მრგვალი ქუსლი და ფიგურული, თასის პირის კიდეებთან შედარებით მაღალი ყურები. ტანი შემკული მცენარეული ორნამენტით, ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებებით; თასი მიჩნეულია სასანიანთა სამეფო კარის სახელოსნოში დამზადებულ ნიმუშად და თარიღდება ახ.წ. III ს-ის ბოლო წლებით. *სარგვეშის* თასის ახლო ანალოგიაა თასი მეტროპოლიტენის მუზეუმიდან [იხ. Лукоџин 1987: 47].

ორყურა თასების გარდა საქართველოში არქეოლოგიურად მოპოვებულია უყურო ვერცხლის თასები, როგორც სადა, ისე ორნამენტური ნიმუშები; ერთი მათგანი (*საირხის* ძვ.წ. Vს-ის №13 სამარხიდან), ორნამენტირებული, ძირმომრგვალებულია, კვერცხისებურტანიანი, მაღალყელიანი, პირგადაშლილი, ტანი შემკულია ე.წ. ოვების ორნამენტით, პალმეტებით, გაორმაგებული ლოტოსის ყვავილებით. ყელზე დატანილია ლომისა და ხარის გრავირებით შესრულებული გამოსახულებები (იხ. ტაბ. IX, 10); ჭურჭლის ძირს ამკობს მორკალული, მარცხნივ მიმართული ფურცლებით შედგენილი ვარდული (სიმაღლე—12,4სმ, პირის დმ—8სმ) [მახარაძე და სხვ. 2007: 91-92]. მსგავსი ფორმის ჭურჭელი უძველესი დროიდან არის ცნობილი აღმოსავლურ სამყაროში — არსებობს ამ ტიპის როგორც თიხის, ისე ლითონის და მინის ნიმუშებიც. *საირხის* ეს თასი ბერძნულ-სპარსულ ნაკეთობათა რიცხვს მიეკუთვნება და ის ან *ლიდიის* ერთ-ერთ სახელოსნოში უნდა იყოს დამზადებული, ანდა გაკეთებულია ხელოსნის მიერ, რომელიც ამ სკოლის ტრადიციებით ქმნიდა [იხ. გიგოლაშვილი 2005: 57-58, 61; შეადარ. Treister 2007: 100-101; Лесков 1987: 46-48]. ორი ვერცხლის თასი, ერთი *საირხის* №13, მეორე — ვანის №11 სამარხიდან სადაზედაპირიანებია, პირველის ძირი მომრგვალებული და წაგრძელებულია, ტანიც წაგრძელებული კონუსისებურია; მეორის ძირი ბრტყელია, ორივეს ყელი მაღალია, პირის კიდე გარეთ გადაშლილი, ყელის ტანთან შეერთების ადგილზე ერთს რელიეფური, მეორეს კი მოკლე ვერტიკალური ნაჭდეგების სარტყელი შემოუყვება, ორივე თასი ძვ.წ. Vს-ისაა [იხ. მახარაძე და სხვ. 2007: 95, სურ.159; Гиголашвили 1990: 317; Stromenger 1967: 18].

რამდენადმე მოგვიანო ხანისაა (ძვ.წ. IVს-ის პირველი ნახევრის ვანის №6 სამარხის) ვერცხლის ბრტყელძირიანი თასი, რომლის ტანი შემკულია წვრილი, ჰორიზონტალური კანელურებით (სიმაღლე - 8,6სმ, პირის დმ - 9,5სმ, ძირის დმ - 4,5სმ) [იხ. გიგოლაშვილი 1990: 280; Shmidt 1975: 94]. ჰორიზონტალურკანელურებიანი ლითონის თასები ტიპიურ აქემენიდურ ჭურჭლად არის მიჩნეული და ფართოდ ვრცელდება აქემენიდების იმპერიის საზღვრებს გარეთაც, მისი გავლენით იქმნება არა მხოლოდ ლითონის ჭურჭელი, არამედ კერამიკული ნაწარმიც [Shefton 1971: 109-111]. ახ.წ. II ს-ის ცილინდრული მოყვანილობის ვერცხლის თასების ჯგუფს, სხვადასხვა სიმაღლის ტანი აქვთ. საქართველოში ანალოგიური თასები მოპოვებულია *თავილონში*, *ბორში*, *ხოვლეში*, *ალაიანში* (3ც.) [მირიანაშვილი 1983: 61-62]. ახ.წ. II ს-ის ორი ვერცხლის თასიდან ერთი — *არმაზისხევის* №7 სამარხში, მეორე — *ბაგინეთის* სარკოფაგში აღმოჩნდა. ამ თასების ზედაპირი შემკულია ვაზის ყლორტების, ყურძნის მტევნების და ფოთლების გამოსახულებებით. ვაზის თემას აგრძელებს ახ.წ. IIIს-ის მეორე ნახევრის ვერცხლის თასი *ხოვლეს* სამარხიდან, რომელიც ორნამენტირებულია — მთელ ფართობზე ჭედვით გამოყვანილი ერთმანეთზე დადებული ვაზის ორი ფოთლის გამოსახულებით (პირის დმ-25 სმ), თარიღდება (იხ. ტაბ. X, 7) [შატბერაშვილი 2007: 90, სურ. 15]. *ბაგინეთის* ვერცხლის თასი, ყურადღებას იპყრობს რელიეფური ორნამენტით, რომელიც თასის ზედაპირს მთლიანად ფარავს (ტაბ. II, 2). ორნამენტი შეიცავს სხვადასხვა ცხოველებს (დათვი, ტახი, ირემი, ძაღლი), ითვლება, რომ ასეთი ჭურჭელი ტორეგტიკის ნაკეთობათა იმ წრეს ეკუთვნის, რომელიც მცირე აზიასთან არის დაკავშირებული. *ბაგინეთის* თასი ორნამენტის ხასიათით და ცალკეული დეტალით ახ.წ. III ს-ს მიეკუთვნება [Мачабели 1976: 64-65; 1983: 107]. ახ.წ. III ს-ისაა პატარა ვერცხლის თასი *ბაგინეთიდან*; ტანი გარედან ტალღოვანი ზოლებითაა შემკული, პირის განიერი, ჰორიზონტალური, მოოქრული კიდე — მცენარეული ორნამენტით [მაჩაბელი 1983: 107, №45]. ამავე ხანისაა *ბაგინეთის* ვერცხლის ღრმა თასი, რომლის ზედაპირი დაფარულია ექვსი ოვალური ფორმის, მოზრდილი ბურცობით (ტაბ. II, 4); ჭურჭლის ამგვარი შემკულობა განსაკუთრებით ხშირია ახ.წ. III ს-ში [მაჩაბელი 1976: 71].

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვერცხლის თასების პორტრეტულ გამოსახულებიანი ჯგუფი, რომელთა ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია პორტრეტიანი მედალიონი. ასეთია ხუთი თასი — ანტინოეს გამოსახულებიანი, ტიხე-ფორტუნას ჰორელიეფიანი, ნვეროსანის მამაკაცის ბიუსტით და მარკ ავრელიუსის რელიეფური პორტრეტით შემკული რომაული თასები (ტაბ. IV, 4-5, 11-12); მეხუთე თასი სასანური

ტორევეტიკის ნიმუშია და მის ცენტრში გამოსახულია ირანელი დიდებულის გრაფიკული პორტრეტი. პირველი სამი — არმაზისხევის №1 და №6 სამარხებიდანაა, მარჯვნივ აღმოსავლეთისა და მათი თარიღია — ახ.წ. II ს. სასანური თასი აღმოჩენილია არმაზისხევის №2 სამარხში და თარიღდება ახ.წ. IIIს-ით [იხ. მაჩაბელი 1983: 96,99,108,113; ლორთქიფანიძე 1968: 100-102].

საქართველოს ანტიკური ხანის ტორევეტიკულ ნაწარმში მცირე რაოდენობით არის ბრინჯაოს ლანგრები. ორი ლანგარი ნაპოვნია ვანის ორ სხვადასხვა პერიოდის სამარხში — ერთი ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანის №9, ხოლო მეორე — ძვ.წ. IIIს-ის პირველი ნახევრის №15-ში. პირველი — პირგადაშლილია, აქვს მარყუჟისებური ყური, რომელიც ქვედა ნაწილში რელიეფური პალმეტიტაა შემკული; მეორე — პირგადაშლილი, ორყურა [ლორთქიფანიძე და სხვ. 1983: 91]. საქართველოში აღმოჩენილი დანარჩენი ლანგრები რომაულ ხანას მიეკუთვნება; ისინი სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა ზომისაა. განსაკუთრებულ ინტერესს კი მათში *ციხისძირის*, *ურეკისა* და *არმაზისხევის* ეგზემპლარები იწვევს. ასეთი ტიპის ჭურჭელი გავრცელებული იყო ახ.წ. II-III სს-ში, ფიქრობენ, რომ მსგავსი ჭურჭელი *გალიის* სახელოსნოებში მზადდებოდა [იხ. Мачабели 1976: 39-47].

საწერი ლითონის ჭურჭელია, რომელსაც შერეული სითხის გასაწურად ხმარობდნენ. ის შედგება ტარისა და ჯამისგან, ჯამის ფსკერი დახვრეტილია, ტარი კი ხშირად ფრინველის თავის სკულპტურული გამოსახულებით ბოლოვდება (იხ. ტაბ. IX, 13). ატიკური წარმოების ნიმუშად მიჩნეულია *ვანში* №6 სამარხში აღმოჩენილი ერთი საწერი, რომლის მხოლოდ ტარია შემორჩენილი (ტაბ. IX, 15). ის ზედა ნაწილში შევიწროებულია, უკან გადახრილი და ბოლოვდება კაუჭით, რომელიც იხვის თავის სკულპტურულ გამოსახულებას წარმოადგენს. ტარის ქვედა ნაწილში, იქ სადაც ტარი საწურის ჯამს უნდა შეუერთდეს — ლომის თავის რელიეფური გამოსახულებაა. ტარი ზედა ნაწილშიც და ბოლოშიც მორთულია ვოლუტებით, გრავირებული პალმეტებით და სამკუთხედებით; საწურის ტარი ჩამოსხმულია და ის ჯამთან ყოფილა მირჩილული (სიგრძე — 18,4სმ). მსგავსი საწერი ათენის აკროპოლისზე აღმოჩენილი და ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება. რამდენადმე განსხვავებული დიზაინი აქვთ *ფიჭვნარისა* და *წითელი შუქურას* ნეკროპოლებზე აღმოჩენილ ეტრუსკული წარმომავლობის საწურებს [იხ. გიგოლაშვილი 2003: 29-31; Силантьева 1959: 64; Козыб 1974: 75; Билимович 1979: 27, 30; Онайко 1970: 30; Манцевич 1987: 102]. განსხვავებული ფორმა აქვს რომაული ხანის საწურს, რომელიც *ბოგვის* მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა. მას აქვს ღრმა, თასისებური ფორმის ჯამი და მოკლე, სამი ნაწილისგან შედგენილი ტარი, თარიღდება ახ.წ. I ს-ით [იხ. მარგიშვილი 1992: 75-76; ტაბ. XXII].

ჩამჩა გამოიყენებოდა ღვინის ან სხვა რაიმე სითხის გადასასხმელად ერთი ჭურჭლიდან მეორეში, ასევე რიტუალის ჩასატარებლად, რაც კარგად ჩანს ბერძნულ ვაზებზე თუ ეტრუსკული კედლის მოხატულობაზე დატანილ გამოსახულებებზე [იხ. Walters 1905: 179; Crosby 1943: 209]. ჩამჩა შედგება პატარა ჯამისა და მასზე მიმაგრებული გრძელი ტარისგან, რომელიც ძირითადად ფრინველის იხვის, გედის ან ბატის თავის სკულპტურული გამოსახულებით ბოლოვდება, თუმცა ცხოველების გამოსახულებებიც გვხვდება (იხ. ტაბ. X, 15) [იხ. გიგოლაშვილი 2012: 41; Oliver 1977: 43]. *ფიჭვნარის* ნეკროპოლში ორი ბრინჯაოს ჩამჩა აღმოჩნდა №1 და №15 სამარხებში. ორივე ღრმაჯამიანი, გრძელი ოთხკუთხა განივკვეთიანი ტარი აქვთ, ტარები ბოლოვდება იხვის თავის სკულპტურული გამოსახულებით. ტარის სიგრძე -28,6-37,3სმ; ორივე ძვ.წ. V ს-ის შუა ხანით თარიღდება [იხ. კახიძე 2000-01: 45; Силантьева 1959: 71]. *ვანის* №6 სამარხის ვერცხლის ჩამჩას აქვს ოვალურგანივკვეთიანი წვრილი ტარი და ზედა ნაწილში მორკალულია, ბოლოვდება იხვის თავის სკულპტურული გამოსახულებით, სიგრძე—21სმ, ძვ.წ. IVს-ის პირველი ნახევარი [გიგოლაშვილი 2012: 41]. ძვ.წ. IVს-ის პირველი ნახევრის ვერცხლის ჩამჩას საირხის №10 სამარხიდან ფასეტებიანი გრძელი ტარი აქვს. ტარის სიგრძე -20სმ [ნადირაძე 1990: 91]. ამავე ტიპისაა ვერცხლის ჩამჩა *ციხიაგორას* „საყარაულო სერიდან“, ტარის სიგრძე -17სმ, თარიღდება ძვ.წ. IVს-ის დასასრულით - IIIს-ის დასაწყისით [ცქიტიშვილი 2001: 43]; ჩამჩა ვერცხლის, *წინწყაროდან*, ტარის სიგრძე -16,5სმ, დათარიღებულია ძვ.წ. IVს-ის შუა ხანით

[ლორთქიფანიძე 2003: 40; შეადარ. დავლიანიძე 1976: 142]; კიდევ ერთი ჩამჩა ვანის №24 სამარხიდან, რომლის რგოლი შექმნილია ერთმანეთის პირისპირ მდგომი და წინა ფეხებით ერთმანეთს მიბჯენილი ვერძების გამოსახულებებით (ტარის სიგრძე -25სმ), დათარიღებულია ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებით [კაჭარავა 2006: 353] (იხ. ტაბ. VI, 9).

კოვზები: ძვ.წ. Vს-ისაა ვერცხლის კოვზი ვანის №11 სამარხიდან, ჯამი წაგრძელებული ოვალისფორმისაა, ტარი მთავრდება ყულფით, რომელზედაც სფინქსის სკულპტურული გამოსახულებაა (ტაბ. VI,2). სფინქსის წინა ფეხებთან გამოსახულია რელიეფური პალმეტი. სიგრძე -18,3სმ [ლორთქიფანიძე 1972: 24, სურ. 212]. ორი ვერცხლის ოვალურჯამიანი კოვზი აღმოჩენილია ძვ.წ. Vს-ის პირველი ნახევრის საირხის №13 სამარხში, მათი ტარი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან ღეროს, რომელიც წინ არის გადმოღუნული — ჯამისკენ და ბოლოვდება ერთზე — ვერძის, ხოლო მეორეზე — ხბოს თავის სკულპტურული გამოსახულებით [მახარაძე და სხვ. 2007: 95]. ანალოგიური კოვზები — იქიბთეფედან არის ცნობილი [Özgen და სხვ. 1996: 67-68]. ამავე ტიპისაა ვერცხლის კოვზი, რომელიც სოფ. ალაიანთან, *რიყიანების ველზე* ძვ.წ. IIს-ის №17 სამარხში აღმოჩნდა [მირიანაშვილი 1983: 41,62]. საქართველოში წარმოდგენილია ვერცხლის კოვზების ყველა სახეობა, რომელსაც კი ხმარობდნენ რომაულ სამყაროში ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში — კოვზების ტარები დაბოლოებულია ჩლიქით, ფრინველის თავით, ბურთულით და სხვ; ზოგის ტარი ორნამენტირებულია (იხ. ტაბ. VI, 1,3-6,8). ამ ტიპის კოვზები მოპოვებულია: *ბორი, ურბნისი, ბაგინეთი, ზღუდერი, ალაიანი, სამთავრო, ბოგვი, სარგვეში, ციხისძირი, ურეკი* [იხ. მირიანაშვილი 1983: 62; მარგიშვილი 1992: 77; ბრაუნდი და სხვ. 2009: 74-75; ჭილაშვილი 1964: 58; Придик 1914: 101]. საგანგებოდ აღსანიშნავია *ბოგვის* სამარხში გამოვლენილი კოვზ-ჩანგალი, რომლის მსგავსი ნიმუში ჯერჯერობით არსად არ არის ცნობილი [იხ. მარგიშვილი 1992: 77, ტაბ. XXII,] (იხ. ტაბ. VI, 7).

ფიალები: ლითონისგან დამზადებული ჭურჭლის ერთ-ერთ ძალზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ფიალა. ის, როგორც სპეციალური სარიტუალო ჭურჭელი გავრცელებული იყო არქაული ხანის საბერძნეთში. ეს არის უყურო თასი, დაბალტანიანი, ჰქონდა ოდნავ შიგნით გადახრილი ან სწორხაზოვანი პირის კიდე, ძირის ცენტრალურ ნაწილში კი ხშირად — ომფალოსია [Strong 1966: 55]. ბერძნულ სამყაროში გავრცელებული ფიალები ზოგჯერ აქემენიდური ფიალების არა მარტო ფორმას იმეორებენ, არამედ მათ დეკორსაც [ლორთქიფანიძე 2003: 35]. საირხის ძვ.წ. Vს-ის №13 სამარხში აღმოჩენილია სამი ვერცხლის ფიალა ე.წ. ბერძნული ტიპისა [მახარაძე და სხვ. 2007: 91, სურ.84; 94, სურ.88, 89]. ეს ფიალები ათენის სახელოსნოების ნაწარმად არის მიჩნეული [Lushcey 1939: 81]. საყურადღებოა ძვ.წ. V-IVსს-ის ე.წ. ფასისის ვერცხლის ფიალა, რომლის ტანიც შემკულია რქებიანი ირმის თავის გამოსახულებებით; პირის დმ -21სმ; ომფალოსზე მოთავსებულია დახვეული გველის რელიეფური გამოსახულება. ჭურჭლის პირზე ამოკანრულია ბერძნული წარწერა — „ვეკუთვნი აპოლონ ჰეგემონს რომელიც ფასისშია.“ [იხ. Dumbergi 1901: 99; ყაუხჩიშვილი 1971: 15].

წვრილი ოვების სხვადასხვა ვარიაციებით შექმნილი ორნამენტით შემკულია ვერცხლის ფიალები *ფიჭვნარის* №15 და *იოხვისის* №1 სამარხიდან, ორივე ე.წ. აქემენიდური ტიპისაა და ორივე ძვ.წ. Vს-აა [კახიძე 2007: 156; გაგოშიძე 1968: 36]. ამ ნაირი ფიალები ფართოდ იყო გავრცელებული ბალკანეთში, მცირე აზიაში, მესოპოტამიაში, ვერცხლის და ბრინჯაოს მსგავსი არტეფაქტები ცნობილია ირანიდანაც [იხ. Khavari 1988: 102-103, 108, 119, 123; Dalton 1926: 83]. სამი ცალი ომფალოსიანი ფიალა ორნამენტირებულია ნუშისებური ფორმის ბურცობებით და მათ შორის მოთავსებული ლოტოსის გაშლილი ყვავილის ფურცლებით, მათგან ერთი ძვ.წ. IVს-ის პირველი ნახევრის *ვანის* №6 სამარხის ოქროს ფიალაა, ე.წ. ბერძნული ტიპის, პირის დმ—9სმ; ორი ფიალა ე.წ. აქემენიდური ტიპისაა, ერთი *ფიჭვნარის* ძვ.წ. Vს-ის პირველი ნახევრის №6 სამარხიდან, პირის დმ -12სმ, [კახიძე 2007: სურ. 33-34]; მეორე — აღმოჩენილია *ენაგეთის* ნეკროპოლის ძვ.წ. IVს-ის პირველი ნახევრის №1 სამარხში [მარგიშვილი 1992: 72, ტაბ. XX]. ე.წ. ახალგორის განძის სახელით ცნობილი არტეფაქტების კომპლექსის შემადგენლობაში ხუთი ვერცხლის ფიალა აღმოჩნდა, ერთი მათგანი სრულიად

სადა; დანარჩენი ოთხი — ორნამენტირებული ფიალებია ე.წ. აქემენიდური ტიპისა, ყველა მათგანს აქვს ომფალოსი. ფიალების თარიღია ძვ.წ. IV ს-ის დასასრული [იხ. ლორთქიფანიძე 2003: 35-38, სურ. 9,10,11]. ახალგორის ფიალების რიგისაა ფიალები *ყანჩაეთისა* და *წინწყაროს* სამარხებიდან [გაგომიძე 1964: 63].

არიბალოსი: ყურადღებას იმსახურებს ძვ.წ. VI-ით დათარიღებული ვერცხლის არიბალოსი *ვანის* №11 სამარხიდან. სფერულტანიანი, რომელზედაც ე.წ. ოვებით შექმნილ ფრიზზე მოთავსებულია გრავირებით შესრულებული სფინქსების მსვლელობის სურათი; ჭურჭლის ძირი ორნამენტირებულია გარედან გაოთხმაგებული ლოტოსის ყვავილის გამოსახულებით; არიბალოსი ლეკითოსისებურპირიანია, მისი ყურები-ფრინველის (იხვის) გამოსახულებებს წარმოადგენს (იხ. ტაბ. III, 3). არიბალოსი ზეთის შესანახი ჭურჭელია, რომელსაც ზონარზე ჩამოკიდებულს ხმარობდნენ. ის ფართოდ გავრცელდა საბერძნეთში ძვ.წ. VII ს-დან და ორი ძირითადი ტიპით იყო წარმოდგენილი — უფრო ადრეული, რომელსაც ფართო, დისკოს ფორმის პირი აქვს — კორინთული ტიპის არიბალოსი და მეორე — უფრო გვიანდელი, ნახევარსფეროსებურპირიანი, რომელსაც ლეკითოსისებურს უწოდებენ — ანუ ატიკური ტიპის არიბალოსი — როგორცაა *ვანის* ჭურჭელი. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში *ვანის* არიბალოსის წარმომავლობის შესახებ მკვლევართა მიერ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ითვლება, რომ არიბალოსი ატიკური სახელოსნოს ნაწარმია და მასზე გამოსახული სფინქსები მსგავსებას ავლენენ ნითელფიგურული რიტონების სფინქსების გამოსახულებებთან, რომელთაგან ერთი ატიკელი ოსტატის — სოტადის ნახელავია, მეორე კი — პისტოქსენეს [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 24]. მეორე მოსაზრების თანახმად არიბალოსი *ლიდიური* წარმოშობის ბერძნულ-სპარსულ ნაწარმს წარმოადგენს [იხ. Boardman 1990: 197], *ვანის* არიბალოსში შერწყმულია ატიკური ფორმა, იონიური, ე.წ. *ორიენტალიზებული* სტილის მოტივები, ხოლო ზოგიერთ დეტალში აშკარად იჩენს თავს აქემენიდური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ნიშნები — მაგ.: სფინქსების ფრთების აგებულება და ფორმა, იხვევის გამოსახულებები [იხ. გიგოლაშვილი 2001: 52].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს *ვანში* აღმოჩენილი დიდი ზომის ბრინჯაოს ჭურჭელი, (ან სხვა რაიმე ნივთი), რომელიც ე.წ. მოზაიკური ტაძრის ნანგრევებში აღმოჩნდა. მისი ტანი ძლიერ დეფორმირებულია — გადარჩენილია ჭურჭლის სკულპტურული დეკორი. ეს დიდი ზომის ჭურჭელი ალბათ არნივის ბრჭყალებიანი კლანჭების გამოსახულებაზე იდგა (ნაპოვნია 6 კლანჭი, ტაბ. I,2); გარდა ამისა ჭურჭელი შემკული უნდა ყოფილიყო ბრინჯაოს სამი ფრთაგაშლილი არნივის გამოსახულებით (ტაბ. I,1). მოსართავ ნაწილებს წარმოადგენს აგრეთვე ექვსი ჰორელიეფური მედალიონი, რომელიც მეღვინეობა-მევენახეობის ღმერთის — დიონისეს წრის ღვთაებებს გამოხატავს — სატირი, პანი, არიადნე, მენადები (ტაბ. I, 4-7); ყველაფერ ამას კი აგვირგვინებს გამარჯვების ქალღმერთის, ნიკეს ქანდაკება (ტაბ. VIII, 1). ნივთის ცალკეული ფრაგმენტები ჭედური ორნამენტით არის მორთული (ქიმატიონი, ვარდულები, ამურის გამოსახულება — იხ. ტაბ. I, 8); მიჩნეულია, რომ ჭურჭლის მხატვრული ორნამენტი მსგავსებას იჩენს პერგამონული წრის მხატვრულ პლასტიკასთან და თარიღდება ძვ.წ. II ს-ის 60-იანი წლებით [იხ. ხომტარია და სხვ. 1972: 178; ლორთქიფანიძე 2002: 224-226].

უცხოური მხატვრული ნაწარმის გვერდით საქართველოში ლითონის ადგილობრივი ჭურჭლის სხვადასხვა ხანის სხვადასხვა სახეობაა წარმოდგენილი: სიტულები, ფიალები, თასები, ლანგრები, რიტონები და სხვ.

სიტულები: ხშირია ბრინჯაოს სხვადასხვა ზომის ჭურჭლის — სიტულის აღმოჩენები და ის ადგილობრივ ნაწარმად არის მიჩნეული. სიტულას აქვს: განიერი პირი, დაბალი ყელი, მხრებგაზიდული ტანი; ქვედა ნაწილი სწორია და ჩასმულია პირგადაშლილი ჯამის მოყვანილობის ძირში; ჭურჭელს ორიგინალური ყურები აქვს; მათი ზურგი შემკულია ე.წ. ზოომორფული შვერილებით; ყური ან ვერტიკალურად არის სიტულის მხარზე დამაგრებული, ან ჰორიზონტალურად. ყურებში ხშირად ამოყრილია კაუჭებიანი მრგვალგანივკვეთიანი მავთულის სახელური (იხ. ტაბ. VII,1; IX,1,2) [იხ. სახაროვა 1965: 46]. ასეთი ჭურჭლის დამზადება ლითონდამუშავების მეტად რთულსა და მაღალგანვითარებულ

პროცესს გულისხმობს, რაც ჭურჭლის წარმოების, როგორც ხელოსნობის ცალკე მდგომი დარგის არსებობაზე მიუთითებს. [Сахарова 1966: 15]. ბრინჯაოს თხელ ფურცლებს პატარა მანჭვლებით კერავდნენ, ძირს ჩამოასხამდნენ ან გამოჭედავდნენ და შემოაკრავდნენ ან შიგნიდან მოარგებდნენ ჭურჭლის ქვედა ნაწილს. ამგვარი სიტულის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია, როგორც ფიქრობენ, ადგილობრივმა კერამიკულმა ფორმებმა და დეკორატიულმა მოტივებმა [იხ. სახაროვა 1965: 48; გოგაძე 1982: 57]. ბრინჯაოს ამგვარი ჭურჭლის გაჩენა-გავრცელების თარიღია ძვ.წ. VIII-V სს. არქეოლოგიური მასალა უჩვენებს, რომ ბრინჯაოს სიტულა და ტოლჩა თითქმის ერთდროულად ერთად ჩნდება არქეოლოგიურ ძეგლებზე, დროის რალაც მონაკვეთში ერთად არიან ხმარებაში, შემდეგ კი ტოლჩა ნელ-ნელა ქრება (შესაძლოა საჭმლის მოსახარმად ცეცხლზე სიტულა უფრო მოსახერხებელი იყო, რადგან სახელური ჰქონდა ჩამოსაკიდებლად). საქართველოში სიტულები და ტოლჩები მოპოვებულია — სოფლებში *ოყურეში, ლეხვანო, ქვიშარი, მარტვილი, წითელი შუქურას* ნეკროპოლზე; *ნამარნუ, ჩაბარუხისა და ფასანაურის* განძებში, *ითხვისში, ბრილისა და თლიას* ნეკროპოლების სამარხებში, *ქობულეთში, ვანში* [იხ. სახაროვა 1976: 20, 23, 34; ნიორაძე 1949: 194; ფანცხავა 1986: 29-34; გაგომიძე 1968: 37; მიქელაძე 1982: 34; კახიძე 2000-2001: 55-57; ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 238; ნადირაძე 1990: 44,46; გიგოლაშვილი 2006: 183-187; Трапш 1969: 143; Техов 1981]. უფრო გვიანდელად, ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრით არის დათარიღებული სიტულა ვანის №2, 13 სამარხიდან [მათიაშვილი 1977: 102]. ბრინჯაოს ძვ.წ. Vს-ის სიტულების გვერდით აღსანიშნავია სამი ვერცხლის სიტულა ვანის ძვ.წ. Vს-ის №11, 6, 24 სამარხში გამოვლენილი. მათ ისეთივე ფორმა აქვთ, როგორც ბრინჯაოს ჭურჭელს (ტაბ. VII,1) [იხ. კაჭარავა 2005: 301]; ბრინჯაოს და ვერცხლის სიტულების ასეთი მსგავსების გამო შეიძლება ჩაითვალოს, რომ ვერცხლის ჭურჭელი ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით შექმნილი ნაკეთობაა [იხ. გიგოლაშვილი 1999: 54-55].

მეტად საინტერესოა საქართველოში მოპოვებული ახ.წ. IIIს-ის არტეფაქტების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა სამარხებიდან მომდინარე ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსი ვერცხლის თასები. ყველა ჭურჭელი ერთი ტიპისაა — საშუალო ზომის ქუსლი, ზემოთკენ გაფართოებული ტანი, რომელიც ზოგჯერ შემკულია ქვემოდან ზემოთ მიმართული ტალღოვანი ღარებით, ზოგ შემთხვევაში კი თასის ტანს ასეთი ორნამენტის ორი სარტყელი ამკობს; ყველა ჭურჭლის ცენტრში მოთავსებულია მოოქრულგამოსახულებიანი მედალიონი შემოსაზღვრული პროფილირებული ჩარჩოთი. უმეტესი თასების მედალიონში ჩახატულია შესანიშნავი ან ცეცხლიან საკურთხევლის წინ მდგარი ცხენი, ასეთი 6 თასია. ორ თასზე ცხენი დაძაბულ პოზაშია გამოხატული, გაჭიმული წინა ფეხებით საკურთხევლის წინ (ბორი, არმაზისხევის სამარხი №94), ორზე — ტორანეული საკურთხეველთან (არმაზისხევის №94 სამარხი, არაგვისპირის №13 სამარხი), ერთზე — ტორანეული გადაქცეულ საკურთხეველთან (ზღუდერის №2 სარკოფაგში), ერთიც ისევ — ზღუდერიდან, მაგრამ გამოსახულების გარჩევა შეუძლებელია; დმ ≈20-24,8სმ [იხ. Придик 1914: 100; Мачабели 1976: 80; 1983: 104; ბრაუნდი და სხვ. 2009: 56, 98; რამიშვილი და სხვ. 1976: 37, ტაბ. XVII; მირცხულავა 2007: 129; ამირანაშვილი 1950: 100; ნადარაია 1987: 5,8]. ამ თასებს საკრალური მნიშვნელობა აქვს, მათზე დატანილი გამოსახულებები — წმინდა ცხოველი, ცხენი საკურთხეველთან, თასების საკულტო დანიშნულებაზე მიუთითებს და ალბათ, საქართველოში მითრიაზმის გავრცელებას უკავშირდება [იხ. Мачабели 1976: 84].

ერნოსა და *ხოვლეს* სამარხებში აღმოჩენილია ერთი და იგივე ფორმის, მაგრამ სხვადასხვა ზომის, ერთნაირად ორნამენტირებული ორი ვერცხლის თასი, აქვს ქუსლიანი ძირი, მომრგვალებული გვერდი, შემკულია სხვადასხვა ზომის ნუშისგულისებური ბურცობებით, კოპებით, ოთხფურცლიანი ყვავილებით, თასის ცენტრალური ნაწილი შემოსაზღვრულია ნუში ორნამენტით, ერნოს ჭურჭელზე ცენტრში გაურკვეველი შინაარსის ნიშანია გამოსახული; თასები ნაწილობრივ მოოქრულია, დმ -26,5/18, ორივე ჭურჭელი ახ.წ. III ს-ით არის დათარიღებული, მკვლევარების აზრით ადგილობრივი პროდუქციაა [იხ. რამიშვილი 1979: 77; მაჩაბელი 1983: 112; შატბერაშვილი 2007: 90, 92].

მოდინახეს №36 სამარხში აღმოჩენილია ვერცხლის სურა, ბრტყელძირიანი, მსხლისებურტანიანი, ტანის ყელთან შეერთების ადგილზე რელიეფური სარტყელი შემოუყვება, მიჩნეულია ადგილობრივი ნარმოების პროდუქციად [ნადირაძე 1975: 71].

საქართველოში მოპოვებულ ტორევიტიკულ ნანარმში ინტერესს იწვევს ჭურჭლის კიდეე ერთი სახეობა — ვერცხლის ყანწ-რიტონები. რიტონი ძირითადად ღვინის სასმელად იხმარებოდა, მას საკრალური ფუნქციაც ჰქონდა — გამოიყენებოდა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალში — სამარხში ჩატანება, საფლავზე ღვინის შესმა [იხ. გამყრელიძე 1982: 78]. ერთი რიტონი სოფ. მთისძირის ძვ.წ. IV ს-ის სამარხშია აღმოჩენილი (ტაბ. VII, 6); ფართოპირიანია, ბოლოვდება ვაც-კაცის გამოსახულებით; ყანწის შემორჩენილი ნაწილები დაფარულია ჰორიზონტალური კანელურებით და შემკულია პირს ქვემოთ სუროს ფოთლების გირლანდით და წნული ორნამენტით. შემკულობაში გამოყენებულია რელიეფური ორნამენტი, ამოკანვრის და დაჭდევის ტექნიკა. სოფ. მთისძირის ყანწ-რიტონი მიჩნეულია ადგილობრივი ხელოსნის ნახელავად, რომელშიც შერწყმულია აღმოსავლური — აქემენიდური ხელოვნების გავლენა და ადგილობრივი რელიგიური ნარმოდგენები [დანვრ. იხ. გამყრელიძე 1982: 73, 78-79; Gamkrelidze 2010: 205-206].

მეორე ვერცხლის ყანწ-რიტონი ნაპოვნია ზემო რაჭის სოფ. გომში (ტაბ. VII, 7); ის წაგრძელებული კონუსის ფორმისაა, პირ-ყელის ნაწილი დაზიანებულია, ქვედა ნაწილი-მოტეხილი, შემორჩენილი სიმაღლე -13სმ; ორნამენტირებულია სამი სარტყლით. ზედა — კანელურებიანი ფრიზია, შემდეგ სარტყელზე გამოსახულია ბრძოლა შუბებით, სატევრებით და მშვილდ-ისრით შეიარაღებულ ოთხ ადამიანს შორის, მათ ხელში ფარები უჭირავთ, თავზე კი მუზარადი ახურავთ. მესამე სარტყელზე მოთავსებულია ორი ცხოველისა და ხის გამოსახულება. ფიგურები სქემატურია, შესრულებულია ჩაჭდული ხაზებით და დაბალ რელიეფში. მიჩნეულია, რომ ვერცხლის ეს ჭურჭელი ადგილობრივი ნანარმია, დამზადებულია ზოგადად გვიანანტიკურ ხანაში და სავარაუდოდ, ბრილის სამაროვნიდანაა [იხ. გამყრელიძე 2002: 39, 41-44; Gamkrelidze 2010: 206-210].

ოქროს ძალზე მცირე ზომის სანური (ციცხვი), კოვზისებური ფორმის, აღმოჩენილია საირხის №10 სამარხში, ტარი შემკულია სპირალური ორნამენტით, პირი დახვრეტილია, სიგრძე -6,7სმ, სამარხეული ინვენტარით ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება; მსგავსი ფორმის ციციხეები მოპოვებულია ფიჭვნარში, ვერცხლის, აღმოჩნდა ძვ.წ. V ს-ის №70 სამარხში, სიგრძე -14სმ. ახ.წ. VI ს-ის ბრინჯაოს ფიალა აღმოჩენილია გველეთის ნეკროპოლის №13 სამარხში, თხელი ფურცლისგანაა დამზადებული, ტანი — სწორხაზოვანადაა მიმართული, პირის დმ -10,5სმ [მინდორაშვილი 2005: 37, 84-85].

ზემოთ აღწერილი ვერცხლისა და ბრინჯაოსგან შექმნილი არტეფაქტები გარკვეულ სურათს იძლევა ძველი საქართველოს მხატვრული ხელოვნების, კერძოდ კი, ლითონის ჭურჭლის როგორც დამზადებისა და მხატვრული დამუშავების შესწავლისთვის. უცხოური ტორევიტიკის ნანარმი ძვ.წ. Vს-დან ჩნდება და ძირითადად ატიკური პროდუქციით შემოიფარგლება. ძვ.წ. IVს-ის მეორე ნახევრიდან ათენიდან შემოტანილი პროდუქცია კლებულობს და მის ადგილს აღმოსავლური, უფრო ზუსტად, აქემენიდური ხელოვნების წრის ნანარმი იკავებს, მომდევნო საუკუნეებში კი ელინისტური სამყაროს სხვადასხვა ქვეყნიებიდან შემოტანილი არტეფაქტების ასორტიმენტი ფართოვდება და უფრო მრავალფეროვანი ხდება. რომაული ხანა გამოირჩევა შემოტანილი ტორევიტიკის ძეგლების რაოდენობით, მხატვრული ხარისხით, მრავალგვარობით. რომაელთა ეკონომიკური ინტერესების სფეროში მოექცა ამ დროს სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს კავკასიაზე გავლით დასავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა [იხ. გამყრელიძე 2011: 79]; რომაული კულტურის გავლენა განსაკუთრებით გაძლიერდა ახ.წ. II-IV სს-ში, რომანიზაციამ უფრო ძლიერად იჩინა თავი შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში, აგრეთვე იბერიის პოლიტიკურ ცენტრში — მცხეთაში, სადაც აღმოჩნდა ლითონის არტეფაქტების შემცველი მდიდრული სამარხები.

ადგილობრივი ტორევიტიკული ნანარმიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულია მრავალფეროვანი ნაკეთობანი: ბრინჯაოს და ვერცხლის — სიტულები,

ფიალები, რიტონები, თასები, რომლებზედაც გრავირებული გამოსახულებებია დატანილი და სხვ. ზოგიერთი ნივთი ალბათ უცხოური ნაწარმის გავლენით მზადდებოდა. ახ.წ. V-VII სს-ში ტორევეტიკული ნაწარმი საგძნობლად მცირდება. ეს ფაქტი შესაძლებელია, ახალ იდეოლოგიურ (ქრისტიანობის) ცვლილებებს უკავშირდებოდეს; სამარხში მდიდრული ნივთების ჩატანების ძველი ტრადიცია თანდათან ქრება. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



ცხენის აკაზმულობა

ირ. სულთანშვილი, მ. ფირცხალავა

კავკასიაში შინაური ცხენის ძვლები აღმოჩენილია არაერთ არქეოლოგიურ ძეგლზე. სამხრეთი კავკასია ცხენის დომესტიკაციის ერთ-ერთ უძველეს კერას წარმოადგენს. *ზემო ავჭალაში* აღმოჩენილი ცხენის უძველესი ჩონჩხი გვავარაუდებინებს, რომ ცხენის კულტი სამხრეთ კავკასიაში უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან ყალიბდება. შუაბრინჯაოს ხანის *თრიალეთის* რამდენიმე ყორღანში ცხენის ძვლები არაერთგზის არის დადასტურებული. გვიანბრინჯაოს ხანიდან კი ცხენი გამოიყენება როგორც გამწევი ძალაც.

ცხენის აღკაზმულობის ძირითადი ნაწილია ალვირი, რომლის მნიშვნელოვანი დეტალია ლაგამი — ის დასამორჩილებლად პირში ამოედებოდა ცხენს. უძველეს ეპოქაში ამ მიზნით ტყავის თასმა იხმარებოდა. დროთა განმავლობაში ცხენის სამართავი მოწყობილობა გართულდა და დაიხვეწა. ალვირის ჩამოყალიბებული სახის შემადგენელი ნაწილებია ლაგამი საყბურებითურთ და ე.წ. სათაური — ცხენის თავზე ჩამოსაცმელი ღვედების მთელი სისტემა (სადავის, საშუბლის, ყბების ქვეშ ამოსადები), რომელსაც ხშირად თან ახლავს ღვედების შემკრები და განმანაწილებელი დეტალები — მცირე უმბონები, ე.წ. ასხმულები და ასევე საშუბლე და საცხვირე ფირფიტები, რომლებიც ცხენის დამცავად და მორთულობად მოიაზრებიან. ბრინჯაოს ლაგამი ძვ.წ. II ათასწლეულიდან ვრცელდება. ეს იყო ჯერ მთლიანი, შემდეგ კი ორწილადი ღერო, რომელსაც ბოლოებზე სხვადასხვა ფორმის ე.წ. საყბურები ჰქონდა წამოცმული. უძველესი ლაგამი, ისევე როგორც დღევანდელი, ორი ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა — საკუთრივ ლაგმისაგან და საყბურისაგან, რომელიც ლაგამს აფიქსირებს. ლაგმის სხვადასხვა ფორმით დამზადება მხოლოდ მცირე ცვლილებებით შეიძლება. მთლიანი და ორწილადი ლაგმის გამოყენებით განსხვავებული ძალით ხდება ცხენზე ზემოქმედება. საყბურები კი ფორმის მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. მათი ძირითადი განმასხვავებელი კრიტერიუმია საყბურის ტანი, რომელიც ლაგმის მიმართ ვერტიკალურად არის განლაგებული. უძველესი ლაგმები დასავლეთ აზიის ტერიტორიიდან მომდინარეობს და ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება. ამ ტიპის ლაგმებს ბრტყელი, ბორბლის ფორმის საყბური აქვთ წამოცმული. სამხრეთ კავკასიაშიც არის აღმოჩენილი ამნაირი ლაგმები.

საქართველოში, განსახილველ ხანაში, სხვადასხვა ტიპის ლაგმები და საყბურები გვხვდება. საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VIII-VII სს-ის ე.წ. მოძრავ კონსტრუქციანი [იხ. *Абрамишвили 1995: 37*] ლაგმები, ანუ ლაგმები მოძრავი საყბურებით არის აღმოჩენილი. ისინი ორწილადია, აქვთ რგოლური დაბოლოებები, რომლებზეც თავისუფლადაა დამაგრებული სხვადასხვა მოყვანილობის საყბურები: ლაგმის თითოეული ღერო გაყრილია საყბურის შუა, ძირითად ნახვრეტში ისე, რომ მისი რგოლური დაბოლოება გარეთა მხარეს ექცევა და ის სადავის ღვედებისთვისაა განკუთვნილი; მეორე ბოლოთი კი ლაგმის ღეროები ერთმანეთში გაყრილი მარყუჟებით ებმის ერთმანეთს. ლაგამთა ამ ერთობის შიგნით ვარაიციებს ქმნის საყბურის მოყვანილობა და მისი ბოლოების

გაფორმება, რის შედეგად ვლემულობთ რამდენიმე ნაირსახეობას: გაირჩევა ე.წ. შვეტილდეროიანი საყბურების მქონე ბრინჯაოს ორნილადი ლაგმები, და მარყუჟიანი საყბურების მქონე ბრინჯაოს (ზოგჯერ რკინის) ლაგმები.

სამხრეთ კავკასიაში ე.წ. *მოძრავი კონსტრუქციის* ლაგმების აღმოჩენის ადგილებია: *თრელი* [აბრამიშვილი 1995: 24, 34, სურ. 5 -1-6, 9-15], *ნარეკვაი* [ოქროპირიძე 1963: 17], *ნინწყარო* [Куфтин 1941: 58 ნახ. 56], *თაქილისა* [Куфтин 1941: 58], *მელაანი* [ფიცხელაური 1965: ტაბ. XXII, XXIII], *ტოლა* [ქორიძე 1965: 18], *რენე* [ირემაშვილი 1974: ტაბ. XXVII, 6], *ზეკარი* [Куфтин 1941: ნახ. 57], *დიმაცი* [Мартиросян 1964: ტაბ. XIII], *დვინი* [Кушнарева 1977: 32], *რეტკინ-ლაგერი* [Есаян 1976: ტაბ. 104]; *მაკარაშენი* [Есаян და სხვ. 1982: 119], *კარმირ-ბლური* [Пиотровский 1955: 34], *ბჟინში* [Есаян და სხვ. 1982: 119]. *არჩაძორ-დავშანლი* [Кушнарева 1957: 138, ნახ. 2], ელენენ დორფი [Гуммель 1939: 215], მინგეჩაური [Асланов და სხვ. 1959: XXXIX]. მსგავსი ლაგმები აღნიშნული ტიპის საყბურებით მოპოვებულია ასევე ირანის ტერიტორიაზეც — *თეფე სილკის* ნეკროპოლზე [Ghirshman 1964: ნახ. 339], *ლურისტანში* [Potratz 1966: 137, ნახ. 59ა] და სხვ.

საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში მოპოვებულ ლაგმებს შორის არის ბრინჯაოს ორნილადი სპეციფიკური ფორმის, ე.წ. უზანგისებრგოლიანი ლაგმები, რომლებიც უზანგის მოყვანილობის რგოლით ბოლოვდება და ერთ შემთხვევაში თან ახლავს რკინის ორი საყბური სამ-სამი ოვალური ფორმის მარყუჯით, ოდნავ მოხრილი ცალი ბოლოთი (*ყულანურხვას №4* სამარხი) [იხ. Трапш 1962: 235], ხოლო მეორე შემთხვევაში — რქის სამნახვრეტიანი ორი ორნამენტირებული საყბური (*თლიას №68* სამარხი) [Техов 1980: 21, სურ. 2,4-6,9]. რქის საყბურების ერთი ბოლო ჩლიქის სახითაა წარმოდგენილი. საყბურები ორნამენტირებულია: ორ სიგრძივ ღარს შორის განივი ირიბი ქდეება დატანილი, ნახვრეტების გასწვრივ შესქელებული ადგილები კი შემკულია ოთხსხივიანი სოლარული ნიშნებით [იხ. ფირცხალავა 1978: 42, ტაბ. 1-2]. უზანგისებრი რგოლებით დაბოლოებული ლაგმები საქართველოს ნივთიერი კულტურისთვის არ არის ტიპიური. ამ სახის ბრინჯაოს ლაგმები ფართოდ არის გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიასა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე და განსაკუთრებით დამახასიათებელია *კელერმესის* იმ კომპლექსათათვის, რომლებიც ძვ.წ. VIII-ის შუახანებითა და VI-ის დასაწყისით თარიღდება [Галанина 1997: 120; Эрлих 2010: 80]. პარალელურად, ამავე პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება რკინის ასევე ორნილადი ლაგამ-საყბურები, რომელთა თითოეული ნაწილი ერთმანეთში გაყრილი ორი მარყუჯით არის დაკავშირებული. ისინი აღმოჩენილია სოფ. აბანოში გათხრილ *ციხიანას* სამაროვნის №6 სამარხში [Нуцубидзе 1978: 69, ტაბ. 245]; *დვანის* ნეკროპოლზე №4 სამარხში [მაკალათია 1948: სურ. 5, 18]; *ნაცარგორას* №126 სამარხში [Наридзе 1987: 75 ტაბ. 119]; *ბრილში* [გობეჯიშვილი 1952: ტაბ. 43].

ძვ.წ. VI ს-ის დასასრულიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება ბრინჯაოს ლაგამსაყბურის ახალი ტიპი, რომელიც დასავლეთ აზიაში არის გავრცელებული და რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში ე.წ. აქემენიდური ტიპის ლაგმების სახელით მოიხსენიებენ [იხ. Иванчик 2001: 194, სურ. 86]. კონსტრუქციის მიხედვი ეს ლაგმები მიეკუთვნება საყბურებთან მყარად დამაგრებული ლაგმების კატეგორიას. ამ ტიპის, ე.წ. *უძრავი კონსტრუქციის ლაგმების* ცალკე ჯგუფად გამოყოფა განპირობებულია იმით, რომ მათი თითოეული ნაწილი საყბურებთან ერთად არის ჩამოსხმული (ბრინჯაოს ნიმუშები) ან გამოჭედილი (რკინის ეგზემპლარები). ბრინჯაოს ლაგმის ღეროები დაფარულია რიგებად განლაგებული ბრინჯაოს პანია ბურცობებით და ისინი ერთმანეთს უკავშირდება ცხელი ქედვის გზით მიღებული რგოლებით. საქართველოში აღმოჩენილი ამ ტიპის ლაგმებში საყბურების მოყვანილობის მიხედვით გაირჩევა [იხ. Эрлих 2010: 77, სურ. 4, 47]. ე.წ. შვეტილტანიათი საყბურების მქონე ლაგმებს შუა ნაწილში აქვთ სადავისთვის განკუთვნილი დიდი რგოლი, რომლის აქეთ-იქით თითო ხვრელია ღვედებისათვის. ხვრელებთან საყბურების ღეროები შესქელებულია. ამ სახის ლაგმებს, განსხვავებით ამ

ჯგუფის დანარჩენი ლაგმებისაგან, აქვთ მესამე დამატებითი რგოლი, რომელიც ლაგმის ორ შიდა რგოლს ერთმანეთთან აკავშირებს. ისინი აღმოჩენილია: *ენაგეთის* ძვ.წ. IV ს-ის №1 სამარხში [მარგიშვილი 1992: 30, 68-72, ტაბ. XXI1]; *საირხის* ძვ.წ. V ს-ის შუახანების №5 სამარხში [ნადირაძე 1990: 85, 157-158, ტაბ. XXVI; მახარაძე და სხვ. 2007: 58, სურ. 81,83,84]. მსგავსი ლაგმები ცნობილია *პერსეპოლისის* საგანძურიდან, *დევე შუიუკის* II ჯგუფის (ძვ.წ. 480-380 წწ) სამარხიდან [იხ. Эплих 2010: 71].

მორკალული ფორმის საყბურებიანი ლაგმები აღმოჩენილია *იოხვისის* ძვ.წ. V-IV სს. №21 სამარხში [იხ. გაგოშიძე და სხვ. 2006: 56-59, სურ. 52; ლორთქიფანიძე გ. 1978: 88]. აგრეთვე — *ცხავათში* (ქსნის ხეობა), *სვირში*, *ჩხარში* [იხ. Куфтин 1941: 60, სურ. 58ა 3-4, 6-7]. მარყუჟიანი საყბურების მქონე ლაგმები აღმოჩენილია *საირხის* ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრის №5 სამარხში [ნადირაძე 1990: 157-158, ტაბ. X,2. მახარაძე და სხვ. 2007: ფ. 73, 77]; *ნითელი შუქურის* სამაროვნის ძვ.წ. V ს-ის №8 სამარხში [Трапш 1969: 185, ტაბ. XXII, 2]; *ვანში* [ლორთქიფანიძე გ. 1978: ტაბ. VIII, 1], *ანყურში* [Куфтин 1941: 60, სურ. 58ა, 5] და სხვ.

საქართველოში მოპოვებულ ე.წ. *უძრავი კონსტრუქციის* ლაგამ-საყბურთა შორისაა ძვ.წ. V ს-ის რკინის ლაგმები, რომლებიც ე.წ. *აქემენიდური ტიპის* ბრინჯაოს ლაგმების მიბადვით ადგილობრივად დამზადებულად არიან მიჩნეული [იხ. Эплих 2010: 77-79, სურ. 4-47]. ერთ შემთხვევაში ესაა ორწილადი ლაგამი, რომლის თითოეული ნაწილი გამოჭედილია საყბურთან და სადავის გასაყრელ რგოლთან ერთად. საყბურს აქვს მორკალული ფორმა და სათაურის ღვედების გასაყრელი ორი მცირე ზომის ნახვრეტი სადავის რგოლის ორივე მხარეს. ბოლოებზე გირჩისებური შემსხვილებებია [ლორთქიფანიძე 1985: 116, ტაბ. II, 9]. მეორე სახესხვაობის ლაგმები ასევე ორნაწილიანია, გამოჭედილი საყბურებთან ერთად. ლაგმის ღეროები ერთმანეთზე გადაბმულია თითო რგოლით; ყოველი საყბური წარმოადგენს ფირფიტას, რომლის ბოლოები გარეთკენაა ოდნავ გადახრილი; მასზე სამი ნახვრეტია; ამ ნახვრეტების გასწვრივ საყბურის გარეთა კიდე ნახვრეტების ზომების შესაბამისად გამობერილია და მარყუჟების იმიტაციის შთაბეჭდილებას ქმნის. სწორედ ამ ნიშნით უკავშირებენ ამ სახის ლაგმებს ე.წ. სამმარყუჟიან ბრინჯაოს ლაგმებს უძრავი საყბურებით, რომლებიც მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზეა გავრცელებული.

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება ბრინჯაოს ლაგმების ახალი, უფრო განვითარებული ტიპი. ეს არის *ლაგმები მოძრავი საყბურებით*. ორ ან სამ ნაწილიან ლაგმებზე მიმაგრებულია მოძრავი სამმარყუჟიანი საყბურები, რომლებიც ორი სახისაა — მრგვალგანიკვეთიანი ღეროს ან ბრტყელი ფირფიტის ფორმისა. ისინი, როგორც წესი, ძვ.წ. IV ს-ის შუახანებითა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის მდიდრულ სამარხებშია აღმოჩენილი. ლაგმები მოძრავი, ღეროვანი საყბურებით სამწილადია, თითოეული ნაწილი წარმოადგენს მოკლე ღეროთი შეერთებულ ორ რგოლს. ყოველი ნაწილი ცალ-ცალკეა ჩამოსხმული და შემდეგაა ერთად ასხმული. განაპირა რგოლებით ლაგმები საყბურს ებმის შუა მარყუჟთან. ამავე განაპირა რგოლებში გაყრილია კიდევ ერთი დამატებითი, სადავისათვის განკუთვნილი რგოლი. ლაგმის ყოველ ღეროზე ცხელი ქედვით ჩამოცმულია სადა ან დაკბილული დისკოები (რომლებიც დამატებით ტკივილს აყენებდა ცხენს). ეს ლაგმები აღმოჩენილია: *ყანჩათში* [გაგოშიძე 1983: 2; ტაბ. VIII, IX; ლორთქიფანიძე 2003: 39, სურ. 22, 23]; *ახალგორში* [ლორთქიფანიძე 2003: 31]; *ნინეაროში* (ალგეთი) [Куфтин 1941: 35; ტაბ. XII; ლორთქიფანიძე 1989: 323] *ვეშაპიდის* გორაზე (საირხესთან) [ნადირაძე 1975: 108. ტაბ. XXXI2].

ე.წ. *ბრტყელ საყბურებიან ლაგმები* ორწილადია. ლაგმის ყოველ ღეროზე (ვანის ლაგმის გარდა) ჩამოცმულია თითო ბურცობებიანი ცილინდრი. საყბურები ლაგამთან შეერთებულია გარეთა ცენტრალური რგოლით, რომელშიც გაყრილია დამატებითი სადავის რგოლი. ბრტყელი საყბურების ორივე ბოლო ზოგ შემთხვევაში დაკბილულია; აღმოჩენილია *იოხვისში* [გაგოშიძე და სხვ. 2006: ტაბ. XIV, 39]; *ვანში* [კაჭარავა და სხვ. 1986: 25. ტაბ. XIII, 5. სურ. 81, 135]; *საირხეში* [მახარაძე და სხვ. 2007: 45, სურ. 48]; *ახალგორში* [ლორთქიფანიძე 2003, სურ. 131, 2]; *ტახტიძირში* [გაგოშიძე 1997: 17]. სწორღეროიან საყბურებიანი ლაგმების მსგავსად, ეს ლაგმებიც მხოლოდ საქართველოს მდიდრული,

თანადროული სამარხეული კომპლექსებისთვისაა დამახასიათებელი. ძვ.წ. V ს-ში ჩნდება, ხოლო ძვ.წ. IV ს-ში ფართოდ ვრცელდება ე.წ. მარყუჟისებურ ბოლოებიანი ლაგამები. მათ ლაგამზე წამოცმული ჯვრისებური ფორმის დაკბილული ბოლოები აქვთ. ამავე პერიოდში გვხვდება სხვადასხვა ფორმის რკინის, ბრინჯაოს და ბიმეტალური საყბურები, აქედან ორი ტიპის საყბურები [იხ. Эплих 2010: 86-88, სურ. 6, 2-5, 10].

ძვ.წ. I ს-სა და ახ.წ. I-III ს-ში ცხენის აკაზმულობის აღმოჩენის მხოლოდ ერთეული შემთხვევები გვაქვს. რკინის ლაგამ-საყბურები ნაპოვნია *ბაგისჭალაში* ძვ.წ. I ს-ის II ნახევრით დათარიღებულ სამარხში [Раишвили 1982: 58]. ინტერესს იწვევს არმაზისხევის სამაროვნის №6 სამარხში (ახ.წ. II ს-ის მინურული) აღმოჩენილი ვერცხლის ლაგამი, რომელიც ვერცხლის პინაკზე იდო [აფაქიძე და სხვ. 1955: 78, ტაბ. XXIV-3, სურ. 42]. აქვე იყო ბრინჯაოს წყვილი დეზი; მასალის (ვერცხლი) არაეფექტური გამოყენების გამო საფიქრებელია, რომ ლაგამს არ უნდა ჰქონოდა პრაქტიკული დანიშნულება და ის შესაძლოა საპარადო აღჭურვილობის ნაწილი იყო.

როგორც ითქვა, ცხენის თავზე ჩამოსაცმელი ღვედების სისტემას — ე.წ. *სათაურს* — ხშირად (მდიდრულ სამარხებში) თან ახლავს *საშუბლე* და *საცხვირე* ფირფიტები. საქართველოში ნაპოვნია რამდენიმე ტიპის საშუბლე ფირფიტა. მათი ფუნქციის მიხედვით გაირჩევა საშუბლე-მუზარადი, რომელიც ფარავს არა მარტო შუბლის მხარეს, არამედ მთელ სახეს ნესტობამდე, და პარადული დანიშნულების საშუბლე ფირფიტები. ბრინჯაოს *საშუბლე-მუზარადი* ნაპოვნია სოფ. *ბაღლანში* ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამარხში. საშუბლე მთლიანად ფარავს ცხენის სახეს და გადმოსცემს ცხენის თავის ანატომიურ დეტალებს. სხვადასხვა ფორმისა და მასალის საშუბლეს, როგორც ცხენის აღჭურვილობის შემადგენელ ნაწილს, დიდი არეალი და ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონი აქვს. ძველ სამყაროში საშუბლე ძვ.წ. IX-VIII ს-დან არის ცნობილი, ხოლო საშუბლეები ცხენის თავის ნაკეთების გადმოცემით მხოლოდ ძვ.წ. V ს-დან ჩნდება და ძვ.წ. IV ს-ის ფართოდაა წარმოდგენილი აღმოჩენებითა და გამოსახულებათა სახით. საქართველოში, ისევე როგორც ძველ სამყაროში (მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, ანატოლიის ტერიტორიაზე, ირანში, ურარტუში, საბერძნეთში), ცხენის საშუბლეები სოციალური ზედაფენის წარმომადგენლების სამარხებში გვხვდება [იხ. კვიციანი 2001: 56-59, სურ. 2-3].

ცალკე ჯგუფს ქმნიან ვერცხლის პარადული დანიშნულების ნახევარმთვარის ფორმის ფირფიტები, ე.წ. *ლუნულები*; მათ აქვთ ნალისებური მოყვანილობა, ბოლოები სპირალურადაა ჩახვეული, ზედა მხარეს მირჩილული აქვთ ბრტყელი ფირფიტისაგან დამზადებული მილაკი-ყუნწი, რომელშიც როგორც ჩანს საშუბლე ღვედები იყრებოდა. არის სადა და ორნამენტირებული ნიმუშები. ერთ შემთხვევაში ფირფიტა შემკულია გრავირებით გამოყვანილი ნახევარმთვარითა და ვარდულებით. ამ ტიპის საშუბლე ფირფიტები ცნობილია *ვანის* №16 და *ყანჩეთის* სამარხებიდან და ე.წ. ახალგორის განძიდან [ლორთქიფანიძე 2001: 182]. ეს სამარხები ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევრით - ძვ.წ. III ს. დასაწყისით თარიღდება [კაჭარავა და სხვ. 1986: 24. ტაბ. 131, 2; გაგომიძე 1964: 62. ტაბ. IX, 73]. იშვიათი ფორმისანი არიან *საირხის* ვერცხლის მცირე ზომის საშუბლეები. მათ ვარდულის გრავირებულ გამოსახულებიანი წრე აქვთ. ნაპოვნია ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით დათარიღებულ სამარხში [მახარაძე და სხვ. 2007: 44-45; ფ. 47, სურ. 14]. ვერცხლისავეა ორი *საშუბლე* ფირფიტა *დაბლაგომის* ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის სამარხიდან [იხ. თოლორდავა 1976: 70-71, სურ. 101-102]. განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან ბრინჯაოს ე.წ. *ცხოველსახოვანი საშუბლეები* — ჭვირული ან გრავირებული ფირფიტები, რომლებზეც ძლიერ სქემატურად გამოსახულია სხვადასხვა კომპოზიციები: გრავირებული ავაზა განრთხმულ პოზაში (მაგ. გიენოსიდან), რომელსაც ანალოგიები ეძებნება *ყუბანისპირეთის* საშუბლეებს შორის. ეს საშუბლეები საქართველოში შესრულებულია მხატვრული მანერით, რომელიც ე.წ. *ცხოველსახოვანი* სტილის სახელითაა ცნობილი [იხ. Эплих 2006: 108].

ცხენის აღვირის კიდევ ერთი შემადგენელი ელემენტია სათაურის ღვედების შემკრები და განმანაწილებელი სხვადასხვა მასალისა (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს) და ფორმის

დეტალები — ბალთები, მცირე უმბონები და ე.წ. ასხმულები. ერთ-ერთი ასეთი დეტალია ე.წ. ფრინველის ნისკარტისებური მოყვანილობის ე.წ. ასხმულა, რომელსაც ცილინდრული ან კვადრატული ფუძე აქვს ორი ან ოთხი ნახვრეტით. ეს მცირე მოცულობითი ფორმები მტაცებელი ფრინველის თავის ძლიერ სქემატიზირებული გამოსახულებებია, სადაც მოტივი დაყვანილია მხოლოდ ორი ნაკვთის — დიდი თვალისა (ნახვრეტის სახით) და მოხრილი ნისკარტის გადმოცემამდე. ამ ტიპის სხვადასხვა მასალის ასხმულები — ოქროსი, ბრინჯაოსი, ძვლისა — აღმოჩენილია საქართველოს შეკაზმულცხენიან კომპლექსებში: ციხიანას სამაროვნის №6 სამარხში (ბრინჯაო), ნაცარგორას №126 სამარხში (ძვლის), ჯანტუხის კრემაციულ სამარხში (ბრინჯაო); ძვ.წ. V ს-საა ითხვისის (ძვლის), საირხის (ოქრო, ძვალი) და ზესტაფონის (ბრინჯაო) [იხ. ფირცხალავა და სხვ. 2013] ასხმულები. ამ ფორმის ასხმულები ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და ჩრდილო კავკასიაში ძვ.წ. VII-VI სს-დან; შემდეგ ეს ასხმულები ჩნდება სამხრეთ კავკასიაში, ძვ.წ. VI-V სს-ში კი მათ ვხვდებით აქემენიდურ სამყაროში — ამ ფორმის ასხმულები გამოსახულია *პერსეპოლისის* რელიეფებზეც [იხ. Галанина 1997: 124; Иванчик 2001: სურ. 36].

ბალთა-უმბონი ცხენის ე.წ. სათაურის ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც სათავო ღვედების გადაჯვარედინების ადგილას მაგრდებოდა, სხვა შემთხვევაში კი მას ამ ღვედების შემკობის ფუნქცია ჰქონდა. ყველაზე ადრეულები (ძვ.წ. VIII-VII სს) *თრელის* №16 ყორღანის (38ც.) და *მელაანის* სამლოცველოს ბრინჯაოს წრიული ფორმის უმბონები [იხ. ბრამისჰვილი 1995: ნახ. 41,14; ფიცხელაური 1965: 87. ტაბ. XII, 2-3]. ქრონოლოგიურად მომდევნო ჯგუფია ბრინჯაოს ბრტყელი, წრიული ფორმის უმბონები უკანა მხარეს ყულფით, სადაზედაპირიანები ან შვიდფურცლიანი გრავირებული ვარდულის გამოსახულებით (მაგ.: ციხიანას სამაროვანი, *ოჩამჩირე*). ამ ტიპის უმბონების ქრონოლოგიური დიაპაზონი — ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. III ს-ის ჩათვლით [Эрлих 2010: 95]. ძვ.წ. VI ს-დან ჩნდება და ძვ.წ. IV ს-ის განმავლობაში ვრცელდება ნახევარსფერული უმბონები ყუნწით (*აგუძერა*) [იხ. Воронов 1975: 230. სურ. 106,11., 12-15]. ძვ.წ. IV ს-ში ჩნდება ჭვირული ბალთები-უმბონები (მაგ.: *აგუძერა*, *ახულ-აბაა*, *ოჩამჩირე*) [Галанина 1983: 117]. ამავე ხანისაა ვარდულის ფორმის უმბონებიც (მაგ. *ახულ-აბაა*) [Воронов 1991: 231. ნახ. 63 (6)].

ძვ.წ. III ს-დან მაღალ სოციალურ ფენაში მკვიდრდება ცხენის თანადაკრძალვის ტრადიცია. ცხენის ან ცხენის აკაზმულობის ნაწილები მდიდრული სამარხის აუცილებელი ატრიბუტი ხდება. შეიძლება ითქვას, რომ მათი სამარხეულ ინვენტარში არსებობა დაკრძალულის სოციალური სტატუსის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია. საქართველოში აღმოჩენილ მდიდრულ სამარხებში ცხენის თანადაკრძალვა რომ გარკვეულ სოციალურ სტატუსზე მიუთითებს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ დაკრძალვის წესში შემავალი ეს ელემენტი დანინაურებული სოციალური წრის ქალთა კუთვნილ სამარხებშიც გვხვდება [მარგიშვილი 1992: 91-101]. სამხრეთ კავკასია მეცხენეობის განვითარების ერთ-ერთი უძველესი რეგიონია. თუ წინარეანტიკურ პერიოდში ცხენის აღკაზმულობა საქართველოში ერთეულების სახით გვხვდება, ანტიკური ხანიდან საქართველოს ტერიტორიაზე ვხვდებით ე.წ. აქემენიდური ტრადიციის მქონე ლაგმების სახეობებს. ძვ.წ. II ს-დან ცხენის აღკაზმულობა საქართველოს ტერიტორიაზე იშვიათი გამონაკლისის გარდა აღარ გვხვდება (ის ერთეულების სახით არის წარმოდგენილი ძვ.წ. II ს-ის -ახ.წ. III ს-ში). **იხ. ტაბ. ბოლოში.**



ბრინჯაოს ქანდაკებების შესახებ

მ. ფირცხალავა

ბრინჯაოს წარმოებას საქართველოში განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. სხმული ბრინჯაოს ნივთები აქ ძვ.წ. III ათასწლეულიდან არის ცნობილი [ინანიშვილი და სხვ. 2010: 116-133]. ასე რომ სხმული ბრინჯაოს მრგვალი ქანდაკების გაჩენას ანტიკური ხანის საქართველოში ტექნოლოგიური წინაპირობა ჰქონდა. საქართველოში ნაპოვნი ბრინჯაოს ქანდაკების კოლექცია მოიცავს დიდი მასშტაბის ქანდაკებისა (ძირითადად ფრაგმენტულ) და ე.წ. მცირე პლასტიკის ნიმუშებს. ამ უკანასკნელთა შორის გაირჩევა, ერთი მხრივ, დამოუკიდებლად მდგომი, ზოგჯერ პატარა კვარცხლბეკზე აღმართული სტატუეტები, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა საგნების ფიგურული მორთულობანი. გამოსახულებათა სტილის მიხედვით თვალნათლად იმიჯნება ადგილობრივი წარმომავლობის და ბერძნულ-რომაული იერის ქანდაკებანი.

სხმული ბრინჯაოს ფიგურები ერთეულების სახით საქართველოს სხვადასხვა პუნქტში არის აღმოჩენილი, კოლექციის ძირითადი, უმდიდრესი ნაწილი კი მომდინარეობს ვანის ნაქალაქარიდან, სადაც წლების მანძილზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია ჭაბუკის ტორსი და სხმული ბრინჯაოს ნაწარმის ათასამდე ფრაგმენტი, რომელიც სხვადასხვა მასშტაბის ქანდაკებებს ეკუთვნოდა. ეს არის ანტიკური ხანის ბრინჯაოს ქანდაკების უნიკალური კოლექცია. კლასიკურ ხანაში მრავალი ბრინჯაოს ქანდაკების არსებობის შესახებ გვიყვებიან მწერლები და მოგზაურები, მათ შემოგვინახეს მოქანდაკეთა სახელები, სკულპტურებში ასახული პერსონაჟების ვინაობა; გამქრალია ქანდაკებები, მაგრამ შემორჩენილია ქანდაკებების კვარცხლბეკები წარწერებით, რომლებიც უტყუარი წყაროა ბრინჯაოს ქანდაკების ისტორიის შესწავლისათვის. ერთ-ერთი მიზეზი, და შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი, ბრინჯაოს ქანდაკების გაქრობისა, ის უნდა იყოს, რომ ბრინჯაო ძვირადღირებული მასალა იყო მუდამ, და რადგან ადვილად ხდებოდა მისი გადადნობა, დაზიანებულ ქმნილებებს და მათ ფრაგმენტებს ხელახლა ჩამოასხამდნენ სხვადასხვა ნაკეთობების დასამზადებლად, იქნებოდა ეს ისევ სკულპტურა თუ სხვა უტილიტარული საგნები — ყველაზე ხშირად კი ეს იყო იარაღი და აღჭურვილობა. ბრინჯაოს შემორჩენილი ქანდაკებების დიდი ნაწილი რომაული კოპიოებია. ვანში კი, როგორც ირკვევა, ორიგინალბთან გვაქვს საქმე. უფრო მეტიც, არის მონაცემები, რომ ამ ქანდაკებების ერთი გარკვეული ნაწილი მაინც ადგილზეა ჩამოსხმული. ამას მოწმობს ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ბრინჯაოს სამსხმელო სახელოსნოს ნაშთები.

სამსხმელო ორმოა ნაპოვნი ვანის სამსხმელო სახელოსნოსთან. ის წარმოადგენს თირში ამოკვეთილ, საფეხურისებურად ჩაჭრილ ოვალურ ორმოს (1,5მ X 1მ), რომლის კედლები ბრტყელი კრამიტითაა ამოყვანილი და შელესილია თიხით. სტრატეგრაფიული მონაცემების საფუძველზე ბრინჯაოს სამსხმელო სახელოსნო ძვ.წ. II-I სს თარიღდება [გიგოლაშვილი და სხვ. 2008: 14]. ვანში ბრინჯაოს წარმოების მონაცემების მთელი ერთობლიობაა წარმოდგენილი: სამსხმელო სახელოსნოს ნაშთები სამსხმელო ორმოს სახით; ყალიბის ბაზისი და თიხის ყალიბის ფრაგმენტები მის შიგნით; ყალიბების ფრაგმენტები, ბრინჯაოს შლაკი, ძაბრის, საქმენი მილის, ტიგელისა და თიხის საყრდენების ფრაგმენტები სამსხმელო ორმოს მიმდებარე ტერიტორიაზე; საყდრულების ანაბეჭდიანი ნატეხები; ბრინჯაოს ადგილზე ჩამოსხმის მოწმობაა სასხამში და სარინ არხებში გამოჟონილი ლითონის უფორმო ფრაგმენტები, რომლებსაც ქანდაკებას ჩამოსხმის შემდეგ აჭრიდნენ [იხ. გიგოლაშვილი და სხვ. 2008: 17, ტაბ. II, 1-7]. ნაქალაქარზე ნაპოვნი ყალიბებისა და სასხამის მასშტაბები კი ცხადყოფენ, რომ აქ ელინისტურ ხანაში ბრინჯაოს დიდი ქანდაკება ჩამოსხმებოდა.

პირველ რიგში უნდა ვახსენოთ ბრინჯაოს ტორსი — ათლეტური აგებულების ტანშიშველი ჭაბუკის ნატურალური სიდიდის ფიგურა, რომლის აღმოჩენამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ვანში ჩამოსხმებოდა ბრინჯაოს დიდი ქანდაკება — ბერძნული თავისი ხასიათით. ქანდაკების გადარჩენილი ნაწილის სიმაღლე 1,05 მ-ია, მას მომტვრეული აქვს თავი, ხელები და ფეხები მუხლსქვემოთ; სხეულზე ნათლად ჩანს ბლაგვი იარაღით

მიყენებული დაზიანებები. ფიგურა მკაცრად ვერტიკალურია და ფრონტალური, თითქმის ჰორიზონტალური მხრებით, ხელები შემორჩენილ ნაწილში — ტანზე მიჯრული. ქანდაკების ტანის აგებისა და ცალკეული დეტალების გადმოცემის გათვალისწინებით, და ასევე მთელი რიგი ნიშნების მსგავსების მიხედვით კლასიციისტური სტილის ქანდაკებებთან, ვანის ტორსი განსაზღვრულია, როგორც ელინისტური ეპოქის ე.წ. კლასიციისტური ხელოვნების ნიმუში, რომელიც ე.წ. *მკაცრ სტილზეა* ორიენტირებული [იხ. ლორთქიფანიძე 1996: 27-28, ტაბ. 87] (ტაბ. 1, 1). ქანდაკება ჩამოსხმულია ე.წ. ცვილის მოდელის დაკარგვის წესით; ზედაპირი დაფარულია კეთილშობილი მწვანე ფერის (ზოგან მონაცრისფრო არეებით) პატინით. მის შიგნით იყო რკინის არმატურის ფრაგმენტები — განივკვეთში ოთხკუთხა მოყვანილობის ღეროები 0,01მ სისქისა; არმატურა შედგებოდა ვერტიკალური ღეროსაგან, რომელიც წელთან ორად იყოფოდა და ფეხებისკენ მიემართებოდა. ის დაფარული იყო თიხის მასის ორი შრით — ჯერ ქვიშანარევი, შედარებით უხეში ფენით, შემდეგ კი უფრო კარგად განლექილი, წმინდა თიხით, რომელზეც სასურველი გამოსახულება უნდა მიღებულიყო. თავისი წმინდა ბერძნული ხასიათისდა მიუხედავად, ექსპერტების დაკვირვებით, ჭაბუკის ტორსში გამოყოფილია თავისებური ნიშნები, როგორც სტილისტური, ასევე ტექნოლოგიური ხასიათისა, რაც უცხოა ბერძნული ქანდაკებისთვის, რის საფუძველზეც დასაშვებად მიიჩნევენ მისი ადგილზე დამზადების შესაძლებლობას მოგზაური ბერძენი მოქანდაკების ან დახელოვნებული ადგილობრივი ოსტატების მიერ; ბერძნულისათვის უჩვეულოა ტორსის შენადნობის შემადგენლობაც, რომელიც შეიცავს 88% სპილენძს, 10% კალას, 0,5% ტყვიას, უმცირესი რაოდენობის ვერცხლს, რკინას და დარიშხანს [ლორთქიფანიძე 1996: 27-29; Mattush 1988: 213-214].

ვანის, ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებს შორის უმეტესობა უსახო ნატეხებია, მაგრამ არის ისეთებიც, რომელთა ამოცნობა შესაძლებელია. ეს ნამსხვრევებად ქცეული ნაშთები მოგვითხრობენ იმ ერთ დროს არსებულ ბრინჯაოს ქანდაკებებზე, რომლებიც აღმართული იყო ნაქალაქარზე. შესაძლებელი გახდა მათი ცალკეულ ჯგუფებად გაერთიანება და ზოგიერთი მათგანის სავარაუდოდ ერთი ქანდაკებისთვის მიკუთვნება. სინატიფით გამოირჩევა ფრაგმენტების ერთი ჯგუფი, რომელიც პირობით ქალის სკულპტურის ნაწილებად იქნა მიჩნეული [გიგოლაშვილი 2013: 114-115, ტაბ. I]. შემორჩენილია ქალის ორივე ხელის, ბარძაყის მუხლითურთ, მარცხენა ტერფისა და მარჯვენა მხრის ფრაგმენტები. მარჯვენა ხელი გადარჩენილია იდაყვს ქვემოთ — მოხრილია მაჯაში (ტაბ. I, 5); მთლიანობაში მაჯა თავისუფალ, მოდუნებულ მდგომარეობაშია გამოსახული, ის ფაქიზია და პლასტიკური, თითები და ფრჩხილები საგულდაგულოდაა დამუშავებული და ყოველივე ეს ქალის სხეულის წარმოსახვის საშუალებას იძლევა. მარჯვენა ხელისგან განსხვავებით, მარცხენა საკმაოდ ექსპრესიულია და დაჭიმული — შემორჩენილია მკლავი იდაყვს ზემოთ, მოხრილი იდაყვი, მაჯა და ხელის მტევანი. ხელის მტევნისა და თითების მდგომარეობისა და დაუმუშავებელი ხელისგულის მიხედვით აშკარაა, რომ ამ ხელით ქალს ან რაიმე საგანი ეპყრა ხელთ, ანდა რაღაცას ეყრდნობოდა; მკლავზე მხარს ქვემოთ შეიმჩნევა ბლავი საგნით მიყენებული დაზიანებები. ასევე ფაქიზადაა მოდელირებული მარჯვენა ფეხის ბარძაყისა და მუხლის ფრაგმენტი — ფეხი მუხლში მოხრილია, ექსპრესიული, კუნთები კარგადაა გამოყვანილი (ტაბ. I, 6). შედარებით ცუდადაა დაცული ქალის ტერფი: ზედაპირი არ არის გლუვი, უხეშია, რაც, შესაძლოა დროთა განმავლობაში მომხდარი დაზიანებებით აიხსნას (ტაბ. I, 7); მასში ქუსლთან ჩარჩენილია რკინისღეროს ფრაგმენტი, რომელიც ტერფის ქვეშაცაა გამოშვერილი — კონსტრუქციის ნაწილი, რომლითაც ქანდაკება თავის საყრდენ ბაზისს უკავშირდებოდა. და ბოლოს, ქალის მარჯვენა მხრის ფრაგმენტი, მკლავის ზედა შერჩენილი ნაწილით, ფაქიზად მოდელირებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფრაგმენტების მიხედვით შეუძლებელია განსაზღვრა იმისა, თუ როგორი იყო ქალის მთლიანი სკულპტურა, მათზე დაკვირვება საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ქანდაკება მიჩნეულიყო ე.წ. კლასიციისტური სტილის სკულპტურად და აღმოჩენის კონტექსტის მიხედვით დათარიღებულიყო ძვ.წ. II-III-ით [ლორთქიფანიძე 1996: 27]. ფიგურა შიშველი იყო, ნატურალური ზომის დაახლოებით ერთი

მესამედის სიმალლისა. ელინისტურ ხანაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ქალის შიშველი ქანდაკებები. ვის წარმოსახავდა ეს ერთ დროს მშვენიერი ფიგურა, ცხადია, ძნელი სათქმელია. ერთი რამ კი შეიძლება ითქვას, რომ ელინისტურ ხანაში ქალის პორტრეტული ქანდაკება ყოველთვის შემოსილი იყო, შეუმოსავი კი ქალღვთაებას — უფრო ხშირად აფროდიტეს — განასახიერებდა [Smith 2006: 79-83]. იყო ის აღმართული ნაქალაქარის რომელიმე საკულტო ნაგებობაში თუ სახლგარე მიდამოს ამშვენებდა, ან სულაც დეკორატიული ჯგუფური კომპოზიციის ნაწილს წარმოადგენდა, ძნელია თქმა [გიგოლაშვილი 2013: 114-115].

ბრინჯაოს დიდი ქანდაკების ფრაგმენტების ერთი ჯგუფი, რომელიც ამოცნობას ექვემდებარება, შეჯავშნული მხედრის ქანდაკების ნაწილებად არის მიჩნეული. ეს არის ერთ არქეოლოგიურ კონტექსტში აღმოჩენილი ცხენის ფიგურის ფრაგმენტები და მხედრის ჯავშნის ნაწილები. ცხენის ფიგურის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი — ერთი და იმევე პროპორციის ჩლიქის ფრაგმენტები (ტაბ. II, 7, 8, 10, 11), ყურები (ტაბ. II, 1, 2) და კუდი (ტაბ. II, 5), ნატურალური ზომისა. ჩლიქის ყოველ ფრაგმენტზე, კოჭის ქვედა ნაწილზე, ე.წ. საოლავზე, ბენვი სპეციფიკურადაა გადმოცემული ირიბი ქდეების ორი რიგით, რომლებიც ჩლიქის ცენტრიდან იშლება ორივე მხარეს. ბენვის ასახვის ეს სტილი ჩლიქზე ელინისტური წარმომავლობისაა [Hemingway 2004: 92-93] და ამ დროიდან მოკიდებული ჩლიქების ანალოგიური მოდელირება საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩება; ის კარგადაა ცნობილი ელინისტური და რომაული ხანის კლასიკური სამყაროს სხვადასხვა ცენტრებიდან [Bol 1978: ტაბ. 35, №190, 194; ტაბ. 49, №237-239; Bergemann 1990: ტაბ. 48, №61; Oddy 2002: 98, სურ. 1; Giunlia-Mair 2002: 93-97, სურ. 4]. დროის იგივე მონაკვეთით შემოიფარგლება *ვანის* ცხენის ყურებისა და კუდის მსგავსი დეტალები ანტიკური სამყაროს სხვადასხვა პუნქტებიდან (ტაბ. II, 3, 4; 6) [Bol 1978: 68, ტაბ. 62, №371; Bergemann 1990: 108-110, №50, 52, ტაბ. 7დ; №51, ტაბ. 78-80, 7ბ]. შესაძლებელია *ვანის* ნიმუშების თარიღის დაკონკრეტება — ცხენის ფიგურის ჩლიქების სავსებით მსგავს ჩლიქებს ჩვენ ვხედავთ არტემისიონის კონცხთან ჩაძირული გემის ტვირთში ნაპოვნი ცხენის ბრინჯაოს ქანდაკებაზე (ტაბ. II, 9), რომელიც ელინისტური სკულპტურის იშვიათ ნიმუშადაა აღიარებული და უკანასკნელი გამოკვლევით ძვ.წ. 150 წლითაა დათარიღებული [Hemingway 2004: 49-51, 92, ტაბ. 3]. ამავე თარიღს მხარს უჭერს *ვანის* ქანდაკების ფრაგმენტების არქეოლოგიური კონტექსტიც — ისინი ნაპოვნი ნაქალაქარის ნგრევის ფენაში, ძვ.წ. II-I სს მასალასთან [ფირცხალავა და სხვ. 1986: 64].

რაც შეეხება შეჯავშნული მხედრის ფიგურას, *ვანის* კოლექციაში ამოცნობილია მხოლოდ მისი სამოსის ამსახველი ფრაგმენტები — ესაა კლასიკურ სამყაროში კარგად ცნობილი ჯავშნის ტიპის, ე.წ. ანატომიური კირასის ნაწილები, სახელდობრ: მკერდსაფარის ფრაგმენტები, შემკული რელიეფური მცენარეული ორნამენტით (ტაბ. III, 5, 12, 17); მხრის დამცავი ე.წ. *სამხრე ფრთები* — ფორებით დაბოლოებული ვინრო ლენტები (ტაბ. III, 16); კირასის გრეხილფორებიანი ქობა (ტაბ. III, 10, 13) და კირასის ქვეშა ტუნიკის კალთის ბოლო, მოოქრული ბრინჯაოსი (ტაბ. III, 2). ასევე მოსახსამის ე.წ. *საძირავები* (ტაბ. III, 20); დრაპირების ფრაგმენტები (ტაბ. III, 18) და კვანძად მოკეცილი ქსოვილის ნაწილი (ტაბ. III, 19). ყოველ ამ ფრაგმენტს, ცხენის ქანდაკების ნაწილების მსგავსად, პარალელები მოეძებნა ელინისტური და რომაული ხანის ბრინჯაოს კირასიან ქანდაკებებს შორის (ტაბ. IV, 9, 11; 15; 14; 3, 4, 1ბ; 20; 19; 18) [იხ. Stemmer 1978: 126, ტაბ. 1, 2, 3; Vermeule 1980: 14, სურ. 7, 11; Mercado და სხვ. 1998: 116, 117, №76, 77, 78, ტაბ. XVII; Bergemann 1990: 4, ტაბ. 12, 28, №61, ტაბ. 48; Hallett 2005: 133, ტაბ. 81; Art of the Classical World... 2007: 447, № 211].

ვანის ჯავშნის ფრაგმენტების ზუსტი ანალოგიაა მეტროპოლიტენის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ფრაგმენტული ტორსი [კლასიკური სამყაროს... 2007: 447, №211]. ის ეკუთვნის მხედარს, რომელსაც ტანს ელინისტური ტიპის კირასა მოსავს. მოსახსამი უფარავს მარცხენა მხარს, მარჯვენაზე *ვანის* ნიმუშის მსგავსი სამხრეა, ტიპური ფორმით, რომლებიც ლენტებისაგან, მსგავსად *ვანის* ფრაგმენტისა, ასევე ორმაგი ღარითაა გამოყოფილი. აქვე, მარჯვენა მხარეს, იკითხება ვარდულიც. კატალოგში მითითებული თარიღი დროის დიდ შუალედს მოიცავს — ძვ.წ. II - ახ.წ. II სს. ასეთ ვითარებაში *ვანის*

ნიმუში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის ძვ.წ. II-ის არქეოლოგიური კონტექსტიდან მომდინარეობს [ფირცხალავა და სხვ. 1986: 60-61, 64, სურ. 44,2].

ლითონის ანატომიური კირასა ანტიკურ ხანაში არსებულ სხვადასხვა სახის სხეულის დამცავ სამოსს შორის ერთ-ერთი ძირითადი იყო. ის უპირატესად მხედრობისა და საერთოდ სამხედრო რანგის პირთა რჩეული აკაზმულობა იყო; ითვლება, რომ ამ ტიპის კირასა — სამხრეებით, მკერდსაფარითა და „ფთერიქსებით“ ხასიათით ელინისტურია და ალექსანდრე დიდისა და მისი მემკვიდრეების სავსე ჯავშანს ბაძავს [D'Amato და სხვ. 2009: 38-42, 122-124, 130-131, 134-140]. გამოდის, რომ გვიანელინისტურ ხანაში *ვანში*, ჭაბუკის შიშველი ფიგურის და აგრეთვე სხვადასხვა ქანდაკებათა გვერდით, იდგა შეჯავშნული მხედრის ბრინჯაოსგან ჩამოსხმული, ნანილობრივ მოოქრული ქანდაკება, ნატურალურ ზომას მიახლოებული. რთულია ზემოთმოტანილი ფრაგმენტების საფუძველზე ქანდაკებაში წარმოსახული პიროვნების განსაზღვრა. ცნობილია, რომ ცხენოსნის ქანდაკებანი ელინისტურ ხანაში უმეტეს შემთხვევაში რეალურ პიროვნებებს წარმოსახავდნენ [Presicce 1990: 16]. ამ პერიოდში ყოველი ქანდაკების აღმართვა ემთხვეოდა განსაკუთრებულ შემთხვევას და ჰქონდა თავისი სპეციფიკური დანიშნულება. მას უნდა დაეკმაყოფილებინა ოთხიდან ერთი ძირითადი ფუნქცია: საკულტო, ვოტივური, დაკრძალვასთან დაკავშირებული და პატივმისაგები. ეს უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვანი კატეგორია იყო და ამ ფუნქციის ქანდაკებანი თითქმის ყოველთვის ბრინჯაოსგან მზადდებოდა [Smith 2006: 9-10]. მხედრის შეჯავშნული ქანდაკებები ჩვეულებრივი მოვლენა იყო მთელ ელინისტურ სამყაროში, მიუხედავად იმისა, რომ მათგან ძალიან ცოტაა დაუზიანებლად შემორჩენილი. ძვ.წ. II-I სს-ში საბრძნეთში პატივმისაგები ქანდაკებები აღმართებოდა თანადროული ეპოქის ცნობილი, ან ზეგავლენის მქონე დინასტიის პატივსაცემად და ეს იყო სამეფო იდეოლოგიის ნაწილი. იგივე ხდებოდა რომში, სადაც რომაელები აგრძელებდნენ ელინისტურ ტრადიციას [იხ. Bergemann 1990: 57]. *ვანის* ბრინჯაოს მხედრის ქანდაკება, როგორც ფიქრობენ, წარმოსახავდა პატივსაცემ პიროვნებას — მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან სამხედრო ლიდერს. არის ვერსია, რომ ის კოლხეთის მეზობელი უძლიერესი სახელმწიფოს მმართველის, მითრიდატე VI ევპატორის ქანდაკება შეიძლება ყოფილიყო [იხ. გიგოლაშვილი და სხვ. 2012: 48]. კოლხეთი ხომ ამ ხანაში ფაქტიურად პონტოს მეფე მითრიდატე VI-ის სამხედრო და სხვა მიზნებს ემორჩილება: კოლხები მითრიდატეს არმიის შემადგენლობაში მსახურობენ იმ დრომდე, სანამ იგი რომთან ბრძოლაში საბოლოოდ არ დამარცხდება [ლომოური 1979: 167-180; ლორთქიფანიძე 2010: 229-238].

მითრიდატეს სხმული ქანდაკებები რომ სხვადასხვა ადგილას იყო აღმართული, ამაზე საკმაოდ ნათლად მოგვითხრობენ ანტიკური წყაროები [Højte 2009: 155-157; Kreuz 2009: 132, 133]: რომში გამართული ლუკულუსისა და პომპეუსის ტრიუმფების დროს ნადავლს შორის ნახსენებია მითრიდატეს ქანდაკებანი — პლინიუსის ცნობით, მითრიდატეს დამარცხების შემდეგ, პომპეუსის ტრიუმფით შესვლისას რომში მოჰქონდათ მითრიდატეს ვერცხლის ქანდაკება (33, 151); აპიანეს მიხედვით კი, ასევე პომპეუსის მსვლელობისას, მრავალ ძვირფას ნადავლს შორის მოჰქონდათ მითრიდატეს „*რვანყრთიანი გამოსახულება მთლიანი ოქროსი*“ (აპიანე, 116) [ყაუხჩიშვილი 1959: 224]; პლუტარქეს თანახმად, ლუკულუსის ტრიუმფის დროს ჩამოატარეს „*თვით მითრიდატეს ოქროს ქანდაკება, ექვსი ფუტის სიმაღლისა*“ (პლუტარქე, ლუკულუსი, XXXVII) [პლუტარქე 2001: 205]. ითვლება, რომ ეს იყო ბრინჯაოს მოოქრული ქანდაკება [Kreuz 2009; 141, სქ. 17].

ვანის ბრინჯაოს ქანდაკების ცალკეულ ნატყებს შორს არის ისეთები, რომლებიც მიეკუთვნება სხვადასხვა მასშტაბის (ადამიანის ნატურალური ზომის, ნატურალურის ერთი მესამედის, ნახევრის და ერთნახევარი ზომის) ღრუ სხმულ ქანდაკებებს. ასეთებია ცხოველის ფაფარს ჩავლებული მამაკაცის ხელი (ტაბ. I, 4); ადამიანის დიდი ზომის ხელის მტევანი (ტაბ. I, 3); დიდი მასშტაბის ქანდაკების კისრის ფრაგმენტი (ტაბ. I, 2); თმის კულულები, ბენვი, ღრმანაოჭიანი სამოსის ნაწილები (ტაბ. III, 18); ფრაგმენტებს შორისაა გველის სკულპტურული გამოსახულებები — ორი თავი და დახვეული ტანის ოთხი ფრაგმენტი, რომელთაც დამუშავებული აქვთ მხოლოდ ერთი ან ორი მხარე. ისინი

მთლიანად სხმულია და ამდენად ღრუ ქანდაკების ნაწილად არ ჩაითვლება; ალბათ, უფრო რაიმე საგნის მორთულობა იქნებოდა, პედესტალისა ან საკურთხევლისა — ამაზე მიუთითებს გველის ტანის ორი ფრაგმენტი, წამოშვერილი ერთი საფუძვლიდან, და ასევე ორი გველის შეწყვილებული ფიგურა, სადაც ერთ მხარეს ჩამოსხმისას მიღებული ღარი და ბურცობია, რაც მოწმობს, რომ ეს მხარე ბრინჯაოს სხმული საგნის შიდაპირია, ხოლო გველის ტანის ორი განშტოება — მისი სკულპტურული მორთულობაა. მცირე ფორმის საკურთხევლების გველის ფიგურით შემკობა ცნობილია ელინისტურ სამყაროში და მათ სიმბოლური დატვირთვა აქვთ: ბრინჯაოს მცირე ზომის საკურთხევლის მორთულობადაა მიჩნეული გველის დახვეული ფიგურა კორინთოდან, გველის გამოსახულებას ვხვდებით ტერაკოტულ საკურთხევლებზე კომ-ემ-შუკაფას კატაკომბებიდან. დასაშვებია, რომ ასეთივე საგნის ნაწილია ბრინჯაოს პილასტრის ორი პანია ფრაგმენტი, იონიური ბაზისითა და კანელირებული სვეტით. ზემოხსენებულ ალექსანდრიულ ტერაკოტულ საკურთხევლებზე კიდევზე სწორედ ბაზისებიანი პილასტრებია წარმოდგენილი, თუმცა რამდენადმე განსხვავებული ტიპისა.

ქანდაკების დეტალებს შორისაა თხელი ფურცლისაგან დამზადებული ბრინჯაოს ორი, და ერთი ვერცხლის თვალის ქუთუთო, წამწამებით დაბოლოებული. ქუთუთოების ცალკე დამზადება ანტიკურ ქანდაკებაში ცნობილი მოვლენაა და სკულპტურის თვალების ინკრუსტაციას უკავშირდება. ანტიკურ ხანაში მოქანდაკენი ხშირად მიმართავდნენ თვალის ინკრუსტირებას. ვერცხლის, გაუმჭვირვალე მინის, ძვირფასი ქვების და სპილოს ძვლის ჩადგმული თვალები მეტად ხშირია ბრინჯაოს სკულპტურებზე. რომაული წარწერებიდან ირკვევა, რომ საგანგებო ხელობაც კი არსებობდა ქანდაკებებისათვის თვალის დამამზადებელი ოსტატისა — ფაბერ ოცულარის. ვერცხლის ქუთუთოს ბრინჯაოს მომწვანო ფერის პატინა აქვს შერჩენილი, რაც იმას მოწმობს, რომ ის ბრინჯაოს ქანდაკებისა იყო.

სხმული ბრინჯაოს დიდი მასშტაბის ქანდაკების აღმოჩენის სხვა შემთხვევა ანტიკური ხანის საქართველოში არ არის ცნობილი. სამაგიეროდ *არმაზციხეზე* აღმართული ლითონის ქანდაკებების შესახებ მოგვითხრობს ქართული საისტორიო წყარო [იხ. მოქცევა ქართლისაი 1963: 120]. ამას გარდა, ჩვენამდე მოღწეულია ბრინჯაოს ქანდაკების კვარცხლბეკი, რომელიც აღმოჩნდა *არმაზციხეზე*, მეფეთა ძველი სატახტო ქალაქის ქვედა ტერასაზე გამოვლენილ IV ს-ის დასაწყისის ტაძართან. ეს არის კირქვის დაბალი, სწორკუთხა პრიზმა (სიმაღლე -30სმ, სიგრძე -72სმ, სიგანე -70სმ), რომლის ოთხივე საფასადე სიბრტყე ტაძრის ფასადის იმიტაციაა, ხოლო მის ზედაპირზე ამოკვეთილია ქანდაკების ტერფთა ფუძეები. ტექნოლოგიური და პროპორციულობის სისტემების მიხედვით განსაზღვრულია, რომ კვარცხლბეკზე აღმართული იყო ელინისტური სტილის, 1. 80მ სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ეყრდნობოდა მარცხენა ფეხს, ხოლო მარჯვენა ოდნავ უკან და გვერდზე იყო განეული [იხ. ყიფიანი 2005: 17-18, 32].

რაც შეეხება ანტიკური ხანის ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუშებს, ისინი საქართველოს სხვადასხვა პუნქტებიდანაა ცნობილი და უმეტეს შემთხვევაში მითოლოგიურ პერსონაჟებს განასახიერებენ. ყველაზე მდიდარი კოლექცია ისევ და ისევ *ვანის* ნაქალაქარზეა წარმოდგენილი. ამ კოლექციის ნამდვილი მშვენიერება გამარჯვების ქალღვთაების — ფრთოსანი ნიკეს — 18 სმ სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ძვ.წ. II-I სს ტაძრის ნანგრევებში იყო ნაპოვნი და როგორც ფიქრობენ, ის უნდა ყოფილიყო სატაძრო ინვენტარის — ბრინჯაოს დიდი ზომის სარიტუალო ჭურჭლისა ან სხვა რაიმე საგნის — სკულპტურული მორთულობის ნაწილი [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 224]. ქალღმერთის ფიგურა სწრაფი მოძრაობის პოზაშია გამოსახული, ის თითქოს მაღლიდან ეშვება გამარჯვების მაუნყებლად. მას ტანთ მოსავს თხელი კვართი და შედარებით მძიმე, აფრიალებული მოსასხამი, რაც ე.წ. ელინისტური ეპოქისათვის არის დამახასიათებელი [Smith 2006: 77]. სტილის მიხედვით *ვანის* ნიკეს ქანდაკებას ანალოგიები მოეძებნა ნიკეს იმ ნიმუშებს შორის, რომლებიც ძვ.წ. II ს-ის II ნახევარში შექმნა მცირე აზიის ქალაქ მირინას კოროპლასტიკამ. ამ თარიღს ამყარებს ნიკეს ნატურალისტურად გადმოცემული

ვეებერთელა ფრთების სტრუქტურა — ისინი დაფარულია გულმოდგინედ დამუშავებული და ზომების მიხედვით ზონებად განლაგებული ბუმბულის რიგებით, რაც ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელ ნიშნად არის მიჩნეული. ფრთების ანალოგიური მოდელირებით ხასიათდება ფრთაგამილი არნივების ბრინჯაოს სამი ფიგურაც, ასევე დიდი საგნის სკულპტურული მორთულობის ნაწილი, რომლებიც იმავე არქეოლოგიურ კომპლექსში იყო აღმოჩენილი [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 224]

ვანის ნაქალაქარზე საგანგებოდ დაფლული "განძის" ნივთებს შორის მყოფი ბრინჯაოს სამი ჭრაქი, რომლებიც მცირე პლასტიკის ნიმუშებითაა შემკული. ესენია: 1. სამპატრუქიანი ჭრაქი (ტაბ. V, 1), რომელზეც ასახულია ფართოდ გავრცელებული მითოლოგიური ეპიზოდი — არნივად გარდასახული ზევსის მიერ განიმედესის ზეცად აყვანის სცენა [Akhvlediani და სხვ. 2016: 184, სურ.9]. ფრთაგამილი არნივის კლანჭებში მოქცეული განიმედესის გამოსახულება (13,5სმ სიგრძისა) ჭრაქის რეზერვუარის ძირს წარმოადგენს. თვით რეზერვუარი ვერტიკალურ მდგომარეობაშია და არნივის გამოსახულების ზურგს ეკვრის. ჭრაქი, სავარაუდოდ, სამ მარყუჟში გაყრილი ჯაჭვებით (ან რაიმე სხვა სახის საკიდით) ეშვებოდა ჭერიდან. ასე რომ ქანდაკება სრულად ჰორიზონტალურ პროექციაში იკითხება. არნივის ფრთების შემთხვევაში ჩვენ აქ ვხედავთ გამილილ ქვედაშვებულ ფრთებს, განსხვავებით ზემოთგანხილული ნიკესა და არნივების ზეაღმართული ფრთებისაგან, რომლებსაც ამ განსხვავების მიუხედავად, აერთიანებს ფრთების ერთგვაროვანი სტრუქტურა — მათზე ზონებად განლაგებული განსხვავებული ზომის ბუმბული. ჭრაქის არნივის ფრთების ზუსტი ანალოგიაა მირინას ბრინჯაოს ჰიდრიის ყურზე გამოსახული ეროტის მძიმე, ქვედაშვებული ფრთები. ფრთების მოდელირების ეს სტილი სათავეს იღებს ძვ.წ. IV ს-ის დასასრულიდან და ძვ.წ. II-მდე განაგრძობს არსებობას [Charbonneaux 1962: 130-131 სურ.19, ტაბ. IX, 1]. 2. მეორე ჭრაქი ასევე სამპატრუქიანია და შემკულია მოცეკვავე ეროტების ფიგურებით: სამი მათგანი საპატრუქე მილებზეა აღმართული, მეოთხე — ჭრაქის სარქველზეა მოთავსებული; თვით ჭრაქს ზუსტი პარალელი არ მოეძებნა, ეროტის მცირე ქანდაკებები კი, როგორც ნივთის შემამკობელი ელემენტი, ძვ.წ. IV ს-ის დასასრულიდან ჩნდება და შემდეგ მისი გამოსახულებები პოპულარული მოტივი ხდება სხვადასხვა მასალის ნაკეთობებზე [Akhvlediani და სხვ. 2016: 187-188].

სრულიად უნიკალურია ბრინჯაოს ექვსპატრუქიანი ჭრაქის სკულპტურული მორთულობა: ჭრაქის რეზერვუარის გარშემო განლაგებულია სპილოს თავის სამი გამოსახულება, რომელთა ხორთუმები ამავე დროს საპატრუქე მილებს წარმოადგენს; სპილოს ფიგურებს შორის მოთავსებულია ანთროპომორფული ბიუსტები ხელში ჩირაღდნებით — ასევე საპატრუქე მილების ფუნქციით (ტაბ. V, 4). იკონოგრაფიული კვლევისა და მითოლოგიურ სიუჟეტებს შორის ანალოგიების ძიების შედეგად ადამიანთა ფიგურებში ამოცნობილია დიონისეს ინდოეთში ლაშქრობის თქმულების მთავარი პერსონაჟები — ახალგაზრდა, უწვერო ჰერაკლე ლომის ტყავის მოსასხამით, ახალგაზრდა, უწვერო დიონისე და არიადნე, სამოსის გარეშე. ეს მითოლოგიური სიუჟეტი — დიონისეს ტრიუმფალური სვლა ინდოეთში — ალექსანდრიული ეპოქის შემდეგ ყალიბდება და იგი იქცევა ალექსანდრე დიდის ისტორიის მოდელად [ლორთქიფანიძე ნ. 2011ბ: 47-51].

ვანშივეა აღმოჩენილი დიონისური წრის ერთერთი ღვთაების — სატირის — ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკება (21 სმ სიმაღლის). ეს არის ათლეტური აღნაგობის, ტანშიშველი, თავისუფლად მდგომი ახალგაზრდა სატირის ფიგურა, ზეაპყრობილი ხელით; თავი შემკული აქვს სუროს ფოთლებით; ზურგის მხარეს მრგვალი ჩამონატეხი აქვს — თითქოს კუდი მოტეხეს საგანგებოდ. ფეხის გულზე შვერილებია, რომელთა მეშვეობითაც ქანდაკება ერთ დროს კვარცხლბეკზე მაგრდებოდა (ტაბ. IV, 7) [კვიციანი 2011: 101-103, ტაბ. III]. კუდის ნატეხვით ფიგურამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა: ის კისერზე ოქროს ხატისუფლით, მაჯებზე კი ოქროს სამაჯურებით შეამკეს, გაახვიეს ქსოვილში, რომლისგანაც ოქროს ყუნწიანი პანია ნივთებია შემორჩენილი და საგანგებოდ დიდი პატივით დაკრძალეს სამლოცველოსთან, ისევე როგორც *ვანში* აღმოჩენილი დანარჩენი ექვსი, ლითონის, ადგილობრივი იერის მცირე ქანდაკება. ასე რომ სატირის ეს ფიგურა არის

ე.წ. ელინისტური ხანის ბერძნული მცირე პლასტიკის ნიმუში, რომელიც მეორადად იყო გამოყენებული რომელიღაც მნიშვნელოვან ადგილობრივ რელიგიურ რიტუალში [კვირკველია 2011: 104; ლორთქიფანიძე ნ. 2011ა: 53-62].

დიონისეს სხმული ბრინჯაოს მცირე ზომის (19 სმ. სიმაღლის) ქანდაკება დაცულია კასპის მუზეუმში (ტაბ. V, 2); ის შემთხვევით იყო ნაპოვნი სოფ. კოდისწყაროში. ეს არის ახალგაზრდა, უწვერული, ტანშიშველი ჭაბუკის დახვეწილი ფიგურა: მის თავს ამკობს სუროს ფოთლებიანი ბაფთა, ყურებთან ყურძნის მტევნებია, თვალები ვერცხლით ჰქონია ინკრუსტირებული. ნაკლულია: აკლია მარჯვენა ტერფი; ჩანს, რომ მარცხენა წინ განვდილ ხელში რაღაც საგანი ეპყრა, მარჯვენათი კი კვერთხს ეყრდნობოდა. ფეხზე აცვია სანდალი, კოჭს ზემოთ თასმით შეკრული. ფიგურა შედგენილი კომპოზიციის ნაწილად არის მიჩნეული და იკონოგრაფიული და სტილისტური ნიშნებით ძვ.წ. III-II სს-ით თარიღდება [შატბერაშვილი და სხვ. 2017: 112, ტაბ. III].

მცირე პლასტიკის კიდევ ერთი ნიმუში — პანის ბრინჯაოს ბიუსტი (18,4 სმ სიმაღლისა) — აღმოჩნდა მცხეთის აკლდამის (ახ.წ. I ს-ის მიწურული) შიდა სივრცეში. ეს არის კარგი აღნაგობის ჭაბუკის ფიგურა — თხის ყურებითა და დაუფარცხნელი თმით; ხელის თითების განლაგების მიხედვით ჩანს, რომ ის სალამურზე დაკვრის მომენტშია გამოსახული. ქანდაკებას ზურგზე მირჩილული აქვს პატარა რგოლი, რომლითაც ფიგურა სასაკმევლის საცეცხლურზე იქნებოდა დამაგრებული. იკონოგრაფიული ნიშნებისა და სტილისტური ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ პანის ეს ფიგურა ელინისტური ხანის მაღალმხატვრული ნიმუშის მიხედვით დამზადებულ ყალიბში უნდა იყოს ჩამოსხმული [იხ. მათიაშვილი 2016: 21-22, ტაბ. XV].

მცირე პლასტიკის ნიმუშების მთელი სერიაა ნაპოვნი დედოფლის გორაზე. აქ, ძვ.წ. I - ახ.წ. I სს ნაგებობის ნანგრევებში, გადარჩენილი ცეცხლის საკურთხეველზე აღმოჩენილ ნივთებს შორის იყო ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებათა ბრინჯაოსა და ვერცხლის მცირე ზომის ქანდაკებები. გაირკვა, რომ ბრინჯაოს ფიგურებზე წარმოდგენილია: აპოლონ ფეხუსი; არტემიდე ვერცხლის სანვივებით და ხელში ვერცხლის შუბით; ტიხე-ფორტუნა; ვაზის ქვეშ მჯდომი სილენი; არნივი; ვერცხლისაა ლეტო-ლატონას ოქროსგვირგვინიანი ქანდაკება [იხ. გაგოშიძე 2015: 124-125; სურ. 12-16; კალანდაძე ნ. და სხვ. 2016: 197].

სრულიად განსხვავებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე (როგორც იკონოგრაფიული, ისე ფუნქციური თვალსაზრისით) ბრინჯაოს იმ ადგილობრივი იერის მცირე ზომის ფიგურების სახით, რომლებიც ვანის ნაქალაქარზეა აღმოჩენილი. ისინი რკინის ანალოგიური ფორმის ფიგურებთან ერთად დაკრძალული ლითონის მცირე ქანდაკებების განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან (ტაბ. IV, 1-7). ასეთი სულ შვიდი ფიგურაა ნაპოვნი — 16 სმ-დან 30 სმ-მდე სიმაღლისა, აქედან ოთხია ბრინჯაოსი, ხოლო სამი — რკინისა; ამასთან, როგორც ზემოთ ითქვა, ბრინჯაოს ერთი ფიგურა ბერძნული პლასტიკის ნიმუშია, ის მეორადი გამოყენებისაა და გამოსახავს სატირს, რომელმაც კუდის ჩამოტეხვით ახალი მნიშვნელობა შეიძინა (ტაბ. IV, 7) [იხ. ლორთქიფანიძე ნ. 2011ა: 53-62, ტაბ. I; კაჭარავა და სხვ. 2007: 59, სურ. გვ. 158, 11-17; კაჭარავა და სხვ. 2016: 62, 69-70. ტაბ. IX]. ბრინჯაოს ადგილობრივი იერის ქანდაკებები მთლიანსხმულია; ლითონის ყველა ფიგურა (ბრინჯაოსიც და რკინისაც) მდგარ პოზაშია გამოსახული, წინ განვდილი ხელებით (ე.წ. ორანტის პოზაში). ყოველი მათგანი შემკულია ოქროს ატრიბუტებით — საკისრე რგოლის, თავსაბურავის, სამაჯურებისა და საყურების სხვადასხვა კომბინაციით. ფიგურები ჩვენამდე შეუ მოსავ მდგომარეობაშია მოღწეული, მაგრამ როგორც მათზე არსებული ქსოვილის ანაბეჭდები და ქსოვილზე დასაკერებელი ოქროს პანია სამკაულები მოწმობენ, ქანდაკებები გახვეული იყო ქსოვილში. ანთროპომორფული ფიგურების სხეულის ნაკვეთები არ იკითხება, გამონაკლისია სატირის და ქალის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელშიც "ელინისტური" იერის წარმოჩენის მცდელობას ხედავენ (ტაბ. IV, 4) [ლორთქიფანიძე ნ. 2011ა: 61, ტაბ. I, 1].

ყველა ფიგურა (გარდა სატირის ქანდაკებისა) თავიდანვე დაკრძალვისთვის იყო გამიზნული. ასევე საგანგებოდ მათთვის დამზადდა სამკაული [ლორთქიფანიძე ნ. 2011ა: 58], რომელიც ტიპური ელინისტური სამკაულია და იმეორებს კოლხეთის ძვ.წ. III ს-ის

სამარხებში აღმოჩენილი ოქროს სამკაულების ფორმებს. ყველა ეს ფიგურა სამლოცველოსთან არის დაკავშირებული, რამაც აფიქრებინა მკვლევართ, რომ ისინი მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული საგანგებო რიტუალისთვის იყო განკუთვნილი და შესაძლოა გარდაცვლილ ქურუმებს გამოსახავდნენ [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 212; ლორთქიფანიძე ნ. 2011ა: 60-62; ყიფიანი 2014: 48-49].

ტაბულები: I. ადამიანის ფიგურის ფრაგმენტები ვანის ნაქალაქარიდან: 1. ბრინჯაოს ტორსი; 2. დიდი მასშტაბის ბრინჯაოს ქანდაკების კისრის ფრაგმენტი; 3. მამაკაცის დიდი მასშტაბის ბრინჯაოს ფიგურის მარცხენა ხელის მტევნის ფრაგმენტი; 4. ცხოველის ფაფარს ჩავლებული მამაკაცის ხელის მტევანი; 5, 6, 7. ქალის ბრინჯაოს სკულპტურის ხელის, ბარძაყისა და მარცხენა ტერფის ფრაგმენტები. **II.** ცხენის ბრინჯაოს ქანდაკების ჩლიქების ფრაგმენტები: 7, 8, 10, 11 - ვანიდან; 9 - არტემისიონის კონცხთან ჩაძირული გემიდან. ცხენის ბრინჯაოს ქანდაკების ყურების ფრაგმენტები: 1-2 ვანიდან; 3-4 ოლიმპიიდან და რომიდან. ცხენის ბრინჯაოს ქანდაკების კუდის ნიმუშები: 5-ვანიდან; 6-მონტე ცირცეოდან. **III.** ანატომიური კირასის მკერდსაფარის ფრაგმენტები: 5, 12, 17 - ვანიდან; 9, 11, 15 - ინდუსტრიის დასახლებიდან. კირასის ქვეშა ტუნის კალთის ქვედა კიდის ფრაგმენტები: 2 - ვანიდან (მოოქრული ბრინჯაო); 3, 4 - ინდუსტრიის დასახლებიდან (მოვერცხლილი ბრინჯაო). 1ა კირასის გრაფიკული რეკონსტრუქცია, სადაც მინიშნებულია ამ ფრაგმენტის ადგილი - ინდუსტრიის დასახლებიდან. ანატომიური კირასის სამხრის ფრაგმენტი: 16 - ვანიდან. ანატომიური კირასის ფორებიანი ქობის ფრაგმენტები: 10, 13 - ვანიდან; 14 ოლიმპიიდან. კვანძად მოკეცილი ქსოვილის ფრაგმენტი: 19 - ვანიდან. დრაპირების ფრაგმენტი: 18 - ვანიდან. მოსახამის საძირავები: 20 - ვანიდან. ფირფიტა პალმეტის გრავირებული გამოსახულებით. მოოქრული ბრინჯაო: 6 - ვანიდან. ფირფიტები გრავირებული მცენარეული ორნამენტით. მოოქრული ბრინჯაო: 6, 7 - ვანიდან. 1. - აპულური ანატომიური კირასა. ბრინჯაო. **IV. 1-6.** ბრინჯაოსა და რკინის მცირე ზომის ფიგურები და 7. ბერძნული პლასტიკის ნიმუში - სატირის ფიგურა ვანის ნაქალაქარიდან. **V. 1.** ბრინჯაოს სამპატრუქიანი ჭრაქი განიმედესის ზეცად აყვანის სცენის გამოსახულებით; 2. დიონისეს ბრინჯაოს მცირე ქანდაკება კასპის მუზეუმიდან; 3. სამპატრუქიანი ბრინჯაოს ჭრაქი, შემკული სპილოს თავებით; ვანიდან; 4. ბრინჯაოს ექვსპატრუქიანი ჭრაქი სპილოს თავებისა და ღვთაებათა გამოსახულებებით; ვანის ნაქალაქარიდან. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



ბრავირებული სარტყლები, ჭვირული აზონდები და ცხოველსახოვანი ფიგურები

ქ. რ. რამიშვილი

საქართველოში რკინის მეტალურგიის გაბატონების პერიოდში იქმნებოდა მხატვრული მელითონეობის მაღალი ხარისხის ნიმუშები. მოცემული პერიოდის საქართველოში მხატვრული მელითონეობის ძეგლებზე ფართოდ ვრცელდება სახვითი ხელოვნების თავისებური მხატვრული სტილი. კერძოდ, ხელოვნების ამ წრის ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთები შემკულია გრაფიკული დეკორით შესრულებული კომპოზიციებით, რომლებიც დეკორატიულ-ორნამენტული ხასიათისაა, გამოირჩევა ლაკონიზმით, ცალკეულ ფიგურათა სტილიზაციითა და სიმბოლური სახეებით [იხ. ამირანაშვილი 1971; ხიდაშელი 1982; Урушадзе 1984]. ხელოვნების ეს მხატვრული სტილი აისახა ისეთ ძეგლებზეც, როგორც არის ბრინჯაოს გრავირებული გამოსახულებებით შემკული სარტყლები.

კავკასიაში გავრცელებული ორნამენტული სარტყლების კვლევის შედეგად გამოიკვეთა მთელი რიგი სტილური თავისებურებები, რის საფუძველზეც ასკვნიან, რომ ძვ.

ნ. VIII-VI სს-ში არსებობდა ბრინჯაოს ორნამენტირებული სარტყლების დამზადების ადგილობრივი ცენტრები, ხოლო თვით გამოსახულებებს ე.წ. *კავკასიური ცხოველსახოვანი სტილის* მხატვრული პრინციპები დაედო საფუძვლად [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 111-113]. ძველ საქართველოში მოპოვებული სარტყლები ზოგადად ერთგვაროვანია. ყველა მათგანი წარმოადგენს მოგრძო, მართკუთხა ფორმის ბრინჯაოს თხელ და განიერ ფირფიტას, რომლის ბოლოები კუთხეებში ოდნავ მომრგვალებულია. სარტყლებზე გადმოცემულია დეკორატიული ხასიათის, გარკვეული სიუჟეტის მქონე კომპოზიციები, რომლებიც ორნამენტულ ჩარჩოშია მოთავსებული. ყველა მათგანი შესრულებულია ერთი ტექნიკით — გრავირებით, ან პუნსონით. სატყლების საშუალო ზომებია: სიგრძე — 82-94 სმ. სიგანე — 12-15 სმ. ბრინჯაოს განიერი ფირფიტა დაკრული იყო სათანადო სიგანის ტყავის ან ქსოვილის ნაჭერზე, რაც მის მოხმარებას აიოლებდა. სადაზედაპირიანი სარტყლები შემკულებთან შედარებით ვიწროა. ბრინჯაოს სარტყლები მათი შემკულობის მიხედვით იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: I. სადაზედაპირიანი; II. გეომეტრიული ორნამენტით შემკული; III. ცხოველთა და ადამიანთა გამოსახულებებით გაფორმებული.

გრაფიკული სახეებით შემკული ფართო სარტყლები (II და III ჯგუფი), განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც შემკულია ცხოველთა გამოსახულებებით (ირემი, ცხენი, ხარი, ძაღლი, მგელ-ძაღლი, გველი, ბაყაყი, თევზი, ფრინველი) და ღვთაებრივი ნადირობის სცენებში მონაწილე ადამიანთა ფიგურებით, უნდა მივიჩნიოთ იმდროინდელ წარჩინებულ პირთა და ღვთისმსახურთა ინსიგნია ქამრებად და საკულტო ხასიათის ნივთებად, რომელთა შემკულობაში იმდროინდელი საზოგადოების იდეოლოგიურ-რელიგიური შეხედულებებია ასახული [ლორთქიფანიძე 2002: 111]. სადა სარტყლებს უმეტესად კიდეზე პუნსონისაგან შედგენილი მწკრივი შემოუყვება. გეომეტრიული სახეებით ორნამენტირებული სარტყლები (II ჯგუფი) შემკულია რომბებით, სამკუთხედებით, მცირე წრეებით, სვასტიკით, ირიბი ხაზებით, წერტილებისაგან შედგენილი ზოლებით და სხვა. თუმცა მათი შემკულობის ძირითადი ელემენტია სპირალი, რომლის რიტმული მონაცვლეობა და სხვადასხვა კომბინაციებით გამოსახვა საკმაოდ მრავალფეროვან მორთულობას ქმნის. ორნამენტი შესაძლოა შესრულებული იყოს უწყვეტი ხაზის მდინარებით ან პუნსონით. მაგალითად, პუნსონით არის გამოსახული რომბები, სამკუთხედები და მცირე წრეები სარტყლებზე სამთავროს სამაროვნიდან [იხ. Урушадзе 1984: 21, ნახ.14].

ბრინჯაოს სარტყლები, რომლებიც რთულსიუჟეტიანი, მრავალფეროვანი კომპოზიციებით არის შემკული (III ჯგუფი), საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. სარტყლებზე წარმოდგენილი ყველა კომპოზიცია გარკვეული კანონზომიერებით არის აგებული და სავსებით მონესრიგებულია, დატულია სიმეტრიისა და რიტმის ელემენტები. სარტყლის ჩარჩოს შიდა არე შევსებულია ადამიანთა თუ ცხოველთა ფიგურებით და სხვადასხვა ორნამენტით [ხიდაშელი 1982: 41-44]. გამოსახულებები უმეტესად გადმოცემულია გრაფიკულად, უწყვეტი ხაზის მდინარებით, თუმცა ზოგიერთ სარტყელზე გამოსახულებები პუნსონის ტექნიკით არის შესრულებული. რაც შეეხება გრაფიკულად, უწყვეტი ხაზით მოდელირებულ რთულსიუჟეტიან კომპოზიციებს, ძალზე მრავალფეროვანია. მარტივი კომპოზიციები სქემატურია და მოდელირებულია მარტივი, უწყვეტი ხაზით. ფორმის დეტალიზაცია არ შეინიშნება. სარტყლებზე ცხოველთა და ადამიანთა ფიგურები ერთ, ორ ან იშვიათად სამ ფრიზად არიან განაწილებულნი. ფრიზები ერთმანეთისგან ჰორიზონტული მარტივი ხაზით გამოიყოფა. მაგ., *სამთავროს №23* სამარხში აღმოჩენილ სარტყლის ფრაგმენტზე გამოსახულია ცხოველებისა და ადამიანის ფიგურების ერთი მწკრივი, ასევე გეომეტრიული სახეები — სამკუთხედები და რომბი. ფიგურები მარცხნიდან მარჯვნივ მიემართებიან წარმოდგენილია პირდაღებული ვეფხვის ექსპრესიული ფიგურა, ირემი და მშვილდიანი მონადირე [იხ. ხიდაშელი 1982, ტაბ. VI]. მსგავსად არის მოდელირებული კომპოზიცია *ნარეკვავის №53* სამარხში აღმოჩენილ სარტყელზე [იხ. აფაქიძე და სხვ. 2000: 86].

ზემოგანხილულთა მსგავსად არის მოდელირებული გამოსახულებები ისეთ სარტყლებზე, რომლებზეც კომპოზიცია ორ ფრიზად იშლება. დეკორი გართულებულია

ფრიზებს შორის, კომპოზიციის ცენტრში გავლებული ორნამენტული ზოლით, რომელიც სიბრტყის გაყოფისა და მასზე ფიგურების სათანადო განაწილებისათვის არის გამოყენებული. მაგ., *სამთავროს №56* სამარხში აღმოჩენილ სარტყელზე გამოსახულია ირმებზე ნადირობის საკმაოდ ექსპრესიული სცენა. ჩანს ცხენზე ამხედრებული და ქვეითი მონადირეები, რომლებიც ირმებს ტყორცნიან ისარს. აგრეთვე გამოსახულია ყურაცქვეტილი ორი ძაღლის ფიგურა, ფრინველები და გველები [იხ. ხიდაშელი 1982: ტაბ.V]. ირმებზე ნადირობის სცენა გამოსახულია აგრეთვე სარტყელზე *სამთავროს №591* სამარხიდან. აქ ცხენზე ამხედრებული მონადირეებს, რომლებიც სარტყლის ორივე კიდეზე არიან გამოსახულები, შუაში მოუქცევიათ ირმების მწკრივი და ისრების ტყორცნის მომენტში არიან აღბეჭდილნი [იხ. ხიდაშელი 1982: ტაბ. VIII, 8].

სარტყლებზე გამოსახული ყველა კომპოზიცია დეკორატიულია თავისი ხასიათით. მათი შესრულების სტილის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი ცხოველთა და ადამიანთა გამოსახულებებისა და გეომეტრიული ორნამენტის ერთობლივად, გრაფიკული გამოსახვაა. ნებისმიერ კომპოზიციაში წამყვანია ხაზი, რომლის უწყვეტი მდინარებით იქმნება ესა თუ ის გამოსახულება. იგრძნობა მისწრაფება სადა სიბრტყობრივი ფორმებისაკენ, რასთანაც ზომიერადაა შეზავებული ასევე სიბრტყობრივ-ხაზობრივად შესრულებული გეომეტრიული ორნამენტი. მიუხედავად საერთო სტილური მსგავსებისა, ზემოგანხილული კომპოზიციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აგებულებითა და შესრულების თავისებური მანერით, რომელიც, როგორც დავინახეთ, წარმართა მარტივიდან რთულ კომპოზიციებამდე, ნატურალისტურ-სქემატური გამოსახულებების სტილიზებულით შეცვლამდე, ასევე, დეკორატიულობის ორნამენტულობით ჩანაცვლებამდე. აღსანიშნავია, რომ სარტყლებზე წარმოდგენილი არც ერთი კომპოზიცია იდენტური არ არის. ხშირია შემთხვევები, როცა ერთი კომპოზიციის გამოსახულებები და დეკორი განსხვავებულადაა მოდელირებული. სწორედ ამიტომ არის სარტყლებზე გრავირებული თითოეული კომპოზიცია ესოდენ თავისებური და ამავე დროს მეტად მრავალფეროვანი, რაც ვფიქრობთ, განპირობებული იყო ერთის მხრივ, ცალკეული საწარმოო ცენტრის ტრადიციებით, ხოლო მეორეს მხრივ, იქ მომუშავე ხელოსანთა ინდივიდუალური ხელნერით. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის ძეგლების მხატვრული სტილი ზოგადად კოლექტიურია, რაც არ გამოორიცხავს ცალკეული ინდივიდების მხატვრულ შემოქმედებას. მაგრამ მიუხედავად ამისა, კავკასიაში აღმოჩენილი სარტყლები გამოირჩევიან ფუნქციური, მხატვრულ-დეკორატიული და სტილური ერთიანობით და ეს ერთი მხატვრული ფენომენი საერთოა ყველა კუთვრული ცენტრისათვის. სარტყლებზე მოცემულ კომპოზიციათა შორის სხვაობა არ სცილდება საერთო ერთიანი სტილის ფარგლებს და ერთი და იგივე სტილის ვარიანტებად გვევლინება. მდიდრულად შემკული სარტყლები თავისი დეკორითა და შესრულების სტილით განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებენ იმავე პერიოდის კოლხური ნივთიერი კულტურის ძეგლების (ბრინჯაოს გრავირებული ცულები, შუბისპირები, სატევრები, აბზინდები, მშვილდსაკინძები, სხვადასხვა სიდიდის რგოლები, კვერთხისთავები, პინცეტები და სხვა) შემკულობასთან. მათთვის საერთოა: გამოსახულებების გრაფიკული ხაზით შესრულება, ფიგურათა დეკორატიული სტილიზაცია და პლასტიკური ელემენტების დეკორატიულ ელემენტებად გარდაქმნა. ცხადი ხდება, რომ მათ სტილური ერთიანობა ახასიათებთ, ერთი მხატვრული ფენომენია და მიუხედავად მათი ნაირსახეობისა და მრავალფეროვანი ვარიანტებისა, ისინი ამ სტილის ზღვარს არასდროს გადადიან.

ე.წ. *კავკასიური ცხოველური სტილისათვის* დამახასიათებელი მხატვრული სახეები უდიდეს მდგრადობას იჩენს, რაც მათ მკვებავ სულიერ წარმოდგენათა სიმყარესა და ღრმა ტრადიციას მოწმობს. სწორედ ამის დამადასტურებლად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ დროის დიდი მონაკვეთით ერთმანეთისგან დაცილებულ ძეგლებზე ერთი და იგივე სიუჟეტის ან მთელი მითოლოგიური კომპლექსის განმეორებით გადმოცემას ვხვდებით. მაგალითად, გრავირებულ სარტყლებზე და ძველ კოლხურ ნივთებზე ცხოველური სახეები (ირემი, ძაღლი, გველი, ფრინველი) თუ მითოლოგიური კომპლექსები მეორდება და მთელი სისრულით იჩენს თავს გვიანელინისტური-გვიანანტიკური ხანის ბრინჯაოს ბალთებზე

(აბზინდებზე, რადგან ისინი თავისი აგებულებით ქამრის შესაკრავებს უნდა წარმოადგენდნენ, სიტყვა აბზინდა [იხ. სულხან-საბა ორბელიანი 1991], ბალთა კი ქამრის გასაფორმებელი, მოსართავი ნივთია) [იხ. გაგოშიძე 1964: 34-35, ტაბ. II, III]. ჭვირულ აბზინდების უმრავლესობა მოპოვებულია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც საშუალებას იძლევა ამ ნივთების გავრცელების არეალის საკმაოდ ზუსტად დადგენისა. ეს არის კავკასიონის სამხრეთი კალთები (მთიანი რაჭა, ისტორიული არგვეთი, შიდა ქართლი) და თრიალეთი. ბრინჯაოს აბზინდების მხატვრულ-სტილური და სემანტიკური ანალიზის საფუძველზე მკვლევარები ფიქრობენ, რომ ძვ.წ. II - ახ.წ. II-III სს. ადგილობრივი მოვლენაა და რომ ისინი უკავშირდება ერთი მხრივ, წინარე ანტიკური ხანის ხელოვნების ტრადიციებს, ხოლო მეორე მხრივ, მთელი შემდგომი ხანის ქართული ხელოვნების რიგ თავისებურებებს [იხ. ხიდაშელი 1972: 4, 17; ლომთათიძე 1955: 359-360; ლომთათიძე 1957: 216; გობეჯიშვილი 1952: 106; ქორიძე 1961: 107, 132; Тешов 1971: 247]. აღსანიშნავია, რომ სოფ. *სუქანანთუბნის* (ქარელის მუნიციპ.) სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სასარტყლე ჭვირული აბზინდა, რომელიც მიცვალებულის წელის არეში ტყავის ქამრის ნაშთთან ერთად იქნა დადასტურებული. ახ.წ. II-III სს-ის აბზინდის ცენტრალური არე ირემს უჭირავს, მას კისერში მტაცებელი ფრინველი ჩაფრენია, ხოლო ყელში — მის წინ აღმართული გველი. ირმის ფეხებს შორის ფრინველია გამოსახული [იხ. ნემსაძე 1972: 29, ტაბ. I, 12]. ახ.წ. III ს. არის დათარიღებული სამარხი სოფ. ზახორიდან (ახალგორის მუნიციპ.), რომელიც სხვა ნივთებთან ერთად ჭვირულ აბზინდასაც შეიცავდა [იხ. ჯავახიშვილი 1987: 73, ტაბ. X, 1]. აბზინდის ცენტრალური ფიგურა ფანტასტიკური ცხენ-ირემია ორი ნახევარმთვარისებური რქით. ცხოველის ზურგს ზევით ერთმანეთთან შეერთებული ორი ირმის პროტომაა გამოსახული. ირმის პროტომის ზევით — ჩარჩოზე სკულპტურულად გამოსახულია ჯიხვის თავი. ცენტრალური ფიგურის წინ მოცემულია ორი ძაღლი, ხოლო მისი მუცლისა და მკერდის ქვეშ — კვიცი. ახ.წ. III ს-ით თარიღდება აგრეთვე ლეჩხუმის არქ. ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი ჭვირულაბზინდიანი სამარხი ნყალტუბოსთან სოფ. *გონიდან* (ზომები: 13X12,8), სადაც აღმოჩენილ ჭვირული აბზინდის ცენტრალური ფიგურა კონცენტრული წრეებით შემკული ცხენია, მის ფეხებს შორის ფრთაგაშლილი ფრინველია გამოსახული, ხოლო ზურგზე — ცხოველი. აბზინდების ზოგიერთ ეგზემპლარი ახ.წ. III ს-ის დასასრულითა და IV ს-ის დასაწყისითაც თარიღდება. მაგ. ჭვირული აბზინდა სოფ. *გოსტიბედან*, რომლის შემცველი სამარხი სწორედ აღნიშნული პერიოდით თარიღდება.

ხსენებული აბზინდები ერთ მტკიცედ ჩამოყალიბებულ ტიპს ქმნიან. მათ მართკუთხედის ფორმა აქვთ. აბზინდებს გარშემო შემოუყვება ორნამენტული ჩარჩო, რომელთა კუთხეებში მოთავსებულია სხვადასხვა სიმაღლის კოპები. ჩარჩოს შიდა არე დაკავებული აქვს რთულ, რელიეფურ კომპოზიციას, რომლის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს მაღალ რელიეფში შესრულებული ერთი ცხოველის გამოსახულება პროფილში და მას ჩარჩოს შიდა სივრცის ძირითადი ნაწილი უჭირავს. დამატებითი ცხოველები ან მათი ნაწილები კომპოზიციის ცენტრალური ფიგურის გარშემო ლაგდებიან და ჩარჩოს შიდა არეს მთლიანად ავსებენ ისე, რომ ფიგურათა შორის იქმნება ცარიელი, გამჭოლი ადგილები, რაც ამსუბუქებენს ნივთს და აჟურულ ხასიათს ანიჭებენ მას. მ. ხიდაშელმა შეიმუშავა ბრინჯაოს ჭვირული აბზინდების კლასიფიკაცია:

I ჯგუფში გაერთიანებულია ის აბზინდები, რომლებზეც წარმოდგენილია ორფიგურიანი კომპოზიციები, სადაც კომპოზიციის ცენტრალური ცხოველი არის რქებდატოტილი ირემი, ხოლო ირმის ფეხებთან სხვა ცხოველის გამოსახულებაა მოთავსებული. ეს ჯგუფი იყოფა სამ ქვეჯგუფად. ჩარჩო წნული ორნამენტითაა შესრულებული. აღმოჩენილია სოფ. *ნინონშინდაში* (კახეთი), სოფ. *ჭილვანში* (შორაპანთან), სოფ. *სპეთაში* (საჩხერესთან), სოფ. *ბრილში* (რაჭა) და სხვ. [ხიდაშელი 1972: 87, ტაბ. I]. ეს აბზინდები ნაკლებ მასიურია. მეტი ყურადღება ეთმობა კომპოზიციის დეკორატიულობას. აბზინდის ჩარჩოს ზომა შემცირებულია და კომპოზიცია უფრო აჟურულია. გამოსახულებათა ფორმა უფრო დახვეწილია, ხაზები უფრო ნატიფი. ფანტასტიკური ცხოველი მეტად სტილიზებულია. აგრეთვე აღმოჩნდა: *ჯრუჭის* მონასტერში, *საჩხერის*

მუნიციპ., სოფ. *მღვიმევში*, სოფ. *კაცხში*, სოფ. *ონჭევში* (ზემო რაჭა), *მანგლისის* მახლობლად, სოფ. *დარყაში* (საჩხერესთან), სოფ. *ურსდუარში* (ცხინვალთან), *ბრილში* (5ც.) და სხვ. [იხ. ხიდაშელი 1972: 88-92]. ამ ქვეჯგუფის აბზინდები ზომითა და ფორმით ზემოგანხილულთა მსგავსია, თუმცა გარკვეული იკონოგრაფიული სიახლე შეინიშნება: ჩარჩოს სპირალური ორნამენტი შემოუყვება. ოსტატი ორნამენტში იძლევა ცხოველების არა მხოლოდ სილუეტს, არამედ მოცულობით ფორმასაც. აღმოჩნდა: აფხაზეთში (3ც.), სოფ. *ჭიორაში* (ზემო რაჭა), სოფ. *ჭილოვანში* (შორაპნის მახლობლად) და სხვ.

II ჯგუფი — აბზინდები, რომლებზეც მოცემულია ოთხფიგურიანი კომპოზიცია, სადაც ცენტრალური ცხოველი ყოველთვის თავით წინ მიმართული ირემია, რომელსაც აქვს სპირალებით დაბოლოებული ორად გაყოფილი რქები. დამატებითი ცხოველები შესაძლოა იყოს: ირემი, ძაღლი, ფრინველი, გველი, თევზი. ეს ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია. ამ ჯგუფის აბზინდების ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. ცენტრალურ ცხოველს ზევით გამოსახულია ირემი, მის ფეხებთან — ფრინველი, ხოლო მის წინ — ძაღლი. აღნიშნულ ქვეჯგუფში გაერთიანებულია აბზინდები, რომლებიც აღმოჩნდა: სოფ. *ოჟორადან* (აფხაზეთში), მდ. რიონის ხეობაში (ინახება პარიზში, კ. ანეს კოლექციაში), *ღებღან*, *ონიდან*, *ფუტიეთიდან*, *ბრილიდან* (2 ც.) და სხვ. [იხ. ხიდაშელი 1972: 93-95, ტაბ. IV, №36]. აგრეთვე აღმოჩენილია: სოფ. *ჭილოვანში* (ზესტაფონთან), სოფ. *სპეთაში*, სოფ. *დარყაში* (საჩხერესთან), სოფ. *კამუნთაში* (ცხინვალის რეგიონი), *დიდომში*, სოფ. *ნესგუმში* (ზემო სვანეთი), სოფ. *სხვიტორში*, სოფ. *ცხრუკვეთში* (ჭიათურასთან), *მანგლისში*, *ცხინვალში*, *სოხტას* სამაროვანზე (ცხინვალთან), სოფ. *თაბაგრებში* (ჭიათურასთან) და სხვ. ჯგუფში გაერთიანებული აბზინდებისათვის დამახასიათებელია კომპოზიციის ორნამენტულ-დეკორატიული ხასიათი. გამოსახულებათა ფორმა დახვეწილია, ხოლო პროპორციები უფრო მაღალი და თხელი. ფანტასტიკური ცხოველი აქაც საკმაოდ სტილიზებულია და ორგანულად ერწყმის მთლიან ორნამენტს [იხ. ხიდაშელი 1972: 96-102].

III ჯგუფში გაერთიანებულია აბზინდების ის ეგზემპლარები, რომლებზეც კომპოზიცია კვლავ ოთხი ელემენტისაგან შესდგება. ძირითადი ელემენტი კვლავ ფანტასტიკური ირმის გამოსახულებაა, რომლის გარშემო განლაგებულია კომპოზიციის სხვა შემადგენელი ნაწილები, მაგრამ ამ ჯგუფის აბზინდებზე ირემი თანდათან იძენს ცხენის ატრიბუტებს. იცვლება აგრეთვე კომპოზიციის დამატებითი ცხოველები. ძაღლისა და ფრინველის გვერდით ჩნდება კვიცის, ჯიხვისა და სხვა ცხოველთა გამოსახულებები. აღმოჩნდა: ზემო რაჭაში, ახალსოფლის მახლობლად, ე.წ. საელიოში; სოფ. *არგვეთაში*, სოფ. *თლულში* (რაჭაში); სოფ. *ჯერში* (ცხინვალთან), სოფ. *ზღუბირში* (2ც.); სოფ. *ღარში* (ონთან); სოფ. *ჭილოვანში* (შორაპთან), სოფ. *ითხვისში*, სოფ. *ბაზალეთში*; სოფ. *შოშეთში*; სოფ. *ქედისუბანში*; სოფ. *კვაშხეთში*; სოფ. *გომში*; სოფ. *ზეკოტაში*; სოფ. *ახალსოფელში* (რაჭა); სოფ. *ღებში* და სხვ. [ხიდაშელი 1972: 103-111].

IV ჯგუფში გაერთიანებულია ის აბზინდები, რომლებზეც კომპოზიციის მთავარ ელემენტს ჯიხვის ფიგურა წარმოადგენს. იკონოგრაფიული ნიშნების მიხედვით IV ჯგუფი დაყოფილია სამ ქვეჯგუფად. აბზინდების IV ჯგუფში გაერთიანებული გამოსახულებები გამოირჩევიან მოცულობითი ფიგურებით, რომლებიც პლასტიკური ფორმებით არიან მოდელირებულები. ტორსით წინა ჯგუფის გამოსახულებებს ემსგავსებიან, თუმცა აქ ჯიხვის ხაზოვან სხეულს უპირისპირდება სკულპტურულად შესრულებული ჯიხვის თავისა და რქების ფორმა [იხ. ხიდაშელი 1972: 112-114]. V ჯგუფში გაერთიანებული აბზინდებზე — ცენტრალური ცხოველი, ირემი გამოსახულია ყოველთვის ე.წ. *სრბოლის* პოზაში, ხოლო კომპოზიციები გამოირჩევა გეომეტრიული მოტივების სიჭარბით. კომპოზიციას უჩნდება ახალი მოსართავი, ცხოველის ფეხებთან მოთავსებული სპირალი. დეკორატიულობასთან ერთად ძლიერდება გეომეტრიული მოტივებიც [იხ. ხიდაშელი 1972: 114-116].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბრინჯაოს ჭვირული აბზინდები თავისი სემანტიკური და სტილური ნიშნებით *კოლხური* ხელოვნების წრეში ექცევა [იხ. ამირანაშვილი 1971: 91; ხიდაშელი 1982: 49-52] და მათზე წარმოდგენილ გამოსახულებათა სანყისები უნდა ვეძებოთ ადგილობრივ კავკასიურ გვიანბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის კულტურებში [იხ. Hančar

1934: 153]. იმ ადრეულ ძეგლებს აბზინდები უკავშირდება როგორც თემატურად (წარმოდგენილია ერთი და იგივე მხატვრული სახეები: ირემი, ჯიხვი, ცხენი, თევზი, გველი, ფრინველი და სხვა), ასევე სტილისტურადაც — მათ ერთი და იგივე მხატვრული პრინციპი უდევთ საფუძვლად: ფანტასტიკური ცხოველის წაგრძელებული ტორსი წვრილი წელით, უტრირებული თეძო და მკერდი, ჯოგჯერ ფარფლისებური კიდურები, ბოლოში სპირალურად ჩახვეული კუდი, დიდი რელიეფური თვალი, მკერდსა და გავაზე გამოსახული კონცენტრული წრეები [იხ. ხიდაშელი 1972: ტაბ. 19]. აღსანიშნავია, რომ ამავე დროს ჭვირული აბზინდები უკავშირდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ შედარებით მარტივ ჭვირულ აბზინდებსაც (მაგ. [იხ. Уварова 1900: ტაბ.19]). ამრიგად, ბრინჯაოს ჭვირული აბზინდების სტილი დაკავშირებული ჩანს საერთოდ სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული კულტურის ადრეულ ძეგლებთან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აბზინდების ადგილობრივი წარმოშობის ფაქტს. უნდა აღინიშნოს, რომ ჭვირული აბზინდების მხატვრული სტილი არ განიცდის ამ პერიოდის საქართველოში ფართოდ გავრცელებული ელინური კულტურის გავლენას, არამედ ადგილობრივი ტრადიციების თვითმყოფადი განვითარების საკუთარი გზით მიდის [იხ. ხიდაშელი 1972: 52].

მეტად საინტერესოა, რომ ჭვირულ აბზინდებზე წარმოდგენილ კომპოზიციებთან დიდ მსგავსებას ავლენს ცხოველსახოვან გამოსახულებათა კიდევ ერთი ჯგუფი — ირმის, ჯიხვისა და ცხენის გამოსახულებიანი ფიბულები. ესენია ცხოველთა ჰორელიეფური გამოსახულებები, რომელთა საფასადო მხარე საკმაოდ რეალისტურადაა მოდელირებული, ხოლო ნივთის უკანა, სქემატურად შესრულებული მხარე შეღრმავებულია და იქ მონყოილია შესაბნევი, ნემსითა და ნემსის წვერის ამოსადები კაუჭით. მშვიდსაკინძის ფუნქციის მქონე ასეთ ნივთებს ე.წ. ზოომორფულ გამოსახულებიანი (ცხოველსახოვანი) ფიბულები ვუნოდეთ და ასე დავაჯგუფეთ:

ირმის გამოსახულებიანი ფიბულები — *ნეძიხის* [რობაქიძე 1990], *ჟინვალის, ბადრიანებისა* და *ომალოს* სამაროვნებიდან [რამიშვილი 2010: ტაბ I, 1 -7]. ჯიხვის გამოსახულებიანი ფიბულები — *ნიფრანისძირის* სამაროვნებიდან [მუხიგულაშვილი 1984] და სოფ. *უსახელოდან* (ლეჩხუმი) [სულავა 1996: 81-82, სურ. 29; სულავა 1988: 111. ტაბ. III, 1]. ცხენისა და ცხენ-მხედრის გამოსახულებიანი ფიბულები — *ნეძიხის, ბადრიანების* [რამიშვილი 2010: ტაბ. III, 1-5], *გველეთის* სამაროვნებიდან [მინდორაშვილი 2005: 81-82, ტაბ. 11, 117], *პანკისის* ხეობიდან [რამიშვილი 2010: ტაბ. III, 8] და *კლდეეთიდან* [ლომთათიძე 1957: 74, სურ.12]. ე.წ. ცხოველსახოვან ფიბულათა დამზადების ტექნიკა — ჩამოსხმის წესით, ცვილის მოდელის გამოყენებითაა დამზადებული [იხ. რამიშვილი 2007: 29-30]. ყალიბიდან ნამზადის გამოღების შემდეგ გამოსახულებას უკეთდებოდა შესაბნევი ნემსი, ხოლო სხეულის სხვადასხვა ნაწილზე უნდა მიერჩილათ მცირე რგოლები, რომლებშიც ძენკვებს, სხვადასხვა ფორმის საკიდებსა და ზარაკებს აბამდნენ. ცხოველის ფიგურის მოდელირებისას წინ წამოინია პლასტიკურმა ამოცანებმა, დაიხვეწა ჰორელიეფური ქანდაკების ხელოვნება, ხოლო უკანა შეღრმავებულ მხარეს შესაბნევის მონყობით ნივთი ბევრად უფრო პრაქტიკული გახდა. რა თქმა უნდა ამ გამოსახულებებმა ძველი, რელიგიურ რიტუალებთან დაკავშირებული მნიშვნელობა შეინარჩუნეს, მაგრამ ამავე დროს, სამკაულის ფუნქციაც შეითავსეს. რაც შეეხება ცხოველთა ტორსის ცალკეულ ნაწილებზე ხშირად გამოსახულ სოლარულ ნიშნებს, ვფიქრობთ, მათი ამოტვიფრვა ფიგურის ყალიბიდან გამოღების შემდეგ ხორციელდებოდა. ასეთი სოლარული ნიშნები წარმოადგენენ უძველესი დროიდან არსებულ სიმბოლოებს, რომლებიც ამა თუ იმ სარიტუალო საგნის ღვთაებრივ შინაარსს აღნიშნავდნენ.

ფიბულის ფუნქციის მქონე ზოომორფული გამოსახულებების საფასადო მხარე, ზოგადად, რეალისტურ-დეკორატიული ხასიათისაა. ცხოველთა სხეულის საკმაოდ რეალისტურ ფორმასთან ზომიერადაა შერწყმული სტილიზაციის ელემენტები, განსაკუთრებით სახის მოდელირებისას. ტორსის ცალკეული ნაწილები (მკერდი, მუცელი, გავა) მაღალ რელიეფშია შესრულებული და ამოზიდული თუ ჩანეული პლასტიკური მასების დენადი მონაცვლეობა განაპირობებს მრგვალი ქანდაკების შთაბეჭდილებას. ტორსის

გარშემომწერი მოქნილი ხაზი და სახის ნაკვთების ექსპრესიული ხასიათი ცხოველთა ერთი შეხედვით სტატიკურ ფიგურებს აცოცხლებს და შინაგან დინამიზმს ძენს მათ. მოქანდაკეები მარჯვედ აზოგადებენ ფორმას, მაგრამ არ ივინყებენ დეტალებსაც და მათ კომპოზიციის მთლიანობის წარმოსაჩენად იყენებენ. ირმებისა და ჯიხვების შემთხვევაში ნატურალისტური სიზუსტითაა გადმოცემული ატყორცნილი რქები, რომლებიც თითქოს ზეციურ სამყაროსთანაა დაკავშირებული. რქების მხატვრული გაფორმებით თითოეული გამოსახულება დასრულებული და მეტად გამომსახველი ხდება. ცხენების ფიგურების მოდელირებისას ხელოსნები მარჯვედ იყენებენ ალკაზმულობას, ამასთან საყურადღებოა, რომ მხედრის გარეშე გამოსახული ცხენი სრული ალკაზმულობითაა წარმოდგენილი, ხოლო მხედრიან ცხენებს უნაგირი არ გააჩნიათ.

ცხოველსახოვანი ფიბულების გავრცელების არეალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ომალო-ალაზნის ზემონელზე, ნეძიხი, ნიფრანისძირი, ჟინვალი-არაგვის ხეობაში, უსახელო-ლენჩხუმში და სხვა), მცირე პლასტიკის აღნიშნული ნიმუშები მთისწინეთისა და მთის ზონისათვისაა დამახასიათებელი. შესაძლოა საქართველოს მთიანმა ნაწილმა უფრო დიდხანს და ხელუხლებლად შემოინახა უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული რიტუალები და მასთან დაკავშირებული საგნები. ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ ირმის გამოსახულებიანი ნივთები, მათ შორის ფიბულები, თანდათანობით გამოდის ხმარებიდან და V ს-ის სამარხეულ კომპლექსებში ისინი აღარ ჩანან.

ე.წ. ცხოველსახოვან ფიბულებზე საუბრისას, გვახსენდება ქრონოლოგიურად წინამორბედი ხანის ჭვირული აბზინდები, რომელთა შუაში გამოსახული ცხოველთა მთავარი ფიგურები სიახლოვეს ამჟღავნებენ ჩვენს ფიბულებზე წარმოდგენილ ზოომორფულ გამოსახულებებთან. გარდა იმისა, რომ ორივე ჯგუფის ნივთებზე ერთი და იგივე ცხოველთა სახეობებია მოცემული (ირემი, ჯიხვი, ცხენი), მათ საერთო სტილური ნიშნებიც გააჩნიათ: ორივე შემთხვევაში ცხოველები გამოსახულია მარჯვენა პროფილში, პლასტიკური ფორმებით მკვეთრადაა აქცენტირებული მკერდი და გავა, რომლებზეც მსგავსი სოლარული ნიშნებია დადასტურებული. აბზინდების ცენტრალურ ფიგურათაგან ზოგს თავი მაყურებლისკენ აქვთ მობრუნებული, ისე, როგორც ირმისა და ჯიხვის გამოსახულებიან ფიბულებზე. მსგავსებაა თავის, სახის, თვალების, ყურებისა და რქების მოდელირებაში. აბზინდების ცხოველებს ხშირ შემთხვევაში კუდები სპირალურად ისევე აქვთ ჩახვეული, როგორც ფიბულებზე გამოსახულ ცხენების უმრავლესობას [რამიშვილი 2010: ტაბ. III, 1, 3, 4, 5, V, 1, 3]. ეს ელემენტი, როგორც ჩანს, ფიბულებზე აბზინდებისაგან გადმოვიდა მემკვიდრეობით, რითაც ამ ორი ჯგუფის გენეტიკური კავშირი კიდევ ერთხელ დადასტურდა. ასევე მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული ბრინჯაოს აბზინდაზე წარმოდგენილ მხედართან მხედრის გამოსახულებები ფიბულებზე პანკისის ხეობის სოფ. დუისიდან და კლდეეთიდან. რა თქმა უნდა, განმასხვავებელი ნიშნები და სიახლეც სახეზეა. კერძოდ, ცხოველსახოვან ფიბულებზე გამოყენებულია ჭვირული აბზინდების მხოლოდ ცენტრალური ფიგურა, მოხსნილია ჩარჩო და თანმხლები ცხოველები, სტილიზებული გამოსახულებები შეცვლილია რეალისტურით. მნიშვნელოვნად შეიცვალა ნივთის ფუნქციაც [იხ. რამიშვილი და სხვ. 1991].

ამრიგად, ჭვირული აბზინდების მეშვეობით ცხოველსახოვანი ფიბულები უკავშირდება კიდევ უფრო ძველ მასალებს (მხედველობაში გვაქვს გვიანბრინჯაოს ხანის გრავირებულ ქამრებზე გამოსახული სიუჟეტები, ასევე კოლხურ ცულებზე, აბზინდებზე და სხვა ნივთებზე გამოსახული სიუჟეტები). ახალი არქეოლოგიური მასალების ფონზე გამოიკვეთა, რომ III-IV სს-ის ზოომორფულ გამოსახულებიანი ფიბულები როგორც გენეტიკურად, ისე სემანტიკურად უკავშირდება წინამორბედი ეპოქების მასალებს. ე.წ. *კავკასიურმა ცხოველურმა სტილმა*, რომელმაც განვითარების მწვერვალს ძვ.წ. VIII-VII სს-ში მიაღწია, თავის მხრივ, უდიდესი გავლენა იქონია ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე. ამავე დროს აშკარაა, რომ დროის ხანგრძლივ მონაკვეთში არსებულ ამ გამოსახულებათა სახით საქმე გვაქვს ერთ მთლიან მოვლენასთან, რომელსაც რწმენა-წარმოდგენების ერთიანი სისტემა და იდეოლოგია ასაზრდოებდა და რომლის დახვეწა თუ

სრულყოფა ერთიდაიგივე ეთნოკულტურულ გარემოში ძვ.წ. I ათასწლეულის განმავლობაში გრძელდებოდა [იხ. რამიშვილი 2010: 195]. ე.წ. *კავკასიურმა ცხოველურმა* სტილმა მართალია ქრისტიანობის აღიარების შემდეგ შეწყვიტა არსებობა, მაგრამ ზოგიერთი ცხოველის სახე მაშინვე გამოიყენა ახალმა რელიგიამ, რის გამოც ადრექრისტიანულ ეკლესიების დეკორში [Урушадзе 1988: 147-165] მათ გამოსახულებებს ხშირად ვხვდებით.

ტაბ.: I. ბრინჯაოს სარტყლები: 1- სამთავროს სამაროვნის №23 სამარხიდან. 2- სამთავროს სამაროვნის №56 სამარხიდან. 3- სამთავროს სამაროვნის №276 სამარხიდან. 4- სამთავროს სამაროვნის №28 სამარხიდან. 5- ნაბაღრები სამაროვნიდან. **II. ბრინჯაოს სარტყლები:** 1- სამთავროს სამაროვნის №168 სამარხიდან. 2- თრიალეთიდან, მარალინ-დერესის სამაროვანი. 3- სამთავროს სამაროვნის №168 სამარხიდან. 4- სამთავროს სამაროვნის №211 სამარხიდან. 5- ხირსის სამაროვნიდან. 6- ლჭაშენიდან. **III. ბრინჯაოს აბზინდები:** 1- აღმოჩენილია აფხაზეთში. 2- აღმოჩენილია აფხაზეთში. 3- აღმოჩენილია შემთხვევით საჩხერეში თუ ჭიათურის რაიონში. 4- აღმოჩენილია ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხში. 5- აღმოჩენის ადგილი უცნობია. 6- აღმოჩენილია შემთხვევით, ცხინვალის რაიონის სოფ. ერსდბუარში. **IV. ირმის გამოსახულებიანი ფიბულები:** 1, 4 - ნეძიხის სამაროვნიდან. 2- ჟინვალის სამაროვნიდან. 6- ბადრიანების სამაროვნიდან. *ჯიხვის გამოსახულებიანი ფიბულები:* 3, 5- ნიფრანისძირის სამაროვნიდან. **V. ცხენის გამოსახულებიანი ფიბულები:** 1, 2, 4, 5- ნეძიხის სამაროვნიდან. 3 -ბადრიანების სამაროვნიდან. 6-თელავის მუზეუმიდან. 7- გველეთის სამაროვნიდან ცხენ-მხედრის გამოსახულებიანი ფიბულები. 8- კლდეეთიდან. 9. სოფ. დუისიდან. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



ოქროს სამკაული

ან. ჭყონია, გ. გამყრელიძე

ოქროს სამკაული.[©] სამკაულისადმი ინტერესი კაცობრიობის ისტორიის შორეული დროიდან დასტურდება. მის ევოლუციაში დიდი როლი ითამაშა ლითონის ათვისებამ. ადამიანთა ყოფასა და ცნობიერებაში თანდათანობით გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ოქროს სამკაულმა, რაც განპირობებული იყო ოქროს, როგორც ლითონის, თვისებებით. ოქროს სამკაულმა, მხატვრულ-ესთეტიკურ და რელიგიურ-რიტუალურ ფუნქციასთან ერთად, შეიძინა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, გახდა ძალაუფლებისა და სიმდიდრის სიმბოლო; ე.ი. მისი მნიშვნელობა არა მხოლოდ მხატვრული ღირებულებებით განისაზღვრება, არამედ როგორც ერთ-ერთი საინტერესო წყარო ისტორიისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტის შესწავლისათვის. ექვთიმე თაყაიშვილის განმარტებით, არაფერი ისე არ ახასიათებს კულტურის აყვავებას და დაცემას, როგორც ოქრომჭედლობის ევოლუცია [იხ. თაყაიშვილი 1937: 436]. ქართული ოქრომჭედლობის შემადგენელი ნაწილის — ოქროს სამკაულის განვითარება უშუალოდ იყო დაკავშირებული ადგილობრივი მოსახლეობის თუ სახელმწიფოების კულტურულ, ასევე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ მდგომარეობასა და მათ გაძლიერება-დაწინაურებასთან. ამის საფუძველზე გამოყოფილია კიდევ ოქრომჭედლობის აღმავლობის (ე.წ. „აფეთქების“) ეტაპები: პირველი ეტაპი ემთხვევა ე.წ. თრიალეთის დიდი ყორღანების კულტურას (ძვ.წ. 2000-1500 წწ), მეორე — კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოების ჩამოყალიბებას (ძვ.წ. 500-300 წწ), მესამე —

© ან. ჭყონია.

იბერიის (ქართლის) სამეფოს ძლიერების ხანას (ახ.წ. 100-300 წწ), მეოთხე — ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობას (ახ.წ. 1000-1200 წწ) [იხ. ჯავახიშვილი 1955: 14-16; ჯავახიშვილი 1956: 26-27; გაგოშიძე 1976: 5-6; გაგოშიძე 1981ბ: 12-15, 20-24; გაგოშიძე 1985: 48]; ოქრომჭედლობის უძველეს აღზევებად მიჩნეულია ადრებრინჯაოს ხანა (ძვ.წ. 3000-2500წწ) [კახიძე 2007: 142] ანანურის [ჯაფარიძე 1995: 71, სურ.50], ბედენის აღმოჩენების [გობეჯიშვილი, 1980: ტაბ. XXXVIII] გათვალისწინებით.

ყოველ ეტაპსა თუ ქრონოლოგიურ საფეხურზე ოქროს სამკაული თავისი დროის ნიშან-თვისებების მატარებელია: წარმოაჩენს საზოგადოების განვითარების სურათსა და ხასიათს; ასახავს ადგილობრივი მხატვრული კულტურის ტრადიციულობასა და თავისებურებებს, ამასთან ერთად, ზოგად ტენდენციებს, გარე სამყაროდან შემოსულ ინოვაციებს და ა.შ. ოქროს სამკაულზე მოთხოვნილება განვითარებული საზოგადოების არსებობის მაჩვენებელია. მისი ძირითადი მომხმარებლის — მდიდარი წარჩინებული ფენის წარმომადგენლებისთვის, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია მიდრეკილება უცხოური მოდის, უცხოური პრესტიჟული ნივთების მიმართ, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტების მიხედვით უპირატესობა — წამყვანი ადგილი, საკუთარ წიაღში შექმნილ ოქროს სამკაულს უკავია. ოქროს სამკაულის განვითარების პროცესში, გამომდინარე კონკრეტული ისტორიული ვითარებიდან, დადასტურდა მკვეთრი ცვლილებები, რის გამოც ევოლუციის უწყვეტი ხაზის გამოვლენა უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია. უწყვეტობა ჩანს უფრო ტექნიკურ და მხატვრულ ხერხებში. დროთა განმავლობაში უცვლელი რჩებოდა სამკაულთა ძირითადი სახეობები, ხოლო იცვლებოდა, საერთო მხატვრული ტენდენციებისა და მოდის კვალდაკვალ, ფორმა და სტილი.

ოქროს სამკაული ფუნქციის მიხედვით შეიძლება დაიყოს, პირობითად ორ ჯგუფად: პირველი — დეკორატიული, ე.წ. *წმინდა სამკაული*; მეორე — პრაქტიკული დანიშნულების სამკაული, დაკავშირებული ტანსაცმელთან, თავსაბურავთან და სხვ. ორივე შემთხვევაში არ გამოირიცხება მათი რელიგიურ-რიტუალური ბუნება ან მათი გამოყენება ინსიგნიად — სოციალური მდგომარეობის განმასხვავებელ ნიშნად. აგრეთვე, მისაღებია ჯგუფების გამოყოფა ოქროს სამკაულების ადგილის — განლაგების მიხედვით (თავსამკაული, საყურე, ყელსაბამი, სამაჯური და ა.შ.).

თავსამკაულის ერთ-ერთი წამყვანი სახეობა — დიადემა, რომელიც საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ამ ვითარებას განაპირობებს, ძირითადად, დიადემის სპეციფიკური ბუნება. სახელდობრ, მისი მფლობელი მაღალი — სახელისუფლო თუ რელიგიური სტატუსის მქონე პიროვნება იყო, რაც, შესაბამისად, საზოგადოების განვითარების მაღალ საფეხურს გულისხმობდა.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დიადემა — სპილენძის, შემკული ფრინველების, ირმების და ასტრალური ნიშნების გამოსახულებებით — აღმოჩენილია *ურბნისის* მახლობლად, *ქვაცხელების* სამაროვნის №2 სამარხში (ძვ.წ. 3000-2500 წწ) [ჯავახიშვილი და სხვ. 1962: 24, 42, 58, ტაბ. XXXVI]. ცნობილია უფრო გვიანდელი სპილენძის დიადემა სოფ. ნითელწყაროდან (ძვ.წ. 1500-1000 წწ) [ნიორაძე 1950: 127, სურ.2]. ძვ.წ. 500-350წწ.-ის ოქროს დიადემა აღმოჩენილია: *საირხის* ნაქალაქარის №13 სამარხში [მახარაძე და სხვ. 2007: 86-87, კატ. №7, ფ. 29], *ვანის* ნაქალაქარის №6 და №11 სამარხებში [იხ. ფუთურიძე და სხვ. 1972: 113-114, სურ. 37]. სამარხებში ოქროს დიადემა წარმოდგენილია თითო ცალით, მაგრამ იქვე დადასტურდა ვერხცლის დიადემებიც, განკუთვნილი ოქროს დიადემის მფლობელი მთავარი მიცვალებულის თანმხლები პირთათვის.

ოქროს დიადემები ფორმითა და ძირითადი ტექნოლოგიური მახასიათებლებით ერთგვაროვანია: ოვალურად მორკალული გრეხილი ღერო ერთმანეთთან კავებით დაკავშირებული რომბისებური ფირფიტებით ბოლოვდება. ღარებით და ჭდეების რიგით შემოჩარჩობული რომბისებური ფირფიტა ჰორიზონტალური სარტყლით ტოლფერდა სამკუთხედებადაა გაყოფილი. თითოეულ სამკუთხედში წარმოდგენილია სამფიგურიანი კომპოზიცია ანუ რომბისებურ ფირფიტაზე ერთი და იგივე კომპოზიცია გამეორებულია ორჯერ, სარკისებურად. *საირხის* დიადემაზე სამკუთხედის ცენტრში მოთავსებულია

ვარდული — ნახევარსფერული ბურცობი და მის გარშემო რადიალურად განლაგებული ღარები (*სხივები*); *ვარდულის* ორივე მხარეს წაგრძელებული, სამკუთხედის კუთხეებისკენ დავიწროებული ბურცობებია (ე.წ. თითისტარისებური). *ვანის* დიადემაზე ცხოველთა დაპირისპირების სცენებია გამოსახული: №6 სამარხის დიადემაზე ორ ლომს შორის მოქცეულია ტახტი; №11 სამარხის დიადემის ერთ ფირფიტაზე ორი ლომი დასძვრება შუაში მომწყვდეულ, ზურგზე ნაქცეულ ხარს, მეორე ფირფიტაზე — ჯიხვს, რომელიც წინა ფეხით ნაჩოქილია და თავდახრილი — რქა მინაზეა განთხმული. გამოსახულებები შესრულებულია ქედვით, უფრო ზუსტად, ქედური ხელოვნების ერთ-ერთი სახეობის — რბილი თევგის გამოყენებით (ტექნოლოგიური კვლევის შედეგები [იხ. ანდრიაშვილი 1972: 258-265]). ოქროს გარდა, აღმოჩენილია მსგავსი ფორმის ვერცხლისა და ბრინჯაოს დიადემაები თუ კისრის რკალები (დიადემისა და კისრის რკალის გამიჯვნა პირობითია [იხ. მიქელაძე 1985: 53, წერეთელი 2006: 60]). მათი გავრცელების ძირითადი (*ბრილი, ითხვისი, საირხე, გუადიხუ, ვანი* და სხვ.) არე საქართველოს დასავლეთი მხარეა [იხ. გაგოშიძე 1964: 77, ტაბ.XVI; გაგოშიძე 1968: 31-34, ტაბ.II,1; ნადირაძე 1990: 24-25, ტაბ.XXV1; მახარაძე და სხვ. 2007: 55, 90-91, 93, ფ. 68, 147, 151; ლორთქიფანიძე 1972ა: 10; ჭყონია 1981: 14; Трапш 1969: 38, ტაბ.III_{2,3}]. საქართველოს გარეთ ბრინჯაოს მსგავსი დიადემა თუ კისრის რკალი (ერთი ფრაგმენტის სახით) აღმოჩნდა ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში — *ნესტეროვის* სამაროვანზე, სადაც ის მოხვედრილია, როგორც ჩანს, საქართველოდან [იხ. Крупнов 1960: 288-289, სურ. 48₃₃].

გამოსახულებები *ვანის* და *საირხის* ოქროს დიადემაზე განსხვავებულია. *ვანის* დიადემაების რომბისებურ ფირფიტებზე წარმოდგენილია ძველი სამყაროს — აღმოსავლეთ ქვეყნებისა და არქაული პერიოდის საბერძნეთის ხელოვნებისათვის კარგად ცნობილი სიუჟეტი — ცხოველთა ბრძოლა; *საირხის* დიადემაზე — ნახევარსფეროსებური (*ვარდული*) და წაგრძელებული (ე.წ. *თითისტარისებური*) ბურცობებით შედგენილი კომპოზიცია. ორივე შემთხვევაში ფიგურების განლაგება ექვემდებარება საერთო სქემას. ოქროს დიადემაების მიხედვით ნათლად იკვეთება ორი, სრულიად განსხვავებული ხასიათის კომპოზიციის თანაარსებობა და გამოირიცხება მათი ურთიერთმონაცვლეობა. ამის საფუძველს *ვანის* სამარხებში ოქროს და ვერცხლის დიადემაების ერთად აღმოჩენის ფაქტები იძლევა: ვერცხლის ნიმუშებზე *საირხის* ოქროს დიადემის მსგავსი ფიგურები — ასტრალური თუ გეომეტრიული ხასიათის ნიშნებია წარმოდგენილი.

ვანის ოქროს დიადემაების გამოსახულებებზე — ცხოველთა ბრძოლის სცენებში — ნათლად გამოჩნდა აღმოსავლური და ბერძნული ხელოვნების გავლენა: ცხოველთა ფიგურების განლაგება სამკუთხედის ფარგლებში დამახასიათებელია ბერძნული ფრონტონული კომპოზიციებისთვის. ფიგურების შესრულების მანერა კი უმეტეს შემთხვევაში ახლოს დგას აღმოსავლურ — ასურეთის, მანა-მიდიის და აქემენიდური ირანის ხელოვნებასთან. ამასთან ერთად, კანონიკური ნორმებიდან გადახრა (მაგალითად, ბენვი აქემენიდური ტიპის ჯიხვის ზურგზე, ზოგჯერ ფრონტონული კომპოზიციის პრინციპის დარღვევა — ცენტრალური ნაწილის არაინტენსიური დატვირთვა და სხვ.) მიუთითებს მათ თავისებურებაზე [დანვრ. იხ.: ლორთქიფანიძე 1972ა: 10-14; ლორთქიფანიძე 1996: 370; ჭყონია 1981: 14-16]. ისინი, სავარაუდოდ, შექმნილია ადგილობრივი ოსტატის მიერ ხელოვნების — ოქრომჭედლობის — სხვადასხვა სკოლის გავლენით და არა რომელიმე კონკრეტული ნიმუშის პირდაპირი გამეორებით.

ვანის №11, №6 სამარხების ოქროს დიადემაების შედარებითი ანალიზის დროს გამოიკვეთა განსხვავებანი დეტალებში, კერძოდ, მხატვრულ გაფორმებასა (ფიგურების გამოსახვის მანერა) და კომპოზიციების შედგენის პრინციპში, ზომებსა და პროპორციებში, გრეხილი ღეროს ტექნოლოგიურ მაჩვენებლებში. შესაძლებელია ეს განსხვავებანი ქრონოლოგიური ხასიათისაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ კატეგორიის (არასერიულ) არტეფაქტებზე უფრო აშკარად ვლინდება ოსტატის ინდივიდუალიზმი, ფანტაზია, შემოქმედებითი თავისუფლება. ამის გამო თითოეული უნიკალურია და პრაქტიკულად გამოირიცხულია მათი მექანიკური ტირაჟირება.

საირხის ოქროს დიადემაზე, მსგავსად ვერცხლისა და ბრინჯაოს არტეფაქტებისა, ძირითადი — ცენტრალური ელემენტია ვარდული, მოთავსებული ორ ბურცობს შორის. ვერცხლის და ბრინჯაოს დიადემებსა თუ კისრის რკალებზე დადასტურებულია სხვა ვარიანტებიც: ვარდულები, სამი ცალი (საირხე) [მახარაძე და სხვ. 2007: 93, ფ. 28] ან მხოლოდ ერთი ვარდული (საირხე, სოჭი) [მახარაძე და სხვ. 2007: 55, 90-91, ფ. 68, 147; ვორონოვი 1979: 71, სურ.33] ნაგრძელებული ბურცობების გარეშე. ამგვარად, ვარდული, იშვიათი გამონაკლისის გარდა (გუადიხუს №23 სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს დიადემასა თუ კისრის რკალზე ორმაგი სპირალია გამოსახული [იხ. წერეთელი 2006: 63, სურ.3], აუცილებელი ელემენტია, როგორც ოქროს, ისე ვერცხლის და ბრინჯაოს დიადემებსა თუ კისრის რკალებზე. საერთოდ, ვარდული განსაკუთრებულ ადგილს იკავებს კოლხურ ოქრომჭედლობაში — ბუნებრივადაა შერწყმული კოლხური წარმოშობის ოქროს სამკაულთან, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია [იხ. ჭყონია 1999: 163]. ამდენად უკვე ძნელი დასადგენია, თუ რომელ წყაროს მიენეროს თავდაპირველად ვარდულის გამოჩენა კოლხურ კულტურაში — აღმოსავლურსა თუ ბერძნულს (ვარდულის გამოსახულების გენეზისისა და გავრცელების შესახებ [იხ. Sideris 1988: 121-132]).

ოქროს დიადემებზე გამოსახულებებს გარკვეული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. ითვლება, რომ ცხოველთა ბრძოლის სცენები სიკვდილ-სიცოცხლის თემას უკავშირდება. ვარდული — მზის ანუ სიცოცხლის (ნაყოფიერების) სიმბოლოა. ის განსაკუთრებით ხშირად წარმოდგენილია დიადემებზე [იხ. Coche de la Ferté 1956: 34-35]. ვარდულები გამოსახულია სამგლოვიარო დანიშნულების რომბისებურ ფირფიტებზეც, გამოვლენილი საბერძნეთში, აგრეთვე, ევროპის სხვა რეგიონებში [იხ. ჭყონია 1996: 45, იქვე ლიტ.]. ისინი ასოცირდება საქართველოში აღმოჩენილი დიადემების ფირფიტებთან.

სავარაუდოა გამოსახულებების პირდაპირი კავშირი დიადემის დანიშნულებასთან. დიადემა — წარჩინებულობის ნიშანი [გაგომიძე 1968: 34], სარიტუალო სამკაული [ნადირაძე 1990: 26] — სოციალურ-რელიგიური ფუნქციის მატარებელია; სახელისუფლო ინსიგნია — განკუთვნილი უმაღლესი საერო და სასულიერო პირებისთვის (უზენაეს კულტმსახურთა ფენის წარმომადგენლებისთვის [იხ. ინაძე 2009ბ: 119]) და მათი მაღალი უფლებრივი სტატუსის მაჩვენებელია [ლორთქიფანიძე გ. 1978: 76; წერეთელი 1996: 93; წერეთელი 2011: 156]. დიადემა ღვთაებების ატრიბუტია (მაგ. იხ. ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებები — ქალღვთაებების გამოსახულებები [მიქელაძე 1985: 62]). სტრაბონის მიხედვით (იხ. XII, 3), დიადემას ატარებს ქურუმი ქალღვთაებისადმი მიძღვნილ დღესასწაულებზე. დიადემა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს დაკრძალვის რიტუალში, რაც აისახება კიდევ გამოსახულებათა შინაარსში [იხ. Deonna 1928: 27; Arias 1959: 16]. სავარაუდოა დაკრძალვის რიტუალისთვის დიადემების საგანგებოდ დამზადება [იხ. ლორთქიფანიძე 1972ა: 13, შენ. 31].

საქართველოში მიცვალებულისთვის დიადემის ჩატანების წესი გარე სამყაროდან შემოსული გავლენით დამკვიდრდა. შესაძლებელია, ძველ კოლხეთში მისი გავრცელება უკავშირდება საბერძნეთს, რომელმაც ეს ჩვეულება ეგეოსური კულტურიდან შეითვისა [ჭყონია 1999: 160]. განხილული ოქროს დიადემების ფორმირებაზე კი — მათ საერთო აგებულებასა და შემადგენელ ელემენტებზე — გადამწყვეტი როლი ითამაშა წინამორბედი ხანის მატერიალური კულტურის ადგილობრივმა ძეგლებმა და ლითონის მხატვრული დამუშავების ღრმა ტრადიციებმა. დიადემის ცალკეული სემენტი — გრეხილი რკალი, კავი, რომბისებური ფირფიტა გენეტიკურად დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის არტეფაქტებთან. დიადემის შემადგენელ ელემენტებს (აქ იგულისხმება ღეროს ბოლოების გაფართოებული ნაწილიც არა მხოლოდ რომბისებური ფირფიტის სახით) ბევრი საერთო ეძებნება ჩრდილოეთ კავკასიის მასალებში [Крупнов 1960: 289-290].

არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით ოქროს რომბისებურფირფიტებიანი დიადემების არსებობის პერიოდი ძვ.წ. 500-350 წწ.-ით განისაზღვრა. მათი ჩამოყალიბება ძვ.წ. 600-500 წწ.-ში დაიწყო. დადგენილია განვითარების შემდეგი სქემა: გრეხილი რკალის ჩახვეული ბოლოები შეიცვალა ბრტყელი ნიჩბისებური, შემდგომ — ოვალური და ბოლოს —

რომბისებური ფორმის ფირფიტებით. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ფუნქციის ცვალებადობა — კისრის რკალის ჩანაცვლება დიადემით. თუმცა, მკვეთრი ფუნქციური დაყოფა პირობითია; დასტურდება მათი თანაარსებობის შემთხვევებიც [წერეთელი 2006: 62-65]. რომბისებურფირფიტებიანი დიადემების გენეზისი და გავრცელების არეალი, სტრუქტურა და შემადგენელი სეგმენტების ძირითადი მახასიათებლები მიუთითებს ადგილობრივ წარმომავლობას. გარე სამყაროდან შემოსული სახეობა — ზოგადად, დიადემა — ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების საფუძველზე განვითარდა დამოუკიდებელ თავისებურ ფორმად და გახდა ქართული (კოლხური) კულტურის კუთვნილება.

შედგენილი თავსამკაული. ძვ.წ. 350-იან წლებში რომბისებურფირფიტებიანი დიადემა წყვეტს არსებობას. აქედან მოყოლებული — ოქრომჭედლობის განვითარების და, საერთოდ, ისტორიულ-კულტურული პროცესების ახალი ეტაპის დაწყებიდან და შემდგომ ხანაშიც წამყვან ადგილს იკავებს ე.წ. შედგენილი თავსამკაული, რომელიც წარმოადგენს ერთგვაროვანი ან სხვადასხვა სახის სამკაულის — საკიდების, მძივების, მილაკების, ბალთების და ა.შ. ერთობლიობას. ამ შემთხვევაში თითოეული შემადგენელი ელემენტი ცალკე დამოუკიდებელი ერთეულია, განსხვავებით მთლიანი, განუყოფელი რომბისებურფირფიტებიანი დიადემებისგან. ძვ.წ. V ს-ის შუახანებში დადასტურდა რომბისებურფირფიტებიანი დიადემისა და შედგენილი თავსამკაულის თანაარსებობა — ვანის ნაქალაქარის №11 სამარხში მთავარ მიცვალებულს ეკეთა ორივე ერთად. მათ შორის, როგორც ჩანს, გადანაწილებული იყო ფუნქციები: ერთი უკავშირდებოდა დაკრძალვის რიტუალს, მეორე წარმოადგენდა საერო თუ სასულიერო პირის უფლებრივ ინსიგნიას.

ამჟამად ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ზოგიერთ ნიმუშზე, რომლის თავსამკაულად განსაზღვრა ეჭვს არ იწვევს. თავსამკაულის გარდა, საკიდებით, მძივებით, მილაკებით და ა.შ. შედგენილია ყელსაბამები, სამაჯურები, ქამრები; ისინი ტანსაცმლის, სუდარის სამკაულიცაა. მათი კონკრეტული დანიშნულების დადგენა ემყარება აღმოჩენის პირობების გათვალისწინებას — სამარხში *in situ* არტეფაქტების განლაგების ზუსტ ფიქსაციას [Ростовцев და სხვ. 1917: 71], აგრეთვე, იკონოგრაფიულ პარალელებს. ხშირად სამარხში სამკაულთა თავდაპირველი მდებარეობის გარკვევა ვერ ხერხდება (დაზიანებული სამარხები — ნაკლული ან სხვადასხვა მიზეზთა გამო გადაადგილებული არტეფაქტები, გაუთვალისწინებელი ბუნებრივი პირობები და სხვ.); ხოლო იკონოგრაფიული მონაცემების არარსებობის დროს რთულია შემადგენელი ელემენტების მონაცვლეობისა და, საერთოდ, ტარების წესის აღდგენა.

არსებული მონაცემებით — საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არტეფაქტების საფუძველზე — შედგენილი თავსამკაული (დიადემა, თავსაბურავი) წარმოდგენილია შემდეგი სახით: 1- საკიდებითა და მძივებით შედგენილი თავსამკაული. 2- ვარდულებით, ღილაკებით შედგენილი (შემკული) თავსამკაული (თავსაბურავი). 3- რთული აგებულების (პირობითი ტერმინოლოგიით) თავსამკაული. აქ იგულისხმება: რამდენიმე განსხვავებული ელემენტის ერთობლიობით; ჰერაკლესკვანძიანი ბალთების გამოყენებით; ე.წ. თვალბუდეების შეერთებით შედგენილი თავსამკაული.

1. ვანის ნაქალაქარზე წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში (№11 სამარხი. ძვ.წ. 460-440 წწ) გამოვლენილი ოქროს საკიდებისა და მძივების ერთი ჯგუფი — ე.წ. მსხლისებური საკიდები (ანუ ბიკონუსური — სხვადასხვა სიმაღლის ორი კონუსი ერთმანეთთან „ფუძით“ შეერთებული) და სფეროსებური ტანდალარული მძივები აღმოჩენის პირობების მიხედვით მიეკუთვნა თავსამკაულს [დანვრ. იხ. ჭყონია 1981: 16-17, 101, კატ.№3, სურ.3]). ამავე პრინციპით — ერთგვაროვანი საკიდებისა და მძივების მონაცვლეობით შედგენილ თავსამკაულებს შორის მას ანალოგი არ მოეძებნა [შდრ.: Артамонов 1966: 49, 53, 63, სურ.109, 121, ტაბ.199; Петренко 1967: 28, ტაბ.18-20] და სხვ.). წარჩინებული კოლხი ქალის თავისებური სამკაული, როგორც ჩანს, ადგილობრივი ოქრომჭედლის მიერ შექმნილი ნიმუშია. ნიშანდობლივია, რომ ის გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ე.წ. წარჩინებული მეომრის — დედატოსის ოქროს საბეჭდავ-ბეჭედზე (ვანი, №9 სამარხი, ძვ.წ. 350-325 წწ. [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 202]) გამოსახული პიროვნების თავსამკაულთან

[ლორთქიფანიძე მ. 1976: 135, 144] და ეს საბეჭდავი-ბეჭედიც ადგილობრივ სახელოსნოშია დამზადებული [ლორთქიფანიძე მ. 1976: 147]. ვანის თავსამკაულის ანალოგიური საკიდები ცნობილია საირხის ე.წ. *საკულტო ორმოდან* [მახარაძე და სხვ. 2007: 111, კატ.№2, 197; შეადარ. ნადირაძე 1990: 86].

2. თავსამკაულს (თავსაბურავის სამკაულს) წარმოადგენს ოქროს ფირფიტები საირხის №10 სამარხიდან, რომელიც, ზოგადად, ძვ.წ. 400-350 წწ. [ნადირაძე 1990: 97] ან, უფრო დაზუსტებით, ძვ.წ. 375-350 წწ.-ით თარიღდება [მახარაძე და სხვ. 2007: 80]. გათხრების პროცესში შესაძლებელი გახდა ფირფიტების განლაგების დაფიქსირება მიცვალებულის თავის ქალასთან მწკრივებად, მიჯრით — შუბლიდან თხემისკენ [ნადირაძე 1990: 92; მახარაძე და სხვ. 2007: 75, კატ.№1 ფ. 19; ნერეთელი 2010: 46, 54]. თითოეულ ფირფიტაზე ამოტვიფრულია ხუთი, პირობითად, ვარდული — მრგვალი ღილაკი (ანუ ღილაკის სახით ვარდულის სქემატური გამოსახულება): ცენტრში — ერთი და მის გარშემო — ოთხი; ფირფიტა ღილაკებთან შემოჭრილია იმგვარად, რომ ტოლმკლავა ჯვრის ფორმას ემსგავსება. ღილაკის შუაგული ნახევარსფეროსებურია, რომელსაც შემოუყვება მცირე ზომის ბურცობები; კიდესთან, „მკლავებზე“, ნახვრეტებია (სულ ოთხი ნახვრეტია) ქსოვილსა თუ ტყავზე დასამაგრებლად. ამავე თავსამკაულის ნაწილებად მოიაზრება ოქროს საკიდები, შედგენილი მილაკისა და ყუნწზე სპირალისებურად დამაგრებული, ბოლოში მოკაუჭებული მავთულისგან [ნერეთელი 2010: 46]. ეს თავსამკაული შედგენილი იყო მარტივად — მხოლოდ ერთგვაროვანი ელემენტებით.

მარტივი სტრუქტურის თავსამკაული, შედგენილი ოქროს ვარდულებისგან, დადასტურებულია *ვანის* ნაქალაქარზეც — №4 (ბავშვის) სამარხში [ხოშტარია 1979: 127-133], რომელიც თარიღდება ძვ.წ. 300-250 წწ.-ით [იხ. მათიაშვილი 1977: 108-109, სურ.105-108; ჭყონია 1981: 57, შენ. 14]. ვარდულების ძირითადი ნაწილი (65 ც.) განლაგებული იყო მიცვალებულის თავის ქალასთან მჭიდროდ, მწკრივებად [იხ. ხოშტარია, 1979: 128]; ვარდულები ერთნაირია: გამოტვიფრულია, გამოყენებულია ერთი ტვიფრი; ცხრაფურცლიანია, შუაგული და ფურცლები ამოხნეილია; უკანა მხარეს მირჩილულია მავთულისგან დამზადებული ოთხი ყუნწი [ჭყონია 1981: 112, კატ.№73, სურ.38].

თავსამკაულის შემადგენელი ნაწილები ვანის №4 სამარხიდან განსხვავდება საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი შედარებით ადრეული პერიოდის (ძვ. წ. 500-300 წწ) ვარდულებისგან. მათი თავისებურება გამოიხატება ცალკეული დეტალის, კერძოდ, ფურცლებისა და შუაგულის პროპორციებში, რაც, შესაძლებელია, ქრონოლოგიური ნიშანიც იყოს. გარდა ამისა, ფურცლები და შუაგული მხოლოდ გამოტვიფრულია, გამოყენებული არ არის დამატებითი დეკორატიული ელემენტები — მავთული, ცვარა — დამახასიათებელი მხატვრული ხერხი ადრეული ხანის ზემომითითებული ვარდულებისთვის. თუმცა, ცნობილია ძვ.წ. 350-250 წწ.-ით დათარიღებული ვარდულების ერთი ჯგუფი, ცვარათი და მავთულით გამოყვანილი ფურცლებითა და შუაგულით, როგორც საქართველოში (*ვანი, სამადლო*) [ჭყონია 1981: 87, 132, კატ. №262-265, სურ.66; გაგოშიძე 1967: 64, 75, №19, ტაბ. I-II], ისე მის ფარგლებს გარეთ (საბერძნეთი, ჩრდილო შავიზღვისპირეთი). ამ სახის ვარდულებიც (მათი დამახასიათებელი ნიშანია, აგრეთვე, ფურცლის ჩაზნეილი შიდა ნაწილი), ჩვეულებრივ, სხვადასხვა სამკაულის — ყელსაბამის, საყურის, დიადემის და ა.შ. ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია (მაგ.: იხ. Amandry 1963: 79-81, სურ.46-47, ტაბ. XXXII; Deppert-Lippitz 1985: 168, 185, სურ.117, ტაბ. XVII, XX, XXIII; Williams და სხვ. 1994: 74, №30, 112, №64, 116, №68, 168-169, №106, 188, №121, 190] და სხვ.).

საინტერესო ფაქტია ოქროს ვარდულებით შედგენილი თავსამკაულის არსებობა მცირე ზომის ქანდაკებებზე (*ვანის* ნაქალაქარის ზედა ტერასაზე აღმოჩენილი ფიგურები). ბრინჯაოს ერთ ფიგურაზე [იხ. კაჭარავა 2004: 226, სურ. 2,4; კაჭარავა და სხვ. 2008: 100, სურ.2, №2], თავის არეში დაფიქსირდა ხუთი ვარდული. ოქროს ვარდულებით შედგენილი თავსამკაული დადასტურდა მცირე ზომის რკინის ქანდაკებაზეც [იხ. კაჭარავა და სხვ. 2008: 104, სურ.2, №3, სურ.ნა,ბ] ფიგურის თავზე, წინა მხარეს, ოქროს ორი „*ვარდულია*“. *ვანში* აღმოჩენილი მცირე ზომის ქანდაკებები დათარიღებულია ძვ.წ. III ს-ით. ისინი

დაკავშირებულია იმ დროს გავრცელებულ დაკრძალვის რიტუალთან [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 212] და ამის გამოც ფიგურების ოქროს სამკაულით შემკობას, მით უფრო ოქროს ვარდულებით შედგენილ თავსამკაულს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ვარდულების გამოყენება, როგორც შემადგენელი თუ დეკორატიული ელემენტისა, და ამავე დროს მათთვის რელიგიურ-სიმბოლური დანიშნულების მინიჭება, გავრცელებული მოვლენაა და მისი წარმომავლობა ძველ აღმოსავლეთს უკავშირდება (მაგ. იხ. ქალღვთაების — კიბელას ვარდულებით შემკული თავსაბურავი *კარხემიშის* რელიეფზე [Naumann 1983: 292, ტაბ.23]). ვარდულები გამორჩეულ ადგილს იკავებს კრეტა-მიკენურ საიუველირო ხელოვნებაში [იხ. Becatti 1955: VII, №12, XV, №50, XVI, №51, XVII, №63, XXIII, №110 და სხვ.] და უფრო მოგვიანებით — არქაული ხანის, განსაკუთრებით, როდოსულ სამკაულებზე; ცნობილია ვარდულებით შემკული ოქროს (ელექტრუმის) დიადემები, დათარიღებული ძვ.წ. 700-600 წწ.-ით [იხ. Coche de la Ferté 1956: 34-35, ტაბ.IV₄; Higgins 1980: 105, ტაბ.19; ჭყონია 1981: 58-59; ჭყონია 2001: 101-102].

სამთავროს ველზე (მცხეთა), ზოგადად მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებულ ორმოსამარხებში, მიცვალებულთა თავის არეში, აღმოჩენილია ვარდულის მსგავსი ბრინჯაოს ფირფიტები, რომლებიც თავსამკაულის ნაწილები უნდა იყოს [აფაქიძე და სხვ. 1955: 92]. სავარაუდოდ, თავსამკაული ვანის №4 სამარხიდან ამ ძველი ტრადიციის ერთგვარი გამოძახილია. ვარდულებით შედგენილი თავსამკაული თავს იჩენს ახ.წ. პირველ საუკუნეებში. კერძოდ, მცხეთაში, *არმაზისხევის* ნეკროპოლზე, ახ.წ. II ს-ის დასასრულით დათარიღებულ №7 სამარხში, მიცვალებულის თავთან, 30 X 30 სმ ფართობზე, გამოვლინდა ოქროს ვარდულები (111 ც.) [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955: 92-93, 97, სურ. 52₁₃₋₁₇, ტაბ. XXX₈].

არმაზისხევისა და ვანის თავსამკაულებს შორის განსხვავება აღინიშნება ვარდულების ზომებში, პროპორციებში, ფურცლების რაოდენობაში, ყუნწების რაოდენობაში [ლომთათიძე 1957: 41, 180, ტაბ.II₂, XVI₂]. არმაზისხევის №7 სამარხში, ასევე მიცვალებულის თავის ქალის ფრაგმენტებთან ახლოს, აღმოჩნდა ოქროს სამკაული, რომელიც, სავარაუდოდ, ვარდულებთან ერთად თავსამკაულის თუ თავსაბურავის შემადგენელი ელემენტი უნდა ყოფილიყო [აფაქიძე და სხვ. 1955: 87-89, სურ.52₁₉, ტაბ.XXX₁₁]. სამკაული პოლიქრომიულია: ოქროს მრგვალ დაკბილულ ბუდეში ჩასმულია მუქი წითელი აქატი — გაუმჭვირვალე, მცირედ ამოზურცული, ზედაპირგაპრიალებული (დმ 91 მმ).

ახ.წ. პირველ საუკუნეებში დასტურდება თავსამკაულის შემადგენელ ელემენტებად, ვარდულების გარდა, ლილაკების — ე.წ. *კილიტების* გამოყენებაც. ამის ნათელი მაგალითებია *უფლისციხესთან* — *ყათნალიხევისა* და *მცხეთაში* — *სამთავროს ველის* ნეკროპოლებზე აღმოჩენილი ოქროს ლილაკები. *ყათნალიხევის* №1 ორმოსამარხში (ახ.წ. II ს), მიცვალებულის თავის ქალასთან თავმოყრილი იყო ლილაკები (21 ც.) — მრგვალი, ჩაზნექილზედაპირიანი, ორყუნწიანი; ეკუთვნოდა სამგლოვიარო გვირგვინს [იხ. ხახუტაიშვილი 1964: 88-90, ტაბ.III₅]. მსგავსი ოქროს ლილაკები მომდინარეობს *ბაგინეთის* სარკოფაგიდან (მცხეთა), ზოგადად დათარიღებული ახ.წ. II-III სს-ით [იხ. აფაქიძე გ. 1973: 63, 65]. თავსამკაულის — თავსაბურავის ნაწილებადაა მიჩნეული ოქროს ლილაკები (171 ც.) და მარგალიტის მძივები (8 ც.), რომლებიც აღმოჩნდა სამთავროს ნეკროპოლის №148 კრამიტსამარხში — მიცვალებულის ქალასთან იყო გაბნეული. სამარხი დათარიღებულია ახ.წ. I ს-ით [Ивашенко 1980: 11, 108]. ლილაკები სადაა, ნახევარსფეროსებრი, უკანა მხარეს ერთი ყუნწით; სხვადასხვა ზომისაა — დმ 3-5 მმ-ს შორის მერყეობს. მსგავსი ლილაკები ცნობილია ახ.წ. პირველი საუკუნეების სამარხებიდან, განსკუთრებით დიდი რაოდენობით — *არმაზისხევის* ნეკროპოლზე.

ვარდულების და ლილაკების შეხამება მძივებთან ან სხვა სამკაულთან (და არა მხოლოდ ოქროს სამკაულთან). საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში ამის მაგალითებია არმაზისხევის №7 და სამთავროს №148 სამარხებში აღმოჩენილი თავსამკაულები. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვა სახის სამკაულის შეხამების დროს გარკვეულწილად დარღვეულია თავსამკაულის მარტივი აგებულების პრინციპი. თავსამკაულთა ზემოთ წარმოდგენილი დაჯგუფება პირობითია, არ არის

დაქვემდებარებული მხოლოდ ერთ მოცემულობაზე: პირველ შემთხვევაში — შემადგენელი ნაწილების მონაცვლეობაზე (საკიდებისა და მძივების მონაცვლეობით შედგენილი თავსამკაული), მეორე ჯგუფთან დაკავშირებით — ერთ ან ერთ-ერთ კომპონენტზე (ვარდულებით ან ღილაკებით შედგენილი — შემკული თავსამკაული), და ბოლოს — სტრუქტურის გართულებაზე ანუ რამდენიმე ელემენტის ერთობლიობაზე.

3. საქართველოში, არსებული მონაცემების მიხედვით, რთული აგებულების თავსამკაული, შედგენილი დამოუკიდებელი არაერთგვაროვანი ელემენტების გაერთიანებით, დადასტურებულია ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან და ემთხვევა ქართული ოქრომჭედლობის განვითარების ახალ საფეხურს — ოქრომჭედლობაში ახალი მხატვრული ტენდენციებისა და რეპერტუარის დამკვიდრებას [იხ. ლორთქიფანიძე 1996: 381-382]. ინოვაციები განსაკუთრებით მკაფიოდ აისახება თავსამკაულებზე.

3ა. რთული თავსამკაულის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში მომდინარეობს *ვანის* ნაქალაქარიდან, კერძოდ, *წარჩინებული კოლხი მეომრის დედატოსის* სამარხიდან (№9 სამარხი), რომელიც ძვ.წ. 350-325 წწ.-ით თარიღდება [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 203]. სამარხში ოქროს საკიდები, მძივები და მილაკები დაფიქსირდა მთავარი მიცვალებულის თავის ქალის გარშემო ან მისგან მცირე მანძილით დაშორებაზე, რის საფუძველზეც ისინი განისაზღვრა თავსამკაულის შემადგენელ ნაწილებად; განლაგებაში გარკვეული კანონზომიერება არ გამოიკვეთა — ისინი უწესრიგოდ იყო მიმოხეული გროვებად.

ოქროს საკიდები (15ც.) — თავსამკაულის მთავარი ელემენტი, დაკრძალულის სტატუსიდან გამომდინარე, საფიქრებელია, ასრულებდა მნიშვნელოვან როლს სოციალურ-რელიგიური შინაარსის გამოხატვის თვალსაზრისით. თითოეული გაფორმებულია მოცულობითი სამი ფიგურის სახით: ცხენზე ამხედრებული მამაკაცისა და სხვადასხვა ზომის ორი ფრინველის გამოსახულებები მირჩილულია ერთმანეთთან გარკვეული თანამიმდევრობით (სიგრძეზე, ერთი მიმართულებით): ცხენოსანი, შემდეგ — მიყოლებით, დიდი და მცირე ზომის ფრინველები. სამივე გამოსახულება გამოტვიფრულია: ცხენი და მხედარი — ერთად, ფრინველები — ცალ-ცალკე. სამივე მიღებულია ოქროს ფირფიტისგან გამოტვიფრული ორი ნახევრის შეერთებით; გამოსახულებათა დეტალები — ყურები, თვალები, მცირე ზომის ფრინველის ფრთები, ფრინველების კისერზე რკალი — გამოყვანილია ფირფიტის, სადა და გრეხილი მავთულის, ცვარას საშუალებით; დამაგრებულია გამოტვიფრულ ნაწილებზე. ფიგურებზე, ყუნწების მეშვეობით — მოძრავად შეკიდულია ორ-ორი სამკაული, გამოტვიფრული, მცირედ ამობურცული, კიდესთან მავთულით შემოსაზღვრული: დუგმისებური მოყვანილობის — ცხენებზე, მრგვალი — ფრინველებზე. საკიდზე ოთხი გამჭოლი ნახვრეტია: ცხენზე — კისერთან, ქვემოთ და უკანა თეძოზე — ორი, ფრინველებზე — თითო-თითო. საკიდებთან ერთად აღმოჩენილი მილაკები დაღარულია; მძივების უმეტესი ნაწილი სადაა, სფეროსებური; სამი მძივი შეწყვილებულია; ოთხი — შემკრები, „სამმაგი“ [ჭყონია 1981: 54-56, 112, კატ. №72, სურ. 37].

ვანის საკიდების ერთგვარი გამოძახილია *ქუთაისის* ისტორიულ მუზეუმში დაცული ოქროს სამკაული [იხ. ჭყონია 1981: 56]. ერთმანეთთან მირჩილული სხვადასხვა ზომის ორი ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულება გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს *ვანის* საკიდებთან შინაარსით, სტრუქტურით, ასევე, ზოგიერთი დეტალით (მაგ. მაღალი კისრით).

ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი კოლხი მეომრის თავსამკაულის გამოსახულებები, აგრეთვე, ოჩამჩირის და ქუთაისის ნიმუშები ძველი კოლხეთის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება; მათი ახსნა ქართველური მოსახლეობის წარმართულ პანთეონშია საძებნელი (მაგ. შდრ. ბრინჯაოს ჭვირულგამოსახულებიანი ბალთა, რომელზეც წარმოდგენილია მხედარი, მის უკან — ფრინველი, ხოლო წინ — ასტრალური ნიშანი კონცენტრული წრეების სახით [იხ. ხიდაშელი 1972: 111, №144]). ცნობილია, რომ მხედრები, ფრინველები „*ღმერთების დიდი დედის*“ — ნაყოფიერების ქალღმერთის ატრიბუტია [იხ. ლორთქიფანიძე 1972ბ: 101; ლორთქიფანიძე და სხვ. 1980: 13-14, 21; ჭყონია 2001: 98-100] და, ბუნებრივია, დიდი დედის კულტმა ასახვა ჰპოვა ძველ ქართულ ოქრომჭედლობაშიც. ნიშანდობლივია, რომ მხედრების, ფრინველების გამოსახულებები

განსაკუთრებით დამახასიათებელია თავსამკაულებისთვის (აქ იგულისხმება საყურეები და სასაფეთქლებიც). ამ მხრივ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ტიპის ადგილობრივი მინაბაძები (ძვ.წ. II-I სს): მონეტების ავერსზე — ქალღმერთ ათენასა ან ალექსანდრე მაკედონელის თავსა თუ თავსაბურავზე წარმოდგენილია ფრინველის სქემატური გამოსახულებები [დუნდუა 1987: 74-76, 78-80, 95, №51-54, 60-64, 66-67, 71-79, ტაბ. XX-XXVII]. ეს ელემენტი დამახასიათებელია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოჭრილი მონეტებისათვის. რაც ნათლად წარმოაჩენს ადგილობრივი რელიგიური შეხედულებების ერთ-ერთ თავისებურებას.

ზემოგანხილული თავსამკაული თავისი სიმბოლიკით, აგრეთვე, გამოყენებული მხატვრული და ტექნიკური ხერხებით ძვ.წ. V-IV სს-ის კოლხური ოქრომჭედლობის ერთი საერთო სისტემის ნაწილია. ამასთან ერთად, დროის მოთხოვნილებათა შესაბამისად, თავსამკაულის შემადგენელ ნაწილებში დასტურდება ახალი ნიშნების გაჩენა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოძრავად შეკიდულ სამკაულებში გამოიხატა. მოძრავსაკიდიანი სამკაულები ძვ.წ. IV ს-ის მომდევნო პერიოდში საყოველთაოდ გავრცელდა და საიუველირო ხელოვნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი თვისება გახდა. მოძრავსაკიდიანი სამკაულის არსებობა ცნობილია უკვე IV ს-ის დასაწყისიდან (მაგ. ვანი, ახალგორი) და ამის საინტერესო მაგალითებია ოქრომჭედლობის ადგილობრივ სახელოსნოებში დამზადებული ე.წ. ფიგურულსაკიდიანი სასაფეთქლები — საყურეები.

მაგ. დედატოსის (ვანი) თავსამკაული იყო საზოგადოების წარჩინებულთა წრის წარმომადგენლის სოციალური სტატუსის ინსიგნია და აქედან გამომდინარე — განსხვავებული, ერთადერთი, განკუთვნილი მხოლოდ კონკრეტული პიროვნებისათვის (ან პიროვნებებისათვის, თუ გათვალისწინებული იქნება თავსამკაულის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა). ამავე დროს, მიუხედავად უნიკალურობისა, თავსამკაულში არეკლილია კარგად ცნობილი და გავრცელებული, ერთი მხრივ, ძველი — ტრადიციული, მეორე მხრივ, თანადროული — ახალი მხატვრული ტენდენციები.

მხატვრული კონცეფციისა და შინაარსის თვალსაზრისით არტეფაქტების მსგავს კატეგორიას წარმოადგენს ოქროს თავსამკაული ვანის №24 ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის სამარხიდან [იხ. კაჭარავა და სხვ. 2009: 263-305]. დედატოსის თავსამკაულთან კავშირი ჩანს მხოლოდ ზოგადი მახასიათებლებით: ერთნაირია სამკაულთა აგებულების პრინციპი (მრავალელემენტური რთული კონსტრუქცია), სოციალურ-რელიგიური დანიშნულება, დამზადების ტექნიკურ-დეკორატიული ხერხები; აქაც აქცენტი გაკეთებულია ტრადიციულობის შენარჩუნებასა და ახლის ათვისებაზე.

თავსამკაულის შემადგენელი ნაწილები — ჭვირული სამკაული, პირობითად, ბალთა, დაღარული მილაკები და საკიდები — ბრონეულის გამოსახულებები, შეკრული ე.წ. კონებად — კონცენტრირებული იყო, სავარაუდოდ, მიცვალებულის თავის არეში [იხ. Kacharava და სხვ. 2008ა: 175, სურ.9, ტაბ.36;]. ასევე თავსამკაულის შემადგენელი ელემენტებია ოქროს დიდი ზომის მილაკები (3ც.), შემკული ცვარათი (ცვარათი გამოყვანილია სვასტიკა, ოთხკუთხედები და სხვ.) და ოქროს ფირფიტები (8ც.) — გრიფონის თავის სქემატური გამოსახულებები, დაფარული ურთიერთგადამკვეთი ღარებით; ნახვრეტებიანი (ქსოვილზე, ტყავზე... დასამაგრებლად) [Kacharava და სხვ. 2008ა: ტაბ. 38ა, ბ]. თუმცა, თავსამკაულში მათი ზუსტი ადგილის განსაზღვრა ვერ ხერხდება. სხვა შემთხვევაში, სამარხშივე დოკუმენტურად დაფიქსირდა, რომ თავსამკაულის მთავარი — ცენტრალური ელემენტია ჭვირული ბალთა (რაც კანონზომიერია საერთო კომპოზიციის თვალსაზრისითაც), ხოლო დაღარული მილაკები, რომლებიც მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა, განლაგებული იყო მჭიდრო რიგებად, ერთიანი სარტყლის თუ ძეწკვის მსგავსად, და ბოლოვდებოდა საკიდებით — ბრონეულის „კონებით“ [კაჭარავა და სხვ. 2007: სურ.21].

ჭვირული ბალთა ორმხრივია (განივკვეთში — ნალისებური, ქვემოთგვერდები ერთმანეთთანაა შეერთებული). ორივე მხარეს ერთნაირი გამოსახულებებია წარმოდგენილი: შუაში — ირემი, რქებიანი, პროფილში მარცხნივ და მის გარშემო — სამი, შედარებით მცირე ზომის ირემი, რქების გარეშე, ასევე პროფილში, თავით ზურგისკენ

შებრუნებული. გამოსახულებები შესრულებულია გრაფიკულ სტილში — ფირფიტაზე მათი კონტური ცვარათია შემოსაზღვრული; კონტურებს გარეთ ფირფიტა შემოჭრილია. ბალთის ზედა ნაწილზე სიმეტრიულად განლაგებულია ლომის და ფრინველის მოცულობითი გამოსახულებები, შემკული ცვარათი. ამ სამკაულს ანალოგი არ ეძებნება. დეკორატიული და ტექნიკური ხერხები, გამოსახულებათა შინაარსი კოლხური მხატვრული ხელოსნობის ტრადიციებზე მიუთითებს [იხ. ჭყონია 2008: 87-89]. ეს ბალთა სიახლოვეს ამჟღავნებს, ერთი მხრივ, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხური ბრინჯაოს ცულების გრაფიკულ გამოსახულებებთან [ფანცხავა 1988: ტაბ.VII, XIII, XIV, XIX], აგრეთვე, ახ.წ. პირველი საუკუნეებით დათარიღებულ ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებთან [იხ. ხიდაშელი 1972: კატ.№157-171], რაც ერთიანი გენეტიკური ხაზის არსებობისა და უწყვეტი განვითარების მაჩვენებელია. ნიშანდობლივია, ასევე, რომ ოქროს ბალთაზე — თავსამკაულზე — კვლავ დასტურდება ფრინველის ფიგურები (მოცულობითი გამოსახულებები) — კოლხური ოქრომჭედლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, შესრულებული ადგილობრივი ოქრომჭედლობის სკოლისათვის დამახასიათებელი ხელნერით.

თავსამკაულზე, ტრადიციულობასთან ერთად, თავს იჩენს საიუველირო ხელოვნების ერთ-ერთი სიახლე-საკიდები, შეკრული კონებად, რომლებიც მყარად იკიდებს ფეხს განსაკუთრებით ძვ.წ. 300-100 წლებში [Deppert-Lippitz 1985ბ: 202]. საქართველოში, ვანის №24 სამარხის მიხედვით, ეს ელემენტი ცნობილია უკვე ძვ.წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედში. ვანში აღმოჩენილი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის რთული აგებულების თავსამკაულების პარალელები უცნობია ბერძნული და აღმოსავლური სამყაროს ოქრომჭედლობაში [შდრ. იხ. Ростовцев და სხვ. 1917: 71-81, 88; Rehm 1992: 172-174; Мирошина 1983:10-17 და სხვა.].

3ბ. საიუველირო ხელოვნების ახალი მიმართულება და ინოვაციები საქართველოში მოპოვებული არტეფაქტებზე უფრო მკაფიოდ მჟღავნდება ძვ.წ. III ს-დან. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა ე.წ. ჰერაკლეს კვანძის მოტივის გავრცელება, კერძოდ, თავსამკაულში ჰერაკლესკვანძიანი ბალთების გამოყენება. ჰერაკლეს კვანძის გამოსახულებას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ეგვიპტეში ის ცნობილი იყო უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში და, სავარაუდოა, ამ მოტივის გავრცელება სწორედ ეგვიპტეს უკავშირდება [Higgins 1980: 154]. ჰერაკლეს კვანძი დადასტურებულია მიკენურ ოქროს სამკაულზე [Marshall 1907: 115, ტაბ.18], მაგრამ წინაელისტიური ხანის საიუველირო ხელოვნებაში ჰერაკლეს კვანძი არ დამკვიდრებულა როგორც ჩამოყალიბებული მხატვრული ფორმა. ჰერაკლეს კვანძი „ელვისებურად“ საკმაოდ მყარ ადგილს იკავებს საიუველირო ხელოვნებაშიც [Deppert-Lippitz 1985ბ: 201; Pfrommer 1990: 4]. ჰერაკლეს კვანძი — გვირგვინების, დიადემების, ყელსაბამების, სამაჯურების, ბეჭდების, ქამრების და ა.შ ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტი ხდება.

საქართველოში ადრეელისტიური ხანის დასაწყისიდანვე — ძვ.წ. IVს-ის ბოლო მეოთხედიდან — ოქრომჭედლობაში არსებითი ცვლილებები აღინიშნა. ამ ცვლილებებს ნიადაგი მოუმზადა, ერთი მხრივ, შედარებით უფრო ადრეულ ხანაში უკვე ჩამოყალიბებულმა ადგილობრივმა საოქრომჭედლო ძლიერმა სკოლამ, მეორე მხრივ, მთელ ელინისტიურ სამყაროში გავრცელებულმა ახალმა მხატვრულმა მიმართულებებმა. ერთი მხრივ, არსებობა განაგრძო ადგილობრივმა ტრადიციულმა ფორმებმა, შემკულობამ, ტექნიკურმა ხერხებმა; მეორე მხრივ, ელინისტიური ხანის საიუველირო ხელოვნების განმსაზღვრელი ნიშნები — პოლიქრომია, დინამიურობა, დეკორატიულობა, ახალი ფორმები და მოტივები, შემკულობის ახალი სისტემა გარკვეულწილად აისახა ქართულ ძეგლებზე. ამ ორი მიმართულების — ადგილობრივი ტრადიციული ელემენტებისა და უცხო გარემოდან შემოსული სიახლეების თანაარსებობამ და შერწყმამ განსაზღვრა ოქრომჭედლობის განვითარების ახალი საფეხურის ჩამოყალიბება.

ელინისტიური ხანის საიუველირო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სამკაულის აღმოჩენის შემთხვევები — ელინისტიური კოინეს მოდელით დამზადებული ნიმუშები, ელინისტიური ხანის მხატვრული სტილის გავრცელება საქართველოს გარე სამყაროსთან კონტაქტებისა ბუნებრივი შედეგია. ოქრომჭედლობის ადგილობრივი ძლიერი სკოლის

არსებობის პირობებში, სიძნელეს არ წარმოადგენდა უცხო გავლენით თუ მეტ-ნაკლები მიბაძვით სამკაულის დამზადება. ზოგიერთ შემთხვევაში კი ოქრომჭედლების მიერ ელინისტური ხანის დამახასიათებელი ნიმუშების თავისებურად გააზრება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში არ გავრცელებულა ამ ხანის სამკაულთა სრული რეპერტუარი; აგრეთვე, ელინისტური ხანის საერთო მოდა, პოლიქრომიული სტილის ჩათვლით, და სამკაულთა წამყვანი ფორმები წარმოდგენილია საკმაოდ შეზღუდულად. ამ ვითარების გათვალისწინებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ტიპური ელინისტური ხანის სამკაული — ჰერაკლეს კვანძისგამოსახულებიანი ოქროს პოლიქრომიული ბალთები, (2ც.) — დიადემების შემადგენელი ნაწილები. ბალთები ნაპოვნია ნაქალაქარის სამხრეთ ნაწილში, ნაკ. 228-ში [ლორთქიფანიძე და სხვ. 1970: 190]. სამკაულები განეკუთვნება ე.წ. ფერადი კვანძების ჯგუფს: კვანძის „მარყუჟები“ გამოყვანილია დაკბილულ ბუდეში ჩასმული გრანატის თვლებით; შემკულია ვარდულებით, პალმეტებით, ხვებით, მინანქრიანი ფოთლისებური გამოსახულებებით, შეკიდული „კონებით“ — მარცვლისებური სამკაულითა და ნახევარსფერულ ვარდულებში ჩასმული გრანატის სფერული ბურთულებით.

ბალთები აგებულიან და ზოგიერთი დეტალის დამუშავებით, ჩამოთვლილი საერთო ნიშნების გარდა, განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთ ბალთაზე კვანძი მიღებულია ოქროს ფირფიტებისაგან გამოჭრილი ორი რკალის გადაბმით; ზედაპირზე „მარყუჟები“ და მისი დაბოლოებები სქემატურადაა წარმოდგენილი ბუდეში ჩასმული გრანატის თვლების სახით. კვანძის შემკულობაში თავისი იერით გამორჩეულია ვარდულები. კვანძის შიგნით მოთავსებულია ორი პალმეტი, შემკული ცვარათი; აგრეთვე — ორი კონუსი, სადა მავთულის ხვების სახით. ბალთის მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს კვანძის გარეთ, ორივე მხარეს, მინანქრით შემკული შვერილები — ფოთლისებური გამოსახულებები. მინანქრის ზემოდან, დამაგრებულია ოქროს ბუდეში ჩასმული გრანატის ქვა. კვანძის უკანა მხარეს მიჩილულია რვა ყუნწი. ბალთის უდ. სიგრძე — 90 მმ.

მეორე ბალთა პირველ ბალთასთან შედარებით, განსხვავებულია დაკბილული ბუდეები: სამკუთხა კბილები ერთიანი ფირფიტისგანაა გამოჭრილი; კიდეებზე და სიმაღლეზე დატვიფრულია. კვანძის შიგნით, მარჯვნივ — მინანქრით შემკული ფოთლის მსგავსი გამოსახულება; ტიხრები გრეხილი მავთულითაა გამოყვანილი; მინანქარი ორი ფერისაა — მწვანე და ლურჯი. კვანძის გარეთ, ორივე მხარეს, ასევე მინანქრიანი შვერილებია — ფოთლების (?) გამოსახულებები. კვანძის უკანა მხარეს მიჩილულია შვიდი ყუნწი. ბალთის უდ. სიგრძე — 68 მმ [იხ. ჭყონია 1981: 63-65; ჭყონია 2010: 15-18].

ბალთების შედარებითი ანალიზის შედეგად ნათლად მჟღავნდება შესრულების სხვადასხვა ხელნერა და ხარისხი. პირველი ბალთა შედარებით უხვადაა შემკული, უფრო დახვეწილია. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი გამოიხატება ცვარას გამოყენებაში. მეორე ბალთაზე ცვარა გამოყენებულია მხოლოდ ერთ ვარდულაზე. ვანის ნიმუშები სხვადასხვა სახელოსნოს ნახელავია. სამკაულის შეკეთება — დამატებითი ელემენტების ჩართვა, შესაძლებელია, ხდებოდა ადგილზევე, მაგრამ ჰერაკლეს კვანძი, პოლიქრომიული სტილი, ელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნების კანონიკური ელემენტები აშკარად მიუთითებს ბალთების ადგილობრივ წარმომავლობას.

დამახასიათებელ და საყოველთაოდ გავრცელებულ ნიშნებთან ერთად, დაწყებული პოლიქრომიული სტილით, რომელმაც მოახდინა რევილუცია ელინისტური ხანის სამკაულის განვითარებაში [Levy 1965: 565], და ელინისტური ხანის ცალკეული, ტიპური ელემენტებით დამთავრებული (მაგ. „კონები“ [იხ. Ruxer და სხვ. 1972: 58; Deppert-Lippitz 1985b: 231], ნახევარსფერული ვარდულები [Amandry 1953: №247-248; Ruxer და სხვ. 1972: 44-45], „ულვაშები“. [Deppert-Lippitz 1996a: №89], ე.წ. ძაღლის კბილისებური ბუდეები [Hoffmann და სხვ. 1965: 36]), ვანის ბალთები გამოირჩევა გარკვეული თავისებურებითაც. ეს ბალთები არ ექვემდებარება თავისი დროის კანონიკურ ნორმებს, მაგრამ საერთო მონაცემებით ექცევა ელინისტური კონიეს არეალში. ვანის ბალთების შესწავლის პირველ

ეტაპზე თარიღი განისაზღვრა ზოგადად — ძვ.წ. III-III სს-ით [იხ. ჭყონია 1981: 66], რაც ესადაგებოდა პოლიქრომიული სტილის აყვავების ხანას.

ვანის ნაქალაქარიდან მომდინარეობს კიდევ ერთი ჰერაკლესკვანძიანი ბალთა, რომელიც აღმოჩნდა ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, გვიანელინისტური ხანით დათარიღებულ კულტურულ ფენაში. ბალთა მონოქრონულია — ე.ი. მთლიანად ოქროსგანაა დამზადებული; მცირე ზომისაა (უდ. სიგრძე 13 მმ), ე.წ. ხვიებიანი, ცენტრში — დიდი ზომის ვარდულით. ჰერაკლესკვანძიანი ოქროს ბალთების აღმოჩენის შემთხვევები დადასტურებულია ბორსა და სამთავროში [იხ. ჭყონია 2010: 19-21]). ბორსა და სამთავროს ბალთები აგებულების პრინციპითა და შემადგენელი დეტალებით ერთმანეთის მსგავსია: დამზადებულია ოქროს მსხვილი მავთულისგან; შედგება, პირობითად, მარყუჟებისგან, ერთმანეთში ჩადგმული და მირჩილული იმგვარად, რომ მიიღება ჰერაკლეს კვანძი. ცენტრში ოქროს ბუდეში ჩასმულია გრანატის (ალმანდინის) თვალი, ამობურცული, გაპრიალებული; ბოლოებზე, ორივე მხარეს, ყუნწებია — თითო ან წყვილი. სამთავროს ბალთების თვალბუდეებს დაკეჭნილი მავთული შემოუყვება. ბორის ბალთების უდიდესი სიგრძე — 35 მმ-ია, სამთავროსი — 46 მმ.

ჰერაკლესკვანძიანი სამკაულის აღმოჩენები, ამჟღავნებს ძველი საქართველოს (კოლხეთისა და იბერიის) საზოგადოების დამოკიდებულებას საერთო მოდასა თუ მხატვრულ ტენდენციებთან. უცხო მოტივის მიხედვით სამკაულის ადგილობრივ დამზადების შემთხვევაში კი, კოლხი და იბერიელი ოქრომჭედლები, მიუხედავად საკუთარი ხელნერისა და ოსტატობისა, გარკვეულწილად დაქვემდებარებულნი იყვნენ დროის მოთხოვნებს.

ოქრომჭედლობის სახელოსნო ცენტრები. ოქროს სამკაულში, განვითარების ყველა ეტაპზე, მეტ-ნაკლები ინტენსივობით გამოვლენილი თავისებურებანი და თვითმყოფადობა უშუალოდ დაკავშირებული იყო ადგილობრივი სახელოსნო ცენტრების საქმიანობასთან ძველ საქართველოში (ვანი, საირხე, ნოქალაქევი, ფიჭვნარი, ბიჭვინტა, მცხეთა-სარკინე და სხვ.) [იხ. ლორთქიფანიძე 1972ა: 21; ნადირაძე 1990: 26,28-29,50; ნერეთელი 1991: 139-153; მახარაძე და სხვ. 2007: 31; ქებულაძე და სხვ. 1999: 84-91; კახიძე 2007: 154-155; აფაქიძე 1970:751; აფაქიძე 1963: 209-211, 229-232 და სხვ.]. ზემოგანხილული არტეფაქტების მიხედვითაც ნათლად გამოიკვეთა ოქროს სამკაულის წარმოების მნიშვნელობა და მასშტაბი, აგრეთვე, ადგილობრივი სახელოსნოების ძირითადი მხატვრული მიმართულებანი, რომლებიც რეალურად ადასტურებს ადგილზე ოქროს სამკაულის დამზადებას ანუ ოქრომჭედლობის სახელოსნოს თუ სახელოსნოების არსებობას [იხ. ჭყონია 1976: 212-214; ჭყონია 1977: 76; ჭყონია 1981: 92-93; ჭყონია 2012: 5-16]. ოქროს მხატვრული დამუშავების პროცესთან დაკავშირებული ნიმუშები გაერთიანებულია, პირობითად, სამ ჯგუფად [იხ. ჭყონია 2012: 5-7]). განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს პირველი ჯგუფის არტეფაქტები: ნაღვენთები, ფირფიტის ჩამონაჭრები, სხვადასხვა სახის ნამზადები (ბურთულები, ფირფიტები, მავთულის და ღეროს ნაწილები), აგრეთვე, ზოდები. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმის (ღეროს ან ფირფიტის მსგავსი, პირამიდისებური, წვეთისებური...) და წონის ოქროს შვიდი ზოდი (წონა 1,10-24,07 გ-ს შორის მერყეობს) [იხ. ჭყონია 1981: 92, კატ.№344-349]. ცნობილია, რომ ოქრომჭედელი მუშაობისას სარგებლობდა გამზადებული დეტალებით, მათ შორის — მავთულით. მზა მავთულის გამოყენება დასტურდება ვანის სამკაულებზეც. მაგალითად, №11 სამარხის სხივებიან საყურეებზე — დაკეჭნილი მავთული გაგრძელებულია თვალისთვის მიუწვდომელ ადგილას; ოქრომჭედელი, სავარაუდოდ, იყენებს ნამზადს და მავთულს აღარ ამოკლებს.

მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ნაკლული, დეფორმირებული სამკაულების ფრაგმენტები, რომლებიც საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარზე. ამ მხრივ ეჭვს არ იწვევს ცენტრალურ ტერასაზე, რიყის ქვებით ნაგები კომპლექსის დასავლეთით გამოვლენილი მასალა: როგორც ჩანს, ოქროს დეფორმირებული საყურე რგოლი, საკიდების ნაწილები, მილაკები, ორნამენტირებული ფირფიტის ფრაგმენტები ერთად იყო თავმოყრილი (ნაკ. 102); გათხრების დროს ისინი დაფიქსირდა გაბნეულად საკმაოდ მცირე

ფართობზე (1,50 X 0,80 მ²). ოქროს დაზიანებული ნივთების მეორადი დამუშავება საყოველთაოდაა გავრცელებული და საუკუნეთა სიღრმეში მიდის. ვანში ადგილობრივი სახელოსნოების არსებობას მიუთითებს, აგრეთვე, შეკეთებული ან გადაკეთებული სამკაულების აღმოჩენის შემთხვევები. მაგ. შეკეთებულია №19 სამარხის საყურეები — ფორმით, დეკორატიული და ტექნოლოგიური ელემენტებით, ფრინველის გამოსახულებებით კოლხური ოქრომჭედლობის ტიპური ნიმუში (ძვ.წ. 350-300წწ) [ლორთქიფანიძე 1990: 328].

ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი არტეფაქტები აშკარად მიაჩნებენ ოქრომჭედლის სახელოსნოს ფუნქციონირებას. ოქრომჭედლის სახელოსნოს ნაშთებად მიჩნეული ე.წ. თეთრი ნაგებობა [იხ. ჭყონია 1986: 97,100,114]. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაქალაქარზე აღმოჩენილი ოქროს ლერო — ნამზადი და ოქროს ნაღვენი. ლერო მსხვილია, ოთხკუთხაგანიკვეთიანი; ზედაპირზე ჩანს გამოჭედვის კვალი. მისი სიგრძე, გაშლილ მდგომარეობაში, 13,8 სმ-ია; წონა — 6,21 გ [იხ. ჭყონია 1981: 92, კატ №343, სურ.74]. ნაღვენთის სიგრძე 4,5 მმ-ია, წონა — 0,2 გ. ნაპოვნია აგრეთვე დაზიანებული და ნაკლული ოქროს სამკაულის ნიმუშები: დეფორმირებული მძივები, გვირგვინის(?) მცირე ფრაგმენტი და სხვა [იხ. ჭყონია 1981: 59,79, სურ. 39,52]. ინტერესს იწვევს დამუშავებული ძვლის ნიმუშების (ხელოსნის იარაღების ?) აღმოჩენები [ჭყონია 1986: 114]. ცხოველთა კბილები და ეშვები, რომელთა საშუალებით ხდებოდა ოქროს ზედაპირის დამუშავება — გაპრიალება.

და ბოლოს, მეტად მნიშვნელოვანი საკითხი — ვანის სახელოსნოს (თუ სახელოსნოების) მომარაგება საჭირო ნედლეულით — ოქროთი. აკად. ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა წამოაყენა დებულება ვანში ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე ოქრომჭედლობის სახელოსნოს არსებობის შესახებ — ვანში აღმოჩენილი ოქროს სამკაულები მიიჩნია „აქ ნაკეთებად“ და აქვე ივარაუდა მათი „საკეთებელი ოქროს“ მოპოვებაც [თაყაიშვილი 1907: 5]. ეს „უმაგალითო“ დებულება შეფასებულია, როგორც „პირველი გაბედევა“ იმ დროის რუსეთის არქეოლოგიაში, როდესაც ჩვენში აღმოჩენილი ყოველი ნატიფი ნივთი უსათუოდ შემოტანილად იყო მიჩნეული [ლომთათიძე 1966:105]; მან ძირეული გარდატეხა შეიტანა ქართული ოქრომჭედლობის კვლევის საქმეში.

ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი, ერთი მხრივ, სახელოსნოსა და ოქროს მხატვრული დამუშავების ნაშთები, მეორე მხრივ, ოქროს მრავალრიცხოვანი სამკაული — ერთიანი მხატვრული კონცეფციის მატარებელი და თვითმყოფადობით გამორჩეული — ადასტურებს ოქრომჭედლობის გამორჩეული, ტრადიციული სკოლის არსებობას. არსებული მონაცემებით ვანის ძველი ქალაქი (სხვა ფუნქციასთან ერთად) წარმოადგება, როგორც მხატვრული ხელოსნობის — ოქრომჭედლობის ერთ-ერთი ცენტრი.

ძველი საქართველოს ოქრომჭედლობის განვითარების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა ადგილობრივი ნედლეულის — ძვირფასი ლითონების — ოქროსა და ვერცხლის არსებობა. საქართველო, განსაკუთრებით კოლხეთი, ძველ სამყაროში ცნობილი იყო „ოქრომრავალი“ ქვეყნის სახელით. ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში პირდაპირ მითითებულია კოლხეთის სიმდიდრე ძვირფასი ლითონებით (იხ. სტრაბონი I, 2, 39; პლინიუსი, XXXIII, 4) და აღწერილია კოლხეთში ოქროს მოპოვების წესი მდინარეებში ცხვრის ტყავის გამოყენებით (იხ. სტრაბონი II,2,19; აპიანე, მითრ. 103) კოლხეთში ოქროს მოპოვებასთანაა დაკავშირებული პოპულარული მითი ოქროს სანმისის შესახებ. ბერძნულ-რომაული წყაროები ოქროს არსებობის, მისი მოპოვების წესისა და, აგრეთვე, ოქროს სანმისის მითის ახსნის შესახებ დასტურდება გეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ენათმეცნიერულ-ტოპონომიკური მონაცემებითაც და რეალური სურათის ანარეკლია [იხ. ლორთქიფანიძე 1979: 98-100; ლორთქიფანიძე 2002: 198-199; ჭყონია 1976: 209-212; ჭყონია 1981: 93-96]. ძველ საქართველოში უტყუარ ფაქტად რჩება ოქროს მოპოვება და მისი გამოყენება ადგილობრივ ოქრომჭედლობაში — რთული ტექნიკური ხერხებით შექმნილი მაღალმხატვრული არტეფაქტების არსებობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იქნებ სწორედ ამ მაღალმხატვრულმა ოქროს ნაკეთობებმა (და არა მხოლოდ ოქროს მოპოვებამ) დაუმკვიდრა კოლხეთს „ოქრომრავალი ქვეყნის“ სახელი [იხ. ლორთქიფანიძე 1972ვ: 39].

ძველ საქართველოში, © ძვ.წ. VII-დან, მხატვრული ხელოსნობის ნაწარმი — ოქრომჭედლობა, მთლიანად საიუველირო საქმე, უფრო დახვეწილ, ახალ საფეხურზე ავიდა (მაგ.: დიადემები, საყურეები, ყელსაბამები, სამაჯურები, მძივები, ბეჭედები და სხვ.). კოლხეთსა და იბერიაში გავრცელებული ძვირფასი ლითონის დამუშავება ერთიანი მხატვრულ-სტილისტური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური თავისებურებებით გამოირჩევა — კვერვა, ცვარა, გრეხა, მხატვრული სახე და სხვ. საიუველირო ნაწარმმა გარკვეული სტანდარტული ხასიათი შეიძინა. იმ ეპოქის ოქრომჭედლობა ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების მიხედვით ყალიბდებოდა და ამავე დროს ვითარდებოდა გარე სამყაროსთან კულტურული კონტაქტების საფუძველზე, რამაც გავლენა იქონია ადგილობრივი ოქროს სამკაულის დამზადების მხატვრულ-ტექნოლოგიურ განვითარებაზე. *ვანის, საირხის, ფიჭვნარის, მცხეთის, ყაზბეგის, ახალგორის* და სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშები ამის გარკვეული დადასტურებაა, სადაც კეთილშობილი ლითონის დამუშავების ადგილობრივი, დამახასიათებელი ნიმუშები — სამკაულის ფორმები, შემკულობათა სახე, დამზადების ტექნოლოგიის ცნობილი სქემებია დაცული: ჩამოსხმა ცვილის მოდელით, გამოჭედევა-კვერვა, თეგვა, რჩილვა, ე.წ. მოცვარვა და სხვ. [იხ. ფოფორაძე და სხვ. 2005; ჭყონია 1981; ჭყონია 2013: 117].

საქართველოს ტერიტორიაზე ოქროს საბადოები შემდეგ რეგიონებშია დადასტურებული: მდ. ენგურისა და მისი შენაკადების აუზი; აჭარა-თრიალეთის ქედი; მდ. ხრამის შენაკადების სათავეებსა და მდ. გუჯარეთისწყლის აუზი; ზემო რაჭა (ზოფხითოსთან); მადანგამოსავლები ბოლნისის მუნიციპ.-ში; ცენის (აფხაზეთი) მადანგამოსავლები და სხვ. ადგილობრივი ოქროს ქვიშრობები, რომლებიც მდინარის წყლის ნაკადის მოქმედების შედეგად რეცხავს ოქროშემცველ ქანს და ბუნებრივი მოქმედების შემდეგ განფენს ოქროშემცველი ქვიშის სახით. ამ მხრივ აღსანიშნავია მდ. ენგურის, რიონის, ცხენისწყლისა და ხრამის აუზებში არსებული ოქროს ქვიშრობები [იხ. Баркая, Гоциридзе 1958: 223-227].

ვანის ნაქალაქარზე ოქროს და ვერცხლის ნივთები ძირითადად ძვ.წ. V-IV სს. თარიღდება. ისინი დიადემებით, საყურეებით, ყელსაბამებით, საკიდებით, მძივებით, მილაკებით, ინკრუსტირებული გულსაკიდებით, სამაჯურებით, ბეჭედებით, ცვარათი შემკული ფირფიტებითაა წარმოდგენილი. მაგალითად საყურადღებოა, რომ *ვანის* ნაქალაქარზე აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის სამკაულები ხასიათდება ნაკეთობათა დამზადების ერთიანი მხატვრულ-სტილისტური და ტექნოლოგიური შესრულებით [იხ. ლორთქიფანიძე 1971: 50-60; ინანიშვილი 2007: 52-55]. ადრეანტიკურ ხანაში სამკაულის შექმნისას ადგილობრივი ხელოსნები არ იყენებდნენ ფერადი ქვების ინკრუსტაციას, ხოლო შემდგომში ჩნდება პოლიქრომული სამკაული; ისინი აღმოჩენილია: *მცხეთაში, ზღუდერში, ურბნისში, ბორში, კლდეეთაში, ციხისძირში, ურეკში, ჟინვალში, ახმეტაში, სიონში* და სხვ. ამ არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი სამკაულები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია თავმოყრილი, გამოირჩევა მრავალფეროვნებით და უბადლო მხატვრული ღირებულებებით. ადრეულ შუასაუკუნეებში გრძელდება სამკაულის დამზადების წინამორბედ ეპოქებში ჩამოყალიბებული ტრადიციები.

სამკაულების დასამზადებლად გამოიყენება — ოქრო, ვერცხლი, სპილენძ-ბრინჯაო და მათი შენადნობები. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მათ იყენებდნენ მხატვრული დამუშავებისათვის. ოქრო, მოყვითალო ფერის, მზინავი, კაშკაშა და მძიმე ლითონია. ის გამოირჩევა ქიმიური მედეგობით, მაღალი პლასტიურობით და სირბილით. მისი დნობის ტემპერატურა 1059 °C -ია. ის არ იჟანგება, არ რეაგირებს მჟავებთან. ოქრო ბუნებაში ძირითადად თვითნაბადი სახით გვხვდება, მცირე რაოდენობით სპილენძსა და სხვა ლითონებთან ნაერთების სახით. ბუნებაში თვითნაბადი ოქრო არის — კრისტალის, მცირე

© გ. გამყრელიძე.

მარცვლის, ქვიშისა და ზოდის სახით. ოქროს თვითნაბადების სირბილის გამო შეიძლება მისი ფორმის ადვილად შეცვლა და სამკაულად გადაკეთება. ვერცხლი, მოთეთრო, რბილი, ჭედვადი, კრიალა, პლასტიური ლითონია. ვერცხლი ოქროსთან შედარებით ქიმიურად ნაკლებმდეგია. ამიტომ ნესტის შედეგად დროთა განმავლობაში შეიძლება მოშავო-მომწვანო პატინა გაიკეთოს. ის ბუნებაში ზოგჯერ თვითნაბადი სახით გვხვდება, ხოლო უფრო ხშირად სპილენძისა და ტყვია-თუთიის მადნის შედგენილობაშია. სამკაულის დასამზადებლად ვერცხლის შენადნობში ხშირად შეიმჩნევა სპილენძიც. სამკაულების დამზადებისას შენადნობში ვერცხლის დამატება ოქროს აძლევს უფრო მომკრთალო მოთეთრო ფერს. სპილენძის დამატება კი ოქროს აძლევს უფრო მოყვითალო-მონითალო ფერს. ხშირად სამკაულებს ამზადებდნენ არაძვირფასი ლითონებისაგანაც, როგორცაა სპილენძი და ბრინჯაო. ამ ლითონებისაგან აკეთებენ მძივებს, სხვადასხვა მცირე ფიგურებს, ყელსაბამებს, საყურეებს, სამაჯურებს, ბეჭდებს, ამულეტებს და სხვ.

ძვ.წ. VIII-VI სს-ის სამკაული — ოქროს საკიდები: ჭვირული, მავთულოვანი ღეროების ან მარყუჟების ერთმანეთთან მირჩილვით დამზადებული (მაგ. *ნოსირის* განძიდან). რომბისებური, შემკული ცვარათი შედგენილი სვასტიკის გამოსახულებითა და ფილიგრანული ჩარჩოთი (მაგ. *ნოსირის* განძიდან). სამკუთხა, ფირფიტოვანი, შემკული ცვარათი შედგენილი სვასტიკების გამოსახულებებითა და ფილიგრანული ჩარჩოთი (მაგ. *სიმაგრის* ნამოსახლარიდან). სამკუთხა, ფირფიტოვანი, შემკული ცვარათი შედგენილი სვასტიკების გამოსახულებებითა და ფილიგრანული ჩარჩოთი (მაგ. *ვანის* ნაქალაქარიდან, სამ. №24). სამკუთხა, ფირფიტოვანი, გეომეტრიული ორნამენტული სახეები — სვასტიკები, ამოტვიფრული სამკუთხედის ცენტრში მოთავსებული თვალბუდე, და ასევე გეომეტრიული ნესრიგით განლაგებული თვალბუდეები და ერთმანეთზე გადაბმული სვასტიკის ფორმის ტიხრები (7ც. — *ცაიშის* სამაროვანიდან).

ყელისა და გულმკერდის სამკაულები შედგენილობის მიხედვით ორი სახისაა: 1. ლითონისაგან მთლიანად სხმული — საკისრე რგოლი, პექტორალი; 2. შედგენილი — სხვადასხვა ფორმისა და ზომის საკიდებისაგან და ქვისა და ლითონის მძივებისაგან. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ.წ. V-IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული ყელსაბამები შედგენილია ზოომორფულგამოსახულებიანი (მაგ.: კუ, ჯიხვი, ვერძი, ფრინველი, ბაყაყი) ან მცენარეულის ნაყოფის გამოსახულებიანი (მაგ. რკო) საკიდებითა და მძივებით და სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის (რომბისებური, ცილინდრული, ბიპირამიდული და სხვ.) საკიდებითა და მძივებით.

ზოომორფულ გამოსახულებიანი საკიდებითა და მძივებით შედგენილი ყელსაბამები აღმოჩენილია: *ვანის* ნაქალაქარის სამარხებში — კუს გამოსახულებიანი საკიდებით [ჭყონია 198: 32-34, სურ. 10]; ჯიხვის გამოსახულებიანი საკიდებით [ჭყონია 1981: 34, სურ. 11]; *ვანის* ნაქალაქარის სამარხებში და *ყაზბეგის განძში* — ფრინველის გამოსახულებიანი საკიდებით [იხ. ნითლანაძე 2004; ჭყონია 1981: 34-35, სურ. 15-22]; *საირხესა* და *ვანის* ნაქალაქარების სამარხებში ვერძის გამოსახულებიანი საკიდებით [მახარაძე და სხვ. 2007: 56, 88, სურ. 8, 32-33; ჭყონია 1981: 34, სურ. 13, 14]; *ვანის* ნაქალაქარის სამარხებში — მცენარეულის ნაყოფის გამოსახულებიანი (რკო) საკიდებითა და მძივებით [ჭყონია 1981: 35, სურ. 16-17]. სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის საკიდებითა და მძივებით შედგენილი ყელსაბამები აღმოჩენილია: *ვანის* ნაქალაქარის სამარხებში — დაბალი ცილინდრული ფორმის საკიდებით, რომლებიც ორივე მხარეს ცვარათი გამოყვანილი სვასტიკებითაა შემკული; ბიპირამიდული ფორმის საკიდით, სადა სფერული მძივებითა და მილაკებით; რომბისებური ფორმის საკიდით, დაკბილული მძივმილაკებით [იხ. ჭყონია 1981: 35-36, სურ. 18, 19, 20].

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ.წ. IVს-ის მეორე ნახევრი - I ს-ით დათარიღებული ყელსაბამები შედგენილია: 1. ე.წ. ნახევარმთვარისებური საკიდებისაგან, რომელზეც შეკიდულია წრიული ფირფიტები (სადა, ტანდალარული). ისინი აღმოჩენილია *საირხისა* და *ვანის* ნაქალაქარების სამარხებში [იხ. მახარაძე და სხვ. 2007: 75, სურ. 23, 27; ჭყონია 1981: 70, სურ. 44]; 2. ნახევრადძვირფასი ქვის ან ოქროს საკიდისა და ოქროს, ნახევრადძვირფასი ქვის ან მინის მძივების მონაცვლეობით, აღმოჩენილია *ვანის*

ნაქალაქარის სამარხებში [ჭყონია 1981: 71, სურ.45-89]; 3. ორადმოკეცილი რვიანისებური რგოლების ქსოვის ძენკვის ბოლოებზე მიმაგრებული ცილინდრის ფორმის და მინის მძივებითა და რქებიანი ლომის თავებით შედგენილი შესაკრავით (კავითა და მარყუყით) დაფიქსირებულია ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენაში [ჭყონია 1981: 71, სურ.46].

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი საყურეები, მასალისა და ფორმის თვალსაზრისით, გამოირჩევიან მრავალფეროვნებით. ძვ.წ. V-IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული საყურეები ოთხ ტიპად იყოფა: 1. სხივებიანი; 2. ბურთულიანი (ჭვირული, დაღარული და ბიპირამიდული ბურთულიანი); 3. ე.წ. ნახევარმთვარისებური; 4. ე.წ. ფიგურულსაკიდიანი.

1. სხივებიანი საყურე — რგოლზე სხივისებურად დამაგრებული რამდენიმე ღერო (ოთხი, ხუთი ან ექვსი სხივი), რომლებიც ცვარათი შედგენილი პირამიდებით და მტევნით ბოლოვდება, აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის სამარხებში [იხ. ჭყონია 1981: 17-21, სურ. 4-5]; სოფ. მთისძირის სამარხში [იხ. გამყრელიძე 1981: 71-72, სურ. 22]; ქობულეთის ფიჭვნარის სამაროვანზე [იხ. კახიძე; კახიძე 1965: 69, 89, 90]; მოდინახესა და საირხეს სამაროვნებზე [ნადირაძე 1975: 28, 30-31, სურ.1; მახარაძე გ. და სხვ. 2007: 87, სურ.30]; ბორში [Придик 1914: 98-99]; ყაზბეგის ვანძში, იკოთიდან, ბეშთაშენის სამაროვნიდან [Куфтин 1941; მენაბდე და სხვ. 1968: 124, ტაბ. 12].

2. ბურთულიანი საყურის განმსაზღვრელი ელემენტებია: ოვალური, გახსნილი საყურე რგოლი და უძრავად დამაგრებული ბურთულა, დაბოლოებული ცვარათი შედგენილი პირამიდებით ან ე.წ. მტევნით. ბურთულა თავისი აგებულებითა და შემკულობით სხვადასხვაგვარია — ჭვირული, დაცვარული, დაღარული და ბიპირამიდულთან მიახლოებული. ჭვირულბურთულიანი საყურე აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის სამარხებში [იხ. ჭყონია 1981: 21-23, სურ. 6-9], საირხის სამარხებში [მახარაძე და სხვ. 2007: 50, 55, სურ. 2, 4, 6] და ითხვისის სამარხში [იხ. გაგოშიძე და სხვ. 2006: 48, სურ.20]. დაღარულბურთულიანი საყურე აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის სამარხებში [ჭყონია 1981: 23-24, სურ. 6-11,12], ფიჭვნარის სამაროვანზე [კახიძე 1975: 60, ტაბ. XXI; კახიძე 1965: 69, 89, 90] და საირხეში [მახარაძე და სხვ. 2007: 77, სურ. 125]; დაცვარულბურთულიანი საყურე აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე [ჭყონია 1986: 24, სურ. 6-13] და საირხეში [მახარაძე და სხვ. 2007: 65, სურ. 14]; ბიპირამიდულსაკიდიანი საყურე აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის სამარხში [ჭყონია 1981: 24-25, სურ. 7-10] და ითხვისის სამარხებში [იხ. გაგოშიძე და სხვ. 2006: 40, 49, 53, სურ.8, 23, 34].

3. ნახევარმთვარისებური საყურე — გახსნილი, ბოლოებგახვრეტილი ოვალური მოყვანილობის რგოლი ქვემოთ თანდათან ნახევარმთვარისებურ გამსხვილებაში გადადის. ე.წ. ნახევარმთვარისებური საყურე აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე [ჭყონია 1981: 26-27, სურ. 7-15]; შრომისუბნის სამარხში (ონის მუნიციპ.) (გ. გობეჯიშვილის გათხრები); ფიჭვნარის სამაროვანზე [იხ. კახიძე 1975: 60, ტაბ. XXI; კახიძე 1965: 69, 89, 90]; საირხეში [მახარაძე და სხვ. 2007: 55-56, 59, 75, სურ. 7, 15, 21].

4. ე.წ. ფიგურულსაკიდიანი საყურე — გახსნილი, ბოლოებგახვრეტილი ოვალური მოყვანილობის რგოლზე შეკიდულია ოთხთვალა ბაქანზე მდგარი წყვილი მხედარი, ხოლო ბაქანზე ძენკვებით რკოსებრი საკიდები. ფიგურულსაკიდიანი საყურე აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე [იხ. ჭყონია 1981: 27-30, სურ. 8, 9] და ახალგორის ვანძში [Смирнов 1934].

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ.წ. IVს-ის მეორე ნახევრი - I ს-ით დათარიღებული საყურეები ორ ტიპად იყოფა: 1. რგოლზე თავისუფლად მოძრავსაკიდიანი და 2. გახსნილი რგოლები.

1. რგოლზე თავისუფლად მოძრავსაკიდიანი საყურე — რგოლზე ჩამოცმული მოძრავყუნწიანი საკიდი, განსხვავებული აგებულების და შემკულობის (ორ ვარდულს შორის მოთავსებული ქვა, ცვარათი შემკული სფეროსებური ბურთულა) დაბოლოებული ცვარათი შედგენილი პირამიდებით. რგოლზე თავისუფლად მოძრავსაკიდიანი საყურე აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის სამარხებში [იხ. ჭყონია 1981: 67-68, სურ. 42-79, 80, 81], დაბლაგომის მდიდრულ სამარხში [იხ. თოლორდავა 1976: 76, სურ. 99], უფლისციხის

ბამბების სამაროვანზე [ხახუტაიშვილი 1964: 76, ტაბ. X], შემთხვევითი მონაპოვარი ძეგვიდან [ჭყონია 2003: 158-164], ციხიაგორას სამარხიდან [ცეციტიშვილი 2001: 41-46].

2. საყურე რგოლები — სადა, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან შედგენილი წრიული რგოლები, როგორც წესი გახსნილი, ღარებით ბოლოებშემკული. საყურე რგოლები აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის სამარხებში [ჭყონია 1981: 69, სურ. 42, 83, 86], მოდინახეს სამარხებში [ნადირაძე 1975: 39], სამადლოს ნაქალაქარზე [Гагошидзе 1981: 44, ტაბ. X, 2].

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ახ.წ. I-IV სს-ით დათარიღებული საყურეები ოთხ ტიპად იყოფა: 1. საყურე რგოლები — მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან შედგენილი სადა ან გრეხილი წრიული რგოლები, როგორც წესი გახსნილი; 2. რგოლზე მირჩილული ან მოძრავი საკიდით — ცვარათი შედგენილი ბურთულა, ყურძნის მტევანი, პირამიდა, ვარდულებში მოქცეული მარგალიტისა და მინისებური პასტის მძივები; 3. ე.წ. წინიბოსებური საყურე ოვალური, რკაგახსნილი რგოლი, ქვემოთკენ სამწახნაგოვანი პირამიდის სახით; 4. შედგენილი საყურეები, რომლებიც მარტივი და რთული კონსტრუქციითაა შესრულებული.

1. საყურე რგოლები აღმოჩენილია მცხეთის სამთავროს სამაროვანზე [იხ. Ивашенко 1980: 102-104; მანჯგალაძე 1985: 43-107, სურ. 230, 231, 282, 283; ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები... 2019: 14-17, 20; სურ. 24, 35, 36, 48, 49, 84]; *ჟინვალის* სამაროვანზე [ჩიხლაძე 2015: 185, ტაბ. XXXIX]; *რიყიანების ველისა* და *თხოთის* მთის სამაროვნებზე [იხ. მირიანაშვილი 1983: 59, 94, სურ. 64, 164]. 2. საყურეები პირგახსნილ რგოლზე მირჩილული ან მოძრავი საკიდით (ცვარათი შედგენილი ბურთულა, ყურძნის მტევანი, პირამიდა, ვარდულებში მოქცეული მარგალიტისა და მინისებური პასტის მძივები) აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე [ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები... 2019: 14-16, 19-20; სურ. 26-34, 41, 68-70; 73-78]; *მოგვთაკარის* სამაროვანზე [სიხარულიძე და სხვ. 1985: 119, სურ. 638-639]; *ჟინვალის* სამაროვანზე [იხ. ჩიხლაძე 2015: 185-186, ტაბ. XXXIX]; *მოდინახეს* სამარხებში [იხ. ბრაგვაძე და სხვ. 2002: 99-101, 103, სურ. 154, 176-177, 198, 231]; *კლდეეთის* სამაროვანზე [ლომთათიძე 1957: 41, ტაბ. I-1, XVI-1].

3. ე.წ. წინიბოსებური საყურე ოვალური, რკაგახსნილი რგოლი, ქვემოთკენ სამწახნაგოვანი პირამიდის სახით, რიგ შემთხვევაში დაბლა მირჩილული მარგალიტის ან პასტის თვლით აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე [ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები... 2019: 16-18, სურ. 40, 44-45, 52, 55]; *არმაზისხევის* სამაროვანზე [აფაქიძე ან. და სხვ. 1955: 49, ტაბ. II, 4, III, 2]; *ფიქრისგორის* სამაროვანზე [მაისურაშვილი და სხვ. 2018: 75, ტაბ. XIV-2, XXIV-9]; *ქუშანაანთ* გორის სამაროვანზე [რამიშვილი 1979: 44-45]; *ჟინვალის* სამაროვანზე [ჩიხლაძე 2015: 186, ტაბ. XXXIX]; *ახალი ჟინვალის* სამაროვანზე [რამიშვილი 1983: 93-94].

4. შედგენილი საყურეები, რომლებიც არის მარტივი და რთული კონსტრუქციის. მარტივი კონსტრუქციის შედგენილი საყურე- რგოლზე მირჩილულ ან მოძრავ ყულუფიან ღერაკზე ასხმული ვადულები, მარგალიტისა და მინისებური პასტის მძივები. ისინი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე [ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები... 2019: 18-20, სურ. 53-58, 60, 71, 79-80]; *არმაზისხევის* სამაროვანზე [აფაქიძე ან. და სხვ. 1955: 40, 43, 46, ტაბ. XII]; *ფიქრისგორის* სამაროვანზე [მაისურაშვილი და სხვ. 2018: 75, ტაბ. XIV-1, XXVII-8]; *ურბნისის* ნაქალაქარზე [ჭილაშვილი 1964: სურ. 348]; *ზღუდერის* სამაროვანზე [იხ. ბრაუნდი და სხვ. 2009: 51]; *მოდინახეს* სამარხებში [ბრაგვაძე და სხვ. 2002: 92-97, 101, სურ. 18, 45, 76, 84, 99, 108, 125, 199]; რთული კონსტრუქციის შედგენილი საყურე-რგოლზე ან კაუჭზე მირჩილული ან ყუნწზე მოძრავად დაკიდებული ერთი ან ორი სხვადასხვა ფორმის (მრგვალი, ოვალური, ოთხკუთა, ცრემლისებური, ნახევარმთავარისებური, გულისებური, მწერის და ა.შ.) თვალბუდისაგან, რომელიც ბოლოვდება ასევე დაკიდული სხვადასხვა ფორმის საკიდებით ან მარგალიტის და პასტის მძივებით. თვალბუდეში ჩასმულია გრანატის, ფირუზის, სარდიონის, სარდერის, მინისებური პასტის თვლები, ასევე კამეები. რიგ შემთხვევაში თვალბუდეს მარგალიტები შემოუყვება. ისინი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე [ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები... 2019: 14, 16-20, სურ. 23,

39, 42-43, 46-47, 50-51]; *არმაზისხევის* სამაროვანზე [აფაქიძე ან. და სხვ. 1955: 201-202]; *მოგვთაკარის* სამაროვანზე [სიხარულიძე და სხვ. 1985: 124, სურ. 677-678]; *თხოთის* მთის სამაროვანზე [მირიანაშვილი 1983: 93-94, სურ. 50]; *ზღუდერის* სამაროვანზე [ბრაუნდი და სხვ. 2009: 52, 73]; *ჟინვალის* სამაროვანზე [იხ. ჩიხლაძე 2015: 186, ტაბ. XXXIX]; *მოდინახეს* სამარხებში [ნადირაძე 1975: 44, სურ. 4; ბრაგვაძე და სხვ. 2002: 94, 96, 101, სურ. 53, 100, 294]; *რგანის* სამაროვანზე [ბრაგვაძე 2000: 109-110, სურ. 47, 63, 83]; *ციხისძირისა* და *ურეკის* განძებში [იხ. ინაიშვილი 1993: 19-22, ტაბ. IV, 5].

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან ტიპოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება — სამგანზომილებიანი საკიდებისაგან შედგენილ ყელსაბამებს ფირფიტოვან საკიდებიანი ცვლის. ოქრო — დაღარული სფეროსებური მძივებითა და ბრტყელი ფირფიტოვანი, ნახევარმთვარისებური საკიდებისაგან შედგენილი, რომელზეც შემბულია მცირე ზომის დუგმისებური ელემენტები, რომელიც შემკულია მოძრავი ფირფიტოვანი დისკოებით (მაგ. *ვანის* სამ.№9, 22; *საირხის* სამ.№8, 10). შეწყვილებულ სფეროსებურ მძივებზე დარჩილული ორნამენტული ბრტყელი საკიდები და მათზე მოძრავად დამაგრებული დისკოსებური ან მართკუთხა ფირფიტებით, ორნამენტული საკიდები ერთ შემთხვევაში წარმოდგენილია ამოზურცულზოლიანი, ფილიგრანული მავთულით გამოყვანილი ვოლუტებით, მეორე შემთხვევაში — ფრინველების გამოსახულებებით (იხ. *ვანის* სამ.№22, 24). მილაკებითა და ფირფიტოვანი საკიდებით, რომელთაც მომრგვალებული თავი და წაწვეტილებული ძირი აქვთ, შემკულია ცვარათი შედგენილი სამკუთხედებით და წვერზე დარჩილული მსხვილი მარცვლით (იხ. *ვანის* სამ.№24). ამ პერიოდისათვის ცხოველის თავის გამოსახულებებით დაბოლოებული სამაჯურის ტიპი თითქმის აღარ გვხვდება. ოქროსა და ვერცხლის ოვალური და ზურგმუხნეკილი სამაჯურები შემსხვილებული, ორნამენტირებული დაბოლოებებით (მაგ.: *ვანის* სამ.№9; *საირხის* სამ.№10; *ფიჭვნარის*; *ალგეთის*; *ყანჩაეთის*; *ახალგორის* განძის). სამაჯურის განსხვავებულია ტიპია ცვარათი შემკული ოქროს მილაკებისა და სარდიონისა და სხვა ფერადი მძივების ასხმა (იხ. *ვანის* სამ.№9). კოლხური და ბერძნული ოქრომჭედლობის ტრადიციების შერწყმის ერთერთი ნიმუშია ტანისამოსის სამკაული აღმოჩენილი — მაგ. ოქროს გულსაბნევი, *ვანის* სამ. №24-ში. აგრეთვე, ტიპიური ბერძნული მედალიონისებრი გულსაბნევი, რომლის ნემსისებური სარჭი შემკულია კოლხური ოქროს სამკაულისათვის დამახასიათებელი, ფრინველების მინიატურული ფიგურებით.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ.წ. V-I სს-ით დათარიღებული ქსოვილზე დასაკერებელი მოსართავები: ღილაკები — მრგვალი, ამოზნექილი, ნახევარსფეროს ან კონუსური ფორმის შუაგულით, კიდევებს რადიალურად განლაგებული ღარები ან ქედები შემოუყვება, ხოლო უკანა მხარეს მირჩილული აქვს ქსოვილზე დასაკერებელი ყუნწი — აღმოჩენილია *ვანისა* და *საირხეს* ნაქალაქარების სამარხებში [იხ. მახარაძე და სხვ. 2007: 39, 88-89, 109, სურ. 35, 40-41, 144, 194; ჭყონია 1981: 49-51, 86, სურ. 31-34, 65]; სადა, მართკუთხედის ფორმის ფირფიტები, კიდევებზე მრგვალი და სოლისებური ბურცობებით შემკული, კუთხეებში დატანილი ნახვრეტებით დაფიქსირებულია *საირხეს* ნაქალაქარის სამარხებში [იხ. მახარაძე და სხვ. 2007: 39, 70, 77, სურ. 42, 109]; ზოომორფულსახოვანი — არწივი, იხვი, თხა, ფრინველი — ფირფიტები დაფიქსირებულია *ვანისა* და *საირხეს* ნაქალაქარების სამარხებში [იხ. ჭყონია 1981: 51-52, 84-85, სურ. 35, 60; კაჭარავა და სხვ. 200; მახარაძე და სხვ. 2007: 56-57, 109, სურ. 9, 10, 36]; ქალღვთაებათა გამოსახულებიანი ფირფიტები დაფიქსირებულია *ვანის* ნაქალაქარზე [იხ. ჭყონია 1981: 83-84, სურ.58-59]; მცენარეების (ლოტოსი, სურო, აკანთი და სხვ.) გამოსახულებიანი ფირფიტები დაფიქსირებულია *ვანის* ნაქალაქარზე [ჭყონია 1981: 85, სურ. 61-62]; სიუჟეტური ფირფიტები დაფიქსირებულია *საირხეს* ნაქალაქარზე — მართკუთხა ფორმის, გამოსახული სიუჟეტი — ლომი მიიწვეს ხარისა და ტახისაკენ [მახარაძე და სხვ. 2007: 90, სურ. 37], მილაკები — მცირე ზომის, წაგრძელებული ცილინდრის ფორმის, სადა და შემკული (ღარებით, ცვარათი) დაფიქსირებულია *ვანისა* და *საირხის* ნაქალაქარებზე [იხ. მახარაძე და სხვ. 2007: 39, 63, 70, სურ. 37, 89, 110-111; ჭყონია 1981: 80, სურ. 54-55]; ვარდულები —

ამოტივიფრული ან გრეხილმავთულიანი შუაგულითა და განსხვავებული რაოდენობის ფურცლებით, უკანა მხარეს მირჩილული ყუნწით დადასტურებულია ვანის ნაქალაქარზე [ჭყონია 1981: 87-88, სურ. 66], სამადლოს ნაქალაქარზე [იხ. Гагошидзе 1981: 44, ტაბ. X, 2]; საირხის ნაქალაქარზე [იხ. მახარაძე და სხვ. 2007: 75, სურ. 19].

ძვ.წ. IVს-ის დასასრულიდან ხდება ძირეული გარდატეხა ოქრომჭედლობაში, აქ ჩამოყალიბებული სამკაულის ფორმების ადგილს ელინისტური კოენეს სტილით შესრულებული სამკაული იკავებს: ფოთლოვანი გვირგვინები, მცირე ზომის წრიული ფორმის საყურეები, ლომის თავის გამოსახულებებით დაბოლოებული კისრის რკალები, ე.წ. ჰერაკლეს კვანძის პოლიქრომული სამკაული და სხვ. კოლხეთში, ვანის შემოგარენში, ზღვისპირა ზოლში, *გუადიხუს*, *ფიჭვნარის* სამაროვნებზე მრავლად გვხვდება ბრინჯაოს და ვერცხლის ზურგმუხნეკილი ზოომორფულთავებიანი სამაჯურები, საკისრე რგოლები, წრიული საყურეები, ნახევრადძვირფასი ქვების — სარდიონის, აქატის, გიშრის, ქარვისა და სხვ., და ე.წ. ოქროფენილი მინის მძივებისაგან შედგენილი ყელსაბამები, რომლებიც გავრცელებული იყო ელინისტურ სამყაროში (მაგ. იხ. ვანი სამ. №13,15).

საქართველოს აღმოსავლეთი მხარის ტერიტორიაზე გამოვლენილ ძვ.წ. IV-IIIსს-ის არქეოლოგიურ კომპლექსებში სამკაულს — ერთი მხრივ აქემენიდური გავლენა ეტყობა, მაგრამ მეორე მხრივ თვითმყოფადობით გამოირჩევა და გარკვეულ მსგავსებას ავლენს კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებთან. მაგ.: *ახალგორის განძი* — საყურეები, ღეროებზე ბურთულეებიანი წრიული რგოლები, ვარდულით; გავარსით შემკული წრიული რგოლები, შიგნით საკიდების სახით დამაგრებული ნახევარმთვარისებური ფირფიტები და სხვ. *ახალგორის განძის* ყელსაბამებიდან, აღსანიშნავია კოლხური ოქროს ყელსაბამების მსგავსი სამი ნიმუში. სამივეს კოლხურ ოქროს ყელსაბამებთან აერთიანებს მთავარი — სამკაულის ტიპი და კომპოზიცია, რასაც შეწყვილებული, სფერული მძივებისა და ანალოგიურ ელემენტზე დარჩილული ერთნაირი ფიგურული საკიდების მონაცვლეობა განსაზღვრავს. ერთ შემთხვევაში შეწყვილებული ბურთულეები ნაგრძელებული კონუსის ფორმის საკიდებთან ერთად ორი ნახევრის ერთმანეთზე დარჩილვითაა დამზადებული და ცალკე მძივების ნაცვლად სამგანზომილებიანი საკიდის თავის ფუნქციას ასრულებს. ამ განძიდანვე — ყელსაბამი შეწყვილებული, დაღარული, სფეროსებური მძივებითა და სამგანზომილებიანი ერთნაირი გომბემოს გამოსახულებიანი საკიდებითაა წარმოდგენილი. კოლხური ოქროს ზოომორფული გამოსახულებების მსგავსად თვალეები წრეში ჩასმული ოქროს თითო მარცვლითაა გამოსახული. ერთ-ერთ ყელსაბამზე საკიდები ლომის თავის გამოსახულებებითაა შემკული, მის მხატვრულ კონცეპციას რთული შედგენილობის მოძრავი ფირფიტოვანი საკიდებისა და სფეროსებური, შეწყვილებული მძივების მონაცვლეობა განსაზღვრავს. ნიშანდობლივია, რომ ლომის თავის გამოსახულებიან ყელსაბამზე თავმოყრილია არაფიგურული, ფირფიტოვანი საკიდების უმეტესი სახეობა, რომლებიც თანადროულ კოლხურ ყელსაბამებზეც დასტურდება, ესენია ორი სახის დისკოსებური საკიდები, რომლებიც აქემენიდურ გავლენას უნდა უკავშირდებოდეს და სწორკუთხა საკიდები, რომლებიც მხოლოდ ვანის №24 სამარხში აღმოჩენილ ვოლუტიან ყელსაბამსა და *ახალგორის განძის* შემადგენელ კოლხური ტიპის სასაფეტქლეებზეა წარმოდგენილი [იხ. ლორთქიფანიძე ნ. 2015: 311-318].

ახ.წ. I-IVსს საქართველოში სამკაული, როგორც ფორმების, ასევე მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით მრავალფეროვანია, მაგრამ აერთიანებს ელინისტური და რომაული ეპოქების საიუველირო ხელოვნების მთავარი სტილისტური ნიშანი — ფერადი ქვებით შემკობა. ეს გულისხმობს ბუდეში ჩასმულს ფერად ქვებს. მაგ. *არმაზისხევის* №7 (ე.წ. *სერაფიტას*) სამარხის ყელსაბამის სახით სახეზეა რომაული ეპოქის საიუველირო ხელოვნების ყველა ძირითადი ტენდენცია: ფერადი ქვებით დაბოლოებული წნული ძეწკვი; სანელსაცხებლე და საავგაროზე საკიდები; ფერადი ქვების ბუდეში ჩასმა; ტექნიკური და მხატვრული ხერხების ერთდროულად გამოყენება, მავთულით გარშემორტყმულ ბუდეში ჩასმული ამეთვისტოს ვერძისთავიანი კამეა და ტიხრებში ჩასმული ფირუზის ფირფიტებისა და გრანატის თვლების მონაცვლეობა [იხ. ლორთქიფანიძე ნ. 2015: 321-324].

ახ.ნ. IIIს-ის ბოლოდან ოქრომჭედლობაში გამოიყენება ტიხრული ინკრუსტაციის ტექნიკა ანუ ოქრო მხოლოდ ტიხრის ფუნქციას ასრულებს, მთავარი აქცენტი სამკაულის ფერადოვნებაზეა გადატანილი. განსაკუთრებით პოპულარული იყო ტიხრული ინკრუსტაციით შესრულებული საყურეები, მწერების (მაგ. პეპლის) გამოსახულებებით. ყურში გასაყრელი კაუჭები ჩაანაცვლა რგოლებმა. როგორც საყურეების, ასევე გულსაკიდების ხშირი ატრიბუტია დაბოლოებაზე — მარგალიტი [იხ. ლორთქიფანიძე ნ. 2015: 344-352]. მაგ. განსაკუთრებული ფერადოვნებით გამოირჩევა ტიხრული ინკრუსტაციით შესრულებული ე.წ. დასახსრული სამაჯურების ორი წყვილი, რომლებიც *არმაზისხევის* გვიანდელ სამარხებშია აღმოჩენილი. ოთხივე სამაჯურზე ჰარმონიულადაა შერწყმული ერთნაირი ფორმის აღმანდინის ბრტყელი ქვებითა და მინანქრით ინკრუსტაცია, რომელიც ორ ნიმუშზე წარმოდგენილია ლურჯი და მწვანე მინანქრით ინკრუსტირებული მცენარეული ორნამენტის ფორმის ფოსოებით, ხოლო ორ ნიმუშზე ლურჯი ფერის მინანქრიანი ინკრუსტაცია. ამ მხრივ საყურადღებოა მაგ.: *კლდეეთის, გონიოს, ურეკის, არმაზისხევის, ჟინვალის* არქეოლოგიური მასალები. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



მძივები და საკიდები

მ. კვაჭაძე, გ. გამყრელიძე

სამკაულის უძველეს სახეობას საკიდები წარმოადგენს. პალეოლითის ხანაში ადამიანმა პირველად გახვრიტა და სამკაულად გამოიყენა სხვადასხვა ცხოველთა კბილები, ხმელეთისა და ზღვის მოლუსკების ნიჟარები, რომლებსაც ესთეტიური დანიშნულების გარდა მაგიური დატვირთვა ჰქონდა. შემდგომ საკიდებთან ერთად მძივები ჩნდება. ენეოლითის ხანაში ჩნდება ძვლის, თიხისა და სადაფის მძივები [ნებიერიძე 2000: 5-12; ნიორაძე მ. და სხვ. 2001: 5-14]. ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე მოპოვებულია სპილენძისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული ე.წ. თოხისებრი, მსხლისებრი და ნახევარმთვარისებრი საკიდები, სარდიონის, ქალცედონის, აქატის და სხვა სანახელო ქვისგან დამზადებული სხვადასხვა ფორმის მძივები [საქართველოს არქეოლოგია 1992: 94-96; ჯავახიშვილი ალ. და სხვ. 1962: 42]. შუაბრინჯაოს ხანით დათარიღებული არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი სარდიონის, მთის ბროლის, აქატის, ამეთვისტოს და სხვა მინერალებისგან დამზადებული მძივები და საკიდები განსაკუთრებული სინატიფით გამოირჩევა; ამავე პერიოდში პირველად ჩნდება გიშრის, ქარვის და ანთიმონის მძივები [რამიშვილი რ. 1979: 11]. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპიდან მრავლადაა მოპოვებული სარდიონის, კვარცის, გიშრის და სხვა მინერალებისგან დამზადებული მძივები, რომელთაც აქვთ ბირთვისებრი, ე.წ. მანდარინისებრი, ცილინდრული, კასრისებრი, ბიკონუსური, დისკოსებრი, ოვალური ფორმის ექვსნახნაგა, თითისტარისებრი და სხვა ფორმის მძივები. სხვადასხვა ფერის მინისებრი მასისა და მინის მცირე ზომის მრგვალი მძივები; ანთიმონის საკიდები და მართკუთხა ფორმის შემკრები მძივები და სხვ. [ჩუბინიშვილი 1957: 20,92,94; ფანცხავა და სხვ. 2001: 39-48; აბრამიშვილი 1978: 86-158].

საკვლევი ეპოქის (ზოგადად ძვ.წ.V-ახ.წ.Vსს) არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებულია ლითონის, სხვადასხვა სანახელო ქვების, ნიჟარების, მინის და ე.წ. ეგვიპტური ფაიანსისგან დამზადებული მძივები და საკიდები. ლითონის მძივების უმეტესობა ბრინჯაოსგანაა დამზადებული, იშვიათად გვხვდება ვერცხლის, ანთიმონისა და რკინის მძივები. ბრინჯაოს მრგვალი ფორმის მძივების ჩამოსასხმელი ყალიბები აღმოჩნდა ჩოლოქის ნამოსახლარზე

(IV-V ფენა) [ჩავლეიშვილი 1991: 21, ტაბ. XII,5-8] და ნამჭედურში (III-IV ფენა) [მიქელაძე და სხვ. 1985: 14-17, ტაბ.36,2], რომლებიც თარიღდება ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით.

არქეოლოგიურ ძეგლებზე ლითონის მძივები ძირითადად წარმოდგენილია ექვსი ტიპით: მრგვალი, ბიკონუსური, რგოლისებრი, კასრისებრი, ცილინდრული, ოთხნახნაგა. ამ ტიპის მძივები აღმოჩნდა *წითელი შუქურასა* და *გუადიხუს* (სოხუმის მუნიციპ.) სამაროვნებზე, რომლებიც ძვ.წ. VIII-VI სს-ით თარიღდება; *ნარეკვავი* სამაროვანზე (მცხეთის მუნიციპ.), თარიღდება ძვ.წ. VIII ს ბოლო – V ს-ის I ნახევარით; *ელიბაბას* სამაროვანზე (წალკის მუნიციპ.), თარიღდება ძვ.წ. VII-V სს-ით; *კლდეეთის* სამაროვანზე მოპოვებული ცალები ახ.წ. II ს-ით თარიღდება; *წინვალის* სამაროვანზე – ახ.წ. II-IV სს-ით; სამთავროს სამაროვანზე – ახ.წ. III ს-ით და სხვ. [დავლიანიძე და სხვ. 1993: 80; ნარიმანიშვილი 2004; ჩიხლაძე 2007: 79-89; კვაჭაძე 2012; Трапш 1969: 189; Иващенко 1980: 137-141].

ლითონის საკიდები ძირითადად ბრინჯაოსგანაა დამზადებული, იშვიათად გვხვდება რკინის არტეფაქტებიც. მცირე ზომის ქანდაკებების ჩამოსხმის წესით დამზადების ტექნიკას ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ჩაეყარა საფუძველი. თითქმის ყველა ფიგურა ჩამოსხმულია ცვილის მოდელის გამოყენებით; განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ქანდაკება-საკიდებია აღმოჩენილი ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებულ ძეგლებზე — *შილდის* (ყვარელის მუნიციპ.) სამლოცველოსა [მაისურაძე და სხვ. 1984] და *გადრეკილის* (გურჯაანის მუნიციპ.) სამაროვანზე [ფიცხელაური და სხვ. 1982]. ძვ.წ. VII - ახ.წ. VII სს-ში ლითონის საკიდებს შორის გვხვდება I. მცირე ზომის ქანდაკებები (ხარის, ირმის, ვერძის, ჯიხვის, ცხენის, ღორის, ძაღლის, თევზის, ფრინველის), II. ცხოველთა თავ-რქის (ჯიხვისა და ვერძის), III. მტევნისებრი საკიდები, IV. დოქისებრი საკიდები, V. ბიკონუსური და ბიპირამიდული ფორმის ჭვირული ბურთულები. ამ ტიპის საკიდები გვხვდება *მერხეულის* სამაროვანზე (გულრიფშის მუნიციპ.), ძვ.წ. VI ს [ბარამიძე 1977: 55]; *ნარეკვავის* სამაროვანზე (მცხეთის მუნიციპ.), ძვ.წ. VII-V სს [აფაქიძე და სხვ. 1999: 111, 113, 114, 116]; *დაბლაგომი*, ძვ.წ. IV-III სს. [Куфтин 1950: 50]; *ბორში* (ხარაგაულის მუნიციპ.), ძვ.წ. I ს [Куфтин 1950: ტაბ. 18]; *რიყიანების* ველზე (კასპის მუნიციპ.), ძვ.წ. I – ახ.წ. I სს [მირიანაშვილი 1983: 68]; *წინვალის* სამაროვანზე (დუშეთის მუნიციპ.), I-IV სს. [ჩიხლაძე 2007:79-89]; *კარსნისხევისა* და *მოგვთაკარის* სამაროვნებზე (მცხეთის მუნიციპ.), რომლებიც ახ.წ. I-III სს-ით თარიღდება [ნიკოლაიშვილი 1993: ტაბ. XCIV; სიხარულიძე და სხვ. 1985: 68]; *კლდეეთის* სამაროვანზე (ხესტაფონის მუნიციპ.), ახ.წ. II ს [ლომთათიძე 1957]; *ნეძიხისა* და *ბადრიანების* სამაროვნებზე (დუშეთის მუნიციპ.), ახ.წ. II-IV სს [რამიშვილი ქ.რ. 2007:8]; *ბაიათხევში* (მცხეთის მუნიციპ.), ახ.წ. III-IV სს [ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995:120,131]; *სამთავროს* სამაროვანზე (მცხეთის მუნიციპ.), ახ.წ. III-IV სს [მანჯგალაძე 1985:43-108]; *მონასტრის* სამაროვანზე (ცხინვალის მუნიციპ.), გვიანრომაული ეპოქა [Гаглоев 1979: 177]; *ლერხუმში*, გვიანრომაული ეპოქა [სულავა 1996]; სამთავროს სამაროვანზე (მცხეთის მუნიციპ.), ახ.წ. III ს. [Иващенко 1980:137-141] და სხვ. ლითონის საკიდები წარმოდგენილია ბრინჯაოს მთლიანადსხმული ფიგურების სახით, რომელთაც ძენკვის გასაყრელი რგოლი აქვთ; საკიდი რგოლი უმეტესად ჩამოსხმულია საკიდთან ერთად, იშვიათად მირჩილულია ფიგურაზე ან გახვრეტილია.

ქვის მძივები. საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ არქეოლოგიურ ძეგლებზე დაფიქსირებული ქვის მძივსაკიდების დამზადებისთვის საჭირო მინერალების ერთი ნაწილი შემოტანილია დასავლეთ აზიიდან [შეადარ. იხ. Леммлейн 1951: 191]. ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე კვარცის ჯგუფის (ქალცედონი, აქატი, სარდიონი და სხვ.) მინერალების 42 საბადოა ცნობილი, რომელთაგან 36 ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა დაფიქსირებული, ხოლო დანარჩენი გაფანტულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში [იხ. მგელიაშვილი 1991: 95].

მარტვილის, ჩხოროწყუსა და სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფ. *მუხურჩასთან* ადგილ *ნანისქვილარი*, სოფ. *ოჩხომური*, *ნოქალაქევეში* ადგილი *ნაქალაქარი*) გაითხარა ქვის მძივების სანარმო-ნამოსახლარები, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. VIII-V სს-

ით. მუხურჩას საწარმო-ნამოსახლარის კულტურულ ფენაში აღმოჩნდა კვარცის ჯგუფის მინერალები და წარმოების ნაშთები. ნედლეულის უმეტესობას ეტყობა თერმული დამუშავება ფერისა და ბრწყინვალეობის მისაცემად, აქატის სამკაულის ზოლიანობის გასამკვეთრებლად. აღნიშნულ საწარმო-ნამოსახლარებზე განსაკუთრებით ბევრია აღმოჩენილი სხვადასხვა ფერის, ზომისა და ფორმის სარდიონის მოვარდისფრო-მონითალო, მოვარდისფრო-მოყვითალო, ზოგჯერ ჩანართებიანი ნახევრად გამჭვირვალე, ან გაუმჭვირვალე ანატაკეც-ანამტვრევები. აქვე მოპოვებულია აქატის, ქალცედონის, იასპის და კვარცის სხვა ჯიშის სანახელო ქვის ნატეხებიც. სახელოსნოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა მძივების დასამზადებელი იარაღ-ხელსაწყოებიც: სახეხი ქვები, სახვრეტები, პარალელურღარებიანი ქვები და სარდიონის, აქატის, იასპის, მთის ბროლის, თეთრი და ფერადი კაჟის მძივების ნამზადები და დასრულებული ნიმუშები; გარდა ქვის მძივებისა აღმოჩენილია მინისა და პასტის რამდენიმე მძივი და გიშრის ნაფხვენები [გოგაძე და სხვ. 2010: 160-167]. ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ელინისტური ხანის ფენაში აღმოჩნდა რამდენიმე სარდიონის მძივის ფრაგმენტი, რომლებიც, როგორც ჩანს, დაზიანებულია დამუშავებისა. აღნიშნულის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ვანში ელინისტურ ხანაში არსებობდა სახელოსნო, სადაც სარდიონს ამუშავებდნენ [იხ. გიგოლაშვილი 1983: 97].

ნახევრადძვირფასი ქვებისგან მძივების დამზადება რამდენიმე ეტაპად ხორციელდებოდა: 1) ნამზადის მიღება ჩამოტეხვით, 2) გახვრეტა, 3) საბოლოო ფორმის მიცემა გახეხვის საშუალებით, 4) ზედაპირის გაპრიალება. მძივების უმეტესობას ორი მხრიდან აქვს არხი ნაკეთები ანუ ბიკონუსურარხიანია; გვხვდება კონუსურ და ცილინდრულარხიანი ცალებიც. სარდიონის მძივებისა და მისი არხის შესწავლის საფუძველზე გამოიყო მძივების არხის გაჭრის რამდენიმე ხერხი: ბურღის საშუალებით, რომლის ბოლოზე მკვრივი ჯიშის ქვაა (ალმასი, კორუნდი, კაჟი) დამაგრებული, ლითონის მილაკით, რომელთა ბოლოზე აბრაზიული ფხენილია ჩატანებული [Леммлейн 1947: 23].

საკვლევი ეპოქის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილია სარდიონის, აქატის, მთის ბროლის, ძონის, ალმადინის, პიროპის, ქალცედონის, ოპალის, მარმარილოსებრი ონიქსის, კვარცის, იასპის და სხვა სანახელო ქვებისგან დამზადებული მძივები, რომლებიც ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სხვადასხვა მინერალებისაგან დამზადებულ მძივებს შორის ძირითადად გვხვდება I. მრგვალი, II. ბიკონუსური, III. მრავალწახნაგა, IV. ცილინდრული, V. კასრისებრი, VI. ოვალური ფორმის ბრტყელი მძივები, VII. რგოლისებრი. ამ სახეობების მძივები აღმოჩენილია *ნითელი შუქურას* სამაროვანზე (სოხუმის მუნიციპ.), თარიღდება ძვ.წ. VIII-VI სს [Трапш 1969:189], *მუხურჩას* სამაროვანზე (მარტვილის მუნიციპ.), ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებულ დასაკრძალავ მოედნებზე [გოგაძე და სხვ. 1977:60-71], *სამთავრო* (მცხეთის მუნიციპ.), ძვ.წ. VIII-VI სს [კალანდაძე 1982:108,109]; *ნარეკვავში* (მცხეთის მუნიციპ.) ძვ.წ. VIII-Vსს. [დავლიანიძე და სხვ. 1993: 90, აფაქიძე და სხვ. 1998], *ბეშთაშენის*, *ელი-ბაბასა* და *კნოლეს* სამაროვანებზე (წალკის მუნიციპ.), ძვ.წ. VII-V სს-ით [ნარიმანიშვილი 2004; კვაჭაძე 2012; დავლიანიძე 1983: 89]; *მერხეულის* (გულრიფშის მუნიციპ.) სამაროვანზე ძვ.წ. VI ს [ბარამიძე 1977:60], ძვ.წ. VI-III სს-ით დათარიღებულ *ფიჭვნარის* ნეკროპოლებზე (ქობულეთის მუნიციპ.) და *ვანის* სამარხებში (ვანის მუნიციპ.) [გიგოლაშვილი 1983: 96-112; 132-133, კახიძე ამ. და სხვ. 2004; თურმანიძე 2007; კაჭარავა და სხვ. 2013], *მერხეულის* სამაროვანზე (გულრიფშის მუნიციპ.), ძვ.წ. VI ს [ბარამიძე 1977:60], *დაბლაგომში* (სამტრედიის მუნიციპ.), ძვ.წ. IV-III სს [თოლორდავა 1976:48-67], *კუშჩის* სამაროვანზე (წალკის მუნიციპ.), ძვ.წ. IV ს [გაგოშიძე 1982: 54], ძვ.წ. III ს-ის *გომარეთის* (დმანისის მუნიციპ.) სამარხებში [დავლიანიძე 1983: 151-153], *სამთავროს* ქვევრსამარხებსა (მცხეთის მუნიციპ.), ძვ.წ. III-I სს [თოლორდავა 1963: 137-162] და *სამთავრო* ახ.წ. I-III სს. [მანჯგალაძე 1985: სურ. 220], *ფერეთა* (ვანის მუნიციპ.), ახ. წ. I-II სს. [ხარაბაძე 2002: 81-87], *ბორში* (ხარაგაულის მუნიციპ.), ახ.წ. I-III სს. [Ивашенко 1980: 137-141], *კლდეეთის* სამაროვანზე (ზესტაფონის მუნიციპ.), ახ.წ. II ს [ლომთათიძე 1957:65], *ყინვალის* სამაროვანზე (დუშეთის მუნიციპ.) ახ.წ. I-VIII სს. [ჩიხლაძე 2007:82-85], *თიანეთის* სამაროვანი, ახ.წ. III-IV სს [სიხარულიძე და სხვ. 2012:62-74] და სხვ.

საკვლევი ეპოქის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი სანახელო ქვის მძივების ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს **სარდიონის** მძივ-საკიდები შეადგენს; ის დადასტურებულია სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გათხრილ თითქმის ყველა სამაროვანზე, იშვიათად ნამოსახლართა კულტურულ ფენებში. სარდიონის მძივები ძირითადად მონითალო-მოყავისფრო, მუქი თაფლისფერი, მოყვითალო-ყავისფერი ან მოყავისფრო-ვარდისფერია. ერთიდაიგივე კომპლექსში გვხვდება როგორც კარგად დამუშავებული, ასევე უხეშად ნაკეთები ცალები. მრგვალი ფორმის მძივებში, ძირითადად, ასიმეტრიულად მომრგვალებული ცალებია წარმოდგენილი, მაგრამ კარგად დამუშავებული და ნაპრიალები **სფერული** მძივებიც გვხვდება. ამ სახეობის არტეფაქტები აღმოჩენილია *ნოსირის* განძში (სენაკის მუნიციპ.), ძვ.წ. VIII-VI სს [Куфтин 1941: 133], *ყაზბეგში*, ძვ.წ. V ს [ნითლანაძე 2004: 47], *დაბლაგომში* (სამტრედიის მუნიციპ.), ძვ.წ. IV-III სს [Куфтин 1950: 50], *ბეშთაშენში*, ძვ.წ. VI-IV სს. [Куфтин 1941: 42], *ეშერასა* (სოხუმის მუნიციპ.) და ფარცხანაყანევში (წყალტუბოს მუნიციპ.), ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანა [Куфтин 1949: 168-176]. ასეთი მძივები ძირითადად გვხვდება ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში — ძვ.წ. VIII-V სს-ში, დამზადებულია მუქი ყავისფერი ნახევრად გამჭვირვალე სარდიონისგან; ითვლება, რომ ქვის ასეთი შეფერილობა მიიღება ბუნებრივად რკინის ჰიდროქსიდით, ან ხელოვნური დამუშავების შედეგად [Куфтин 1949: 169]. **აქატის** მძივები განსაკუთრებული ფერადოვნებით გამოირჩევა; გვხვდება ყავისფერი ეგზემპლარები ნაცრისფერი და რუხი ზოლებით, მუქი მოშავო-ყავისფერი — თეთრი განივი ზოლებით, მოშავო-იისფერი — თეთრი და ნაცრისფერი ზოლებით და სხვა მრავალი. რაოდენობრივად აქატის მძივები ბევრად ნაკლებია, ვიდრე სარდიონის მძივები. **მთის ბროლი** კვარცის უფერო და გამჭვირვალე სახეობას წარმოადგენს; მოიპოვება საქართველოში: რაჭაში, სვანეთსა და ხევში. მთის ბროლის მძივებს შორის გვხვდება ოვალური ფორმისა და ბრტყელი მძივები, რომლებიც დაფარულია სხვადასხვა ფერის ქიქურით, რაც ფერადი ძვირფასი ქვების — ლალის, საფირონის, ზურმუხტის და სხვ. იმიტაციას წარმოადგენდა. უფერო კვარცის მინერალებისგან დამზადებული სამკაულის დაფარვა ქიქურით ძველთაგანვე ხდებოდა ეგვიპტეში, შუამდინარეთში, ინდოეთში და როგორც ჩანს, წინ უსწრებდა მინის ფერადოვანი მძივების წარმოშობას [Леммлейн 1951: 188; გიგოლაშვილი 1983: 98].

სანახელო ქვებისგან დამზადებული საკიდები ძირითადად კონუსისებრი (ე.წ. ცრემლისებრი, ზარისებრი) და პირამიდისებრი ფორმისაა. აღმოჩენილია შემდეგ არქეოლოგიურ ძეგლებზე: *ნარეკვაი* — ძვ. წ VIII ს ბოლო – V ს-ის I ნახევარი [დავლიანიძე და სხვ. 1993:90]; *სამთავრო* — ძვ.წ. VIII-VI სს [კალანდაძე 1982:109, 111] და ახ.წ. I-III სს. [Ивашенко 1980: 137-141]; *ბეშთაშენი* — ძვ.წ. VII-V სს [დავლიანიძე 1983:89]; *ფიჭვნარი*, ძვ.წ. V-IV ს. [თურმანიძე 2007:133; კახიძე ამ. და სხვ. 2004; მიქელაძე 1985: 58]; *ვანი*, ძვ.წ. IV-I სს. [გიგოლაშვილი 1983: 96-112]; *ჟინვალი*, ახ.წ. I-VIII სს. [ჩიხლაძე 2007: 82] და სხვ.

ორგანული წარმოშობის სანახელო მძივები. გარდა მინერალებისა მძივ-საკიდები მზადდებოდა ორგანული წარმოშობის ნახევრადძვირფასი ქვებისგან, როგორცაა გიშერი, ქარვა, მარჯანი, სადაფი, მარგალიტი; მათ შორის ყველაზე მრავალგვარი ფორმისაა გიშრისა და ქარვის არტეფაქტები. გვხვდება: I. მრგვალი, II. კასრისებრი, III. ცილინდრული, IV. ნახნაგოვანი, V. ბიპირამიდული და VI. ბიკონუსური ფორმის მძივები, რომლებიც აღმოჩენილია შემდეგ ძეგლებზე: *ნითელი მუქურა* (სოხუმის მუნიციპ.), ძვ.წ. VIII-VI სს [Трапш 1969:190]; *გუადიხუ*, ძვ.წ. VIII-VI სს [Трапш 1969: 75]; *მუხურჩა* (მარტვილის მუნიციპ.), ძვ.წ. VIII-VII სს [გოგაძე და სხვ.1977:60-71]. *ეშერა*, ანტიკური ხანა [Куфтин 1949: 53-54]; *ბეშთაშენი*, ძვ.წ. VII-V სს. [დავლიანიძე 1983:89]; *მერხელი* (გულრიფშის მუნიციპ.), ძვ.წ. VI ს [ბარამიძე 1977:73-74]; *ყაზბეგი*, ძვ.წ. V ს [ნითლანაძე 2004: 48]; *ფიჭვნარის* ბერძნული და კოლხური ნეკროპოლი, ძვ.წ. V-III სს [კახიძე და სხვ. 2004; თურმანიძე 2007:131-139], *ვანი*, ძვ.წ. V - IV ს [კაჭარავა და სხვ 2013; გიგოლაშვილი 1983: 98]; *აბულმუვი I* (დმანისის მუნიციპ.), ძვ.წ. IV-III სს [ლექაშვილი, ძნელაძე 1993]; *გომარეთი* (დმანისის მუნიციპ.), ძვ.წ. IV-III სს. [დავლიანიძე 1983:152]; *ჟინვალი*, ახ.წ. I-IV სს [ჩიხლაძე 2007:85]; *ფერეთა* (ვანის მუნიციპ.), I-II სს [ხარაბაძე 2002:81-87]; *სამთავრო* — ძვ.წ. III-I სს [თოლორდავა 1963: 137]

და ახ.წ. I-III სს. [Трапш 1969: 137-141]; კლდეეთი — II ს [ლომთათიძე 1957: 64]; თიანეთი, ახ.წ. III-IV სს [სიხარულიძე და სხვ. 2012: 62-74]; ფიჭვნარი — ახ.წ. IV ს [თურმანიძე 2011: 169].

გიშერი გაქვავებული ხეა ანუ ნამარხ ნახშირს წარმოადგენს, რომლის საბადო მდებარეობს მდ. რიონის აუზში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე — ოკრიბაში. ადგილ „საკიშრეში“ ნაპოვნია გიშრის ძველი სამთო გამონამუშევრები. გიშერი ადვილად მუშავდება და კარგად კრიალდება, მისგან ძირითადად სამკაულები მზადდება. გიშრის მძივები ცნობილია შუაბრინჯაოს ხანიდან [ზუხუბაია 1984:75; რეხვიაშვილი 1957: 43-54]. გიშრის მძივებიდან უმეტესობა ცილინდრული ფორმისაა. ამ ტიპში ერთიანდება მცირე ზომის ცალეებიც (ე.წ. იოტები). ბიკონუსური და ბიპირამიდული ფორმის მძივები აღმოჩნდა ფიჭვნარის (ქობულეთის მუნიციპ.) ელინისტური პერიოდის სამაროვანზე: 209-ე სამარხში დაფიქსირდა ყელსაბამი, რომელიც შედგენილი იყო გიშრის ცილინდრული, ბიკონუსური ფორმის მძივებისა და ე.წ. ცულისებრი ფორმის საკიდებისგან [თურმანიძე 2007:131-139]; ნახნაგოვანი ტიპის მძივები ძირითადად შემკრები მძივების (ზოგჯერ განმამხოლოებელს უწოდებენ) სახითაა წარმოდგენილი; გვხვდება თოთხმეტნახნაგა, ბრტყელი და მართკუთხა, სამკუთხა, რომბისებრი ფორმის ცალეები. მათ აქვთ ორიდან ოთხ არხამდე. აღმოჩენილია: ვანში, ძვ.წ. IV ს-ის დასასრული [კაჭარავა და სხვ. 2013]; სამთავროს სამაროვანზე, ახ.წ. I-III სს. [Иващенко 1980: 137-141]; ყინვალში, ახ.წ. I-IV სს [ჩიხლაძე 2007: 85].

ქარვა ორგანულ ნაერთთა კლასის მინერალია, წარმოადგენს უმეტესად პალეოგენური პერიოდის წინვოვან მცენარეთა განამარხებულ ფისს. ძირითადად მოიპოვება ბალტიისპირეთში, არაბეთის ნახევარკუნძულზე და ბირმაში; აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ცნობილია ზემო აგჯეკენდის საბადო [მგელიაშვილი 1991:74]. ქარვის მოპოვებასა და დამუშავებას არა ერთი ანტიკური პერიოდის ავტორი შეეხო [იხ. გიგოლაშვილი 1983: 98]. საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ არქეოლოგიურ ძეგლებზე ქარვის მძივები ფიქსირდება ძვ.წ. II ათასწლეულიდან. სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული ქარვის მძივები ახლოს დგას ქარვის სახესხვაობა რუმენიტთან, რაც გამორიცხავს მათ შემოტანას ბალტიისპირეთიდან [მგელიაშვილი 1991: 97]. ქარვისგან დამზდებული საკიდები მცირერიცხოვანია, მაგრამ გამოირჩევა თავისებური ფორმებით, გვხვდება: I. პირამიდისებრი საკიდები, II. სკარაბეოიდი, III. ხელის მტევანი აპოტროფული ჟესტით (ბრანნი): აღმოჩენილია ფიჭვნარში, ძვ.წ. V ს [კახიძე ამ., და სხვ. 2004]; სამთავროში, I-III სს. [Иващенко 1980] და სხვ.

გიშრის საკიდების რამდენიმე სახეობა გვხვდება: I. ე.წ. ცულისებრი, II. კონუსისებრი, III. პირამიდული, IV. მრგვალი, V. დოქისებრი ფორმისა და VI. დათვის ბელის გამოსახულება. ასეთი საკიდები აღმოჩნდა ქასრაანთმინები, ძვ.წ. VI-IV სს [ბერაძე 1980]; ფიჭვნარის ელინისტური პერიოდის სამაროვანზე [თურმანიძე 2007:131-139]; ვანში, ძვ.წ. IV-III სს. [გიგოლაშვილი 1983:98, ტაბ.48]; გომარეთში (დმანისის მუნიციპ.), ძვ.წ. IV-III სს. [დავლიანიძე 1983:152]; დაბლაგომში, ძვ.წ. IV-III სს. [თურმანიძე 2007: 131-139], სამთავროს სამაროვანზე, I-III სს. [Иващенко 1980]; ყინვალის სამაროვანზე, ახ.წ. III-IV სს [ჩიხლაძე 2007: 85];

მინის მძივები. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი მინის საწარმოა ორბეთის სახელოსნო, რომელიც თარიღდება ახ.წ. VIII ს-ით. გადანაყარში აღმოჩენილია მინის ჭურჭლის, სამაჯურებისა და ბეჭდების, სარკმელის მინის ფრაგმენტები და მოზაიკის კენჭები [ბახტაძე 1964:3; უგრელიძე 1967:5]. ორბეთის მინის საწარმოს გათხრების დროს აღმოჩენილი მასალა უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ საქართველოს ტერიტორიაზე მინის წარმოების უფრო ადრეულ ეპოქაში არსებობა და აქედან გამომდინარე, შესაძლოა მინის მძივების ნაწილიც ადგილობრივი წარმოებისაა. ყინვალის სამაროვანზე ახ.წ. III ს-ით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილი ყვითელი მინის მრგვალი ფორმის მძივებს შორის ნუნიც აღმოჩნდა, ამ ფაქტის საფუძველზე მკვლევარები მათ ადგილობრივ დამზადებას ვარაუდობენ [ჩიხლაძე 2007: 86-87; სიხარულიძე და სხვ. 2012: 62-74].

საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ დათარიღებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე მრავალგვარი მინის მძივებია აღმოჩენილი. მინის მძივების განსაკუთრებულ სახეობას ე.წ. „ოქროფენილი“ და „ვერცხლფენილი“ მძივები წარმოადგენს. ზოგჯერ მათ მოქრულ

მძივებსაც უწოდებენ. მათ დასამზადებლად გამჭვირვალე უფერო, იშვიათად ღია ყვითელი ფერის, მინის ორ ფენას შორის ათავსებდნენ ოქროს ან ვერცხლის ძალიან თხელ ფირფიტას (0.0001 მმ). ასეთი სახის მძივების დამზადება მოითხოვდა არამარტი მინის წარმოების ფლობას, არამედ ოქრომჭედლობის ოსტატობასაც [იხ. Алексеева 1978: 27-33]. ამავე დროს ერთეული სახით გვხვდება სხვა ფერის მინისგან დამზადებული ოქროფენილი მძივებიც: ცისფერი მინის ოვალური ფორმის ბრტყელი მძივი, რომელსაც ჩაყოლებული აქვს ოქროს ფირფიტა, აღმოჩნდა ძვ.წ. I-ახ.წ. I სს-ით დათარიღებულ *რიყიანების ველის* (კასპის მუნიციპ.) სამაროვანზე, ხოლო ცილინდრული ფორმის მძივი — *ნასტაკისში* [მირიანაშვილი 1983: 81]. ზემო ფარცხმის სამაროვანზე ოქროფენილ მძივებს შორის ნაწილს, ოქროს ფირფიტის ნაცვლად ყვითელი საღებავი აქვს გამჭვირვალე მინის ორ ფენას შორის. ეს მძივები გარეგნულად არ განსხვავდებიან ოქროფენილი არტეფაქტებისგან [ვაშაკიძე 1983: 98].

ე.წ. ოქროფენილი მძივების დამზადება დაიწყო ეგვიპტეში ძვ.წ. IV ს-დან; ყველაზე ადრეული ეგზემპლარები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ეშერაში, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის დასასრულითა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით [Куфтин 1950: 54]. ოქროფენილ მძივებს შორის გვხვდება I. მრგვალი, II. ბიკონუსური, III. კოჭისებრი, IV. კოპებიანი, V. კასრისებრი, VI. ცილინდრული VII. გვერდებდაღარული, VIII. ოვალური ფორმის ბრტყელი, IX. რგოლისებრი ფორმის მძივები. ოქროფენილი და ვერცხლფენილი მძივები აღმოჩენილია *დაბლაგომში*, ძვ.წ. IV-III სს [Куфтин 1950: 54]; *კამარახევისა და მუხათგვერდი II* სამაროვანებზე, ძვ.წ. IV-III სს [ლეკაშვილი 2005: 182]; *ზემოფარცხმის* სამაროვანზე (ჩოხატაურის მუნიციპ.), ძვ.წ. IV-II სს. [ვაშაკიძე 1983: 23-116]; *ფიჭვნარის*, ელინისტური ხანის სამაროვანზე [თურმანიძე 2007: 138]; *ვანში*, ძვ.წ. III-I სს-ის სამარხებში [გიგოლაშვილი 1983: 103,110]; *ქვემოხეთაში* (ხობის მუნიციპ.), ძვ.წ. III ს [ვაშაკიძე 1973: 82-83]; *ნერონ-დერესის* სამაროვანზე (ნალკის მუნიციპ.), ძვ.წ. I ს [გაგომიძე 1982: 35,39]; *რიყიანების ველის* სამაროვანზე (კასპის მუნიციპ.), ძვ.წ. I – ახ.წ. I სს [მირიანაშვილი 1983: 81]; *სვეტიცხოველი I*, ძვ.წ. I – ახ.წ. I სს [ლეკაშვილი 2005: 182]; *საყარაულო სერი* სამაროვანზე (კასპის მუნიციპ.), ძვ.წ. I – ახ.წ. I სს. [ჯინჯიხაშვილი 1980: 55]; *წინამური III* — I-II სს. [ლეკაშვილი 2005: 183]; *ფერეთა* (ვანის მუნიციპ.), I-II სს. [ხარაბაძე 2002: 81-87]; *კლდეეთში* (ხესტაფონის მუნიციპ.), III ს. [ლომთათიძე 1957: 57]; *კარსნისხევის*, *მოგვთაკარის*, *სამთავროსა* და *ბაიათხევის* სამაროვანებზე, I-IV სს. [ლეკაშვილი 2005: 182,183]; *ფიჭვნარი*, IV-V სს [თურმანიძე 2011: 168] და სხვ. მრგვალი ფორმის ოქროფენილ მძივებს შორის თითო, ორი, სამი და ოთხი ერთმანეთზე გადაბმული მძივებიც გვხვდება, მათ ხშირად ორწილად, სამწილად ან მრავალწილად მძივებსაც უწოდებენ.

მონოქრომული და პოლიქრომული მინის მძივები. მინის მძივსამკაული ცალკეული ეგზემპლარის სახით შუა ბრინჯაოს ხანიდან გვხვდება. მათი რაოდენობა გაიზარდა ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებიდან, განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება ელინისტურ ხანაში. პოლიქრომული მინის მძივები ჩნდება ძვ.წ. VI ს-დან. მათი კლასიფიკაცია ხდება მძივის ბირთვის ფორმის, დამზადების ტექნიკისა და რელიეფურობის მიხედვით. ამ ტიპის მძივები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: თვალადი და მოზაიკური მძივები. თვალადი მძივები შემკულია სხვადასხვა ფერისა და ფორმის წრეებით ანუ „თვლებით“; მოზაიკური მძივები კი შემკულია ორნამენტული სახეებით: განივი და გრძივი ზოლები, ლაქები, სპირალები, მეანდრები, ე.წ. ხალიჩისებრი ორნამენტი და სხვა. პოლიქრომიული მინის მძივებიდან ყველაზე გავრცელებულია ე.წ. თვალადი მძივები [Алексеева 1975: 51].

ე.წ. თვალადი მძივების ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური განმსაზღვრელია მძივის ბირთვის ფორმა, მასზე თვლების განლაგების სქემა, თვლების ამობურცულობის ხარისხი და ფერთა მონაცვლეობა. ტექნოლოგიური თვალსაზრისით მძივებზე თვლების დატანის რამდენიმე წესი არსებობდა: 1. მარტივი ზედნადები თვლები – მძივის ბირთვზე დაფენილი მონოქრომული მინის ძაფებით შეკრული რგოლები. ხშირად რგოლის ბოლოები შეუკრავია; 2. ფენებიანი ზედნადები თვლები – მინის ბირთვზე ერთმანეთზე დაფენილია სხვადასხვა ფერის მინის ბრტყელი დისკოები. ასეთი თვლები ძირითადად ოდნავ რელიეფური ან მკვეთრად ამობურცულია, იშვიათად გვხვდება ბრტყელი ვარიანტებიც; 3. შედუღებულ-

ზედნადები თვლები, რომლის მისაღებად მინის ღეროს რიგ-რიგობით ამოავლებდნენ სხვადასხვა ფერის თხიერი მინის მასაში და გაცივების შემდეგ დისკოებად ჭრიდნენ; ამ სახით დამზადებულ თვლებს ათავსებდნენ მძივის გარბილებულ ბირთვში; იმის გამო, რომ ბირთვი თბილი იყო, ხოლო ცალკე დამზადებული თვლები კი ცივი, შეჭიდულობა სუსტი იყო და მათ შორის ბზარი ჩნდებოდა [Алексеева 1975: 51; თურმანიძე 2007: 135]. ადრეული ძვ.წ. VI-IV სს-ის თვალადი მძივების ბირთვი ძირითადად მზადდებოდა კერამიკის მილაკზე მინის ფირფიტის ან წნულის ფენებად დახვევით; ამ მძივებს ფართო არხები აქვს, მილაკის დიამეტრი შეესაბამებოდა მძივის არხის დიამეტრს; არხის კედლებზე თიხის კვალი დღესაც შეინიშნება. ელინისტური ხანიდან იწყება მძივის დამზადება ლითონის მილაკზე, ნახვრეტი უფრო წვრილი ხდება, მძივი უფრო მინიატურული და მოხდენილია. ბირთვის ლურჯ, ყვითელი, შავ, ფიურზისფერ და ცისფერ ფონზე მოთეთრო, შავი, ლურჯი, ყავისფერი, ყვითელი, მწვანე, ბორდოსფერი რგოლებით დატანილია სადა და რელიეფური სხვადასხვა რაოდენობისა და ზომის თვალი.

ე.წ. მოზაიკური მძივების ჯგუფში შედის სხვადასხვა ფორმისა და ფერის მინის მძივები, რომლებიც შემკულია ასევე სხვადასხვა ფერის მინის ძაფებით შედგენილი გრძივი და განივი ზოლებით, სპირალური, ზიგზაგისებრი, წინვისებური (ე.წ. ფესტონისებური), ე.წ. ბუმბულისებრი და ხალიჩისებრი ორნამენტებით.

I. მრგვალი. II. ცილინდრული. III. ბიკონუსური. IV. კასრისებრი. V. დაღარული. VI. წახნაგოვანი. VII. კონუსური (ე.წ. მსხლისებური). მათი აღმოჩენის ადგილია: *მუხურჩას* სამაროვანი (მარტვილის მუნიციპ.), ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებულ დასაკრძალავ მოედნებზე [გოგაძე და სხვ. 1977: 60-71]; *გუადიხუსა* და *ნითელი შუქურას* სამაროვნები (სოხუმის მუნიციპ.), ძვ.წ. VIII-VI სს [Трапш 1969: 74, 190]; *ნარეკვაი*, ძვ.წ. VIII ს ბოლო – V ს-ის I ნახევარი [დავლიანიძე და სხვ. 1993: 90]; *ელი-ბაბა* (ნალკის მუნიციპ.), ძვ.წ. VII-V სს. [ნარიმანიშვილი 2004; კვაჭაძე 2012]; *ბეშთაშენი* (ნალკის მუნიციპ.), ძვ.წ. VII-III სს [დავლიანიძე ც. 1983: 89]; *ეშერა*, ანტიკური ხანა [Куфтин 1949: 53-54]; *ბრილი* (ხაშურის მუნიციპ.), ძვ.წ. V-III ს და ახ.წ. II-III სს. [გაგოშიძე 1981: 170, ტაბ. 12, 14, 16; ლომთათიძე 1957: 59]; *ფიჭვნარი*, ძვ.წ. V-II სს და ახ.წ. IV-V სს. [კახიძე ამ., და სხვ. 2004; თურმანიძე 2007: 134; ტაბ.48; თურმანიძე 2011: 166-171]; *ვანი*, ძვ.წ. V-I ს [კვაჭარავა, და სხვ. 2013; გიგოლაშვილი 1983]; *კუშჩი* (ნალკის მუნიციპ.), ძვ.წ. IV ს [გაგოშიძე 1982: 51,54]; *ლარილარი* (მესტიის მუნიციპ.), ძვ.წ. IV ს [ჩართოლანი 1976]; *გომარეთი* (დმანისის მუნიციპ.), ძვ.წ. IV-III სს [დავლიანიძე ც. 1983]; *დაფნარი* (სამტრედიის მუნიციპ.), ძვ.წ. IV-III სს. [კილურაძე 1976]; *აბულმუგი I* (დმანისის მუნიციპ.), ძვ.წ. IV-III სს. [ლექვაშვილი, ძნელაძე 1993]; *დაბლაგომი* (სამტრედიის მუნიციპ.), ძვ.წ. IV-III სს [თოლორდავა 1976: 48-67; Куфтин 1950:51]; *ზემოფარცხმა* (ჩოხატაურის მუნიციპ.), ძვ.წ. III-II სს [ვაშაკიძე 1983: 100]; *ზენობისა* და *დიდივანის ქვევრსამარხები*, ძვ.წ. III ს [ვაშაკიძე 1973: 80,81]; *ფარცხანაყანევი* (სამტრედიის მუნიციპ.), ძვ.წ. III ს. [Ивашенко 1950: 320-330]; *ნერონ-დერესი* (ნალკის მუნიციპ.), ძვ.წ. I ს [გაგოშიძე 1982:35,36,39]; *რიყიანების ველი* (კასპის მუნიციპ.), ძვ.წ. I-ახ.წ. I სს [მირიანაშვილი 1983:77]; *ფერეთა* (ვანის მუნიციპ.), I-II სს. [ხარაბაძე 2002: 81-87]; *სამთავრო*, ახ.წ. I-III სს. [Ивашенко 1980: 137-141]; *ყინვალი*, I-IV სს. [ჩიხლაძე 2007: 86]; *თიანეთი* (თიანეთის მუნიციპ.), ახ.წ. III-IVსს. [სიხარულიძე და სხვ. 2012: 62-74]; *კლდეეთი* (ზესტაფონის მუნიციპ.), II ს. [ლომთათიძე 1957: 48-50] და სხვ.

მინის მძივებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია მცირე ზომის მძივები (ე.წ. იოტები), რომლებიც უმეტესად რგოლისებრი ფორმისაა, გვხვდება მრგვალი, ცილინდრული, კასრისებრი. ფერით ქარბობს ლურჯი მინის იოტები, ასევე გვხვდება მწვანე, ყავისფერი, ცისფერი ცალეებიც.

მინის საკიდები. მონოქრომული მინის საკიდები დამზადებულია სხვადასხვა ფერის გამჭვირვალე მინისგან, წარმოდგენილია შემდეგი ტიპებით: I. პირამიდისებრი ფორმის საკიდი დამზადებულია მოთეთრო-მოყვითალო, ლურჯი, შავი, ცისფერი მინისგან. ნაკვეთილ წვერთან აქვთ წვრილი არხი. საკიდების ეს სახეობა ჩნდება ძვ.წ. V ს-დან და არსებობას აგრძელებენ ელინისტურ ხანაშიც. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი

ფიჭვნარის (ქობულეთის მუნიციპ.) ძვ. ნ. V ს-ის და ახ.ნ. IV-V სს ნეკროპოლებზე [კახიძე და სხვ. 2004; თურმანიძე 2007: 134; თურმანიძე 2011:167]; ზემოფარცხმას სამაროვანზე (ჩოხატაურის მუნიციპ.), ძვ.ნ. IV-III სს. [ვაშაკიძე 1983: 54], დაბლაგომში (სამტრედიის მუნიციპ.), ძვ.ნ. IV-III სს [თოლორდავა 1963]; ვანში, ძვ.ნ. IV-III სს-ის კულტურული ფენიდან [გიგოლაშვილი 1983: 104, ტაბ 49(491)]; ფიჭვნარის სამაროვანზე. II. კონუსურტანიანი, ზარისებრი ფორმის საკიდები, რომლებიც დამზადებულია ცისფერი, გამჭვირვალე მინისგან აღმოჩნდა ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე, ვანის №11 სამარხსა და ძვ.ნ. IV-III სს-ის კულტურულ ფენაში, ასევე ძვ.ნ. IV-III სს-ით დათარიღებულ კუმჩის (წალკის მუნიციპ.) სამაროვანზე [გაგოშიძე 1982: 55; თურმანიძე 2007: 134].

III. ე.წ. ამფორისკისებრი საკიდები დამზადებულია სხვადასხვა ფერის მინისგან. ამფორისკისებრი საკიდები ორი ტიპისაა: პირველი ტიპისთვის დამახასიათებელია ვიწრო გამოყვანილი ძირი ე.ი. ძირწვეტიანია; მეორე ტიპი ბრტყელძირიანია. აღმოჩენილია: ზემოფარცხმაში (ჩოხატაურის მუნიციპ.), ძვ.ნ. IV-III სს. [ვაშაკიძე 1983: 100]; ზენობში (ჩოხატაურის მუნიციპ.), ძვ.ნ. III ს [ვაშაკიძე 1973: 80]; დაფნარი (სამტრედიის მუნიციპ.), ძვ.ნ. III ს; დაბლაგომში (სამტრედიის მუნიციპ.), ძვ.ნ. IV-III სს [თოლორდავა 1976: 48-67]; კლდეეთი (ზესტაფონის მუნიციპ.), ახ.ნ. II ს., ბრილი (ხაშურის მუნიციპ.), ახ.ნ. I-III სს. [ლომთათიძე 1957:59]. IV. დელფინისებრი ფორმის საკიდი. ფიჭვნარში ამ სახის მძივები ძვ.ნ. III ს-ის დასასრულით დათარიღებულ სამარხებში ფიქსირდება [თურმანიძე 2007:135], აგრეთვე ვანში, ძვ.ნ. IV-III სს. [გიგოლაშვილი 1983:104]; ზემოფარცხმაში, ზენობსა, დიდვანში (ჩოხატაურის მუნიციპ.) ძვ.ნ. IV-III სს. [ვაშაკიძე 1983:100; ვაშაკიძე 1973:80]; V. გულის ფორმის საკიდები კოლხეთის ელინისტური ხანის თითქმის ყველა სამაროვანზეა აღმოჩენილი [თურმანიძე 2007: 135; ვაშაკიძე 1983: 100].

პოლიქრომული მინის საკიდები. I. ფრინველის (მტრედი) გამოსახულებიანი საკიდი, დამზადებულია ლურჯი მინისგან, თვალები გადმოცემულია რელიეფურად თეთრი მინით, მკერდის არეში შემოუყვება თეთრი მინის ორი რელიეფური ზოლი. ფრინველის (მტრედი) გამოსახულებიანი საკიდები აღმოჩნდა ფიჭვნარის ელინისტური პერიოდის სამაროვანზე, [თურმანიძე 2007: 137]; ვანში, ძვ.ნ. IV-III სს. [გიგოლაშვილი 1983: 105]; ალგეთის ხეობაში [მარგიშვილი 1992]. II. დოქის ფორმის საკიდი, ზედაპირი შემკულია ცისფერი, ზურმუხტისფერი, ყვითელი ფერის ლაქებით. აღმოჩნდა ფიჭვნარის ელინისტური პერიოდის სამაროვანზე, დაბლაგომში (სამტრედიის მუნიციპ.), ძვ.ნ. IV ს-ით დათარიღებულ სამარხში [თურმანიძე 2007:137; თოლორდავა 1976:68-79]. III. კონუსისებრი (ე.წ. ცრემლისებრი) და პირამიდული ფორმის საკიდები აღმოჩენილია ზემოფარცხმის სამაროვანზე (ჩოხატაურის მუნიციპ.), ძვ.ნ. IV-III სს. [ვაშაკიძე 1983: 100]; რიყიანების ველიზე (კასპის მუნიციპ.), ძვ.ნ. I - ახ.ნ. I სს [მირიანაშვილი 1983: 80]. IV. პოლიქრომული მინის მძივების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს ე.წ. „ნიღბებიანი“ მძივები. მათ წარმოშობას სირიულ და ფინიკიურ სახელოსნოებს უკავშირებენ, სადაც ისინი ძვ.ნ. VI ს-დანაა ცნობილი. ამ სახეობის მძივები აღმოჩენილია ყაზბეგში, ძვ.ნ. V ს [წითლანაძე 2004: 49]; დაბლაგომში (სამტრედიის მუნიციპ.), ძვ.ნ. III ს [თოლორდავა 1976: 68]; ვანში, ძვ.ნ. III ს [გიგოლაშვილი 1983:101]; ურეკში (ოზურგეთის მუნიციპ.), III-IV სს-ის მიჯნა [აფაქიძე 1947: 90-125].

მძივების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს ე.წ. დომინოსებრი მძივები, რომელთა შორის რამდენიმე ტიპი და ქვეტიპი გამოიყოფა (ე.წ. ვარდულისებრი, სამკუთხა, მართკუთხა და რომბისებრი ფორმის, მრგვალი და მართკუთხაგანიკვეთიანი მილაკები), რომლებიც შემკულია მცირე ზომის ერთმანეთში ჩასმული წრეებით; ზოგჯერ ანალოგიური ფორმის სადა ზედაპირიანი ცალეტიც გვხვდება. პირველად დომინოსებრი მძივები აღწერა ბ. კუფტინმა; მან ვანის ეპოქით დაათარილა ხრამის ხეობის სამაროვანებზე მოპოვებული ამ სახეობის მძივების შემცველი კომპლექსები [Куфтин 1941: 56-57]. დომინოსებრი მძივები აღმოჩნდა წალკის მუნიციპალიტეტის შემდეგ პუნქტებში: ნინწყარო, ძვ.ნ. XI ს. მეორე ნახევარი – ძვ.ნ. VIII ს. პირველი ნახევარი (მენაბდე და სხვ. 1968: 5-21); კნოლე, ძვ.ნ. VII-VI სს. [წარიმანიშვილი და სხვ. 2004: 125-126]; მარალინ-დერესი, თაქ-ქილისა, ბეშთაშენი და ავრანლო, ძვ.ნ. VI-V სს (დავლიანიძე 1983: 104-107); ერთეული სახით გვხვდება

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგ.: *ცაიში* (ზუგდიდის მუნიციპ.), ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი — ძვ.წ. VIII-ის პირველი ნახევარი [პაპუაშვილი 2010: ტაბ. III,84].

ეგვიპტური ფაიანსი. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მძივსამკაულის ერთი ჯგუფი დამზადებულია ე.წ. ეგვიპტური ფაიანსისგან. სახელწოდება „ეგვიპტური ფაიანსი“ პირობითია, რადგან ამ ჯგუფის სამკაული არ არის დამზადებული თიხისებრი მასისგან [Алексеева 1975: 23]. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული ამ ჯგუფის მძივები და საკიდები დამზადებულია ნვრილმარცვლოვანი მასისგან, რომელთა ზედაპირი მოცისფრო-მომწვანო ფერის მინისებრი ნივთიერების ფენითაა დაფარული. ეგვიპტური პასტის მძივები აღმოჩენილია *ელი-ბაბასა* და *კნოლეს* სამაროვნებზე (ნალკის მუნიციპ.), ძვ.წ. VII-V სს. [ნარიმანიშვილი 2004]; *კარსნისხევში*, ძვ.წ. III-ახ.წ II სს. [ლეკაშვილი 1990: 133]; *ჟინვალში*, ახ.წ. I-III სს [ჩიხლაძე 2007:79-89]; *კლდეეთში* (ზესტაფონის მუნიციპ.), II ს. [ლომთათიძე 1957: ტაბ. XVIII] და სხვ.

ეგვიპტური ფაიანსის საკიდები ძირითადად წარმოდგენილია **I.** ნაკვეთილი კონუსის, **II.** პირამიდისებრი, **III.** ამფორისკის, **IV.** ყურძნის მტევნისა და **V.** სკარაბეოიდის ფორმის საკიდების სახით. გარდა ამისა, შედარებით იშვიათად გვხვდება საკიდები სხვადასხვა გამოსახულებებით, პათეკის ფიგურა, კუ, ლომის ფიგურა, ნიანგის ფიგურა, ბაყაყი, სამსხვერპლო, გენიტალიები, ხელის მტევანი აპოტროფული ჟესტით (ბრანნი), ბუზი. ფაიანსის საკიდები აღმოჩენილია *ფიჭვნარში*, კოლხურ სამაროვანზე, თარიღდება ძვ.წ. V ს-ით [კახიძე და სხვ. 2004]; *დაბლაგომში* (სამტრედიის მუნიციპ.), თარიღდება ადრეანტიკური ხანით [Куфтин 1950: 54]; *ვანში*, ძვ.წ. IV-III სს. [გიგოლაშვილი 1983: 104]; ზემოფარცხმის და დიდვანის სამაროვნებზე, ძვ.წ. IV-III სს. [ვაშაკიძე 1973: 81; ვაშაკიძე 1983: 100]; *ბრილში* (ხაშურის მუნიციპ.), ელინისტური ხანა [გობეჯიშვილი 1952:104]; *დედოფლის გორა* (ქარელის მუნიციპ.), ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. [გოგიბერიძე 1999: 106-114]; *რიყიანების ველი* (კასპის მუნიციპ.), ძვ.წ. I - ახ.წ. I სს [მირიანაშვილი 1983: 78]; *საყარაული სერი* (კასპის მუნიციპ.), ძვ.წ. I - ახ.წ. I სს [ჯინჯიხაშვილი 1980: 46]; ურბნისი, ახ.წ. I-II სს. [ჯავახიშვილი 1972: 83, სურ 14]; *ჟინვალი*, I-III სს [ჩიხლაძე 2007: 86-87]. *სამთავროში*, *მოგვთაკარში*, *ნაოზასა* და *ძალისში* (მცხეთის მუნიციპ.), ახ.წ. პირველი საუკუნეები [მირიანაშვილი 1983: 78; სიხარულიძე და სხვ. 1985: 109-130]; *კლდეეთში*, ახ.წ. II ს [ლომთათიძე 1957: ტაბ. XVII,1], *თრელი*, გვიანელინისტური ხანა [აბრამიშვილი 1978: ტაბ. XII,4].

ამრიგად, მძივები და საკიდები ძირითადად სამარხებშია აღმოჩენილი, იშვიათად — ნამოსახლართა კულტურულ ფენებში. სამარხეულ ინვენტარში მათი რაოდენობა თითო ცალიდან რამდენიმე ათასამდე გვხვდება. მძივსაკიდები ძირითადად მიცვალებულთა გულმკერდისა და თავის არეშია დაფიქსირებული, ე.ი. ყელსაბამებად ან თავსამკაულის შემადგენელ ნაწილად გამოიყენებოდა; ამასთანავე მძივები აღმოჩენილია მიცვალებულთა მაჯის არეში, ასეთი ფაქტები დაფიქსირებულია ვანის, ფიჭვნარის, ნალკისა და სხვ. სამაროვნებზე. ეს მონაპოვარი საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ არსებობდა მძივებისგან შედგენილი სამაჯურები; ასევე არ გამორიცხავენ ტანსაცმლის სახელოს ბოლოების შემკობას მძივებით. მძივებს იყენებდნენ საყურეების გასაწყობად. მძივები გამოიყენებოდა არა მხოლოდ სამკაულად და სამოსის შესამკობად, არამედ სუდარის მოსართავადაც; ასეთ შემთხვევაში მიცვალებული მთლიანადაა დაფარული მძივებით. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



ფიზულაჟი

ნ. სულავა

ფიზულა სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული განსაკუთრებული სახის შესაკრავია, რომელიც გავრცელებული იყო პრეისტორიულ და ისტორიულ ხანაში. ფიზულა საკინძისგანაა წარმოშობილი და გამოიყენებოდა, როგორც ქსოვილის ან ტყავის ტანსაცმლის შესაკრავად, აგრეთვე, სამკაულადაც. ფიზულის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია — რკალი, ნემსი, ნემსსაჭერი, ზამბარა. ფიზულა ერთნილადია თუ ის ერთი მთლიანი ლითონის ღეროსაგანაა დამზადებული, და შესაბამისად, ორნილადია თუ ორი ღეროსაგანაა დამზადებული. ფიზულების ზომები 2-დან 12 სანტიმეტრამდე მერყეობს.

ყველა ეპოქამ თავისი კვალი დატოვა ფიზულაზე (ტექნიკური, ესთეტიკური, საკულტო), ამიტომ არქეოლოგიური ქრონოლოგიისათვის ფიზულებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. უძველესი ფიზულები ორნილადი იყო, რომლებიც ყველაზე მრავალფეროვანი სახით ძვ.წ. V-IV ს-ის ჩათვლით არსებობენ საკმაოდ ბევრ რეგიონში. მათ რკალს ამკობდნენ სხვადასხვაგვარად (გრეხვა, სხვადასხვა პროფილის სეგმენტები, გრავირება, დარჩილული ფიგურები) და ამით სამკაულის ფუნქციასაც ანიჭებდნენ. გვიანბრინჯაო-რკინის ხანიდან დაწყებული (ისევე როგორც მომდევნო ეპოქებში) მათ ამზადებდნენ ბრინჯაოსაგან, რკინისაგან, იშვიათად ოქროსა და ვერცხლისაგან. ისინი ჩამოსხმებოდა ყალიბში, რომელთა აღმოჩენის ფაქტი ძალზე მცირეა, და შემდეგ ჭედვით ხდებოდა დამუშავება; ხოლო გრავირება კი კეთდებოდა რკინის იარაღით [იხ. სულავა 2011].

ძვ.წ. VIII ს-დან კვლავ ჩნდება ორნილადი რკალისებური ფიზულების ახალი ტიპები — მარტივი ორნილადი რკალისებური ფიზულები, ე.წ. მცირეაზიული ანუ ურარტული და ე.წ. ფრიგიული (შარნირიანი შესაკრავით). ეს უკანასკნელი ახ.წ. პირველ საუკუნეებშიც აგრძელებს არსებობას მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხმარებაშია სხვა ტიპის ფიზულები (ერთნილადი და ორნილადი ბუდეაბმული და მკვეთრადპროფილირებული ფიზულები, სხვადასხვა გეომეტრიული თუ ზოომორფული ფორმის მინანქრიანი ან ძვირფასი ქვებით შემკული ფიზულები). იმ ფიზულების მიხედვით, რომლებიც სამარხებშია აღმოჩენილი, შესაძლებელია ტანსაცმლის სახეობისა (მოსასხამი, დრაპირებული სამოსი თუ არადრაპირებული, უხეში ქსოვილი, ნაზი ქსოვილი, ტყავი) და ფიზულის ხმარების წესის დადგენა (მხართან, გულმკერდთან, წყვილი ან მხოლოდ ერთი). ფიზულები გავრცელებულია აპენინის ნახევარკუნძულიდან კავკასიის ჩათვლით, მთელ მედიტერანულ სივრცეში, შუა ევროპასა და მცირე აზიაში [იხ. სულავა 2011: 2 და იქვე მით. ლიტ.].

კავკასიაში უძველესი ფიზულების პირველი აღმოჩენების შესახებ ცნობები XIX ს-ის შუა ხანებს განეკუთვნება. საქართველოში მათი პირველი აღმოჩენა 1879 წელს ყაზბეგის (სტეფანწმინდის) განძის აღმოჩენასთან არის დაკავშირებული. კავკასიის ფიზულებს გენეტიკურად აკავშირებდნენ საბერძნეთ-ეგეოსის მასალებთან, ჩრდ. იტალიისა და შუა ევროპის მასალებთან, ან ორივესთან ერთად, ან მიაჩნდათ აღმოსავლეთალკანურ-კავკასიური კონტაქტების შედეგად, აკავშირებდნენ მცირეაზიასთან (ფრიგია), ბალკანეთ-ალპების მხარესა და ეგეოს-იტალიასთან, ადგილობრივად მიიჩნევდნენ [იხ. სულავა 2011: 3-17]. საქართველოს შავიზღვისპირა და შიდა რეგიონებში (არქეოლოგიურად შესწავლილ ნეკროპოლებზე და შემთხვევითი მონაპოვარის სახით) აღმოჩენილი უცხოური ფიზულები — ე.წ. ბალიშისებურზურგიანი *წითელი შუქურა*, ნავისებურრკალიანი *ახალი ათონი*, ღრუმუცლიანი *ყულანურხვა*, ბიბილოსებურრკალიანი *კისტრიკი*, ბრტყელრკალიანი *ურეკი* [იხ. სულავა 2011: 157-166], რომლებიც ძველი საქართველოს მედიტერანულ სამყაროსთან ადრეული კონტაქტების მაჩვენებელია, მიგვანიშნებენ საქართველოში ფიზულების გავრცელების გზაზე ძვ.წ. VIII-VII სს-ში, თუმცა, გამორიცხული არაა უფრო ადრეული კონტაქტების არსებობაც, რაზეც დასავლეთ საქართველოს სამაროვნებში აღმოჩენილი ადრეული ტიპის ფიზულები მიგვითითებენ (*ურეკი*, *ნიგვზიანი*) [სულავა 2011: 80, 81]. მიუხედავად ფიზულის იდეის შემოსვლისა, დასავლეთ საქართველოში ძალიან სწრაფადვე დაიწყეს მათი ადგილობრივი წარმოება, რასაც ხელი შეუწყო ადგილობრივმა

მძლავრმა მეტალურგიულმა ბაზამ (ნიაღვრის მოპოვება, ლითონების წარმოება) და გაჩნდა მხოლოდ ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ადგილობრივი ტიპები, რომლებსაც ანალოგები სხვაგან არსად არ ეძებნება. ამის დამადასტურებელია მხოლოდ დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ნულზედაპირიანი (რომელიც განივკვეთში ყვავილისებურ ჭრილს იძლევა) რკალის მქონე ფიბულები. ამგვარი შემკულობის პროტოტიპია *ნოსირში* აღმოჩენილი ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული ოქროს სამკაულის დეტალი. მასზე გამოყენებულია ისეთივე “ნულები”, როგორც ამ რეგიონის ფიბულების რკალებისათვისაა დამახასიათებელი [იხ. არქეოლოგიური საგანძური, 2011: 24, 25].

გარესამყაროსთან მუდმივი კონტაქტების ამსახველია შემდგომი პერიოდის ფიბულების სახეობებიც, რომლებიც წარმოდგენილია როგორც იმპორტული, ასევე ადგილობრივი წარმოების ნიმუშებით (ამისი საუკეთესო მაგალითია ადრეშუასაუკუნეების ე.წ. ბუდეაბმული ფიბულების ტიპები). კავკასიაში აღმოჩენილი უძველესი ერთნილადი რკალისებური ფიბულების რაოდენობის 80% საქართველოს ტერიტორიიდანაა ცნობილი. საქართველოში ფიბულათა აღმოჩენები დაახლოებით 80 ძეგლიდანაა ცნობილი (მთლიანად კავკასიაში — 152 ძეგლი) და 800-მდე ერთეულია. მათი უმეტესი ნაწილი აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად შესწავლილ სამაროვნებზე, განძებში, იშვიათად სამლოცველოებზე და ნასახლარებზე:

ნეკროპოლებში — ურეკი (9ც.), ნიგვზიანი (5ც.), ერგეტა (12ც.), დღვაბა (1ც.), პალური (1ც.), მუხურჩა (51ც.), ფიჭვნარი (1ც.), წონიარისი (2ც.), ყულანურხვა (5ც.), სოხუმის მთა (4ც.), გუადიხუ (13ც.), წითელი შუქურა (22ც.), იაშთხვა (2ც.), ჯანტუხი (115ც.), ვანი (3ც.), გორაძირი (1ც.); გონა (4ც.), ბრილი (85ც.), ლარილარი (4ც.), მზეთამზე (100ც.), ჩითახევი (2ც.), თლია (300ც.), ნაცარგორა (3ც.), სამთავრო (9ც.), თრელი (1ც.), დილომი (2ც.), მარალინ-დერესი (1ც.), განთიადი (1ც.); თეთრინწყლები (1ც.); **განძებში** — ოჯოლი (1ც.), ფასანაური (1ც.), ჩაბარუხი (5ც.), ყაზბეგი (28ც.); **სამლოცველოებში** — გორაძირი (1ც.), არაშენდა (1ც.); **ნასახლარებში** — რგანი (1ც.).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ე.წ. **ერთნილადი რკალისებური ფიბულების** ტიპოლოგიის საფუძველია — რკალის (კორპუსის) მოყვანილობა: **I** ტიპი — ნახევაროვალურ რკალიანი ფიბულები; **II** — ოდნავ ასიმეტრიულრკალიანი; **III** — ნახევარწრისებურ რკალიანი (ან „ნალისებრი“) ფიბულები. ამავე პრინციპით, კორპუსის მოყვანილობითა და რკალის ფორმით, საქართველოს ფიბულებში გამოიყოფა კიდევ ორი ტიპი: **IV** — „ზომორფულრკალიანი“ ფიბულები; **V** — „გველისებურრკალიანი“ ფიბულები. ამ ხუთი ტიპის ფიბულებში გამოიყოფა ქვეტიპები და ვარიანტები [სულავა 2011: 61-155].

I — ფიბულათა მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: შედარებით დაბალი რკალი, რის გამოც ფიბულის კორპუსი ნახევაროვალური ფორმისაა. რკალის ღერო წვრილი და თანაბარი სისქისაა; ბუდე რკალის შესაბამისად ვიწროა; ნემსსაჭერი — პატარა და მომრგვალებული. ამ ტიპის ფიბულები 5 ქვეტიპითაა წარმოდგენილი. ისინი (აღმოჩენილია — დილომი, თრელი, სამთავრო, არაშენდა, თეთრინწყლები, მარალინ-დერესი, თლია, ჩითახევი, გორაძირი, ურეკი, ნიგვზიანი, დღვაბა, მუხურჩა-პეტრეს ნაკარუ, წითელი შუქურა, ფიჭვნარი და სხვ.) ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნით ან VIII ს-ით უნდა დათარიღდნენ [სულავა 2011: 80-89].

II — ფიბულათა მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: ოდნავ წინ, ბუდისაკენ გადახრილი რკალი, რის გამოც ფიბულის კორპუსი ოდნავ ასიმეტრიული მოყვანილობისაა; რკალის ღერო წვრილი და თანაბარი სისქისაა; ბუდე (ფეხი) რკალის ღეროს შესაბამისად ვიწროა; ნემსსაჭერი — პატარა და მომრგვალებული. ამ ტიპის ფიბულები 3 ქვეტიპითაა წარმოდგენილი ისინი (აღმოჩენილია — თლია, ნაცარგორა, ნიგვზიანი) ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნით, VIII ს-ით და VII ს-ის პირველი ნახევრითაც კი შეიძლება განისაზღვროს [სულავა 2011: 89-92].

III — ფიბულათა მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: მაღალი რკალი, რის გამოც ფიბულის კორპუსი ნახევარწრიულია. რკალის ღერო თანაბრად ან ძლიერ შემსხვილებულია და გაფორმებულია სხვადასხვაგვარად. ბუდე რკალის შესაბამისად სუსტად ან ძლიერ

გაგანიერებულია. ნემსსაჭერი პატარაა, მომრგვალებული. ამ ტიპის ფიბულები 17 ქვეტიპითაა წარმოდგენილი. ზოგადად ისინი (აღმოჩენილია — სამთავრო, სათოვლე-ნაბაღრები, წეროვანი, რუსთავი, რკინის კალო, ქსნის ხეობა, ახალგორი, ნატახტარი, თრელი, ყაზბეგი, ფასანაური, ჭიკაანი, ჭაჭკაანი, ჩაბარუხი, ახალი ოსები, ზემო ილემი, მატანი, განთიადი, ნაცარგორა, თლია, ბანისხევი, დაბა, მზეთამზე, ნალვერი, ბორი, გორაძირი, ოჯოლა, ვანი, შორაპანი, ნიგოზეთი, მაჭარწყალი, ვაკიჯვარი, ფიჭვნარი, ნონიარისი, ურეკი, მუხურჩა, ხუცუბანი, პეტრეს ნაკარუ, ცაიში, კინჩხა, ჯანტუხი, ნითელი შუქურა, ბრილი, გონა, ჭუბერი, ლარილარი, სვანეთი, ერგეტა, პალური, სამურზაყანო, ჯვარი, გუადიხუ, გუდაუთა, ყულანურხვა, ვედიდკარი-მახათა, ეშერა, ააფსტა, ეუნეპლი, იაშთხვა, სოხუმის მთა, მიცარი, ფსირცხა, ახალი ათონი, კისტრიკი) ძვ.წ. VIII-VI სს-ით თარიღდებიან, მაგრამ ზოგიერთი ტიპები ძვ.წ. IV ს-შიც არსებობენ [სულავა 2011: 92-154, ტაბ. 61].

ის უცხოური ფიბულები, რომლებიც საქართველოს შავიზღვის სანაპიროზეა დადასტურებული, ტიპოლოგიურად ნახევარწრივრკალიანია და III ტიპის ფიბულებშია გაერთიანებული: III — ბალიშისებურზურგიანი რკალით (ნითლი შუქურა), რომლებიც კოლხეთში ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოს ან VII ს-ის დასაწყისში უნდა მოხვედრილიყვნენ; III — ნავისებურ ზურგიანი რკალით (ახალი ათონი, ფსირცხა), რომელთა კოლხეთში გამოჩენა ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში უნდა მომხდარიყო; III — ღრუმუცლიანი რკალით (ყულანურხვა), რომელიც ძვ.წ. VII-VI სს-ს უნდა განეკუთვნებოდეს; III — ბიბილოსებური რკალით (კისტრიკი), რომელიც აფხაზეთის სანაპიროზე ძვ.წ. VII-VI სს-ში უნდა მოხვედრილიყო; III — ბრტყელრკალიანი ფიბულა (ურეკი) ძვ.წ. VII ს-ით უნდა დათარიღდეს [იხ. სულავა 2011: 157-166]. IV ტიპის ფიბულათა მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ბრტყელი, ფირფიტისებური რკალი, რომელიც ცხოველის გამოსახულებას წარმოადგენს. გამოსახულება შემკულია გრაფირებული თევზიფხური სახით და გადაბმული ზენური ხვიებით. ფიბულის ბუდე ცხოველის წინა ფეხის გაგრძელებას წარმოადგენს და მისი სიმეტრიულია. ნემსსაჭერი — პატარა, მომრგვალებული. რკალის შემკულობის მიხედვით გამოიყო ორი ქვეტიპი: IV 1 — „ცხვარი“ (პალური), IV 2 — „ფანტასტიკური ცხოველი“ (სვანეთი) [სულავა 2011: 166]. V ტიპის ფიბულების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია დაკლაკნილი გველის ფორმის რკალი, რომელიც მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაა. ფეხი (ბუდე) — რკალის მავთულის სიმეტრიული ან გაგანიერებულია, ნემსსაჭერი — პატარა და მომრგვალებულია (სვანეთი) [სულავა 2011: 168-169].

საქართველოში გავრცელებული **ორწილადი რკალისებური ფიბულები** ორი ტიპითაა წარმოდგენილი: I ტიპი — მარტივი რკალისებური და II ტიპი — ე.წ. მცირეაზიური ტიპების მსგავსი ანუ ე.წ. ურარტული ფიბულები (ისევე, როგორც ბ. იოლუნთანაა აღნიშნული [Ögün 1979]). I ტიპის მარტივი ორწილადი რკალისებური ფიბულების (დაახლ. -100ც.) დამახასიათებელი ნიშნებია: რკალი, რომლის ერთი ბოლო ლურსმნისებური მოყვანილობისაა და ნემსის დახვეულ ბოლოს რკალიდან ჩამოცურებისაგან იცავს, ხოლო რკალის მეორე ბოლო ნემსის ჩასადები ბუდეა, რომელსაც ენისებური ფორმა აქვს. I ტიპის ფიბულათა რკალის მორფოლოგიური ნიშნებისა და შემკულობის მიხედვით გამოიყოფა 5 ქვეტიპი: I 1 — რკალის ღერო მრგვალგანივკვეთიანი; I 2 — რკალის ღერო რომბულგანივკვეთიანი; I 3 — გრეხილრკალიანი; I 4 — რვანახნაგარკალიანი; I 5 — მძივისებურრკალიანი. I ტიპის ორწილადი რკალისებური ფიბულები (აღმოჩენილია — ავჭალა, ციხია გორა, შავსაყდარა, სუქანანთუბანი, წინანდალი, სტირფაზი, ძრია, პატკნეთი, კამარახევი, გვირგვინა, გორეთი, დირგყინი, იცქისი, მონასტერი, სოხთა, ზახორი, სანთა, რგანი, ჩხარი, შოშეთი, ბრილი, მურის ციხე, აწყური, ზემო ილემი, ქორეთი, ქუთაისი, ძევერი, ბორი, ვანი, არგვეთი, შორაპანი) არსებობენ ძვ.წ. V-IV სს-დან ახ.წ. I-III სს-ის ჩათვლით. ე.ი. მათი არსებობის ადრეული პერიოდი ერთწილადი რკალისებური ფიბულების არსებობის ბოლო ეტაპს ემთხვევა. ისინი ადგილობრივი ნაწარმია, რადგან გენეტიკურ კავშირს ადგილობრივ ერთწილად რკალისებურ ფიბულებთან ავლენენ რკალის

მოყვანილობისა და შემკულობის მიხედვით და მათი ანალოგები არსად გვხვდება [იხ. სულავა 2011: 212-218, 227, 228].

II ტიპის ე.წ. მცირეაზიური ტიპების მსგავსი ანუ ე.წ. ურარტული ფიბულების დამახასიათებელი ნიშნებია: **ა)** მოძრავი ნემსი, რომელიც შემოხვეულია ფიბულის რკალის ერთ ბოლოზე, რომელიც თავის მხრივ, დასრულებულია ბურთულისებრი შემსხვილებით. ეს შემსხვილება ნემსის დახვეულ ბოლოს რკალიდან ჩამოცურებისაგან იცავს; **ბ)** ნახევარწრი-სებური რკალი მრგვალგანივკვეთიანია (თანაბრად ან მკვეთრად შემსხვილებული, სადა ან სხვადასხვაგვარად გაფორმებული) ან ბრტყელი (ნაჭდევი ორნამენტით სხვადასხვაგვარად შემკული); ზოგჯერ რკალს თავსა და ბოლოში შემსხვილებები აქვს; **გ)** უბრალო ან ზოგჯერ „ხელის“ მაგვარი ნემსსაჭერი (ანუ ნემსსაჭერი, რომელიც ხელის იმიტაციას წარმოადგენს). აღნიშნული ტიპოლოგიური ნიშნების მქონე ფიბულებს ურარტულს უწოდებენ, მათ წარმომავლობას კი ფრიგიულ ფიბულებს უკავშირებენ [იხ. Ögün 1979: 178]. საქართველოს ტერიტორიაზე 11 ცალი ამგვარი ფიბულაა აღმოჩენილი (*დარჩიეთი, აწყური, შორაპანი, მუხურჩა, სამთავრო, სამაჩაბლო, დვანი, ოყორა, ღრმახევისთავი, განთიადი*). საქართველოში **ორწილადი რკალისებური** ფიბულების I ტიპის ზოგიერთი ნიმუში ახ.წ. I-III სს-ის ჩათვლით არსებობს. ამას გარდა საქართველოში ვრცელდება ფიბულების ახალი ტიპები — ბუდეაბმული, ჭვინტიანი, ბუდემთლიანი, ე.წ. ცხოველურსახიანი, ავციასას მსგავსი პროვინციული ტიპის, მკვეთრადპროფილირებული შავიზღვისპირული ტიპის, ბრინჯაოს მინანქრიანი ფიბულები.

ახ.წ. პირველ საუკუნეებში საქართველოში ვრცელდება ე.წ. **ბუდეაბმული** [იხ. Амриоз 1966: 47] ფიბულები სხვადასხვა ვარიანტებით (ერთწილადი, ორწილადი, ბუდეჩახრილი, ჯვრისებური, რკალგაფართოებული [აფხაზავა 1979: 8-20]), რომლისთვისაც დამახასიათებელია ნახევაროვალური კორპუსი. რკალი ნემსის წვერის მხარეს გადადის ნახევარმილაკისებური ფორმის ნემსსაჭერში, რომლის მავთულისებური ბოლო ვერტიკალურად არის მიმართული ზევით და ისევ რკალზეა მიმაგრებული. მუხლი ზამბარისებურია. ვარაუდობენ, ისინი ჯერ საქართველოს შავიზღვისპირეთში ჩნდება. ახ.წ. I-III სს-ში დასავლეთ საქართველოში ერთწილადი ბუდეაბმული ფიბულების ადგილობრივი წარმოება დაიწყეს, ხოლო IV ს-ში ისინი ორწილადი ბუდეაბმული ტიპებით შეიცვალა, რომლებიც ორი მავთულისაგან იყო დამზადებული და მუხლი ზედაუდლიანი ქონდა. ორწილადი ბუდეაბმული ფიბულები აღმ. საქართველოში IV ს-ში ვრცელდება დას. საქართველოდან [აფხაზავა 1979: 9-11, 19]. ამავე პერიოდში საქართველოში გაჩნდა ბუდეაბმული ფიბულების კიდევ სხვა ვარიანტები — ორწილადი ბუდეჩახრილი ფიბულები (IV-V სს) [აფხაზავა 1979: 12-13], რკალგაფართოებული (IV-V სს), ე.წ. ჯვრისებური, რომელიც საკმაოდ დიდხანს VIII ს-მდე არსებობდა [იხ. აფხაზავა 1979: 8-20, ტაბ. VI/1-36, VIII, XVII]. ბუდეაბმული ფიბული აღმოჩენილია: *ურბნისი, სამთავრო, მცხეთა, სოხთა, სტირფაზი, კარსნისხევი, მარაზისხევი, ყაზბეგი, მანკლისი, სართიჭალა, გურჯაანი, ყოლოთო, სანთა, ჩხორონყუ, ურეკი, ბიჭვინთა, ციხისძირი, კლდეეთი, ნებელდა, მოდინახე, ნოქალაქევი, განთიადი*.

ჭვინტიანი ფიბულები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ბუდეზე მცირე ზომის აშვერილი ჭვინტი, საშუალო სიმაღლის რკალი და ზამბარიანი ან სახსრიანი მუხლი, სხვადასხვა ვარიანტებით (მუხლზამბარიანი, მუხლსახსრიანი, ბურთულიანი — ფართოდ აღმ. საქართველოში VI ს-ის ბოლოდანაა ცნობილი; VIII ს-დან ისინი არსებობას წყვეტენ. ჭვინტიანი ფიბულები აღმოჩენილია: *სამთავრო, არმაზისხევი, სართიჭალა, სტირფაზი, ურბნისი, რუსთავი, ერწო, ყაზბეგი, ბეთანია, ბოლნისი, ნახშირგორა, ბაზალეთი, ლია, ნებელდა* [იხ. აფხაზავა 1979: 20-25], *პალიასტომი (ნატეხები)* [იხ. გამყრელიძე 2012: 162-170, 271, ტაბ. VI]. **ბუდემთლიანი** ფიბულები მსგავსია ჭვინტიანი ფიბულებისა, მაგრამ მათ არა აქვთ ჭვინტი, ხოლო ბუდე სამკუთხა ან ოთხკუთხაა, მუხლი ზამბარიანი ან სახსრიანია [იხ. აფხაზავა 1974: 26-27, ტაბ. XXIII, 1-23]. ცნობილია V-VIII სს-ის ძეგლებიდან (*სამთავრო, სტირფაზი, სართიჭალა, კაჭრეთი, ამბროლაური, გაგრა*). T-ს მაგვარი ფიბულებს ახასიათებს მასიური პროპორციები, რკალის ნაწილი ნემსის წვერისაკენ ნემსის

პარალელურია და ზედ ჩამოზრდილია ბუდე. სახსრის ღერძზე და თვით სახსარზე ბურთულები აქვს დამაგრებული. რკალი განივკვეთში ყოველთვის სამკუთხაა. აღმოჩენილია — *სამთავრო, ყოლოთო, ოჩამჩირე*. გავრცელდა ჩრდ. კავკასიიდან VI-VII სს-ის მიჯნაზე და ძირითადად VII ს-ის განმავლობაში იხმარებოდა [იხ. აფხაზავა 1979: 26-28, ტაბ. XXIV, 1,7,15,17,26,28].

ე.ნ. ცხოველურსახიანი უცხოური ფიბულები, რომლებიც გავრცელებულია მთელ ევროპასა და ჩრდ. შავიზღვისპირეთში; ბრინჯაოსია და წარმოადგენს მწერის, ფრიველის (ფარშევანგი, მტაცებელი ფრინველი) გამოსახულებას. საქართველოში ისინი აღმოჩენილია სამთავროს IV-VI სს-ის სამარხებში [აფხაზავა 1979: 28,29, ტაბ. IX,2, XIII,22, XV,2]. მკვეთრად პროფილირებული შავიზღვისპირული ტიპის ფიბულებისათვის დამახასიათებელია რკალი, რომელიც ბოლოვდება რელიეფური ირგვლივი სარტყლით, რომელიც გადადის მძივისებური შვერილით თავშემკულ ბრტყელ, მაღალ და ვიწრო შესაკრავში. მუხლის ზამბარა შედგება შიდა უღელზე დახვეული რამდენიმე ხვიისაგან. ამ ტიპის ფიბულები ცნობილია გვიანანტიკური ხანის სამარხებიდან (*მცხეთისგორა, სოხთა, ცხეთა*) [სულავა 1996: 29-30]. “ავცისას” მსგავსი პროვინციული ტიპის მუხლსახსრიანი ფიბულებისათვის დამახასიათებელია — ბრტყელი და განიერი რკალი, რომელიც ბოლოვდება ჭიკარტისებური შვერილით, რომლის ქვემოთაც ჩამოშვებულია მილაკისებურად თავშეხვეული ბრტყელი ბუდე ნემსისათვის. ამ ტიპის ფიბულებს, რომლებიც გავრცელებულია ადრერომაულ ხანაში რომაულ პროვინციებში, ზოგიერთ შემთხვევაში რკალზე აქვთ წარწერა — AVCISSA. ამგვარი ფიბულები ცნობილია (სოფ. *ლია, ცხეთა, სტეფანწმინდა*) [იხ. ნითლანაძე 1973: 71]. საქართველოში გავრცელებულია ბრინჯაოს მინაქრიანი ფიბულებიც. ისინი ფაქტობრივად ბროშებია და წარმოდგენილია როგორც წრიული ან მართკუთხა, ასევე ზოომორფული ეგზემპლრებით. ისინი ჩამოსხმით მზადდებოდა; მათთვის დამახასიათებელია სასურათე სიბრტყის შემკობა სხვადასხვა ფერის მინაქრის ნაჭრებით. მათი გავრცელების არეალი საკმაოდ ვრცელია — დასავლეთ ევროპიდან ჩრდ. კავკასიის ჩათვლით. საქართველოში მათი არსებობა II-III სს-ით განისაზღვრება და ისინი (12ც.) აღმოჩენილია — *სტირფაზი, მცხეთა, კლდეეთი, კიკეთი, სოხთა, ბორი, ცხეთა* [იხ. სულავა 1996: 30-31].

ამგვარად, საქართველოში ძვ.წ. VII – ახ.წ. VI სს-ში გავრცელებული ბრინჯაოსა და რკინის (იშვიათად ოქროსა და ვერცხლის) ფიბულები კიდევ ერთი დასტურია ადგილობრივი მძლავრი მეტალურგიული ბაზის არსებობისა და ქვეყნის (და მთლიანად კავკასიის) ფართო საგარეო ურთიერთობებისა. საქართველოში (ისევე როგორც ყველგან) ეპოქების მიხედვით იცვლებოდა ფიბულების ტექნიკური მხარე — ადრეული ფიბულები უფრო მარტივია როგორც კონსტრუქციულად, ასევე შემკობის თვალსაზრისითაც (მაგ.: ადრეული გრავირება მაგარი ჯიშის ქვით კეთდებოდა); შემდეგ რთულდება როგორც კონსტრუქცია (მაგ.: ევროპული ე.წ. სათვალისებრი ფიბულები, ფრიგიული ფიბულები), ასევე შემკობის სახეები და ხერხები (გრავირება ფოლადის იარაღით კეთდება, ამკობენ მცირე პლასტიკის ნიმუშებითა და სხვადასხვაგვარი თვლებით); ეპოქების მიხედვით იცვლებოდა ფიბულათა ესთეტიკური მხარე, რომელიც ამავე დროს მორგებული იყო პრაქტიკულ პირობებზე — გეოგრაფიული გარემო, სეზონი. ეპოქების მიხედვით იცვლებოდა ფიბულის როგორც საკულტო დანიშნულების ნივთის ფუნქცია — ფიბულათა ბუდეებზე ხდებოდა იმ გრავირებული გამოსახულებების დატანა, რომელიც არსებული რწმენა-წარმოდგენების ამსახველი იყო; იგივე დანიშნულება ქონდა მცირე პლასტიკის ნიმუშების დარჩილვასაც ფიბულებზე; ხდებოდა ფიბულების ტაძრებისათვის შეწირვა, ბრინჯაოს განძების შემადგენლობაში მისი განძთან ერთად დაფლვა, სამარხეული ინვენტარის შემადგენლობაში მიცვალებულისათვის ჩატანება. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



კისრის რკალის შესახებ თ. ჭანიშვილი, გ. გამყრელიძე

არქეოლოგიურ ძეგლებზე კისრის რკალის პირველი გამოჩენა ძველი სამყაროს ისეთ ძეგლებთანაა დაკავშირებული, როგორიცაა: *ალიშარ-ჰუიკი*, *ბიბლოსი*, *კაჰუნი* და სხვ. [Schaeffer 1948: ტაბ. XIII, 45; ტაბ. XVI, 2]. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, კისრის რკალი ჩნდება დასავლეთ ევროპის არქეოლოგიურ ძეგლებზეც [Монгайт 1974: 60-61, სურ.8]. ძვ.წ. II ათასწლეულში კისრის რკალი ვრცელდება კავკასიაში.

საქართველოში ეს არტეფაქტი პირველად ძვ.წ. XV-XIII სს-ის ძეგლებზე გვხვდება. გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნებზე კისრის რკალის ორი ტიპი დასტურდება: სადალეროიანი და გრეხილხეროიანი. ისინი ბრინჯაოსია, რკალების ბოლოები თავჩახვეულია. კისრის რკალი მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით არტეფაქტთა ისეთ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე არ განიცდის ტრანსფორმაციას. ფორმის მიხედვით ერთნაირია: მორკალული, ხოლო ღეროს ხასიათით — სადა ან გრეხილი. უძველესი კისრის რკალები — სადა ღეროიანია. მოგვიანებით ჩნდება გრეხილღეროიანი. თავების ფორმებისა თუ გაფორმების ელემენტების მიხედვით შესაძლებელი ხდება მოცემული ეპოქის კისრის რკალის კლასიფიცირება და ქრონოლოგიური ჯგუფების გამოყოფა: ძვ.წ. VII-VI სს-ის კისრის რკალი ბრინჯაოსია; აღმოჩენილია — *რკინის კალოს* 2 სამარხში, *მზეთამზეს* 4 სამარხში, *გუადიხუს* 2 სამარხში; აგრეთვე *პალურში*, *ურეკში*, *კისტრიკში* და სხვ. ძვ.წ. VIII-VI სს-ში კისრის რკალის სამი ძირითადი ტიპი გამოიყო: I. სადალეროიანი, II. გრეხილღეროიანი და III. ფირფიტოვანი.

I — სადალეროიანი კისრის რკალები თავების გაფორმების მიხედვით ორგვარია: თავებჩახვეული და თავებისკენ წამახვილებული. მათ შორის — მსხვილღეროიანი ან წვრილღეროიანი. სადალეროიანი, თავებჩახვეული კისრის რკალები გრავირებულია ან გლუვი, კარგად გაპრიალებული და სადაზედაპირიანი. ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა გეომეტრიული ხაზებით და წიწვოვანი ორნამენტითაა გრავირებული. ისინი გვხვდება — *მზეთამზე* [ნასიძე 1990: 1, ტაბ.1], *ნითელი შუქურა*, *ტყვარჩელი* [დოლიძე 1999: 54, ტაბ. XI], *თლიას № 210* სამარხი [ფანცხავა 1988: 58,61,67,77-80], *ეშერი* [Воронов 1980: 202, სურ.1,59], *დღვაბა №2* სამარხი [მიქელაძე 1995: ტაბ.55], *ჯვარისა* და *ოყურეშის* განძებში [ფანცხავა 1988: 58] და სხვ. თავებისკენ წამახვილებული კისრის რკალებისთვის დამახასიათებელია გრავირებული შტრიხები ან ნაჭდევი ორნამენტი. ამგვარი ცალები ძვ.წ. VII-VI სს აღმოჩნდა: *განთიადის № 4* [ავალიშვილი 1974: 71, ტაბ. XI], *პალურის № 43* [ოქროპირიძე 1974: ტაბ. XIX, 370], *ერგეტას* სამაროვნის *№ 6* [მიქელაძე 1985: 39, ტაბ.III], *თლიას №24* [ფანცხავა 1988: 55] და ბორჯომის ხეობის [კვიციანი 2000: ტაბ.IV,20] კომპლექსებში. **II — გრეხილღეროიანი** კისრის რკალები ძვ.წ. VII-VI სს. სამკაულის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა, თანაარსებობს სადალეროიან ცალებთან, ზოგჯერ ერთ სამარხშიც კი. თავების გაფორმების მიხედვით ამ ტიპში გამოიყო ორი ვარიანტი: 1. თავებჩახვეული; 2. თავებისკენ გაფართოებული და ბოლოებჩახვეული. **III. თხელფირფიტოვანი**, თავჩახვეული კისრის რკალი აღმოჩნდა *თლიას* ძვ.წ. VIII-VII სს. *№ 72,150* სამარხში [Техов 1981: 32, ტაბ.92,2; 109,2] და ძვ.წ. VII-VI სს. *პალურის* საძვლეში [ოქროპირიძე 1974:112].

ძვ.წ. VIII-VI სს-ის საქართველოს ტერიტორიაზე კისრის რკალი ერთ-ერთი გავრცელებული სამკაულია. ის ამასთანავე საკულტო-საკრალური ფუნქციის მატარებელი ნივთიცაა (მაგ.: *მელაანი*, *ერგეტას* და *მუხურჩას* საკულტო ორმოსამარხები). ძვ.წ. VIII-VI სს-ის სადა და გრეხილღეროიანი კისრის რკალები თანაარსებობენ. კისრის რკალების თავების გაფორმება და ორნამენტაცია გვხვდება სხვა სამკაულებზეც (მაგ. სამაჯურებზე), რაც ერთი კულტურული გარემოსა და მხატვრული სტილის მიმანიშნებელია.

ძვ.წ. VI-IV სს-ში კვლავ ფუნქციონირებს კისრის რკალის ძველი ტრადიციული ტიპები, მაგრამ უკვე ძვ.წ. VI ს-ში ამ ძირითად ტიპებთან ერთად თავის ფორმებისა და ღეროების შემკულობის მიხედვით გვხვდება სხვა ვარიანტებიც. ძვ.წ. VI-IV სს. ბრინჯაოს კისრის

რკალები კლებულობს და ძვ.წ. VII-ში ჩნდება ვერცხლის, ხოლო ძვ.წ. Vს-ის დასასრულიდან უკვე ოქროს (იშვიათად, ელექტრუმის) ცალები. ძვ.წ. IV-III სს. ოქროსა და ვერცხლის კისრის რკალები მდიდრული სამარხებისა და განძების სამკაულის ერთ-ერთ აუცილებელ არტეფაქტს წარმოადგენს. ამ პერიოდის კისრის რკალები დამზადებულია ბრინჯაოს, ვერცხლის ან ოქროსგან. თავებისა და ღეროს გაფორმების მიხედვით რვა ქვეტიპი გამოიყო: თავებისკენ გაფართოებული და ბოლოებაკეცილი; ე.წ. ზოომორფულთავიანი; თავებგახსნილი; თავებაკეცილი (შესაკრავი კავები); თავებგახსნილი, ორნამენტირებული; თავები — ბიკონუსური, დაღარული; თავებგახსნილი, ექვსნახნაგა ღეროთი; ირგვლივი ღარებით შემკული, ერთმანეთზე გადადებული, შემსხვილებული თავები. ამგვარი კისრის რკალები აღმოჩნდა: ნიგვზიანის №12 სამარხში [მიქელაძე 1985: 83-84, ტაბ.XVIII, 20], *ოჩამჩირის* და *ემერის* [Шамба 1980: 44, ტაბ.XXII, 2] სამარხებიდან; *ვანის* №4 სამარხში გვხვდება ოქროს კისრის რკალი ლომის თავის გამოსახულებით; *ვანის* №6 სამარხში [ჭყონია 1981: 74, სურ. 47, 38, სურ.19]; *დღვბას* №1 სამარხ-ორმოში [მიქელაძე 1991: 65, ტაბ.152,14] და *თლიას* №51 სამარხში [მიქელაძე 1990: 57-58] და სხვ.

ძვ.წ. VI-IV სს. გრეხილღეროიანი კისრის რკალები ბრინჯაოსია. ცნობილია ოქროს მხოლოდ ერთი ნიმუში ახალგორიდან (ძვ.წ. IV-IIIსს). ამ ხანის გრეხილღეროიან კისრი რკალებში თავების გაფორმების მიხედვით სამი ვარიანტი გამოიყო: თავები ნიჩბისებური დაბოლოებით; თავებისკენ გაფართოებული, რომბული ან ოვალური ფორმების ფორმით; თავებაკეცილი [დანვრ. იხ. ჭანიშვილი 2010: 125-143]. ასეთი კისრის რკალები აღმოჩნდა: *სამთავრო* № 25,207 სამარხში [აბრამიშვილი 1957: ტაბ.1,2], *მუხურჩა* [გოგაძე 1984: სურ.1, 27,101], *თლია* [Техов 1985: სურ.103, 107, 3, 114, 4; ფანცხავა 1988: 81], *მერხეული* [ბარამიძე 1977: 53, ტაბ. V, 30], *ერგეტა* №3 სამაროვნის №1 სამარხი [მიქელაძე 1984: 24, ტაბ. XXVIII], *ნითელი შუქურას* №10,24 სამარხში [Трапш 1969: 90, ტაბ.XXIII,9], *ქასრაანთ მინების* (კავთისხევი) №24 სამარხი [ბერაძე 1980: 22, ტაბ. XXI, 5], *მერხეულის* სამარხი [ბარამიძე 1977: 52], *გუადიხუს* №23, *ნითელი შუქურას* №21,24,29 კომპლექსებში [Трапш 1969: 38, ტაბ. III, 2,3; XIII, 2], *ემერი* [Шамба 1980: 44], *ტყვარჩელი* [დოლიძე 1999: 57, სურ.8,9], სამაროვნებზე. თავებაკეცილი გრეხილღეროიანი კისრის რკალი მხოლოდ ორ ძეგლზე ჩანს: ოქროს ცალი *ახალგორის განძში* და ბრინჯაოსი — *ეცოს* სამაროვანზე [შატბერაშვილი 2005: 147, ტაბ.IV,4]. ძვ.წ. VI-IV სს-ში ჩნდება ვერცხლისა და ოქროს სადაღეროიანი კისრის რკალები; გრეხილღეროიანი — ძირითადად ბრინჯაოსია; სადაღეროიანი კისრის რკალების თავებისა და ღეროს ფორმები და შემკულობა, წინა ხანასთან შედარებით მრავალგვარია; ოქროსა და ვერცხლის კისრის რკალები გვხვდება მდიდრულ სამარხებსა და განძებში; ძვ.წ. VI-IV სს. კისრის რკალები ხშირად იმეორებენ ამავე ხანაში გავრცელებულ სამაჯურებისა და დიადემების ფორმას, რაც მათ მხატვრულ-სტილისტურ ერთიანობაზე მეტყველებს.

ძვ.წ. III-I სს. კისრის რკალის მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფითაა წარმოდგენილი; კისრის რკალის რაოდენობა შესამჩნევად კლებულობს და მხოლოდ ერთეული რაოდენობით გვხვდება ამ ხანის ძეგლებზე. ისინი იმეორებენ წინა პერიოდის ფორმებსა და შემკულობას. ამ პერიოდის კისრის რკალი გვხვდება შემდეგ ძეგლებზე: *ვანის* №4 სამარხში, ოქროსი, თავებთან ფაფარიანი ცხოველის გამოსახულებით; *ვანის* №1 სამარხში აღმოჩენილ “*რკინის კაცის*” ოქროს, შემსხვილებული თავებგადადებული კისრის რკალი [იხ. ჭყონია 1981: 74, სურ.56], *დაბლაგომის* №3 სამარხის ბრინჯაოს, ბურცობებითა და ირგვლივი ღარებით შემკული ნიმუში; *დაბლაგომის* №4 სამარხის ბრინჯაოს თავებაკეცილი (კაუჭები) რკალი [თოლორდავა 1980: 16]; *დაფნარის* №21 სამარხის ვერცხლის, გრეხილი, თავებაკეცილი კისრის რკალი [Кигурадзе 1976:28, ტაბ. XXXI, 2].

I-V სს-ის კისრის რკალის სამარხებში ჩაყოლების ტრადიცია ამ პერიოდის ძეგლების მიხედვით იმდენად იშვიათია, რომ მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფა — პირობითია. ბრინჯაოსა და რკინის კისრის რკალის აღმოჩენის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა. ესენია: ორი ვერცხლისა, ერთი ბრინჯაოსი და ერთი რკინის კისრის რკალი *ჟინვალის I-II სს-ის* სამარხებიდან. ბრინჯაოს და ვერცხლის ცალები მსგავსია *ახალგორის განძის* ოქროს

კისრის რკალის. თანადროულ სამაროვნებზე ამ ტიპის კისრის რკალები არ გვხვდება [ჩიხლაძე 2003: 98]; ერთი ვერცხლის, ბრტყელი, ფირფიტოვანი(?), თავებგადადებული კისრის რკალი ცნობილია კლდეეთის III-ის №4 სამარხიდან [იხ. ლომთათიძე 1957: 147-148]; კიდევ ერთი ბრინჯაოს გრეხილღეროიანი, კაუჭიანი კისრის რკალი ჩანს IV ს-ის პირველ ნახევარში სამთავროს № 591 სამარხში [მანჯგალაძე 1985: 95, სურ. 539]. შუა საუკუნეებში კისრის რკალი სამარხებში არ ჩანს.

კისრის რკალს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვა ჰქონდა. ის ცნობილია როგორც სამკაული, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში — როგორც საკრალურ-სარიტუალო ნივთი (მაგ.: შილდა, მელაანი, ერგეტა და სხვ.). მაგ.: შილდის სამლოცველოში შენირულ ნივთთა შორის, რომლებიც ღვთაებას უკავშირდება, კისრის რკალიც გვხვდება. ასევე, ამ არტიფაქტის სარიტუალო ფუნქციაზე მეტყველებს ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების ძეგლის – მელაანის სამლოცველოს მამაკაცის კისრის რკალით შემკული ქანდაკება და შილდის სამლოცველოს ბრინჯაოს ანთროპომორფული კისრისრკალიანი ფიგურა [ფიცხელაური 1965: ტაბ. XVI; მაისურაძე და სხვ. 1993: 18, ტაბ. XII, 23, 24]. ანტიკურ ხანაში კისრის რკალი წარმოადგენს (მაგ. ვანის კისრის რკალით შემკული ბრინჯაოსა და რკინის ქანდაკებები) [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 212, სურ.187] ქურუმთა შემკულობის აუცილებელ ატრიბუტ [იხ. მათიაშვილი 2005: 36] ან წარჩინებული სოციალური ფენის კუთვნილ ნივთს. საინტერესოა, რომ კისრის რკალს შემდეგი სახელწოდებებით იხსენიებენ სამეცნიერო ლიტერატურაში: საკისრე რგოლი, კირკალი, საყელური რგოლი, ხატისუღელი, გვერგი [იხ. მაკალათია 1930: 145-147; ბარდაველიძე 1971: 24, 66-72]. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



სამაჯურები

ნ. გოგიბერიძე

სამაჯურები საქართველოს არქეოლოგიური კომპლექსების ერთ-ერთი დამახასიათებელი არტიფაქტია. მათი უმრავლესობა აღმოჩენილია სამარხებში in situ მიცვალებულის ზედა და ქვედა კიდურებზე და სამკაულის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. თუმცა ამავე ფორმის ნივთების გარკვეული ჯგუფი სხვა ფუნქციის მატარებლად მიჩნეული. ისევე, როგორც სხვა არქეოლოგიური მონაპოვარი, სამაჯურები წარმოადგენს ერთ-ერთ ნივთიერ წყაროს შესაბამისი საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების შესწავლისათვის და შეიცავს მდიდარ ინფორმაციას ამ საზოგადოებაში მიმდინარე ნებისმიერი მნიშვნელოვანი პროცესის შესახებ. სამაჯურები ფართოდ გავრცელებული სამკაულია. მას ატარებდნენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები და ბავშვები. ის მზადდებოდა სხვადასხვა მასალისაგან — ლითონის, ძვლის, ხისა და მინისაგან. გვხვდება ასევე სხვადასხვა მძივების ასხმები, რომლებიც მიცვალებულის მაჯებზე იყო შემოხვეული. ლითონის სამაჯურები გვხვდება ე.წ. მავთულოვანი, ფირფიტოვანი, ნაჭედი, ჩამოსხმული ან თევვის გზით დამზადებული; მრგვალი, ოვალური ან ოთხკუთხა განივკვეთით [იხ. Петренко 1978: 49], შეკრული ან გახსნილი, მრგვალ ან ოვალურზურგიანი და ზურგშედრეკილი. შემკულობის თვალსაზრისით ეს ნივთები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

უძველესი ამგვარი ნივთი საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია ქვაცხელების (ქარელის მუნიციპ.) სამაროვნის №2 სამარხში, რომლის თარიღი დღეს ძვ.წ. მეოთხე ათასწლეულის ბოლო მეოთხედითაა დათარიღებული. ესაა ბრინჯაოს სპირალი,

რომელიც მიცვალებულს მკლავზე ჰქონდა წამოცმული [ლონტი 2008: 155-156]. ძვ.წ. VIII-VII სს-ის კომპლექსებისათვის დამახასიათებელია ბრინჯაოს მასიური, სხვადასხვა დიამეტრის ღეროსაგან დამზადებული სადა ან გრავირებული გეომეტრიული ორნამენტით დეკორირებული რგოლები ან ხეიბი, რომლებიც დადასტურებულია როგორც სამარხულ ინვენტარში, ისე განძებში. სამარხებში ისინი უმთავრესად მიცვალებულის ფეხებზე ან ფეხებთან არის აღმოჩენილი და ფეხის სამკაულადაა მიჩნეული [იხ. Куфтин 1948: 167]. ბრინჯაოს მასიური სადა ან გეომეტრიული ორნამენტით შემკული რგოლები, ე.წ. სიკილები, რომლებიც მონეტების გაჩენამდე ვაჭრობისას გაცვლის საშუალებად გამოიყენებოდა [ნიორაძე 1948: 18-19]. საქართველოს ტერიტორიიდან ცნობილია ე.წ. განძების დაფლვის ფაქტები. მათ მოვაჭრეთა ან მეღვინეთა განძებს უწოდებან. ორივე შემთხვევაში ისინი გაცვლისათვის იყო გამიზნული [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1978: 107]. ამ განძების შემადგენლობაში შედიოდა ე.წ. პარკეტული ორნამენტით შემკული სამაჯურის ნაირი რგოლები (მაგ.: *ცხინვალის განძი* (ძვ.წ. VII-VI სს), *ჩაბარუხის განძი* (ძვ.წ. VII-VI სს), *ოყურემის განძი* [იხ. ქორიძე 1965]). განძების გარდა ამგვარი არტეფაქტები აღმოჩენილია სამარხულ კომპლექსებშიც: *სამთავროს* სამაროვანის №42 (1939) სამარხი [კალანდაძე 1982: 77], *ნაცარგორის* სამაროვანის (ხაშურის მუნიციპ.) №11 სამარხი [რამიშვილი 1995: 70], *ნარეკვავის* სამაროვანი [ოქროპირიძე 1963: 216], *წეროვანი II* სამაროვანის №5 (1979) სამარხი [სადრაძე 1989: 83, სურ.545, 546], *ნიჩბისისხევის* სამარხები [აფაქიძე და სხვ. 1987: 122, ტაბ. XXXII], *ბორნიღელის* სამაროვანის №92 სამარხი და სხვ. თითქმის ყველა შემთხვევაში, ზემოხსენებულ განძებში და სამაროვნებზე ორნამენტირებულ რგოლებთან ერთად დადასტურებულია ბრინჯაოს სადა მასიური რგოლები.

ძვ.წ. VI ს-ის ბოლოსათვის გავრცელებას იწყებს ოვალური ან წრიული ფორმის მრგვალგანიკვეთიანი მასიური ღეროს მქონე სამაჯურები, რომელთა ბოლოებზე მოთავსებულია თანაბარი ღეროსაგან მკვეთრად გამოყოფილი ცხოველის თავების რეალისტური ან სტილიზებული გამოსახულებები. ძვ.წ. VI-დან სამაჯურების ასორტიმენტი მკვეთრად იზრდება და ფართოდ ვრცელდება მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. ძვ.წ. V-IV სს-ში დასტურდება სამაჯურების ახალი ფორმა — ე.წ. ზურგმედრეკილი სამაჯურები. ცხოველების გამოსახულებებით შემკულ სამაჯურებს შორის გვხვდება როგორც რეალისტური, ისე სტილიზებული გამოსახულებები. ამგვარ სამაჯურებზე სულ რამდენიმე ცხოველს გამოსახავდნენ — ცხვარს, ქურციკს, ჯიხვს, ხბოს; ფანტასტიურ დრაკონისმაგვარ ცხოველს; ფაფრიან ცხოველს; გველს. ძვ.წ. VI-დან ხდება გარკვეული ძვრები ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებში და საქმე ალბათ გვაქვს აქემენიდურ გავლენებთან [იხ. Гогинеридзе 2003: 77-78].

საქართველოს ტერიტორიაზე რეალისტურად შესრულებული გამოსახულებებით შემკული, უცხოური სამაჯურები დადასტურებულია: *ვანის* №6, 11 სამარხში [ლორთქიფანიძე 1972: 7-80; ჭყონია 1981: 47-48], *ფიჭვნარის* ბერძნული სამაროვანის №57 სამარხი [კახიძე 2007: სურ. 82,5], სოფ. ჩომეთში კოლხური მონეტების განძთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის ოვალურზურგაიანი ვერძისთავებიანი სამაჯური [Гогинеридзе 2003: სურ.2], *საირხის* სამაროვანის №8 სამარხი [ნადირაძე 1990: 49-50]. ყველა მოყვანილ ეგზემპლარზე საგანგებოდაა აღნიშნული ცხოველის შემსხვილებული დრუნჩი, რქებს შორის არე მახვილკუთხა სამკუთხედის სახით და დაღარული რქები. ღარები სამკუთხედის წვეროსაკენ არის მიმართული. ცხოველის თავები რქებთან გაფართოვებულია და თანაბარი ღეროსაგან მკვეთრადაა გამოყოფილი [იხ. Гогинеридзе 2003: სურ.3-17]. რეალისტური გამოსახულებებით შემკული სამაჯურები შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთული გზით, ეს იდეა ვრცელდება და იწყება გამოსახულებების სტილიზაციის პროცესი, ჩნდება ადგილობრივი საწარმოო ცენტრები, საიდანაც ეს პროდუქცია გადის სხვა რეგიონებში და შესაძლოა, რეალისტურ გამოსახულებებთან თანაარსებობს. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ეგზემპლარების შემცველი კომპლექსები ძვ.წ. V ს-ეს განეკუთვნება. ვერძისთავებიანი სამაჯურის უგვიანეს ნიმუშად *საირხის* ზურგმედრეკილი სამაჯური გვევლინება.

ძვ.წ. IVს შუა ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება *დრაკონისთავეებიანი* სამაჯურები. ამგვარები დადასტურებულია *ყაზბეგის*, *დაბლაგომის ვანის*, *დაფნარის* სამაროვნების მასალებში. გვიანელინისტურ ხანაში ცხოველის თავების გამოსახულებები სულ უფრო მეტ სტილიზაციას განიცდის. საყურადღებო საკლასიფიკაციო ნიშანია, ღეროსაგან საგანგებოდ გამოყოფილი, დაღარული ბურცობებით შევსებული შემსხვილებები (ე.წ. პერლენსცჰნურ). ეს ორნამენტი სხვადასხვა სახის სამკაულზე გვხვდება — დიადემებზე, ფიბულებზე, სამაჯურებზე, საკინძებსა და ილარებზე. ეს ორნამენტი საკმაოდ კანონიკურია და შედგება რამდენიმე დამახასიათებელი ელემენტისაგან (ნახნაგოვანი ღერო, დაღარული ბურცობები, ტეხილი ხაზების ერთი ან რამდენიმე რიგი, განლაგებული ნახნაგოვანი ღეროს ნიბოების შესაბამისად). ამგვარი ორნამენტით შემკული უძველესი ნივთი — ბრინჯაოს საკინძები — მომდინარეობს *ლურისტანული* მასალებიდან [Bberghe Vanden Berghe 1982-83: 158, სურ.261] საქართველოს ტერიტორიაზე ამ ორნამენტის გამოყენების უძველესი ნიმუშები დადასტურებულია *ვანის* ძვ.წ. VI-ის №11 სამარხის ოქროს დიადემაზე [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 225, სურ.176]. მომდევნო ხანებში ეს ორნამენტი გვხვდება *ვანის* №6 სამარხის [ჭყონია 1981:46, სურ.49,50,51], *ფიჭვნარის* [კახიძე და სხვ. 2004. სურ.245], *საირხის* [ნადირაძე 1990:63, ტაბ.33,11] და *ყაზბეგის* სამაროვნის არტეფაქტებზე [იხ. Гогинберидзе 2003: სურ.183-184].

საინტერესოა ასევე რკინის ბურცობებიანი სამაჯურების გავრცელების არეალი და ქრონოლოგია. ისინი დადასტურებულია ქვემო ქართლის (*გომარეთი*, *კიკეთი*, *კუშჩი*, *ეცო*, *პაპიგორა*, *შავსაყდარა*, *ბოგვისხევი*) [იხ. დავლიანიძე 1983; გაგოშიძე 1982; შატბერაშვილი 1999; თუშიშვილი 1970], შიდა ქართლის (*კავთისხევი*, *კამარახევი*, *ტახტიძირი*, *ვარსიმაანთკარი*) [იხ. ნაკაიძე 1980; ჯღარკავა 1982; გაგოშიძე 1977; წითლანაძე 1983.] და ზემო იმერეთის (*იოხვისი*, *მოდინახე*) [გაგოშიძე და სხვ. 2006; ნადირაძე 1975] ძეგლებზე. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მათი უმრავლესობა ოვალურზურგიაანია. გვხვდება ზურგმედრეკილი ცალებიც, როლებსაც სიგანეში განზიდული ფორმა ახასიათებს, რაც ზურგმედრეკილი სამაჯურების ადრეული ნიმუშებისათვისაა დამახასიათებელი.

ზემოაღწერილი სამაჯურების პარალელურად არსებობას განაგრძობს ბრტყელღეროიანი სამაჯურები. ასეთებია ცხოველის თავების რელიეფური სტილიზებული გამოსახულებებით შემკული ოვალური ბრასლეტი *ვანის* №11 სამარხიდან, ცხოველის სქემატური გამოსახულებებით შემკული ბრინჯაოს სამაჯურები *წინანდლიდან*, *დაბლაგომიდან*, *ბრილიდან*. ძვ.წ. IV ს-თვის დამახასიათებელია ამ კატეგორიის ნივთების განსაკუთრებული მრავალფეროვნება. როგორც ჩანს სწორედ ამ პერიოდში ხდება მათი წარმოების ფართოდ ათვისება და ფორმათა მრავალგვარობა ძიებისა და ჩამოყალიბების პროცესის ამსახველია. ძვ.წ. III ს-ში მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლის ფონზე მათი ასორტიმენტი საგრძნობლად კლებულობს, რაც ამ პროდუქციის ხელოსნობის დონეზე სტანდარტიზაციაზე უნდა მიუთითებდეს.

გვიანელინისტურ ხანაში ფართოდ არის გავრცელებული ზურგმედრეკილი სამაჯურები ბოლოებზე ფაფრიანი ცხოველის ძლიერ სტილიზებული გამოსახულებით, რომელთა საკლასიფიკაციო ნიშანია ცხოველის თავისა და კისრის არეში სიგრძივ დატანილი ღარი. ამგვარი მრავლად გვხვდება *სამთავროს*, *დაბლაგომის*, *დაფნარის*, *ზემოფარცხმის* და სხვა სამაროვნების სამარხებში. *სამთავროს* ქვევრსამარხებისათვის დამახასიათებელია ასევე ზურგმედრეკილი, კონუსისებურად ბოლოშემსხვილებული სამაჯურები. ძვ.წ. III-I სს-ში ასევე ფართოდაა გავრცელებული ზურგმედრეკილი სამაჯურები თანაბარ ღეროზე განლაგებული სხვადასხვა რაოდენობის ოვალური ბურცობებით. ამგვარები დადასტურებულია *ფიჭვნარის*, *დაბლაგომის*, *დაფნარის*, *ზემოფარცხმის*, *გუადიხუს*, *ყაზბეგის*, *თოხლიაურის* და სხვა სამაროვნებზე [Гогинберидзе 2003: 40-41].

ძვ.წ. II-დან მთელი რომაული ხანის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს ბოლოგადახვეული სამაჯურები, რომლებიც დადასტურებულია როგორც მდიდრულ, ისე რიგით სამარხებში საქართველოს სხვადასხვა ძეგლებზე — *არმაზისხევი* [აფაქიძე და სხვ. 1955: სურ.139,6] *არკნეთი* [ჯაფარიძე 1956: სურ.4], *ჭერემი*

[მამაიაშვილი, ჯავახიშვილი 1984: ტაბ. XXXIV, XXXVI] და სხვ. რომაულ ხანაში ფართოდ ვრცელდება ე.წ. სახსროვანი, ხშირად თვლებით შემკული სამაჯურები.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური ხანის სამაჯურებისათვის ძირითადად დამახასიათებელია დეკორის სამკაულის ბოლოებზე ან მთელს ღეროზე სიმეტრიულად განლაგება. ასეთია, მაგალითად, ბრინჯაოს სამაჯური *მანგლისის* №1 აკლდამიდან, რომელზედაც ბოლოებზე განლაგებული ცხოველის სქემატური გამოსახულება რკალის შუა ნაწილში ერთმანეთის პირისპირაა განთავსებული. შემკობის ამავე ხერხს ვხვდებით ე.წ. დრაკონისთავებიან სამაჯურებზეც [Гогинеридзе 2003: 24,25, სურ. 36, 37,38-39]. ამ მხრივ სრულიად განსხვავებულია *ფიჭვნარის* ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი სამაჯური, რომლის ბოლოები დაღარული ბურცობებითაა შემკული, რკალის შუა ნაწილში კი ჩასმულია ოვალური ფარაკი, რომელზედაც მოთავსებულია გემა — ბოლოგამოღობილი ფრინველი, ნახევარმთვარე და ვარდულია გამოსახული [კახიძე და სხვ. 2010: 66, სურ.159,1]. ფარაკი დარჩილულია ნახნაგოვან, თანაბარი ზომის მავთულზე, რომლის ბოლოებზე განლაგებულია ირგვლივი ღარებით შემოსაზღვრული დაღარული ბურცობი. მსგავსი ბოლოები ახასიათებს, *ახალგორის განძის* ოქროს ოვალურზურგაიან სამაჯურებს [Смирнов 1934: ტაბ. I]. მთავარი დეკორატიული ელემენტის სამკაულის ცენტრალურ ნაწილში გადმოტანა შემდგომში საკმაოდ გავრცელებულია. ასე მაგალითად, *ჟინვალისა* და *რიყიანების* ველის ვერცხლის მავთულოვანი ბოლოგადახვეული სამაჯურების ცენტრალურ ორნამენტს ჰერაკლეს კვანძი წარმოადგენს [მირიანაშვილი 1983: 41, სურ.23].

ამავე კონსტრუქციის სამაჯურები დამახასიათებელია რომაული ხანისათვის სამაჯურების დიდი მრავალფეროვნებისა და იმპორტული ნაკეთობების სიმრავლის ფონზე. სახსრებით მიმაგრებული თვალბუდე ალმანდინის თვლებით წარმოადგენს ცენტრალურ დეკორს დედოფლის გორის ოქროს სამაჯურებზე, ნაწილების სახსროვანი შეერთება ახასიათებს ასევე ოქროს სამაჯურებს *არმაზისხევის* სამარხიდან, სადაც ცენტრალურ ელემენტს ასევე ალმანდინის თვალი წარმოადგენს. დეკორირების ამავე პრინციპს ვხვდებით სამაჯურებზე — ცენტრალური დეკორის მაგალითს წარმოადგენს ნეფრიტზე ათენა პალადას გამოსახულებიანი სამაჯური სამთავროდან [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955: სურ.139, 3,4,5]. რაც შეეხება სამაჯურების კონსტრუქციას, ელემენტების სახსროვანი შეერთება საერთოდ დამახასიათებელია რომაული ხანის საიუველირო ნაწარმისათვის. მათ რიცხვს მიეკუთვნება ოქროს სამაჯურები *მცხეთიდან* და *ბიჭვინთიდან*. რომაულ ხანაში სამაჯურების ასორტიმენტი ძალზე ფართოა. ცენტრალურორნამენტიანი სამაჯურების გვერდით არსებობას განაგრძობს გახსნილი, ოვალური, უორნამენტო სამაჯურები თანაბარი ნახნაგოვანი ღეროთი [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1980: 50].

ბრტყელი სამაჯურებიდან აღსანიშნავია ასევე ვერძის თავის რელიეფური გამოსახულებებით შემკული სამაჯურები არაგვის ხეობიდან [რამიშვილი ქ.რ. 2008: 78]. ადრე შუასაუკუნეებში განაგრძობს არსებობას ზურგმედრეკილი სამაჯურების ზოგიერთი ტიპი, ძირითადად ბოლოშემსხვილებული. კვლავ პოპულარულია სტილიზებული ცხოველის თავებით შემკული სამაჯურები [იხ. ჩიხლაძე 2008: სურ.11].

ამგვარად, არქეოლოგიური მასალის განხილვის შედეგად სჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სამაჯურები ძირითადად ადგლობრივად მზადდება, თუმცა ხშირად მათ საფუძვლად უდევს იმპორტული პროტოტიპები, რომელთა შემდგომი გადამუშავება და უკვე ადგილობრივ ნიადაგზე მიმდინარეობს. ხშირად ისინი უკვე აღარ იწარმოება თავისი პირვანდელი დამზადების ადგილას, მაგრამ განაგრძობს არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა მათზე დატანილი გამოსახულებების მნიშვნელობა უკვე დაკარგულია და ისინი წმინდა დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



ავეჯი — სარეცელი, სკამი, მაგიდა, კარადა

ნ. გოგიბერიძე, მ. ჩარკვიანი, გ. გამყრელიძე

ძველ სამყაროში ავეჯს როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე სარიტუალო (ტაძარში, სამარხში) დანიშნულება ჰქონდა. ესენია: სარეცელი, მრავალნაირი სკამ-სავარძელი, მაგიდა, კარადა და სხვ. ავეჯი, სხვადასხვა ჯიშის ხისაგან (კაკალი, ბზა, ზეთისხილის ხე, პალმა, შავი ხე), ლითონისა და მარმარილოსაგან მზადდებოდა. ხის ავეჯი ხშირად შემკული იყო სხვადასხვა ლითონის (ბრინჯაო, ვერცხლი, რკინა) დეტალებით. რამდენადაც ავეჯი ძირითადად ხისაგან მზადდებოდა და, როგორც წესი, დროთა განმავლობაში იშლებოდა (მაგ. მიწაში დების შედეგად), მის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მისი უფრო გამძლე მასალისაგან დამზადებული დეტალებისა, და სხვადასხვა არტეფაქტებზე (მაგ.: მოხატული კერამიკა, ბრინჯაოს სარტყლები, მცირე პლასტიკის ნიმუშები, საფლავის სტელები, მოზაიკა და სხვ.) შესრულებული გამოსახულებების მიხედვით.

საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალებს, ამჯერად ავეჯის სახეობებს ორი მიმართულებით — ა) შემორჩენილი ცალკეული დეტალები და ბ) სხვადასხვა არტეფაქტებზე გამოსახულებები — განვიხილავთ.

სარეცელი — ა) საქართველოს ტერიტორიაზე სარეცლის ფრაგმენტები გამოვლენილია შემდეგ ძეგლებზე: **1. სამადლოს** ნამოსახლარის (მცხეთის მუნიციპ.) გაძარცული სამარხიდან — სარეცლის ფრაგმენტი, რკინის სწორკუთხა, ოთხნახნაგა ღეროებისაგან შეკრული ჩარჩოთი, რკინისავე ფურცლით დაფარული, თანდათან შემალღებული სასთუმლით (სიგრძე — 130 სმ, სიგანე — 60 სმ, ფეხის სიმაღლე — 16 სმ) და სარეცლის ფეხის (?) ვერცხლის გარსაკრავის ფრაგმენტები (შემორჩენილი სიმაღლე — 7,3 სმ), თარიღდება ძვ.წ. III ს. [იხ. Гагошидзе 1981: 47, კატ. №39, კატ. №40, ტაბ. XI, 40].

2. დედოფლის გორის ნაგებობების (ქარელის მუნიციპ.), №1 სათავსოდან სარეცლის მასიური, მრგვალგანივკვეთიანი, ოთხნახნაგა საყრდენებიანი რკინის ჩარჩოს დეტალები და ფეხების ბრინჯაოს ფირფიტოვანი გარსაკრავები (4ც., სიმაღლე — 27 სმ) რკინის ღეროზე [Löhr 2008: 157-158, ტაბ.62] და №12 სათავსოდან სარეცლის (კლინე) შემალღებული სასთუმლის — ფულკრუმის — ბრინჯაოს ფირფიტოვანი გარსაკრავი (სიგრძე 25სმ), რომელიც ცხენის პროტომას წარმოადგენს, ფრთოსანი ყმანვილის გამოსახულებით მედალიონში (დმ — 5 სმ), თარიღდება ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევართ.

3. ვანის ნაქალაქარის განძის შემადგენლობიდან სარეცლის (კლინე) ფეხების ბრინჯაოს გარსაკრავები (10ც., არასრული კომპლექტი, სიმაღლე — 79,5, 80, 48, 74, 83, 80, 57, 84,2, 84,5 სმ), თარიღდება ძვ.წ. II-1 სს. [ახვლედიანი 2008: 129; ახვლედიანი და სხვ. 2010:37, ტაბ. IV,5-6, VI; Akhvlediani და სხვ. 2016: 185] და ცენტრალური ტერასის საკულტო კომპლექსიდან სარეცლის ფეხის ბრინჯაოს გარსაკრავების ფრაგმენტები (3ც.), თარიღდება ძვ.წ. II ს. [ფუთურიძე 1986: 47, 51, ტაბ. 29₁₋₂].

4. სოფ. ბორის (ხარაგაულის მუნიციპ.), სავარაუდოდ მდიდრული სამარხებიდან, სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავები და გარსაკრავების ფრაგმენტები (6ც.), თარიღდება ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევართ [Придик 1914: 101; Мачабели 1976: 91-92, სურ. 36].

5. არმაზისხევის სამაროვნის (მცხეთის მუნიციპ.) №1 სამარხიდან, სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავები (1ც. რესტავ., 3 ც. ფრაგმენტები, სიმაღლე — 23 სმ, შუა დმ — 9,6 სმ, ქვედა დმ — 6,7 სმ), თარიღდება ახ.წ. II ს-ის ბოლოთი [აფაქიძე ან. და სხვ. 1955: 36-37, ტაბ. XXVII,3; მაჩაბელი 1983: 97], № 6 სამარხიდან ორი სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავები (4ც., სიმაღლე 29 სმ, ზედა დმ — 7, შუას დმ — 11 სმ, ძირის დმ — 8 სმ; 4 ც., სიმაღლე 20,5 სმ, ძირის დმ — 6,1 სმ), თარიღდება ახ.წ. II ს-ის ბოლოთი [აფაქიძე ან. და სხვ. 1955: 78-79, ტაბ. XXVII,1,4; მაჩაბელი 1983: 97], № 3 სამარხიდან, სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავები (4 ც., სიმაღლე — 29 სმ, ძირის დმ — 8 სმ, უდიდესი დმ — 11, 5სმ), თარიღდება ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევართ [აფაქიძე ან. და სხვ. 1955: 58-59, ტაბ. XXVII,2].

6. სოფ. ზღუდერიდან (ქარელის მუნიციპ.) №3 სამარხის მახლობლად, სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავის ფრაგმენტები (4ც.), თარიღდება ახ.წ. III ს-ის პირველი ნახევარით [ბრაუნდი და სხვ. 2009: 8, 87].

7. სოფ. ხოვლეს (კასპის მუნიციპ.) №1 აკლდამიდან, სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავები (3ც. სრულად, სიმაღლე – 33 სმ, 1ც. ფრაგმენტი), თარიღდება ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევარით [შატბერაშვილი 2007: 92, ტაბ. I, 16-19].

8. ახალი ჟინვალის სამაროვნის №5 სამარხიდან, სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავები (2ც. სრულად, სიმაღლე – 25,5 სმ, 2 ც. – ფრაგმენტები), თარიღდება ახ.წ. III-IV სს-ის დასაწყისით [რამიშვილი 1983: 88-90, 121, ტაბ. III, 1, ტაბ. XXXVI, 1-4].

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე სარეცლის გამოსახულებები დაფიქსირებულია არტეფაქტებზე შემდეგი ძეგლებიდან: 1. ვანის ნაქალაქარის №24 სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის სარტყელზე სარეცლის (კლინე) გამოსახულება, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ით [კაჭარავა და სხვ. 2007: 61, სურ.38]. 2. ძალისის ნაქალაქარის (მცხეთის მუნიციპ.) ტრიკლინიუმის იატაკის მოზაიკაზე, სარეცლის (კლინე) გამოსახულება, თარიღდება ახ.წ. II-III სს-ით [იხ. Odisheli 1995: 12, ტაბ. I, 2; მიზანდარი 1987: 114].

სკამ-სავარძელი — ა) საქართველოს ტერიტორიაზე სავარძლის ფრაგმენტები გამოვლენილია შემდეგ ძეგლებზე: 1. არმაზციხის (მცხეთის მუნიციპ.) სარკოფაგიდან სავარძლის (ტახტრენის) ფეხების მოოქრული ვერცხლის გარსაკრავები (4ც., სიმაღლე — 34), სპილოს, გრიფონისა და ლომის სინკრეტული გამოსახულებებით, თარიღდება ახ.წ. II-III სს. [მაჩაბელი 1983: 108]. ტაძრისა და მარნის დასავლეთით გამოვლენილ შენობაში სავარძლის ფეხის ბრინჯაოს გარსაკრავი (სიმაღლე — 12,7 სმ.), თარიღდება ახ.წ. II-III სს. [ნიკოლაიშვილი 2011: 56-57]. ბ) საქართველოს ტერიტორიაზე სავარძლის გამოსახულებები დაფიქსირებულია არტეფაქტებზე შემდეგი ძეგლებიდან: 1. “ჩაბარუხის განძში” (დუშეთის მუნიციპ.) შემავალ ბრინჯაოს სარტყელზე სკამი-ტაბურეტის გამოსახულება, თარიღდება ძვ.წ. VIII-VII სს. [კალანდაძე 1965: 20-21; ხიდაშელი 1982: 33, ტაბ. XII, XXXIX, 2]. 2. სოფ. ინაშაურის (ვანის მუნიციპ.) დაზიანებული სამარხიდან ბრინჯაოს ფიგურის “ღვინის მსმელი” დეტალი, სკამი სავარძელი საზურგეთი თარიღდება ძვ.წ. VII-VI სს-ით [ხარაბაძე 2006: 145, ტაბ. I, 2-3, 11-12, II, 1]. 3. ვანის ნაქალაქარის №9 სამარხიდან ოქროს ბეჭდი-საბეჭდავის ფარაკზე დეტალი სკამი სავარძელი, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით [ლორთქიფანიძე 1972: 207, სურ. 169-169ა]. 4. სოხუმის ყურის ფსკერიდან, მდ. ბესლეთის შესართავთან ნაპოვნი მარმარილოს სტელა, რომელზეც გამოსახულია სკამი, სავარძელი (კლისმოსი) [იხ. გამყრელიძე 2001: 122-123, სურ.1].

მაგიდა — ა) საქართველოს ტერიტორიაზე მაგიდის ფრაგმენტები გამოვლენილია დედოფლის გორის ნაგებობების (ქარელის მუნიციპ.) №1 სათავსოდან, რკინის, სამფეხა — სამი, წრიულ ჩარჩოში ჩასმული ძელი ერთ მასიურ საყრდენ ღერძს უერთდებოდა, რომელზეც მრგვალი (დმ. ≈ 40 სმ), ფურცლოვანი ზედაპირია დამაგრებული, თარიღდება ძვ.წ. II ს. პირველი ნახევარით [Löhr 2008: 157-158, კატ. №21]. ბ) საქართველოს ტერიტორიაზე მაგიდის გამოსახულება დაფიქსირებულია ძალისის ნაქალაქარის (მცხეთის მუნიციპ.) ტრიკლინიუმის იატაკის მოზაიკაზე, მრგვალი ზედაპირით, სამი რელიეფური ფეხით, რომლებიც ლომის თათებით ბოლოვდება, თარიღდება ახ.წ. II-III სს-ით [Odisheli 1995: 13, ტაბ. I, 2; მიზანდარი 1987: 114].

კარადა — ა) საქართველოს ტერიტორიაზე კარადის ფრაგმენტები გამოვლენილია დედოფლის გორის სასახლის (ქარელის მუნიციპ.), №1, 12 და 13 სათავსოში, კარადის კარის სამაგრები — ძვლისაგან დამზადებული ნახვრეტებიანი ცილინდრები (10ც.), თარიღდება ძვ.წ. I - ახ.წ. I სს-ით [Gagoshidze 2008: 103, კატ. №123-127, ტაბ. 46].

როგორც ვხედავთ, ავეჯის დეტალებიდან ყველაზე მეტი სარეცლის ფეხია შემორჩენილი. მასალის, ფორმისა და დამზადების ტექნოლოგიის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ორი ჯგუფი: I. ძვ.წ. II-I სს-ით დათარიღებული სარეცლის ფეხის გარსაკრავი ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული, რკინის ღეროზეა წამოცმული და ოთხი დეტალისაგან შედგება — 1. ფეხის თავი, ე.წ. სოკოსებური ფორმის შეუულგვერდიანი დისკო დაბალ

ცილინდრულ მილში გარდამავალი. 2. დაბალი, ქვემოთკენ გაფართოებული მილი შვეულგვერდიან დისკოში გარდამავალი, რომელიც დაბალი, ნაკვეთილი კონუსით დაკავშირებულია კიდებდახრილ დისკოსა და ნახევარდისკოთან. 3. ნაკვეთილი სფერო, შიგნითკენ შეზნეჩილი ყელის მეშვეობით გადადის გვერდნანვეტებულ დისკოში და დაბალი ყელით ანალოგიურ დისკოსში გადადის. 4. მილი გადადის გვერდებშევიწროვებულ დისკოში, რომელიც დაბალი ყელით უერთდება ზარისებურ დაბოლოებას და პირგაშლილი მილით გადადის დისკოში, რომელიც ქვემოთკენ შევიწროებული კონუსისებური მილით ბოლოვდება. დეტალები ერთმანეთისაგან პროპოციებითა და შემკულობით განსხვავდება.

II. ახ.ნ. II-IV სს-ით დათარიღებული სარეცლის ფეხის გარსაკრავები, მიღებულია ხის დეკორირებულ ნამზადზე ვერცხლის ფირფიტის შემოჭედვით, რომლებიც ასევე ოთხი დეტალისაგან შედგება: 1. მრგვალი, ცილინდრული თავი წელშიგამოყვანილი ცილინდრული ყელით; 2. სფეროსებრი ბურთობი ასევე დაბალი, ცილინდრული ყელით; 3. ნაკვეთილი ცილინდრის ფორმის კოლოფი გადადის მაღალ ცილინდრულ ყელში და 4. ნახევარსფერული ფორმის ქუსლით ბოლოვდება. რაც შეეხება მათ დეკორს, ოთხივე დეტალში შეინიშნება განსხვავება (სპირალური და შვეული ღარები, სტილიზებული "ნიკარტიანი ვერძისთავისა" და "ცხოველისა და ფრინველის კლანჭების" გამოსახულებები, ე.წ. მცენარეული ორნამენტები. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



გლიპტიკა

ქ. ჯავახიშვილი

გლიპტიკა — ძვირფას და ნახევარძვირფას ქვებზე (აგრეთვე ლითონზე, ძვალზე, მინაზე და სხვ.) გამოსახულების ამოჭრის ხელოვნებაა. გლიპტიკური ძეგლები — გემები ორგვარია. სიღრმეში ამოჭრილ გემას ინტალიო ეწოდება, ამოზურცულგამოსახულებიანს — კამეო. ინტალიოს სამგვარი დანიშნულება აქვს, გამოიყენება როგორც სამკაული, ავეაროზი და საბეჭდავი. კამეოს მხოლოდ სამკაულისა და ავეაროზის ფუნქცია აქვს. გლიპტიკური ხელოვნება ჩაისახა უძველეს დროში — ძვ.წ. IV ათასწლეულში, მესოპოტამიასა და ეგვიპტეში ერთდროულად.

საქართველოს მდებარეობამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე მნიშვნელოვნად განაპირობა გლიპტიკური ძეგლების ხასიათი. შექმნილი პოლიტიკური ვითარების მიხედვით საქართველოში ხან აღმოსავლური ქვეყნების გლიპტიკური ძეგლები ვრცელდება, ხან დასავლეთისა. შესაბამისად, გავლენას განიცდის ადგილობრივი გლიპტიკური ნახელავიც, რომელიც თუმცა კი გარკვეული თავისთავადობით ხასიათდება, მაგრამ მაინც ხელოვნების ამ დარგის განვითარების საერთო ხაზს მიჰყვება.

საქართველოში გავრცელებული უძველესი ადგილობრივი გლიპტიკური ძეგლები ეს არის XIV-VII სს-ში გავრცელებული თიხის დიდი ზომის სწორკუთხა (ტაბ. I, 1) და წრიული (ტაბ. I, 2-4) უხეში საბეჭდავები, რომელთა ზედაპირზე გამოსახულია სვასტიკა (ტაბ. II, 2), მეანდრი, კონცენტრული ხაზები (ტაბ. II, 1), ჯვარი (ტაბ. II, 5) და სხვა. ამ საბეჭდავების აღმოჩენის ადგილებია *ხოვლეგორა, გუდაბერტყა, ყათნალიხევი, ჭოგნარი, ცხინვალი* [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1969: 12-31, 67-76, სურ. 10, 13, 16, 18-24, ტაბ. I, 1-3, 7-9, 12, 118], *სამადლო* [Гагошидзе 1981: 42, №801, 802, ტაბ. V, 801, 802]. მოგვიანებით, ძვ.წ. IX-VI სს-ში ჩნდება მთლიანი ქვისაგან (ქვიშაქვა, გველა) გამოთლილი არქაული ტიპის, დიდი საბეჭდავები, რომლებიც წინა აზიაში არსებული ყუნწიანი საბეჭდავების ფორმებს იმეორებს. საქართველოს ტერიტორიაზე ისინი აღმოჩნდა *ურბნისში, ხოვლეში, როქში, ფაშიანში,*

სამთავროში და ნალკაში, ნატანებსა და ბორში [ლორთქიფანიძე მ. 1969:31, 77-83, სურ. 26-28, ტაბ. III 27, 32]. ამ საბეჭდავებზე ძირითადად სხვადასხვა ცხოველები არის გამოსახული.

ძვ.წ. VI-IV სს-ში ანტიკურ სამყაროსა და მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო ძირითადად მთლიანი ქვისაგან გამოთლილი სხვადასხვა ფორმის საბეჭდავები (სკარაბეოიდები, ნაკლები რაოდენობით მრავალნახნაგები, გადმონაშთის სახით ცილინდრები) და ლითონისაგან დამზადებული (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა) თითზე სატარებელი ფარაკიანი ბეჭდები. საქართველოში, მცირე რაოდენობით აღმოჩენილი ქვის საბეჭდავები, მცირე ზომის სკარაბეოიდები ძალზე სქემატური და სავსებით უსახური გამოსახულებებით [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1969: 52, 119-121, სურ. 50,51,51'; ჯავახიშვილი 2011:121]. რაც შეეხება ლითონის ფარაკიან საბეჭდავ-ბეჭდებს, როგორც იმპორტული, ისე ადგილობრივი ნახელავი ძვ.წ. VI ს-დან ფართოდ გავრცელდა საქართველოში.

საქართველოს ადგილობრივი ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდები ორგვარია რკალშეკრული და რკალგახსნილი [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1981: 24]. იბერიის გლიპტიკურ ძეგლებს, რომელთა უმრავლესობას ადგილობრივი ნახელავი წარმოადგენს, უფრო აღმოსავლური — მესოპოტამიური და აქემენიდური ხელოვნების გავლენა ემჩნევა. კოლხეთში კი სჭარბობს ანტიკური — ბერძნული სამყაროს სხვადასხვა ცენტრებიდან მომდინარე იმპორტული გლიპტიკის ძეგლები და ადგილობრივი ნახელავიც ბერძნული სამყაროს ხელოვნების გავლენას განიცდის [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1975: 9]. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ყველაზე ადრეული იმპორტული გლიპტიკის ძეგლები ძვ.წ. VII ს. ბოლო და V ს. დასაწყისისაა — მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშებია — ოქროს ფარაკიანი ბეჭდები, ტიპიური არქაული ბერძნული ფორმისა, ოვალური წანვეტებული ფარაკით და ოდნავ განზიდული, ქვედა ნაწილში გამსხვილებული რკალით. ვანში აღმოჩენილ ამ ბეჭდებზე [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1975: 81-88, სურ. 18-22, ტაბ.V,20,24, ტაბ. 39-43; გვ.100-101, სურ 27, ტაბ.II,29] გამოსახულია სხვადასხვა ცხოველები: ნიამორი (ტაბ. II, 7), წვეროსანი ადამიანისებრი არსება რომელსაც თავს ესხმის მტაცებელი, ფანტასტიკური არსება — ლომკაცი (ტაბ. II, 8) თხა, კატისებრი ოჯახის ცხოველი [ლორთქიფანიძე მ. 1975: 81-88, სურ. 18-22, ტაბ.V,20,24, ტაბ.VIII, 39-43]. ცალკე აღსანიშნავია ვანში აღმოჩენილი ქარვის კუბური ფორმის ოქროს ღერაკიანი ორმხრივი, იშვიათი საბეჭდავი. ერთ პირზე გამოსახულია კურდღელი, მეორეზე — ირემი (ტაბ. I,5; II,9). საბეჭდავი ბერძნული ორიენტაციის სტილის საბეჭდავია. თარიღდება ძვ.წ. VI ს-ით [ლორთქიფანიძე მ. 1976:112-113, სურ.130,5].

კოლხეთში ძვ.წ. VI ს. კლასიკური ბერძნული გლიპტიკის რამდენიმე ნიმუშია აღმოჩენილი: *ფიჭვნარში* ოქროს ფარაკიანი ბეჭედი აფროდიტისა და ეროტის გამოსახულებით [კახიძე 2007: 144, სურ. 41,6], ასევე ვერცხლის ბეჭედი, რომლის ფარაკზე გამოსახულია ცხოველი (კურდღელი?) [ლორთქიფანიძე მ. 1975: 21-24, ტაბ. II,2] და ბრინჯაოს ბეჭედი ფარაკზე მაღალმხატვრულად შესრულებული ყალყზე შემდგარი ნიამორის გამოსახულებით (ტაბ. II,10) [ლორთქიფანიძე მ. 1975:27-31, ტაბ.III,4]. ამავე ხანის არის *საირხეში* აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი, რომლის ფარაკზე დაჩოქილი ჯიხვის გამოსახულებაა [მახარაძე და სხვ. 2007: სურ.38], საირხეში ოქროს ბეჭედი ხარის შესანიშნავი გამოსახულებით (ტაბ. II,40) [ნადირაძე 1990: 51-52]. ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე ფარაკიანი ბეჭდების მცირერიცხოვანი ჯგუფია აღმოჩენილი: ვერცხლის მთლიანი ფირფიტისაგან გამოჭრილი რკალშეკრული ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია ფრინველი (გედი?), მის ზურგს უკან ვარდული, ქვევით კი — დელფინი. ბეჭედი ძვ.წ. IV ს. მიწურულითა და ძვ.წ. III ს. დამდეგი ხანით არის დათარიღებული [ლორთქიფანიძე მ. 1975: 32-34, სურ.5, ტაბ.III,5, ტაბ.X,35], ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკი, რომელზედაც გამოსახულია მოზარდის (ქალის თუ ჭაბუკის?) თავი, პორტრეტული გამოსახულება, დასავლეთბერძნული ნახელავია, შესაძლო, სირაკუზისა, ძვ.წ. IV ს. დასაწყისისა (ტაბ. II,44) [ლორთქიფანიძე მ. 1975: 24-27, ტაბ.II,3], ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, დაზიანებული, რომლის ფარაკზე გამოსახულია მამაკაცის შიშველი ფიგურა [კახიძე და სხვ. 2004: 104, სურ.194] პროპორციული, დაკუნთული სხეული გვაფიქრებინებს, რომ ინტალიო ბერძნული

კლასიკური გლიპტიკური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუში უნდა ყოფილიყო; ბრინჯაოს ფარაკიან ბეჭედზე, რომელსაც თანაბარი სიგანის, გარედან განივი ნაჭდევებით შემკული რკალი აქვს, გამოსახულია ძაღლი – მალტის დოგი. ასეთი გამოსახულებები მრავლად გვხვდება ე.წ. ბერძნულ-სპარსულ მრავალნახნაგებზე და სკარაბეოიდებზე [იხ. Brandt 1968: 249-250, ტაბ.28,249; Boardman 1970: 293, სურ.289; №874, 906, 964].

სოფ. დაფნარში აღმოჩენილი ბრინჯაოს რკალშეკრულ ბეჭდის ფარაკზე გამოსახულია ფსიქეა, რომელსაც ხელში ჭრაქი უჭირავს (ტაბ. II,46). ძვ.წ. IV ს. ბეჭედი დასავლეთ-ბერძნულ ნახელავს წარმოადგენს. მსგავსი სიუჟეტია გამოსახული *ემერაში* მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკზე, რომელიც ძვ.წ. 330 წლით არის დათარიღებული [ლორთქიფანიძე მ. 1975: 53-54, ტაბ.III,14]. ვანში №26-ე სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ერთი ნაკლული ბეჭედი და ბეჭდის დაზიანებული ფარაკი. ორივე ფარაკზე ბერძნული კლასიკური ხანის გლიპტიკის ძეგლებზე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიუჟეტია გამოსახული — უზურგო სკამზე ზის მანდილოსანი. ერთ შემთხვევაში მას გაშლილ ხელზე ნიკე უდგას (№1-2010/10) (ტაბ. II, 48), მეორეში გვირგვინი უჭირავს (№1-2010/2). ბეჭედები ძვ.წ. IV ს. თარიღდება და დასავლეთბერძნული გლიპტიკის “უხეში” სტილის ნახელავს უნდა წარმოადგენდეს. აქვეა აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი, რომლის ფარაკზე გამოსახულია იშვიათი მითოლოგიური სცენა — დაბალ ტახტზე მჯდომი მამაკაცი, რომელსაც მუხლებზე უზის მანდილოსანი (ტაბ. II, 49). ვანიდან მომდინარეობს აღმოსავლურ-ბერძნული ბეჭედები, რომელთა ფარაკებზე გამოსახულია სხვადასხვა ფრინველები, ხარი და ლომი. ვანის ყველა ზემოჩამოთვლილი ბეჭედები ძვ.წ. IV ს. თარიღდება [ჯავახიშვილი 2011: 121-128, ტაბ.I,1-7].

კოლხეთში გავრცელებულ ადგილობრივი სახელოსნოების გლიპტიკური ნაწარმს შორის არის ერთი ჯგუფი ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭედებისა, რომლებიც როგორც ფორმით, ისე გამოსახულებათა თემატიკითა და სტილით გამოირჩევიან დიდი ინდივიდუალობით, მათ ანლოგი არ ეძებნება: ეს არის ლითონის (ძირითადად ბრინჯაოს) თხელი ფირფიტისგან გამოჭრილი მრგვალფარაკიანი, რკალგახსნილი ბეჭედები. მათ ფარაკებზე გამოსახულია ფრინველები: ფრინველი, რომელსაც ნისკარტში გველი უჭირავს, მის უკან ნახევარმთვარეა; ფრთაგაშლილი ფრინველი და მის წინ მცენარის ტოტი (მაგ. *დაბლაგომი*) [Куптин 1950: 44-45, სურ. 11]; ფრინველი და მის წინ მცენარის ტოტი, ფეხქვეშ ნახევარმთვარე (მაგ. *დაფნარი*) [ლორთქიფანიძე მ. 1969: 68-69, სურ.14, ტაბ.VII16, ტაბ.X,36]; ფრთაგაშლილი ფრინველი, მის წინ მნათობი და ნახევარმთვარე (*ფიჭვნარი*) [კახიძე და სხვ. 2010: 434, სურ. 195,6]. განსაკუთრებით საინტერესოა *ფიჭვნარში* აღმოჩენილი ბრინჯაოს სამაჯურის შემამკობელი ფარაკის გამოსახულება — ფრინველი, მნათობი და ნახევარმთვარე [კახიძე და სხვ. 2010: 443, სურ.159,1], სტილისტურად მსგავსი ზემოთგანხილულ *ფიჭვნარისა* და *დაბლაგომის* გამოსახულებებისა. ზემოაღწერილი ფორმის სამ ბეჭედზე დაბლაგომიდან (ტაბ. II,41), *დაფნარიდან* და *ფიჭვნარიდან* (ტაბ. II,42), გამოსახულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ამავე ფორმის ბრინჯაოს ბეჭედების ფარაკებზე მეტად თავისებური, ფაქიზად შესრულებული გამოსახულებებია; ერთზე ჰაერში აფრენილი ფრინველი (ტაბ. II, 33), მეორეზე — ფრთოსანი რაში-პეგასი; ათარიღებენ ძვ.წ. IV ს. [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1975: 79-77, ტაბ.VII, 19].

ადგილობრივი ფარაკიანი ბეჭედების გამოსახულებებია თევზი (ტაბ. II, 26) (*ვანი*) [ჯავახიშვილი 2011: 128, ტაბ.I,10], სიცოცხლის ხე და აქეთ-იქით არწივები (*ვანი*) [ლორთქიფანიძე მ. 1976:159, სურ.132,7]; ხარის თავი (ტაბ. II, 39), მსგავსი II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმის რევერსის გამოსახულებისა [ჯავახიშვილი 2011: 127-128, ტაბ.I,9]. ყველა ეს ბეჭედი ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება. ადგილობრივი კოლხური ფარაკიანი ბეჭედების მეორე ჯგუფს როგორც ბეჭდის ფორმის, ისე გამოსახულებათა სტილისა და ნაწილობრივ, თემატიკითაც ბერძნული ხელოვნების, კერძოდ, დასავლეთბერძნული და იონური ხელოვნების გავლენა ემჩნევა [ლორთქიფანიძე მ. 1975: 111], ოქროსა და ვერცხლის ყველა ეს ბეჭედი რკალშეკრულია და კლასიკური ბერძნული ბეჭედების ფორმებს იმეორებს. *ვანში*, ე.წ. *წარჩინებული კოლხი მეომრის* სამარხში აღმოჩენილ ოქროს ბეჭედზე გამოსახულია

სკამზე მჯდომი მანდილოსანი. მას ერთ ხელში თასი უჭირავს, მეორეში — ხის ტოტი. თავისუფალ არეზე ამოჭრილია ბერძნული წარწერა ΔΕΛΑΤΟΣ (ტაბ. II,12) [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1975: 88-93, სურ.23, ტაბ.VI,25].

ნოქალაქევი აღმოჩენილია ბრინჯაოს მთლიანი ფირფიტისაგან გამოჭრილი რკალგახსნილი ბეჭედი სწორკუთხედი, ოდნავ კუთხეებმომრგვალებული ფარაკით, რომელზედაც გამოსახულია ფრთოსანი რაში გრძელი, მოხრილი რქით და მოხრილი კუდით (ინვ.№12-974: 3486). ცხენის ფიგურა ძალიან ახლოს არის ეშერის სამაროვანზე აღმოჩენილ ერთ სწორკუთხაფარაკიან, რკალგახსნილ ბრინჯაოს ბეჭედზე გამოსახულ ფანტასტიკურ ფრთოსან არსებასთან [იხ. Куфтин 1949: 37, 62, სურ.16, ტაბ. VI], (ტაბ. II,34). თავისებური ლითონის ფარაკიანი ბეჭედების ჯგუფი (ინახება სვანეთის მუზეუმში) აღმოჩენილია სოფ. *ჭუბერის*, *ლარილარის* სამაროვანზე [ჩართოლანი 1968: 308]. ბეჭედებს შორის სამი სწორკუთხაფარაკიანია, დანარჩენი მრგვალ და ოვალურფარაკიანი ბეჭედებია. აქედან ორია რკალგახსნილი. ორ ფარაკზე გამოსახულია ფრინველი, ერთს პირში გველი უჭირავს, მეორეს წინ მცენარის ტოტია გამოსახული (შეად. *დაბლაგომის* და *დაფნარის* ბეჭედებს). ერთზე გამოსახულია ცხენი და მის ზევით ნახევარმთვარე, მეორეზე ცხენი (?) და მის წინ მცენარის ტოტი (ტაბ.II,36,38). ამ ბეჭედებს შორის არის ერთი უჩვეულო გამოსახულება: რქებდატოტვილი ირემი, რომელსაც ზურგში შუბი აქვს გარჭობილი [იხ. ჩართოლანი 1968: ტაბ. III,10] (ტაბ.II,37). გამოსახულებათა სტილი ძალიან თავისებურია და, როგორც ჩანს, ადგილობრივი. თუ რაიმე გავლენა არის, უფრო აღმოსავლური ხელოვნებისა.

ადრეანტიკური ხანის იბერიული გლიპტიკური ძეგლების უმრავლესობას წარმოადგენს ლითონის ფარაკიანი ბეჭედები. ამ ბეჭედების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გამოსახულებაა ფანტასტიკური არსებები — სხვადასხვა სახის გრიფონები. სრულიად თავისებურია *ახალგორის* ოქროს ბეჭედზე [ლორთქიფანიძე მ. 1969: 43-44, სურ.43, ტაბ.V,46] და *ითხვისის* ბრინჯაოს ბეჭედზე [ლორთქიფანიძე მ. 1969: 83-84, სურ.40, ტაბ.IV,39] გამოსახული ფანტასტიკური ცხოველები. ადგილობრივი გრიფონების უმრავლესობა (ახალგორი) [ლორთქიფანიძე მ. 1981: 30-36, სურ.3, ტაბ.I, 3], (ალგეთი) [ლორთქიფანიძე მ. 1981:56-59, სურ.9, ტაბ.I,8]. გამოსახულია ზურგისკენ თავშექცეული და ძალიან პირობითად გამოსახული, ზურგიდან ზევით აღმართული, ბოლოში მოხრილი ფართო ფრთით. ამგვარ ფრთებს ე.წ. *მსუქან მომრგვალებულ (პლუმბ) ფრთებს* უწოდებს [იხ. Boardman 1968: 67-68], ან კი ე.წ. ნამგლისებურს [იხ. Куфтин 1949: 60-61]. მსუქანფრთებიანი არსებები საყოველთაოდ გავრცელებულია ძვ.წ. VI ს-ის ბერძნული სკარაბეების გამოსახულებებში [Boardman 1968: №31-40, 42, 123-130, 152-165 და სხვ.]. მათ შორის ზოგიერთი ზურგისკენ თავშექცეულიც არის [Boardman 1968: 349,364,490; Brandt 1968: ტაბ.18 №152,154,179]. შემდგომში — ძვ.წ. V-IVსს-ის ბერძნულ გლიპტიკაში ასეთი ფრთები აღარ გვხვდება. ამ ხანის ბერძნულ გრიფონებს რეალისტურად გადმოცემული ფრთები აქვთ [იხ. Boardman 1970: 464-465,511,512]. ძვ.წ. V—IV სს-ის აქემენიდური გლიპტიკის ძეგლებში კი ხშირად გვხვდება ე.წ. *მსუქანი ფრთები* [იხ. Boardman 1970, №830, 842, 913 და სხვ.]. ამდენად, ვფიქრობთ, რომ იბერიელი ოსტატების მიერ ძვ.წ. IV-III სს-ში შექმნილი გრიფონების ტიპი ბერძნული გლიპტიკის ძეგლებთან უშუალო კონტაქტით კი არ შეიქმნა, არამედ აქემენიდური ხელოვნების ძეგლების გავლენით. აქემენიდურ გლიპტიკაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიუჟეტის [Richter 1968: №503 (1-2), 506-508, 510; Максимова 1988, სურ 5,11,12; Boardman 1970, 854,879,880,891] მიხედვით უნდა იყოს შექმნილი ადგილობრივი იბერიული საბეჭდავი-ბეჭედები, რომლებზედაც გამოსახულია გრძელი კაბით შემოსილი ქალი კეფაზე შეკრული, წელამდე ჩამოშვებული გრძელი თმით. ასეთი გამოსახულება არის *კამარახევის* სამაროვანზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკზე და *ტახტიძირის* სამაროვნიდან მომდინარე ვერცხლის ბეჭდის ფარაკზე (გ.კ. ინვ.№1444). სტილისტურად ეს ორი გამოსახულება სავსებით განსხვავებულია. დიდი ოსტატობით არც ერთი არ გამოირჩევა, მაგრამ ქალის ფიგურის საერთო მოხაზულობით და ზოგიერთი დეტალით (დიდი გავა, ჭვინტიანი ფეხსაცმელი) კამარახევის გამოსახულება მაინც პოულობს ერთგვარ მსგავსებას ე.წ. ბერძნულ-სპარსულ სტილთან; რაც შეეხება ტახტიძირის ბეჭდის

გამოსახულებას, ის თავისებურია, ძალიან სქემატური და უხეშად შესრულებული. კამარახევის ბეჭდის ფორმის მსგავსი ბეჭედი ამუდარიის განძიდან ძვ.წ. IV ს. არის [Зеймаль 1979: 61, №105]. ტახტიძის ბეჭედი ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება.

“ბერძნულ-სპარსული” ხელოვნების გავლენით ადგილობრივ, ქართლში უნდა იყოს შექმნილი ბრინჯაოს სავსებით ერთნაირი ფორმის აქემენიდური ტიპის ბრინჯაოს სამი ბეჭედი: *ყოლოთოდან* [ლორთქიფანიძე მ. 1961: 43, სურ.22, ტაბ.VI,41], *ნაომარი გორიდან* [ჯავახიშვილი 2006: 185, ტაბ.VI,17] და ერთი შემთხვევითი მონაპოვარი მტკვრის კალაპოტში, რომელზედაც ერთი და იგივე გამოსახულებაა: დაბალი საკურთხეველის წინ მდგომი ქურუმი რომელსაც ზეანეულ ხელში რაღაც საგანი (ბარსომი?) უჭირავს. ბეჭდები ფორმის მიხედვით ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება [Boardman 1970: 322]. ზუსტად ასეთი, სტილისტურადაც მსგავსი გამოსახულება არის პასარგადში აღმოჩენილ ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკზე [Stronach 1978: (214), 215, 4]. *ყოლოთოში* აღმოჩენილი ბეჭდები ასირიული გლიპტიკის გავლენით შექმნილი ადგილობრივი ნახელავია [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1981: 78]. აქემენიდური გლიპტიკის ძეგლებზე გვხვდება იბერიულ საბეჭდავ ბეჭდებზე გამოსახული სიუჟეტები: ჯოხზე დაყრდნობილი მამაკაცი (*ტახტიძი*, გ.კ.1457) [Максимова 1928: 655-657. სურ. 8,13], ზოლიანი აფთარი (*ტახტიძი*, გ.კ. №1467) [შეად. ოარდმან 1970: 290,295; ბორდმანი, 1973: 97, №92], რიტონი (*თოხლიაური*, გ.კ. №1217) [შეად. Boardman 1970:322, სურ 315, გვ.353, გამოს.394], სხვადასხვა ცხოველები (*ახალგორი*) (ტაბ.II,21,III,2) [ლორთქიფანიძე მ. 1969: №46,48, №61; *ტახტიძი*, გ.კ. №1460,1461,1446,1451,1452,1454,1456] და ფრინველები (*ტახტიძი* გ.კ.№1439,1453), იბერიული ფარაკიანი ბეჭდების ერთი ჯგუფის გამოსახულებებში — რქოსანი ცხენი, ფრინველი და მნათობი (*ყანჩაეთი*) (ტაბ.III,5) [გაგომიძე 1964: 23-25, ტაბ. II,7], შუბოსანი მხედარი და ვარსკვლავი (*ყანჩაეთი*, ტაბ. II,22) [გაგომიძე 1964: 25-30, ტაბ.II,8; ლორთქიფანიძე მ. 1961:37-43, სურ.6, ტაბ.II,6]. ფიქრობენ, აქ აისახა ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენები, ქართული ასტრალური პანთეონის უმაღლესი ღვთაებების ტრიადა — მზე, მთვარე და ვარსკვლავები [იხ. გაგომიძე 1964: 35-40].

იბერიის ადგილობრივ გლიპტიკურ ნახელავს შორის არის ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებული ფარაკიანი ბეჭდები, რომლებიც ბერძნულ ძეგლებთან ავლენს კავშირს. ასეთებია ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდები *ქვიანიდან* (ტაბ.III,7) [ლორთქიფანიძე მ. 1969: 43, სურ.32,ა,ბ., ტაბ. III, 12] *ედისიდან* [ლორთქიფანიძე მ. 1981: 77, სურ.13, ტაბ. III, 12], *ყოლოთოდან* (ტაბ.III,1) [ლორთქიფანიძე მ. 1981: 83-84, სურ.16]. იბერიის ადრეანტიკური ხანის გლიპტიკურ ძეგლებს შორის არის ძალიან მოკრძალებული რაოდენობის იმპორტული ნახელავიც. აღმოსავლური გემებიდან ასეთია პატარა ჯგუფი საკუთრივ აქემენიდური, ე.წ. ბერძნულ-სპარსული საბეჭდავებისა. ცილინდრული ფორმის საბეჭდავი რაჭიდან — *ჯოისუბნიდან* (ტაბ. I,12; II, 24), კონუსური საბეჭდავი *ტახტიძიდან* (ტაბ. II,23), პირამიდული საბეჭდავი *სამთავროდან* (ტაბ. I,6), მრავალნახნავა საბეჭდავები *ბაიათხევიდან* (ტაბ. I, 14; II,25), სკარაბეოიდები — ერთი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. *ჯიმიითიდან* (ტაბ. I, 13; III,20), და ერთი — *ბოლნისის* მუნიციპალიტეტიდან (ტაბ. I, 13; III,19) [იხ. ჯავახიშვილი 2007: 117-128, სურ.5,7,9, სურ.1-8; ჯავახიშვილი 2009: 85-93, ტაბ.I,1-13]. კახეთში, “*ნაომარი გორა I*” ძვ.წ. IV-III სს დათარიღებულ სამაროვანზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდების მცირე ჯგუფი (7ც.), რომელიც ანტიკური სამყაროდან მომდინარეობს, ერთი დასავლეთბერძნული რომელიდაცა ცენტრიდან უნდა იყოს [ჯავახიშვილი 2006: 183, ტაბ.VI,17], ხოლო სამი ბეჭედი მცირე აზიიდან, შესაძლოა ქ. *სმირნიდან* [ჯავახიშვილი 2006: 184, ტაბ.VI, 7-10]. ანტიკური გლიპტიკის იშვიათი ძეგლები არის ტახტიძის სამაროვანზე აღმოჩენილი ოქროს ფურცლით შემკული თეთრი, გამჭვირვალე მინის ორი მედალიონი. ერთზე გამოსახულია გრიფონი, მეორეზე — ლოდზე(?) მჯდომი მანდილოსანი. მსგავსი ტექნიკით შესრულებული ნივთები სულ რამდენიმე არის ცნობილი [იხ. Артамонов 1966: 117, №274, 275: Williams და სხვ. 1994; Platz-Horster 2002: 569, კატ. №429c]. ვფიქრობთ, ეს ორი იშვიათი ნივთი ძვ.წ. IV-III სს-ით უნდა დათარიღდეს. მათ სავარაუდოდ ეგვიპტესთან, კერძოდ, ალექსანდრიასთან უნდა ჰქონდეს კავშირი [იხ. ჯავახიშვილი 2012: 20, სურ.1,2]. ძვ.წ. IIIს-ში ან, შესაძლოა, რამდენადმე უფრო

ადრე ქართლში ჩნდება ადგილობრივი წარმოების ბრინჯაოს დიდი ზომის მართკუთხა (ტაბ. I, 15; III, 26-30) და სამკუთხა (ტაბ. I, 16; III, 31-34) ფირფიტისგან დამზადებული, ოვალურსახელოვანი საბეჭდავები. ცნობილია ასეთი ტიპის 15 საბეჭდავი [იხ. მათიშვილი 1991: 1-8, სურ. 4] (ტაბ. III, 26-34).

ძვ.წ II – ახ.წ. II-ის დასაწყის ხანას შორის ქართლში ჩნდება ადგილობრივად მიჩნეული მინის მრავალნახნაგა ჩამონასხმები [დანვრ. იხ. ჯავახიშვილი 2002: 71-78]. მათ პირზე გამოსახულია ნადირობის სცენები, ადამიანის ბრძოლა ცხოველებთან და სხვადასხვა ცხოველები (ტაბ. I, 14; III, 21-25). გამოთქმულია მოსაზრება მათი ადგილობრივი, იბერიული წარმომავლობის შესახებ და მათ კავშირზე ე.წ. ბერძნულ-სპარსულ საბეჭდავებთან [იხ. Максимова 1941: 70-77; ლორთქიფანიძე მ. 1963: 136; ბარნაველი 1945: 578; გაგომიძე 1975: 93-94; გაგომიძე 2009: 14-16; ჯავახიშვილი 2002: 76; Никулина 1966: 19; Boardman 1970: 321-322, 326, სურ. 310, ტაბ. 972-977]. ვფიქრობთ, რომ ლურჯი მინის მრავალნახნაგები უნდა განვიხილოთ, როგორც ე.წ. ბერძნულ-სპარსული საბეჭდავების ერთ-ერთი დამოუკიდებელი, ადგილობრივი, იბერიული გლიპტიკური ძეგლების ჯგუფი, რომელიც ახლოს არის “ბერძნულ-სპარსული” საბეჭდავების იმ მოგვიანო ჯგუფთან, რომელსაც მკვლევარები ადგილობრივ მცირეაზიურს, სირო-კაპადოკიურის ჯგუფისას უწოდებენ. ამ მრავალნახნაგების წარმოება ძვ.წ. II-ახ.წ. II სს. დასაწყისს შორის უნდა ვიგულისხმოთ. ის შეწყდა ალბათ იბერიაში რომაული გლიპტიკური ნაწარმის მოზღვაებასთან დაკავშირებით [იხ. ჯავახიშვილი 1975: 25, 117; ჯავახიშვილი 2002: 76].

რომაული გლიპტიკის პირველ გამოჩენას ქართლში ძვ.წ. II-ის მეორე ნახევარში რომთან ურთიერთობას უკავშირებენ [იხ. Максимова 1950: 225], რაც სრულიად გარკვეულად რომის სარდალ პომპეუსის ლაშქრობით დაიწყო (ძვ.წ. 66/65 წ.) [ლომოური 1981: 5]. უფრო ადრე ქართლის ელინისტური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე ანტიკური-ელინისტური ხანის გემები არა ჩანს. ისინი მცირე რაოდენობით მხოლოდ უფრო გვიანდელ — რომაული ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში გვხვება — ძეგლებზე, რომლებიც ძველი ქართლის დიდებულითა ყოფას უკავშირდება. ეს ნივთები ელინისტური გლიპტიკის მაღალმხატვრული ნიმუშებია, რომლებზედაც გამოსახულია ელინისტური ეგვიპტის მმართველთა პორტრეტული გამოსახულებები: არსინოა II (ძვ.წ. 316-270) (ტაბ. III, 8) [იხ. ჯავახიშვილი 2003: 77-79, სურ. 1, 2]; არსინოა III (ძვ.წ. 217-205/4 წწ) [ჯავახიშვილი 2003: 79-81, სურ. 6], ორივე დედოფლის *გორის* სასახლის ნანგრევებიდან და პტოლემეაიოს V (209-282/180) (ტაბ. III, 10), *ზლუდრის* სამაროვნიდან [ჯავახიშვილი 2003: 81-83, სურ. 8, 9]. ვფიქრობთ, ამ გემების გაჩენა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ძვ.წ. 36 წ. ქართლში მარკუს ანტონიუსის სარდლის პუბლიუს კანიდიუს კრასუსის ლაშქრობასთან [მელიქიშვილი 1959: 336; ლომოური 1981: 131], რომელსაც იბერიასთან მოკავშირეობის მისაღწევად საჩუქრების გაღება დასჭირდა [იხ. ჯავახიშვილი 2003: 75-76].

ნათელ სურათს იმისა, თუ როგორ თანაარსებობს ადგილობრივი იბერიული საბეჭდავები და ახლადმემოსული რომაული გემები, იძლევა ძვ.წ. II-ის მეორე ნახევრის და ახ.წ. II-ის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალები — თიხის ბულები, რომელთა შორის ნაწილზე არის ადგილობრივი დიდი ზომის საბეჭდავთა ანაბეჭდები, ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული სიუჟეტებით (ტაბ. VI, 10-12, 14, 16) [იხ. ჯავახიშვილი 2008: 217-219, №1-10, ტაბ. 83, 1-10, 13-22, ტაბ. 83, 13-15, 19-22, ტაბ. 82, 1, 2, 6, 8, 9, 13, 15], ნაწილზე — რომაული გემების ანაბეჭდები, საყოველთაოდ გავრცელებული გამოსახულებებით: სილენის ნილაბი [ჯავახიშვილი 2008: 219-220, №23-25, ტაბ. 82, 23], ომფალა, ფორტუნა [ჯავახიშვილი 2008: 220, №27-29, ტაბ. 83, 29] ჰიგეია და ასკლეპიოსი [ჯავახიშვილი 2008: 217-220, №32, ტაბ. 83, 32] და სხვ. (ტაბ. VI, 13, 15, 17, 18).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ *ურბნისში*, ძველი ქალაქის ზღუდის კომპოში არმოჩენილი თიხის ბულა ახ.წ. II ს-ის რომაული გემის ანაბეჭდით. ბულაზე აღბეჭდილია რომაულ გლიპტიკაში ძალიან გავრცელებული გამოსახულება — ეტლში შებმული მამლები, რომლებსაც კოფოზე შემომჯდარი თავი მათრახით მიერეკება [ჯავახიშვილი 1972: 19-20, ტაბ. IXბ]. მიუხედავად შედარებითი მცირერიცხოვანებისა, ამ ხანის ქართლის გლიპტიკურ

მასალებში საკმაოდ მკაფიოდ აისახა წელთაღრიცხვათა მიჯნის რომაული გლიპტიკის ძირითადი ტენდენციები: ერთის მხრივ მცირე ზომის მინისა და ქვის ინტალიოები იტალიკური (ტაბ. III,17,18) [ლორთქიფანიძე მ. 1954; ლორთქიფანიძე მ. 1961, ტაბ. I,4,5,9; ჯავახიშვილი 1972, ტაბ. I,2] და რომაული [Максимова 1950: 241, № 1-3; ტაბ. I,1; ჯავახიშვილი 1972: 22, №1-3, ტაბ. 1-3; მირიანაშვილი 1983:73-76, სურ.107-113], მათ შორის გემების ფრიად საინტერესი მცირე ჯგუფი რომის სამოქალაქო ომის დროინდელ ისტორიულ პირთა — იულიუს კეისრის ასულის იულიასი, გნეუს პომპეუს უმცროსისა (ტაბ. III,11), სექსტ პომპეუსისა (ტაბ. III,12), ოქტავიანე ავგუსტუსისა, და უცნობი მამაკაცისა (ტაბ. III,13) [ჯავახიშვილი 2011: 290-296, სურ.1,3,6,8,10]; მეორეს მხრივ, მინისა და ქვის დიდი ზომის ავგუსტუსის კლასიცისტური მიმართულების მაღალმხატვრული გემების ნიმუშები: მონაცრისფრო-იასამნისფერი მინის ინტალიო დიონისეს გამოსახულებით *რიკიანების* ველის სამაროვნიდან (ტაბ. III,15) [მირიანაშვილი 1983: 74, სურ.107; ჯავახიშვილი 2003: 84, სურ.15], ამეთვისტოს გორელიეფური კამეო — ბავშვის თავი *სამთავროდან* (№905 სამარხი) [აფაქიძე, და სხვ. 1996: 22-23, ტაბ. I,1-4; ჯავახიშვილი 2003: 83-84, სურ.12-14], აგრეთვე გემებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები: მინის ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია ძვ.წ. V-IV სს ბერძენი მხატვრის ნიმანტეს სიუჟეტი — ათენას კენჭისყრა [ჯავახიშვილი 2001: 64-67, სურ.1]; გრანატის ინტალიო [რამიშვილი 1979: 50, ტაბ. II,1., ტაბ.43,5] შექმნილი ძვ.წ. Vს-ის მოქანდაკე ფიდიასის ცნობილი ქანდაკების — ათენა ლემნიას მიხედვით (ტაბ. III,16), სავარაუდოდ, ავგუსტუსუს ეპოქის გემების ცნობილი მჭრელის პილოსის მიერ [ჯავახიშვილი 2002: 52-55, სურ. 1] და გრანატის ძალიან ეფექტური გორელიეფური კამეო [აფაქიძე და სხვ. 1996: 21-22, ტაბ.21,1-4] — ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტული გამოსახულება, შექმნილი ძვ.წ. IVს-ის ბერძენი მოქანდაკის ლისიპეს პერგამონში აღმოჩენილი ქანდაკების მიხედვით. ნიშანდობლივია, რომ ყველა ეს გემა გვიანდელ — ახ.წ. III ს-ის კომპლექსებშია აღმოჩენილი და შესაძლოა, გვიან არის საქართველოში მოხვედრილი.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში აღმოჩენილი გემების დიდი ნაწილი ჩასმულია ისეთი ფორმის ბეჭდებში, რომლებიც უნდა ეკუთვნოდეს იმპერატორ ვესპასიანეს ხანას (ახ.წ. 69-78 წწ) და მის შემდგომ პერიოდს [იხ. Henkell 1913: 261]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ ქართლში რომაული დენარების ფართო გავრცელება ახ.წ. I ს-ის 60-იანი წლების შემდგომ ხანაში ივარაუდება [იხ. Голенко 1964: 45], როგორც ჩანს, ქართლში რომაული გემების ფართო გავრცელება ახ.წ. I ს-ის შუა წლების შემდგომ ანდა ვიგულისხმით [ჯავახიშვილი 1975: 34]. სწორედ ამ ხანებში რომსა და აღმოსავლეთში მის ძირითად მოკავშირეს — იბერიას შორის განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობა მყარდება. მცხეთაში ახ.წ. 75 წლით დათარიღებული იმპერატორ ვესპასიანეს (ახ.წ. 69-79 წწ), ტიტესა და დომიციანეს ცნობილი წარწერა ქალაქის კედლის გამაგრების შესახებ [იხ. ყაუხჩიშვილი 1951]. ამის ნათელი დადასტურებაა ახ.წ. I ს. 60-70-იან წლებში დაწყებული გაცხოველებული სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა რომსა და ქართლს შორის, რომელიც ახ.წ. II და III სს-შიც გრძელდება. საქართველოში გავრცელებული გემები მასალით, ფორმით, სიუჟეტებით, გამოსახულებათა სტილით და ბეჭდის ფორმით არ განსხვავდება მთელ რომაულ სამყაროში გავრცელებული ძეგლებისაგან. ძირითადად, ეს არის შედარებით წმინდად შესრულებული ნიმუშები და ამასთანავე მასობრივი წარმოების იაფფასიანი, ზოგჯერ უხეშად და დაუდევრად შესრულებული ნივთები, რომლებიც, როგორც ჩანს, ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის საშუალო და ღარიბი ფენებისთვისაც. ისინი მრავლად არის აღმოჩენილი *სამთავროს* [Максимова 1950: კატ.№4-60; ლორთქიფანიძე მ. 1954: კატ.№4-23], *ურბნისის* [ჯავახიშვილი 1972: კატ. №5-100,101-108,113-124], *კლდეეთის* [ლორთქიფანიძე მ. 1961: კატ. №2,3,10-16, ტაბ. I,2,3. ტაბ. II,10-16], *ქუშანაანთგორის* [რამიშვილი ქ. 1979: 93-94, სურ.15, ტაბ.43,1-3,5,6], *ჭერემის* [მამაიაშვილი და სხვ. 1984: 77-105, ტაბ. XXXIX, 114-120] და ბიჭვინთის [მშვილდაძე 2012: ტაბ. I-IX] და სხვა სამაროვნებზე, აგრეთვე შემთხვევით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ამ გემებში წარმოდგენილია სხვადასხვა გამოსახულებები, ძირითადად ღვთაებები სტატუალურ პოზაში, სიუხვის,

ნაყოფიერებისა და ადამიანთა კეთილდღეობის სხვადასხვა სიმბოლოები, ზოდიაქოს ნიშნები, ცხოველები და ფრინველები და ისეთი სიუჟეტები, რომლებიც საყოველთაოდ გავრცელებულია რომაულ გემებზე (IV, 4,5,12,14,15,21,23,25-29,32,33,40,41)

სულ სხვა ხასიათისა არის მმართველი წრეების წარმომადგენლების სამარხებში აღმოჩენილი გლიპტიკური მასალები *არმაზისხევიდან, ბაგინეთიდან, სამთავროდან, კლდეეთიდან* (ტაბ. III,14), *უსახელოდან, ციხისძირიდან, ქუშანაანთგორიდან*. ეს არის რომაული გლიპტიკური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშები. ამ ნივთების გამოსახულებები სხვადასხვაგვარია. მათ შორის არის პორტრეტული გემები: რომაულ ხანაში შექმნილი, ოსტატ პლატონის ხელმოწერილი ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტული გემა პრაზერისა (ტაბ. IV,1); ძალიან ეფექტური გორელიეფური კამეო — ალექსანდრე მაკედონელის(?) პორტრეტული გამოსახულება სამთავროდან [აფაქიძე და სხვ. 1996: 21-22, ტაბ XXXII,1]; ოქროს მოთვალულ მედალიონში ჩასმული მთის ბროლის ინტალიო რომის იმპერატორ ლუციუს ვერუსის რეალისტური პორტრეტული გამოსახულებით, შესრულებული ძალიან ეფექტური იშვიათი ტექნიკით — ქვის ამოჭრილ გამოსახულებაში ჩანს ნიჭილია ოქროს თხელი ფირფიტა, ბუდეში ქვა ამოჭრილი პირით ქვევით არის ჩაბრუნებული ისე, რომ გამჭვირვალე ქვის ზედაპირზე ღრმად ნაკვეთი გამოსახულება ოქროსფრად გამოსჭვივის [ლორთქიფანიძე მ. 1969: 121, ტაბ. VII,109], III ს-ის რომაული პორტრეტისათვის დამახასიათებელი ექსპრესიულობით აღსაფხვე რეალისტური პორტრეტი რომის იმპერატორ კარაკალასი (211-217) ურბნისიდან (ტაბ. IV,20) [ჯავახიშვილი 1972: 67 ტაბ. VI, 102, ტაბ. XIII, 102].

ადამიანის შინაგანი სამყაროს გადმოცემით გამოირჩევა ბერძენი მოაზროვნეების პორტრეტები: ნეფრიტის(?) ინტალიო *არმაზისხევიდან* (ტაბ. IV,2) [ლორთქიფანიძე 1958: 35-37, ტაბ. I,4] და შავი მინისა ზღუდრიდან (ოსტატის ხელმოწერილი ?) (ტაბ. IV,10) [ჯავახიშვილი და სხვ. 1982: 145-148, ტაბ. X, 1,2], აგრეთვე კერძო პირთა პორტრეტები: სარდონიქსის ნყვილი კამეო მანდილოსნების პორტრეტული გამოსახულებით ბაგინეთიდან (ამკობს ოქროს სამაჯურებს) (ტაბ. VI,3) [ლორთქიფანიძე მ. 1958: 41-44, სურ. 20 ტაბ. II,7,8], სარდიონის ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია ერთმანეთის პირდაპირ ორი პორტრეტი — ახალგაზრდა მანდილოსნისა და მამაკაცისა ზღუდრის სამაროვნიდან. გემაზე შესრულებული ბერძნული წარწერა გვამცნობს გამოსახულთა სახელებს — მატრონა და კაბრიასი (ტაბ. IV,18) [ჯავახიშვილი და სხვ. 1982: 139-144, ტაბ. IX,1,2]. არის გემებზე გამოსახული სხვადასხვა ღვთაებები: არიადნეს ბიუსტი, ნილკანში მოპოვებულ ამეთვისტოს ინტალიოზე (ტაბ. IV,11) (ადრიანეს ეპოქის კლასიციზმის შესანიშნავი ნიმუში), რომელიც ოქროს ყელსაბამს ამკობს და *არმაზისხევის* ნეკროპოლში აღმოჩენილი ქამრის ოქროს ბალთაში ჩასმულ სარდიონის კამეოზე (ტაბ. VI,4) [ლორთქიფანიძე მ. 1958: 33-35, სურ. 10, ტაბ. I,3], ოქროს მოთვალულ ჩარჩოში ჩასმული ოქროსფერი ტოპაზის ინტალიო უსახელოდან, რომელზედაც გამოსახულია ჰელიოსის ბიუსტი (ინახება ს.-პეტერბურგის ერმიტაჟში), *არმაზისხევის* ნეკროპოლიდან მომდინარე, ოქროს ბეჭედში ჩასმული ამეთვისტოს შესანიშნავი ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია აქტეონის ირმად გადაქცევის სცენა (ტაბ. IV,7) [ლორთქიფანიძე მ. 1958: 48-51, სურ. 26, ტაბ. III,13]; სამფენიანი სარდონიქსის კამეო ზღუდრიდან, რომელზედაც გამოსახულია მოცურავე დელფინის ზურგზე წამოწოლილი ნიმფა ნერეიდა (ტაბ. VI,2) [ჯავახიშვილი და სხვ. 1982: 134-139, ტაბ. VII,3,4; ბრაუნდი და სხვ. 2009: 62, სურ. 63]. ამ კამეოს შემქნელი ხელოვანი სრულყოფილად ფლობს როგორც პლასტიკის, ისე ფერწერული ხელოვნების ხერხებს და მათი ოსტატური კომბინაციით შესანიშნავ მხატვრულ ეფექტს აღწევს. რომის იმპერიაში და მისი გავლენის სფეროში მყოფ ქვეყნებში გავრცელებული გლიპტიკური ძეგლები იმდენად ერთგვაროვანია, რომ ლოკალური ჯგუფების გამოყოფა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. საქართველოში ზოგიერთ, ძირითადად წარჩინებულ პირთა პორტრეტული გემის სტილისა და გემაზე აღნიშნული მათი საკუთარი სახელების მეშვეობით შესაძლებელი გახდა ზოგჯერ ადგილობრივი ნიმუშების დადგენა [ლორთქიფანიძე მ. 1969: 56].

ამათგან ყველაზე ადრეულია კლდეეთში აღმოჩენილი გრანატებით მოთვალულ ოქროს დაკბილულ აგრაფში ჩასმული სარდიონის უნიკალური გემა-ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია შუახნის წვეროსანი მამაკაცის პორტრეტული ბიუსტი პროფილში. მამაკაცს ძალიან ინდივიდუალური, დამახასიათებელი ნაკვთები აქვს, ჭკვიანი სახე რბილი, სანდომიანი გამომეტყველებით; თავზე ახურავს ყაბალახის მსგავსად ჩახვეული მაღალი, როგორც ჩანს, რბილი ქსოვილის თავსაბურავი; შუბლს უმშვენებს ძალიან ვიწრო, სადა დიადემა; თავსაბურავიდან კეფაზე ეშვება ბოლოში გაბრტყელებული წვრილი თასმა, რომელიც შეიძლება დიადემის ბოლო იყოს; მხარზე მოხვეული მოსასხამი შეკრულია წვრილი თასმით თუ ბაფთით, რომელიც ყელის გარშემო არის შემოხვეული, ნიკაპის ქვევით გამოდის და მხართან პატარა ფუნჯით მთავრდება. ინტალიოს კვეთა ღრმა არის, მკაფიო, ძალიან დახვეწილი და ოსტატური (ტაბ. III,14). ცნობილია სამი პორტრეტული გემა, რომელზედაც გამოსახულ მამაკაცებს მაღალი ფესკისმაგვარი თავსაბურავი ახურავს [ლორთქიფანიძე მ. 1961: 49, სურ 27]. მართალია, კლდეეთის გემაზე გამოსახულ მამაკაცს რამდენადმე განსხვავებული, ყაბალახისმაგვარი რბილი ქსოვილის თავსაბურავი ამშვენებს, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ოთხივე პორტრეტის იკონოგრაფია, რომელიც გამოსახულ პიროვნებათა აღმოსავლურ წარმომავლობაზე მეტყველებს [იხ. Planztos 1979: 200].

ფესკისებური თავსაბურავი გვხვდება მონეტებზე გამოსახულ ფარსის მმართველთა გამოსახულებებში. ფარსი ძვ.წ. III ს-ში გამოეყო სელევკიდების სამეფოს და ამავე საუკუნის შუა ხანებიდან [Planztos 1979: 201]. მისი მმართველები — ფრატარაკარები იწყებენ საკუთარი მონეტის მოჭრას. ამ მონეტებიდან უადრესი ეკუთვნის ფარსის მმართველს ბაგადატს [Луконин 1977: 114]. საყურადღებოა, რომ კლდეეთის გემაზე გამოსახული მამაკაცის თავსაბურავი ყველაზე მეტად სწორედ მონეტაზე გამოსახულ ბაგადატის რბილ ყაბალახისებურ თავსაბურავს ემსგავსება. რაც შეეხება კლდეეთის პორტრეტულ გემაზე გამოსახული მამაკაცის სამოსს, მისი მოსასხამი მსგავსია ერთ-ერთ გემაზე [Planztos 1997: სურ.2] გამოსახული მამაკაცის ჰიმატიონისებურ სამოსისა, მაგრამ ამ უკანასკნელზე მამაკაცის მხარზე სამოსი თასმით ბადისებურად არის შეკრული, კლდეეთის პორტრეტზე კი უბრალო კვანძით. ამასთანსვე ამ უკანასკნელს თასმა, რომელიც კისრის გარშემო არის შეკრული და ნიკაპის ქვევიდან ამოდის, პატარა ფუნჯით მთავრდება. როგორც ვარაუდობენ, კლდეეთის გემა ადგილობრივ არის შექმნილი უცხო ოსტატის მიერ და მასზე გამოსახულია ადგილობრივი წარჩინებული წრის წარმომადგენელი [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1969: 127-128; შეადარ. Planztos 1997: 199].

ადგილობრივად არის დამზადებული ოქროს ბალთაში ჩასმული გრანატის ინტალიო არმაზისხევიდან, რომლის პირზე ერთმანეთის პირდაპირ გამოსახულია ორი პორტრეტი — მანდილოსნისა და მამაკაცისა. აქვე ბერძნულ წარწერებში მითითებულია მათი სახელები — კარპაკი და ზევახი. გამოსახულებათა თმისვარცხნილობის მიხედვით გემა ახ.წ. II ს. არის (ტაბ. IV,19). გამოსახულება შესრულების დიდი ოსტატობით არ გამოირჩევა, კვეთა რამდენადმე გრაფიკულია და სქემატური. ოქროს ბეჭედში ჩასმული სარდიონის ინტალიო, რომლის პირზე გამოსახულია წვერიანი ხანდაზმული მამაკაცის ბიუსტი — შესანიშნავი რეალისტური პორტრეტი მტკიცე ხასიათის გოროზი ადამიანისა. გემაზევეა აღნიშნული პიროვნების ვინაობა — ასპარუგ პიტიახში. დათარიღებულია ახ.წ. I ს. ბოლო წლებით (ტაბ. IV,9) [ლორთქიფანიძე მ. 1969: 132-133, სურ. 57, ტაბ. IX,122].

IV ს-ის მახლობელ აღმოსავლეთში ისეთი ვითარება იქმნება, რომ ოდესღაც ძლიერი რომის იმპერია, თანდათან კარგავს თავის ყოფილ პოზიციებს, ხოლო სახელმწიფო — სასანური ირანი ჯერ მხოლოდ აღზევების გზაზეა. ამ ორ სახელმწიფოს შორის გაუთავებელი ბრძოლის შედეგად მოშლილია საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალები, საგრძნობლად შეფერხებულია სავაჭრი-ეკონომიკური და კულტურული კავშირები [იხ. ჭილაშვილი 1970: 27; გამსახურდია 1973:121]. ამავე დროს, IVს-ში მნიშვნელოვნად იკლებს გემების რაოდენობა, მრავლდება მინისა და ქვის სადათვლიანი სამკაულები. მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილ გემებს შორისაც აღარ გვხვდება მაღალი მხატვრული ოსტატობით შექმნილი გლიპტიკური ნახელავი. ერთადერთი მიმართულება გლიპტიკური ხელოვნებისა,

რომელმაც ასე თუ ისე შეინარჩუნა თავისი მხატვრული სახე, არის პორტრეტული ხელოვნება [იხ. Неверов 1983: 130-131].

IV ს-ში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შედეგად საუკუნის მინურულსათვის იბერიის ხელოვნებაში შეიმჩნევა დაუცხრომელი ძიება ახალი, თვითმყოფადი ფორმების შექმნისთვის. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა ოქრომჭედლობაში, მინის ჭურჭლის ფორმებში [იხ. ლომთათიძე 1973: 192, 220, 231] და გარკვეულწილად გლიპტიკაშიც. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა პორტრეტული გემები: ოქროს ბეჭედში ჩასმული გრანატის ინტალიო *არმაზისხევიდან*, რომლის პირზე გამოსახულია წვერიანი მამაკაცის ბიუსტი, შემკული საყურითა და ყელსაბამით (ტაბ. V,1). ბეჭედი IV ს-ის სამარხში არის აღმოჩენილი [აფაქიძე და სხვ. 1955: 112-113, 116; ჯავახიშვილი 2009-10: 177]. ეს გამოსახულება ძალიან ჰგავს პარიზში, ნაციონალური ბიბლიოთეკის მედლების კაბინეტში დაცულ სარდონიქსის პორტრეტულ ინტალიოს (ტაბ. V,2) [იხ. ჯავახიშვილი 2008: 49-54, სურ.1-4; ჯავახიშვილი 2009-10: 174-181, სურ. 1-4].

სოხუმის გარეუბანში, მდ. კელასურთან აღმოჩნდა მინის თვლებით შემკულ ოქროს მედალიონში ჩასმული სარდონის ინტალიო, რომლის პირზე გამოსახულია სამი ადამიანის პორტრეტული ბიუსტი [Кинжалов 1960: 98-104]; ნივთი ინახება ერმიტაჟის აღმოსავლეთის განყოფილებაში. ინვ. №ჭ-1170. ცენტრში წარმოდგენილია ყმანვილი კაცის ბიუსტი პირდაპირ. მარჯვნივ გამოსახულია შუახნის წვერ-ულვაშიანი მამაკაცი პროფილში; მარცხნივ, აგრეთვე პროფილში შუა ხნის მანდილოსნის ბიუსტი, გამოსახულების ირგვლივ თავისუფალ არეზე ბერძნული ანბანით შესრულებულ წარწერა გვამცნობს მათ სახელებს. მიაჩნიათ, რომ ეს არის გაბერძნულებული ირანული სახელები [იხ. ყაუხჩიშვილი 1990: 13]. გამოსახულება შესრულებულია ძალიან რელიეფურად, მკაფიოდ. დიდი ოსტატობით არ გამოირჩევა. გემის შემსრულებელი კარგად იცნობდა ანტიკურ გლიპტიკას, მაგრამ მისდევდა სხვა (არა პართული და არა სასანური) ხელოვნების ტრადიციებს [იხ. Кинжалов 1960: 100]. პერსონაჟთა პორტრეტების განლაგების, ბიუსტების სიმალლისა და ფორმის, სამოსისა და მედალიონის მიხედვით გემა III-IV სს-ით არის დათარიღებული და საქართველოს ადგილობრივ ნახელავად არის მიჩნეული [იხ. Кинжалов 1960: 103].

IV ს-ში საქართველოში (ძირითადად აღმოსავლეთ ნაწილში) უკვე ჩნდება მცირე რაოდენობით სასანური გემები. V ს-ის II ნახევრიდან იწყება მათი საყოველთაო მოზღვაება [იხ. ჯავახიშვილი 1975: 36-37; რამიშვილი ქ.ი. 1979: 18]. იმ მცირერიცხოვანი გემების მიხედვით, რომლებიც IV ს-ის სამკაულებს ამშვენებს, კარგად ჩანს, თუ როგორ შეენაცვლა სასანური გლიპტიკის ძეგლები რომაულებს. IVს-ის ბოლო წლებით კარგად დათარიღებულ ე.წ. მაღალთვალბუდიან მხრებდაკუთხულ ბეჭდების ნაწილში კვლავ რომაული გემებია ჩასმული (ტაბ. I,22; IV,3), ხოლო ნაწილში, მათ შორის IV ს-ით კარგად დათარიღებულ ერთ მედალიონშიც [რამიშვილი ქ.ი. 1979: 57-59, ტაბ. IX,1), უკვე სასანური გლიპტიკის ნიმუშებია (ტაბ. V,5) [რამიშვილი ქ.ი. 1979: 57-59, აღწ.1, ტაბ. I,1; აღწ. 2,3, გვ.59-60, ტაბ. I,2,3, ტაბ. IX, 2,3]. ყველაზე დიდი რაოდენობით სასანური გემები აღმოჩენილია მცხეთაში [Захаров 1928: 245-257, ტაბ. I,10-26; ტაბ. II, 27-65, ტაბ. III, 66-106; Максимова 1950: 264-274, ტაბ. III,67-95; ლორთქიფანიძე მ. 1954: 36-63, სურ.8-15, ფერ. ტაბ. IV-VIII, ტაბ IV-VI] და *არმაზისხევის* ღარიბულ სამარხებში [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1954:80-97, სურ. 63-79, ტაბ. IV,31,-VIII, ტაბ. VII-VIII, 42-44, 46, 53; რამიშვილი ქ.ი. 1979:3-158, ტაბ. I-XV]. სასანური გემების აღმოჩენის პუნქტებია: *კარსნისხევი, თელოვანი, ვაშლიჯვარი, რუსთავი, მაგრანეთი, ახალციხე, ყოლოთო, ჯინისი, კაჭრეთი* [რამიშვილი ქ.ი. 1979: 4], *ქვემო ალევნი* [აფხაზავა 1988: 103, ტაბ. XXXV]. ერთეულები არის დასავლეთ საქართველოშიც (მაგ. *მოღინახე*) [ნადირაძე 1975: სურ.21]; კორბოული — გ.კ. № 182.

სასანური გემები ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. არის მთლიანი ქვის (სარდონი, აქატი, ქალცედონი) საბეჭდავები სხვადასხვა ფორმისა: ელიფსისებური (ტაბ. I, 23), აქვს ნახვრეტი თასმისათვის, პირი წაკვეთილ მხარეზეა. ზოგ შემთხვევაში ზურგის მხარე ორნამენტირებულია; წაკვეთილი სფეროს ფორმისა (ტაბ. I, 24). პირი ზოგჯერ მრგვალია, ზოგჯერ ოვალური [რამიშვილი ქ.ი. 1979: 41, ტაბ. XIII, 21, 47, ტაბ. XV,7]; ლითონის

(ვერცხლი, ბრინჯაო) გვერდებშებრტყელებული სფეროს ფორმისა [რამიშვილი ქ.ი. 1979:41-42, ტაბ.XV,10]; ქარვისა (ქვემო ალევია, გლიპტ.კაბ. ინვ.№1633,1654); ე.წ. გუმბათისებური [ჯავახიშვილი 1972: ტაბ.IXა]; თითზე სატარებელი ბეჭდები: მთლიანი ქვისა (ტაბ. I,25), რომელთა ცალ მხარეს წაკვეთილი ნაწილი წარმოადგენს საბეჭდავ პირს [რამიშვილი ქ.ი. 1979:41, ტაბ. XIII,50,83, ტაბ. XV,9] და სხვადასხვა ლითონის (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) თითზე სატარებელი ბეჭდები თვალბუდეში ჩასმული გემებით (ტაბ. I, 26,27) — უკლებლივ ყველა ინტალიოები. გემები არის უმეტესად ლაჟვარდისა, არის სარდიონისა და, საკმაოდ ხშირად, სხვადასხვა ფერის მინისა. გვხვდება მცირე რაოდენობის ლითონის ფარაკიანი ბეჭდებიც [რამიშვილი ქ.ი. 1979: 47, ტაბ. IX,10,11].

საქართველოში გავრცელებულ სასანური გლიპტიკის ძეგლებში ასახულია ამ ჯგუფის გემებისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა სიუჟეტი. ამასთანავე, ირანის ტერიტორიაზე და მისგან საკმაოდ დაშორებულ პუნქტებშიც გლიპტიკური მასალა როგორც ფორმით, ისე გამოსახულებათა თემატიკით და სტილით სავსებით ერთგვაროვანია [იხ. Борисов და სხვ. 1963: 29]. ისევე, როგორც საერთოდ სასანური ხელოვნება, გემათა სიუჟეტებიც მკაცრად კანონიზირებულია. ამასთანავე, საკმაოდ ხშირად მეორდება არა მარტო ერთი და იგივე სიუჟეტები, არამედ გამოსახულებათა იკონოგრაფიული დეტალებიც. სასანური გემების გამოსახულებათა უმეტესობა სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებდა და დაკავშირებული იყო ირანის უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან და ასტრალურ კულტებთან. ამდენად, დასაშვებად მიაჩნიათ, რომ ისინი “ავესტას” ილუსტრაციას წარმოადგენს [იხ. რამიშვილი ქ.ი. 1979: 23]. ხშირად ერთი და იგივე გამოსახულებას სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მაგ. მზის ღვთაება გამოისახებოდა საკურთხევლის (ტაბ.V,13) (გ.კ. ინვ. №1660,1678,1679), ახურამაზდას ბიუსტის, არნივის, ლომის (ტაბ. V,14) , მთვარის ღვთაება — ხარის (ტაბ. V,10), გოპატშაჰის (ტაბ. V,18), თხის, ცხვრის და სხვ.; გამარჯვების ღვთაება რეთრაგნა — ცხენოსნის(ტაბ. V,6), ცხენის (ტაბ. V,25) და სხვ.; ქალღმერთ ანაჰიტას უკავშირდება ლოტოსის ყვავილი (ტაბ. V,11, 12, 28). ირანულ რელიგიურ სიუჟეტებს დამატება შუამდინარეთის უძველესი თემა — გმირის ბრძოლა ლომთან(ტაბ. V,22), ხოლო ანტიკური სამყაროდან — ფრთოსანი სეროში — ანტიკური ეროტი (ტაბ. V,23), ფრთოსანი რაში — პეგასი, კაცი ხელში ქისითა და მოსასხამით – ჰერმესის გამომძახილი (ტაბ. V,15) [იხ. რამიშვილი ქ.ი. 1979].

საინტერესო პორტრეტული გემა ამშვენებს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ოქროს მოთვალულ მედალიონს (ტაბ. V,5). ეს პორტრეტი განსხვავდება სასანური ოფიციალური პორტრეტისაგან თმისვარცხნილობით, ასევე იმით, რომ არა აქვს თავსაბურავი და სხვა ინსიგნიები. ასეთი პორტრეტები არის საშუალო ფენების კუთვნილ საბეჭდავებზე, რომლებიც ოფიციალურ პორტრეტებთან ერთად არსებობენ. მკვლევარის აზრით, სამთავროს პორტრეტული გემა ერთგვარად ემსგავსება ადრებიზანტიურ მონეტებზე გამოსახულ იმპერატორთა პორტრეტებს. გემა დათარიღებულია III ს. მეორე ნახევრითა და IV ს. დასაწყისი ხანით [იხ. რამიშვილი ქ.ი. 1979: 24-25].

თბილისში, *ერეკლეს მოედანზე* აღმოჩნდა ელიფსისებური ფორმის აქატის საბეჭდავი მამაკაცის პორტრეტული გამოსახულებით. მხრები პირდაპირ არის წარმოდგენილი, თავი — პროფილში მარჯვნივ, მოკლე თმა სწორი პარალელური ხაზებით არის გადმოცემული. შუბლს ტეხილი ხაზებით გადმოცემული დიადემა უმკობს. სწორი ირიბი ხაზები მოკლე წვერს გამოსახავს. მკერდზე ვერტიკალური და ჰორიზონტული ხაზებით გამოსახულია სამოსი. მორკალული ღარი მკაფიოდ გამოსახავს სამოსის გულისპირს. პორტრეტის მარჯვნივ და მარცხნივ მცენარის ტოტებია გამოსახული (ტაბ. V,27). გემა V ს-ით არის დათარიღებული [იხ. რამიშვილი ქ.ი. 1979: 22, 74, ტაბ. II,22]. პორტრეტია გამოსახული სოფ. *საძეგურში* კობათის ეკლესიაში აღმოჩენილ ელიფსოიდური ფორმის აქატის საბეჭდავზე. საბეჭდავის ზურგის მხარე ორნამენტირებულია (გ.კ. ინვ.№1688). სწორ პირზე გამოსახულია მამაკაცის პორტრეტი პროფილში. მამაკაცს თავს სადა დიადემა უმკობს. მისი თმა და სამოსი სწორი პარალელური ხაზებით არის გადმოცემული: თავისუფალ არეზე სამი პატარა ჯვარია გამოსახული. ვფიქრობთ, საბეჭდავი V-VI სს-ით უნდა დათარიღდეს.

სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ მასალებს შორის არის სარდიონის გემა-ინტალიო, რომლის პირზე გამოსახულია მამაკაცის პორტრეტი (ტაბ. V,7) მხრებით პირდაპირ, თავით პროფილში მარჯვნივ. სწორი პარალელური ხაზებით გამოსახულია მამაკაცის თმა, წვერი — ერთი მსხვილი ხაზით, ჰორიზონტული და ვერტიკალური ხაზებით — სამოსი. ყურს დიდი ზომის საყურე უმშვენებს. გემა სასანურ გლიპტიკაში გვიან გავრცელებულ ე.წ. შტრიხულ მანერაში არის შესრულებული [რამიშვილი ქ.ი. 1979: 28, 103, ტაბ.V, 53].

საერთოდ, სასანური ხანის პორტრეტები ძალიან განზოგადებულია და მოკლებული ყოველგვარ ინდივიდუალობას. სასანიანთა ოსტატები არც ცდილობდნენ გადმოეცათ ცალკეული პერსონაჟების ინდივიდუალური თვისებები. მათთვის მთავარი იყო კანონიკური პოზები და ინვესტიტურის ნიშნები [Лукошин 1969: 21]. ისევე, როგორც საერთოდ, საქართველოში აღმოჩენილ სასანური გლიპტიკის ძეგლებზეც მრავლად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ფრინველები (ტაბ. V,3,4), ცხოველები და სტილიზებული მცენარეები (ტაბ. V,11,12,28). შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი შესრულების მხრივ დახვეწილობით არ გამოირჩევა, მაგრამ მთლიანად გამოსახულებები მოხდენილია და მომხიბლავი. მაგ. გარეული ვირის გამოსახულება (ტაბ. V,16) სარდიონის საბეჭდავზე, დათვისა — ლაჟვარდის გემაზე (ტაბ. V,21), ზებუსა და ლომის ბრძოლა (ტაბ. V,24) — აქატის საბეჭდავზე, წერო (ტაბ. V,4) — გრანატის ინტალიოზე და სხვ. [იხ. რამიშვილი ქ.ი. 1979: 35, კატ. № 15, 23, 24, 28]. სასანურ ხელოვნებაში, მათ შორის გლიპტიკურ ძეგლებში ყველაზე გავრცელებული სიუჟეტია ე.წ. მონოგრამები [იხ. Борисов და სხვ. 1963: 42-45]. გემები ასეთი ნიშნებით საქართველოშიც არის აღმოჩენილი (მაგ. სამთავროში (ტაბ. V,30), ურბნისში (ტაბ. V,29), არმაზისხევში, მაგრანეთში).

ახ.წ. III-IV სს-ში ქართლში რომაულ გემებს შორის გვხვდება გემები ადრექრისტიანული სიმბოლოებით. არის რამდენიმე ინტალიო (*სამთავრო*, *სვეტიცხოველი* (ტაბ. V,31,32), *ჟინვალის* სამაროვანი) სავსებით ერთნაირი სიუჟეტით — შუაში ჯვარი (რომელიც ღუზადაც აღიქმება) და მის ორივე მხარეს თითო თევზი [სურგულაძე და სხვ. 1981: 741-742, სურ1,2]. ბეჭდის ფორმის მიხედვით სამთავროს გემა IIIს-ით არის დათარიღებული. *ჟინვალის* ბეჭედი III-IV სს-სა უნდა იყოს. ასეთი სიუჟეტი საყოველთაოდ გავრცელებული იყო ადრექრისტიანულ გემებზე; საკმაოდ მრავლად გვხვდება ქრისტიანული მონოგრამებიც (ე.წ. ქრიზმები) ერწოში, მაგრანეთში (III-IVსს), სამთავროსა (ტაბ. V,34) (VI ს) და ქვემო ალვეის სამაროვანზე. გარდა ამისა, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი ქრისტიანული შინაარსის ბერძნული წარწერით (IV-V სს) (ტაბ. V,33). არის ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდების პატარა ჯგუფი ქრისტიანული სიუჟეტებით, აღმოჩენილი *ქვემო ალვეის* სამაროვანზე. მცირე ზომის ორი ბეჭდის მრგვალ ფარაკზე გამოსახულია ერთი და იგივე გამოსახულება: ორი ნიმიბიანი წმინდანის ზევით გამოსახული ჯვარი (გ.კ. ინვ. №1683, 1691; ინვ. №1682).

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ გლიპტიკური ძეგლები, რომლებიც ფართედ იყო გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე როგორც მოსახლეობის მაღალი, ისე დაბალი წრის წარმომადგენლებს შორის, საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ გემებს ავგაროვებდა და სამკაულად ხმარობდნენ, მათ დიდი პრაქტიკული გამოყენებაც ჰქონდა. ამის დასტურია მრავალრიცხოვანი ბულები სხვადასხვა პერიოდისა და კულტურული კუთვნილების საბეჭდავთა ანაბეჭდებით.

ტაბ. აღწერილობა: I. 1. უფლისციხე; 2. ხოვლე; 3. ხოვლე; 4. ხოვლე; 5. ვანი; 6. მცხეთა-სამთავრო; 7. ვანი; 8. ვანი; 9. ვანი; 10. სვანეთი, ლარილარი. 11. ვანი; 12. რაჭა. ჯოისუბანი; 13. ჯიმიტი; 14. ბაიათხევი; 15. ბრინჯაოს ოთხკუთხა საბეჭდავი [ჯავახიშვილი 1997: ტაბ. I]; 16. ბრინჯაოს სამკუთხა საბეჭდავი [ჯავახიშვილი 1997: ტაბ. II, B]; 17. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972: სურ.11]; 18. ურბნისი; 19. ურბნისი; 20. ურბნისი; 21. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972: სურ.9]; 22. არმაზისხევი; 23. მცხეთა-სამთავრო; 24. მცხეთა-სამთავრო; 25. მცხეთა-სამთავრო; 26. ქვემო ალვეი; 27. ქვემო ალვეი; 28. მცხეთა-სამთავრო; 29. მცხეთა-

სამთავრო; 30. მცხეთა (სვეტიცხოველი) [სურგულაძე, ბიბილური, ძნელაძე 1981: სურ.1]; 31. მცხეთა-სამთავრო; 32. სოფ. დარჩეთი (გურჯაანის მუნიცი.).

II.1. ხოვლე; 2. უფლისციხე (ყათლანახევი); 3. საფარ-ხარაბა; 4. ხოვლე; 5. ხოვლე; 6. ხოვლე; 7, 8. ვანი [ლორთქიფანიძე მ. 1975, სურ. 20,22]; 9. ვანი; 10. ფიჭვნარი; 11. ვანი; 12. ვანი; 13. ვანი; 14. კამარახევი; 15. ყოლოთო; 16-19. (28). აწყური; 20. ღრმახევისთავი; 21. ახალგორი; 22. ყანჩაეთი; 23. ტახტიძირი; 24. რაჭა. ჯოისუბანი; 25. ბაიათხევი; 26. ვანი; 27. ბატნაოხორუ; 29-31. ვანი; 32. ვანი; 33. ბატნაოხორუ; 34. თრიალეთი; 35. ვანი; 36-38. სვანეთი, ლარილარი [ჩართოლანი 1968: ტაბ. III,11]; 39. ვანი; 40. საირხე [მახარაძე, წერეთელი სურ.24]; 41. დაბლაგომი; 42. ფიჭვნარი [კახიძე ამ. ვაშაკიძე 2010, ტაბ.153,6]; 43. დაბლაგომი; 44. ფიჭვნარი; 45. ეშერა; 46. დაფნარი; 47. ბატნაოხორუ; 48. ვანი; 49. ვანი.

III.1. ყოლოთო; 2-4. ახალგორი [ლორთქიფანიძე მ. 1981: სურ.1,2,3]; 5. ყანჩაეთი; 6. სვანეთი, ლარილარი; 7. ცხინვალი, ქვიანა; 8. დედოფლის გორა; 9. ფიჭვნარი; 10. დედოფლის გორა; 11. რიყიანების ველი; 12. სვანეთი [ჯავახიშვილი 2008ბ: ტაბ.77,5]; 13. მცხეთა-სამთავრო; 14. კლდეეთი; 15. რიყიანების ველი; 16. მარგანეთი; 17. ბორი; 18. სვანეთი [ჯავახიშვილი 2008ბ: ტაბ.77,5]; 19. ბოლნისის მუნიციპ. [ჯავახიშვილი 2009: ტაბ. I, 13]; 20. ჯიმიტი; 21. ლოჭინი; 22. ნალკა, ნერონ-დერესი; 23. არკნეთი; 24. არკნეთი; 25. არკნეთი; 26. კავთისხევი; 27. სამთავისი; 28. სოფ. შრომა, გურჯაანის მუნიციპ.; 29. საირხე; 30. ურბნისი; 31. სოფ. შრომა გურჯაანის მუნიციპ.; 32. თეთრინყაროს მუნიცი. [ჯავახიშვილი 1997: ტაბ. II,10]; 33. როქი; 34. ციხიაგორა.

IV.1. არმაზისხევი; 2. არმაზისხევი; 3. არმაზისხევი; 4. მცხეთა-სამთავრო [ჯავახიშვილი 2008 ბ: ტაბ.78,21]; 5. ურბნისი; 6. არმაზისხევი; 7. არმაზისხევი; 8. არმაზისხევი; 9. არმაზისხევი; 10. ზღუდერი; 11. წილკანი; 12. ჟინვალი, არაგვისპირი; 13. კლდეეთი; 14. ურბნისი; 15. ურბნისი; 16. კლდეეთი; 17. ურბნისი; 18. ზღუდერი; 19. არმაზისხევი; 20. ურბნისი; 21. კლდეეთი; 22. ურბნისი; 23. ზღუდერი; 24. ურბნისი; 25. ურბნისი; 26. მცხეთა-სამთავრო [მაქსიმოვა 1950: ტაბ. I,36]; 27. ურბნისი; 28. ურბნისი; 29. ბორი; 30. მცხეთა-სამთავრო [მაქსიმოვა 1950: ტაბ. I,14]; 31. მცხეთა-სამთავრო [მშვილდაძე 2012: ტაბ. IX, 10]; 32. ურბნისი; 33. ურბნისი; 34. ურბნისი; 35. ბიჭვინთა; 36. ბიჭვინტა; 37. ბიჭვინტა [მშვილდაძე 2012: ტაბ. IX,2]; 38. ურბნისი; 39. მცხეთა-სამთავრო [მაქსიმოვა 1950: ტაბ. I,16]; 40. ურბნისი; 41. ურბნისი; 42. ურბნისი; 43. ურბნისი; 44. ბიჭვინთა; 45. ზემო-ავჭალა [ლორთქიფანიძე 1961: ტაბ. II,33].

V.1. არმაზისხევი; 2. პარიზი, მედლების კაბინეტი [ჯავახიშვილი 2009-2010: 181, სურ.3]; 3. მცხეთა-სამთავრო; 4. მცხეთა-სამთავრო; 5. მცხეთა-სამთავრო; 6. მცხეთა-სამთავრო; 7. მცხეთა-სამთავრო; 8. მცხეთა-სამთავრო; 9. მცხეთა-სამთავრო; 10. მცხეთა-სამთავრო; 11. მცხეთა-სამთავრო; 12. მცხეთა-სამთავრო; 13. კარსნისხევი; 14. მცხეთა-სამთავრო; 15. მცხეთა-სამთავრო; 16. მცხეთა-სამთავრო; 17. მცხეთა-სამთავრო; 18. მცხეთა-სამთავრო; 19. მცხეთა-სამთავრო; 20. სოფ. ტბისი (ალგეთის ხეობა); 21. მცხეთა-სამთავრო; 22. მცხეთა-სამთავრო; 23. მცხეთა-სამთავრო; 24. ახალციხე; 25. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979: ტაბ. I-IV]; 26. არმაზისხევი; 27. თბილისი (ერეკლეს მოედანი); 28. სამთავრო; 29. ურბნისი; 30. მცხეთა-სამთავრო [მაქსიმოვა 1950: ტაბ. III, 78]; 31. მცხეთა (სვეტიცხოველთან); 32. მცხეთა-სამთავრო; 33. მცხეთა-სამთავრო; 34. მცხეთა-სამთავრო; 35. სოფ. დარჩეთი (გურჯაანის მუნიცი.) [მამაიაშვილი, ჯავახიშვილი 2006, ტაბ. I, 3]; 36. ქვემო ალევი; 37. ქვემო ალევი [აფხაზავა 1988: ტაბ. XXXV,26].

VI. **კამეო:** 1. ახალდაბა; 2. ზღუდერი [ჯავახიშვილი, ნემსაძე 1982: ტაბ. VIII, 4]; 3. ბაგინეთი; 4. არმაზისხევი; 5. არმაზისხევი [ლორთქიფანიძე 1958: ტაბ. I,6]; 6. ბიჭვინთა [მშვილდაძე 2012: ტაბ. VIII,5]. **ბულა:** 7-9. ციხიაგორა [მათიაშვილი 2005. ტაბ. 4,2,1; ტაბ. 3,2]; 10-18. დედოფლის გორა; 19,20. ურბნისი [ჯავახიშვილი 1982ა, ტაბ. VII,1,2]. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



შრომის იარაღები

მ. კვაჭაძე, გ. გამყრელიძე

საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული შრომის იარაღები მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შეესაბამება; გვხვდება მინათმოქმედების, ხე-ტყის დასამუშავებელი, სამშენებლო, საყოფაცხოვრებო, საფეიქრო და სამჭედლო იარაღები; აგრეთვე ბორბლიანი ტრანსპორტი. სამხრეთ კავკასიაში რკინის წარმოების საწყის ეტაპზე რკინისგან დამზადებული შრომის იარაღების უმეტესი სახეობები ბრინჯაოს იარაღის ფორმას იმეორებს. ამ ეპოქაში ბრინჯაოსა და რკინის იარაღები თანაარსებობენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა რკინისგან დამზადებული იარაღის უპირატესობა, ბრინჯაოს იარაღი თანდათან გამოვიდა ხმარებიდან და ანტიკური ხანიდან ძირითადად რკინისგან დამზადებული შრომის იარაღი გვხვდება.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურად მოპოვებული და შემორჩენილი შრომის იარაღებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი არტეფაქტია **ცული**. ცულებში ტიპოლოგიურად რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა (იხ. სურ. 1, 2):

I.-ში ერთიანდება სწორტანიანი ცულები, რომელსაც აქვს ვიწრო პირი. ამ ტიპის ცულს ყუიდან პირზე გადასვლის ადგილზე ტარის გასაკეთებლად აქვს წრიული ხვრელი. ისინი პროპორციებით რკინის ცულების ყველაზე ადრეულ სახეობას განეკუთვნებიან და ყველაზე მეტად ჰგვანან ბრინჯაოს ცულებს. ასეთი ცულები აღმოჩენილია *წითელი შუქურას* სამაროვანზე, ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი - ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი (1ც.) [Трапш 1970: 78-162; კვიციანი 1982: 25]; *ერგეტას* კოლექტიური სამარხებში [Mikeladze 1995; პაპუაშვილი 1998: 43-57]; *თლიას* სამაროვანზე, ძვ.წ. VII-V სს [ფანცხავა 1982]; *ნაცარგორას* სამაროვანზე, ძვ.წ. VIII-VI სს [Рашишвили 1997].

II. ჯგუფში შედის სატარესთან შევიწროვებული ცული, რომელსაც აქვს შედარებით ფართო პირი და გამოკვეთილი, ოდნავ წამახვილებული ან ბრტყელი ყუა, ხოლო სატარე ხვრელი ოვალური ფორმის აქვს. ამ ტიპის ცულები აღმოჩნდა: *ყულანურხვას* სამაროვანზე, ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი - ძვ.წ. VI ს (7ც.) [Трапш 1970: 23]; *ურეკის* სამაროვანზე, ძვ.წ. VII-VI, (3ც.) [მიქელაძე 1985: 33-34]; *ბრილის* სამაროვანზე, ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი - ძვ.წ. VI ს. (15ც.) [კობეჯიშვილი 1952: 50-52]; *მუხურჩას* სამაროვანის II ჯგუფში, ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი - ძვ.წ. VI ს., 1ც. [Гогодзе 1984: 28-55]; *ნარეკვავის* სამაროვანი, ძვ.წ. VII-VI სს., 1 ც. [ოქროპირიძე 1995]; *მცხეთიჯვრის* სამაროვანი, ძვ.წ. VII ს., 1 ც. [დავითაშვილი 1998: 106-107]; *სამთავროს* სამაროვანი, ძვ.წ. VII-VI სს., 5ც. [აბრამიშვილი 1957]. *სამთავროში* აღმოჩენილ ცულებში განსაკუთრებით გამოირჩევა ვიწრო მოხრილტანიანი ბრტყელყუიანი ცულები, რომელთა სამუშაო პირი ბოლოსკენ ფართოვდება.

III. ჯგუფში გაერთიანებული წელში გამოყვანილი ცულები, რომლებსაც აქვთ დაკუთხული ყუა და ოდნავ ფართო პირი. ამ ჯგუფის ცულები აღმოჩენილია *მუხურჩას* სამაროვანის II ჯგუფის სამარხებში, ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი - ძვ.წ. VI ს., 1ც. [Гогодзе 1984: 28-55]; *პალური* სამაროვანზე, ძვ.წ. VII - ძვ.წ. V ს., 3 ც. [აბრამიძე 1998]; *ფიჩორის* სამაროვანზე, ძვ.წ. VII-VI სს., 1ც. [Барамидзе 1985: 28-30]; *დღვაბას* სამაროვანზე, ძვ.წ. VII ს-ის ბოლო ეტაპი, 1ც. [Микеладзе და სხვ. 1995: 39-43]; *საირხეში*, *საბადურის* გორის ფენაში, ძვ.წ. VII-VI სს., 1ც. [მახარაძე 1991]; *თლიას* სამაროვანზე, ძვ.წ. VII-VI სს., 19ც. [Техов 1981]; *გუადიხუს* სამაროვანზე, ძვ.წ. VI-IV სს [კვიციანი 1982]; *სოხუმის მთის* სამაროვანის, II ფენის სამარხებში, ძვ.წ. V-II სს [კალანდაძე 1954.]; *დაფნარის* სამაროვანზე, ძვ.წ. V-IV სს. [Кигურაძე 1976]; *მერხეულის* სამაროვანზე [აბრამიძე 1977]; *ბიჭვინთის* ნაქალაქარზე, III-IV სს. [აფაქიძე 1978; თოდუა 1992]; *აჭარაჭუს* სამაროვანზე, II-V სს [Трапш 1971: 23]; *აზანთისა* და *აპუშთას* სამაროვანებზე, IV-VI სს, 3ც. მსგავსი ფორმის მოზრდილი ცულები ძირითადად ტყის გასაკაფად გამოიყენებოდა, ხოლო მომცრო ზომის ცულები, რომლებსაც ე.წ. ჩაქურჩისებური ყუა ჰქონდა, სადურგლო საქმეში იხმარებოდა [იხ. Артилаква 1976: 47].

IV. ჯგუფში შედის წელში მკვეთრად გამოყვანილი ცული, რომელსაც ფართო სამუშაო პირი და გრძელი ყუა აქვს. ასეთი ცული აღმოჩენილია *ვანში*, *ახვლედიანების* გორაზე, ელნისტური ეპოქის ფენაში, 1ც. [ლორთქიფანიძე გ. 1976: 182]. არ არის გამორიცხული, რომ ამ სახეობის ცულს საომარ დანიშნულებაც ჰქონდა.

V. ჯგუფში შედის წელში გამოყვანილი ცული, რომელსაც ფართო სამუშაო პირი და ასევე მკვეთრად გამოყვანილი, მრგვალი ფორმის ბრტყელი ან ოდნავ ამობურცული ყუა აქვს. აღმოჩენილია *სოხუმის მთის* სამაროვანზე, ძვ.წ.V-II სს, 7ც. [იხ. კალანდაძე 1954].

VI. ჯგუფში შედის სწორტანიანი, ოდნავ განიერი პირიანი და მართკუთხაყუიანი ცული, რომელიც აღმოჩენილია *ეშერის* სამაროვანზე, ძვ.წ.III-II სს, 3ც. [იხ. Шамба 1980].

VII. ჯგუფში ერთიანდება ე.წ. *ნებელდური* ცულები, რომლებსაც აქვს ძლიერ შეზნექილი ტანი, ფართო სამუშაო პირი და მილისებური ყუა. აღმოჩნდა *ნებელდის* სამაროვანებზე, II-V სს. 20 ც. [იხ. Трапш 1971; Шамба 1970]; ლარის სამაროვანზე, IV-VI სს, 1ც. [Воронов 1982]; *ოლინსკოეს* სამაროვანი, III-IV სს 1ც. [გძელიშვილი 1947: 67-75]; *ბიჭვინთის* ნაქალაქარზე III-IV სს 1ც. [ავაქიძე 1978; თოდუა 1992]; *ვარდციხის* ნაქალაქარზე, IV-VI სს. [ჯაფარიძე 1989: 106-108] და სხვ. ასეთი ცულები თავდაპირველად *ნებელდის* სამაროვანებზე აღმოჩნდა და სახელწოდებაც აქედან მიიღო; შემდგომი კვლევების შედეგად ამ ტიპის ცულები აღმოჩნდა კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე [დანვრ. იხ. ჯაფარიძე 1979].

VIII. ჯგუფში ერთიანდება ცულები, რომლებსაც აქვს მოხრილი ტანი, მოგრძო პირი, ხოლო ყუა ბრტყელი ან ნახევარსფეროსებურად ამობურცული. ამ ტიპის ცულები აღმოჩენილია *ნაცარგორას* მრავალფენიან სამაროვანზე, თარიღდება ძვ.წ. V-III სს-ით.

სამუშაო იარაღების დიდ ჯგუფს წარმოადგენს **თოხები** (იხ. სურ. 6). მათ შორის გამოიყოფა 7 სახეობა: I. ჯგუფში ერთიანდება ფართო სამუშაოპირიანი, ნახევარწრიულად მხრებგაშლილი ან მხრებდაშვებული და გამოკვეთილყუიანი თოხები. ასეთი თოხები აღმოჩნდა *ურეკის* სამაროვანზე, ძვ.წ. VII-VI, 5ც.; *ნიგვზიანის* სამაროვანზე, ძვ.წ. VII-VI, 75ც. [მიქელაძე 1985: 73-85]; *მუხურჩას* სამაროვანზე, ძვ.წ. VII-VI ს., 3ც. [Горадзе 1984: 28-55]; *პალურის* სამაროვანზე, ძვ.წ. VIII-VII ს., 2ც. [ბარამიძე 1998.]; *ერგეტა I-IV* სამარ-ორმოებში, ძვ.წ. VII-VI სს., 160ც. [პაპუაშვილი 1998: 43-57]; *დღვაბას* სამაროვანზე, ძვ.წ. VII ს., 1ც. [Микеладзе და სხვ. 1992: 42, ტაბ. 55]; *ძვერში*, *კორტების* გორის ნამოსახლარზე, ძვ.წ. VII-VI სს., 1ც. [ბრაგვაძე 2016: 134, ტაბ. VI, 1]. როგორც ჩანს თოხის ეს სახეობა კოლხეთის ადრერკინის ხანის ძეგლების უდიდეს ნაწილზეა აღმოჩენილი.

II. ჯგუფში შედის ფართო პირიანი და მხრებდაშვებული თოხები, რომლებსაც გამოკვეთილი ყუა და მოხრილი ტანი აქვს. ეს თოხები აღმოჩნდა *ქვედა საზანოსა*, 2ც., და *ქვედა კვალითის*, 6ც., სამაროვანებზე, ორივე სამაროვანი თარიღდება ძვ.წ. VII-VI სს-ით [კვიციანიძე, ლამბაშიძე 1985: 56-68].

III. ჯგუფში შედის ფართო სამუშაოპირიანი და ვიწროყელიანი თოხი, რომელსაც ოთხკუთხა ყუა აქვს. ამ სახეობის თოხები აღმოჩენილია საირხეში, *საბადურის* გორის II ფენაში, ძვ.წ. VII-VI სს. და *წყაროსთავის* გორის, II ფენაში, ძვ.წ. III-II სს. 2ც.; *ჯიეთის* ნამოსახლარის რკინის სანარმოო უბანზე, IV ფენაში და *ქვედა საზანოში*, ძვ.წ. VIII-VII ს., 1ც. [მახარაძე 1991].

IV. ჯგუფში ერთიანდება მოხრილტანიანი, ფართო სამუშაოპირიანი თოხები, რომელთაც ნახევარწრიულად გაშლილი ან ოდნავ დაშვებული მხრები აქვს. მსგავსი ფორმის თოხებს ამზადებდნენ ადრერკინის ხანაში. ისინი კოლხეთში დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ სამაროვანებზე — *ურეკი*, *ნიგვზიანი* [იხ. მიქელაძე 1985] და სხვ.

V. ჯგუფში შედის ვიწროტანიანი და ფართოპირიანი თოხები, რომელთაც მარწახისებური ყუა აქვთ, აღმოჩენილია *ბაქურციხეში* და თარიღდება ძვ.წ. VIII ს., 2ც. [აბრამიშვილი 1961: 367, ტაბ. VI, 2, XIII, 2]; აგრეთვე ნაპოვნია *აპუშთას* სამაროვანზე, თარიღდება ახ.წ. IV-VII სს-ით [ძიდიგური 2001: 27-34].

VI. ჯგუფში შედის მასრაგახსნილი თოხი, რომელსაც გახსნილი მასრა ტანის შუა ნაწილამდე მიუყვება, შემდეგ სამუშაო პირის სახით ფართოვდება. ამ ტიპის თოხები აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარზე, ძვ.წ. II ს. ფენაში, 1ც. [ლორთქიფანიძე გ. 1976: 183-185].

VII. ჯგუფში ე.წ. ჩაქურჩისებურყუიანი, ნელშიგამოყვანილი და ვინროპირიანი თოხები ერთიანდება. აღმოჩენილია აპუშტასა და ლარის სამაროვნებზე, IV-VII სს, 2ც. [Воронов 1982]; ათარას სამაროვანზე, IV-V სს, 2ც. [Гумна 1978].

საქართველოში სახენელი იარაღი ადრებრინჯაოს ხანიდან ჩნდება; თავდაპირველად ის ცხოველის რქისგან ან ხისგან მზადდებოდა. სახენელი იარაღის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა რკინის სახნისების გამოჩენამ. რკინისგან დამზადებული სხვადასხვა სახეობის სახნისი სახენელის წვერზე მაგრდებოდა და სხვადასხვა ნაირი ნიადაგის დასამუშავებლად გამოიყენებოდა. **სახნისებში** (იხ. სურ.7) გამოიყოფა 3 სახეობა: I. სწორტანიანი, მართკუთხა სამუშაოპირიანი, რომელსაც ზედა ნაწილში გახსნილი, ხოლო ქვედა ნაწილში შეკრული მასრა აქვს. II. ნელში გამოყვანილი, მორგვალეებულ სამუშაოპირიანი მასრამეკრული სახნისები. III. ე.წ. სოლისებურპირიანი მასრაგახსნილი სახნისი, რომელსაც ვინო, სოლისებური პირი აქვს.

სახნისები აღმოჩენილია ნიგვზიანის სამაროვანზე, ძვ.წ. VII-VI სს., 2ც.; №12 სამარხ ორმოში 10ც., საკულტო მოედანზე, 3ც. [იხ. მიქელაძე 1985: 73-84]; ერგეტას სამაროვნებზე, ძვ.წ. VII-VI სს., 23ც. [Микеладзе 1990: ტაბ.35], ფიჩორის სამაროვანზე, ძვ.წ. VII-VI სს., 1ც. [Барамидзе და სხვ. 1985]; დღვაბა, საკულტო მოედანი, ძვ.წ. VI ს, 1ც. [ძიძიგური 2002: 91]; სვანეთში ე.წ. შხისარის მოედანზე და ეცერის გორაზე, ძვ.წ. VI-V სს [ჩართოლანი 1996: 104, 109]; გუადიხუს ნამოსახლარზე, ძვ.წ. IV-III სს [Трапш 1969: 332]; ორი სახნისი აღმოჩნდა სოფ. ჯვარში, ძვ.წ. V-IV სს; საირხეში, წყაროსთავის გორაზე, ძვ.წ. III-III სს; ალაიანში, რიყიანების ველის სამაროვანზე, ძვ.წ. I - ახ.წ. II სს [მირიანაშვილი 1982: 18-43].

შრომის იარაღებიდან ერთ-ერთ საინტერესო არტეფაქტს წარმოადგენს ე.წ. **სეგმენტისებური** იარაღი (იხ. სურ.4), რომელიც კოლხური კულტურის დამახასიათებელი იარაღია. სეგმენტურ იარაღებში სამუშაო პირის მიხედვით სამი სახეობა გამოიყოფა: I. ტრაპეციის ფორმის, II. ჰორიზონტალურმხრებიანი და III. ე.წ. ბარისებური ფორმის. ისინი ძირითადად, ბრინჯაოსგანაა დამზადებული, ხოლო რკინის სეგმენტები III სახეობის ფორმისა გვხვდება [იხ. ძიძიგური 2000: 230-239]. სეგმენტების ფუნქციის შესახებ არაერთი მოსაზრება გამოითქვა — მას მიიჩნევენ ხის დასამუშავებელ იარაღად, ან მიწათმოქმედებაში ბარისა მსგავსად მოიხმარდნენ [იხ. ძიძიგური 1994: 74-87]. სეგმენტური იარაღი აღმოჩენილია: ურეკის, ბზვანის, ჭუბუხინჯის განძებში, რომლებიც ძვ.წ. VIII-V სს-ით თარიღდება [იხ. ქორიძე 1965], VII-VI სს-ით დათარიღებულ პალურის, ურეკის, ნიგვზიანის, ფიჩორის, დღვაბას, ერგეტას სამაროვნებზე [იხ. მიქელაძე 1985: 22], გუადიხუს სამაროვანზე, ძვ.წ. VI-II სს [Трапш 1969: 45-77] და სხვ.

რკინის ბრტყელი ცულები ბრინჯაოს ბრტყელი ცულების ფორმას იმეორებენ. აქვს ბრტყელი და მოგრძო ტანი, მომრგვალებული პირი და ტანის ზედა ნაწილში ე.წ. მხრები. ამ იარაღს სხვადასხვა ფუნქციას ანიჭებენ, მაგალითად, მიწის დამუშავების დროს თოხის სახით, ან სადურგლო საქმეში ეჩოს სახით მოიაზრება [იხ. ქორიძე 1969]. აღმოჩენილია: ფიჩორის, ურეკისა და თლიას სამაროვნებზე, თარიღდება ძვ.წ. VII-V სს-ით. რკინის ფართო ათვისების ეპოქიდან ბრტყელი ცულები, ისევე როგორც სეგმენტისებური იარაღი, რკინისგან მზადდებოდა და ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან ნყვეტს არსებობას. მოგვიანო პერიოდში იშვიათად ჩნდება, მაგალითად, აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ძვ.წ. I ს-ით დათარიღებულ ფენაში [Лордкипანიძე Г. 1978: ტაბ. IV, 5].

ნამგალი (სურ.10) თავთავიანი მარცვლოვანი მცენარეების მოსამკელად გამოიყენება. რკინის ნამგლების შემოსვლამდე, ენეოლითის ხანიდან კაჟის და შემდეგ ბრინჯაოს ნამგლები იხმარებოდა. რკინის ნამგლები ბრინჯაოს ნამგლების ფორმებს იმეორებს, განსხვავება მხოლოდ ზომებშია. მას აქვს მორკალური ტანი და გაფართოებული სატარე. რკინის ნამგლებს სატარეზე ნახვრეტები აქვს დატანილი. ნამგლები აღმოჩნდა ერგეტას, დღვაბასა და ნიგვზიანის სამაროვნებზე, რომლებიც ძვ.წ. VII-VI სს [მიქელაძე 1985: 78].

დანა არტიფაქტების ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება. რკინის დანები სხვადასხვა საოჯახო დანიშნულების გარდა, მინათმოქმედებაშიც გამოიყენებოდა თავთავებისა და ველური მცენარეების შესაგროვებლად. დანები იყოფა 2 სახეობად: I. სწორტანიანი [მაგ. იხ. გამყრელიძე 1982: სურ.49] და II. მოხრილტანიანი. მათ აქვთ გამოყოფილი სატარე, რომელზეც უმეტესად ნახვრეტებია გაკეთებული ტარის დასამაგრებლად; თუმცა გვხვდება დანებიც, რომლებსაც სატარეზე ნახვრეტი არ აქვს. ორივე სახეობა ერთად გვხვდება უმეტეს არქეოლოგიურ კომპლექსებში.

წერაქვი (სურ.3) მინათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღების ჯგუფში შედის. აღმოჩენილია მცირე რაოდენობით: *ბიჭვინთის* ნაქალაქარზე, თარიღდება ახ.წ. III-IV სს-ით [იხ. აფაქიძე 1975: 13; თოდუა 1992], *ნებელდის* სამაროვანზე, IV ს.; *აპუშტას* სამაროვანზე, IV-VII სს [Воронов 1982: 23].

წალღის (სურ.5) სამეურნეო დანიშნულება და ფუნქცია სხვადასვანაირია, მას იყენებენ წვრილი ხეების, ტოტების, ეკალ-ბარდების, ბუჩქნარის გასაკაფად. წალღს სასხლავის ფუნქციაც ჰქონდა. მათში ორი სახეობა გამოიყოფა: I. სწორტანიანი, თავმოკაუჭებული, გვერდით გაშვერილი სატარეხვრელიანი წალღები, რომლებიც აღმოჩენილია *სოხუმის მთაზე*, *ძიგუტასა* და *მაჭარაში*, ძვ.წ. V-III სს [იხ. კალანდაძე 1953], *ბიჭვინთის* ნაქალაქარზე მოპოვებული წალღი ახ.წ. IV ს-ით თარიღდება. II. სწორტანიანი, თავმოკაუჭებული [იხ. ძიდიგური 1994: 138-142].

კვერი (სურ.14) მარცვლეულის სალენი იარაღია და გამწვევი ძალით მომუშავე იარაღთა სახეობას მიეკუთვნება. მას აქვს თავთან წაკვეთილი სამკუთხედის ფორმა. ის შეკრულია გათლილი ფიცრებისაგან. გვხვდება ერთფიცრიანი, ორ ან სამფიცრიანი კვერი. აგებულების მიხედვით გვხვდება ოდნავ თავანუელი (ე.წ. *ნავისებური*) და ბრტყელი კვერები. კვერის ძირი ქვით ან ქვითა და რკინით (კაჟი, რკინის ნატეხები) არის მოკობილი [იხ. მურვანიძე 2010: 406-425]. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ძირითადად კვერის კოხებია აღმოჩენილი — წვეტიანი ქვები ან რკინა, რომლებიც სალენი ფიცრების ქვედა სიბრტყეზე იყო განთავსებული მარცვლეულის თავთავის დასაფშვნელად. კვერები მთლიანი სახით იშვიათადაა შემორჩენილი. მეტ-ნაკლებად მთლიანი კვერია გამოვლენილი *წალღის* ნამოსახლარზე [იხ. რამიშვილი 1999: 33]. კვერის ნაშთები და კოხის ქვები აღმოჩენილია *სამთავროს* სამაროვანზე, ძვ.წ. VII-VI სს [ჩუბინიშვილი 1951: 61-67], *ცხინვალის ქულბაქების* სამაროვანზე, ძვ.წ. VII-VI სს. [ჩუბინიშვილი 1957: 106], *ელის-ბაბას* სამაროვანზე, ძვ.წ. VII-V სს [ნარიმანიშვილი 2004: 34-56], *ნაცარგორას* სამაროვანზე, ძვ.წ. V-III სს [რამიშვილი 1999: 33], *აბულმუგის* სამაროვანზე, ძვ.წ. IV-III სს. [იხ. ძნელაძე 2001: 140-235], *ნასტაკისის* სამაროვანზე, ახ.წ. I ს. [ნარიმანიშვილი 1990: 80-110], ადრეული შუა საუკუნეების *კლდის* სამაროვანზე [ლამბაშიძე 2006: 56].

საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილ თითქმის ყველა არქეოლოგიურ ნამოსახლარზე ნაპოვნია ოვალური ფორმის **ხელსაფქვავეები** (იხ. სურ.13). *ვანის* ნაქალაქარის ძვ.წ. II-ის ფენაში აღმოჩნდა **ზეთსახდელი** (იხ. სურ.15) მონყობილობა, რომელიც ადგილობრივი ტუფის ქვისაგან არის დამზადებული და შედგება ქვის ცილინდრული კორპუსისაგან და ქვისავე საჭყლეტი დოლაბისაგან [იხ. ლორთქიფანიძე 1976: 184]. *ხერხი* (სურ.9) სადურგლო საქმიანობასთან დაკავშირებული კიდეც ერთი სახეობის იარაღია, რომელიც აღმოჩნდა *დედოფლის* გორის ნამოსახლარზე. ის დამზადებულია რკინის ბრტყელი ფირფიტისაგან; აქვს სწორი ტანი, რომელზეც შემორჩენილია თანაბრად განლაგებული სამკუთხა ფორმის 28 კბილი. თარიღდება ძვ.წ. I – ახ.წ. II სს-ით. *დედოფლის* გორაზევე აღმოჩენილია ორი სახეობის ბარი (იხ. სურ.8). I. მორგვალეზური სამუშაო პირით; II. სამკუთხა სამუშაოპირიანი. ორივე სახეობის ბარს ტარის დასაგები მასრა გახსნილი აქვს [იხ. თოდუა 2005: 72-75].

საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილ არქეოლოგიურ ძეგლებზე მრავლადაა აღმოჩენილი მეთევზეობასთან დაკავშირებული არტიფაქტები — ანკესები; მაგალითად, ანკესი აღმოჩენილია ფოთთან *სიმაგრის* ნამოსახლარზე, რომელიც თარიღდება ძვ.წ. VI-V სს-ით, და სხვა მრავალ ძეგლზე, როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე შიდა ტერიტორიაზე.

კვირისტავი ძაფის დასართავი მარტივი იარაღია, რომელიც თითისტარის ბოლოზეა წამოსაცმელი. არქეოლოგიურ მონაპოვარში თავს იჩენს ადრე ბრინჯაოს ხანიდან, დამზადებულია ქვის, ძვლისა და თიხისაგან. აღმოჩენილია როგორც წამოსახლარებზე, ასევე სამაროვნებში.

შრომის ორგანიზებასთან დაკავშირებულია ისეთი არტეფაქტი როგორცაა **მზის საათი** (სურ.19), რომელიც აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარზე. ის ქვის მასიურ ბლოკს წარმოადგენს, რომლის ერთი ნახნაგის ჩაღრმავებულ ზედაპირზე შემორჩენილია სეგმენტურ დანაყოფებიანი სქემა, ხოლო ზედა ნაწილში დადასტურდა მცირე ღრმული ჯოხის ჩასარჭობად.

მეურნეობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ბორბალისა და შემდგომ უკვე ბორბლიანი ტრანსპორტის — საზიდარის, **ურემის** — გაჩენამ. პირველი ბორბლიანი ტრანსპორტი ძვ.წ. IV ათასწლეულში შუამდინარეთში ფიქსირდება. აქ დადასტურებულია როგორც ორბორბლიანი, აგრეთვე ოთხბორბლიანი საზიდრები. ძვ.წ. III ათასწლეულიდან საზიდრები მცირე აზიაში და კავკასიაშიც ჩნდება. ფიქრობენ, რომ ორბორბლიანი საზიდრები კავკასიიდან ევროპაში გავრცელდა და ამიტომაც — მას *კავკასიურ ურემს* უწოდებენ. კავკასიაში, კერძოდ საქართველოში ორბორბლიანი საზიდრის მცირე მოდელები სოფ. ბადაანის, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის, წამოსახლარზე აღმოჩნდა. ურემი, ტვირთის გარკვეულ მანძილზე გადასაზიდი საშვალეაა, რომელშიც გამწევ ძალად საქონელი გამოიყენება. შემდგომ, აქედან საბრძოლო ეტლი განვითარდა. ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობას სამეურნეო და სავაჭრო ურთიერთობათა აღმავლობა მოჰყვა [იხ. მირცხულავა 2000: 37-46; ჯიბლაძე 2007: 54-57; გამყრელიძე და სხვ 2018: 109] (იხ. სურ. 18).

მეცნიერები ვარუდობენ, რომ ჯერ გამწევძალიანი მარტივი სათრეველა წარმოიშვა, ხოლო შემდეგ მარხილი [ჯიბლაძე 2007: 54]. მომდევნო ეტაპზე მოხდა ბორბლის შექმნა რამაც ორი და ოთხბორბლიანი სხვადასხვანაირი ურემების ჩამოყალიბება მოყვა. ურემის დამზადებისას რელიეფ-ლანდშაპტის თავისებურებებს ითვალისწინებდნენ. ასეთი, სხვადასხვანაირი ურემები გარკვეულ გეოგრაფიულ რეგიონში სატრანსპორტო საშვალეად გამოიყენებოდა. კავკასიის რეგიონისათვის ორბორბლიანი ურემი უფრო მობილური და მოხერხებული გამოდგა [მირცხულავა 2000: 37-46]. ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობას წინ უსწრებს გამწევ ძალიანი სახნისის და უბოლო საზიდრის არსებობა. სიმძიმეთა გადასაგორებლად პირველად იყენებდნენ ხის მორებს. მერე მორი შუა მონაკვეთში გათალეს და დაანვრილეს, რის შედეგადაც ღერძი მიიღეს, რომელსაც დაბოლოებებზე წრიული საგორავებლები ანუ მასიური ბორბლები შეექმნათ. პირველად ბორბლები მასიური, მთლიანი ხისაგან მზადდებოდა, ხოლო შემდეგ უფრო მსუბუქი, სოლებიანი ბორბალი გამოიგონეს.

ორბორბლიან *კავკასიურ ურემს* უფრო სამკუთხა ფორმის ძარა აქვს, რომლის წინა მხარეც გამწევ ძალას (ხარებს) ეყრდნობა, ხოლო უკანა მხარე კი ბორბლებიან ღერძზე დგას [იხ. გეგეშიძე 1956]. ურემის ერთი ბორბალი ღერძთან ერთად ბრუნავს, ხოლო მეორე ღერძზე ბრუნავს. ამგვარი კონსტრუქციის ურემი მეტი მანევრირების საშვალეებს იძლევა და უფრო ადვილად გადაადგილდება კავკასიურ რთულ რელიეფზე. ამნაირ ურემს ადგილზე შემობრუნებაც შეუძლია. ოთხბორბლიანი, ოთხკუთხა ძარიანი, ურემისათვის კი კავკასიის რელიეფზე გადაადგილება შედარებით რთულია. ძვ.წ. III - II ათასწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე კერძოდ, *თრიალეთში*, *ბედენში*, *ზურტაკეთში*, *მატყოფში*, *სამგორში*, შიდა ქართლში და ალაზნის ველზე არქეოლოგების მიერ გათხრილ ზოგიერთ ყორღან-სამარხში მიცვალებული ოთხთვლიან ურემებზეა დაკრძალული [იხ. ჯაფარიძე 1969]. ვარაუდობენ, რომ ამგვარი ოთხთვლიანი ურემები, უფრო საკულტო-რიტუალური დანიშნულების იყო და ყოველდღიურ ყოფაში ნაკლებად გამოიყენებოდა. **ტაბ. იხ. ბოლოში.**



**ადრეაქრისტიანული და წარმართული სიმბოლიკის
ურთიერთმიმართება საქართველოში**

ქ. დიღმელაშვილი

სიმბოლო სხვადასხვა რელიგიებში, როგორც წარმართულში, ისე მონოთეისტურში, ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია და ის რელიგიური მრწამსის გამოვლინების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. სიმბოლოები კონკრეტული რელიგიის წიაღში იბადება, მაგრამ ბუნებრივია, ის შემხვედრი რელიგიური სიმბოლიკის ზეგავლენასაც განიცდის. ამ ურთიერთობების შედეგად კონკრეტულ ადგილას, კონკრეტული სიმბოლო, შესაძლოა, გარკვეული სახეცვლილებით დამკვიდრდეს. ეს ზემოქმედება განსაკუთრებით საგრძნობი ხდება ხოლმე დამხდურ და ახალი რელიგიის პირველი შეხვედრის პერიოდში. ასე იყო ქრისტიანობაშიც. მისი სიმბოლიკა იუდაურ სამყაროში დაიბადა და ამოსავალი ბიბლია იყო, ამიტომ პირველი გამოსახულებებიც გაჯერებული გახლდათ ბიბლიური ამბებით. მაგრამ, ვინაიდან ქრისტიანების რიგებს სულ უფრო მეტი წარმართი ემატებოდა და სიმბოლოები ნაკლებ გასაგები ხდებოდა ახლადმოქცეულთათვის, ბევრი რამ (რაც, ბუნებრივია, არ ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანული რელიგიის არსს) აღებულ, მაგრამ შინაარსშეცვლილად შეთვისებულ იქნა ბერძნულ-რომაული რელიგიიდან და იმ ხალხის რწმენა-წარმოდგენებიდან, სადაც პირველ საუკუნეებში ქრისტიანობა გავრცელდა. ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა, მით უფრო, რომ ქრისტიანობას აქ მძლავრი ფესვების მქონე მსოფლმხედველობის ხასიათის რელიგიური წარმოდგენები დახვდა.

საქართველოში ქრისტიანული სიმბოლიკა ერთი მხრივ დაეფუძვნა თავად ბიბლიას, რაც მოცემულია წმინდა მამათა განმარტებებში, ხოლო მეორე მხრივ, მან აიღო, შეითვისა და ქრისტიანულად „მოაქცია“ ადგილობრივი წარმართული რელიგიის სიმბოლოები. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა სწორედ იმ ქრისტიანულმა სიმბოლოებმა, რომლებიც ადგილობრივ წარმართულ სიმბოლიკაშიც მეტ-ნაკლებად იყო გავრცელებული. ამავე დროს, მათი უდიდესი უმრავლესობა გააზრებულად და ღრმა ხედვით იქნა გადმოტანილი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა სიმბოლოები თითქმის უცვლელად დამკვიდრდა, მათ მაინც გაუჩნდათ ადგილობრივი კულტურისათვის მახასიათებელი და განმსაზღვრელი დეტალები, რომლებიც ორგანულად იქნა შერწყმული და გააზრებული.

პირველი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის სიმბოლიკა საქართველოში გავრცელებას ქრისტიანობის შემოსვლის პირველივე საუკუნეებიდან იწყებს. საქართველოში გამოვლენილ ქრისტიანულ სიმბოლოთა რიცხვი საგრძნობლად დიდია და მრავალფეროვანი. ისინი დაფიქსირებულია როგორც სამარხებზე და სამარხულ ინვენტარზე (ბეჭდები, სამაჯურები, საკიდები, საყურეები, ჭურჭელი), ისე სამშენებლო ტექნიკის ნიმუშებზე (კრამიტები, ანტიფიქსები) და საკულტო ძეგლებზე (ტაძრები, სტელები). ამ სიმბოლოთა (რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ იმათ, რომელთა მიჩნევა ქრისტიანულ სიმბოლოს გამოხატულებად ეჭვს არ იწვევს) ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი III ს-ზე გადის.

საქართველოში გავრცელებული სიმბოლოები და სიმბოლური სიუჟეტები რამდენიმე ტიპად ჯგუფდება: **1.** პირველ ჯგუფში შედის ის სიმბოლოები, რომლებიც უცვლელად გადმოვიდა და გავრცელდა ქართულ სინამდვილეში. ასეთთა შორისაა ფარშევანგის, თევზის, ვაზის და მტრედის სიმბოლოები, ჯვარი და ქრისტეს მონოგრამა. ამ სიმბოლოთა ერთი ნაწილი ქრისტიანობამდეც გავრცელებული გახლდათ საქართველოში, როგორც წარმართული სიმბოლოები. მაგალითად, თევზის გამოსახულებები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან გვხვდება როგორც სკულპტურული, ისე გრაფირებული სახით. კოლხურ-იბერიულ კულტურაში მის არსებობაზე მეტყველებს კოლხური ცულების, სამთავროს ბრინჯაოს სარტყლების მორთულობები, სადაც თევზების გამოსახვა ირმების,

ხარისა და მგელ-ძალის კომპოზიციებში ხაზს უნდა უსვამდეს ნაყოფიერებისა და მინათმოქმედების კულტის, როგორც მინიერ ისე წყლისმიერ ბუნებაზე [ფანცხავა 1988: 46]. იგივე ნაყოფიერების კულტთან კავშირზე მიუთითებს თევზის საკიდების აღმოჩენა ძვ.წ. XI-V სს. ნარეკვავისა და ნიგვზიანის და ნასტაკისის ელინისტური ხანის სამარხებში [იხ. აფაქიძე 1999: 13,90,113; აფაქიძე 2000: 32,40; მიქელაძე 1985: 85-92; დიღმელაშვილი 2010: 46-48] (სურ.12).

მიუხედავად თევზის კულტის არსებობისა წარმართულ-რწმენა წარმოდგენებში, ვერ ვიტყვით, რომ მას რაიმე წინაპირობა შეექმნას ახალ ეპოქაში თევზის, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს გავრცელებისთვის, რადგან ამის უპირველესი მიზეზი მის ბერძნულ სახელწოდებას და სახარებას უკავშირდება (თევზის ბერძნული სახელი - ΙΧΘΥΣ - ქრისტიანულ რელიგიაში იქცა აბრევიატურად, რაც ნიშნავს: იესო ქრისტე ძე ღვთისა, მაცხოვარი). თევზის სიმბოლო ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ სიმბოლოდ იქცა ადრექრისტიანულ პერიოდში. მათგან განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს ორი თევზისა და ღუზის გამოსახულება, როგორც ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლოსი და ქრისტიანობასთან ზიარების გამოსახულება. ასეთი გამოსახულებები საქართველოში გლიპტიკური ნიმუშების სახითაა დადასტურებული და ყველა მათგანი II-IV სს-ის სამარხებში ფიქსირდება, რაც სრულად ემთხვევა მსგავსი გამოსახულებიანი ნივთების ქრისტიანულ სამყაროში გავრცელების პერიოდს. ორი თევზისა და ღუზის, მხოლოდ თევზების, ორი თევზის და საკურთხეველზე დადებული თევზების გამოსახულებიანი ბეჭდები, რომლებიც აღმოჩენილია *მცხეთის, ურბნისის, ყათლანისხევის* სამარხებში ხშირად წარმართულ სიმბოლოიან ნივთებთან ერთად და წარმართული წესით დაკრძალულ პიროვნებების საკურთხეველზე, მშვენივრად უთითებს, როგორ გადადიოდა წარმართობა ქრისტიანობაში [იხ. დიღმელაშვილი 2012: 26-36] (სურ.11).

იგივეს თქმა შეგვიძლია ვაზის სიმბოლოს შესახებაც, რომელიც სახარებისეული ტექსტებიდან გამომდინარე თავად უფლის გამოსახულებაა და მისი ნაყოფის გასინჯვა ევექარისტიას ნიშნავდა. ის ქრისტიანული სიმბოლიკის ის ელემენტია, რომელსაც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა გავრცელებისთვის. ქრისტიანობამ კი შესანიშნავად გამოიყენა ადგილობრივი წარმართული რწმენა-წარმოდგენების ვაზის კულტი, იმისთვის რომ მოსახლეობაში უმტკივნეულოდ დაენერგა ქრისტიანული ვაზის სიმბოლო. თავდაპირველად ვაზი ხატის საკურთხეველს წარმოადგენდა, საკულტო მცენარე იყო და ვენახიც სახატო მიწებზე უნდა გაშენებულიყო, რაზეც მიუთითებდა ერთი მხრივ მევენახეობასთან დაკავშირებული ნივთების თუ გამოსახულებების საკულტო ნივთებზე ან სათავსოებში დადასტურება და სამარხებში ყურძნის ნიპნების აღმოჩენა, მეორეს მხრივ კი ზედაშისა და მარნის კულტის არსებობა [იხ. კიკვიძე 1976: 99]. იგივეზე მეტყველებს ვაზის საკულტო მცენარეზე არსებული ეთნოგრაფიული მონაცემებიც, რომელთა თანახმადაც ვაზი ღვთის კარზე მდგომი ალვის ხეზეა შემოხვეული და სიცოცხლისა და სიუხვის ხეა, რომლის მნიფე ნაყოფი სიკვდილის დასაძლევად ძალის მატარებელია, სიცოცხლის გამახანგრძლივებელია [Бардавелиძე 1957: 57]. ამავე ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ვაზი დიდი დედა ნანას სიმბოლოა. ნანა კი მზის ღვთაება იყო. საინტერესოა, რომ ვანის, საირხის, ფიჭვნარის და სხვა ადგილებში აღმოჩენილი სხივანა საყურეები სწორედ მზისა და მტევნის გამოსახულებათა ერთობლიობაა.

ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ინფორმაცია ვაზის სიმბოლოსთან დაკავშირებით ერთი მხრივ გაგრძელებაა ამ ეთნოგრაფიული მეხსიერებით შემონახული წარმართული ვაზის კულტისა, მეორე მხრივ კი ნათელი მაგალითიც, როგორ უმტკივნეულოდ გადადის ძველი კულტი ახალ სიცოცხლეში და იქცევა ქრისტიანულ სიმბოლოდ. ამ მონათხრობიდან მთავარია ვაზის ფიგურირება მცხეთაში, მეფეთა სამოთხის ბაღში, როგორც სასწაულმოქმედი მცენარისა, რომელიც ქრისტეს კვართის საფლავზე ამოსულ ნაძვზე იყო გასული და რომელიც მირიან მეფის გაქრისტიანების შემდეგ კედარის ნაძვთან ერთად მოიჭრა. სვეტიცხოვლის ამ სასწაულმა ერთგვარად დაასრულა ვაზის

სასწაულმოქმედება, მეორეს მხრივ კი წარმართული საკულტო მცენარეები საქართველოს სინამდვილეში ახალი რელიგიის უმთავრეს ბურჯად იქცნენ. ვაზის ან მისი ნაყოფის გამოსახულებიანი ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტები საქართველოში შედარებით მცირეა (ორი ვერცხლის ჭურჭელი არმაზისხევიდან, მინის ჭურჭელი მცხეთიდან (სურ.6), დოქი თეთრინყაროდან), სამაგიეროდ, საკმაოდ ხშირია ყურძნის გამოსახულებიანი საყურეები, რომლებიც რგოლზე ან სხვადასხვა ფორმის თვალბუდეებზე მიმაგრებული ლითონის ან მძივებისგან შედგენილ ყურძნის მტევნებს შეიცავს. ასეთი საყურეები საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა სამაროვანზე და ძირითადი ნაწილი ახ.წ. II-IV სს. თარიღდება (სურ.1). გარდა საყურეებისა, ამავე პერიოდში არცთუ იშვიათია ყურძნის მტევნის გამოსახულებიანი საკიდების აღმოჩენის შემთხვევებიც. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საყურეები, ისე საკიდები ერთდროულად აღმოჩენილია წარმართულ და ქრისტიანული წესით დაკრძალულთა სამარხებში (მათ შორის ერთდაიგივე სამაროვანზე), რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ წარმართული ნაყოფიერების გამოსახულება შეუმჩნეველად და უმტკივნეულოდ გარდაისახებოდა ქრისტიანულ სიმბოლოდ [იხ. დილმელაშვილი 2010: 135-139].

IV ს-დან ვაზისა და ყურძნის მტევნების გამოსახულებები ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებს ტაძრებსა და სტელებზე. მათ ვხვდებით ტაძრების მოზაიკაში (*ბიჭვინთა* და *ციხისძირი*), არქიტრავეზად, კაპიტელისა და ფასადების შემკულობად [დილმელაშვილი 2010: 140-142]. განსაკუთრებით დიდია იმ სტელების რიცხვი, რომლებიც ვაზისა და მისი ნაყოფის გამოსახულებებს შეიცავს (სურ.9). საყურადღებოა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ სტელებზე, ვაზისა და ყურძნის გამოსახულებიანთა რაოდენობა 23% აჭარბებს [იხ. ჯავახიშვილი 1998].

ამავე სიმბოლოთა ჯგუფშია მტრედიც, რომელიც ქრისტიანულ სიმბოლიკაში მთლიანად ეფუძნება ბიბლიისა და ახალი აღთქმის მონათხრობს და ღვთის ნების გამოსახულება და სულნიმინდის სიმბოლოა. იმავე დროს, მისი უმანკობიდან გამომდინარე, ადრექრისტიანულ პერიოდის გამოსახულებებში ის ქრისტიანობას ზიარებულ ადამიანთა გამოსახულებად იქცა. მტრედები (ისევე როგორც სხვა მცირე ზომის ფრინველები) ქართულ წარმართულ პანთეონში ღვთაებათა დიდი დედის სიმბოლოს წარმოადგენდნენ. ამ თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა სოფ. ხაიშის განძში შემავალი საკიდი მინიატურული სახლის გამოსახულებით, რომლის სახურავზე ჩიტები (მტრედები) სხედან, ხოლო ბაქანზე ავლოსზე დამკვრელის, კიბელას ერთ-ერთი თანმხლების ფიგურაა დასმული. ხაიშის საკიდი კი მკვლევართა მხრიდან დიდი დედის ტაძრის მოდელადაა მიჩნეული [Лордкипанидзе 1970: 118; ყიფიანი 1998: 15] (სურ.2). კოლხეთის ოქრომჭედლობის ნიმუშებზე მოცემულ გამოსახულებებში (მაგ.: *ვანი*, *საირხე*), ნათლად ჩანს ის, რომ მათზე ფრინველები ჩნდებიან როგორც სხვა ცხოველების გამოსახულებებთან ერთად (ცხენებთან, ხართან, ვერძთან), ისე დამოუკიდებლად, რაც, იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ამ ფრინველებით გადმოიცემოდა დიდი დედის ნაყოფიერების კულტის სიმბოლიკა. სწორედ დიდი დედის ნაყოფიერების ძალას უნდა უსვამდეს ხაზს მისი გამოსახულებები გონიოსა და კლდეეთის ბალთებზე, რომლებიც I-II სს-ით თარიღდება და ყველა სიმბოლური ნიშნით დიდი დედის კულტისადმია მიძღვნილი [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1980; ლომთათიძე 1957; კახიძე და სხვ. 2015; Иванова და სხვ. 1961: 284-290] (სურ.8).

მტრედის გამოსახულებიანი გლიპტიკის ნიმუშები საქართველოში წარმოდგენილია როგორც რომაული, ისე სასანური იმპორტით. მაგალითად, ერთი, ვერცხლის ბეჭედში ჩასმული მინის ინტალიოს სახით აღმოჩენილია *ფიჭვნარის* ბერძნული ნეკროპოლის №4(178) სამარხში. გემა III-IV სს. რომაულ ნაკეთობადაა განსაზღვრული, თუმცა ის რომ ქრისტიანის კუთვნილებას წარმოადგენდა ამას სამარხის დამხრობა და ინვენტარიც მონიშნავს [კახიძე და სხვ. 2004: 124]. მტრედის ადრექრისტიანული სიმბოლოს გამოსახულებები საქართველოში უმთავრესად სატაძრო არქიტექტურასთანაა დაკავშირებული. ყველაზე ძველი მათგან ბიჭვინთის ბაზილიკის მოზაიკაა, სადაც მტრედები ევქარისტის სცენაში არიან ჩართულები. *ბიჭვინთის* მოზაიკის მსგავსი

სიუჟეტები ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოდანაც. მაგ., *პანტიანის* სტელის ბაზისი და წვერო დაბალის სტელა (VI ს) [Чубинашвили 1972: 55, ტაბ.18-19, 56] (სურ.10).

თევზის, ვაზისა და მტრედის სიმბოლოსგან განსხვავებით, მთლიანად ქრისტიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული საქართველოში ფარშევანგის, როგორც აღდგომის სიმბოლოს გავრცელება. ფარშევანგის გამოსახულებიანი ნივთები საქართველოში გამოჩენას იწყებენ ახ.წ. II ს-დან. ყველაზე ადრეული მათგან არმაზისხევის №6 — ზევას პიტიახშის ოჯახის ქალბატონის სარკოფაგში აღმოჩენილი ვერცხლის რომაული აზარფემა [აფაქიძე და სხვ. 1955: 75-76, Мачаბели 1976: 5] და სამთავროს №395 (1940წ.) ქვაყუთში დადასტურებული IVს-ის, ბიზანტიური წარმოშობის ინტალიოა დედალი ფარშევანგის, ყანჩას, ფრინველისა და ბერძნული ასოების გამოსახულებით [ლორთქიფანიძე მ. 1954: 28]. თუ ორივე შემთხვევაში ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ეს ნივთები ქრისტიანული სიმბოლოს გამოხატველია, რადგან აღნიშნული სამარხები არც დაკრძალვის წესითა და არც ინვენტარით ქრისტიანულ სამარხებს არ მიეკუთვნება, სხვა შემთხვევებში კითხვის ნიშნის დასმა უკვე ზედმეტია. ყველა დანარჩენი შემთხვევა ფარშევანგის გამოსახულების გამოჩენისა, ევქარისტის გამოხატულებაა. ასეთი ნიმუშებია მაგალითად, მცხეთისა და ბიჭვინთის იმპორტული მინის ჭურჭლები, რომელთა ბიჭვინთის სასმის ბერძნული წარწერაც ახლავს — „შესვი, იცოცხლე“ [უგრელიძე 1981: 103] და *ამბროლაურში* აღმოჩენილი V-VI სს. ბრინჯაოს ბეჭედი [აფხაზავა 1979: 73]. სამივე შემთხვევაში, ფარშევანგი მცენარესთან ერთადაა მოცემული, როგორც ზიარების და აღდგომის სიმბოლო. იმავე პერიოდიდან ფარშევანგის გამოსახულებები საკმაოდ მრავლად ჩნდება ტაძართა და სტელების რელიეფებად [დიდმელაშვილი 2010: 115-121] (სურ.13).

ქრისტიანობის ქმნილებაა ქრისტეს მონოგრამისა და ქრიზმის გამოსახულებათა გამოჩენა და გავრცელება მთელ რომაულ სამყაროში. გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. ქრისტეს მონოგრამის გაჩენას III ს-დან მოიაზრებენ. IV ს-თვის მონოგრამა დასრულებულ სახეს იღებს — ✱. მას გამოსახავდნენ როგორც პირველი ეკლესიების მოზაიკებში ისე ფრესკებზე, განსაკუთრებით სარკოფაგებზე რაც პირდაპირ უკავშირდებოდა გარდაცვლილის სულის ქრისტეში განსვენების იდეას [Фрикен 1877: 137; Покровский 2000: 37-38; Луковникова 2004: 3; Koch 2000; Duval და სხვ.1978]. საქართველოში ქრისტეს მონოგრამების დადასტურების ერთეული შემთხვევები არსებობს და ყველა ერთმანეთისგან განსხვავებულია. მათ შორისაა ბიჭვინთის მოზაიკა, სადაც ე.წ. კონსტანტინეს მონოგრამა, ანუ მონოგრამის დასრულებული ფორმა საკურთხეველშია მოცემული, ბეჭდები ქუშანაანთ გორის №1 სამარხიდან და ჟინვალის კატაკომბიდან (სურ.14,15). ამათგან ყველაზე ადრეული სწორედ ქუშანაანთ გორის იასპის ინტალიოა ოქროს ბეჭედში ჩასმული, რომელიც III ს-ის მინურულით დათარიღებულ სამარხშია აღმოჩენილი [იხ. რამიშვილი 1979ა: 30-38, 58,95]. რაც შეეხება *ჟინვალის* კატაკომბაში აღმოჩენილ ბრინჯაოს Vს-ის საბეჭდავ ბეჭედს, აქ, მონოგრამის ბოლო ეტაპის გამოსახულებაა მოცემული [კავლელაშვილი და სხვ. 1997: 85-96]. მონოგრამის გამოყენების კიდევ ორი შემთხვევა ცნობილია მცხეთიდან. ერთი ესაა V ს-ის *ნილკნის* აკლდამა, რომლის კედელზეც მოცემულია ჯვრები და მონოგრამები [ნიკოლაიშვილი 1983: 35-41; ყაუხჩიშვილი 1982: 137]. მეორე ანტიოქიის ტაძრის ზღურბლზე აღმოჩენილი ფილაა (IV-V სს), რაზეც ეპიტაფიის თავში მონოგრამაა [იხ. ყაუხჩიშვილი 2000: 230].

2. მეორე ჯგუფში თავსდება ის სიმბოლოები, რომლებიც ქრისტიანული სწავლების გამოსახულებას წარმოადგენენ, მაგრამ ამასთანავე, მათში ჩადებულ იქნა უშუალოდ საქართველოსთვის ახლობელი მნიშვნელობაც, რომელსაც საფუძველი ისევ წარმართულმა პანთეონმა შეუქმნა. ამ ტიპში მოვიხილავთ ცხვარს, განსაკუთრებით კი გასამახვილებელია ყურადღება ირმის სიმბოლოზე, რომელიც ქრისტიანულ სიმბოლიკაში დავით წინასწარმეტყველის გალობის გადმოცემაა (იხ. ფსალმუნი 41,2). ქართულ წარმართულ პანთეონში ირემი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა, რომელიც მონადირეობასთან იყო დაკავშირებული და ცხოველთა ღვთაებას განასახიერებდა. შემდგომ ეტაპზე ზოომორფული არსება ანთროპომორფულად იქცა. საქართველოში კი ეს

ღვთაება ქალის სახით ჩამოყალიბდა, რომელიც ხშირად იღებდა ირმის სახეს [იხ. ხიდაშელი 1982: 53]. ირმის კულტის არსებობა არქეოლოგიური მასალით ენეოლითური ხანიდან (მაგ. *არუხლოს* გორა) ფიქსირდება და უწყვეტ ხასიათს იღებს (მაგ.: *ხიზანანთ* გორა, *ქვაცხელები*, *შილდა*, *სამთავრო*). თრიალეთური კულტურის შემდგომ ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიმბოლოდ ყალიბდება. მას გამოსახავდნენ სარტყლებზე, ცულებზე, აბზინდებზე, დიადემებზე, საკულტო თასებზე, საბეჭდავებსა და გემებზე (სურ.3). განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ირმის გამოსახულებიანი საკიდების გავრცელება [რამიშვილი ქ. 2007]. სწორედ ამ ხანგრძლივი ტრადიციის გავლენა იყო ის, რომ ადრექრისტიანულ სიმბოლოებში ირემმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ნიშანდობლივია, რომ მისი გამოსახულებები ყველაზე მეტად სწორედ ქრისტიანული არქიტექტურის დეკორად გვევლინება (მაგ.: *ბიჭვინთის მოზაიკა*, *ბოლნისის სიონი*, *ატენის სიონი*, *აკაურთის*, *ივრის სიონის*, *წოფის*, *ახიზის*, *წილკნის*, *თხოთის* ეკლესიები).

მიუხედავად იმისა, რასთან გამოისახებოდა ადრექრისტიანულ პერიოდში ირემი — ხე, ფანტანი, წყალსატევი, ჯვარი — ყველა შემთხვევაში ის ქრისტიანობასთან ზიარებული არსების გამოხატულება იყო, ისევე როგორც ზოგადად ადრექრისტიანულ სამყაროში. მაგრამ, ის, რომ ამ სიუჟეტებში განსაკუთრებულად მრავალრიცხოვანი მაინცდამაინც ირმისა და ხის გამოსახულებაა, ნათლად მიუთითებს, მათში ადგილობრივი მოტივების გავლენას. ის, რომ ქართულ წერილობით წყაროებში მოთხრობილი ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებული გარკვეული სიუჟეტები (დაჭრილი ირემების განკურნება იმ ხის ფოთლებით, რომლისგანაც შემდეგ ჯვრები გამოკვეთეს) ქართული წარმართული რწმენის ქრისტიანულ სახეცვლას წარმოადგენს, დასტურდება III-IV სს-ის მიჯნით დათარიღებული სამთავროს სამაროვნის №990 თიხისფილასამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ბეჭდით (სურ.17). მის სარდიონის ინტალიოზე ამოჭრილია ხე ყურძნის მტევნით და მწოლიარე შველი. თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ ნაკეთობა ბეჭდითურთ III ს-ით თარიღდება და ადგილობრივი ნახელავია, ასევე იმას, რომ ის ქრისტიანული წესით დაკრძალული წარჩინებული მამაკაცის კუთვნილება იყო, შესაძლებელია ის ძველი რწმენისა და წყაროებში დაცული ქართლის გაქრისტიანების ამბის შუალედურ მაკავშირებლად მოვიაზროთ [მშვილდაძე და სხვ. 2016: 124-130].

3. მესამე ჯგუფში თავსდება ის სიმბოლოები, რომლებიც მთლიანად ადგილობრივი წარმართული ტრადიციით საზრდოობდა, მაგრამ ქრისტიანიზებული სახით აისახა ტაძრების დეკორში. ამ ჯგუფში შედის ტაძრების რელიეფებად მოცემული ხარის გამოსახულებები. ხარის ქრისტიანული სიმბოლო ხარის წარმართული კულტის ქრისტიანულ სახეცვლას წარმოადგენს. ქრისტიანულ რელიგიაში ამ ცხოველმა წმინდა სულების დატვირთვა შეიძინა და შესაბამისად, ადრექრისტიანულ პერიოდში მისი გამოხატვა ან სიცოცხლის წყალთან ხდებოდა, ან სიცოცხლის ხესთან, როგორც სამუდამო სიმშვიდისა და ნეტარების მაძიებელი სულის სიმბოლო. ადრექრისტიანულ პერიოდშივე ხარი ჩნდება სახარებისეული სიუჟეტების გამომხატველ სცენებში, კერძოდ უფლის შობაში, სადაც იგი ვირთან ერთად გამოისახებოდა. Vს-დან კი ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ჩნდება ფრთოსანი ხარის გამოსახულებაც, რომელიც ლუკა მახარებლის სიმბოლოა.

ხარის კულტის გავრცელება საქართველოში ნეოლითის ეპოქიდან ფიქსირდება, მაგრამ განსაკუთრებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ხდება [ხახუტაიშვილი 1988: 23; ჩავლეიშვილი 1988: 34]. მას საფუძვლად დაედო პირველყოფილი ადამიანის მიერ მთვარის დისკოს თაყვანცემა, რომლის ცვალებადობამაც წარმოშვა პრიმიტიული სამინათმოქმედო კალენდარი. რადგან ხარი იყო გამწვევი ძალა, რომლის საშუალებითაც მინა ნაყოფიერებოდა, მისი რქები ნახევარმთვარეს მიაგავდა. ამიტომ ხარი დაუკავშირდა მთვარის კულტს. ამასთან, ხარის რქები მიმსგავსებული იქნა ფალოსთან, როგორც გამანაყოფიერებლის ძალასთან [იხ. კიკვიძე 1976: 190; ხახუტაიშვილი 1988: 18]. აქედან იწყება სწორედ ხარის რქების გამოსახულებათა გაჩენა სადგრებზე. ამ უკანასკნელზე, ფიქრობენ, რომ წარმართული პანთეონის უზენაესი ტრიადის განსახიერება უნდა

ყოფილიყო: წრე-საშო, ანუ განაყოფიერების ქალური საწყისი, რომელიც მზესთან იყო დაკავშირებული, სტილიზებული რქები-ფალოსი — განაყოფიერების მამაკაცური საწყისი და მთვარესთან დაკავშირებული და სადგრებში ამოსული ცეცხლი ანუ ნაყოფი. ეს ტრიადა ნაყოფიერების კულტი უნდა ყოფილიყო, რომელიც ანალოგიებს პოულობს ეგვიპტესთან და ირანთან (მაგ.: აპურამაზდას და მითრას მითოსი) [იხ. კიკვიძე 1976: 173-176].

ასეთი სადგრები არქეოლოგიური მონაპოვრის სახით გვაქვს: *ურეკში*, *ფიჭვნარში*, *ბობოყვათში* [ჩავლეიშვილი 1988: 34-37; ხახუტაიშვილი 1988: 16-24]; *ყათლანხევში*, *ნაცარგორაზე* [ხახუტაიშვილი 1964: 20-29]; *მელი-ლელეზე* [ფიცხელაური: 1973: 112-116]. ამავე პერიოდიდან უნდა იწყებოდეს ხარის კულტის დაკავშირება ნაყოფიერების ქალღვთაებასთან და მის ერთ-ერთ სიმბოლურ გამოხატულებად გადაქცევა [იხ. ხახუტაიშვილი 1964: 35-37]. ჩანს, იგივე დატვირთვა აქვს ხარს კოლხური II ტიპის ცულზე თლიიდან, რომელსაც თან ახლავს თევზისა და ისრის გამოსახულება [იხ. ფანცხავა 1988: 39-58]. ხარის დედა-ღვთაებასთან დაკავშირების დასტურად მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს კოლხურ თეთრსაც, რომლის ავერსზე კოლხეთის მთავარი ქალღვთაება — ნაყოფიერების დიდი დედა გამოსახა, რევერსზე კი ხარი [იხ. მიქელაძე 1985: 61; ხახუტაიშვილი 1988: 23-24]. გავიხსენოთ აგრეთვე ვანის ოქროს დიადემა, ხარისა და ლომის ბრძოლის სცენით (ძვ.წ. V ს), რომლის სიმბოლური ახსნის რამდენიმე ვერსია არსებობს [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 10-13; ყიფიანი 1995: 12-19].

ძვ.წ. IV ს., როცა აქემენიანთა ირანში მზის ღვთაება მითრა სახელმწიფო კულტად გამოცხადდა და თანდათან გავრცელდა ირანის ფარგლებს გარეთაც, აღმოსავლეთ საქართველოშიც გაჩნდა პირველი ნიშნები მითრას თაყვანცემისა, რომელმაც წინ წამოწია მისთვის დამახასიათებელი სიმბოლოები, ისეთები, როგორიც იყო ლომი და ცხენი. ალბათ ამით აიხსნება, რომ ხარის სკულპტურები თუ მისი გამოსახულებები სხვადასხვა ნივთებზე ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ცალკეულ გამონაკლისთა გარდა აღარ გვხვდება. ახ.წ. II-III სს-ის ხარის ქანდაკება ჩნდება *კლდეეთის* სამაროვანზე, ხოლო საცეცხლურის სახით *ზღუდერში* [ლომთათიძე 1957: 85-91; ბრაუნდი და სხვ. 2009: 92] (სურ.4). III-IV სს. ხარის გამოსახულებები გვაქვს საბეჭდავებზე არმაზიდან და სამთავროდან [რამიშვილი 1979ბ: 77, 93; ლორთქიფანიძე მ. 1954: 43-54; ლორთქიფანიძე მ. 1958: 83-84].

საქართველოში ხარის კულტთან დაკავშირებული ტრადიცია, შესაბამისად, ქრისტიანობაშიც აისახა, რაზეც მეტყველებს არა მარტო ტაძართა რელიეფები, არამედ სალოცავებში ხარის შეწირვის დღემდე შემორჩენილი ტრადიციაც. საინტერესოა, რომ ასეთი ღრმა ფესვების მქონე კულტის ადრექრისტიანული გამოვლინება გაცილებით მცირეა, ვიდრე ირმისა, და ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ საკულტო ძეგლებზეა წარმოდგენილი. ხარის ადრექრისტიანული სიმბოლოს გამოსახულებები ორ ჯგუფად იყოფა: ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარე ჰორელიეფები (მაგ.: *ბოლნისის სიონი*, *სვეტიცხოველი*, *დრანდა*, *სოხუმის გორა*, *ანაკოფია*, *ნოჯინევი*), და სახარებისეული სიუჟეტის ნაწილი (მაგ. *საცხენისის სტელა*). ხარის ჰორელიეფები ახლად მოქცეულთა სიმბოლური გამოხატულებაა, რომელთა ნათლისღებაზე სხვადასხვაგვარადაა მინიშნება გაკეთებული — ჯვრით, მცენარის რტოებით. საინტერესოა სოფ. საცხენისის სტელაზე გამოსახული ქრისტეს შობის უმოკლესი რედაქცია: ბაგაში მწოლიარე ქრისტე და ხარი [მაჩაბელი 1998: 299]. ქრისტეს შობის პირველი გამოსახულებები IV ს-დან ფიქსირდება ქრისტიანულ სარკოფაგებზე. მათგან ყველაზე ადრეული 343 წლითაა დათარიღებული [Покровский 2001: 138-143]. ძროხაც, ქრისტიანულ სიმბოლიკაში, მსგავსად ხარისა წმინდა ცხოველად აღიქმება. მაგალითად, სამთავროში გათხრილ №242 (1940 წ) კრამიტსამარხში აღმოჩნდა ადგილობრივი წარმოების, ახ.წ. II ს-ის ბეჭედი, სარდიონის ინტალიოთი, რომელზეც ძროხა ხბოს აწოვებს. ძროხის უკან ხე (სიცოცხლის ხე) დგას [ლორთქიფანიძე მ. 1954: 31-32]. ასეთივე შინაარსის გამოსახულებები დატანილია *სამთავროს S* უბნის 1938წ. გათხრილ ქვევრსამარხ №82-ში და *თრიალეთის ნერონ-დერესის* №3 ქვაყუთში აღმოჩენილ მინის მრავალნახნაგებზე [გაგოშიძე 1982: 35]. აღნიშნული სიუჟეტის გავრცელება გვაფიქრებინებს, რომ ეს სცენა ზოგადად ხმელთაშუაზღვისპირული სამყაროს

კულტურული ურთიერთობის შედეგად უნდა მოვიხაზროთ. ხოლო ასეთივე შინაარსის სცენების ხშირად ფური-შვლის, ფაშატი-კვიცისა და ცხვარი-ბატკნის გამოსახულებით წარმოდგენა, ვფიქრობთ, მათ ერთ სიმბოლურ დატვირთვაზე უნდა მიანიშნებდეს — დედა-შვილის სიყვარულზე. ადრექრისტიანულ ეპოქაში ხარის სიმბოლოს გამოვლინება საქართველოში ადგილობრივი წარმართული რწმენის ქრისტიანულად ტრანსკრიფციაა, რომლის პარალელურად ძროხისა და ხბოს სიმბოლოში აისახა წმინდა მამათა სწავლებები. ამ ტრადიციის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს ხარის ჩართვა სახარებისეულ სცენებში (იესოს შობა).

4. მეოთხე ჯგუფში ერთიანდება სიმბოლოები, რომელთა ზოგად ქრისტიანული მნიშვნელობა აშკარაა, მაგრამ მაინც ადგილობრივი და მეზობელი კულტურის გავლენის კვალი ამჩნევიათ. ასეთია ლომისა და ბროწეულის სიმბოლოები.

ძველ აღმოსავლეთში, ჩათალ-ჰუიუქის ნამოსახლარიდან მოყოლებული, ლომი ქალღვთაების, ნაყოფიერების ღვთაების წმინდა ცხოველია (მაგ. იშთარი). საბერძნეთსა და ფრიგიაში მას უკავშირებდნენ ქალღმერთ კიბელას. სპარსეთში ლომები, როგორც მცველები, უძველესი დროიდან გამოსახებოდნენ ტაძრებისა და სახლების შესასვლელთან. აქემენიდურ ხანაში კი ფართოდ ვრცელდება ლომის ბრძოლის სიუჟეტები სხვა ცხოველებთან (ირემთან, ხართან), რომელთაც წინა აზიაში დაბადებულად მიიჩნევენ, როგორც სიცოცხლისა და სიკვდილის ბრძოლის სიმბოლურ გამოხატულებას. ისინი მალევე შეითვისა ბერძნულმა სამყარომ და შემდეგ ფართოდ გაავრცელა. ძვ.წ. VI-IV სს-ში ის ხშირად გამოისახებოდა ბერძნულ აღმოსავლურ-იონურ საბეჭდავებსა და მცირე აზიაში ბერძნულ ქალაქებში და სპარსელ სატრაპთა მიერ მოჭრილ მონეტებზე [Максимова 1941: 83-90]. მათგან, მაგალითისათვის, დავასახელებდით მცირე აზიაში ფართოდ გავრცელებულ მრავალნახნაგა მინის საბეჭდავებს, რომელთა სიუჟეტები, ადგილობრივი ხელოსნების მიერ გარკვეულწილად სახემეცვლილი სახით აღებული უნდა იყოს ბერძნულ-სპარსული გემებიდან. ადგილობრივი დამზადების ასეთი მინის მრავალნახნაგა საბეჭდავები აღმოჩენილია საქართველოშიც (მეტეხი — კასპის მუნიციპ., ახალი ნიჩბისი, არკნეთი), რომელთაც მკვლევარები ძვ.წ. V-IV სს. ათარიღებენ [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1969: 112-115]. აღნიშნული სიუჟეტი გავრცელებული ჩანს საქართველოშიც, რაზეც უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს ძვ.წ. Vს-ის I ნახევრის ოქროს დიადემები ვანის №6 და №11 სამარხებიდან [ლორთქიფანიძე მ. 1972: 10-11]; საბეჭდავები კლდეებიდან (ძვ.წ. IV ს) [ლომთათიძე 1957: 45-46; ლორთქიფანიძე მ. 1961: 10-11], ურბნისის №84 სამარხიდან (ახ.წ. I-II სს) [ჯავახიშვილი 1972: 36] და ახალციხიდან (ახ.წ. V ს) [რამიშვილი 1979ბ: 77]. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ასეთი ბრძოლის სცენები აქემენიდური ირანის კულტურის მახასიათებელია, რომელიც შემდეგ ფართო გავრცელებას პოვებს ასევე სასანიანთა ირანის ყოფაშიც. თვლიან, რომ ის სიცოცხლისა და სიკვდილის, სინათლისა და სიბნელის ბრძოლის სიმბოლიზებაა, რომელშიც ლომი სინათლისა და სიცოცხლის გამოხატულებას წარმოადგენს. იმავე დროს, მას უკავშირებენ ზოროასტრულ კალენდარს — გაზაფხულის ნაბუნობას [იხ. ლორთქიფანიძე მ. 1972: 11].

ანტიკურ ხანაში ლომის გამოსახულების ფართოდ გავრცელება საქართველოში არა მხოლოდ ირანთან კულტურული ურთიერთობით იყო განპირობებული, არამედ ადგილობრივი ძველი ტრადიციებითაც, რომლის დადასტურება არც თუ ხშირია, მაგრამ აშკარაა (მაგ. ოქროს ლომის ქანდაკება *წნორის* ყორღანიდან [ჯაფარიძე 1998: 121]; ძვ.წ. IX-VII სს. ბრინჯაოს სარტყელი *ტაკიას* სამაროვნიდან [ხიდაშელი 1982: 18]; კოლხური თეთრი). აღსანიშნავია, რომ ლომის კულტის არსებობა დასტურდება ისტორიული წყაროთიც: ფლავიუს არიანე იხსენიებს ფასისის ქალღვთაება ფასიანეს, რომლის ქანდაკება ქალაქის შესასვლელში იდგა. სავარძელზე მჯდომი ღვთაება, რომლის ფეხებთან ლომები იწვნენ, ავტორს ნაყოფიერების დიდი დედის, რეასთვის მიუმსგავსებია [ფლავიუს არიანე 1961: 39,68]. არიანეს ეს ცნობა თანხვედრაშია ვანისა და საირხის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოთქმულ მოსაზრებებთან, რომ ლომი ნაყოფიერების ქალღვთაებასთან იყო დაკავშირებული, რომელთანაც თანაარსებობდა ასტრალური მზისა და მთვარის

თავყვანცემა [ინაძე 1986: 47]. იგივე სიმბოლიკის მატარებელია ლომი გონიოს ბალთის შემთხვევაშიც, ოლონდ, აქ მზის ატრიბუტიკა დიდი დედის ნაყოფიერების ღვთაებაშია შერწყმული. ამ თვალსაზრისით საინტერესო გამოსახულებას შეიცავს ყინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი IV-V სს-ის მინის მედალიონი — ავგაროზი (სურ.5). შტამპური წესით დამზადებული მედალიონი გამოსახავს ფაფარაშლილ ლომს, რომლის თავთან მოცემულია ნახევარმთვარე და ვარსკვლავი [ჩიხლაძე 1999: 110]. როგორც ჩანს, მედალიონის გამოსახულებებში ღვთიური ტრიადა უნდა მოიაზრებოდეს — მზე, მთვარე და ვარსკვლავი.

ლომის სიმბოლო ქრისტიანობაში, მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებით ებრაელებიდან შევიდა, როგორც ძლიერი და ყურადღებიანი მცველის გამოსახულება (იხ. 3 მეფეთა. 7: 29, 36). ამ მნიშვნელობის გამომხატველი უნდა იყოს მათი გამოჩენა ადრექრისტიანულ სარკოფაგებზეც [Фрикен 1877: 86-88; Уваров 2001: 243-244]. თუმცა, უკვე II ს-დან, ქრისტიანობაში ლომს თანდათან უნდა შეეძინა სხვა დატვირთვაც და დაკავშირებოდა იმ წარმართების სახელს, რომელთა მოქცევა ქრისტიანობაზე იესომ თავისი ქადაგებითა და სასწაულებით მოახერხა. IV-VI სს. დასავლეთ აზიის ეკლესიებში ფართო გავრცელება პოვა აქემენიდური პერიოდის ბრძოლის სცენებმა, რომელსაც ესაია წინასწარმეტყველის სიტყვების სახესხვაობად აღიქვამდნენ: „ლომი მსგავსად ხარისა გამოიკვებება ჩალით“ (იხ. ეს. 65:25). იგივე სიუჟეტები გვხვდება ადრექრისტიანულ პერიოდში საქართველოშიც (მაგ. ბოლნისის სიონის კაპიტელები), რომლებიც ერთი შეხედვით სასაზღვრო კულტურის ნაწილად კი გამოიყურება, მაგრამ გააზრებულად და ქართულ ტრადიციებთან შესაბამისად გადმოისახა ქართველ ოსტატთა ხელობაში [იხ. Чубинашвили 1940: 158]. მეორეს მხრივ, საყურადღებოა, სიცოცხლის ხისა და ანტიპოდური გამოსახულებების გახსენებაც. იმის გამო, რომ ასეთ ძეგლებზე გარკვეულ შემთხვევებში სიცოცხლის ხე თევზის გამოსახულებით იცვლება, ფიქრობენ, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ გადმოცემებში სიცოცხლის ხეს ნაყოფიერების ძალაც მიენერებოდა [ჩიტაია 1941: 139]. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ სიცოცხლის ხე წარმართულ პანთეონში ხშირად იცვლებოდა ირმის გამოსახულებით, რომლის რქები სწორედ ასეთ ხედ აღიქმებოდა, მაშინ ბოლნისის სიონის კაპიტელები, შესაძლოა, გაგებულ იქნეს, როგორც სიცოცხლის ხის ორივე მხარეს გამოსახული ანტიპოდები. ამ შემთხვევაში, წარმართულ ქართულ პანთეონთანაც შეგვიძლია კავშირის დანახვა. მაგრამ, როგორც არ უნდა ყოფილიყო ოსტატის მიერ რელიგიისათვის აღებული სიუჟეტის „ორიგინალი“, ერთი რამ ცხადია: ის ზუსტად მიესადაგებოდა ახალ რელიგიას და მის სიმბოლიკას. განსაკუთრებით კი პასუხობდა ქართული საისტორიო წყაროების მონათხრობს სიცოცხლის მომნიჭებელი ხის შესახებ, რომლის ფოთლებითაც დაჭრილი ირმები განიკურნენ [იხ. მოქცევაი ქართლისაი 1963: 159]. აღნიშნულ სცენას ეხმაურება წოფის VI ს-ის ეკლესიის კაპიტელი [ცქიტიშვილი 1960: 89-90], რომლის ორ თანმიმდევრულ გვერდზე მოთავსებული სიუჟეტი გადმოსცემს ხეს და მისკენ მიმართულ ირმებს და წინა თათებზე შემართულ ლომებს.

ლომის გამოსახულებიანი რელიეფები ცნობილია ანაკოფიიდან და სოხუმის გორიდან, რომლებიც გამოსახავენ ჯვრის მოპირდაპირე მხარეს მოცემულ ლომსა და ხარს [Хрушкова 1980: 28-31], რაც რელიეფების ექვარისტული სემანტიკით უნდა აიხსნას. ამასთან, სოხუმის გორიდან მომდინარე რელიეფი სწორედ მის წარმართულ ფესვებთან კავშირზე უფრო მიაწინებს, ვიდრე ქრისტიანულ იკონოგრაფიასთან. მხედველობაში გვაქვს ფილაზე, ლომის თავთან და ჯვრის მკლავს ქვემოთ გამოსახული, პატარა ოთხფურცელა ვარდული, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმართულ ქართულ ძეგლებზე ხშირად გამოსახებოდა ამა თუ იმ ცხოველის სხეულზე თუ მის ნაცვლად, როგორც მისი მზესთან და ღვთაებასთან კავშირის ნიშანი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ადრექრისტიანულ პერიოდში ლომის, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს გავრცელება საქართველოში წარმართულ პერიოდში მის მძლავრ ფესვებს დაუკავშიროთ, რომელმაც ასახვა ჰპოვა ახალ რელიგიაშიც, რაზეც მტყველებს წარმართული და ადრექრისტიანული პერიოდების ლომის გამოსახულებიანი სიუჟეტების ხასიათის უწყვეტობა.

რაც შეეხება ბრონეულის სიმბოლოს, რომელიც ქრისტიანულ რელიგიაში უნდა შესულიყო ერთის მხრივ ძველი აღთქმის, ხოლო მეორეს მხრივ ელინურ-რომაული სამყაროს გავლენით, ქრისტიანულ რელიგიაში წმინდა მცენარის დატვირთვა შეიძინა და მისი მიღება ზიარების სინონიმად იქცა. ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებისთვის, ქართულ წარმართულ პანთეონშიც ბრონეული ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლო იყო, რაც კარგად ჩანს ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალებიდან. რაც შეეხება არქეოლოგიურ მონაპოვარს, ანტიკური ხანის საქართველოს ძეგლებზე მისი გამოსახულებები ცოტაა (მაგ.: ვანის ოქროს გულსაკიდი ბრონეულის ნაყოფის გამოსახულებებით, ოქროს ფირფიტა ბრონეულის ნაყოფით ასევე ვანიდან, რომლებიც მკვლევართა აზრით, დიდი დედის ღვთაების კულტმსახური ქალბატონის კუთვნილებას წარმოადგენდა [ინაძე 1986: 40-41]), ახალი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული კი მისი გამოსახულებიანი ნივთები უფრო ხშირ ხასიათს იღებენ. მაგალითად, ურბნისში აღმოჩენილია I-III სს-ის ინტალიო, რომელზეც გამოსახულ ფრინველს კლანჭებით უჭირავს ბრონეულის ნაყოფიანი ტოტი [ჯავახიშვილი 1972: 78]. ქრისტიანული სიმბოლიკა გადმოცემული სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილ ანტიფიქსზე, რომელზეც გამოსახულია სიცოცხლის ხედ წარმოდგენილი ჯვარი ბრონეულის ნაყოფებით (სურ.18). ბრონეულის სიმბოლოებიანი ნივთებში ცალკე ადგილს იკავებს ბრონეულის ყვავილის ან ნაყოფის გამოსახულებიანი საკინძები. მათში გამოიყოფა ორი ტიპის საკინძები: ერთი მასალისგან დამზადებული და სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ქინძისთავები. მათგან ჯერ — IV ს-დან გამოჩენას იწყებს ერთი მასალისგან (ბრინჯაო, სპილენძი, ძვალი) დამზადებული ბრონეულის ნაყოფის ან ყვავილის გამოსახულებიანი საკინძები, V ს-დან კი ჩნდება სხვადასხვა მასალისგან შედგენილი ასეთივე საკინძები, სადაც ბრონეულის ყვავილისა და ნაყოფის გადმოცემა ხდება მინისა და მარჯნის საშუალებით. ასეთი საკინძები აღმოჩენილია ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნებზე [იხ. დილმელაშვილი 2010: 146-152; აფხაზავა 1988: 73,89,112] (სურ.7).

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ქცევამ ცვლილებები წარმოშვა ადგილობრივი საზოგადოების სულიერ ყოფაში, რამაც შემდგომ გარკვეული ასახვა ჰპოვა მათ ნივთიერ კულტურაშიც. მოსახლეობის დაკრძალვის წესი იცვლება — მიცვალებულთა გვერდზე, მცირედ მოკუნტულად დასვენების ნაცვლად — ქრისტიანები იკრძალებიან ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით. მიცვალებულისთვის ჩატანებელი საგნების ჩამონათვალი საგრძნობლად მცირდება; სრულიად აღარ ატანენ საბრძოლო იარაღს და ჭურჭელს. ძირითადად დაკრძალულს თან ახლავს მისი პირადი ნივთები (სამკაული, საკინძები, სამოსის, სუდარის მოსართავეები და ა.შ.). ეს არტეფაქტები აღმოჩენილია: სამარხებში, სარკოფაგებში, აკლდამებში. ქრისტიანობის გავრცელებას ახლებური არქიტექტურის აღმოცენება-ტრანსფორმაცია მოჰყვა; ქრისტიანული იკონოგრაფიული სიუჟეტების შემცველი სიმბოლიკით დაიწყო ეკლესიების შემკობა და სხვ. ქრისტიანობის თანდათან გავრცელების კვალდაკვალ საზოგადოებაში ფეხს იკიდებს შესაბამისი, ქრისტიანული სიმბოლიკის მატარებელი არტეფაქტები, რომლებიც ძველ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებამდე რამდენადმე უფრო ადრე ჩნდება.

ტაბ. აღწერილობა: 1 - საყურეები მცხეთის სამაროვნებიდან. ოქრო, ძონი. 2 - საკიდი ხაიშიდან. ოქრო, სარდიონი. 3 - ირმის ფიგურები ნარეკვავიდან. 4 - საცეცხლური ზღუდერიდან. 5 - მინის საკიდი მედალიონი ჟინვალის სამაროვნიდან. 6 - მინის ჭურჭელი მცხეთიდან. ოქრო. 7 - საკინძები ფიქრისგორის სამაროვნიდან. 8 - ბალთა გონიოდან. 9 - სტელა ვაზის გამოსახულებით კაზრეთიდან. 10 - ბოლნისის სიონის კაპიტელი. 11 - ინტალიო სვეტიცხოვლის სამარხიდან. 12 - საკიდი ნასტაკისის სამარხიდან. 13 - განთიადის სტელა. 14 - ბეჭედი ქუმანანთოგორის სამარხიდან. 15 - ბეჭედი ჟინვალის სამაროვნიდან. 16 - ახიზის ანტიფიქსი. 17 - ბეჭედი სამთავროს სამაროვნიდან. 18 - სვეტიცხოვლის ანტიფიქსი. **იხ. ტაბ. ბოლოში.**



ინტერდისციპლინარული კვლევა

* * *

ფიზიკური ანთროპოლოგია და არქეოლოგია

მ. ქკაღუა

არქეოლოგიის ერთ-ერთი დამხმარე დარგია ფიზიკური ანთროპოლოგია. ფიზიკური (resp. ბიოლოგიური) ანთროპოლოგია შეისწავლის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ადამიანის ჩონჩხს. ადამიანის ჩონჩხი მატარებელია ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციისა, როგორცაა ადამიანთა ადაპტაცია ამა თუ იმ კლიმატურ გარემოში, როგორ მოქმედებენ ბიოლოგიური პროცესები ინდივიდზე ან ინდივიდთა ჯგუფზე. ძვლოვან მასალაზე დაკვირვებით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ამათუიმ პერიოდში, სხვადასხვა სახის დაავადებების განვითარების ისტორია. ძვლებზე ძირითადად ვხვდებით დისტროფიულ-დეგენარაციულ, ინფექციურ, მეტაბოლურ დაავადებებს, ასევე სიმსივნეებს, სხვადასხვა სახის ტრავმებს თუ ტრეპანაციებს და სხვ. [იხ. Aufderheide და სხვ. 1998]. აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ძველი მოსახლეობის ცხოვრების სტილის რეკონსტრუქცია, შესაძლებელია მათი კვების რაციონის შესწავლა, რაც თავის მხრივ წარმოდგენას გვიქმნის იმ დროინდელ გარემოპირობებზე — თუ რა გარემოში და რა პირობებში უწევდა ძველ მოსახლეობას ცხოვრება. კვებითი რაციონი ადამიანის მიერ ცხოვრების მანძილზე მოხმარებული საკვები აისახები მის ძვალზე, კერძოდ მასში არსებულ ელემენტ კოლაგენში [Lovell 2000: 233]. ხშირად იყენებენ იზოტოპურ ანალიზებს. იზოტოპური ანალიზებით შეიძლება მიგრაციების დადგენა. მიგრაციების, დემოგრაფიის და გენეტიკის დასადგენად აგრეთვე გამოიყენება დნმ ანალიზები [Haak 2010]. მნიშვნელოვანი მეთოდია — კბილის ნალექის ანალიზი. კბილის ნალექის ანალიზით შესაძლებელია არამარტო დიეტის რაციონის დადგენა, არამედ სხვადასხვა დაავადებების გამოვლენაც. ადამიანის ძვალზე ასევე აღიბეჭდება სტრესის კვალი როგორცაა მაგალითად შიმშილი, ინდივიდისთვის არასასურველ გარემოში ყოფნა და სხვ.

საქართველოში ფიზიკური ანთროპოლოგიის განვითარება არქეოლოგიის განვითარების კვალდაკვალ მოხდა. 1886 წელს ანთროპოლოგი ერნესტ შანტრი კავკასიის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს მცხეთის სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ ანთროპოლოგიური მასალის კვლევას [იხ. Chantre 1886]. XX ს-ის დასაწყისიდან, საქართველოში ალექსანდრე და გიორგი ჯავახიშვილები აწარმოებენ ანთროპოლოგიურ კვლევა-ძიებას. აღნიშნულმა კვლევებმა გარკვეულწილად საფუძველი შეუქმნა საქართველოში ანთროპოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებას, რომელიც შემდეგ დაკავშირებულია ცნობილი მორფოლოგის, ალექსანდრე ნათიშვილის სახელთან. საქართველოში მეცნიერების — ფიზიკური ანთროპოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ასევე მალხაზ აბდუშელიშვილს [იხ. აბდუშელიშვილი 1964; აბდუშელიშვილი 1978; აბდუშელიშვილი 1980; აბდუშელიშვილი 1982]. ასევე აღსანიშნავია მკვლევარი პავლე ფირფილაშვილი, რომელმაც საქართველოში პალეოპათოლოგიას ჩაუყარა საფუძველი [ფირფილაშვილი 1958].

ფიზიკური ანთროპოლოგების სამუშაო იწყება ველზე. მას შემდეგ რაც არქეოლოგები აღმოაჩენენ ადამიანის ნაშთებს და მოამზადებენ მათ ანთროპოლოგებისთვის. ველზე მისული ანთროპოლოგი დეტალურად შეისწავლის გარემოს, ავსებს სპეციალურ საველე ანთროპოლოგიურ ფორმას, სადაც დეტალურად ასახავს სამარხში ძვლების რაოდენობას, მათ მდგომარეობას და შემდეგ აფიქსირებს ყველაფერს ფოტოკამერით. კონსერვაცია-რესტავრაციის ცოდნა გვეხმარება ძვლის დაუზიანებლად ამოღებასა და მათ ტრანსპორტირებაში. ანთროპოლოგიური კვლევა გრძელდება ლაბორატორიაში, სადაც

ხდება ძვლების განმედა-რესტავრაცია და მონაცემთა ბაზაში მათი აღრიცხვა. შემდეგ ანთროპოლოგი ქმნის მისთვის მოსახერხებელ ვერსიას მონაცემთა ბაზისა, სადაც მითითებულია: გათხრების თარიღი, არქეოლოგიური ძეგლის სახელი, ექსპედიციის ხელმძღვანელი, სამარხის ტიპი, სამარხის ნომერი, პერიოდი, თუ რა პერიოდს ეკუთვნის გათხრილი სამარხი, ძვლების ჩამონათვალი, ინდივიდების რაოდენობა ერთ სამარხში, აღრიცხულია სქესი, ასაკი და ა.შ. ანთროპოლოგიური მასალის რესტავრაცია-კონსერვაცია საშუალებას გვაძლევს გადავიდეთ მათ გაზომვაზე — ოსტეომეტრიასა და კრანომეტრიაზე. აღნიშნული მეთოდები ხელს უწყობს ანთროპოლოგებს აწარმოონ შემდგომი კვლევები.

სქესისა და ასაკის განსაზღვრა: სქესის განსაზღვრისთვის აუცილებელია თავის ქალა, ქვედა ყბა და მენჯის ძვლები, ხოლო ასაკის განსაზღვრისთვის ყველა ძვალი კბილების ჩათვლით მნიშვნელოვანია, ლულოვანი ძვლების მეშვეობით ვხვდებით ინდივიდი ზრდასრულია თუ არა [იხ. Buikstda, Ubelaker 1994].

ფიზიკურ ანთროპოლოგთა სამუშაო იარაღებია: სტომატოლოგიური ინსტრუმენტები, კალიპერები, ძვლების გასაზომი დაფა, მიკროსკაიბი, სკანერი (იხ. სურ.1-6) და სხვ. სტომატოლოგიური ინსტრუმენტები ან ბამბუკის ჩხირი გამოიყენება ძვლების გასანმედად. კალიპერები გამოიყენება თავის ქალაზე კრანოლოგიური ნერტილების ასაღებად. სულ 72 კრანოლოგიური ნერტილია რომელიც შესაძლოა მკველვარს გამოადგეს [იხ. აბდუშელიშვილი 1976]. გრძელი ძვლების ანუ ლულოვანი ძვლების გასაზომი დაფა გამოიყენება ინდივიდის პროპორციების დასადგენლად. მიკროსკრაიბს და სკანერს იგივე დანიშნულებისთვის იყენებენ, რისთვისაც გამოიყენება კალიპერები. მიკროსკრაიბი კომპიუტერული პროგრამაა, რომელიც 3 გამოსახულებას ქმნის.

ბიოანთროპოლოგიური კვლევები საქართველოში: პირველი ანთროპოლოგიური კვლევები, მცხეთის სამთავროს სამაროვნის აღმოჩენას უკავშირდება. მის კვლევას მთელი რიგი ნაშრომები მიუძღვნეს ე. შანტრმა, რ. ვირხოვმა, ფ. ბაიერნმა, დ. ანუჩინმა, მ. აბდუშელიშვილმა. ანთროპოლოგები ალექსანდრე და გიორგი ჯავახიშვილები კვლევების შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე რომ მორფოლოგიურად ნამარხი და თანამედროვე მოსახლეობა მსგავსია. ალ. ჯავახიშვილს ეკუთვნის ტერმინი „ქართველური ჯგუფი“. მან შეისწავლა როგორც ნამარხი, ასევე მთელი საქართველოს თანამედროვე მოსახლეობა და განსაზღვრა მათი ანთროპოლოგიური ტიპი [იხ. ჯავახიშვილი 1923].

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი პალეოპოპულაციის სისტემატური ანთროპოლოგიური შესწავლა დაკავშირებულია მორფოლოგიის ალ. ნათიშვილის სახელთან. მან შეიმუშავა ანატომიური და ჰისტოლოგიური ტერმინოლოგია ქართულ ენაზე. 1950-იან წლებში მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოში ანთროპოლოგიური ცენტრი [იხ. ბითაძე 2006; აბდუშელიშვილი 1964].

დღეს აქტიურადაა კვლევებში ჩართული ანთროპოლოგიის განყოფილება რომელიც ამჟამად ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელ. უნივერსიტეტს ეკუთვნის. აღნიშნული განყოფილების ხელმძღვანელმა — ლია ბითაძემ, თავის ნაშრომში შეაჯერა ყველა ძველი და ახალი კრანოლოგიური მონაცემები სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლებიდან, რომელიც ყოველწლიურად ემატება ანთროპოლოგიურ კოლექციას. მის მიერ განსაზღვრული ანთროპოლოგიური ტიპები საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება ჩაითვალოს ბოლო დროის კვლევად ამ მიმართულებით [ბითაძე და სხვ. 2011: 435]. პალეოპათოლოგმა პავლე ფირფილაშვილმა აღწერა ყველა ის დაავადება რაც ძვლებზე შეინიშნებოდა. მისი მონაცემებით ძველ დროში ხალხი ფლობდა განსაზღვრულ სამედიცინო ცოდნას [იხ. ფირფილაშვილი 1956].

მნიშვნელოვანია ძველი მოსახლეობის დემოგრაფიული კვლევა. ის მაჩვენებელია პალეოპოპულაციის საზოგადოებრივი ცხოვრების, ეთნიკური ჯგუფების ბიოლოგიური თავისებურებების და მათი კონტაქტების განსაზღვრად. სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულმა მასალამ მეცნიერებს მისცა საშუალება განესაზღვრათ სამთავროს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა პერიოდების მიხედვით და თავად

პერიოდებში სქესთა შორის და მათი გარემოსთან ადაპტაცია (იხ. ცხრ. 1,2). მიღებული მონაცემები შეადარეს კავკასიის სხვა რეგიონებს (მაგ. დაღესტანი, სომხეთი) და როგორც აღმოჩნდა, პოპულაცია რომელიც სახლობდა სამთავროს ტერიტორიაზე მეტად იყო ადაპტირებული გარემოპირობებთან ვიდრე კავკასიის სხვა ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა [ჭკადუა 2010]. სადღეისოდ ინტერდისციპლინარულ კვლევებში ჩართულები არიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ინტერდისციპლინარული კვლევა უფრო ვრცელ ინფორმაციას და ნათელ სურათს იძლევა ძველი მოსახლეობის ცხოვრების სტილზე, ეკოლოგიაზე, კულტურაზე და ა.შ. საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ძვლოვანი მასალა საკმაო რაოდენობით არის დაგროვილი, შესაძლებელი გახდა სხვადასხვა მიმართულებით კვლევების წარმოება. კვლევები მოიცავს ისეთ საკითხებს როგორცაა: მიგრაციები, პალეოდიეტა, პალეოპათოლოგია, პალეოდემოგრაფია და სხვ.



სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დინამიკა
სამთავროს ნეკროპოლის მიხედვით.

ცხრ. 1.

ეპოქები	მამაკაცები				
	n	x		v	X _{min} - X _{max}
ძვ. წ. XV - VII სს.	38	42,0	1,45	80,8	22 - 55
ძვ. წ. VI - III სს.	2	--	--	--	--
ძვ. წ. II - I სს.	1	--	--	--	--
ახ. წ. I - III სს.	23	48,0	1,78	73,2	32 - 62,5
ახ. წ. IV - VIII სს.	58	44,1	1,63	153,8	22,5-67,6

ცხრ. 2.

ეპოქები	ქალები				
	n	x		v	X _{min} - X _{max}
ძვ. წ. XV - VII სს.	33	32,5	1,74	100,3	22 - 50
ძვ. წ. VI - III სს.	--	--	--	--	--
ძვ. წ. II - I სს.	1	--	--	--	--
ახ. წ. I - III სს.	13	38,5	3,64	172,3	19 - 57,5
ახ. წ. IV - VIII სს.	43	36,7	1,99	171,5	15 - 67,5



ფაუნის ოსტეოლოგიური ნაშთები
არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით

ოლ. ბენდუქიძე †

საქართველოს ხერხემლიანთა ფაუნა ერთგვაროვანი არ არის. საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილი, კლიმატურ-ლანდშაფტური პირობების თავისებურებათა მიხედვით განსხვავდება, რისი ერთ-ერთი მიზეზი — ლიხის ქედი. ამ ქედის დასავლეთით ტენიანი ჰავაა და შედარებით უფრო ნოტიო ბიოტოპებს ვხვდებით, ხოლო აღმოსავლეთით ჰავა მშრალია, არიდული. გეომორფოლოგიურ გარემოებათა გავლენით დასავლეთ საქართველო შავი ზღვით დაკავშირებულია ხმელთაშუაზღვის (სამხრეთ ევროპა) ზოოგეოგრაფიულ პროვინციასთან და ამ რეგიონის ფაუნისტური კომპონენტების გავლენას განიცდის. ხოლო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში აღმოსავლეთის მხრიდან გადმოდინდნენ დასავლეთ აზიური ფაუნისტური ელემენტები. მცირე კავკასიონის ტყის საფარი უძველეს დროშივე შემცირებულა, ამ მიზეზით, ტყე მხოლოდ მდინარის ხეობებში შემორჩა. დასავლეთ საქართველოს ლანდშაფტთა უმეტესობა ტენიანი, ხშირად ჭაობიანია. ჭაობიანი ბიოტოპები დამახასიათებელი იყო კოლხეთის დაბლობისათვის.

საქართველოსა და მთელი კავკასიის ტერიტორიის ერთ-ერთი თავისებურება ენდემიზმის მაღალი ხარისხია (ენდემურია ფაუნის ის სახეობები, რომლებიც მხოლოდ მოცემულ ტერიტორიაზე ბინადრობენ და სხვაგან არსად არ გვხვდება). ფაუნის ენდემიზმი კავკასიონის მთავარ ქედზე მობინადრე ხერხემლიანებისათვისაა დამახასიათებელი. ეს უკანასკნელი იმით აიხსნება, რომ გეოლოგიურ წარსულში (ოლიგოცენის ბოლოსა და მიოცენში) სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის მთათაშორისი ქვაბული და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორია ზღვით იყო დაფარული. იმ დროს კავკასიონის ქედი კუნძულს ან არქიპელაგს წარმოადგენდა, რამაც გამოიწვია იმდროინდელი ფაუნის ენდემური განვითარება და იმ ავტოქთონურ ცხოველთა კომპლექსის ჩამოყალიბება, რომლებიც დღეს კავკასიონის მაღალმთიან ზოლში ბინადრობენ. ამასთანავე, ეს მოვლენა არამხოლოდ ძუძუმწოვრებს, არამედ ზოგიერთ ფრინველს, ქვეწარმავალსა და არახერხემლიანსაც შეეხო. კავკასიონის მაღალმთიანი ზონისათვის დამახასიათებელი ენდემური ცხოველები არიან: ჯიხვი, არჩვი, პრომეთეს მემინდვრია, თოვლის მემინდვრები, კავკასიური როჭო, კავკასიური შურთხი და ზოგიერთი სხვა. ლანშაფტური მრავალფეროვნების გამო საქართველოს ტერიტორია, ოდითგანვე დასახლებული იყო მრავალი, სხვადასხვა სახეობის ველური ცხოველით, რომლებზეც წარმატებით ნადირობდნენ.

საქართველოში არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ოსტეოლოგიური ნაშთების კვლევამ გვიჩვენა, რომ თუმცა ჰოლოცენური ფაუნა თავისი შედგენლობით საკმაოდ მსგავსი იყო თანამედროვე ფაუნისა, წარსულში ის შეიცავდა მთელ რიგ ძუძუმწოვრებს, რომლებიც დღესდღეობით აღარ არსებობენ. ამ გადაშენებულ ცხოველთა შორისაა: თახვი, მაჩვზღარბა, სამურავი, ზოლებიანი აფთარი, ჯიქი, კანჯარი, ველური ცხენი ანუ ტარპანი, ცხენირემა ანუ ლოსი, დიდი ირემი, რომელიც განსხვავდება თანამედროვე კავკასიური ირმისაგან, ველური ცხვარი ანუ აზიური მუფლონი, ქურციკი, კავკასიური დომბა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ თანამედროვე ძუძუმწოვარს, თავის დღევანდელ გავრცელების არეალთან შედარებით განსხვავებული, უფრო ფართო გავრცელების არეალი ჰქონდა. მაგალითად, პლეისტოცენის ბოლოს, აფხაზეთის ჯიხვი ბინადრობდა ზემო იმერეთშიც, ხოლო ველური ცხვარი დიდ კავკასიონზეც გვხვდებოდა. ყველა ამ ცხოველს პლეისტოცენის ფაუნის რელიქტებად ვთვლიდით [ბენდუქიძე 1979: 5].

როგორც არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან იყო დასახლებული, ამიტომ ძუძუმწოვართა ფაუნამ ადამიანის უდიდესი ზენოლა განიცადა. ნეოლითში უძველესი ადამიანის პოპულაცია მკვეთრად გაიზარდა, რამაც ველურ ცხოველთა რიცხოვნების შემცირება გამოიწვია. მოხდა ე.წ. ეკოლოგიური კრიზისი,

რომელმაც ზოგიერთი რეგიონის გარდა (მაგ. ზემო იმერეთი), მთელი საქართველოს ტერიტორია მოიცვა. ადამიანი გადავიდა მეურნეობის ახალ ფორმაზე და ცხოველები მოიშინაურა. ნეოლითში საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება მთელი კომპლექსი შინაური ცხოველებისა, გარდა შინაური ცხენისა. ის კავკასიაში და მომიჯნავე ტერიტორიებზე საკმაოდ გვიან, დაახლოებით ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში გაჩნდა. ამის დასტურია მაგალითად, ცხენის ნაშთების გამოვლენა *ჯინისისა* და *საფარ-ხარაბას* არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილ ოსტეოლოგიურ მასალაში.

მესაქონლეობა საქართველოს მეურნეობის უძველესი დარგია. აქ მესაქონლეობის საწყისი ფორმების ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დგინდება, და რომლის მიხედვითაც მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლა, რაც ცხოველთა მოშინაურებისა და მესაქონლეობის აღმოცენებასაც გულისხმობდა, კავკასიაში ნეოლითის ეპოქას უკავშირდება [შამილაძე 1986: 21]. საქართველოს გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე მესაქონლეობის სამი ძირითადი ფორმაა გამოვლენილი: 1- ბარული, 2- მთის, 3- მთაბარული. შერეული მესაქონლეობა ტრადიციული მესაქონლეობის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის განვითარების პროცესი მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულ სახეს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, გუთნური მიწათმოქმემა-მესაქონლეობის შერწყმული ფორმის სახით აღწევს [ჯავახიშვილი 1986: 5].

საქართველოს ტერიტორიის შესახებ ნერილობით წყაროებში მოცემული ცნობები, საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ იმ დროის არა მარტო მთის და ბარული მესაქონლეობის შესახებ, არამედ უკვე ჩამოყალიბებული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები მთასა და ბარს შორის. ამ კავშირის არსებობა აშკარად ჩანს ანტიკური პერიოდის ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობებშიც (იხ. ქსენოფონტე, ჰიპოკრატე, არისტოტელე), სადაც მითითებულია კოლხეთში მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის ფარების არსებობის შესახებ.

შინაური ღორი (*Sus domesticus*). საქართველოს თითქმის ყველა რეგიონისათვის შინაურ ღორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რომლის ნაშთებიც ყველა არქეოლოგიურ ძეგლზე მრავლად გვხვდება. შინაური ღორის მნიშვნელობა სავარაუდოდ უნდა გაზრდილიყო ანტიკური ეპოქის დასაწყისში. ამის დასტურია საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც კულტურულ ფენებში, ასევე სამარხებში აღმოჩენილი შინაური ღორის ნაშთები. მაგ. — საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა *სხალთას* (თეთრინწყარო) ძვ.წ. IV-III სს-ის სამარხებში, სადაც მიცვალებულისთვის ჩატანებული იყო შინაური ბურვაკი. მისი ნაშთები წარმოდგენილი იყო: მენჯის ძვლით, ბარძაყის ძვლით, დიდი და პატარა წვივის ძვლებით, მეტაპოდოიმებითა და ფალანგებით ბუნებრივ ანატომიურ შესახსრებაში. აღსანიშნავია, რომ *სხალთას* უკლებლივ ყველა სამარხში ერთნაირი სურათია.

ადამიანი ღორის ხორცის გარდა, როგორც გარეული, ასევე შინაური ღორის ჩონჩხის ძვლებსა და კბილებს სამკაულების დასამზადებლად იყენებდა. მხედველობაში გვაქვს გახვრეტილი პირველი ფალანგები. ამგვარი ფალანგები ხშირად გვხვდება ადრეანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე ხშირად პოულობენ ველური ტახის საძირკველში გახვრეტილ ზედა ეშვებს, რომლებიც თილისმას ან სამკაულის ნაწილს წარმოადგენდა. თუ არქეოლოგიურად აღმოჩენილი შინაური ღორის ძვლების ზომების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის ახლოს იყო აბორიგენულ ე.წ. *კახურ ჯიშთან*. ცნობილია, რომ ევროპული ე.წ. *ნაკელის* ღორი, გარეული ევროპული ღორისაგან წარმოიშვა, მაგრამ აზიური შინაური ღორის წინაპარი, სამხრეთ-აღმოსავლური გარეული ტახი უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით, ალბათ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მელანიზმი, ანუ კახური შინაური ღორის ტანის შავი შეფერილობა პირდაპირ გვიდასტურებს *კახური ღორის* წარმოშობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ტროპიკული ველური ტახისაგან [იხ. ბენდუქიძე 2011: 69-71] (ტაბ. I).

შინაური თხა (*Capra hircus*). ადგილობრივ შინაურ თხას შესაძლოა ორი წინაპარი ჰყოლოდა. იგულისხმება, რომ ძველმა ადამიანმა მოიშინაურა როგორც ნიამორი, აგრეთვე სხვა, მეორე ფორმაც, რომელსაც სპირალური რქები ჰქონდა. საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილ თხის ნაშთების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ

აქ ეს ცხოველი პრეისტორიული ხანიდან ბინადრობდა. მას ნიამორისათვის დამახასიათებელი *ხმლისებრი* ფორმის რქები ჰქონდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქართული შინაური თხა უნდა მიეკუთვნოს იგივე ჯიშს, რომელიც ამჟამადაც არის გავრცელებული დედამიწის ყველა რეგიონში.

შინაური ცხვარი (*Ovis aries*). ითვლება, რომ თანამედროვე შინაური ცხვრის ჯიშები სხვადასხვა ველური სახეობისაგანაა წარმოშობილი. ეს დასტურდება იმით, რომ სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებული შინაური ცხვრის ჯიშები იყოფა რამდენიმე მორფოტიპად: დუმებიანი, დუმის არმქონენი, გრძელკუდიანები, ცხიმკუდიანები, საშუალოკუდიანები, მოკლეკუდიანები და ა.შ. უდაოა აგრეთვე, რომ შინაური ცხვრის ზოგიერთი სახეობის ფორმირებაში, რომლებიც ევრაზიის დასავლეთ ნაწილში ბინადრობენ, მუფლონის ორივე სახეობა მონაწილეობდა. საინტერესოა, რომ ე.წ. *ურის* შტანდარტზე (შუამდინარეთი) გამოსახულია ორი ჯიშის შინაური ცხვარი: უფრო დიდი და უფრო პატარა. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩნულ ცხვრების ნაშთების კვლევისას, მათ რქის ღერძებს ისეთივე პრიმიტიული აგებულება ჰქონდათ, როგორც წინააზიური მუფლონებისას: შესამჩნევად გაფართოებული, მცირედ მოღუნული და საძირკველში გაბრტყელებული, კვეთის მიხედვით მუფლონის მსგავსი. ზემოაღნიშნული რქების თავისებურებები ისევე, როგორც ჩონჩხის ძვლების დიდი ზომა მათ არქაულ სტატუსზე მიგვითითებს. მაგ.: იხ. *თისელის, ხადას, ნოფის, ქვაცხელების, გუდაბერტყას* და სხვ. არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ პრეისტორიული ხანის შინაური ცხვარი თავისი მორფოლოგიით, უპირველესად კი რქების ღერძების აგებულების მიხედვით არსებითად განსხვავდება იმ ჯიშებისაგან, რომლებიც ჩვენს დროშია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, კერძოდ, თუშური და იმერული ცხვარი. მათ მოღუნული, სპირალისებურად დახვეული რქები აქვთ. ეს უკანასკნელნი, კი სავარაუდოა მხოლოდ ანტიკური ხანის დასაწყისში უნდა გაჩენილიყვნენ.

შინაური ძაღლი (*Canis familiaris*). საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ არქეოლოგიურ ძეგლზე ძაღლი, სულ მცირე, ერთი ან ორი ეგზემპლარის სახით მაინც გვხვდება. საინტერესოა, რომ გათხრებისას აღმოჩენილი ძაღლის ნაშთები ტიპობრივად, ცოტა რამით თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი ეკუთვნიან საშუალო ზომის ძაღლს, რომელსაც სრულიად არ აღენიშნება რამენაირი სპეციალიზაციის ნიშნები, რაც ამჟამად მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე ძაღლის ჯიშთან. მაგ. საინტერესოა *სამშვილდის* ნაქალაქარის ანტიკური ხანის ფენებში აღმოჩენილი ძაღლის მთელი ჩონჩხი. ძაღლის ნაშთი ქვევრში იქნა დაფიქსირებული, კბილების მიხედვით ის 1,5-2 წლის ცხოველს ეკუთვნის, ზომით უფრო პატარაა, ვიდრე ქართული მეცხვარული ძაღლი (ტაბ. I).

შინაური კატა (*Felis catus*). შინაურ კატის წარმოშობა დაკავშირებულია სტეპის ველურ კატასთან. პირველად ის ძველ ეგვიპტეში მოაშინაურეს, საიდანაც გავრცელდა დასავლეთ აზიაში. საქართველოს ტერიტორიაზე შინაური კატის ნაშთები *ჯინისის* ნამოსახლარზეა (ნალკის მუნიციპ.) აღმოჩენილი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მაშინდელ მოსახლეობას მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ქერი, ჭვავი და სხვ.) მოჰყავდა და ის მღრღნელების გასანადგურებლად სჭირდებოდა (ტაბ. I).

შინაური ვირი (*Equus asinus*). ცხენისნაირების გვარის მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიისათვის დიდია. ამ გვარის სამი წარმომადგენელი: ვირი, ნამდვილი ცხენი და კანჯარი ადამიანმა ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში მოიშინაურა. კერძოდ, ვირი — ეგვიპტეში, ცხენი — ცენტრალურ აზიაში, კანჯარი, სავარაუდოდ — მესოპოტამიაში. შემდგომში შინაური ვირი და შინაური ცხენი ფართოდ გავრცელდა მთელს ევრაზიაში და ამჟამადაც, თანამედროვე ეპოქაში შინაური ცხოველები არიან; საქმე სხვაგვარად იყო კანჯარის შემთხვევაში, რომელიც მხოლოდ გარკვეული დროის — ენეოლითის დასასრულიდან ადრებრინჯაოს ხანის ბოლომდე — განმავლობაში ყოფილა შინაური ცხოველი. საქართველოში შინაური ვირი *დარაქოის* ნამოსახლარზე იქნა აღმოჩენილი. საყურადღებოა, რომ თრიალეთის №5 ყორღანში შინაური ვირის ოქროს ფიგურა აღმოჩნდა

[Куфтин 1941: 231, ტაბ.XCVII]. ის შუა ბრინჯაოს ხანაში მოშინაურებული ვირის არსებობის ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს.


შინაური ცხენი (*Equus domesticus*). შინაური ცხენი, როგორც ჩანს, დასავლეთ აზიასა და კავკასიაშიც საკმაოდ გვიან გაჩნდა. ევრაზიის რეგიონში შინაურ ცხოველთა სხვა სახეობები ნეოლითში უკვე არსებობდნენ, მაშინ, როცა შინაური ცხენი სამხრეთ კავკასიაში არაუადრეს ძვ.წ. II ათასწლეულში გამოჩნდა. თუმცა არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ შინაური ცხენის გამოჩენამდე, დასავლეთ აზიაში იყო მცდელობა ცხენის სხვა სახეობა — კანჯარი, მოეშინაურებინათ. მაგრამ შემდგომ მოშინაურებული კანჯარი, როგორც გამწვევი ძალა, იცვლება ისეთი უფრო ძლიერი სახეობით, როგორიცაა შინაური ცხენი, რომელიც სავარაუდოდ ცენტრალური აზიიდან შემოვიდა. ცხენი, როგორც ჩანს, უფრო ძლიერი იყო და უფრო მეტად შეეძლო ეტარებინა სამხედრო ეტლი ან მხედარი. ამრიგად, კანჯარი ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა შინაურ ცხენს.

საქართველოს ტერიტორიაზე პირველი შინაური ცხენის გამოჩენის დროის დასადგენად, საინტერესო მასალას გვაძლევს ისეთი არქეოლოგიური არტეფაქტების აღმოჩენა, რომლებიც ცხენოსნობასთან არის დაკავშირებული: ლაგამი, მოსართავი, უნაგირის ნაწილები და სხვა, აგრეთვე ცხენის პატარა თიხის ფიგურები და ცხენის გამოსახულებები. ამგვარი საგნები აღმოჩენილია არქეოლოგიურ ფენებში: *მცხეთაში* [სადრაძე და სხვ. 1987: 437; სადრაძე 1991: 67-81], *ბერიკლდეებსა და საფარ-ხარაბაში*, სადაც მიცვალებულისათვის ჩატანებულ ნივთებს შორის აღმოჩენილი იქნა უღელი. ცხენის ძვლების ნაშთები შემდეგ ძეგლებზეა დაფიქსირებული — მაგ.: *მცხეთა, ილტო, ქვაცხელები, ვანი, თრიალეთი* და სხვ. [იხ. გამრეკელი 1976: 292; ბენდუქიძე 2005: 2-14].

აღსანიშნავია, რომ *ვანის* ნაქალაქარსა და *ქულბაქების* ნამოსახლარზე აღმოჩენილ იქნა ცხენების ფაქტიურად სრული ჩონჩხები. ორივე შემთხვევაში დაფიქსირებული იქნა ოთხი დამარხული ცხენი. ყველა მათგანის ჩონჩხი საკმაოდ პატარა ზომისა აღმოჩნდა. მაგალითად, *ვანის* ნაქალაქარის ცხენის სიმაღლე ჯიდაოში 139-141 სმ-მდე (მამრებში) ვარირებს [იხ. გამრეკელი 1979: 40].

მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (*Bos frontosus* Wilson). შინაურ ცხოველებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გახლდათ. საქართველოში ერთ-ერთ უძველეს ჯიშად ჯერჯერობით ითვლება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაშთები *ნაჭივჭავეებიდან* (თეთრინყაროს მუნიციპ.) [Межлумян 1972: 58]. არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა გვიჩვენა, რომ *Bos frontosus*-ის ჰიბრიდული ჯიშის გარდა, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში აგრეთვე ძროხის მეორე ჯიშიც — *Bos taurus primigenius* არსებობდა. ამის დასტურია, ამ ჯიშის ხარის თავის ქალის აღმოჩენა *ხადას* ნამოსახლარზე (დუშეთის მუნიციპ.). არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ასეთივე ჯიშის პირუტყვი იყო გავრცელებული კოლხეთის დაბლობზეც (ტაბ. I).

მეთევზეობა მეურნეობის ერთ-ერთი დამხმარე დარგია. ის ძველთაგანვე ტრადიციულ საქმიანობას წარმოადგენდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობა მას ჯერ კიდევ მეზოლითის ეპოქიდან მისდევდა. მთელ რიგ არქეოლოგიურ ძეგლებზე ნაპოვნია ე.წ. ჰარპუნები, რომლის მეშვეობით იჭერდნენ თევზებს და სხვა ზღვის ცხოველებს. შავი ზღვა და საქართველოს მდინარეები და ტბები სავსე იყო თევზით — ზუთხი, ანჯაქია, ტარალანა, ფორეჯი, სვია, შავი ზღვის ორაგული, კეფალი, ქაფშია და სხვ. განათხარ ძეგლებში თვალსაჩინოა მეთევზეობის ნივთები: ბადეების სანაფები, ჰარპუნები, ანკესები [იხ. კალანდაძე 1970: 119]. კოლხეთის ხის ძელურ ნამოსახლარებზე მრავლადაა ნაპოვნი თევზის ფხები და დელფინის ნაშთები [ჯაფარიძე 1970: 238]. ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობების მიხედვით ანტიკური ხანის საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა მეთევზეობა. მაგ., სტრაბონის ცნობით “*მეზღვარნი თავს ირჩენდნენ მეზღვრობით, განსაკუთრებით პელამიდების (სკუმბრია) ჭერით*” [მელიქიშვილი 1970: 471; ბერაძე 1981: 107].



კბილები




ძალი




შინაური ცხენი



კატა



ვირის კბილი




ცხარი



ძროხა



ღორი



მეღვინეობა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით

ნ. რუსიშვილი

საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის სამშობლოდ ითვლება. ამის დასტურია მინის ნიაღში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული როგორც მეღვინეობასთან დაკავშირებული არტეფაქტები — მარნები და სანახელები, ღვინის შესანახი (ქვევრი, დერგი, ამფორა) და სხვადასხვა ტიპის სუფრის ჭურჭელი (დოქი, სურა, ფიალა, თასი, ყანწ-რიტონი, კრატერი და სხვ.), მევენახეობასთან დაკავშირებული შრომის იარაღი (სასხლავი დანა, ნაღდი), მეღვინეობის მფარველი ღვთაებების, ღვინის სმის ამსახველი სცენების, ყურძნის მტევნისა და ვაზის ფოთლის ორნამენტებიანი გამოსახულებები, ასევე ეკოფაქტები — ვაზის ნამარხი ნიპნები და მერქანი [იხ. ბოხოჩაძე 1963]. მარანი აღმოჩენილია ციხიაგორას სატაძრო კომპლექსში, ვანის ნაქალაქარზე, არმაზციხეზე, არმაზისხევში, უფლისციხეში, ურბნისის ნაქალაქარზე, ზღუდერში, ჟინვალში და სხვ.

ციხიაგორას მარნის (ზომები 21 X 7მ) კედლები ალიზით იყო ნაგები, ხოლო იატაკი თიხით იყო მოტყეპნილი. მარნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ძელებით ნაგები სანახელი (ზომები 2,75 X 2,75მ) იდგა. სანახელის წინ იატაკში დიდი ზომის თიხის ჭურჭელი — თალარი იყო ჩადგმული, რომლის პირის დმ — 0,9 მ. მასში ≈250-300 ლიტრი ყურძნის წვენი ჩადიოდა. მარნის იატაკში ხუთ რიგად ჩადგმული სხვადასხვა ტევადობის 48 ქვევრი გაითხარა. ქვევრების სარქველებად ბრტყელი კრამიტი იყო გამოყენებული, რომელიც გადაღესილი იყო თიხით და ზედ დამლა ჰქონდა დასმული. მარნის იატაკზე აღმოჩენილი ნიპნები ქართლში გავრცელებული საფერავის ჯიშის ყურძენს უახლოვდება (ნიპნები შესწავლილია რ. რამიშვილის მიერ). მარნიდან სამხრეთით გამავალ დერეფანში, კარიდან დასავლეთის კედლის გასწვრივ ყურძნის ნიპნების ოთხი გროვა (თითოეული 1-1,5კგ.) დაფიქსირდა, მათი აღების შემდეგ თიხატყეპნილი იატაკზე შეიმჩნეოდა წნულის (გოდრის ძირის?) ანაბეჭდები [ცქიტიშვილი 2003: 16-19, ტაბ. IX-XI, 1-10, XXX-XXXII].

ვანის ნაქალაქარის (ვანის მუნიციპ.) ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილია ძვ.წ. III-ის ტაძარი მარნით. ტაძრის მოზაიკური იატაკის ნანგრევებში აღმოჩენილია ქვევრების ფრაგმენტები და 40 ამფორა [იხ. ფუთურაძე 1986: 34-51]. უფლისციხის ნაქალაქარზე, ყათლანისხევის უბანზე შესწავლილი წარმართული სალოცავის ერთ საკურთხეველთან აღმოჩნდა ვაზის ნიპნებით სავსე თიხის ჭურჭელი [რამიშვილი 2001: 51; ხახუტაიშვილი 1964: 117]. არმაზციხეზე ორი მარანია გათხრილი. ერთი მდებარეობს შიდაციხის ჩრდილოეთ კარიბჭესთან, №2 აბანოსა და აკლდამას შორის. მარანში აღმოჩნდა ერთ დონეზე ჩამწკრივებული რამდენიმე ქვევრი. ერთ-ერთი ქვევრის ძირზე შემორჩენილი იყო ნაღეჭი — საფერავის ჯიშის ყურძნის ქვის მჟავა. მარანი II-III სს-ის დამახასისთებელი ქვევრებისგან შედგება და, როგორც ჩანს, ამავე პერიოდში მოქმედებდა; მეორე მარანი მდებარეობდა ე.წ. ექვსაფსიდიანი ტაძრის ჩრდილოეთით. აქ იატაკში ჩასმული ორ რიგად ჩამწკრივებული 16 ქვევრი დაფიქსირდა. მათი საერთო ტევადობა 20 ტონაზე მეტია [იხ. ნიკოლაიშვილი 2011: 28-30]. არმაზისხევში აღმოჩენილია ახ.წ. I-III სს-ით დათარიღებული მარანი, რომელშიც 55-ზე მეტი ქვევრი იყო. ერთერთი ქვევრის გაქვავებული ლექის ქიმიურმა ანალიზმა (ანალიზი ჩატარდა მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში) დიდი რაოდენობით ღვინის მჟავა გამოავლინა [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955; რამიშვილი 2001: 55].

ღვინის შესანახი და სუფრის ჭურჭელი მასობრივი გამოყენებისათვის ძირითადად თიხისაგან მზადდებოდა და თითქმის ყველა ნამოსახლარსა ან სამაროვანზეა აღმოჩენილი; ხოლო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსგან დამზადებულ ფიალებს, თასებს, ყანწ-რიტონებს, დოქებს უფრო რიტუალური დანიშნულება ჰქონდა და რელიგიური ცერემონიალების დროს გამოიყენებოდა. მეღვინეობის მფარველი ღვთაების დიონისესა და მისი ამალის (არიადნე, სატირები, სილენი, პანი, მენადები) გამოსახულებები გვხვდება კერამიკულ, ტორევეტიკულ, სკულპტურულ, გლიპტიკურ ნიმუშებსა და მოზაიკის იატაკზე.

საქართველოს ტერიტორიაზე მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებული ნამარხი ეკოფაქტები დაფიქსირებულია შემდეგ ნასახლარებზე: *დანგრეული გორის* ნამოსახლარზე (სოფ. *შულავერი*, მარნეულის მუნიციპ.), რომელიც ძვ.წ. VI-IV ათასწლეულით თარიღდება, შენობის თიხატყეპნილ ნიადაგში ყურძნის 10ც. ნიპნა აღმოჩნდა. მორფოლოგიური და ამპელოგრაფიული ნიშნების მიხედვით ისინი ვაზის კულტურულ სახეობას *Vitis vinifera*-ს მიეკუთვნება [იხ. რამიშვილი 2001: 19, სურ. 4-5; რუსიშვილი 2007: 12-15, სურ.1-2]. *ბადაანის* ნამოსახლარზე (თიანეთის მუნიციპ.), რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება, №1 ორმოში კარბონიზირებული ვაზის 4ც. ნიპნა აღმოჩნდა. ზომისა და მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ისინი ვაზის კულტურულ სახეობას *Vitis vinifera*-ს მიეკუთვნება [რუსიშვილი 2007: 16, სურ.3]. *ქვაცხელების* ნამოსახლარზე (სოფ. *ურბნისი*, ქარელის მუნიციპ.), რომელიც ძვ.წ. 2800 წლით თარიღდება, ქვედა კულტურულ ფენაში, თიხის, გადმობრუნებული მცირე სასმისის ქვეშ ნიპნა აღმოჩნდა. ზომისა და მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ისინი ვაზის კულტურულ სახეობას *Vitis vinifera*-ს მიეკუთვნება [რუსიშვილი 2007:18, სურ.4]. *ხიზანანთ გორის* ნამოსახლარზე (სოფ. *ურბნისი*, ქარელის მუნიციპ.), რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება, აღმოჩნდა ნიპნები (11ც.), რომლებიც ზომისა და მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ვაზის კულტურულ სახეობას *Vitis vinifera*-ს მიეკუთვნება და ქართლში გავრცელებული ჯიშებიდან ყველაზე მეტად სასუფრე-საღვინე ჯიშს *ბუდეშურს* უახლოვდება [იხ. რამიშვილი 2001: 22, სურ.7; რუსიშვილი 2007: 20, სურ.5]. *ბედენის* ყორღანში (თეთრიწყაროს მუნიციპ.), რომელიც ძვ.წ. II ათასწ.-ის დასაწყისით თარიღდება, აღმოჩენილია ვაზის ნიპნები და ვაზის რქის ნაშთები [რამიშვილი 2001: 30, სურ.10]. *ანაკლიის* დიხაგუძუბაზე (სოფ. *ანაკლია*, ხობის მუნიციპ.), რომლის კულტურული ფენები ენეოლითიდან მოყოლებული ანტიკურ ხანამდე თარიღდება [რამიშვილი 2001: 34, სურ.13]. *ნოსირის* დიხაგუძუბაზე (სოფ. *ნოსირი*, სენაკის მუნიციპ.) ვაზის მერქნის ნაშთი დაფიქსირდა, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარით თარიღდება. *ნოსირის* ვაზის მერქნის ანატომიური სტრუქტურა შესწავლილი იქნა ბოტანიკის ინსტიტუტში თ. კეზელის მიერ [რამიშვილი 2001: 34-36, სურ.14].


თბილისში *თრელიგორების* ნამოსახლარზე, რომელიც ძვ.წ. XIV-VII სს-ით თარიღდება, IIIა მოედანზე, სათავსო №5 იატაკის დონეზე 175ც. ნიპნა აღმოჩნდა, აქედან 144ც. დაუზიანებელი. ზომისა და მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, ძირითად მასას, ვაზის კულტურული ფორმები წარმოადგენენ. ნიპნების ჯიშობრივი შემადგენლობა არაერთგვაროვანია; გამოიყოფა 2 ჯიში, რომლებიც 4 ტიპად იშლება. ისინი ამჟამად გავრცელებულ ცნობილ ჯიშებთან — ჩინური და გორული მწვანე — ავლენენ მსგავსებას [რუსიშვილი 2007: 22-27, სურ.6-10]. ვაზის ჯიშობრივი ასორტიმენტის გაფართოებაზე მიაწინებს ვაზის ნიპნები *უფლისციხიდან* და *სამთავროდან* (ძვ.წ. IX სს) [რამიშვილი 2001: 36, სურ.16]. *ერგეტას* სამაროვანზე (ზუგდიდის მუნიციპ.), რომელიც ძვ.წ. VII-VI სს. თარიღდება 3ც. ნიპნა აღმოჩნდა, ზომისა და მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ვაზის ველურ სახეობას *Vitis sylvestris* Gmel-ს მიეკუთვნება [რუსიშვილი 2007: 28, სურ.11].

გიენოსის ნაქალაქარზე (ოჩამჩირე) ძვ.წ. VI ს-ის კულტურულ ფენაში ნაპოვნია 18 ნიპნა, აქედან 4 ც. ვაზის ველურ სახეობას *Vitis sylvestris* Gmel-ს, ხოლო დანარჩენი ვაზის კულტურულ სახეობას *Vitis vinifera*-ს მიეკუთვნება [რუსიშვილი 2007: 30, სურ.12]. *ციხიაგორას* საკულტო კომპლექსში (კასპის მუნიციპ.), რომელიც ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება, ნაპოვნი ნიპნები ვაზის კულტურულ სახეობას *Vitis vinifera*-ს მიეკუთვნება [რამიშვილი 2001: 49, სურ.25; რუსიშვილი 2007: 32, სურ.13]. სოფ. *მთისძირის* სამოსახლოზე (ვანის მუნიციპ.) აღმოჩენილ ძვ.წ. Vს-ის ქიოსური ამფორის ფსკერზე შემორჩენილი იყო დანალექი. მასზე გაკეთებული ანალიზით დადგინდა, რომ ეს არის ყურძნის წვენის ან ღვინის დანალექი (ანალიზი ჩატარდა ბოტანიკის ინსტიტუტში თ. კეზელის მიერ) [იხ. გამყრელიძე 1982: 87].

ამპელოგრაფიულად დახვეწილი კულტურული ვაზის ნიპნები დასტურდება შემდეგი პუნქტებიდან: *სოხუმი* (ძვ.წ. VI-IVსს); *ნასტაკისი* (ძვ.წ. IV-IIIსს); *საგარეჯო* (ძვ.წ. IIIს) [რამიშვილი 2001: 49, სურ.31]. *ურბნისის* ნაქალაქარის (ქარელის მუნიციპ.) სამ, ქრონოლოგიურად განსხვავებულ უბანზე დაფიქსირდა ვაზის ნიპნები: ძვ.წ. II-ის.

კულტურულ ფენაში 1 ც.; ახ.ნ. V-VI სს.-ის კულტურულ ფენაში 10ც. ნიპნა ვაზის კულტურულ სახეობას *Vitis vinifera*-ს მიეკუთვნება და საქართველოში ამჟამად გავრცელებული ჯიშებიდან ყველაზე მეტად წითელყურძნიანი საღვინე ჯიშს *თაკვერს* უახლოვდება; ახ.ნ. VI-VIII სს.-ის კულტურულ ფენაში 1ც., ამპელოგრაფიული ნიშნების მიხედვით უცნობ ჯიშს ეკუთვნის [იხ. რამიშვილი 2001: 48, სურ.28-30; რუსიშვილი 2007: 34-35; ჭილაშვილი 1964: 157].

საქართველოს ტერიტორიაზე, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური და პალეობოტანიკური მონაცემები, ფართო ქრონოლოგიურ დიაპაზონში (ნეოლითიდან — შუასაუკუნეების ჩათვლით და დღემდე) ვაზისა და ღვინის წარმოების უწყვეტ ტრადიციას ადასტურდებს. ნეოლითურ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ნიპნები მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით უკვე ვაზის დომესტიცირებულ სახეობას მიეკუთვნება. აღნიშნულ ხანაში ვაზის ადრეული დომესტიკაცია შემთხვევით ხასიათს არ ატარებდა, რადგან შულავერ შომუთეფეს კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილი კულტურული მცენარეების შესწავლის შედეგად განვითარებული მინათმოქმედება ფიქსირდება, სადაც ხორბლის გვარის სახეობები ბოტანიკურად უკვე დიფერენცირებულნი არიან და მაღალგანვითარებული სახეობებით არიან წარმოდგენილი, რაც ევოლუციის მაღალ საფეხურს გულისხმობს.



არქეოლოგიური ძეგლების პალინოლოგიური კვლევა

ელ. ყვავაძე

არქეოლოგიაში პალინოლოგიური კვლევის გამოყენება დაიწყო XXს-ის 70-80-იანი წლებიდან. აქედან მოყოლებული პალინოლოგიურ კვლევას მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა [იხ. Dimbleby 1985; Zeist 1973; Jacomet და სხვ. 1999; Pearsall 2000; Litynska და სხვ. 2005; Kvavadze და სხვ. 2010; Chichinadze და სხვ. 2013]. ეს კვლევები საშუალებას იძლევა გაირკვეს, თუ რა გარემოში ცხოვრობდა ამა თუ იმ ეპოქის ადამიანი, რა გავლენა ჰქონდა ამ ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაზე, მათ კულტურა-ყოფაზე [იხ. ბითაძე და სხვ. 2011]. არქეოლოგიური მასალის სავსე პალინოლოგიური კვლევის მეთოდიკა შემდგომში მდგომარეობს: არქეოლოგიური ძეგლის კულტურული ფენიდან (10-20სმ დაცილებით), არტეფაქტის (ჭურჭელის, რაიმე სხვა ნივთის ან ჩონჩხის არეში) შიგთავსიდან, ვერტიკალური მიმართულებით ვიღებთ სამ ნიმუშს. ამ ნიმუშების აღებისას მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს სტერილურობა. ეს ნიმუში უნდა მოთავსდეს ახალ პარკში და დაიხუროს. ინსტრუმენტი, ცალკეული ნიმუშის აღების შემდეგ უნდა მაქსიმალურად გაიწმინდოს. არქეოლოგიური მასალიდან აღებული სინჯების ლაბორატორიული დამუშავება პალინოლოგიური კვლევისთვის ხდება სადღეისოდ მიღებული მეთოდის მიხედვით [იხ. Erdtman 1969; Moore და სხვ. 1991].

150 გრ საკვლევი, ორგანული ნაშთი თავსდება 1 ლიტრიან ჭურჭელში; მასში მწვავე კალიუმის ან ნატრიუმის 10% ხსნარი ემატება. მიღებული შიგთავსი 5 წუთის განმავლობაში დულს. შემდეგ მიღებული მასა უნდა გაცივდეს და გაიხსნას გამოხდილ წყალში, რომელიც 0,25 მლ. დანაყოფიან საცერში იწრიტება. მიღებული პროდუქტი 24 საათი ყოვნდება. ამ დროის გასვლის შემდეგ არსებულ მასალა-ნალექს ცენტრიფუგაში ვატარებთ. შემდეგ ისევ გამოხდილი წყლით ირეცხება. მიღებულ ნიმუშს ვასხამთ კადმიუმის ძიძმე სითხეს და 25 წუთის განმავლობაში ცენტრიფუგაში ხდება ნიმუშის მტვრის მარცვლების განცალკევება. ეს მტვრის მასა ისევ უნდა გაზავდეს გამოხდილი წყლით და დარჩეს 24 საათი. შემდეგ ხდება ისევ ცენტრიფუგირება და განთავისუფლება კადმიუმისგან და კეთდება — აცეტოლიზი. ბოლოს მოგროვებული მტვერი შრება და ირევა გლიცერინში. მიღებული მასალიდან მიკროსკოპში მტვრის მარცვლების იდენტიფიკაცია ხდება. მცენარეთა მტვრის მარცვლების საერთო რიცხვის მიღების შემდეგ ყველა ნიმუშისათვის ხდება პროცენტების გამოთვლა მცენარეთა ეკოლოგიური ჯგუფების მიხედვით და მათი დატანა დიაგრამაზე. დღეს ეს უკვე ხდება სტატისტიკური პროგრამების გამოყენებით [იხ. Bennet 2002; Grimm 2010]. მიღებული პალინოლოგიური დიაგრამის აღწერა და ანალიზი პალეოკლიმატის რეკონსტრუქციაში გვხმარება [იხ. Kvavadze და სხვ. 2007; Kvavadze და სხვ. 2010]. ქვემოთ, მაგალითისათვის რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლის პალინოლოგიური კვლევის შედეგებს განვიხილავთ:

ხოვლეს (კასპის მუნიციპ.) არქეოლოგიური ძეგლის სამარხი №1-დან აღებულია 5 ნიმუში (№15-19). სამარხი ძვ.წ. II-III სს. მიეკუთვნება [იხ. Kvavadze და სხვ. 2010]. სინჯები აღებულ იქნა მუქი ლაქების გავრცელების ადგილას. სულ განსაზღვრულია ხე-მცენარეების 16 და ბალახოვნების 43 სახეობის მტვრის მარცვლები. არაპალინოლოგიური ფოსილიების ჯგუფში აღმოჩენილია 38 ორგანიზმის ნაშთები; განსაზღვრულია პალინომორფების რაოდენობა.

პალინოლოგიურ დიაგრამაზე სჩანს, რომ სამარხი პალინოლოგიური სპექტრები ძალზე განსხვავდება თანამედროვე ნიადაგის სპექტრებისაგან. რეცენტულ სპექტრებში ბალახოვანთა მტვრის მარცვლები დომინირებს. ესაა, ძირითადად, აბზინდასებრთა (Chenopodiaceae) და რთულყვავილოვანთა (Compositae) მტვრის მარცვლები. სპექტრებში მრავლადაა მრავალძარღვას და ქოლგოსანთა მტვრის მარცვლები. ხე-მცენარეთა ჯგუფში სჭარბობს ფიჭვი და ნაძვი, რომელთა მტვერი ხელოვნური ნარგავებიდანაა შემოტანილი. კაკლისა და თხილის მტვრის მარცვლები ნიადაგში ახლომდებარე სოფ. *ხოვლეს*

მცხოვრებთა ბალებიდან არის მოხვედრილი. აქ არსებული სუსტად განვითარებული მიწათმოქმედება დაფიქსირდა სიმინდის, ხორბლის და სხვა სათესი მარცვლოვნების ერთეული მტვრის მარცვლებით. თუმცა სპექტრები კარგად განვითარებულ მეცხოველეობაზე მეტყველებს. ამაზე მიუთითებს *აბზინდასებრთა*, *მრავალძარღვას* და მიხაკისებრთა მტვრის შემცველობა, ანუ იმ მცენარეებისა, რომლებსაც ცხოველები არ ძოვენ. დასახლებული პუნქტის არსებობაზე მიუთითებს სპექტრში იმ სარეველა ბალახების არსებობა, რომლებიც იზრდება გზების გასწვრივ, ეზოებში და ნაგავსაყრელებთან. მაგ.: *აბზინდა*, *ლორის ბირკა*, *ყაყაჩო* და სხვ.

პალინოლოგიურ სპექტრებში სუსტად, მაგრამ მაინც ასახულია *თრიალეთის* ქედის ტყის მცენარეულობა. აქ მთისწინებში ხარობს რცხილისა და მუხის ტყეები, თელასა და ჯაგრცხილასთან ერთად. ყველა ჩამოთვლილი ხეების მტვრის მარცვლები აღინიშნება პალინოლოგიურ სპექტრებში. აქ ნაპოვნია, აგრეთვე, ტყის გვიმრების სპორები. საინტერესოა არაპალინოლოგიური ფოსილიების შემადგენლობა. სჭარბობს სოკოების სპორები. ძალიან ბევრია სოკო *Alternaria*-ს სპორები, რაც დამახასიათებელია შედარებით მშრალი ადგილებისთვის. მრავალფეროვანია ნაკელის სოკოების სპორების შემადგენლობა, რომელთა ჯგუფში სპორორმიელას რაოდენობა სჭარბობს. აღინიშნება აგრეთვე შორდარია და ოდოსპორა. ნაპოვნია სოკოს გლომუსის სპორები, რომელიც ნიადაგის ეროზიულ პროცესებზე მიუთითებს. აღინიშნება მარცვლოვანთა ღეროების ნაშთები, ფიტოლიტები და ეპიდერმისი, რომლებიც ჩვეულებრივ მრავლადაა ცხოველთა ექსკრემენტებში. მერქნის ტრაქეალური უჯრედები ცოტაა. ნიადაგების რეცენტულ პალინოსპექტრებში მრავლადაა ზომასაღა. ესაა ფეხსახსრიანების, განსაკუთრებით მწერების და ნიადაგის ცხოველების ნაშთები. ნიადაგში აღმოჩენილია ასევე ცხოველთა პარაზიტების — ჰელმინტების კვერცხები.

პირველი სამარხის ორგანული ნაშთების პალინოლოგიური სპექტრებისათვის სრულიად სხვა თავისებურებებია დამახასიათებელი. თანამედროვე ნიადაგებთან შედარებით, სპექტრებში გაცილებით მეტია მიწათმოქმედების და, განსაკუთრებით, მემარცვლეობის ელემენტები. ამ მოვლენის ნათელი მაგალითია მათიტელას გვარის მტვრის მარცვლების რაოდენობის დომინირება. ჩიტის მათიტელა, ბოსტნის *წალიკა* და მისი სხვა სახეობები მარცვლოვანთა ნათესებისათვისაა დამახასიათებელი [Behre 1986]. მინდვრის სარეველებს მიეკუთვნება ასევე *ნარშავი*, ველური *წინიბურა*, *ხვართქლა*. ზემოთჩამოთვლილი ტაქსონები მტვრის მთელი რაოდენობის თითქმის ნახევარს შეადგენს.

სპექტრში აღინიშნება განვითარებული მებალეობისა და მევენახეობის ელემენტებიც. სამარხის პალინოსპექტრების მეორე მნიშვნელოვანი თავისებურებაა სარეველების მტვრის მარცვლების უფრო მეტი შემცველობა, თანამედროვე სპექტრებთან შედარებით. ესენია ადამიანის საცხოვრებლის თანამდევი სარეველების — ვარდკაჭაჭა, აბზინდას, ჭინჭრის, ველური მარცვლოვნების და სხვათა მტვრის მარცვლები. აღნიშნული ფაქტი მონიშნავს III ს-ში ხოვლეს ტერიტორიის მოსახლეობის გაცილებით უფრო მრავალრიცხოვნებასა და, შესაძლოა, უფრო დიდ დასახლების სიმჭიდროდეს. აღსანიშნავია, რომ სამარხის პალინოსპექტრებში დიდი რაოდენობითაა ხემცენარეების მტვრის მარცვლები და ტყის გვიმრების სპორები. *მურყნის* მტვრის მარცვლების, გვიმრების და, განსაკუთრებით, ტაბულა სპორების რაოდენობის მატება, აგრეთვე ხავსების მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიუთითებს, რომ III ს-ში დღევანდელთან შედარებით უფრო ნოტიო და, შესაძლოა, უფრო თბილი ჰავა იყო. ტყის მცენარეულობა ხოვლესთან უფრო ახლოს იზრდებოდა და მისი ფართობი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო.

თანამედროვე სპექტრებისაგან აბსოლუტურად განსხვავებულია არაპალინოლოგიური ფოსილიების შემადგენლობა. სამარხის ნიმუშებში სოკოების სპორებს შორის სჭარბობს ნაკელის სოკო სორდარია, ხოლო *Sporormiella*-ს სპორები, რომლებიც მრავლადაა თანამედროვე ნიადაგებში, აქ თითქმის არ გვხვდება. ძალიან ცოტაა *Alternaria*-ს სპორებიც. სოკოებიდან აღინიშნება *Thecaphora*-ს სპორები, რომელიც ნათესებში ხვართქლაზე იზრდება. გვხვდება სოკოების სპორებიც, რომლებიც ჩვეულებრივ მერქანში ბინადრობენ

და შლიან მას [Geel 1998]. როგორც დიაგრამიდან ჩანს, სამარხის ნიმუშებში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი მერქნის, განსაკუთრებით ფიჭვის, პარენქიმული უჯრედები, რომლებიც აღნიშნული სოკოებითაა დაშლილი. სამარხის ნიმუშებში მატულობს ასევე სოკო Chaetomium-ის როლი, განსაკუთრებით გარდაცვლილის ჩონჩხის ძვლების განლაგების მიდამოებში. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ ჩონჩხის ქვეშ, Chaetomium-ის სპორებთან ერთად აღინიშნება სელის ბოჭკოების სიჭარბე, რომელთა შორის ნაპოვნია შეღებილი და დაგრეხილი ბოჭკოებიც. მცირე რაოდენობით წარმოდგენილია ბამბის ბოჭკოები. როგორც ცნობილია, სოკო ქსოვილზე სახლდება და ხრწნის მას. სამარხის ნიმუშებში აგრეთვე აღმოჩენილია წყალმცენარეების Dinoflagellata, Spirogira, Pseudoschizaea, Zygnema ნაშთები. საინტერესო კანონზომიერებები გამოვლინდა ასევე ზოოლოგიური მიკრონაშთების კომპლექსშიც, რომელშიც დომინირებს ტკიპები. გვხვდება როგორც მთლიანი ტკიპები, ისე მათი ბუსუსები, მარწუხები, კლანჭები და სხვა ნაშთები.

ხოვლეს საკვლევი ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში განლაგებულ თხრილში არქეოლოგიური მასალების მიხედვით გამოვლენილია კუტურული ფენა, რომელიც ძვ.წ. IIIს-ეს მიეკუთვნება. პალინოლოგიური მეთოდით გამოკვლეულია ამ პერიოდის სამარხი ნიადაგი. სპექტრებისათვის დამახასიათებელია Polygonum aviculare type-ის დომინირება, რომელიც მარცვლოვანთა ნათესების ტიპური სარეველაა. ბევრია ხორბლის მტვერი. ნაპოვნია სარეველები, რომლებიც ადამიანის საცხოვრებელთან იზრდება, მაგრამ მათი რაოდენობა დიდი არ არის. ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძვ.წ. IIIს-ში გამოკვლეული თხრილის მიდამოებში ხორბალი ეთესათ.

პალინოლოგიური მასალა და, განსაკუთრებით, არაპალინოლოგიური ფოსილიების ხასიათი საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რომ *ხოვლეს* №1 სამარხში განსვენებულის დაკრძალვა ზაფხულში მოხდა. ამაზე მიუთითებს ტკიპების დიდი რაოდენობა, რომელთა აქტიური ფაზა სწორედ ზაფხულის სეზონში დგება [Kropczynska და სხვ. 1995].

III-VII სს-ის საყურადღებო პალინოლოგიური მასალა წარმოდგენილია — *ნავკისის ქაობის* ჭრილში, ბაზალეთის ტბის პროფილში და *წინამურის* სამარხში [იხ. Kvavadze და სხვ. 2008]. აგრეთვე *ჟინვალში* [ჩიხლაძე და სხვ. 2011], *ბოლნისის* სიონში და *ჩაილურში* [იხ. ბითაძე და სხვ. 2012]. ამ მასალის პალინოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ დღევანდელთან შედარებით, განხილული პერიოდი გრილი კლიმატური პირობებით ხასიათდებოდა.

განვიხილოთ მაგ. *ნავკისის* ჭრილი. ამ ჭრილში ადრე შუა საუკუნეებით თარიღდება ტორფის ფენა, რომელიც მდებარეობს 120-90 სმ სიღრმეზე [იხ. Connor და სხვ. 2005]. ეს არის T-8 პალინოლოგიური ზონა. ქვემოდან მას ესაზღვრება შრე, რომელიც რადიოკარბონული მეთოდით თარიღდება 1890±40 წლის წინ ანუ 1ს-ის ბოლოთი. როგორც პალინოლოგიური დიაგრამა გვიჩვენებს, ამ ზონისთვის დამახასიათებელია ხემცენარეთა მტვრის რაოდენობის მკვეთრი შემცირება. განსაკუთრებით კი რცხლისა და მუხისა. პალინოლოგიურ სპექტრში კლებულობს აგრეთვე ყველა სხვა სითბოს მოყვარული ხემცენარეს როლი. ეს პროცესი კარგად ჩანს ძელქვის, იფნის და ზეთისხილის მრუდეებზე. ბაზალეთის ჭრილი. ბაზალეთის ფსკერზე გაბურღულ მასალაში ადრეულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება თიხების შრე, რომელიც მდებარეობს 115-98 სმ სიღრმეზე. გამოყოფილი ფენის ქვედა ნაწილი ხასიათდება სოჭის, ნაძვის, არყის და ფიჭვის მტვრის შედარებით მაღალი შემცველობით, რაც გრილი კლიმატური არსებობის ნიშანია. ამ ნაწილში ყველა სითბომოყვარული ფართოფოთლოვანის მტვრის როლი მცირდება. ეს კარგად აისახება მუხის, რცხილას, თელას, ნაბლის და ძელქვას მრუდეებზე. მაგრამ ჩვენს მიერ აღნიშნული შრის ზედა ნაწილი ხასიათდება მუხის, რცხილას და სხვა სითბომოყვარული ხემცენარის მტვრის რაოდენობის მკვეთრ მატებით. პალინოლოგიურ სპექტრებში წინვოვნების და არყის როლი საგრძნობლად კლებულობს.

წინამურის სამარხი, არქეოლოგიური მასალის მიხედვით IV-VI სს-ით თარიღდება. პალინოლოგიურმა და პალეოკარპოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ დროს წინამურის გარშემო ტყე კარგად იყო გავრცელებული და მასში რცხილას, მუხას და ცაცხის გარდა

იზრდებოდა ბზა და ხეჭრელი. ბალახოვნების ჯგუფში ბევრია ისეთი სახეობები, რომელიც მხოლოდ ტყეში იზრდება. ამასთანავე კარგად იყო განვითარებული მინათმოქმედებაც.

ჟინვალის სამარხი არქეოლოგიური მასალის მიხედვით თარიღდება V ს [იხ. ჩიხლაძე და სხვ. 2011]. აქ საანალიზოდ აღებულია სამარხიდან მოპოვებული თმა. თმაში ნაპოვნია შავი ფერის მკრივი ორგანიკის ნაშთი. ნიმუშის პალინოლოგიური სპექტრი მდიდარია, მტვრის მარცვლები გამოირჩევა კარგი დაცულობით. განხილულ სინჯში დათვლილია 293 მტვრის მარცვალი, აქედან 135 მიეკუთვნება ხემცენარეთა ჯგუფს, 158 კი ბალახოვნებს. ნაპოვნია აგრეთვე 26 ტყის გვიმრის სპორა. ხეებიდან ბევრია ფიჭვის და კაკლის მტვრის მარცვლები. მეორე დომინანტი თხილია. ერთეული მტვრის მარცვლებით აღინიშნება მაღალმთის ტყის ელემენტები (ნაძვი, სოჭი და არყა). ბალახოვანთა შორის ჭარბობენ ეზოს და ბაღების სარეველები. ესენია *მრავალძარღვა*, *ვარდკაჭაჭა*, *ხვართქლა*, *ნაცარქათამა*, *ფარსმანდუკი* და სხვა. აღინიშნება აგრეთვე ხორბლის მტვრის მარცვლები. არაპალინოლოგიური ხასიათის ნამარხების რაოდენობა 225-ია და ის პალინომორფების 52%-ს შეადგენს. ჭარბობს ტექსტილის ბოჭკო. დათვლილია 88 აბრეშუმის ბოჭკო, 32 ბამბის და 8 სელის ქსოვილის ბოჭკო. აღინიშნება სოკოს სპორები, განსაკუთრებით ბევრია ის სოკო, რომლებიც შინაური მცოხნელთა ცხოველების ნაკელზე იზრდებიან. არის აგრეთვე ფიჭვის და სხვა ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები.

განხილული პალინოლოგიური სპექტრების ხასიათი საფუძველს იძლევა, რომ *ჟინვალის* ნიმუში №1 ჩაითვალოს როგორც აბრეშუმის თავსაბურავის ნაშთი, რადგან მასში ძალიან ბევრია აბრეშუმის ქსოვილის ბოჭკო. სინჯში არსებული მცენარეთა მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა და მათი ტაქსონომიური სიმდიდრე იმის დასტურია, რომ თავსაბურავი ხანგრძლივ ხმარებაში უნდა ყოფილიყო. სწორედ ხმარებისას ტექსტილის ბოჭკოში გროვდება მცენარეთა მტვრის მარცვლები. ტყის ელემენტების საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაწილეობა თავსაბურავის ბოჭკოებში დასტურია იმისა, რომ მიცვალებული ხშირად დადიოდა ტყეში. თმებში ნაპოვნი სელის ბოჭკო, ჩვენი ვარაუდით წარმოადგენ დაშლილ სუდარის მიკრონაშთს. Vს-ში *ჟინვალის* რეგიონში დღევანდელთან შედარებით უფრო გრილი კლიმატი უნდა ყოფილიყო, რადგან აქ იზრდებოდა მაღალმთის ელემენტები. ესენია, სოჭი, აძვი, ფიჭვი და არყა. ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობაში მესაქონლეობას დიდი როლი უნდა ჰქონოდა, რაზეც პალინოლოგიურ სპექტრში ნაპოვნი იმ სოკოს სპორებია, რომლებიც იზრდება მცოხნელთა ნაკელში [იხ. Geel 1976].

ჩაილურის სამარხები მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპ. სოფ. კაკაბედთან და არქეოლოგიური მასალის მიხედვით თარიღდება V-VI სს. აქ შესწავლილია 3 სამარხის მასალა. სამარხების პალინოლოგიური სპექტრების აღწერამ გვაჩვენა, რომ სპექტრები სრულიად განსხვავდებიან დღევანდელ პალინოლოგიურ სპექტრებისგან. *ვარდკაჭაჭასნაირები* და სხვა ნესტის მოყვარე მცენარის მტვრის უხვი რაოდენობა, ტყის გვიმრების სპორების მუდმივი მონაწილეობა საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ იმდროინდელი კლიმატი გაცილებით უფრო ნოტიო უნდა ყოფილიყო. აქ ეზოს სარეველების მტვრის დიდი რაოდენობა მეტყველებს, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვე ჩაილურის ციხის ირგვლივ საკმაოდ მაღალი იყო. მინადმოქმედება კარგად იყო განვითარებული. ითვისებოდა ხორბალი და სხვა სათესი ჯიშები, ადამიანი აქ მაშინაც ვაზს და ბაღებს აშენებდა.


პირველ სამარხში აღმოჩენილი ტკიპების ნაშთების დიდი რაოდენობა საფუძველს იძლევა დავასკვნად რომ დაკრძალვა შუა ზაფხულში მოხდა, როდესაც ტკიპები არიან აქტიურ გამრავლების ფაზაში. პალინოლოგიურ სპექტრებში დომინირებს იმ ბალახოვანთა მტვერი, რომლებიც ზაფხულის შუა ნაწილში ყვავილობენ. თავის ქალის ქვეშ აღმოჩენილია, როგორც ველური, ასევე კულტურული ლანდშაფტების მცენარეების მტვერი, რომლებიც ადამიანის თმაში გროვდება მისი მოღვაწეობის დროს.

ამ სამარხების ორგანულმა ნაშთებმა საშუალება მოგვცა არა მარტო ჩაგვეტარებინა პალეოეკოლოგიური რეკონსტრუქციები და აღგვედგინა ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობა აღნიშნული დროისათვის, არამედ გამოგვეკვლია აგრეთვე დასაფლავების ტრადიციების ბევრი დეტალი, გამოგვევლინა პალეოდაავადებები და დაგვედგინა

დამარხვის სეზონი. III ს-ის მეორე ნახევარი ოპტიმალური კლიმატური პირობებით გამოირჩეოდა. ჰავა გაცილებით უფრო თბილი და ტენიანი იყო, ვიდრე ამჟამად. როდესაც ჰავა ნოტიო და ცივი იყო, ხოვლეს მოსახლეობაში ჰელმინტოზები გავრცელდა. ამაზე მეტყველებს სამარხში ნაპოვნი ადამიანის პარაზიტი ჭიის კვერცხები.

მოცემული არქეოლოგიური მასალის პალინოლოგიური კვლევის შედეგები, დგინდება, რომ ანტიკური ხანის დასაწყისში ქართლის ტერიტორიაზე კლიმატი ხასიათდებოდა დღევანდელთან შედარებით უფრო თბილი და ნოტიო თვისებებით. ნალექების დიდმა რაოდენობამ ხელი შეუწყო მინათმოქმედების განვითარებას. იმ დროს ტყის მასივებიც გაცილებით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. კლიმატური ოპტიმუმი აღინიშნება ახ.წ. პირველ და მესამე საუკუნეში. ამ პერიოდში ხოვლეს და ზოგადად ქართლის ტერიტორიაზე მატულობს მოსახლეობის სიმჭიდროვე.

დასავლეთ საქართველოს — ვანის ნაქალაქარის, ქობულეთის ფიჭვნარისა და ნოქალაქევის ნაქალაქარის არქეოლოგიური მონაცემების პალინოლოგიური კვლევის შედეგად გარკვეულ წილად დადგინდა, რომ ზოგადად დასავლეთ საქართველოში საკვლევ პერიოდში კარგად იყო განვითარებული მინათმოქმედება. ითესებოდა ხორბალი, ღომი, ქერი, შვრია, ფეტვი და სელი. მისდევდნენ მებაღეობასა და მევენახეობას. დანიშნურებული იყო აგრეთვე მეცხოველეობა და მეფუტკრეობა. მოსახლეობის დიეტას შეადგენდა მცენარეული საკვები, ძირითადად მარცვლოვნები, მათი როგორც კულტურული, ისე ველური ფორმები. საკვებად იყენებდნენ სხვადასხვა პარკოსნებს. მზადდებოდა ხორბლეულის კერძები, ჭინჭრის, ნაცარქათამას, ცაცხვის ფოთლის, ყაყაჩოსა და სხვა მცენარეების მხალეულობა, ცხვებოდა პური. კერძების შენელება ნიგვზის და თხილის საკმაზით ხორციელდებოდა. სამზარეულო ჭურჭლის პალინოლოგიური სპექტრებიდან გამომდინარე, იმდროინდელ სამკურნალო მცენარეებს მიეკუთნებოდა ფარსმანდუკი, მრავალძარღვა, აბზინდა, სამყურა, ვარდკაჭაჭა, მათიტელა, ვენერას თმა. ხემცენარეთაგან სამკურნალო გამოყენება ჰქონდა ცაცხვს, მურყანს, ეფედრას, ფიჭვს, ძელქვას, მუხას, რცხილას, იფანს, თელას. ჩამოთვლილ მცენარეებს ხარშავდნენ, ან მათ ნაყენს ამზადებდნენ. რაც შეეხება სამოსს, ადგილობრივი მოსახლეობის ტანსაცმელი ძირითადად სელის ქსოვილისგან მზადდებოდა. ცოტა იყო ბამბის და კიდევ უფრო ცოტა აბრეშუმის ქსოვილი. არქეოლოგიური მასალის პალინოლოგიური სპექტრებიდან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოში მაქსიმალურად თბილი უნდა ყოფილიყო ძვ.წ. IV ს. კლიმატური პირობების გაუარესება უნდა დაწყებულიყო ძვ.წ. II ს-ის პირველ ნახევარში [იხ. ჭიჭინაძე 2013; ჭიჭინაძე და სხვ. 2012; Chichinadze და სხვ. 2013].



ხოვლე, სამარხი №1, №4.
 1 - კვლარი; 2,3,4- ფიჭვი; 5- კაკალი; 6- რცხილა;
 7- მურყანი; 8,9 - ხავსი; 10 - ტაბულა; 11- გვიმრანაირი;
 12,13- ხორბალი; 14- სათესი მარცვლოვანი; 15-ციხორიუმი.

ალიზი (მოვლა და კონსერვაცია)

ნ. ერქომაიშვილი

ალიზი უძველესი სამშენებლო მასალაა. ალიზის აგური და ნაგებობანი, აშენებული ალიზის გამოყენებით, ყველაზე ძველია კაცობრიობის ისტორიაში. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ, როგორც მარტივი ფორმების საცხოვრებელ სახლებსა და სამეურნეო ნაგებობებს, ასევე მოზრდილ საკულტო შენობებს. ძლიერად დაპრესილი, მძიმე, მაგრამ სუსტი წნევის მიმართ, ალიზის მასები ისეთივე კედლის წყობას ქმნიან, როგორსაც გამომწვარი აგური და ქვა. პრაქტიკულად ინერტულნი (თუ გამორიცხულია პირდაპირი ქიმიური ზემოქმედება), ისინი მყარად რჩებიან დროთა განმავლობაში და იღებენ სპეციფიურ შეფერილობას. კომპაქტურობა მიღწეულია მასალის შეკვრით, ხოლო კონსტრუქციის ფორმები შემუშავებულია ისტორიული, გეოგრაფიული და კულტუროლოგიური მახასიათებლებით. მათი კვალიფიციური შეკეთება მოითხოვს იმ ისტორიული მეთოდის, მასალებისა და ტექნიკის გამოყენებას, რომელიც ზუსტად შესაბამისია კონკრეტული ნაგებობისათვის.

ალიზის აგური — გამოუწვავი და მზეზე გამომშრალი აგური, რომელიც მზადდება თიხისაგან და სიმტკიცისათვის ურევენ არაორგანულ და ორგანულ მინარევებს (მსხვილმარცვლოვანი ქვიშა, წვრილად დაკეპილი თივა, ბზე და სხვ.) ახლაც, მიუხედავად სამშენებლო ტექნიკის და ტექნოლოგიის განვითარებისა, საკმაოდ პოპულარულია. ის კვლავაც მოსახერხებელია დროებითი ნაგებობების აშენებისას. ალიზის მშენებლობაში გამოყენებას აქვს, როგორც დადებითი, ასევე თავისი უარყოფითი მხარეები; დადებითი მხარეები განისაზღვრება მასალის სიიფით — ნედლეული უფასოა, არ საჭიროებს შორ გზაზე ტრანსპორტირებას, მოიხმარს მცირე მოცულობის ენერჯის ხარჯვას წარმოებისას და მშენებლობის დროსაც. ასევე, ნაკლებდ აალებადია, საკმაოდ კარგი ხმა და თბოგაუმტარია, აქვს ბუნებრივი ფერი, მდგრადია მიწისძვრისას. გარდა ამისა, იოლია მისგან სხვადასხვა ფორმებისა და ზომის ნაგებობების აშენება, ან ცალკეული აგურების დამზადება.

უარყოფითი მხარეები კი შემდეგში მდგომარეობს: მინა, რისგანაც ის მზადდება, აუცილებლად უნდა შეიცავდეს საკმაოდ რაოდენობის თიხას (თიხის ოპტიმალური შემცველობა 5% - 50%), ვერ უძლებს ზეწოლას, ამიტომ გადახურვის კონსტრუქციები აუცილებლად მსუბუქი უნდა იყოს, ასევე, ვერ უძლებს სართულებით დატვირთვასაც. ამ ტიპის ნაგებობა სასურველია მხოლოდ ერთსართულიანი იყოს. ალიზი, თავისი შედგენილობით, დამზადებისა და შენების ტექნოლოგიითა და, ასევე, ზომებით, სხვადასხვაგვარია. ხელით დამზადებული ალიზის აგურისათვის, ჩვეულებრივ, ისტორიულადაც და ახლაც, კორდოვანი ფენის ქვემიდან აღებულ მინის ქვედა ფენას იყენებენ. მინის გადაზედილ მასაში ხშირად ურევენ მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის ბოჭკოვან მასალას (ბზე, თივა, ჩალა, ცხოველური მინარევები). აგურების ერთმანეთთან დასაკავშირებლად და ნაგებობის შესაღესად საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა სხვადასხვა მინარევებით გამდიდრებული თიხა. თანამედროვე ალიზის აგურის მასალად გამოიყენება თიხა, ქვიშა და ხის ნახერხი. ლიგნოსულფატის დამატება დულაბში და ბათქაშში კედლის სტრუქტურას და, შესაბამისად, მთელ ნაგებობასაც ჰიდროფობურ თვისებებს სძენს [Bouwens 1997].

სახურავი, ალიზის ნაგებობებს, ჩვეულებრივ, დაბალი და მსუბუქი აქვს. თვითონ სახურავის კონსტრუქციაც შედარებით განსხვავებულია ჩვეულებრივი სახურავებისაგან — კოჭები პირდაპირ ეყრდნობა კედლებს და ჩამაგრებულია მინის ფენაში. ალიზით ნაშენი კედლების სიმაგრე და სიმტკიცე პროპორციულია საშენ მასაში წყლის შემცველობისა — სამშენებლოდ გამოუდეგარია, როგორც ზედმეტად წყლიანი მასა, ასევე ზომამზე მეტად გამომშრალი. ალიზით შენების სხვადასხვაგვარი მეთოდი არსებობს. მაგალითად, უძველესი მეთოდია — თიხიან მინას გადაზელავენ სპეციალურ ხის ყალიბში და პირდაპირ კედელი

ამოჰყავთ. არსებობს მეთოდი, სადაც გადაზედილ თხელ მასას აგურის ფორმის ყალიბში ასხამენ და შემდეგ აშრობენ. არსებობს აგრეთვე, ე.წ. დაპრესილი ალიზის აგური, რომელსაც სპეციალური საწნეხი მანქანებით ამზადებენ, აშრობენ და შემდეგ იყენებენ მშენებლობაში. გავრცელებულია, აგრეთვე, ალიზის აგურის დამზადება ადგილზე, კედელზევე, როდესაც აგურის ფორმირება სპეციალური ლითონის ყალიბით პირდაპირ კედლის წყობაზე ხდება. ამ მეთოდის ნაკლი ის არის, რომ შრობისას აგური იკლებს ზომებში, ანუ მისი მოცულობა მცირდება, ეს იწვევს აგურებს შორის მანძილების არაერთგვაროვან ცვლილებას, რამაც თავის მხრივ, შესაძლოა მთლიანად კედლის ან ნაგებობის დეფორმაცია გამოიწვიოს [Bouwens 1997].

საქართველოში ყველაზე გავრცელებული მეთოდი ჰაერზე გამოშროალი აგურის გამოყენება იყო. ალიზის აგურის მშენებლობაში გამოყენების პირველი მაგალითები საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ VI-IV ათასწლეულებიდანაა დადასტურებული. უადრესი ალიზის ნაგებობები, რომელიც აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად — საცხოვრებელი სახლებია, ხოლო თვითონ ალიზის აგურს ე.წ. პლანო-კონვექტური, ანუ ბრტყელ-ამოზნექილი ფორმები აქვს. აგურებს ძირი და გვერდები ბრტყელი, ხოლო ზედაპირი ამოზნექილი აქვს. პლანო-კონვექტური ფორმის ალიზის აგური, ასევე, აღმოჩენილია, მაგალითად, ეგვიპტეში, შუამდინარეთში. ნაგებობებს ხშირად მომრგვალებული ფორმები აქვს, გადახურვაც მრგვალია, დულაბად და ბათქამად ისევ თიხის მასაა გამოყენებული, რომელიც კედელს ატმოსფერული ნალექებისაგან იცავს.

საქართველოში საშენ მასალად ალიზის გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. უძველესი დროიდან ვიდრე გვიანდელ შუა საუკუნეებამდე, ალიზი უმთავრესი საშენი მასალა იყო საცხოვრებელი, დროებითი და დამხმარე სათავსოების ასაგებად. პირველი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სწორედ ალიზით არის აგებული. ამ თვალსაზრისით, საინტერესო მასალაა მოძიებული არქეოლოგიური გათხრებისას, რომელიც ტერიტორიულად ახლანდელ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ნამოსახლარებია: *არუხლოს გორა*, *შულავერის გორა*, *ხრამის დიდი-გორა*. აღნიშნულ ნამოსახლარებში საცხოვრებელი კომპლექსები შედგება სახლისა და სამეურნეო ნაგებობისაგან.

ძირითადი საშენი მასალა კარგად განლექილი წვრილმარცვლოვანი თიხაა, ღია-რუხი ფერისა, მოყვითალო ტონებით, რომელიც ადგილობრივად არის მოპოვებული. ის აგრეთვე შეიცავს მსხვილმარცვლოვან ქვიშასა და დაკეპილ ბზეს. აგურის დამზადება მიმდინარეობდა მარტივი ხის დამხმარე ხელსაწყოებით, აგურებს აქვთ პლანო-კონვექტური ფორმა. მკაცრი გეომეტრიული ფორმები და ზუსტი ზომები დაცული არ არის. ყველაზე გავრცელებულია ზომებია 30 X 20 X 8სმ, 30 X 15 X 8სმ და 25 X 15 X 7სმ. თუმცა ხანდახან გვხვდება აგურები სიგრძით 45 და 50სმ და სიგანით 20 და 25სმ. შენობებში კედლის წყობა ჰორიზონტულია, ერთი აგურით. თითო აგური ძვეს შემდეგიდან 2-3სმ-ის სიმაღლეზე. კედლებს არ გააჩნიათ საძირკველი და აღმართულნი არიან უშუალოდ გრუნტზე ან წინასწარ გასწორებულ და კარგად დატკეპნილ ადრეულ ნაგებობებზე. კედლებში დულაბად გამოიყენებულია ხსნარი — კარგად განლექილი თიხა, რომელიც სიცარიელებს ავსებს აგურებსა და მათ გამოზნექილ ნაწილებს შორის და გაშრობისას მაღალ სიმტკიცეს იძენს. ყოველ ახალ ზედა რიგში აგურის წყობა მიემართება შიგნით, ცენტრისაკენ, რის შედეგადაც მიღებულია მრგვალი გადახურვა. თვით საცხოვრებლის ფორმაც მომრგვალოა. კედლები ორივე მხრიდან გალესილია საკმაოდ მტკიცე თიხის ხსნარით და მათი სისქე 20-25სმ-ია. ნაგებობის სიმტკიცე მიღწეული იყო საფუძველთან რკალური შემოსარტყვლით — მკვრივად დატკეპნილი თიხის ე.წ. *ბალიშით*. არავითარი კვალი ხის ბოძებისა ან სხვა რაიმე საყრდენი ნაგებობისა, არსად არის ნაპოვნი [იხ. ლორთქიფანიძე 2002].

საინტერესო არქიტექტურის მქონე, ძვ.წ. IV ათასწლეულის ძეგლია აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოში, სახელწოდებით *ბერიკლდეები*. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია გალავნის 0.80მ სიგრძეზე შემორჩენილი ფრაგმენტი და ნაგებობა. გალავანს მყარი საფუძველი არ გააჩნია, ჩვენამდე მოღწეულია დაახლოებით 1მ

სიმაღლით; ის შედგენილია მოყვითალო ფერის მკვრივი აგურებისგან. მათი ზომებია 44 X 20 X 8სმ და შედარებით იშვიათად — 48 X 25 X 8სმ. უკიდურესად ქვედა სტრუქტურაში უფრო ვიწრო აგურებიც ჩანს — 44 X 15 X 8სმ. წყობაში ისინი გრძივად არის დაფენილი რუხი თიხის მკვრივ ხსნარზე. ხსნარის სისქე, როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ ნაკერებში 5-8სმ-ია. წყობის გადარჩენილი მონაკვეთები საკმაოდ მკვრივი და მონოლითურია და აგურების გამოცალკევება ჭირს. ეს არის ე.წ. გვიან გამშრალი აგურები, რომლებიც იქმნებოდა ნედლი სტრუქტურებისაგან და შემდგომ, დროთა განმავლობაში შრობასთან ერთად მტკიცდებოდა, განსხვავებით წინასწარ მზეზე გამომშრალი აგურებისაგან. გალავნის სიგანე 7 აგურითაა შედგენილი და მისი სიგანე 2მ. ნაგებობა აგებულია იგივე ზომის აგურით, როგორც გალავანშია გამოყენებული. აგურები აქაც ნედლი სახითაა დანყობილი და შემდეგაა გამომშრალი. კედლების შიგა და გარე მხარეები გალესილია კარგად განლექილი ბზენარევი თიხით [ლორთქიფანიძე 2002].

შემდეგი ისტორიული ეტაპი, სადაც ალიზის აგურია გამოყენებული არის ძვ.წ. III ათასწლ., რომელიც შემდეგი არქეოლოგიური ძეგლებითაა წარმოდგენილი: *ამირანის-გორა, სამშვილდე, ქვაცხელები* და სხვ. ამ პერიოდში უკვე თვალნათლივია რომ არქიტექტურა გარკვეულად განვითარებულია; ნაგებობების ძირითად ტიპს წარმოადგენს ოთხკუთხედი, მომრგვალებულ კუთხეებიანი სახლი, რომელსაც თიხატყეპნილი იატაკი და, ასევე, ბრტყელი თიხატყეპნილი სახურავი აქვს. თუმცა ამ პერიოდში კიდევ გვხვდება ე.წ. მრგვალი სახლებიც. საშენ მასალად აქ გამოყენებულია ისევე თიხა და ალიზი. ალიზის შემადგენლობა ძირითადად იგივეა, ზოგან გვხვდება ობსიდიანის წვრილი მინარევები ან კვარცის ფხვნილი. ალიზის აგურის ზომებია 36 X 18 X 9სმ. ნაგებობა ეყრდნობა ხის კონსტრუქციას, კედლები თითქმის ვერტიკალურად მიემართება. სახლის კარკასი შედგება წნელებისაგან, გადახურვაში კი გამოყენებულია ხის ბოძები. კედლებში ალაგ-ალაგ ჩართულია ქვაც. ზოგიერთი შენობის მომრგვალებულ კუთხეებში ჩატანებულია საგანგებო ფორმის ლეკალური მოყვანილობის აგური. საზოგადოდ, აგურის გეომეტრიული ფორმები ბევრად უფრო სრულყოფილი და დახვეწილია, ვიდრე ეს წინა პერიოდებში გვხვდებოდა.

ნაქალაქარ *სამადლოში* ალიზი მრავალფუნქციურადაა გამოყენებული. აქ არსებული არქეოლოგიური მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თითქმის ყველა შენობა ქვით იყო აგებული, ხოლო გალავანი უმეტესწილად ქვის ცოკოლზე დაგებული ალიზის აგურებითაა აშენებული — ალიზის ფენა ზოგან 1,5 მ-ის ან მეტ სიმაღლეზეა შენარჩუნებული. გვხვდება ნაგებობებიც, რომლებიც ქვყრილის საფუძველზე ალიზის აგურითაა აშენებული და თიხატყეპნილი იატაკი აქვთ. ალიზი შედგება თიხის, მსხვილმარცვლოვანი ქვიშისა და ბზისაგან. აგურები კვადრატული ფორმისაა, ზომებით: 50 X 50 X 10სმ ან 50 X 22 X 11სმ. ბათქაშისათვის კი, შიგნიდანაც და გარედანაც, ალიზის მასასთან ერთად გამოყენებულია თაბაშირიც. ციტადელში, აგრეთვე, აღმოჩენილია ძვ.წ. IV-III სს. აკლდამის ნანგრევები, რომლის კამერაც, ასევე ქვის წყობითა და ალიზის აგურებით იყო აშენებული [იხ. Гагошидзе 1979]. *სამადლოს* სიახლოვესაა აღმოჩენილი ძვ.წ. IIIს-ის ნაქალაქარი *ნასტაკისი*. აქაც, ისევე როგორც *სამადლოში*, ნაპოვნია ნაგებობები, სადაც საშენ მასალად ალიზის აგურია გამოყენებული [იხ. Бохочадзе 1977].

არქეოლოგიური ძეგლი, სადაც აგრეთვე სამშენებლო მასალად ალიზია წარმოდგენილი არის *მცხეთის* აკროპოლისი, რომელიც ძვ.წ. II - ახ.წ. IIIსს-თაა დათარიღებული. ის შემოსაზღვრულია მძლავრი დამცავი კედლებით, გამაგრებული კოშკებითა და კონტრფორსებით. გალავანი კი შედგება კლდოვანი გრუნტის ამოკვეთილ ბუდეებში ჩასმული ქვის კვადრებისაგან, რომლებზეც ალიზის აგურით ნაშენი კედლის წყობაა ამოყვანილი. აგურის ზომებია 52 X 52 X 12სმ. ალიზის მასაში წყობის გასწვრივ და პერპენდიკულარულად ჩანყობილია ხის ბოძები. ალიზის აგურების გამოყენების იგივე მეთოდი (ქვის კვადრების საფუძველზე ალიზის აგურის წყობა) სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზეცაა აღმოჩენილი, ესენია, მაგ.: *სამთავრო, სარკინე, ურბნისი* და სხვ. *დედოფლის მინდვრის* სატაძრო ნაგებობის კედლებიც აგებულია სტანდარტული ზომის (50 X 50 X 12 სმ და 50 X 25 X 12 სმ) ალიზით, რომელიც რიყის ქვის საფუძველზეა ამოშენებული. კედლების

სისქე ძირითადად 1.10მ, ორივე მხრიდან გალესილია თიხით. იატაკი თიხატკეპნილია. ნაგებობები ეყრდნობა ხის კარკასს. ალიზის აგური გვხვდება ძვ.წ. IV-III სს. ვანის ნაქალაქარზე. აქ ალიზის აგური ძვ.წ. II-IX სს-ის ნაგებობებში გამოიყენება. კედლების საძირკველი კარგად დამუშავებული სწორკუთხა ქვათლილებით ორ და სამ რიგადაა ამოყვანილი, ქვათლილები ერთმანეთთან მშრალად, დულაბის გარეშეა ნაგები. ზემოდან შემორჩენილია ბუნარევი ალიზით ამოყვანილი კედლებიც. ალიზის აგურის ზომებია: 52 X 52 X 12სმ და 52 X 26 X 11სმ.

წერილობით წყაროებში მოიპოვება ინფორმაცია, სადაც აღწერილია ალიზით მშენებლობის ტექნოლოგია. ალიზისათვის მოყვითალო მინას, აყალოს (ზოგჯერ, ასეთ მინას თირსაც უწოდებენ) არჩევენ. თუ ნიადაგი წვრილკენჭიანია, არ ცრიან; თუ მსხვილი ღორღი აქვს შერეული — საცერში ატარებენ. მინა უკეთესია წებოვანი და ნესტიანი იყოს. გამომშრალი და ფხვიერი მინიდან დამზადებული ალიზი უფრო იშლება. თუ ნიადაგი ძალიან თიხიანია, მინას ქვიშასაც ურევდნენ. მოჭრილ მინას ათავსებდნენ სპეციალურ მოსწორებულ ადგილზე; ასხამდნენ წყალს და ზელდნენ ნიჩბით, თან უმატებდნენ ბზეს, სადაც ბზის რაოდენობა, თვითონ მინის თიხიანობაზე იყო დამოკიდებული. მინას ან ცხენებს აზელებდნენ, ან ადამიანები ფეხით ზელდნენ. მინის მასა კარგად გადაზელებილი მაშინ იყო, როცა ხელს აღარ ეკვროდა. გამზადებული მასიდან აგურის მოჭრა იწყებოდა. ხანდახან ამოგუნდავებულ აგურს ქვიშაში ამოავლებდნენ ხოლმე. ალიზი ყალიბში იჭრებოდა. ყალიბი შეიძლება ერთაგურიანიც ყოფილიყო და ორაგურიანიც, ხელით ტკეპნიდნენ და ზემოდან სპეციალური ხის საფხეკით ასწორებდნენ. მოჭრის დროს გვერდზე წყალი ედგათ, ყალიბს ან კალაპოტს ასველებდნენ, რომ აგური ფორმიდან იოლად ამოსულიყო. ალიზის აგური სამი დღე ერთ მხარეზე დადებული შრებოდა, მეორე ფეხზე აყენებდნენ და ისე ანიავებენ. დანიშნულების ადგილას მხოლოდ მეხუთე დღეს მიჰქონდათ; საბოლოო გაშრობის დრო ყველას სხვადასხვა ჰქონდა და დამოკიდებული იყო ნიადაგზე [იხ. მასალები საქართველოს..., 1976]. ამგვარად დამზადებული ალიზის აგურისაგან შენდებოდა ნაგებობები, სადაც დულაბად და ბათქაშად ისევ თიხა იყო გამოყენებული. კონსტრუქციები ან პირდაპირ შენდებოდა, ან შესაძლებელი იყო ხის გამოყენებაც მორების, სვეტების, არმატურის ან ნჯნელების სახით.

ალიზი საკმაოდ ფაქიზი სამშენებლო მასალაა. განსხვავებით გამომწვარი აგურისაგან, სადაც სიმტკიცე მიღწეულია ალიზის თერმული დამუშავების პროცესში მიმდინარე გარდაქმნებით, გამოუნვაავი და ჰაერზე გამშრალი ალიზი უფრო სუსტია კლიმატური პირობების, ატმოსფერული ნალექებისა, ვიბრაციის და სხვადასხვა მექანიკური პროცესების მიმართ. ალიზის აგურით აშენებული ნაგებობა უფრო მეტადაა მგრძობიარე ტენის მომართ, ვიდრე გამომწვარი აგურისგან ან ქვისგან ნაშენი. ეს გასაგებიცაა: მაკავშირებელი ხსნარი, ანუ თიხა, ამ შემთხვევაში ისე მყარად ვერ არის შეჭიდული სხვა ინგრედიენტებთან, როგორც გამომწვარ აგურში და ქვის მონოლითში. ყველაზე მეტად გავრცელებული რისკ-ფაქტორები ალიზისათვის არის წყლის პირდაპირი მოქმედება, ხშირი და ძლიერი ქარი, არასწორი გადახურვა და შეკეთება; მნიშვნელოვანი — დრო, ანუ ბუნებრივი ცვეთა. წყლის ზემოქმედება, გარდა ატმოსფერული ნალექებისა, შეიძლება სხვა მიზეზებითაც იყოს გამოწვეული. ერთ-ერთი ასეთი მიზეზია აღმავალი ტენი. ალიზით აშენებული ნაგებობების უმეტესობას საფუძველი ღრმა არ აქვს და ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს რამდენიმე რიგისაგან შემდგარ აგურის ან ქვის ყრილს (სიმაღლე სხვადასხვაა და მერყეობს 15 სმ-დან 120 სმ-მდე). სწორედ ამიტომ, ალიზის ნაგებობების აღმავალი ტენისაგან დაცვა, პირველ რიგში, შენობის საძირკველის ტენისაგან დაცვას გულისხმობს. იმ შემთხვევაში, თუ ნაგებობას ქვის ან აგურის საძირკველი არ გააჩნია და პირდაპირ მინაზეა აშენებული, აღმავალი ტენისაგან დაცვა ბევრად უფრო რთულია, ასეთ დროს საჭიროა სადრენაჟო კონსტრუქციების მონყობა უშუალოდ ნიადაგში და წვიმისაგან, როგორც ნაგებობის, ასევე მიმდებარე ტერიტორიის დაცვაც. ალიზის სტრუქტურის დაზიანების მიზეზი შეიძლება გახდეს არასწორად შერჩეული შელესილობაც. ალიზის ნაგებობები, უმეტესად, შიგნიდანაც და გარედანაც გალესილია იგივე მასალით, რითაც აშენებულია

თვითონ ნაგებობა. შეკეთება და მოვლა ისეთი შენობისა, რომელსაც ისტორიული და კულტურული ღირებულება აქვს, განსხვავებულია, ის მოითხოვს ისტორიული ძეგლის მრავალმხრივ და საფუძვლიან შესწავლას, გეგმაზომიერ ლაბორატორიულ კვლევას, რესტავრატორებისა და ქიმიკოს-კონსერვატორების მჭიდრო თანამშრომლობას.

ალიზის შენობათა შეკეთება და კონსერვაცია შედგება სამი ძირითადი კატეგორიისაგან, ესენია: კარგი სახურავისა და დამცავი ზედაპირების შეკეთება; გაბზარული, გატეხილი, და ფიზიკურად დაკარგული ნაწილების შეესება; ზედმეტი ნაღები მასის მოცილება. შესაძლებელია, როგორც ტრადიციული, ასევე სინთეზური, მაგრამ აუცილებლად შესაბამისი მასალების გამოყენება. რესტავრატორმა, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის, თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თუ რა გზა ამოირჩიოს ძეგლის კონსერვაციისას — ტრადიციული, მხოლოდ ორიგინალური მასალის გამოყენება, თუ სინთეზური ნაერთების დამატება. რასაკვირველია, თუ ამის საშუალება არის, ყოველთვის სჯობს ტრადიციული მასალების გამოყენება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ისტორიული ძეგლის გადასარჩენად მხოლოდ სინთეზური მასალების გამოყენებაა ერთადერთი, სწორი და აუცილებელი გზა. განსაკუთრებით კი ისეთი მყიფე და მსხვრევადი სტრუქტურისათვის, როგორიც ძველი ალიზია.

გადახურვის არასწორმა ან არასაკმარისმა კონსტრუქციამ, შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს შენობას. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ალიზით ნაგებ ისტორიისა და კულტურის ძეგლს, შენობა მთლიანად უნდა იყოს დაცული წყლის ზემოქმედებისაგან. ამ მიზნით, თუ ამას ნაგებობის არქიტექტურა ითვალისწინებს, ძეგლს უნდა ჰქონდეს მსუბუქი, მაგრამ ხარისხიანი სახურავი; უნდა გაუკეთდეს წვიმისაგან დამცავი გადახურვა. ასევე მნიშვნელოვანია კედლების დაცვა წყლისაგან. წყლის დამლუპველი გავლენისაგან დაცვა სჭირდება თვითონ კედლის წყობას და ბათქაშსაც. ამას უზრუნველყოფს შენობის საფუძველთან მოწყობილი კარგი სადრენაჟო სისტემა და წყალგაუმტარი სახურავი.

ხშირად, ალიზით შენებისას, სამშენებლო მასისათვის სიმტკიცის მისანიჭებლად, იყენებდნენ ბზეს ან ჩალას. ნესტიანი კლიმატის რეგიონებში ან წყლის პირდაპირი ზემოქმედების შედეგად, მცენარეული დანამატები ღებობას განიცდიან, რასაც თან სდევს კედლის სტრუქტურაში სხვადასხვა მწერებისა და პარაზიტების გაჩენა. მათი ცხოველქმედება კი კედელს აზიანებს. ასეთ დროს გამართლებულია სარესტავრაციო მასაში ქიმიური ინგრედიენტების დამატება. პრაქტიკაში მიღებულია დაქუცმაცებული პოლიპროპილენის ბოჭკოს გამოყენება.

ნესტიანი კლიმატის რეგიონებში ალიზის ნაგებობებს წყლისგან დასაცავად კირით ფარავენ. ეს მეთოდი გაუმართლებელია ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლის შემთხვევაში, რადგან ნაგებობას უცვლის ფერს და თავდაპირველ იერ-სახეს. გარდა ამისა, კალციუმის კარბონატის კრისტალები, რისგანაც ძირითადად შედგება კირხსნარი, დროთა განმავლობაში წვიმის წყალში მსუბუქად იხსნება და ირეცხება ზედაპირიდან. ამ პროცესს ქარიც აჩქარებს. ბათქაშისათვის ჰიდროიზოლაციური თვისებების მისანიჭებლად გავრცელებული მეთოდია ბიტუმის გამოყენება (ბიტუმები მყარი ან თხევადი კონსისტენციის ორგანული ნივთიერებებია. განასხვავებენ ბუნებრივ და ტექნიკურ ბიტუმებს. ბუნებრივ ბიტუმებს შეიცავს ქანები ბუდობების სახით. ტექნიკურ ბიტუმს ნავთობისა და წიაღისეული საწვავი ნახშირების გადამუშავებისას იღებენ). ბიტუმს ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ სამშენებლო და ჰიდროსაიზოლაციო საქმეში. ცნობილია ძვ.წ. III ათასწლეულის ნაგებობები მესოპოტამიასა და ეგვიპტეში, რომელთა მშენებლობისას გამოყენებულია ბიტუმი. ბიტუმით ფარავდნენ კედლებს, იატაკებს. ბიტუმები მაგრდებიან ხსნად ფრაქციათა დაკარგვის ხარჯზე, მაგრამ არ წარმოქმნიან პოლიმერიზებულ ფორმებს, ხანგძლივად ინარჩუნებენ დრეკადობას და აქვთ კარგი ჰიდროფობიზაციის უნარი [ICOMOS, 10thGeneral...1993]. მე-20ს-ის 50-იან წლებამდე შესაღეს-საბათქაშე მასაში გამოიყენებოდა ბლანტი ბიტუმი, მაგრამ იმ დრომდე, სანამ ბიტუმსა და ალიზის შიდა ფენას შორის კავშირი მიიღებოდა, უკვე დასუსტებული ალიზის

გარეთა სუბსტრატი ვერ უძლებდა ბიტუმით დამუშავებას და იშლებოდა. ნარმატიული შედეგები შეიძლება მიღწეულ იქნას მაშინ, როდესაც ბიტუმი წინასწარ არის ნაწილობრივ გათხევადებული და მომზადებული ალიზის შიდა ფენებში შესაღწევად. ამ მიზნით ბიტუმს აცხელებენ გარკვეულ ტემპერატურამდე და გამოიყენებენ ცხლადვე. თუ ალიზის სტრუქტურა დაშლილია, ბიტუმიანი მასის მოდიფიცირებისათვის კარგია ქვიშის დამატება. ბიტუმი ასევე ნარმატებით გამოიყენება ახალი ელემენტების ფორმირებისათვის; დაკარგული ნაწილების აღსადგენად გამოიყენება პლასტიკური მასები, რომლებიც წარმოადგენს ძველი ალიზის ნაფხვენებისა და ბიტუმის ნარევს, რომელსაც მოდიფიცირებისათვის ასევე უმატებენ ხოლმე ქვიშასაც.

ბიტუმის გამოყენება გასაღესად არ არის მიზანშეწონილი ტენიანი კლიმატის პირობებში და დახშულ, უფანჯრო ნაგებობების შემთხვევაში. ბიტუმის ფენა ხელს უშლის შენობის შიგნით დაგროვილი ტენის აორთქლებას და ინვესს ალიზის დესტრუქციას. გარდა ამისა, ბიტუმი შენობას აუცილებლად სძენს, ყველასათვის ცნობილ შავ შეფერილობას; ამიტომ ბიტუმის გამოყენება კონსერვაციაში შეიძლება მაშინ, თუ ნაგებობა ისტორიულად ისედაც დაფარული იყო ბიტუმით ან სხვა შავი საღებავით. დაკარგული ფრაგმენტების ახლად დამზადებული მასებით აღდგენისას, ყოველთვის გასათვალისწინებელია მათი წონა. ახალი მასები, როგორც წესი, ყოველთვის უფრო მძიმეა ძველ ნაგებობასთან შედარებით, ამიტომ ისინი, სასურველია გამოყენებულ იქნას ნაგებობის ქვედა ფენებში. თუ შენობის ფიზიკური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, შეიძლება გამოფიტული ალიზის ცალკეული აგურები ან ფრაგმენტები გადაადგილდეს ნაგებობის ზედა ნაწილებში, ხოლო ახალი მასები მოთავსდეს საძირკველთან [Morton 2005].

ძველი, ისტორიული ალიზით აშენებული ნაგებობები, ხშირად, აღარ გამოიყენება პირდაპირი დანიშნულებით და მათი ფუნქცია ხშირად განისაზღვრება მხოლოდ ისტორიული ან მხატვრული ღირებულებით. მთელი რიგი ალიზის ნაგებობებისა, რომელთაც დიდი ისტორიული ან კულტურული ღირებულება აქვთ, აღდგენილი შეიძლება იქნას მხოლოდ ორიგინალური ფორმების დაბრუნებით და ტრადიციული ტექნიკის გამოყენებით, თუმცა ხშირად საჭირო ხდება ძეგლზე დამატებითი კონსტრუქციული, ქიმიური და ბიოლოგიური ჩარევები. თუ ძეგლი ძალიან დაზიანებული არ არის, მისი კონსერვაცია შეიძლება მოხდეს მარტივი და ბუნებრივი მასალების გამოყენებით. ნიადაგის მრავალფეროვნების გამო, შეუძლებელია არსებობდეს გამზადებული რეცეპტი ნარევისა, რომელიც ალიზის შესაკეთებლად ან გასაღესად შეიძლება იქნას გამოყენებული. ყველა შემთხვევაში, ნარევი უნდა შეიცავდეს შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს, ესენია: თიხა, ქვიშა ან ცარცი (ცარცი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საწყისი მასა კირქველ მინარევებს შეიცავს) და წყალი. კონკრეტული შემთხვევებისათვის შეიძლება დაემატოს შეკვრის პროცესის შემანელებლები — დაკეპილი ბზე, თივა ან მსხვილფეხა საქონლის უხეში თმა. ზედმეტი თიხის შემცველობამ ასეთ ნარევიში, მასალის შეკვლების გამო, შესაძლოა გამოიწვიოს კედლის ზედაპირის დასკდომა, მაგრამ ასეთი ბზარები მხოლოდ ესთეტიკურ პრობლემას წარმოქმნიან (განსხვავებით ცემენტის გამოყენებით გაჩენილი ბზარებისა), ისინი არ აზიანებენ ნაგებობის კონსტრუქციას, რადგან არ ინვევენ ზედაპირის ფორების დახშობას. შესაკეთებელი ნარევი, ჩვეულებრივ, მზადდება კონკრეტული მიზნებისათვის — მსხვილი ან წვრილი ბზარების ამოსავსებად, დაზიანებული ფრაგმენტების შესავსებად ან აღსადგენად. შესაბამისად, ნარევის კონსისტენციაც და შემადგენლობაც დამოკიდებულია, სწორედ, ამ კონკრეტულ მიზანზე. გასაღესად, ნარევი, ბუნებრივია, მეტ წყალს შეიცავს და შეიძლება საერთოდ არ შეიცავდეს მცენარეულ ან ცხოველურ მინარევებს. დაზიანებული ფრაგმენტების და მსხვილი ბზარების ამოსავსებად ნარევი ნაკლებ წყალს შეიცავს და გამდიდრებულია მცენარეული და ცხოველური ბოჭკოთი (სოფლებში დღესაც გავრცელებულია მსხვილფეხა საქონლის შარდის, ჯაგრის და ახალი ნაკელის გამოყენება).

შესაკეთებელი ადგილი სამუშაოს დაწყებამდე სასურველია წყლით ოდნავ დასველდეს — ასე გასაღესი მასალა უკეთესად ეჭიდება ზედაპირს. სამუშაო იარაღები ისეთივეა,

როგორც ჩვეულებრივ, შენების ან ლესვის დროს გამოიყენება (ხის ქაფჩა, ფუნჯი და ა.შ.). თუ გამოსაცვლელია ცალკეული აგური, ორიგინალური (ან მასთან მიახლოებული) რეცეპტურით და ასევე ორიგინალური ტექნოლოგიით მზადდება ახალი ალიზის აგური და ძალიან ფრთხილად, ისე რომ კედელი არ დაზიანდეს, თავსდება შესაბამის ადგილზე.

საერთაშორისო სარესტავრაციო ორგანიზაციებმა — ICOMO; GETTY — შეიმუშავეს ერთობლივი პრინციპები და საბაზო კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს ალიზის კონსერვაციასა და ნაგებობის აღდგენას [დანვრ. იხ. ICOMOS... 1993].

ტექნოლოგიურად საინტერესო და შედეგიანი აღმოჩნდა მეთოდი — შემკვრელი მასა შედგება კირისაგან, გამომწვარი აგურის მტვერისა და ფქვილადქცეული საწვავის ფერფლის (P.F.A. – pulverized fuel ash) მრავალრიცხოვანი დანამატებისაგან. მასა თითქმის 50% სილიციუმის ოქსიდს და 35% ალუმინის და კალციუმის ოქსიდებს შეიცავს. მნიშვნელოვანი და აუცილებელი P.F.A. კი თავისუფალია სულფატებისაგან — აუცილებელი და თანმდევი დამაბინძურებლისაგან. მშრალი ჰიდრატირებული კირი და P.F.A ნარევი ალბურია თითქმის თანაბარი შეფარდებით, რომელსაც თავის მხრივ, 5-ჯერ აღემატება აგურის მტვერის მასური წილი. კომერციული თვალსაზრისით, აქტიურად გამოიყენება უკვე ნახსენები ბიტუმიც. არსებობს საკონსერვაციო კომპოზიციები, რომლებიც წარმოადგენს წყლის ემულსიებს ბიტუმისა და სხვა მოდიფიკატორების დამატებით. ასეთ კომპოზიციებში ბიტუმის შემცველობა მაღალი არ არის და შემკვრელი თვისებები მიღწეულია სხვა დანამატების ხარჯზე. სპეციალურად საკონსერვაციოდ შექმნილის მოდიფიცირებული ბიტუმიანი კომპოზიციები არ იწვევენ საკონსერვაციო მასალის ფერის შეცვლას. შექმნილია აგრეთვე ბიტუმიანი ემულსიური კომპოზიციები სინთეზური რეზინების (ლატექსის) დამატებით, მაგრამ მათი გამოყენება ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლის შემთხვევაში ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის, რადგან ლატექსი არ არის ალიზის მონათესავე რეაგენტი და არ აქვს კარგი შელწვეადობის უნარი.

საკონსერვაციო მასალად ორგანული ნაერთების გამოყენებაც ასეთივე სიფრთხილესა და დაკვირვებას მოითხოვს. სარესტავრაციო პრაქტიკაში არსებობს მოკლევადიანი და ნაწილობრივ წარმატებული მეთოდები სინთეზური ორგანული ნივთიერებებით ალიზის კონსერვაციისა, ესენია: კომპოზიციები, შექმნილი ორგანული მონომერებისა და პოლიმერებისაგან, პოლივინილაცეტატები, პოლიიზოციანატები და მთელი რიგი გამამყარებელი აკრილებისა. საუკეთესო შემთხვევებში ისინი წარმოქმნიან კარგ კონსოლიდანტებს, აღწევენ სტრუქტურის სიღრმეში და ერთმანეთთან აკავშირებენ ცალკეულ ნაწილაკებს, მაგრამ ამ ტიპის ქიმიური ნივთიერებების არასწორმა გამოყენებამ შეიძლება გამყარებული მასის ზედაპირიდან მოცილება ან სტრუქტურის გატეხვაც კი გამოიწვიოს. ალტერნატიული მეთოდია — რომლის დროსაც ქიმიური გარდაქმნა და კონსოლიდანტის წარმოქმნა *in situ* მიმდინარეობს. ეს არის ეთილსილიკატის საფუძველზე მიღებული საკონსერვაციო მასალის გამოყენება. სწორად შერჩეული კატალიზატორის თანაობისას ჰიდროლიზის პროცესში თანმხლები ნივთიერებების აორთქლების შემდეგ, თიხაში აღდგება ის ნივთიერება, ანუ სილიკატელი, რომელიც ალიზის დაშლილ ნაწილაკებს ბუნებრივად დააკავშირებს ერთმანეთთან. სილიციუმის ოქსიდი სწორედ ის ნივთიერებაა, რომელსაც ნიადაგი ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს, ამიტომ ეს მეთოდი ბუნებრივი, მისაღები და დღესდღეობით ყველაზე ეფექტურია არსებულთ შორის.

საქართველოში არქეოლოგიური ალიზის წარმატებული კონსერვაციის მაგალითები, სამუხებაროდ, თითქმის არ გვაქვს. 1976 წელს დედოფლის მინდორის არქეოლოგიური ძეგლის ალიზის კედლების გარკვეულ ნაწილს ჩაუტარდა კონსერვაცია ანტიფილტრაციული ჰიდროფობური ნარევით (აღნიშნული ნარევი მიღებულ იქნა თბილისში, ექსპერიმენტული პროექტირების სამეცნიერო-კვლევით ზონალურ ინსტიტუტში, ავტორი — გ. ყიფშიძე). ამ ნარევით გასამყარებელი ობიექტის გაჟღენთვისას ხდება ქვის ან, ამ შემთხვევაში, ალიზის მიკროფორებსა და ნაპრალებში ორგანულ გამხსნელში (გამხსნელად გამოყენებულია დიქლორეთანი, მშრალი ნივთიერების გარკვეული რაოდენობის თანაარსებობისას) გახსნილი ორგანული მინის ღრმად შეღწევა.

გასამაგრებელ მასალაში ნარევის მიგრაციისას ხდება დიქლორეთანის აორთქლება მასალის კედლებზე ორგანული მინის დალექვით, რომელიც, თავის მხრივ, ახშობს ფორებსა და ნაპრალებს. შემდგომი დამუშავებისას, როდესაც გამჟღენთი ნარევი ეხება ადრე გამყარებულ ორგანულ მინას, ის მას ნაწილობრივ ხსნის. დიქლორეთანის აორთქლებისას ეს პროცესი შეიძლება განმეორებულ იქნას მრავალჯერ, მასალის სრულ გაჟღენთვამდე. აღნიშნული პროცესი ფორებსა და ნაპრალებში ორგანული მინის წყალგაუმტარი და ჰომოგენური მასის წარმოქმნით მთავრდება. აქ ალიზის აგურის კონსერვაცია, სწორედ, ამ მეთოდით იქნა ჩატარებული — ალიზი კარგად გამაგრდა, მაგრამ შეიცვალა ფერი [Кипшидзе 1985]. ქვემოთ იხ. (გ. ნარიმანიშვილის გათხრები) ალიზის კედლის წყობა სოფ. ძალისიდან.



წყალქვეშა არქეოლოგია საქართველოში

გ. გამყრელიძე

ჰიდროარქეოლოგია, საზღვაო არქეოლოგია ანუ წყალქვეშა არქეოლოგია სხვადასხვა მიზეზით წყლის ქვეშ — ზღვაში, ტბაში, მდინარეში — მოქცეულ მატერიალური კულტურის ძეგლებს: ნამოსახლარებს, ჩაძირულ გემებს და მათ ტვირთს შეისწავლის. მას წყალქვეშ ნარმოებული გათხრებისათვის დამახასიათებელი სპეციალური მეთოდები გააჩნია. ჰიდროარქეოლოგიური კვლევა უშუალოდ არის დამოკიდებული საერთოდ წყალქვეშეთის კვლევის ტექნიკის განვითარებაზე.

პირველი “წყალქვეშა არქეოლოგები” ხმელთაშუა ზღვაში ღრუბლის მაძიებლები იყვნენ. მათი მეშვეობით გასული საუკუნის დასაწყისში, შემთხვევით აღმოჩნდა არა ერთი და ორი ძველი ხომალდის, ქანდაკების, კერამიკის, ლითონის ნივთი. წყალქვეშეთის შესწავლის საქმეს მძლავრი ბიძგი მისცა მე-20 ს-ის ორმოციან წლებში ფრანგი მკვლევარ-მყვინთავის ჟაკ ივ კუსტოს და მისი კოლეგების მიერ მსუბუქი და

მოხერხებული აკვალანგის შექმნამ. ამ გამოგონებას შემდეგ შვეიცარიელი მეცნიერის გ. კელერის მიერ წყალქვეშ სუნთქვისათვის აირის სპეციალური შემადგენლობის დადგენა დაემატა, რამაც კიდევ უფრო გაახანგრძლივა აკვალანგით წყალში ყოფნის დრო. ამასთან დაკავშირებით საერთოდ წყალქვეშა კვლევა და, კერძოდ, წყალქვეშა არქეოლოგიური ძიება გაადვილდა. დროთა განმავლობაში წყალქვეშა რომანტიკით გატაცებული ენთუზიასტების გარდა გამოჩნდნენ პროფესიონალი ჰიდროარქეოლოგებიც (ა. პუადებარი, ნ. ლამბოლი, ფ. ბენუა, ჯ. ბასი, პ. თროკმორტონი, ვ. ბლავატსკი, ბ. პეტერსი და სხვ.). 1955 წლიდან წყალქვეშა არქეოლოგიაში საერთაშორისო კონგრესები იმართება. გამოდის სპეციალური ჟურნალი — *The International Journal of Nautical Archaeology*. საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში და საბერძნეთში წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევის საგანგებო დაწესებულებები არსებობს. დღეისათვის ჰიდროარქეოლოგია კვლევის საკუთარი მეთოდის მქონე ისტორიულ-არქეოლოგიური სამეცნიერო მიმართულებაა.

საქართველოში, სადაც შავი ზღვის სანაპირო 330 კილომეტრზეა გადაჭიმული, ცხადია, წყალქვეშა არქეოლოგიურ კვლევას გარკვეული პერსპექტივა გააჩნია. მითუმეტეს, საქართველოს ზღვისპირეთში (კოლხეთში) ძველი წერილობითი ცნობების ავტორების — სკილაქს კარიანდელის, ფლავიუს არიანეს, პომპონიუს მელას, სტრაბონის, კლავდიოს პტოლემეაიოსის, პროკოპი კესარიელის, აგათიას, ვახუშტი ბაგრატიონის და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით მთელი რიგი დასახლებები არის აღნუსხული: სოფ. *გონიოსთან* (აფსაროსი), სოფ. *ციხისძირთან* (პეტრა), ქობულეთთან — *ფიჭვნარი*, *ფოთი-პალიასტომთან* (ფასისი), *ოჩამჩირესთან* (გიენოსი), *სოხუმთან* (დიოსკურია-სებასტოპოლისი), *ბიჭვინთასთან* (პიტეიუნტი). საქართველოს ისტორიის კვლევისათვის უაღრესად საყურადღებოა ხსენებული ნამოსახლარების, ზღვაში მოქცეული ნავსადგურების, თავდაცვითი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობების შესწავლა. ჯერ კიდევ ამ ოცდაათი საუკუნის წინ კოლხეთის ზღვისპირა ქალაქები — *დიოსკურია*, *გიენოსი*, *ფასისი*, თავის თხზულებაში — “აზია” მოიხსენია სკილაქს კარიანდელმა — “... შემდეგ არიან კოლხები; ქალაქი დიოსკურია, ქალაქი გიენოსი, მდინარე გიენოსი, მდინარე ხობოსი, მდინარე ფასისი და ქალაქი ფასისი” (იხ. 81).

ჩამოთვლილი ქალაქ-დასახლებები ცხოვრების წესით ზღვასთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული. ისინი დიდ როლს ასრულებდნენ უცხოეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაში. პირველ რიგში სწორედ ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა კონტაქტები შავი ზღვის ანუ ეგეისის პონტოს და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან და ქალაქებთან — *მილეტთან*, *ქიოსთან*, *სამოსთან*, *როდოსთან*, *ათენთან*, *მენდესთან*, *სინოპესთან*, *ჰერაკლესთან*, *რომთან* (ოსტია). შემდგომში *ბიზანტიასთან*, *კონსტანტინოპოლთან*, *გენუასთან*, *ვენეციასთან*, *ოსმალეთთან* (სტამბული, სინოპე, ტრაპიზონი, სამსუნი) და სხვ.

ზღვისპირა ქალაქში ვაჭრობის გარდა ხელოსნობის სხვადასხვა დარგები — მეთუნეობა, მჭედლობა, ხუროობა, ფეიქრობა იყო განვითარებული, მაგრამ აქ განსაკუთრებული როლი მაინც ზღვასთან დაკავშირებულ საქმიანობას — მეთევზეობას, ზღვის მარილის მოპოვებას და საზღვაო ვაჭრობას ენიჭებოდა. სტრაბონის “გეოგრაფიაში” აღნიშნულია, რომ შავი ზღვის “ძველი ხალხები დაცურავდნენ ... ვაჭრობისათვის ... ნაპირ-ნაპირ, როგორც იასონი...”. საყურადღებოა აგრეთვე ძვ.წ. IV ს-ში დაწერილი თხზულება, სადაც აღნიშნულია, რომ “...ფასისელები სტუმართმოყვარენი არიან, ისინი ამარაგებენ მათ, ვისაც სანაპიროსთან გემები ელუპებათ”. ძველი საქართველოს და ანტიკური სამყაროს ურთიერთობის ისტორიის კვლევისათვის ფრიად საინტერესოა თუნდაც ერთი ჩაძირული ხომალდის აღმოჩენა, რომელიც ზღვის ღელვის, საზღვაო ბრძოლის ან რაღაც სხვა მიზეზის გამო კოლხეთის სანაპიროსთან დაიღუპა. ხმელთაშუა ზღვაში ამგვარი ჩაძირული გემების უკვე არა ერთი და ორი ნაშთია წყალქვეშა არქეოლოგების მიერ მიკვლეული და შესწავლილი. ძველი საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის საყურადღებოა აგრეთვე

ზემოხსენებული დასახლებების — აფსაროსის, პეტრას, ფასისის, გიენოსის, დიოსკურია-სებასტოპოლისის, პიტინტის ზღვაში მოქცეული ნავსადგურების, თავდაცვითი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობების კვლევა.

ჰიდროარქეოლოგებმა ყურადღება მიაქციეს შავი ზღვის ქვედა შრეებში დიდი რაოდენობის გოგირდწყალბადის არსებობას. ამის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ აქ ორგანული ნივთიერებების შემცველი ნივთები: ხე, ტყავი, ქსოვილები, პაპირუსები და სხვ. შედარებით უკეთ იქნება გადარჩენილი. ძველ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით აღინიშნება, აგრეთვე, რომ ჩაძირულ გემებზე მოსალოდნელია კლასიკური ხანისა და შუა საუკუნეების დროინდელი ხელნაწერების პოვნა. ისტორიული მეცნიერებისათვის მართლაც უდიდესი შენაძენი იქნება ბერძნულ-ლათინურ, ქართულ ან სხვა ენაზე შესრულებული უცნობი ხელნაწერის აღმოჩენა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი საკმაოდ დიდ სიღრმეებზე იქნება საძებნი და მხოლოდ აკვალანგით აქ ვერაფერს გავაწყობთ, ალბათ საჭირო შეიქმნება ბატისკაფის გამოყენება.

ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, გეომორფოლოგების ვარაუდით, შავი ზღვის დონე დღევანდელთან შედარებით გაცილებით დაბლა იყო. დაახლოებით ძვ.წ. I ს-დან დაიწყო ზღვის დონის აწევა. ამის გამო სანაპიროზე განლაგებული ძველი დასახლებები წყლის ქვეშ მოექცა. ზღვის შეტევა ხმელეთზე დღესაც გრძელდება. ბოლო 50 წლის განმავლობაში მარტო აჭარის ფარგლებში 300 ჰექტრამდე სანაპირო ნაილო ზღვამ. აქ დროდადრო არქეოლოგიისათვის საინტერესო მასალებს — კერამიკას, სამკაულებს, ლითონის ნივთებს, მონეტებს — ზღვა გამოიყავს. ამ რამდენიმე წლის წინათ ქობულეთ-ციხისძირის მონაკვეთზე მეთევზეების ბადეს ამფორები ამოჰყვა. ისინი, ალბათ, რომელიმე ჩაძირული ხომალდის ტვირთს წარმოადგენდა. სოხუმის ყურეში მდ. ბესლეთის შესართავთან რელიეფურ გამოსახულებიანი მარმარილოს სტელა და ამფორები აღმოჩნდა [იხ. Gamkrelidze 2012: 182-192].

საქართველოს ისტორიის კვლევისას წყალქვეშა არქეოლოგია შეიძლება დაგვეხმაროს ისტორიისათვის ზოგიერთი ისეთი პირველხარისხოვანი პრობლემის გადაჭრაში, როგორცაა — ძველი ხალხების საზღვაო მიგრაციის საკითხები; ანტიკური ცივილიზაციის გავრცელების გზები კოლხეთში; ძველი საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები შავი და ხმელთაშუა ზღვის ხალხებთან და სხვ. სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობეს 1985 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრში შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის ჩამოყალიბება (ხელმძღ. გ. გამყრელიძე). ექსპედიციას პირველ რიგში საქართველოს ზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური რუკის შედგენა დაევალა. ამისათვის საჭირო შეიქმნა ჰიდროარქეოლოგიის თვალთახედვით წერილობითი წყაროების, ზეპირი გადმოცემებისა და გეომორფოლოგიური მონაცემების ხელახლა გადასინჯვა-შეჯერება. საქართველოში ჯერკიდევ 1953 წელს ჰიდროარქეოლოგიური დაზვერვა ჩატარდა სოხუმის ყურეში. სამწუხაროდ, წყალქვეშა სამუშაოები მაშინ არ გაგრძელებულა. დროდადრო ჰიდროარქეოლოგიისათვის საინტერესო არტეფაქტები — კერამიკა, მონეტები, ლითონის საგნები, ჩნდება. მაგ. გონიო-ქობულეთის სანაპიროს და ზღვის შეღვის მონაკვეთში ამფორები და ხის კარჭაპის ნაშთები აღმოჩნდა.

საქართველოს ზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიურად საინტერესო უბანია მდ. რიონი — მდ. სუფსის მონაკვეთი, სადაც ძველთაგანვე ცნობილია, რომ ქალაქი ფასისი მდებარეობდა. ქ. ფასისი, წერილობითი წყაროების მიხედვით კოლხეთის მინა-წყალზე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქალაქო კერა იყო. სწორედ ამან განაპირობა წყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოების ქ. ფოთთან დაწყება. 1985 წ-დან შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია ქ. ფოთთან მუშაობს. ძირითადი წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევა ექსპედიციამ ზღვაში, ფოთის ნავსაყუდელიდან მდ. სუფსამდე შეღფში და პალიასტომის ტბაში ჩაატარა. სამუშაოების დროს გამოვიყენეთ აკვალანგები და მიწის სანოვი დანადგარი. სამწუხაროდ, არ მოხერხდა ბევრითი

იმპულსური ჰიდროლოკატორის გამოყენება, რომელიც ჰიდროარქეოლოგიური ძიებისას კარგ შედეგებს იძლევა.

ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროების მიხედვით ქ. ფასისის ადგილმდებარეობა თითქოს ზუსტად არის განსაზღვრული. ქალაქი განლაგებული იყო მდ. ფასისის დელტის მარცხენა მხარეს; აქვე სახელდება ტბაც (პალიასტომი). ამგვარი განსაზღვრა ზედმინევით მიესადაგება დღევანდელი ფოთის მდებარეობას. ამის გამო მეცნიერები ერთსულოვნად მიანიშნებენ, რომ ძველი ფასისი ფოთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზეა საძებნელი. ამის მიუხედავად კლასიკური პერიოდის ფასისი მაინც მიკვლეული არ არის. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ხსენებულ მონაკვეთში ურთულესი პალეოგეომორფოლოგიური სიტუაციაა. გეომორფოლოგიური მდგომარეობის მხრივ ყულევ-ფოთი-ურეკის ზღვისპირეთი თითქოს ამოვარდნილია საქართველოს ზღვისპირეთის საერთო კონტექსტიდან. აქ ბუნდოვანია გლობალური, შავი ზღვის რეგრესიის და ტრანსგრესიის ფაქტი ფასისთან მიმართებაში. გაურკვეველია ზღვის სანაპირო შელფის ლოკალური დინამიკის საკითხიც. ხშირად გეომორფოლოგები არქეოლოგების მონაცემებს ეყრდნობიან და სანაპიროზე ძველი ნამოსახლარების განლაგების მიხედვით გამოაქვთ ზოგადი დასკვნები. ეს საკითხი კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს. ოღონდ, სასურველია რომ ჯერ გეომორფოლოგებმა გაგვცენ პასუხი თუ როგორი იყო სანაპიროს დინამიკა და ძველად სად ერთვოდა რიონი ზღვას. მათ უნდა გაითვალისწინონ გლობალური (ზღვის რეგრესია-ტრანსგრესიის) და ლოკალური (მდინარეების გამონატანი მასალა; მდინარეების რიონის, ფიჩორის, ხობის, სუფსის ძველი კალაპოტები; რეგიონის ჭაობიანობა) მონაცემები.

სასურველია, რომ პალეოგეომორფოლოგიური კვლევისას გამოყენებული იყოს კოსმოსური გადაღებები სათანადო კომპიუტერული დეშიფრირებით. ეს იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს თუ წინათ მდ. რიონ-ფასისი სად უერთდებოდა ზღვას და რა მიმართებაშია ადრერკინის და კლასიკური ხანის ნამოსახლარები მასთან. სამწუხაროდ, ხსენებულ რეგიონში მხოლოდ აეროფოტოგადაღებებმა სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. საყურადღებოა, რომ აქ ერთის მხრივ ხდება რიონის მიერ საუკუნეების განმავლობაში დიდძალი ნაშალი მასალის გამოტანა, რაც ალბათ დელტის ზღვაში განევას ინვევდა; ხოლო მეორეს მხრივ ხდებოდა ზღვის დონის აწევა, რასაც სანაპიროს ზღვისგან მიტაცება მოყვა.

დღეისათვის ყულევ-ფოთი-ურეკის სანაპიროზე, ზღვასთან ადრერკინის პერიოდის ძველი ნამოსახლარები აღმოჩენილია ფოთის ჩრდილოეთით სოფ. ყულევში, მდ. ხობის შესართავთან; აგრეთვე მდ. ცივასთან; ფოთიდან სამხრეთით მდ. სუფსის შესართავთან; აგრეთვე ფოთში, პალიასტომის ტბის ადგილ “ნატეხების” ტორფიან ფენებში აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს. შავლაკიანი ჭურჭელი და როდოსული ამფორის ქუსლი.

საყურადღებო ფაქტია, რომ მარტო 1872 წლიდან 1965 წლამდე ფოთის მიდამოებში ზღვამ მიიტაცა 200 მ-მდე სიგანის მიწის მონაკვეთი. ამ მონაცემებით გამოდის, რომ ფასისი ზღვაში უნდა იყოს დაძირული. ამის დასტურია აგრეთვე მეცნიერ-გეოგრაფების მონაცემები, რომლის მიხედვითაც შავ ზღვაში ე.წ. ფანაგორიული რეგრესიის დამთავრების მერე დაახლოებით ძველი და ახალი ნელთალრიცხვების მიჯნაზე დაიწყო ზღვის ტრანსგრესია. შედეგად, დღევანდლამდე ზღვის დონემ აიწია. შესაბამისად ძველი ნამოსახლარები ზღვის ქვეშ უნდა მოყოლილიყვნენ. კერძოდ, ამგვარი პროცესები განვითარდა ჩრდილოეთ და სამხრეთ (მაგ. სინოპი) შავიზღვისპირეთში, სადაც მთელი რიგი კლასიკური ხანის ნაქალაქარები მოექცნენ წყალქვეშ.

ფოთი-გრიგოლეთის ზღვის შელფში ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიებისას ზღვის ფსკერზე გეომორფოლოგიური მდგომარეობა ფრიად რთულია. მდ. რიონის სამხრეთი შტოს შესართავთან ზღვა ხშირად მღვრია და ხილვადობა ცუდია. მდინარეს დიდი რაოდენობით შლამი გამოაქვს და ზღვის დონის დროს წყალქვეშ წარმოიქმნება ქვიშის დიუნები. შესაბამისად თუ წარმოვიდგინოთ, რომ ეს ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ კლასიკური პერიოდის

ფასისის ნაშთები ქვიშის სქელი ფენით არის დაფარული. ჰიდროარქეოლოგიური კვლევისას გრიგოლეთის გასწვრივ პალიასტომის გადმოღმა ზღვაში 25 მ სიღრმეში აღმოჩნდა ე.წ. წელშეზნექილი ამფორები. ადრეული სინოპური ამფორა, რომელსაც მხარზე გრაფიტო აქვს, აღმოჩნდა ზღვაში სუფსის კანიონის მახლობლად. მალთაყვასთან ზღვაში პონტოს ჰერაკლის ძვ.წ. IV ს-ის ამფორა აღმოჩნდა.

ამრიგად, დღევანდელი გეომორფოლოგიური და ტოპოარქეოლოგიური მონაცემების შეჯერების მიხედვით, კლასიკურ-ელინისტური ხანის ფასისის საძებნელია ქ. ფოთიდან დაახლოებით 15 კმ. რადიუსის ფარგლებში — ხმელეთზე და ზღვაში. უფრო კონკრეტულად კი ყულევ-ფოთი-სუფსის და ჭალადიდ-საქორქიოს შორის მდებარე სამკუთხედში. ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო — მდინარეების მიერ გამოტანილი ნაშალი მასალის აკუმულაცია ზღვისპირეთში; ტორფის შრეების მოძრაობა; ნიადაგის ჭარბტენიანობა; ზღვის დონის ცვალებადობა და სხვ. საფიქრებელია, რომ ქ. ფასისის ნაწილი ხშირად ხვდებოდა წყალში. ამიტომ ქალაქი, ზოგადად, ხსენებული სამკუთხედის ფარგლებში, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ადგილზე ინაცვლებდა.

საყურადღებო აღმოჩნდა ექსპედიციის მუშაობა პალიასტომის ტბაში. პალიასტომში, ზღვის შესართავიდან, მალთაყვიდან კილომეტრზე, ტბის დასავლეთ ნაწილში, წყალში მივაკვლიეთ III-VIII სს-ის ნამოსახლარის ნაშთებს (ადგილი — ნატეხები). ტბაზე ეს ძველი ნამოსახლარი დაახლოებით ათას კვადრატულ მეტრზე ვრცელდება. ნაპირიდან ტბის შუაგულისაკენ ორას მეტრამდე სილა-ქვიშიანია, ხოლო შემდეგ ტორფიანი თიხის ფენები იწყება. ფსკერზე აკვალანგით ყვინთვისას მცირე მოძრაობისთანავე ლამი იმღვრევა და წყალი მუქი ხდება. სამოსახლოზე, ტბიდან კერამიკის ფრაგმენტები ამოვიღეთ. მათ შორის არის სამშენებლო კერამიკა (კრამიტი აგური), გვხვდება დამწვარი ბათქაში ნატეხები, რაც აქ ნაგებობების არსებობაზე მიგვანიშნებს. ნამოსახლარზე დადასტურებული აგური ოთხკუთხაა და სისქე 5 სმ-მდეა, ხოლო სიგრძე და სიგანე 30 X 25სმ. ადგილ “ნატეხებში” აღმოჩენილი აგურები ისეთივეა, როგორც დასავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ნაქალაქარებზე — ბიჭვინთაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდავამი, ნოქალაქევი, სოფ. მთისძირში, ვაშნარში, ციხისძირში, გონიოში და სხვ. ტბის ფსკერიდან ამოღებულ თიხის ჭურჭელში რაოდენობის მხრივ პირველი ადგილი ამფორებს უჭირავს. ამფორების გარდა დადასტურდა ქვევრების, ქოთნების, ჯამების, ლუთერიების, ნითელლაკიანი თევშების ნატეხები. ადგილობრივი წარმოების კერამიკასთან ერთად უცხოური (ძირითადად მცირეაზიური და ჩრდილო შავიზღვისპირეთის) ნაწარმიც გვხვდება, რაც სავაჭრო ურთიერთობებზე მიგვითითებს.

როგორც ჩანს, საუკუნეების განმავლობაში ტბას სამოსახლოს გარკვეული ნაწილი დაუფარია. პალიასტომის ამ ნამოსახლარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ისეთივეა, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა თანადროულ ძეგლებზე, კერძოდ, ბიჭვინთაში, ნოქალაქევი, სოხუმ, გუდავამი და სხვ. შესაძლოა, რომ პალიასტომის ამ ძველი ნამოსახლარის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ბიზანტიური ხანის, პროკოპი კესარიელის და აგათიას თხზულებებში აღწერილ ფასისის ნაშთებთან. გეომორფოლოგების აზრით, პალიასტომის ტბა-ლაგუნა ზღვიური რელიქტია. ძველად აქ მდ. რიონის ლიმანი იყო. სრულიად ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავთსაყუდელი მდებარეობდა გემები შემოსულიყვნენ. პალიასტომის ტბაში კერამიკა აგრეთვე ე.წ. ახალ ბათუმის ხიდთან, მდ. ფიჩორის, მდ. თხოვინას და მდ. მალთაყვას სრუტის შესართავშიც აღმოჩნდა. პალიასტომის ტბის სამხრეთ მხარეს, ადგილ ნაეკლესიარზე, წყალში, რიყის ქვებით ნაგები შუა საუკუნეების კედელს მივაკვლიეთ.


შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია საგანგებოდ წყალქვეშა გამოკვლევებისათვის განკუთვნილი გემი ჰიდრობიოლოგი-თაც აწარმოებდა საქართველოს ზღვის შეღვის ჰიდროარქეოლოგიურ კვლევას. ექსპედიციამ საძიებო-

